ოსეური ენიშნის ანთოლოგია

სახელგამი
თბილისი
1957



ინალ ყარ-ეყათი

ოსურ აულში

1870 წ. მაისი. აული ბრუტა

ორი კვირის წინათ, როდესაც აულს ვუახლოვდებოდი, სადაც ჩვენი ოჯახი გადასახლდა, სევდა შემომაწვა. ეს გრძნობა გამოწვეული იყო აულის უსანდომო და პირქუში შეხედულებით. ძალაუნებურად მომაგონდა ჩვენი წინანდელი აული, იქ გატარებული სანეტარო დღეები. მომაგონდა ტყე, სადაც კაკლის საკრეფად დავდიოდით ხოლმე, მდინარე, რომელშიაც ხშირად ვბანაობდი, წისქვილები, რომელთა მახლობლად არა ერთხელ მითევზავია. მომაგონდა ალუბლისა და მსხლის ხეები, რომლებიც იზრდებოდა პატარა ბაღში, ჩვენს ქოხს რომ ეკვროდა.

ამ ახალ აულში ვერაფერ ამის მსგავსს ვერ ვამჩნევდი; ვერც იმ დოვლათსა და სიმდიდრეს, რომელიც ვლადიკავკაზის გზაზე მდებარე აულებს ეტყობა. იმ აულებში გავლისას ვნახე პურის ზვინებით ავსებული დიდი კალოები, მდინარეებზე ბევრი წისქვილი — საკმაოდ წესიერი, კრამიტით გადახურული, ევროპულ ყაიდაზე აშენებული სახლები, კოხტა, პატარა ბაღჩებით დამშვენებული... ერთი სიტყვით, იქაურობას ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ხალხი ცდილობდა გაეუმჯობესებინა თავისი ცხოვრება და რაც შეიძლება უფრო მოხდენილად და კარგად მოეწყო იგი.

აქ კი უბადრუკი, ჩალით გადახურული ქოხები, პაწაწინა, გამურული ფანჯრებით შესცქეროდნენ სამყაროს. არც ერთი ხე არ ჩანდა ახლომახლო და ვაი, რომ ვერსად ვერც ერთი პურის ზვინი ვერ დავინახე.

აულში რომ შევედი, უფრო შევწუხდი. ქუჩის ორივე მხარეს ერთმანეთს ეკვროდნენ თიხით შელესილი ფაცხები. არავინ არ ჩანდა, თითქოს აული ამოწყდაო. რამდენიმე ნაგაზი შუა ქუჩაში გაწოლილიყო და მზეზე თბებოდა, დამინახეს თუ არა ყეფით წამოცვივდნენ და ჩემსკენ გამოექანენ. ერთმა კი ჩემ ცხენს კუდიდან ერთი ბღუჯა ძუა ჩამოგლიჯა. ორი პატარა ბავშვი, ნაწვიმარ გუბეში ტალახისაგან რაღაცას აშენებდა, ვერ გავარჩიე გოგონები იყვნენ, თუ ბიჭები, რადგან გაურკვეველი ტანსაცმელი ეცვათ. ჩემს დანახვაზე ესენიც დაფრთხნენ, ყველაფერს თავი მიანებეს და მახლობელ ეზოს შეეფარნენ. ნაგაში წიწილებით გარშემორტყმული კრუხი იქექებოდა, ვიღაც ქალი კოკით წყალზე მიდიოდა... ასე შეხვდა პირველ ჩასვლისას ახალი აული.

როგორც იქნა, ვიღაც ბიჭის მისწავლებით, ჩვენს კარმიდამოს მივაღწიე. იგი დიდად არ განსხვავდებოდა მეზობელ ეზოებისაგან არც სიდიდითა და არც მოწყობილობით. ეზოში ორი ქოხი დგას, ერთში ორი სათავსოა: ოთახი და თავდგანანი. ოთახში ქალები იმყოფებიან. აქ კედლის გასწვრივ დადგმულ ტახტებზე ერთიმეორეზე დალაგებულია ქვეშაგები: ლეიბები, საბნები და ბალიშები. კარის მოპირდაპირე კედელთან დგას სინთაგი — უზარმაზარი საწოლი, რომელიც დივანის მოვალეობასაც ასრულებს. მის უკან სიდიდის მიხედვით სკივრებია გამწკრივებული. ოთახის კედლებს ხშირად პატრონის იარაღი: თოფი, ხმალი და დამბაჩა ამშვენებს.

თავდგანანში ზამთარში ცხოვრობენ. აქ დიდ ღუმელთან ან ბუხართან თავს იყრის მთელი ოჯახი და ცეცხლთან თბება. ზაფხულში კი თავდგანანში არავინ არ ცხოვრობს და მას საკუჭნაოდ იყენებენ. თავდგანანი ოსეთში უძველეს დროიდან არის შემორჩენილი.

ჩემთვის უკეთესი საცხოვრებელი ადგილი არ აღმოჩნდა და თავდგანანში მომათავსეს. ავეჯის ნაცვლად კასრები, ქვაბები და სხვა საოჯახო ნივთები ამშვენებდნენ ჩემს სადგომს.

მეორე ქოხი — ხაძარია. მას სამზარეულოდაც იყენებენ და ოჯამაგირეთა სადგომადაც. უბრალო ხალხში კი ოჯახი მთელ დღეს ხაძარში ატარებს.

ჩვენს ხაძარზე წნული საქათმეა მიშენებული და ოცოდე ქათამი გაუთავებელი კრიახით გულს მიწყალებს.

საქათმის იქით ურმების ფარდულია (ვარდონდონ, ე. ი. ურმის ადგილი). ჩვენ საყონაღე არ გვაქვს, თუმცა ეს ოთახი აუცილებელია ყველა წესიერ სახლში. ეზოს დაბალი წნელის ღობე ფარგლავს. სხვას ესეც არა აქვს. მაგალითად, კაზი, რომელიც ჩვენს პირდაპირ ცხოვრობს, მთელი ოჯახით ერთ პატარა ქოხში იხუთება; მას არც საქათმე გააჩნია და არც ბოსელი. ღობეც კი არა აქვს და მისი ქოხი შუა ქუჩაში დგას.

8 მაისი

აუტანელი მოწყენილობაა... რომ ჩამოვედი, კვირანახევარი კიდევ არა მიშავდა რა, ახლა კი ძალიან მოვიწყინე, რადგან ყველა ნაცნობ-ნათესავი უკვე ვინახულე და აღარც მე მივდივარ არსად, აღარც ჩემთან მოდის ვინმე. პირველ დღეებში კი დრო სულ სტუმრობაში გადიოდა.

შემოვიდოდნენ ნათესავი ქალები, მოვილოცავდნენ ჩამოსვლას. პირველ რიგში სამგზის გადამეხვეოდნენ და თან მეუბნებოდნენ. — ო, ჩემო მზეო! ჩემო დღის სინათლეე! როგორ გაზრდილხარ, რამოდენა გამხდარხარ!, — მერე მისურვებდნენ „ენერლობას“ ან „აფიცრობას“.

ჩვენში, განსაკუთრებით, ვერ წარმოუდგენიათ, რომ კაცი რუსულ სკოლაში სწავლობდეს და მისგან ოფიცერი არ გამოვიდეს.

— რას მაჩუქებ, აფიცერი რომ გახდები? — ჩვეულებრივად კითხულობს ყოველი მათგანი. — გთხოვ, ფეხსაცმელი ჩამომიტანო, შენს სამახსოვროდ ვატარებ, ან აბრეშუმის ცხვირსახოცი; ჩემს პატარა ბიჭს შიშოს კი წულები აჩუქე...

— კარგი, აუცილებლად — ვპირდები ჩვეულებრივად.

— იცოდე, არ დაგვივიწყო, — დასძენენ ყოველთვის, — აფიცერი რომ გახდები, ჩვენ ნუ დაგვივიწყებ, იმათ ნუ დაემსგავსები, ვინც უკვე აფიცერი გახდა, მშობლები და ნათესავებიც კი დაივიწყა, აღარავის არ ეხმარება.

აქაც ვამშვიდებ. მერე ქალები აულის ამბებს მოყვებიან, იშორავებენ და დაიშლებიან.

შემოდიან მამაკაცებიც. ისინი ხელისჩამორთმევით მესალმებიან, ქალებივით არასოდეს არ გადამეხვევიან. შეკითხვები კი ისეთივე აქვთ:

— მალე გახდები აფიცერი?

— მალე, — ვპასუხობ.

— ძალიან კარგი. ოღონდ შენიანები არ უნდა დაივიწყო, — დაუმატებს და მაგალითად ისევ ჩვენებურ ოფიცრებს გაიხსენებს, რომლებიც, მისი თქმით, ჯამაგირს ქეიფში ხარჯავენ და თავისიანებს უყურადღებოდ სტოვებენ. საჩუქრებს ესენიც მოითხოვენ: თუ სტუმარი მოხუცია, მე უკვე ვიცი, რომ საჩუქრად ვერცხლით მოქედილ ჩიბუხსა მთხოვს; თუ ახალგაზრდაა — ან ვერცხლის ხანჯალს, ან ვერცხლის ქილებს ჩოხისათვის. მე ყოველივეს ვპირდები და ისინიც კმაყოფილები მშორდებიან.

ასე გადიოდა დრო მნახველების წყალობით ჩემს ერთფეროვან ცხოვრებაში. ახლა კი, როდესაც აღარავინ მოდის, მოწყენილობა დამეუფლა. ტყუილად ვეცადე წიგნის კითხვით გამერთო თავი, — წიგნიც არ მშველის.

ერთადერთი მნახველები, რომელნიც ზოგჯერ ხმაურით შემორბიან თავდგანანის ღია კარებში, კოღოებისა და კრაზანებისგან შეწუხებული ხბორებია. გრილ თავდგანანში ისინი თავშესაფარს ეძებენ, მე კი მყუდროებას მირღვევენ.

9 მაისი

გამეღვიძა თუ არა, ფანჯარაში გავიხედე. უპირველეს ყოვლისა თვალში მომხვდა, შემდეგი: ჩვენს „აულის გორაკზე“ მამაკაცები შეკრებილყვნენ და რაღაცაზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ.

„აულის გორაკი“ საზოგადოების შეკრების ადგილია. თავისუფალ დროს აქ იკრიბება მთელი აული, საზოგადო თუ პირადი საქმეების მოსაგვარებლად, ან, უბრალოდ, უქმ და დაუსრულებელ საუბარში დროის გასატარებლად. ჰყვებიან ახალ ამბებს: ვინ ოლქის უფროსის ბრძანებაზე მსჯელობს, ვინ — სათიბებზე თუ აულის სხვა გასაჭირზე...

ზოგჯერ ვინმე მოხუცი „ტახის თავის“ (ასე ეძახიან ოსეთში გავრცელებულ ორსიმიან ჩელოს) ერთფეროვან ხმას ბაბისა თუ ჩერმენის ამბავს ააყოლებს, ან დაამღერებს ლეგენდას ხამიცის შვილ ბათრაძზე, რომელიც თვით ზეცას ეჭიდებოდა და ბოლოს საკუთარი ახსარგარდისაგან (ხმალი) დაიღუპა.

ენის ამოდგმა რომ შეეძლოს ამ მოტელეპილ გორაკს, ბევრ უცხო ამბავს მოგვითხრობდა აქ მჯდომ მოხუცებისაგან გაგონილს.

ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არ ექნებოდა, როცა გავიგებდით თუ რამდენმა ხალხმა გაატარა აქ ჯდომაში და უქმ ყბედობაში მთელი თავისი ცხოვრება. მაგრამ გორაკი ჩუმად არის და სისხამ დილიდან შუა ღამემდე მოთმინებით ისმენს მასზე მოკალათებული მოხუცების გაუთავებელ ყბედობას.

ეს გორაკი თვალში არ მომდის. ძმას შეეკითხე, რა შეკრებაა-მეთქი. თურმე დღეს სასამართლოს სხდომების დღე ყოფილა და გორაკზე სოფლის უხუცესები და მოსამართლენი შეკრებილიყვნენ, გამახსენდა, რომ ამ ბოლო დროს აულებში რეგულარული, სწორი სასამართლო სხდომები შემოიღეს.

„წავალ და ვნახავ რა ამბავია“, — გავიფიქრე. ტანთ ჩავიცვი, პირი დავიბანე და გორაკზე ავედი. ყველა მომესალმა, „დილა მშვიდობისა“ მისურვეს. ვინც იჯდა, წამოიწია და ადგილი შემომთავაზა.

მე, როგორც ამას ზრდილობა მოითხოვს, უარი ვუთხარი, რადგან ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი.

— ახლა სასამართლოს სხდომა დაიწყება — მითხრა ერთმა ნაცნობმა მოხუცმა, სასამართლოს ყოფილმა წევრმა. — შენ მწიგნობარი ხარ, ალბათ, ყველა საქმე ჩვენზე უკეთ იცი, შეგიძლია დაგეხმარო და სწორი გზა გვაჩვენო, თუ რამე შეგვეშალა.

დავეთანხმე მე მათ — სხდომებს დავესწრებოდი. მაგრამ ბრძენი მოხუცების დარიგებას სულაც არ ვაპირებდი. ეს არ შეეფერებოდა უწვერულვაშო ჭაბუკს, როგორც ისინი მეძახოდნენ. ან რა ჭკუა უნდა მესწავლებია მოხუცებისათვის, რომლებმაც ცხოვრების ასე დიდი გზა განვლეს და გამოცდილება მიიღეს.

საერთოდ, უზრდელობად და მეტიჩრობად ითვლება მოხუცთა საუბარში ახალგაზრდა კაცის არამც თუ ჩარევა, მათი საუბრის მოსმენაც კი. „გასწი აქედან!“ — ეტყვიან ხოლმე ჰოხუცები ცნობისმოყვარე ახალგაზრდას, რომელიც მათ საუბარს ყურს მიუგდებს, — „შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, მოხუცებისა უნდა გრცხვენოდეს“.

სხდომაზე ჩემი მიწვევა კი, მოხუცის თავაზიანობის ნიშანი იყო. ცოტა ხნის შემდეგ ერთმა უხუცესმა იკითხა: — სასამართლოს ყველა წევრი გამოცხადდა თუ არაო. აღმოჩნდა რომ ყველანი იქ იყვნენ.

— მაშ წავიდეთ სამართლის სახლში — თქვა იმავე მოხუცმა. ყველანი გორაკიდან დაეშვნენ და აულის მამასახლისის ყურღოყოს საყონაღოსკენ გაემართნენ. მეც მივყევი. სასამართლოს წევრები უფროსობისდა ჰიხედვით დასხდნენ დივანზე, რომელიც საყონაღოს აუცილებელ ავეჯს წარმოადგენს, მე პატარა დაბალი სკამი მომაწოდეს და ბოლოში დავჯექი.

მოსამართლენი სულ ხუთნი იყვნენ. მასპინძლის გარდა ყველა მოხუცები. ყურღოყო ოცდაათ წელზე მეტისა არ იქნება. აულის მაცნე კარებში დადგა და გრძელ ჯოხს დაეყრდნო. მწერალი ბიჭი, რომელიც სამი თვით იყო დანიშნული ამ თანამდებობაზე, მოსამართლეების წინ იატაკზე დაჯდა, სამელნეც იატაკზე დადგა, მუხლებზე გადაშალა დავთარი, რომელშიაც სასამართლოს გადაწყვეტილებებს იწერდა, მოიმარჯვა კალამი და მოლოდინით შეაჩერდა უფროსებს.

— ეაი, რა ცუდი ხალხი ვართ, — თქვა ერთმა მოხუცმა. — სასამართლოს შენობა კი არა, უბრალო მაგიდაც ვერ შეეიძინეთ, რომელიც მწერალს სჭირდება. ძვირი მაინც იყოს.

— ჰართალი ხარ, — დაემოწმა მეორე, — სხვა აულებში ჩვენსავით კი არ არიან, იქ სასამართლოს შენობაც აქვთ აშენებული, შიგ მაგიდაც უდგათ და მწერალი დავთარს მუხლებზე არ შლის და სამელნეს იატაკზე არ დგამს. მეჩეთებიც კრამიტით

ან რკინითა აქვთ გადახურული; ჩვენ კი აბა რა გვაქვს? მეჩეთი უკვე ორი წელია გადაუხურავი დგას, ჩალით მაინც გადაგვეხურა. შენ კი,—მიმართა მან მწერალ ბიკს, — ნუ გეშინია, შენი სამსახურისათვის გასამრჯელოს მოგცემთ, არ გაწყენინებთ. სამ თვეში ათი მანეთი და სამი ბათმანი ღომი გერგება, ხომ? მოგცემთ, უეჭველად მოგცემთ!

ამგვარად საუბრობდნენ დანარჩენებიც და ღმერთმა უწყის, სანამდე გაგრძელდებოდა ეს საუბარი, ერთ-ერთ მოსამართლეს რომ არ შეენიშნა:

— საქმის გარჩევას აღარ დავიწყებთ?

ყველა გაჩუმდა, ზოგმა პირიდან ჩიბუხიც კი გამოიღო.

გამოცხადდნენ მაძიებლები: ორი ჭაბუკი; ერთი მათგანი, ურიცი, ბიბოს უჩიოდა: ჯერ კიდევ მამამისის სიცოცხლეში ჩემგან რვა მანეთი ისესხა და ახლა აღარ მიბრუნებსო.

ერთმა მოსამართლემ ბიბოს ჰკითხა, რატომ ვალს არ იხდიო. ბიბომ უპასუხა:

— რად უნდა გადავიხადო, როცა მე კი არა, მას მართებს ჩემი ოთხი მანეთიო.

ურიცმა ისევ ბიბოს დააბრალა ვალი, ბიბომ კი ურიცს, ასე უშედეგოდ დიდხანს კამათობდნენ.

მოსამართლეები საქმის მოთავებას შეეცადნენ და მოწმეები მოითხოვეს. მოწმე არც ერთს არ ალმოაჩნდა.

მოხუცები გაწამდენ, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ.

— კმარა! — თქვა ერთმა მოსამართლემ, რაკი ხედავდა, რომ დავა უშედეგო იყო, — ბევრს ვლაპარაკობთ, შედეგი კი არ ჩანს, მორიგებულიყავით მაინცა, მაგრამ არც ეს გინდათ.

— მაშინ დავაფიცოთ,—თქვა მეორე მოხუცმა, თან ოფლი მოიწმინდა.

— მაცი! — მიმართა მან აულის მაცნეს, რომელიც სულ კარებთან იდგა და არხეინად ჩიბუხს აბოლებდა — წადი ჩქარა და მოლა მოიყვანე. — მაცნე უხმოდ წავიდა და ჩქარა დაბრუნდა, თან აულის კოქლი მოლაც მოიყვანა, რომელსაც იღლიაში ყურანი ჰქონდა ამოდებული.

— ა-ა, სალამ-ალეიქუმ! — გაჭიანურებით თქვა მოლამ შემოვიდა თუ არა სამართლის ტაძარში.

— ალეიქუმ სალამ, — ისევე გაჭიანურებით უპასუხეს მოხუცებმა და წამოდგნენ.

— დაბრძანდი, მოლა, — შესთავაზეს ადგილი. მოლა დაჯდა. მას აუხსნეს რისთვისაც დაიბარეს.

— როგორ, ასე უბრალო საქმეზე გინდათ დააფიცოთ! — შესძახა მოლამ და გაკვირვებით გადახედა მოსამართლეებს. — მოსამართლენო! უფრო წინდახედულნი უნდა იყოთ. ფიცის დადება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება; სხვაგვარად ხალხს არც შიში და არც მორიდება არ ექნება ჩვენი დიდებული, წმინდა ყურანისა. როგორ შეიძლება მისი წამდაუწუმ გადაშლა დასაფიცებლად! გონს მოდით, ნუთუ ვერ ხედებით, რომ ეს ძალიან დიდი საქმეა? მე ცოდოს ვერ დავიდებ და ასე უბრალო საქმისათვის ყურანს არ გადავშლი, ფიცს არ მივიღებ, — ასე თქვა მოლამ და გაჩუმდა. მოსამართლეებმა თავი დახარეს და ჩაფიქრდნენ. მერე ზოგმა დამსწრეთაგანმა მოლას სიტყვებს დაუპირა მხარი, ერთი კი გააფთრებული აყვირდა:

— მოსამართლენიც იმიტომა ხართ, რომ თვითონვე...

— შენ ვიღა გეკითხება! — გააწყვეტინა მოხუცმა, რომელიც ყვირილმა გამოაფხიზლა — წადი აქედან, შე წვერებცანცარა, შენა! თორემ ძალით გაგიყვანენ! მთვრალი ხარ, თუ რამ გაგაგიჟა?

მყვირალამ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, ისე გაიყვანეს.

— რახან ასეა, — გადაწყვიტა სასამართლომ,— ეს საქმე გასარჩევად ქალაქში გავგზავნოთ.

სხდომა გახურებული იყო, როდესაც საყონაღოს კარები გაიღო და ყურღოყის ვაჟმა ხაპაპურებით გაწყობილი პატარა მრგვალი მაგიდა შემოიტანა. მას მეორე ბიჭი მოსდევდა ჩაიდანითა და ჭიქებით ხელში.

— ა, ა! ბერეკეტ! ბერეკეტ! — უცებ შეცვალეს კილო მოკამათეებმა და ხაპაპურებს მიაჩერდნენ.

— აბა, გეყოფათ, შევწყვიტოთ კამათი! — თქვა ყურღოყომ — ცოტა ყელის დასველება არ გვაწყენს!

— მართალი ხარ, გვეყოფა ყვირილი, — გამოეპასუხა ერთი პატივცემული მოხუცი — მაგ მამაძაღლებს რა უნდა უყო, რა ჯიუტები ყოფილან.

— რაც შეგიძლიათ, ყველაფერს აკეთებთ, — მოისმა ხმა გარედან, სადაც ხალხი შეკრებილიყო.

— ვცდილობთ, რაც შეგვიძლია, ცოდნას და ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, — უპასუხა ნასიამოვნებმა მოხუცმა.

— აბა, მიირთვით, გეყოფათ ლაპარაკი, — მიაწოდა მოხუცს არაყით სავსე ჭიქა ყურლოყომ.

— მე რას მაწოდებ, — იუარა მოხუცმა, — ჯერ საგას მიართვი, ჩემზე უფროსია.

— საგამ მიირთვა.

— აბა ღმერთმა ბერეკეტი ნუ მოგიშალოს, — ჩამოართვა ჭიქა მოხუცმა, — ღმერთმა შვილები გიმყოფოს ჯანმრთელად. ეს პატარა ბიჭი დიდი კაცი გამხდარიყოს. მან არაყით სავსე ჭიქა ბიჭს ტუჩებთან მიუტანა, ბიჭმა სახე აარიდა. — არა სვამ არაყს? ყოჩაღ. აბა ღვთის მადლი შეგეწიოს, — მიმართა მის შემდეგ მჯდომ მოსამართლეს.

— შეგვრგოს, — მიიღო პასუხი.

სმა გაჩაღდა.

13 მაისი

დღეს ფანჯარასთან ვწერდი და ვერ შევნიშნე მოხუცი მოსე თავზე ისე წამომდგომოდა. იგი დიდხანს და დიდი ყურადღებით მიყურებდა როგორ ვწერდი.

— რატომ მოხუცებულს წიგნის კითხვას არ მასწავლი? იქნებ გგონია, ვერ შევძლებ სწავლას?

— როგორ ვერ შესძლებ. მაგრამ ამისთვის განსაკუთრებული წიგნია საჭირო, — და ანბანის მნიშვნელობა ავუხსენი.

— ეჰ, თუნდაც ამ მოხუცებულობაში, რა კარგი იქნებოდა წიგნის შესწავლა. წერა-კითხვა რომ ვიცოდე, ავიღებდი ყველაზე დიდ წიგნს და დაეიწყებდი კითხვას... აბა ახლა რას წარმოვადგენ, არაფერს... თუმცა მოვხუცდი, მაინც არაფერი გამეგება, შენ კი ჯერ ახალგაზრდა ხარ და ჭინკასავით ყველაფერი იცი. აი, ახლა რაღაცას ჯღაბნი და ჩემთვის ყველაზე საკვირველი ის არის, ამ ნაჯღაბნში სხვადასხვა სახელს როგორ გამოიცნობ. სადაც „საგა" გიწერია, იქ „მოსეს" აღარ ამოიკითხავ. ის, რაც დღეს დაგიწერია, სამი-ოთხი დღის შემდეგ სიტყვა-სიტყვით შეგიძლია გაიმეორო. მე კი ამისი არა გამეგება-რა და ბატივით ვაშტერდები. როგორც ჩანს, ჩვენზე საწყალი ხალხი ღმერთს არ გაუჩენია. — ეს თქვა და თავი დარდიანად ჩაიქნია. — მოდი წერას თავი დაანებე, წიგნი აიღე და რამე კარგი ამბავი მითარგმნე. — მოსეს ძალიან უყვარს ამბების მოსმენა. ერთხელ ვუთარგმნე ნაწყვეტი ულისის მოგზაურობიდან და მას შემდეგ თითქმის ყოველ დღე ჩემი სტუმარია. ახლა ავიღე და გრიმების ზღაპარი — „ბაბუა და შვილიშვილი" ვუთარგმნე. მოსე დიდი ყურადღებით მისმენდა და როდესაც დავამთავრე, წამოიძახა: „არაბი! როგორი სიმართლეა! ჩვენს ხალხს აქვს სწორედ ასეთი თქმულება", — და მან მიამბო ქვეყნოთ მოყვანილი ზღაპარი, რომელიც მართლაც საკვირველად ჰგავს გრიმების ზღაპარს.

მოხუცი და მისი ბაჟი

ერთ კაცს მამა მოუხუცდა და დაუბრმავდა. ბრმა მოხუცს, რა თქმა უნდა, უკვე მუშაობა აღარ შეეძლო და ამიტომ სულ სახლში იჯდა. შვილს მობეზრდა დაჩაჩანაკებული, უსაქმური მამის ყურება, რომელიც მას ვეღარაფერში ეხმარებოდა და გაიფიქრა: „მამაჩემი უკვე მოხუცდა და სარგებლობას ვეღარ მომიტანს. მაშ ტყუილად პური რატომ უნდა ვაჭამო. აჯობებს თუ მაღალ კლდიდან გადავაგდებ, რომ მისი სიკვდილის ამბავი ვერავინ გაიგოს". შვილმა მოხუცი მამა ხბოს ტყავში გამოკერა, წინასწარ მოწნულ გოდორში ჩასვა და მაღალი კლდისაკენ წაიღო გადასაგდებად. გზაზე მოხუცმა უთხრა:

— ეი, შვილო ჩემო! ჩემმა თრევამ ხომ არ დაგღალა?

— სრულებითაც არა, — უპასუხა შვილმა.

— უჰ, ძალიან კარგი, შვილო, მადლობა ღმერთს, რომ არ დაღლილხარ, შენი ჭირიმე. ერთსა გთხოვ მხოლოდ: ჩემთან ერთად ამ გოდორსაც ნუ გადააგდებ, შეინახე!

— რადაო, — შეეკითხა შვილი.

— როგორ თუ რადა. იმიტომ, რომ შენს შვილებს, როდესაც ისინი შენსავით დავაკაცდებიან, ხოლო შენ ჩემსავით მოხუცდები, კლდიდან შენს გადასაგდებად ახალი გოდორის მოწნა აღარ დასჭირდეთ — „მართალს ამბობსო მამა" — იფიქრა შვილმა, მოხუცი სახლში დააბრუნა და იმ დღიდან განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა.

18 მაისი

გუშინ ჩემს მეზობელ ძარახმათს წვეულება ჰქონდა. იგი ვაჟის დაბადებას ზეიმობდა. დროსტარება გვიან საღამომდე გაგრძელდა. შუა ეზოში გაიმართა ცეკვა, რომელშიც მხოლოდ ახალგაზრდობა მონაწილეობდა. ხანში შესულმა მამაკაცებ-

მა კი წრე შეკრეს, ხელიხელ გადაჭდობილნი, ერთ ადგილს ბრუნავდნენ და თეთრი ხარის შესახებ რაღაც აბდაუბდა სიმღერას მღეროდნენ. ისინი მანამდე ღრიალებდნენ, სანამ სახლიდან ერბოში გამომცხვარი ხაჭაპურები და ჩაიდნით არაყი არ გამოუტანეს. დანიშნულების ადგილს მხოლოდ ორმა ხაჭაპურმა მიაღწია, რადგან მესამე, როგორც ასეთი ზეიმის დროს ხშირად ხდება ხოლმე, ბიჭების ხროვამ გზაშივე გაიტაცა. რამდენიმე ქალიშვილი იქვე ფარდულ ქვეშ საქანელაზე ქანაობდა და სიმღერას მღეროდა.

ეი, ყვავი მოფრინავს,
ნისკარტში რა უკირავს?
რა და — ჩალა უკირავს.
ჩალა უნდა მას რადაო?
ბუდის მოსაწნავადაო.
ბუდე უნდა მას რადაო?
ბარტყების საჩეკადაო.
ბარტყი უნდა მას რადაო?
სვიის მოსატანადაო.
სვია უნდა მას რადაო?
ლუდის მოსახარშადაო.
ლუდი უნდა მას რადაო?
მკვდრების მოსაგონრადაო.

ჩვეულებრივად ამ სიმღერის ბოლოს დაურთავენ ხოლმე ყვავისადმი მიმართულ სხვადასხვა სათხოვარს. საინტერესოა, საიდან წარმოსდგება ეს სიმღერა.

ყოველი მხრიდან მოდიოდნენ საგარეოდ მორთული ქალები, კეთილი მშობიარობისა და იმ ამბის მისალოცად, რომ ბიჭი გაჩნდა და არა ქალი. ისინი ხელცარიელი არ მოდიოდნენ, ყოველ მათგანს ერბოში შემწვარი ან ნაცარში გამომცხვარი სამი ნამცხვარი მოჰქონდა. ამ ძღვენს ლხინში მონაწილე მამაკაცები ანადგურებდნენ. ლხინი თითქმის შუალამემდე გაგრძელდა.

18 მაისი

სასიამოვნო თანამოსაუბრე გამიჩნდა, — ჩვენი მეზობელი ხათაცყო. ის ყანაში არ მუშაობს, რადგან ფეხები სტკივა, წელში მოხრილი დადის, თითქოს ვინმეს ეპარებაო. რა სიცხეც არ უნდა იყოს, ხათაცყოს ქურქი მაინც აცვია.

— რად გინდა ქურქი ამ სიცხეში? — ვკითხე.

— როგორ თუ რადა! ასე უფრო გრილადა ვარ.

ხათაცყომ ცოტა რუსული იცის. ის სლეპცოვის[1] ბრძოლებში მონაწილეობდა და აღფრთოვანებით იგონებს სლეპცოვის პირად სიმამაცეს და მისი ლურჯა ცხენის სისწრაფეს. სხვებთან შედარებით ხათაცყო საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობს. სამუშაო დროს აულში ჰამაკაცებიდან მხოლოდ მას შეხვდები და კიდევ მეზველს, მოხუც დაუთს, რომელთანაც ხათაცყო მთელ დღეებს უქმ საუბარში ატარებს. თუ ხათაცყო სამეზველოში არ ზის, ის აუცილებლად გორაკზეა. ზის წელში მოხრილი, თან ახლავს ხოლმე პატარა ქალიშვილი, რომელიც მამას ყველგან დაჰყვება. გოგონა სულ დაძონძილია, თუმცა უკვე ექვსი წელი შეუსრულდა.

— რატომ ტანზე ხეირიანად არ აცვევ? — შევეკითხე.

— რად უნდა, ჯერ პატარაა, სიშიშვლის არა რცხვენია, რომ გაიზრდება, საუცხოოდ ჩავაცმევ და ფაშაზე ან ხანზე გავათხოვებ, ხომ ასეა, შვილო? — ხელს არტყამს შიშველ სხეულზე.

დღეს გორაკიდან ვიღაცამ დამიძახა. ფანჯარაში გავიხედე. ხათაცყო ჩვეულებისამებრ გორაკზე იჯდა და ყავარჯნის ქნევით მეძახოდა.

მეც წავედი, თუმცა აუტანელი სიცხე იყო.

— გეტყობა, ძალიან მოგიწყენია, არა? — მკითხა როდესაც მივესალმე. — ვიცი, ჩვენს ძალლურ ცხოვრებას არა ხარ შეჩვეული. რუსებთან ძალიან განებივრდი და ახლა ჩვენი კვამლიანი ქოხი და ხმელი პური ვერ აგიტანია. ვიცი, მაგრამ რა გაეწყობა: ღარიბი ხალხი ვართ. პირუტყვებივით ვმუშაობთ, ბერეკეტი კი მაინც არა გვაქვს. ცხოვრების მოხმარა არ ვიცით და იმიტომ. — ესა თქვა და ნაღვლიანად თავი გაიქნია. გაჩუმდა. მეც ჩუმად ვიყავი.

— დღეს მაინც ძალიან მოღუშული ხარ, — ისევ მომმართა მან, პასუხს არ დალოდებია, ისე განაგრძო, — ასე არ ვარგა, ყოველთვის მხიარული, შუბლგახსნილი და ენაწყლიანი უნდა იყო, ასე კი შეიძლება რამე ავადმყოფობა შეგეყაროს. მე ჩემს ცხოვრებაში ჯავრს არ ავყოლივარ. — ხათაცყო უკვე სერიოზულად, ოსურ ენაზე მელაპა-

[1] სლეპცოვი ნიკოლოზ ბავლეს-ძე (1815 — 1851 წწ.) გენერალ-მაიორი. კავკასიური ომების მონაწილე. ხშირად დაუმარცხებია შამილი. განთქმული იყო სიმამაცით.

რაკებოდა. — არ მომიწყენია, თუმცა შენსავით მეც ადრე დავობლდი, თანაც უფრო უარეს პირობებში დავრჩი, ვიდრე შენა და შენი ძმა ხართ. მე რვა წლისა ვიყავი, ჩემი ძმა კი ექვსის, მამა რომ მოგვიკვდა. მან არაფერი არ დაგვიტოვა. ცხენი და მოვერცხლილი იარაღი უცებ გაიყიდა. ერთმა ნათესავმა შეგვიფარა, მაგრამ აბა რა ცხოვრება გვექნებოდა ობლებს! ბევრი შეურაცხყოფა და წყენა შემხვედრია ჩემსავე ტოლებისაგან, მაგრამ ყურები არ ჩამომიყრია, ვინც მაწყენინებდა — სამაგიეროს ვუხდიდი. არავის თავს არ ვაჯაბნინებდი. მერე ამხანაგებში ვოსაზრებითა და სიმკვირცხლით გამოვირჩიე, ახალგაზრდებთან ვტრიალებდი, სიმღერას და ცეკვა-თამაშს ვსწავლობდი. ცოტა ხანში ისეთი ცეკვა-თამაში ვისწავლე, რომ უფროსებს თავი შევაყვარე. ჩვენი აულის მოხუცები ჩემს თავს აღარავის აჩაგურინებდნენ, ყოველთვის მიცავდნენ, თუ ვინმე წყენას დამიპირებდა. ცამეტი წლიდან კი უკვე ყანაში მეხრეებად ვეშუამობდით მეცა და ჩემი ძმაც.

მერე მუშაობას შევეჩვიეთ და ცალკე, დამოუკიდებლად დავიწყეთ ცხოვრება. მე ჩემს ძმას მუშაობაში არ ჩამოვუვარდებოდი, მაგრამ მერე ღმერთმა ინება ამ დაწყევლილი ავადმყოფობის შეყრა ჩემთვის და აი, ოცდაათი წლის კაცი ყოველად უვარგისი ვარ ცხოვრებაში.

წუწუნი მაინც არ მმართებს. მადლობა ღმერთს, ძმის მუყაითობით შეძლებულად ვცხოვრობთ. რატომ არის ის ასეთი მუყაითი და კარგი მუშა? იმიტომ, რომ ცრუ ვაჟკაცობას არ გადაჰყვა, ჯიგიტობაზე არ დადვა თავი. რა გვეშველებოდა, როგორღა ვიცხოვრებდით, ისიც ჩემსავით ცხენის ჭენებას რომ გადაჰყოლოდა.

აი, ბიძაშენი ტოგო, ნამდვილი უქნარაა, დაჯდება ცხენზე და აქეთ-იქით დააჭენებს. ჯიგიტობის დრო წავიდა. დროა, ცხენის ჭენებას თავი დავანებოთ და სახნისს მოვკიდოთ ხელი. კიდევ ერთი რამ მიკვირს; შენს უმცროს ძმას რატომ არ ესმის, რომ მამისეული იარაღის გაყიდვა სულაც არ არის სასირცხო საქმე. რატომ არ ჰყიდის? გაყიდოს და იმ ფულით ძროხა მაინც იყიდოს, რად უნდა კედელზე რომ ჩამოუკიდებია? ეანგს უნდა შეაჭამოს? თქვენი პატარა დები კი მშივრები არიან! მიკვირს სწორედ. მოეშვას მაგ სისულელეს. მე რომ მკითხო, კედელზე ტყვილა დაკიდებას ისა სჯობია, მჭედელ დაუთას ჩაუტანოთ ის იარაღი და ნამგალი ან ცელი გააჭედიოთ. ეჰ, დროზე გაყიდეთ, იქნებ გამოჩნდეს ვინმე და იყიდოს. კიდევ ერთი რამე მინდა გითხრა. ჩვენს ახალგაზრდობაში კიდევ ბევრია ისეთი, ვისაც ქურდობა და ავაზაკობა ვაჟკაცობად მიაჩნია. ამაზე საზიზღარი ხელობა რა უნდა იყოს? სხვისი გაძარცვა და გაუბედურება ვაჟკაცობად კი არ უნდა ჩავთვალოთ, უნდა დავგმოთ! ჩვენს დროში იარაღში ჩამჯდარ ჯიგიტს რომ დავინახავ, ცხენზე შემჯდარსა და სოფელ-სოფელ მოხეტიალეს და სხვის ხარჯზე მცხოვრებს, ის მაინე, ცუდ ადამიანად მიმაჩნია და არა ვაჟკაცად.

ამას ყოველთვის ხათაცყო გესლით და თანაც ღრმა დარწმუნებით ამბობდა. მე მისგან ვაჟკაცობის ასეთ დაგმობას არ მოველოდი. არც ასეთ საღ აზრს იმის შესახებ, რომ ჩვენი შველა მხოლოდ და მხოლოდ შრომაშია.

1 ივნისი

აულის მოწყენილობას შევურიგდი, უწინდებურად აღარ მაწუხებს. მიუხედავად იმისა, რომ გორაკზედაც აღარ დავდივარ.

ჩვენმა მოხუცებმა ამ ბოლო დროს დუხჭირ ცხოვრებაზე ჩივილს მოუხშირეს.

— რა ცხოვრება გვაქვს, — მეუბნება ჩემთან თავდგანანში შემოსული მოხუცი — ეს არის ცხოვრება? სირცხვილია და მეტი არაფერი. სახლები კი არა, საქათმეები გვიდგას: ზამთარში თავი სიცივისაგან ვერ დაგვიცავს, ზაფხულში კი წვიმებისაგან. თუ გარეთ წვიმს — შინაც წვიმს. რაც ჩვენ ზამთარში შეშას ვხარჯავთ! ჩამოიტან ზამთრის განმავლობაში ერთ ას ურემ შეშას, ცეცხლი ბუხარში მუდამ გინთია, სითბო კი არ არის. ხელფეხს ნაცარში ვყოფთ გასათბობად, ზურგი კი მაინც გაყინული გვაქვს. ტანსაცმელი? რატომ გვეხევა და გვიფუჭდება? იმიტომ, რომ მთელი ზამთარი ცეცხლში ვწვავთ, ტანზე თვეობით არ ვიხდით. ქურქებს ზამთარ-ზაფხულ ვატარებთ. საქმელში ხომ სულ არ ვიცით ზომა: ვთქვათ, საღამოს ცხვარი დავკალი. დილაზე მისი ხსენებაც კი არ არის, — სირცხვილია დატოვება. ტყეში უამრავი ხილია, მის გამოყენებას კი არ ვკადრულობთ, ვთაკილობთ მის გამოზიდვას და პურზე გადაცვლას. მაინც ეს ჩვენი აული რატომ არის

ყველაზე ჩამორჩენილი და ღარიბი? ერთ წესიერ შენობას ვერ ნახავ. სხვაგან, ჩვენი ნაუმეტები, ჩვენზე უფრო შეძლებულად ცხოვრობენ.

— ეჰ! დროა წავიდე, თორემ საცაა მოწვიმს, სახლში კი წყალი ჩამოდის, წავიდე, ჩალა მაინც დავუფინო, — თქვა მან და გავიდა.

მართლაც, მალე ქარი ამოვარდა. მეზობლის სახურავზე ჩალა ააფორიაქა, ძირს ჩამოყარა. მეზობელი ეზოში ფუსფუსებს, ვაჟიშვილს, რომელსაც უკვე ზევით ასვლა მოუსწრია, ჯირკვებს აწვდის სახურავის დასამაგრებლად. სხვა სახლებთანაც გამოჩნდა ხალხი. რასაც კი მძიმეს შოულობენ: ჯირკებს, ქვებს, შეშას, ყველაფერს სახურავებზე აწყობენ. ჩვენს ოთახშიც აწრიალდნენ: ქვეშაგებს ერთ კუთხეში, სადაც წვიმა არ ჩამოდის, იქ აგროვებენ. ჩემს თავდგანანში შემოაქვთ ჯამები, ტაშტები, თეფშები, ჩამოსულ წყალს უდგამენ. დარწმუნებული ვარ, რომ მარტო ჩვენსას არ არის ასეთი ამბავი. აულში ყველასთან ჩამოდის წყალი, შეიძლება მხოლოდ ელშურაზია არხეინად, რადგან მას მიწური სახურავი აქვს.

წვიმს. გაწუწული კრუხები და წიწილები თავშესაფარს ჩვენს თავდგანანში ეძებენ. აგერ, დაგვიანებული მამალი ფარდულისკენ გარბის; ვიღაცას თავზე ქეჩა გადუფარებია და ჯოხით ხბოს მიერეკება; წვიმა მოტეხილ გორაკზე ტყლაშუნობს, ჩალაში შრიალებს, შენობებში ჩადის და რასაც შეხვდება, ყველაფერს ასველებს. თავდგანანში უკვე წყლის გუბეები დადგა... მაგრამ აი, მადლობა ღმერთს, ღრუბლებმა გადიკარეს, ცა მოიწმინდა, მზე უფრო აკაშკაშდა... ქოხებიდან ხალხი გამოძვრა, დასველებული ბარგი გასაშრობად გამოიტანა. რამდენი ტანსაცმელი და საოჯახო ნივთი ფუჭდება წვიმისაგან. სახლებს კი ისევ ცუდად ხურავენ.

4 ფენისი

ორი დღე ჩემს ნათესავებთან ვიყავი სტუმრად მეზობელ აულში. ერთმა ნათესავმა ცოლი შეირთო, ქორწილი ჰქონდა. დანელას პირით დამპატიჟეს. შორი გზა არ იყო და, მე და დანელა ფეხით წავედით. გზაზე დანელა თავის თავზე მელაპარაკებოდა. — თითქმის ყველა აულში შეხვედებით დანელას მსგავს ხალხს და რადგან იგი ტიპიურია ჩვენი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილისათვის. მინდა ჩავინიშნო, რომ კარგად დამამახსოვრდეს მისი სახე.

დანელა შუახნის კაცია. ქერა, თხელი წვერი და პატარა ულვაშები აქვს. თვალები ცოცხალი და გამჭრიახი. მას ყოველთვის დაკერებული ახალუხი აცვია. ნაცრისფერი ჩოხაც საკმაოდ გაქექილია. იგი ალაგ-ალაგ ტყავისა და ქსოვილის ნაჭრებით არის დაკერებული, მისი ქუდი კი ისე ძველია, რომ ქუდს კი არა, როგორც ჩვენში ამბობენ, დამხრჩვალ ქათამს უფრო ჰგავს... ქუდი დიდი ხნის სამსახურის გარდა კიდევ იმიტომ აქვს ასე დახეულ-დაფლეთილი, რომ ახალგაზრდობას ამოჩემებული ჰქონდა ნიშნად, სროლაში ვარჯიშისა თუ შეჯიბრის დროს.

ჩოხას სხვადასხვა ყალიბის მასრები ამშვენებს. ზოგი ღიაა, ზოგი კი თავდახურული. ერთ თავდახურულ მასრაში დანელას შენახული აქვს ორი-სამი ღერი ასანთი „პაპეროსის“ მოსაკიდებლად. დანელა აყროლებულ „მახორკას“ არ ეწევა: კადრულობს მხოლოდ „ტურენცკა“-ს, როგორც ის თურქულ თუთუნს ეძახის. სათუთად ქაღალდში შეხვეული, ორი-სამი გახვევა პაპიროსის სამყოფი „ტურენცკა“, ქუდის ნაოჭში აქვს ხოლმე შენახული. „ტურენცკა“-ს დანელა არ ყიდულობს — სადა აქვს იმის ფული! მეწვრილმანე მიქელას ან სხვას გამოართმევს ხოლმე, ვინც თურქულ თუთუნს ეწევა. პაპიროსის ქაღალდი არასდროს არა აქვს, კმაყოფილდება უბრალო საწერი ქაღალდით, როგორც ვთქვი, ერთ ქილაში ასანთია, ორში კი ორი სროლა თოფის წამალი აქვს, რაც ცეკვის დროს, ქალიშვილებთან თავის მოსაწონებლად დამბაჩისათვის სჭირდება. დანელა დამბაჩას ყოველთვის თან ატარებს.

ღარიბ ჩაცმულობისდა მიუხედავად დანელა ყოველთვის მხიარული და ზრდილობიანია, შუბლგახსნილი, ენაწყლიანი და რაც ყველაზე დამახასიათებელია მისთვის, ძალიან ხათრიანი და დაუზარელი.

ყველასათვის საჭირო კაცია დანელა: ჩამოუვა ვინმეს საპატიო სტუმარი — დანელა სტუმარს ართობს. მან კარგად იცის ოზდან-ძინადი[1], ამიტომ

[1] ოზდან-ძინადი — უზდენერი ეტიკეტი.

შეუძლია სტუმრის შექცევა, მასთან საუბარი, თუგინდ სტუმარი ბიასლან-ალდარი[1] იყოს. დანელა ყველგან ნამყოფია და ყველაფერი იცის. ის ძალიან ამაყობს ოზდან-ძინადის კარგი ცოდნით და ხშირადაც იყენებს მას. ჩვენს აულში არც ერთი ლხინი არ გამოეპარება, არც მასპინძელი მოინდომებს უომისოდ ქეიფს, რადგან დანელამ მშვენივრად იცის ცეკვა-თამაშის აწყობა და თვითონაც მშვენივრად ცეკვავს. ის პირველი ჩამოუვლის ხოლმე, გამოიწვევს რომელიმე ქალიშვილს და მაყურებლებს ცეკვის სიახლით და სილამაზით აოცებს. ქალიშვილებთან დანელას თავისუფლად, დაძმურად უჭირავს თავი, ამიტომ ქალიშვილები არ გაურბიან, ესაუბრებიან კიდევაც, სხვა მამაკაცებთან კი მორცხვობენ და ერიდებიან მათ. ზოგჯერ უხეში და უწმაწური ოხუნჯობაც კი არ სწყინთ ქალიშვილებს დანელასაგან, ჩაიხითხითებენ კაბის გრძელ სახელოებში და გათავდა. სხვა ვაჟები კი ქალიშვილებს ხუმრობას ვერ უბედავენ. საერთოდ ქალ-ვაჟთა დამოკიდებულება ჩვენში უცნაურად დაძაბულია. ვაჟები ქალებს ხმის გაცემასაც ვერ უბედავენ, ქალებს კი მათთვის პირისახის ჩვენებაც კი რცხვენია.

დანელას ჩვენი აულის ახალგაზრდობა სულში იძვრენს, ის არის ყოველგვარი დროსტარების სულისჩამდგმელი. სხვა აულებშიაც იცნობენ. სადმე ორმოცდაათ ვერსის დაშორებით რომ ქეიფი მოეწყოს, თუ ჩასწრება შეიძლება, დანელა იქაც მიასწრებს; მას დიდი სიამოვნებით მიიღებენ, ის ითავებს ცეკვა-თამაშის მოწყობას, გაამხიარულებს საზოგადოებას, სხვასაც მოალხენს და თვითონაც გემოზე მოილხენს.

თუმცა ჩვენს აულში დანელას პატარა ქოხი აქვს, რომელშიც მისი მოხუცებული დედა ცხოვრობს. დანელა დიდხანს არასდროს არ ჩერდება სახლში — სულ სტუმრად არის. დედამისმა დიდი ხანია იმედი დაკარგა შვილისაგან რაიმე დახმარების მიღებაზე.

ასეთია დანელა, რომელიც ნათესავის ქორწილში მახლდა, გზაში პატარა მდინარეზე უნდა გადავსულიყავით. ხიდი არ აღმოჩნდა და დანელამ ზურგით გადაყვანა შემომთავაზა. მე, რასაკვირველია, ვიუარე, მაგრამ მან უარი არ მიიღო და ისე დაბეჯითებით მთხოვდა, რომ თითქმის ძალით გადამიყვანა.

— რა ჩქარი სიარული გცოდნია, — ვუთხარი მერე, გზა რომ განვაგრძეთ.

— სიარულში თუ გინდა ცხენს შეეჯიბრები— თავმომწონედ თქვა დანელამ.

— შარშან სანიბეში რომ სამღვთო იყო, მე და ერთი ამხანაგი წავედით. ის შუა გზაში ჩამომრჩა, მე კი სამღვთოს მივუსწარი, თუმცა სანიბემდი ერთი ორმოცდაათი ვერსი მაინც იქნებოდა.

აულს რომ მივუახლოვდით, შორიდანვე ტაშისცემა და ჰარმონიკის ხმა შემოგვესმა. დოლის ნაცელად ვიღაცა ტაშტზე აბრახუნებდა.

ეზო ხალხით იყო სავსე. მუსიკა, სიმღერა და ყვირილი საერთო ღრიანცელად გადაქცეულიყო.

— გაგვიშვით, ხალხო, სტუმარს გზა მიეცით — ამბობდა დანელა და ხალხს არღვეევდა.

— დანელა მოსულა, დანელა...

— დაგწყევლოს ღმერთმა, აქამდე სადა ხარ! ქალიშვილებმა მოიწყინეს, უშენოდ არ იცეკვეს, აცეკვე, შენი ჭირიმე, — გაისმა აქეთ-იქიდან.

ოთახის კედელთან ატუზული ქალიშვილები დანელას დანახვაზე თითქოს გამოცოცხლდნენ.

— საღამო მშვიდობისა, გოგონებო,—მიესალმა ქალიშვილებს დანელა და მათკენ წავიდა.

ქალიშვილებმა ხითხითი დაიწყეს, ზოგმა სახე სახელოებში ჩამალა, ზოგს კი სიცილი წასკდა და ოთახში შეცვივდნენ, მაგრამ დანელამ ერთ გაქცეულს თავსაფარში ხელი წაავლო და... ხელში თავსაფარიღა შერჩა. ქალიშვილი ფანჯრიდან მუდარით ანიშნებდა, თავსაფარი დამიბრუნეო, მაგრამ დანელამ არაფრით არ დაუბრუნა, სანამ ყველა გაქცეული არ გამოვიდა ეზოში და ცეკვა არ დაიწყეს.

უკვე ბნელოდა, ორ-სამ ბიჭს ანთებული კვარი დაეკავებინა და ასე უნათებდნენ მოცეკვავეებს.

ამასობაში, ეზოს მეორე მხარეს, მამაკაცებმა სიმდი წამოიწყეს. სიმდის დროს მამაკაცები ერთმანეთს იღლიებში ხელს ჩასჭიდებენ და წრეს შეკრავენ; მერე სიმღერით ერთ ადგილას იწყებენ ბრუნვას. სიმღერები ზოგჯერ უწმაწური შინაარსისაა. თუმცა სიმდში ქალებიც მონაწილეობენ ხოლმე. ქალები მხოლოდ თავს დახრიან და წითლდებიან. ამჯერადაც მამაკაცები უწმაწურ სიმღე-

[1] ბიასლან-ალდარი — უაბარდოელი თავადი.

რას მღეროდნენ ოსეთში ყბადაღებულ ძაგოს შესახებ.

ხაძარიდან ხმაური ისმოდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოძახილსაც ვარჩევდი:

— ცოტა კიდევ დალიე, დალიე, მამის სული ნუ წაგიწყდება!

— არ შემიძლია, ღმერთმანი, ვალილაჰ.

— დალიე, თორემ თავზე დაგასხამ, დალიე.

მერე სიმღერა მოისმა, თან ტაში ააყოლეს: — „აისაი ანაზაი, ახუპაი ქან“ [1]. ამ სიმღერას მაგარი სმის დროს მღერიან, მანამ მორიგი შსმელი ბოლომდე არ დასცლის სასმისს, იქნება ის არაყით სავსე ჯამი, თუ ლუდით სავსე ჯიხვის ყანწი. ხვეწნა-მუდარა ამ შემთხვევაში არ ჭრის, — სასმისი უნდა დაიცალოს.

ცეკვა-თამაში შუაღამემდე გაგრძელდა. მე ახალგაზრდების ჯგუფში ვიდექი. ესენი შორიდან უთვალთვალებდნენ ქალიშვილებს. მერე ვიღაცამ დამიძახა. თავდგანანში მიმიწვიეს. იქ ჩემთვის სუფრა გაეწყოთ; ერბოში გამომცხვარი ხაჭაპური მოემზადებინათ. დანელა გამახსენდა და ვთხოვე დაეძახათ. დანელა შემოვიდა და მაგიდასთან ჩაცუცქდა, მე კი ტახტზე ვიჯექი.

სიძის დედა გვერდზე მომიჯდა და საუკეთესო ნაჭრებს მირჩევდა. ვერ მოვასწარი ორი ნაჭრის შეჭმა, რომ დერეფნიდან რაღაც ხმაური მოისმა და თითქოს ვიღაცამ ვედრებით წაიჩურჩულა: — გამიშვი, მამა ნუ წაგიწყდება, გამიშვი! — დანელა მაშინვე წამოხტა და კარებში გაქრა. მე გაოცებული მივუბრუნდი ქალს, მან კი ღიმილით მითხრა:

— არა უშავს რა, ახალგაზრდობა თავს იქცევსო.

ნავახშმევს საყონაღოში მიმიწვიეს, იქ ჩემთვის ლოგინი გაეშალათ, მე დავწექი. გარეთ კი ცეკვა-თამაში გრძელდებოდა.

დილას გვიან გამეღვიძა. საყონაღოდან გამოვედი; ხელპირი დავიბანე და ეზოში გავედი. იქ წუხანდელზე მეტი ღრიანცელი იდგა, მეტი ხალხი შეგროვილიყო. ჭიშკართან მოხუცებს მოეკალათებინათ და ცხვრის ხორცის მოლოდინში ყაყანებდნენ. რამდენიმე ახალგაზრდა ხანჯლით ჩეხავდა ლასტებზე დაყრილ ცხვრის ხორცს. იქვე სამი, კარგა მოზრდილი, კასრი იდგა. ერთი არაყით, მეორე ლუდით, მესამე კი მახსიმათით სავსე.

მე ღობესთან დავდექი მოშორებით და ქალიშვილების მწკრივს დავუწყე თვალიერება. ისინი ჩუმად იდგნენ, მიწას ჩასცქეროდნენ, თავსაფრები ჩამოეწიათ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, თითქოს რაღაცისა რცხვენოდათ. ღიმილი იშვიათად ჩანდა მათ ფერმკრთალ სახეებზე. თუმცა გასაკვირიც არ არის, რომ ჩვენებურ ქალიშვილებს სახეზე ვარდისფერი არ დაჰკრავთ: ისინი მთელ ცხოვრებას დახუთულ სახლებში ატარებენ და ხელსაქმით ერთობიან.

— იმ ეშმაკ ფაცის შეხედეთ! კიდევ მოჰყავს გოგოები ბრუტადან! — თქვა ვიღაცამ ჩემს გვერდით.

ფაცი დანელას ცალია, ისიც ჩვენი აულიდან არის. გამოირჩევა ზრდილობითა და უფროსებისადმი პატივისცემით. მას ურემში ქალიშვილები ჩაესხა და ქორწილში მოდიოდა.

— აბა, თხებო, ჩამოდით! — მოუბრუნდა ჭიშკართან ფაცი ქალიშვილებს, — იცოდეთ, კარგად იცეკვეთ, თორემ უკან წაგიყვანთ და ასეთ ლხინში თქვენს სიცოცხლეში ვეღარ მოხვდებით!

ქალიშვილები ურმიდან ჩამოვიდნენ და ოთახის კედელთან მდგომ ამხანაგებისკენ წავიდნენ.

ჭაბუკების წინ უნდა გაევლოთ. ჭაბუკები თვალებით სჭამდნენ გოგოებს და თავისებური ქათინაურებით ამკობდნენ. ქალიშვილებმა თავი დახარეს და ცდილობდნენ სახე არ ეჩვენებინათ მათთვის.

საღამოზე პატარძლის ღამე იყო დანიშნული, და მე კიდევ ერთი დღით დამტოვეს. ჩვეულების თანახმად, ქორწილის მეორე ან მესამე დღეს, პატარძალი პირველად შეჰყავთ ხაძარში, სადაც მას ამ საზეიმო დღემდე შესვლა არ შეუძლია. პატარძლის შესვლა ხაძარში თავისებური წეს-ჩვეულებით ხდება.

საღამოზე დამბაჩის ხმამ გვაცნობა, რომ პატარძალი ოთახიდან გამოჰყავთ და ხაძარში შეჰყავთ, მართლაც პატარძალი ქალიშვილების ჯგუფის თანხლებით ოთახიდან გამოვიდა; ქალიშვილები სიმღერით მოსდევდნენ, მღეროდნენ ამ შემ-

[1] „აიღე, დალიე, გადაჰკარი“.

თხვევისათვის დაწესებულ სიმღერას „ალაი ბუდაის“. ეს სიტყვები ოსურად არაფერს არ ნიშნავს და იმის გამოკვლევას, თუ როგორ მოხვდნენ საქორწილო სიმღერაში, ვანდობთ ოსური საქორწილო წესების მკვლევრებს.

ხელისმომკიდეს ხელი მოუკიდებია პატარძლისათვის და ხაძარში მიჰყავს. სასიძო მას თავის ტოლ-ამხანაგებში ირჩევს ხოლმე. ხელისმომკიდე, როგორც უახლოესი პიროვნება, პატარძალს ახლავს. პატარძალი მას ძმასავით უყურებს. სასიძო ხელისმომკიდესთან ორი-სამი კვირის განმავლობაში არის ხოლმე სტუმრად და მაშინ მას სტუმარი ჰქვია, ხელისმომკიდეს—მასპინძელი. ხაძარი ახლოს იყო. პატარძალი და მისი თანმხლები ქალიშვილები უცებ შევიდნენ შიგ და ამიტომ მე კარგად ვერ დავაკვირდი ყველაფერს. ძალიან მაინტერესებდა ყველა წეს-ჩვეულების დანახვა, თუმცა ეს ცნობისმოყვარეობა ჩემთვის დანაშაულად შეეძლოთ ჩამოერთმიათ. მე სიძის ახლო ნათესავი ვიყავი და პატარძლისათვის არ უნდა შემეხედა.

ხაძარში კიდევ ერთხელ გავარდა დამბაჩა და მოისმა „ალაი ბუდაი“. ხალხში გაძვერი, რომ ყველაფერი კარგად დამენახა. თუმცა მე წესი დავარღვიე, — პატარძლის ღამე მაინც ვნახე.

ხელისმომკიდეს ქუდი არ ეხურა. მან სამგზის შემოატარა თეთრი ლეჩაქით სახედაფარული პატარძალი რახისს[1] გარშემო.

მამაკაცები კედელთან ისხდნენ: სვამდნენ და მღეროდნენ.

შემდეგ პატარძალი ცეცხლთან დადგა. ვიღაცამ ჯოხით ჩამოაცალა სახიდან ლეჩაქი და ჯოხი კედელში დაამაგრა. თან ხმამაღლა წარმოსთქვა: „შვიდი ვაჟი და ერთი ქალი“. ყველამ გაიმეორა: „შვიდი ვაჟი და ერთი ქალი“. ავსინი[2] ამ დროს კერიასთან ქალთა მხარეს იდგა, ხელში თაფლში არეული კარაქით სავსე ჯამი ეჭირა.

ქალები ცეცხლთან ცალკე სხედან ხოლმე. მათთვის ჩვეულებრივ კერიის მარცხენა მხარეა განკუთვნილი, მამაკაცებისათვის კი მარჯვენა. მამაკაცები სხდებიან ბადონზე[3], ქალებს კი დასაჯდომად არაფერი არა აქვთ. ისინი ან ჩაცუცქულები არიან, ან პირდაპირ მიწაზე სხდებიან.

როდესაც პატარძალს ლეჩაქი ახადეს, ავსინმა თაფლნარევი კარაქით სავსე ჯამი მიუტანა ტუჩებთან და უთხრა: — ერთმანეთს ისე ტკბილად შეეწყვეთ, როგორც თაფლი და კარაქია. ყველამ გაიმეორა ეს დალოცვა. შემდეგ ხელისმომკიდემ პატარძალი ხაძარიდან გამოიყვანა. მამაკაცებს და ჭაბუკებს რომ ჩაუარეს, ხელისმომკიდეს ვიღაცამ შიშველ თავში ჩაარტყა. მერე მეორემ, მესამემ... საწყალს ურტყამდნენ თავში ყოველმხრიდან. ის სთხოვდა თავი დამანებეთო, მაგრამ არავინ უსმენდა და ისევ სცემდნენ.

პატარძლის ღამეს ხელისმომკიდისათვის თავში ჩარტყმა ჩვეულებით არის მიღებული. ოღონდ მას არაფერი არ უნდა დაუშავდეს. ხელისმომკიდემ კი სტოიკურად უნდა გაუძლოს ამ განსაცდელს.

29 ივნისი

გუშინ, საღამო ხანს, ჩემს ფანჯარასთან ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი. ჩვენი აულის მამასახლისი, ყურლოყო, მომიახლოვდა და მითხრა:

— ღვთის გულისათვის, შენი მიცვალებულის მადლისათვის, ერთ საქმეში დაგეხმარე. ოლქის უფროსმა ქალაქიდან კულერი გამოგეგზავნა ჯარიმის ფულის შესაკრებად. ჯარიმის გადახდა ვის ეკუთვნის—ქალალდზე სწერია; აულის მწერალი ავად გახდა, ხოლო კულერმა კითხვა არ იცის, ამიტომ პატივი დაგვდე, თან გამოგვყევი და წაიკითხე ქალალდზე, — ვინ, რამდენი და რისთვის უნდა გადაიხადოს ჯარიმა.

„კულერი“ — კურიერია, იგი ოსებიდან ინიშნება და შიკრიკის თანამდებობას ასრულებს, ოლქის უფროსთან იმყოფება და თავისი სამსახურისათვის გარკვეული შეღავათით სარგებლობს.

ჯარიმას აულის უფროსი ადებს, ხოლო ოლქის უფროსი ამტკიცებს, და მის ასაკრებად შიკრიკს აგზავნის.

უფროსს სამსახურის გაწევაზე უარი ვერ ვუთხარი. ყურლოყომ დაჯარიმებულთა გრძელი სია გადმომცა და მასთან ერთად მის საყონაღოსაკენ

[1] რახისი — კერიაზე ჩამოკიდებული ჯაჭვი, რომელიც წმიდათა-წმიდად ითვლება ხალხში.

[2] ავსინი — სახლის დიასახლისი.

[3] ბადონი — ტახტისმაგვარი გრძელი სკამი.

გავემართე, სადაც საჯარიმო ფულის შემგროვებელი შიკრიკი გაგი იმყოფებოდა. აქვე იყო აულის მეორე მამასახლისი — აფაყო და ასეთი შემთხვევისათვის აუცილებელი პიროვნება, მაცნე — მაცი.

— წავიდეთ და დავიწყოთ აკრება აულის ზემო ნაპირიდან — თქვა ყურღოყომ და ჩვენც გავემართეთ.

ერთ-ერთი დაჯარიმებულთაგანი, ბიმბოლათი, თითქმის აულის ბოლოში ცხოვრობდა. მის ჭიშკარს მივადექით. ყურღოყოს ძახილზე დაბალი ქოხიდან ჩია მოხუცი, თვითონ ბიმბოლათი გამოვიდა. „სალამო მშვიდობისა“ გვისურვა და ყურღოყოს ჩვენი მოსვლის მიზეზი ჰკითხა.

— შენზე ხუთი მანეთი ჯარიმაა, — უთხრა ყურღოყომ, რადგან შენს ცხენს სხვის სამკალში უძოვია.

ბიმბოლათს ძალზე გაუკვირდა. იგი თავის გამართლებას ცდილობდა, მაგრამ რატომღაც ებნეოდა. გაგის მისი თავისმართლების მოსმენაც კი არ უნდოდა და დაჟინებით მოსთხოვა ჯარიმის ფული.

ბიმბოლათი ამბობდა:

— კაპიკი არა მაქვს და შოვნაც არ შემიძლია.

— სამაგიეროდ საქონელი გყავს, ხარს, ან ძროხას წავიყვანთ, მერე კი როდესაც ხუთ მანეთს იშოვი, შეგიძლია უკანვე წაიყვანო.

— მხოლოდ ერთი უღელი ხარი მყავს, — თქვა თვალზე ცრემლმორეულმა ბიმბოლათმა, — რაღა ვქნა, თუ ცალს წამართმევთ. შუშა როგორღა მოვზიდო?

გაგის ეს მიზეზები აინუნშიაც არ მოსდიოდა.

— რას იზამ, თუკი ასეა, წაიყვანეთ ცალი ხარი, — ახორისაკენ მიუთითა ბიმბოლათმა და ზურგი შეგვაქცია.

ახორში მართლაც უღელი ხარი იყო. ყურღოყოს ბრძანებით, მაციმ ერთი ხარი გამოიყვანა.

— ე-ე! ეს ხომ ხუთი მანეთიც არა ღირს, — წამოიძახა გაგიმ, ხარს რომ შეხედა; თან ჯოხი ფერდში ჰკრა და ხარი, რომელიც სიგამხდრისაგან ძლივს მიბანდალებდა, კინაღამ წაიქცა.

— რას იზამ, ამით უნდა დაკმაყოფილდეთ, — განაგრძო გაგიმ თავის ქნევით. ჩვენ წამოვედით. მაციმ თავისი ჰერკულესის კეტით ბიმბოლათის გამხდარ ხარს ერთი-ორჯერ ნეკნებში უთავაზა და ხარი კუნტრუშით წინ წაგვიძღვა. ბიმბოლათი კი ერთ ხანს კიდევ იდგა, მერე დარდიანად ხელი ჩაიქნია და დინჯი ნაბიჯით თავისი ქოხისაკენ გაემართა, საიდანაც ცოტა ხნის წინათ ასე გულთბილად გამოგვეგება.

— აი, გუტი, — თქვა აფაყომ და ხელი ეზოსაკენ გაიშვირა. ჩვენც მივუახლოვდით. ეზოს თვალი მოვავლე და ირგვლივ მხოლოდ სიღარიბე დავინახე: ეზოს შუაგულში თიხით შელესილი, სხვა ქოხებივით ჩალით კი არა, წიეით დახურული, პატარა ფაცხა იდგა. ამ პაწაწინა ქოხს მიტმასნოდა პატარა საქათმე, საიდანაც დამფრთხალი ქათმის კრიახი ისმოდა, იქვე დაშლილი ურმის ნაწილები ეყარა.

ქოხის კარებთან მგლის მსგავსი ბანჯგვლიანი ძაღლი იწვა; იგი საშინელი ყეფით მოგვეგებარდა. ქოხიდან გუტი, ჩვენი აულის მწყემსი გამოვიდა, გახუნებულ და დაცრეცილ ნაბადში ძონძები უჩანდა, ფეხშიშველი იყო. მის ფერისმჭამლიან გამხდარ სახეზე შეკრთომის გარდა ვერაფერი ამოვიკითხე.

— „იბედნიერე“, — ვუპასუხეთ მას გულთბილ სალამზე.

— შენზე ჯარიმაა, მიმართა მას ყურღოყომ, (სიაში მართლაც იყო მისი გვარი; იგი თავხედური საქციელისათვის დაეჯარიმებინათ). ამის გაგონებაზე საწყალი გუტი, თითქოს ცივი წყალი გადაავლესო, როგორც იდგა, ისევე გაქვავდა. პატარა თვალები გაუფართოვდა და თითქოს მისმა წითურმა წვერმაც ფერი იცვალა ყურღოყოს სიტყვებზე.

— ეს როგორ... რისთვის... ესღა აღმოხდა კარგა ხნის დუმილის შემდეგ. სიაში ირიცხებოდა, რომ იგი უხეშად შეეკამათა მუჰამედს, რისთვისაც დაჯარიმებულია სამი მანეთითო. გუტიმ სცადა თავის მართლება, მაგრამ ისევე იბნეოდა, როგორც ბიმბოლათი. გაგიმ არც მისი თავისმართლება მიიღო.

— მე უფლება არა მაქვს შენი თავისმართლება ვისმინო, — ამბობდა იგი. — მე ქალაქიდან უფროსმა გამომიგზავნა ეს სია და მის ბრძანებას ვასრულებ მხოლოდ.

— კი მაგრამ, სად ვიშოვო ამდენი ფული. ამდენი არასოდეს მქონია.. წარსული წლიდან ჩემი შრომის გასამრჯელოს ათ-ათ შაურს და თითო ბათმან ღომსაც კი არ მიხდიან. რამდენჯერ მიჩივლია თქვენთან... — მიმართა მან აულის თავკაცებს.

აულის თავკაცებმა, ყურღოყომ და აფაყომ,

ერთხმად შენიშნეს, რომ ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის და ჯარიმის გადახდაა საჭირო.

— თუ ფული არა გაქვს, საქონელი მაინც გეყოლება, — თქვა გაგიმ.

— ძროხა მყავს. მაგრამ ეს არის მთელი ჩემი ოჯახის ბურჯი. რას უპირებთ ამ ბავშვებს, მარჩენალს რომ ართმევთ — და გაგიმ ქოხის კარებისაკენ მიგვახედა, საიდანაც შეშინებულ პატარა გოგო-ბიჭს გამოეყოთ თავები; მათ ძონძები ძლივს უფარავდა სხეულს.

— აბა, თქვენ მაინც შემიბრალეთ და გამომექომაგეთ, — მიმართა მან თემის თავებს, ქუდი მოუხადა და თავი დაბლა დაუკრა.

— ჩვენ რა უნდა ვქნათ. ჩვენ უფროსის ნებასურვილს ვასრულებთ, — ამბობდნენ თემის თავკაცები და თან უხერხულად იშმუშნებოდნენ.

— რაკი ასეა, — თქვა გუტიმ, აბა, წაიყვანეთ და ღობეზე მიბმულ ძროხაზე მიუთითა. იქვე იდგა ქალი, ხის კასრით ხელში, ისევე ღარიბულად ჩაცმული, როგორც გუტი და მისი ბავშვები. ის ალბათ მისი ცოლი იყო და ძროხას წველიდა. როდესაც ჩვენ იქით გავემართეთ, ქალმა თავი ჩაღუნა და ქოხისკენ წავიდა. გაგის ბრძანებით, მაციმ ძროხა ახსნა და ბიმბოლათის ხარს შეუერთა.

— აბა, ღამე მშვიდობისა, — მიმართეს გუტის გაგიმ და თემისთავებმა.

— თქვენ არ გისურვებთ ისეთი მშვიდობის ღამეს, როგორსაც მე გავატარებ, — უპასუხა გუტიმ, ისე რომ ჩვენსკენ არც მოუხედავს.

ღამდებოდა. საიდანღაც ნისლი ჩამოწვა და წვრილმა წვიმამ ცრა დაიწყო. ჩვენ უხმოდ მოვდიოდით. მაცი თავისი დიდი ჯოხით ხარსა და ძროხას წინ მიდენიდა და თან იგინებოდა.

— ოჰო-ჰო-ჰო, — ამბობდა იგი, — შენი პატრონის ქელეხში გნახე დაკლული.

ბიბოსთანაც შევედით და სამ მანეთ ჯარიმაში თითქმის ძალით წავართვით ხარი, მიუხედავად იმისა, რომ მოკვლას ემუქრებოდა, ვინც კი მის საქონელს ბაგიდან გამოდენიდა. თემის თავებმა, როგორც იქნა, დააშოშმინეს იგი. ბოლოს ბიბომ თქვა:

— რაც არის, არის, თქვენი ხათრით დავთმობ ამ ჩემს მოზვერს...

კიდევ ორი-სამი ოჯახი ჩამოვიარეთ. საგას გარდა არც ერთს ფული არ აღმოაჩნდა. საგას გადავახდევინეთ ხუთი მანეთი გინებისათვის. მე ვიცი, რა ტანჯვითა და წამებით იშოვა საგამ ეს ხუთი მანეთი: ოთხი დღის წინათ მდინარეზე მივდიოდი საბანაოდ. მდინარის პირს ვიღაცა თავგამოდებით მიწას თხრიდა, მე მივუახლოვდი, — საგა იყო, საცვლების ამარა და ფეხშიშველა მუშაობდა; თავზე ქეჩის ქუდი ეხურა, არხს თხრიდა.

— რისთვის თხრი ამ არხს? — შევეკითხე.

— აი, იქ კაზმახამატმა, წისქვილი უნდა დადგას და მდინარის გადაგდებაა საჭირო, — მითხრა მან, თან წელში გაიმართა და სახეზე ღვარად ჩამონადენი ოფლი მოიწმინდა.

კაზმახამატის მითითებით, მას მიწა ასორმოცდაათი ნაბიჯის სიგრძეზე უნდა გაეთხარა, გზადაგზა კი გორაკის ნაპირის ჩამოჭრაც უხდებოდა.

— დილიდან საღამომდე ვმუშაობ — თქვა მან, — და მაინც, კვირანახევარში მხოლოდ მესამედი გავთხარე.

— კი მაგრამ, რას გიხდიან, — შევეკითხე მე.

— შვიდ მანეთს, — მიპასუხა. — რა ვქნა, ხელდაკრეფილ ჯდომას, ყველაფერი სჯობია.

და აი, ამ საგამ გადაიხადა ხუთი მანეთი გინებისათვის. თითქმის მთელმა არაადამიანურმა შრომამ ფუჭად ჩაუარა.

ჩამორთმეული საქონელი სამი დღით ყურღოყოს ბოსელში შერეკეს. დაჯარიმებულთაგან ვინც ამ დროის განმავლობაში ფულს არ გადაიხდის, კარგავს თავის საქონელს. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ფულს ვერც ერთი მათგანი ვერ გადაიხდის და საქონელი ვლადიკავკაზში გაიყიდება.

დღეს ჩემს ფანჯარასთან ხათაცყო იჯდა და მიყვებოდა ლეგენდას მარგუცზე, მე ჩემს წიგნაკში ვიწერდი. ნახევარიც არ მქონდა დაწერილი, როდესაც გორაკიდან მაცის გამაყრუებელი ყვირილი მოისმა.

— ოუ, მისმინეთ! დღეს ბიბოს სახლში მოვიდეს შამაკაცი ბიჭით. არავინ არ თქვას, არ გამიგონიაო!

— დაგწყევლოს ღმერთმა, — წამოიძახა ხათაცყომ, რომელმაც თხრობა ძალიან საინტერესო ადგილას შეწყვიტა.

მართლაც, ჩვენს მაცის საოცრად დიდი ხმა აქვს. გორაკზე თუ ავიდა და იქიდან დაიძახა, მისი ხმა კიდით-კიდემდე მოედება მთელ აულს. მე მახსოვს, როგორ ირჩევდნენ მაცის აულის მაც-

ნედ: მეჩეთთან შეიკრიბნენ აულის თავკაცები და მამასახლისები. საუბარი ჩამოვარდა იმაზე, რომ აულს კარგი მაცნე არა ჰყავს, გუძი უკვე აღარ ვარგა და დროა ის შეიცვალოსო.

— რითი არ გამოდგება მაცი, — თქვა ეიღაცამ.

დაუძახეს მაცის — ჩაფსკვნილ, მხარბეჭიან ვაჟკაცს და გამოსაცდელად დაავალეს დაეყვირა:— „ვინც პარასკევს იმუშავებს, ხუთი მანეთი ჯარიმა გადაეხდება“. — მაცი დინჯად ავიდა იქვე მდგომ ურემზე და იმის დაძახებაღა მოასწრო: — ოუ-უ... მოისმინეთ!.. რომ ყველამ ხელების ქნევით გააჩუმა:

— გეყოფა, გეყოფა, დაგწყევლოს ღმერთმა, სულ დაგვაყრუე, ხმაც ამას ჰქვია, ყოჩაღ, მაცი! ყოჩაღ!

მაცის ქება ესიამოვნა და ურმიდან ისე ჩამოვიდა, როგორც ტრიბუნიდან ჩამოდის ხალხის მიერ მოწონებული ორატორი. ყველა მას აქებდა და ადიდებდა. იქიდან მოყოლებული, შერჩა მაცის საპატიო თანამდებობა და კარგი მაცნეს სახელი.

მაცემ რომ დაიძახა, ხათაცყო მომიბრუნდა და მითხრა:

—უნდა წავიდეთ... ალბათ მალე დასაპატიებლადაც მოვლენო. მართლაც მალე ეზოში ჭაბუკი შემოვიდა და ბიბოს სახელით აღაპზე დაგვპატიჟა, უარის თქმა, ხათაცყოს აზრით, სირცხვილი იყო და ჩვენ ბიბოს სახლისაკენ გავემართეთ. ქუჩაში უკვე ბევრი ხალხი იყო, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და აღაპზე მიიჩქაროდნენ. უმეტესობა ბავშვები იყვნენ. ქალები აღაპში არ მონაწილეობენ.

ჩვენს წინ მიმავალი ორი მოხუცი ასე საუბრობდა.

— ეჰ, ძველი დრო აღარ არის, არა! წინათ აღაპი ისეთი ბერეკეტით ეწყობოდა, რომ მთელი აულები ესწრებოდა. ახლა კი დაკლავს კაცი ერთ ხარს, ზედ ორ-სამ ცხვარს წააკლავს და ამას აკმარებს ხალხსა.

წინათ ხუთ-ექვს ხარს დაკლავდნენ ხოლმე, ორმოცამდე ცხვარს, რვა-რვა ქვაბ ლუდს გამოხდიდნენ.

უზარმაზარი სპილენძის ქვაბი, რომელშიც ლუდი გამოიხდება, სპილენძის ფურცლებისაგან არის შეკრული, სპილენძისავე ლურსმებით. მას კონუსის ფორმა აქვს. ფფინარის პირზე დიდ ორმოს ამოთხრიან, ქვაბს დიდ კეტს გაუყრიან და ორმოში ჩაჰკიდებენ. კეტი ორმოს ნაპირზე მაგრდება და ქვაბს იჭერს. ქვემოდან ქვაბს დიდ ცეცხლს შეუნთებენ ხოლმე.

— მართალი ხარ, პაციტა, მართალი, — ჩიბუხის ბოლს ამოაყოლა სიტყვები მეორე მოხუცმა.

— გესმის,—ჩუმად მითხრა ხათაცყომ, — კიდევ უკმაყოფილო არიან, ვერაფრით ვერ მიხვდნენ, რომ ამ ქელეხებმა, რომელსაც ისინი ბერეკეტს უწოდებენ, საბოლოოდ გაგვაღატაკა.

— აქეთ მობრძანდით, — შემოგვეგება მასპინძლის ვაჟი, როდესაც მობუცებს მივუახლოვდით. ჩვენ გავუკვეთ და მოხუცებთან დავჯექით, თუმცა მე ამის უფლება არ მქონდა. მე იქ იმიტომ დავსხედეს, რომ ჯერ სტუმრად ვითვლებოდი, სტუმარს კი ჩვენში განსაკუთრებულ პატივსა სცემენ.

ჩვენს წინ დახროვებული იყო საქონლისა და ცხვრის ხორცი. დანელა მას ხანჯლით ჩეხავდა. ოსური საკმელებით სავსე ჯამები და თეფშები პირდაპირ ხავსზე დაელაგებინათ. იქვე იდგა სამი კასრი სასმელებით, თითოეულს ჭაბუკი ჰყავდა მიჩენილი. საკმელ-სასმელის მოლოდინში მოხუცები ჩვეულებრივ ყაყანებდნენ. როგორც იქნა, სამმა ჭაბუკმა საკმლის ჩამორიგება დაიწყო. სხვა სამი ვაჟი ჩაიდნებითა და ჭიქებით შეიარაღებულები ასხამდნენ ლუდს, არაყსა და მახსიმათს. დაიწყო დიდი სმა-ჭამა. ისლა ისმოდა:

— დასცალეთ, გთხოვთ, ბოლომდე დასცალოთ...

— არ შემიძლია... ღმერთმანი, არ შემიძლია...

— ყელამდე ვარ, ღმერთმანი.

ერთი ახალგაზრდა მეც გადამეკიდა, მთხოვდა არყისა და მახსიმათის ნარევით სავსე ჯამი დამეცალა. საზიზღარი ნარევია არაყი მახსიმათით, ოსები კი ხიამოვნებით სვამენ. ხათაცყოს დახმარებით სასმისი ავიშორე; თუმცა ჭაბუკი თავზე დასხმით მემუქრებოდა.

აღაპი დამთავრდა, ხალხმა დაშლა დაიწყო. ზოგი ბავშვი უაზროდ ბურტყუნებდა რაღაცას და ფეხზე ძლივს იდგა. ეს მშობლის მზრუნველობისაგან მოსდიოდათ: მათაც დაალევინეს არაყი და ლუდი.

მასპინძელს მხოლოდ ცარიელი ჭურჭელი და ძვლები დაუტოვეს. ძვლებსაც აულის მშიერი ძაღლები დაესივნენ.

ასე დააძლო და დაათრო მასპინძელმა ბიბომ მთელი აული. საკითხავია, — რას ჭამს ბიბოს ოჯახი ხვალ? — იშიმშილებს, ერთ-ორ დღეს კი არა, დიდხანს იშიმშილებს ბიბოს ოჯახი.

1 აგვისტო

გუშინ აულ ჯიზელიდან დავბრუნდი. ჩემი ძიძის სანახავად ვიყავი წასული. საწყალ მოხუცებს ძალიან გაეხარდათ ჩემი ჩასვლა, აღარ იცოდნენ როგორ ეცათ პატივი, როგორ ესიამოვნებინათ ჩემთვის.

ჩემმა მამობილმა, მოხუცმა სიმაილმა, ჩემი ჩასვლის აღსანიშნავად სადღაც ბატკანი იშოვა და დაკლა. ძიძა-დოიონმა ხაჭაპური გამოაცხო და საკუჭნაოდან საგანგებოდ შენახული ბოთლი არაყი გამოიღო. შშვენიერი წვეულება მოაწყვეს, ორსამ მეზობელსაც დაუძახეს.

როდესაც სუფრა გააწყვეს და სტუმრები უფროსობისდა მიხედვით სუფრის ერთ მხარეზე დასხდნენ (თავში — სიმაილი, როგორც ყველაზე უფროსი), სიმაილმა ქუდი მოიხადა, ერთ ხელში არაყიანი ჭიქა აიღო, მეორეში ხაჭაპურის ნაჭერი, წამოდგა და ლოცვა წამოიწყო: — ღმერთო, შენი იმედითა ვართ! შეგვინდე ღმერთო. ყველამ ქუდი მოიხადა. ლოცვა სიმაილმა ასე დაამთავრა: — ღმერთმა ქნას, რომ ის ახალგაზრდა, ვისი გულისთვისაც ეს წვეულება მოეწყო, ენერალი გახდეს. ხელმწიფის მადლი არ მოაკლდეს და ენერალი რომ გახდება, თავისიანები არ დაივიწყოს და მათთვისაც დახმარება არ დაეშუროს.

— ომენ! — შეეპასუხა ორი-სამი ბიჭი, რომლებიც რამე საქმელის გამორჩენის იმედით იქვე სუფრასთან ტრიალებდნენ.

— აცახოდ, — მომმართა სიმაილმა ლოცვის დამთავრების შემდეგ და ხელები გამომიწოდა. მე ვიცოდი, რასაც ნიშნავდა აცახოდ, და როგორაც უნდა მოექცეულიყავი: მივედი სიმაილთან, ხაჭაპური ჩამოვართვი, ცოტა შევჭამე, მერე ჭიქიდან მოვსვი და დოიონს გადავეცი, რადგან ჩვეულების თანახმად უკვე მე მეკუთვნოდა და ვისაც მინდოდა ამას გადავცემდი, პატივისცემის ნიშნად. დოიონი ჩაცუცქდა, მადღეგრძელა, ცოტა მოსვა და ჭიქა ისევ მე დამიბრუნა. მე იგი ურდიგლაუუაგს გადავეცი. ამ თანამდებობას სუფრაზე მომსახურეობას ნებაყოფლობით იღებს თავის თავზე რომელიმე თავაზიანი ჭაბუკი. მან ჭიქა დასცალა და სიმაილს, როგორც უფროსს, გადასცა. სმა უფროსობისდა მიხედვით გაგრძელდა. მრგვალ მაგიდაზე იდვა ხაჭაპური და მწვადები.

მეორე დღეს, მე და ჩემი ძიძიშვილი მეზობელნაცნობების სანახავად წავედით. ქუჩაში რომ გავედი, ძალიან გაკვირვებული დავრჩი. ძლიერ გამოცვლილიყო ჯიზელი სამ-ოთხ წელიწადში. სულ აღარ ჰგავდა იმ აულს, რომელიც მე მახსოვდა. მაშინ აულში ჭუჭყიანი და ძველი ქოხები იდგა, ახლა კი, ახალი და სუფთა სახლები აეშენებინათ და მათ შორის ზოგი კარგი, დიდი შენობებიც იყო. მაგალითად, აულის უფროსს — კუტაკს, ტორჩიკოვებს, მალასკოვებს და სხვებს კარგი სახლები აეშენებინათ. თითქმის ყველა სახლის ფანჯრები ქუჩისკენ გამოდიოდა, რაც წინათ არ იყო მიღებული. გაზელში ეკლესიაც არის; შაბათს, წირვაზე რომ დარეკეს, ეკლესიაში შევედი. რამოდენიმე კაცი დამხვდა შიგ, ორს სანთელი ეყიდა და ხატების წინ ანთებდა. ვიღაც დედაბერი შვილით ხელში იატაკზე დაბობღავდა. ბავშვი ტიროდა. მამაკაცებმა მკითხეს, თუ რა იყო ხატებზე გამოსახული. რაც ვიცოდი, ავუხსენი. გაიკვირვეს. მგალობელთა გუნდს აულის სკოლაში მოსწავლე ოთხი-ხუთი ბიჭი შეადგენდა. მათ სკოლის მასწავლებელი ლოტბარობდა. მასწავლებელს წინათ ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებელში უსწავლია. გუნდი სასიამოვნოდ მღეროდა ოსურად თარგმნილ ჰიმნებს.

სწირავდა, თბილისის სასულიერო სემინარიადამთავრებული, მღვდელი ვინმე ტაკოითი. მას აულში დიდ პატივს სცემდნენ. ტაკოითი თვითონ ოსია, აულის მცხოვრებთ ძალიან მოსწონთ, როდესაც მღვდელი ოსურად უყვება ხოლმე მათ ქრისტეს ცხოვრებას.

წირვა რომ გათავდა, მე და ჩემი ძიძიშვილი ისევ ქუჩაში გამოვედით. ლობესთან მოხუცები ჩამწკრივებულიყვნენ და საუბრობდნენ.

— ეკლესიაში რატომ არ შედიან? — ვკითხე ძიძიშვილს.

— ქელეხს ელოდებიან, ჩქარა ლექსასთან ქელეხი დაიწყება.

ამ შემთხვევამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ოსებს არა აქვთ ქრისტიანული, რელიგიური აღ-

ტყინება. მაგრამ ეს ყველას არ ეხება. მაგალითად, ჩემი მამობილი, სიმაილი, კარგი ქრისტიანია, მას მოშურნეებიც კი გაუჩნდა რელიგიის გულისთვის. ამის მოწმე მეც ვიყავი.

ორი-სამი დღის ჩასული ვიყავი ჯიზელში, როცა მეზობლად ლხინი მოაწყვეს. ბევრი ხალხი იყო დაპატიჟებული. მათ შორის მე და სიმაილიც. ყველა დათვრა. ლხინი რომ დამთავრდა, სტუმრებმა მადლობის გადახდა დაუწყეს მასპინძელს:—ღვთის მადლი შეგეწიოს, — ეუბნებოდნენ და მიდიოდნენ. სიმაილი კი ადგა, პირჯვრის წერა დაიწყო და ღმერთს შეჰღაღადა: — ღმერთო, ღმერთო... აჰა,— მიაძახა მას ერთმა მოხუცმა — შენს მეტმა ალარავინ იცის ღმერთის სახელი. „ღმერთო, ღმერთო“, გააჯავრა მან.

— თუკი იცი, რატომ არ ამბობ, ან პირჯვარს რატომ არ იწერ?! — გაბრაზდა სიმაილი და მოხუცს ჩხუბი აუტეხა. ეს ამბავი კინაღამ სისხლისღვრით დამთავრდა.

სიმაილს კარიბჭესთან ხის ჯვარი დაუკიდებია. ის ამ ჯვარს წმიდათა-წმიდად თელის. ის აულის მღვდელს დაუმოყვრდა, მერე მეწველი ძროხაც აჩუქა. სხვისი მაგალითით სიმაილმა თავისი ეზო გადააკეთა, ძველი შენობები დაანგრია და ახალ ყაიდაზე ააშენა სახლი. წნული ღობის ნაცვლად ფიცრული ღობე გააკეთა და ზედ თლილი ჭიშკარი ჩამოკიდა.

ოჯახში კი ძველებურად იქცევა. ძალიან ფიცხია და, თუ ცუდ ხასიათზე დადგა, ჯავრს შინაურებზე, უმეტესად კი დოიონზე იყრის.

საბრალო დოიონ!.. რამდენი შეურაცხყოფა და წყენა აიტანე სიმაილის ხელში! ტკბილი სიტყვა არ გამიგონია მისგან. მაგონდება ყველა ის უსამართლობა და სისასტიკე, რომლის მოწმე ბავშვობაში ვიყავი. მახსოვს: სადღაც იყო სიმაილი და შინ ცუდ ხასიათზე დაბრუნდა, ტყუილ-უბრალოდ აგიხირდა რაღაცაზე და ცემა დაგიწყო. ზურგში დიდი კეტი ჩაგარტყა, სიმწრისაგან საშინლად დაიკივლე, ის კივილი ეხლაც მესმის. შენ ტირილით კუთხეში მიიკუჭე და შებრალებას სთხოვდი. ვინ შეგიბრალებდა, გააფთრებული სიმაილი გაშმაგებით გცემდა ჯოხით. მეც ავტირდი, საშინლად შემეცოდე, კივილ-წივილზე მეზობლები შემოვიდნენ და სიმაილი მოგაშორეს.

საბრალო ოსის ქალო! როდის მოიშორებ მონურ ცხოვრებას? აბა საქმროსა და საცოლეს დამოკიდებულება როგორია ჩვენში? ერთი მაგალითიც საკმარისია, რომ ყველა მიხვდეს რაშია საქმე.

ერთმა ჩემმა ამხანაგმა სიმაილის ქალი დანიშნა. ერთ საღამოს, როცა ეზოში ვიყავი წამოწოლილი, ასლანბეგი შემოვიდა და მკითხა:

— შენი დედობილ-მამობილი სამუშაოდ ხომ არ წასულან, ინალ?

— კი, წავიდნენ, — ვუპასუხე — შინ მხოლოდ სიმაილის ქალი, შენი საცოლე დარჩა.

ასლანბეგი გაწითლდა და გაჩუმდა.

— წამოდი რა, მივიდეთ მასთან — მთხოვა ცოტახნის შემდეგ და ისევ გაწითლდა. ავდექი, არაფერი მიკითხავს, რადგან მივხვდი, რომ საცოლეს ნახვა უნდოდა. სახლთან რომ მივედით, კიბეზე ჩამომჯდარი ძგო — ასლანბეგის საცოლე დავინახეთ. ის გულდასმით კერავდა და ჩვენი მიახლოება არ გაუგია. ასლანბეგი მოშორებით დადგა და უხმოდ შესცქეროდა. ძგომ თავი აიღო და დაინახა თუ არა ასლანბეგი, წამოხტა, სახლში შევარდა და კარები გაიჯახუნა.

— მგელი ვარ? ასე რატომ გამირბის? — მწარე ღიმილით მომიბრუნდა ასლანბეგი, — გაგვიმასპინძლდნენ შაინცა! — დაუმატა მერე ხმამაღლა.

ცოტა ხანში ფანჯარა გაიღო და ძგოს ხელი გამოჩნდა. თეფშით ყველსა და თეთრ ლავაშს გვაწოდებდა. მე თეფში ჩამოვართვი და ასლანბეგს დავუდგი. ისიც შეექცა. ძგო არ გამოჩნდა.

— წავიდეთ აქედან, — ვეღარ გაუძლო ასლანბეგმა, — რადგან გაგვირბიან, ხელს ნუ შევუშლით, წავიდეთ, — ხელი დამავლო და ეზოდან გამიყვანა.

იქვე ბალახზე დავჯექი.

რუსებთანაც ასე გაურბის ქალი საქმროს? — მკითხა მან. მე ავუხსენი, რომ რუსებთან პირიქით ხდება, დანიშნული ქალ-ვაჟი ხშირად ხვდებიან-მეთქი ერთმანეთს.

— რა კარგია. მე კი ჩემი საცოლე წესიერად არც კი დამინახავს, დედაბრების მისწავლებით დავნიშნე: მითხრეს კარგი საცოლეაო...

მე კი ვიცოდი, ძგო ავი ქალია, ასლანბეგს სულაც არ შეეფერება, ძნელად შეეგუებიან ერთმანეთს. როგორ უნდა გასძლონ მთელი სიცოცხლე ერთად?

გუშინ გამომშვიდობებისას დოიონი ატირდა. საბრალო დოიონ. ვინ იცის, გნახავ თუ არა კიდევ? შეიძლება მალე სამარეში ჩაგიყვანოს სიმაღლის უხეშმა მოქცევამ და გამწარებულმა ყოფამ. მე კი საფლავზე მოვიდე შენს დასატირებლად.

1870 წ.



კოსტა ხეთაგური

ჯიხვებზე ნადირობა

სოფელ ზებათში მხოლოდ ცამეტი კომლი მოსახლეობდა. ღრმა, ვიწრო ხეობის თავზე გაშენებული სახლები მერცხლის ბუდეებივით მიჰკვროდნენ პიტალო კლდეს. ქვემოთ, ხეობაში, გველივით მიიკლაკნებოდა მდინარე და შორს ზოლივით ლაპლაპებდა. ხე და ბუჩქი არსად ჩანდა, ირგვლივ არემარე გაშიშვლებულ კლდესა და ქვებს დაეპყრო.

იმ სოფელში ძალიან ღარიბი ოსები ცხოვრობდნენ, მათ არც სახნავი ჰქონდათ და არც სათიბი. მამაკაცები ჯიხვებზე ნადირობდნენ, ქალები კი შინ საქმიანობდნენ. ძროხების ნაცვლად ვირები ჰყავდათ. ორი ვირის პატრონი შეძლებულ ოჯახად ითვლებოდა. მთელ სოფელში მხოლოდ ერთი ქოჩორა მამალი და სამი ძალზე გამხდარი ჯაჭვისფერი დედალი დადიოდა.

შემოდგომისას სოფელში მყუდროება სუფევდა. ბალახი ყვითლდებოდა. ყომრალი ღრუბლები დაბლა ეშვებოდნენ. დროდადრო მყინვარებიდან ცივი ნიავი მოჰქროდა, ნიავს ნაადრევი თოვლი და ყინვა მოჰყვებოდა. თუმცა ზოგჯერ კალოობის შემდეგ, ენკენისთვის დამლევს, კრიალა მზიანი დღეებიც დგებოდა. მზის ჩასვლისას მზის სხივები ოქროსფერ ცეცხლში ახვევდნენ მთის ლამაზ მწვერვალებს. მთელ ხეობას გამშვირვალე ბურუსი ჰფარავდა, მაშინ ჯადოსნური კოშკებივით მოჩანდნენ წვეტიანი კლდეები. არემარე წყნარდებოდა. მხოლოდ სადღაც შორს, ხევის სიღრმეში, ისმოდა მდინარის გრიალი, იგი დაუღალავად მოსძახოდა კლდეებს და აღვიძებდა სამარისებური ძილით მოცულ მიდამოს.

ერთ საღამოს, სოფლის განაპირა სახლს ახალგაზრდა ოსი მიუახლოვდა.

— თედო! — დაიძახა ახალგაზრდამ.

— რომელი ხარ? — მოისმა სახლიდან მასპინძლის ხმა და მალე დაბალ კარებში გამოჩნდა ჯმუხა, მაგარი აგებულების კაცი, რომელსაც ძველი, მორუხო ჩოხა ეცვა და თავზე ნაბდის ქუდი ეხურა.

— შენა ხარ, საბანი! — მხიარულად მიმართა მან ახალგაზრდას, — სად ყოფილხარ? რა ამბავია?

— ერთი წყეული თხა მყავს, ჩემი ქალამანი წაუთრევია და დაუღეჭია, თასმით დაწნული ძირიღა დაუტოვებია, — თითქმის ტირილით მიუგო ახალგაზრდა ოსმა.

— ეგ როგორ მოგვიდა, ბიჭო?

— როგორ და... თასმები გამოვუცვალე. შიგ ახალი ბალახი ჩავუფინე და ქონიც წავუსვი. ჩაცმის შეტი არაფერი აკლდა. შემდეგ თოფი გავწმინდე, კაეი გავსინჯე... მერე ავდექი და ფეხზე ჩაცმა რომ დავაპირე, მარცხენა ქალამანი თაეის ადგილას დამხვდა, ხოლო მარჯვენა არსად იყო. სად არ ვეძებე ის დასაწვავი, ვერსად ვიპოვნე. მერე ძმას მივვარდი და ყურები დავაგლიჯე, — შენ ხომ არსად წაგიღია-მეთქი. ამ დროს ვხედავ: თხა ბნელ კუთხეში დგას და რაღაცას ღეჭავს არხეინად. თურმე ჩემს ქალამანს შეექცევა. დედამ თვალი

მოჰკრა და პირიდან გამოგლიჯა. მარტო დაწნული ძირი დამიტოვა იმ სამგლემ.

— ცუდი საქმე მოგსვლია! — ხუმრობით უთხრა თედომ, — არაფერია, შენ კიდევ მოასწრებ ქალამნის შეკეთებას. ჩვენ მთვარის ამოსვლამდე დაგიცდით.

— მართალს ამბობ? მადლობელი ვარ.

— აფსათის მადლობელი იყავი, დილისათვის რქადაგრეხილ ჯიხვებს რომ შეგახვედრებს. ახლა კი წადი, ქალამანი შეაკეთე.

— წავალ, წავალ! — ახალგაზრდა ოსი სწრაფი ნაბიჯით გაჰყვა მიხვეულ-მოხვეულ ქუჩას.

— არ დაგავიწყდეს, სხვებსაც შეატყობინო! — მიაძახა თედომ და სახლში შებრუნდა.

თედოს ქოხი ორად იყო გადატიხრული. ერთი ნახევარი სახლის პატრონს ეპირა, მეორე ნახევარში თხები იყვნენ მოთავსებულნი. სამხრეთის მხრიდან ოთახს სარკმლის ნაცვლად კედელში პატარა სამზირი ჰქონდა დატანებული.

მიწურ იატაკზე შუაცეცხლი ენთო. ბოლი ჭერის ხვრელიდან გადიოდა. ცეცხლზე ჩამოკიდებული იყო ქვაბი. ახალგაზრდა ქალი ვარცლში ლავაშებს აგუნდავებდა და ცხელ ნაცარში აკრავდა. მეორე მხრიდან კერას მოხუცი კაცი უჯდა და ძუძუთა ბავშვს ენას უჩლექდა, ართობდა. ყველა იქ მყოფი თედოს ოჯახის წევრები იყვნენ: მამა, ცოლი და პატარა ვაჟი.

თედოს მამა, ზურაბი, ოდესღაც ძალიან განთქმული მონადირე იყო, ახლა კი სიბერისაგან ღონე გასტეხოდა და მხედველობა დაჰკლებოდა. მან თავისი ყირიმული თოფი შვილს გადასცა, და შვილსაც მამა არ შეურცხვენია, მისი ტყვია ჯერ მიზანს არ ასცდენია. იმ სოფელში საუკეთესო მონადირედ ითვლებოდა.

როდესაც თედოსთან ჭაბუკი მონადირეები თავს მოიყრიდნენ მთაში წასასვლელად, მოხუც ზურაბს თავისი ახალგაზრდობა მოაგონდებოდა. თვალწინ დაუდგებოდა სანადირო თადარიგი და მოხუციც ერთბაშად გამხიარულდებოდა, ლაპარაკის გუნებაზე დადგებოდა. შვილს ხელმარჯვე ნადირობას უსურვებდა და რჩევა-დარიგებას მისცემდა.

თედოს ახალგაზრდა ცოლი კი, ზალი, ძალიან წუხდა და ჯავრობდა, როცა მისი ქმარი სანადიროდ მიდიოდა. მან იცოდა, თუ რა ფათერაკი სდევდა ჯიხვზე მონადირეს, და ეშინოდა, ქმარს რამე ხიფათი არ შემთხვეოდა. თედოს კი ცოლის შიში სასაცილოდაც არა ყოფნიდა. ცრემლი, საერთოდ, თედოს არ უყვარდა და ახალგაზრდა ქალიც მასთან ტირილს ერიდებოდა.

— ვინ იყო, რა უნდოდა? — შეეკითხა ზურაბი ქოხში შემოსულ შვილს.

— საბანა იყო, — უპასუხა თედომ, — მთხოვა, ჯერ მზად არა ვარ და მთვარის ამოსვლამდე დამიცადეთო. მეც დავპირდი...

— აგრეც უნდა, — სთქვა მოხუცმა, — ჩვენ ძველად აგრე ვეხმარებოდით ერთმანეთს, მთვარე გვიან ამოდის და მოასწრებთ. მთვარიან ღამეს ჯიხვები დაბლა ჩამოდიან. თაგვის ბილიკებით რომ წახვიდეთ, გათენებამდე უღელტეხილზე იქნებით.

— ეგ ხომ აგრეა, — მიუგო თედომ, — მაგრამ ძალიან საშიშია იმ გზებზე სიარული... ისიც ღამით!

— ეჰეი, დიაცებო! — უსაყვედურა მოხუცმა, — ჯიხვზე მონადირე კაცს სიძნელე არ უნდა აშინებდეს. მე იმ გზაზე, შვილო, წვიმიან ღამით მივლია, მაგრამ არაფერი მომსვლია. ერთხელ ერთმა ნაბიჯმა კინაღამ დამღუპა, ვასტირჯიმ მიშველა, დიდება მას! გათენებისას კი კლდიდან აგერ ის ციკანი გადმოვაგორე! — ზურაბმა ხელი გაიშვირა კედლისაკენ, სადაც ორი ვეება ჯიხვის რქა ეკიდა.

— მე არ მეშინია! — თავი გაიმართლა თედომ. — იმ გზაზე ყოველი ქვა ვიცი, მაგრამ ახლა ჩვენთან გამოუცდელი მონადირეებიც მოდიან და ვინ იცის, იქნებ ვერ გაბედონ იმ გზით სიარული.

— ისინი შენ უყოყმანოდ უნდა გამოგყვნენ! — ჯავრიანად მოუკრა მოხუცმა.

ვახშამი მზად იყო. ზალიმ ცეცხლიდან ქვაბი გადმოიღო. ორი თეფში წვენით გაალიცლიცა და ლავაშთან ერთად გაკრიალებულ ტაბლაზე დაალაგა.

თედომ ტაბლას ხელი დაავლო და მამას წინ დაუდგა. მოხუცმა ბავშვი დედას გადასცა, დაილოცა და ლავაში გადატეხა. თედო მოკრძალებით ჩამოჯდა სუფრის ბოლოს და ჭამა დაიწყო. ახალგაზრდა დედას ხელში ბავშვი ეპირა და, როგორც ადათი ითხოვდა, ფეხზე იდგა. როცა ზურაბმა ვახშამი მოათავა, წვერზე ხელი დაისვა და ღმერთს მადლობა შესწირა. მერე ჩიბუხს მოუკიდა, შვილს

მშვიდობით მგზავრობა უსურვა და დასაძინებლად წავიდა. იგი სათხებოში იძინებდა.

მოხუცის წასვლის შემდეგ ზალიც შეუდგა ვახშმობას, თედომ ბავშვი გამოართვა, მუხლებზე დაისვა და ცოლს გაეხუმრა:

— დედამთილს ხომ არა ბაძავ, ქალო! რას ჩამოუშვი ცხვირი?

— გთხოვ, ნუ დადიხარ იმ ხიფათიან გზაზე, — წყნარად უთხრა ზალომ და თავი დახარა; მის ლოყას ცრემლი მოსწყდა და თეფშზე დაეცა.

— აბა, შე ქალო, ჯიხეზე ამ ჩვენი ქოხის სარკმლიდან ხომ არ ვინადირებ!

— ღმერთმა დაგვიფაროს და რაიმე უბედურება რომ მოხდეს, მერე...

— არა, ჩემო კარგო, ღმერთი არ გაგვწირავს! თუ რამე უბედურება მოხდა, მაშინ აი, შენი პატრონი — თედომ მხიარულად აიტაცა ბავშვი. — ხედავ, რა ყოჩაღია! ის გიპატრონებს... ხომ მართალია, შვილო, ხომ მოუვლი დედას?

ბავშვმა გაიღიმა, თითქოს მართლა გაიგო მამის ნათქვამი. თედომ მაგრად აკოცა შვილს და დედას გადასცა. მერე წამოდგა, პაიპებზე ლეკვერთხები შემოიკიდა და სამზარეულოში გაიხედა.

— აი, უკვე მთვარეც ამოვიდა, დროა, გზას გავუდგე!

— გეხვეწები, ღღეს ნუ წახვალ, — ზალის თვალზე ცრემლი მოადგა.

— ხომ არ გადაირიე, დედაკაცო! — შეუტია თედომ. — შიმშილით გინდა მოვკვდეთ?

— როგორმე ოოლად წავალთ, დარჩი. იმ კვირას წადი...

— რატომ?

— ისე... მეშინია!

— რისა გეშინია! მგონი, პირველად არ მივდივარ, მადლობა ღმერთს! ახლა სხვებსაც ვასწავლი, შევაჩვევ... გეყოფა წუწუნი! არ დაგავიწყდეს, რომ ცხოვრება გვინდა. ჩვენ ხომ ნანადირევითა ვცხოვრობთ, ნუ გეშინია! ვასტირჯის იმედი იქონიე. სულმოკლე ნუ ხარ! ისეთ ჯიხეს ჩამოგიტან, იქნებ მერე შენ თვითონ შემეხვეწო, სანადიროდ წადიო!

— თედო, ჰაი თედო! — მოისმა ძახილი გარედან.

— მოვდივარ! — გასძახა თედომ. ჩამოიღო კედლიდან თოფი, ჩანთა, ყაბალახი და გარეთ გავიდა.

ძნელად სავალი გზა იყო თაგვის ბილიკი, მეტადრე ღამით. იგი ხან თოკივით იყო დაგრეხილი ციცაბო კლდეებზე, ხან ხვლიკივით მისრიალებდა ნაპრალებში, ხან კიდევ სრულიად იკარგებოდა ზვავებსა და ვეება ლოდებ-ქვეშ. ალაგ-ალაგ ბილიკი ისეთი ვიწრო იყო, რომ ფეხის დასადგამი არა რჩებოდა; ზოგან ხოხვა იყო საჭირო, მონადირეს ყოველი მხრიდან საფრთხე ელოდა, იგი შეეძლო გაესრესა დაგორებულ კლდის ნატეხს, ან ფეხი დასცდენოდა და ისეთ ადგილას გადაჩეხილიყო, სადაც მის ძვლებს ყვავებიც ვეღარ იპოვნიდნენ.

მონადირეებს მეგზურად თედო ჰყავდათ. იგი ოდნავ დაღლილი იყო, მაგრამ მაინც მარჯვედ მიუძღვებოდა ამხანაგებს.

— აღარ შემიძლია სიარული! — დაიკვნესა ერთმა გამოუცდელმა მონადირემ.

— ჰო, ჰო, საჭიროა დასვენება! — შესძახეს სხვებმაც.

— დასვენებისათვის არა გვცალია! — სთქვა თედომ, — გზაზე დაგვათენდება!

— ვინც მიდის, წავიდეს, მე მეტი აღარ შემიძლია, — გაისმა ისევ ის ხმა, რომელმაც წეღან სხვებიც აიყოლია.

— ეჰ, მხდალო! — დაუყვირა თედომ, — რა შენი საქმეა ჯიხეზე ნადირობა! შენ შინ უნდა იჯდე და ცომს ზელდე!.. ზაურბეგ! — დაუძახა თედომ ყველაზე უკან მომავალ ამხანაგს, — შენ ეს გზა ჩემზე ნაკლებად არ იცი! დარჩი მაგასთან. ჩვენ კი წავიდეთ, მზის ამოსვლამდე ულელტეხილზე უნდა ვიყოთ! მარდად გამოირეკეთ ჯიხვები, ისინი ჩვენ ტყვიებს ვერსად წაუვლენ.

— მეც აქ დავრჩები, — მორიდებით ჩაილაპარაკა მეორე მონადირემ.

— როგორც გინდა! მაშ თითო ჯგუფში სამ-სამი კაცი იქნება, წავიდეთ! — სთქვა თედომ და კვლავ დაიწყო ცოცვა კლდეზე.

გზა უფრო და უფრო უარესდებოდა, თედო ამხნევებდა ამხანაგებს, წამდაუწუმ ეუბნებოდა მათ, ფეხი სად დაედგათ ან რომელი ქვა უფრო საიმედო იყო ხელის მოსაკიდად, სად როგორი ნახტომი იყო საჭირო და სად.როგორი ნაბიჯი.

— მოიცადეთ! — დაიძახა უეცრად მეგზურმა: — მგონი ამ ადგილას ზვავი ჩამოსულა, ფეხის დასადგმელი აღარ არის.

მართლაც ბილიკი აღარ ჩანდა. თედომ წინ გაიხედა და დილის ბინდბუნდში კლდის ქიმი დაინახა გამოშვერილი. დაკარგული ბილიკი იმ ქიმთან გამოდიოდა და უფსკრულის ძირს მიჰყვებოდა. იქამდე ოციოდე ნაბიჯიც არ იქნებოდა, მაგრამ საჭირო იყო ისეთ დაქანებულ ფრიალოზე გადასვლა, სადაც ოდნავ შესამჩნევ წვეტებსა და ჯამისოდენა ჩაღრმავებულ ადგილებს თუ მოეჭიდებოდა კაცი, თორემ სხვა არაფერი იყო, რომ კაციშვილს ამ ხიფათიანი გზის დასაძლევად გამოსდგომოდა. მთის ხალხი ყრმობიდანვე შეჩვეულია ასეთ სიძნელეებთან ბრძოლას, ამიტომ ხიფათიან გზას არც ახლა შეუშინდნენ.

— მომეცით თოკი! — დაიძახა თედომ. თოკი წელზე გამოიბა და ფეხით ნიადაგი მოსინჯა.

— მაგრა გეჭიროთ!

— გვიჭირავს! — დაუძახეს ამხანაგებმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. თედო კატასავით მიცოცავდა შიშველ კლდეზე, ხელებს აცეცებდა, რომ კლდის ნაკეცი ან ღარი ეპოვნა.

— გამოუშვით!

— აჰაა! — გასძახეს ქვემოდან ამხანაგებმა და ნახევარ ადლზე გაუშვეს თოკი.

— კიდევ! — იძახდა თედო.

— აჰაა!

— კმარა! — მოისმა თედოს მხიარული ხმა და მალე თვითონაც გამოჩნდა კლდის ქიმზე: — აბა მარჯვედ, ნუ გეშინიათ!

მეორე მონადირე უფრო სწრაფად გადავიდა ფრიალოზე, რადგან ახლა თოკი ზვავს გაღმა იყო გატანილი. დადგა საბანას ჯერიც. იმანაც თოკი წელზე გამოიბა და გასძახა: „დაიჭითო!“ ერთხანს კარგად მიცოცავდა. თედო ნელ-ნელა ეზიდებოდა თოკს, ისმოდა საბანას ოხვრა და მოსხლტილი ღორღის ხმაური. ცოტაღა აკლდა საბანს, რომ სამშვიდობოს გასულიყო... ერთბაშად იგი მოსხლტა და ქვეით დაცურდა.

— უჰ! — აღმოხდათ მონადირეებს, მაგრამ თედოც მზად დაუხვდა ფათერაკს, თოკი თვალის დახამხამებაში ქიმს შემოახვია და საბანა უფსკრულის პირას დაეკიდა.

— ცოცხალი ხარ, ბიჭო! — ჩასძახა თედომ.

— ცოცხალი ვარ! — შემკრთალი ხმით ამოსძახა საბანმა. ამხანაგებმა იგი მალე ამოიყვანეს და გზას გაუდგნენ.

— მადლობა ღმერთს, აწი საშიში არაფერია! — სთქვა თედომ, როცა ისევ ბილიკს დაადგნენ.

მალე ისინი მონადირეთა ღამისსათევ ვაკე ადგილზე დაბანაკდნენ. აქ იმართებოდა ხოლმე თათბირი მომავალი ნადირობის შესახებ, აქ ჩამოჰქონდათ ნადირის ხორცი, ანთებდნენ ცეცხლს, აშიშვინებდნენ მწვადებს, მღეროდნენ საყვარელ სიმღერებს და მადიანი სუფრის შემდეგ კარგად გამოიძინებდნენ ხოლმე.

— ცოტა დაეისვენოთ! — მხიარულად სთქვა თედომ, თოფი და ჩანთა მოიხსნა. — ახლა შინა ვართ...

მონადირენი დასხდნენ და პურის ჭამას შეუდგნენ. თვითეულ მათგანს ჩანთაში ჰქონდა ქერის პური და მარილი. საბანას კი პატარა ყველის ნაჭერი გამოჰყოლოდა სახლიდან.

მოვიდა ნადირობის დროც. მონადირეებმა თოფები მოამზადეს, ზედმეტი ნივთები აქ დატოვეს, ერთმანეთს მშვიდობა უსურვეს და დათქმულ ადგილებისაკენ გაემართნენ. თედო ყველაზე მაღალ ადგილას უნდა ჩასაფრებულიყო, რომ ჯიხვს ადვილად მიპარეოდა. ამხანაგებს დაემშვიდობა და კლდიან აღმართს შეუდგა. ერთგან მოსახვევში ცოტა შეჩერდა, ამხანაგებს ქუდი დაუქნია და კლდეს მიეფარა.

დილის მზის სხივებმა ალისფრად შეღებეს ღრუბლიანი სენას მთის წვერი. შორს, ქვემოთ, შავად მოჩანდა დარიალის ხეობა. თედო ნელ-ნელა უახლოვდებოდა თავის საფარს. დიდი აღმართი ამოიარა და შეჩერება უნდოდა სულის მოსათქმელად. თოფს დაეყუდა, კლდეებს თვალი მოავლო და... მაშინვე დაინახა, ხელმარჯვნივ, პატარა აღმართზე ჯიხვების ჯოგი ბალახსა სძოვდა. სიხარულისაგან მონადირეს გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო. თოფი შემართა, მაგრამ მალე ისევ ჩამოიღო. ჯიხვები შორს იყვნენ, ტყვია ვერ მისწვდებოდა. თედომ იქაურობა შეათვალიერა, ჯიხვების ადგილსამყოფელს საიდან უფრო მიუდგებოდა კაცი. ორი მისადგომი გზა იყო: — ერთი ზემოდან მიჰყვებოდა კლდეებს. იგი მონადირისათვის უფრო მარჯვე იყო, მაგრამ გზაზე საფარი არა ჰქონდა და ჯიხვები კაცის დანახვაზე დაფრთხებოდნენ. მეორე გზით, მართალია, მონადირე უფრო ადვილად მიეპარებოდა მათ, ნიავიც პირუკუ ჰქროდა, — სამაგიე-

როდ ეს გზა საშიშ ფლატეს მიჰყვებოდა და კაცს დიდი სიფრთხილე ჰმართებდა.

— ეჰ, არა უშავს! — წარმოსთქვა თედომ და თავქვე დაეშვა ფლატესაკენ.

თოვლიან-ყინულიანი კლდეების შვილებმა, — ფერდობზე უდარდელად მონავარდე ჯიხვებმა რა იცოდნენ თუ რა უბედურება უახლოვდებოდა მათ. ერთი ჯგუფი უშიშრად სძოვდა ბალახს, მეორე — მშვიდად იწვა კლდის ბილიკზე. არასდროს არ უგრძვნია თედოს თავი ისე კარგად და მარჯვედ, როგორც ახლა. ნაცადი ნაბიჯით, წყნარად და აუჩქარებლად ეპარებოდა თედო ნიშანში ამოღებულ ნადირს. არც ერთი ქვა, მცირე რამ ღორღი არ დაუძრაეს ადგილიდან მის ფეხს. შეუჩერებლად მიიწევდა წინ და ყოველი ახალი ნაბიჯი ამხნევებდა, იმედს აძლევდა, რომ საწადელს მიაღწევდა. ცოტა კიდევ და... საუკეთესო ჯიხვს თოფს დაუმიზნებდა. სწრაფად იპოვნა პატარა ადგილი კლდის ბილიკზე, სადაც შეიძლებოდა დაჯდომა და თოფის გამართვა. თედოს თითქოს არც დაუნახავს, რომ იგი ახლა პირდაღებული უფსკრულის პირას იდგა, ზვავისაგან ჩამოტანილ ღორღზე. საკვაო იყო მცირე რამ ბიძგი, რომ მთელი ეს გროვა ამოძრავებულიყო და მონადირე უფსკრულში გადაეჩეხა.

თედოს თვალები ახლა მხოლოდ ჯიხვს ხედავდნენ და აი, კიდეც შემართა თოფი, დაუმიზნა, უეცრად ჯიხვი ადგილიდან დაიძრა და მეორე მხარეს გადავიდა. თედო უცდიდა, სანამ გაჩერდებოდა, კვლავ დაუმიზნა, მაგრამ ისევ დაუშვა თოფი. ჯიხვმა ახლა თამაში დაიწყო, რაც მონადირესათვის იშვიათ სანახაობას წარმოადგენს. თედო სულგანაბული შესცქეროდა რქადახვეულ ჯიხვს, რომელიც ერთბაშად უკანა ფეხებზე დადგა, თავი დაღუნა და სწრაფად გაექანა მეორე ჯიხვისაკენ, რომელიც კლდის ქიმზე იდგა. შორს გაისმა მათი რქების ჭახანი. კლდეზე მდგარმა ჯიხვმა დიდის ოსტატობით შეაკავა მაღლიდან წამოსული ტოლის იერიში.

მოჭიდავეებმა ადგილი იცვალეს, კვლავ ახალი გაბედული ნახტომი და რქების საკვირველი ჭახანი, ისევე მედგარი შეკავება, თითქოს ჯიხვი მუხლებამდე კლდეში იყო ჩაკირული. ვინ იცის, რამდენ ხანს გასტანდა ღონისა და მოხერხების საოცარი ჭიდილი, რომ თედოს გულში ვერაგულ ფიქრს არ გაევლო. მან განიზრახა, ერთი სროლით ორივე ჯიხვი გადმოეგდო. და სწორედ იმ დროს, როდესაც ჯიხვი ყალყზე შედგა და შურდულივით წამოვიდა დასაჯახებლად, თედომ ესროლა ქვემოთ მდგარ ჯიხვს და ორივეს მონადირის სურვილი აუცხადდა. ქვემო დაიჭრა, ზემოს აღარ დახვდა იერიშის შემკავებელი და ორივენი ნაპრალში გადაეშვნენ.

მონადირეს ძალიან გაუხარდა, მაგრამ სიხარულმა დიდხანს არ გასტანა. თოფის გრიალმა დანარჩენი ჯიხვები დააფრთხო. არ გასულა დიდი ხანი, ერთმა მათგანმა იმ ღორღის თავზე გადაირბინა, სადაც მონადირე იდგა. საშინელი ამბავი დატრიალდა. თედომ დაინახა, როგორ გადახტა ჯიხვი და როგორ შეინძრა ჯერ ერთი ქვა, მერე მეორე... მესამე... კიდევ წამი და ქვების მთელი ხროვა, მთელი ღორღი ამოძრავდა და მრისხანე გრიალით უფსკრულისაკენ დაქანდა. თვითეული კენჭი, ღორღის ნაშალი თან ეზიდებოდა ვეება ქვის ნატეხებს, ზვავის გრიალ-ზრიალი ქვეყნის დაქცევასავით გაისმოდა. მთელი ხეობა მტვერმა დაბურა.

ზვავი შეწყდა. სადღაც ძირს, ვიწროების სილრმეში ცოტახანს კიდევ ისმოდა ზრიალ-ხრიალი, მერე ისიც მიწყდა, მტვერიც გაიფანტა და ახლა კაცი ვერ იტყოდა, ამ ადგილას იყო თუ არა ოდესმე კლდის პატარა ბილიკი, ისე უკვალოდ გამქრალიყო ყველაფერი.

1893 წ.



სეკა გაღიათი

აზაუ

მაღლა, მდინარე არაგვის თავზე, გაშლილიყო აული განისი.

ოდესღაც, დიდიხნის წინათ, იქ ცხოვრობდა ორი მეზობელი: ბობა ხაჩინათი და ბიბო დუღუზთი. მათ ისე უყვარდათ ერთმანეთი, თითქოს ერთ ოჯახში დაბადებულიყვნენ, მაგრამ ორივენი უშვილონი იყვნენ, რაც მათ ძალზე ადარდებდათ. „არ დაგვრჩება მემკვიდრე“ — ნაღვლიანად ამბობდნენ ისინი.

მაგრამ, აი, ერთდაიმავე დროს ფეხმძიმედ შეიქმნენ თომიანი, ბიბოს ცოლი, და ყანუყონი, ბობას ცოლი. ქალებმა ერთმანეთს პირობა მისცეს, რომ თუ ვაჟები დაიბადებიან ძმები იქნებიან, თუ გოგოები — დები, ხოლო თუ ვაჟი და ქალი — ცოლი და ქმარი გახდებიან. ეს თავისი პირობა დიდის ფიცით განამტკიცეს.

დღეები დღეებს მისდევდა და აი, შობა ღამეს თომიანს ვაჟი, ხოლო ყანუყონს ქალი შეეძინა.

ბიბომ დიდი ქეიფი გადაიხადა: დაკლა ხარი და დაპატიჟა ხალხი. დღესასწაულის შესაფერისად ღუზღუზებდა ცეცხლი დუღუზთის დიდი სახლის ღუმელში. მთელ სოფელს მოჰფინა ქარმა მწვადების მაცდური და საამო სუნი. ორი გრძელი სუფრა გაშალეს სტუმრებისთვის. ბევრი კარგი სადღეგრძელო დაილია და ბოლოს სტუმრებმა გადაწყვიტეს, რომ დროა ახლად დაბადებულისათვის სახელი ამოერჩიათ. ბევრი სახელი ჩამოთვალეს და ბოლოს ჩვეულების თანახმად შუამავალი გაგზავნეს თომიანთან, რომ მას დაერქმია ბიჭისთვის ისეთი სახელი, როგორიც თვითონ უფრო მოსწონდა.

— შენ თვითონ დაარქვი რაც გინდა, მე კი ყველა სახელში უფრო მეტად თაიმურაზი მომწონს. — უთხრა თომიანმა შუამავალს.

შუამავალმა თომიანის სურვილი უფროსებს მოახსენა. უფროსებმა ბიჭს თაიმურაზი დაარქვეს და მისი სადღეგრძელო შესვეს.

ერთხელ თომიანი და ყანუყონი შეხვდნენ ერთმანეთს წყაროსთან. ყანუყონმა ჰკითხა თომიანს:

— მითხარი, ძვირფასო, შენი ბავშვი ღამღამობით არ ტირის?

— ო, არა, გენაცვალე, იმისთანა ანგელოზს, როგორც ჩემი ვაჟია, ვერ ნახავ. ხანდახან კიდევაც მავიწყდება ხოლმე, რომ მას ჩემს ახლოს სძინავს.

— უჰ, მე კი რა მტირალა გოგო მყავს! იქნება ღამღამობით ავი სული არ ასვენებს და ძილს უფრთხობს?

— განა შენ ნაკურთხი ავგაროზი არა გაქვს, ძვირფასო?

— ეგ რაღა მითხარი, ძმებს გაფიცებ.

— აი რა არის: ოთხშაბათს, წმიდა თუთრის დღეს, ადრე დილით ადგება მჭედელი, და, უზმო და უმზრახი გამოჭედავს ავგაროზს, ვისაც ამისთანა ავგაროზი აქვს, იმას არც ავი თვალის

და არც ბოროტი სულის არ ეშინია.

— ვაი, ჩემი კერის დავსებას, ეს რა მესმის! რატომ აქამდე არაფერი არ ვიცოდი მე უბედურმა.

— მგონია სადღაც უნდა მქონდეს კიდეე ასეთი ავგაროზი. ჭირმა წაიღოს მთელი ჩვენი დაგაურას გვარეულობა, ცხენის ჭამის მეტი რომ არაფერი იციან. იმ ავგაროზს შენ მოგცემ. შენი ქალიშვილი ხომ ჩემი მომავალი რძალია. — ღიმილით უთხრა თომიანმა.

— კი, კი, ჩემო ძვირფასო, წყალობდეს ჩვენს იმედებს მამაკაცების მფარველი წმინდა ხატი.

იმუსაიფეს და თავთავიანთ სახლებისაკენ გასწიეს. ამ ლაპარაკის შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე, ყანუყონმა დაუძახა ქალებს, კარგად გაუმასპინძლდა და სთხოვა მისი ქალიშვილისათვის ხელი დაერქმიათ. გოგონას აზაუ უწოდეს.

როგორც კი თაიმურაზმა და აზაუმ სიარული ისწავლეს, ისინი განუყრელნი გახდნენ. ხან ბობასთან თამაშობდნენ ერთად, ხან ბიბოსთან.

ერთხელ, როცა თომიანი და ყანუყონი ტყიდან დაბრუნდნენ, ასეთ სურათს წააწყდნენ: პატარა თაიმურაზი და აზაუ ბიბოს ეზოში ერთმანეთს ჩახუტებოდნენ და მაგრად ეძინათ. ბავშვებს გარს შემორტყმოდა დიდი შავი გველი. დაფეთებულმა ქალებმა იკივლეს. შეშინებული გველი სასწრაფოდ ჩამოცურდა და ბალახებში მიიმალა. ბავშვებმა გაიღვიძეს და ბედნიერი ღიმილით დედებს მიაშურეს.

ეს შემთხვევა ბავშვებს დაუმალეს, მაგრამ თომიანს და ყანუყონს არ ავიწყდებოდათ. მომწამველმა შიშმა დაიბუდა ქალების გულში და შხამავდა მათ ბედნიერ დედობას.

გადიოდა დრო. ახალგაზრდა ალვის ხეებიეთ იზრდებოდნენ დანიშნულები. მათთან ერთად იზრდებოდა მათი ერთმანეთისადმი სიყვარული.

უკვე ოც-ოცი წელი შეუსრულდათ მათ, მაგრამ ბობა და ბიბო სულ აგვიანებდნენ ქორწილს.

ერთხელ გაზაფხულზე ბიბომ თავის ნახირი მთებში გარეკა საძოვრებზე. ის ერთ მშვენიერ მინდორზე შეჩერდა და ნახირს იქ აძოვებდა. მოულოდნელად, მოსავლის დღესასწაულსა და ვაჟიშვილთა შეძენის დღეობის შუა მანძილზე თოვლი მოვიდა. მთელი ღამე თოვდა და დილას ყველაფერი სქელი თოვლით იყო დაფარული. მთის მწვერვალიდან საშინელი ზვავი მოწყდა და უბედური ბიბო თავისი ნახირით მოიყოლა ქვეშ. დიდხანს ეძებეს მისი გვამი და ვერ ნახეს. მხოლოდ მკვდრის სუნზე მოფრენილი ყვავები დასტრიალებდნენ თავს ვიწრო ხეობას.

მაგრამ აი, მზემ დააცხუნა. გადნა თოვლის საბანი. ბიბოს ცხედარი მოძებნეს და აულში წაასვენეს. თომიანის წივილ-კივილი და თაიმურაზის ზლუქუნი კლდეებსაც კი აზანზარებდა. ბიბო დამარხეს, უსურვეს მას საუკუნო განსვენება და დაიშალნენ.

ბიბოს დიდი სიმდიდრისაგან ბატკანიც კი აღარ გადარჩენილა ქელეხისთვის.

როგორც ცნობილია, ბედნიერება ღარიბთან არ მეგობრობს, ხალხიც შორს უელის უბედური კაცის სახლს.

ბობას გული გაუცივდა თაიმურაზზე და აზაუს გაასკეცებული სიფხიზლით დაუწყო თვალთვალი. ახლა შეყვარებულებს იშვიათად ჰქონდათ ბედნიერება მარტო ელაპარაკნათ. ყანუყონიც აღარ ემუსაიფებოდა თომიანს გულთბილად და როდესაც უკანასკნელმა ფიცი გაახსენა, ყანუყონმა მხოლოდ დაცინვით გაიღიმა და ზურგი შეაქცია.

მაგრამ რაც უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდებოდა თაიმურაზისა და აზაუს სიყვარული, მით უფრო ძლიერად ღვივდებოდა იგი. ბობა კი უკვე ეძებდა სხვა საქმროს თავის ქალიშვილისათვის. და აი ბიგანოვების მდიდარმა ოჯახმა მაშვალი გაუგზავნა აზაუს. მოვიდნენ მაშვლები ბობასთან, დიდხანს ისხდნენ მასთან აივანზე და ურჩევდნენ ქალის გათხოვებას. მაგრამ ბობა, მიუხედავად იმისა, რომ სიამოვნებდა ასეთი მდიდარი ოჯახის დამოყვრება, უცბათ არ დათანხმდა. დიდხანს იდავეს, ივაჭრეს, ასწონდასწონეს და ბოლოს მორიგდნენ. ბობა დათანხმდა მიეღო ურვათის სახით სამოცდათი ძროხა.

აზაუ კარს უკან იდგა და მთელ ამ ლაპარაკს ყურს უგდებდა. როცა მიხვდა, რომ მისი ბედი საბოლოოდ გადაწყდა, გული რისხვით აუდუღდა.

— სცადონ ჩემი გათხოვება, — წაიჩურჩულა აზაუმ და ლოყებზე დაგორებული ცრემლები მოიწმინდა — მხოლოდ სცადონ...

აზაუ დედასთან გაიქცა.

— ჩვენს ბებერ მგელს უნდა იმ დათეს მიმათხოვოს, რას გაჩუმებულხარ, ნანა? — აზაუ მწარედ აქვითინდა.

— ჩემო შვილო, სიღარიბეს, როგორც სირცხვილს, ყველა გაურბის, შენ კი მისკენ მიისწრაფვი. რითი გინდათ იცხოვროთ? ბედნიერება მხოლოდ სიმდიდრეშია. ისწავლე შენი გულისწადილის დათრგუნვა.

— ნანა, განა შენ დაგავიწყდა ის, რასაც თვითონვე მუუბნებოდი ოდესღაც?

— არა, არ დამავიწყდა, გენაცვალე, მაგრამ ისინი ახლა მათხოვრები არიან, არაფერი არ გააჩნიათ, შენ კი მიჩვეული ხარ კარგ სმა-ჭამას, რბილად წოლას. როგორ უნდა იცხოვრო შენ დეღეუზათის სახლში?

— ხალხი მარტო თავის კუჭისთვის ცხოვრობს განა? — ამბობდა ზლუქუნით აზაუ.

— დაწყნარდი, შვილო, ვეცდები მამაშენი დავიყოლიო, არ გავათხოვებინებ შენს თავს.

მაგრამ ეს ტყუილ-უბრალო ნუგეში იყო. აზაუ დანიშნეს.

ახალგაზრდა ქალი ჩამოხმა, გაყვითლდა, თვალებიდან იგი რისხვის ცეცხლს აფრქვევდა, ლამაზი ბაგე მკაცრად მოკუმა... მაგრამ ბობა და ყანუყონი ამის გამო დიდად არ იწუხებდნენ თავს.

— მიეჩვევა და შეუყვარდება, — ამბობდნენ ისინი.

მაგრამ ორთავენი სცდებოდნენ. აზაუ ღრმად ინახავდა გულში თაიმურაზის სახეს. მისი სახელი ცეცხლის ასოებით იყო აზაუს სულში ჩაწერილი. ერთხელ აზაუს მინდორში სადილი მიჰქონდა მუშებისათვის და უცბად პირისპირ თაიმურაზს შეეჯახა. ისინი მდუმარედ ჩასცქეროდნენ ერთმანეთს თვალებში, ორთავეს დაავიწყდა უფსკრული, რომელიც ახლა მათ შორის იყო. პირველი თაიმურაზი მოვიდა გონს.

— ბედნიერი იყოს შენი არჩევანი, ქალო. ძალიან ილბლიანად თხოვდები. — უთხრა მან.

აზაუ აილეწა და თვალები ცრემლებით აევსო.

— ჩემთვის ბედნიერება აღარ იქნება, შენ მაინც იყავი ბედნიერი. — უთხრა აზაუმ.

თაიმურაზი გაჩუმდა და მერე უთხრა:

— მამის ხსოვნას გეფიცები, სანამ სული მიდგია, არავის ნებას არ მივცემ, რომ შენ ცოლად წაგიყვანოს.

— ღვთის გულისთვის დამივიწყე. ამომიგლეჯე გულიდან. მთელი აულის სასაცილოდ ნუ გამხდი.

— არა, არა, აზაუ, თუგინდ მთელი ქვეყანა წინ აღმიდგეს, მე მაინც შენს თავს არავის მივცემ.

— თავს ნუ იღუპავ, თაიმურაზ, მე რომ შენ მკვდარი გნახო, ვერ ავიტან, დამივიწყე, გულიდან ამომიგლეჯე, ფეხით გათელე ჩემი სახელი.

— სიყვარულმა გონება ამირია, ჩაფიქრების უნარიც კი დავკარგე, სული მეწვის, ისე დავნატრდი შენს სიყვარულს. მითხარი: ჩემი ხარ თუ არა?

აზაუ სდუმდა. იცოდა რომ „არა“ უნდა ეთქვა, მაგრამ ძალა არ შესწევდა დაეგლეჯა სიყვარულის საამური ბორკილები. უნდოდა ეთქვა „კი“, მაგრამ იცოდა, თუ რა საშინელი იქნებოდა ამ მოკლე პასუხის შედეგი, ამიტომ სდუმდა და მანდილის ფოჩებს სძიძგნიდა. სიყვარულმა, ძარღვებში რომ ტკბილად უელიდა, დაათრო ქალი და აზროვნება დაუხშო. აზაუმ ჩუმად წარმოსთქვა:

— არც ასე უბრალო საქმეა სხვისი საცოლეს წართმევა.

თაიმურაზმა გაიძრო ქარქაშიდან ხანჯალი, მიწაში ჩასცა და უთხრა:

— ამ მიწას გეფიცები, ლურჯ ცას გეფიცები, რომ ჩვენ მხოლოდ სამარე დაგვაშორებს.

— თაიმურაზ, გემუდარები, დამივიწყე. უბედურება გველის.

არ არსებობდა ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლო თაიმურაზის სიჯიუტე გაეტეხა, მაგრამ ყური მიუგდო აზაუს ვედრებას, ჩახედა მის დიდ, სიყვარულით სავსე თვალებს და დაემორჩილა.

— ეჰ, ქალაუ... — ამოიოხრა და დადუმდა — შენ ჩემზე ბედნიერი ხარ. — განაგრძო მან, როდესაც ოდნავ დამშეიდდა, — შენ გყავს კაცი, რომელთანაც მთელ შენს სიცოცხლეს გაატარებ, მე კი... მე კი სიკვდილის მეტი არაფერი დამრჩენია!

თაიმურაზმა რევოლვერი გაიძრო და აზაუს გაუწოდა:

— ჩემთვის ტყვიას ნუ დაიშურებ. შენი საკუთარი ხელით მომკალი.

ამას ეუბნებოდა და მთელი ტანით კანკალებდა.

სიყვარულმა, რომელიც თითქოს შურს იძიებდა იმის გამო, რომ ამდენ ხანს მალავდნენ, ახალი ძალით იფეთქა აზაუს გულში. ქალს ყველაფერი დავიწყდა და თაიმურაზს გულზე მიეკრა. მათი ტუჩები ერთმანეთს შეხვდნენ. ორთავენი მდუმარედ დაეშვნენ ბალახზე.

მხოლოდ კოცნის ხმა არღვევდა გავარვარებულ შუადღის ჰაერის სიჩუმეს. ვინ იცის, რამდენხანს ისხდებოდნენ ასე, მაგრამ შეუმჩნეველად წამოვიდა ღრუბელი, ატყდა ჭექა-ქუხილი. ქალ-ვაჟი იძულებული გახდა ერთმანეთს განშორებოდა.

ამ დღიდან შეყვარებულები მთელი თავისი სურვილებით, მთელი ძალ-ღონით მიისწრაფოდნენ ერთმანეთისაკენ.

თომიანმა უსასრულო ქელეხების გადახდით კიდევ უფრო გააღატაკა თავისი ისედაც ღატაკი ქოხი. აი, კიდევ დარჩა შავების გახდის ერთი ქელეხი.

ეს იყო გაზაფხულზე. თომიანმა იყიდა ბატკანი და ხალხს დაუძახა. ნაცნობ-ნათესავები დასხდნენ, შესვეს გარდაცვლილის შესანდობარი და წავიდ-წამოვიდნენ, არ წასულა მხოლოდ თაიმურაზის ხუთი ახალგაზრდა ამხანაგი.

ისინი მაგიდას უსხდნენ და თაიმურაზის ბედიღბალზე მუსაიფობდნენ. დიდხანს ბჭობდნენ და ბოლოს გადაწყვიტეს, რომ თაიმურაზს შერთონ აზაუ. მაგრამ თაიმურაზს არ შეეძლო ურვათის გადახდა, ისე კი რომელი ოსი გაათხოვებს თავის ქალს? ამიტომ მეგობრებმა გადაწყვიტეს აზაუს მოტაცება.

თაიმურაზს უნდა გაეფრთხილებია აზაუ, რომ ხვალ ღამით მოიტაცებდნენ. საღამოს ბინდბუნდში თაიმურაზი შეიპარა ბობას სახლში და ყველაფერი უამბო აზაუს. აზაუმ უარი განაცხადა. მან იცოდა, რომ ბობა მის თავს არაფრით არ მისცემდა თაიმურაზს. თაიმურაზს ხომ თითქმის არაფერი არ გააჩნია. ამას გარდა ბიგანეთის ოჯახი ძალზე ძლიერი იყო და არასოდეს არ შეურიგდებოდა იმას, რომ მათთვის ცხვირის წინ გასათხოვარი ქალი აერთმიათ. ეს მოტაცება გვარეულობაში ჩამოაგდებდა მოსისხლეობას.

მაგრამ სიყვარული ყველაფერზე ძლიერია. აზაუს გული თაიმურაზისაკენ მიუწევდა და ბოლოს დათანხმდა.

— შენ თავს იღუპავ ჩემი გულისთვის, უღირსი ქალისთვის, მაგრამ როგორც გინდოდეს. — უთხრა ქალმა.

მეორე ღამეს თომიანმა კვლავ გაშალა სუფრის მოსახსენებელი სუფრა და მოხუცებს დაუძახა. ბობაც მოიპატიჟეს. ბობამ მადლობა თქვა და ბიბოს სახლში მოვიდა.

როგორც კი მიუჯდა ბობა სუფრას, მაშინვე ექვსი გამტაცებელი თაიმურაზის მეთაურობით ბობას სახლისაკენ გაეშურა. ყამბოლათი, ერთ-ერთი ჭიმტაცებელთაგანი, ბობას აღზრდილი, თაქამად შევიდა სახლში. დაინახა თუ არა აზაუ, ანიშნა, რომ მის წასაყვანად მოვიდნენ. აზაუ ეზოში გამოვიდა, იგი ცხენზე შესვეს და მოკურცხლეს.

აულში საშინელი ალიაქოთი ატყდა. ყანუყონი თმებს იგლეჯდა და შველას ითხოვდა. საჩინაანი და ბიგანაანი გატაცებულს დაედევნენ. ბობაც მათ მიჰყვა.

მდევრებმა თავი დაუარეს გამტაცებლებს და ბატარა ბილიკით გზა გადაუჭრეს. კლდიან მთის ბატარა მოედანზე ბრძოლა გაიმართა. შეიქნა თოფის სროლა, წიოდნენ ტყვიები, ელავდნენ ხანჯლები, და არავინ იყო, რომ ეს საშინელი სისხლისღვრა შეეჩერებინა. ათი კაცი მოკვდა. მძიმედ დაჭრილი თაიმურაზი ურსთუალთაში წავიდა, დედის ნათესავებში. აზაუ კი კლდის ნაპრალში დაიმალა. საჩინაანმა და ბიგანაანმა ბიბოს სახლი მიწასთან გაასწორეს, თომიანმა მეზობლებს შეაფარა თავი.

მეორე დღეს ხალხი შეიკრიბა. ყოველი მხრიდან მოდიოდნენ შიკრიკები. მოსისხლეთა შორის გავლენიანი შუამავლები ჩაიყენეს. ძლივს მოახერხეს თავიდან აეცილებინათ ახალი სისხლისღვრა. გაჭირვებით დაამყარეს არასაიმედო ზავი. საქმის გარჩევა კვირისათვის გადასდეს, შემდეგ მკვდრები დაასაფლავეს და დაიშალნენ.

კვირას ნაკურთხ მინდორზე კვლავ შეიკრიბა ხალხი. ელოდებოდნენ მოხუც მისთალა რუბათს. ბოლოს ისიც მოვიდა ჯოხით ხელში. ქარი უნიავებდა მოხუცს აბრეშუმივით თეთრ წვერს.

— სიკეთე და მშვიდობა თქვენს შეკრებილობას! — თქვა მოხუცმა, როცა ხალხს მიუახლოვდა.

— იცოცხლე მისთალა, მშვიდობა და ბედნიერება არ მოგაკლდეს! — უპასუხა ხალხმა.

ბჭობა დაიწყო. დიდხანს ილაპარაკეს, ბევრი იდავეს და ბოლოს გადაწყვიტეს: თაიმურაზი დამნაშავეა, იმან შეაცდინა ბიგანაანთ საპატარძლო და გაიტაცა. აზაუც დამნაშავეა: უკვე დანიშნული, დათანხმდა თაიმურაზს გაჰყოლოდა. იმათ გამო სოფელი დიდ უბედურებაში ჩავარდა. საუკეთესო ახალგაზრდები დახოცეს, ორი გვარი ერთმანეთს მტრად გადაეკიდა. უთანხმოება და არეულობა

დაიწყო მეგობრულ, მშვიდობიან აულში. მაგრამ დამნაშავეა აგრეთვე ბობაც: რატომ ათხოვებდა ქალიშვილს მისი თანხმობის გარეშე?

ზოგნი ამბობდნენ, რომ დამნაშავენი ქვით ჩაექოლათ, ზოგი მოითხოვდა მათს სიკვდილს, მაგრამ უმრავლესობამ დაადგინა: დამნაშავენი განედევნათ.

დავობდნენ დიდხანს და ხმამაღლა. ბოლოს მისთალა ადგა და თქვა:

— მშვიდობა ნუ მოგეშალოთ, კეთილო ხალხო.

ჩამოვარდნილ სიჩუმეში გაისმა მისი ამაღელვებელი სიტყვები:

— ჩვენ ყველა ერთი ხალხი ვართ, ერთი ოჯახი რომელი თითიც არ უნდა მოვიჭრათ, ყველა მტკივნეულია. ჩვენ ხელთ არაა არც სიცოცხლე და არც სიკვდილი. ჩვენი მსაჯული ღმერთია. სიკვდილის განაჩენის გამოტანით ჩვენ ვარღვევთ ღვთის კანონს და ვღუპავთ ჩვენი ოჯახის ორ წევრს. შევრისხოთ ისინი, მეგობრებო, უარი ვთქვათ მათზე.— თქვა მოხუცმა და თვალზე მომდგარი. ცრემლი მოიწმინდა. — ბობას კი სასჯელის სახით დავუკლათ ხარი და შევაკეთოთ ხიდი, რომელიც სადაცაა დაინგრევა.

მისმა გულწრფელმა სიტყვამ, მისმა აღელვებამ მოალბო ხალხის გული და ყველა დაეთანხმა ამ წინადადებას. მაშინ მისთალა დეკანოზს მიუბრუნდა და წარმოსთქვა:

— დავდვათ ხატში ნიშანი, წმინდა ნიშანი, ჩემო მეგობრებო.

საზარლად გაისმა თაიმურაზის და აზაუს ზარზეიმით გმობა:

— ის, ვინც მათ სახლში შეუშვებს, ის, ვინც მათ წყალს და საჭმელს მიაწოდებს, ვინც მათ ნახირს თავის ნახირთან აძოვებს, იმას ეწიოს წმინდა მფარველის ლომისის რისხვა.

დეკანოზმა ზარი დარეკა. გააკეთეს სამღვთო ნაჭდევები და საკურთხევლის შიგნით დადვეს. მოსისხლეებს ამოგლიჯეს თითო ღერი ულვაში და ისიც საკურთხევლის შიგნით დადვეს. მერე მოსისხლეებს პირობა დაადებინეს, რომ ისინი ერთმანეთის მტრობაზე ხელს აიღებდნენ.

და ამის შემდეგ დაიშალნენ.

აზაუ გამოქვაბულში დაიმალა, მაგრამ გვიან საღამოს, როცა შიმშილი და წყურვილი ვეღარ აიტანა, აულში მოვიდა. სოფლის განაპირას ცხოვრობდა ერთი მარტოხელა ღარიბი ქალი, სახელად დისა. აზაუ მასთან წავიდა. ფრთხილად მიიპარა და შეღებულ კარში შეიხედა. დისა მარტო იყო და ლოცულობდა. მაგიდაზე მის წინ ჭადი იდვა.

— ღმერთო! მიეც ხალხს შვება, დაე მეც მაძღარი ვიყო. ღმერთო! თუ ქვეყანაზე კიდევ მოიპოვება ჩემსავით ღატაკი, შეიწყალე ის.

შემდეგ დისამ გატეხა ჭადი და ჭამა დაიწყო.

ასეთი გულწრფელი ლოცვის გაგონების შემდეგ აზაუ გათამამდა. კარს ოდნავ შეეხო. კარი აჭრიალდა და ამ ხმაურზე დისამ გარეთ გაიხედა.

— ვინ არის? — იკითხა ქალმა.

აზაუმ ქოხში შეაბიჯა.

— ჩუმად, — უთხრა მან — ეს მე ვარ.

— ღმერთო, აზაუ? შენ ხომ შეგრისხეს! რა გიყო ახლა მე შენ? — უთხრა დისამ და ქოხში შეჰყვა.

კერაზე ფიჩხი ხან აბრიალდებოდა, ხან ისევ ჩანელდებოდა. აზაუ და დისა კერას მიუსხდნენ. დისამ წინ ჭადის ნატეხები დაუწყო და უთხრა:

— ღმერთმა მაპატიოს, რომ შერისხვის ფიცი გავტეხე, მაგრამ ადამიანს რომ გაჭირვებაში დაეხმარო, ეს ხომ დანაშაული არაა. ჭამე, გენაცვალე, ჭამე, სახეზე ფერი აღარა გაქვს.

აზაუს ღრმად მორღვეული თვალები ძლივს ციალებდა, მისი ლამაზი ტუჩები გამხმარიყო, დახეთქილიყო და საცოდავად თრთოდა. ენა წყურვილისაგან გაშრობოდა და აღარ ემორჩილებოდა.

— დიახ, დიახ... — იმეორებდა ის — განა იმის ღირსი ვარ, რომ პატიოსანმა ხალხმა სახლში შემიშვას? ვაი და ვუი ჩემს თავს. ალბათ ისეთ ლექსებს გამოთქვამენ ჩემზე, თავს მომჭრიან. — აზაუმ თავსაფრის წვერით ცრემლები მოიწმინდა.

— კარგი, ჭამე, ჭამე, გულს მოგეშვება.

აზაუმ პირში ჩაიდო ჭადის პატარა ნატეხი, მაგრამ ყელი შეეკრა და გადაყლაპვაც ვერ მოახერხა. დისას დანაოჭებულ ლოყებზე ცრემლები დაუგორდა.

— წყალი მაინც დალიე, შე უბედურო, — უთხრა დისამ და წყალი შიუტანა. აზაუმ ცოტა მოსვა და დუმილის შემდეგ ჰკითხა:

— იმას რაღა დაემართა?

— საბრალო თაიმურაზზე მეკითხები?

აზაუმ უსიტყვოდ დაუქნია თავი და ცრემლები მოიწმინდა.

— ის ურსთუალთშია, დედის ნათესავებში. ჯერ ჭრილობები არ მორჩენია, მაგრამ ამბობენ რომ საშიში აღარ არისო.

— დისა, დისა, აქა ხარ? — დაუძახა ვიღაცამ ქუჩიდან.

დისა სწრაფად გავიდა, აზაუ გოდორს ამოეფარა და იქ დაიმალა. რომელიღაც მეზობელმა საწყალ ქალს ხორციანი წვენი მოუტანა. დისამ გამოართვა ჯამი და მადლობა უთხრა. შემდეგ სახლში დაბრუნდა, კარი მაგრად მიხურა და აზაუს დაუძახა:

— აზაუ, სადა ხარ?

აზაუ გამოვიდა საფარიდან. დისამ წვნიანი წინ დაუდგა და უთხრა:

— ეს ღვთის ნაჩუქარია, მე აღარ ვიცოდი, რა ზეპვია შენთვის. — დისამ სწრაფად დაჭრა ხორცი.

აზაუმ კვლავ ჩაიდო პირში ლუკმა, მაგრამ კიდევ ვერ გადაყლაპა. მაშინ დისამ ხელში კოვზი მისცა.

— წვენი მაინც ჭამე, გეუბნები, უკეთ გახდები.

აზაუმ რამდენიმე კოვზი წვენი შეჭამა და ლოყები ოდნავ ვარდისფერი გაუხდა. ნავახშმევს დისამ უთხრა:

— დაგტოვებდი ამაღამ, მაგრამ აქ რომ დაგინახონ, ორთავეს არ აგვცდება უბედურება. ჯობია მითხარი, სად იმალები და იქ მოგიტან ხოლმე საჭმელს.

აზაუ ადგა.

— შენ ახლა ჩემთვის მშობელ დედაზე უკეთესი ხარ. გაჭირვებაში მომხედე. ოღონდ არ გამცე.

— არა, გეფიცები ზვავის ქვეშ დამარხულ ჩემს ჯანასპის, არავის ერთ სიტყვასაც არ ვეტყვი.

— მთა „მაგარი"-ს ახლოს გამოქვაბულში ვიმალები, შესასვლელი გვიმრით დავფარე. ახლა ეს გამოქვაბულია ჩემი სახლი. — უთხრა აზაუმ.

ამის შემდეგ ყოველ დღე მიჰქონდა დისას საჭმელი აზაუსთვის, აულში კი ლაპარაკობდა, რომ მოცხარისა და ჟოლოსათვის დადიოდა.

მაგრამ დადგა შემოდგომა. მზის ირიბი სხივები ოდნავ ათბობდა დედამიწას. მალე ზამთარმაც გაახვია თეთრ ქურქში მაღალი მთები. გამოქვაბულში დარჩენა შეუძლებელი გახდა. აზაუს ან თოვლი ჩაქოლავდა ან ზვავი დამარხავდა.

თან თაიმურაზზე ფიქრიც არ ასვენებდა აზაუს, მისი სახე არ სცილდებოდა თვალთაგან დ შეუნელებლად იზიდავდა თავისკენ.

და ერთხელ, ქათქათა მთვარიან ღამეს, როცა აქა-იქ მოფენილი იყო მხიარულად მოციმციმე ვარსკვლავებით, ხოლო მდუმარე კლდეებს ჩრდილები გადმოეფინათ ბილიკებზე, აზაუმ გადაწყვიტა თაიმურაზთან გაქცეულიყო.

აზაუმ აიკეცა თავისი ძველი კაბა და გამოქვაბულიდან გამოვიდა.

დღესავით ნათელი ღამე იყო. მაგრამ როცა აზაუ უკაცრიელ ქელის მთასთან მივიდა, ცას შავი ღრუბლები გადაეფარა და წყალთოვა წამოვიდა. ჩრდილოეთიდან მოახლოებული ქარბუქი კლდეებიდან კლდეებზე ხვავიანად აბნევდა თოვლის ნაჭერებს. ქარბუქი აზაუს მკერდზე ეხეთქებოდა, თვალებს უბრმავებდა, სველი თოვლი კისერს უვსებდა, მაგრამ ქალი მაინც ჯიუტად მიიწევდა წინ. „საუ ძუარის" აღმართზე ზიუდან და გუდანიდან მოდენილი ცხვრის ფარა დაინახა. აზაუს მეცხვარის ძაღლები გამოეკიდნენ და დაფეთებული ქალი დიდ ქვას ამოეფარა.

ძაღლების ყეფაზე მწყემსი მოვიდა და ქვის უკან შეშინებული აზაუ დაინახა. მწყემსმა მტაცებელივით შეათვალიერა აზაუ და უთხრა:

— წამოდი ვივახშმოთ.

აზაუ მიხვდა, რომ აფთრის საშინელ კლანჭებში ვაება, მაგრამ მაინც ბრძოლა გადაწყვიტა.

— თავი დავანებე. ჩვენ ურსთუალთაში მივდივართ, მე ჩემს ამხანაგებს ველოდები, ისინი ჩემს უკან მოდიან. — უთხრა ქალმა.

აზაუს ათასნაირმა ფიქრმა გაუელვა თავში. როგორ უნდოდა ქცეულიყო თაგვად და სოროში ჩამძვრალიყო, ან მიმინოდ, რომ ცის კიდურზე ატყორცნილიყო. ოჰ, ქარს რომ შეეძლოს თაიმურაზს მიუტანოს მისი ძახილი მიშველეო! მაგრამ... მაგრამ საშინელებას დაღებული ხახა მის წინ კრეჭდა კბილებს და ყოველ წუთში მზად იყო გადაეყლაპა უბედური გოგონა.

დანარჩენი მწყემსებიც მოვიდნენ. მათ წაიყვანეს აზაუ, ცეცხლთან დასვეს და ნაბადში გაახვიეს. მაგრამ რაც უფრო უელიდნენ მწყემსები,

მით უფრო უმძიმდებოდა ქალს გული და კუშტად უარობდა ყოველგვარ დახმარებას.

მწყემსები აჩქარებით ემზადებოდნენ წასასვლელად, რათა ეხსნათ ფარა ქარბუქის საშიშროებისაგან.

მათი მზადება რომ დაინახა, აზაუ მიხვდა, რომ ხსნა აღარსად იყო და მწარედ აქვითინდა.

— გამიშვით, — ემუდარებოდა იგი, — მე მოვკვდები, მე სხვა მიყვარს... მე თქვენთვის არ ვვარგივარ.

მაგრამ ბოდი, მოკლედ მოვჭრათ.

ფარა დაიძრა. გუგუა, სწორედ ის მწყემსი, რომელმაც პირველად ნახა აზაუ, ცხენზე მოეკლო, ქალი უკან შემოისვა, მაგრად მიიკრა თავისთან ყაბალახით და უკუნეთ ღამეში ჭენებით გაუდგა გზას.

მეორე დღეს მზე ბრწყინავდა. მწვერვალიდან მწვერვალზე გადაქიმულიყო მხიარულად აელვარებული სხივების მოციმციმე ქსელი. ყველაფერი ოთელს დაეფარა, მხოლოდ აქა-იქ მუქად გამოიყურებოდნენ ქარაფთა ნაპრალები. დისამ ჩვეულებისამებრ მოიტანა საპმელი გამოქვაბულში, მაგრამ იქ არავინ დახვედრია. დიდხანს უძახა აზაუს, ეძებდა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო და დისა ტირილით დაბრუნდა სახლში.

გუგუამ ცოლად წაიყვანა აზაუ. თითქო მახრჩობელა გველით ყოფილიყოს შემოსილტული, ისე ფართხალებდა და იგუდებოდა აზაუ გუგუას მკლავებში. დღეები წუთებივით გარბოდნენ, ღამეები კი თითქოს წლებად ჭიანურდებოდნენ. ყოველ გათენებას ისე ელოდა, როგორც შვებას და ამომავალ მზეს ყოველთვის თაიმურაზის სახელს ავედრებდა. სიცივისაგან აკანკალებული გასათბობად მზიგულს აშურებდა და როდესაც სხივები მას სხეულზე ელამუნებოდნენ, აზაუს ეჩვენებოდა, თითქოს თაიმურაზის ნაზი ხელი ეალერსებოდა. ასეთ წუთებში გული უცოცხლდებოდა და ფიქრობდა:

„ვინ იცის, თუკი ჩვენ ამ ქვეყნად არასდროს არ შეეხვდებით, იქნებ საიქიოში მაინც ვინახულოთ ერთმანეთი".

ბევრჯერ უნდოდა გაქცევა, მაგრამ გზა არ იცოდა.

გადიოდა წლები. აზაუმ ორი ვაჟი გააჩინა, მაგრამ შვილები მამას დაემსგავსნენ, უხეშნი, გულქვები და აზაუც არ გრძნობდა მათ მიმართ დედურ სინაზეს.

მთელი მისი ფიქრები და გრძნობები წინანდებურად თაიმურაზთან იყო. არაფერი არ იცოდა მის შესახებ და სულ ელოდა, რომ დადგება დრო და ვინმე მოუტანს ამბავს.

თაიმურაზი მძიმე დაკრილი იყო, მაგრამ ახალგაზრდობამ და ჯანსაღობამ თავისი გაიტანა და ცოცხალი დარჩა.

ის დედის ძმებთან ცხოვრობდა და ცხვარს მწყემსავდა. მთვარიან ღამეებში იგი დიდხანს შესცქეროდა ხოლმე მოწმენდილ ცას.

— ოჰ, პირბადრო მთვარეე, — ამბობდა თაიმურაზი, — იქნებ სადმე შორს, აზაუს შავი თვალები შენსკენაა მოპყრობილი! ოჰ, ნათელო ციისკარო, ხომ არ ტირის ახლა შენი ელვარების შემაცქერალი აზაუ. ან იქნებ ყოველად შემძლე ბარასთირო, მისი თვთრი ტანი მიწაში ლპება?

ასეთ ნაღვლიან ფიქრებში განთიადი წამოადგებოდა ხოლმე თაიმურაზს თავზე. ორჯერ აზაუს საძებნელად წავიდა, მაგრამ ვერც ერთჯერ ვერაფერს გახდა.

ნათესავები ცოლის შერთვას ურჩევდნენ. ბევრ კარგ ქალს ურიგებდნენ და მართალი უნდა ითქვას, მისი ახოვანი ტანისა და მშვენიერი სახის შემხედვარე, მრავალი ქალიშვილი ოხრავდა ჩუმად. მაგრამ თაიმურაზი უარზე იყო, ან კი ვის შეეძლო მისთვის აზაუს შეცვლა?

თაიმურაზი გახდა, დასუსტდა და ბოლოს ლოგინად ჩავარდა. დაუძახა თავის ნათესავებს და უთხრა:

— მე ვკვდები, მოგხმარდეთ ჩემი ნაშრომი. როცა მოვკვდე, ჩემი ნეშტი წაიღეთ განისში და მამის გვერდით დამმარხეთ.

თაიმურაზი გარდაიცვალა. მისი ნეშტი განისს წაიღეს და მამის გვერდით დაასაფლავეს. საფლავზე ყარაღაჯის ჯვარი დადგეს. ამ ჯვარმა ფესვები გამოიღო და გაიზარდა. დღესაც შეიძლება ნახოთ განისის სასაფლაოზე ყარაღაჯის უზარმაზარი ხე, აქ არის თაიმურაზის სამარე.

დრო გადიოდა, კავკასიაში რუსები მოვიდნენ. გზები გაიხსნა, დამყარდა ქაშირი, ყველაფერი დაწყნარდა და აზაუსაც მისდიოდა ამბები სამშობლოდან, მაგრამ კრინტიც არ ისმოდა თაიმურაზის შესახებ. მაშინ მან გადაწყვიტა განისს წასვლა.

გაზაფხული იდგა, ყველაფერი გაცოცხლებულიყო. მთელი მკერდით ამოისუნთქა სამხრეთის ნიავმა და მთის კალთები ყვავილების და მწვანის ჭრელი ტანსაცმლით შეიმოსა. ყველგან სიცოცხლე დუღდა. ბუნებაში ყველაფერი დაწყვილდა: ფრინველები, მწერები, თევზები. ყველა მღეროდა გაზაფხულის სიცოცხლის გაღვიძების სასიხარულო სიმღერას.

მხოლოდ აზაუს გაყინული გული არ გამთბარა. ეულად მიაზოზინებდა თავის გაუხარელ ცხოვრებას. ნაღვლიანი და განუწყვეტელი ფიქრი თაიმურაზზე მოსვენებს არ აძლევდა.

ერთხელ თავის ქმარს უთხრა:

— მრავალი წელი ვიმუშავე შენს ოჯახში. აქ დავბერდი, ჩემი სამშობლო დამავიწყდა, არც დედის, არც მამის საფლავი არ მინახია, ნათესავებმა დამივიწყეს და ასე თუ მოვკვდი, ცოდვა შენ დაგედება. გთხოვ, გამიშვი სამშობლოში, ჩემი მშობლების საფლავს მოვინახულებ.

გუგუა არ შედავებია.

აზაუ ამაღლების დღესასწაულისთვის მოემზადა, არაყი გამოხადა, ლავაში გამოაცხო, ცხვარი ოყიდა, ურემი შეაბა, თავისი ერთ-ერთი ვაჟი თან წაიყოლა და გზას გაუდგა.

გზაზე ქალს სახიდან მწუხრის ღრუბლები გადაეყარა და ნელ-ნელა მისი გული იდუმალმა სიხარულმა მოიცვა. დამჭკნარ ღაწვებზე წითლად აუციაგდა სისხლის წვრილი ძაფები, შავი თვალები უეცარი შუქით გაბრწყინებოდა და გული გამოუქმელი ნეტარებით უცემდა.

თაიმურაზის სახე წამისწამ უელავდა თვალწინ, მაგრამ საქმე სხვაგვარად დატრიალდა. სწორედ მზის ჩასვლისას მიაღწიეს განისს. სოფლის ბოლოს მათ მოეგება ხანში შესული ქალი მაგდა, აზაუ იცნო და გახარებული გადაეხვია. აზაუმ მაგდაც თან წაიყვანა და მამის სახლში მივიდა. აზაუს ძმებს ძალზე გაუხარდათ დის სტუმრობა; მისი ვაჟი სახლში შეიყვანეს და გარს შემოეხვივნენ. აზაუ და მაგდა აივანზე ჩამოსხდნენ. დაისის შეწამული სხივები კავკასიონის მწვერვალებს ემშვიდობებოდნენ, განისის ალდაგები ოქროსფრად აელვარდნენ. თაიმურაზის საფლავთან ძეგლად აღმართულმა ხემ სამარეს შავი ჩრდილის ზეწარი გადააფარა.

აზაუ მაგდას შეეკითხა.

— შენ შემოგევლოს ჩემი თავი, თაიმურაზი რა იქნა, თაიმურაზი?

მაგდამ მძიმედ ამოიოხრა და მიუგო:

— მოგიკვდეს ჩემი თავი, თაიმურაზი რა ხანია გარდაიცვალა ურსთვალთაში, თავის ბიძებთან. აქ ჩამოასვენეს და ბიბოსთან დაასაფლავეს, მამის გვერდით.

ამ სიტყვების გაგონებაზე აზაუმ რაღაც უეცარი ტკივილი იგრძნო, თითქოს დანის წვერით შეეხნენ მის გულს, ყელის სისხლის ძარღვები დაებერა, სახე გაუფითრდა, თვალთ დაუბნელდა, გონება გაეყინა და ძლივსღა ამოთქვა:

— წამო, გენაცვალე, მისი სამარე მაჩვენე.

...და სასაფლაოსკენ ბარბაცით მიჰყვა მაგდას. მაგდამ უჩვენა თაიმურაზის სამარე. აზაუ საფლავზე დაემხო, პირით მიწას დასწვდა, ერთი კი შეაყრიალა, აკანკალდა, მერე თითქოს მოდუნდა, კანკალი შეანელა და...

სული დალია.

მაგდამ კივილი ასტეხა. სოფელი მოგროვდა. აზაუ სასაფლაოდან სოფელში აღარც კი ჩაუსვენებიათ.

მოხუცებმა ითათბირეს, აღიარეს თავიანთი შეცდომა და ახალგაზრდებს უამბეს აზაუს და თაიმურაზის თავგადასავალი, მაგრამ გვიანღა იყო. შეყვარებულებს ერთმანეთის ნახვა აღარ ეღირსათ.

აზაუს თაიმურაზის გვერდით გაუთხარეს საფლავი და მიწა მიაყარეს.

ა ი ს ა

გაზაფხულის ნათელი დღე იდგა. მთის სამხრეთ ფერდობს ცხვრის დიდი ფარა შეფენოდა და ხარბად ძოვდა ნამიან ბალახს. ფრიალო ნაპრალთან ჩამომჯდარი ახმეტი სევდიანად აკვნესებდა სალამურს, თან ცხვრის ფარას გასცქეროდა. სიხარულით ევსებოდა გული ნაპატიები საქონლის დანახვაზე.

მახლობელ ტყიდან ყივილ-ხივილით გამოვიდნენ ქალიშვილები. ხელში მოცვით პირთამდე სავსე კალათები ეკავათ. შორიდანვე შეეხვიანენ ახმეტს, დილა მშვიდობისა უსურვეს.

ფეხზე წამომდგარი ვაჟი ღიმილით გაეპასუხა ახლადმოსულებს.

— მე კი ლამაზ-ლამაზ საქმროებს გისურვებთ ყველას.

გარშემოხვეულმა ქალიშვილებმა სალამურზე დაკვრა სთხოვეს მწყემსს. უარი არ უთქვამს ახმეტს, მაშინვე სალამურს წამოაელო ხელი და ჩაჰბერა. თან ქალიშვილებს ათვალიერებდა, ბოლოს თვალი აისაზე შეაჩერა. ნელ-ნელა ჰოაშორა სალამურს ტუჩები და საამო ხმით სიმღერა წამოიწყო:

შენ თავს მახსენებს თეთრი მდინარე —
ვეწაფები და წყურვილს ვერ ვიკლებ,
სულზე უტკბესო, შავთვალა ქალო,
როდის იქნება გულს რომ ჩაგიკრავ...

ვაჟის მოულოდნელმა სითამამემ შეაკრთო ქალი. დამფრთხალივით მიმოიხედა, მერე კი თავი დახარა წამოწითლებულმა.

აისას ძალიან მოსწონდა ახმეტის სიმღერა და სალამურზე დაკვრა. ქალური ალლოთი იმასაც ვრძნობდა, რომ ახალგაზრდა ვაჟი გულგრილად არ უყურებდა მას. სიმართლე რომ ითქვას, არც თვითონ იყო გულგრილი ახმეტის მიმართ, მაგრამ ახლა კი ვაჟი პირდაპირ უმღეროდა მას თავის სიყვარულზე.

სუნთქვა შეეკრა ქალიშვილს. რაღაც საამო ჟრუანტელმა დაუარა სხეულში.

მომღერალი ახმეტიც ღელავდა. ქარიშხალში მოხვედრილი ჩიტივით უფართხალებდა გული. დასუსტებულ თითებში ძლივსღა ეკავა სალამური.

დიდხანს უკრავდა და მღეროდა ახმეტი. მისი სიმღერა მხოლოდ საოცნებო ქალიშვილისადმი იყო მიძღვნილი და აისას კარგად ესმოდა ეს.

როცა შინისაკენ მიმავალი ქალიშვილები გზას ეფარებოდნენ, აისამ უკანასკნელად გამოხედა ვაჟს და ტკბილი, სიყვარულით სავსე ღიმილი აჩუქა.

მთელი საღამო ეყო ბედნიერებად ეს ღიმილი ახმეტს.

დაბინდებისას სოფელში ჩარეკა ფარა ახმეტმა. შინ მისვლისთანავე ცეცხლს მიეფიცხა დაღლილ-დაქანცული და ფიქრებში ჩაიძირა.

— რა მოგივიდა, ბიჭო, ცუდად ხომ არა ხარ? — შეეკითხა პატრონი.

— არაფერი... ცოტა თავი ამტკივდა. — ნაღვლიანად მიუგო ახმეტმა.

შემოდგომა დადგა. სოფელში მკა დამთავრდა, საცაა ზვინებად დადგმული პურის გალეწვასაც დაიწყებდნენ.

ერთ საღამოს ზვინებს ამოფარებული უზომოდ ბედნიერი აისა და ახმეტი თავიანთ სიყვარულზე საუბრობდნენ, როცა მოულოდნელად თოფშემართული გადმოხტა ვიღაცა და ხმამაღლა დაიძახა:

— დამიდექ, ახმეტ, ჩემი დის ნამუსის შემრცხვენო... ერთ-ერთი უნდა მოკვდეს ჩვენს შორის.

უმალ შემართა თოფი ახმეტმა და შიგ გულში დაუმიზნა მომხვდურს. მაგრამ აისას განწირულმა შეკივლებამ ორივე შეაჩერა.

— ვარი, ვარი, არ ისროლო, ეს ახმეტია! — სასოწარკვეთილი გაიძახოდა აისა. მერე ძმადნაფიცს მოეხვია ხელებზე და ცრემლების ღვრით დაუწყო დარწმუნება, რომ მათ შორის ცუდი არაფერი მომხდარა, რომ აისასა და ახმეტს ჭეშმარიტად უყვართ ერთმანეთი.

დიდხანს შეესაუბნენ საუბარს მუხის მორზე ჩამომსხდარი ახალგაზრდები. ვარი, რომელსაც დაძმობა ჰქონდა შეფიცული აისასთან, თავჩაქინდრულ ახმეტს დარიგებით ეუბნებოდა:

აისას მამის გარდა არავინ გააჩნია ახლობელი, მოხუცის მიტოვება კი მას არ შეუძლიან. შენც უთვისტომო ხარ. აბა როდემდის უნდა ეხეტო სხვის კარზე მოჯამაგირედ. ისევ ის აჯობებს, ზესიძედ შეხვიდე აისას ოჯახში... მე კი თქვენს ერთგულ მოკეთედ მიგულეთ ყოველთვის.

მერე დასევდიანებული ახმეტი გაამხნევა და აღუთქვა, რომ მოახერხებდა დავითის დათანხმებას, რათა თავისი ერთადერთი ქალიშვილი მიეთხოვებინა მისთვის.

გამოცოცხლებულ ახმეტს იმედის სხივი ჩაელვარა გულში. მადლობის გრძნობით შეიხსნა განუყრელი დამბაჩა და მტკიცე მეგობრობის ნიშნად სახსოვრად შესთავაზა ვარის...

ცეცხლთან ჩამომჯდარი დავითი ყალიონს აბოლებდა, როცა აისა და ვარი წამოადგნენ თავზე.

— საღამო მშვიდობისა, დავით, — მიესალმა ვარი და იქვე, თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა. ლოყებშეფაკლულმა აისამ კი მაშინვე საქმე მოიმიზეზა და ეზოში გავიდა.

დიდი ხანი არ დასჭირებია ვარის მოხუცის დასათანხმებლად. დავითი ჭკვიან კაცად თვლიდა ვარის და მის რჩევას ანგარიშს უწევდა. ესეც არ იყოს, ახმეტის კარგი კაცობის შესახებ თვითონაც ბევრი რამ

ჰქონდა გაგონილი და მოხარული დარჩა კიდევაც ამ ამბით. „თუკი ერთმანეთი უყვართ, რაღა ჩარაა, დაე, იქორწილონ. მერე რა რომ ღარიბ-ღატაკი ბიჭია. სიყვარულითა და შრომით როგორმე მოუვლიან თავიანთ ოჯახს“ — ფიქრობდა დავითი.

წმინდა გიორგის დღესასწაულს იქორწინეს შეყვარებულებმა.

პატრონთან მრავალი წლის პატიოსანი შრომის საფასურად ახმეტმა სამოცი სული ცხვარი მიიღო. დავითის სახლში მორეკა მან თავისი ავლა-დიდება და ბედნიერმა ცოლ-ქმარმა ტკბილად დაიწყეს ცხოვრება...

ერთ დღეს მოხუცი დავითი ალაყაფის კარებთან იჯდა და ჩიბუხს აბოლებდა. ახმეტს კი ცხვარი გაედევნა საბალახოზე.

სოფლის ორღობეში მთვრალი ჩაფარი ბიბო გუბანთი გამოჩნდა, რომელიც მემამულის თივის საზიდად ლანძღვა-გინებით ერეკებოდა ხალხს.

ბიბო მემამულე ალდართან მუშაობდა ჩაფრად და მისი სახელით განაგებდა გლეხობას.

— შენ, ეი, — მათრახს ქნევით დაუყვირა ჩაფარმა დავითს, — ახლავე შეაბი ხარები და გასწი თივის საზიდად... გესმის!

ფეხზე წამომდგარმა მოხუცმა მდაბლად დაუკრა თავი ბიბოს.

— ჩვენ სხვა დროს გავალთ, შენი ჭირიმე... ჩემი სიძე სახლში არ არის, მე კი, როგორც ხედავ, მოხუცი ვარ, სიარულიც ალარ შემიძლიან...

სიტყვის დამთავრება არც კი აცალა ჩაფარმა, ძალუმად მოქნეული მათრახი გადაუჭირა მოხუცს. სიმწრისაგან დაიკლაკნა დავითი, მაგრამ რა იყო ეს სიმწარე მის ჭაღარისადმი მიყენებულ შეურაცხყოფასთან შედარებით!

თვალთ დაუბნელდა მოხუცს. გამწარებულმა ჯიბის დანა იძრო და მსუქან მუცელში ტარამდე ჩასცა ჩაფარს.

საღამო ხანს შინდაბრუნებულ ახმეტს გულშელონებული ცოლი დახვდა. სახედაკაწრულმა ქალმა ცრემლების ფრქვევით უამბო ქმარს მომხდარი ამბავი.

— უფროსებთან უნდა წავიდე, სხვა გამოსავალი არ არის. — დიდი ფიქრისა და აწონ-დაწონის შემდეგ განაცხადა ახმეტმა.

ახმეტმა, ისევე როგორც ყველამ, კარგად იცოდა, რომ უფროსების ჩარევის გარეშე უმნიშვნელო საქმეც კი არ მოგვარდებოდა, მით უმეტეს ასეთი საქმე. ისიც იცოდა, ქრთამის გარეშე ხელსაც რომ არ გაანძრევდნენ უფროსები...

კაპიკ-კაპიკ სიმწრით შეგროვებული ოთხმოცი მანეთი გამოართვა ანასს და კარი გამოიხურა.

ახმეტმა თარჯიმანიდან დაიწყო. თარჯიმანი თავის სახლში იჯდა და რომელილაც ობმოდებულ წიგნს ფურცლავდა.

— რა გინდა? — ჰკითხა კარგა ხნის შემდეგ წარბშეკრულმა პირანმა.

— შენი სიკეთე და კარგად ყოფნა, — მიუგო ახმეტმა. ცოტა შეიცადა და მერე გაუბედავად დასძინა: — წყალობასა გთხოვ, შენი ჭირიმე...

ამ დროს ოთახში ჩაფარი ელიზბარი შემოვიდა

— სოფელ ტირსის მამასახლისმა ბატკნები მორეკა! რა ვუყოთ?

— დედა ცხვრებიც მორეკა თუ მარტო ბატკნები? — დაინტერესდა თარჯიმანი.

— მარტო ბატკნები გახლავთ.

— მარტო ბატკნები, — გაიმეორა პირანმა. — მერე და ცოდონი არ არიან უდედო ბატკნები... გასწი, და ახლავე უთხარი, დედა ცხვრებიც ჩამორეკოს... შენ კი რაღა გინდა? — მიუბრუნდა ახმეტს ჩაფრის გასვლისთანავე.

— მოხუცი დავითის საქმეზე გეახელ... იქნებ ეწველოს რამე... ფულს არ დაეზოგავ, შენი ჭირიმე.

ფულის ხსენებაზე სახე წამოეგზნო პირანს.

— ბებერმა დავითმა მთელი სოფლის საფასური კაცი მოკლა... სწორედ რომ მარჯვენა ხელი მოაჭრა უფროსს... მაგრამ წამალი თუ გაქვს, ყოველგვარი ჭრილობის მორჩენას შესძლებ...

თარჯიმანმა წინ წამოწეული ცერა და საჩვენებელი თითი მოუსვა ერთმანეთს.

ახმეტი კარგად მიხვდა რასაც სთხოვდნენ.

— ახლა ოთხმოცი მანეთი მაქვს... მიბრძანეთ რამდენი ეღირება. ძროხას და ცხვრებს გაეყიდი, არაფერს დავიშურებ...

— დაგვიანდება, — შაგიდაზე თითები აითამაშა პირანმა, — ვიდრე ცხვრებს გაყიდი, დაგვიანდება, დრო კი ალარ ითმენს, საქმეს მალევე უნდა შველა... თუ ფულის სესხებას აპირებ, მე შემიძლიან დაგეხმარო. თუ თანახმა ხარ, ახლავე გავგზავნი მევახშესთან კაცს.

ეს მევახშე დიდ გასავალში იყო უფროსებთან.

როგორც კი რომელიმე მთხოვნელს ქრთამისათვის ფული დააკლდებოდა, მაშინვე მას მოუხმობდნენ ხოლმე. და ისიც გასაჭირში მყოფ გლეხებს მამასისხლად აძლევდა ფულს.

პირანი და მევახშე ჯერ ერთმანეთთან ლაპარაკობდნენ ჩურჩულით, მერე, როგორც ეტყობა, რაღაცაზე შეთანხმდნენ, ეზმაკურად ჩაიცინეს და მწუხარებისაგან გაშტერებულ ახმეტს მიუბრუნდნენ.

— მე შემიძლია გასესხო სამასი მანეთი ერთი თვის ვადით, — თქვა მევახშემ. — თუ ერთ თვეში ვერ დამიბრუნებ, მაშინ ყოველ გადაცდენილ დღეზე თითო თუმანს გადამიხდი... გინდა თუ არა!

რაღა ეთქმოდა ახმეტს. თუ ახლავე არ გაიღებდა ქრთამს, მაშინ ციხეში დაალპობდნენ მის სიმამრს. ძალა აღმართსა ხნავსო, და ყელში ბოღმამოწოლილმა ახმეტმა თავისდაქნევით თანხმობა განუცხადა მევახშეს.

პირანმა როგორც კი სამასი მანეთი მითვალა, კმაყოფილებით შეისწორა ულვაშები და დაყვავებით უთხრა ახმეტს:

— მორჩა. ახლა კი ყველაფერი რიგზე იქნება. წადი და მშვიდად იძინე... დანარჩენი ჩემზე იყოს!

დღე დღეს მისდევდა, მაგრამ დავითზე არავითარი საკეთილო ხმები არ ისმოდა. ერთხელ კი მოხუცის მძიმე ავადმყოფობის ამბავი შეატყობინეს ახმეტს. მაშინვე ციხისაკენ გაემართა ახმეტი, მაგრამ ცოცხალს ვეღარ მიუსწრო სიმამრს. ციხის მძიმე რეჟიმით კიდევ უფრო დასუსტებული ავადმყოფი მოხუცი სულ რამდენიმე დღეში გარდაცვალა.

— მშობლიურ მიწაში მაინც დავმარხოთ მამა, — სასომიხდილი კვნესოდა აისა.

რაღა თქმა უნდა, ახმეტს უარი უთხრეს ცხედრის მიცემაზე. მაშინ მან ქვლავ პირანს მიაკითხა. დიდხანს არწმუნა ცბიერმა თარჯიმანმა ახმეტი, რომ გადამდები სენით მიცვლილ მოხუცს არ გამოატანდნენ სახლში, ბოლოს ხვეწნა-მუდარისა და ქრთამის მიღების შემდეგ დათანხმდა მოეგვარებინა ეს საქმე.

პირანმა მართლაც და როგორღაც მოახერხა საავადმყოფოდან გვამის გამოტანის ნებართვის აღება. მასთან მისული ახმეტი ჯერ თავისქენებითა და დაყვედრებით აავსო პირანმა, მერე კი საზეიმოდ გადასცა ხელმოწერილი ქაღალდი, რომლის ძალითაც ციხიდან მიცვალებულის წაღების ნება ეძლეოდათ.

დავითის დაკრძალვის შემდეგ ახმეტმა ყველაფერი მიჰყიდ-მოჰყიდა და როგორც იყო გადაიხადა მევახშისაგან აღებული ვალი. მაგრამ გამოუცდელ ახალგაზრდა კაცს ხელწერილის გამორთმევა და მისი დახევა აზრადაც კი არ მოსვლია.

ასე გაიარა ორმა წელმა და აი, ერთხელ მიადგა ახმეტის სახლს ბოქაული ხუთი ჩაფრის თანხლებით. ზღურბლთან მათ ფქვილში ხელებშეშტვერილი აისა გამოეგება.

მიზეზი არც კი უკითხავს ქალს, მაშინვე სახლში შეიპატიჟა მოსულები. სტუმრად ჩასთვალა ისინი, პურ-მარილის მიღება შესთავაზა. თანაც ბოდიშს იხდიდა, ქმრის შინ არყოფნის გამო.

ბოქაულმა ზედაც არ შეხედა ქალს. მუშტრის თვალით მიათვალ-მოათვალიერა კარ-მიდამო. მერე ჩაფრები გაიყოლა და საბალახოსაკენ გაემართა, სადაც სოფლის ცხვრები ბალახობდნენ. უფროსი მწყემსი მოიხმო თავისთან და ცივად უბრძანა, საერთო ცხვრიდან ახმეტის ცხვარი გამოაცალკეეო.

თოფზე დაყრდნობილ ახმეტს მოულოდნელობისგან თავზარი დაეცა, როცა გაიგო ვალში რომ უპირებდნენ ცხვრის წართმევას.

— როგორ? განა ორჯერ უნდა გადამახდევინოთ ვალი? — ხელების გაწვლით შეეკითხა ბოქაულს, — მე ხომ უკვე ორი წელიწადია, რაც მთლიანად დავფარე იგი...

საპასუხოდ ბოქაულმა რაღაც ქაღალდი გაუწოდა ახმეტს.

— შენ სამასი მანეთი ვალი აგიღია ერთ პატივსაცემ პიროვნებისაგან. ვალი კი დროზე აღარ გაგიტუმრებია... ყოველ გადასულ დღეზე თუმანი უნდა გადაგეხადა. ამ ქაღალდის ძალით შენი ვალი ახლა შვიდი ათას მანეთს შეადგენს.

დიდხანს იმტვრევდა ხელებს ახმეტი, დიდხანს ირწმუნებოდა თავის სიმართლეს. რამოდენიმე მწყემსიც კი დასახელა მოწმედ, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ახმეტმა ორიოდე წლის წინათ მართლაც გაყიდა ცხვარი, ვალის გასასტუმრებლად, მაგრამ ბოქაულს არაფრის გაგება არ სურდა

— მე ვალის გადახდის მოწმობა მჭირდება და არა მოწმეები, — ამბობდა იგი.

ახმეტის საქონელი გამოაცალეეეს და აღწერეს. ჯერ კიდევ რაღაც იმედი ჰქონდა მწყემსს, მაგრამ როცა დაინახა, რომ მის შვილივით გაზრდილ ცხვრებს ერეკებიან, ვეღარ მოითმინა. მწუხარებისაგან გონებადაბნელებული გადაეღობა ფარას და ცხვრის შემობრუნება დაიწყო.

იმავე წუთს ბოქაულის ბრძანებაც გაისმა.

— ჭკუა, ჭკუა ასწავლეთ ამ თავხედს!

ჩაფრებმა მათრახებითა და კონდახებით დაუწყეს ცემა ახმეტს. გაისმა სროლა, უნაგირიდან უსულოდ გადმოვარდნილი ჩაფარი ხრამში გადაეშვა. თავგაჩეხილმა ახმეტმა ახლა ხანჯალი იძრო, მეორე ჩაფარს გაუფატრა მუცელი. გამხეცებულმა ჩაფრებმა ნაწილ-ნაწილ აკუწეს ახმეტი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ახმეტის დასისხლიანებული გვამი სარეცელზე დასვენეს მწყემსებმა და სახლში მიასვენეს.

ამის შემდეგ მშვენიერი აისას ლოყებმა ფერი დაკარგა. მის თვალთაგან გაუთავებლად მოედინებოდა ცრემლი.

მალე ტანჯვა-წამებას ვერ გაუძლო საცოდავმა ქალმა და ჭკუაზე შეცდა.

ახმეტის დანით ქუჩა-ქუჩა დარბოდა ჩამოძენძილი აისა. გამვლელსა და გამომვლელს ეკითხებოდა გულსაკლავად:

— ვინ მოჰკლა ჩემი ახმეტი... მითხარით, ვინ მოჰკლა ჩემი ახმეტი?

გულშემატკივარი მეზობლები სახლში ვეღარ აკავებდნენ დღე და ღამე მინდორსა და ტყეში მოხეტიალე აისას.

ახალ წლის ღამეს კი უკვალოდ გაქრა იგი. ასე ამბობდნენ: თეთრ მდინარესთან მგლებმა შეჭამეს აისაო.

ასე დაიქცა უსამართლობით პატიოსანი მშრომელის ოჯახი.



ბათირბეგ თუღანთი

მწყემსი ბადე

ის შეჰყურებდა მყინვარის მწვერვალს. ჩამავალი მზის სხივებ-ქვეშ ბუმბერაზს ჭაღარა თავი უბრწყინავდა. ყველა მთას, შორეულსა თუ მახლობელს, ჩრდილი ადგა. მყინვარი მზეს ჯერ კიდევ არ გამოთხოვებოდა, მისი მწვერვალის თეალისმომჭრელი სითეთრე ნაირ-ნაირ ფერებად იცვლებოდა.

ბადე გაზაფხულის მზის ჩასვლის დიდებული სურათით ტკბებოდა. თავის ცხოვრებაში მან პირველად იგრძნო დედა ბუნების მშვენება და სიდიადე. ის მუდამ ხედავდა მაღალ მთებს, ტყეებსა და ველებს, მაგრამ არ აკვირდებოდა, ვერ ამჩნევდა მათ.

და აი, უეცრად იგი გააოცა მყინვარის სილამაზემ. მას აღეძრა ახალი ფიქრები, აქამდე რომ არ ჰქონია.

მას ეჩვენებოდა, რომ მყინვარი კლდეების გროვა კი არ იყო, არამედ, ცოცხალი გოლიათი, რომელსაც საუცხოო, ბრწყინვალე გვირგვინით შემკული ჭაღარა თავი ამაყად აღემართა. იგი როგორც მეუფე, გადაჰყურებდა თავის ქვეშევრდომებს, მასავით გოლიათებს, მის წინაშე მუხლი მორჩილად რომ მოედრიკათ. ეჩვენებოდა, თითქოს ისინი, დადუმებულნი ელოდებოდნენ მბრძანებლის ერთ სიტყვას, რათა დიადი საქმეების გასაკეთებლად დაძრულიყვნენ, ისეთი საქმეების, რომლებზედაც ადამიანი ფიქრსაც კი ვერ გაბედავს.

„ადამიანი... ეჰ! რა არის, ადამიანი? — ფიქრობდა ბადე. — რა ძალა აქვს მას? რის გაკეთება შეუძლია? აბა, რა ვარ მე? თუმცა ადამიანებიც არ არიან თანასწორნი. არიან ისეთები, რომლებსაც ვერ გავუტოლდები. მათ წინაშე მე იგივე ვარ, რაც საფანტი მყინვართან შედარებით. მაგალითად, ავიღოთ ჩვენი სოფლის მწერალი. მას როგორ შეეედრები! ახლა მედუქნე სოზო? სასაცილო გავხდები, თავი მას რომ შევადარო. კიდევაც, ისინი ხომ ნასწავლნი არიან, მე კი... რა ვარ? ვინა ვარ? მწყემსი, სხვისი ცხვრის ფარის მწყემსი. აი, ლხინში, როდესაც ჩვენს მთებში გზის მშენებლობა დაამთავრეს, სოზოს, მწერლისა და ვიღაც ინჟინრის სადღეგრძელო დალიეს.

„ღმერთმა გვიმრავლოს თქვენისთანა ადამიანები, — ეუბნებოდნენ მოხუცები. ჩემზე კი ვინ იტყვის: ბადე, ღმერთმა შენისთანები გვიმრავლოსო. ამის გაფიქრებაც კი სასაცილოა“.

— შევსვათ ბადეს სადღეგრძელო! — უეცრად წამოიძახა მან და გადაიხარხარა. ბადეს სადღეგრძელო! ვაშა-ა! ხა-ხა-ხა!

ცხვრები, რომლებიც მის გარშემო მთის დაბალ ბალახს წყნარად წიწკნიდნენ, აქეთ-იქით მიმოიფანტნენ.

— რ-რრაიტ! ფიუ-უ! — დაუსტვინა მან ფარას დასაწყნარებლად.

„ლხინი ნასწავლი ხალხია, — განაგრძობდა ფიქრს ბადე, — მე კი... ეჰ, ამაზე ფიქრიც ზედმეტია“.

— ფიუ-უტ! — ისევ დაუსტვინა.

„აი, მეც რომ ვიცოდე წერა-კითხვა, წიგნებს

ვკოხულობდე... მაშინ, მე... რას გავაკეთებდი? მე... არ ვიცი რას, მაგრამ, ალბათ, გავაკეთებდი ისეთ რამეს, რაც ყველასათვის კარგი იქნებოდა. და მაშინ კი ხალხი, აი, ასე მაღლა დამაყენებდა! მეც, როგორც მყინვარი, ისეთი ვიქნებოდი, უსწავლელი კი ვერაფერს გააკეთებ".

მძიმედ ამოიოხრა.

„რა იქნება რომ, ...რომ მე ახლა მოვკიდო ხელი სწავლას! მაგრამ ვინ მასწავლის, ვინ? ასეთი ადამიანი არავინა გვყავს... ვინმეს რომ ვთხოვო, იქნებ კიდეც დამცინოს: „ერთი ამას დაშიხედეთ, ნასწავლი უნდა გახდესო. არა, არა ამაზე ფიქრიც ზედმეტია".

— ფიუ-უტ! — დაუსტვინა და დაედევნა ფარას, რომელიც უკვე წინ წასულიყო.

— აა! — მხიარულად წამოიძახა მან და შეჩერდა. ძველი ახალუხის ჯიბეში რაღაცას ძებნა დაუწყო. — აი, ვინ! აი, სად მასწავლიან მე! იქ ბევრია ნასწავლი. მე ვთხოვ მათ.

ბადემ ჯიბიდან ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო, ხელში შეატრიალა, ფრთხილად დაკეცა და ისევ ჯიბეში შეინახა.

ეს იყო უწყება სამხედრო სამსახურის შესახებ. იგი სამხედრო საკრებულოში უნდა გამოცხადებულიყო კენჭის ამოსაღებად.

„ნეტავ ჯარში წამიყვანონ", — ფიქრობდა ბადე. იგი შეჰყურებდა მყინვარის მწვერვალს და მას სასიხარულო იმედმა თვალები გაუბრწყინა.

დიადმა მნათობმა მყინვარს, თვალუწვდენელ ბუმბათს, სტყორცნა უკანასკნელი სხივი, რომელიც მალე მოსხლტა მას და ცის სივრცეში გაუჩინარდა.

— დამეხმარე, მყინვარო, დამეხმარე! — შეევედრა მთას ბადე და ფარა შინისაკენ გარეკა.

• •

ქალაქის მოედანზე, სამხედრო საკრებულოს თეთრი შენობის პირდაპირ ახალწვეულთა ჯგუფი იდგა.

ბადეს ჯერი მოვიდა. მან სწრაფად შეაღო კარი, რომელსაც დიდხანს შესცქეროდა მღელვარებით.

პატარა ოთახში წითელმაუდგადაფარებული მაგიდა იდგა. მას ბრწყინვალე მუნდირებში გამოწყობილი რამდენიმე კაცი უჯდა. მათს შორის იყო ერთი, რომელსაც ყველა მიმართავდა.

„ეს კაცი, — თითქოს მყინვარია, სხვები კი მისი ხელქვეითი მთები". — გაიფიქრა ბადემ და უნებლიე მოკრძალება იგრძნო.

ყუთიდან, რომელიც ტრიალებდა, ბადემ დახვეული ქაღალდი ამოიღო. ქაღალდი გამოართვეს, გაშალეს, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და წერას შეუდგნენ.

— შინ წადი! თავისუფალი ხარ, — მიმართა ბადეს მის გვერდით მდგომმა თარჯიმანმა.

— კენჭი არ მერგო? — მორცხვად იკითხა ბადემ.

— არ გერგო, არა. წადი შინ და გახარებულ გულზე, რაც შეიძლება, მეტი არაყი დალიე.

ბადემ ფერი დაჰკარგა. ადგილიდან არ იძვროდა. შუბლზე ოფლმა დაასხა. მოელვარე თვალებზე ეტყობოდა, რომ ღრმა ფიქრებს მისცემოდა. ოთახში შემოვიდა შემდეგი ახალგაზრდა, ბადე კი იქვე იდგა.

— რას უდგეხარ? გასწი! — შეჰყვირა თარჯიმანმა.

— თუ შეიძლება, გადაუთარგმნე უფროსს... მე მინდა ვუთხრა... — თქვა ბადემ.

— რა გინდა შენ?

— მე სამსახური მინდა, კენჭი კი არ მერგო. მაგრამ არ შეიძლება, რომ ჯარში მაინც წამიყვანონ?

— არა, არა! ასე არ ხდება, არ შეიძლება, არ წაგიყვანენ!

— გადაუთარგმნე, თუ შეიძლება, მე მინდა ვთხოვო...

— არ შეიძლება, არა! წადი სახლში!

— რას ამბობს! — ჰკითხა თარჯიმანს ერთ-ერთმა მუნდირიანმა.

— ჯარში წამიყვანეთო, თხოულობს, სულელი!

— ბატონო პოლკოვნიკო, — მიმართა ოფიცერმა თავის მეზობელს და ბადეზე ანიშნა, — შეხედეთ, მამონტის მსგავს ამ ეშვიათ ქმნილებას, გვთხოვს, ჯარში წ-მიყვანეთო.

— ჰო? უყურეთ! — გაეცინა პოლკოვნიკს. — ალბათ, შინ ტკბილი ცხოვრება არა აქვს.

თარჯიმანმა პოლკოვნიკი გაღიმებული რომ დაინახა, მხიარულად გადაიხარხარა, ჩაავლო ბადეს მხრებში ხელები, მიაბრუნა და კარებისაკენ წაუბიძგა.

ბადე მოედანზე აღმოჩნდა. დიდხანს გონს ვერ

მოვიდა, ახალწვეულებს შორის უაზროდ დაეხეტებოდა.

ამ ჯგუფის მოშორებით რამდენიმე ყმაწვილი იდგა. ვიღაცას ისინი გულდასმით უგდებდნენ ყურს. დროდადრო იქ ხმამაღალი ხარხარი გაისმოდა.

ბადე მათთან მივიდა და დაინახა მიწაზე დამჯდარი ორი ახალგაზრდა. ერთ-ერთ მათგანს ხელში ეკავა ფანქარი და თეთრი ქაღალდის ნაფლეთი და მეზობელს რაღაცას უჩვენებდა.

— ეს „მ"-ა, ეს კი „ნ" — ამბობდა ის და ფანქრით რაღაც გამოჰყავდა.

— ეს „მმუა" — გაიმეორა მეზობელმა.

— ერთი შეხედეთ! ძროხასავით ბღავის:

„მუ-მუ" — დასცინა მას პირველმა ახალგაზრდამ. ახალგაზრდებმა გაიცინეს. ბადემაც გაიღიმა. იგი „მასწავლებლის" გვერდით ჩაცუცქდა და უკვირდებოდა ფანქრის მოძრაობას ქაღალდზე.

— შენ რა გინდა? — მიმართა მას „მასწავლებელმა".

— შენც გინდა ისწავლო?

— მინდა, — უპასუხა ბადემ.

— ჯერ ფული გადამიხადე.

— გადავიხდი.

— რამდენს მომცემ?

— შენ თვითონ რას იბდიდი სწავლაში?

— მე არაფერი გადამიხდია, სხვას კი ვახდევინებ.

— კი მაგრამ, მუქთად სად გასწავლიდნენ?

— ციხეში, აი სად!

— რას ამბობ? — გაიკვირვა ბადემ. — განა ციხეში წერა-კითხვას ასწავლიან?

— როგორც ხედავ.

ბადე თანამოსაუბრეს მიაშტერდა.

„ხუმრობს თუ მართალს ამბობს" — ფიქრობდა ის.

— რას ფიქრობ, ბრიყვო! გინდა ისწავლო? — ჰკითხა ბადეს „მასწავლებელმა" და ნიდაყვი გაჰკრა.

— ეი, შენ, ციხეში მხოლოდ ერთხელ იყავი? — ჰკითხა მას ბადემ თავის მხრივ.

— ერთხელ.

— მეორედ ხომ არ გინდა იქ მოხვდე?

— შენი საქმე არ არის! დაიკარგე აქედან!

— ამაოდ არ გინდა: სტუდენტი გახდებოდი,— ლიმილით უთხრა მას ბადემ და გაშორდა.

• •

ის შეჰყურებდა მყინვარის მწვერვალს. ფარა გაშლილიყო მაღალი მთის ფერდობზე და წვნიან ბალახს აჩქარებულად წიწკნიდა.

მზე უკვე მთებს მიეფარა. მისი სხივები მხოლოდ მყინვარის ჭალარაზე ციმციმებდა, და ბადეს ეჩვენებოდა, თითქოს ეს დიადი, ძლიერი მოხუცი, განმარტოებული, შორეულ მნათობთან მხიარულად საუბრობსო. მათ საუბარს ვერავინ მოისმენს, მთები დგანან მყინვარის გარშემო გარინდებულად, ბრძანების მოლოდინში.

„მყინვარი იგივე მბრძანებელია ბუმბერაზებისა, — ფიქრობდა ბადე, — მე კი იგივე უმწეო მეცხვარე. იგი უცელელია თავის სიდიადეში, მე კი უცელელი ვარ ჩემს არარაობაში. ფუჭი გამოდგა ჩემი სურვილი, რომ ავმაღლებულიყავი. ციხეში, ქურდებსაც და მკვლელებსაც კი ასწავლიან წერა-კითხვას, მე კი... ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რა ვქნა? ნუთუ ციხეში უნდა ამოვყო თავი, რომ... არა, არა, სჯობს მეცხვარედ მოვკვდე, ვიდრე ასეთი ნაბიჯი გადავდგა"...

ბადე თავს ასე იმშვიდებდა, მაგრამ მისი ფიქრები სულ უფრო შფოთავდნენ, სურვილი უფრო უძლიერდებოდა და იგი განუწყვეტლად ოცნებობდა კარგ მომავალზე.

მოსვენება დაეკარგა.

ის დიდხანს იდგა უძრავად ერთ ადგილას. აკვიატებულ აზრს გაეშტერებინა.

— ეჰ, რაც იქნება, იქნება! — წამოიძახა ბოლოს ბადემ. — მიზანს მივაღწევ, ან დავიღუპები!

• •

მწყემსებს — ბადესა და ეკას, თავიანთი ფარებით ჭადრის ტოტებქვეშ, ჩრდილში შეეფარებინათ თავი, მცხუნვარე მზეს გაქცეოდნენ.

გამხდარი, ფერდაკარგული ბადე ამხანაგს თავის გაჭირვებას უამბობდა. ეკა კი, ხან ყურადღებით უსმენდა მას და ხან კი თავდავიწყებით ხარხარებდა.

—ციხეში ცუდი დღე დაგდგომია, — სიცილი შესწყვიტა და უთხრა ეკამ.

— ძალიან ცუდი! — უპასუხა ბადემ.

— კი, მაგრამ ქურდობა რამ დაგაწყებინა?

— მე სწავლა მინდოდა.

— რაო?

— ა-არა... არაფერი.

— სწავლა გინდოდა? ჰე, ძმაო, ცუდი საქმის სწავლა გიფიქრია.

— არა!.. ეჰ, შენ მე ვერ გამიგებ.

— აქ გასაგებიც არაფერია.

— ჰო, კარგი, კარგი! დავანებოთ ამას თავი. უკვე აგრილდა. ხედავ, შენი ფარა გაიფანტა. წავიდეთ.

ისინი ერთმანეთს დაშორდნენ.

ფარა გაშლილ ველზე ხალვათად ბალახობდა. სიცხემ იკლო. მზე ჩასული იყო. ბადე გორაკზე იდგა, კომბალს დაყრდნობოდა და შეჰყურებდა მყინვარის მწვერვალს. გაიხსენა თავისი განვლილი ცხოვრება: რა მხიარულად და უდარდელად ცხოვრობდა იმ დღემდე, სანამ მყინვარს პირველად შეხედავდა. მაშინ, მთის დიადი სილამაზით გაოცებულმა თითქოს ძილს თავი დააღწია, და შფოთვამ შეიპყრო. მოისურვა მაღლა, მაღლა აფრენილიყო.

ბადემ მოიგონა, რამდენი ტანჯვა განიცადა იმ გზაზე, რომლითაც საოცნებო, ამაღლებული ცხოვრებისაკენ მიილტვოდა. მოიგონა ციხეში გატარებული მწარე დღეები და იგრძნო თავისი უძლურება, იგრძნო, რომ ამიერიდან ცხოვრებაში მას არ ექნება მაღალი იმედები და მისწრაფებები.

ბადეს ჩავარდნილ ლოყებს მწარე ცრემლები ნიაღვრად ჩამოედინა. იგი დაბეჩავებული შესცქეროდა მყინვარის მწვერვალს.



არსენ ქოცოითი

მეგობრები

მეორე უბნის ბოქაული ივან კუზმიჩ ტოპტიგო ხასიათზე არ არის. მოღუშული უზის საწერ მაგიდას. მის წინ ქაღალდების დასტაა დახვავებული. ზოგზე ხელის მოწერაა საჭირო, ზოგი მეზობელ უბნის ბოქაულს უნდა გადაუგზავნოს, ზოგი კი რეზოლუციით უნდა დააბრუნოს უკან. მათ შორის ბევრია საქმიანი ქაღალდები, რომლებიც სასწრაფო პასუხის გაცემას მოითხოვს.

რატომღაც გულს ვერ უდებს სამუშაოს იასაული, კალმისტარიც ხელიდან უვარდება... წუხელ კლუბში სამ საათამდე თამაშობდა ბანქოს. უმოწყალოდ წააგო! სამასი მანეთიდან ხუთი შაურიც კი აღარ შერჩა მეეტლეს გასასტუმრებლად. იმ ძაღლის შვილმა ოლქის ექიმმა კი სულ ცოტა ათასი მანეთი მაინც წაიღო მოგებული სახლში. მერე და როგორ მოსდიოდა, როგორ...

მოგებით გაბედნიერებულს ოცდახუთ მანეთს დაესესხა ტოპტიგო, ეგების როგორმე ხელი მოვიბრუნოო, მაგრამ უარი უთხრა იმ არამზადამ. სამაგიეროდ, ცხენზე თამაში შესთავაზა: ჩამოდი შენი ყაბარდოული, ორას მანეთად იყიდე, მე კი ოთხასად გეთამაშებიო, — სწორედ ასე უთხრა მან.

რაღა თქმა უნდა, ასეთი რამ არასოდეს არ მოხდებაl შეიძლება ტოპტიგომ ბანქოში წააგოს პალტო, პერანგი, ყველაფერი, მაგრამ თავის ცხენს კი ვერ შეელევა. ის ურჩევნია, თვალახვეული თერგში გადახტეს ხიდიდან, ვიდრე საყვარელი ცხენი დაჰკარგოს.

ამიტომაც იყო სისხლი რომ მოაწვა თავში. მზად იყო იქვე ხმლით აეკუწა თავხედი ექიმი, მაგრამ ჯერჯერობით თავის შეკავება არჩია. სამი თითის კომბინაცია ცხვირთან მისჩარა და გაბოროტებით უთხრა:

— აჰა, ინებეთ ცხენი!..

მაშინ ცოტა კი დაწყნარდა თითქოს, მაგრამ ახლა, როცა ექიმის სიტყვები ახსენდება, ისევ გულ-მუცელი ემღვრევა ბოქაულს.

სიმართლე რომ ითქვას, ნამდვილად კარგი ცხენი ჰყავს ტოპტიგოს. ქალაქში არ მოიძებნება მისი ბადალი. მთელს ოლქს სწორედ რომ თვალი რჩება მასზე. უნდა განახათ როგორი შურიანი თვალებით შესცქერიან ხოლმე ცხენზე მჯდომ ბოქაულს, რომელსაც დოინჯი აქვს შემორტყმული და ამაყად იყურება წინ. ერთხელ ასეთი შემთხვევაც კი ახსოვს: გზაზე შემთხვევით წააწყდა ქალაქში შეშის გასაყიდად ჩამოსულ მთიელს. ცხენის დანახვაზე სახტად დარჩა მთიელი. თვალი ვეღარ მოსწყვიტა ტოპტიგოს ყაბარდოულს. აღტაცებისაგან პირდაღებულმა ვერც ის შენიშნა, როგორ გაუვარდა ხელიდან თავისი ცხენის სადავე. და მაშინ, როცა გამოერკვა, ცხენისა და შეშის კვალიც კი გამქრალიყო, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

მაგრამ მთიელი რა სალაპარაკოა, თვით ოლქის უფროსიც კი შურითა სკდებოდა მისი ყაბარდოულის დანახვაზე... და აი, გამოხტება ვიღაც ცხვირმოუხოცავი ექიმი და თავხედურად სთავაზობს

„ცხენზე ვითამაშოთო". უმალ ეზოში თუთის ხეზე ჩამოიხრჩობს თავს ტოპტიგო, ვიდრე ასეთ წინადადებას დათანხმდება.

კარის ჭრიალმა ფიქრებიდან გამოარკვია ბოქაული. ოდნავ შემოღებულ კარებში თავშემოყოფილმა დენშჩიკმა მოკრძალებით მოახსენა:

— ბატირბეკი ჩამოვიდა!

დამფრთხალი ჩიტებივით შემოეცალა აბეზარი ფიქრები ივან კუზმიჩს. კმაყოფილი ერთხანს მდუმარედ იყურებოდა სივრცეში.

უფრო ფართოდ გამოაღო კარები დენშჩიკმა და გაიმეორა:

— ბატირბეკი...

— შემოვიდეს, — თითი აუქნია ტოპტიგომ და მობერხებულად მოეწყო საავარძელში. მაგრამ გულმა ველარ მოუთმინა, მაშინვე ფეხზე წამოდგა. კარებთან მოსულ სტუმარს მიეგება, მხრებზე წაავლო ხელი და კაბინეტში შემოუძღვა.

მის წინ ხმელ-ხმელი, მაგარი, ფართო მხარბეჭიანი ოსი იდგა. სწორ ტანზე მჭიდროდ ეკვროდა მოკლე ნაცრისფერი ჩოხა. ქამრის ერთ მხარეს ფართო ხანჯალი ეკიდა, მეორე მხარეს დამბაჩა. ზურგიდან მოკლე თოფის ლულა მოუჩანდა. მხრებზე კი გარდიგარდმო საეაზნეები ჰქონდა შემორტყმული.

მოსულმა კაბინეტში შემოსვლამდე კუთხეში მიაყუდა თოფი.

— დაჯექ, მეგობარო, დაჯექ, ერთი ძველებურად გავისაუბროთ. კარგა ხანია ერთმანეთი აღარ გვინახავს. — აჩქარებით ამბობდა ივან კუზმას ძე და თან საავარძელს სთავაზობდა სტუმარს.

— დრო აღარ ითმენს, — ყრუდ მიუგო ბატირბეკმა. — ცხენებთან უნდა მივიდე... აი ნიშნები და ცხენების დამლა, — და ფანქრით ნაწერი ქაღალდის ნაგლეჯი გაუწოდა ოასაულს.

ტოპტიგოს სახეზე ათამაშებული ღიმილი მაშინვე გაუქრა.

— ბატირბეკ! — რაღაც განსაკუთრებული ტონით წამოიწყო მან, — ყური დამიგდე, კარგა ხანია მინდა ამისი თქმა...

რამდენჯერმე ჩაახველა, ხმა გაიწმინდა და განაგრძო:

— მე უფროსი ვარ. დიდი საშიშროება მელის, შენ კი რა გიჭირს, თუ საქმე გაიხსნა, მაშინვე ცხრა მთის იქით გადაიხვეწები. ესეც არ იყოს, უკვე შეჩვეული ხარ ციხეში ყოფნას. მე კი დავიღუპები. შეიძლება ითქვას, სამუდამოდ დავიღუპები. და მერე რისთვის?.. რაღაც თხუთმეტი მანეთისათვის, რომელსაც შენ თითო ცხენიდან მაძლევ...

სახე მოეღუშა ბატირბეკს, ხანჯლის ბუდეზე მოუსვენრად ათამაშა თითები. იასაული საქირო კაცია მისთვის. იგი ამარაგებს დოკუმენტებით — ხელს უწყობს სრულ ფასში გაყიდოს მოპარული ცხენები. გარდა ამისა, კვალის დაფარვაშიც ეხმარება. მაგრამ მისი ჭირვეულობა უკვე აუტანელი ხდება... პირველად შეიდი მანეთი მოითხოვა თითო მოპარულ ცხენზე, მერე ათამდე ასწია ფასი, ბოლო ხანებში კი უკვე თხუთმეტსა სცინცლავდა, როგორც ეტყობა, ახლა კიდევ უფრო გაზრდია მადა... საფასურს კი აბა რას აკეთებს ეაჟბატონი? თითო ქაღალდზე რაღაც სამოოდე წუთი ეკარგება, ესაა და ეს...

— არა, ივან კუზმიჩ, ეს შეუძლებელია! — მტკიცედ მოუჭრა ბატირბეკმა, — თხუთმეტ მანეთზე მეტის გადახდა არ შემიძლია... ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე ყოველ წუთს ტყვიას ვუშვერ გულმკერდს.

ბოქაულმა თვალი აარიდა მის ბასრ გამოხედვას და მშვიდად უპასუხა:

— შენ, მეგობარო, ბევრ რამეს არ ითვალისწინებ... აი თუნდაც შენი ციხიდან გაქცევა. მე რომ არ შემეწყო ხელი, ალბათ იქ ჩაყრიდი ძელებს. გარდა ამისა, როცა შენ მოპარულ ცხენებს დასავლეთისაკენ მიერეკები, მე აღმოსავლეთისაკენ გადევნებ მდევარს... რომელი ერთი მოვთვალო... განა ყველაფერი ეს ანგარიშში არ შედის!

— როგორ არ შედის, ივან კუზმიჩ, შედის, მაგრამ ურიგო არ იქნება, თუ შენც გაიხსენებ ზოგიერთ რამეს... უაბარდოელმა ხაკიაშმა გიჩივლა. შენ თქვი „შური იძიეო" და მე მთელი მისი ცხენები გავრეკე. მერე იყო, მეშვიდე უბნის მოქაულს წაეჩხუბე. შენი ბრძანებით მარჯვენა ხელი უნდა გამეხვრიტა მისთვის, მაგრამ ტყვია ამიცდა და გულში მოვარტყი. შენს გამო დამედო ეს ცოდვა ზურგზე. ისიც გეხსომება, ივან კუზმიჩ, როგორ ამაყობდა პროკურორი იგნატოვი თავისი ჩერქეზული ძროხით, და მე, ცხენების ქურდი, ახლა ძროხის ქურდიც გამხადე. ცოტა დარჩა მდევარს არ ჩავუვარდი ხელში... მეც რომელი ერთი მოვ-

თვალო... დაგიჩემებია ციხიდან გადაგარჩინეო... სამაგიეროდ ყაბარდოდან შენთვის ისეთი ცხენი მოვიპარე, რომლის ფასი მთელს კავკასიაში არ მოიპოვება... ჩემთვის სასარგებლო კაცი ხარ, მაგრამ მეც საჭირო ვარ შენთვის. გინდა განვაგრძოთ ძველებურად, არა და შენი ნებაა.

ივან კუზმიჩი ჩაფიქრდა.

ბატირბეკი, რასაკვირველია, მართალია, მაგრამ არც თვითონაა გასამტყუნი. მას ბევრი, ძალიან ბევრი ფული სჭირდება: ვიღაც-ვიღაცეებმა რატომ უნდა აუბზიკონ ცხვირი...

ბოქაულმა გადაწყვიტა, მტკიცედ მდგარიყო თავის სიტყვაზე.

— შეიძლება შენ მართალი იყო, ბატირბეკ, — თქვა მან, — მაგრამ ნადავლი მაინც სამართლიანად უნდა გავიყოთ. მომეცი ოცდახუთი მანეთი თითო ცხენზე და ორივე კმაყოფილები ვიქნებით... შენ ხომ ისედაც დიდი მოგება გაქვს.

თავის მხრივ არც ბატირბეკი აპირებდა დათმობას.

— თხუთმეტი, ივან კუზმიჩ, თხუთმეტი, მეტი არაფრის დიდებით არ შემიძლიან.

—ოცდახუთსაც მომცემ, გესმის, ოცდახუთსაც, უჩემოდ დაიღუპები...

მერე გამომწვევად შეხედა თავდახრილ ბატირბეკს და თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— არ მომცემ და ხელისუფალთა ხელში გადაგცემ!

სიავით წამოენთო ბატირბეკის თვალები, მაგრამ მაშინვე ჩაქრნენ ისინი.

— თუ ალარ გინდა ჩემთან მუშაობა, მაშინ დავშორდეთ, მაგრამ აჯობებს კარგად დავშორდეთ, თორემ ვინ იცის, ჯერ კიდევ როგორ მოტრიალდება საქმე...

დაფარული მუქარა გამოკრთოდა ბატირბეკის ხმაში.

ბოქაულმაც ხმას აუწია.

— მოიცა, მოიცა გეთაყვა, იქნება გგონია ასე უბრალოდ დავშორდებით, — თქვა ტოპტიგომ და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა კარს.

— კიდევ რაო? — გამომწვევად იკითხა ბატირბეკმა.

— რაო და ახლავე ნახავ!

ივან კუზმიჩი წამოდგა, მაგრამ მაშინვე უკან დაიხია. ბატირბეკის ხელში დამბაჩა ელავდა.

— დაჯექი, ივან კუზმიჩ, დაჯექი, — რბილად, თითქოს დაყვავებით წარმოთქვა ბატირბეკმა, — ხომ იცი, ხუმრობა არ მიყვარს. მხოლოდ ერთის წუთით დაგაყოვნებ, მერე კი რაც გენებოს ისა ჰქენი.

ბოქაული მძიმედ დაეშვა სავარძელზე. მისი ყოველგვარი ცდა ფუჭი გამოდგა.

ბატირბეკი კი მშვიდად განაგრძობდა.

— მე ქურდი ვარ, ყაჩაღი, შენ კი ორმაგი ქურდი ხარ, თანაც ორმაგი ყაჩაღი. შენ ქურდიცა ხარ და ყაჩაღიც; თანაც ისეთი, ხაზინიდან ჯამაგირს რომ იღებს... ქრთამებითა და წამგლეჯობით შენი უბნის თორმეტი სოფელი გააჩანაგე... ეს კიდევ ცოტაა, მეტსაც გეტყვი: შენ ამხანაგადაც არ ვარგიხარ, უპირო და გაუტანელი ხარ... წაეჩხუბე ამხანაგს — გაცემით ნუღარ გასცემ მაინც... მე არასოდეს არ გაგცემდი. შენ კი, რახან გადაწყვიტე, ბარემ ბოლომდე მიიყვანე საქმე... ვნახოთ რა გამოვა აქედან...

ამ სიტყვებზე ბატირბეკმა თოფს წამოავლო ხელი. მერე ნაბადი მოიგდო მხრებზე და აუჩქარებლად გავიდა კაბინეტიდან. ერთხელაც კი არ მოიხედა უკან, თითქოს არავითარი საშიშროება არ მოელისო.

ივან კუზმიჩი ადგილიდან არ დაძრულა. უილაჯოდ ესვენა სავარძელში. ფიქრებში გართული მხოლოდ ცხენის ფლოქვების თქარათქურმა გამოარკვია.

—წავიდა ბატირბეკი! — მძიმედ ამოიქშინა მან.

* *

ივან კუზმიჩს ფიქრადაც არ მოსვლია ბატირბეკის გაცემა. იმიტომ კი არა, რომ სამარცხვინოდ თელიდა ასეთ საქციელს. არა, მას მხოლოდ ეშინოდა საქმის გართულებისა. თუ ბატირბეკს დაპატიმრებდნენ, მაშინ, ცხადია, ბოქაულსაც მოსთხოვდნენ პასუხს.

ივან კუზმიჩს მხოლოდ დაშინება უნდოდა ბატირბეკის, რათა იგი დასთანხმებოდა თითო ცხენზე ოცდახუთი მანეთის გაღებას. მაგრამ საქმე სხვანაირად შეტრიალდა და ფულთან ერთად მან ბატირბეკიც დაკარგა... გაგულისებული ახლა ველარც ოლქის ექიმზე იყრიდა ჯავრს. ბატირბეკს კი როდი გაუჭირდებოდა მისთვის რაიმე უსიამოვნების მიყენება.

დიდხანს ფიქრობდა ტოპტიგო დაშეებულ

შეცდომაზე. დილამდის ვეღარ დაიძინა ფიქრებში გართულმა. მალ-მალე ინაცვლებდა გვერდს. მხოლოდ გამთენიის ხანს ჩასთვლემა ორიოდე საათით. გამოღვიძებისთანავე კი ისევ გუშინდელი უსიამოვნო შემთხვევა გაახსენდა.

— ეს რა მომივიდა, ეს რა გავაკეთე, თავი დავიღუპე, თავი, — ჩურჩულით იძახდა იგი.

გულის გადასაყოლებლად ივან კუზმიჩმა ყავის შემდეგ ქალაქში ცხენით გასეირნება გადაწყვიტა. ჯერ პროსპექტზე გავლით სადგურამდე მისვლას აპირებდა, შემდეგ ნელი ნაბიჯით საოლქო ექიმის სახლს ჩაუვლიდა, რომ დილითვე შურით გაეხეთქა მისი გული.

ის-ის იყო მუნდირის ცალ სახელოში გაუყარა ხელი, რომ წინ გაფითრებული დენშჩიკი აეტუზა. ტუჩები უთრთოდა, ეტყობოდა, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ენა ვეღარ დაემორჩილებინა.

საშინელმა ექვმა გაუელვა შეძრწუნებულ ბოქაულს. მუნდირის მეორე სახელოში არც კი გაუყრია ხელი, ისე ჩაირბინა კიბე და საჯინიბოს ეცა.

ცხენი აღარსად იყო!

— ყელი გამომჭრა, ყელი, — განწირულივით დაიღრიალა ტოპტიგომ და ორივე ხელი წაიშინა თავში. შემდეგ ძალაგამოლეული ჩაიკეცა იატაკზე. დიდხანს, დიდხანს იგინებოდა და ტიროდა გამწარებული ივან კუზმიჩი.

მოულოდნელად დენშჩიკმა შეჰყვირა. გაშტერებული დააცქერდა რაღაცას.

ივან კუზმიჩმა წამოიწია და წამოჯდა. იმ ადგილზე, სადაც ცხენს აბამდნენ ხოლმე, თეთრი კონვერტი დაინახა.

აკანკალებული ხელით გახსნა წერილი და ძლივს გაარჩია შემდეგი სიტყვები: „მიმყავს შენი ცხენი. შენ მისი ღირსი არა ხარ. ცოდვაა ღმერთის წინაშე, რომ ზედ ასეთი ღორი იჯდეს, როგორიც შენ ბრძანდები. შენ უფრო ის ცხენი შეგფერის — თერგიდან წყალს რომ ეზიდება. მშვიდობით! ბ."

გამოთაყვანებული თვალებით ერთხანს სივრცეში იყურებოდა ბოქაული. მერე თავში წაიშინა ხელები და ისევ აბღავლდა:

— ყელი გამომჭრა, უდანოდ, ყელი!

მონადირეები

თედო და სიმონი მეზობლად ცხოვრობენ. სიმონმა სახლის წინ პატარა სკამი გააკეთა ფიცრებისგან. თედომაც მიბაძა მეზობელს და თავის სახლის წინ ქვა დადო, რომელიც სკამის მაგივრობას ეწეოდა.

როცა ცუდი ამინდი არ არის, მოხუცები მთელ დღეს ერთად ატარებენ, ხან ერთის და ხან მეორის სახლის წინ.

თუ პირველად სიმონი გამოდის სახლიდან, მაშინ თედოს, აბა რაღა გაიჩერებს წინ, დაუყოვნებლივ გამოვა ისიც და სიმონის გვერდით ჩამოჯდება. ხოლო თუ თედო დაასწრებს გარეთ გამოსვლას, არც სიმონი დაუდებს ტოლს, მივა, იქვე მიწაზე დაჯდება მეგობრის გვერდზე და ქვის დაეყრდნობა.

სიმონი ოთხმოცდაორი წლისაა, თედო კი ოთხმოცდახუთმეტის, თუმცა მათ დანამდვილებით არ იციან თავიანთი წლოვანება. სიმონი ერთი ჯოხის დახმარებით დადის, თედოს კი უყავარჯნებოდ ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეუძლია. უყვართ მოხუცებს თავიანთი ახალგაზრდობის გახსენება, თითოეული მათგანი კვეხნით იგონებს თავის ახალგაზრდობას.

— ეხ, რა ვაჟკაცი ვიყავ, ჩემს ახალგაზრდობისას, — ამბობს სიმონი, — სადღა არ ვყოფილვარ! ლეკებში, სომხეთში, თითქმის ყაბარდომდეც კი მივლია.

— ამას ვის ეუბნები, სიმონ? — ცხარობს თედო, — დედამიწაზე თითქმის არც არის ისეთი კუთხე, სადაც მე არ ვყოფილვარ: ძაუგში, ბაქოში, ყაბარდოში, მოსკოვამდეც კი მიმიღწევია. მე, ძმაო სიმონ, ნამდვილი ვაჟკაცი ვიყავ.

— მაგას მე ნუ მეუბნები, თედო, სჯობია, შენ შვილიშვილებს უამბო: ისინი უფრო დაგიჯერებენ. შენ დარიალზედაც არ გაგიელია არასოდეს. აი, მე

რომ ვთქვა — კიდევ ხო, არც კი მახსოვს რამდენჯერ გადამილახავს დარიალი.

მაშინ თედო იძულებული ხდება შეცვალოს ტაქტიკა:

— იცი რა, სიმონ? აგერ, იმ კაკლის ხის ქვეშ ბავშვები თამაშობენ, ჰოდა, დაუძახე, თუ ძმა ხარ, იმათ უამბე, ისინი კი ნამდვილად დაგიჯერებენ; შენ იქნებ მართლაც გადაგილახია დარიალი, როცა იქ უკვე ბავშვებიც თამამად დარბოდნენ, მე კი მაშინ გავიარე დარიალზე, როცა ჩიტსაც ეშინოდა გადაფრენა...

წარსულ ვაჟკაცობაზე დაცა ბოლოს იქამდე მიაღწევდა, გეგონებოდათ მოხუცები სადაცაა წაიკინკლავებენო. მაგრამ ისინი არასოდეს წაკიდებულან. აბა, უერთმანეთოდ როგორ გასძლებდნენ!

ზოგჯერ ისინი მეფეებზედაც ჩამოაგდებდნენ საუბარს.

— ქვეყანაზე სამი მეფეა. — ეუბნება სიმონი თედოს. — მაგრამ იგი არ ეთანხმება:

— არა, სიმონ, ქვეყანაზე ხუთი მეფეა.

ბოლოსდაბოლოს იმაში მაინც შეთანხმდებოდნენ, რომ ყველა მეფეზე უფრო ძლიერი, რუსთა მეფეა.

ხშირად ისინი თავიანთ ბატონ, თავად გარსევანზედაც კი საუბრობდნენ. ამ დროს თედო ერთსა და იგივე ისტორიას მოიგონებს ხოლმე თავადის შესახებ:

— ერთხელ თურმე გარსევანი რუსეთს წავიდა და მეფეს ესტუმრა...

— ოჰ, არა, — შეაწყვეტინებს სიმონი, — ეგ გარსევანი კი არა, მისი მამა — გოსება იყო.

თედო მაინც არ შეეპუება, გაჯიუტდება:

— მაგას რად ამბობ, სიმონ? მე ხომ ეს საქმე ჩემი ხუთი თითივით ვიცი. ჰოდა, მომისმინე: ვიღაცას ეტლი და სამი რაში უჩუქებია მეფისთვის. მეფეს ეტლით მოუსურვებია გასეირნება, მაგრამ გარსევანს შეუჩერებია მეფე: „შეჩერდი მეფეო, არ დაჯდე. ეტლი ჯერ უნდა გაისინჯოს“. მეფესაც დაუჯერებია და უბრძანებია, ჯერ იმას გაესეირნებინა, ვინც ეტლი აჩუქა: „ჯერ შენ გაისეირნე, მე კი შორიდან გიყურებ“, ის ვინც ყოფილა, თურმე ჰოვმანობდა, მაგრამ მეფის სიტყვის წინააღმდეგ ხომ ვერ წავიდოდა?! ჩაჯდა თურმე ეტლში. ცხენები ჩიტებივით გაფრინდნენ. გაიარეს თუ არა ასი საჟენი, უცებ აფეთქდა კიდეც ეტლი. მეეტლეც და პატრონიც ნაგლეჯებად ქცეულან. მეფემ გარსევანს შეხედა და უთხრა: „ჩემი სამეფოს ნახევარი შენთვის მიჩუქებია, შენ გადამარჩინე მე სიკვდილისგან“. — „არა, მეფეო, — უპასუხა თურმე გარსევანმა, — მე მაგ საჩუქარს არ მივიღებ, ეს იმიტომ კი არ ჩავიდინე რომ თქვენი წყალობა მიმეღო, არამედ, ჩვენი მეგობრობის გულისთვის“.

განცვიფრებული სიმონი ყურადღებით უსმენდა:

— მაშ როგორცა ჩანს, გარსევანმა უარი თქვა ნახევარ სამეფოზე, ჰა?

— ან რად უნდოდა? მის საკუთარ მამულს თავი და ბოლო არ უჩანს.

ასეთ საუბარში ამოკლებდნენ მოხუცები თავიანთი სიცოცხლის დღეებს.

ერთ დილას, როცა სიმონი თავის სახლიდან გამოვიდა, მიწაზე დავარდნილი სიმინდის ტარო დაინახა. ტარო ხელში აიღო, რამდენიმე მარცვალი მოაცალა და ქათამს გადაუყარა, რომელიც იქვე მის ფეხებთან დაბორიალობდა. ქათამმა სიმინდის მარცვლები აკენკა და ეზოს გარეთ გასულ სიმონს ფეხდაფეხ აედევნა.

„მოდი, გავასუქებ, — გაიფიქრა სიმონმა, — გავყიდი და ცოტაოდენს მაინც ვისარგებლებ“. — და კვლავ დაუწყო ქათამს მარცვლების დაყრა. მანამდე კი თედოც გაჩნდა მასთან თავისი ჭრაჭუნა ყავარჯნებით.

— რას სჩადიხარ, სიმონ?

— რასა და აი, ქათამს ვასუქებ საშობაოდ.

— მართლა ამბობ? — იკვიანად ეკითხება თედო და თავის განკუთვნილ ადგილზე ჯდება, სიმონის გვერდით.

— რატომაც არა, ეს ჩვენთვის უბრალო საქმეა...

სიმონს უნდა ფაალიხიაოს, აიყოლიოს თედო და განაგრძობს:

— ჩვენ რომ ალდგომისთვის გოჭი დავკალით, მაშინ კი... როდის იყო ეს, თედო? ჰო, შარშან. დავკალით გოჭი და, დახე საკვირველებას! ისეთი მსუქანი იყო, ისეთი რომ, დამიჯერე, აი, ამოდენა, ოთხი თითის სისქეზე... ოთხი თითი რა არის, ხუთ თითზედაც იქნებოდა ქონი! აი, როგორი მსუქანი იყო.

მაგრამ თედო ასე ოოლად როდი უჯერებს მას. მას ეპეი შეიპყრობს:

— ოჰო, სიმონ, ასეთი სიმსუქნე დიდ ღორსაც კი არა აქვს ხოლმე.

სიმონს უნდოდა კიდევ ეთქვა რამე გოქის შესახებ, მაგრამ თედო შინისკენ გაეშურა. მარჯვედ ამოძრავებდა ყავარჯნებს და მიდიოდა გულმოსულივით, თითქოს ეწყინა, — სიმონის გოქი რომ ასეთი მსუქანი იყო.

— სით, თედო?

პასუხი არ გასცა მეგობარს. იგი მალევე დაბრუნდა. ხელში სიმინდის მოზრდილი ტარო ეჭირა, უკანუკან იხედებოდა, ფარცელებს უყრიდა და თან უძახდა:

— იხე, იხე, იხე!

თედოს ბაჯბაჯით მოჰყვებოდა ჭრელი იხვი.

— მე კი ამას ვასუქებ საწობაოდ! — უთხრა მან სიმონს.

ამიერიდან მოხუცების საუბარი სხვაგვარად წარიმართა. ეაქკაცები, მეფეები, თავადები, ყოველივე ესენი — დავიწყებას მიეცნენ.

— შეხედე, თედო, როგორ სუქდება ჩემი ქათამი!

— აბა ერთი ამ ჩემს იხვსაც შეხედე, სიმონ, სიმსუქნისგან ძლივსღა დადის.

— ეჰ, იხვი რა არის? იცი, რომ ჩვენი ბატონი გარსევანი ქათმის გარდა არაფერს მიირთმევს?!

გამწარებული თედო სიმონისკენ შებრუნდება და ეტყვის:

— ქათამია? აბა, როგორ შეიძლება ქათმის შედარება იხვთან? განა არ გაგიგია, რომ მეფე ქათმის ხორცს თავისი სუფრის სიახლოვეს არ აკარებს. ის მხოლოდ იხვის ხორცს მიირთმევს.

ჰოდა ასე; ამიერიდან ახალი ფიქრები, ახალი დარდი და სიხარული გაუჩნდათ მოხუცებს.

ერთხელ, ზაფხულის შუადღეს, შუბლზე ხელმოჩრდილებულმა თედომ ტყის პირისკენ გაიხედა:

— გაიხედე, სიმონ, ცხენოსნები არ არიან?

— აქედან რას გაარჩევ? თუმცა ცხენოსნები უნდა იყვნენ. ოთხი, ხუთი...

გზა ღელეში შედიოდა და ცხენოსნები ერთხანს გაუჩინარდნენ. ახლა ისინი კვლავ გამოჩნდნენ მახლობელ ფერდობზე.

— იცი, სიმონ, ვინ არიან ესენი?! გარსევანია, თავისი ამალით და მეძებრებით.

სიმონმა უფრო დაძაბა მხედველობა:

— მართლა ისინი არიან. ალბათ ნადირობიდან ბრუნდებიან: სანადირო ჩანთებიც თანა აქვთ.

ცხენოსნები ძველი კაკლის ხის ქვეშ შეჩერდნენ. მსახურები სწრაფად ჩამოქვეითდნენ და ბატონთან მივარდნენ, რომ ცხენიდან ჩამოსვლაში მიხმარებოდნენ.

გარსევანის ჩვიდმეტი წლის ვაჟი თვითონვე ჩამოქვეითდა და აღვირი გულგრილად მიუგდო მოახლეს.

კაკლის ხის ქვეშ ბატონის სამგზავრო სკამი გამართეს, მაგრამ გარსევანმა მწვანეზე წამოწოლა ინება. იდაყვი მიწას დააყრდნო და ხელის გულზე ჩამოდო თავი.

როცა დანარჩენებიც ჩამოქვეითდნენ ცხენებიდან, სიმონი და თედო წამოდგნენ და ქუდები მოიძრეს თავიდან. ისინი ვერავინ შეამჩნია პირველად. მერმე კი ბატონიშვილი მიხა მივიდა მათთან, თედოს ყავარჯენი ხელით მოსინჯა და დამცინავი ღიმილით ჰკითხა:

— რაო, ოთხ ფეხზე ადვილია სიარული?.. ცხენი ოთხ ფეხზე დადის, ხარი — ოთხზე, შენც მათ მიბაძე?

შემდეგ კი, თავნება ბატონიშვილი სიმონის წვერსაც მისწვდა ხელით.

— რა ყვითელი წვერები გაქვს! ცეცხლზე ხომ არ შეგიტრუსია? თითქოს შიგ ნამჯა ურევიაო!

შემკრთალი მოხუცები ნაძალადევად იღიმებოდნენ. მიხამ ახლა იქაურობას მოავლო თვალი: ალბათ უნდოდა, რაიმე მოეფიქრებინა. იგი მოხუცებს განშორდა. ისინი კი კვლავ წინანდებურად იდგნენ ქუდმოშვლეპილნი და გაუბედავად ჩურჩულებდნენ.

ბატონის მოახლე გაბო, იქვე ცეცხლს ანთებდა და საუზმეს აშზადებდა.

დანარჩენ მსახურებს სასაუბროდ მოეცალათ და იქვე ფერდობზე ჩამომსხდარიყვნენ.

ცხელი დღის მყუდროება მოულოდნელმა სროლამ დაარღვია. მოხუცებმა მიიხედეს, საიდანაც სროლა მოისმა. მთვლემარე ბატონმა გარსევანმა თავი წამოსწია და დაინახა: მის შვილს მიხას თოფი ეჭირა ხელში და ჯერაც ასდიოდა ბოლი. თვითონ მიხა კი გულიანად ხარხარებდა.

— შეხედეთ ერთი, შეხედეთ! ვინა თქვა, მიხა ცუდი მსროლელიაო?!

მის წინ, რამოდენიმე ნაბიჯზე მოშორებით, სიმონის საშობაო ქათამი სასიკვდილოდ ფართხალებდა.

— აიღე, გაბო და მოხრაკე! ეს ჩვენთვის ყველაზე კარგი ნანადირევია! — გასძახა მიხამ, თოფი მხარზე გადაიგდო და ამაყად გაემართა მამისკენ.

სიმონი მთელი სხეულით დაყრდნობოდა ჯოხს; იდგა და უცქერდა თვალებადქცეული. გაბო მის მკვდარ ქათამს უახლოვდებოდა. თედო კი რაღაც იდუმალ სიხარულს გრძნობდა, რომ მისი მეზობელი უქათმოდ დარჩა. იგი ქურდულად უმზერდა მეზობელს და ჩუმ-ჩუმად იცინოდა შეკავებული სიცილით.

— გაბო! — დაიძახა ბატონმა გარსევანმა, — აბა ერთი მოიხედე; აი, ეს რაღაა?! — და ბატონმა თედოს იხვზე მიუთითა.

— რა მსუქანია! აი, სწორედ ამისგან გამიმზადეთ საუზმე! იხვი წითელი ღვინით! უკეთესი აბა რაღა უნდა მოვიგონო!

იხვი ისე იყო გასუქებული, რომ ძლივს დაბაჯბაჯებდა და გაბოს, რა თქმა უნდა, არ გაუძნელდებოდა მისი დაჭერა. ახლა კი შეიოკა თედომ იდუმალი სიცილი, ქუდი დაიხურა თავზე, შებლზე ჩამოიფხატა და დაღვრემილი უნდილად დაეწვა სკამზე. სიმონიც დაჯდა, მეზობელს ღვარძლიანად შეხედა და უთხრა:

— რატომ აღარ იცინი, თედო? გაიცინე, გაიხარე!

ერთხანს კრინტი ვერ დაძრა თედომ, შემდეგ კი მეზობლის მისამართით წაიბურდღუნა:

— მერე რა, თუ გგონია რომ შენი ქათამი ჩემს იხვზე ნაკლები იყო!

გიგოს აღდგომა

გიგომ გადასწყვიტა, აღდგომა მდიდრულად ეღღესასწაულა. მართალია, მას არც წინა წლებში გადაუხდია ცუდად: სუფრაზე მოხრაკული იხვი ან ბატი მაინც ჰქონია, მაგრამ წელს უფრო უკეთესად სურდა, რაღაც არაჩვეულებრივად, ისე, როგორც არც ერთ წელს!

ჯერ კიდევ აღდგომამდე ორი თვის წინ, როცა გიგომ და მისმა მეუღლემ, პელომ, თავიანთი ქათმები, იხვები და გოჭები დათვალეს, მხიარულად წამოიძახეს:

— მადლობა ღმერთს, არც ისე ღარიბები ვყოფილვართ! თუ მოვიშორეთ გადასახადი და სხვა წვრილი ვალები, ხუთი ქათამი და სამი გოჭი კიდევ დაგვრჩება.

ცოლი და ქმარი ძლიერ კმაყოფილი დარჩნენ.

ბოლოს ქმარმა თქვა:

— დედაკაცო, იცი, რა მოვიფიქრე?

— აბა, რა მოიფიქრე?

— მოდი, აღდგომა ისე მდიდრულად ჩავატაროთ, რომ მეზობლებს გაუკვირდეთ.

— ჩავატაროთ კი, მაგრამ ჩვენი ბავშვიც ნუ დაგვავიწყდება: ახალი რამე უნდა ვუყიდოთ, სხვა ბავშვებზე ცუდად რად უნდა იყოს ჩაცმული! — უთხრა მეუღლემ.

— მერე, ამას რა დიდი რამე უნდა! ორი ქათმის მეტი არც დასჭირდება, მაგრამ მოიცა... იცი კიდევ რა უნდა გითხრა?

— რა?

— ერთი კარგი რამე უნდა გითხრა და...

— მაინც რა, აღარ მეტყვი, შე კაცო?

— რა და, აღდგომისათვის ერთი გოჭი უნდა გავასუქოთ.

— ეგ მართლაც კარგი თქვი, მაგრამ მერე რაღა უნდა ვქნათ, გოჭს რომ შევეჭამთ?

— ისეთი არაფერი დაგვემართება, დღე მოდის და თან მშვიდობა მოაქვს.

გიგომ და პელომ სამი გოჭიდან ერთი ამოარჩიეს და საალდგომოდ დაუწყეს გასუქება.

ცოლ-ქმარს პატარა გოგონა ჰყავდათ. მელოს ეძახდნენ. იგი მოსვენებას არ აძლევდა გოჭს. თავს დასტრიალებდა, ელოლიავებოდა და ხშირად თავისი წილი კერძითაც კი უმასპინძლდებოდა.

გოჭი თითქმის ყოველდღე შესამჩნევად იზრდებოდა და სუქდებოდა.

— ხომ ხედავ, პელო, როგორ სუქდება ჩვენი გოჭი! — ეტყოდა ხოლმე გიგო თავის ცოლს.

— გასუქდება, აბა რას იზამს! — უპასუხებდა პელოც.

ზოგჯერ გოგონაც ჩაერეოდა ლაპარაკში:

— როდისღა მოვა აღდგომა, როდის, მალე იქნება?

— მალე, სულ მალე, ჩემო მზეო!

ასე ერთობოდა ოჯახი.

როცა პელო მეზობლებში გავიდოდა, ცდილობდა რაიმე მიზეზი ეპოვნა, რათა თავის გოჭზე ჩამოეგდო ლაპარაკი.

— აი, იმ გოჭზე გეუბნებით, რომელსაც სააღდგომოდ ვასუქებთ. არ მეგონა, თუ გოჭი ასე გასუქდებოდა.

ზოგჯერ კი განგებ გამოიგონებდა რაღაც სხვა მიზეზს.

— ხო, მართლა, კინაღამ არ დამავიწყდა მეთქვა: იცი რა, ჩვენ რომ ლამაზი დოქი გვქონდა, ის გაგვიტყდა:

— რა დაემართა? — გაკვირვებით ჰკითხავდა მეზობლის ქალი.

— გოჭმა, რომელსაც ჩვენ სააღდგომოდ ვასუქებთ, თაროდან ჩამოაგდო და... ოხ, როგორ გასუქდა, ავი თვალით არ დაინახება.

ასევე იქცეოდა გიგოც.

სანახშოზე[1] თავისი გოჭის შესახებ ხშირად ლაპარაკობდა. თუ რომელიმე მეზობელს შეატყობდა, რომ ეხარბებოდა, უფრო მეტად დაიწყებდა ქებას. გიგოს, რაც არ უნდა მძიმე სამუშაოზე ყოფილიყო იგი, ან ცუდ ხასიათზე, თავისი სააღდგომო გოჭი მაინც აგონდებოდა. ამ მოგონებით იგი დროებით ივიწყებდა თავის ჯაფასა და წუხილს და უფრო მხიარულად, ხალისიანად განაგრძობდა მუშაობას. სოფელში ყველამ იცოდა, რომ იგი სააღდგომოდ გოჭს ასუქებდა...

— გიგო კარგად ცხოვრობს, ხომ გაიგეთ, როგორ გაუსუქებია გოჭი?!

ასეთი საუბარი ხშირად იმართებოდა სოფელში.

შაბათს, აღდგომის წინ, სოფლის მცხოვრებლები დიდ სააღდგომო მზადებაში იყვნენ.

გიგომ ხელი მოჰკიდა ცოლს და თან წაიყვანა.

— სად მიგყევარ, კაცო?

— მოდი აქ, მოდი!

საკუჭნაოში შეიყვანა მეუღლე და მხიარულად წამოიძახა:

— შეხედე ერთი, დედაკაცო, გინახია როდისმე ასეთი მსუქანი გოჭი?! რამ გაასუქა ასე!

პელო თუმცა გულში ქმარს ეთანხმებოდა, მაგრამ პირადად არ გამოტყდომია:

— მართლაც მსუქანია, მაგრამ იცი რა, მე რომ ქალაქში ვიყავი, ამაზე უფრო მსუქანი გოჭები ვნახე.

— ქალაქში კი ნახავდი, მაგრამ ისინი სიმსუქნით აბა ჩვენსას როგორ შეედრებიან, შეხედე ერთი, შეხედე, ქალო, როგორ არის ჩასუქებული! — ეუბნებოდა გიგო. — დამიჯერე, ადამიანო, ეს გოჭი გოგოსას კი არა, ბატონის სუფრასაც დაამშვენებდა...

— ბატონისა კი არა, ამას თვით მეფის სუფრის დამშვენებაც შეუძლია!

— წავიდეთ ეხლა სახლში, ხვალისთვის მომზადება გვინდა, — უთხრა გიგომ.

ცოლ-ქმარი საკუჭნაოდან გამოვიდნენ. მელო სირბილით გამოეგება მშობლებს.

— როდისღა იქნება აღდგომა, როდის? მაშ ჯერ კიდევ არ დამდგარა?

დედამ ხელში აიყვანა გოგონა.

— ხვალ, ჩემო მზეო, ხვალ ღორის ხორცს შეექცევი.

გოგონა დედის მკლავებიდან ჩამოხტა და მხიარულად გაიძახოდა: „ხვალ აღდგომა აარი, ხვალ აღდგომა აარი!" შემდეგ კი გოჭის სანახავად გაიქცა.

— გოჭს მე თვითონ მოვიყვან, — თქვა გიგომ და სახლიდან გავიდა თუ არა, მღვდელი და დიაკვანი დაინახა. ისინი მისი ეზოს ჭიშკართან იდგნენ.

— გამარჯობა! რატომ ჩვენთან არ მობრძანდებით? შემოდით სახლში!

— კარგი დღე დადგა და აი... მე და დიაკვანმა აქეთ გამოვისეირნეთ.

— რატომაც არა, გასეირნებაც კარგია ხანდახან, მერე თქვენ, მთელი მარხვის განმავლობაში ეკლესიაში ლოცულობთ. დაიღლება ადამიანი, აბა რა მოუვა!

[1] სანახშო — ადგილი სოფელში, სადაც გლეხები თავისუფალ დროს სალაპარაკოდ იკრიბებიან.

— ღმერთის სამსახურში თუკი დაიღლები, წუწუნი რა საკადრისია. — უპასუხა მღვდელმა.

გიგოსთვის უხერხული იყო, რომ მღვდელი და დიაკვანი მის ჭიშკართან მდგარიყვნენ. ამიტომ ერთხელ კიდევ უთხრა:

— მობრძანდით, დაისვენეთ ცოტახანს!

მღვდელმა და დიაკვანმა ერთმანეთს გადახედეს და გიგოსთან ერთად სახლში შეეიდნენ.

მთელს ხეობაში ყველა იცნობდა იოსება მღვდელს, რომელსაც სიმსუქნისგან ლოყები მეზურნესავით დაბერვოდა. მისი ღიპი კი, სანახშოზე შეკრებილ ხალხს სალაპარაკოდ ჰქონდა გამხდარი: დიდი მუცელი აქვს იოსება მღვდელსო — იტყოდნენ ხოლმე ისინი.

იოსებას ძალიან უყვარდა ქათმის ხორცი, არც ღორის ხორცს იწუნებდა. ქათმის ფრთა და ბარკალი ხომ ყველაფერს ერჩივნა. როცა იგი ქელეხში ან წვეულებაში მოხვდებოდა, ასე იტყოდა: ბარკალი და ფრთა მე მომართვითო.

სახელოებს დაიკაპიწებდა და ორივე ხელით მადიანად შეექცეოდა.

სოფლელებთან მეგობრული განწყობით ცხოვრობდა იოსება. სხვის სახლში ისევე თამამად და თავისუფლად შედიოდა, როგორც საკუთარში. შესელისთანავე ერთსა და იგივეს შეეკითხებოდა: „რასა იქთ, როგორა ცხოვრობთ?“ და კვლავ განაგრძობდა: „ჭამა-სმის საქმე როგორ არის?“

აი, ასეთი იყო იოსება მღვდელი. იგი არც ამაყი იყო და არც ამპარტავანი. ღარიბების სახლშიც თამამად მისუნსულდება, ოღონდ იქ საჭმელი და სასმელი ეგულებოდეს.

ეს კიდევ არაფერი. თქვენ მაშინ უნდა მოგესმინათ, როცა ის ათასნაირ სასარგებლო რჩევადარიგებას აძლევდა გლეხებს: „სახლი უნდა ააშენოთ მაღალი; ფართო ფანჯრებით, რომ ოთახი კარგი და ნათელი იყოს, ხორცით ხშირად უნდა იკვებოთ, აუდუღარი წყალი არ უნდა დალიოთ... თუ ყოველდღიურად დაიბანთ ტანს, ამას რაღა აჯობებს. მუშაობისგან თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ“.

აი ასეთს და ზოგჯერ უფრო უკეთეს დარიგებასაც აძლევს იოსება მღვდელი გლეხებს.

მას ხალხი ძალიან უყვარს და აკი ამიტომაც ზრუნავს მათზე. ახლაც, როგორც კი შემოვიდა გიგოს სახლში, თავისებური გამოკითხვა დაიწყო:

— რასა იქთ, როგორა ცხოვრობთ? როგორ არის თქვენი გოგონა? მოსავალი ხომ კარგი აიღეთ?

სტუმრებმა კარგა ხანს დაისვენეს და ასაუბრეს. შემდეგ მღვდელმა ქურდულად გადახედა დიაკვანს და გიგოს მიმართა:

— გიგო, ჩვენ ერთი პატარა საქმისთვის მოვედით შენთან. აი, წელან თქვენი ჭიშკრის წინ გამოვიარეთ შემთხვევით და მომაგონდა... მგონი ცოტა ვალი უნდა გქონდეთ ჩვენი... ჰოდა, გადავწყვიტეთ, შენთან შემოგვევლო... ჩვენ ვიცით, რომ მორწმუნე ადამიანი ბრძანდებით, შენთან სტუმრობა ყოველთვის შეიძლება.

გიგო განცვიფრდა, გაშრა, რადგან მას არავითარი ვალი არ ახსოვდა. გაკვირვებით შეხედა მეუღლეს.

პელო იმ წამსვე მიხვდა ყველაფერს და მღვდელს უთხრა:

საუჯინ[1], ჩვენი ვალი არ დაგვიწყებია, გადაგიხდით თქვენსას.

გიგო კვლავაც ვერ მიმხვდარიყო, თუ რომელ ვალზე ლაპარაკობდნენ. მაშინ მღვდელმა მიმართა მას:

— შარშან, ბავშვი რომ გარდაგეცვალათ, ღმერთმა აცხონოს... თქვენ მხოლოდ ათი შაური მომეცით. მაშინ აკი დამპირდით, რომ გოუსაც მომცემდით, როცა თქვენი ღორი დაყრიდა.

მხოლოდ ახლა გაახსენდა გიგოს თავისი დაპირება. იგი მდუმარედ იყო. ქრისტიც აღარ დაუძრავს. არც ცოლი იღებდა ხმას.

მღვდელი კი კვლავ განაგრძობდა:

— ახლა ძალიან ცუდი დროა, არავითარი შემოსავალი აღარ გაგვაჩნია. ჯვრისწერა და ასეთი რამეები აღარ არის. ხოდა, ასე ვიტანჯებით.

ყველანი დადუმდნენ.

მღვდელმა ჯერ პელოს შეხედა, შემდეგ გიგოს, რომელიც მდუმარედ იდგა, და განაგრძო: მაშ ასე, გადაგვიხადეთ ჩვენი ვალი და წავალთ. ჩვენ ამეამად ძალიან გვიჭირს, მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია!

ცოლ-ქმარმა ერთიმეორეს შეხედეს და უსიტყვოდ გაუგეს ერთმანეთს: გადასწყვიტეს, რომ

[1] საუჯინ — მღვდელია ოსურად.

მღვდლისთვის ყველაზე უფრო გამხდარი გოჭი მიეცათ.

პელო მის მოსაყვანად გავიდა, მაგრამ გააღო თუ არა კარები, ოთახში საღღვრომოდ გასუქებული გოჭი შემოვიდა, რომლის ქება მღვდელს წინათაც გაეგო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც ვერ მოიფიქრებდა, თუ ასეთი გასუქებული იქნებოდა და ახლა, როცა საკუთარი თვალით დაინახა, განცვიფრებით დაუწყო ცქერა. ბოლოს გახარებულმა ოსებამ ცოლ-ქმარს უთხრა:

— აი, ნამდვილი საღღვრომო გოჭი, ასეთი უნდა დაიკლას... სხვა გოჭები ამასთან შედარებით აბა რას წარმოადგენენ! პელო, მომეცით მე, რომ იცოდეთ, ჩემი ცოლი როგორი მადლიერი იქნება თქვენი, ძალიან გაუხარდება თქვენი ასეთი პატივისცემა, ძალიან... პირდაპირ დიდებული რამ იქნება: სუფრის ერთ მხარეს ინდაური, მეორე მხარეს — ბატკანი, შუაში კი — გოჭი... როგორ დაამშვენებენ სუფრას, როგორ მოუხდებიან ერთმანეთს.

გიგო და პელო კვლავ მდუმარედ იდგნენ.

ისევ პელომ დაარღვია სიჩუმე.

— რა თქმა უნდა, ჩვენ დაგპირდით გოჭს და უნდა მოგცეთ კიდეც. ეს იქნება თუ სხვა, ხომ უნდა მოგცეთ... ახლავე მოვიყვან.

იგი გოჭის მოსაყვანად სახლიდან აპირებდა გასვლას, რომ მღვდელმა შეაჩერა: მოიცადე, პელო, აი ეს გოჭი მომეცით, რომ იცოდეთ, რა დიდ მადლობას გადაგიხდით ჩემი მეუღლე! დიდად მადლობელი იქნება, დიდად!

პელოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მღვდელმა დაასწრო:

— აბა, დიაკვანო, დაეხმარე პელოს გოჭის დაჭერაში!

დიაკვნის ცხოვრებაში ასეთი შემთხვევა პირველი არ იყო. მას გოჭის დაჭერის კარგი გამოცდილება ჰქონდა. ახლაც იგი უყოყმანოდ დააცხრა პირუტყვს.

გოჭი საზარლად ჭყიოდა და ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა დიაკვანს.

— პელო, ბარემ ტომარაც მოგვინახე, შიგ ჩავსვამთ და ისე წავიყვანთ, ხოო, ასე, მოიტა, მოიტა, ამ წუთშივე დაგიბრუნებთ უკან,—თქვა მღვდელმა.

ტომარაში ჩასმული გოჭი ჭყიოდა და ფართხალებდა. მღვდელი კი კვლავ იმეორებდა:

— გმადლობთ! როგორი მადლობელი დაგრჩებათ ჩემი მეუღლე, როგორ გაეხარდება!

პატარა მელო მდუმარედ იჯდა. იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში ყურს უგდებდა ლაპარაკს, მაგრამ მას სრულიად არ გაუგია, თუ რაზე. საუბრობდნენ სტუმრები. როდესაც დიაკვანმა ტომარაში „ჩააყირამალავა" გოჭი, და ზურგზე წამოიკიდა, მაშინ მიხვდა ყველაფერს. ატირდა. იგი გარეთ გამოვიდა და მიმავალ მღვდელსა და დიაკვანს მიაძახა:

— სად მიგყავთ, დაგვიბრუნეთ ჩვენი გოჭი, მას ხომ აღღვრომისთვის ვასუქებდით!

მღვდელმა უკან მოიხედა და ხმამაღლა დაიძახა:

— გიგო, პელო! ბავშვს ფეხშიშველას რათ უშვებთ, არც თავზე ახვევია რამე, წაიყვანეთ, თორემ გაცივდება!

1910 წ.

ასეც ხდება

სახლიდან გამოსვლისას ხოსძაუმ ცას შეხედა და გაიფიქრა: „მადლობა ღმერთს, კარგი დარია მუშაობისათვის".

მერე ეზოს მოავლო თვალი და ფეხშიშველა შვილიშვილს გასძახა:

— ეი, შენ, ვაებატონო, ცხვირის ჩიჩქნის ნაცვლად აჯობებდა ძროხები გაგედევნა საბალახოზე.

სხვას ვის უნდა შეხმიანებოდა ხოსძაუ: ყველა, ვისაც კი რაიმეს გაკეთება შეეძლო, გამთენიის ხანს გასულიყო მინდორში.

ბიჭუნამ უხალისოდ გამოიღო ცხვირის ნესტოში შეჩრილი თითი და ბუზღუნით გარეკა ძროხები.

ხოსძაუმ ყავარჯენი ზურგს უკან დაიკავა, აუჩქარებლად გავიდა ქუჩაში. იქვე პატარა სკამზე ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე გადააჯვარედინა.

აი, ზის ხოსძაუ. ზის და ფიქრობს. თანაც ულვა-

შებში ელიმება ჩუმ-ჩუმად. ანდა რატომ არ უნდა ეღიმებოდეს. მთელს სოფელში აბა ვისა აქვს ამდენი სიმდიდრე. არც ქვის მესერით გარშემოვლებული ასეთი სახლ-კარი უდგას ვინმეს. ცხენებიც ბევრი ჰყავს ხოსძაუს და ხარებიც. ღვთის მოწყალებით, არც ძროხებზე დასწყდება გული. ცხვარი კი წრეულს ბარე ოთხასი სული დაუდის.

ამ ცხვარს შვილიშვილები მწყემსავენ მთაში. ერთი მათგანი ძამბოლათი, უკვე დასრულებული ვაჟკაცია. დანარჩენ ორსაც შეეგინგლა საულვამე: ერთი თექვსმეტი წლისაა, მეორე კი ერთი წლით უმცროსი.

სამი გათხოვილი ქალიცა ჰყავს ხოსძაუს. სასიძოებისაგან აღებული ყალიმით აიშენა თავისი კარ-მიდამო...

რაც მართალია, მართალია, მეოთხე ქალიშვილი ყველაზე ლამაზი მოესწრო მოხუცს. მასაც დანიშნული ჰყავს უკვე, მაგრამ ისაა სავალალო, ღარიბ-ღატაკი რომ გამოადგა. რა ხანია ნაწილ-ნაწილ იხდის ყალიმს და ჯერაც ვერ გადაუხდია. თუ ასე გასტანა, ალბათ ათ წელიწადს კიდევ ვერ გადაიხდის...

უსიამო ფიქრებში გართულ ხოსძაუს წარბები ეკმუხნება, ნაოჭები ასხდება შუბლთან.

— თუ ახალგაზრდა კაცს ყალიმის გადახდის სახსარი არა აქვს, არც უნდა ცდილობდეს ქალის დანიშვნას, — უკმაყოფილოდ ბუტბუტებს ხოსძაუ და ზანტად მიაბოტებს სახლისაკენ. მიმავალს თბილი ნამცხვარი და პილპილიანი არაყი ახსენდება — სიამოვნებით იშმუშნის ბეჭებს, ნაბიჯს უჩქარებს.

* *

მას შემდეგ, რაც საუგუდი ხუგათიმ ხოსძაუ ძახოითის ქალიშვილი დანიშნა, ორი წელი გავიდა...

ნეტა სიიდან უნდა იშოვოს საუგუდიმ ყალიმი, როცა ცხონებულმა მამამ მემკვიდრეობად მხოლოდ ქოხი დაუტოვა, რომელიც საქათმეს უფრო ჩამოგავს. არც ძროხები ჰყავს მას და არც ხარები. ერთადერთი კოქლი ცხენით კი აბა რა უნდა გააწყოს.

შრომის გარდა არაფერი დარჩენია საუგუდის და აკი შრომობს კიდეც. მარტოხელა ვაჟკაცმა თავიც უნდა ირჩინოს, ავადმყოფი დედაც უნდა არჩინოს, და რაც მთავარია, ყალიმიც დროზე გადაიხადოს. გარდა ამისა, ცოტა სახლ-კარსაც ხომ უნდა მიხედოს — საოცნებო ძერასასთან თავი რომ არ შეირცხვინოს.

ანგარიშიანმა ხოსძაუმ თავიდანვე დაიწუნა საუგუდი. — ღარიბი კაცი რისი მაქნისიაო. — აიჩემა მოხუცმა, მაგრამ გაკერპებული ქალიშვილი ვერაფრის დიდებით ვერ მოსტეხა. თაფლისფერთვალება ძერასას სხვა კაცის ხსენებაც კი არ სურდა.

მაშინ წამონთებულმა ხოსძაუმ გადაჭრით განაცხადა:

— მშვიდობის გზა გქონია, ჩემო ქალიშვილო. დაე, იყოს იმგვარად, როგორცა გსურს, მაგრამ იცოდე, ყალიმის დაწესება კი ჩემი ნება იქნება!

დაკორძილი თიხი შემართა მოხუცმა და ყრუდ ამოილაპარაკა:

— ათასი მანეთი ფულად, ერთი ცხენი და ორორი ხარ-ძროხა. პატარძლის მზითვიც და ქორწილიც — სასიძოს ხარჯზე.

ამ საშინელ სიტყვებზე თვალიც არ დაუხამხამებია საუგუდის. მას ხომ ყოველგვარ სიმდიდრეზე მეტად უყვარდა ძერასა!

მაგრამ ცხოვრებას თავისი გაჰქონდა.

დღემდე საუგუდის სახლის ნახევარი თუ იყო კრამიტით გადახურული, მეორე ნახევარს კი ისევ ჩალის სახურავი ედო. და ეს სახლი იმ სასაცილო კაცს ჩამოჰგავდა, — რომელსაც ცალ ფეხზე ახალი ჩექმა აცვია — მეორეზე კი ძველი ქალამანი.

ასეთ ოჯახში როგორ უნდა შემოიყვანოს სულზე უტკბესი ძერასა?

იმის გახსენება, რომ ყალიმის მხოლოდ სამასი მანეთი ჰქონდა გადახდილი, გულს უმღვრევდა საუგუდის. სიმშვიდესა და იმედს უკარგავდა. როგორც იყო, ამას წინათ, სამას მანეთსაც მოუყარა თავი და მოყვრის ხელით გაუგზავნა სასიმამროს. თან შეავედრა, ეს სიტყვებიც გადაეცათ მისთვის.

„კეთილო ნათესავო, ხოსძაუ! ნება მომეცი, რომ ვიქორწინო, მე კი ხუთას მანეთს გადაგიხდი ოთხასის ნაცვლად“.

გულცივად ჩაიკეცა ჯიბეში ფული ხოსძაუმ. საპასუხოდ კი ასე შეუთვალა: ხუმრობისათვის არა მცალია. თუ მისი ქალიშვილი სჭირდება, კეთილ ინებოს და ყალიმი გადაიხადოს; თუ არა და ზედმეტი ლაპარაკი რა საჭიროაო.

ჩაფიქრდა საუგუდი.

ძერასას გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. ძერასასთან მისვლამდე. კი წლები ამორებს, ვინ იცის, როდის ელირსება მისი ცოლობა.

ერთ ხანს მოტაცებაც კი დააპირა, მაგრამ მაშინვე უარყო თავისი აზრი.

არა და არა, იგი სულის ტოლს არ მოიტაცებს! ბუჩქიდან ბუჩქზე, — სოფლიდან სოფელში არ აწოწიალებს. ესეც არ იყოს, უნაგირზე და მომტაცებელთა ხელიდან ხელში გადაწოდებას როგორ შეჰკადრებს თავის ძერასას.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს რაიმე ხომ უნდა იღონოს, გამოსავალი ხომ უნდა ნახოს?

ძილი გაუტყდა დასევდიანებულ ვაჟკაცს. დაზაფრულივით დადიოდა შინა და გარეთ. სასომიხდილმა სამუშაოზედაც კი აიყარა გული.

და რაც დრო გადიოდა, რაც უფრო შორეული და მიუწვდომელი ხდებოდა ძერასა, მით უფრო ზიზღითა და შეურიგებელი ბრაზით ივსებოდა ხოსძაუს მიმართ.

მაგრამ ერთ დილას პირდაპირ გაოგნდა მოხუცი ქალი, როცა შვილის გაღიმებულ სახეს შეაყარა თვალი. პირმცინარი გამოვიდა ოთახიდან საუგუდი. მივიწყებული ჩვეულება გაიხსენა, — ტკბილად და გულღიად გაესაუბრა დედას.

მით უფრო საოცარი იყო ეს ამბავი, რომ ბოლო ხანებში ერთი სიტყვის თქმასაც კი ვერ გაუბედავდი დაღვრემილ ვაჟკაცს.

მუხთალი და ცბიერია საწუთრო. მომაკვდავთა ფიქრები და იმედები კი ფუჭი და ამაო. ბედნიერების ფიალა სავსე ჰქონდა ხოსძაუს, — ესვა და ელხინა! სიკვდილის კარამდე ეყოფოდა სიამტკბილობა. ახლა კი შეხედეთ!..

პირველი ლახვარი ამ ერთი თვის წინ მოხვდა ხოსძაუს გულს.

ქალაქისაკენ მიმავალ მის პირშო ბიბოს, რომელსაც სიმინდი მიჰქონდა გასაყიდად, ავაზაკები დაესხნენ და პირწმინდად გაძარცვეს. მთელი დღე ეგდო თხრილში ხელ-ფეხ შეკრული და პირში ბურთჩაჩრილი. ბოლოს, გამვლელები წაადგნენ შემთხვევით თავზე და იმათ უპატრონეს. სიმინდით დატვირთული ურიკა და ორი ცხენი კი უკვალოდ გაქრა. ვეღარც ყაბალახაკრულ მძარცველებს მიაგნეს.

უბედურებას უბედურება მოჰყვა. ერთი კვირის შემდეგ ახლა სამი ცხენი მოპარეს ხოსძაუს. სად არ ეძებეს ცხენების კვალი, მაგრამ მათ ასავალ-დასავალსაც კი ვერსად მიაგნეს.

ერთ თვეში მოტყდა და დაბერდა ხოსძაუ.

მეზობლების მლიქვნელური თანაგრძნობა კიდევ უფრო აღიზიანებდა მოხუცს. გუმანითა ხვდებოდა, რომ მისი უბედურება მათ სიამოვნებდათ კიდეც. მხოლოდ საუგუდი, ღმერთმა აღღეგრძელოს იგი, ჭეშმარიტად იზიარებდა მის დარდსა და ვარამს.

გულკეთილმა სასიძომ სადღაც ნაშოვი თხუთმეტი თუმანი გამოუგზავნა ხოსძაუს და მალე ასევე სადღაც ნაშოვი ცხენიც კი მოჰგვარა.

ვაი-ვაშვაშით აღამებდა და ათენებდა ხოსძაუ. მაგრამ რა იცოდა ბედკრულმა, რომ ეს ამბები მისი უბედურების მხოლოდ დასაწყისი იყო.

იმ ხანებში პაპის სანუგეშებლად და ოჯახის ამბის გასაგებად მთიდან სოფელში ჩამოვიდა ძამბოლათი. ცხვრის საპატრონოდ კი ორი უმცროსი შვილიშვილი დარჩა. თითქოს ძამბოლათის წასვლა იგლოვესო, მეორე დღესვე დაიხოცა სამი ძაღლი. ერთი დილით მოკვდა, მეორე ნაშუადღევს, მესამემ კი დაბინდების ხანს განუტევა სული.

ვახშმის თადარიგს იჭერდნენ ახალგაზრდები, როცა ანაზდად ავაზაკები დაესხნენ თავზე. ყაბალახწაკრულმა ეიმხდურებმა ხელ-ფეხი შეუკრეს მწყემსებს და თოფის გაუსროლად წალალეს მთელი ფარა. ერთი ციკანიც კი არ დაუტოვებიათ.

ამ ამბის გაგონებაზე ხოსძაუ უხმოდ ჩაიკეცა შუა ეზოში. მერე კი გონზე მოსულმა გამწარებით წაიშინა თავში ხელები.

— ეხლა კი დავიღუპე, საბოლოოდ გავნადგურდი! — გულდათუთქული მოთქვამდა მოხუცი.

მთელი ნათესაობა ფეხზე დადგა. გზები და ბილიკები შეკრეს. ახლო და შორეულ რაიონებში მეძებრები აფრინეს; მაგრამ ამაოდ. დაღვრილი წყალივით გაქრა ხოსძაუს ფარა.

მინდორში მომუშავე საუგუდიმ მოვალედ ჩასთვალა თავი ამ მძიმე წუთებში სასიმამროსთან მისულიყო და კეთილი სიტყვით გაემხნევებინა იგი. მაგრამ მარტო სიტყვიერ გამხნევებას როდი დასჯერდა, ჯიბეში ჩაკეცილი ორასი მანეთი ამოიღო და ხოსძაუს-უთხრა:

— ეს ფული შავი დღისათვის მქონდა გადანახული, ამაზე შავი დღე კი რაღა უნდა დაგვადგეს. აიღე და შეგერგოს! როგორც გენებოს, ისე მოიხმარე.

ერთხმად ლოცავდა ხოსძაუს ოჯახი საუგუდის.

— ეს რა ღვთისნიერი ნათესავი შეგვყარა ღმერთმა.

ერთ წელიწადში საუგუდიმ მთელი სახლი კრამიტით გადახურა. მოწყობილ ოჯახს მაღალი მესერი შემოავლო და დარჩენილი ყალიმიც მთლიანად გადაიხადა.

შემდეგ კი ისეთი დიდებული ქორწილი მოაწყო, რომ უსაქმო დედაკაცებს კარგა ხანი სალაპარაკო გაუჩინა.

* *

საუგუდი არასოდეს არ ყოფილა ბუნებით ქურდი, და როცა ხოსძაუს გაქურდვა დაიწყო, ასე ფიქრობდა: „ჩემი გატანჯვისათვის სამაგიეროს მივუზღავ ხოსძაუს, თანაც ყალიმს გადაიხდი, ძერასას შევირთავ და მერე კი კვლავ პატიოსნად ვიცხოვრებო“.

მაგრამ ადამიანში ალბათ არის ისეთი რამ, რაც ჯზასაცდენილს ხელს უშლის ისევ სწორ გზას დაუბრუნდეს...

საუგუდი მხოლოდ ხალხის თვალისასახვევად ეწეოდა მეურნეობას. შემოსავლის წყაროდ კი ძარცვა-გლეჯა გაიხადა.

სულ რაღაც ათიოდე დღე იცხოვრა მან ულამაზეს ძერასასთან. ერთ დღეს კი, ცხენების მოპარვის ცდის დროს, იგი მოჰკლეს. სიკვდილის წინ ამისი თქმალა მოასწრო:

— ღმერთმა ნუ შეუნდოს ხოსძაუს, რომლის სიხარბისათვის დავთმე პატიოსანი შრომაო.

და ეი მოასვენებენ საუგუდის. აუარებელი ხალხი მოსდევს ურემს, რომელზედაც მისი ნეშტი ასვენია. მაგრამ არავინ დასტირის მიცვალებულს. მხოლოდ დედა, სვედამწვარი დედა გულსაკლავად მოსთქვამს. ქვრივი ძერასაც ცრემლებით იოხებს გულს. გამწარებულები იგლეჯენ თმებს, ლოყებს იკაწრავენ. დაუსრულებლად მოეონავს სისხლი და ცრემლი. ქარი ჰაერში იტაცებს დაგლეჯილ თმებს...

და ვინ იცის, რას დასტირიან დედა და ცოლი — მიცვალებულს თუ მის შერცხვენილ კაცობას. ალბათ ერთსაც და მეორესაც.

ასეცა ხდება ხოლმე...

1913 წ.

არ მოელოდნენ...

კოკისპირულად წვიმდა, გადახურული ეტლი ვანოს რესტორანის კარებს მიადგა.

ეტლიდან მარდად გადმოხტა მამაკაცი, დაახლოებით ოცდაათი წლისა, წვერგაპარსული, კოხტად აგრეხილი ულვაშებით.

თავზე შავი მაუდის ქუდი ეხურა, მოხდენილ ტანზე კი გაცვეთილი ვიწრო პალტო ეცვა.

ეტლიდან რომ ჩამოხტა, აქეთ-იქით მიმოიხედა, მხრები გულდაწყვეტით აიჩეჩა, ეტლისაკენ ხელი გაიწოდა და თქვა:

— აბა, ლევან, გადმოდი! აქ სულ მშრალია!

— მომაშორე შენი თათი! განა მე ისეთი მოხუცი ვარ, რომ შენი მოშველება მჭირდებაო? — მოისმა ეტლიდან და ტლანქად გადმოძვრა ვეებერთელა მამაკაცი, რომელსაც მუცელი ბალიშივით გამობეროდა.

თეთრ ახალუხსა და შავ, კოხტად შეკერილ ჩოხაზე ვიწრო ქამარი ჰქონდა შემორტყმული. ფეხზე ახალთახალი შევროს ჩექმები უბზინავდა, თავს კი უზარმაზარი ფაფახი უმშვენებდა.

წითური თხელი ულვაშები და პალოსავით შეკრეჭილი მოწითანო წვერი სულ არ უხდებოდა მის მრგვალ, ჭარხალივით წითელ სახეს.

ვინც კი შეხედავს მას, უსათუოდ იტყვის:

— ო, ეს სქელი კაცი ცხოვრებაში ზორბა და გემრიელ ლუკმებს არ იქლებს ალბათ.

ბოლოს ეტლიდან გადმოვიდა ლევანთან შედარებით გარეგნულად სრულიად საწინააღმდეგო ტიპი, იგი თითქოს მხოლოდ ძვალი და ტყავი იყო. მას მხრებზე მკრთალ ვერცხლისფრად უბრწყინავდა მოხელის სამხრეები, ქუდზე კი — ნიშანი, პატარა შავი ულვაშები აქეთ-იქით ჯაგარივით აშვერილი ჰქონდა.

რესტორანის კარები ფართოდ გაიღო. მეპატრონემ მოსულებს თავი მდაბლად დაუკრა და მიიპატიჟა:

— შემობრძანდით, შემობრძანდით!

— გამარჯობათ, ბატონო ლევან!

ლევანი დიდი ხანია იცნობს რესტორანის მე-

პატრონეს, მაგრამ იგი შეხედვის ღირსიც არ გახადა. აგდებულად გაუწოდა ხელი და ჰკითხა:

— დიდი კაბინეტი თავისუფალია?

ლევანს მოწიწებით მიუახლოვდა სამი ოფიციანტი, თეთრი ხელსახოცებით ხელში.

თავადის მოსვლამ ისინი ააფორიაქა.

მეპატრონე განაგრძობდა მლიქვნელურად თავის დაკვრას.

— თქვენი კაბინეტი თავისუფალია! წამობრძანდით! — ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიდნენ.

წავიდნენ.

წინ მიდიოდა მეტრდოტელი. იგი ისეთი ნაბიჯით მიდიოდა, თითქოს საზეიმო პროცესიას მიუძღოდა წინ. მას მედიდურად მიჰყვებოდა თავადი ლევანი, რომელსაც წინ გამოეშვირა უზარმაზარი მუცელი. ცოტა მოშორებით კი ორი მისი თანამგზავრი.

მათ უკან მისდევდა, ტკბილად მოღიმარი რესტორანის მეპატრონე.

წელზე მეტი იყო გასული, რაც ლევანს გარდაეცვალა მამა — მოხუცი თავადი იოსებ ამილახვარი.

იგი თავის დროისათვის საკმაოდ განათლებული ადამიანი იყო. სულ მეფის ჯარში მსახურობდა.

მთელი თავისი ქონება, ყველა მიწა, თავადმა იოსებმა თავის ერთადერთ შვილს, ლევანს, უანდერძა...

ძალიან სწყინდა იოსებს, რომ მისი ლევანი უსწავლელი დარჩა. იგი თავის ფუქსავატ შვილს ხან ერთ, ხან მეორე გიმნაზიაში აწყობდა, მაგრამ გონებაჩლუნგი ყმაწვილი მაინც ვერ სწავლობდა. ვერც ქრთამმა, ვერც გულუხვმა საჩუქრებმა ვერაფერი უშველეს — მეორე კლასს ვერ იქნა და ვერ გასცდა ლევანი.

სამაგიეროდ, ძალზე შეუყვარდა უსაქმურობა, ღორმუცლობა, გარყვნილება, მეგობრებიც კი თავისი შესაფერი გამონახა.

იოსებმა სცადა, შვილს უფრო მკაცრად მოპყრობოდა, ფიქრობდა, იქნებ მოვახერხო და შვილი სწორ გზაზე დავაყენოო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მაშინ ლევანზე ხელი აიღო და მეგობრებს უთხრა:

— დაე, იმგვარად იცხოვროს, როგორიც ღმერთს გაუჩენია! არც ჩვენს წინაპრებს ჰქონიათ რაიმე განათლება, მაგრამ ისინი რომ საქმეებს აკეთებდნენ, ღმერთმა ყველას შეაძლებინოს.

ამ დღიდან მოყოლებული ლევანი თავის ნებაზე ცხოვრობდა.

იგი, სადაც არ უნდა გამგზავრებულიყო, თბილისსა თუ ქუთაისს, ყველგან თავშეუკავებლად ლოთობდა.

და აი, უკვე ერთ წელზე მეტია, რაც იგი განაგებს თავისი განსვენებული მამის დიდ სიმდიდრეს. ქსნის ხეობიდან დაწყებული, ქსანისა და კასპის სადგურებამდე, ყველა მიწა, რომელიც თვრამეტი ოსური სოფლის გლეხებს იჯარით ჰქონდათ აღებული, ეკუთვნოდა ლევანს.

ლევანი გლეხებს საიჯარო გადასახადს ახდევინებდა: ფულით, პურით, კარაქით, ყველითა და თაფლით.

ახალგაზრდა მემამულე არაფერს იწუნებდა.

მამის სიკვდილის შემდეგ თვეც არ გასულიყო, რომ ლევანმა ჩოხის ჯიბეებში ათასი მანეთი ჩაილაგა და თბილისს გაემგზავრა.

ახალგაზრდა თავადს ძალიან უყვარდა რკინიგზით მგზავრობა, და, რა თქმა უნდა, პირველი კლასის ვაგონით.

ამჯერად, თბილისში წაღებული ფულით მხოლოდ ორი კვირა შესძლო მხიარულად დრო ეტარებინა. ბოლოს კი ძლიეძლიეობით მოახერხა უკანასკნელი. გროშებით შინ დაბრუნებულიყო უბრალო ვაგონით.

— იგი ასე განგებ იქცევა! თავს ღარიბად გვაჩვენებს! — თქვა სადგურში მყოფმა ხალხმა, როცა თავადი მესამე კლასის ვაგონიდან გადმოვიდა.

— რასაკვირველია, განგებ იქცევა! რა, ფული არა აქვს თუ?

მას შემდეგ ლევანი ხშირად აკითხავდა თბილისის დუქნებს. მამისეული მიწები კი თანდათან ხელიდან ეცლებოდა.

თავად იოსების გარდაცვალების წლისთავისათვის იმ მიწებიდან, რომლებიც თვრამეტ სოფელს იჯარით ჰქონდა აღებული, ნახევარი უკვე გაყიდული იყო.

ლევანმა ერთი სოფლის მიწები ბანკში კიდევ დააგირავა და კვლავ თბილისს ეწვია.

სტუმრები მათთვის გამოყოფილ კაბინეტში შევიდნენ. ოფიციანტი მათ პალტოების გახდაში

მიეხმარა და მოკრძალებულად კარებთან აიტუზა. შემდეგი ბრძანების მოლოდინში.

მეფის აყლაყუდა მოხელე როიალს მიუჯდა და რაღაც ქართული მელოდიები დაუკრა. ლევანი სავარძელზე მძიმედ დაეშვა და დაიღრიალა:

— ეი, კაცო! რამე მოგვართვეი!.. — ეტყობოდა, რომ უკვე საკმაოდ გადაეკრა. ოფიციანტი მასთან მიიკრა შეკვეთის მისაღებად.

— მიტო, რა პირი დაგიღია? — მიმართა ლევანმა თავის მეორე თანამგზავრს, რომელიც რაღაცას ამღერებდა მეფის მოხელის მიერ ყალბად აყღერებულ როიალზე. — გაეცი განკარგულება, როგორც საჭიროა, თორემ რაღაც საწამლავს მოგვიტანენ.

მიტომ, კარგი ჭამა-სმის მოყვარულმა (მაგრამ ყოველთვის სხვის ხარჯზე), საჩქაროდ მენიუს გადახედა და თითქმის ყველაფერი შეუკვეთა, რაც კი საჭმელების სიაში ეწერა. თვალის დახამხამებაში მაგიდაზე გაჩნდა სალათა და არაყი — მომავალი ლხინის მოკრძალებული წინამორბედნი. მოხელემ ჭიქა მაღლა ასწია და სადღეგრძელო წარმოთქვა:

— ჩვენი საყვარელი ლევანის სადღეგრძელო იყოს! შევსვათ! — ლევანს ძალიან კარგად ესმოდა, რომ მის წინაშე მლიქვნელობდნენ, მაგრამ ეს მაინც სიამოვნებდა. თავისი წარმოშობითა და სიმდიდრით სხვების მიმართ უპირატესობას რომ გრძნობდა, ამით კმაყოფილი იყო.

— დე, ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს გულუხვი თავადი ლევანი! — წარმოთქვა თვით ლევანმა, ამ მოლხენის მთავარმა გმირმა.

მიტომ გულმხურვალედ შესვა სადღეგრძელო და მრავალჟამიერი წამოიწყო.

— მოეშვი, მიტო, — უთხრა თავადმა — ჯერ დავლიოთ, მერე სიმღერასაც მოვესწრებით.

ისევ დალიეს.

ლევანმა თავისი გამოცლილი ჭიქა მაგიდაზე გააგორა და დაიღრიალა:

— რა არის ეს! რას მასმევთ! მოგვართვეით საუკეთესო ღვინო! გესმით? ღვინო! ღვინო!

— თავადმა ბრძანა! — ახმაურდნენ თანამესუფრენი, — ახლავე მოართვეით მისი საყვარელი ღვინო!

ფართოდ გაიღო კარები.

ოფიციანტმა ზეიმით შემოიტანა უშველებელი ლანგარით ჩახოხბილი, რომელსაც ორთქლი ასდიოდა, და მაგიდაზე დადგა.

ლევანი აღტაცებისაგან სკამზე შეტოკდა და ჩოხის სახელოები მაღლა აიკაპიწა.

— პაპ!.. პაპ!.. პაპ.. — პირი გააწკლაპუნა ლევანმა — აი, ეს არის ნამდვილი საჭმელი, სალათით მხოლოდ თავს ვიტყუებლებთ.

— ჩქარა ღვინო!.. ღვინო! ყოჩაღ, მიტო! უშენოდ რა მეშველებოდა? უეკველად დაეიღუპებოდი!

მიტომ კი გაიფიქრა: „შენ, რაც შეიძლება, მეტი ფული იშოვნე, დანახარჯი გადაიხადე, საჭმელებს კი მე შევუკვეთავ, რამდენიც და როგორიც გინდა, როდესაც გნებავს“.

— მიტოს სადღეგრძელო იყოს! — მაღლა ასწია ჭიქა ლევანმა. — მიტო ჩემი საუკეთესო მეგობარია, შესანიშნავი ადამიანი. ღმერთმა მასაც მისცეს ისეთივე მეგობრები, როგორიც იგი ჩვენთვის არის.

— იცოცხლე, მიტო, ასი, არა, — ორასი წელი! — ადღეგრძელა მოხელემაც. — ერთმანეთს ჭიქები მიუჭახუნეს და ღვინო გადაჭრეს.

აი, ახლა კი დაიწყო ნამდვილი ქეიფი. სადღეგრძელო სადღეგრძელოს სცელიდა, ახალ-ახალი საჭმელი შემოჰქონდათ. მოქეიფეებს სახე დაუწითლდათ. ერთმანეთს არც ლაპარაკს, არც სიმღერას არ აცლიდნენ.

უცებ კარი გაიღო და ლევანი სკამიდან წამოხტა.

— შემოდი, შემოდი, სულიკო! ჩემო მეგობარო, მთელი საუკუნეა, არ მინახიხარ! — წამოიძახა თავადმა.

— საუკუნეო! — გაიცინა სულიკომ. — სამი დღის წინათ ერთად არ ვქეიფობდით? მითხრეს, აქ არისო, და შენს სანახავად გამოვეშურე. მითხრეს, ხვალ მიემგზავრებაო.

სულიკოს სახეზე ეტყობოდა, რომ იგი ღვინის სმას არ გაურბოდა და ახლაც საკმაოდ შეპიკქიკებული იყო.

ლევანმა იგი სუფრაზე მოიპატიჟა და გვერდით მოისვა.

— სულიკო, ჩემო მეგობარო! — თავის ახალ თანამესუფრეს მხარზე ხელი დაჭერა თავადმა.

— ამაოდ ხომ არ ვმჯდარვართ მე და შენ ერთ

მერხზე, იმ წყეულ გიმნაზიაში. განა ამის დავიწყება შეიძლება?! ყოჩაღ, ყოჩაღ, სულიკო, რომ მოსძებნე ძველი მეგობარი და შემოიარე! — ეს სიტყვები ლევანმა გულწრფელად წარმოთქვა.

— სრული სიმართლეა, ლევან, სრული სიმართლე! — უპასუხა სულიკომ, თავისთვის კი ფიქრობდა: „ჯანდაბას გიმნაზია! ახირებული კაცია, ერთი გემოზე მასვა და მაპყმა, მეტი არაფერი მინდა“.

თანამესუფრეებს რომ დასწეოდა, ერთბაშად გადაჰკრა ჭიქა არაყი და ორი ჭიქა ღვინო.

მერე კი სმა თანაბრად განაგრძეს. ლევანი ისედაც კარგად ნასვამი იყო, ახლა კი სულ გადაირია. მისი ამხანაგებიც კარგად გამხიარულდნენ.

— სანდრო, მეგობარო! — არცხვენდა მოხელეს ლევანი. — ჩვენ ჯერ, როგორც საჭიროა, სმა არც კი დაგვიწყია, შენ კი უკვე მთვრალსა ჰგავხარ! ეს არაფრად არ ვარგა. აბა, დაუკარ, ცოცხლად! მე კი რამეს მოვისაზრებ.

სანდრო მორჩილად მიუჯდა როიალს.

განრისხებულმა ლევანმა დარეკა. ოფიციანტმა შემოირბინა. თავადმა თავის ვეება მუშტი მაგიდაზე დაჰკრა. თეფშებმა, ჭიქებმა, ჩანგლებმა, დანებმა, ბოთლებმა — ყველაფერმა ზანზარი მორთო.

— კაცო, ეი, კაცო — დაიღრიალა თავადმა, — ჩახუბილი კარგი იყო.

— მოხარული ვარ, რომ გასიამოვნეთ, — პირმოთნეობით დაიღრიჯა ოფიციანტი.

— ახლა კი იცი, რა მინდა?

— აბა, რა ვიცი, ბატონო!

— დუეტი შამპანიური! არა, მიტო? ა?

— დიახ, დიახ, სწორედ დუეტი, ლევან! — თავადს მხარი მაშინვე დაუჭირა მიტომ. — თუ სმაა, სმა იყოს! მიყვარს ნამდვილი ვაუკაცები!

მიტო როიალს მიუახლოვდა და ჩახლეჩილი ტენორით დაამღერა სანდროს ყალბ აკომპანიმენტზე.

ლევანი ვერ წყნარდებოდა. მაგიდას კვლავ მუშტი დაჰკრა.

— იცი, კიდევ რა მინდა? — მიმართა მშვიდ ოფიციანტს.

— არა, არ ვიცი, თქვენო ბრწყინვალებავ!

— ოთხი მწვადი... ქალები!

მიტომ მოისმინა თუ არა ეს ახალი შეკვეთა, გულიანად გადაიხარხარა. სულიკომ მხოლოდ გაიღიმა მოსალოდნელი სიამოვნების წარმოდგენით სანდრო კი როიალზე დაკვრას განაგრძობდა. მან ენის ბორძიკით თქვა:

— ესეც კარგია. მოგვიხდება!.. და... ასეც ხდება ხოლმე!

ოფიციანტს არა ერთხელ მიუღია ასეთი შეკვეთა ვანოს რესტორანის სტუმრებისაგან და ამიტომ მას სრულიად არ გაკვირებია ლევანის ასეთი ქცევა. გაიღიმა და ჩუმად გავიდა კაბინეტიდან...

მეორე დილით ლევანს ცუდ გუნებაზე გაეღვიძა სასტუმროს ნომერში. ძლივს გაიხსენა წუხანდელი ქეიფის სხვადასხვა წვრილმანი.

მხოლოდ ერთი კვირა იცხოვრა თბილისში და ხუთასი მანეთიდან, რაც სოფლიდან წამოიღო, გროშებიღა დარჩა და გუშინ ისიც სულ გაფლანგა. მას რესტორანის ვალიც კი დაედო და იძულებული გახდა, მეპატრონისათვის ხელწერილი მიეცა. დღეს კი სასტუმროს ნომრის ქირაც უნდა გადაიხადოს — ოცი მანეთი. დავუშვათ, რომ აქაც ხელწერილის მიცემით მოაგვარა საქმე, მაგრამ გასამგზავრებლად ფული სად იშოვოს?

თავადი საგონებელში ჩავარდა. გაწეწილი, პირდაუბანელი ოთახში ბოლთასა სცემს და ფიქრებს მისცემია.

არა, ცხოვრება არა ღირს! — დაასკვნა ბოლოს ლევანმა. — ერთხელაც არ მიცხოვრია თბილისში ისე, რომ სრული სიამოვნება მიმეღოს და მამის ნაანდერძევი მიწებიდან კი მხოლოდ ნახევარიღა დამრჩა. მიწის გაყიდვა და დაგირავება უკიდურესი ზომაა. ჯობს საიჯარო გადასახადი გავადიდო. დაე, გლეხებმა გადამიხადონ, რამდენიც მე მსურს, თუ ჩემს მიწაზე ცხოვრება სწადიათ. და განა შეუძლიათ არ გადაიხადონ? რას გახდებიან? მიწები ხომ მემამულეების, თავადების ხელშია! მუქთად მიწას მათ ვინღა მისცემს!

— გადაწყვეტილია! — თქვა ხმამაღლა, — წავალ და სამჯერ გავადიდებ საიჯარო გადასახადს. გლეხებისათვის ისედაც ბევრი მიპატიებია. საკმარისია! გასუქდნენ, ისე კი სულ იძახიან: ღარიბები, უბედურები ვართო. კმარა! მივემგზავრები!

მეტი რა გზა ჰქონდა! ახლაც უნდა დაეძლია თავისი ავადმყოფური თავმოყვარეობა და მესამე კლასით გამგზავრებულიყო.

თავად ლევანის გარშემო გლეხები სხედან, მათ ღვინის სუნი კი არა, ოფლის სუნი უდით.

მადლობა ღმერთს, რომ შორს არ მიემგზავრება, თორემ ნამდვილად დაიხრჩობოდა.

„ფეხით წასვლა ჯობს, ვიდრე ასეთ ხალხთან ერთ ვაგონში იმგზავრო“ — ფიქრობს თავადი.

ძლივს მიაღწია თავის სადგურს.

ახლა ლევანი მხოლოდ იმას დარდობდა: სადგურში ნაცნობი არავინ შემხვდეს, არ მნახოს, რომელი ვაგონით ვიმგზავრეო.

მაგრამ დახეთ უბედურებას! თითქოს განგებ ბაქანზე ატუზულიყო სვირელი თავადი როსაბი.

ლევანს ყურებიც კი გაუწითლდა.

გულითადი მისალმების შემდეგ, როსაბმა სრულიად მოურიდებლად უთხრა:

— ზოგჯერ ცუდი არ არის მესამე კლასით მგზავრობა! ფეხით სიარულს მაინც ჯობს.

როსაბს ამ სიტყვებით ჩემი შეურაცხყოფა უნდოო — გაიფიქრა ლევანმა და უკვე თავს ვერ იკავებდა, მაგრამ როსაბი მშვიდად განაგრძობდა:

— ნუ ბრაზობ, ლევან! ასე შეც არა ერთხელ მიმგზავრია... რას იზამ, როცა ქეიფს არაფერი გადაგრჩება. ბოლოს და ბოლოს, ამ გრძელ გზას ფეხით ხომ ვერ გაივლი?

— როსაბ, ყველაფერი ჩვენი ბრალია, — იმწამსვე უპასუხა დაწყნარებულმა ლევანმა. — გავანებივრეთ ჩვენი გლეხები, ჩვენი მიწებით სარგებლობენ თითქმის სულ მუქთად და გადასახადიც თავის დროზე არ შემოაქვთ... ამას ბოლო უნდა მოეღოს! მივალ სახლში თუ არა, მიწის გადასახადს მაშინვე სამჯერ გავადიდებ...

— არ გადაიხდიან! — უპასუხა ლევანის გეგმით საკმაოდ დაინტერესებულმა როსაბმა. — ერთბაშად სამჯერ, ბევრია! აი, ჯერჯერობით ორჯერ რომ გაადიდო, სწორედ კარგი იქნება...

— არ გადაიხდიანო, ამბობ? და მიწა? ვის ეკუთვნის? ჩემია თუ არა? ჩემია! და აი, შეც ავიღებ იმდენს, რამდენიც მომინდება! ვისაც ეძვირება, შეუძლია წავიდეს, გზა დამილოცნია, არა, როსაბ!? მათ წუწუნს ყურსაც კი არ ვათხოვებ. მე გადავწყვიტე, არავითარი სიბრალული არ გამოვიჩინო! პირიდან გამოვგლეჯ, რაც მე მეკუთვნის! შენ გაიგებ, მათ კისერს როგორ მოვუგრეხ.

— წავიდეთ, მეგობარო! თუმცა ჯიბეში არაფერი მიჭყივის. თითო-თითო ჭიქა მაინც გადავკრათ შენს ხარჯზე... მერწმუნე. სამგზავროდ ძლივს მეყო ფული... გახსენებაც კი მრცხვენია, ისიც მესამე კლასით...

ისინი სადგურის ბუფეტში შევიდნენ.

* *

მცველებად ლევანთან ჩეჩნები მსახურობდნენ. თავადის ბრძანებით მთელი სოფლები შემოიარეს და გლეხებს გამოუცხადეს:

— მიწის გადასახადი იზრდება სამჯერ. ვინც თანახმა არ არის, ასეთი იჯარა გადაიხადოს, შეუძლია აიყაროს, სადაც უნდა წავიდეს, ორ კვირას არ გადააცილოს. ვინც დარჩება, ბატონ ლევანთან ახალი ხელშეკრულება უნდა დასდოს...

ათივე სოფლიდან მხოლოდ ერთადერთი გლეხი აღმოჩნდა, რომელმაც გაბედა ცოლითა და ორი პატარა ბავშვით თავისი ოჯახი მიეტოვებინა.

— დარჩით, თქვენი ნებაა, — უთხრა მან სოფლელებს. — მე კი წავალ. ძალა აღარა მყოფნის, რომ თავადების უღელქვეშ ვიშრომო, წყეულიმც იყოს! უმჯობესია, ოთხივეს შიმშილით სული ამოგვხვდეს... — და წავიდა.

სხვა ყველა დაემორჩილა ახალ ძალმომრეობას. ან სად უნდა გაქცეულიყვნენ?

ყველგან თავადებია, ყველგან მემამულეები. ვინ იცის, მათ შორის უარესი რომელი იყო? მაგრამ ისინიც კი, რომლებმაც მორჩილად იკისრეს სამმაგად გადიდებული იჯარის გადახდა, მალე მიხვდნენ, რომ ამას დიდხანს ვერ გაუძლებდნენ.

ლევანის მოურავებმა და მცველებმა სამჯერ სცადეს ზლეხებისაგან საიჯარო გადასახადის აკრეფა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. გლეხებმა ძველი ერთმაგი იჯარის გადახდაც ძლივძლივობით შესძლეს.

როგორ გაინაღდოს ხელმოწერილი ხელშეკრულება?

ლევანი მოთმინებას ჰკარგავდა, ბრაზი აღრჩობდა, მაგრამ რას გახდებოდა. ნახევარი წლის განმავლობაში იმდენი ვალი დაუგროვდა, რომ მას ვერც საიჯარო გადასახადი, ვერც გლეხების მთელი ქონება ვერ დაფარავდა. ლევანს კი სულ უფრო და უფრო მეტი ფული სჭირდებოდა... როგორ იმოქმედოს?

მეფის უღმობელ კანონს მიმართოს?.. სასამართლომ დაადგინა, გადაახდევინონ მოვალე გლეხებს

იძულებითი წესით დარჩენილი სიიჯარო გადასახადი.

ბინდდებოდა.

თბილი, მშვიდი საღამო დადგა.

მცხრალი მთვარე მიუწვდომელი სიმაღლიდან დაჰყურებდა სოფელ ზაყორს, მის გარშემო მდებარე მთებს, ბორცვებსა და ხევებს.

გლეხებს მძიმე სამუშაოს შემდეგ სალაყბოდ თავი მოეყარათ, თავიანთი უბადრუკი ქოხების ბანებზე წამოწოლილიყვნენ.

— შეხედეთ, — დაიყვირა ერთმა ბიჭმა. — რამდენი ცხენოსანი მოჰქრის ჩვენსკენ.

და მართლაც, ახალგორის მხრიდან რამდენიმე მხედარი ცხენებს სოფლისაკენ მოაგელვებდა.

მამასახლისი ლექსო ამ დროს სანახშოში იყო.

იგი ძალზე შეშფოთდა. „ვინ უნდა იყოს, — გაიფიქრა ლექსომ. — რატომ მოდიან ისინი ზაყორში? იმიტომ ხომ არა, რომ ჩემს საქმეებს გაეცნონ? ო, ეს ცუდი ამბავია! სოფელში უამრავი მტერი მყავს, ყველაფერი გამომეღავნდება, რაც ქრთამი ამიღია, ხალხი ამიწიოკებია“.

ლექსომ თავისი გულითადი მეგობრები მოიხმო და მხედრების შესახვედრად გასწია.

ეს იყო ახალგორის სასამართლოს ბოქაული ათი პოლიციელით.

ისინი ლევანის მოვალეების ქონების ასაწერად მოდიოდნენ: ჯერ ზაყორში და შემდეგ კი სხვა სოფლებში.

გლეხები მიხვდნენ, რომ მათ დიდი უბედურება მოელოდათ და სალამოს სოფელში მხიარული ხმაური მიწყდა.

„რა გვეშველება?“ — ფიქრობდა ყოველი მათგანი.

— მე და ჩემი ხალხი სადმე დაგვაბინავეთ! — უთხრა სასამართლოს ბოქაულმა მამასახლისს.

ლექსომ არ იცის, რა იღონოს.

მთელ სოფელში სასამართლოს ბოქაულის საკადრისი სახლი არ მოიპოვება. თუმცა თბილი გაზაფხულია, მაგრამ მაინც ვერც ერთ სახლში ვერ შეიყვან.

ბოქაული პოლიციელებით სკოლის შენობაში დააბინავეს, ცხენები კი სკოლის ბაღში გაუშვეს საბალახოდ.

ბოქაულმა ლექსო გამოიძახა და მკაცრად უბრძანა:

— იცოდე! ხვალ საქონელი არავინ არ გადენოს საბალახოდ. და თუ თავად ლევანის რომელიმე მოვალე შეეცდება თავისი საქონელი გადამალოს, ამისათვის პასუხს შენ მოგთხოვ.

ზაყორლები შეშფოთდნენ.

ბოქაულის გული როგორმე რომ მოეგოთ, დაჭკლეს მსუქანი ხარი, დააცხვეს ხაბიზგინები, შეიძინეს ღვინო, რასაკვირველია, არაყიც იშოვეს და ყველაფერი ეს სკოლაში გაგზავნეს.

მალე სკოლაში შეიკრიბა ყველა ადგილობრივი სამოქალაქო და სასულიერო ხელისუფალი: მღვდელი, დიაკვანი, მამასახლისი და სხვები.

მხოლოდ სოფლის მასწავლებელმა რაღაც მოიმიზეზა და სადღაც წავიდა.

საღამოს ბოქაულმა უფროს პოლიციელს უბრძანა, რომ სკოლის ეზოში გათენებამდე მოერეკათ ყველა მოვალე გლეხის საქონელი.

მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული, რომ ზაყორლები უკვე ფეხზე იდგნენ.

ბევრი არც კი დაწოლილა.

სოფლის თავში მოხუცი გარსევანის განმარტოებული ქოხი იდგა. პოლიციელებმა გადაწყვიტეს, დავალების შესრულება აქედან დაეწყოთ. მათ წინ შემოეგება თვით გარსევანი, ოთხმოცი წლის მოხუცი.

— ბევრი, ბევრი წელია, რაც ჩვენ იჯარას ვუხდით თავადს, — თქვა გარსევანმა, — დიდი ხანია იგი ჩვენს სისხლსა წოვს. თუ ღმერთი ცაში ნამდვილად არის, მაშინ თავადმა უნდა იცოდეს, სად არის სამართალი. თუ ახალგაზრდა თავადმა ეს არ იცის, ამას ჩვენ თვითონ გავარკვევთ. საქონელს არ მოგცემთ...

— ყურს ნუ უგდებთ მოხუც ქოფაკს, გამორეკეთ საქონელი როგორც ნაბრძანებია, — დაიყვირა უფროსმა პოლიციელმა, რომელიც ყაბარდოელ ცხენს მოაჯირითებდა.

გარსევანის ვაჟი, ნამდვილი გოლიათი, ხედავდა, საპატიო ჭაღარა მოხუცს მასხარად როგორ იგდებდნენ; მან ღობეს დიდი სარი გამოაძრო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უფროს პოლიციელს დაარტყა. იგი მოცელილივით მიწაზე დაეშვა. აქ თავხედს სხვა პოლიციელები მისცვივდნენ, იმწამსვე გაჰკოჭეს.

გაკოჭილი ვაჟკაცი ნაღვლიანად შესცქეროდა თავის სოფლელებს.

ნუთუ არავინ მიეშველება? არა!..

მის უახლოეს მეზობლებს, მეგობრებსაც თავი ისე ეჭირათ, თითქოს გაკოჭილის გაჭირვება მათ სრულიად არ ეხებოდათ..

— მომერიეთ, — უთხრა მან გამძვინვარებულ პოლიციელებს. — მომკალით, ჩამომახრჩვეთ, მაგრამ ძალადობით მაინც ვერაფერს ვერ გახდებით...

მას არავინ უსმენდა.

მზეს ჯერ კიდევ მთებიდან არ გადმოეხედა. რომ სოფლის მთელი საქონელი უკვე სკოლის ეზოში მოერეკათ.

ხარები ღმუოდნენ, ძროხები ზმუოდნენ, ცხენები ჭიხვინებდნენ, ცხვრები ბღაოდნენ, ღორები კი ღრუტუნებდნენ.

დამშეულნი თავიანთ პატრონებს სხვადასხვა ხმაზე შესჩიოდნენ.

გლეხები სკოლის ღობესთან შეგროვილიყვნენ და აღშფოთებულნი ჩუმად საუბრობდნენ.

— ერთი გაუმაძღარი წურბელა მთელ სოფელს სისხლსა სწოვს... განა ეს სამართალია? განა ამის ატანა შეიძლება? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

— თუ ღმერთი ასეთ უსამართლობას არ ხედავს, სადღაა იგი?!.

მზე უკვე კარგად იყო ამოსული, რომ სასამართლოს ბოქაული, მამასახლისი, მოხელე და პოლიციელები სკოლის ეზოდან გამოვიდნენ და ღობესთან რიყის ქვებზე ჩამოსხდნენ.

ცოტა ხანში მათთან მღვდელიც მივიდა, ისინი ელოდნენ ლევანს, რომელმაც მოსვლა დააგვიანა.

ალბათ, ცხრა საათისთვის მოვაო, უთხრეს ერთმანეთს.

დუშეთიდან და ახალგორიდან ვაჭრები უკვე ჩამოვიდნენ, მაგრამ თავადის დაუსწრებლად ვერ ბედავდნენ მოვალეთა საქონლის გაყიდვა დაეწყოთ. ბოქაული ჩუმად ესაუბრებოდა მღვდელს. მის წინ იდგა ლექსო, რომელსაც ·ხმლის ვადისთვის ხელი ჩაეჭიდა, იგი ამაოდ ცდილობდა, რომ ბოქაულის სიტყვები გაეგონა, მაგრამ გზას თვალს არ აშორებდა.

სოფლის მასწავლებელი განზე იდგა, თავდახრილი, რომ არ დაენახა, მის გარშემო რა ხდებოდა. იგი ღრმა ფიქრებს შეეპყრო.

— მოდიან! — წამოიძახა ლექსომ.

— მოდიან, მოდიან! თავადი მოდის! თავადი!— გაისმა გლეხებში.

ბოქაული წამოდგა, ხელით თვალი მოიჩრდილა და გზას დააცქერდა.

— მიკვირს, ძალიან მიკვირს. რატომ მარტო ორნი მოდიან? — უთხრა მღვდელს ბოქაულმა.

— შეხედეთ, შეხედეთ, ორი ცხენი უმხედროდ არის, — გაისმა წამოძახილები.

გლეხები გზას თვალს არ აშორებდნენ. ქალები იცრემლებოდნენ. ბავშვებმაც კი თამაში მიატოვეს და შეშინებული თვალებით უფროსებს შესცქეროდნენ, ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა, ასე რატომ ღელავდნენ მათი მშობლები, მაგრამ გრძნობდნენ, რომ რაღაც საშინელი უბედურება ტრიალებდა. ერთმა მოხუცმა ვეღარ შესძლო თავისი შფუხარება დაეფარა, ხელები ცისაკენ აღაპყრო და შეჰღაღადა: — ღმერთო, შეგვიბრალე!

ამ დროს კი მხედრები ცხენებს სოფლისაკენ მოაგელვებდნენ.

ბოქაული, მღვდელი და მამასახლისი უკვე აღარ საუბრობდნენ. გზისთვის თვალი ვერ მოეშორებინათ. ყველას ერთი ფიქრი აწუხებდა.

— რა მოხდა? ასე რატომ მოჰქრიან, რა იქნა დანარჩენი ორი მხედარი?..

ცხენოსნებმა, როგორც იქნა, მოაღწიეს და მაშინვე ცხენებიდან ჩამოხტნენ ბოქაულთან.

ესენი იყვნენ ჩეჩნები, ლევანის ქეშიკები.

მათ გაფითრებულ სახეზე შიში იხატებოდა. ეტყობოდათ, რაღაც საშინელი ამბავი აწუხებდათ. ბოქაულიც გაფითრდა. აღელვებისაგან ხმის ამოღებაც კი ვერ შესძლო.

— აბა, თქვით რა მოხდა? თქვით! — ხმამაღლა ჰკითხა ლექსომ ჩეჩნებს.

— ლევანი და ბათირბეგი მოჰკლეს, — მთრთოლვარე ხმით ძლივს ამოილუღლუღა ერთერთმა მათგანმა.

ბოქაული კანკალმა აიტანა, თითქოს აკიებსო, და ფეხზე წამოდგა. იგი უმწეოდ, კბილებაკაწკაწებული უცქერდა მამასახლისს.

— როგორ თუ მოჰკლეს? სად, ვინ? — ისევ მიმართა ჩეჩნებს ლექსომ.

აი, რა ამბავი მოიტანეს ჩეჩნებმა, როგორც მათი ბრეულ-დარეული ლაპარაკიდან გამოირკვა.

ლევანის სახლიდან ოთხნი წამოსულან: თვი-

თონ, მისი კერძო ვექილი, ბათირბეგი და მცველები.

ერთ ადგილას გზა ტყეში მიდიოდა, საცალფეხო ბილიკი უნდა გაევლოთ.

წინ ერთი ჩეჩენი მიდიოდა. მას უკან ლევანი მიჰყვებოდა, შემდეგ ბათირბეგი და ბოლოს მეორე ქეშიკი.

როგორც კი უღრან ტყეში შეეიდნენ, ზედიზედ ორი სროლა გაისმა. ლევანმა მიწაზე ბრახვანი მოადინა, ხოლო ბათირბეგის ცხენი გაქენდა და მოკლული მხედარი იმწამსვე ძირს გადმოაგდო.

ლევანს ტყვია პირდაპირ წუბლში მოხვდა, ბათირბეგს კი საფეთქელში, ზედ ყურთან.

მცველები მაშინვე მიიჭრნენ იმ ადგილას, საიდანაც ისროდნენ, ბუჩქები და ბალახები დათელილი დახვდათ, ხქვე ორი დაცლილი მასრა ეგდო. ეტყობოდა, რომ აქ ვიღაცა წინასწარ ჩასაფრებოდა. ორივე ტყვია, რათქმა უნდა, ერთი კაცის მიერ იყო ნასროლი, და სროლაც კარგი სცოდნია...

— მე არ მომკლავენ? — ენის ბორძიკით ჰკითხა ბოქაულმა მამასახლისს.

მან არაფერი უპასუხა და მცველებს უბრძანა:

— ცხენებზე!

თვითონაც მოკლული თავადის შეკაზმულ ცხენს მარდად მოახტა. ერთ-ერთ მცველს კი უბრძანა — მეორე ცხენით დაუყოვნებლივ დუშეთს გაემგზავრე და ყველაფერი აცნობეო.

ორი ჩეჩენი იმ ადგილისკენ გაქანდა, სადაც მკვლელობა მოხდა.

მღვდელი წყალში ამოწუწულივით იჯდა, ეს ამბავი რომ შეიტყო, ერთი სიტყვაც არ დასცდენია. მას მოესმა ბოქაულის მომაბეზრებელი კითხვა, რომლითაც ყველას გული გაუწყალა.

— მმ... ეც მომკლავენ?

უცებ მღვდელი ვერ გაერკვა, ასე დაეინებით ბოქაული რას შეკითხებაო.

— შენ რატომ უნდა მოგკლან? შენ მათთვის ჯერ არაფერი დაგიშავებია! — უთხრა მღვდელმა.

ამ სიტყვებმა ბოქაული დაამშვიდა და იგი მღვდლის გვერდით, თავის ძველ ადგილას ჩამოჯდა.

გლეხებმა ლევანისა და ბათირბეგის მოკვლის ამბავი რომ გაიგეს, ისედაც სევდიანი სახე უფრო მოეღუშათ. იცოდნენ, კარგად იცოდნენ, რომ მთავრობის რისხვა თავზე მათ დაატყდებოდათ. თავადები მართალი არიან თუ არა, მთავრობა მაინც მათ მხარეზეა.

გლეხებმა იცოდნენ, რომ ლევანის მოკვლის გამო მთელს სოფელს საშინლად ააწიოკებდნენ.

ლექსო და მისი ორი თანამგზავრი ორი საათის შემდეგ დაბრუნდნენ.

ისინი გულმოდგინედ ცდილობდნენ მკვლელის კვალისათვის მიეგნოთ. იქ, სადაც ლევანს ჩასაკრებოდნენ, შეამჩნიეს, რომ ტოტები შეეკრათ და ბალახი გაეთელათ. მიწა კი უკვე გამშრალიყო, კვალი აღარ აჩნდა, საქონლის გაყიდვა ძალაუნებურად გადასდეს.

მამასახლისმა და ბოქაულმა მოილაპარაკეს და გლეხებს უბრძანეს, საქონელი თავთავიანთ სახლებში გაერეკათ. ახალგორისა და დუშეთის ვაჭრებმა თავიანთ სახლებისაკენ გასწიეს.

ლექსოს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ლევანისა და ბათირბეგის მკვლელი აუცილებლად ვინმე ზაყორელი იყო.

სხვა ვინ უნდა ყოფილიყო?

მამასახლისი ფიქრობდა, მკვლელი როგორ აღმოეჩინა. ო, ეს რომ შესძლოს! მაშინ მარტო ცარიელი სიტყვებით — „გმადლობთ სამსახურისათვის“! — მთავრობა მას ვერ დააკმაყოფილებს. აქ საჭიროა მიიღოს რამე უფრო სერიოზული... ვთქვათ მედალი...

მაშინ კი, ო, მაშინ მამასახლისი სრულიად ხელშეუხებელი გახდება. და ლექსომ გაფაციცებით დაიწყო იმის გამოძიება, თუ სოფლელებიდან ზაყორში ვინ არ იმყოფებოდა...

აღმოჩნდა, რომ ყველა, გარდა მწყემსებისა, სოფელში იყო. მამასახლისს უეცრად თავში კარგმა აზრმა გაუელვა.

— როგორც ჩანს, მე მკვლელი ვიპოვე, — თქვა მან. — ამისთვის მადლობას მეტყვიან არა მარტო დუშეთის, არამედ თბილისის ხელისუფალნიც, და ნიკო გაიხსენა.

მწყემსი ნიკო გულადი, უშიშარი ახალგაზრდა იყო, შესანიშნავი მსროლელიც.

— ის არის! სწორედ ის! — კიდევ გაიმეორა ლექსომ თავისთვის.

— ასე ზუსტად სხვა ვერავინ ისვრის, სახუმრო საქმეა, ტყვია ორივეს პირდაპირ შიგ თავში მოარტყა. ეს ნიკოა. უეჭველად ის არის...

ის თავის მოსაზრებას არავის გაანდობდა. რასაც გადაწყვეტდა, თვითონვე გააკეთებდა.

იმ ბიჭს კი კოხტად ჩამოახრჩობენ. ეს რომ ასე მოხდებოდა, ლექსოს ერთი წუთითაც ეპვი არ ეპარებოდა! მაგრამ მამასახლისს დიდი სურვილი ჰქონდა, ამ საქმეში სხვებიც გაეხვია, თავისი სოფლიდან, ვისგანაც ნაწყენი იყო.

მოსისხლე მტრებსა და მოშურნეთ თავიდან მოვიცილებ, მეფესავით ვიცხოვრებ. სწორედაც!— გადაწყვიტა ლექსომ, მაგრამ მოულოდნელად მღვდელმა მას მიმართა:

— ლექსო, გაიხედე, იქ რა ხდება?

ლექსომ ახალგორის გზას გაჰხედა და ხალხის დიდი ჯგუფი დაინახა, რომელიც სოფლისაკენ მოიჩქაროდა.

სასამართლოს ბოქაულმაც გაიხედა იქით და თქვა:

— ნამდვილად შენი შიკრიკია. გზაზე, ალბათ, ჯარის რაზმს გადაეყარა და აქეთ მოჰყავს.

ბოქაულს, როგორც მამასახლისს, სურდა, რომ ზაყორლები სამაგალითოდ დაესაჯა, წინათაც უფიქრია იმაზე, რომ სოფელში სამხედრო რაზმი ჩაეყენებინა და ამ თავგასული, საძაგელი გლეხებისათვის ჭკუა ესწავლებინა.

— ნამდვილად ისინი არიან! — არწმუნებდა თავის თავს ბოქაული. რაზმი უკვე ახლოს იყო, ბოქაული გამხნევდა, გადახედა მდუმარე გლეხებს და გაბრაზებით დაიყვირა:

— ეი, თქვენ, არამზადებო, დაწყნარდით? აი, ახლა გაიგებთ, რას ნიშნავს მეფის ერთგული მსახურების მოკვლა!

მღვდელიც, მამასახლისიც, მასწავლებელიც, გლეხებიც, — ყველა უკლებლივ ახალგორის გზას აღელვებული გასცქეროდა.

რაზმი კი ზაყორს სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა.

უცებ გაისმა ქალის ნაღვლიანი მოთქმა:

— მოდიან ჩვენთან, მოდიან! დაგვღუპავენ! ისინი სულ გაგვანადგურებენ, ეს რა შავი დღე დაგვიდგა, ღმერთო მოწყალეო! — აქვითინდნენ სხვა ქალებიც.

ჩუმად გაპყურებდნენ გზას მამაკაცებიც, მერე კი ისინი მწარე ფიქრებმა შეიპყრო.

„დიახ, ახლა აღარ დაგვინდობენ: ქვას ქვაზე არ დასტოვებენ“.

მხოლოდ მამასახლისი, ბოქაული და მღვდელი გამხიარულდნენ. ისინი საუბრობდნენ და იცინოდნენ. მასწავლებელი კი კვლავინდებურად განმარტოებით იდგა.

რაზმი ახლოვდებოდა.

ყველამ დაინახა, რომ რაზმის თავზე რაღაც დროშები ფრიალებდა.

მასწავლებელი თვალმოუშორებლად გასცქეროდა გზას.

„ხელისუფალნიც“ შფოთავდნენ. და აი, უკვე მოისმა ზაყორლებისათვის უცნობი სიმღერის დიდებული ჰანგები. და მაშინ მასწავლებელი გაბრწყინებული თვალებით მიიჭრა ხალხთან.

მღვდელს, ბოქაულს და მამასახლისს იმწამსვე სახე დაეჭიმათ. ისინი გაოგნებული შესცქეროდნენ ხალხს, რომელიც სოფელს უახლოვდებოდა. ორასი კაცი მაინც იქნებოდა. და უეცრად მასწავლებელმა, თავმდაბალმა და წყნარმა ზაყორელმა, მედროშეს წითელი დროშა გამოართვა და მათთან ერთად წინ, მშობლიური სოფლისაკენ გასწია.

— გაუმარჯოს რევოლუციას! გაუმარჯოს თავისუფლებას! — წამოიძახა მან და თანასოფლელებს მიუბრუნდა.

მასწავლებელმა აღმართა დროშა სკოლის პარმაღზე, იგი უშველებელ ლოდზე შედგა და დაიწყო ლაპარაკი, დროგამოშვებით ჩაიხედავდა ქალალდში, რომელიც მას მიაწოდა ხალხმა.

— ხალხნო, — თქვა მასწავლებელმა. — ეს-ეს არის, მიღებულია დეპეშა პეტროგრადიდან. მეფე ნიკოლოზი ტახტიდან ჩამოუგდიათ. მისი მინისტრები დაუპატიმრებიათ. მოხდა ის, რასაც ჩვენ დიდხანს ველოდით, აღსრულდა!

გლეხები ერთმანეთს უყურებდნენ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა რაიმე ეთქვა.

მასწავლებელთან ბოქაული და მამასახლისი მიიყვანეს. ბოქაულს სახე იმ ქალალდზე უფრო გათეთრებოდა, რომელიც ორატორს ხელში ეჭირა, ტუჩები კი საზიზღრად უთრთოდა. მამასახლისი ცდილობდა, რომ სიმშვიდე გარეგნულად მაინც შეენარჩუნებინა, მაგრამ მის დაბნეულობას ამჟღავნებდნენ თვალები, რომლებსაც აქეთ-იქეთ აცეცებდა.

ვიღაც ქალაქელი ბოქაულს მიუახლოვდა. ქუდი მოხადა, მერე კი ხელი მამასახლისისაკენ წაიღო.

— ქუდს ხელი არ ახლო, — აკანკალებული ხმით თქვა ლექსომ. — ოგი ჩემი წინაპრებისაგან მერგო, მე მას არავის მივცემ. მე, როგორც თქვენ ყველანი, ხალხიდანა ვარ გამოსული. განა მტერი ვარ მე თქვენი?

— არ დაუჯეროთ მას! — მკაცრად შეაწყვეტინა მასწავლებელმა. — ეს ბრაზიანი ძაღლია მეფის საძაღლედან. წაართვით მას ქუდი, ხანჯალიც და რევოლვერიც! ორივენი სარდაფში უნდა ჩავკეტოთ. და მერე მოვიფიქროთ, როგორ მოვექცეთ მათ...

გლეხები თავიანთ თვალებს არ უჯერებდნენ. სახუმრო საქმეა: ყოველისშემძლე ბოქაულისა და მამასახლისის დაპატიმრება, სარდაფში დამწყვდევა!..

სიხარულისაგან ზოგი ტიროდა, ზოგი მღეროდა, ზოგი ცეკვავდა...



ცომპყ გალიათი

ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘ

მთელ თავის სიცოცხლეს სიღარიბეში ატარებდა დახცი. იგი სადღაც, სოფლის განაპირას, მინდორში ცხოვრობდა თემშარასთან ახლოს. მისი ნამჯით გადახურული ფაცხა თავის პატრონივით დაბალი და ღარიბული შესახედაობისა იყო. განსაკუთრებით კი ზამთარში, როცა თითქმის მთლიანად იფარებოდა თოვლით და თანაც ძლიერი, სუსხიანი ქარი ჰქროდა.

დახცის საუბედუროდ წლევანდელი ზამთარიც ცივი და ყინვიანი დაიჭირა. იანვარი სასტიკი ნაბიჯით მოდიოდა და თან სუსხი და ყინვა მოჰქონდა მთასა და ბარში. ხან კი, დახცის ფაცხაშიც თეთრი თვალებით შეიჰვრიტებოდა ჩალეწილი ფანჯრებიდან.

კვირადღე იყო. თუმცა დღევანდელი დღე სხვა დღეებისგან არაფრით განსხვავდებოდა, მაგრამ დახცის ოჯახი მაინც საზეიმოდ გამოიყურებოდა და რაღაც მზადებაში იყო. მისი ცოლი, ბაბუზი, ვარცლში ბუჯარაობდა, ხოლო სონას, დახცის თექვსმეტი წლის გოგონას, აბოლებული ცეცხლის წინ დაეჩოქა და ნედლ ფიჩხს ჰყრიდა კერაში.

დახცი დინჯად წამოდგა. ძველი ტყაპუჭი ღვედით შემოიჭირა და ეზოში გამოვიდა. ფაცხის წინ ცოტახანს შეჩერდა, ბოსლისკენ გაიხედა, სადაც მისი ვაჟი, მისოსთი, ცხენსა და ძროხას თივას უყრიდა. შემდეგ კი თემშარაზე გავიდა. იგი ნელი ნაბიჯით მიდიოდა და ათას რამეზე ფიქრობდა. მის გონებაში ზედიზედ იცვლებოდნენ ფიქრები.

„ახლანდელი მთავრობა ნამდვილად ეხმარება ღარიბებს, ნამდვილად, — ფიქრობდა დახცი, — მაგრამ... მაგრამ ისა, რომ დახცი ნამეტანი მოკრძალების გამო დღემდე ღარიბად დარჩა და სადღაც სოფლის განაპირას ცხოვრობს".

ცოლთან ერთად სისხლსა და ოფლსა ღვრის სიმინდის ყანის პატარა ნაკვეთში. დახცის თვალწინ დაუდგა თავისი პაწია სათიესე, გამხდარი ცხენი — კუპკა გაბერილი მუცლით, მისი დაბალი, მთიულური ძროხა, ბაბუზის ქათმები. ყოველივე ესენი თვალწინ წარმოუდგნენ რაღაც საწყლად. როგორც თვითონ და მთელი მისი ოჯახია.

მისოსთი და სონა, მისი ერთადერთი ვაჟი და ქალიშვილი, კომკავშირში. ჩაეწერნენ. პარტიულ უჯრედს დაუკავშირდნენ და რაღაც კრებებზე დადიან. ამის გამო ზოგიერთმა მეზობელმა მტრულად დაუწყო ცქერა დახცის. აი, თუნდაც ილასი, მისი მეზობელი მდიდარი ილასი...

დახცი ახლა სწორედ მის კარზე იყო მისული და ეზოში გამოსული ილასი დაინახა. შეჩერდა და თავაზიანად მიესალმა. ილასმა მედიდურად, მრისხანედ გადმოხედა მაღლიდან.

— ჰეი, დახცი, — უთხრა ილასმა, — შენი შვილების მეგობრებმა ქვეყანა ამოაგდეს. ამ ბოლშევიკებმა ჩვენი მამა-პაპების ნამუსი შელახეს. ახალწლის ღამეს წვეულება მოუწყვიათ და ქალი და კაცი თურმე ერთად მსხდარან, ერთ სუფრაზე. ღორი დაუკლავთ და თავი თამადისთვის მიურთმევიათ. ნასყიდაანთ სულელი მოხუციც იქა ყოფილა. ამბობენ. ღორის თავი ხელში აუღია და

წმიდა გიორგისათვის შეუწირიაო. ფუი, წყეული იყოს იმათი თავი!

— მერე ჩვენ რა ვქნათ? — სთქვა დახციმ.

— მართალს ამბობ, ჩვენ რა ძალა შეგვწევს! მაგრამ... როგორც ჩანს, მალე ბოლო მოეღებათ, ნუ გეშინიან, თოხთიაანთ მამსურას ხომ იცნობ, მეფის დროს პოლკოვნიკობამდე ცოტაღა აკლდა, ჰოდა, იმანა თქვა: ამ გაზაფხულის მეტს ვეღარ გასტანენო... არა, მართლაც საკვირველია: რას უყურებდნენ აქამდე სხვა სახელმწიფოები?! მაგრამ, დახცი, ჩემო მზეო, შენს ბიჭსა და ქალიშვილს გაუფრთხილდი, თვალყური ადევნე: სხვანაირ ახალგაზრდებთან დადიან და...

ისინი ცოტახანს კიდევ საუბრობდნენ. შემდეგ ილასი შინ შებრუნდა. დახციმ კი სოფლისკენ განაგრძო გზა. ამიერიდან გულში ახალი დარდი და ვარამი გაუჩნდა მას. მისი ვაჟი მესოსთი და მისი ერთადერთი ნუგეში ქალიშვილი — სონა... ვინ იცის, იქნება მართლა დაბრუნდნენ კვლავ წყეული თეთრები. მაშინ ისინი არც დამნაშავეს გაარჩევენ, არც უდანაშაულოს...

და ამის გაფიქრებამ მას თვალწინ წარმოუდგინა დენიკინის დროინდელი მხეცობა და ძალადობა, მთვრალი ყაზახების დაჭყეტილი თვალები. აგერ კანცელარია, მის წინ, პატარა მოედანზე აღმართული სახრჩობელა, მასზე მოქანავე ვიღაც საწყალი მუშა-კაცის გვამი. მგონი, რუსი უნდა ყოფილიყო. ყაზახებმა პაპიროსი შესჩარეს პირში. ძველი, დაფლეთილი ქუდი შუბლზე ჩამოაფხატეს. სოფლის ბავშვები კი გარს ეხვეოდნენ, თითქოს წარმოდგენა ყოფილიყოს გამართული.

— ღმერთმა დაიფაროს, ღმერთმა დაიფაროს!.. — ამბობდა დახცი.

ამ საშინელი სურათის გახსენებამ ხასიათი წაუხდინა. გზა აღარ განაგრძო და გაჯავრებული უკან დაბრუნდა. მას კვლავ ილასის სიტყვები აგონდებოდა: „შენი შვილების მეგობრები.“ უვარგისი, უბედური ჩემი შვილები, ხალხისგან გამთიშავენ ის წყეულები! ილასი მართალს ამბობდა: მამა-პაპების ნამუსი შეგირცხვინესო. უმცროსუფროსობა ამათ აღარ იციან, ეკლესია აღარავის აგონდება.

---

[1] ყობანი, სოფლის სახელია.

დახცის მხოლოდ ცოლი დაუხვდა შინ. მესოსთი და სონა სოფლის კლუბში წასულიყვნენ.

დახცი, თუმცა ხალხის წინაშე პატარძალივით ხათრიანი და სიტყვაძუნწი იყო, მაგრამ თავის ოჯახში სიტყვაუხვობდა და ხშირად ბუზღუნებდა. ახლაც, როცა იგი სახლში მივიდა და აბუზღუნდა, ბებუზი მიხვდა, რომ ქმარი გულმოსული იყო ვიღაცაზე.

— ქვეყანა ამოაგდეს, ამ წყეულებმა! — ყვიროდა სიბრაზისგან გულმოსული დახცი. ბებუზ-ქმარს შიუბრუნდა.

— ისევ გაგაჯავრეს? ნეტავ ვიცოდე, ვინ გაბრაზებს! — უთხრა მეუღლემ.

— ვინა? ვინა და შენი შვილების მეგობრები, აბა სხვა ვინ იქნებოდა!

— დამეხსენ, თუ ღმერთი გწამს, ალბათ ვიღაცამ წაგაქეზა შვილებზე.

— ჭაშ სად არიან, მითხარი, სად დაეთრევიან?!

— სიმართლე უნდა გითხრა, შენი შვილები შენსავით ჯიუტები და გაუგონრები არიან.

იმ ღამეს მესოსთი და სონა გვიან მოვიდნენ. დახცი დიდხანს უცდიდა შვილებს და რადგან არ გამოჩნდნენ, იგი ყოყმანის შემდეგ თავის ვიწრო პატარა ტახტზე წამოწვა.

იმ დღიდან ხშირად ეჩხუბებოდა ხოლმე მესოსთისა და სონას. ხან კი მათ ჯავრს მეუღლეზე იყრიდა.

ერთ დღეს თეითონ ილასი მივიდა დახცისთან. ლობესთან გაჩერდა, სარზე ჯოხით დააკაკუნა და დაიძახა:

— ჰეი, დახცი, შინ არა ხარ?!

დახცი გარეთ გამოვიდა. ერთმანეთს მიესალმნენ. შემდეგ ილასი, როგორც ყოველთვის, ახლაც თავს დაესხა ბოლშევიკებს:

— შენ შვილს უთხარი მიატოვოს მეგობრები, სანამ გვიან არ არის და მერე თუ ხმა გასცეს ვინმემ, თავდები მე ვიქნები. დედას გეფიცები, დახცი, სიმართლეს გეუბნები. ის ხომ ჩემი მეგობრის შვილია. ყოველთვის გავუწევ დახმარებას... — და შემდეგ თითქოს წასვლას აპირებსო, ისე განაგრძო ილასმა — შენი ქალიშვილი კი, სონა... ჩემი სიტყვა სხვანაირად კი არ გაიგო, დახცი, ჩვენ ორივე ყობანელები[1] ვართ. მაგრამ ხომ გაგეგება, ახლან-

დელი ახალგაზრდები რა უწესო და თავაშვებულები არიან. თვალი კარგად ადევნე თქვენ ქალიშვილს. საშიშია თავი არ შეირცხვინოს.

დახცი მიხვდა, რომ ილასი სადღაც, მტკივნეულ ადგილს შეეხო. ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა მასზე, თითქოს დანა ჩაეცეთ გულში.

— ღორები და ძაღლები არიან ახლანდელი ახალგაზრდები, ღორები! — თქვა დახციმ და შინ შებრუნდა.

ბაბუში ღუმელთან ფუსფუსებდა. დახცის სიბრაზისგან გული ებჯინებოდა ყელში, მაგრამ ცოლთან კრინტი არ დაუძრავს. ისევ ეზოში დაბრუნდა. ბოსელთან მივიდა და შიგ შეიხედა. მისმა ცხენმა, კუჭკამ, თავისი გონიერი, ჭკვიანური თვალებით შეხედა პატრონს და დაბალ ხმაზე შეიხვიხვინა.

—მგლის კბილო![1] შე ოხერო, რა მოგელანდა!—გაუწყრა პირუტყვს დახცი. ბოსლიდან გამობრუნდა და თემწარაზე გავიდა. ამ დროს ილასის ცოლი ბაბუშთან იჯდა და მოუთხრობდა, თუ როგორი უზნეობები და თავნებები არიან ახლანდელი ქალიშვილები.

—მაპატიე, ბაბუშ, ჩემო კარგო... მაგრამ გაუფრთხილდი შენ ქალიშვილ სონას, რაღაცეებს ჩურჩულებენ მასზე და...

— განა ისეთი რა უნდა ილაპარაკონ ჩემს სონაზე! — ცოტა არ იყოს გაბრაზებითა და ხმამაღლა წამოიძახა ბაბუშიმ — ნეტავი ერთი ამ მეჭორეებისთვის თავი გამაჭყლეტინა!

იგი სადღაც სიღრმეში სინანულს გრძნობდა თავისი ქალიშვილისადმი.

რამდენიმე დღის შემდეგ სოფელში ქალების ყრილობა გაიმართა. მისოსთმა საღამოს მუშაობა დაამთავრა. იგი შინ იჯდა და ოსურ გაზეთს კითხულობდა. ჭრაქის მკრთალ სინათლეზე ძლივს არჩევდა ასოებს.

დახცი გვიან დაბრუნდა. განრისხებული თვალით გადახედა თავის ფაცხას და იკითხა:

— სონა სადღაა?

ბაბუში ხმაზე მიხვდა, რომ ქმარი გაჯავრებული იყო. მისოსთიმ კითხვა მიატოვა, თავი აიღო და მამას უთხრა:

— ძაუგიდან ქალთა განყოფილებაში მომუშავე ქალი ჩამოვიდა. ქალების კრება მოაწყო და სონაც იქ არის.

მისოსთის სიტყვაც არ დაემთავრებინა, რომ დახცი თავისებურ ლანძღვა-გინებას მოჰყვა. შვილმა ხმა არ გასცა მამას. კითხვა განაგრძო კვლავ, მაგრამ სიბრაზისგან სისხლი მოაწვა სახეზე. მას უნდოდა ამ წუთში მამას შეკამათებოდა, შედავებოდა. მაგრამ ბაბუშიმ დაასწრო:

— გაჩერდი ერთი, თუ ღმერთი გწამს, რას არ წამოროშავს ეგ შენი ენა!

დახცი ცოლთან მიიჭრა.

— რაო?! თავხედი ხარ, თავხედი! და შენი შვილებიც შენა გგვანან! — ცოლს მუშტი შემოუქნია, მაგრამ მისოსთი მივარდა და ხელი გაუკავა.

— რას ჩადიხარ, მამა, ხომ არ შეშლილხარ!

დახცი ერთბაშად მოთვინიერდა, დამშვიდდა და ზანტად დაუშვა სკამზე.

დუმილი ჩამოვარდა, რომელმაც კარგა ხანს გასტანა. შემდეგ დახცი სკამიდან წამოდგა და წელში მოღუნული თავის საწოლისკენ წავიდა.

— დაიღუპა, წაახდინეს მამა-პაპების ნამუსი!

ბაბუში თან გაჰყვა მეუღლეს. დააძინა.

სონა კრებიდან დაბრუნებულიყო და ოთახში ახლა სამივენი იყვნენ. დედა შვილებს არიგებდა, რომ მამა არ გაეჯავრებინათ, არ ეწყენინებინათ მისთვის. არიგებდა თავის ქალიშვილს, რომ მისთვის შესაფერი არ იყო ღამღამობით სიარული.

— მერე არ იცი, დედა, რანაირი დრო არის ახლა? — ჰკითხა სონამ.

— რანაირიც არ უნდა იყოს, შვილო, ხომ იცი, ყველაფერს თავისი დრო აქვს და...

— დედა, — საუბარში ჩაერია მისოსთი, — სონას გულისთვის ტყუილუბრალოდ სწუხდები. მაგაზე დარდი ზედმეტია. ოდი, მე მოველაპარაკები მის შესახებ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციას და „მუშფაკში" გაგზავნიან. ახლა უფასოდ არის სწავლა, მთავრობის ხარჯზე.

— შენი და არ არის, შვილო? კარგს ეზამ, თუკი რამეს მოუხერხებ.

კომკავშირული ორგანიზაციის დახმარებით მისოსთმა სონას უყიდა ფეხსაცმელი კოოპერატივში. ბაბუშიმ სკივრიდან ამოიღო ყავისფერი ხილაბანდი, რომელსაც ათი წლის განმავლობაში ინახავდა.

[1] მგლის კბილო — პირუტყვს ეტყვიან გაბრაზების დროს.

გაყიდა რამდენიმე ქათამი. შემდეგ კი ქმარს განუცხადა, რომ სონა სასწავლებლად მიდიოდა. მაგრამ დახცისაგან დუმილის გარდა ვერაფერი გაიგო.

სონა ქალაქში გაემგზავრა თავმჯდომარის ეტლით. დედა ნამტირალევი, ცრემლიანი თვალებით აცილებდა შვილს და ეუბნებოდა:

— როდისღა გნახავ, ჩემო გოგონა, როდის?!

— ნუ სტირი, დედა, — ამხნევებდა სონა — საიქიოში კი არ მივემგზავრები. ძაუგში მივდივარ სასწავლებლად.

დღედადღე მთებს მაღლა იწევდა მზე, მთელ დღეს უცქერდა დედამიწას და ათბობდა მას. დღე მატულობდა, მაგრამ ზამთარს არ უნდოდა ადგილიდან დაძვრა.

ერთ ასეთ დღეს, გაზაფხულისა და ზამთრის შუახანს, მისოსთიმ უთხრა მამას, რომ ამ საღამოს სკოლაში შედგებოდა დიდი კრება. ძაუგიდან კაცი ჩამოსულა და კოლმეურნეობაზე უნდა ილაპარაკოსო. დახცი იშვიათად დადიოდა კრებებზე, მაგრამ ამ საღამოს რატომღაც მოესურვა, რომ წასულიყო და დასწრებოდა კრებას.

კრებაზე შიმავალ დახცის ილასი წამოეწია.

— საღამო მშვიდობისა! — უთხრა ილასმა — მაშ როგორცა ჩანს ისევ მივდივართ, ჰა?

— აბა რა ვქნათ, უნდა წავიდეთ!

— ნეტავ კიდევ რა გამოიგონეს ახალი, რა ტვირთი უნდა აგვკიდონ, სულ ამ კოლმეურნეობაზე ჩურჩულებენ, შოდი და მოუსმინე. აი, ასე, დახცი, ვცხოვრობდით ჩვენთვის, მშვიდად და უდარდელად, კმაყოფილად, ახლა კი დაგვღუპეს მთლიანად. გამოიგონეს რაღაც მოჯამაგირეებიო, კულაკებიო, საშუალნიო, ჩვენ ხომ ყველანი ერთნაირად ვცხოვრობდით, საწყლად და ღარიბად.

დახცის გულში ჩაიცინა, როცა გაიგონა, რომ ილასი თავისთავს ღარიბად თვლიდა. ხმამაღლა უთხრა:

— რა გაეწყობა!

მათ სოფლის მღვდელი წამოეწია.

— საღამო მშვიდობისა! კრებაზე შიდიხართ, ჰა?

— დიახ, კრებაზე! — დაღვრემილად უპასუხა ილასმა.

კარგახანს მდუმარედ მიდიოდნენ.

— მითხარი ბრძი, მამაო, თუ ღმერთი გწამს, გაქვს კიდევ რამე ხელწამოსაკრავი? — ჰკითხა ილასმა — ეკლესია გქონდა და დაგეწვა, შიგ ახლა ღამურები დაბინავდნენ.

მღვდელმა ქურდულად შეხედა ილასს და გაიფიქრა: ოი, შე გაიძვერავ შენა, გინდა გამომცადო?! ხმამაღლა კი უთხრა:

— ხელისუფლებამ რელიგია არ აკრძალა. ეკლესია რომ დაცარიელდა, ამაში ხალხია თვითონ დამნაშავე. ეკლესიას დაუთმობენ მორწმუნეებს, მაგრამ აბა სად არიან ისინი?! ჩვენ ღვითონ არ ვვარგივართ ილას, ჩვენ თვითონ...

ისინი შეეიდნენ ხალხით გაჭედილ დარბაზში, რომელიც მკრთალად იყო განათებული ლამპის შუქით. ჰაერი თამბაქოს ბოლით გაჟღენთილიყო. ისმოდა დამსწრე ხალხის ხმაური. ზოგნი სკამებზე დამსხდარიყვნენ, ზოგნი ფეხზე იდგნენ და კედლებს მიჰყუდებოდნენ. ნაწილი კი ხალხის შუა იკვლევდა გზას და დასაჯდომ ადგილებს იკავებდა. დახცი წინ გავიდა. ილასი კი უკანა რიგებში დარჩა.

„დღეს ღარიბებს წინა რიგებში ეკუთვნით ადგილი". — ფიქრობდა დახცი, როცა იგი წინა რიგებში მჯდარ ღარიბებს უცქეროდა.

მან რაღაც შეუცნობელი სიამოვნება და სიხარული იგრძნო, როცა ახალგაზრდებმა თავაზიანად დაუთმეს ადგილი.

სცენაზე რამდენიმე კაცი გამოვიდა. მათ შორის დახცემ იცნო სოფლის საბჭოს თავმჯდომარე მიშა და პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ხამეთი. მათთან ერთად იყო ძაუგიდან ჩამოსული ახალგაზრდა სტუმარი — კაცი. იგი საშუალო ტანისა იქნებოდა. ფართო მხარ-ბეჭი ჰქონდა, მოკლე რუსულ ჭურჭში გამოწყობილიყო. დახცემ სცენაზე თავისი შვილი მისოსთიც შეამჩნია. საბჭოს თავმჯდომარემ, მიშამ, იქ მყოფთ თვალი გადააკლო, და როცა დარბაზი დაწყნარდა, თხოვნით მიმართა:

— ცოტა წყნარად, ამხანაგებო!

როცა დარბაზი სიჩუმემ მოიცვა, მიშამ განაგრძო:

— მაშ გავხსნათ კრება, ამხანაგებო! ჩვენთან, საოლქო ორგანიზაციიდან ჩამოვიდა ძვირფასი სტუმარი, რომელიც დიდ და სერიოზულ საქმეზე ილაპარაკებს: როგორ უნდა გადავიდეთ ახალი ცხოვრების ნიადაგზე, როგორ უნდა გადავეყვანოთ ერთპიროვნული მეურნეობა საერთო კოლექტიურ მეურნეობაზე. გთხოვთ, მოუსმინოთ ყურადღებით. მანამდე უნდა ავირჩიოთ კრების პრეზიდიუმი.

ჩვენი პარტიული უჯრედის სახელით კანდიდატებად ვასახელებ...

და როცა მიშამ კანდიდატურები ჩამოთვალა, ისევ კრებას მიმართა:

— ხომ არავინაა წინააღმდეგი?

— არავინ, არავინ! ყველანი თანახმა ვართ! — ერთხმად წამოიყვირა ხალხმა, ხოლო უკანა რიგებიდან წამოიძახა ვიღაცამ:

— ისევ თავიანთებს ირჩევენ! — მაგრამ ეს წამოძახილი საერთო ხმაურში ჩაინთქა.

პრეზიდიუმის წევრებმა მაგიდის გარშემო დაიკავეს ადგილები. ხალხი დაწყნარდა. მიშამ სიტყვა მისცა სტუმარს. იგი სცენაზე წინ გამოვიდა და დაიწყო:

— ამხანაგებო! მე ვილაპარაკებ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ.

ტკბილი, ხავერდოვანი ხმა, გასაგები ოსური სიტყვა მსმენელების ყურადღებას აჯადოებდა. ისინი ინტერესით უცქეროდნენ მომხსენებელს.

თუმცა დახცისთვის ყველაფერი არ იყო გასაგები უცხო კაცის მოხსენებიდან, მაგრამ ის გრძნობდა, რომ მომხსენებელი ლაპარაკობდა რაღაც ჯერარნახულ უკეთეს ცხოვრებაზე, ხალხს მოუწოდებდა ახალ და საამურ ცხოვრებისკენ.

— ჩვენ ვახორციელებთ ლენინის ანდერძს, — ამბობდა მომხსენებელი და მისი სიტყვები ერთმანეთს მისდევდნენ წყნარად, მდორე მდინარის ტალღებივით.

უარეს სიდუხჭირედ ეჩვენა დახცის მთელი თავისი წარსული ცხოვრება. იგი ბავშვობიდანვე მთის წიაღში ცხოვრობდა. იტანჯებოდა შიმშილით და სიცივით. შემდეგ ბარში გადმოსახლდა თავის ოჯახიანად და მოჯამაგირედ დაიწყო მუშაობა ცოლთან ერთად. ასე დაეხეტებოდა ერთი პატრონიდან მეორემდე; სხვისთვის იწყვეტავდა წელს და ღვრიდა ოფლს, სხვისთვის ხნავდა და თოხნიდა, თესავდა სიმინდს, სთიბავდა, ეზიდებოდა ქვას. სამი წელი ილასთან იყო მოჯამაგირედ და ფულის ნაცვლად გასამრჯელოდ ნებართვა აიღო საზოგადოებისაგან, რომ სოფლის ნაპირას დასახლებულიყო. მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ შეძლო ფაცხით შეეცვალა ფომური. ისეთივე ღარიბი გლეხების დახმარებით, როგორც თვითონ დახცი იყო, მოხნა მიწის პატარა ნაკვეთი. შემდეგ კი ცხენიც გაიჩინა. მანამდე მეფეც „გადაყირავდა" და ახალი დრო დადგა. დახცი ახლა სრულუფლებიანი მცხოვრებია. წესიერი მიწის ნაკვეთი მიიღო, გარდა ცხენისა, ძროხაც იყიდა, ქათმები მოამრავლა, მაგრამ დღემდე სიღარიბიდან მაინც ვერ დაიხსნა თავი.

და ახლა, როცა მომხსენებელი ასე გულახდილად და გულღიად ლაპარაკობდა ღარიბებზე, დახცი გრძნობდა რაღაც შეუცნობელ სიამოვნებას. სიხარულს. მატულობდა მისი გულისძგერა უკეთესი ცხოვრების მოლოდინში.

„კი მაგრამ, რა უნდა ქნან იმათ, ვისაც მხოლოდ ერთი ცხენი ჰყავს?" — ფიქრობდა დახცი და თან განაბული უსმენდა მომხსენებელს. მაგრამ მისი მძიმე ფიქრი ერთბაშად შეწყდა. ბნელ და სულშემხუთავ დარბაზში ერთიმეორეზე გაისმა:

— წინ, დიდ კოლექტიურ მეურნეობისკენ, მთლიანი კოლექტივიზაციისკენ! სოციალიზმისკენ! — დაამთავრა მომხსენებელმა ტაშისა და მოწონების შეძახილებში.

დარბაზში ისეთი გნიასი იყო, თითქოს ფუტკრის გროვა ზუზუნებდა. საერთო ხმაურში ძნელი იყო გაგეგო, თუ ვინ რაზე ლაპარაკობდა.

როდესაც ხმაური შეწყდა, სიტყვით გამოვიდა ერთ-ერთი პრეზიდიუმის წევრთაგანი. მას კიდევ რამდენიმე სხვა მოჰყვა. ზოგი დაწერილებით და ნათლად ლაპარაკობდა, ზოგი კი რაღაცას მიკიბ-მოკიბავდა. მაგრამ ყველამ გამოთქვა სურვილი საუკეთესო მომავალზე, თუ რას მოელიან ისინი კოლმეურნეობისაგან. ერთნი უსიტყვოდ თანხმდებოდნენ და მტკიცედ გადაეწყვიტათ კოლმეურნეობის დაარსება, მეორენი კი ამბობდნენ: ჯერ საქმით გვანახვეთ, რას მოგვიტანს კოლმეურნეობა და მერე იქ წაგვიყვანეთო.

ზოგიერთი თანახმა იყო მიწის საერთო დამუშავებისა, მაგრამ უარს ამბობდა სამუშაო საქონლისა და ინვენტარის გაერთიანებაზე. ხანდახან უკანიდან ასეთი წამოძახილებიც ისმოდა:

— ჩვენ არ გვინდა კოლმეურნეობა, დაე, ისევ თქვენი იყოს!

დახცი ამ წამოძახილებში სიძულვილსა და ღვარძლს ამჩნევდა. მან რამოდენიმეჯერ დარბაზიდან გამოსვლაც დააპირა. წამოდგა კიდეც, მაგრამ დაიღუპოს ეს გაუბედაობა! ვერაფრის თქმა ვერ შეძლო.

არჩევნებისა და ხმის მიცემის შემდეგ ხალხი დაიშალა. ისინი ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ ბნელ

ქუჩებში და კამათობდნენ დღევანდელ საღამოზე, კრების გადაწყვეტილებაზე...

ამის შემდეგ დახცი ხშირად ადევნებდა თვალყურს ახალი ცხოვრების ამბებს. ხანდახან იგი უსიტყვოდ სწუხდა მასზე, თუ რა მოუვა, როდესაც მის ცხენსა და ძროხას წაიყვანდნენ საერთო მეურნეობაში. ასეთ დროს დახცი ხშირად თავის აზრს ცოლსა და შვილს უზიარებდა და ისმენდა მათ დარიგებას.

სოფელში ცოტანი იყვნენ მისოსთისთანა ახალგაზრდები; შრომისადმი სიყვარულმა, ჯარგმა ყოფაქცევამ და ზრდილობამ მას კომკავშირში ავტორიტეტული სახელი შეუქმნა. ერთი წესამჩნევი თვისებაც ჰქონდა. ღარიბი გლეხისთვის თავს გასწირავდა. ყოველთვის ცდილობდა ეზრუნა მასზე და მფარველობა გაეწია. როგორც კი რამეს გაიგებდა ღარიბად მცხოვრებ გლეხზე, ძალაუნებურად აგონდებოდა თავისი მშობლები და მათი გატანჯული, დუხჭირი ცხოვრება.

მისოსთისათვის სავალალო და საშწუხარო ახლა ის იყო, რომ მისი მშობლებისთვის ცხენისა და ძროხის დათმობაზე ფიქრიც კი ძნელი იყო.

ერთ საღამოს მან ასეთი ამბავი მოიტანა:

— ცხენებს ნამდვილად გააერთიანებენ, კოლმეურნეობისთვის საჭიროა შუშა-საქონელი, ძროხა კი ჩვენ დაგვრჩება, — ეუბნებოდა მშობლებს.

ამ ამბავმა დახცი და ბაბუზი ოდნავ დააწყნარა. მაგრამ მეორე დღეს ქონებაზე ფიქრმა კვლავ შებოჭა მათი გონება.

ილასი დახცის ეწვია. ისინი თემშარაზე გავიდნენ და საუბრობდნენ. ამ ბოლო დროს ილასი მოლაყვენრობდა, ერთ ადგილზე ვეღარა ჩერდებოდა: მას ვიღაცისგან გაეგო, რომ იგი, ილასი, კულაკების სიაში ჩაეწერათ და ქონების წართმევას უპირებდნენ.

— ერთი მითხარი, აბა მე რანაირი კულაკი ვარ! — ეუბნებოდა დახცის — მძიმე შრომითა და ჯაფით მომიპოვებია ჩემი ქონება, ვის რა მოვპარე? ერთი მითხარი, თუ კაცი ხარ, დახცი, შენ და შენმა ცოლმა სამ წელს ქირით იმუშავეთ ჩემთან. ამ ხნის განმავლობაში მიწყენინებია რამე შენთვის?!

მაგრამ ახლა დახცი თავის თავზე ფიქრობდა. მას არ შეეძლო გულისტკივილით არ ეფიქრა მასზე, რომ ამ დღეებში წაიყვანდნენ მის საყვარელ კუჭკას. და დახცის თითქმის ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ კუჭკასთან ერთად გატარებული, მძიმე, მტანჯველი შრომის დღეები.

ბოლოს განაცხადეს, რომ მუშა-საქონელს მალე წაასხამდნენ საერთო თავლაში. გულმოსულმა დახციმ სახლს უკან მოუარა, მინდვრებზე გადაიპარა და წავიდა შორს, მდინარის პირას, რომ არ დაენახა, როგორ წაიყვანდნენ მის კუჭკას და იქ, თავის ცხენზე ფიქრში ბევრი რამ მოაგონდა დახცის.

...დიდი ხანია რაც ეს მოხდა. მაშინ სონა მიწაზე ფოფხავდა ისევ. მთელი ოჯახი მინდორში იყო სიმინდის სათოხნელად. იმ ხის ქვეშ, სადაც დახცის ურემი იდგა, ცხენები მოსულიყვნენ და წიხლობა გაემართათ. სონა იქვე ოთხზე დადიოდა. კუჭკამ ზედ გადაალაჯა ბავშვს, ფეხებქვეშ მოიქცია, გადაეფარა თორემ ნამდვილად გასთელავდნენ ცხენები. ასე დაიფარა კუჭკამ უსუსური ბავშვი სიკვდილისაგან. ბაბუზი ტიროდა, როცა ეს გაახსენდებოდა.

— კუჭკა, ჩემო კუჭკა! — ქვითინებდა იგი, ცხენი როცა მიჰყავდა მისოსთის.

თოვლმა დნობა დაიწყო. ჯერ ეზოში და სახლას სახურავებზე, შემდეგ კი გზებსა და გორებზე. დახცის ეზოს წინ, გზაზე, ჩუხჩუხით მიედინებოდა თოვლის მღვრიე წყალი და მდინარეებს უერთდებოდა. მთლიანად გამოცოცხლდა სოფელი. ჭიანჭველებივით აფუსფუსდნენ ადამიანები, გზებსა და ორღობეებზე მიეშურებოდნენ. ჯგუფ-ჯგუფად იყრიბებოდნენ ქალები და კაცები. ისინიც კი, ვინც სოფლის განაპირას ცხოვრობდნენ, შუა სოფელში ხშირად მოდიოდნენ, რათა გაეგოთ ახალ-ახალი ამბები. უფრო ხშირად სოფლის საბჭოსთან იყრიდნენ თავს. დახციც მოდიოდა საბჭოს შენობაში, მეტ დროს კი სკოლის წინ, მოედანზე ატარებდა.

ერთხელ დახცი სანახშოზე მივიდა. იქ იყვნენ სოფლის შეძლებული და მდიდარი მცხოვრებლები. დახციმ ილასიც შეამჩნია იქ.

„რატომ უნდა მივიდე მათთან. მე თავს არ გამიყადრებენ. ისინი ამაყები, დიდგულები არიან. ყველაფერზე ეტყობათ, რომ ძველი, მდიდრული და ბარაქიანი ცხოვრების დაბრუნება უნდათ“ — გაიფიქრა დახციმ და გადაწყვიტა მხარი აეკცია სანახშოსთვის, შორს ჩაევლო და შეუმჩნეველად წასულიყო. მაგრამ ილასმა თვალი მოჰკრა და უკან გამოედევნა. დაეწია.

— ცოტა ხანს მოიცადე, დახცი, ერთი ორიოდე სიტყვა უნდა გითხრა. ხალხმა ჩუმად დაიწყო სა-

ქონლის დაკვლა და გაყიდვა. მე და შენაც უნდა მოვახერხოთ რამე. შენც ხომ გყავს ძროხა?! ჰოდა ასე, რომ არ წაგართვან ისიც, უმჯობესია — დაკალი. შენი ოჯახი ხორცით მაინც ისარგებლებს. ამაღამ მეც ვაპირებ ზოგიერთის დაკვლას. შებინდებისას შემოიარე ჩვენთან, დამეხმარე. მხოლოდ იცოდე, შენ ბიჭთან არაფერი წამოგცდეს.

ილასი ისევ სანახშოზე დაბრუნდა.

„შენ ბიჭთან არაფერი წამოგცდეს“ — ფიქრობდა დახცი — მაშ ასე, ეგ მავნებლობას ჩადის და უნდა მეც ჩამითრიოს: მომეხმარეო. არა, დახცი თუმცა ღარიბია, მაგრამ მავნებელი მაინც არასოდეს ყოფილა! დაკალი შენი ძროხაო, მეუბნება, ჰმ... ახია შენზე: მისოსთი ტყუილად კი არ გეძახის კულაკს. შენი სიტყვა და საქციელი მართლაც რომ კულაკურია! — ასე ფიქრობდა ილასიზე გულმოსული დახცი.

ერთ საღამოს დახცი და ბაბუში მისოსთის ელოდებოდნენ, იგი გახარებული მოვიდა შინ. მან მშობლებს უთხრა, რომ ძაუგიდან ჩამოვიდა ხამათი და თან ჩამოიტანა ახალი სტატია კოლმეურნეებზე.

იმ ღამეს მამა და შვილი დიდხანს საუბრობდნენ ჭრაქის მკრთალ სინათლეზე. მდუმარედ, ყურადღებით უსმენდა ბაბუში, რომელსაც სრულიად დავწყებოდა ძროხისა და ქათმების დაბინავება. ახალი ამბით გახარებული იგი ქმარსა და შვილს ეუბნებოდა:

— ჩემ ქათმებსა და ძროხას მაინც არავის დაეუთმობდი.

დედამიწამ თეთრი ქურქი გაიძრო და თავისკენ მიიზიდა მზის თბილი სხივები. გაზაფხულის სურნელება იდგა. მზის სითბო ადამიანის გულამდეც აღწევდა, თითქოს იქაც უნდა გაელხო ხანგრძლივი ზამთრისაგან დატოვებული თოელი და ჭყაპი.

კოლმეურნეები გაზაფხულის სამუშაოზე ფიქრებით იყვნენ გატაცებულნი. ადამიანები მოუსვენრობდნენ და ფუსფუსებდნენ, თითქოს რევოლუციის დასაწყისი წლები დაბრუნდნენო. ცხარე კამათსა და თამბაქოს ბოლში ათევდნენ ღამეებს. თუ რამეს გადაწყვეტდნენ, ისიც მამლების მესამე ყივილზე.

ხვნის პირველი დღეებიც დადგა. სოფლის საბჭოს წინ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებს მოეყარათ თავი. მათ შორის ორიოდ-სამიოდე ქვრივიც იქნებოდა.

ახალგაზრდებმა სიმღერა წამოიწყეს. სადღაც გარმონიც აახმაურეს. საბჭოს თავმჯდომარე მიწა უბან-უბან დადიოდა ცხენით.

— ეეხ, ნეტავ ერთი ტრაქტორი ჩვენცა გვქონდეს! — ინატრა ვიღაცამ.

— აი, მაგ გარმონის ხმას ტრაქტორის ხმა მერჩივნა მე!

— მოიცათ, დადგება დრო და ჩვენც გვექნება ტრაქტორი. — პირდებოდა მათ ხამათი.

მისოსთის უნდოდა, რომ მამამისიც გამოსულიყო სახნავად. ამაზე ერთ დილას ცალყბად შეახსენა მამას, მაგრამ დახცის ხელი ჩაიქნია და უთხრა:

— თავი დამანებე, მე უკვე მოხუცებული ვარ!

მისოსთი მარტო წავიდა. დახცი კი შინ დარჩა და შუადღემდე ფეხი არ გამოუდგამს გარეთ. მას არ დაუნახავს კოლმეურნეები, რომელნიც სიმღერით წავიდნენ მინდორში. ვერ დაინახა თუ როგორ მიჰქონდათ წითელი დროშა და გუთნები, როგორ გაიტანეს პირველი კოლექტიური კვალი შავბარაქიან მიწაზე. როგორ მისდევდნენ რიგ-რიგობით ერთმანეთს უკან და როგორ მიმდინარეობდა თესვა პირველ კოლექტიურ გაზაფხულზე.

დახცი რამოდენიმე დღეს მოუსვენრად იყო. არ იცოდა რა უნდა გაეკეთებინა. ეზოში გამოვიდოდა, უყურებდა ვადახრილ მზესა და ცაზე აქა-იქ გაფანტულ პატარა, რძისფერ ნისლებს. სადღაც ფუტკრები ზუზუნებენ. ბაბუში ბოსტანში ფუსფუსებს. და დახცი იგონებს თავის კუჭკას, მიწის ნაკვეთს, სადღაც შორს, ტყის განაპირას; მოაგონდა გამხმარი შავი ქერის პური და ყველის ნაჭერი, რომელსაც ვაივაგლახით ჩაყლაპავდა ხოლმე ერთი ყლუპი ბურახის დახმარებით, — რა სასიამოვნო და ტკბილი იყო ყოველივე ეს, მძიმე, ოფლდამღვრელი მუშაობის შემდეგ.

ერთ კვირა დღეს დახცის გულმა ვეღარ მოუთმინა. წინა დღით მუშაობისაგან დაღლილ მისოსთის ჯერ ისევ ეძინა, ბაბუში კი ძროხას ხწველავდა ეზოში. დახცის ტანთ ჩაიცვა, სოფლის ბოლოზე გადაიარა და მინდვრისკენ გაეშურა. იგი გაზაფხულის სურნელებამ გაიტაცა, თავბრუ დაესხა და მოაჯადოვა. შავი, ვეება აბრეშუმის ზეწარივით დაფენილიყო კოლმეურნეობის მინდორი — შორს, ტყის პირამდე.

„ეს ხომ მართლაც საქვეყნო ბედნიერებაა“! — ფიქრობდა დახცი. ნახნავთან ახლოს მივიდა, მუჭით

ალო მიწა, დათვალიერა და ხელში მოფშვნა: „დიახ, ნამდვილი სახალხო ბედნიერებაა“.

მინდვრიდან დაბრუნებულმა დახციმ ილასის სახლთან ჩამოიარა. ეზოში ილასი შეამჩნია. მასთან რამოდენიმე მდიდარი გლეხი იყო. მათ შორის მამსირიც. დახცის არ უნდოდა მათ სიახლოვეს ჩაევლო.

„დაე, რაც უნდათ, ისა თქვან“. — და სოფლის ბოლოსკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა. მალე მან შეამჩნია მისკენ მომავალი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხამათი. ერთმანეთს შეხვდნენ და წესისამებრ მიესალმნენ.

— ახალ ცხოვრებაში ჩავებით, არა, დახცი?!

— დიახ, ამბობენ ახალ ცხოვრებაში ჩავებითო, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ჩამორჩენილები ვართ.

ბილიკიდან გადავიდნენ. მოშორებით დადგნენ და იქ განაგრძეს საუბარი. ხამათს კარგი გამოცდილება ჰქონდა ისეთი სიტყვების გამონახვისა, რომელიც უსათუოდ გულამდე ჩასწვდებოდა ადამიანს. დახცი ყურადღებით უსმენდა და ფიქრობდა: „ხამათიც ხომ ჩემსავით ღარიბია. მართალია, ხელმძღვანელია, თანამდებობის კაცია, მაგრამ მედიდური და ამაყი მაინც არ არის. მას გაჭირვებული ცხოვრებაც გამოუვლია და იცის, როგორ ცხოვრობს ღარიბი“.

დახცის მოაგონდა, თუ როგორი ზიზღით ლაპარაკობდნენ ხამათზე მდიდრები.

— სიმართლე რომ ითქვას, — ამბობდა ხამათი — ჯერ კიდევ გვიძნელდება...

...ადამიანისთვის მიწური გომურის გაკეთებაც კი საძნელოა და მთელი ცხოვრების გარდაქმნა და მის ნაცვლად მდიდრული, საამური ცხოვრების მოპოვება ხომ უფრო ძნელი იქნება?!

დახცი დუმდა. მას თვალწინ წარმოუდგა მიწაში ჩაფლული და ცალმხარეს გადაზნექილი ფაცხა. ხამათის სიტყვებმა მის გულში ახალი იმედები გამოაღვიძა.

ხამათი წავიდა. დიდხანს უცქერდა დახცი მიმავალ თავმჯდომარეს და თვითონაც არ იცოდა რა ემართებოდა ამჟამად. მიიხედ-მოიხედა და სწრაფად მოიწმინდა ცრემლი. ასე რომ დამინახოს ვინმემ, ხომ სულელად ჩამთვლისო, ფიქრობდა იგი.

* * *

მზის სხივებმა აღმოსავლეთი გაანათეს. მთებიდან ცელქმა სიომ დაუბერა და ადამიანების გულები სიმხნევითა და გამარჯვების იმედით აავსო. მისოსთი და დახცი უმცროს-უფროსი მეგობრებივით მიეშურებოდნენ მინდვრად. მათ უკან ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდა. დახციმ მთელი შონდომებით მოჰკიდა ხელი საკოლმეურნეო მუშაობას. მისი ტოლები კი ცოტანი გამოდიოდნენ სამუშაოდ.

— ჩვენ ასეთ მუშაობას არა ვართ დაჩვეულები! — ამბობდნენ ისინი და სახლში რჩებოდნენ. ან სადმე გზის პირად ჟყუდროზე ძსხდნენ, ან არადა სანახშოზე ჩიდიოდნენ.

კოლმეურნეებს ჯერ არ დაეწყოთ მუშაობა. მათ ურმის გარშემო მოეყარათ თავი. ნათელი დილა იყო. ჰაერი სუფთა და მსუბუქი. ირგვლივ ხალხის ხმაური ისმოდა. ისინი ელოდნენ ტრაქტორს, რომელიც მეზობელ სოფლიდან უნდა მოეტანათ. დახცი იქვე, გზის პირას, ყამირზე ჩამოჯდა. მისოსთიმ კი თანატოლები შონახა.

გორაკის მხრიდან ტრაქტორის გუგუნი მოისმა. ყველანი ერთბაშად წამოდგნენ და შექუჩდნენ. ტრაქტორი ხალხში შემოიჭრა და უცბად შეჩერდა. გარს შემოეხვივნენ, ხელით სინჯავდნენ და ინტერესით ათვალიერებდნენ. ტრაქტორს ორი გუთანი ჰქონდა მობმული. კაბინიდან ტრაქტორისტი ჩამოვიდა და ხამათს ხელი ჩამოართვა. შემდეგ ხალხისკენ შებრუნდა და მიესალმა. მან უთხრა კოლმეურნეებს, რომ იმათ კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა ხვნა. შემდეგ კვლავ შეჯდა თავის უცნაურ რკინის ცხენზე და მინდვრისკენ გაბრუნა. დიდხანს უცქერდნენ კოლმეურნეები მიმავალ ტრაქტორს. ზოგიც უკან გამოედევნა.

კოლმეურნეობის ცხენები, რომლებიც იქვე, მოშორებით ბალახობდნენ, ტრაქტორის მიახლოებისას თავებს მაღლა სწევდნენ, შეშინებული, დამფრთხალი თვალებით უცქერდნენ მას. თითქოს გრძნობდნენ, რომ აქ, ამ მინდვრებში, მალე ეს მოგუგუნე მანქანა დაიკავებდა მათ ადგილს.

საღამოს კოლმეურნეები სხვადასხვა გზით ბრუნდებოდნენ შინ. დახცი ტრაქტორის შორიახლოს მოაბიჯებდა და ყურადღებით ათვალიერებდა მის დაკბილულ თვლებს, უსმენდა მოტორის მონოტონურ გუგუნს, ხანდახან შეჩერდებოდა და სიხარულისაგან გაბრწყინებული თვალებით კოლმეურნეებისკენ მიიხედავდა.

სოფელს მიაღწიეს. ძაღლებმა ტრაქტორის ხმაზე საშინელი ყეფა ასტეხეს, გარს ეხვეოდნენ, მაგ-

რამ ახლოს მისვლას მაინც ვერა ბედავდნენ. ტრაქტორი კი დიდებულად მიგუგუნებდა გზაზე. ბავშვები ეგებებოდნენ, შორიახლოს უტრიალებდნენ და დაინებით უცქერდნენ ამ არნახულ საოცრებას.

მთელი დღის მუშაობისაგან დაქანცულმა დახციმ შინ შეუხვია. მისოსთიმ კი ახალგაზრდებთან ერთად გზა განაგრძო. მათ ისე წარმოედგინათ ყოველივე ეს, თითქოს რაღაც არაჩვეულებრივი დღესასწაული ყოფილიყოს.

თოხნის დროც დადგა. კოლმეურნეების მინდვრები ერთიანად გადამწვანდნენ. სიმინდმა მაღლა აუშვა თავისი ფრთები. კარტოფილმა მიწიდან ამოყო თავი. მინდორში ყველა და ყველაფერი ელოდა ადამიანის ხელს, რომელიც სარეველა ბალახისგან იხსნიდა.

დახცი და მისოსთი დამკვრელები გახდნენ. რამდენიმე დღეს ბაბუზიც წაიყვანეს სამუშაოდ. მაგრამ დღეს აღარ გაჰყვა ბაბუზი. სახლში დარჩა, რომ ახლა შინაურ საქმეებისთვის მოევლო. იგი მარტო მუშაობდა ბაღჩაში. საკუთარ ფიქრებში გართულიყო. მას მოაგონდა თავისი ქალიშვილი სონა. გუშინ აკი ერთმა მეზობელმა უთხრა, რომ ძაუგიდან ჩამოსვლას აპირებენ კოლმეურნეებს დასახმარებლად „მუშფაკიდანო". და ახლა, როცა, შორიდან სიმღერის ხმა მოისმა, ბაბუზი თემშარაზე გამოვარდა. მან დაინახა ახალგაზრდების კოლონები ორკესტრითა და წითელი დროშებით. როდესაც ისინი მოახლოვდნენ, ბაბუზიმ თვალი მოჰკრა სონას, რომელიც მწყობრიდან გამოცალკევდა. სონას უნდოდა მისულიყო დედასთან, გადახვეოდა, გულში ჩაკვროდა, მაგრამ ამხანაგების, მასწავლებლებისა და დირექტორის სირცხვილმა შეაყა.

ბაბუზის სიხარულისაგან ცრემლები მოერია. სონამ ჰკითხა დედას მამისა და ძმის ჯანმრთელობა. საღამოს შინ მოვალო, უთხრა და ამხანაგებთან გაიქცა. ბაბუზი უცქეროდა ქალიშვილს და ფიქრობდა: „როგორ გაზრდილა, გენაცვალოს დედა, როგორ უხდება წითელი თავსაფარი, რა მშვენიერად უბრწყინავს სახე, როგორ სხარტად და მოხდენილად დადის!"

კოლმეურნეები იქვე ყანის პირას შეეყრნენ ძვირფასი სტუმრების შესახვედრად. დახცი მოშორებით მუშაობდა თავის ნაკვეთში. იგი მხოლოდ შორიდან უთვალთვალებდა თეთრი ნაბდისა და კეპიან ქუდებს, წითელ თავსაფრებს. ქარი შორს ატაცებდა სიტყვებს. ისმოდა ტაშის ხმა, შეძახილები.

მიტინგი დამთავრდა. თოხებით შეიარაღებული კოლმეურნეები და „მუშფაკის" ახალგაზრდები ყანის პირას ჩამწკრივდნენ.

ნაშუადღევს დახცის ნაკვეთში ხამათი მივიდა.

— მითხარი, დახცი, როგორ მოგწონს ჩვენი ნათესი?!

— მშვენიერია. უკეთესი რაღა იქნება!

მათ ქურდულად გადაავლეს თვალი კოლმეურნეობის ფართო მინდვრებს და უსიტყვოდ გაუგეს ერთმანეთს.

საღამოს დახცი თავის ბაღში იჯდა და უცქერდა, თუ როგორ ბრუნდებოდნენ მინდვრებიდან კოლმეურნეები და მუშფაკელები წითელი დროშით. თითქოს სამუშაოდან კი არა, დიდი დღესასწაულიდან ბრუნდებიანო. მოდიოდნენ მუსიკითა და სიმღერით. გოგოების წვრილი, წკრიალა ხმები მაღლა იწევდნენ, ხოლო ვაჟების ბანი მდორედ და ნელა ისმოდა.

დახცის გულმა არ მოუთმინა, ადგა და ეზოში გამოვიდა. ბაბუზი ღობესთან იდგა და ჰუპრუტანიდან ქუჩაში იცქირებოდა. ხელში საწველავი ვედრო ეჭირა და თვალით თავის ქალიშვილს ეძებდა. დახცი ცოლს მიუახლოვდა. მას ახლა გულით უნდოდა ალერსიანად ესაუბრა თავის ცხოვრების ძველ მეგობართან.

— ეხ, ქალო, ჩვენი ადრინდელი გაზაფხულიც რომ ასე დაწყებულიყო, მაშინ ხომ აღარ გვეცოდინებოდა, რა არის სიღარიბე!

— დაე, ამის შემდეგ სიღარიბეზე ჩემ ყურებს არაფერი გაეგოთ! — მიუგო ბაბუზიმ და ძროხის მოსაწველად წავიდა. დახცი ქუჩაში გამოვიდა. მიიხედ-მოიხედა. ერთხანს შეჩერდა და შემდეგ ისევ შინ დაბრუნდა. ბაბუზი ღუმელთან ბუჯარაობდა.

— დედაკაცო, იცი რომ დღეს დღესასწაულია?!

— ეგ რომელი დღესასწაულია?

— რომელი და... რომელი და აი, თუნდაც ახალი ცხოვრებისა და სიმართლის დღესასწაული დავარქვათ.—დახცის უნდოდა ეთქვა, ჩვენი ქალიშვილი სონა ჩამოვიდაო, მაგრამ ამაზე აღარაფერი თქვა და მხიარულად წამოიძახა:

— დღეს ყველანი შინა ვართ. ჰოდა, დიასახლისო, რახან ასეთი მხიარული საღამოა, ქათამი დაკალი, განა ეს გაგვაღარიბებს?

— ჩვენი ნება არ არის? ქათმები ჩვენია, სხვების ხომ არა? — უპასუხა ბაბუზიმ.

დედა და მამა შვილებს ელოდნენ. ისინი კი თითქოს მშობლების მოლოდინს გრძნობენო, მხიარულად მოიჩქაროდნენ შინისკენ.

ორი ყვავილი

ზაფხულის დღეა. მზემ ცეცხლოვანი თვალით გადმოხედა ქვეყანას. მთებმა გვერდები მზეს შეუშვირეს. მწვერვალები მზის შუქზე ბრწყინავენ, ცის სილაჟვარდეში იძირებიან.

მაღლა, ერთი მთის თავზე, შავ კლდეებს შორის მარტოდმარტო იზრდება მთის ყვავილი. იგი კარგი, გაფითრებული სახით, ლამაზი მხიარული თვალებით დასცქერის ქვევით ხეობას.

ზაფხულის რბილი ქარი ირხევა მთის მაღლობებზე, ნავარდობს ყვავილის გარშემო, თითქოს იხუტებს მას და შემდეგ სადღაც ქვევით იმალება.

გაეღიმება ხოლმე ყვავილს, ჩაისუნთქავს მშრალ ჰაერს, ფრთებს ასწევს, თავს გააქნევს და კვლავ ქვევით გადაიხედავს.

ქვევით, ვიწრო ხეობაში, ერთი ბარის ყვავილი იზრდება. თავი ბალახიდან ამოუყვია და ზევით იყურება პატარა თვალით.

მას მთის ყვავილი ეძახის:

— ჰეი, სად დარჩი, სად? არც კი ჩანხარ კარგად ზემოდან ხევში. ვერ ხედავ უსაზღვრო ცის კიდეს. არც კი იცი დილის მზის სითბო, საღამოს მზის ჩასვლა. არ გიალერსებს დღე და ღამ მთის სუფთა ქარი. არასოდეს არ დამჯდარა შენთან მთის თვალებცეცხლა არწივი. არასოდეს არ შერხეულან შენს ქვეშ ღრუბლის ქულები. ჰეი, ჰეი, რასა ჰგავს შენი ცხოვრება?

— ჩემო კარგო მეგობარო! — ამოსძახებს ქვემოდან მინდვრის ყვავილი, გხედავ, კარგად გალამაზებულხარ, ძლიერ კარგად. მაგრამ ვისთვის, ვის ეკუთვნის შენი სილამაზე? სრულიად მარტო ასულხარ მთის ცივ მწვერვალზე, მარტო ატარებ მანდ შენს დღეებს. მე კი... ჩემს ირგვლივ ათასნაირი მცენარეები ირხევიან. ცხოვრების ხმაური მესმის. არა, არა — არ შევნატრი შენს სილამაზეს, შენს მარტოობას, შენს სიმაღლეს. უყურე! მოვლენ მდინარის პირას გოგო და ბიჭი. ვიცი: მათი მკერდი სიყვარულითაა სავსე. ვიცი: სიყვარულით იწვის მათი გულები. სურნელებას ვაფრქვევ მათთვის ჰაერში... უყურე: შეჩერდნენ, მხიარულად სუნთქავენ ჯანსაღი ფილტვებით. სიყვარულით შეხედეს ერთმანეთს. სასიყვარულო სიტყვები უთხრეს ერთმანეთს. მდინარის პირას მიდიან. აგერ კიდევ: ზუზუნით მოფრინდა ფუტკარი, ბევრი ტკბილი წვენი დავუგროვე მას. მოდი, მოდი, საყვარელო!..

და ყვავილმა რბილი კალთა ფუტკარს მიუშვირა. სიხარულით დააფრინდა ფუტკარი, სიხარულით წოვს ბავშვივით ყვავილის მკერდს.

უკვირს მთის ყვავილს, თავს იჭნევს, ლურჯ ხელებს იმტვრევს, მაღლა ასწია ფრთები.

— ოჰ, გიჟი ყოფილხარ, გიჟი, მთლად გიჟი, — ეძახის ზემოდან ქვევით. ქვეყნის დარდი აგიკიდია. ქვეშ მოგიქცევს, ქვეშ, უჭკუოვ. ერთი უხეში ბავშვი მოგაგლეჯს თავს და შორს გადაგისვრის, რა საჭიროაო. ჰეი, ჰეი, რა ცუდ ადგილზე ხარ ამოსული!

ამომხედე, ამომხედე მაღლა! უშიშრად ვიზრდები, ჩემი სიკეთის გამო მთის თავზე, ცასთან ახლოს. ქვეყნის სილამაზით ვტკბები. სიკვდილისა არ მეშინია... შენ კი... ახლაც მაგ სიბნელეში გდიხარ. აქ კი... ჩამავალმა მზემ შემომხედა. იგი კედლებს ჰკოცნის... ჰეი, რა უბედური ხარ?!

— ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა, — ამოსძახა მინდვრის ყვავილმა. — ჩემი ბედი ჩემი ქვეყნის ბედთანაა დაკავშირებული, ჩემო მეგობარო.

ღამეა. გიჟმა და ცივმა ქარმა დაუქროლა მთის ყვავილს. სიცივისაგან კანკალი დაიწყო სიბნელეში, სადღაც მთის თავზე. თავი ჩაღუნა. მხრები ჩამოუცვივდა.

ღრმად ჩაისუნთქა ერთხელ, ორჯერ... გათავდა...

ზაფხულის დილაა. მზე თავისი ცეცხლოვანი თვალით დასცქერის მთას. გაიღვიძა სიცოცხლემ. შეინძრა მცენარეულობა.

ზეეთ, მთის თავზე, დარჭობილი ჩხირივით გამოიყურება მთის ყვავილის ღერო.

ხეობის ვიწროში, მდინარის პირას აბრეშუმის ბალახის შუაგულში მხიარულად ამოჰყო თავი მინდვრის ყვავილმა. ზევით იყურება. ფიქრებში ჩაეფლო. შორიდან დაინახა გამხმარი ჩხირივით დარჭობილი თავისი მეგობარი — ყვავილის ღერო...

ალექსანდრე ძალთიათი

ბრძოლის ველი

ბრძოლის ველი. არემარე ღრუბლებითაა დაფარული. მშრალი სიცივე დგას. ჰაერი წყნარი და უძრავია. ყოველი მხრიდან თოფის გრიალი, ტყვიამფრქვევის კაკანი, ზარბაზნების ქუხილი, ცხენების ფლოქვების თქარათქური ყურთა სმენას აბზრიალებს. ტყვია-წამლის სუნი სუნთქვას ჰკრავს, ველს ბურუსში ახვევს. ადამიანთა გულებიდან სისხლი ჩქეფს, ყველაფერს წითლად ღებავს.

ერთი ქვის გვერდით, ნაძვებთან ახლოს, ჯარისკაცი კვნესის. მას შიგ გულში გაუარა ტყვიამ. კავკასიის მთების შვილი, დარეჯანიანთ თოთრაძი აქ მოხვდა ბრძოლაში. იგი მეოთხე წელია ომშია. რად, რისთვის? — თვითონაც არ იცის. ძალით წამოიყვანეს: სარწმუნოების, ხელმწიფის და სამშობლოს დასაცავად!

უწყალოდ ხოცავს ღარიბ ხალხს.

სახლში დატოვა ახალგაზრდა ცოლი ორი ბავშვით. „ვაი, ვაკვდები. რაღა ვქნა, დედი, კერა მიქრება!“ — კვნესის ახლა დროდადრო თოთრაძი.

ცდილობს ქვას დაეყრდნოს და წამოდგეს, მაგრამ მკერდზე თითქოს სიმძიმე დასწოლია, ვერ დგება. მის ირგვლივ თოვლი წითლად იყინება, თბილი სისხლის სუნი ცივ ჰაერს ჰკვეთს.

დრო მიდის. სხეული უბუჟდება და ტკივილს ვეღარ გრძნობს. ხანდახან განძრევისას სახე ეკმუხნება, თითქოს მკერდში რაღაც ჩასწყდაო. გახურებულ თავში. ფიქრები შეუჩერებლად სცელიან ერთმანეთს. გული ხან დაუწყნარდება, ხან კი ტყვიამფრქვევივით ჩქარ-ჩქარა უცემს... გაუკვირდა თოთრაძს: აქ რას ვაკეთებ? როგორ, სასიკვდილოდ დავიჭერი? აფსუს, რა ბიჭი ვფუჭდები! სთქვა და თვალები უაზროდ გადაატრიალა. მან პირველად ვერც კი გაიგო როგორ დაჭრეს, გიჟურად მიიწევდა წინ, მაგრამ როცა დაეცა და გულიდან გამონაკონმა სისხლმა თეთრი თოვლი წითლად შეღება, შეეშინდა. ირგვლივ მიმოავლო თვალები, შველას ითხოვდა, ვიღაცას სახელიც წამოიძახა, მაგრამ ამაოდ. მისი ამხანაგები შორს გაჭრილიყვნენ, ყრუ ძახილი ბრძოლის ხმაურში შთაინთქა.

ირგვლივ მკვდრებსა და დაჭრილებს ხედავდა. ერთი კიდეეაც იცნო: „ივანე, რაღა ვქნა“? მაგრამ ივანე ზარბაზნის ტყვიის ნამსხვრევებით ფეხმოგლეჯილი უაზრო თვალებით უყურებდა.

მიხვდა თოთრაძი თავის უბედურებას. ტკივილმა სძლია და გული ერთხანს შეუღონდა.

„სასიკვდილოდ ვარ დაჭრილი, საშველი არსაიდან ჩანს“ — იფიქრა და ფიქრისვე შეეშინდა. სახეზე სიმწრის ცივმა ოფლმა დაასხა... თვალები დახუჭა. თვალწინ წარმოუდგა იმ დღის ამბები.

ჯერ კიდევ ბნელოდა, რომ ასეულის მეთაური, ოცი წლის ლამაზი ვაჟკაცი — ივანოვი მოვიდა, სწრაფად მოამზადა და სხვა ასეულების გვერდით დააყენა.

მას ლამაზი სახე თოვლივით გათეთრებოდა, თითქოს დაგრძელებოდა კიდეც. თვალები უცნაურად უბრწყინავდა. „ავადმყოფს ემართება ასე“— თქვა გულში.

გამხდარმა, ჩია მოხუცებულმა მღვდელმა სწრა-

ფად აკურთხა ძველი და მომაკვდავის ხმით წარმოთქვა: „იარეთ, ღმერთი ჩვენთანაა! სარწმუნოების, ხელმწიფისა და საშობლოსათვის!..“ ბრძანებაც წაუკითხეს: „საჭიროა ავიღოთ თურქეთის სიმაგრე „ნაძვიანი“.

ერთხანს ფარულად იარეს, შემდეგ ხმალამოღებულმა ივანოვმა დაიყვირა: „ბიჭებო, წინ, შეტევაზე!“

„ეაშაა!“ იგრიალეს ყოველი მხრიდან ჯარისკაცებმა და წინ გაიჭრნენ... თვითონაც მათთან იყო. შემდეგ... დაიჭრა, აგერ წევს.

მოაგონდა თავისი საყვარელი მეგობარი ივანე. მისი ლამაზი სახე, ჭკვიანი ლურჯი თვალები. რა ძლიერ უყვარდა ივანეს მშობლიური ლამაზი სიმღერები. თოთრაძის ყურმა გაიწივლა, თითქოს. ის სიმღერა მოესმა...

ფიქრებმა ტკივილების გამო იკლო... მერე უცბად შოაგონდა მშობლიური მთები, თავისი სოფელი, ამხანაგები, ცოლ-შვილი.

ტკბილი ფიქრებით გული ისე ავსო, თავი ისე დაებურა, რომ ბრძოლის საშინელი ხმა აღარ ესმოდა. მის მოგონებებს ხანდახან ახლოს გამსკდარი ჭურვის ხმა არღვევდა.

ადრე მთელი სხეული ეყინებოდა, ახლა კი გაუთბა. აღარც არაფერი სტკივა. თვალებს აღარ ახელს, რომ ფიქრები არ დაეფანტოს.

თოთრაძი აღფრთოვანებულია. ჯანმრთელი, მხიარული თავისი ჯარისკაცური ჩანთით მიდის შინ... სიხარულისაგან გული ჩიტივით შეუფრთხიალდა, მაღალი, ჭაღარა მთების დანახვაზე.

თბილი, ზაფხულის კაშკაშა. დღეა. მზე მაღლა დგას. მთები ხშირი ტყეებით არის დაფარული. ნაცნობ საძოვრებზე მწვანე ბალახი ზღვასავით ღელავს.

მიუახლოვდა. სოფლისკენ მიეშურება. გორაკიდან გამოჩნდა მაღალი ოთხკუთხა კოშკი — მათი საგვარეულოს სახელი და დიდება. რამდენი საკვირველი რამ გაუგონია კოშკზე პატარაობისას, სოფლის მოხუცებისაგან. თითქოს ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა.

ალმართზე მუხლები ეკეცება, ძლივს სუნთქავს. გული ეკუმშება, მაგრამ მაინც სულ წინ მიისწრაფვის.

აგერ, კლდეზე მისი სახლი გამოჩნდა. ზემოთ, მწვანეზე, ცოცხები წვანან. ერთი მათგანი ქვაზე შემხტარა და ამაყად იცქირება. კალოზე მწყემსი ბიჭები თამაშობენ: ზოგი თელის ქერქისაგან მათრახებს წნავს, ზოგი ჭიდაობს, ზოგი წკრიალა ბავშვური ხმით მხიარულად მღერის. თავზე ნაბდის ქუდებითა და მხარზე გადაკიდებული ჩანთებით დადიან.

„რა ტკბილია თავისუფალი ცხოვრება“, გაიფიქრა თოთრაძემ. თვალები სახლის კარებს მიაშტერა, საიდანაც სალიმათი — მისი საყვარელი მეუღლე, — მშრომელი, დაუზარელი, უწყინარი, — გამოეგებებოდა ხოლმე.

თითქოს სურვილს მოუხვდა ქალი, ბავშვებიანად გამოიხედა კარში. ბიჭი, თორბეგი, ხუთი წლისაა, ღიპიანი, მარტო, პერანგისამარა, უშარვლოდ. ჯარში რომ წავიდა, ძუძუმწოვარი დატოვა. შავთვალწარბა ამინეთი შვიდი წლისაა. ალბათ სალიმათს ვინმემ ახარა. მორცხვია მთიელი დედაკაცი, მამაპაპური ადათების დიდი პატივისმცემელი, „თავის პატრონთან“ შეგებება ხალხის თანდასწრებით ვერ გაბედა.

გაუხარდა თოთრაძს, გული გაუნათდა.

სალაპარაკოდ შეგროვილი ხალხი დიდიან-პატარიანად წამოიშალა. ქალებმა ბანიდან დაინახეს იგი და წინ გამოეგებნენ. გაუხარდათ, მიეალერსნენ. ბებერმა თელამ ფოთლები აიშრიალა, თითქოს სიხარულით გააჟრჟოლაო. მაღალმა, ამოლტილმა ჭადარმა თავი დაუკრა.

მარტო ესენი კი არა, კუშტად მდგარი მამაპაპური კოშკიც შეინძრა.

სოფლის ბოლოს, ორლობეებში შეხვდნენ ამხანაგები, გოგო-ბიჭები. იცნო: აგერ მაღალი, ფართომკერდიანი თათარუანი, მასთან ერთად რომ ნადირობდა ჯიხვებზე, გამხდარი სოსლანი — მუდამ მის გვერდში მდგომი, ხუმარა, კეთილი გულისა, რომელიც უზომოდ უყვარდა, მომღერალი და მოცეკვავე ხასეყო, გეიცირი, მხიარული და მოუსვენარი ხამათი, ინალი და სხვები...

გოგონები, მისი ნაზი დობილები: ლამაზი, ქერა ბელა; მშრომელი, დაუზარელი ფინე; პატივისმცემელი სალიმათი, ქოსერი, ხანიათი... ყველანი აქ არიან. შემოხვევნენ. სიხარულით ეხვევიან, კოცნიან, ერთმანეთს არ აცლიან.

თოთრაძს თვალებზე ცრემლი მოადგა. ტირილი უნდოდა, მაგრამ თავს იკავებდა. ცდილობდა ელაპარაკა, მაგრამ თითქოს ყელში რაღაც გაჩხე-

როდა. ვერ დგებოდა, მაგრამ უცნაური ძალა მის-დაუნებურად წინ, სახლისაკენ მიაჩქარებდა.

იცის, რომ სირცხვილია ტოლ-ამხანაგების და-ტოვება, მაგრამ ძალა არ ყოფნის, ფიქრები გონ-ებას უმძიმებენ. გრძნობს, რომ შინ ვეღარ მიაღ-წევს...

აი, ქარიშხალივით მიიჭრა მოსაუბრე ხალხ-თან, ნახა მოხუცები — ზოგი ჯოხს დაყრდნობოდა, ზოგი ღობეს მიბჯენოდა. ჩანდა თეთრი წვერები, ნათელი სახეები...

მერე უცბად ყველაფერი გაჰქრა... თვალები დაუბნელდა, ვეღარაფერი იგრძნო...

ისევ წინ დაუდგა სახლი... სალიმათი... ბავ-შვები...

არემარე უფრო ძლიერ განათდა... ვეღარაფე-რი დაინახა. სინათლის შემდეგ ჩამოწვა სიბნელე... მუდმივი სიბნელე...

უკანასკნელი ბგერებიღა ისმის... სულს ებრ-ძვის ვაჟკაცი. სახე, ხელები თოვლივით გაუთეთრ-და, თვალის უპეები და ტუჩები ლილისფერი გა-უხდა... თვალები ერთხელ კიდევ გაუბრწყინდა, ცრემლით აევსო...

გაიზმორა... შეაკრეჭილა... რამდენჯერმე დაასლოკინა, რამდენჯერმე დააღო პირი... ღრმად ჩაი-სუნთქა — ამოიხრიალა და...

თვალები დაჭყეტილი დარჩა — სიკვდილმა თა-ვისი კვალი დაუტოვა...

ქარიშხალი

ცუდმა ამინდმა თავისი გაიტანა...

ქარიშხალმა ხრეებს დაუარა, გადაიქროლა ხეები, საძოვრები, მთები, ბნელი ტყეები. შეარ-ხია ხეები — მგრგვინავი ხმით შეჰბღავლა.

არემარე მთლად ცახცახებს... ჩამობნელდა. ჰა-ერი თოვლის მტვრით აივსო...

ხეობის თავში, ფრიალო კლდესთან ხრამში ჩაირბინა, გადაიჩეხა იქ, სადაც, გვიან შემოდგო-მისას, გაუვალი ტყის პატრონი, ვეება დათვი და-ბინავდა. მას, საწოლში ღრმად შემძვრალს — სა-ზამთრო ბალნით შემოსილს, არავისი ეშინია; იგი არაფერს დარდობს, არაფრად აგდებს მთის ბო-ბოქარ ქარიშხალს.

ეწყინა ქარიშხალს, მხეცმა რომ არაფრად ჩაგ-დო. ბრაზმორეულმა თოვლიანი დორბლი შეაყა-რა, მერე ღრმად შეიჭრა ბუნაგში და მწარედ უჩ-ქმიტა.

შეაწუხა სიცივემ დათვი. წაიბურტყუნა თავის-თვის და უფრო ღრმად შეძვრა საწოლში.

ქარიშხალმა იგი მიატოვა, — სად სცალია მას — დაუდეგარს ამდენი ხანი ერთი ადგილი ტკეპნოს?..

შეუბრუნდა მთის ფერდობებს, ააფორიაქა ღრმა თოვლი, გადმოუშვა ზვავები, ნამქერით ააევსო იქაურობა და სტვენით ტყეში შეინავარდა.

გაშმაგებული დარბის, ეძებს, იქნებ ვისმეს აწ-ყენინოს, გულის ჯავრი ამოიყაროს...

ფესვებამდე შეანძრია ნაძვები, შეურხია წიფ-ლებს ტოტები... ზოგს ძირიანად თხრის, ზოგს ტო-ტებს უმტვრევს. ბნელ ტყეს ტკაცატკუცი გააქვს.

დაეწია მგელს, გაუმაძღარს, ყველგან მოხეტია-ლეს, ბუჩქებთან მიაგდო, თოვლი შეაყარა.

ქარიშხალივით მკაცრია რუხი მგელი, არ დრკება გულშავი, აიბურძგლა, კბილები დაახ-რჭიალა, თვალები ააბრიალა და გამყინავი ხმით დაიყმუვლა.

ქარიშხალი ხეის ბოლოს მიუახლოვდა, გაჩ-ხრიკა ხევები, გამოხვეტა კლდეები და რომ ვერა-ფერი იპოვა, სოფლისკენ შებრუნდა.

სოფელში დასაზვერად ჯერ პატარა ქარი გაგ-ზავნა, მერე თვითონაც ეწვია.

მთელი ძალით მაღალ კოშკს ეძგერა, შეჰბღავ-ლა ათასნაირი ხმებით...

ამაყად დგას მაღალი, უდრეკი კოშკი. ბევრი ასეთი ჭირვარამი უნახავს ფოლადივან ქვით ნა-შენს, მაგრამ არაფრად ჩაუგდია. ქედს არ უხრის ზამთრის მკაცრ ყინვებს, ზაფხულის კოკისპირულ წვიმებს, მტრების ტყვიებს, ხმლების ცემას...

ვერაფერი დააკლო ნაცნობმა ქარიშხალმაც.

მეტი სიბრაზით ქარი ჩადგა, დაწყნარდა, თითქოს ძალებს იკრებსო.

მერე სოფელში შეიჭრა, უფრო გაძლიერებული, გაბრაზებული; სახლები თოვლით, სიცივით აავსო. ყველგან თოვლის ნამქერები დააყენა.

არავინ დატოვა გულნაკლული.

კლდის ქიმზე მდგომ ერთ სახლზე მიიტანა ფერიში. შეაყარა ფანჯარას თოვლი, კარები დააბრახუნა, კედლები შეაზანზარა. მთელი ძალით მიაწვა ძველ მუხის კარებს, შეგლიჯა... შემოიარა ყველა კუნჭული; მიმოფანტა ნაცარი, გადმოყარა ჭურჭელი...

უკან დაბრუნდა. გიჟურად გადაუქროლა ხევის წყალს. სწრაფად ააგო მდინარეზე ყინულის ხიდები, შემდეგ მწვერვალებისაკენ ღრიალით გაემართა. ეცა საუკუნოვან ყინულოვან მწვერვალებს და მის ხარბ ხახას რომ ვერაფერი მოხვდა, ზუზუნით ცაში ავარდა...

მაღლა აიტანა თოვლი, გიჟური სრბოლით უსაზღვრო ღრუბლების სივრცეში შთაინთქა. ქვეყანა კვლავ მიწყნარდა...

სოხუმიდან ყულაბამდე

მწყემსის ფიქრები

ბრიტანეთის მაღალ, მზის შარავანდედით გასხივოსნებულ მთებში აძოვებდა ცხვრის ფარას ქსანელი ბიჭი, ყალცი. დილით ათასამდე ცხვარი ნისლივით ეფინებოდა თოთობალახიან ფერდობებს. არა, თქვენ არ გეგონოთ, რომ ეს ფარა მისი იყო. ჰო, მისი არ იყო, მაგრამ ზოგი მწყემსი ისე თავის ფარას ვერ უვლის, როგორც ყალცი ამ ცხვარს უვლიდა. თვითეული საკუთარი ხელებივით უყვარდა, ყველას თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. არც არასოდეს წამოსცდენია „სხვისია ეს ფარაო". „ჩემი საყვარლებიო" — ასე ეფერებოდა ყოჩებს, ბედილებსა თუ ბატკნებს.

მწვანე საძოვარზე რომ ცხვარი გაიშლებოდა, მისი ყურება ისე ატკბობდა ყალცის, ამ ქვეყანაზე თუ კიდევ არსებობდა სხვა რამ საყვარელი, ავიწყდებოდა, ნამდვილად ავიწყდებოდა.

აი, უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც იგი მდიდარი ოსის, ქუძაგის სანაქებო მწყემსად ითვლება. ამ ხნის განმავლობაში მგელს მისთვის ერთი ცხვარიც კი არ წაურთმევია. ვერც არწივმა მოსტაცა ბატკანი. ვისაც კი ენახა, ყველა აქებდა ამ გულფხიზელ და თვალგამჭრიახ მწყემსს. მხოლოდ ცხვრის პატრონი განგებ ვერ ხედავდა მის თავდადებულ გარჯას: არც ერთხელ არ უცია მისთვის პატივი, ერთი გროშის საღირალი რამეც კი არ უჩუქებია.

ბოლოსდაბოლოს მოთმინებიდან გამოვიდა ყალცი და გადაწყვიტა ქუძაგისაგან გაქცევა. ეს გაიგო ქუძაგიმ და უცებ შეიცვალა ხასიათი. კაცები მიუგზავნა ყალცის, ოღონდაც დარჩი ისევ ჩემთან და ათ საუკეთესო დედა-ცხვარს გაჩუქებო.

რა ექნა საწყალს, გული მოულბა, დათანხმდა და კვლავ დარჩა ქუძაგთან მწყემსად.

მერე თავისი ათი ცხვარი ცალკე რომ გამოჰყო. სიხარულის ერუანტელმა დაუარა თავიდან ფეხებამდე. დღეს ათია, მალე ათასი გახდებაო, — გაფიქრა, ცხოვრების დასაწყებად ესეც საკმარისია გამრჯე კაცის ხელშიო.

ყალცის განსაკუთრებით უყვარდა თავისი თითქმის მოზვერის ხელა თეთრი ძაღლი, ყორისი. მთელი ქვეყნიერების ზურგზე ამ ძაღლზე უფრო ჭკვიანი პირუტყვი არც ეგულებოდა. ყორისი ხშირად უწყლო ქარაფებზე გაბნეულ ფარას ნავარდით შემოუვლიდა, ერთ ადგილზე მოაქუჩებდა, შორს ჩაიყვანდა, ხევში, არწყულებდა და ისევ საძოვარზე მორეკავდა.

თუ მგელი მოეპარებოდა ფარას, ან იქვე ღაფავდა სულს, ანდა თავისი ტყავის ნაჭერს ძაღლის წვეტიან კბილებში სტოვებდა და ცხრა მთას იქით გარბოდა, დამფრთხალი და დასისხლიანებული. ეს ამბავი მთაში ხომ ყველამ იცოდა და, აბა, რომელი ქურდი გაბედავდა ყალცის ფარასთან მოახლოებას?

იმ მთებში, სადაც ყალცის ფარა დაბალახობ-

და, კუდაროელ მწყემსებსაც დაჰყავდათ ცხვარი საიალაღოდ. ჰოდა, ერთხელ მოციქულები მოუგზავნეს კუდაროელებმა, ოღონდაც ეგ ძაღლი დაგვითმე და მაგიერი პატიოსანცემა ჩვენზე იყოსო. ჰპირდებოდნენ: ხუთ თოხლსა და ერთ ჩოჩორს გაჩუქებთო. ყალციმ საპასუხოდ მხოლოდ შეუბღვირა მათ. ერთი სიტყვაც კი აღარ ათქმევინა, ისე გარეკა უკანვე. ხუთი თოხლი კი არა, მთელი თავისი ცხვრის ფარები რომ ეჩუქებინათ ყალცისათვის, ამ ერთგულ ძაღლს მაინც არ შეელეოდა.

ამ დღის შემდეგ ყალცის კუდაროელნი თვალის დასანახავად ეჯავრებოდა: ასეთი რამის თქმა როგორ გამიბედესო.

ათინაგის[1] დღეობის წინ, ერთ ბნელ ღამეს, ბნელი საქმის გაკეთება გადასწყვიტეს კუდაროელებმა. უნდოდათ ყალცის ფარისათვის ერთი დიდი ნაწილი მოეწყვიტათ და წაელალათ, მაგრამ ყურფხიზელმა ყორისმა მალე გაიგო მათი ფიქრის ხმა და ისეთი ყეფა ასტეხა, მისი ხმის ეხომ მძინარე მთებიც კი გაალვიძა. ყალციმ ქურდების შესაშინებლად თოფი ცაზე მოჯარულ ღრუბლებს ესროლა, მაგრამ თოფის გასროლამდე, რახანია ისინი თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ, ძაღლისაგან დამფრთხალები.

კუდაროელთა ჯინაზე ყალცი ზოგჯერ წამოჯდებოდა კლდის თავზე და ქვეყნის გასაგონად მღეროდა. შემოგარენის ხევები და ღარტაფები იმეორებდნენ ამ სიმღერას და ეხო მთიდან მთაზე გადადიოდა.

„ოიდა, ურაიდა რაიდა...
თუნდაც მოეცათ მზეთუნახავი,
მზეთუნახავი საყორნისელი,
არ დავუთმობდი ჩემს ყორისს მაინც,
ჩემს ქომაგ ყორისს არვის მივცემდი.
ოიდა, ურაიდა რაიდა..."

მღეროდა ყალცი და ამის გაგონებაზე კუდაროელნი მეტი ბოლმისაგან გულზე სკდებოდნენ.

ასე ატარებდა დღეებს ყალცი. ცხოვრობდა ისე, როგორც საერთოდ მწყემსები ცხოვრობენ: წელიწადში ერთი სიხარული ჰქონდა და ათასი ჭირ-ვარამი. როგორც ეს მთები, მისი გულიც ხან მზის შარავანდედში იყო გახვეული, ხან ღრუბელთა ჯანღში. ხან მაძღარი ჰქონდა კუჭი, ხანაც მშიერი.

მეხის ქუხილივით გადაირბინა ზაფხულმა და მოახლოვდა ცივი დღეები.

ქუძაგმა თავის უფროს შვილთან ერთად ყალცი საზამთრო საძოვრების საძებნელად გაგზავნა.

გუჯარეთში ქუძაგს ახლო ნათესავები ჰყავდა. გზადმიმავლებს ეს სოფელი უნდა გაევლოთ აუცილებლად და მამამ უთხრა შვილს: ისე არ გაიარო, ნათესავები რომ არ ნახო, თორემ თავი მოგვეჭრებაო.

შვილმა შეასრულა მამის სიტყვა. ღამის გასათევად გუჯარეთში დარჩნენ.

მეორე დღეს ატყდა ქარბუქი. აბა, ასეთ ამინდში ქუძაგის შვილს სახლიდან როგორ გაუშვებდნენ ნათესავები. დარჩნენ მეორე და მესამე დღესაც.

ყალცი ისე გაახარა იმ ოჯახში სტუმრობამ, ინატრა, ნეტავი ცხრა თვეს გაგრძელდეს ეს ქარბუქი. მასპინძელი მდიდარიც იყო და გულუხვიც, მაგრამ მარტო ამან როდი მოხიბლა სტუმარი. მასპინძლის ქალიშვილის თვალებმა დაატყვევეს იგი. ერთი შეხედვით შეუყვარდაო, რომ იტყვიან, ეს იყო სწორედ.

ყალცის სანატრელი გაუჩნდა: „ერთი ამ ქალიშვილის გული მომანადირებია და არც ქუძაგის სიმდიდრე მინდა და არც სხვა რამეო".

ერთ სალამოს ყალციმ დაინახა: ასინეთი საბძლის წინ, სამშრალოზე, მარტო იყო. ჯირკზე ფიქვის მორი ედო და საკვარე ნაფოტებს აცლიდა. მისი მარწყვისფერი ლოყები რომ დაინახა მწყემსმა, ერუანტელმა დაუარა ტანში და თავისდა უნებურად მიუახლოვდა ქალს.

— ლამაზო, მოიტა, მე დავაქუცმაცებ საკვარე ნაფოტებს.

— ქსანელო, მე ღონე არ მერჩის და ნაჯახს ვერ ეხმარობ თუ?

ყალცის სისხლი აემღვრა, ვეღარ მოითმინა და ნაჯახიან ხელზე წაეტანა.

ასინეთი ისეთი იყო, თავს არავის დააჩაგვრი-

[1] ათინაგი — დღესასწაულია. ზაფხულში ეწყობა.

ნებდა, ნაჯახი გვერდზე მიაგდო, კეტს წამოავლო ხელი და წელზე უთაქა თამამ ბიჭს.

ყალციმ განა დაიკვნესა, გაეხარდა კიდეც ქალის გაფიცხება და გაუცინა:

— ეჰ, ნეტავი მატკენდე რამეს, ისა სჯობია ჩემთვის. უფრო დამამახსოვრდები, ლამაზო!

— მომშორდი, მომშორდი, ქსანელო, თორემ ახლავე გაგშოტავ ამ მტვერში, თავზე დაგაწვები მაჯლაჯუნასავით და ღმერთის მეტი ვეღარავინ აგაყენებს ზეზე.

— მაგაზე უკეთესს რაღას ვინატრებ, ლამაზო, მაგრამ ამ ბედნიერებას მე ვინ მაღირსებს?

სიტყვა სიტყვას მოჰყვა და ბაასი თანდათან დატება, თითქოს ძველი ნაცნობები შეხვდნენ ერთმანეთს დიდი ხნის შემდეგ, ერთიმეორე იცნეს და გახარდნენო.

ყალციმ აიღო ნაჯახი, საკვარე ნაფოტები დააწაკუწა და თვალიც კი ჩაუკრა ქალიშვილს.

ასინეთმა ბიჭს სამაგიერო გადაუხადა, ლამით აიღო მისი ქალამნები, შიგ ჩატენილი, უკვე დაძველებული ვაციწვერა გამობერტყა და იმის ნაცვლად აბრეშუმივით რბილი ბალახი, თომი, ჩაფინა. მერე პაპიჭებიც გაუშრო და გაუბერტყა.

მოკლეა კაცის წუთისოფელი, მაგრამ უფრო მოკლეა ბედნიერების წუთები. მეორე დღეს ადრე ადგა ყალცი და აემღვრა ხასიათი: ცა მოწშენდილი იყო. ბუნების სიშშვიდემ გული აუშფოთა გამიჯნურებულ მწყემსს. ისეთი ამინდი დადგა, ვეღარ მოიცდიდნენ აქ, გზას უნდა დასდგომოდნენ და დაადგნენ კიდეც.

ასინეთი თავის სახლში დატოვა ყალციმ, მაგრამ სოფლის წყაროსთან რომ მივიდნენ, მოჩვენებასავით აქ დაუხვდა იგი. ხელში ხის სათლი ეკავა, ვითომ წყლის წასაღებად მოსულიყო მოკლე ბილიკით. ქუძაგის შვილს არც დაუნახავს ეს ქალიშვილი, ისე გასცილდა წყაროს, ყალციმ კი მაშინვე მიუხვია ღარისკენ.

— ეჰ, ჩემო ძვირფასო, ქალი კი არა, ფრინველი ყოფილხარ, სახლში დაგტოვე და წყაროზე კი დამხვდი. გამოდის რომ, მეორედ უნდა გამოგემშვიდობო, არა?

— გამოშშვიდობებას მამადლი? წადი, ეწიე შენს გზას თუ ასეა!

— ეჰ, მოიტა, წასვლის წინ წყალი დამალევინე. ნეტავი სულაც არ წამიყვანა აქედან...

ასინეთმა ხის დიდი ჯამი აუვსო წყლით და მიაწოდა, თან სიცილით შეხედა და შეანათა თვალები.

ყალცის ეჩვენა, უბრალო ბინულს კი არა, უკვდავების წყაროსა ესვამო. ჯამი ფსკერამდე დასცალა.

— ახლა ეგ შენი ხელიც ჩამიდე ხელში. — უთხრა ბიჭმა გოგოს. — მინდა თან წავიღო მისი სითბო.

ასინეთმა ვაეის ხელს მაგრა მოუჭირა თავისი თეთრი თითები.

ერთხანს ასე იდგნენ, უტყვად, რაღაც დიდი სიხარულით დამტკბარნი.

ყველაზე მოკლე ხომ ამ ქვეყნად ბედნიერების წუთებია, მალე დამთავრდა ეს ნეტარების დრო.

— ბედნიერი მგზავრობა, ქსანელო. არ დაგვიეწყო!

ყალცი წავიდა, მაგრამ ვაი ამ წასვლას: ფეხები უკან რჩებოდა, გულიც იმ წყაროსთან დარჩა.

— ეჰ, ნეტავი კიდევ შემასვა იმ ბინულის წყალი, — წატრობდა გზად მიმავალი, დანაღვლიანებული მწყემსი.

როცა მთაზე შედგა, საიდანაც უკვე გადაღმა უნდა გადასულიყო, ერთხელ კიდევ მოიხედა უკან.

ასინეთი კვლავ წყაროსთან იდგა, ხელში სათლი ეჭირა და თვალმოუშორებლად გასცქეროდა ყალცის გზას.

• •

მოვიდა გაზაფხული და ყალციმ ფარი კვლავ იმ მთებში არეკა, სადაც წინა წელს აძოვებდა. ყორიოსიც თან ჰყავდა.

მისმა საკუთარმა ცხვარმა იმრავლა. დოლის დროს ერთი ბატკანიც კი არ დაჰკლებია. ოცი ჰყავდა უკვე.

მაგრამ ამ ზაფხულს სხვა მწყემსებს რატომღაც ყალცის სიმღერა ალარ გაუგონიათ.

უკვირდათ, რაიმე ცუდი სენი ხომ არ შეეყარა ამ მხიარულ მწყემსს, ისე რამ დაადარდიანათ.

ერთი ამოჩემებული კლდე ჰქონდა ყალცის, თავისი ფარეხის ახლოს, დილით ავიდოდა ამ კლდის კონცხზე, ჩამოჯდებოდა და მწყემსებს ხშირად ეპვიც კი ეპარებოდათ, ამ კონცხივით ყალციც ხომ არ გაქვავდა.

— „ან ვილაცამ მოაჯადოვა, ან თუთრომის[1] დღეობის დროს ვილაცამ დასწყეველა“—ფიქრობდნენ კუდაროელნი.

ყორისიც გვერდით უჯდა მუდამ. მხოლოდ მაშინ, როცა ცხვარი შორს წავიდოდა, კლდიდან ისკუპებდა ძაღლი და გაიქცეოდა ფარასაკენ, რათა უკანვე გამოეყვანა. ამ დროს ყალცი მცირე ხნით ფხიზლდებოდა და გასძახოდა შორს:

— არ-რ-აი! არ-რ-აი! — ცხვარს უხმობდა და ფარაც მაშინვე მისკენ ბრუნდებოდა.

ბოლო დროს ყალცი თავის ძველ ნაბადზე წამოჯდებოდა ხოლმე და შორს გასცქეროდა ვიწრო ხეობას.

აი, იქ, ძირს, ძალიან შორს, ციცაბო ტინებსა და კბოდეებს შორის მოუსვენარი მდინარე მიჯირითობდა. მუდამ ხმაურობდა და კლდის ძირებს ქაფიანი ტუჩებით ჰკოცნიდა. მდინარეს ზოგგან თავისი ტოტი გვერდზე გადაეგდო. ამ ტოტებს თავზე პატარ-პატარა[2] წისქვილები, წამოსჯდომოდნენ. გამალებით ტრიალებდა წისქვილთა ფრთიანი ბორბლები. ბოლოს ეს ტოტები ისევ მდინარეში ეშვებოდა: თითქოს დედა თავის შვილებს სათამაშოდ უშვებდა ველად და მერე ისევ ეძახდა, ჯეყოთ თამაში, სახლში დაბრუნდითო.

უფრო შორს, მდინარის ორივე ნაპირზე პატარა სოფლები იყო გაშენებული. იმ სოფლებში ახლა, ალბათ, სიჩუმე სუფევდა. თიბვის დროა, ხალხი მინდვრადაა გასული და მოხუცების გარდა სახლში ვინ გაჩერდება ამ დროს. აი, ამ სოფლებიდან ზოგჯერ ყალცის ესმოდა მამლის შორეული ყივილი და ძაღლების ყეფა.

ხეობის მარცხნივ, ერთი დაკლაკნილი ბილიკი ნაზვაურებზე გადადიოდა, ბექობს უვლიდა, ჭიუხის ქვეშ ძერებოდა და იქვე, ტყიან მოსახვევში იკარგებოდა.

ყალციმ იცოდა, რომ ეს ბილიკი, როგორც ეს მდინარე, ბოლოს ველზე გადიოდა... იქ მზე უფრო ათბობდა დედამიწას და ცხოვრებაც უფრო იოლი იყო. კაცი ცხინვალის ვენახებს რომ გასცილდებოდა, ცოტას კიდევ ივლიდა და პირდაპირ გუჯარეთს მიადგებოდა.

იმ სოფელსა და ყალცის გულში ერთდროულად ცხოვრობდა ახლა ასინეთი. იგი არაფრით არ გამოირჩეოდა ოსის სხვა ქალიშვილებისაგან, ეს იცოდა ყალციმ, მაგრამ მაინც ანგელოზად და მზეთუნახავად მიაჩნდა.

მუდამ მთაში მყოფი მწყემსები ქალს საერთოდ იშვიათად ხედავენ, იშვიათად ისმენენ ქალიშვილთა სასამო საუბარს. ალბათ ესაა მიზეზი, რომ პირველ შეხედვისთანავე შეუყვარდებათ ვინმე და მერე სულ იმაზე ფიქრობენ.

ყალციმ არ იცოდა, ვისთვის გაენდო თავისი გულის ამბავი. უნდოდა კი, სხვასაც სცოდნოდა, რომ მას ასინეთი უყვარდა. აქ, მიყრუებულ მთაში, კაცს ხშირად ლაპარაკიც კი ავიწყდება, რადგან ხმის გამცემი არავინაა ახლოს. აბა, ვინ მოუსმენდა ყალცის? მეზობელ მთაზე, მართალია, დადიოდნენ მწყემსები, მაგრამ იმ მწყემსებზე გამწყრალი იყო ყალცი და თავის გულში ნადებს იმათ როგორ გადაუშლიდა?

— ეჰ, ყორისი, შენ მაინც გესმოდეს რამე, რომ ჩემი დარდი გაგიზიარო. — ეუბნებოდა თავის ერთგულ ძაღლს პატრონი.

ხანდახან ორ შურთხს ერთად რომ დაინახავდა, ყალცის სიამე ეფინებოდა გულზე. აჭარებდა მათი ნაზი სტვენა. ერთმანეთს უმღერიანო, ფიქრობდა ყალცი და ნატრობდა, ნეტავ ეს შურთხები მე და ასინეთი ვიყოთო.

ასინეთი გახდა მისი ფიქრი, ოცნება, სიხარული და დარდი. სხვა აღარაფერი აგონდებოდა. ზოგჯერ თვალს რომ მილულავდა, მაშინვე დაიკარგებოდა ამ ქვეყნის სინამდვილიდან და სადღაც ზღაპრულ ქვეყანაში მისცურავდა. ეჩვენებოდა, თითქოს მწყემსი კი აღარ იყო, მონადირის ბანდულები ეცვა და კლდეებში დაფორთხავდა. აი, ვითომ ერთად მოქღერტელე ორი შურთხი დაიჭირა და ეალერსება. მერე ეს შურთხები სადღაც გაფრინდნენ სიზმარეთის ქვეყანაში. მაგრამ ეს რა? კლდის ქიმზე ამაყად გადმომდგარა ნიამორი და მზის ამოსვლას უცქერის. ყალციმ ნიამორს შუბლში დაუმიზნა ხირიმი, ესროლა და ნიამორი მის ფეხებთან დაეცა. აი, ნანადირევი სახლში მოაქვს. ეზოში ასინეთი ხვდება. იქვე დარბიან მისი ბავშვები. დაინახეს თუ არა, მამას ნიამორი მოუკლავსო, თამაშობას თავი დაანებეს, ნანადირევი გამოსტაცეს ყალცის და

---

1 თუთრომი — საეკლესიო დღეობაა

იქვე კაჩაზე ჩამოჰკიდეს... მეტი ბედნიერება და ხიმდიდრე არც უნდა ყალცის, მაგრამ... მაგრამ...

გაიღვიძებს და ხედავს, რომ ეს ბედნიერება მხოლოდ სიზმარშია, ტკბილ სიზმარში.

— არ-რაი!—ისმოდა ამ დროს მისი გაჯავრებული ხმა, თითქოს ეს ცვლილები იყვნენ მისი ბედნიერების წამრთმევნი.

დღეები კი ნაირფერი ღრუბლებივით მოდიოდნენ და მიდიოდნენ.

ყალცი თანდათან კარგავდა მოსვენებას. თვალს მილულავდა განგებ, ეგებ ის ტკბილი სიზმარი გამეორდესო, მაგრამ ჯინზე ძილიც აღარ ეკარებოდა. ფიქრებში მიეცურავდნენ დღეებიცა და ღამეებიც.

ერთ ღამეს ფთლიანად შეიცვალა ყალცი. ქვეშ ჯუბა დაიგო, ნაბადი წაიხურა და წამწამები ჩარიზა, ეგებ რული მომეკიდოსო, მაგრამ არ იქნა და ვერ წაართვა ფიქრებს თავი. უცებ, სადღაც შორიდან მოესმა ბაღლების ყეფა. ეს ყეფა თანდათან მოაბლოვდა. მეყრუებულმა ხეობამ გამოიღვიძა. ხეობაში ძაღლების ღაღავს ყორისმაც შეუერთა თავისი მკეჟარე ხმა. იგი ერთხანს ფარას უვლიდა გარშემო, მერე ბექობზე დაყუნცდა და, მისთვის უჩვეულო ხმით მორთო ყმუილი.

გაღმა ვიღაცეები უსტვენდნენ და გაჰკიოდნენ. რამდენჯერმე თოფის ხმამაც გადარბინა მთებზე, ნეტავი მწყემსები ისვრიან თუ სხვა: ვინმე? ეგებ წყეული ნადირი დაესხა თავს მძინარე ცხვარს? რაღაც უჩვეულოდ ახმაურდა ხეობა. მგონი, მაყრულს მღეროდნენ ვიღაცეები. ალბათ მაყროონი მიდის, ქალი მიჰყავთ, მაგრამ ზაფხულში ქორწილი ვის როუვიდა ფიქრად? რა დროს ქორწილია!

ყალცის უფრო გაუფრთხა ისედაც დამფრთხალი ძილი. ნაბადქვეშ შამფურივით ტრიალებდა. არა, მარტო ამ ნაბადში კი არა, ამ ნაბდისფერ ფიქრებში იყო იგი გახვეული. გარიერაჟისას წამით ჩასთვლიმა და თითქოს სიზმარმა ნისი ოცნება გააგრძელა, მაშინვე გუჯარეთისკენ გაფრინდა...

სწყურია, სწყურია ყალცის და ასინეთი ყინულიანი ცივ წყალს აწოდებს მოეერცხლილი ჯამით. მაგრამ ყალცის მარტო წყალი როდი სწყურებია თურმე, ჯამი დასცალა, წყაროს გუბეში ჩააგდო, ასინეთს მიუბრუნდა, ხელი მოხვია წელზე და მკერდში ჩაიკრა... არა, ამ ქვეყანაზე ყალციზე ბედნიერი არავინ დაიარება... მაგრამ ეს ვინაა გზაზე რომ გამორბის? ასინეთის მამაა წარბებშეყრილი. ალბათ იმაზე მოსდის გული, მის დაუკითხავად რომ გადასწყვიტა ამ ორმა მტრედმა ერთად თავის შეყრა სამარადისოდ... უცებ ასინეთი სადღაც ნისლებში დაიკარგა... ყალცი ღრანტეებში გარბის... ვიღაც მოსდევს და მოსდევს... ნაბიჯს მოუჩქარე, ნაბიჯს, ყალცი, თორემ საცაა დაგეწევა, ჰეი!.. და ყალციც გარბის როგორც დამფრთხალი ჯიხვი. ფეხები სტკივა კლდეებზე ხტომით, მაგრამ მაინც გარბის... არა, არა, ეს მეხი არ გავარდნილა ციდან, არა: ყალცის თოფი ესროლეს, თოფი, და დასჭრეს.

— ჰეი, მიშველეთ! — შეჰყვირა ყალციმ და გამოღვიძებული ზეზე წამოვარდა.

მიხვდა, ეს ყველაფერი შავი სიზმარი იყო და ქანცმილეული ძირს დაეფეხვა. მერე ერთი ისეთი ამოიოხრა, კინაღამ სულიც თან ამოაყოლა.

ცას ახედა, რიჟრაჟი დასავლეთისაკენ მიბიჯებდა. აღარ დაწოლილა. როგორც მთას ნისლი და ღრუბელი არ დაელევა, ასევე ვერ ილეოდა მისი დარდი. ბოლოს ყველა ფიქრი გაიფანტა და მხოლოდ ერთიღა დარჩა მასთან, ერთი და ისიც უცნაური.

ყალციმ ჩაიცვა ქალამნები, მოიხურა ნაბადი. ხელში დაიკავა შინდის კომბალი და ფარა იმ ხეობისაკენ გარეკა, საიდანაც ღამით მაყრული მოესმა. იმ ხეობის იქით კუდაროელნი აძოვებდნენ ცხვარს. ყალციმ ხეობა გადაიარა და სწორედ იქითკენ აიღო გეზი, სადაც მეტოქეები ეგულებოდა.

მათთან მისვლამდე ერთი შეისვენა ყალციმ. არყის-ხის ბუჩქზე ჩამოჯდა, ყორისს მოუხმო. კისერზე ხელი გადაუსვა ალერსიანად, გუდიდან ყველის დიდი ნაჭერი ამოიღო, მთლიანად თავის ძველ მეგობარს მისცა და ერთი ცრემლიც დააწვეთა ბალანზე.

ძაღლი, თითქოს მიუხვდა პატრონს წუხილის მიზეზს, უკანა ფეხებზე შედგა, მკერდზე შეაფორთხდა და დანაღვლიანებული შეაჩერდა მის ცრემლიან თვალებს. ყალცის უფრო მოეძალა ცრემლი და ყორისი გულში ჩაიხუტა.

— მშვიდობით, ჩემო მეგობარო, მშვიდობით. გაღალატე, გაღალატე უსირცხვილოდ. გტოვებ, გტოვებ და შეიძლება ვეღარც შეგხვდე ოდესმე. მე აღარ შემიძლია აქ ცხოვრება, არა...

ყალცი კუდაროელებთან მივიდა და გაუმეღავნა თავისი გადაწყვეტილება; მთებს ეტოვებ სამუ-

დამოდო. შორს მივდივარ, ძალიან შორსო. ყორისის და ჩემს კუთვნილ ცხვარს თქვენ გიტოვებთ საჩუქრად, ოღონდ ქუძაგთან კი ნუ გამომიყვანთ პირშერცხეენილს, შემოდგომაზე თავისი ცხვარი უკლებლად ჩაბარეთო.

ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, უარს ნუ მეტყვიო. ფიცი მომეცით, რომ ჩემს თხოვნას შეასრულებთო.

კუდაროელებმა გაკვირვებისაგან პირები დააფჩინეს:

— საწყალი ყალცი! ალბათ როკაპმა დაიჭირა სადმე და გონება გადაუბრუნა, თორემ რომელი ჭკუათამყოფელი მოიქცევა ასე!

ზოგი იმასაც ამბობდა:

— დიდი უბედურება შეხვდებოდა რამე და იმის ბრალი იქნებაო.

ასე იყო თუ ისე, კუდაროელებს ყალცისათვის უარი არ უთქვამთ. ფიციც მისცეს, ქუძაგს ისე ჩავაბარებთ თავის ფარას, ერთ ბეწვსაც არ დავაკლებთო.

ყალცემ აიღო ხელში თავისი გრძელი კომბალი, ჩავიდა ხევში, გავიდა ღრანტეებიდან და გაუყვა ფართო გზას.

მესამე დღეს იგი უკვე გუჯარეთს მიუახლოვდა.

ერთი კიდევ შეუტია გზას, გაიარა ტყე, გადასჭრა ღარტაფი და შეევიდა ასინეთის სოფელში.

აი, ის წყაროც. უკანასკნელად აქ ჩამოართვა ხელი ასინეთმა.

— არ დაგვიეიწყოო, — ახლაც ესმის ყალცის მისი სასიამოვნო ხმა.

და აკი არც დაივიწყა. მოვიდა, მოვიდა მასთან.

ჰო, ასინეთმა დაუბარა, ამა და ამ დროს მოდიო და ყალცეც მოვიდა დანიშნულ დროზე, განა დაიგვიანა? პირიქით, ასინეთი იგვიანებს. ჯერ არა ჩანს. მაგრამ არა უშავსრა, მალე მოვა ისიც და...

მოვა მაგრამ, რა უთხრას, რისთვის მოვედიო? ამაზე ხომ აქამდე მას არც უფიქრია. ეჰ, რა საწყალი მწყემსია! ნეტავი რას იზამს ასინეთი ყალცის რომ დაინახავს? ღიმილით შეხვდება თუ ღრუბლიანი სახით? ეგებ დაავიწყდა კიდეც?.. მაგრამ არა, არა. ასეთი რამის გაფიქრებაც კი აშინებს ყალცის.

დაღლილი მწყემსი წყაროსთან ჩამოჯდა დასასვენებლად. ასე აჯობებსო, ფიქრობდა იგი, ვინმე მოვა წყლის წასაღებად, ჯერ სხვისაგან გავიგებ ასინეთის ამბავს და მერე მოულოდნელად ვეწვევი სახლშიო.

დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი. მალე მოირბინა წყალზე ერთმა ფეხშიშველა, უთავსაფრო პატარა გოგონამ და ღარს თუნგული მიუდგა.

— გოგუნა, ვისი ხარ აგრე კარკი? — ალერსიანად ჰკითხა ყალცემ.

— ვისი ვიქნები, დედიკოსი ვარ. — მორცხვად მიუგო პატარამ.

— შენ ასინეთს იცნობ?

— როგორ არ ვიცნობ, ამ სამი დღის წინ მის ქორწილში ვიყავი კიდეც...

— ქორწილში?! შენ რომელ ასინეთზე ამბობ, ჰა?

— აი, იქ რომ ცხოვრობდა. — და ბავშვმა თითი გაიშვირა იმ სახლისკენ, რომელშიაც გასულ წელს სამი ღამე გაათია ამ ბეჩავმა კაცმა.

თითქოს თავში კომბალი ჩაარტყა ვინმემ, ისე დარეტიანდა ყალცი. თვალის ჩინი დაეკარგა და კინალამ წაიქცა.

ერთხანს გაბევებული იდგა. უაზროდ იყურებოდა სადღაც. მერე პირი იბრუნა უკანვე, მაგრამ გზაჯვარედინს რომ მიაღწია, ამ გზას აღარ გაჰყვა, მთებში რომ მიდიოდა, მისი ცხვრის ფარისაკენ: თავჩაქინდრული სულ სხვა მხრისაკენ წალასლასდა.

კუდაროელ მწყემსებს აღარასოდეს უნახავთ იგი.

ზოგი ამბობდა, თურქეთში გადაიხვეწაო.

ზოგი ამტკიცებდა: ჩემი თვალით ვნახე. ბაქოშია, ნავთის სარეწაოებში მუშაობსო. ხოლო ზოგი იმასაც ჩურჩულებდა: ამერიკაში წავიდაო.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, რომ ღღემდე ოსეთის მთებში ეს კაცი აღარაფის უნახავს.

არც ძებნით უძებნია ვინმეს.

საწყალი და უბედური კაცის მაძებარი ვინაა ამ ქვეყანაზე? ვის ედარდება, ვის აწუხებს მისი ამბავი?

ეჰ, წუთისოფელო!

გაბე და მაჰამედი სამმართველოს წინ მიდიოდნენ. ოქროსსამხრეებიანმა ორმა სამხედრო პირმა ექვით გააყოლეს თვალი, თავი გადაიქნიეს და მერე დიდი სახლის წინკარში შეეიდნენ. გაბეს ძველი ჩოხა აცვია, ქამარ-ხანჯალი შავი აქვს, თვითონაც შეგვერემანია, შუქიანი თვალები უბრწყინავენ. ლომის ძალა და სიმარდე იგრძნობა მასში. მაჰამედს კი დახეული პიჯაკი აცვია და ძველი ბუხრის ქუდი ჰხურავს. მოღუშული წარბების ქვეშოდან კეთილი თვალები იცქირებიან. გაბე ჩობანსა ჰგავს, მაჰამედი კი — ქალაქელ მაწანწალას. თუმცა, სახეზე თუ დააცქერდები, ვერ იტყვი ნამდვილი მაწანწალა იყოს, ჩანს, ცოტა „განათლებულია". ის თითქოს ფრთხილობს, ვიღაცას ზვერავსო, ისე ხშირად იხედება უკან.

მაჰამედი ნელა და მშვიდად ლაპარაკობს, ხელების ქნევით. გაბე კი გამყივანი ხმით, სწრაფად, თითქოს მუდამ სადღაც ეჩქარებაო.

— მაშ ასე, მაჰამედ, რა უნდა მეკითხა?! ჩვენ სოფელს წინ სულელი ჰგონიხარ. ქალაქიდან, მგონი, ბაქოდან გვეახლე... მოდი ერთი, გამაგებინე...

— რა გნებავს, თქვი!

— იქნებ ბრიყვული შეკითხვაა, მაგრამ მიპასუხე: ბოლშევიკები სჯობია თუ კადეტები?

მაჰამედმა ისევ უკან მოიხედა, მოსაუბრეს ხელი მკლავზე მაგრა მოუჭირა და მკაცრად შეხედა.

— ეს, ჩერჩეტო, რაღა ჯიგიტი ხარ, თუ ამდენ ხანს ეს ვერ გაიგე?! უმჯობესია, კისერზე ლოდი დაიკიდო და მდინარეში გადაეშვა.

მაჰამედი გაჩუმდა, რაღაც მძიმე მოგონება დაწვა გულზე. თვალებში ბრაზი ჩაუდგა, ხელი გაიშვირა და გაბეს უთხრა:

— განა იქ არ ნახე ჩამოხრჩობილი საუკეთესო ჩვენი ძმები, განა არ მოისმინე, რა ჩაიდინეს სოფელ ქრისტიანოვკაში?!

— გავიგონე, მაჰამედ. ისიც მართალია, რომ ჩემისთანა უსწავლელმა კაცმა წყალში უნდა დაიხრჩოს თავი, მაგრამ მაინც გეკითხები. მინდა უეჭველად ვიცოდე. გულში ვგრძნობ კია, რომ ჩვენები სჯობიან. მშრომელებისა და ღარიბებისათვის თავს ისინი თუ გამოიდებენ...

— ჩუმად მელაპარაკე, ეშმაკის კერძო. განა არ იცი, ყური და ენა ქვასაც რომ გამოება? ენატარტალებს კი კარგად მკურნალობს ზუმპით ჩვენი პოლკოვნიკი...

— არ მეშინია. სხვისი ენით ხომ არ ვლაპარაკობ? ჩემ ენასთან კი ვის რა ხელი აქვს?! თქვენი საქმეებისა, მართალია, ჯერ არაფერი მესმის, მაგრამ ბოლშევიკები თუნდაც შორს რომ მოვლანდო, პირველი შეეუერთდები მათ. მამას გეფიცები, მაჰამედ, ჯერ არასოდეს არაფერი არ მომიპარავს, მაგრამ მაშინ მდიდარ ხაჯუმარს უთუოდ მოვპარავ შაშხანას და სავაზნეს. ნეტავ იმ დღეს მოვესწრო, შური ვიძიო ხაჯუმარზე, სხვა არაფერი მინდა. მართალია, მისი ძმები მასავით წამხდარნი და საძაგლები არ არიან, მაგრამ ისინიც შორს არ წასულან... ქვეყნის ბურჯებად მოაქვთ თავი. ათი თვე ვიმუშავე უღელში გაბმულ ხარივით ხაჯუმარის სახლკარში, ის კი ჯამაგირს არ მაძლევს. — წადი და, სამმართველოში მიჩივლეო, — მეუბნება. სამმართველოში რა ჭირი მინდა, იქ მისი ძაღლები სხედან. ყოველ კვირას იკრიბებიან მასთან ოფიცრები, ექიმი, მამასახლისი. დღედაღამ ქეიფობენ. ის მათ კარგად უმასპინძლდება, თავს არ ზოგავს, ჩემისთანა ხალხს კი, მზად არის ტყავი გააძროს. ჩვენისთანა საწყალი ხალხის სისხლითა და ოფლით აიშენა ხაჯუმარმა ის სასახლე, — ამოიოხრა გაბემ, ხელი ხანჯლის ტარს მოუჭირა.

— ეს მითხარი, მაჰამედ, როდესაც ჩვენები მოვლენ, ხაჯუმარს იმდენ მიწებს, ფარას და ჯოგებს დაუტოვებენ? ესეც მითხარი: ყალიმს — პატარძლის გამოსასყიდს — გადაიხდიან მთიელნი?

— ყალიმი გაფიქრებს? — ღიმილით ჰკითხა მაჰამედმა, — მიგიხვდი, რაც გაწუხებს. ხედავ, რა აინტერესებს ამ ეშმაკ ბიჭს: ცოლის შერთვა გადაუწყვეტია!

გაბე გაწითლდა, შერცხვა და მხიარულად მიუგო მაჰამედს:

— მიმიხვდი, მაჰამედ. არ დაგიმალავ ჩემს გასაჭირს. ხაჯუმარის დას სანიათს თუ იცნობ? ამბობენ, ისეთი ლამაზი ქალი მთელ ოსეთში არ მოიძებნებაო. შორეულ კუთხეებიდან წარჩინებული სასიძოები ყოველ დღე უგზავნიან მას მაჭანკლებს, მაგრამ ქალი ყველას უარით ისტუმრებს. არ იფიქრო, მაჰამედ, რომ გაბე მხოლოდ ამით იყოს გართული. არა, მამაჩემს ხეთაგს გეფიცები. საჭირო წუთს

პირველ რიგებში ჩავდგები, თქვენთან მხარდამხარ შეეებრძოლები ჩვენს საერთო მტრებს. არ მიყვარს ოქროსსამხრეებიანი ოფიცრები. მძულს ხაჯუმარის მსგავსი ობობები. ჩემმა მეგობრებმა გუცამ და თემომ ყველაფერი შემასწავლეს. შენ გეკითხები იმიტომ, რომ ყოველივე ეს შევამოწმო.

— ეშმაკი ვინმე ხარ, გაბე... მაგრამ ამას თავი გავანებოთ. დადგება დრო, როდესაც შენს სიმამაცესაც გამოვცდით. ახლა კი სანიათის შესახებ განაგრძე.

მაჰამედმა გაიღიმა და მხარზე დაჰკრა ხელი გაბეს. მაჰამედი ერთი შეხედვით მკაცრი ჩანდა, მაგრამ თვალებზე შეატყობდი, რომ იგი არც ისე მიუკარებელი იყო. გაბეს ნაამბობმა დააინტერესა იგი.

გაბემ სახეზე ხელი გადაისვა, თითქოს ამით სურდა მორცხვობა მოეშორებინაო.

სოფლიდან გავიდნენ. ირგვლივ თვალუწვდენი მწვანე მინდვრები გაშლილიყო. მზე აცხუნებდა. ჩამოთოვილი მთების მწვერვალებიდან გრილი ნიავი ქროდა. ჩაფიქრებულიყვნენ. ზვიადი მთები... შუბლი შეეკმუხნათ...

ტყეობრები ბებერი მუხის ქვეშ, ხავერდოვან მოლზე დასხდნენ. აქით თვალუწვდენი საძოვრები იშლებიან, ზაფხულის მზისაგან მაღალი ბალახი ვერცხლისფრად ლივლივებს; იქით — სიმინდის მწვანე ყანებია. მაღალ სიმინდში ცხენოსანიც კი დაიმალება. შორს მოჩანს მთა — ხეთაჯიხო. მიუკარებელი და მოღუშულია მისი მწვერვალი, თითქო ძველი თქმულებები ბუდობენო იქ. გარშემო ჭაღარა, გაწეწილი ღრუბლები ახვევია. სწრაფად გარბის მდინარე არდონი. კლდოვან ვიწრო ქარაფებიდან ტრამალებსა და მინდვრებზე გავარდნას ისწრაფვის გაქაფულ რაშივით, ქვებსა და ლოდებს მიაგორებს. დაკვარკნილი ღრუბლები მთის მწვერვალებზე დაზვინულან, თითქოს ლურჯი ზეცა ბალიშებზე ისვენებსო... ხეებში სიცხე ჩამდგარა. ბუღი ფარდასავით მიჰფენია მთებს.

— რა კარგია აქ... დავსხდეთ ცოტახანს ჩრდილში, — თქვა მაჰამედმა და ცის დასავალს გაჰხედა. გაბე მის გვერდით დაჯდა, ჩაფიქრდა, წარბები შეჰყარა.

— არ გიცნობთ, მაჰამედ, ვინა ხარ, ვინ იყვნენ შენი მშობლები, მაგრამ, ვით უფროსი ძმა, ისე შეგიყვარეთ. გუცა და თემო მეუბნებოდნენ, რომ შენ, ბაქოელი ერთი მუშათაგანი, შორეულ კუდაროდან — სამხრეთ-ოსეთიდან მოხველი, რომ შენი მშობლები და თქვენი ხევი ქართველმა მენშევიკებმა ააოხრეს, გაძარცვეს, ხოლო სოფლები ცეცხლს მისცეს და სახლკარი საძირკვლებამდე დანგრიეს, დასწვეს. იმასაც ამბობდნენ შენზე, რომ სამმართველოში თუ გაიგეს, ვინ არის, მისი საქმე ცუდად წავიდა. ჩამოახრჩობენ ისე, როგორც ჩამოახრჩვეს ჩერმენის რაზმის საუკეთესო მებრძოლებიო. შენ ხომ თვითონ მოიგონე ისინი დღეს. მაგრამ ჩვენ დავადგინეთ, ისინი თუ შეგეხენ, მაშინ მათი ბანაკიდანაც გავისტუმრებთ ერთ-ორს საიქიოს.

— თქვენგან მოსალოდნელია ესა — იღიმება მაჰამედი და შეშტს აძგერებს გვერდში გაბეს.

— მაშ ყური მიგდე, რა გიამბო. დედის გარდა. ამ ქვეყნად სხვა არავინ გამაჩნია. მამამ ადრე მიგვატოვა... ისიც დიდხანს დაეხეტებოდა სხვის კარზე და ბევრს მუშაობდა სხვათა კეთილდღეობისათვის. მემკვიდრეობით მხოლოდ ძალა და სიმამაცე გადმომცა. შეხედე ამ ხელებს, ერთი გაანახე, რა თიბვა და დაზვინვა ვიცი თიეისა. რა ხე დაუდგება ჩემს ცულს. მერე რა? დაღამებამდე ხარივით ვმუშაობ და ვემსახურები იმ წურბელა ხაჯუმარს. პურითა და სიმინდით ვავსებ მის ბეღელს, იმის მაგივრად, რომ საკუთარ თავს ვარგო რამე, ხედავ. როგორ ძველ და დაკვრებულ ჩოხაში დავიარები? მრცხვენია კიდეც. მაგრამ ეს არაფერია!... საქმე ის არის, რომ გასული წლიდან გულში ჩამიყარდა ხაჯუმარის დისადმი სიყვარული... მაპატიე, მაჰამედ, ამაზე რომ გელაპარაკები... უფროსებს ასეთ რამეებზე არ ელაპარაკებიან.

— განაგრძე, ნუ გრცხვენია, — სიცილით უთხრა მას მაჰამედმა.

— ცუდად ჩამიჯდა გულში მისი სიყვარული. ისეთი სევდა და ბრაზი შემიპყრობს ხოლმე ხანდახან, რომ მზად ვარ, ვინმე საიქიოს გავისტუმრო. მეშინია, ისეთ დროს ხაჯუმარის მთელი ოჯახი არ ამოვწყვიტო! დედასთან ვერ წავალ. იქ მიედინავარ, სადაც უფრო მეტი აურზაური და შეხლა-შემოხლაა. ხან კიდევ ისეთ გუნებაზე დავდგები, მთელი ქვეყანა მომწონს, მზეც უფრო მეტად კაშკაშებს მაშინ და ჩიტებიც უფრო ხმამაღლა გალობენ. მეც ჩიტივით მჩატე ვხდები და მინდა მთელი ეს ქვეყანა ფრენით შემოვიარო...

— სიყვარულს გონება წაურთმევია, — ეუბნება მაჰამედი.

— არ ვიცი. ვგრძნობ რაღაც უბედურება მეკარს. სად არის სიმართლე? ყველაფერი მდიდრებისათვის ყოფილა გაჩენილი. ღარიბს სიყვარულის უფლებაც კი არა აქვს.

— შენ ბევრი რამის გაგებას იწყებ, ჩემო ძმაო, — ღიმილით ეუბნება მაჰამედი.

— ვაიგე, დიდიხანია, რაც გავიგე, რომ წითლების გარდა ამ ქვეყნად ვერსად სიმართლეს ვერ იპოვი. ჩვენნაირი ღარიბების დამცველები, მხოლოდ ისინი არიან. ყური მიგდე, საინტერესო ამბავი აწი იქნება.

— ერთ ზაფხულს, ჩემი ბატონი ხაჯუმარი ქალაქში წასასვლელად მოემზადა. ეტლში შავი ცხენები შევაბი. შიგ ძვირფასი ხალიჩა ჩავაფინე. სანიათმაც მოინდომა ძმასთან ერთად წამოსვლა, ქალაქი ენდა ენახო, საყიდლებიც მაქვსო. ჩავსხედით. მივაპენებ ცხენებს, წინ გზა ჩანს, უკან, ძვირფას ხალიჩაზე კი ჩემი ფიქრის საგანი — სანიათი ზის. ფიქრით ვეხვევი მის თეთრ ყელს, ნაზად ვეალერსები. — „ინეტავ ხაჯუმარი ნაცრად ღა შავ ქვად გაიქცეს, მარტო დავრჩებოდი სანიათთან“, — ვფიქრობ გულში. ბოროტმა... არა, ალბათ კეთილმა სულებმა ისმინეს ჩემი ოცნებანი. ქალაქში ჩავედით. ბაზარში ხაჯუმარს წაეჩხუბნენ: ძლიერ ძვირად დაეფასა მან თავისი ფქვილი, ამიტომ გაუბრაზდნენ. დაესიენენ. ბევრს სცემა ხაჯუმარმა, ბევრმა კი თვითონ მას. არ ვიკვეანი, მაგრამ მე რომ იქ არ ვყოფილიყავ, არ ვიცი, რითი დამთავრდებოდა ის ჩაუბი! ალბათ ხაჯუმარს დაგლეჯდნენ. სანიათი ხედავდა, როგორ გავფანტე ბრბო. იძულებული გავხდი, მაშინ ავი ბატონი დამეცა... პატიოსან სიტყვას გაძლევ, ხელს არ გავანძრევდი და თვალსაც არ დავახამხამებდი, ხაჯუმარი შინ რომ დაეკლათ კიდეც, ახლა კი... ერთ, ორს სანიათმაც უთავაზა ჯოხი. იგი მამაცი და გამბედავი ქალია. ერთი სიტყვით, ნამდვილი ომი გაჩაღდა. მხოლოდ ხაჯუმარი დააპატიჟრეს. არ მიეხედეს მის ვერცხლის ხანჯალსა და ქილებს. ჩვენ დავავიწყდით. სანიათი ერთხანს ტიროდა, მერე ეტლით შინისაკენ გავსწიეთ. მთის ყველა წმინდანებს ვაქებდი. ბედნიერება მეწვია: თავისუფლად ესუნთქავდი მასთან ერთად ერთიდაიმავე ჰაერით.

— ნუ დარდობ, — ვეუბნები სანიათს, — ძალიან მ' უქანია ხაჯუმარი, იქნებ ცოტა ქონი დაჰყაროს.

— ეშმაკმაც კი მიგიტანოს ხაჯუმარის მსხვერპლად. კიდეე უფრო გასუქდეს შენს ხარჯზე! — მაგონებდა და მწყევლიდა სანიათი, მაგრამ ჩანდა, ძლიერ არ მიწყრებოდა, ბაგეზე ღიმილი უთამაშებდა. შავ წარბებქვეშ ალმასივით უბრწყინავდნენ თვალები.

— ესლა მაკლია. რატომ უნდა გასუქდეს ის ჩემს ხარჯზე? ნეტავ იქ ჩაკვდებოდეს, მაშინ მისი ქონება მე და შენ დაგერჩება. ასე არა სჯობს? — ვეუბნები ქალს. მიგრიალებს ქვიან გზაზე ეტლი. ბურთივით მაღლა გვისვრის. გზას ალარ ვუცქერ. უფსკრულისაკენაც კი რომ გაეწიათ ცხენებს, ვერ შეენიშნავდი. ირგვლივ სიმინდის ბუჩქნი ყანებია და სულსა და გულს ახარებს. მიჰქრის ეტლი. მე ვიჯი კი ხან მივაპენებ ცხენებს, ხანაც თავს ვანებებ მათ, და მაშინ ისინი ნაბიჯით მიდიან; სიმღერა წამოიგიწყე. იგი ჩემი გულიდან იღვრება. ჩაფიქრდა სანიათი ღა მისმენს. მერე ჩემი ძალლური ენა ვერ დაეყენენ და ასე წამოვროშე:

— მითხარი, სანიათ, ყაბარდოელ თავადად რომ ვიქცე ამ წუთას, ცოლად არ გამომყვებოდი?

— ჩვენი ძალლი გამოგყვეს შენ... ყაბარდოელ თავადად კი არა, თუნდაც რუს ხელმწიფედ იქეც.

მკაცრად შეპყარა წარბები, მაგრამ თვალებში ღიმილი უთამაშებდა. ბერე თავი ვეღარ შეიკავა. სიცილი წაცდა, გადაიხარხარა. ეტლში ქვა ალმოჩნდა, აიღო და ზურგში მდრეუბა...

— ნუ ლაყბობ, გეყოფა, თორემ შინ დაგაბეზღებ...

— გინდა დამაბეზღე, გინდა შამფურზე ამაგე და შემწვი, ტკივილს მაინც ვერ ვიგრძნობ. ხალიჩად გამაგე შენ ფეხებქვეშ, ჩემი ტყავისაგან წუღები შეიკერე, მე მხოლოდ ბედნიერი ვიქნები, — ვეუბნები მას ოხუნჯობით. ალბათ ის მაინც გრძნობდა. რომ ღრმად ჩამივარდა გულში და რომ ჩემ სიტყვებში სიმართლე იყო.

— კიდეე გიამბო? ჩვენში იტყვიან, რომ როდესაც ჭიანჭველის სიკვდილის დრო მოაღწევს, მას ფრთები გამოებმებაო... ერთხელ ჯარში, ცეკვის დროს, გამრიჯებელს ვთხოვე, სანიათთან საცეკვაოდ დავეწყვილებინე. კარგი ბიჭი იყო, თხოვნა შემისრულა. ისე მომეჩვენა, თითქოს გარმონი არაჩვეუ-

ლებრივად, ჩინებულად უკრავდა. წინათ დიდხანს ვოყავ ჩობანი. ფეხები შეჩვეული მქონდა ქვიდან ქვაზე, ლოდიდან ლოდზე ხტომას. ცუდად არ ვცეკვავ, მაგრამ მაშინ, მართლაც, ფრთები გამოშლება. არწივივით ნივფრინდი სანიათთან. იგი თითქო გედივით გამირბოდა, ლამაზი ხელები გაეშალა, ამ დროს უკან ვიღაცამ მომაძახა:

— ბიპო, დაგეკერებინა ფეხსაცმელი, ისა სჯობდა, თორემ თითქო ძაღლებს დაუგლეჯიათო,

მეორე დღეს საღამოს შინისაკენ წასასვლელად მოვემზადე. სანიათი ჭიშკართან გზაზე გადამიდგა. რაღაც შეკერა ჩამიდო ხელში, თვითონ კი შველით გაიქცა. კი არ მივდიოდი შინ, მივფრინავდი, რომ ჩქარა მენახა ძვირფასი საჩუქარი. შეკერა გავხსენი, შიგ ტარსიკონის წუღები იდვა. ჩანა, გულში მოსვდა წენიშვნა იმ ბიპისა, რომელმაც ყურადღება მიაქცია ჩემ დაგლეჯილ ფეხსაცმელს. გული ბუდიდან ამრვარდნას ლამობდა... კალთაში ჩავუგდე დედას ფეხსაცმელები: „შეხედე, დედა, რა საჩუქარი მივიღე!“ უმალ მიხვდა დედის გული, რაშიც იყო საქმე. ალერსიანმა ღიმილმა წამალა მის სახეზე გაჩენილი ნაოჭები.

— ბევრ რამეს აშავებს ადამიანთა ჭორები და მითქმა-მოთქმა, ქვაც კი გატყდება მათი დაჟინებით. ასე დაგვემართა ჩვენც. ამუშავდნენ ჭორიკანა ქალები, დაიწყეს ჩურჩული და მითქმა-მოთქმა. მიაღწიეს ჭორებმა ხაჯუმარამდე. ამ ხმებით გაშმაგებულ ხაჯუმარე თავის დას ეცა, ჩამოხსნა კედლიდან მათრახი, რათა დისთვის შემოეკრა. სანიათი მეორე ოთახში შეეარდა და კარი ჩაიკეტა. ფანჯრიდან ეზოში გადახტა და მდინარისაკენ გაიქცა. წყალდიდობა იყო. მდინარე მღვრიე მოდიოდა. ბონდის ხიდზე შედგა სანიათი. იქ დაეწია ხაჯუმარი. — „არ მომეკარო, — ეძახდა ძმას სანიათი, — თორემ წყალში გადაეყარდები“. — არ მიაქცია ამას ყურადღება ბებერმა ვშმაკმა. აი უნდა წაავლოს კიდეც ხელი, მაგრამ არ დანებდა ამაყი გოგო და აბობოქრებულ მდინარეში გადაეშვა. ზეირთებმა შორს წაიღეს, ქვებსა და ლოდებს აჯახებდნენ. ძლივს დაიჭირეს სულთმობრძავი. შინ მიიტანეს ცოცხალ-მკვდარი. ორ კვირას იგი ავად იყო. ამ დღიდან ახლოსაც არ მაკარებდა ხაჯუმარი თავის სახლს... ჩაჭკეტეს სანიათიც, უთვალთვალებდნენ, რომ სადმე არ შემხვედროდა და ბარათი არ მოეწერა ჩემთვის.

ხაჯუმარს ხუთი უმცროსი ძმა ჰყავდა და ისინი სდარაჯობდნენ დას. ჩიტსაც კი არ გაეპეპანებდნენ თავისი სახლის ახლოს... უბედურება უნდა მომხდარიყო, რადგან არ დავუთმობდი მათ სანიათს. ვგრძნობდი, რომ საქმე უსისხლოდ არ გათავდებოდა.

— შეხედე რუსებს, — ეუბნება მაჰამედი, — მათთან მიცხოვრია, მიმუშავნია, მოჯამაგირედ ვყოფილვარ. მათ უფლება აქვთ თავისუფალი სიყვარულისა, — ამოირჩიონ თავისი ცხოვრების მეგობარი, ჩვენ კი არა გვაქვს. რატომ არ არის სამარცხვინო, როცა გოგო და ბიჭი ერთმანეთს ხვდებიან, საუბრობენ და სეირნობენ? ვითომ ჩვენ სხვებზე უფრო ჭკვიანები ვართ? გამიგონია, რომ ჩვენ ეს სიბნელისაგან მოგვდის. გამოიგონეს რაღაც სელელური ჩვეულება — „ადათები“... ერთი ნაბიჯითაც ვერ გავეცალეთ ჩვენი წინაპრებისათვის.

— როგორ მოვიქცე ახლა, მაჰამედ? რა ვქნაჭ თუმცა საბოლოოდ გადაწყვიტე... შენთან მზოლოდ მოთათბირება მინდოდა, — დასასრულს გაბემ ღრმად ამოისუნთქა.

ჩაფიქრდა მაჰამედი. დიდხანს დუმდა. მერე მიმართა გაბეს თავისი დაბალი, ბოხი ხმით:

— უნდა უკუვაგდოთ, გაბე, ჩვენი ადათები! ახლებურად მოვაწყოთ ცხოვრება, რომ ადამიანებმა ბოლოს ბედნიერება იგრძნონ. ხაჯუმარის მოცლითა და სანიათის მოტაცებით ვერაფერს შეცვლ. ხაჯუმარის მსგავსი ბობოლები ბევრია ჩვენში. ისეთებიც ბევრია, რომლებმაც ოქროს ტყვეებისა და სამარეების მიღებისათვის დენიეზს მიაყიდეს თავი. არბევენ სოფელს, მუშების ქაბებს. დიდხანს ემორჩილებოთ ჩვენ კაზაკებს მათრახებს, და ახლაც, ძაღლივით ტლეკენ მტარვალთ ჩექმებს. ზოგ-ზოგნი. ეხ, გაბე! მოცლილი კაცი ყოფილხარ, რომ ასეთ დროს სანიათს არ ეშვები და ისევ ბასზე თხრავ! მიმოიხედე, რა ხდება შენს გარშემო. შეხედე რუსეთის ქალაქებსა და სოფლებს. ყველამ მიატოვა თავისი ოჯახი, ცოლ-შვილი და ფრონტს მიაშურა. ორი მოსისხლე მტერი ებრძვის ახლა ერთმანეთს სამკვდრო სასიცოცხლოდ. იქ, მოსკოვში — რუსეთში, ახლა ყველაფერი მშრომელი ხალხის ხელშია, აქ კი ჯერ ისევ ბატონობენ მძარცველები, ხალხის ჯალათები. ძირბუდიანად უნდა ამოვაგდოთ,

ჩემო კარგო გაბე, ბოროტება ამ ქვეყნად, მოვსპოთ ოქროს სამხრეებიანები. მხოლოდ მაშინ შეიკრება სინათლე ჩვენს ცხოვრებაში, მაშინ სანიათისათვისაც მოვიცლით.

2

დიდხანს არ დასჭირებიათ ლოდინი. ხმა გავარდა: ჩვენები მოდიან. ეს ალიონზე იყო. დიდ სოფელზე პირველმა ტყვიამ გაიზუზუნა. „ისევ დაიწყო", — ამბობდნენ სოფლელები. ახლა ტყვიები სახურავზე გადაფრინდა, ჰაერში გაიწივლა. ბევრი მათგანი ფანჯრებს ხვდება და მინის მსხვრევის ხმა მოისმის. მერე სახლებსა და ქუჩებს ისევ სამარისებური სიჩუმე ეუფლება. გარბის შეიარაღებული ხალხი და გზადაგზა თოფების საკეტს აჩხაკუნებენ.

ტყვიამფრქვეევები და ზარბაზნებიც ამუშავდა. სოფლის ერთი მხრიდან ზარბაზანი გაზაფხულის მეხივით გრიალებს და ხოშკაკალივით თესავს სიკვდილს.

— რა არის ეს, ქარიშხალია?

ცაზე არ ჩანს საქარიშხლო ღრუბლები. მიუხედავად ამისა, გრიგალი უფრო და უფრო მატულობს.

— შეხე, იმ ქუჩაზეც გამაგრდნენ!

— ფრთხილად, თავი დაღუნე!

— ბუმ... ბუმ...

ყაჩაღებმა საქონლის გარეკვა მაინც მოასწრეს. გაძარცვეს სოფელი.

მზის ამოსვლისას ცოტა დაისვენა ყურმა. შორიდან მოისმა მხიარული, საბრძოლო სიმღერა: „საბჭოთა ხელისუფლებისათვის". ყურს უგდებენ. მის გუგუნზე თითქოს თოვლიანი მთები იღვიძებენო, უფრო მაღლა აზიდულან მწვერვალები.

მაჰამედმა წინასწარ იცოდა ყოველივე ეს. მას საიდუმლო დავალება ჰქონდა მიცემული ქალაქიდან. კავშირი ჰქონდა დიგორელებთან. ამას წინათ, იგრძნეს რა თავისი უბედურება. დენიკინის მეძებრები გაფაციცებით ეძებდნენ მას. საღამოს მან ხეხილის დიდ ბაღში თავისი რაზმი „ჩერნოველები" შეკრიბა. ქვაზე შემდგარი მაჰამედი ახლა გოლიათი გეგონებოდათ. გარს ერტყა ახალგაზრდობა, თმში წასასვლელად გამზადებული, რჩეული შეიარაღებული ჭაბუკები. გაბეც იქ იყო. სიტყვა შეესრულებინა, ხაჯუმარის წაშხანა ხელთ ეგდო. მაჰამედს მიუახლოვდა. ცდილობდა არ გამორჩენოდა არც ერთი მისი სიტყვა... საერთო მტრების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის მოწოდება გაისმოდა მაჰამედის სიტყვაში. სიმამაცე და ვაჟკაცობა გამოსჭვივის მის თვალებში.

პირველი იერიში „შტაბზე" მიიტანეს. ბევრი „მამაცი" და წარჩინებული ოფიცერი იგლეჯდა და ჰყრიდა თავის სამხრეებს და თაგვივით სოროში იმალებოდა. სხვები იბრძოდნენ ბოლომდე, მზად იყვნენ, სისხლი დაეღვარათ თავიანთი მდიდარი ცხოვრებისა და თბილი ადგილების გამო.

სამმართველოს სახურავზე წითელი დროშა აფრიალდა. ალიონის მოალისფრო სხივები ალივით ალვივებდა მას.

ბედნიერებას და იმედს უსახავდა იგი მრავალთ. ზოგს კი მისი დანახვისას თავზარი ეცემოდა.

შტაბის ყოფილ შენობაზე დიდი ასოებით წააწერეს: „რევკომი". ვინ მოასწრო ასე უმალ ყოველივე ამის გამზადება?

სოფლიდან და სიმინდის ყანებიდან ჯერ კიდევ ისმოდა კანტიკუნტად სროლა. ქუჩებში მკვდრებსა და დაჭრილებს ჰკრეფდნენ.

— ამხანაგებო, რევკომში წაიღეთ, — ყვიროდა მაჰამედი. ხელში თოფი ეჭირა, საშინლად გაწითლებულიყო. ოფლი ნაკადულებად სდიოდა სახეზე. გამტვერილიყო, აღელვებულიყო მაჰამედი. დაჭრილს დააცქერდა და ტანში გააჟრჟოლა. გუცას და თემოს თავიანთი განუყრელი მეგობარი მიჰყავდათ.

— ეს შგონი გაბეა!

დაჭრილმა თავი წამოსწია. სისხლისგან დაშრეტილი სახე გაფითრებოდა. მაჰამედი რომ დაინახა, თვალში სიხარულის ნათელი ჩაუდგა.

— ნუ გეშინია, მაჰამედ, არა მიშავს...

მაჰამედი ახლოს მივიდა, დაჭრილს შეეხო... დაჭრილის მარცხენა ხელი ისე დაჭანდა, თითქოს სხვისი იყო. სისხლი თითებზე მოწანწკარებდა და მიწაზე წვეთავდა. მეორე ჭრილობა ბარძაყში ჰქონდა, ამიტომ მიჰყავდათ მეგობრებს.

— თეთრები გამიმაჯანინძლდნენ... სად წაიყვანენ... გარეკეთ?!

— ისინი კი გავრეკეთ, შაგრამ შენ ცუდ ღღეში დაგტოვეს.

— ნუ დარდობ, მაპამედ... ბოევზის ჭერის დროს შარვალი სველდება.

„ისევ ოხუნჯობს საცოდავი“, — ფიქრობს მაპამედი.

— ყველანი მადლობას ვუძღვნით გაბეს, ლომივით იბრძოდა. დაიხსომებენ თეთრები, — ამბობენ გუცა და თემო.

გაბემ ულონოდ გაიღიმა. ბრძოლა მოაგონდა. მერმე დაპრილ ხელზე დაიხედა. გაფიცხებულ ტუჩებზე ენა მოისვა. წუთით დახუჭა თვალები.

— დავკარგე ხელი!

ამის შემდეგ არავის გაუგონია მისგან საყვედური, ოხვრა, ტკივილების გამო ჩივილი.

მაპამედმა და მისმა ამხანაგებმა ხელად გამოთალეს და გააკეთეს საკაცე. ურმით წაღება დაპრილისა არ შეიძლებოდა. საკაცეს ცხენები შეუბეს: ერთი წინ და ერთიც უკან და გაბე ქალაქის საავადმყოფოში წაიყვანეს.

„ნეტავ არ შემხვდებოდეს ახლა ის“, — ფიქრობდა გაბე. მაგრამ თითქოს განზრახ, თავის ჭიშკართან, შეშინებული სახით გამოჩნდა სანიათი. ალბათ წინასწარ გრძნობდა ხიფათს. საკაცესთან მიიკრა და გაბეს გაფითრებულ სახეს დააშტერდა.

3

ერთი თვის შემდეგ ცალხელა გაბე ქალაქიდან ჩამოვიდა, მარცხენა ხელი იდაყვში მოსჭრეს.

— ქალაქში ხორცი არ იშოვებოდა და ექიმებმა მიმაჭრეს. — ოხუნჯობდა გაბე და გულში კი ჯოჯოხეთი ედგა.

ატირდა მოხუცი დედა, დაიწყო მოთქმა—ძლივს ამშვიდებდა გაბე. მერე რევკომში წავიდა ცალხელა კაცი.

გაეხარდა მაპამედს. გვერდით მოისვა.

— საწყენია გაბე, რომ ასე მოხდა, მაგრამ რა გაეწყობა. იქ, სადაც ომია, მკვდრებსა და დაკოდილთ რა გამოლევს!

— მე არა მიშავს, თქვენთან რა არის ახალი? — ჰკითხავს გაბე. მისი სახე მხიარულია, ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს.

მაპამედმა ახალი ამბები უამბო:

— ზოგნი თეთრების ხროვიდან ტყეში გაიხიზნა. არავის ატარებენ გზაზე, კლავენ და ძარცვავენ ხალხს. არ გვაცლიან მუშაობას, ძილი თავში ხელი იტაცა, კივილი და ტირილი დააპირა. მაგრამ მოაგონდა, მთიელი ქალისათვის ტირილი სირცხვილი რომ იყო და თავი შეიკავა, ხალხს ცრემლი არ უჩვენა, თავისი მწუხარება ტყვიასავით გადაყლაპა.

— ეს შენა ხარ, გაბე?

— მე ვარ, სანიათ...

სხვა ვერაფერი უთხრეს ერთმანეთს. ერთხანს გაშეშებული იდგა სანიათი, მერე ადგილს მოსწყდა, ბაღში შეირბინა და მხოლოდ იქ, ვაშლის ხის ქვეშ დაღვარა უხვად ცრემლები და მოიოხა გული. გაბემ კი თავზე საბანი წაიხურა. დარჩენილი სიხლი თავში აუვარდა და ცეცხლივით სწვავდა. მერე თავი გამოჰყო, მეგობრებს შეხედა, ძალისძალად გაიღიმა და ჰკითხა:

— როგორ ფიქრობთ, შევძლებ თუ არა მე ერთი ხელით პატარძლის მოტაცებას?

— ნუ გეშინია, გაბე! ჩვენ რაღას ვაკეთებთ. უმალვე შინ მოგიყვანთ.

გაბემ საბნიდან საღი ხელი ამოაცურა. ესეც ძკრთალი იყო, მაგრამ მოალერსე თვალები მიაპყრო მას, თითქო იგი დღეს უფრო ძვირფასი და საჭირო გახდაო მისთვის.

—

ერთი თვის შემდეგ ცალხელა გაბე ქალაქიდან ჩამოვიდა, მარცხენა ხელი იდაყვში მოსჭრეს.

— ქალაქში ხორცი არ იშოვებოდა და ექიმებმა მიმაჭრეს. — ოხუნჯობდა გაბე და გულში კი ჯოჯოხეთი ედგა.

ატირდა მოხუცი დედა, დაიწყო მოთქმა—ძლივს ამშვიდებდა გაბე. მერე რევკომში წავიდა ცალხელა კაცი.

გაეხარდა მაპამედს. გვერდით მოისვა.

— საწყენია გაბე, რომ ასე მოხდა, მაგრამ რა გაეწყობა. იქ, სადაც ომია, მკვდრებსა და დაკოდილთ რა გამოლევს!

— მე არა მიშავს, თქვენთან რა არის ახალი? — ჰკითხავს გაბე. მისი სახე მხიარულია, ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს.

მაპამედმა ახალი ამბები უამბო:

— ზოგნი თეთრების ხროვიდან ტყეში გაიხიზნა. არავის ატარებენ გზაზე, კლავენ და ძარცვავენ ხალხს. არ გვაცლიან მუშაობას, ძილი გამტყდარი გვაქვს. მოჰკლავენ ერთს, ორს და ასე სათითაოდ. როდესაც რევოლუციის ბედი წყდება. დაზოგვაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომ დაეარსეთ „ჩეკა“. კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რომ საბოლოოდ გავიმარჯვოთ.

— მართლაც სასტიკი დრო იყო მაშინ: ფოლადივით მაგარი ხალხი იყო საჭირო, თუნდაც წუთით დაგეზუკა თვალი, გათავდა, გაფუჭდებოდა საქმე! ეს ის დრო იყო, როდესაც ახლებურად იწყებდა ცხოვრებას მთელი კაცობრიობა, როდესაც მუშა შეუდგა ყველაზე რთული და ძნელი საქმის მოგვარებას: რევოლუციის მონაპოვრის დაცვასა და მის განვითარებას.

— მაშ ასე, გაბე. რა საქმეს გინდა ახლა მოჰკიდო ხელი? უნდა მოვიფიქროთ.

ჩაფიქრდა გაბე. მხოლოდ ახლა მიხვდა, როგორ გაუჭირდებოდა მას. სახეზე ხელი ჩამოისვა და თავი ასწია.

— ღარიბი კაცი ბავშვობიდანვე ეჩვევა გაჭირ-

ვების ატანას. ვეცდები. ამ ერთი ხელითაც მოვიპოვო ლუკმა-პური. ჩობნად დავუდგები ვისმე. საჭიროების დროს კი ისევ შევძლებ მტრებთან შებრძოლებას.

— ფრთხილად, მეორე ხელსაც წაგართმევენ, — გაეხუმრა მაჰამედი.

— მაშინ კბილები დამრჩება... ძალლივით ვეცემი მტერს და ყელს გამოვღადრი.

გაბეს გულწრფელი გამომეტყველება ეპვს არ იწვევდა.

მას მამაცი კაცის შეხედულება და სახის მკაცრი გამომეტყველება აქვს.

მაჰამედმა მაგიღის ყუთი გამოსწია, იქიდან სრულიად ახალი „მაეზერი" ამოიღო, გაბეს გადასცა, ღონივრად მოჰკვრა ხელი და უთხრა:

— კბილებით ვერაფერს გახდები. ატარე ეს რევოლვერი, მეგობარო. თუ გინდა, აქ დარჩი რევკომში. ერთად ვიმუშაოთ და ვამაგროთ ახალი ცხოვრება.

გაბემ არ იცოდა, რა ეპასუხნა სიხარულის გამო. ისევ უზომო იმედით განიმსჭვალა მთელი მისი არსება.

— სანიათის გამო კი ნუ სწუხარ, მე თვითონ გავირიგებ მას. ახლა მათ ფრთები შეეკვეცათ. უარს ვერ გაბედავენ ხაჯუმარი და მისი ძმები. ოღონდ სანიათი დაგვთანხმდეს და შათ არას შეკითხებით. ყალიმიც მიცემულია.

გაბემ ნაღვლიანად გაიღიმა, მაგრამ არაფერი თქვა. ის მიხვდა, რა ყალიმზედაც ლაპარაკობდა მაჰამედი. დაღვრილი სისხლი იყო პატარძლის გამოსასყიდი — ყალიმი.

4

ერთ დილას მახლობელ სოფლიდან კაცმა ცხენი მოაკვლა და ცუდი ამბავი მოიტანა: მათ სოფელს ყაჩაღები დასხმიან. მთელი დოვლათი წაიღეს და საქონელიც გარეკეს.

მაჰამედმა და ორმა კაცმა მაშინვე ცხენები შეკაზმეს და სოფლისაკენ გაჭენდნენ. გაბეც მათ გაჰყვა. მისი ბედაური წინ მიჰქროდა. ღონიერი ხელით ქაჩავდა აღვირს გაბე და ცხენიც გრძნობდა ძლიერ მხედარს. ნაცრისფერი ჩობა მშვიდოდ შემოკერილიყო მოხდენილ ტანზე. შავი ბუხრის ქუდი ვაჟკაცურად ჩამოეფხატა წარბებზე. ის ისეთი შეასხედავი იყო, ძნელად შეამჩნევდა კაცი უხელობას. შორს თვალი მოჰკრა ქალიშვილს. მაშინვე იცნო სანიათი. გული შეუფართქალდა. წამით თვალთ დაუბნელდა.

მას შემდეგ, რაც გაბე საველმყოფოდან გამოვიდა, სატრფო არ ენახა. მას ამინებდა ეს შეხვედრა. ცდილობდა, არც კი ეფიქრა ქალზე. როდესაც ვინმე უსხენებდა მას, სისხლი აწვებოდა თავში. გაბემ მტკიცედ გადაწყვიტა, სრულიად დაევიწყა ის, სრულიად ამოეღო იგი გულიდან.

რევკომში ბევრი სამუშაო ჰქონდა. პირველ ხანს დასცინოდნენ მას, უკვირდათ, გუშინდელი მწყემსი ახლა რომ რევკომში მუშაობდა და საქმეებს ანდობდნენ, მაგრამ მერე შეეჩვივნენ და ანგარიშსაც უწევდნენ. მუშაობაში დიდ კმაყოფილებას გრძნობდა გაბე. თავისუფალ დროს კი, მეგობრებით გარშემორტყმული, სრულიად ივიწყებდა თავის პირსა და ვარამს. ფიქრობდა, რომ დროთა განმავლობაში სრულიად დავიწყებდა თავის სატრფოს. მაგრამ ახლა, დაინახა თუ არა იგი, ბიმღერა

ცხენი შეაკავა, განზე წაიყვანა და სანიათს მიუახლოვდა, ხელი მაგრად ჩამოართვა.

თავდაპირველად სანიათიც დაიბნა. მერე ლოყები შეეწითლდა და თვალები გაუბრწყინდნენ.

— მადლობა ღმერთს, რომ ასე გადარჩი, გაბე!

— რაღა გადავრჩი, ხომ ხედავ, ცალი საბელო ნახევრად ცარიელია.

— რა გაეწყობა, გაბე! მეც ბევრი ვიმწუხრე შენზე.

— სანიათ, მართალი მითხარი: მეთმობა თუ არა ადგილი შენს გულში ასეთ დასახიჩრებულ კაცს?

— ნუ ამბობ ეგრე... შენს გარდა, არავინ მინდა

— მართალს ამბობ, სანიათ? მაშ ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არ ყოფილა! — გაბემ ცხენს დეზი ჰკრა და უმალვე დაეწია ამხანაგებს. თითქოს მზემ ჩაიხედაო მის შეშფოთებულ სულში და გაანათა მთელი მისი ცხოვრება. სიმჩატე იგრძნო. ეგონა. არწივივით აფრინდებოდა ცაში და მთელ ქვეყანას მოავლებდა თვალს. დიდხანს უცქერდა სანიათი და ფიქრობდა: „კარა, არავინ არ მინდა. გაბეს გარდა".

აი, თავდება მინდვრები. გზა ვიწრო ხეობაში შედის. გრილი ნიავი უბერავს მთიდან და სუნთქვა ადვილდება.

გამოჩნდა არწივის ბუდეების მსგავსი სოფლები. ძველებური კოშკები ცისკენ აწვდილან, თითქოს დარაჯებივით ზვერავენო არემარეს. ქვეყით ხმაურობს მარად მრისხანე მდინარე არდონი. მხეცივით ეჯახება კლდეებს, ლოდებს მოარღვევს და შორს მიაგორებს.

საოცარია მთის მდინარე... შესახედავად პატარაა, არიან, მაგრამ რა ძალა აქვთ!

მთის ხეობები ევიწროებათ, რბიან, თითქოს ჩქარობენ, რათა მალე ნაპონ მინდვრები, თვალუწვდენი ტრამალები.

გზის ორივე მხარე ტყით არის დაფარული. უთვალავ ჯარივით დამდგარან ხეები, ტოტებს უქნევენ მგზავრებს, თითქოს ესალმებიანო მათ.

შვიდგოგმის ქარი ფერად ფოთლებს იტაცებს. დაატრიალებს ჰაერში და ერთობა მათი ჰერეტით. მერე ქარი გაავდება, უკანასკნელ სამოსისაგან გაძარცვავს ხეებს, უგულოდ შეარხევს, შეაზანზარებს.... ბოლოს ზამთარი მოვა, მთის მკაცრი ზამთარი.

გაბემ შეუხვია. ისევ კლდეები, უფრო პირქუში. კიდევ უფრო დაიწროვდა ხეობა.

ცხენს ქაფი მოედო. გაბემ მოიხედა. მხედრები ჩამორჩენილიყვნენ, უეცრად გაბეს ცხენს კანკალი დაწყებინა, ნიშით მიაპყრო ტყეს თვალი და აფრუტუნდა.

ხეებში ფაჩუნი გაისმა, საკეტმა გაიჩხაკუნა და ვიღაცამ გასძახა გაბეს:

— ეი, შენ, მაწანწალა, შესდექ! არ გაინძრე, ძაღლის შვილო!

გაისმა სროლის ხმა და ტყვიამ ყურთან გაუზუზუნა გაბეს.

ცხენი განზე გახტა და უკან გამობრუნდა. რევოლვერი ხელიდან გაუვარდა გაბეს.

„უკაცრავად, მაუზერს ვერ დაგიტოვებთ", — გაიფიქრა გაბემ და ცხენიდან ჩამოხტა.

— ფეხი არ მოიცვალო, არ გაინძრე. — ყვიროდნენ უცნობები, მურტლად იგინებოდნენ. ტყიდან გამოცვივდნენ შაშხანებ-მომარჯვებულნი, გაბესკენ გამორბოდნენ.

გაბემ მოხერხებული პოზიცია აირჩია. მალალი ბალახი და ეკლიანი ჯაგები ერტყა გარშემო.

„ჩანს მარტო მომიხდება ბრძოლა" — გაიფიქრა მან და პირველი ტყვია გაისროლა.

მისთვის მოულოდნელად ერთი საბოლოოდ, მოცელილივით დაეცა მიწაზე. სხვები განზე მიდგნენ.

გახშირდა სროლა. ტყვიები სულ ახლოს ზუზუნებდნენ გაბეს გარშემო. ერთი ქვას მოხვდა და ქვის ნამსხვრევებმა სახე გაუკაწრა. დაუმიზნა გაბემ მეორეს და მაჰამედის მიერ ნაჩუქარმა მაუზერმა არ უღალატა.

„ქათმები ხომ არ არიან, ასე ადვილი რომ ჰგონიათ სიკვდილი?" — გაიფიქრა გაბემ.

მესამეს დაუმიზნა, მაგრამ თითქო რაღაცამ შეაშინა, ხელი დაუშვა და გაშეშდა.

— ეს შენა ხარ, ყაურბეგ?

— მე გახლავარ, როგორც მბრძანებ... დღეს ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა სისხლი უნდა ღვაროთ.

ყაურბეგი უმცროსი ძმა იყო ხაჯუმარისა. არც ერთი ძმა არ უყვარდა ისე ძლიერად სანიათს, როგორც ყაურბეგი. სილამაზით, წარმოსადეგობით, მიხრა-მოხრით. იგი უმალვე გამოირჩეოდა თავის ტოლმეგობრებში. კარგად იცოდა მან რუსული ენაც. ცხენოსნობაში, ჯირითში ვერავინ შეეჯიბრებოდა. იგი დენიკინის არმიაში პოლპორშჩიკად მსახურობდა. თეთრების დამარცხების შემდეგ ერთ რაზმთან ერთად ტყეში გასულიყო.

ყაურბეგი და გაბე ბავშვობაში ერთად იზრდებოდნენ. ერთად თამაშობდნენ რიკტაფელას. ხანდახან ყველის ნატეხისათვის გაბე ზურგით ატარებდა ეზოში ყაურბეგს. ჩხუბიც მოსდიოდათ. მაგრამ უმალვე იცოდნენ შერიგებაც.

ახლა კი, უკანასკნელად, სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეხვდნენ ისინი ერთმანეთს.

სხვა ანგარიში უნდა გაესწორებინათ ახლა მათ ერთმანეთისათვის.

„არ ვესვრი, იქნებ გამეცალოს" — გაუელვა თავში გაბეს.

— დაგდე თოფი, ყაურბეგ, თავს ნუ მომაკვლევინებ!

— ახ, შე გაიძვერა მაწანწალავ! ვის უბრძანებ თოფის დაგდებას?!

ყაურბეგმა გაისროლა. ტყვიამ ბუხრის ქუდი გაუხვრიტა გაბეს. ყურში წვიალი იწყო, თვალებში ნაპერწკლები წასცვივდნენ. ყაურბეგი გზის პირას ჯაგებში ჩაესაფრა.

— ასეა საქმე? — ველურ კატასავით მოსწყდა ადგილს გაბე, თითქო გაგიჟდაო.

ისევ გაისმა რამდენჯერმე გასროლა...

ყაურბეგი ადგილიდან აღარ იძვროდა. ხელში შაშხანა შერჩენოდა, სისხლი ჩამოსდიოდა თავიდან, მკერდსა და ხელებს ულებავდა.

მივიდა გაბე ცხედართან, საყვედურით დააცქერდა მას.

— თვითონ ხარ დამნაშავე. დაე შენი სისხლი შენსავე თავზე იყოს.

ამ დროს ცხენებით მოქენდნენ დანარჩენი ამხანაგებიც.

— რა მოხდა, რა ამბავია? — ჰკითხა გაბეს მაჰამედმა, — შენ, მგონი, მოასწარი უჩვენოდ კარგად წანადირება?!

ცხენებიდან ჩამოხტნენ. ერთი მკვდარ ყაურბეგთან მივიდა, შეხედა მის მკრთალ სახეს, და გაოცებით იყვირა:

— გაბე! სანიათის საყვარელი ძმა მოგიკლავს!

გაბე ერთხანს დუმდა, მერე დახშული ხმით თქვა:

— რა ვუყო. თვითონ ეძებდა სიკვდილს!

— ყველა ბანდიტი უნდა დაიხოცოს. გამუდმებით აწიოკებენ და სტანჯავენ ხალხს. ამ ყაჩაღების გამო რამდენი ხანია უკვე ძილი აღარ ვიცით... მუშაობას გვიფერხებენ, — იყვირა მაჰამედმა.

— თვითონ არის დამნაშავე ყაურბეგი, — განაცხადეს სხვებმაც, — ჩამოჰკიდეს ოქროს ზილ-პიპილოები, სამხრეები. ასე ეგონა, დენიკინის მოადგილე იყო.

შესხდნენ ცხენებზე. გაბე მძიმედ შეჯდა უნაგირზე. ღრმა ნაოჭები გაუჩნდა მკაცრად მოღუშულ წარბებს შორის.

5

მეორე დღეს დილით რევკომის წინ მიცვალებული ჩაატარეს. ურემზე ნაბადგადაფენილი ყაურბეგი იწვა. ქალები შემზარავად მოსთქვამდნენ. თმებს იგლეჯდნენ და ლოყებს იხოკდნენ. მოღუშული სახით მიდიოდნენ მამაკაცები. სანიათიც აქ იყო. ნამტირალევი თვალები დასწითლებოდა. ცრემლები გამოლეოდა და გამშრალიყო. მარმარილოსაგან გამოკვეთილი მდუმარე სახე ჰქონდა.

გაბეც ამ დროს რევკომთან იდგა. კედელს მისწოლოდა მხრით და პროცესიას გასცქეროდა. ხაჯუმარმა წითელ კასერზე მდგარი თავი მოაბრუნა და გაბეს დაემუქრა.

— დამაცა, ძაღლო, არ შეგრჩება ეს.

მოსისხლე მტრის თვალებით შემოხედა გაბეს სანიათმაც. უდიდესი ზიზღი ამოიკითხა ქალის თვალებში გაბემ. მიხვდა, რომ ამ დღიდან სამუდამოდ დაჰკარგა სანიათი, ისე როგორც დაჰკარგა მან მარცხენა ხელი.

სამუდამოდ გათიშა ისინი დაღვრილმა სისხლმა, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ორი ბანაკის სიძულვილმა. „ჯერ კიდევ გუშინ უსაზღვრო ბედნიერება“ მიანიჭა სანიათმა, თითქოს მზის სხივებით აღივსო მთელი მისი არსება. ახლა კი... თითქოს მთა წამოიქცა და მათ შუა ჩადგაო.

ასე იდგა ერთ ადგილას გაშეშებული გაბე, სანამ მაჰამედმა არ დაადება მხარზე თავისი მძიმე ხელი.

მიხვდა მაჰამედი, რა ცეცხლიც ტრიალებდა მეგობრის გულში:

— ნუ დარდობ, გაბე, ცხოვრებაში მთავარი პირობაა სიმაგრე და გამძლეობა. ისინი ერთი ჯურის ხალხია, ერთი ამქრისანი, სულ სხვა კლასისანი.

გაბემ მწარედ გაიღიმა. ისე მაგრად შემოჰკრა მუშტი კედელს, რომ მისი სახელი შეზანზარდა.

— ჩინებულად გადავიხადე მე ჩემი ყალიმი, მაჰამედ. არა უშავს რა, ასეც ხდება.

მის სახეზე ნათლად წაიკითხავდით, რომ ცალხელა გაბეს ამაზე მეტი ჭირის ატანაც შეეძლო. მთავარი ახლა მისთვის იყო მაჰამედთან ერთად რევკომში მუშაობა.

ფოლადივით გაუტეხელი იყო გაბე. იგი მზად იყო მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა ახალი წყობილების გამარჯვებისათვის.

— დრო გადის და ბედნიერება მოაქვს, — ამბობს ხაჯუმარი ძველ იგავს.

ამბობენ, ხაჯუმარზე ხნიერი ხეც არ არის ტყეში და არც ქვა გდია ხრამშიო.

მას, აი, იმ მწვერვალების თოვლივით თეთრი წვერი აქვს და ძველ ნართურიზმაგსა ჰგავს. ზღაპრული ურიზმაგი, როგორც ხშირად თვითონ ხაჯუმარი მოგვითხრობს, იმდენად ჭკვიანი იყო, რომ მისი ფიქრის სიმძიმისაგან საკარძლის ფეხები შვიდი წყრთის სიღრმემდე ერეკობოდნენ დედამიწაში.

ზის ხაჯუმარი ძველ სამფეხა საკარძელში და მოგვითხრობს მწუხარებითა და წყევლით სავსე უხალისო დღეების შესახებ, რომელთა მოწამე იყო მთელი მისი ცხოვრება. იგი თხრობის ოსტატია. არც მეხსიერებას და არც გონებას არ უღალატნია მისთვის. ამიტომ უყვარს და პატივსა სცემს მას ახალგაზრდობა.

აი ახლაც თავი მოუყრიათ მის გარშემო. მთელი ოჯახები მოსულა აქ, ბევრი მეზობელიც. ზამთარია, ღამე, მოგიზგიზე კერა...

— დრო გადის და ბედნიერება მოაქვს, — იმეორებს ფიქრშეწასული მოხუცი. კომკავშირელი მისი შვილიშვილი არ ეთანხმება მას. უნდა გაუსწოროს: „დროს კი არ მოაქვს ბედნიერება, არამედ ადამიანები მოიპოვებენ მას ბრძოლითო“, მაგრამ პაპის ჭალარას სცა პატივი და გაჩუმდა.

გარეთ ბნელა. ქარი ბუხრის მილში იპრება, ბოლის მოფარფატე ქულებს უკანვე აბრუნებს. შორს, სოფლის ბოლოში, კოლმეურნეთა ნაგაზები ჰყეფენ. ალბათ დაგვიანებული მგზავრი შენიშნეს...

— დიახ, მეგობრებო, — განაგრძობს ხაჯუმარი, — ახლა ყველაფერი გამოიცვალა. მდიდრები, მუქთახორები გააძევეს, ქალებს დელეგატები უწოდეს. ყველაფერი საერთო შრომამ გააერთიანა. მაშინ სულ სხვა იყო.

დიდი ხნის წინათ ჩვენს აულში ცხოვრობდა უბათი მუზუკი. ერთი ვინმე საპყარი, უღარიბესი კაცი. ტყის ყორანიც კი ვერ შეედრებოდა მას თავისი სიღარიბით.

ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა მუშაობდა იგი ტყეში ლუკმა-პურის მოსაპოვებლად. და აი ერთხელ უბედურება შეემთხვა. ჩვენი ტყეები, როგორც მოგეხსენებათ, მაღალ მთის კალთებზეა შეფენილი. შეძვრა ის ერთი ხის ქვეშ და დაიწყო ცულის კაკუნი. მოულოდნელად, ზემოდან სხვის ვიერ მოჭრილი ხე დაცოცდა და მისკენ დაეშვა. მშიერ ნადირივით ეძგერა საბრალოს, წააქცია, ერთხანს ათრია და ცოცხალ-მკვდარს მიწა და ქვები წააყარა. ისარივით დაეშვა მერმე ქვევით ის მორი. მოგრიალებს და ამტვრევს ყველაფერს, რაც კი წინ ეღობება: ხეებსა და კლდეებსაც.

ბევრი რამ განიცადა მუზუკმა სიკვდილის მოლოდინში, მაინც არ მოკვდა, გადარჩა.

მაშინ ერთი სანაქებო აქიმი, ქაისოველთა გვარისა, გაუსი შეუდგა მის მკურნალობას. მან იცოდა უამრავი სამკურნალო ბალახის შეზავება და საუცხოო შელოცვები. აი, სწორედ იმ ექიმის წყალობით დარჩა ცოცხალი მუზუკი. როგორც ბებერ ხეს შტოები, ისე შეახმა ორთავე ფეხი... ორი ყავარჯენი გამოჰკრა, დღისით და ღამითაც არ იშორებდა მათ და მიათრევდა დასახიჩრებულ ტანს.

ცოლი კი ლამაზი ჰყავდა, თანდელათის ქალი ბიბო, მსუქანი, ლოყებწითელა. ვერავითარი ჯაფა ვერ გასტეხდა მას. ერთი პატარა გოგო და ბიჭი ჰყავდა. მუზუკის ძმა გარო უსაქმური კაცი იყო, სხვის კარზე დაეხეტებოდა და არაყსა და საჭმელს ეტანებოდა. იგი უბადრუკი, ბაჯაჯღანა და ერთი ჯუჯა კაცი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთი კოკა არაყის დაცლა და თუნდაც მთელი დეკეულის შეჭმა შეეძლო. სქელი ტუჩები ჰქონდა, თითქოს ფუტკარმა უკბინაო, ისე გასიებოდა.

თვითონ მუზუკი კარგი ოსტატი იყო. რას არ გააკეთებდა ხისგან: ვარცლი, როფი, თაბახი, გობი. ხე მის ხელში თითქო ცოცხლდებოდა. მას უღელტეხილის იქითაც იცნობდნენ: „ეს, ალბათ, უბათი მუზუკმა გააკეთა, ოქროს ხელები აქვს“. საკვირველი იყო, ამდენ შრომას რომ იტანდა. ზის მთელი დღეები და აკაკუნებს, ურტყამს აქეთ-იქით გამოსაჩორკნ ხეს, ხოლო მაღალ გორის სოფლელები ამბობდნენ: „ეს მუზუკი გვიშენს თავის ქვემეხებს“-ო.

იგი მუდამ ერთსა და იმავე ადგილას, — თავისი სახლის კარების წინ იჯდა, თხის ტყავზე, თანაც მზეზე თბებოდა. თავზე გრძელბეწვიანი ცხვრის გაბურძგვნილი ქუდი ეხურა. მოღუნულ ბეჭებზე

დახეული ჩოხა მოეგდო. ამოსხმული ქალამნებიდან თივის ღერები ამოჩრილიყვნენ.

იგი ხის სალტეებს ნიშნებს უკეთებდა და კასრებზე ხისავე ჩაქუჩით აჭედებდა მათ.

კაკუნის ექო შორს ხევ-ხევში გაისმოდა.

მის ირგვლივ ახალი ჭურჭელი ეწყო: ყველგან კასრები, როფები და გობები.

იქვე, მასთან, ბავშვები გროვდებოდნენ. თამაშობდნენ ბურბუშელით, ნაფოტებით, ხის გადანაჭრებით. აკეთებდნენ ნაირ საგნებს, ხან კიდევ შენობების, მთელ სართულებს, წისქვილებსა და კოშკებს.

მუზუკს კუშტად ეპირა თავი. იხსენიებდა მათს მიცვალებულებს, დაახლოებით ასე:

— ეხ თქვე სალახანებო, ვირმა იჯირითოს თქვენს სასაფლაოზე.

იგი ბავშვებს სერიოზულად ასწავლიდა და ჭკუას არიგებდა, როდესაც ისინი ხშელ ნაფოტებს ჰპარავდნენ:

— ქურდობა რა საკადრისია, ჩემო კარგებო? აკრძალულია. ეი ძველ დროსაც ერთი უკეთმართი ვინმე, ისეთი, როგორიც თქვენა ხართ, სხვის ნაფოტებს იპარავდა და იცით, ამისათვის ჭინკამ რა უყო მას? მოსჭრა ხელი... ება როგორ! არ უყვარს ჭინკას ცელქი ბავშვები, უფრო მეტად კი ისინი, რომლებიც სხვის ნივთებს იპარავენ.

მათ სჯეროდათ მუზუკის ნაამბობი.

— როგორი დანა აქვს ჭინკას? — ეკითხებოდა ყველაზე პატარა, ტიტლიკანა, შიშველმუცლიანი ბავშვი.

— მას დანა კი არა, ვეება მაკრატელი აქვს. იმაზე დიდი, რომლითაც ცხვრებს კრეჭენ. სამართებელივით ბასრი. დაგადებს ხელზე და გათავდა.

ბიბოს შვილმა, პატარა თარიმ თავი ჩაკიდა, თვალები გადმოკარკლა და ეაკივით ქვეშიდან გამოიხედა, თითქოს რქენას აპირებსო.

მას ეშინოდა ჭინკისა, რომლითაც შინ აშინებდნენ, როდესაც პურს ითხოვდა. დღეს მას მუცელი გამობეროდა, ეტყობოდა, სვრელით სავსე არა ერთი ჯამი შეეხვრიპა. გასვრილ ფეხებს ძლივს უფარავდა ძონძები და ცდილობდა, ხალათი ფეხებს შორის მოექცია, რომ საფრთხობელა ჭინკისაგან თავისი სიშიშვლე დაეფარა.

კიდევ რას აკეთებდა კუტი მუზუკი? ის ასრულებდა დიდ დავალებას, საზოგადოებრივ დავალებას აულში. აულში ძნელი საპოვნელია კაცი, რომელიც ნათესებს უდარაჯებს. ის კი დილიდან საღამომდე ზის აქ, საქმიანობს და თანაც უთვალთვალებს, რომ ყანები პირუტყვმა არ გააჭარხოს. დაინახავდა თუ არა ყანაში შესულ საქონელს, ისეთ ყვირილს ასტეხდა, რომ ცხრა მთას იქით გაიგონებდით.

— ეი, მწყემსო! შე სამიწეე, ყანა ვერანდება, შენს ქელეხზეც კი დაეკლათ ეგ საქონელი. — უკანასკნელ სიტყვებს იგი ხმადაბლა ამბობდა. ხოლო ბედოვლათი მწყემსი კი მთის კალთაზე დაეშვებოდა და საქონელს გადადენიდა. ალბათ მარწყვმა შეიტყუა და დააიწყდა, რომ ასეთი საქციელისათვის მკაცრი პატრონი საღამოს ჯოხით გაუმასპინძლდებოდა.

მუზუკი ღარიბ მწყემსს არასოდეს არ გასცემდა, თუმცა ამისათვის მადლობას არავინ ეუბნებოდა.

სადილობის დროს მის ქალიშვილს — ზალის მაწვნით სავსე ჯამი, ქერის პური მოჰქონდა და ყველაფერ ამას სამფეხა ტაბლაზე ულაგებდა, თან წკრიალა ხმით ეუბნებოდა:

— პური ისევ მალე გაგვითავდება, კოდი გამოვბერტყე. კასრები ხომ მზად არის, რაღას უზის აქ ექნარა გარო?

— წავა, ეს საქმე მას ძალიან უყვარს. ჭაჭასმისათვის ის თუ გინდ ცის კიდემდე მივა. საღამოს საგზალი გაუმზადე, იქნებ დილით გაემგზავროს. სად დაიკარგა ამდენხანს ნეტავ? — ბუზღუნებდა მუზუკი.

— მეედელი უნდა ვნახოო, მოიმიზეზა და ზემო სოფელში წავიდა. ამბობენ ყაურბეგს ჭაჭანკლები ეახლნენ და სამი ყანწი არაყი მაინც შეხვდება ქეიფშიო.

— აქაც და საიქიოშიც მუცელზე იხოხოს მაგ დაწყეველილმა. მთელს ჩვენს გვარს არცხვენს, — შფოთავს მუზუკი და ზედიზედ ილუკმება, რომ თავისი ბრაზი ჭამაში ჩაახშოს.

იგი ზალის უცქერის და კარგ გუნებაზე დგება, თითქოს გაზაფხულის მზემ გამოიხედაო, მაგრამ მაინც მკაცრად მიმართავს:

— გაწი, კერაზე მიფიცხებული კასრები, ძლიერ გამოხმა და დაიბზარება.

— კარგი, მამა...

იგი უმალვე გაიქცა მამის დავალების შესასრულ-

ლებლად და ორი შავი ნაწნავი ზურგზე აუთამაშდა.

„რა კარგი რამ არის ზალი. ეგ სილამაზე არ ეხამება ღარიბ გოგონას: ღარიბი შესახედავადაც უბრალო უნდა იყოს... — ფიქრობს მუზუკი, დასახიჩრებულ ფეხებს ისწორებს. ერთს განზე სწევს, თითქოს ზედმეტი ბარგიაო. აი ზალის გათხოვებია დროც მოვიდა. ჩვენი გვარი არც მდიდარია და არც კეთილშობილი, მაგრამ მის ქმრობაზე არავინ უარს არ იტყვის. ყალიმსაც კარგად ავიღებ. დიდხანს ვაჭრობის ნებას არავის არ მივცემ. მარტო მისი ნაწნავები ღირს ცხენების მთელ ჯოგად". — ფიქრობს მუზუკი და წვერებში ეღიმება. თვალები სიხარულით უბრწყინავს, დასახიჩრებული ტანი თითქოს უმჩატდება. თითქოს მასში წინანდელი ახალგაზრდული სიმხნე ჩაიღვარაო, მაგრამ დიდხანს არ გრძელდება ასეთი განწყობილება. ისევ ავი ფიქრები ეუფლება მას.

„რა ჭირად ვინდა ყალიმი — გამოსასყიდი, მე ხომ ცხენზე ჯდომა და დღესასწაულზე წასვლა არ შემიძლია. ერთი საბრალო კუნძი ვარ და არა ცხენოსანი. კიდეც რომ მოგვცენ რაიმე ყალიმი, ყველაფერი ეს ვერ ამოავსებს გარსის უძირო მუცელს".

ასეთ ფიქრებში ათავებს პურის უკანასკნელ ნატეხს და ისევ უკაკუნებს კასრს, თითქოს მასზე იყრის ჯავრსო, ისევ გაისმის დაუსრულებელი კაკუნი ხევში.

ზალი მართლაც ლამაზი იყო. მის შავ თვალებში მუდამ ეშმაკური ცეცხლი ენთო. სწრაფი იყო მერცხალივით და დაუღალავი, როგორც ნიამორი. ახალი ჩითის კაბა მჭიდროდ ეტმასნებოდა კენარ ტანზე. იგი მართლაც ჰგავდა ახალგაზრდა, სწორ ნაძვის ხეს.

ნამდვილი ირემია მუზუკის ქალიშვილი. — ამბობდნენ ხევში.

მას უყვარდა ოხუნჯობა, ცელქობა. ხანდახან დაცინვაც. ხშირად ცეკვის დროს ისე გაფრინდებოდა, რომ თვალსაც ვერ მიატანდი მის სწრაფ მოძრაობას. გეგონებოდა, ეს-ეს არის, მოსწყდებაო დედამიწას მისი ტარსიკონის წულები.

შეტად სტანჯავდა მძიმე შრომა მთიელ ქალებს. დაუზოგავად ამახინჯებდა მათ მთის მკაცრი ცხოვრება ჯერ კიდევ ქალიშვილობის დროიდანვე. უფრო მძიმე პირობებში ვარდებოდნენ პატარძლები, რომელთაც მძიმე უღლად აწვათ საშინაო საქმეები. ჩვენს დროს ამას უკვე ადგილი არა აქვს. ამბობენ მხოლოდ ურიოში, თვალთაში და გნუღში შეხვედებით ამაებს. ვაშინ კი ყველგან ერთ ბედში იყვნენ ქალები: საღამოს ყველა მამაკაცს ბანდნენ ფეხს, ასუფთავებდნენ კაცისა და საქონლის სადგომს, მხარზე შედგმული სავსე ტომარი ვიჰქონდათ წისქვილში. ზურგზე მოკიდებული შეშის გროვა მოჰქონდათ ტყიდან, და ყველაფერ ამას ასრულებდნენ მორჩილად, როგორც საქონელი. ამასთან ერთად, ბაგე მეიდროდ ჰქონდათ აკრული თავსაფრის ტ... ტით, თვალებიც ახვეული, რომ ისინი არავის დაენახა და სიბერემდე არავის არ გაებედნა შინ— ეფროსებისა და მათი ნათესავების თანდასწრებით ლაპარაკი. ზალი გაურბოდა ასეთ ცხოვრებას, დედაც ცდილობდა არ დაეჩაგრა თავისი საყვარელი ქალიშვილი, ზალის გულში ჯერ არ შეპარულიყო დაჩაგრული და ღარიბი მთიელი ქალიშვილის მწუხარება. იგი გამოირჩეოდა ტოლ-მეგობრებში სიტურფით და ხალისით. ილიმებოდა, თითქოს ხანჯალი ბრწყინავს მზეზეო.

— მრავალ სასიძოს დაღუპავს იგი, — ამბობდნენ ზალიზე და ნაზად შესცქეროდნენ განსაკუთრებით ცეკვისა და თამაშის დროს.

ასეთ შემთხვევებში უფრო ხმამაღლა ისმოდა სიმღერები და გარმონის ჰანგზე შეწყობილი ტაში. შესცქეროდნენ ზალის და მღეროდნენ ბიჭები. თითქოს მას უძღვნიდნენ ძველი სიმღერის სიტყვებს:

> მას თეთრი გედის მკერდი აქვს,
> შავი წარბები — გველები,
> ტანი კენარი, ღიმილი
> მყის შეშლის ყოველ ჯიგიტსა.

მრავალი ჭაბუკი ოცნებობდა მასზე, კუტი მუზუკის ქალიშვილზე. ი'ინი მის თვალებში უხილავ ბედნიერებას ხედავდნენ. იგი მართლაც ოსტატი იყო მუშაობაში. ხშირად თიბვის დროს თავისი ფოცხით თივის მთელ გორას შეაგროვებდა, დაუშვებდა მას მთის კალთაზე და ხარხარებდა. მის წკრიალა სიცილზე მახლობელი მთები ეხოს გამოსცემდნენ. უმძიმეს შრომის დროსაც კი შეეძლო მას ყოფილიყო მხიარული და ხუმარა. მოძრაობა ჯიხვივით სწრაფი ჰქონდა, მაგრამ მასში ნაკლიც იგრძნობოდა: იგი თვითნება და მეტად ჯიუტი იყო.

— მოკრძალებულ მთიელ ქალს არ შეეფერის ასეთი ქცევა, განსაკუთრებით თუ იგი ღარიბი

მშობლების შვილია, — ასწავლიდა დედა. ამის საპასუხოდ ზალი მხოლოდ წკრიალა ხმით კისკისებდა და ამბობდა:

— ახ, დედაჩემო, რატომ ბიჭად არ გამაჩინე! თუმცა ახლაც არავის დავაჩაგვრინებ თავს. ისეთ ბიჭებს კი, როგორიც ყაიმანთი თორია, სრულიად ადვილად დავჯაბნი.

— უმჯობესია ენა დააყენო, — ეჯავრობდა ასეთ შემთხვევაში მუზუკი და თავის ყავარჯნით ემუქრებოდა, — კარგი ქალიშვილი ბევრს არ უნდა ტარტალებდეს, მოხუცების უნდა ერიდებოდეს და უნდა ყველაფერში გამგონე იყოს. ასე გვასწავლიდნენ ძველად.

ცოლ-ქმარი ხშირად ბჭობდნენ თავისი ჯიუტი ქალიშვილის შესახებ: „ზალი უთუოდ ხიფათს შეგვყრის. თვითონ ჩვენა ვართ დამნაშავე. გავანებივრეთ. აღვირი ამოსდე მას, დედაბერო. აი ჩვენი ბიჭი სრულიად არა ჰგავს მას, იგი ქალი უნდა ყოფილიყო, უმჯობესი იქნებოდა“.

II

ცხოვრობდა იმ დროს ყაურბეგ ძატიათი — კეთილშობილი გვარის შთამომავალი. მას შეძლებული ნათესავები ჰყავდა — მაშინ ცნობილი ქართველი თავადები. ყაურბეგის მამა — რაძამონ ძატიათი ცნობილი იყო იმ დროს თავისი მამაცობითა და სილამაზით. ოშვიათად თუ ვინმე შეედრებოდა მამაცობაში და ცხენოსნობაში. არაფერი არ სჯობდა მის ცქერას, როდესაც იგი ცხენს აჯირითებდა, უმალვე იპყრობდა ყველას ყურადღებას. გამოჩენილ ჯიგიტს ყოველთვის ჰყავს ბევრი მეგობარი, მაგრამ არა ნაკლები მტერი და მოშურნე. ერთხელ რაძამანი თავადის ნადიმზე მიიწვიეს. დასვეს იგი მდიდრულ სუფრაზე.

— ჰაი, ოსო, ვინ შემოგიშვა აქ, — მიმართა მას დაცინვით მის პირდაპირ მჯდომმა ჭაბუკმა თავადმა, რომელსაც მაღლა აგრეხილი ულვაშები ჰქონდა და შავი თვალები უბრწყინავდა.

— აღმოჩნდა კეთილი, თავმდაბალი კაცი, რომელმაც არ ითაკილა ჩემი შემოშვება, — მიუგო მან და შეეცადა შეურაცხყოფა ოხუნჯობაში გადაეტანა.

ამ ამბავმა მშვიდობიანად ჩაიარა. ღვინო თავისას აკეთებდა. შესამჩნევად გამხიარულდნენ პატივცემული მასპინძლები და მათი ღირსეული სტუმრებიც. ხოლო ჭაბუკი თავადი თვალს არ აშორებდა რაძამანს, არაფრად ეჭაშნიკებოდა, რომ მასთან ერთად სუფრაზე დასვეს მდაბიოთა სისხლის მქონე კაცი. ბოლოს მან მიმართა მას ტრადიციული „ალავერდით“, თანაც ესროლა ყანწი, რომელშიც დაუცლელი ღვინო ჩაეტოვებინა. რაძამანმა მოასწრო ყანწის დაჭერა, მაგრამ ღვინო მაინც მიესხა ჩოხაზე. ირგვლივ გაისმა გადამთვრალი თავადებისა და კეკლუცი ქალების სიცილი.

— იახში-ოღლ, — უპასუხა რაძამანმა ჭაბუკ თავადს და ყანწი შუბლში სთხლიშა. სისხლმა იფეთქა. წამოიშალნენ. ატყდა ხმაურობა, ქალთა კივილი. ეელვეს ხანჯლებმა. რაძამანმა გზა გაიკაფა, თუმცა ხანჯლით დიდხანს იმუშავა. ცხენს მოახტა და მთაში გაჰკურცხლა. ამ შემთხვევას დღესაც ეგონებენ. აი სწორედ იმ დროს მოეწონა იგი თავადის ერთ ქალს. ერთი წლის შემდეგ მოხდა შერიგება და რაძამანმა მოიყვანა თავის სოფელში ახალგაზრდა ცოლი, თანაც მდიდარი მზითევი აიღო.

თავადის ქალმა შვიდი ვაჟი შესძინა. უფროსი ყაურბეგი იყო. მამისაგან მას გამოჰყვა ძალა და სიმამაცე. იგი მამაზე დაბალი იყო, გოლიათის მკერდი და მაგარი მკლავი ჰქონდა. მაშინ ყაურბეგი ორმოცი წლისა იქნებოდა, მაგრამ სიმამაცეში ბევრ ჭაბუკს ტოლს არ დაუგდებდა. მას უხიკი ხასიათი ჰქონდა და ბევრთან მეგობრობა არ შეეძლო. იგი ზიზღით უცქეროდა ყველას, ვინც შთამომავლობით და ქონებით მასზე დაბლა იდგა, ვინც მას სჯობნიდა, ამიტომ ხალხს არ უყვარდა. ზოგი შიშის გამო უმალავდა ამას, ზოგი კი დაუფარავად გამოთქვამდა თავის ზიზღს ყაურბეგისადმი.

რა თქმა უნდა, ყაურბეგი ძლიერი კაცი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ექვსი ძმა ჰყავდა ერთი მეორეზე უკეთესი ცხენოსანი და მსროლელი მთელს ხევში. არავის არ მოეპოვებოდა მაშინ იმდენი ხორბალი და საქონელი. ამასთანავე იგი გრძნობდა ზურგსუკან დედის ნათესავ-თავადების ძალას. ხელისუფალნი, თანამდებობის პირნი, ყველანი, მის მხარეზე იყვნენ.

შეზარხოშებული ყაურბეგი ხშირად ტრაბახობ. და, რომ თვით რუს მეფეს სურს უბოძოს მას თავადობა, რათა ყველა მთიელი მისი მოხარკე იყოს. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ მაჰასახლისი, მომრიგებელი, ბოქაული და ოლქის უფროსიც კი. თათბირობდნენ მთელ ღამეობით, რომელიღაც საკითხის შესახებ, ქეიფობდნენ და მერე შეუმჩნეველად იშლებოდნენ.

ბევრი რამ უმსგავსოების ჩადენა შეეძლო ყაურბეგს. თუ მის მამას რაძაშს პატივს სცემდნენ, ყაურბეგისა ეშინოდათ მხოლოდ. მას ადვილად შეეძლო დაეღუპა ვინმე, ამისათვის საკმარო იყო მხოლოდ ერთი სიტყვა დაეძრა ან თვალით ენიშნებინა. იყვნენ ისეთები, რომლებიც მაშინვე ასრულებდნენ მის ბოროტ სურვილებს. რა არ ჩაუდენია ყაურბეგს თავისი ცხოვრების მანძილზე? ერთხელ მან ხანჯლით ყური მოათალა მიხეილ ვართიათს. ამ საქციელს ის იმით ამართლებდა, რომ ერთი მისი წინაპართაგანი ვართიათის გვარის კაცს მოეკლა და ამიტომ სისხლი უნდა აეღო. მეორეჯერ მოხდა ისე, რომ ჯელათის ულაყმა ყაურბეგის ერთ ძმას წიხლი ჰკრა. ამის საპასუხოდ მან ჯელათებს ერთ-ერთი გოგო წაართვა და მიუყვანა იგი „ნომილ-უს"-ად [1]

ერთხელ კიდევ ასეთი რამ მოხდა. ყაურბეგის მეორე ძმა ესტუმრა ერთ ღატაკ ტემსა ბუტათის. ტემსას კატის მეტი არაფერი არ ჰყავდა. ასეთ ღატაკს მთელ ჩვენს ხევში ვერ მოძებნიდი. გზაში მოშიებული ყაურბეგის ძმა ესტუმრა მას და საჭმელი მოსთხოვა. თვითონ ტემსა იკვებებოდა ქუმელით. ამიტომ სტუმარს სხვა ვერაფერი ვერ მიართვა. ყაურბეგის ძმამ შეჭამა რამდენიმე ლუკმა ქუმელი. ასეთი მასპინძლობისათვის ყაურბეგმა აიძულა ღატაკი ტემსა ემუშავნა მის კარმიდამოში მთელი წელი.

ძნელია ჩამოვთვალოთ ყველა ის ბნელი საქმე, რომელსაც თვითნებურად სჩადიოდა ყაურბეგი.

ბევრი ადამიანი გაისტუმრა მან იმ ქვეყნად და მიუხედავად ამისა, პასუხს არავინ არ აგებინებდა. ქრთამი, მოსყიდვა, ყოველივე ეს ჩვეული იყო მისთვის, ოღონდ კი თავისი გაეტანა. სწორედ ამიტომ იყო იგი მდიდარი. მათ სახლში ყოველდღე ეწყობოდა ნადიმი. მიჰქონდათ ქართლიდან საუკეთესო ღვინო და იკვლებოდა უამრავი საქონელი.

— მე სახელგანთქმული უზდენ ვატიათი ვარ, და ვინც მე არ მიცნობს, ძალად გავაცნობ თავს! — იკვეხნიდა ის უზომო ჭამა-სმის შემდეგ და თვითკმაყოფილებით იცემდა მკერდში მუშტს.

მას შავი ხავერდის ახალუხი და თხელი შალისაგან შეკერილი შავიეე ჩოხა ეცვა. ზედ ძვირფასი მასრები და ქამარხანჯალი ერტყა. იგი, მართლაც, უაბარდოელი თავადი გეგონებოდათ. მისი დიდრონი, გადმოკარკლული თვალები მკაცრად იყურებოდნენ გაფანჩული წარბების ქვემოდან.

მუზუკ უბაითის გვარი მტრულად იყო განწყობილი ძატიათებისადმი და ამათგან სისხლი უნდა აეღო. მართალია, ძატიათებმა დიდი საფასური გადიხადეს დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით და მთელ ხევში შესარიგებელი ნადიმი გამართეს, მაგრამ მაინც დღემდე გულში ედოთ ერთმანეთისადმი ზიზღი.

მუზუკის ბიძას — თეთრაძეს ერთი მეორეზე უკეთესი ხუთი შვილი ჰყავდა. ისეთ ვაჟკაცს, როგორიც ყაურბეგი იყო, ისინი ტოლს არ დაუგდებდნენ, პირიქით თვალს უბრმავებდნენ. ყაურბეგი თუმცა შეჩვედრისას ელაქუცებოდა მათ, მაგრამ სინამდვილეში მზად იყო დაეღუპა ყველა ისინი. მხოლოდ ჯერჯერობით საამისოდ საშუალება ვერ გამოეძებნა.

თეთრაძის შვილებმა და თვითონ მუზუკმა კარგად იცოდნენ ეს, მაგრამ სდუმდნენ და არ სურდათ ძატიათებთან ძველი შუღლის გაღვივება. მუზუკმა იცოდა ყაურბეგის ყველა ოინი, რომ ძმა მის მხარეზე იყო და ყოველთვის აფრთხილებდა თეთრაძის შვილებს, რომ მორიდებოდნენ ყაურბეგს. ხოლო თეთრაძის შვილები სიცილით მიუგებდნენ:

— ამიერიდან ძატიათის სიმდიდრის გაყოფას ჩვენ არ ვეპირებთ, მაგრამ თუ არ დაგვაყენეს, ვალში არ დავრჩებით.

---

[1] ნომილ-უს — მონაა, მეორე ცოლი, რომელსაც იმ შემთხვევაში მოიყვანდნენ, თუ პირველ ქალს შვილი არ გაეჩნდებოდა. მას ეპყრობოდნენ, როგორც მონას და სამარცხვინო ქმნილებას.

გადიოდა დრო. ერთხელ მუზუკის დიდმა შავმა ძაღლმა ყეფა და ერთი ალიაქოთი ასტეხა, მას სოფლის სხვა ძაღლებიც მიჰყვნენ. მუზუკის ცოლმა ბიბომ კარში გაიხედა და დაინახა, რომ მის ეზოსთან ცხენი მოაქვნა ყაურბეგ ძატიათმა. ვერცხლით მოსაკაედებული უნაგირი და აღვირი მზეზე ბრწყინავდა. სამუშაო დღე იყო და სოფელში მხოლოდ მოხუცები და ბავშვები იყვნენ.

— დაიკარგეთ აქედან, — დაუცაცხანა გაავებულ ძაღლებს მუზუკმა და ყავარჯნით დაემუქრა. ყაურბეგი სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან და დაიძახა:

— დილა მშვიდობისა. არ მიიღებ, უბაითი, სტუმარს?

— სტუმარი ღვთისაა, ყაურბეგო. შეილო, ჩამოართვი აღვირი და მოუტანე ცხენს საუკეთესო თივა.

ზალიმ მიაბა ცხენი და გაიქცა თივის მოსატანად. ცხენს თივა დაუყარა და განზე გადგა.

— იყავ ბედნიერი, მზეთუნახავო, — მადლობა გადაუხადა ყაურბეგმა.

ზალის არ მოეწონა სტუმრის სიტყვა და შემოხედა. განზე გაიხედა და გაიფიქრა: რა ხელი აქვს ჩემს სილამაზესთანო.

— მობრძანდით, ძვირფასო სტუმარო. ნუ დაიწუნებთ ღარიბის ქოხს, — ეპატიჟებოდა მუზუკი სტუმარს, გულში კი ფიქრობდა: რაშია საქმე, რამ მოაფიქრა ჰდიდარ ყაურბეგს ჭირნახულის აღებისა და ამ გაჩაღებული შრომისას ჩემთან სტუმრობა, რა საერთო შეიძლება იყოს შეძლებულ ყაურბეგსა და ღარიბ, კუტ მუზუკს შორის?

სოფლის ქალები გამოცვივდნენ, ყოველ კუნჭულიდან უცქეროდნენ ოშვიათ სტუმარს და მათაც უკვირდათ მისი მოსვლა, ჭორაობდნენ და თავს იქნევდნენ გაკვირვების ნიშნად.

შეეიდნენ ქოხში, სტუმარი პაპის საპატიო სავარძელში დასვეს. ქოხის მეორე ნახევარში მუშაობა გაჩაღდა — ცხვებოდა ხაბიძგინები — ოსური ხაჭაპურები, დუღდა ქვაბი.

— რა საოცარი ძაღლები გყოლიათ, მგელზე ავები, ესენი გაგლეჯენ კაცს. ალბათ არ უყვართ სტუმარი უბაითებს, ასეთი ძაღლები რომ გაუჩენიათ, — ოხუნჯობს ყაურბეგი.

— ვერ გიცნეს, რომ შენ წარჩინებული კაცის შვილი ხარ, თორემ შერცხვებოდათ, — ხუმრობით კე უპასუხა მუზუკმა, წვერზე ხელი გადაისვა და თვალებში ეშმაკის ცეცხლი აუციმციმდა.

ყაურბეგი ერთხანს ჩუმად იცრეხდა შავ ულვაშს, ისწორებდა ვერცხლის ხანჯალს, მერმე დიასახლისს მიუბრუნდა:

ნუ სწუხდებით, დიასახლისო, ნუ ბრჯებით, მე არაფერი არ მინდა.

— რა შეწუხებაა, ნუთუ არ მიირთმევთ ჩვენს პურ-მარილს? — მიუგო დიასახლისის მაგიერ მუზუკმა.

სანამ დიასახლისი კერასთან ფუსფუსებდა, მუზუკი დაუპატიჟებელი სტუმრის გართობას ცდილობდა, მაგრამ მათი საუბარი არ ეწყობოდა.

ყაურბეგმა თავისი ბუხრის ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და დროდადრო ჩუმად შეაელვებდა ვნებიან თვალებს ზალის. ზალიმ შენიშნა ეს, ძლივს იკავებდა აღშფოთებას და ცდილობდა არ მიექცია მისთვის ყურადღება.

— ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის. მომიტანე წყალი, მზეთუნახავო, — მიმართა ყაურბეგმა მას.

„რა ხელი აქვს ჩემ სილამაზესთან", — ფიქრობდა გაბრაზებული ზალი. მან სწრაფად მოუტანა ცივი წყლით პირთამდე სავსე ხის ჯამი. ყაურბეგმა ძირამდე დასცალა ის, ზალის გადასცა და ისევ ვნებიანად შეხედა. ქალმა განზე გაიხედა, გაფითრდა. ჯამი ჩამოართვა და ქოხიდან გავიდა. სტუმარმა საქმიანი ლაპარაკი გააბა მუზუკთან:

— მუზუკო, ისეთი კასრი უნდა გამიკეთო, რომლის მსგავსი არც აქ, არც უღელტეხილის იქით იყოს. შენ ხომ იცი, მე ყველაფერი კარგი მიყვარს. კასრი ლუდისათვის მჭირდება. ბევრი უმცროსი ძმა მყავს, მადლობა ღმერთს, ძალა შემწევს, მდიდარი ქორწილი გადავუხადო მათ. მე თვითონაც... თუმცა ცოლ-შვილიანი ვარ, მაგრამ შეიძლება რაიმე მოვიფიქრო. ოზროითის ქალმა მხოლოდ სამი შვილი შემძინა, მინდა მას კიდევ ერთი ქალი წავახმარო.

— ბევრი რამ შეგიძლია, ყაურბეგო, ღმერთმა ეფრო მეტი მოგცეს. კასრს კი სანაქებოს გაგიკეთებ, სხვა რა საქმე მაქვს, მაგრამ ამისათვის შენ

თვითონ რატომ სწუხდებოდი, სხვას ვისმეს გამოგზავნიდი, უმცროსებს.

— ახლანდელმა ჭაბუკებმა დავალების შესრულება როდი იციან. ამის გარდა მინდოდა ძველი მეგობრები მენახა, სხვა საქმეებიც მქონდა ამ კუთხეში.

— ოო, — გაოცებით გაიბა ვუზუკმა, უკვირდა, ნეტავ „რა სხვა საქმეები" ჰქონდა მას. ამ დროს დიასახლისმა მსუყე ხაბიძგინები შემოიტანა. კოკით წყალი მიართვა სტუმარს ხელის დასაბანად, მერე წინ ტაბლა დაუდგა, წინსაფრით მოასუფთავა. ქვაბიდან ქათამი ამოიღო და ხის თეფშით სტუმრის წინ დადო. ასეთი სტუმრისათვის ღარიბის ქოხშიც უნდა მოძებნილიყო კარგი საჭმელი.

— გვაპატიე, ყაურბეგო, ნუ დაგვძრახავ. არაფერს დავიშურებთ, თუკი რამ გაგვაჩნია. — დარცხვენით ეუბნებოდა მუზუკი თავის საპატიო სტუმარს.

— გმადლობ, ნუ სწუხდები, მასპინძელო. უკეთესი პურმარილი რა საჭირო.

პატარა მწვანე დოქიდან ზალი არაყს უსხამს. მასპინძელი და სტუმარი გრძელ, ტრადიციულ სადღეგრძელოებს ამბობენ და რიგრიგობით აპირქვავებენ წელში გაღუნულ ჯიხვის რქას.

ყაურბეგი უფრო ხშირ-ხშირად აპარებდა თვალს ზალისკენ; „მას კი სრულიადაც არ რცხვენია მისი, ისე უპირავს თავი, თითქო არაფრად აგდებს სტუმარსო. ამაყი გოგო", — ფიქრობდა ძატიათი, თან არაყი ეკიდებოდა.

ამ დროს ქოხში ვეება ნაგაზი შემოვიდა და ელოდებოდა, ლუკმა-პურს როდის გადმომიგდებენო. ზალიმ ისე დაუყვირა, რომ ყაურბეგი ადგილზე შეხტა. მუზუკი შვილს გაუჯავრდა ასეთი საქციელისათვის, შუბლი მოღუშა და მკაცრად გადახედა. პურის ჭამას მორჩნენ და კარში გამოვიდნენ. ყაურბეგი მორზე დაჯდა, ნახევრად მასხრობით და თანაც მედიდურად უთხრა მუზუკს:

— აი, ახლა გეტყვი რაშიც არის საქმე. შენ იცი ჩვენი წინაპრების ურთიერთობა. ჩემმა პაპამ მოჰკლა შენი გარეშე ბიძა. მაგრამ ამისათვის ჩვენ გადაგიხადეთ ორმაგი გამოსასყიდი. პატიკი დაგდეთ და თქვენი სისხლი უზდენთ სისხლად შეეაფასეთ. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი. ყველაფერს თავისი ფასი აქვს. ამიტომ უბაითები თვითონვე დარჩნენ ჩვენს მოვალედ.

მუზუკი კიდევ უფრო მოიღუშა და ცდილობდა არასასიამოვნო საუბარი ოხუნჯობაში გადაეტანა;

— ამბობენ, ერთი ებრაელი ძლიერ გაღარიბდა და ერთადერთ მის საქმიანობად იქცა ძველი ვალების აკრეფაო. ნუთუ ძატიათები მათ დაემსგავსნენ? — მუზუკს უნდოდა თავისი გაბედული იგავის შერბილება ღიმილით, მაგრამ არ გამოუვიდა.

ყაურბეგს არ მოეწონა მუზუკის სიტყვები და გაიფიქრა:

„დამიხვდეთ ერთი ამ ჯირკს, რეებს მიბედავს! ალბათ თეთრაძის შვილების იმედი აქვს. დამაცათ, მე თქვენ..." იგი თავის აღშფოთებას მალავს და ხმამაღლა განაგრძობს:

— აი რა უნდა მეთქვა... — იგი ჩაფიქრდა, ცალი თვალი მოკუტა და უხეშად მოსჭრა: — ამ ორსამ დღეში ჩემს ხალხს ელოდე. ისინი მოგახსენებენ დაშვრილებით, თუ რა მინდა თქვენგან!

— სტუმარი ღვთისაა, მაგრამ რა უნდა იყოს ჩვენს შორის ისეთი, რისი თქმაც შენ თვითონ არ შეგეძლოს?

— ალბათ არის, — უხეშად მიუგო ყაურბეგმა.

მუზუკის სახლში ყველამ გაიგო, რაშიც იყო საქმე და ყველას ჯავრისაგან თითქოს გულ-ღვიძლი ჩასწყდაო, ყველას სისხლმა მიასხა თავში, მერმე სისხლი უკუიქცა. ყველანი გაფითრდნენ. მაგრამ პასუხის გაცემა ვერავინ ვერ მოახერხა.

ზალიმ აღვირში მოჰკიდა ცხენს ხელი და ამაყად შეხედა ყაურბეგს:

— ვისია ეს ცხენი? მაგას ნამდვილი მხედარი შეეფერება — უთხრა ზალიმ და თვალი თვალში გაუყარა დაუპატიჟებელ სტუმარს.

— განა მე ნამდვილი მხედარი არა ვარ? ამ ცხენში ერთი ქართველი თავადი თავის დას მთავაზობდა. — არა ნაკლებ მკვახედ მიუგო ყაურბეგმა.

— საკვირველია. შეიძლება ცხენი ღირდეს მაგ ფასად, მაგრამ საქმე ის არის, როგორი პატრონისაგან ვყიდულობთ მას.

ყაურბეგისათვის ძნელი არ იყო ამ დაცინვის მიხვედრა, მაგრამ მან არ ისურვა ახლა ქალთან კამათი. ბრაზისაგან ერთბაშად გაწითლდა, ქალს აღვირი გამოსტაცა და ცხენს მოახტა. მათრახი შემოჰკრა და მუზუკის ეზოდან გაიქრა. ცალი ხელით ულვაშს იგრეხდა, თითქოს ამით ვიღაცას ემუქრებაო. გულში კი ფიქრობდა: „შავი სისხლი ყველ-

ვან იჩენს თავს. უმადური გვარია. კარგი მიღება სცოდნიათ სტუმრებისა. ვნახოთ; ბოლოს ვინ ინანებს".

სოფლის ძაღლები გამოუდგნენ მას და ხმამაღალი ყეფით მთის მოსახვევამდე მისდიეს. მთის ბოლოთ ბალახით დაფარული ვაკე ადგილი იწყებოდა. აქ მან მათრახი გადაუკირა ცხენს და მალე მიეფარა ტყეს.

IV

შეშფოთდნენ უბაითები!

სასიკეთოდ არ მოსულა ყაურბეგი! ჩანს, გულში ისევ ბოროტი რამ განზრახავა უდევს.

— უიმე, გული გრძნობს ხიფათს, — თავს იქნევდა ზალის დედა. ზალი კი სოფლიდან გავიდა, ძველ, ნახევრად-დანგრეულ კოშკთან მივიდა და ცივ ქვაზე დაჯდა. ხევში შავი ღრუბლები ჩაეშვნენ, ალბათ ქარიშხალი ამოვარდება, ქვეშთ ხმაურით გარბის მთის აქაფებული მდინარე. გაფთრებული მხეცივით ეჯახება კლდეებს, ებრძვის მათ. მერე ისევ წინ მიიწევს, გზადაგზა ლოდებს მოაგორებს და მათი გრგვინვა მთელ ხევს აყრუებს.

ზალის გული ისე ფართქალებს, როგორც მდინარე კლდეებს შორის, თითქოს მისი მკერდის გარღვევა სურსო, ხოლო მისი ღრუბლები შავ ღრუბლებსა ჰგვანან. ცალი ხელით მიწას ჩაბღაუჭებია, მეორე ხელით კი ბალახებს გლეჯს. ტუჩები მაგრად მოუკუმავს, თვალებში გამოუთქმელი სევდა და მღელვარება ჩაღვრია. ფიქრი ფიქრსა სცვლის.

— ბებერი ეშმაკი, რა სისაძაგლეა.

ოღონდაც კიდევ შეხვდეს იგი, მაშინვე ხანჯლით მუცელს გამოუფატრავს.

თოფის ხმარებაც კარგად ემარჯვება ზალის. ამას წინათ, როდესაც ნიშანში ისროდნენ, ზალი ყველაზე უკეთ აჯენდა ტყვიას ტყვიაში. აი იმ გზაზე ხშირად დადის ცხენით ის ბებერი ეშმაკი. მიფრთხილდეს, ნიშანში თუ ამოვიღე ყაურბეგი. ცოლიანია, სამი შვილი ჰყავს, ახლა ზალის წაყვანა სურს მეორე ცოლად. სურს აქციოს იგი „ნომილ-უსად". ხედავ, რა მოუნდომებია. უმალ ცა ჩამოენგრევა ყაურბეგს, ვინემ ეს მოხდებოდეს!..

რა არ გაიფიქრა ზალიმ ამ ხნის განმავლობაში. ტანში აერეოლებს, თითქოს შიშველ ზურგზე ყინულის ნატეხი შეახესო.

მაგრამ თავისას რომ მიაღწიოს?! ყველა თრთის და მუცელზე ხოხავს იმ გაიძვერა კაცის წინაშე. არა, სასიკეთოდ არ გადმოუბიჯებია მას ფეხი ჩვენს ზღურბლზე.

არა, ზალი არასოდეს არ დაუშვებს ამას. უმჯობესია კლდიდან გადაიჩეხოს იგი.

სოფლის ქალებიც მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე. ზოგი მათგანი დამცინავად ქირქილებდა ზალის ზურგს უკან. ერთმა კი აშკარად უთხრა:

— ლაღი არწივი შეფრინდა უბაითის სახლში. ვშიშობ, არ მოიტაცოს მათი მტრედი.

წინათ ზალი საკადრის პასუხს გასცემდა დამცინავთ, ახლა კი შეეცადა სასწრაფოდ გასცლოდა მათ, თითქოს არაფერი გაეგონოს, არც არავინ ენახოს. საღამოს მისი გადამთვრალი ბიძა გარსი მოეთრია შინ. ზღურბლზე ჯერ ნაბიჯიც კი არ გადმოედგა, თავი ვითომ ფხიზლად მოაჩვენა და მუზუკს მიმართა:

— კარგად არის საქმე, მუზუკო, წარჩინებული პირები ანგარიშს გვიწევენ. ამიერიდან მე და შენ არაფერი გვიჭირს.

— რა თქმა უნდა, თუკი ვინმემ შენი უძირო მუცელი აავსო, — შეუტია მუზუკმა.

— ნუ ცხარობ, ძმაო. ბედი თვითონ მოფრინავს ჩვენსკენ. პირდაპირ, როგორც ანდაზაშია თქმული: მოფრინავდა, მოფრინავდა ბედი და ნეხვის გროვაზე დაჯდა...

— ფრთხილად, შენ არ მიგიღოს იმ ქარაფშუტა ბედმა ნეხვის გროვად. — შენიშნა მას ზალიმ და ბრაზიანი თვალები შეანათა. გარსს უნდოდა რაღაც ეპასუხნა, მაგრამ სლოკინი დააწყებინა, ნერწყვი გადასცდა და გაჩუმდა.

— როგორც ჩანს, შენ ყველაფერი გცოდნია, — ისევ შეუტია ზალიმ.

— გარსმა ყოველთვის ყველაფერი იცის. გარსს კარგი ჭამა-სმა უყვარს, მაგრამ საქმეც ეხერხება და როგორი საქმე! საქმეს კარგად აგვარებს, — ტარტალებდა გარსი. — დღეს ძატიათებთან ვიყავი... ჯერ ცოტა ზურაბთან დავლიე, კარგი ხალხია ზურაბის ოჯახი. მერე იქედან გამოვედით. ყაურბეგის ბიცოლამ დამინახა, ჩოხის კალთაში მტაცა ხელი და თავის სახლში შემიყვანა, ისინიც

ქარგი ხალხია, ზედმეტია ლაპარაკი. ო, რა მაგარი არაყი აქვთ! დაგლიეთ, ვისაუბრეთ. აი სად არიან ნამდვილი უზდენები, რა სიდიდრე აქვთ! ვერც კი დაითვლი მათ ქონებას. ძალაუნებურად დააცეცებ თვალებს მათ სახლში. არ უნდა ბევრი ფიქრი, უნდა მივათხოვოთ ზალი ყაურბეგს...'

ზალის თითქოს თავში კეტი შემოჰკრესო, თვალები დაუსისხლიანდა.

— უშენოდაც გამომიჩნდებიან მფარველები, შე უშნო, გონჯო, მახინჯო! — ვერ შეიკავა ზალიმ თავი და პირველად თავის სიცოცხლეში აკადრა უფროსს უხეში სიტყვა.

— არა და მე ვიცი, რუსის მეფეს გაახლებენ სიძედ, — გაბრაზდა გარსიც.

— არ გეინდა შენი მეფეები. ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ. თავი დაგვანებე. უმჯობესია, სხვის საქმეებში ცხვირს არ ჰყოფდე, — უთხრა მეუზეკმა.

— თქვენი საქმე თქვენ უკეთ იცით, მაგრამ ამბობენ: ვირს ყურებით სუფრისაკენ ეზიდებოდნენ, ვირი კი უკან იხევდა თავის ბაგისაკენო.

— ეხ, არ მცალია შენთან უსაგნო ლაპარაკისათვის... შვილო, მომაწოდე აი ის ფსკერები კასრისა, — მიუბრუნდა მეუზეკი ზალის. ქალმა მრგვალი ფსკერები მიაწოდა და მეუზეკმაც ბასრი დანით მათი თლა და გაშალაშინება დაიწყო.

გარსი წამოდგა და თავის საწოლისაკენ ბუზღუნით გაეშურა, მაგრამ ფეხი წაიკრა, კედელს ხელი წაატანა და თავი ძლივს შეიკავა.

— ნეტავ კისერს მოიტეხდე! — ჩუმად ჩაილაპარაკა აქამდე ჯირკზე მდუმარედ მჯდარმა ზალის დედამ. იგი ჩუმად იჯდა მთელი ამ საუბრის დროს, რადგან ადათის მიხედვით, ეკრძალებოდა მაზლის წინაშე თავისი აზრის გამოთქმა და აღშფოთებას გულში იკლავდა.

აღშფოთებული იყო ზალის უმცროსი ძმაც — პატარა მწყემსი და დახეულ ქალამანს აკერებდა. როცა პაპის სანათურში ჩირაღდანი ჩაქრა, ის წელათრევით წამოდგა და შიგ ქარვისფერი, საკმეველით გაჟღენთილი კვარი ჩაარჭო. პოპანი იმ საღამოს აქ იჯდა კერასთან, მაგრამ იგი არავის არ შეუმჩნევია.

ნედლი არყის შეშა კერაში შიშინებს და კვამლი ზევით მიიმართება, ჭერის ნახვრეტში გადის და ღამის წყვდიადში იკარგება. ბნელ კუთხეში, ჩელტის იქით, სადაც ჩვეულებრივ ინაბავენ ხოლმე ხორბალს, თაგვის მოსაბეზრებელი ღრღნის ხმა მოისმის.

აულში სიჩუმე ჩამოწვა. მბოლოდ დანგრეული კოშკის იქით ძაღლი გულისწამღებად ყმეის და ქვეყეთ დაუდგროვლად ხმაურობს მთის მდინარე.

სწორედ ერთი კვირის შემდეგ უბაითების ეზოსთან მართლაც გამოჩნდა ყაურბეგის ამალა: თეორწვერიანი, პატიეცემული მოხუცები, ხელში მაღალი ყავარჯნებით.

„ჩემთვის არ ჰყავს გაზაფხული ლერწი იებით,
მძაგს, მეზიზღება ყავარჯნიანი ეს მოხეცები".

ასე უჩივის თავის ბედს ერთ სიმღერაში მთიელი ქალი. ზალი გრძნობს ხიფათს, რომელიც მოაქვთ მისთვის ამ მოულოდნელ სტუმრებს.

სტუმრებს უკანასკნელი ცხვარი დაუკლეს. არაყიც გამოძებნეს.

სიტყვას სიტყვა მოჰყვა. ასეთ დროს ჯერ უცხო საგანზე ჩამოაგდებენ ხოლმე სიტყვას. სხვა რაიზე გააბმენ საუბარს, მერე კი საქმეზე გადაელენ.

— რალა ვილაპარაკოთ, — ამბობდნენ მოხუცები, — ვერსად ნახავთ უზდენების ძატიათეაის ტოლს. შორს არის მათი სახელი გავარდნილი, თერგის ნაპირებიდან ოსმალეთამდე. მათ შეუძლიათ თავისი ოქრო-ვერცხლით მდინარის შეგუბება. მათი სახლი მდიდარია, ბეღლები — სავსე. ათასობით ცხვარი ჰყავთ. ზურგს უკან ციხის კედელივით უდგანან ქართლის თავადები. ძნელად საცნობია განგება ღვთისა, ფიქრიც კი არავის შეეძლო, რომ ძატიათებსა თუ უბაითებს შორის ისევ აღსდგებოდა ძველი მეგობრობა. და ნათესაური კავშირი.

უპალისოდ ისმენდნენ ყოველიეე ამას უბაითები. ზალი კი, მიუხედავად ადათებისა, ქოხში დარჩა და თვალებით სჭამდა მისთვის საძულველ მოხუცებს. თვითეული მათი სიტყვა ჩაქუჩივით ურტყამდა მას თავში.

— ჩვენ არა გვყავს ისეთი ქალი, რომ ყაურბეგს ხასად — „ნომილ-უსად" დაუსვათ, — მკვახედ განაცხადა მეუზეკმა.

— თავის ნათესავებს დასცინოს მან, — ვერ მოითმინა ზალიმ და ჩაება უფროსთა საუბარში, მაშინ, როდესაც მოკრძალებულ მთიელ ქალს ეს არ შეეფერებოდა.

ალმაცერად შეხედეს მას ყაურბეგის მოციქულებმა, მერე ერთმანეთს გადახედეს და სახეზე გა-

ოცება გამოხატეს: „ვიღაც ჭკუათხელი, გიჟი უნდა იყოს ეს გოგო“. შეურაცხყოფილმა და დამარცხებულმა მოხუცებმა თავისი ყავარჯნები აიღეს და ჩუმად გაბრუნდნენ შინისაკენ.

ძაღლებმა ხმამაღალი ყეფით გააცილეს ისინი, აულიდან მთის მოსახვევამდე. საქმე ამით რომ არ გათავდებოდა, ეს ადვილი მისახვედრი იყო. ვინც ყაურბეგს იცნობდა, მან კარგად იცოდა, რომ იგი შეურაცხყოფას ასე ადვილად არ დაუთმობდა უბაითის სათაკილო გვარს.

ყაურბეგი მუქარას მუქარაზე უგზავნიდა მუზუკს:

— მოვსპობ, ძირბუდიანად ამოვაგდებ უბაითის მთელ გვარს. ქვას ქვაზე არ დავტოვებ მთელ თქვენს აულში. ქართველთა, ელდარებისა და მეფის ყაზახების ცხენების ტორებით გაგთელავთ ყველას. ავიღებ მე თქვენი კერიის ღველფსა და ნაცარს და ქარს გავატან[1]. დამითმეთ ზალი, თორემ ინანებთ.

იმსჯელეს, ითათბირეს უბაითებმა და ასეთი პასუხი შეუთვალეს:

— ვიცით, რომ ძალა შენ ხელთ არის. ჩვენ კი საწყალი ხალხი ვართ და თავი გაგვანებე. გემუდარებით და გეხვეწებით ისე, როგორც ღმერთს... წინააღმდეგ შემთხვევაში თავსლაფს დასხმას ჩვენ ვერ ავიტანთ.

როდესაც მუქარამ ვერ გასჭრა, ყაურბეგმა არა ერთხელ გამოსძებნა შუამავლები, მთელს ხევში პატივცემული მოხუცები, რჩეული პირები. ისინი მოდიოდნენ უბაითებთან და ურჩევდნენ მათ:

— რატომ ართულებთ ასე საქმეს? არაჩვეულებრივი აქ არაფერია. ბოლოს და ბოლოს, ერთი გოგოსათვის განა ღირს ამდენი ლაპარაკის და დავიდარაბის ატეხა? ყველაფერს, რასაც კი მოითხოვთ, მოგართმევენ ძატიათები, ისინი მზად არიან ყოველგვარი ყალიმი მოგართვან ზალისთვის.

ისინი კი ცივ უარზე იდგნენ.

ყველაზე უფრო აღშფოთებული თეთრაძის შვილები იყვნენ, ძალღონით სავსე, ერთმანეთზე უკეთესი ჭაბუკები. თუ ვისმე თიბვაში მიეშველებოდნენ ხუთივე, უმალვე მოსთიბავდნენ სამართებელივით მთელ ყანას, მათ სასირცხოდ მიაჩნდათ, საყვარელი და „ნომილ-უსად“ დაეთმოთ, მით უმეტეს, ყაურბეგისათვის, რომელსაც დიდი ხანია უკვე, რაც ზიზღით უცქერდნენ.

ხანჯალს ლესავდა ორივე გვარი ერთმანეთის წინააღმდეგ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ემზადებოდა.

„ხიფათი არ ამორდებათ მათ“, — ამბობდნენ ხალხში.

თვალისჩინივით უფრთხილდებიან დღისით და ღამითაც უბაითები თავიანთ ქალს. ზალის მოტაცებისა ეშინოდათ. თვითონ ზალიც არ მიდიოდა შორს, შინ ჩაკეტილივით იჯდა, ავი ფიქრები უღრღნიდა გულს და შიშით მოელოდა, რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს.

ყაურბეგი პირადად მასაც ემუქრებოდა შორიდან. ერთხელ უბაითების სოფელში განგაში ატყდა:

„ჩვენ საქონელს საზაფხულო საძოვრებისაკენ მიერეკებიან“.

მთელი აული გავიდა საქონლის დასანარჩუნებლად. მთაზე „სტირ-ხოხზე“ თოფის სროლა ატყდა. ყვირილზე მახლობელ სოფლიდან მოვარდა ხალხი. ძლივს მოახერხეს უბაითებმა საქონლის დანარჩუნება. „ალბათ ყაურბეგმა დაიწყო მოქმედება“ — ამბობდნენ სოფლელები.

მეორეჯერ ჩავსაფრნენ თეთრაძის ერთ-ერთ შვილს, როდესაც იგი შინ ბრუნდებოდა. ცხენი მოუკლეს, თვითონ კი გაქცევით უშველა თავს.

მუზუკის ძმა გარსი, თუმცა სულით და გულით ძატიათების მხარეზე იყო, მაგრამ მასაც არ დაადგა კარგი დღე. წაიღო ჭურჭელი გასაყიდად, გზაში თავადებმა — ყაურბეგის ნათესავებმა, შეიპყრეს, მაგრად სცემეს, წაართვეს ცხენი და მთელი ჭურჭლეულობა, თვითონ კი მარანში ჩასვეს, იქ სამი დღე ამყოფეს და მერე ცოცხალმკვდარი შინ გაისტუმრეს.

ძლივს მილასლასებდა გარსი თავის აულში, კვნესით, ოხვრით მოპყვა, როგორ აწამეს.

ერთი კვირის შემდეგ უბაითების აულს ათი ჩაფარი და ბოქაული ეახლა. ბოქაული ცხენიდან ჩამოხტა და რუსულად დაიწყო ყვირილი. ოსმა ჩაფარმა გადათარგმნა მისი სიტყვა: „უბაითებზე საჩივარია შემოტანილი, ბრალს დებენ მათ ქურდობაში და აი მოვიდნენ ისინი, ჩხრეკა რომ ჩაატარონ“.

[1] ასეთი დასჯა ყველაზე უფრო სამარცხვინო იყო მთიელი ოსებისათვის.

თქვენი ნებაა, გაგვჩხრიკეთ, — ეუბნება მუზუკი. აბა, რა უნდა ეპასუხნა! სოფელში მამაკაცები არ არიან, ყველანი სამუშაოდ გასულან, სამი ქერსის მოშორებით.

შეუდგნენ საქმეს ჩაფრები. გამოაგორეს ეზოში ხორბლით სავსე კოდები, შიგ ხელი აფათურეს, მერე მთელი ქერი თავის ცხენებს მიწაზე გადმოუყარეს. მუზუკი გაფითრდა, თითქო ქერი კი არა, მისი სისხლი დაღვარეს მიწაზე: „ღარიბი მთიელებისათვის ქერი საღმრთო მარცვალია, ისინი ქერს იფიცებენ კიდეც. მეფის ეს უურვოჭრილი მონები კი ტალახში სვრიან მას“.

ღმერთს მაინც ნუ სცოდავთ. ეს ხომ სათესია. თქვენ კი ცხენებს აძლევთ და ფეხით სთელავთ! — ბრაზობდა მუზუკი.

ბევრი ჩაფარი ოსი აღმოჩნდა. მუზუკმა იფიქრა, იქნებ იმათ შემიცოდონო. უყავარჯნოდ მიცოცდა მათთან, შეეეედრა. ერთი ჩაფარი ახალ ჩოხა-ახალუხში გამოპრანჭულიყო. მოვერცხლილი ხმალი ეკიდა, ქერა ულვაშები გარდიგარდმო გაეწკიპა, იგი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ეტყობოდა, ბოქაულის შემდეგ, ყველაზე უფროსი ის იყო, რადგან მკერდზე მედალი ეკიდა. მან შმაგივით უყვირა მუზუკს და მათრახი მოუქნია:

— ო, შე ყაჩაღთა ნაშიერო, ყველანი უნდა ამოგწყვიტოთ კაცმა.

— ძალა თქვენს ხელშია, თქვენ ყველაფრის ჩადენა შეგიძლიათ, განსაკუთრებით უმწეო კუტი მოხუცის მიმართ.

— იცოდე, მაგ გრძელ ენას. მოგაჭრი, — ისევ უყვირა ჩაფარმა და მათრახი გადაუქირა ზურგზე... კუტი დაიგრიხა და კვნესა აღმოხდა ტკივილის გამო:

— უ, დაწყეველილებო. ნეტა ჩამაძაღლებდეთ იმათთან ერთად, ვინც აქ გამოგგზავნათ.

— არ გაათავებ როშვას, უფეხო ძაღლო! — ახლა ორი ჩაფარი სცემდა მუზუკს. მის ძველ ჩოხას მტვერი და ნაკუწები სცვივოდა. ერთმა ფიხლი ჩააყოლა გვერდში და მოხუცს სუნთქვა შეეკრა. მერე ცოცხალ-მკვდარი მიწაზე ათრიეს, ბოსელში დააგდეს და კარები გამოუკეტეს. „იღრიალე მანდ რამდენიც გენებოსო“, — მიაძახეს.

სოფელი დაცარიელდა, ქალები და ბავშვები ტყეში გაიხიზნენ.

თეთრწვერა, ყავარჯნიანი მალხაზ ყულათი ჩაფრებთან მივიდა, ეგონა მისი მოერიდებოდათ და ამდროულ კაცს მოუსმენდნენ, მაგრამ ლაპარაკი არ აცალეს, ისიც ლანძღვა-გინებით და ცემა-ტყეპით შეაგდეს ბოსელში და მუზუკთან ერთად ჩაკეტეს.

მთელი სოფელი გადააქოთეს ჩაფრებმა. საბნებს და ლეიბებს ხევდნენ. ზოგი სხვენზე ადიოდა, საწყობების კარებს ლეწდა, ზოგიც სკივრებს ამტვრევდა და რას ეძებდნენ, თვითონაც არ იცოდნენ. ძაღლების ყეფა, ცხენების ჭიხვინი, უცხო ენაზე ყვირილი, ლანძღვა-გინება ყველაფერი ერთმანეთში აირია მანამდე მშვიდ უბაითების აულში.

წაიღეს, რაც კი რამ ძვირფასი მოიხელთეს: ვერცხლის ნივთები, ხანჯლები, ქილები, ღარიბ სოფლელთა მიერ შავი დღისათვის გადანახული ფული; აივსეს ჯიბე, შესხდნენ ცხენებზე და დარბეულ სოფლიდან სიმღერით გავიდნენ.

ასე იძიებდა შურს ყაურბეგი უბაითებზე.

ზალი მწარე ცრემლებსა ღვრის, თმებს იგლეჯს, რადგან მის გამო ეწვია სოფელს ამდენი უბედურება.

თეთრაძის შვილების გარდა, ყველანი ზიზღით შესცქერიან მუზუკის ოჯახს: „თქვენ გამო ვიტანჯებითო“, — ამბობდნენ ისინი.

თვითონ მუზუკი გადატანილი წამების გამო, დიდხანს ვერ მომჯობინდა, სისხლიც კი წასდა ყელიდან. ასეთ სირცხვილს და დამცირებას ვთელი თავისი ოჯახის ამოწყვეტას ამჯობინებდა იგი.

„ვინ იცის, რას გეიმზადებს კიდევ ყაურბეგი. ასე ადვილად არ მოგვეშვება იგი, სანამ ბოლომდე გულს არ მოიოხებს... ნეტავ მარტო ჩვენზე იყრიდეს ჯავრს, თორემ მთელი სოფელი იტანჯება“, — ფიქრობს მუზუკი.

„უნამუსობა, ძარცვა-გლეჯა მეზობლებისა, აი ჩვენი უზდენების ღირსებანი. ვინც უფრო მოხერხებულად აძრობს კაცს ტყავს, — იგი უზდენია“ — ბეზღუნებენ სოფლელები. ბოლმა ახრჩობთ, საკმარისია მათ უთხრან ეს თეთრაძის შვილებს და ისინი არაფერს დაერიდებიან, მაგრამ რა გამოვა აქედან? ძატიათების გვარის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელია. — ძალა და ხელისუფლება მათ მხარეზეა. მეორეჯერ შეუძლიათ გამოგზავნონ ბოქაული, ან უარესი — კაზაკებიც. დაარბევენ და გადასწვავენ მთელ აულს. უნდა რაიმე ვიღონოთ, თორემ ჩვენი უბედურება სხვათა კარებსაც ადგება“. — ეთათბი-

რება ბუზუკი თავისიანებს. ზალის კი თავგზა დაებნა. იტანჯება, ღამით არ სძინავს. თვალზე ცრემლი არ აშრება.

„რა ქნას, როგორ მოიქცეს, თავი მოიკლას?“— არ ასვენებენ ასეთი ფიქრები, — მაგრამ ვინ იცის, გააფთრებული ძატიათი რას წაჰკიდებს ამის გამო მის ნშობლებს?! ის თავის კაცებს გზავნის, ატყობინებს: ნუ დამღუპავ, თავსაც და მთელ სოფელსაც ნუ ჰღუპავ, მზეთუნახავო. დასთანხმდი, ჩემი ცოლი გახდე და თავადური ცხოვრება ინებეო. არ უმალავს, რომ უიმისოდ ცხოვრება აღარ შეუძლია. იგი მზად არის მის გამო კლდეები და თოვლიანი მწვერვალები ააყირავოს, ყველაფერი მტვრად აქციოს.

არ იცის ზალიმ, რა ნახა ისეთი ყაურბეგმა მასში! რომელმა ავმა ძაღლმა ჩაუნერგა მისი შერთვის განზრახვა?

ძატიათების თანასოფლელები ამბობდნენ: ყაურბეგი მთლად შეიშალა და გამხეცდაო, ისე საშინლად სცემს თავის ცოლს, რომ კვირაობით წევს ლოგინად ჩავარდნილიო. ძმებსაც სწვდება მისი ბრაზი და სიშმაგე. დაითვრება და ყველაფერს ანადგურებს. საკუთარ ხელს ეცემა, თითქო კბილებით ხორცი უნდა ამოიგლიჯოსო.

კაცს კაცზე გზავნის ზალისთან ყაურბეგი და მუდარას მუქარა სცვლის.

ათას რამეს ამბობდა ხალხი. ამბობდნენ, თითქო დიდი ჯარით აპირებს მოსვლას ყაურბეგიო. დიდი ქრთამებით მოისყიდა მან რუსი ხელისუფალნი და კაზაკების მთელი რაზმი უკვე მზად არის, თავს დაესხას უბაითების სოფელსო.

რა უნდა ექნა მუზუკს. სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა დასთანხმებოდა ყაურბეგს. დასთანხმდა ზალიც. თავისი გაიტანა ავმა ყაურბეგმა.

სამოცდაათი ცხვარი და ათი ძროხა გაუგზავნა ყაურბეგმა ზალის გამოსასყიდად უბაითებს, სპილენძის დიდი ქვაბი, ერთი ფაშატი და სხვა საჩუქრები წესისამებრ.

ახლაც ახსოვთ ყაურბეგისა და ზალის ქორწილი. კვირაობით იყო გაშლილი მდიდრული სუფრები, სავსე ნაირ საქმელებითა, არაყითა და ლუდითა... მთასა და ბარშიც არ დარჩენილა არც ერთი კაცი, რომელიც მდიდარ ყაურბეგს არ დაეპატიჟნოს. იყო ქეიფი, სიმღერები, ცეკვა, თამაში, მთვრალთა ყეირილი, აურზაური...

ძატიათების დიდი დარბაზის კუთხეში, გამხმარ პატარა ნაძვივით იდგა ზალი. აბრეშუმსა და ფარჩაში გაახვიეს იგი, მკერდზე ძვირფასი ღილები უბრწყინავდა. სახეზე აბრეშუმის თავშალი დაჰხურეს და კარგადაც მოიქცნენ, რადგან ხალხი ვერ ამჩნევდა ზალის მშვენიერ თვალთაგან დადენილ ცრემლს... ასე ჰგონია, ქორწილს კი არა, ქელეხს უხდიან მას...

გავიდა ხანი, ხალისითა და სიცოცხლით სავსე ცელქი ზალი მონამორჩილ „ნოვილ-უსად“ იქცა. ყაურბეგის მაგარმა ხელმა ხელად მოსტეხა ამაყი და გამბედავი ზალი.

ასეთი ადამიანები ცხოვრობდნენ წინათ. ასეთი წესი და ადათი სუფევდა მაშინ: უზდენ,ბს — ყველაფერი, ღარიბებს კი — არაფერი.



ჩერმენ ბეჟიხათი

ქოქირთები

ეჰ, ჩემო კარგებო, დიდი ხანია, ჩემი თვალები ვეღარაფერსა ხედავენ, მაგრამ გონება ჯერაც არ მღალატობს: რაც მინახავს, ყოველივე ზუსტად მახსოვს. აი, გაიხედეთ აღმოსავლეთისაკენ. თქვენ იქ დაინახავთ ცაზე მიბჯენილ, ისარივით წვერწამახულ მთას, რომელსაც ფიდარხოხს ეძახიან. აქედან მიმავალი კაცი კუბირჯის ქედს რომ გადაივლის, დაინახავს ფიდარხოხის მთის ძირში შეყუჟულ სოფელს, ზემო ერმანს.

შორეული ამბავია ის, რასაც მე ახლა გიამბობთ. ღმერთმა ამდენი ხნის სიცოცხლე თქვენ მოგცეთ, რამდენი ხანიც მას შემდეგ გავიდა. ზემო ერმანში ცხოვრობდა ქოქირთების გვარეულობა. პატარა, ძალიან პატარა, სულ ოთხი კომლისაგან შემდგარი. ვინც იმ სოფელში ყოფილა და შემოგარენი დაუთვალიერებია, ის აუცილებლად შეამჩნევდა ერმანის ბოლოს, მდინარის გაღმა ვეებერთელა კბოდეს. ამ ადგილს ახლაც ქოქირთას ძლდეს ეძახიან. მის მახლობლად ესახლნენ ისინი. მაშინ გვარის სიდიდეს მასში შემავალი მამაკაცების რაოდენობა განსაზღვრავდა. ვისაც მეტი ქუდოსანი ჰყავდა გვარში, უფრო ძლიერი იყო, ხოლო ვისაც — ნაკლები, გაწწარებული ჰქონდა სიცოცხლე. ქოქირთების გვარეულობა მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ სხვა გვარეულობათა წინაშე ერთი უპირატესობა ჰქონდა: მათი ოჯახიდან გამოსულ კაცს ბადალი არ ჰყავდა ყოველგვარ საქმეში. ქოქირთის სახვნელს უფრო ღრმა და ფართო კვალი გაჰქონდა, ქოქირთის ცელს — უფრო განიერი სვე.

ნათქვამია, გამრჯე კაცს არასოდეს გაუჭირდებაო, მაგრამ მთლად მართალი არ უნდა იყოს ეს. ქოქირთებს გარჯა კი უყვარდათ, მაგრამ მიწა არ ჰქონდათ და უმიწოდ რა უნდა ექნათ, ხელისგულზე ხომ ვერ მოიყვანდნენ მთესავალს? იძულებულნი იყვნენ, მიწით მდიდარი ქოროთის გვარეულობიდან ოჯარით აეღოთ სახნავ-სათესი და მოწეული ჭირნახულის ნახევარზე მეტი სხვის ბეღელში ჩაეყარათ.

გადიოდა დღეები, წლები, იღვრებოდა ქოქირთების ოფლი, მაგრამ შიმშილი მაინც არ შორდებოდა ჯალაბს. ოჯახიდან გაჰქონდათ კუბოები პაპათა, შემოჰქონდათ აკვნები, მაგრამ სიღარიბე კი არ კვდებოდა პაპასავით, ჩვილის გვერდით იწვა და მასთან ერთად იზრდებოდა.

ქოქირთებს მარტო შრომაში კი არა, ეაქკაცობაშიც ვერავინ სჯობნიდა. განსაკუთრებით თოხთამ გაუთქვა გვარს სახელი. უშიშარ და ჩაფსკვნილ თოხთას არც ძალა აკლდა, არც სიმარჯვე და არც მარიფათი. დედ-მამა მალე დაუბერდა, ვერ მიეხმარნენ შვილს ცხოვრების მოწყობაში, მაგრამ თოხთამ გაჭირვებას ქედი როდი მოუხარა, მოიყვანა ცოლად ეაქკაცური ქალი რუბაონი, მასთან ერთად შეება მძიმე უღელში და ოჯახი ფეხზე დააყენა.

რუბაონი მარტო ქმრის კი არა, მისი მშობლების მოსიყვარულე დედაკაციც გამოდგა: საკუთარი ხელით აქმევდა კერასთან დამსხდარ მოხუცებს.

ბოლო დროს ერთი ჩვეულება დასჩემდა თოხთას. მუყაითი ცოლის იმედად მიატოვებდა ხოლმე ოჯახს და თვითონ გარე-გარე დადიოდა. არავინ

იცოდა, რომელ გზებსა თელავდა იგი, რას აკეთებდა, ვისთან მეგობრობდა, ვისთან მტრობდა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადი იყო ყველასთვის: თოხთა სახლში ხელცარიელი არასოდეს ბრუნდებოდა, თავისი შავი ცხენი ყოველთვის ბარდანააკიდებული მოჰყავდა.

მოგვარენი და მეზობლები თოხთას პატივსა სცემდნენ, მისი ძვირის მთქმელი კაცი არ იყო მთელ სოფელში. მართალია, ზოგი შიშის გამო ვერ ბედავდა თოხთაზე აუგის თქმას, მაგრამ დანარჩენები ხომ გულწრფელი სიყვარულით შესცქეროდნენ მას? თოხთა განა ზარმაცი იყო, გარე-გარე მხოლოდ მაშინ დაიარებოდა, როცა ალოსთავს მიაკარებდა. თიბვის დრო რომ მოვიდოდა, პირაწყობილი და ბასრი ცელი ეკავა ხელში გამრჯე კაცს. ყველაზე ადრე თოხთას. თივის ზვინები აეყუდებოდნენ ხოლმე მთის ფერდობებში. დამწიფდებოდა თუ არა თოხთას ყანა, მაშინვე ნამგლით მიუხტებოდა იგი და ჭირნახულს ბელელში დააბინავებდა. ზოგჯერ მოგვარენიც ეხმარებოდნენ, რადგან თოხთასაგან ხშირად ამის გამო საჩუქრებს იღებდნენ.

ერთხელ შორს წასულმა თოხთამ დაიგვიანა. მის ჯალაბს დარდი გაუჩნდა, გზაზე სადმე ხიფათს არ გადაეყაროსო. ცოლი ქმრის საძებრად აპირებდა წასვლას, მაგრამ ქმარმა ამ დროს თვითონ მოაჭენა ცხენი. დაბრუნებულმა ფულით სავსე ქისა მოიტანა. წელზე ისეთი ლამაზი ხმალი ეკიდა, ყველას თვალი ზედა რჩებოდა.

მეორე დღეს თოხთა სოფლის საფერხნოზე გავიდა, ახალგაზრდებში ჩაჯდა, დოინჯი შემოიყარა და ღიმილით უთხრა თანასოფლელებს:

— აბა, ბიჭებო, ვისა აქვს იმედი თავისი ხმლის, ფარისა და ჯაჭვის პერანგის, გამოვიდეს და წინ დაუდგეს ჩემს ხმალს. ორიოდე კვირის წინ ვიპოვე ფოლადის ნაჭერი და ერთ კარგ ხელოსანს მისგან ეს ხმალი გავაჭედვინე. ახლა მინდა გამოვსცადო, ღირსია თუ არა იგი, რომ ვაჟკაცმა ატაროს. თუ არ ვარგა, ხვალვე ნამგლად გადავაკეთებინებ მჭედელს.

თოხთამ გაბომწვევად გადახედა თავმოყრილ ხალხს და ხმალი ქარქაშიდან ამოაძრო.

იმ დროში, ჩემო კარგებო, ახალგაზრდობას ძალიან უყვარდა ჯირითი და ფარიკაობა. ვაჟკაცად ის ითვლებოდა, ვინც უკეთ ხმარობდა იარაღს, ვისაც კარგი ცხენი ჰყავდა და წელზე უბადლო ხმალი ეკიდა. ყველა ცდილობდა, სხვისი იარაღი დაეჯაბნა.

ახალგაზრდობამ თოხთას ყოყოჩური სიტყვები რომ გაიგონა, აენთო. ზოგმა ხმალიც კი ამოიშვერა მაშინვე, მაგრამ უფროსებმა შეაჩერეს: ყოველ საქმეს დაკვირვება უნდაო.

ხელიდან ხელში გადავიდა თოხთას ხმალი. გაუსინჯეს ფხა, წაიკითხეს ვერცხლით მოზარნიშულ ტარზე გაკეთებული წარწერა და უკანვე დაუბრუნეს პატრონს.

— ღმერთმა საბედნიეროდ გატარებინოს, კარგი ხმალია, ნამდვილი ვაჟკაცის მოსახმარი, — უთხრა ერთმა მოხუცმა. — მაგრამ ერთ რამეს გირჩევ, ჩემო კარგო, კარგი იქნება, თუ ქარქაშში ჩადებ და უდროო დროს მზეზე არ აალაპლაპებ. რად გინდა ახალგაზრდებს საჩხუბრად რომ აქეზებ? შეიძლება ამას ცუდი ამბავი მოჰყვეს და...

მეორე მოხუცმაც თითქმის ასევე უთხრა თოხთას:

— მართლაც სანაქებო ხმალია. ჩვენს სოფელში არ მახსოვს სხვას ვინმეს ასე კარგი იარაღი რომ ჰქონოდეს. მაგრამ რა საჭიროა მისი ტრიალი აქ, ხმალმა თავისი ღირსება ბრძოლის ველზე უნდა დაუმტკიცოს პატრონს, აქ კი თითქმის ყველანი ახლობლები ვართ. შეინახე, შეინახე!

თოხთა დაუფიქრდა უფროსების ნათქვამ სიტყვას და ხმალი ქარქაშში ჩააგო. გულცეცხლმა ჭაბუკებმაც დამალეს თავიანთი იარაღი.

საფერხნოზე იყო ამ დროს ერთი შუახნის კაცი, ბათუ ქოროთი. ამაყი და შეუპოვარი იყო იგი, სახელგახმაურებული ხმალი ეკიდა წელზე. ერთხანს ზვიადად უყურებდა ბათა თოხთას, მერე მან წინ წამოიწია, პირისპირ დაუდგა ახალი ხმლის პატრონს და ორაზროვანი ღიმილით უთხრა:

— ეი, ქოქირთი, რას ჩააგე ხმალი, ხომ არ შეგეშინდა? აბა, ერთი მე მაჩვენე, გავსინჯო როგორიაა მხოლოდ ერთი პირობით: ხმალი ხმალზე დავკრათ და ვისი ხმლის პირიც ჩაიკრება, იარაღი გამარჯვებულს გადასცეს, კარგი?

ბათუ ორ ხმალს ატარებდა მუდამ. ახლა მან ის ხმალი ამოიშვერა, რომელიც მარცხნივ ეკიდა. ფოლადი მზეზე ალაპლაპდა.

— რაკი შენ გინდა, მე თანახმა ვარ. — უღიმღამოდ უპასუხა თოხთამ.

იგი კარგად იცნობდა ბათუს: ბოროტი იყო ეს კაცი, ამიტომ არ უნდოდა მასთან ბრძოლა, მაგრამ ახლა მისი გამოწვევა რომ არ მიეღო, ეს ხომ სირცხვილი იქნებოდა და თოხთას ხმალიც მზეზე ალაპლაპდა:

— აჰა, დაარტყი, ბათუ, მაგრამ ისე, რომ მაგ ხმლიდან სანამგლე ფოლადის ნატეხი მაინც დაგრჩეს.

ზიზღმა გამოანათა ქედმაღალი და ამპარტავანი ქოროთის თვალებიდან.

— დამცინი, ძაღლიშვილო? — გაიფიქრა მან.— გიჩვენებ თვალის სეირს. ჩემი ხმალი შენი დასაცინი არაა.

მერე ხმამაღლა უთხრა თავის გულში ნადები:

— ზვიადო თოხთა, უმჯობესია საკუთარ ხმალს გაუფრთხილდე.

წარბებშეკრულმა ბათუმ ხმალი მაღლა ასწია.

ხალხი აწვდილ ხმალს მიაშტერდა და გაინაბა: ზოგმა ალბათ ისიც გაიფიქრა, ამ წყეულმა ეს ხმალი განგებ თავში არ ჩაჰკრას თოხთასო.

ბათუმ მთელი ძალით დაიქნია მკლავი, ხმლის ელვამ გაჰკვეთა ჰაერი და გაისმა ჭახანი.

ყველა ჩვენი მტრის ხმალი შერცხვეს ისე, როგორც მაშინ ბათუს ხმალი შერცხვა. ტირიფის ტოტივით გადაინსხვრა იგი და პატრონს მხოლოდ ტარი შერჩა ხელში.

ხოლო თოხთას ხმალს განაკაწრიც არ დააჩნდა.

გამარჯვებულმა გულში დალოცა თავისი იარაღი, ჩუმად, სხვების შეუმჩნეველად ხელიც კი გადაუსვა ისეთი ალერსით, როგორც თავის პირმშოს ეფერებოდა ხოლმე. სიამაყე და სიხარული ერთად ეხატა სახეზე.

ბათუმ ერთი მწარედ ჩაიცინა, ღვარძლიანად და უპისამართოდ შეიგინა. მერე, ვითომ გულდამშვიდებული, მიუბრუნდა თოხთას:

— ჰეი, ქოძირთის ბიჭო, ჩემს საუკეთესო ცხენს მოგცემ თავისი მოკაზმულობით, ზედ ორმოც სულ საქონელსა და ამ მეორე ხმალს დავუმატებ, ოღონდაც ეგ ხმალი დამითმე. შენ ისეთი ყოჩაღი ხარ, მასეთ იარაღს კიდეე გააქედინებ სადმე!

— ბათუ, ამ უბრალო ფოლადის ნაჭერში გასაცელელად მაგდენ სიმდიდრეს რატომ იმეტებ!— უპასუხა თოხთამ. — ჩადი დარიალში და ასეთი ხმლები იქ იმდენია, თერგში რომ ჩაყარო, მდინარეს დააგუბებ. ზოგი ჰყიდის, ზოგსაც თუ შენი ვაჟკაცობა თვალში მოუვიდა, შეიძლება გაჩუქოს კიდეც. წადი, ღმერთი იყოს შენი შემწე! ამ ხმალს კი ვერ დავთმობ. ჩემი გაკეთებულია, კი არ მიყიდია... შვილივით მიყვარს, თორემ როგორ არ დაგითმობდი.

— ჰეი, თოხთა, ძალიან ნუ გათამამდი და გაამაყდი! — კვლავ ზიზღმა გამოანათა ბათუს თვალებიდან. — კარგ ხმალს შეიძლება წინ ძაღარი ფარი დაუხვდეს და დაამსხვრიოს.

— კეთილისმსურველო ბათუ, შენ ხომ არა გგონია, მაგით შემაშინებ? მე ისიც ხშირად მინახავს, რომ მაგარი ფარი ბასრ ხმალს ჭყინტი ყველივით გაუჭრია. — მშვიდად მიუგო თოხთამ.

დაპაწრეებს შეეშინდათ, დავა ჩხუბად არ იქცეს და უბედურება არ დატრიალდესო, ჩაერივნენ საქმეში და გააზავეს ისინი.

მაგრამ საფერხნოდან წამოსულმა ბათუმ თავის შავ გულში თოხთას მტრობა ჩაიმარხა და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე ჩხუბი აეტეხა მასთან. ხშირად სხვის პირუტყვს, გზაზე მშვიდად მიმავალს, განგებ თოხთას გვარეულობის ყანებში შერეკავდა. რამდენჯერმე დაქირავებული მთიბავები ქოძირთების სათიბებს მიაყენა, ძირში გადააცელინა ბალახი და ზვინები თავის კალოზე მიატანინა.

ქოროთაანნი ბევრი იყვნენ, ასი ძალოვანი ვაჟკაცი ჰყავდათ გვარში და მცირერიცხოვანი ქოძირთები ითვენდნენ მათგან მოყენებულ შეურაცხყოფას. მხოლოდ ხანდახან თუ წაიბუზღუნებდნენ თავისთვის, კმარა ამდენი მოთმენაო, ეგ იყო და ეგ. ნათქვამია: შარიანმა კაცმა შარისათვის შარა მოხნაო. კაცს კაცთან საჩხუბარი მიზეზი როგორ დაელევა. ბათუ ყოველნაირად ცდილობდა, რომ თოხთას მოგვარეთათვის აყალ-მაყალი აეტეხა, მაგრამ ისინი კი თავს არიდებდნენ ამ უგუნურ საქმეს. სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა ვაჟკაცისაგანო, ფიქრობდნენ ისინი. თვითეულმა ჩვენთაგანმა სამ-სამი იარაღი რომ დაიკავოს ხელში, ქოროთაანნი მაინც მეტ იარაღს ამართავენ ჩვენს წინააღმდეგ და გაგვანადგურებენ სულ მთლადო. ჩვენ ერთი კოშკიც კი არა გვაქვს, რომ თავი შევაფაროთ, ქოროთების შვიდსართულიანი ციხე-კოშკი კი ცას ებჯინება, რაც არ უნდა ვეაჟკაცო, იმათ ვერაფერს დააკლებო.

აი, ამიტომ ითმენდნენ თოხთას გვარისანნი, რო-

ცა თავის ყანაში ხედავდნენ ბათუს შერეკილ საქონელს, როცა ბათუს კალოზე ხედავდნენ თავიანთ თივას. ერთი მუჭა ხორბალი თავის წონა ოქროს ერჩივნათ, უთიოდაც ვერ გადიოდნენ ოლად, მაგრამ თავს ზევით ძალა არ ჰქონდათ და მტრების ჯავრსა სჯამდნენ.

თოხთა ისევ ძველებურად დადიოდა საშოვარზე და როცა სახლში ბრუნდებოდა, ცდილობდა, ეშველა თავისი გვარისთვის, თავი წაეცლია ბათუსთვის, მაგრამ უფროსები აკავებდნენ: ეს საქმე უბედურების მეტს არაფერს მოგვიტანსო. თოხთა გულს ასკდებოდა, მაგრამ უფროსთა სიტყვას ხომ ვერ გადააბიჯებდა, ისიც ბრაზიანად სჯამდა მტრის ჯავრსა და გამწარებული ოხრავდა.

• •

დღეები დღეებს მისდევდა, თვეები თვეებს.

ერთხელ ბათუს სტუმრად ეწვია ფარსა გაგლოითი, უთაური კაცი, ცუდი ყოფაქცევის. მასპინძელი მხიარულად შეხვდა ფარსას.

ბათუმ იცოდა კარგად: თუ ქოძირთებს აშკარად მიუსევდა თავის გვარს, სისხლი დაიღვრებოდა მისი ნათესავებისაც და ახლა, როცა ფარსა დაინახა, გადასწყვიტა, ნარი სხვისი ხელით ძოეგლიჯა.

ბათუ დიდი ხანია იცნობდა თავის სტუმარს. ერთდროს მასთან ერთად გორის ველებზეც კი დაჯირითობდა და ქართულ სოფლებს ძარცვავდა. იცოდა, თუ ფარსას ქალი მოეწონებოდა, ვერაფერი დააკავებდა, სანამ თავის საწადელს არ აისრულებდა. ამის გამო ერთხელ კინალამ თავად ამილახვრის მსხვერპლიც კი გახდა.

ეს ამბავი შემდეგნაირად მოხდა: ბათუ და ფარსა ამილახვრიანთ კარმიდამოში შეიპარნენ. ბათუ მარანში შეძვრა, ფარსა კი — თავადის ასულის ოთახში. ცოტახნის შემდეგ ატყდა განგაში, მომხდურებს ალყა შემოარტყეს შინაყმებმა, მაგრამ განწირულმა ძმაკაცებმა ხმლით გაიკაფეს გზა და გაიქცნენ სოფლიდან.

ეს ამბავი მოიგონეს მეგობრებმა და ბევრიც იცინეს გარდასულ შიშზე.

ბინდდებოდა, როცა თავის საყვარელ სტუმარს გულუხვი სუფრა გაუშალა მასპინძელმა. ლხინი და ღვინის სმა შუაღამემდე გაგრძელდა. ბათუს მდიდარ სახლში არაფერი იშოვებოდა თუ მთვრალი ფარსა ცალკე ოთახში შეიყვანა მასპინძელმა, იქ გაუშალა ლოგინი და დაძინების წინ თავისი ზრახვაც გაანდო: ჩვენს სოფელში ერთი ისეთი ლამაზი ქალია, რომ დაინახო, გაგიჟდებიო. სირცხვილი შენი, ეს ქალი თუ ხელში ვერ ჩაიგდოო. უთხრა კიდეც, ვისი ცოლი იყო ეს მზეთუნახავი, ან სად შეიძლებოდა მისი ნახვა.

მიუხედავად იმისა, რომ ფარსა მთვრალი იყო, მთვრალ კაცს კი რული მალე ეკიდება, მასპინძლის ნაამბობით აფორიაქებულმა კაცმა დიდხანს ვერ დაიძინა. სურვილი ჰკლავდა, რაც შეიძლება მალე გათენებულიყო და ენახა რუბაონი.

დილით ფარსამ ცხენი თვითონ წაიყვანა წყალზე, არწყულა, დაბანა და გაატარ-გამოატარა.

წყაროსთან მოდიოდნენ ქალები, აესებდნენ კოკებს და მიდიოდნენ. ფარსა ყველას აკვირდებოდა. მოგვიანებით მოვიდა რუბაონი. ბათუს მონაყოლი დაეთხვა სინამდვილეს. ფარსამ იცნო ეს ქალი და მიუახლოვდა მას.

— კეთილო ქალო, მართალია, წესი არაა უცნობ ქალს რაიმე სთხოვო, მაგრამ ბოდიშს ვიხდი და... თუ შეიძლება თქვენი დოქით წყალი დამალევინეთ. — მორიდებით უთხრა ფარსამ რუბაონს და თან ქურდულად ააყოლ-ჩამოაყოლა თვალები.

— ბოდიშს რატომ იხდით... მიირთვით. — რუბაონმა წყლით სავსე დოქი გაუწოდა ფარსას.

ფარსამ დოქი პირზე მიიყუდა, მაგრამ წყალს როდი დაეწაფა, ქალს მიაჩერდა ხარბად, ლამის თვალებით შეეჭამა.

ლამაზი იყო რუბაონი. მაგრამ ეს სილამაზე ღმერთს მისთვის იმიტომ მიეცა სწორედ, რომ ამის გამო უბედური გამხდარიყო იგი:

პირზე დოქმიყუდებული ფარსა ლამაზი ქალის ეშხსა სვამდა თვალებით და ისე თვრებოდა, თითქოს ეს ეშხი თავანკარა არაყი იყო. ერთხანს გაბრუებულივით იდგა, მერე ცალი ხელით დოქი მიაწოდა ქალს და მეორე ხელი მკლავზე წაატანა:

— რუბაონ, მე შენ დიდი ხანია გიცნობ, გითვალთვალებ და მეცოდები, ისეთი უბადრუკი გვარის კაცს რომ ჰყავხარ ცოლად. შენს ქმარს ხეირიანი სახლიც კი არა აქვს, სხვას რომ თავი დავანებოთ, შესაბრალისი ხარ მის ხელში. ფარჩაატლასებით მოგრთავ, დედოფალივით გაცხოვრებ, თუ დამეთანხმები და ახლავე ერთად გავიქცეთ აქედან. რა დაგიკარგავს ამ ფიდარხოხის მთებში, ვაკეზე ცხოვრება არა სჯობია? მიაფურთხე აქაუ-

რობას და წამოდი ჩემთან. მიიღე ჩემი გული მთლიანად და სამაგიეროდ შენი მომეცი. მე გაგლოითი ვარ გვარად. ეს გვარი ხომ იცი, რა მდიდარი და დიდებულია. ამ გვარში კიდევ პირველი კაცი მე ვარ. შენ არ იფიქრო, თითქოს მე რომ გამომყვე, ამას ცუდ საქციელად ჩაგითვლის ხალხი, პირიქით, შენ შეგიძლია იამაყო კიდეც, რომ დიდგვაროვანი კაცის ხელში მოხვდი... შენს ბედნიერებაზე ალაპარაკდება მთელი დუნია...

ქალი წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ფარსამ მაინც მოახერხა, რომ მისთვის ხელზე ეკოცნა. ძვირად დაუჯდა ეს კოცნა. რუბაონმა დოქი ისე დაარტყა მკერდზე მოძალეს, რომ კაცი გადაბარბაცდა, ჭურჭლის ნატეხები კი მიწაზე დაცვივდა.

ცოტახნის შემდეგ რუბაონი ბილიკით სახლისკენ გარბოდა, შემცბარი ფარსა კი დარეტიანებულივით იდგა და თვალებით მისდევდა ამაყ ქალს.

— დედაც შეგყრია ცოლად, შე უწმინდურო! — დაუძახა შორიდან რუბაონმა და კლდეს მიეფარა.

ფარსას ცხენმა ისე დაიჭიხვინა, თითქოს ეინმეს დასცინოდა.

• •

რუბაონმა გადააბიჯა თუ არა სახლის ზღურბლზე, თავი ვეღარ შეიკავა და გამწყრალი ხმით აყვირდა. უმწიკვლო სახელის მატარებელ ქალს გული აუდუღდა მეტი გაბრაზებისაგან. მერე ცოტა დაცხრა, მანდილი მოიხსნა და კერის ქვანე დააგდო:

— შვიდი ჯოჯოხეთი გაიაროს იმან, ვინც მე ამ საპყარ ხალხში შემოპიყვანა! რას ჰგავს ეს, რას?! ყველა ჩვენ უნდა დაგეცქეროდეს მაღლიდან და თავში გვირტყამდეს? ყველა გამელელი და ვიგინდარა ჩვენს ქალებს უნდა ეპოტინებოდეს და კაცები კი სდუმდნენ? ყველამ ჩვენ უნდა დაგვჩაგროს? რას ჰგავს ეს, რას?

ჩემო კარგებო, მე წელანაც გითხარით, ქოძირთები პურით ღარიბები იყვნენ, მაგრამ სიამაყე კი არ აკლდათ. გაიგეს ამბავი და თოხთას წინაშეძღოლობით ფარსას სოფლის ბოლოზე დაეწიენ. გაგლოითმა ჯერ თოფი ესროლა მათ, მერე ხმალიც იშიშვლა, მაგრამ თოხთამ ამ ხმლის ერთი მოქნევაც არ აცალა, ისე გააგორა ფარსას წაჭრილი თავი მიწაზე.

ასე გაუსწორდა ვაჟკაცი თავისი ცოლის და გვარის შეურაცხყოფელს.

ქოროთაანნი აღზევდნენ სტუმრის ჭკვლელებზე შურის საძიებლად.

როგორც სიკეთის, ისე ბოროტების სადავე, ორივე, ხალხს უჭირავს ხელში და თუ ხალხი მოინდომებს, თავის ნებაზე წაიყვანს ყველაფერს. მტრად გადაკიდებულ გვართა შორის ხალხი ჩადგა და გააზავა ისინი.

გაგლოითებს რა უნდა ექნათ, წაასვენეს თავიანთი კაცი.

დაწყნარდა ყველა, მხოლოდ ბათუ ისევ ძველებურად მძვინვარებდა. წავიდა გაგლოითებში და დაუწყო მათ შეგულიანება: იმ ღარიბ-ღატაკებსა და საპყრებს აჩაგვრინებთ თავსო!

რაკი ფარსა მოკვდა, ბათუმ მოინდომა ახლა მისი გვარეულობის საშუალებით მოეგლიჯა ნარი, იავარეყო ქოძირთები. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ თუ ქოძირთებს შორეული სოფლები გაანადგურებდნენ, ქოძირთების კუთენილი მიწები მის ხელში გადავიდოდა ჩალის ფასად და ასე გულმოდგინედ ამიტომ ჩარხავდა შავ საქმეს.

ბევრი ტკბილი და მწარე საუბრის შემდეგ ბათუმ, როგორც იქნა, აამხედრა ფარსას გვარისანი თოხთას გვარის წინააღმდეგ.

შემოდგომაზე გაგლოითებმა ქუდზე კაცს დაუძახეს, შესხდნენ საუკეთესო ცხენებზე და წამოვიდნენ შურის საძიებლად. ისინი იმაზე მეტი იყვნენ, ვიდრე ტყეში ფოთლებია. ამ მრავალრიცხოვან მხედრებს თავისი გვარის კაცებიც მიუმატა ბათუმ. საავდრო ღრუბელივით მიადგა სოფელს ამხედრებული შურისძიება.

ქოძირთებმა არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, თუ რა უბედურებას უმზადებდნენ მათ, მაგრამ ერთ რამეში კი თავიდანვე იყვნენ დარწმუნებულნი: გაგლოითები არ მოასვენებდნენ, სანამ შურს არ იძიებდნენ. ამის გამო ისინი ყოველნაირ ხერხსა ხმარობდნენ, რათა გაგლოითები როგორმე შეერიგებინათ თავის გვარეულობასთან, არ უნდოდათ უბრალოდ სისხლის დაღვრა, მაგრამ გაგლოითებმა ქოძირთების ყოველგვარ თხოვნას დუმილით უპასუხეს, შორს დაიჭირეს თავი.

ქოძირთებმა ისიც კარგად იცოდნენ, რომ მათ გვარს ერმანის მიწაზე უშიშრად ცხოვრება აღარ შეეძლო, რადგან ფარსას მოკვლით მარტო გაგ-

ლოითები კი არა, ქოროთებიც სამარადისოდ გადაიკიდეს სამტროდ, მაგრამ ჯერჯერობით გასაქცევი გზა არა ჰქონდათ და ჭირნახულის აღებამდე ისევ აქ იცდიდნენ. იცდიდნენ და მუდამ მზად ყოფნენ თავდამსხმელებისაგან თავის დასაცავად.

ამხედრებული გაგლოითები ველური ყიჟინით შეესიენ ქოძირთების სახლებს. ცეცხლმა გაანათა მთები. ხანძრიდან გამოცვენილი ქოძირთები არ დაიბნენ, თოხთას ხელმძღვანელობით დაირაზმენ და შეუტიეს მომხდურებს. თავგანწირულნი იბრძოდნენ, რადგან მესამე გზა აღარ ჰქონდათ: ან უნდა დახოცილიყვნენ მთლიანად, ან გაემარჯვებინათ.

დამხვდურებმა ყველა ადგილი ხელისგულივით იცოდნენ და ეს დიდ უპირატესობას ანიჭებდა მათ, რადგან მოხერხებულად იცავდნენ თავს და უტევდნენ მომხდურებს.

სისხლი სისხლზე იღვრებოდა, მკვდარი მკვდარზე წვებოდა, ბრძოლა თანდათან ცხარდებოდა.

თოხთას რაზმმა გაგლოითებს უკან დაახევინა, კლდის იქით ხევში შეკრა და უწყალოდ დაუწყო ძლეტა. ბავშვები ქვებს აგორებდნენ და ისე აზიანებდნენ მტრებს.

ელავდა თოხთას პირბასრი ხმალი. ბევრ გაგლოითს დაუღამა სიცოცხლე ამ ხმლის ელვამ. სისხლი ნაკადულებად დაეშვა ხევში.

მაგრამ, ჩემო კარგებო, ხომ გაგიგონიათ, ერთი კაცის წინააღმდეგ ორი კაცი უკვე ჯარიაო. გაგლოითებმა-და ქოროთებმა ბოლოს და ბოლოს აჯობეს მცირერიცხოვან ქოძირთებს და ამ გვარიდან ერთი კაციც აღარ გაუშვეს ცოცხალი.

ბავშვები დაიჭირეს, მიიყვანეს კლდესთან და თავები ხმლით წააჭრეს. მერე ეს თავები ხევში დააგორეს სათითაოდ. ველურად ხარხარებდნენ, ყვიროდნენ და სისხლიან ხმლებს იქნევდნენ.

ბოლოს რაკი დარწმუნდნენ, რომ გვარი მთლიანად ამოძირკვეს, თუ რამე გააჩნდათ ქოძირთებს, მობოჭეს, თავიანთი მკვდრები ურმებზე დააწყვეს და წავიდნენ სოფლიდან.

ბათუს აღარ დასცალდა თოხთას მიწის დასაკუთრება, თოხთამ თავი წააცალა თავის შეურიგებელ მტერს და ხევში გადააგდო. მისი ტანი წყალმა წაიღო, ისე რომ, სხვისი მიწის დასაკუთრების მდომელს საკუთარ მიწაში დამარხვაც არ ეღირსა.

• •

როცა ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა, ქოძირთების ქალები ხეობიდან გაიქცნენ, ზოგი სად და ზოგი სად...

დიდხანს იბრძოდა რუბაონი, ქმარს უდგა გვერდში, სანამ თოხთა თავგაჩეხილი არ დაეცა ძირს.

თოხთამ მხოლოდ ორი სიტყვის თქმა მოასწრო სიკვდილის წინ:

— ბავშვს უშველე!..

და აი, ახლა რუბაონი ბილიკზე გარბის. ზურგზე გუდა ჰკიდია, გუდაში კი მატყლში გამოხვეული ჩვილი უწევს, მისი ერთადერთი შვილი. ბავშვი უკვე კი არ ტირის, ხმაწართმეული ჩხავის. მაგრამ დედას სად სცალია, რომ მას მოეფეროს... გარბის და გარბის გამწარებული, თითქოს უკან სიკვდილი მისდევს... თუ დაეწია, ამ ბავშვს წაართმევს, წაართმევს და მის მოჭრილ თავს ხევში დააგორებს... არა, ვერ დაეწევა სიკვდილი რუბაონს... გარბის და გარბის დედა... ქვებზე გადაფლეთილი ფეხისგულებიდან დაღვრილი სისხლის ბაწარი უკან მიჰყვება და მაინც გარბის, გარბის როგორც შეშლილი...

ეს ვინაა, ვინ გადაუჭრა გზა რუბაონს?! სიკვდილმა უყველა?! ჰო, ისაა, ის სწორედ...

შუაბნის გაგლოითი ხმლით წინ გადაუდგა რუბაონს და შეაჩერა:

— სად გარბიხარ? რა მიგაქვს გუდით?

რა უთხრას? ჩემი და ჩემი გვარის სიცოცხლე მიმყავსო?! არა, ამას ვერ ეტყვის. სხვა რამე უნდა უთხრას, მაგრამ რა? რა მოიგონოს ამ წუთში? აბნეული აქვს გონება, თვალებში ბურუსი უდგას, ვერაფერს ვერ ხედავს ამ კაცის გარდა...

— დედა ხარ, დედა, მოიფიქრე რამე, ნუ იბნევი! — ეუბნება ვიღაც უხილავი.

ჰო, უნდა მოიფიქროს რამე, მაგრამ რა?

უცებ გაიღიმა რუბაონმა:

— ძვირფასო ადამიანო, რა გინდა ჩემგან? რა უნდა მიმქონდეს? მცირე მატყლი მიმაქვს და ფისუნია მიმყავს, ჩემი საყვარელი ფისუნია...

ქვეყანაზე კეთილ ადამიანს რა გამოლევს. აშკარად ეტყობოდა ამ კაცს მიხედა რა ფისუნიაც მიჰყავდა ქალს, შეეცოდა იგი და ... უყვავა:

— ამ კატის ამარა დარჩი, შე ს ...ოდაკო? წადი, წადი შენს გზაზე. ნუ გაიქცევი, გული არ

გაგისკვეს. ნუ გეშინია, უკან აღარავინ გამოგედევნება.

გზა დაულოცა და გაუშვა იგი.

სალამოზე უკვე თავისი მამის სახლში იყო რუბაონი.

ამ დღის შემდეგ შაევები აღარ გაუხდია, გლოვობდა ქმარს. ბევრი მთხოვნელი ჰყავდა, მაგრამ აღარ გათხოვდა. შვილის აღზრდას შეალია მთელი სიცოცხლე. მისი ვაჟი მამაზე უკეთესი გახდა. ჰედი დაარქვა დედამ.

ჰედიმ კვლავ მოამრავლა თავისი გვარი. იმ ბავშვის ერთი ჩამომავალი, როგორც გამიგონია, დიდი მეცნიერი გახდა.

ასე გადაშენდნენ ქოძირთები სოფელ ერმანში. მხოლოდ ერთი კლდე დარჩა მათი გმირული სახელის მოსაგონებლად.

კარგი კაცის სახელი და კლდე კი საუკუნეების ვანმაელობაში არ ცვდება.

ბრძოლა მიწისათვის

აი, აქეთ გაიხედეთ, მდინარის ახლოს რომ მინდორია, დააკვირდით: იმ მინდორში დგას ჰატარა ჯიხური, რომელსაც აქაურები „ტბადცაცილას" ეძახიან. ეს ჯიხური სამლოცველოა, ღმერთმა ნუ მოგაკლოთ მისი მადლი და ცხოველმყოფელი ძალა. სამლოცველოს პირდაპირ, გამოღმა, აყუდებულ კბოდეზე, ფიქვის ტყესთან მოჩანს ნანგრევები. აქ მდგარა ოდესღაც ქობეთთა მაღალი კოშკი. თქვენ ალბათ თვალი კარგად გიქრით და შეამჩნევთ შორიდანაც, რომ იმ ნაკოშკარის წინ ოდესღაც იქ მდგარი სახლების ნაკედლარებია. იმ სახლებში ცხოვრობდნენ ქობეთები.

ამ გვარს ცალკე უბანი ეჭირა სოფელ მასგუთის გვერდით. ფიქვნარის იქით იყო მათი სახნავ-სათესი მიწები. აი, დღესაც იმ მინდორს „ქობეთებისეულს" ეძახიან. ახლა ეს ადგილი წვიმისაგანაა გადარეცხილი, ქარმა გამოაშრო და დროემმა გააბერწა. ვინ იფიქრებს, რომ ეს — პირუტყვის საბალახო მინდორი ოდესღაც მშვენიერი საყანე მიწა იყო? ასე ულმობელია დრო, ყველაფერსა სცელის.

ძველად, ჩემო კარგებო, მიწის დამუშავების მეტი არაფერი იცოდა ხალხმა და ამიტომ ყველას აკლდა მიწა. სიმართლე რომ ვთქვათ, ჩვენს მიწაზე მაშინ ხალხიც მეტი იყო. მაგრამ შემდგომ ოსების ნაწილი ქოლითისა და ალბეგათის გვარეულობებმა ეავარჰყვეს, ნაწილი მიწის სიმცირის გამო აქედან გადაიხიზნა, ზოგი საშოვარზე წავიდა და აღარ დაბრუნდა, ზოგს ვიღაცის სისხლი ემართა და შურისგებას გაექცა.

მიწა იყო კაცის ბედნიერებაც და უბედურებაც.

სახნავი მიწისათვის ბრძოლამ ჩაყარა უბედურების შავ ცეცხლში ქობეთის გვარიც:

სულ ცხრა სახლი ჰქონდა ამ გვარს. ამათგან მხოლოდ ერთი სახლი იყო მრავალსულიანი: შვიდი ძმა დასტრიალებდა თავზე ერთ კერას. ძმები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მამაცობასა, სიმარჯვესა და მოქნილობაში. შვიდიეს გამრჯე კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მაგრამ ისინი ზოგჯერ საუგო საქმეთა კეთებასაც არ ერიდებოდნენ.

ნაქერ-ნაქერ იყო გაბნეული ძმათა ყანები. ამ ყანებში მათ ომაზე მეტი მოსავალი მოჰყავდათ, ვიდრე სხვებს დიდ ყანებში. მათი პირუტყვიც უფრო მსუქანი და ღონიერი იყო, ვიდრე სხვების.

როგორც გითხარით, იმ დროს მიწა არა ჰყოფნიდა ხალხს. მიწას სისხლის ფასი ედო. შვიდ ძმასაც, რასაკვირველია, მხოლოდ ეს ჰქონდა საადარდოდ.

ერთხელ, სწორედ ამ ერთი მტკაველა მიწის გულისთვის, ატყდა დავა ქობეთისა და ბერსაგათის გვარეულობას შორის.

ბერსაგათები მდიდრები იყვნენ სახნავ-სათესით, ქობეთები კი—ღარიბნი. განსაკუთრებით ამ მხრივ ცუდად ჰქონდა საქმე შვიდ ძმას, რომელთაც მამამ მცირე ავლადიდება დაუტოვა და ისიც შვიდად გასაყოფი.

ძმებმა ცოლები მოიყვანეს, ჯალაბი გაამრავლეს, მიწა კი ვერ გააღიდეს და ამის გამო ხშირად შიმშილობდნენ კიდეც.

ერთხელ ძმებმა გაიგეს, რომ ესა და ეს მიწის ნაკერი ოდესღაც ქობეთებს ეკუთვნოდა და ბერსაგათებმა მიისაკუთრესო. ადგნენ და დახვნეს იგი.

ბერსაგათებს ეგონათ, იჯარით აიღეს ეს მიწა და გადასახადს მოგვცემენო, მაგრამ ძმებმა ყანა მომკეს და მთლიანად თავის სახლში წაიღეს მოსავალი.

ბერსაგათები თავზეხელაღებული ხალხი იყო, ვინმესთან ჩხუბის ატეხა კარგ სუფრას ურჩევნოდათ. რაკი მცირე ბიზეზი იპოვეს, მიუხტნენ ძმებს სახლში და ერთი ამბავი დააწიეს:

— ეი, ვირებო, ჩვენს მიწაზე რომ მოსავალი მოიყვანეთ და მთლიანად თქვენს ბეღელში ჩაყარეთ, ვინ მოგცათ ამის უფლება?! სიცოცხლე თუ მოგძულდათ, ეგ სხვა ამბავია, თორემ ასეთ სისულელეს თქვენს მეტი ვინ გააკეთებს!

ქობეთებმა აუღელვებლად აუხსნეს მომხდურებს, რომ ეს მიწის ნაკერი ოდესღაც ჩვენს გვარს ეკუთვნოდა და შემდეგ ბერსაგათებმა უკანონოდ მიითვისესო. თუ არა გჯერათ, ჩვენი სადავო საქმე სოფლის თავკაცებს გავარჩევინოთ და როგორც ისინი იტყვიან, ისე მოვიქცეთო.

გადიდკაცებულ ბერსაგათებს ამის გაგონებაც არ უნდოდათ. ერთმა მათგანმა კერის თავზე ჩამოკიდებულ ჯაკვსაც კი წამოაღო ხელი: აი, ამას წავიღებ ჩვენი მიწის სარგებლობის საფასურშიო. მოკლედ, ოჯახის დანგრევით დაემუქრა მათ, ააფორიაქა მთელი ჯალაბი.

პირველად ქობეთები მორიდებით ელაპარაკებოდნენ მდიდარი გვარის წარმომადგენლებს, მერე რაკი ბერსაგათებმა მთლად აიღეს ნამუსზე ხელი, აიმაღლეს ხმა.

ხმის ამაღლებას ყვირილი მოჰყვა და ყვირილს — ჩხუბი. ერთმა ბერსაგათმა მათრახი აატყლაშუნა, მაგრამ მას მაშინვე ეცნენ ძმები, წამოაქციეს, და მიართვეს რაც ეკუთვნოდა: ცემით დაულილავეს გვერდები.

მეორე დღეს ქობეთებმა ბერსაგათების საპატივცემოდ სუფრა გაშალეს, ბოდიში მოუხადეს იმის გამო, მათი კაცი რომ შემოელახათ, თავი დაიმცირეს მეტოქეთა წინაშე, რათა საქმე კეთილად და მშვიდობიანად დაებოლოვებინათ, მაგრამ ამაყმა ბერსაგათებმა ყური არ ათხოვეს მათ ბოდიშს, პურ-მარილსაც წიხლი ჰკრეს.

ამის შემდეგ სიცოცხლე გაუჭირდათ ქობეთებს. ბერსაგათებმა წაართვეს პირუტყვი და სარჩო-საბადებელი. ძველად საიჯაროდ მიწებს აძლევდნენ მათ, ახლა ამაზეც უარი უთხრეს. ქობეთებს შიმშილისაგან წელი გაუწვრილდათ, ლოყები ჩაუცვივდათ და არაქათი გამოელიათ. თქვენს მტერს ჰქონდეს საქმე ბერსაგათებისთანა ხალხთან. სხვისგან მცირე საყვედურსაც ვერ იტანდნენ. ერთმანეთს უმაგრებდნენ ზურგს. ხუმრობა ხომ არაა: სამოცდათხ კომლად ცხოვრობდნენ, შვიდი შვიდსართულიანი ციხე-სიმაგრე ჰქონდათ და ასზე მეტი მეომარი ჰყავდათ. შემოგარენის მცხოვრებნი მათი შიშითა ძრწოდნენ. ამბობენ, ფრინველებსაც კი ეშინოდათ ბერსაგათების კოშკებთან ფრენა და ცა ქუხილს ვერა ბედავდაო.

ქობეთები საგონებელში ჩაადგა ამ გვარის გადამტერებამ. როდემდე უნდა მოეთმინათ ამდენი შეურაცხყოფა მათგან? აჯანყებულიყვნენ და რას გახდებოდნენ ბერსაგათებთან?

გამართეს თათბირი.

წამოდგა ერთი მოხუცი და ძმებს მიმართა:

— მთელი გვარი ღლუპება თქვენს გამო. სხვას რას შესჩერებიხართ პირში, ნათქვამია, ძაღლი ვინც მოკლა, იმანვე გადაათრიოსო, თქვენვე ღონეთ რამე და როგორმე შეურიგდით ბერსაგათებს, ან თავები დაყარეთ მათ წინაშე. სხვა გზა არ არის.

— არის კიდევ ერთი გზა. — სთქვეს ძმებმა და გადასახლდნენ სხვა სოფელში, ქვემო კუგომში დაიდგეს პატარ-პატარა ქოხმახები.

ბერსაგათები ცოტა დაწყნარდნენ, რაკი შვიდი ძმა თვალში აღარ ეჩხირებოდათ.

გული დაიმშვიდეს ძმებმაც. ბოძებნეს ერთი ქვა-ღორღიანი, შამბით დაფარული მიწა, გაწმინდეს და ასე, ჯოჯოხეთური ჯაფით ყანა გაიჩინეს. ისე პატარა იყო ეს ადგილი, როგორც იტყვიან, თაგვი კუდს ვერ შეზოგაბრუნებდა და საჭვნელით მუშაობა ხომ სულ არ შეიძლებოდა: ძმები თოხებითა და ბარებით ჩიჩქნიდნენ ნაყამირალს.

უბედურება და სიღარიბე კვალდაკვალ მისდევდა მათ ცხოვრებას, მაგრამ გულს მაინც არ ეტეხნენ, ქედს არ იხრიდნენ ბედის წინაშე.

კოშკების უბადლო მშენებლები იყვნენ ძმები. ხშირად ამ შრომით არჩენდნენ ოჯახებს. ერთხელ

გადასწყვიტეს, თავისთვისაც აეშენებინათ კოშკი. მოზიდეს ქვა და შეუდგნენ საქმეს. მეოთხე სართულს აშენებდნენ, როცა მაღლიდან გადმოვარდნილმა ლოდმა თავი გაუტეხა უფროს ძმას. დაჭრილი სახლში წაიყვანეს.

ავადმყოფი, ცოტა რომ მომჯობინდა, წამოჯდა საწოლზე და ძმებს უთხრა:

— ჩემო ძვირფასებო, როგორც იცით, მალე დადგება თუთიერის დღეები. კარგად შემიხვიეთ თავი, ზედ ფაფახი დამახურეთ ისე, რომ დოლბანდი არ მიჩანდეს და წამიყვანეთ მასგუთში. იქ, ვიცი, სხვადასხვა თამაშობა გაიმართება. ბერსაგათებიც იქ იქნებიან. გამოვიწვიოთ სათამაშოდ. თამაშობის დროს, ვიცი, რომელიმე ბერსაგათი ხელსა მკრავს, მე მაინც ხომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერია, წავიქცევი, ამ მტკივან თავს ქვაზე დავახლი და ჩემი სიკვდილი მათ დაბრალდებათ. ჰოდა, ჩემი სისხლის სანაცვლოდ მოსთხოვეთ ბერსაგათებს მიწა, თორემ ასე გაჭირვებულად როდემდე უნდა იცხოვროთ? რატომ შეცბით, ჯენაზეებათ ჩემი სიკვდილი? ნუ დარდობთ, სულ ერთია მალე წავალ ამ ქვეყნიდან და არ მინდა უბრალოდ მოკვდე, მსურს ჩემი სიკვდილიც კი თქვენთვის სასარგებლო გაეხადო.

დადგა თუთიერის დღეები. ამ დროს ხალხი სხვადასხვა თამაშობებით ერთობა ხოლმე. ახლომახლო სოფლებიდან დიდები თუ პატარები მასგუთში მოდიან და ერთმანეთს ვაჟკაცობასა და მოლხენაში ეჯიბრებიან.

ამ დღეს ძმებიც მივიდნენ მასგუთში და ისე მოიქცნენ, როგორც უფროსმა ძმამ ურჩია. ბერსაგათებს სთხოვეს, ხელის ჯიკაკობანა ვითამაშოთო.

ბერსაგათებმა პირველად ტუჩი აიბზუეს; რა თქვენი ტოლები გვნახეთო, მაგრამ შემდეკ მთიელთა ადათს სცეს პატივი, სტუმრები არ გააწბილეს და გამოწვევა მიიღეს.

თამაშობის დროს ერთმა ბერსაგათმა ხელი ჰკრა თავდაზიანებულ ქობეთს, იგი განგებ იქითკენ გადაბარბაცდა, სადაც ხორკლებიანი ლოდი ეგდო, წაიქცა და ქვაზე დაასხა ტვინი. ასრულდა მისი ნათქვამი სიტყვა.

მაგრამ დანარჩენმა ძმებმა წინდახედულება ვერ გამოიჩინეს. რაკი დაინახეს მკვდარი ძმა, ეცენ აენთნენ, მიცვივდნენ ბერსაგათებს და ერთი მათგანი იქ გააგზავნეს, საიდანაც აღარავინ ბრუნდება.

სანამ ხალხი ჩადგებოდა მათ შორის, ბერსაგათებმა უფროს ძმას ორი უცროსი ძმაც მიუწვინეს გვერდით. ეს რომ დაინახეს, ჩხუბში ჩაერია მთელი გვარი ქობეთებისა და შეიქმნა საშინელი სისხლისღერა. ხალხს რომ არა, ამ დღეს მთლიანად ამოწყდებოდა ქობეთების გვარი, ისე აღზევდნენ ბერსაგათები.

შვიდი ძმიდან მხოლოდ ოთხი დაბრუნდა სახლში ცოცხალი.

ორი გვარი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა ერთიმეორეს. ამის შემდეგ ქობეთებმა კიდევ მოკლეს ერთი ბერსაგათი, სამაგიეროდ ბერსაგათებს მხოლოდ ერთი ძმაღა გადაურჩა ცოცხალი, ექვსი საიქიოს გაისტუმრეს. ამასაც არ დასჯერდნენ, გადასწყვიტეს, მთლიანად მოესრათ ქობეთების შთამომავლობა, ამოებუგათ თავიანთ სახლებშიეე.

ხალხი ცდილობდა, როგორმე შეერიგებინა ეს ორი გვარი. ყველა გაიძახოდა: მთავარი დამნაშავენი ამ საქმეში ქობეთები არიან და თუ არ უნდათ, სულ ამოწყდნენ, ქედი უნდა მოიხარონ ბერსაგათების წინაშეო.

მთიელთა წესის მიხედვით, თუ რომელიმე გვარს მეორე გვარის კაცი თამაშის დროს შემოაკვდებოდა, ეს სისხლის აღებას არ მოითხოვდა. ამ შემთხვევაში საქმე მშვიდობიანად უნდა დამთავრებულიყო: დაზარალებული გვარისთვის დამნაშავე გვარს გამოსასყიდი უნდა გადაეხადა: უნდა მიეცა მიწა, პირუტყვი ან სხვა რამე.

ახლა რაკი წესი თეითონ ქობეთებმა დაარღვიეს, ბერსაგათებს რამდენი კაციც არ უნდა მოეკლათ ქობეთების გვარიდან, პასუხს არ აგებდნენ. ნათ იმის საბაბიც კი ჰქონდათ, მთლიანად გაენადგურებინათ ეს გვარი და ხალხს კი მათი საქციელი დანაშაულად არ ჩავთვალა.

მიხვდნენ ქობეთები, სხვა გზა აღარა ჰქონდათ, ხალხის თანდასწრებით ბერსაგათების წინ მუხლი მოიყარეს დ ამოიგმინეს.

— რაც გენებოთ, ის გვიქენით, მხოლოდ ერთს გთხოვთ, ჩვენს გვარს მთლიანად ნუ ამოძირკავთ

ხარბი გული ჰქონდათ ბერსაგათებს. მართალია, ქობეთების თხოვნა შეიწყნარეს, მაგრამ სულს იქით არაფერი შეარჩინეს. წაართვეს მთელი ქონება, საწინდრად მათი ქალიშვილებიც კი წაიყვანეს და მოახლეებად დაისვეს სახლში.

ამ მიწაზე ფეხის დასადგმელი ადგილიც აღარ ჰქონდათ ქობეთებს და იძულებულნი გახდნენ, შორეულ ქვეყნებში გადახვეწილიყვნენ. გაპარტახდა მათი ნასახლარები.

აი, ასე აწვიმდა სისხლი და ცრემლი იმ მიწას, რომლისთვისაც ხალხი ერთმანეთს ებრძოდა.



ლაბე მამსრათი

დიდება

მისი ნამდვილი, ანუ როგორც თანასოფლელები ამბობდნენ, „საზეიმო“ სახელი ყუდაბერდი იყო. მაგრამ არც ახლობლებმა და არც სხვა სოფლის მცხოვრებლებმა ამ ნამდვილი სახელის შესახებ არაფერი იცოდნენ. ერთხელ სოფელში ყუდაბერდი ბურაითის სახელზე წერილი მოვიდა. ფოსტალიონი ადგილობრივი მცხოვრები იყო, მაგრამ მაინც დაიბნა. არ იცოდა, ვისთვის ჩაებარებინა ბარათი, მხოლოდ მოხუცების წყალობით, რომლებიც „ნიხასში“ ისხდნენ, მოხვდა წერილი პატრონის ხელში. ეს უკანასკნელი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა იმ ამბავს, რომ მას ყუდაბერდს არ ეძახდნენ, მაგრამ ხანდახან თვითონ დაფიქრდებოდა ხოლმე, როდესაც ესაჭიროებოდა თავისი სახელის დაწერა. აღარ იცოდა „ყუდაბერდი“ დაეწერა, თუ თანამემამულეთაგან შერქმეული ძინგა [1].

თუ წინათ ყუდაბერდს ეძახდნენ, შემდეგში რალად დაარქვეს მეტსახელი „ძინგა“?—ფიქრობდნენ და კამათობდნენ ბევრნი. ზოგი ამბობდა: იმიტომ, რომ მას კოლოსავით დიდი ნაცრისფერი თვალები აქვს, ზოგი კი — იმიტომ, რომ მას გრძელი დახვეული ულვაშები აქვსო. მაგრამ ეს მოსაზრება ნაკლებ დასაჯერი იყო, რადგანაც მეტსახელი მას იმ დროს დაარქვეს, როდესაც ულვაშებიც კი არა ჰქონდა ამოსული. ბევრი კი ფიქრობდა, რომ ყუდაბერდს ძინგას იმიტომ ეძახდნენ, რომ ერთ დროს მოჯამაგირეები ჰყოლია დაქირავებული და ის, როგორც კოლო, ისე სწოვდა მათ სისხლს. ამ მოსაზრებას უფრო იმით ადასტურებდნენ, რომ როგორც კოლო გამოჩნდება ხოლმე ზაფხულობით, ყუდაბერდსაც მხოლოდ ზაფხულობით ჰყავდა დაქირავებული მოჯამაგირეები. ზამთრობით კი მხოლოდ ერთ მუშას იტოვებდა საქონლის მოსავლელად. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ყუდაბერდს კოლოს უძახდნენ იმიტომ, რომ, ჩხუბში არავის არ შეეძლო ისე მტკივნეულად „კბენა“ და შეურაცხყოფა, როგორც მას. ვინ იყო მათ შორის მართალი, ძნელი სათქმელია. უდავო მხოლოდ ეს არის — ყუდაბერდს დამსახურებული ჰქონდა შერქმეული სახელი.

სოფელში ბევრმა იცოდა, რომ სიმდიდრე მას შრომით არ ჰქონდა მოპოვებული. ნაკლებად როდი შრომობდა მისი მეზობელი ჩშიათი ცოლა, მაგრამ მაინც სიღატაკეში ცხოვრობდა.

შეხედეთ ამ ორი მეზობლის სახლებს! ერთ მხარეს — მაღალი, აგურის სახლი აღმართულა. აქეა ქვის საძირკველზე გაშენებული გრძელი ფარდული, საჯინიბე, ბოსელი, საქათმე. ხილის ბაღი, ბოსტანი... ფიქვის ფიცრებით ნაშენი საპირფარეშოც კი კრამიტით არის გადახურული. აბა ერთი ფარდულის ქვეშაც შეიხედეთ: გუთანი, ჩალის საკრელი მანქანა, თიეისა და შეშის მოსატანი ურმები და სხვადასხვა სოფლის მეურნეობის იარაღები — და ყოველივე ეს სანიმუშო წესრიგშია. მეორე მხარეზე კი, მოძველებული ღობის იქით

[1] ძინგა — ოსურად ნიშნავს კოლოს.

მიწაში ჩაბრდილი ჩალით გადახურული ძველი ქოხი დგას. დაბალი კარი, ორი ვიწრო და ბნელი ფანჯარა, რომლებშიც მინის მაგივრად გაზეთილი ქაღალდებია ჩაწებებული. ძროხის ნაკელით ალესილი გომურის კედლები ისევ ცალ გვერდზე გადაფერდილი, რომ მაშინვე იფიქრებთ — საცაა დაინგრევა და იმ ორივე ძველ ბორბალსაც ქვეშ მოიტანს, რომლებიც ვითომდა მათ გასამაგრებლად არიან აქ. შუა ეზოში მარტოდმარტო დგას ვეებერთელა ალუჩის ხე, რომელიც სევდას იწვევს თავისი მოძველებული გამხმარი ტოტებით. ამ ტოტებს ძლივსღა აკავებს ნახევრად გამოფიტული ხე. სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მხოლოდ ორი თოხია დაკიდებული ქოხის კოპზე.

ძინგას სახლი შეუბრალებლად ავიწროებს ცოლას ქოხს და თითქოს დასცინის მას. ასევე გამოიყურებიან ადამიანები, რომლებიც ამ სახლებს პატრონობენ. სადაც არ უნდა ყოფილიყო, ძინგას ისე არაფერი არ ახარებდა, როგორც ამა თუ იმ საბაბით ცოლას დაცინვა, რომლის სახელიც საუბედუროდ ემთხვეოდა ღატაკ-ზარმაცის სახელს, ცნობილი ოსური სიმღერიდან „ცოლა".

ერთხელ, სამღვთოში ყოფნისას ძინგა ძალიან გამოთვრა, მეზობლის დაცინვა მოისურვა და წამოიწყო:

„ოი, ცოლა, ცოლა, უი ცოლა ჰეი.
ოი ცოლა, ღარიბია შენი ქოხი, ჰეი...

წინათ, როდესაც ძინგა დასცინოდა, ცოლა ჩუმად ითმენდა ყველაფერს: ჯერ ერთი, მეზობელს ხომ არაფერს აუტეხდა, ხოლო მეორე მხრივ, განა შეეძლო მას, ღატაკსა და არაფრისმქონეს, მდიდარი კაცისათვის ჩხუბი გაემართა? როდესაც ცოლას ტყიდან შეშის ან მინდვრიდან სიმინდის მოტანა დასჭირდებოდა, ძინგას ურემზე არასოდეს უარი არ უთქვამს; თუმცაღა ცოლას მეზობლის სიკეთე არც ისე იაფი უჯდებოდა, მაგრამ, რაც არ უნდა თქვა, გაჭირვების ჟამს მეზობელი ყოველთვის უწევდა დახმარებას. მაგრამ ამჯერად არც ცოლა იყო ფხიზელი და გულში დაგროვილმა ბოღმამ ერთბაშად იფეთქა. იგი უცბად შეიცვალა. ძინგა უკვე მეორე სტროფის დამღერებას აპირებდა, მაგრამ პირის გაღებაც ვერ მოასწრო. ცოლამ მთელი ძალით ისე მაგრად სთხლიშა კბილებში ძვალი, რომელსაც მადიანად ღრღნიდა, რომ სისხლმა იშხეფა ძინგას წვერზე. იქ მყოფთ ვერც კი მოასწრეს ამ უცნაური შეტაკების მიზეზის გაგება, რომ ცოლას კი უკვე ხანჯალი ამოეღო. ბედზე მოასწრეს და დააკავეს, თორემ საბოლოოდ ძინგას თავი, როგორც გადამწიფებული საზამთრო, ორად გაიყოფოდა.

ეს არასასიამოვნო ამბავი ძინგასა და ცოლას შორის რამდენიმე წლის წინათ მოხდა. ერთმაც და მეორემაც ყველაფერი დაივიწყა და შერიგდნენ. ცხოვრობდნენ მშვიდად, როგორც კარგი მეზობლები. წინანდებურად ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ასე გადიოდა დღეები. დასჭირდებოდა თუ არა ღატაკსა და გაძვალტყავებულ ცოლას საზამთროდ შეშის მოტანა ან საშემოდგომოდ სიმინდის გადმოზიდვა, იძულებული, მაშინვე თხოვნით მიაკითხავდა ძინგას.

— განა ღირს ამის შესახებ ლაპარაკი? თუ გინდა ორი წყვილი ხარ-კამეჩი შეაბი და შენი საქმე ისე მოაგვარე. მხოლოდ ხარები არ მომიქანცო, — ეტყოდა ძინგა.

ცოლა სამადლობელო სიტყვებსაც კი ვერ პოულობდა მეზობლისათვის, რომელიც გაჭირვების ტალკვესი იყო. სათქმელი სულ მუდამ ენაზე უტრიალებდა, მაგრამ მადლობის გამომხატველი სიტყვები ყოველთვის არასაკმარისად ეჩვენებოდა, და იგი სდუმდა, როგორც თევზი, ფიქრობდა, უკეთესი იქნება თუ ძინგას სამუშაოზე დავეხმარებიო. ზამთრობით ძინგა ცოლასაგან არაფერს არ მოითხოვდა, მაგრამ როგორც კი ზაფხულის დაძაბული სამუშაო დღეები დადგებოდა, როცა მკასა და თიბვას დაიწყებდნენ, იგი ეუბნებოდა მას:

— ცოლა, თუ არ დამეხმარე, ჩემი შრომა ტყუილუბრალოდ დაიკარგება.

იგი ისე მიმართავდა, თითქოს სთხოვდა, მაგრამ ყური რომ მოგეკრათ თქმულისათვის, მაშინვე მიხვდებოდით ამ სიტყვებში ჩაქსოვილ ნამდვილ აზრს: „შეგიძლია არც დამეხმარო, მაგრამ იძულებული ხარ, რადგანაც შენივე კეთილდღეობა მთლიანად ჩემზეა დამოკიდებული".

ცოლა მიატოვებდა თავის საქმეს და ძინგასთან მიდიოდა. საკვირველია, ისინი მეგობრებივით ლაპარაკობდნენ და ერთმანეთს კი ვერ იტანდნენ. განსაკუთრებით კი ცოლა: მას ეზიზღებოდა მეზობელი. ეზიზღებოდა მისი ცბიერი ხითხითი და დამ-

ცინავი გამოხედვა. როდესაც ნიხასისაკენ მიმავალი ცოლა იმავე გზით მიმავალ ძინგას მოჰკრავდა თვალს, მაშინვე ისეთ სახეს მიიღებდა, თითქოს რაღაცა დაავიწყდაო და გვერდზე გადაუხვევდა. ხდებოდა პირიქითაც — იგი სტოვებდა ნიხასს, როგორც კი ძინგას დაინახავდა — საბაბი ყოველთვის მიეპოვებოდა ხოლმე.

ამ ამბავს, პირველ ხანებში სხვები ჯერ ვერ ამჩნევდნენ, მაგრამ მახათი ტომარაში დიდხანს არ დაიმალება, და, აი, თანდათან ყველა მიხვდა, რომ ორ მეზობელს შორის ფარული მტრობაა. ამის შემდეგ ისინი ყველგან ხვდებოდნენ ხუმრობით გადაკრულ სიტყვებს, რის გამოც ცოლამ, რომელიც ისედაც იშვიათად დადიოდა ნიხასში — სრულიად ამოიკვეთა ფეხი. ჩაიკეტა თავის ქოხში და ყველას დაავიწყდა, რომ ისიც ამ ქვეყანაზე არსებობდა.

მხოლოდ გზათა შეკეთებაზე და ახალი ხიდის მშენებლობაზე, იქ, სადაც დიდი ფიზიკური ძალა იყო საჭირო, შეიძლებოდა გულმოდგინედ მომუშავე ცოლას ნახვა.

ცოლას ჰქონდა კიდევ ერთი ჩვეულება, რომელიც იმ დღიდან გამოაჩნდა, როცა მას სახელად ცოლა შეარქვეს. მისი ერთ-ერთი მეზობელი ილასი ხშირად ხუმრობდა: საკმარისია სოფელში სადმე ხანძარი გაჩნდეს, რომ ცოლა პირველი მივარდება იქაურობას ცეცხლის ჩასაქრობადო.

ერთხელ ზაფხულში უირიზმაგ ბერდათის სახლი ცეცხლის ალში გაეხვია, ეს ის სახლია, რომელიც დღესაც შებოლილი დგას სოფელში. უირიზმაგი მინდვრად იყო გასული, ხოლო ოჯახის დიასახლისი, ამინათი, ბაღჩაში ჯახირობდა და ხანძრის შესახებ მხოლოდ თავმოყრილი მეზობლების ყვირილით გაიგო. ალი ჯერ აივანს მოსდებოდა, — ალბათ ბავშვები თუ თამაშობდნენ მის ქვეშ. ცეცხლი სწრაფად ვრცელდებოდა, ედებოდა კარებსა და ფანჯრის ჩარჩოებს. ადამიანები წყლის მოსატანად გარბოდნენ. უაზროდ გროვდებოდნენ სახლის ირგვლივ ბარებითა და წვეტიანი ჯოხებით, ყვიროდნენ, ხმაურობდნენ, მაგრამ ცეცხლის ჩაქრობას, წლის ამ მშრალ პერიოდში, მაინც ვერ ახერხებდნენ.

— ვაი, დავიღუპეთ! — მძვინვარებდა ამინათი, იგლეჯდა თმებსა და იკაწრავდა სახეს, ცდილობდა ცეცხლში შეპრას.

მას კი სხვა მხრით მიათრევდნენ.

— გამიშვით, — განაგრძობდა ქალი სასოწარკვეთილ ყვირილს და ხელებიდან უსხლტებოდა.— იქ ჩემი საყვარელი ბალღებია. დაე, მეც მათთან ერთად დავიფერფლო.

აღმოჩნდა, რომ სახლში მართლაც დარჩენილიყვნენ ძუძუმწოვარა აკვანში მწოლი ბავშვი და ორი წლის ბიჭუნა. ამინათის უბედურებამ და დასალუპავად განწირული ბავშვების სიბრალულმა სუყველა გაგიჟებამდე მიიყვანა. ბავშვების გადარჩენა მხოლოდ თავგანწირვას შეეძლო. სახლის გარშემო მდგარი ქალები ხმამაღლა მოსთქვამდნენ.

და აი, ამ შეშინებულ ბრბოს შორის გამოჩნდა ცოლა. აქლოშინებული და გაოფლიანებული იდგა ნაჯახით ხელში და გაოგნებით უსმენდა ადამიანების ყაყანს. როგორც კი გაიგო, რომ ბავშვები საფრთხეში იყვნენ, გაფითრდა, გაშმაგებულმა ხელდახელ გამოსტაცა გვერდით მდგომ დედაკაცს წყლით სავსე ვარცლი და წყალი თავზე გადაისხა. შემდეგ ცარიელი ვარცლი გვერდზე ისროლა და ანთებულ კარებს მიაშურა.

— ეი! ეი! სად მიდიხარ, ჩალასავით დაიწვები. — ისმოდა ყვირილი ყოველის მხრიდან. მაგრამ ცოლა უკვე ყრუ იყო. შეანგრია კარები მხრით და მაშინვე ცეცხლის ალში გაეხვია. თვალის დახამხამებაში იგი უკანვე გამოვარდა. ხელთ საბანში გახვეული რაღაც ეპირა. გვერდით გაიქცა, ჩაცუცქდა, ფრთხილად დასდო თავისი ტვირთი მიწაზე და საბნის კალთები გადახსნა. შიგ ძუძუმწოვარა ჩვილი ბავშვი და ორი წლის ბიჭუნა აღმოჩნდა. ორივენი ძლივს სუნთქავდნენ. გეგონებოდათ, ვეღარ გადარჩებიანო. მაგრამ ამინათმა არც კი შეხედა ბავშვებს, მივარდა ცოლას და მის წინ მუხლმოყრილმა თავისი მანდილი გაშალა:

— ჩემო მხსნელო, ცოლა! ჩემი შვილების გადარჩენით ბედნიერება მომანიჭე, — ამბობდა ის და მკლავებს ცოლასაკენ იშვერდა.

იმ დღეს სოფელში მხოლოდ თავზეხელაღებულ ცოლას გამბედაობაზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ სოფელმა ჩქარა დაივიწყა ყოველივე და ცოლა დარჩა ისევ ღატაკი და უგულებელყოფილი, როგორც წინათ.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ უირიზმაგმა სიყვარულით გაიხსენა ადამიანი, რომელმაც მის შვილებს სიცოცხლე შეუნარჩუნა და ერთ

დღეს ცოლას საპატიოცემულოდ მოაწყო წვეულება, სადაც, სხვა სტუმართა თანდასწრებით განაცხადა, ცოლას შეუძლია მის მიერ გადარჩენილი ორი წლის აკსო საკუთარ შვილად მიიღოს, იმიტომ, რომ როდესაც ბავშვი წამოიზრდება, თავის მხსნელს ამაგი დაუფასოსო.

გავიდა წლები. ძინგამ რატომღაც შეიცვალა დამოკიდებულება მეზობლის მიმართ. იგი მას, როგორც პირველ მეგობარს, ისე ეპყრობოდა. უიმისოდ ჭიქა არაყს არ გადაჰკრავდა, ღვეზელის ერთ ნაჭერს არ ჩაიდებდა პირში — ყოველთვის ცოლა იყო მისი თანამესუფრე. დაუკვეთავდა თუ არა ცოლს რაიმე გემრიელს, მაშინვე შვილს ცოლასთან აგზავნიდა დასაპატიჟებლად. აღარც „დახმარებას" თაოვდა ძველებურად; საჭირო შემთხვევაში კი სიამოვნებით უთმობდა ხარებსა და ცხენებს. ერთხელ ძინგა ქუჩაში შეხვდა ცოლას მეუღლეს ხანიფას. ქალს ნახევარი ტომარა სიმინდი ზურგზე მოეგდო და წისქვილში მიდიოდა. ძინგამ შეაჩერა დედაკაცი და საყვედურით უთხრა:

— რად დაგაქვს ზურგით ასეთი მძიმე ტვირთი? ეს ხომ ჩვენი სირცხვილია. ამდენი საქონელი გვყავს, შენ კი ასე წვალობ. უბრძანე რომელიმე ბავშვს, ახლავე შეიბან ცხენი. რისა გერიდება. განა ის, რაც მე მეკუთვნის, თქვენიც არ არის? მე რომ რამე დამჭირდეს, განა თქვენ უარს მეტყვით? არ ვარგა ასე მოქცევა, არა.

ხანიფამ მადლობა გადაუხადა და ის იყო გზა უნდა გაეგრძელებინა, რომ ძინგამ შეაჩერა. ქალს ტვირთი ჩამოართვა, მიწაზე დადო, თვითონ კი ურემში ცხენის შესაბმელად გაემართა. შესვა მეზობლის ბიჭი ურმის კოფოზე და ხანიფასთან ერთად წისქვილისაკენ გააგზავნა.

ძინგამ თავი დაანება ნიხასში უადგილო ხუმრობასაც. ახლა იქ უკვე დასაჯდომად ადგილსაც კი უთმობდა ცოლას და ყოველთვის, სანამ ცოლა არ დაჯდებოდა, იგი ტრიალებდა და ადგილს ვერ პოულობდა. დაუწყებდა მეგობრულად ბაასს, როგორც თანასწორს და თუ სხვებს უკვე აღარ ახსოვდათ ცოლას გმირული საქციელი, ძინგა ყოველ წუთს ლაპარაკობდა იმის შესახებ, როგორ გადაარჩინა მისმა მეზობელმა ცეცხლში გამომწყვდეული ბავშვები, როგორ ააფეთქა სამოქალაქო ომის დროს ცოლამ საგზურ დარგკოხთან თეთრგვარდიელების ეშელონი, რომელიც გროზნოსაკენ მიემართებოდა და როგორ უზრუნველყო ამით გროზნოს მუშათა გამარჯვება. ბოლოს ძინგა ჩვეულებისამებრ ყოველთვის უჩიოდა იმას, რომ მთავრობამ არაფერით არ დააჯილდოვა ცოლა მისი რევოლუციისადმი დიდი სამსახურისათვის.

— რა ვთქვა, — უმატებდა ის, — აი, უირიზმაგის შვილი აკსო კეთილად ცხოვრობს მხოლოდ და მხოლოდ შენი წყალობით. მერე და რა? სადღაც შორს მშვიდად სწავლობს საექიმო სკოლაში, ზაფხულობით ჩამოდის, გენერალივით გამოწყობილი, შენთვის სალამიც ენანება. რას ეზამ, ასეთია ხალხი, არავინ იმახსოვრებს სიკეთეს.

— არ არის მართალი, — შეეკამათა ცოლა, — აკსო ჩამოვა თუ არა, სახლში მისვლამდე, მე მინახულებს ხოლმე. წერილებსაც ხშირადა მწერს. ჩვენ სუყველას, ადრე თუ გვიან, სიკვდილი გველის და რად უნდა ვიცრუოთ? ცოდვა რატომ უნდა დავიდოთ თავზე? აკსოს ჩვენ სრულებითაც არ ვაკიწყდებით.

— ეს ყველაფერი კარგად ვიცი, — უპასუხა ძინგამ, — მე ასეთ წვრილმანებზე არ გეუბნები. ის იქ, მოსკოვში, დიდ უფროსებთან ცხოვრობს, არაფერი უჭირს შევიდეს მათთან და უამბოს, რომ აი, არის ისეთი კაცი, რომელმაც რკინიგზა ააფეთქა და რევოლუცია გადაარჩინა. ადგეს და იზრუნოს შენს დაჯილდოებაზე. აი ეს იქნება ნამდვილი დახმარება.

ძინგა სულ სხვაგვარად ექცეოდა მეზობელს და ცოლას უკვე აღარ ესმოდა რით იყო გამოწვეული ყოველივე ეს. იქნება იმიტომ, რომ საბჭოს წევრია და შეიძლება მისი გამოყენება? მაგრამ ცოლა ხომ დიდი ხანია, რაც საბჭოშია, ხოლო ძინგას მისდამი დამოკიდებულება შარშანდლიდან შეიცვალა? დიდხანს ფიქრობდა ცოლა ამის შესახებ და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ძინგას მართლაც გულწრფელად უყვარდა იგი. ამავე დროს ძინგა ყოველთვის აქებდა საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც ახალი სკოლა და საავადმყოფო ააშენა, რომელმაც ბევრი სხვა სასიკეთო რამ შესძინა ხალხს. იგი ხშირად ეუბნებოდა ცოლას, საბჭოთა ხელისუფლება რომ არ ყოფილიყო, მათ ყრუ, შეევიწროებულ სოფელში ასეთი შესანიშნავი ამბები არაფერით არ მოხდებოდა. ცოლამ დაიწყო ძინგასთან გულახდილად ლაპარაკი იმის შესახებ, რაც საბჭოში ხდებოდა.

ერთხელ ძინგა ცოლას ღვინით უმასპინძლდებოდა.

— აბა, რა გაქვთ იქ ახალი? რის შესახებ იყო სხდომა? — ჰკითხა მან.

— ისეთი არაფერი. ვერ შევასრულეთ პურის დამზადების გეგმა, ჰოდა, სხდომაც ამ საკითხს იხილავდა.

— მდიდრებზე არ ილაპარაკეთ? რას უპირებენ მათ? — შეეკითხა ძინგა და თვალები შეანათა.

ცოლა დაიბნა და წამწამები დაახამხამა. „ნამდვილად კოლია — გაიფიქრა მან, — ვერ იპოვნი ადამიანს, რომ ძინგას არ ეკბინოს“.

— შენ საიდან იცი, რომ მდიდრებზეც იყო ლაპარაკი?

— არ არის ისეთი საქმე, რომლის გაგებაც არ შეიძლებოდეს. შენ კი ყველაფერს უმალავ შენსავე ქარგსა და კეთილ მეზობელს და ფიქრობ, რომ სხვებიც ასე იქცევიან. რამდენი წელია, რაც მეგობრულად ვცხოვრობთ და მე, დამერწმუნე, შენთვის არაფერი დამიმალავს. შენც ქარგად იცი რომ ჩვენი მთავრობა მიყვარს, ამიტომ არაფერი გაქვს ჩემთან დასამალი.

ცოლა უფრო დაიბნა. თანაც ღვინოს თავისი გაჰქონდა და იგი კეთილგანწყობილი ხდებოდა. დაიკიწყა პარტორგანიზაციის მდივნის ყიზილბეგის გაფრთხილება, ცოტახნის შემდეგ ძინგას ყველაფერი დაუკაკლა, — ბობოლა გლეხებს მამული უნდა ჩამოერთვას, მაგრამ სიაში ვინ მოხვდება, არავინ იცის, რადგანაც ეს საკითხი ჯერ არ გადაგვიწყვეტიაო.

— დიდხანს გავერთე შენთან, — თქვა ცოლამ — და სულ დამავიწყდა ის სათხოვარი, რისთვისაც აქ შემოვიარე.

— თვითონა ხარ დამნაშავე. თუ შემიძლია, ბრძანე, მე უარს არ გეტყვი, ძვირფასი მეზობელი ხარ.

— დაილოცე, ძინგა! დიდი ხანია გროშებს ვაგროვებ — ცხენი მინდა ვიყიდო. ამბობენ, ხამალაგაში ერთ კარგ ცხენს ჰყიდისო. სამი თუმანი არ მყოფნის, ჰოდა, მე ვიფიქრე...

— აი, — შეაწყვეტინა სიტყვა ძინგამ, — კუბოში გენახოს ჩემი თავი, რად არ მითხარი ამის შესახებ? დილას მე მქონდა ცოტა ფული, მაგრამ ჩემმა დიასახლისმა...

ძინგა გაჩერდა, რაღაცაზე ჩაფიქრდა, მერე წამოიძახა:

— ღმერთმანი, შენი უცხენობა ძნელია. რაღაცა უნდა მოვიგონოთ.

იგი ისევ ფიქრებს დაუბრუნდა.

— ვგონებ, ცოლი აგროვებდა ბუმბულიანი თავშალის საყიდლად ფულს. მომითმინე, ვთხოვ, რომ ხელი მოგიმართოს.

ძინგა გავიდა მეზობელ ოთახში, საიდანაც დაბრუნდა სამთუმნიანით ხელში, იგი ცოლას გადასცა. თან გააფრთხილა, რომ ნუ შესწუხდება და ფული დააბრუნოს, როდესაც მოესურვება. ცოლა ფამფარულდა. მოეჩვენა, რომ უკვე მიაღწია იმას, რისკენაც ამდენი ხანი მიისწრაფვოდა.

— მეხვეწებიან, რომ კოლმეურნეობაში შევიდე! — სთქვა მან, — მაგრამ ეშმაკმა იცის, ჯერ რა იქნება და რა გამოვა აქედან. თანაც იქ უნდა ყველაფერი ჩაბარო, რადგანაც ცარიელი თუ შეხვედი, შენი გულისათვის არავინ შეწუხდება.

— წადი, იყიდე ცხენი და იცხოვრე უდარდელად! საჭირო არ არის შენი კოლმეურნეობაში ჩაწერა. ისინი კი, რომლებიც ჩაეწერნენ, იქ სასიხარულოს ვერაფერს ნახავენ. დაჭამენ ერთმანეთს და გაიქცევიან. მკვიდრი ძმები ვერ ცხოვრობენ ერთად და ერთმანეთისათვის უცხო ხალხში ხომ არაფერი გამოვა.

— ჰოდა, მეც ვეუბნები.

ძინგამ ხელი დაჰკრა მხარზე.

— შეძლებულები თავიანთ კანში არ ეტევიან, შენ კი ღატაკი, პატიოსანი მშრომელი ხარ, იყიდე შენთვის ცხენი.

მეზობლებს შორის, რომლებიც ცოლას ნაყიდი ცხენის სანახავად მოვიდნენ, ძინგაც ერია. მან ჩახედა ცხენს პირში, დიდხანს ათვალიერებდა მის კბილებს, გაუსინჯა კისერი, ფეხის კუნთები, შემდეგ შორიდან შეათვალიერა, შემოუარა ირგვლივ და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა:

— ცოლა, გამოგდგომოდეს ეს ცხენი! მართალია, არც ისე ახალგაზრდაა, მაგრამ თუ ჯიუტი და რაიმე სენით დაავადებული არ აღმოჩნდა, ცხენი შესანიშნავი იქნება.

ამ სიტყვებმა ცოლა გაახარა. მის დანაოქებულ, ყოველყამს სევდიან სახეს ბედნიერი ბავშვური ღიმილი გადაეფინა. ხმამაღლა დაუძახა ცოლს, რათა მასაც გაეგონა მეზობლის ნათქვამი.

— ბედნიერებაში მოგახმაროთ, — სთქვა ძინგამ და თვალი მოჰკრა თუ არა ცხენის სანახავად მოსულ საბჭოს თავმჯდომარეს, დადოს, ხმამაღლა დაუმატა: — „ქალაქში მივემგზავრები, მეშინია, მატარებელზე არ დამაგვიანდეს“.

იგი თავის სახლისაკენ გაემართა. გრძელი ნაბიჯებით.

მალე საბჭოსაც ჩაუარა ორთვალამ, რომელშიც ძინგა იჯდა თავისი თხუთმეტი წლის ვაჟთან ერთად. იგი აღრეც ამბობდა, რომ ქალაქში წასვლას აპირებდა.

სადგურიდან ვაჟი მარტო დაბრუნდა. მოღუშული და გულჯავრიანი ძინგა დიდხანს იჯდა ბაქანზე, ბილეთს არ იღებდა და სამი მატარებელი გაუშვა ბესლანისაკენ ჩიმავალი. არ წავიდა იგი ქალაქს და გვიანობამდე დარჩა სადგურში. შუაღამე გადასული იყო, როცა ძინგა ბნელი ქუჩებით გავიდა გზაზე და თავისი სოფლისაკენ გაემართა, „ყოველთვის მდიდარს ემორჩილებოდა ღატაკი, ცხოვრების ყველა საშუალება მდიდართა ხელში იყო თავმოყრილი, — ფიქრობდა ის, — მაშ, რატომ შეიცვალა ახლა ყველაფერი? რატომ უნდათ წაართვან, რაც აქამდე შეუძენია? რამდენი წელიწადი ოცნებობდა ძინგა წისქვილისა და ხის სახერხის შესაძენად, რამდენს ზრუნავდა მასალების მომარაგებაზე. და აი, ეიღაცას მოეპრიანა, რომ ყველაფერი ეს ჩამოართვან მას. აი, ახლა, ამ სიწყნარეში სუყველგან სძინავს ხალხს; მშვიდად სძინავთ იმათაც, რომლებმაც მისი ცხოვრება საზარელი უნდა გახადონ. ეხ, რომ შეიძლებოდეს, იგი შემოუვლიდა და ყოველგვარი შეცოდების გარეშე ყელს გამოღადრავდა ყველას“. ამის გაფიქრებაზე ძინგას ყბებმა კრუნჩხვა დაიწყეს.

სოფელში ყველაფერი ისე იყო გაკეთებული, როგორც დილით გადაწყვიტეს: ჭიშკარი ღია იყო და უხმოდ შეიძლებოდა გაელა. საჯინიბოზე ბოქლომი უბრალოდ ეკიდა. ძინგამ მოხსნა იგი, უნდოდა გადაეგდო, მაგრამ ისევ დაკიდა რგოლზე და დაუწყო მტვრევა. დიდხანს ჯახირობდა ასე, შემდეგ ბოქლომი მიწაზე დააგდო და ფრთხილად შეეიდა თაღლაში. მივიდა თავის ცხენთან და გადაუსვა ზურგზე ხელი, თან წაიჩურჩულა: „მშვიდობით, ჩემო ძვირფასო კარაგაცო, მეგობრულად ვცხოვრობდით, მე და შენ ახლა უნდა განშორდეთ“, ცხენმა, თითქოს ყველაფერს მიხვდაო, ნამძინარევი დრუნჩი პატრონის გულმკერდს დაადო. ცრემლები ამოძრავდნენ ძინგას თვალებში. იგი ცხენის თავს მოეხვია.

ძინგამ მოიხურა კარები და თავის კარაგაცს შემოახტა. თან გაიყოლა სამი ცხენი, ორი ხარი და ბნელი ჩიხით ტყისაკენ გაეშურა. მობრუნდა და თავის სახლს შემოხედა. და აი, ახლაც, ღამით, მან გამოარჩია იგი, როგორც არწივი პატარა ფრინველებს შორის. დიახ, არწივი, მხოლოდ მომტვრეული, მიწისაკენ დახრილი ფრთებით.

• •

მდევარმა ელხოტის მხრისაკენ აიღო გეზი. შემდგომში კვალი აღმოჩენილი იქნა სადგურ ზმეისკის მიდამოებში. მაგრამ თერგს გაღმა იგი სულ მთლად იკარგებოდა, რადგანაც სხვა კვალთა შორის ირეოდა და ძებნაც არავითარ შედეგს აღარ მოიტანდა. მთელ სოფელში ასე დაასკვნეს, რომ ძინგას საქონელი ქურდებს ძალიან შორს გაერეკათ.

ქალაქიდან დაბრუნებული ძინგა, რომელსაც სახლში ცხენებისა და ხარების გატაცების ამბავი დაახვედრეს, დიდხანს დარდობდა და ოხრავდა. ორჯერ წაიყვანა საბჭოდან მოწმეები, ვითომდა საძებრად, სინამდვილეში კი სოფელ ლესკენში, თავისი დის ოჯახში დროს ატარებდა. დაბრუნებისას გულმოკლულივით ამბობდა, რომ ალბათ თავის საქონელს უკვე ვეღარ იპოვიდა. დადიოდა მოღუშული, ვეღარც სამუშაოს უდებდა გულს, მთელი დღეები ნიხასში იჯდა და უაზროდ დასცქეროდა მიწას.

ერთხელ იგი კოლმეურნეობის სამმართველოში გამოცხადდა და თავმჯდომარეს, ყამბოლათ ყამირზათს, მიმართა:

— ყამბოლათ, ჩემო მზეო, მე ცოტა რამ სამეურნეო იარაღი დამრჩა და ყველაფერი უსაქმოდ მიეანგდება. თუ თქვენ საერთო საქმისათვის რამე გჭირდებათ, წაიღეთ მე ახლა ისინი არაფერში არ გამომადგება. თავსდატეხილი უბედურების შემდეგ საქონლის ყიდვა ჩემთვის შეუძლებელია. როგორა ვთქვა და არც წინათ მქონია კარგად გამართული საქმე.

ძინგას ჩალისაკრელი მანქანა ყველასათვის იყო ცნობილი, არტელში იგი აუცილებელ საჭი-

რობას წარმოადგენდა, და ყამბოლათი სიხარულით დაეთანხმა.

— ძინ... ყუდაბერდ, დიდი მადლობელი ვართ, მაგრამ თუ შენ მართლაც გსურს რომ ასე მოიქცე, მაშინ შეგიდი კოლმეურნეობაში, თუ არადა საჩუქარს ვერ მივიღებ.

— შენი პირი შემეყაროს, — წამოიყვირა ძინგამ, — მე თვითონ ვფიქრობდი ჩაწერას, მაგრამ ახლა მუშა საქონლის გარეშე სად ვარგივარ? მარტო ჩალის საპრელი მანქანით მე კოლექტივში არ შეეალ. ახლა კი ყოველივე უქმად მიწყვია, ამიტომ გაძლევთ მას საერთო საქმისათვის, თქვენდა საბედნიეროდ.

იმავე საღამოს ეს ამბავი ყამბოლათმა პარტორგანიზაციის მდივანს უამბო. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანდა, არ იზიარებდა თავმჯდომარის აღტაცებას, დაფიქრების შემდეგ თქვა:

— რას იზამ, რადგანაც ასეა, მიიღე რასაც გთავაზობენ.

მაგრამ ძინგა რომ არ გაექცურდათ, იგი კულაკთა სიაში აუცილებლად იქნებოდა მოხვედრილი.

ყამბოლათი დაღონდა.

ძინგა იმაზე ფიქრობდა, როგორმე სახლის გაყიდვა მოეხერხებინა; სახლს ფარდულსაც მიაყოლებდა, საჯინიბოსაც, ბოსელსაც. დადიოდა გადმოსახლებულთა შორის და კიდეც გაურიგდა ერთ მთიელს. შემდეგ მივიდა ახლად აშენებული ქარხნის დირექტორთან და იქ სამუშაოდ მოეწყო. დირექტორმა გადაათვალიერა ახლად მოსულის საბუთები, დარწმუნდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო და ძინგა დანიშნა სამშენებლო მასალების გამგედ მუშათა საერთო საცხოვრებელთა მშენებლობაზე. ამ თანამდებობაზე დიდხანს ეძებდნენ შესაფერ მუშაკს და ყველა გახარებული იყო ახალი კაცის გამოჩენით.

სოფლიდან ძინგას წასვლის დღეს ჩამოვიდა მთიელი, რომელსაც ფარდული უნდა დაეშალა წასაღებად. ძინგა შესცქეროდა თავის ცოლსა და შვილს, ცოლსა და ხანიფას, რომლებიც სახლიდან გამოტანილ ნივთებს მანქანაში ალაგებდნენ, შესცქეროდა მთიელ კაცსა და მის თანამგზავრებს, რომლებიც ფარდულიდან კრამიტის ნარჩენებს იღებდნენ. მას ეჩვენებოდა რომ ქვეყანა თავდაყირა დგებოდა და მისი სიკვდილის ჟამი ახლოვდებოდა.

— ინგრევა, ყველაფერი ინგრევა. აღარ არსებობს სიცოცხლე, — ბუტბუტებდა იგი და შესახედავად მშვიდი, სიავკაცისა და შურისძიების წყურვილის გრძნობით იყო აღსავსებული.

როგორც კი აკსო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნდა, საოლქო ჯანგანმა იგი ქალაქის საავადმყოფოში გაგზავნა ქირურგად. მუშაობა იმავე დღესვე უნდა დაეწყო. საავადმყოფოს გამგემ ბინაც კი მოუწყო იქვე, მაგრამ აკსო მოითხოვდა შვებულებას. მას მისცეს ორი კვირით დასვენების უფლება.

აკსოს ახარებდა მშობლიურ სოფელში დასვენება, ახალი სამუშაო და ახალი ცხოვრება. აი, როცა მისი გულითადი ოცნებაც ასრულდება, როცა იგი ბადიმათს შეირთავს, რომელიც უკვე რამდენიმე წელია უყვარს, მაშინ მის ბედს ძალიც არ დაყენებს.

ისიდილა თუ არა აკსომ გაზეთის ქალალდში მაუდის ნაჭერი შეახვია და დედას უთხრა, რომ იგი თავისი მამობილის, ცოლას, სანახავად მიდიოდა.

ცოლას ხელიდან ხელში გადაჰქონდა საჩუქარი.

— ოხ, ოხ, ოხ, ხო! ასეთი ხარჯების გაწევა, ძვირფასო შვილო, ჯერ კიდევ ნაადრევია, შენ ხომ არ მუშაობ...

— ადამიანისათვის, რომელმაც თავისი სიცოცხლე არ დაიშურა ბავშვების გადასარჩენად, განა შეიძლება რაიმე დაინანო? მე ჯერ არც კი ვიცი, როგორ გადავიხადო თქვენი პატივისცემა. ზაფხულში, პრაქტიკაზე ყოფნისას დავაგროვე ცოტაოდენი ფული და გადავწყვიტე თქვენთვის მეყიდა ეს, რათა ატაროთ და მოიგონოთ.

ცოლა მადლობის გამომხატველ სიტყვებს ვერ ბოულობდა.

— ყოჩაღ, შვილო! აბა, დიასახლისო, მოამზადე რამე გემრიელი აკსოს პატივსაცემად!

ხანიფა მეზობლებში გაიქცა. ერთს ყველი გამოართვა, მეორეს — არაყი. შემდეგ ცეცხლი დაანთო და ცომი მოზილა. როგორც ახალგაზრდა, ისე დარბოდა იგი კერიიდან გობამდე. სახე აუწითლდა. აკსომ სთხოვა, ნუ შეწუხდებითო, მაგრამ ამის მოსმენაც არ უნდოდა.

— მაინც, ცოლა, რატომ არ შეხვედით აქამდე კოლექტივში? — ეკითხებოდა აკსო.

— შევიდოდი, მაგრამ ვინ იცის, რა გამოვა აქედან? მოვიცდი ჯერ.

— ცოლა, თქვენ კარგად იცით, რომ მე როგორც მშობელს, ისე შეგიქერით, თქვენთვის მხოლოდ კარგი მინდა. დამიჯერეთ, შედით კოლმეურნეობაში, თავი დაანებეთ ეპვიანობასა და მერყეობას! იქ თქვენ სილატაკეს გაძოემშვიდობებით.

— მადლობა ღმერთს, აკსო, ჩვენ არც ეხლა ვართ ღატაკნი. სულ მთლად დამავიწყდა, რომ შენთვის მეთქვა, — ჩვენ ცხენი ვიყიდეთ. კარგი ცხენია. ახლა იგი გამოგვიყვანს მდგომარეობიდან.

— მოხარული ვარ! მაგრამ ერთი ცხენის იმედით არ შეიძლება ყოფნა. დღეს ის გყავს, ხვალ კი შეიძლება არ გყავდეს. ხომ დასაშვებია, რომ იგი ან ავად გახდეს, ან ვინმემ წაიყვანოს! მაშინ ხომ ისევ ღარიბები აღმოჩნდებით?.

ეს სიტყვები ცოლას გულში მოხვდა. იგი შეშინებული ფიქრობდა: ვაითუ ისევ უცხენოდ დავრჩე, ისევ საბრალო და ღატაკი ცხოვრება დამიბრუნდესო.

მთელი კვირის მანძილზე ცოლას გულში ბრძოლა იყო. მან გულმოდგინედ დაუწყო კოლმეურნეთა ცხოვრებას თვალყურის დევნება, დადიოდა სამმართველოში, ყურს უგდებდა საუბრებს, ათვალიერებდა არტელის მეურნეობას.

აკსო კი ისევ აქეზებდა.

— ყველაფერი ისეა, როგორც თქვი, — უპასუხებდა ცოლა, — მაგრამ ხომ ხედავ, მათ მაინც ბევრი ლაპარაკი სჭირდებათ, მე კი ლაყბობა არ შემიძლია. ენას მძლავრი ხელები მირჩევნია. აი, გუშინ მინდვრად ქორის ძუსათსა და მაცკო კუძიგოსათს ჩხუბი მოუვიდათ. მაცკო მე მგავს, ქორი კი ყოველთვის ზარმაცი იყო. ასე რომ, მარტო ყოფნა მირჩევნია, ყოველგვარ დავიდარაბას თავიდან ავიცილებ.

აკსო მოთმინებით უსმენდა ყველაფერს.

— თქვენ მართალი ხართ, — უთხრა მან, — არიან ისეთი კოლმეურნეებიც, რომლებიც მუშაობას გაურბიან, მაგრამ ახალი ცხოვრება ხომ მხოლოდ ახლა იწყება? ხოლო ის, რაც იბადება, შენც კარგად იცი, რომ ყოველთვის ტანჯვითა და შრომით იწყებს განვითარებას და მისი გამაგრება არც ისე ჩქარა ხდება. ამას ხომ გაგება უნდა.

აკსოს სიტყვებმა, მართალია, ცოლა ვერ დააჯერეს სამართლეში, მაგრამ მის გონებაში კვალი მაინც დაამჩნიეს.

სამი დღის შემდეგ აკსო ორჯონიკიძეში უნდა წასულიყო. მას აღონებდა ის ამბავი, რომ ცოლასთან საუბარმა არ გასჭრა. წასვლის წინ გადასწყვიტა. უკანასკნელად ეცადა ბედი. სადილის შემდეგ, დასვენებისას, იგი ძალიან გაკვირვა ცოლას ხმამ, რომელიც ეზოში ისმოდა. ცოლა ხომ იშვიათად შემოდიოდა მათ სახლში, ახლა კი ამ პაპანაქება სიცხეში, სამუშაო საათების დროს რაზე დასჭირდა მოსვლა? აკსო ადგა და შესახვედრად გაემართა.

ცოლას სახეზე დაბნეულობა ემჩნეოდა.

იგი ლაპარაკობდა ჩქარა, აღელვებისაგან ხმა უკანკალებდა:

— ჩემო მზეო, აკსო, გთხოვ დამიწერო განცხადება კოლმეურნეობაში შესასვლელად. ნუ დაგეზარება, ძალიან გთხოვ, დამიწერე, რომ მეც მიმიღონ, შენ ყველაზე კარგად შეგიძლიან დაწერა!

— კი მაგრამ, რა დაგემართა?

— იღუპება ჩემი მეურნეობა და მასთან ერთად მეც.

— არ მესმის, რა მოხდა?

— ცხენი, ჩემი ცხენი, მთელი ჩემი სიმდიდრე, გუშინს აქეთ რაღაც დაემართა, შფოთავს, მიწაზე გორავს. არაყიც დავალევინე, მუცელიც დავუზილე... არაფერი არა შველის. დამიწერე სასწრაფოდ, რომ კოლექტივში ჩემი მიღება მოასწრონ. დამიწერე, სანამდის ცოცხალია ჩემი ცხენი.

— ცხენი რომ გამოკეთდეს? — ღიმილით შეეკითხა აკსო.

— სულერთია, დაწერე! შენ მართალს ამბობდი: მე თითქოსდა უფსკრულთან ვდგევარ, უბრალო პატარა საფრთხე და ქვევით ჩავეშვები. კოლექტივში კი ადამიანები მომეშველებიან.

— მართალია, ცოლა, ახლავე დაგიწერ განცხადებას. მიხარია, რომ საბოლოოდ ყველაფერს მიხვდი, რომ კოლმეურნეობა ფართო გზა არის, რომელიც დოვლათიანი ცხოვრებისაკენ მიემართება.

* *

— თქვენი მოვალეობა კარგად იცით, მაგრამ გაფრთხილებთ, განსაკუთრებული უბანია, ქარხნის ქონების მოვლა და მუშების ცხოვრების ნორ-

მალური პირობებით უზრუნველყოფაა საჭიროს მეტად სერიოზული მუშაობა მოგიხდებათ, ყველაფერზე თქვენ უნდა აგოთ პასუხი. კიდევ მინდა გითხრათ: თქვენამდე ამ ადგილზე მომუშავე ვინმე ვანეევი, პატიოსანი ადამიანია, მაგრამ ჩვენ ის მაინც გავათავისუფლეთ და ქარხანაში გადავიყვანეთ, იგი ახლა ერთერთი საუკეთესო დაკვრელია. გავათავისუფლეთ იმიტომ, რომ მუშათა მომარაგება ვერ შესძლო სამუშაოებლო მასალებათ. მუშებმა განაცხადეს, რომ სამუშაოს თავს დაანებებენ. მუშაობის შეჩერება კი ერთი წუთითაც არ შეიძლება.

ძინგამ მოისმინა დირექტორის ეს დარიგება და შეუდგა მუშაობას.

პირველ დღეებშივე პატივისცემა მოიპოვა მან, რადგანაც ყველას აკმაყოფილებდა. რა წვრილმანიც არ უნდა ყოფილიყო, იგი მაინც საგანგებო თავაზიანობით იქცეოდა. იყო შემთხვევები, როცა ეკითხებოდნენ კიდეც: „როდის გასცემენ ფქვილს?“ ის მაშინვე უპასუხებდა: „ხვალ, ხვალ, ჩემო ძვირფასნო; გადაეცით თქვენს ცოლებს, რომ ხვალ მობრძანდნენ კუთვნილი შაქრის, ფქვილის, მაკარონის და სხვა პროდუქტების მისაღებად!“ მუშები ჩიოდნენ, რომ სოფლიდან ცოტა რძე მოაქვთო. ყუდაბერდი მოელაპარაკა ორ კოლმეურნეობას, ქარხანასთან მოაწყვეს პატარა სავაჭრო და დილდილობით კოლმეურნეებმა დაიწყეს ახალი რძის ჩამოტანა. ახლებურად გადააკეთა აბანოც. ზოგიერთ საერთო საცხოვრებელში არ იყო შუქი და ყუდაბერდმა ეს საქმეც მოაგვარა. თავის თავს არავითარი უხეში სიტყვის თქმის უფლებას არ აძლევდა, მაშინაც კი, როცა უხასიათოდ იყო ხოლმე. იგი მხოლოდ უბრალოდ იტყოდა — „რატომ აკეთებთ ასე, ჩემო ძვირფასო?“ ან „სახელმწიფო სამუშაოსადმი ასეთი უყურადღებობა არ შეიძლება, ჩემო მზეო“ და სხვა.

მუშებს ისეთი წარმოდგენა შეექმნათ, თითქოს მთელი მეურნეობა მხოლოდ ერთ ყუდაბერდზე იყო დაყრდნობილი. ახალგაზრდა მუშები პატივისცემით ეძახდნენ „მამიკოს“, ხოლო ხნიერნი სთვლიდნენ, რომ ასეთი სახელის დაძახება უხერხულია და ამიტომ „ფალავარას“ ამჯობინებდნენ. ქარხნის დირექტორმაც კი, რომელიც ძინგას მუშაობითა და მისდამი მუშათა დამოკიდებულებით კმაყოფილი იყო, ზედმეტი საალერსო სახელით დაუწყო მიმართვა მას.

ძინგა ნებივრად ცხოვრობდა: ნათელი ოთახები, ელექტროშუქი. პროდუქტები ხომ სულ მის ხელში ტრიალებდა. დანაკლისი კი სულ რაღაც ორი კილო ბრინჯისა, ან კილო ერბოსი, ან ერთი ფუთი ფქვილისა, განა ვინმესთვის შესამჩნევი იყო?

— ამ ქვეყანაზე იმიტომ გავჩნდით, რომ ვიცხოვროთ — ეუბნებოდა იგი ცოლს, — და არა იმისათვის, რომ სიმდიდრეს დავკანკალებდეთ. იფიქრე მხოლოდ შენს თავზე და ის ვინც შენს შემდეგ მოვა, თუ სულელი არ აღმოჩნდა, თვითონ იზრუნებს თავისი ბედნიერებისათვის! რა გვაკლია მე და შენ? ბინა ჯადოსნური კოლოფივით გვაქვს მოწყობილი, წყალი ჩვენს ხელთაა, აბანო — ცხვირწინ, სამოსიც საკმაოდ გვაქვს. ღმერთმა ქნას, რომ სხვებიც ასე ცხოვრობდნენ.

ყველა ამ საუბრებში იგრძნობოდა, რომ იგი მაინც ვერ ურიგდებოდა ძველი ავლადიდების დაკარგვას.

დიახ, კარგად ცხოვრობდა ძინგა-ყუდაბერდი, მაგრამ მასში მაინც დუღდა მოუთვინიერებელი სიბრაზე.

ერთხელ იგი ქალაქში წავიდა კარებას საკეტისა და სახელურების საყიდლად. საღამოსათვის თავისი საქმეები დაამთავრა, მაგრამ ქარხანაში წასვლა ვეღარ მოასწრო და ქალაქშივე დარჩა. პროლეტარების პროსპექტზე სეირნობისას სამოც კაპიკად იყიდა ბილეთი ზოოპარკში შესასვლელად და ცხოველთა დასათვალიერებლად წავიდა. იქ იყვნენ შაიმუნები, დათვები, ნიანგებიც. დინჯად ათვალიერებდა ყველას, მაგრამ სხვებთან შედარებით, ყველაზე დიდხანს იგი გაჩერდა მსხვილი რკინის ბადეულებით შეკრულ ფალიასთან, რომელშიც მოწითალო-რუხი ფერის უსურიის ვეფხვი იყო დამწყვდეული. მხეცი მძიმედ და რბილად აბიჯებდა; დასეირნობდა აქეთ-იქით ვიწრო გალიაში, ვეებაეშვებიან ხახას ნახევრად აღებდა და სისხლიანი თვალებით შესცქეროდა მის საცქერალად შეკრებილ ადამიანებს. ვეფხვის თვალთა გამომეტყველებიდან ადვილი იყო იმ აზრის გამოტანა, რომ თუ მას თავისუფლებას მიანიჭებდნენ, იგი მაშინვე დაიწყებდა მის საჭვრეტად მოსულ ადამიანთა ქლეტასა და დაბდღვნას, თავისი

მძლავრბრძოლებიანი თათებით, არ შიაქცევდა ყურადღებას განწირულთა კვნესასა და გოდებას, დაალრჩობდა ყველას, ყველას და გაიქცეოდა ტყეში, სადაც სხვა მხეცებივით დაიწყებდა კვებას. გალიაში მას ყველაფერი აქვს — თავსაცავი მზისა, წვიმისა და სიცივისაგან; კვებავენ ხორცით, ულიან კიდეც, მაგრამ განა ვეფხვისათვის არის გაჩენილი ასეთი ცხოვრება?

ვეფხვის ცქერამ ყუდაბერდს თავისი ცხოვრება გაახსენა. ისიც ხომ ვეფხვივით გალიაშია დამწყვდეული? ადრე იგი მდიდარი კაცის ბედნიერებითა და არაფრისმქონეთა მორჩილების სიხარულით ცხოვრობდა. ახლა მისი ცხოვრება შემსუბუქდა, არაფერი ესაჭიროება, მაგრამ არ არის სივრცე, სიუხვე, არა აქვს უფლება ხმამაღლა თქვას: „ყოველივე ეს ჩემი საკუთრებაა, ცხენებიც ჩემია, წისქვილიც ჩემია, ქარხანაც ჩემია და ხელის ხლება ჩემდა დაუკითხავად არავინ გაბედოს“. და თუ ასეთი უფლება არა გაქვს, შენთვის ნამდვილი ცხოვრებაც არ ყოფილა. ასე წუწუნებდა ყუდაბერდის გული, რომელიც კაეშნითა და სიბრაზით იყო სავსე. თავჩაღუნულმა და მოღუშულმა უკან შემოწყობილი ხელებით სამხეცე დასტოვა.

• •

კოლმეურნეობაში მუშაობის პირველ დღეებში ცოლა ისევ ეპვიანობდა, სწორედ მოვიქეცი თუ არაო. მაგრამ იგი იყო ისეთი კაცი, რომელსაც არაკეთილსინდისიერად მუშაობა არ შეეძლო. მოჯამაგირედ ყოფნის დროს შრომობდა კარგად და ახლა ხომ საერთო მეურნეობაში უფრო მეტად გაირჯებოდა. პირველ ხანებში ბრიგადირი აღვიძებდა ხოლმე და სამუშაოზე ერთად მიდიოდნენ, მაგრამ შემდგომ ეს უკვე აღარ იყო საჭირო, რადგანაც ცოლა სამუშაოდ ყველაზე ადრე გამოდიოდა. ხდებოდა ისედაც, რომ მას მარჯვე ახბოლათის კომკავშირელთა ბრიგადა აასწრებდა ხოლმე. ცოლა წავიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან.

— გთხოვთ, ჩვენს კომკავშირში დამიშვათ!

თავმჯდომარეს გაეცინა.

— ამ სიბერის დროს, ცოლა, რა კომკავშირელი უნდა გამოვიდეს თქვენგან?

— მე კომკავშირში შესვლას კი არა, მათ ბრიგადაში მუშაობის ნებართვას მოვითხოვ, — აუხსნა ცოლამ.

— აა... ეს უკვე სხვა ამბავია. არაფერი მეთქმის, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ჩვენთან სუყველაზე ჩამორჩენილი ბრიგადა ის არის, რომელშიაც თქვენა ხართ, და თუ ჩამორჩენილებს თქვენისთანა კარგ მუშას მოვაშორებთ, საქმე მთლიანად გაფუჭდება.

ცოლას არ დაუჟინია და დარჩა თავის ბრიგადაში. ერთხელ ცოლამ გაიგო, რომ მის შესახებ გაზეთში წერილი გამოექვეყნებინათ. იგი დაშინდა, რადგანაც ეგონა, რომ გაზეთში მხოლოდ იმათ შესახებ წერდნენ, რომლებიც ცუდ საქმეს სჩადიოდნენ. ძალიან გაუკვირდა, როდესაც უთხრეს, გაზეთი კარგსაც აღნიშნავს და წერილი შენს კარგ მუშაობაზეა დაწერილიო. გულის დასაჯერებლად ცოლა მაინც წავიდა ქოხ-სამკითხველოში და გამგეს სთხოვა, წამიკითხე რაც ჩემზეა დაწერილიო. სიხარულით ისმენდა ცოლა ქებას, რომელიც მას ეკუთვნოდა.

— ეს გაზეთი მარტო ერთია და მხოლოდ ჩვენს სოფელშია? — იკითხა მან.

— არა, კიდევა გვაქვს და სხვა სოფლებშიც არის.

— ესე იგი, მას წაიკითხავენ ყველგან?

— დიახ, რა თქმა უნდა!

„აქამდე — ფიქრობდა ცოლა, — ყველანი ღატაკად მთვლიდნენ, პატივისმცემელიც არავინ მყავდა, ახლა კი ჩემი სახელი მთელს ოსეთში ცნობილი გახდება, ყოველ სოფელში გაიგებენ, როგორ უნდა მუშაობა. ასე რომ, ახლა უფრო მეტი და გულმოდგინე შრომაა საჭირო, რათა სხვებმაც გაანძრიონ ხელი“.

ცოლას სულ უკვირდა, რომ მას სხვაზე უკეთესად აქმევდნენ, რომ სახელად რაღაც „დამკვრელი“ დაარქვეს და რატომღაც უფასოდ დაუთმეს ოცი მეტრი მიტკალი. ის ხომ მანამდეც მუშაობდა სხვებთან და საკმაოდ კარგადაც, ის ხომ თავის მეურნეობაშიც თავისუფლად ირჯებოდა? მაშ, ამ ბოლო ხანებში, რატომ გახდა მისი შრომა ასეთ საპატიო საქმედ? ყველაფერი ეს მისთვის გაუგებარი რჩებოდა.

• •

ძინგა-ყუდაბერდმა საკმაოდ ბლომად გაფლასგა სახელმწიფო ქონება: ბუღალტერიაც ჩაითრია თავის ბნელ საქმეში, ერთად გაანიავეს ოცდახუთი ათასი მანეთის რაოდენობის პროდუქტები. შეშინებულებმა იმით, რომ ნიღაბი არავის აეხადა მათთ-

ვის, დაიწყეს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნა. საჭირო გახდა ბუღალტერიაში საბუთების განადგურება, მაგრამ უკეთესი იქნებოდა თუ მათ კანტორასთან ერთად დასწვავდნენ. ორივე თავს იმტვრევდა ცეცხლის წაკიდების განხორციელების გეგმაზე.

ამიტომ იყო, რომ თვალი მოჰკრა თუ არა ძინგამ სამუშაოზე ჩამოსულ კოლმეურნეთა შორის მყოფ ცოლას, მაშინვე გადაწყვიტა მისი გამოყენება. ძინგას კარგად ახსოვდა ცოლას დამყოლი ხასიათი, და ისიც, რომ პურ-მარილის მოყვარული იყო. იგი შეეხვეწა დირექტორს, ცოლა კანტორაში ღამის დარაჯად მომიწყვეო. ამავე დროს ცოლას ხან ფქვილით, ხანაც შაქრით ასაჩუქრებდა და თან დათაფლული სიტყვებით ისტუმრებდა:

— წაიღე, წაიღე, ჩემო მზეო, გეყოფა რაც იცხოვრე სიღატაკეში. წინ ჩემი საყვარელი მეზობელი იყავი და არასოდეს დაგივიწყებ.

ამავე დროს გადაკვრით იმ ამბებსაც უხსნიდა, რა საქმე როგორ მიდის, და ახვედრებდა, რომ მისი თანამზრახველობაც საჭირო იყო. ცოლა არ პასუხობდა, არც უარს ეუბნებოდა. ბოლოს ძინგამ და ბუღალტერმა გადასწყვიტეს, განზრახული სისრულეში მოეყვანათ ცოლას მონაწილეობის გარეშე.

ერთხელ, დილით, კანტორის სახლის კუთხიდან კვამლი ამოვარდა. როდესაც ცოლა აბოლებულ შენობას მიეარდა, ალი, რომელიც მშრალი ფიქვის ძელებს ოლად ედებოდა, უკვე სახურავამდე ასულიყო. ცოლამ თვალი მოჰკრა უცნობს, რომელიც ღობისაკენ მირბოდა. მაშინვე გამოუდგა და ხელი სტაცა. უცნობი ძინგა აღმოჩნდა, რამაც ცოლა ძალიან გააკვირვა. ცოლამ ხელები შეუშვა. „არავისთან არ წამოგცდეს“ — სწრაფად ჩასჩურჩულა ძინგამ და ღობეს გადაახტა.

ცოლა კანტორას დაუბრუნდა და სროლით განგაში ასტეხა. მოცვივდნენ მუშები, მოათრიეს კასრები და ტუმბოები, მაგრამ ალში გახვეულ შენობას ვერაფერი მოუხერხეს.

ბუღალტერი ყვირილით დარბოდა ანთებული სახლის ირგვლივ, შიგნით დოკუმენტები და ფული იწვესო. მოვარდა ყუდაბერდიც თავისი ბინის მხრიდან და მოღრეცილი სახით გახედა ხანძარს.

ცოლასათვის ხანძარი ჩვეულებრივი ამბავი იყო. გაიგონა თუ არა ბუღალტრის ყვირილი, მაშინვე ვაკაცელო წყალი და მივარდა კანტორის კარებს, რომელსაც ალი ჯერ ვერ მორეოდა. წამიც არ იყო გასული, რომ კანტორის ფანჯრებიდან გადმოვარდა ფულის უჯრა, რომელთაც მოჰყვა წიგნები და შეკრული ქაღალდები. ალმოდებული ოთახიდან გამოვარდა ცოლაც, საბედნიეროდ . არც ისე მაგრად დათუთქული, მან მაშინვე სიხარულით განაცხადა, რომ ფანჯრიდან ყველა ქაღალდების გადმოყრა მოასწრო.

ყუდაბერდიცა და ბუღალტერიც თავის თავს ალარ ეკუთვნოდნენ. მთელი მათი გეგმა ჩაიფუშა ცოლას წყალობით. პურ-მარილმაც ტყუილუბრალოდ ჩაიარა. პირიქით, ცოლა გადაიქცა მათი საქმეების საშიშ მოწმედ.

ყუდაბერდმა ისევ სცადა ცოლას პროდუქტებით მომარაგება, მაგრამ ის უკვე ალარ ღებულობდა, მიხვდა, რომ აქ რაღაც ბინძური საქმე ტრიალებდა. რატომ გაიქცა ყუდაბერდი როდესაც ხანძარი დაიწყო? ახლა გასაგები გახდა მ:თ: ადრინდელი ქარაგმებითა და გადაკვრით ნათქვამ: სიტყვები. იგი აიძულებდა ცოლას, კანტორას ცეცხლი წაუკიდეო. ასე იქცევა მხოლოდ მტერი. არა, ახლა დუმილი არ შეიძლება!

ძინგა მიხვდა, რასაც ცოლა აპირებდა. ამირჩია დრო, როცა ცოლა თავისუფალი იყო, მიიყვანა სახლში, გაუმასპინძლდა და მაგარი ღვინით დაათრო.

დალამებული იყო, როცა ცოლამ ძინგა დატოვა. გაჭირვებით მიდიოდა ქუჩაში ახლად აშენებული სახლების ახლო. უეცრად ცოლას მოესმა, რომ მის უკან ვიღაც მოაბიჯებდა. მოიხედა და ძინგა დაინახა, დაინახა და გვერდში ხანჯლის დარტყმაც იგრძნო.

მეს ღრიალზე მოცვივდნენ მუშები, ცოლამ ძლივს მოასწრო ორიოდე სიტყვის თქმა — „ძინგამ მომკლა“. მუშებმა არ იცოდნენ ყუდაბერდის მეტსახელი და გადაწყვიტეს, რომ ცოლა სიკვდილის წინ ბოდავსო.

იგი მიიყვანეს ქალაქის საავადმყოფოში. დირექტორმა ყველაფერი მიანდო ყუდაბერდსა და ერთ მუშას. ყუდაბერდმა გადაწყვიტა, ეს ნაბიჯი თამამად გადაედგა, რადგანაც იმედი ჰქონდა, რომ ექიმის ყურადღებას ჩამოაშორებდა მომაკვდავს. მაგრამ იგი გაშეშდა, როცა მის შესახვედრად გამოსულ ექიმში აკსო იცნო. აკსოს კითხვაზე, თუ რამ მიიყვანა იგი საავადმყოფოში, ყუდაბერდმა ირუ-

ლად დაიწყო მოყოლა, თუ რა უბედურება შეემთხვა ცოლას.

როცა გაიგო თავისი მამობილის სახელი, აკსო მივარდა საზიდარს. დაჭრილი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და აკსომ მაშინვე განკარგულება გასცა, რათა ავადმყოფი საოპერაციოდ მოემზადებინათ.

სამი თვე იწვა ცოლა საავადმყოფოში. აკსო დღე და ღამე მორიგეობდა მის ლოგინთან, მან ყველაფერი გააკეთა ავადმყოფის გადასარჩენად.

ძინგა დაიჭირეს და გაასამართლეს ქარხანაში ყველა მუშის თანდასწრებით. გამოძიებით დადასტურდა ძინგას დანაშაული, როგორც ხალხის მტრისა, მატყუარისა, ქურდისა და მკვლელისა. იგი ღირსეულად დაისაჯა.

ახლოვდებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაული. წინა დღით დირექტორმა გამოიძახა ცოლა, აცნობა რომ იგი დაჯილდოებულია გმირული საქციელისათვის და სთხოვა მომზადებულიყო საღამო შეკრებაზე სიტყვაში გამოსასვლელად. ცოლას აღელვებას. და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გაოცებული შესცქეროდა კლუბის გაზეთში თავის სურათს. უკვირდა, როგორ ადიდებდნენ უბრალო და ღარიბ კაცს ასე. რა დრო დადგა, რა ცხოვრება!

საზეიმო სხდომაზე ცოლამ გაიგონა თავისი სახელიც და ყურები ცქვიტა, როცა მომხსენებელმა „ერთ-ერთი საუკეთესო მუშაკი" უწოდა მას. სულმთლად აიბნა ცოლა, როცა მისი სახელი ალმოჩნდა პირველადდაჯილდოებულთა სიაში. პარტიული კომიტეტის მდივანი ლაპარაკობდა ცოლას ცხოვრებაზე, იმაზე, თუ რა დახმარება გაუწია მან წითელ არმიას სამოქალაქო ომის დროს, როგორ მუშაობდა კოლმეურნეობაში, რა გმირობა ჩაიდინა ქარხანაში. მდივანმა თავისი სიტყვა დაასრულა სიტყვებით:

— ეი, ამისათვის, გამგეობისა და ქარხნ.ს დირექციის გადაწყვეტილებით, მიეცეს ამხანაგ ჩშიათ ცოლას ხუთი ათასი მანეთი იმ ფულიდან, რომელიც მან ხანძარს გამოსტაცა. გარდა ამისა, ამხ. ჩშიათი წარდგენილია ორდენით დასაჯილდოებლად!

ყველამ ტაში დაუკრა. მუსიკის ხმაც გაისმა. მდივანმა ძალით მიიყვანა აბნეული ცოლა პრეზიდიუმთან. მთელი დღე ემზადებოდა ცოლა ამ წუთისათვის. რამდენი კარგი სიტყვა უტრიალებდა თავში, რა აწყობილად გამოდიოდა ყველაფერი, მაგრამ აქ მთელი სიტყვები მუხუდოსავით დაებნა და ვერაფრით ვეღარ მოუყარა თავი.

გაწითლებული და გაოფლილი იდგა პრეზიდიუმის მაგიდასთან. ბოლოს მოიკრიფა ძალა და სთქვა:

— ეს... ე... ღმერთმა გადღეგრძელოთ... მაგრამ... მე... თქვენი მადლობელი ვარ... მე ენით მაგარი არა ვარ, მაგრამ თუ სადმე ჩემი ძალ-ღონე დაგჭირდებათ, აქა ვარ და არსად გავიქცევი.

მეუხარე ტაშმა იგრიალა დარბაზში და ისევ ახმაურდა ხალხი.

ბრიგადირი გაბდინი

დიდი ხანია, რაც დალამდა და ახლა სოფელს სძინავს, მკვდრული, უშფოთველი ძილით. მხოლოდ აქა-იქ, ზოგიერთ ფანჯრიდანღა გამოკრთის სინათლე. თემშარაზე სულიერის ჭაჭანება არ არის. მაღალ ბოძზე დაკიდული, გაკაშკაშებული ელნათურა, რატომღაც ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს სრულიად ზედმეტია ამ კუნაპეტივით შავ ღამეში.

ელნათურით გაშუქებულ თემშარაზე ვეება ტანის ადამიანის ფიგურა გამოჩნდა; ბეჭებში ოდნავ მოხრილიყო და დეევური ნაბიჯით მოდიოდა, შემოდგომის წვიმებისაგან ატალახებულ ქუჩაზე.

იგი გაბდინ ბათოთი იყო — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის ბრიგადირი ახმაურდა ხალხი.

„სამოცდაათი წელია ამ ქვეყანაზე ვცოცხლობ, — იტყვის ხოლმე გაბდინი, — სამოცი წელი მიწაზე ვმუშაობ. ჩვენს მიწას ისე ვიცნობ, აგრონომი კი არა, სტუდენტიც რომ შემხვდეს (გაბდინმა ადრიდანვე იცოდა რომ სტუდენტზე უფრო სწავ-

ლული არავინ იყო), ის კი არ მასწავლის, არამედ მე თვითონ ვასწავლი მას, — როგორ უნდა მიწის დამუშავება.

მაგრამ გაბდინი წელს შეეჭვდა თავის გამოცდილებასა და ცოდნაში. სამოცი წელია, რაც ის მიწას ერქვინება, მაგრამ მაინც ვერაფერში გამოიყენა თავისი გამოცდილება. მაშინ, როცა მისი მამა-პაპანი მთებიდან აქ გადმოსახლდნენ, ეს მიწა მწირი იყო. იმ დროიდან უფრო და უფრო მწირდებოდა და იფიტებოდა. რაც არ უნდა მოსავლიანი წელი ყოფილიყო, ერთ დესეტინაზე ას ორმოც ფუთ სიმინდზე მეტი მაინც არ მოსულა.

დღეს კი შეაქეს ბრიგადის მუშაობა. გაბდინის რგოლის ყოველ სამ საცდელ ჰექტარიდან თითოეულზე ექვსას ორი ფუთი აიღეს, ხოლო სხვა დანარჩენ თითოეულ ჰექტარიდან ოთხას თექვსმეტი ფუთი. დიახაც, გაახარა გაბდინი თავისი შრომის მიღწევამ. მღელვარება ვეღარ შეიკავა; აწითლებული და მოღიმარე სახით შეხედა ბრიგადის მუყაით წევრს თებსათი მისირბის და მხიარულად გასწია შინისაკენ.

გაბდინი დასაძინებლად დაწვა, მაგრამ ვერ შეძლო დაძინება; უცნაურად შებოჭეს ფიქრებმა მისი გონება: ნუთუ ტყუილად იკვეხნიდა, რომ მას ყველაზე დიდი გამოცდილება ჰქონდა მიწის დამუშავებაში.

და ბრიგადირმა დაიწყო გამოთვლა, თუ რამდენი მარცვალი დაღუპა და ტყუილ-უბრალოდ გაატანა ქარს წლების მანძილზე. ამაზე ფიქრმა განაცვიფრა. მოსვენება დაკარგა და ლოგინში ისე ბორგავდა, თითქოს გახურებულ ქვაზე წოლილიყოს.

იგი ახლაც ხომ ყოველდღიურად სამ დესეტინაზე ნაკლებს არა თესავს. მოუსავლიანი წლების ჩაუთვლელად, ყოველ დესეტინაზე ას ორმოც ფუთს იღებს. ჰოდა, როგორც ჩანს, ყოველ სამ დესეტინაზე იგი ვერ იღებს იმ ათას ოთხას ფუთს, რომელიც მას შეეძლო აეღო. მაშასადამე, სამოცი წლის განმავლობაში, რაც გაბდინი მიწას ებრძვის, ასი ათასი ფუთი დაკარგა. ვინ არის დამნაშავე ამაში? ვისი ბრალია, რომ ასე უბრალოდ დაიკარგა ამდენი პური? დიახაც, თვითონ არის დამნაშავე. ეს ყოველივე ალბათ იმიტომაც მოხდა, რომ ის, გაბდინი, ხარივით უაზროდ ებღიჯინებოდა მიწას და მიწისა კი არაფერი გაეგებოდა თურმე. ჯანდაბას ეს ყოველივე, მაგრამ წელს? წელს საცდელი ნაკვეთის გარდა, თითოეულ ჰექტარზე ექვსასი ფუთი ვერ აიღეს. გამოდის, რომ მიწაში ჩარჩა ორი ათასი ფუთი. თურმე თხუნელებივით ჩიჩქნიან მიწას და მეცნიერებისა კი არაფერი გაეგებათ. არა, ასე მუშაობა აღარ შეიძლება, აღარ!

ძილი გაუკრთა მოხუც გაბდინს. იგი დიდხანს ბორგავდა. ამ წუთს ისიც გაახსენდა, თუ როგორ უხაროდა და ეამყებოდა, როცა მას თავმჯდომარე ეუბნებოდა: მოწინავე კოლმეურნეების თათბირზე გაგაგზავნიო.

დიახაც, ჰქონდა მას დასაკვეხნი... ახლა? ახლა რა პირითღა შეხედეს მათ, ვისაც შარშან სიტყვა მისცა?.. არა, ის ურჩევნია ბრიგადირს, — ახალი სიტყვა მისცეს მომავალი წლისთვის. იქნებ მანამდე გაიგოს რამე მიწის დამუშავებისა. ხვალვე წავა ქალაქს, ხოლო ამ საათში მისირბის მოინახულებს და მოელაპარაკება.

გაბდინი წამოდგა. სინათლეც არ აუნთია, სიბნელეში გადაიცვა ტანზე და აი, ასე უდროო დროს მიდის მისირბისთან.

გაბდინი ხელით შეეხო ჭიშკარს. ჭიშკარი ღია იყო; ალბათ მისირბის უფროსი ვაჟი — კოლმეურნეობის ბუღალტერი, ჯერაც არ მოსულა კანტორიდან. გაბდინი საკუჭნაოდან შეეიდა, სადაც ელნათურის სინათლე ვეღარ აღწევდა და, სიბნელეს მოეცვა იქაურობა. ეზოში შესული გაბდინი უეცრად რაღაც რბილს წააწყდა და ზედ დაეცა. სირბილემ თავ-პირის დამტვრევას გადაარჩინა. ძროხა არ წამომდგარა, დაფეთებულივით დაიქშინა და სახეზე შეაორთქლა ბრიგადირს.

— ღოკი, რომ თან არ წაგიყოლოს! კარებთან არ წამოგდებულა! — წაიბურდღუნა გაბდინმა.

სიბნელეში ჯოხით იკვლევდა გზას და სიფრთხილით მიდიოდა. ძაღლმა შეღრინა, მაგრამ გაბდინის ხმა იცნო უმალ და გაჩუმდა. ბრიგადირმა იცოდა, რომ მისირბი მარტო იძინებდა დიდ ოთახში. კარი შიგნიდან აღმოჩნდა ჩაკეტილი.

— ესეც გასათხოვარი გოგო ხომ არა მყავს, რომ მოტაცებისა ეშინოდეს, რას ჩაუკეტია კარები, რაშია საქმე?! — უკმაყოფილოდ წაილაპარაკა და ხმადაბლა შეუძახა მისირბის. ეშინოდა: სხვებისთვისაც არ დაეფრთხო ძილი. არავინ უპასუხა. მაშინ უფრო ხმამაღლა დაუძახა და კარი ოდნავ შეანჯღრია.

— ვინ არის მანდ? მოიცადე, მოიცადე მოვდივარ! — მოისმა ხრინწიანი, ჩახლჩილი ხმა.

საწოლმა გაიჭრიალა და იატაკზე ჩუსტები აფლატუნდა. მისირბიმ ელნათურა აანთო. ფანჯრის ფარდების ნასვრეტებიდან სინათლე გამოიჭრა. ხის ურდულმა გაიხმაურა და კარი გაიღო. მისირბი საცვლებისამარა იყო, წინდებსა და ჩუსტებში გამოწყობილი. გაბდინის დანახვამ განაცვიფრა, თუმცა ბევრჯერ გაუკრთია ძილი ბრიგადირს მისთვის, უდროოდ წამოუხტუნებია ლოგინიდან, მაგრამ ეს გახურებული მკის დროს იყო, როცა ბრიგადირს აუცილებელი საქმე ჰქონია მასთან.

მოვიდოდა შუალამისას, რაღაც მიზეზს გამოძებნიდა, ან არადა ახალ რამეს მოიფიქრებდა მოსავლის გადიდებაზე და ამ ახალ აზრს აბა, მისირბის მეტს ვის გაუზიარებდა; ყველანი ახალგაზრდები იყვნენ და მისირბისთანად ვინ გაუგებდა და მიუხვდებოდა. ახლა კი მუშაობა დამთავრებულია, ხალხს ხორბალს უნაწილებენ, ესლაა მათი სამუშაო და სხვა არაფერი.

— რამ მოგიყვანა ამ დროს აქ? შემოდი შინ, შემოდი!

— მე ხვალ თათბირზე მივდივარ. — სთქვა გაბდინმა სახლში შესვლისას, — ჰოდა, ვინ იცის, იქნებ გადაქქიმ, სუზანათიმ, გაბერი დონათიმ და შუმაყომ კვლავ გამოგვიწვიონ სოცშეჯიბრებაში მომავალ წლისთვის?! ახლა სწორედ ამაზე უნდა მოვილაპარაკოთ, თუ რა პასუხი გავცეთ მათ.

გაბდინმა ჯოხი ღუმელთან მიაყუდა და ტაბურეტზე ჩამოჯდა. მან კარგად იცოდა, რომ მისირბი თუმცა მოხუცი, მაგრამ მაინც გამრჯე და შუყაითი ადამიანი იყო. მაშინაც კი, თუ უსმენს ვისმეს, ანდა ესაუბრება, — არ ისვენებს; ხელებს აფათურებს, რაიმეს საქმიანობს. ამიტომ გაბდინმა, თუმცა მისირბი ტანზე იცვამდა, მაინც საუბარი დაიწყო საქმეზე. მისირბი ყურადღებით უსმენდა და თან მინავლულ ნაკვერჩხლებს ერთად აქუჩებდა; ზედ არ ყით სავსე ჩაიდანი დადგა და შიგ პილპილი ჩაყარა. მერმე კი განჯინაში დაიწყო ბუჯარაობა პურისთვის. იგი ხანდახან გაშეშდებოდა და გაყუჩებული უსმენდა გაბდინს, რომ მისი ნათქვამი კარგად გაეგო.

— მართალს ამბობ, მართალს! — დაემოწმებოდა ბრიგადირს და თავისას განაგრძობდა კვლავ.

გაბდინი კი მშვიდად ამბობდა:

— ჩვენ ახლავე უნდა შეეუდგეთ მუშაობას მომავალი წლის მოსავლისათვის, მაგრამ საიდან უნდა დავიწყოთ, მისირბი, თუ იცი? ჩვენ ჯერ თესლი უნდა გადავარჩინოთ...

— შენ მართლა ამბობ, განა!

— მეორე: უნდა მოვაგროვოთ სასუქი. ნეხვი ტყუილად დაარქვეს მას, ის ნამდვილი ოქროა, ძმაო, ოქრო!

— ეგეც მართალია, მაგრამ ოქრო ითლად არ იშოვება და... ყველა მას ეტანება, თითქოსდა მართლა ოქრო ყოფილიყოს.

— ოქროზე უფრო ძვირფასია-მეთქი, მისირბი. ახლავე დავიწყოთ ჩვენს ნაკვეთებში სასუქის გაზიდვა. პირველ რიგში ჩემს და შენს ეზოდან, მერე კი სხვის ეზოებსაც ჩამოვუვლით.

— რაღა მაინცდამაინც ამ მოხუცობისას მოგვიწია ნეხვის ზიდვამ?

— მერე, აქ სასირცხვილო რა არის, მისირბი?! სირცხვილი აი მაშინ იყო, როცა მას ნეხვს უძახოდნენ. ახლა კი, ჩემო კარგო, გაიგეს, რომ თურმე ოქრო ყოფილა, ჰოდა, ჩვენც აღარავინ დაგვძახავს.

მისირბიმ სუფრა გააწყო. უყვარდათ ამ მაგიდაზე ერთად პურის ჭამა. ვინ მოსთვლის რამდენჯერ გაუტეხიათ ღამე მოხუცებს ასეთ საუბარსა და პურის ჭამაში.

— ცხვრის ხორცია მაქვს, კვერცხიც, მაგრამ მისი გაკეთება აბა, რა ჩემი საქმეა. დედაკაცებს კი ვერ გავაღვიძებ; დაღლილები არიან და მეცოდებიან.

— ყველაფერიც საკმარისია; ახალი ყველი, პური, შემთბარი არაყი. განა ეს ურიგო ვახშამია!

გვიანობამდე ისაუბრეს, იუკუკუკეს მოხუცებმა, თან სვამდნენ და საქმელსაც მადიანად შეექცეოდნენ.

მხოლოდ მამლების პირველი ყივილისას განშორდნენ ურთიერთს. მარტოდ დარჩენილი მისირბი დიდხანს ფიქრობდა თუ რა უნდა მოემოქმედებინა, სანამ გაბდინი ქალაქს იქნებოდა.

ბოლოს მისირბიმ მოიფიქრა, რომ კოლმეურნეობის საქონლის ფარდულში ბევრი სასუქის მოგროვება შეიძლებოდა: ოღონდ იქამდე მივიდე, და იქ მეჯინიბე ნალიყო ვასათი ჩემი ძველი მეგობარია და დახმარებას გამიწევსო.

დილაადრიანად წავიდა მისირბი საქონლის ფარდულში. ღრუბლიანი დღე იყო. ციცი, სუსხიანი ქარი ტყაპუჭში ატანდა და მთელს სხეულში გამჭოლავად უელიდა.

ნალიყი ფარდულს ასუფთავებდა ნეხვისაგან.

— დილამშვიდობისა, ნალიყ!

— ღმერთმა გაცოცხლოს! ასე ადრიანად რამ მოგიყვანა?

— ზემოუბანში პატარა საქმე მქონდა და შენთანაც შემოვიარე. ეიფიქრე: მოდი, ჩემს ძველ მეგობარს ვინახულებ-მეთქი. ასე ადრიანად რად შედგომიხარ ფარდულის დასუფთავებას?

— როგორც გამიგია, მისირბი, ძროხებსაც ისე აწუხებთ ნეხვის სუნი, როგორც ჩვენ, ადამიანებს. გახდებიან და რძეს ნაკლებს მოგვცემენ. ჰოდა, ასე რომ არ მოხდეს, უნდა დროულად დავხვეტო.

— იქნებ ასეც სჯობდეს!

ცოტახანს მდუმარედ იყვნენ. შემდეგ მისირბიმ უთხრა ძველ მეგობარს:

— მოიცა... მოდი, მეც მოგეხმარები, თუმცა ჩემზე ჯეელი კი ხარ, მაგრამ შენ ავად იყავ და...

მისირბიმ ნიჩაბი წაართვა. მან არაფერი უთხრა ძველ მეგობარს თავისი მოსაზრების შესახებ, ისე შეუდგა ნეხვის გატანას. იგი ერთ ადგილზე აგროვებდა, ფარდულის უკან. ნალიყმა მადლობა გადაუხადა. მერმე მისირბი სოფელში წავიდა და ბრიგადის წევრები შეკრიბა. მათ გაუმეღავნა წუხანდელი საუბარი გაბდინთან და თავისი მოსაზრებებიც გაუზიარა.

იმავე დღეს ბრიგადის წევრებმა ხაბი ურემი შეაბეს და თავიანთი ეზოებიდან სასუქის გაზიდვა დაიწყეს მინდვრად.

მოღიმარე სახით უცქერდა თავმჯდომარე მათ მუშაობას და მხიარულად ამბობდა:

— შეხედეთ, გაბდინის ბრიგადას, არავის არაფერი უთქვია, თვითონ შეუდგნენ მუშაობას მომავალი წლისათვის.

მისირბი კი ამ დღიდან ყოველ დილა მიდიოდა ნალიყთან და ფარდულის დახვეტაში ეხმარებოდა. ნალიყი უხერხულობდა, მისირბის ეთხოვდა: ნუ წუხდებიო, მაგრამ იგი არ უთმობდა:

— მაშ ვიღას დავეხმარო, თუ არა ძველ მეგობარს. შენ ისედაც გატანჯული ხარ, ნალიყ, სნეულებისაგან და, მე მოვალედ ვთვლი ჩემს თავს — დაგეხმარო.

ერთხელ ფარდულის დასუფთავების შემდეგ მისირბი სოფლის თემშარაზე მიდიოდა. მან მოშორებით ურემი შეამჩნია და გაუკვირდა: ვინ არის და რაში დასჭირვებია ამ დროს მინდორში წასვლაო?

მალე ურემი მისირბის მიუახლოვდა. ურემზე გალაზათი ბიბოცას ეპატა — ფედია იჯდა; ახალგაზრდების მეორე ბრიგადიდან. ურემი ჭლებამდე იყო სავსე სასუქით. მისირბიმ სალამზე სალმით უპასუხა ახალგაზრდას და გაიფიქრა. „კუდიანის შვილი... დაინახა, რომ სასუქს ვეზიდებოდით და მოგვბაძა. შარშანაც ხომ ჩვენ გვიწევდა ჯიბრს. არა, შვილსან, თქვენ იმის წელი არა გაქვთ, რომ მოხუც „ახალგაზრდებს“ შეეჯიბროთ... თუმცა შარშან კინაღამ გავვტოლდნენ. ბათი მიწა ქვიანია თორემ...“

იმის მაგიერად, რომ ახალგაზრდა შეექო, მან ურიგო სიტყვებით ახსენა იგი. და ამ წუთას თვითონ მისირბიმაც არ იცოდა, თუ რად მოიქცა ასე. სხვა ბრიგადებმაც რომ არ გაზიდონ მისი მოგროვილი სასუქი, რაიმე უნდა მოახერხოს მისირბიმ.

იგი კოლმეურნეობის ეზოსაკენ გაემართა. ფარდული დათვალიერა. ერთ-ერთი განცალკევებული საქონლის სადგომი, რომელსაც ჭერი ჩამოგრეოდა, ცარიელი იყო.

— მომისმინე, ნალიყ, ამბობენ: ქალაქიდან სტუმრები ჩამოვიდნენ ჩვენი კოლმეურნეობის დასათვალიერებლადო. ვაითუ მოულოდნელად შენც გეწვიონ. ამდენ სასუქს რომ დაინახავენ, იფიქრებენ: თუ ამათ ფარდულს წინ ამდენი ნეხვი აქვთ, ფარდულში უფრო ბევრი ექნებათო. მაშინ ხომ თავი მოგვეჭრა, ნალიყ.

მისირბიმ ისე გულწრფელად და გულუბრყვილოდ თქვა ეს, რომ არ შეიძლებოდა შეეპეებულიყავით მის სიმართლეში.

— მაშინ აი, აქ მოვაგროვოთ, ამ ცარიელ სადგომში, რომ თვალში არ ეჩოთირეთ — ამბობდა ნალიყი და თან გამხმარ ნეხვს ფშვნიდა.

როდესაც სასუქი დააბინავეს და სადგომი დაკეტეს, მისირბი სოფელში წავიდა. იგი ბავშვივით აიტაცა ხიბარულმა.

ამ დღიდან მან ფარდულიდან საქონლის ცარიელ სადგომში დაუწყო სასუქს ზიდვა.

ერთხელ დილაადრიანად მიეიღა მისირბი კოლ-

მეურნეობის ეზოში. ურმის კვალი და დაფანტული სასუქი შეამჩნია. გულგახეთქილი მოხუცი ჩქარი ნაბიჯით წავიდა იმ სადგომისაკენ, სადაც სასუქს ინახავდა და ათრთოლებული ხელებით გააღო კარი. სადგომი დაცარიელებული დახვდა.

მისირბი გაქვავებულივით იდგა. რას იტყვის ბრიგადა? რას იტყვის გაბდინი? განა ფარდულს იმიტომ ხვეტავდა საკუთარი ხელით, რომ მოსულიყო ვიღაც და წაეღო? იგი ნალიყს გაუწყრა გუნებაში: თვალი არ დაუჭერიაო, მერმე კი იფიქრა:

„ნალიყი რა შუაშია, მე ხომ არ გამიფრთხილებიაო იგი".

— ეს რა ჩაიდინე, ჩემო საყვარელო ნალიყ?

— რა ჩავიდინე, არ მესმის!

— მე სასუქს ჩემი ნაკვეთისათვის ვაგროვებდი, შენ კი ვიღაცისათვის გიჩუქებია. მითხარი, ვინ გაზიდა?

— აბა, მე რა ვიცოდი, თუ შენთვის აგროვებდი, ეგრე რომ მცოდნოდა, არ გავატანდი. მე გაკიხარდა კიდეც რომ იმან წაიღო.

— ვინ იმან?

— ვინა და გოლაზათი ბიბოცას ვაჟმა. გუშინ საღამოს შემოვიდა ჩემთან და მეკითხება: სასუქი ხომ არ გექნებაო. შენ მაინც ხელს გიშლის და ჩვენ გავზიდავთო. გენაცვალოს ჩემი თავი-მეთქი, ვუთხარი და ვაჩვენე სადაც სასუქი იყო.

— შენ თვითონ აჩვენე? — ჰკითხა განცვიფრებულმა მისირბიმ.

— მე ხომ არაფერი ვიცოდი?

მისირბი აფეთქდა:

— მშიერი მგლებივით მესხმიან თავს!

ნალიყი კი კვლავ განაგრძობდა:

— დღეს მამლის ყივილისას მომადგნენ თორმეტი ურმით. თავიანთი ძროხებიც კი შეებათ ურმებში.

— მერე სად წაიღეს?

— ჩვენი მინდვრების ბოლოში.

მათი საუბრიდან ცოტახნის შემდეგ მისირბი შეუკაზმავი ცხენით მიჰქროდა მინდვრის ბოლოსაკენ. ოღროჩოღრო გზაზე ნაკვალევი დაეტოვებინა ურემს. მისირბი დაუნდობლად მიაჭენებდა ცხენს იმის შიშით, რომ ურმები ადგილზე იქნებოდნენ ჩასული და სასუქი გაფანტული იქნებოდა ყანაში. გზაზე ორთვალა მოდიოდა. შიგ გაბდინი და მისი შვილი ისხდნენ, რომელიც მამას სადგურზე დახვედროდა და ახლა შინ მიპყავდა.

ერთმანეთს შეხვდნენ და შეჩერდნენ.

— საით მიაქროლებ მაგ შეუკაზმავ ცხენს, მისირბი, განგაში ხომ არ არის?

— განგაშია, აბა მაშ რა არის, გაბდინ, ბიბოცის ვაჟმა ჩვენი სასუქი მოიპარა.

— როგორ თუ მოიპარა, მე მითხრა კოლმეურნეობის ფარდულიდან წამოვიღეო. ისინი ახლახან შემხვდნენ. მე კიდეც გამიხარდა და ვიფიქრე: ბავშვია, მაგრამ მაინც მოიფიქრა ფარდულიდან სასუქის გამოზიდვა-მეთქი. მისირბი თუმცა გამოცდილია-მეთქი, მაგრამ მაინც..."

— კარგი, გაბდინ, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, ახლა კი უნდა დავეწიოთ მათ სანამ სასუქს მოაყრიან.

მისირბიმ მთელი ძალით შემოჰკრა ცხენს. ცხენი ადგილიდანვე ჩოთირით დაიძრა.

გაბდინმა ერთხანს თვალი გააყოლა, შემდეგ შვილს მოაბრუნებინა ორთვალა და უკან გაედევნა. მან იცოდა, რომ რახან სასუქს დააყრიდნენ, შემდეგ მისი მოგროვება აღარ შეიძლებოდა. ცხენი ისე ჰიჰქროდა, რომ გაბდინი იძულებული გახდა, სადავეები მოეზიდა და ოდნავ მაინც შეეკავებინა გახელებული ცხენი. ორთვალას უკან მტვერმა გზა სრულიად დაფარა.

მისირბის გაუსწრეს, რომელიც გულმოდგინედ უტყაპუნებდა ცხენს და თან გაბდინს უძახდა:

— უთხარი იმ კუდიანს, რომ არ დააყაროს სასუქი! მამიჩემის სულს ვფიცავარ, — ნაწილ-ნაწილ მოვაგროვებინებ ისევ.

ვიდრე მისირბი ფედიას ნაკვეთებამდე მიაღწევდა, ორი ურემი უკვე დაეცალათ. დანარჩენი ათი ურემი ჯერაც არ დაეცალათ. გაბდინი ფედიას ედავებოდა:

— ღმერთო ჩემო, — ამბობდა ფედია, — ეს სასუქი არავის ეკუთვნის, მე ნალიყს ვთხოვე და მომცა.

— მე მგონია, რომ მისირბი მართალია. ის ისეთი მოხუცი არ არის, უსამართლოდ ილაყბოს.

— მეც ამას ვამბობ ხოლმე ყოველთვის; უსამართლო მოხუცი არ არის, მაგრამ ახლა რად გამოგვეკიდა უკან, ვერ გამიგია.

მისირბის ცხენი დარეკობილივით დადგა ხალხის წინაშე.

— ბალღო, შენ სასაცილოდ ვის იგდებ? — ჩახლეჩილი ხმით შესძახა აღშფოთებულმა მისირბიმ.

— შენ, მისირბი, მოხუცებული ხარ და ასეთი გაჯავრება არ შეგშვენის. ჩვენ არავისაც არ ვიგდებთ სასაცილოდ. ნალიყს ეთხოვეთ სასუქი და მოგვცა. ამის მეტი არაფერი ვიცით.

— ეთხოვეთ! — გამოაჯავრა მისირბიმ, — მისირბიმ რომ იწვალა და საკუთარი ხელით ხვეტავდა ნეხვს ფარდულში თავის ბრიგადისათვის, ის კი არ იცოდი შენ, ხომ?

— ჩვენ ეგ, აბა, საიდან გვეცოდინებოდა, თორემ ხელსაც არ ვახლებდით.

ცხადი იყო, ახალგაზრდები სიმართლეს ამბობდნენ. მისირბი ტყუილ-უბრალოდ ცხარდებოდა. იგი მიხვდა ამას, სირცხვილმა უარესად დაქენჯნა და უფრო გაბრაზდა.

— ეს ჩემი სასუქია და, მე თქვენ ახლავე მოგაგროვებინებთ ნაწილ-ნაწილ.

— რასაკვირველია, მოვაგროვებთ. როგორ შეიძლება პატიოსანი მოხუცის ბრძანება არ შეასრულოთ?

— დაანებე თავი, მისირბი, — საუბარში ჩაერია გაბდინიც, — ესენი ჯერ ახალგაზრდები არიან, რა ეუყოთ, თავიანთი გამოუცდელობით შეცდნენ.

მისირბი ერთხანს მდუმარედ იყო. იგი თვალს ადევნებდა უწყინარ ახალგაზრდებს, გოფილ ხარებს და მერე მშვიდად, დაწყნარებულადა თქვა:

— კარგი, რაც ურმებიდან გადმოუცლიათ იმას აღარ მოვაგროვებინებ, ოღონდ ეს დანარჩენი ურმები უკან მოაბრუნონ.

— უკან რად უნდა წავიღოთ, — წამოიძახა გოცებულმა ფედიამ, — თქვენი ბრიგადის ნაკვეთი ხომ აქვე ახლოს არის. ჰოდა, ტყუილად რომ არ ვატაროთ უკან, ის არა სჯობია, რომ თქვენ დაგვეხმაროთ?! ჩვენ, თუ არა ვცდები, მგონი ერთი კოლმეურნეობის წევრები ვართ.

„დახეთ ერთი ამ ბალღს, როგორ ჭკვიანურად მსჯელობს დიდი ადამიანივითა“, — გაიფიქრა მისირბიმ და გაბდინს მიმართა:

— დაე, კიდევ სამი ურემი დაყარონ. როგორცა ჩანს, ცუდი განზრახვით არ ჩაუდენიათ ეს საქმე. ბავშვები არიან, ბავშვები. ტყუილ-უბრალოდ ნუ ჩავუტარებთ შრომას.

• •

გაბდინი და მისირბი ძლივს იკვლევდნენ გზას ტანაყრილ, ტყესავით ხშირ სიმინდის ყანაში. გული სიხარულით აქვთ აღსავსე: აი მათი გულმოდგინე, მუყაითი შრომის ნაყოფი.

თითოეულ ღერს ოთხი-ხუთი მსხვილი ტარო მაინც მოუბამს. მიდიან მოხუცები ფრთხილად და მდუმარედ. მათი ფიქრები კი ერთი და იგივეა.

მისირბი იგონებს ბიბოცის შვილის მიერ წამოღებულ სასუქს. იგონებს თუ აქ, ამ ადგილას, როგორ გაინაწილეს ის სასუქი. იგონებს და ეღიმება მოხუცს ალერსიანად.

გაბდინს კი მოწინავე კოლმეურნეების თათბირი აგონდება, სადაც მან ვალდებულებად აიღო ყველაზე უხეი მოსავლის მოყვანა. იგონებს, თუ ბრიგადის წევრები როგორ აგროვებდნენ ნეხვს, ნაცარს... როგორ ხნავდნენ, როგორ შეაკეთებდნენ ხოლმე ზამთრობით სამუშაო ინვენტარს. გაზაფხულზე კი ხვნა მიმდინარეობდა, შემდეგ ბუდობრივი თესვა, რამდენჯერმე გათოხნა. ბრიგადაშიც და მთელ კოლმეურნეობაში ყველა ხალისიანად მუშაობდა. არავინ ჯიუტობდა, ხვეწნა არავის ესაჭიროებოდა. და აი, შრომის ნამდვილი ჯილდო — დამწიფებული და ბარაქიანი სიმინდის ყანები. ახლა კი საჭიროა მომავალი წლისათვის ვიფიქროთ, გამოვნახოთ რაიმე საშუალება, რომ უფრო მეტი მოსავალი გამოეტაცოთ მიწას.

დაღლილობას არა გრძნობენ. უფრო შორს მიდიან მოხუცები, მხიარულნი და ამაყნი. ისინი მაღალ გორაკზე ავიდნენ. აქედან ხელის გულივით მოჩანს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სათესი მინდვრები. მოხუცები ქვაზე ჩამოსხდნენ და კელავაც დუმილს და ფიქრს განაგრძობენ.

გაბდინი თავისი მოთენთილი თვალებით გახედავს ზღვისფერ შორეთს და რატომღაც ჰგონია, რომ უფრო შორს ხედავს, ვიდრე ადამიანის თვალი გასწვდება. ხედავს, არა მარტო იმას, რაც ხალხს გაუკეთებია, არამედ იმასაც, რის გაკეთებაც მათ შეუძლიათ მომავალში.



ქუძაგ ძესთი

პურის მოგბტანი

გულს ანათებდა ვალლაგქომის[1] სოფლის ნათესები. საჯილხოხიდან[2] მონაბერი ნიავი ზღვის ტალღებივით არხევდა ჯეჯილს. უკეთესს ნახავდა ადამიანის თვალი?! გაზაფხულზე თესლღვიეების დროს, კარგი დარები დაიჭირა და ახლა ამიტომ ბიბინებდა ჯეჯილი საამოდ.

— წლეანდელ ხორბალს ჩვენი ბეღლები ვერც კი დაიტევს.

— მაგას ნუ იტყვი, შენი ჭირიმე, სანამ კალოზ პირზე დახვავებულს არ დაინახავ...

ასე საუბრობდნენ მთიბავები ნათესების ცქერით დამტკბარნი. უკანასკნელ მოსაუბრეს უნდოდა ეთქვა, თუ როგორ დაისეტყვა ერთხელ მწიფობაში შესული პური. მაგრამ ვეღარ გაბედა, სიტყვა შუაზე გაწყვიტა. ერთმა მათგანმა თავთავი მოგლიჯა, ხელის გულზე მოფშვნიტა და ამბანაგებს აჩვენა.

— ამის მადლს ვენაცვალე, ერთი შეხედეთ, ერთ მარცვალს თუ ნახავთ ფშუტეს!

— მადლობა ხორვაციელას[3]. მისი სახელის ჭირიმე, — მიუგო მეორემ.

დილით ბალახის სათიბად არავინ წასულა. მამლის ყივილზე რომ დაიწყო წვიმა, საღამომდე ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. საღამოს ღრუბლები გაიფანტა, ვახშმობისას კი ცაზე ერთი ნაფლეთიც არ დარჩენილა.

ზაფხულში ღამით მთიელი კაცი დიდხანს არ იძინებს ვახშმის შემდეგ. ახლაც მოღლილ სხეულს მოსვენება სურს, მაგრამ ამაღამ არავინ წვება, მამაკაცთაგან ზოგი სახლის წინ ზის, ზოგი ბანზე. ზოგი — საუბარში გართულა.

— რთვილი თუ დადო, ნათესები გაგვიფუჭდება!

— საშიშია, არ გაიყინოს!

— თუ ქარი ამოვარდა, მაშინ არა უშავს.

— შემხვარი თავთავებია და იქნებ ვერაფერი დააკლოს.

„პური გაფუჭდება“, „პური გაფუჭდება“, ყველას პირზე ეს სიტყვები ეკერა. ერთმანეთს ბარემ აიშედებდნენ, მაგრამ მარტო იშედი კმაროდა?!

— არიქა, ბიჭო, სახურავზე ადი, გაიგე საიდან ქრის ქარი, — ამბობს ერთი.

ბიჭი სახურავზე ავიდა. სიო არსაიდან იძროდა და უმალვე ჩამოსძახა:

— არსაიდან არა ჰქრის!..

„პური დაიღუპება“, — გონებიდან არ ცილდება ეს სიტყვები ხალხს. ხანდახან ზოგიერთები სოფლის ბოლოში გარბოდნენ, ნათესების გასა-

---

[1] ვალლაგქომი — სოფლის სახელია.

[2] საჯილხოხი — მთის სახელია.

[3] ხორვაციელა — ბერეულის ღვთაებაა.

სინჯად. უნდოდათ გაეგოთ, რთვილი დადო თუ არა.

— ნუ გეშინიათ. ღმერთის გაჩენილს ღმერთი-ვე დაარჩენს, ხორვაცილა არ გაგვიმეტებს. გახედეთ ხანყოს მთას! ღრუბლის ქულა გამოჩნდა, თუ გაიზარდა — ნათესებიც გადარჩება, — მხიარულად ამბობს სახურავზე ასული ერთ-ერთი მოხუცი.

და უმალვე მოსაუბრეებმა მთისკენ იბრუნეს პირი. —

— იქ რომ ნისლი გაჩნდება, ღრუბლებიც აუცილებლად ჩამოწვება, — ამბობს პირველი მოხუცი.

— ეჭვი არაა, ღრუბელიც იქნება, თორემ მარტო ნისლი საიდან გაჩნდებოდა?

ლაპარაკობენ... ერთმანეთს პირიდან აცლიან სიტყვას. „ნუ გეშინიათ!" შაგრამ აქ, სოფლის ქუჩაში, რად დგანან, რად არ იძინებენ, რას მიშტერებიან ზეცას, თუ არ ეშინიათ, ფიქრობს თვითეული მათგანი. „ეგ მისმა კერიამ იცის, თუ არ ეშინია", — ამბობენ გულში. მაგრამ როდი ბრაზობენ, პირიქით, ერთმანეთს ეშადლიერებიან.

იტყვიან: „ნუ გეშინია" — ღარიბისათვის სიმაგრეაო. სიმაგრეს ეძახიან, რაც უნდა მოკლებული იყოს იგი ინედს. ვალლაგქომელებისათვის ის ღრუბლის ქულა მართლაც უკანასკნელი სიმაგრეა. ის ღრუბელი რომ გაიზარდოს, ხეებში რომ გაიშალოს, ნათესები რომ დაფაროს, მაშინ რთვილის დადების შიში გაქრება, მაშინ ნათესები აღარ გაიყინება, გადარჩება.

ღრუბლის ხსენებაზე შინმყოფებიც გარეთ გამოცოცოვდნენ. ისინიც ალაპარაკდნენ, — ერთმანეთს იმედს აძლევდნენ, რომ მოენდომებინათ, ყველა მოისვენებდა, დამშვიდებული წავიდოდა სამუშაოზე. მაგრამ ღრუბელი არ მატულობს, ნელ-ნელა კლებულობს, პატარავდება. ხალხს რომ არ ეწყინოს, ნამდვილის თქმას ვერავინ ბედავს, თვალწინ ქრება მათი გადამრჩენელი, იშლება მათი უკანასკნელი სიმაგრე.

ხალხის ხმაურზე ძაღლები ყეფენ: უყეფენ, მაგრამ ვის, თვითონაც არ იციან. ყეფენ ისე, ტყუილუბრალოდ.

— ბეფო, დაამწყვდიე შენი ძაღლი, ღრუბელს უყეფს და გარეკავს. — შემტევი ხმით უთხრა ბეფოს მეზობელმა.

ბეფომ ძაღლს შეხედა. მართლა ღრუბელს უყეფდა. თუ მისი ძაღლის ბრალია, კიდევაც მოჰკლავს მას. იქნებ მართლა ასეა: გლახა ძაღლი ღრუბლებს უყეფსო... ყეფოს, რამდენიც უნდა, მაგრამ ახლა კი მეტისმეტია.

მხიარული ახალგაზრდობა ამის გამო სხვა დროს სიცილით მოკვდებოდა, მაგრამ ახლა სიცილი აზრადაც არავის მოსელია.

— შეევედრეთ, შეევედრეთ მთის ანგელოზებს, ვაცილას, — ასწავლიან მოხუცები.

„ლოცვა-კურთხევით რა გამოვა?" — ფიქრობენ გულში ახალგაზრდები.

— ჩემი საქონლიდან რაც გეკუთვნის, შემომიწირავს, ვაცილა, ხუ დაგეღუპავ, — ევედრებით ამბობს ძიბო საალიდან გაიოაელისას. ათეთებული სანთლით შევიდა ბაკში, საქოხელს შორის დადგა. თვალები დახუჭა და თქვა:

— შენი ჭირიმე, ვაცილა, ინებე რომელიც გინდა.

შეჩვეულ ერკემლებიდან ძიბო ერთს მიუახლოვდა, თითქოს მარილი უნდოდა მიეცა სალოკავად. რქაზე ხელი წაატანა, თავზე ფიქის სანთელი დააძაგრა. შეშომიწირავს, ვაცილა, ეს ერკეკალი, ოღოხდ პურები კარგად გადაგვირჩინეო — წამოიძახა.

ძიბოს ხმაზე ხალხი სმენად გადაიქცა. მოხუცებს ეგონათ, ვაცილა მიიღებდა გულით ლოცვას, გულით შეწირულ შესაწირავს. ოოაუბოეკათან მიეიდა ძიბო, დალოცეს, უთხრეს: შეეწიროს შენი შესაწირავი, შენი ლოცვა მიეღოს...

კვლავ გახედეს ღრუბელს. ღრუბელი აღარ ჩანდა. გაჰქრა, მოისპო უკანასკნელი იმედი. ახლა რაღას ელოდნენ! „ბევრი ლაპარაკი არას გვარგებს, პური დაიღუპა" — თქვა ყველამ თავის გულში დაბრაზმორეული თითო-ოროლად შეწინებულნი წავიდნენ სახლებისაკენ.

სოფელმა მიიძინა. მაგრამ რას ეამბობ: არ დაუძინია, არა! ძნელია ამაღამ ვინმემ ღრმად დაიძინოს. ხმა არსაიდან ისმის. სიბნელემ ჩანთქა ვალლაგქომის სოფელი. ხანდახან, აქა-იქ თუ გაიგონებს ადამიანი: „არიქა, ბიკო, გაიქეც. ნათესებისაკენ, დათვალიერე".

II

უმთვარო ღამეში ვარსკვლავები ციმციმებდნენ. თვალი კარგად ვერ არჩევდა გზას. ვალლაგქომელებს აღარავინ გაუგზავნია ნათესების შესაპოწმებლად. ირიჟრაჟა. თეთრად შეკირხლულმა არემარემ განთიადს თითქოს სინათლე შემატა.

ჯერ კიდევ გუშინწინ შემოუსვლელი თავთავები მთის გრილ ნიავთან თამაშით ვერ ძღებოდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: აბა, ვინ უფრო გაუძლებს ქარსო. თითქოს ფეხი აუდგამთო, ჩრდილოეთის საძოვრებიდან მოყოლებული ისე ღაღანებდნენ... ახლა შეხედეთ როგორ დაბერდნენ ერთ ღამეში. თავებდახრილებს მწვანე აბრეშუმის თაველი გაფითრებიათ და ცრემლი სდით. ტირიან თავთავები, ტირიან და ცრემლი წვეთ-წვეთად ჩამოსდით ღეროებზე. ასე მხოლოდ პატარძალი თუ იტირებს საზარელი ამბის გაგებისას.

ცხოველმყოფელმა მზემ სხივები უხვად გადმოაფრქვია. მაგრამ ვაი, რომ მისი ღირსეული შვილები, თავთავები, ველარ მიეალერსებიან. უბედურებს რთვილი ადნებათ და ნატანჯი სახე უმუქდებათ. ო, საწყლებო, როგორ გამოიცვალეთ!

ითამაშოს ახლა ქარმა, ისე როგორც სურს, დართვილულ თავთავებს რაღა აქვთ სასიხარულო? თუ ქარი მაინც არ მოეშვა, შეარხია, მაშინ მოხრილ კისრებს კავებივით ერთმანეთს, წინააღმდეგობას გაუწევენ, არ გაეთამაშებიან.

იქნებ როდისმე ვინმეს გიჭამიათ მოყინული ხორბლის პური? ღვალოიანის ან ჭარხლიანის[1] გამოცხობისას, ვერ გაარჩევ: ღვალო უფრო შავია თუ პური. იტირეს, იდარდეს ვალლაგქომელებმა: „დავიღუპეთ, დავიქეცით“, მხოლოდ ეს სიტყვებიღა ისმოდა იმ დღეს. ახალგაზრდებმა პურის ანგელოზები და ხორვაკილა ახსენეს, მაგრამ ეს ხსენება წუხანდელ ლოცვას არ ჰგავდა. ახლა ერკემლებს აღარ სწირავდნენ, არამედ ძაღლის თავს, ვირის სისხლს: ყველა-ყველა, მაგრამ ახლა ხომ თივის თიბვაა საჭირო, მით უმეტეს, წვიმის შემდეგ ცელი კარგად ედება. საქონლით რომ პური არ იყიდონ, წველითა და ხორცით რომ არ გაატარონ ზამთარი, რა ეშველებათ! საქონელს კი თივა უნდა. სადილობამდე ყველა თავის ნათესში გაჩნდა, შეიმოწმეს, მერე თიბვას შეუდგნენ. აღარ ისმის მთიბავების „ჰეფ-ჰოფი“, აღარც მხიარული ხმები. ყველა დუმს. რაღა აქვთ სალაპარაკო. აგერ, თაბიანთ მწყემსმა რაღაც წინანდებურად წამოიმღერა, მაგრამ მთიბავებიდან ვიღაცამ შეუტია და ისიც გაჩუმდა. ხალხია დღეს სათიბში! ჩაქუჩის კაკუნი, ცელის წკრიალი და ღვარეულის სტვენა ავსებს ჰაერს.

III

თემსირს ხნულის მხოლოდ ერთი ნაკერი დარჩა სამხრეთით. სხვები სულ მოეყინა. იცოდა, რომ შუა ზამთრამდეც არ ეყოფოდა ეს და ნათესავებთან წავიდა. „ჩვენთან სამუშაო არაფერია, მათ რომ მივეხმარო, პურს გამინაწილებენ, — ფიქრობდა თემსირი. მაგრამ იმ სოფელსაც რომ უბედურება ეწია! ნახევრად მოცელილი ყანები ისე დაისეტყვა, რომ მოუცელავს კი არა, დაბულულებულსაც თავთავი აღარ შერჩენია.

რა ჰქნას ახლა თემსირმა? ცხენი არ ჰყავს. სხვა დროს, როცა დაჭირდებოდა, იქირავებდა ხოლმე.

ახლა ვილასგან იქირაოს, ყველას თვითონ სჭირდება, თავისი ოჯახისათვის.

მთის მწვერვალები თოვლით შეიმოსა. დაიწყო ავი ზამთარი. ხალხმა თავგანწირვით დაიწყო პურისა და თივის დაბინავება. საქონელი სათიბავებს ეტანება. შემოდგომა ხევებში მიიპარება. სიცილით კვდება ზამთარი. არავის უყვარს ის მუქთახორა, მაგრამ, მაინც მოდის და მოაქვს სუსხი, ყინვა, თოვლი, ველებს, კლდეებს, არემარეს აკანკალებს.

ერთ ღამეს ჩუმად შემოიპარა თოვლი, თეთრი სქელი ქურქი გადააფარა არემარეს. რა შეუპოვარია პიტალო კლდეები, როდი იკარებენ თოვლს, დამცინავად გასცქერიან მიდამოს, ზამთრის სამოსელში გახვეულს.

[1] ხაჭაპური — ყველის მაგივრად შიგ ჭარხალს, ან ღვალოს დებენ.

ახლოვდება შობა, ახალი წელი, თემსირის გოდრები კი ცარიელი ჰყრია.

ვახშმობაა. ოჯახის წევრები კერიის ცეცხლს ირგვლივ შემოეხვევნენ. სველი არყის ფიჩხი ჯერ შიშინებს, ბოლავს, მერე უცბად იწვის. თემსირი ზის სკამზე, ცეცხლს მიშტერებია, კრინტს არ სძრავს, მშიერი ბავშვებისათვის ვერ შეუხედავს. გული უკვდება. უმცროსმა გოგომ კარტოფილის ნაფცქვენი ნაცარში ჩაფლა და საკეცით ხელში დაუდარაჯდა, — შიშობს უფროსმა ძმამ არ წაართვას. ამაღამ კიდევ არა უშავთ! ხუთი სულისათვის ვახშმად გაუცრელი ქერის ფქვილის ორი პურია ნაცარში ჩაფლული.

რას იზამს ოჯახი? რითი იცხოვრებს, ამაღამ კი აქვთ, მაგრამ ხვალ, ზეგ? უნდა იღონონ რამე, სანამ პირში სული უდგათ. ზაფხულში ერთ ფუთამდე ყველი მოუგროვდათ. ცხინვალში რომ ჩაატანინა, ერთი ცხენის საზიდ ხორბალს მაინც აიღებს, მაგრამ რით წაიღოს, სად არის ცხენი? ცხინვალამდე კი ორი დღის სავალია. ზურგით ხომ ვერ წაიღებს? არა, მაინც უნდა იპოვოს რამე გამოსავალი.

შორს მიჰქროდნენ ღარიბი კაცის ფიქრები და ისევ მას უბრუნდებოდნენ: „პურის შოვნაა საჭირო. პური არ არის, მაშასადამე, უნდა ვიშოვნოთ, ვიდრე ცოცხალი ვარ, რამე უნდა გავაკეთოთ“. მაგრამ როგორ? რა საშუალებით? ზის სკამზე გაუნძრევლად, თვალები ნაკვერცხლებს მიშტერებია, მაგრამ ფიქრები დაჰქრიან, გადადიან მთაზე, ჩრდილო ოსეთის მინდვრებში მიმოივლიან, სადაც ცხენებს დაუნაგებლად უყრიან ქერს, დაჰქრიან საქართველოში, სადაც ცხელი პურის ორთქლი ეკვრებათ; უკან ბრუნდებიან და აქ, მშიერ ბავშვებს შორის ჩერდებიან.

„ცოცხალ კაცს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს! ჰოდა თირსში, მთის იქით, უნდა წავიდე, ორ ფუთამდე ზურგით მაინც მოვიტანო“. ამ აზრმა გაიმარჯვა. „ჩავალ ჯიმარაში, ჩემს ვაჟთან ერთად, იქ ნათესავები ორ-სამ ფუთს სიმინდს მომცემენ. მეორე ან მესამე დღეს უკან დავბრუნდები, ოჯახს პურს მოვუტან.

ღამით თემსირმა თავისი აზრი მეუღლე ბადიმათს გაუზიარა, დილით კი დალლაგყაუში წავიდა. იქ მისი ბიჭი მოჯამაგირედ იყო. „მარტო რომ წავიდე, არ ივარგებს, ადამიანი ამხანაგთან უფრო გულადია და გზაზეც ადვილად ივლის, თან ჩვიდმეტი წლის ბიჭი ერთ ფუთს მაინც წამოიღებს“ — ფიქრობდა ის.

თოვლის შუქზე გზა კარგად არც კი ჩანდა, თვალი ძლივს არჩევდა მას. თემსირი და მისი ვაჟი, დოდი, გალვაანთაში ავიდნენ. სოფელს კიდევ ეძინა, სიცივით შეწუხებული ძაღლები ბრაზს მათზე იყრიდნენ.

გალვაანთამდე საურმე გზით მიდიოდნენ, იმას იქით კი საცალფეხო გზაზე სიარული გაუძნელდებათ. ლაბირდრაღს რომ მიუახლოვდნენ, კარგად გათენდა. ზაფხულობით ამ ადგილის ცქერით ვერ ძღებოდა კაცი.

შენს წინ ხოძიხვირის კლდეზე ფართო გალავნიანი ციხეა. მის პირდაპირ დესიკახირისკენ, ჩრდილო სათიეების ბოლოს, წითლად მოჩანს „ხოძის ყალლასენის სუარი“. ედისის ყალლასენი! თვალები ძლივს სწვდება მის ვრცელ მინდვრებს.

საიდან გაჩნდა ამ მთების შუა საოცარი მაღალი ბორცვი! რა გულქვაა ზამთარი! წყაროს ხსეხებაც აღარაა. დევების ციხეც თოვლით დაფარულა. ყალლასენის ხევში მორაკრაკე პატარა ნაკადულიც აღარ ჩანს. მთა და ბარი თეთრ სუდარაშია გახვეული.

მივიდნენ ყალლასენში. ნაკვალევმა სელა გაუადვილათ. თუმცა წასაღებიც არაფერი ჰქონდათ. ცარიელი გუდისა და ტომრის მეტი.

თავისუფლად მიდიოდნენ.

— დიდხანს დავეხეტებოდი მწყემსად ამ ხეობაში, — დაიწყო თემსირმა. — რაც მე ტანჯვა მინახავს... მაგრამ, ნეტავ, ღმერთს ისეთი უდარდელი ცხოვრება მოეცა ჩემთვის, ერთ სამ წელს, საქონლის მწყემსვის მეტი არაფრის დარდი მქონოდეს. თუ რომელიმე თხა მოკვდებოდა, მცემდნენ, მაგრამ ბიჭს მაგითაც არა უშავს რა! არასოდეს დამავიწყდება: ჩემი თხები კლდეებიდან ძირს ჩამოდიოდნენ და მტანჯავდნენ. ვაკეზე არ ჩერდებოდნენ, პირს არ აკარებდნენ მიწას, მათი თვალი და გული კლდეებისაკენ მიიწევდა. ერთხელ ორი თხა აღარ დამიბრუნდა. ვიფიქრე, წყლის დასალევად მაინც ჩამოვლენ-მეთქი, — მაგრამ შენც არ მომიკვდე. მარტო წავედი საძებრად. გამოქვაბულის ქვეეით, დამწვარ სათიეებზე, გადავედი და ერთ მაღალ კლდეს წავაწყდი. დამინახეს თუ არა, წამოცვივდ-

ნენ და გაიქცნენ. გავედევნე, მაგრამ სანამ კლდეზე ავიდოდი, ისინი დესის კანირს მიუახლოვდნენ. ერთბელლა მოვკარი თვალი და მერე მიიმალნენ. „არა უშავს, მთის იქით რომელიმე საქონელთან მიელენ“, — ვთქვი და მათ მივყევი.

ეს იყო, მივუახლოვდი კიდეც, რომ ყაზბეგი შემოსცვდა მხიარული სახით, ზურგზე მოკლული ჯიხვი ეკიდა. „აბა, მწყემსო, დანა გალესე, ბარკალს მოგიჭრი“, — დამიძახა მან. მეც რად ვიტყოდი უარს, მაგრამ თხების დარდი მკლავდა.

ახლახან ჩემმა თხებმა აქეთ გამოირბინეს, ხომ არ დაგინახავს ვის საქონელს შეერევნენ? — შეეკითხე. მან გაიცინა და მითხრა: „როგორ არა, აგერ ერთი მოვკალი, მეორე მთისაკენ გამექცა“. ვერ მივუხვდი და გაბრაზებულმა დავუყვირე: „რას მემასხრები!“ „გიჟო, რომელ თხებზე მელაპარაკები, ისინი ხომ ჯიხვები იყვნენ. კანირს იქით შემოეფეთნენ. ერთი მოვკალი, მეორე კი გამექცა: შენი თხებიც ვნახე, კანირს იქით ფერდობზე ძოვენ“.

ყაზბეგმა ჯიხვი წამოიღო, მე ჩემს თხებთან წავედი და ჩამოვრეკე. საღამოთი ისე ვიქეიფეთ, რომ შენი მოწონებული. ახლა განადგურდა, თორემ იმ დროს ჯიხვი ხშირი იყო.

პატარაობის დღეები აგონდება თემსირს და ლაპარაკით ვერ ძღება. თვითონვე იხიბლება მწყემსობის დროინდელი ამბების მოყოლით, ამ საუბარში მთის ძირამდე მიაღწიეს. დასხდნენ, ისადილეს. თემსირმა ვთის მწვერვალისაკენ ხელი გაიშვირა და თქვა:

— აი იმ მთის ბოლოში, ახლა რომ თოვლი ჰფარავს, დიდი კლდეა. ერთხელ ინჟინერს რაღაც ხელსაწყო ჩაუვარდა ნაპრალში, რა ექნათ, არ იცოდნენ. შემდეგ მე თოკით ჩამიშვეს და ამოვიტანე. ამისათვის ხუთი მანეთი მომცეს.

ზიმაგონკვილდიმს აუყვნენ. სვლა უფრო გაძნელდა. ფეხი უკან ცურავს, წელამდე თოვლს ძლიეს მიაპობენ; კლდის ქიმებზე მოჭიდებით, ჯოხზე ბჯენით ნელ-ნელა მიიწევენ ზევით.

— თემა, საზაფხულო გზა ხომ უფრო კარგია ალმართში? რად მივდივართ ამ გზით! — ეკითხება დოდი მამას.

— საზაფხულო გზა ზვავებითაა სავსე. ერთ ზამთარს ახბოლათის ბიჭებმა გროზნოში კარგა ბლომად ფული ოშოვეს. უკან დაბრუნდნენ. ეს გზა არ იცოდნენ და საზაფხულო გზით წამოვიდნენ. როგორც კი მოუახლოვდნენ აი იმ მთის ფერდობს, ზვავი დაიძრა და შენს მტერს, შვილო, მათ რომ ამბავი გადახდათ: არც ერთის კვალი აღარ ჩანდა. ბევრი ეძებეს, მაგრამ იმ უშველებელ ზვავში, რას იპოვნიდნენ; გაზაფხულამდე თოვლმა შეინახა მათი გვამები.

შუადღემ მოატანა და მთის თავამდე ავიდნენ. თემსირი ბევრს ეკვდრა მთის ანგელოზს, რომ უკან ხორბლითურთ მშვიდობით დაებრუნებინა მამაშვილი.

— ეჰ, სისხლიანო მთაო! — მიდის და თან ლაპარაკობს თემსირი, — როცა ყაზბეგი მოკვდა, შენ მაშინ ძლიერ პატარა იყავი. იმ ზამთარს მისმა ვაჟმა ბარზაფცაგში მუშაობისას მამის ავადმყოფობა გაიგო და მარტო წამოვიდა. მთის მწვერვალამდე კარგად იარა, მაგრამ იქ ცუდი ამინდი დაუდგა, გზა აებნა და კლდეებში ჩაიჩეხა. შუაგაზაფხულამდე ვერ იპოვნეს. სანამ თოვლი მთლად არ გადნა, მანამ მიწას ვერ მიაბარეს. საწყალი ისე დაჩეხილიყო, რომ ვეღარც იცნეს. ასეთი შემთხვევაც იყო: სამი ძმა განდუითები ხორბლის მოსატანად წამოსულიყვნენ აქეთ. სამივე ზვავის ქვეშ მოჰყვა.

მთის დალმართი ჩალიეს. აქედან დესის ყალასენამდე ვაკეზე უნდა იაროს, შემდეგ გაგკეთში ისევ დალმართზე. რამდენ ძეგლსაც კი ხვდებოდა თემსირი, ყველას შესახებ უამბობდა ვაჟს. წარსულის საშინელმა ამბებმა დოდის გული ატკინა, კიდეც შეშინდა და მამას ჰკითხა:

— თემა, ჩვენ კი არ აგვერევა გზა?

— გზა კარგად ვიცი, კარგ ამინდში არ მეშინია, — უპასუხა მამამ.

მზე სხივებს იკრეფდა, როცა ცოცოლთის გადასახედს მიაღწიეს. დოდიმ დაბლა ხეობაში მოსიარულე ეტლები რომ დაინახა, გაკვირვებულმა მამას ჰკითხა, რა არისო:

— ეგენი, ჩემო მზეო, ეტლებია, ჩვენსავით ზურგით როდი მიაქვთ ხორბალი. მელირსება კი, შვილო, ექვსი ცხენის საზიდი ტვირთი ძაუჯიყაუდან ეტლზე რომ დავდვა და სახლში ისე მოვიტანო? ძომაღის ან როკის მთა რომ გაეხსნათ, ჩვენც ასეთი ეტლებით ვიელიდით.

ვახშმობის დროს თემსირმა, ჯიმარას, თაეის ნათესავებთან მიაღწია.

მასპინძელმა გულთბილად მიიღო ისინი. კარგად გაიძღეს კუპი თემსირ მა და მისმა შვილმა.

თემსირმა დილით უკან დაბრუნება მოინდომა. დასვენებაც უნდოდა, მაგრამ ეშინოდა ცუდი ამინდი არ დადგეს და მთის გზა არ ჩამიკეტოსო.

ღამით თავის ტომარაში ორი, ხოლო დოდის გუდაში ერთი ფუთი ხორბალი ჩაყარა.

დასახლისმა ოთხი მეჯადი და პატარა ყველიც გამოატანა თან. დილით ადრე გამოემართნენ ჯიმარადან. დაუდეგარ, მშფოთვარე თერგს სქელი ყინული გადაკვროდა, მამა-შვილი მასზე გადავიდნენ და მალე გაგკათში აიღმართეს.

ხეობაში არა უშავდა რა: ტვირთი მსუბუქი ეჩვენათ, მაგრამ ახლა აღმართში, თოვლს რომ მიარღვევდნენ, მისმა სიმძიმემ შეაწუხა ორივე.

„მზე დაბუდებას ვერც კი მოასწრებს და ჩვენ შინ ვიქნებით“, ფიქრობდა თემსირი.

გუშინდელი გზით სურდათ წასულიყვნენ, მაგრამ სად დაღმართში სიარული და სად აღმართში. უტვირთოდ თუ ხარ, სულერთია აღმართი თუ დაღმართი, ახლა კი აღმართზე პირდაპირ სიარული უძნელდებოდათ და ბევრ ადგილს ახალი გზის გაკვლევა სჭირდებოდათ. თემსირი წინ მიდიოდა, დოდი — უკან. ფიქრები არ ასვენებდა თემსირს. წარმოიდგინა, ბადინათი მშიერ ბავშვებს როგორ ართობს ზღაპრებით. იმედს აძლევს, მამა ბევრ პურს მოგიტანთო.

საღამოთი ისინი ბანზე ავლენ, მამის გზას დაუწყებენ ცქერას! ოჰ, რა აღტაცებით შემოეხვევიან პურის მომტანთ.

ღამით ხმელი ფიჩხებით დიდ ცეცხლს დაანთებდნენ. რა კარგი იქნებაა ხის თემსირი სკამზე; ზოგი ბავშვი კალთაში იკალათებს, ზოგი ზურგზე მოექცევა. ცეცხლის ირგვლივ ორის ნაცვლად რამდენიმე პურია ჩამწკრივებული. „ახალ წელსაც კმაყოფილი შევხვდები, ცოტა ერბოც გვაქვს, სიმინდს კარგად დავაღერღინებ, ერბოიანი ფაფით ბავშვები გულს მოიჯერებენ“, ფიქრობს სკამზე მჯდარი თემსირი. ხმელი შეშის ცეცხლი ჭერს აღწევს...

ამ ფიქრებმა თემსირი გამოაცოცხლეს, ნაბიჯს უმატა, თოვლს ვაეკაცურად მიარღვევს.

დოდიც ფიქრობს. მაგრამ ახლა გუდას არ სცილდება მისი ფიქრები. ცდილობს თემსირის ნაკვალევში ჩაებიჯოს, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს.

გუდის ბაწრის დასამაგრებელი ჩხირი დაბლა, თეძოებამდე ჩამოცურდა. გამხდარი კისერი წაუგრძელდა დოდის. ახლა ისე ეჩვენება, თითქოს გუდა ქვევით, ხეობის დაბლა დარჩა, კისერი კი მთის წვერს მიუახლოვდა. წინ მიიწევს, მაგრამ გუდა არ ეშვება, უკან ეწევა. „ნეტავ არ დავიღლებოდე, ღამე გარეთ არ დავრჩებოდეთ“. სხვა ფიქრები გუდის სიმძიმემ მიმოუფანტა.

— ქვესკნელს თქვენი თავი, ჩვენო წინაპრებო, ამ ხრიოკ მთაში დასახლებისათვის. საურმე გზა რომ გვქონდეს, ხომ არ დავიტანჯებოდით. შემოდგომაზე მოვზიდავდით პურს რამდენიც გვჭირდება, გაზაფხულამდე უდარდელად ვიქნებოდით, — ხმამაღლა ამბობს თემსირი.— მართალია, არც საქართველოა პურით მდიდარი, ძვირიცაა, მაგრამ მთაში გზა რომ გაკეთდებოდეს... მაშინ ჩვენს ბედს ძალი არ დაყეფდა. ზედ კარებთან დაეჯდებოდი, საბაზროდ წავიდოდი და ძაუჯოუჯუდან ხორბლით სავსე ურმით უკან დაბრუნდებოდი. მაშინ მთა შესანიშნავი საცხოვრებელი ადგილი იქნებოდა. მოჯამაგირედ დადგომაც არ დაგჭირდებოდა. ცხენსა და ურემს როგორმე შევიძენდი და ბედნიერად ვიმუშავებდი. ახლა შენი სკოლაში სიარულის დროც არის!

თემსირს ეგონა, რომ დოდი გამოეხმაურებოდა მის სიტყვებს, მაგრამ სიჩუმე არაფის დაურღვევია. უკან მოიხედა, დაინახა, რომ დოდი ჩამორჩენოდა, ეტყობოდა ძლიერ უჭირდა სიარული, ერთ ფეხს რომ ნაკვალევში ჩადგამდა, მეორეს ვეღარ სძრავდა ადგილიდან, თოვლში ეარდებოდა, იქვე იკეცებოდა საბრალო.

არ ესიამოვნა ეს თემსირს. ტვირთი ძირს დადვა და დოდისთან დაბრუნდა.

— ბიჭო, თავს რაზე იკლავ. დაგეძახა და ნელა წავიდოდი. მეგონა უკან მომდევდი. დაიღალე? მომეცი გუდა და მომყევი.

— არ დაეღლილვარ, მაგრამ გუდის ბაწარი მაწუხებს, — უნებურად მიუგო დოდიმ.

— მაგასაც გავაკეთებთ, გამაგრდი, ბევრი აღარ დაგვრჩა გაგეაანთამდე, იქიდან მთამდე თითქმის

სულ ვაკეა და სიარული გაგვიადვილდება. ახლა კი დავისვენოთ.

თემსირმა გუდას ბაწარი დაუმოკლა, დასამაგრებელ ჯოხს ნაპირები დანით გაუთალა. თემსირს არ უყვარდა ლაპარაკი, მაგრამ ახლა შვილი რომ დაღონებული დაინახა, გული მოუკვდა. ამის ამხანაგები ერთობიან, სკოლაში დადიან, ეს კი აქ იტანჯება. მაგრამ რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის, გაპირვებისას ვისაც ხარი არა ჰყავს, მოზვერსაც აბამს უღელში" — ფიქრობდა თემსირი.

ცოტა შეისვენეს, შემდეგ აღმართს შეუდგნენ. გაგქაანთამდე ბევრი აღარ უკლდათ, რომ ღრუბლებში გაეხვია მთა. ჯერ აღმართი არ აეთავებინათ, რომ ბრტყელ-ბრტყელმა ფიფქებმა დაიწყო ბარდნა. მუხლი მოეკრა თემსირს, წინანდებურად ვეღარ მიაბიჯებდა წინ, მაგრამ უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა. არემარე ისე დაიბურა, რომ ორიოდე მეტრზეც აღარაფერი ჩანდა. ეს გულს უკლავდა მგზავრებს. როგორც იქნა გაგქაანთ მაღლობს მიაღწიეს. თემსირს უნდოდა აქ შესვენება, მაგრამ ძლიერი ქარი ამოვარდა და გულს შემოეყარა. დოდი მთლად გაშეშდა, წინ ნაბიჯი ვეღარ წადგა, ქარს ზურგი შეაქცია. თემსირი გვერდით ეკვეთა ქარს და წინსვლა არ შეანელა. დოდი ჩაცუცქდა, თავი მხრებში ჩარგო.

— გამაგრდი, იქნებ პირველ ძეგლს მივაღწიოთ. ძლიერმა ქარმა ჩქარა იცის გამოდარება — გაამხნევა მამამ შვილი.

დოდი ადგა, ძალ-ღონე მოიკრიბა, მამის ზურგს მოეფარა და ისე წავიდა წინ, მაგრამ ასეთმა ხერხმაც ვერ უშველა. გზას ვეღარ ხედავდნენ. თემსირს ეგონა წინ მიიწევდა, ნამდვილად კი არ იცოდა, საით მიდიოდა. მართალია, მისთვის აქ ერთი მტკაველიც არ იყო უცნობი, მაგრამ ახლა თითქოს მხრებიც მოდუნებოდა; ერთი შავი წერტილიც არ ჩანდა. მერედა, როგორ თოვდა! თითქოს ცა ჩამოდიოდა ძირს, დედამიწას თოვლად აქცევდა. მგზავრებს მკერდზე მტკაველისოდენა ნაფლეთებად ეფინებოდა. „იქნებ გადაიღოს და ბევრი აღარ გვაწვალოს" — ფიქრობდა თემსირი. დოდი, მართალია, თემსირის ზურგს მოფარებოდა, მაგრამ ქარს მაინც ვერ უმკლავდებოდა, წარამარა ფიფქ თოვლში ეფლობოდა.

თემსირის ნაფეხურს ასცდა, ნამქერში ჩავარდა. ბევრი იწვალა სანამ თოვლიდან გუდიანად ამოძვრებოდა. თვალები მოიწმინდა, უნდოდა მამისათვის დაეძახა, მაგრამ ვეღარ დაინახა. შიმით აცახცახდა, ძალა მოიკრიბა და შეკუვირა. ყური მიუგდო. ადამიანის ხმა არსაიდან ისმოდა. მეორედ დაუყვირა, მესამედაც... ხმა არ ისმოდა. „უნდა დავეყრდნო, თორემ დავიბნევი" — თქვა დოდიმ და თემსირის ნაკვალევს მიჰყვა. მაგრამ კვალი თანდათან თოვლით ივსებოდა, მალე სულაც გაქრა. სად ეძებოს მამა? კიდევ რამდენჯერმე დაიყვირა და პასუხი რომ არ მიიღო, მუალები მოუდუნდა და... ჩაიკეცა.

ჭკვიანი კაცი იყო თემსირი. ხელმოკლე, მაგრამ ისეთი მოხერხებული, რომ ბევრს შურდა კიდეც მისი. ტოლიც არ ჰყავდა თემსირს. მაგრამ ახლა ისე აერია ფიქრები, აღარაფერი ესმოდა. თვალწინ დაუდგა ოჯახი. მამის მოლოდინში ბავშვები სიხარულით ვეღარ ჩერდებიან ადგილზე. მისი უმცროსი ბიჭი წინდაწინ ცკლის ბჭეადებს კოკებზე, ეაჭრობს ძმებთან, მეტის გამოგლეჯას ცდილობს. დოდის რომ მოშივდეს და ვეღარ შეაძლოს ჭამა, რა მეშველება?" ამ აზრმა გაუელვა თავში თუ არა, უკან მოიხედა, დოდი აღარ ჩანდა. მეხნაკრავივით გაშეშდა, ლამის ჩაიკეცა, მთელი ხმით დაიყვირა:— ო, დოდი! — ყური მიუგდო... პასუხი რომ არ მიიღო, კიდევ დაუყვირა. ისევ ვერ გაიგონა შვილის ხმა. ტვირთი თოვლზე დადვა, გვერდით ჯოხი დაარჭო, ზედ ცალი ხელთათმანი ჩამოაცვა, დაბრუნებისას რომ მიეგნო და თავისსავე ნაკვალევს გაყვა. „ვაი თუ სადმე ნამქერის ქვეშ მოჰყვა, ოჯახი დამენგრა, დავიღუპე და ეგ არის, იქნებ... არ მომკვდარა", — დააპირა თქმა თემსირმა, მაგრამ ვერ გაბედა და ისევ დაუძახა. პასუხი არსაიდან იყო.

ქარი ბობოქრობს. ფიფქ თოვლს ხარბად ხვეტავს, ცაში იტაცებს, დიდხანს ატრიალებს და ისევ ძირს ჰყრის. თემსირს ნამქერით თვალები ისე ევსება, რომ ფეხებთან ძლივს ხედავს ადგილს. კარგა ხანს მისდევდა თავის კვალს, მალე ისიც ნამქერმა დაფარა. რამდენჯერმე დაიყვირა და რომ ვერაფერი გაიგონა, ფიქრებს მიეცა: სად წავიდეს, სად ეძებოს?" „წინ სვლისას ქარი სახეში მცემდა, ახლა რომ ზურგი შევაქციო, იქნებ სწორად ვიარო", — თქვა ბოლოს და ასეც მოიქცა. მაგრამ ქარმა თითქოს მისი ჯიბრით პირი იბრუნა. აქამდე თუ ჩელიათიდან უბერავდა, ახლა თვით მთიდან დაეშვა, და დაჭრილ ვეფხვივით აღმუვლდა. დოდი სწორედ იქ

ჩ·ჯდა თოვლში, სადაც შეჩერდა, წინ ნაბიჯი აღარ გადაუდგამს. რამდენიმე ხნის შემდეგ რაღაც ხმა მოესმა. ყური დაუგდო და. მამის ხმა შეიცნო. წამოხტა, მთელი ძალით დაიყვირა, მისი ხმაც ქარმა წაიღო. ყვირის დოდი. საკვირველია: თემსირის ხმა იმის ნაცვლად, რომ გაძლიერდეს, ნელდება: — „ალბათ ქარი ახშობს ჩემს ხმას, თორემ როგორ...“ შეშინდა დოდი. ჩაცუცქდა. სმენად გადაიქცა. ისევ არაფერი ესმის. „ნამდვილად გზა აებნა მამას, და ორივენი დავიღუპეთ. აღრიალდა დოდი. ხმა თითქმის შეწყდა. გაჰქრა დოდის იმედი. უბედურების გზას გაუყვა იგი. ყელის ძარღვები დაძაბა, იყვირა, მაგრამ ისევ სიჩუმეა... მიდის... მიდის თემსირი, თითქოს ღრმა ხევიდან მოესმა ძახილი. ყვიროდა დოდი, მაგრამ ხმა ჩაუწყდა. რაღაც ყელში მოაწვა, სუნთქვა შეუკრა, დაყვირებაც ვეღარ შესძლო და გუდაზე გულაღმა დაეცა...

• •

თემსირმაც ვერ მიიღო პასუხი. იგი თავის ნაკვალევს გაჰყვა. დოდის ახლა კარგად ესმოდა მამის ხმა, მაგრამ პასუხის გაცემა აღარ შეეძლო. მისი ხმა ქარს უკანვე მოჰქონდა. ნაკვალევს ასცდა და გზა აებნა.

ერთხანს დოდი ნახევრად გულწასული ეგდო.

ქარი ჩადგა. თოვაც შეწყდა. მაგრამ ახლა შავი ნისლი ჩამოწვა მთებში, თვალი მაინც ვეღარაფერს არჩევდა. გდია დოდი, აღარაფერზე ფიქრობს. თავი ისე გაბრუებია, რომ თვითონაც ვეღარ გრძნობს, ღვიძავს, თუ ძინავს. რაღაც ხმაური მოესმა. „ალბათ მეჩვენება“, — თქვა თავისთვის და ყური აღარ ათხოვა. ხმა ისევ განმეორდა, მესამედ რომ გაიგონა, მამის ხმა იცნო. ადგომა ვერ შესძლო. დაწოლილმა წამოიყვირა, მოდის თემსირი. ხმა ახლოვდება. დოდიმ მიიხედა. ერთმანეთი იპოვეს. ძლიერ დაიღალა თემსირი, გაბრაზდა და შეყვირებაც დაუპირა შვილს, მაგრამ თოვლზე გაშოტილი რომ დაინახა, მოლბა და საყვედურით უთხრა:

— რა იქენ, დოდი, ცოცხალი ხარ?

— ჯერ არა მიშავს, მაგრამ... — ლაპარაკი ვეღარ შესძლო, თან შერცხვა. ვეღარ დაამთავრა სიტყვა.

— რად არ დამიძახე, როცა ჩამომრჩი, მეც გავთავდი კაცი და შენც.

— ნამქერში ჩავეარდი და ხმა ვეღარ ამოვიღე, — თავს იმართლებდა დოდი.

— რომ გეძახოდი, რათ არ გამეცი პასუხი, რამდენი ვიყვირე...

— მესმოდა შენი ყვირილი, მაგრამ ქარში ვერ გაწვდიდი ხმას.

— ფეხები ხომ არ დაგეზრა?

— არ ვიცი, — ყოყმანით უპასუხა დოდიმ.

მართლაც არ იცოდა არაფერი. მუხლებს ქვემოთ ფეხები ისე უკანკალებდა, რომ ვერ გაეგო, მოყინული ჰქონდა თუ დაღლილი იყო.

თემსირმა წვივებზე მოუსვა ხელი, თოვლი გაიცალა და ჰკითხა:

— როგორ ფიქრობ, დოდი, შესძლებ სიარულს? ქარი ჩადგა და გაგიადვილდება.

— არ ვიცი, — უპასუხა დოდიმ.

— ადექი, მომეცი გუდა და ვცადოთ. ძაღლი მიაკვდეს ღარიბის გამჩენს! თუმცა რა გამჩენი, რის ანგელოზი... ღმერთი რომ იყოს, ასეთ დღეში არ ჩავვარდებოდით. გზა ხსნილი გვექნებოდა. ეხ, სად არის ღმერთი და ანგელოზი, სად?

დოდი ადგა, მაგრამ ფეხებზე თითქოს ნაძვის კუნძები ჰქონდა მიბმული და ვეღარ იძვროდა ზურგზე გუდა რომ აღარ ეკიდა, თავი მსუბუქად იგრძნო და თემსირს ტაატით გაჰყვა.

— ღრმა თოვლი არ დაუდვია და იქნებ წამოვიდა ვინმე ჩვენებურებიდან. მაშინ სიარული გაგიადვილდება. ვინ იცის, იქნებ მოიწმინდოს კიდეც და შეწყდეს თოვლი. შინ თუ ვერ ჩავაღწევთ, გალვაანთ ან ყალლასენში მწყემსების სახლში დავრჩებით, რა გვიშავს! განთიადზე სახლში ჩავალთ, — ლაპარაკობს თემსირი, აიმედებს თავის ვაჟს. დოდის პასუხი კი მხოლოდ ერთია: „არ ვიცი, აღარ შემიძლია“.

დესის ყალასენში საგრძნობი მანძილი გაიარეს, „სადაცაა ჩვენს ტომარასაც მივუახლოვდებით, მაგრამ სადაა იგი! გარშემო იცქირება და წინ მიდის. ტომარა არსად ჩანს.

— ნეტავ სად არის? ესეც მეორე უბედურება! მიდი ახლა სახლში ცარიელი ხელით. პურის საშოვრად წამოსულმა ტომარაც ვეღარ მივიტანო? უნდა მოვძებნო, ისე არ იქნება“ — შეწუხდა თემსირი.

— ბიჭო, აქ იყავი, არსად წახვიდე, დაძახებისას ხმა ამოიღე ხოლმე, — უთხრა დოდის და უკან დაბრუნდა.

ბევრი ეძება თემსირმა ტომარა, ბევრი იტრიალა, მაგრამ თვალი ვერსად მოკრა. „ასეთი უბე-

დური გზა იქნება? ქარმა ალბათ ჯოხი წააქცია და ტომარა თოვლქვეშ მოჰყვა. რომ ვეღარ ვიპოვო, რაღა ვქნა? ხელცარიელი როგორ მივიდე შინ, ან სოფელი რას იტყვის? ბავშვმა გუდა მოიტანა, მას კი ტომარა დაუკარგიაო. ან არა და ვის ეყოფა გუდა სამინდი? დღესასწაულებზე ერთი ფუთი ფქვილი მაინც არ უნდა გქონდეს კაცს? როგორ მოვიქცე? არ შეიძლება ასე დაბრუნება. ხომ იტყვიან: „თირსში ჩავიდა, პური ქამა და უკან დაბრუნდაო". თუ არ ვიჩქარე, გაგქაანთ ალმართს თუ არ ავცდით, მთა შეიძლება ჩაიკეტოს და აქ რომ დავრჩეთ... ამ ფიქრებით დაბრუნდა უკან. დოდი თავს იმაგრებდა, თავის დანაშაულს გრძნობდა და გული უფრო უმძიმდებოდა, ფიქრი ფიქრს ცვლიდა... „ახლა შუადღე გადასული ქნება, სიარული კარგად ალარ შემიძლია, ასე რომ ვიარო, გზაზე დავვარდები, ღამე გარეთ დავრჩებით და ჩემს გამო ორივე დავიღუპებით. უკან რომ დავბრუნდე, თირსში ჩაეალწევთ კია?... აქამდე, ვინ იცის, რა მოსდით შიმშილით ოჯახში..."

„მამამ თუ ტომარა ვერ იპოვა, გუდა მაინც წამოიღოს, ერთ ოჯახს ორ დღეს ეყოფა, მერე... მე თუ თირსში ჩავალწიე, ხომ კარგი, თუ არა და..."

სახეანთებული დაბრუნდა თემსირი. ვაჟის წინ კარგა ხანს იდგა უხმოდ. დოდიმ შეხედა. ენა ალარ უბრუნდებოდა პირში, გული სიტყვის თქმის უფლებას არ აძლევდა, მაგრამ თავი შეიმაგრა და მამას უთხრა:

— თემა, როგორც ჩანს, მე ვეღარ შევძლებ სარულს; აიღე გუდა და წადი შინ.

თემსირი შეკრთა, სახე გაუფითრდა. „ეს როგორ, ისე დაეცა, რომ შვილი ერთ გუდ ხორბალს ვანაცვალო?! იდგა და ხმის ამოღება უჭირდა. მერე გიჟივით შეეკითხა:

— და შენ?

— თუ გამოიდარა, მე თირსში ჩავალ, ცოტახნის შემდეგ ვგზავრებს გამოვყვები.

ცრემლი სდის დოდის ნაზ, გაყინულ ლოყებზე და ჩუმად ტყავის ხელთათმანით იწმენდს. შეშინდა თემსარი. სწრაფად მიუახლოვდა შვილს.

— შვილო, რა მოგდის?! ვაი რა უბედურ დღეს დავიბადე, — მთელი ხმით ილრიალა თემსირმა.

მძიმე ხმა არავის გაუგონია. სქელ ნისლში გახვეულმა მთებმა ყურიც არ შეიბერტყეს, არაფრად ჩააგდეს პურის მომტანი. ბევრ მგზავრს გაუვლია ასეთ ამინდში ამ კალთებზე, მაგრამ მათ ცივ გულს არაფერი უგრძვნია, ყველასათვის დუმილით უპასუხნიათ.

თემსირი დოდის მოეხვია.

— ხელები მოგეყინა? თოვლი ჩაგიცვივდა ხელთათმანებში? მომე ხელები, — ჩურჩულით ეუბნება თემსირი შვილს და თან ეშინია. პასუხს არ დაელოდა, ეცა დოდის ხელებს, ფეხებიც გაუსინჯა, თოვლი მოაშორა. შავ წვერებზე მსხვილი ცრემლი მოგორავს. გლეხკაცს ისე ავსებია ცრემლებით თვალები, რომ რიგიანად ვეღარც ხედავს. მტირალი მამის დანახვისას, დოდი კიდევ უფრო შეწუხდა. უნდოდა იმედიანი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ბევრი სიკეთე არასოდეს არ უნატრია. პატარაობიდან მისი ოცნება სკოლაში სიარული იყო. ამ წუთშიაც ერთს ნატრობდა მხოლოდ: ტომარა ეპოვნათ და წინანდებურად თემსირს თოვლი გაეკვლია.

— თემა, მე არა დამიშავდება-რა. მოსალამოვდება თუ არა, მე თვითონ გავიკვლევ თირსამდე გზას. შენ კი წადი, რომ აქ არ მოგვისწროს ღამემ, — უთხრა დოდიმ მამას.

„ეს როგორ,—ფიქრობს თავისთვის თემსირი,— იქნებ მოიწმინდოს. თუ მოიწმინდა, ტომარასაც ვიპოვნი, გზას განვაგრძობ და მთის გადასასვლელსაც მალე მოვალწევ".

თემსირმა არაფერი უთხრა შვილს, თვალები ნისლს მიაშტერა, ფიქრები აერია.

— თემა, ჩემზე ნუ დარდობ. ალბათ მგზავრებიც ჩქარა გაჩნდებიან და ერთ გუდა პურს როგორც იქნება ჩამოვიტან, — ვაჟკაცური გამომეტყველებით ამბობს დოდი.

სანამ ტომარას ეძებდნენ, საუბრობდნენ და ფიქრობდნენ, ქარი ისევ ამოქმედდა. ახლა ახალი სადარდებელი გაუჩნდათ: თირსში რომ დაბრუნდეს, ვაითუ ამინდი უფრო გაუარესდეს და მთაზე გადასასვლელი სულ ჩაეტოს, მაშინ ხომ ოჯახი შიმშილით ამოუწყდება. გამოსავალი რომ ვერაფერი იპოვეს, უკან დაბრუნება გადაწყვიტეს.

— გამაგრდი, დოდი, და სჯობს უკან წავიდეთ,— უთხრა ძალად გამხიარულებულმა მამამ შვილს.

დაბრუნდნენ, კარგა მანძილი გაიარეს. წინ თემსირი მიდის, უკან დოდი მიჩანჩალებს. მიდიან ვაკეზე. მალე უნდა მიაღწიონ დალმართს. საგრძნობი მანძილი გაიარეს კიდევ, მაგრამ ამაოდ.

— იქნებ კიდევ დავიბენით,— შიშობს თემსირი. მაგრამ აი მიაღწიეს გადასახვევს. აქ ქარს თოვლი სადღაც გაუტაცნია და სიარულიც გაადვილდა.

— დოდი, ნუ გეშინია, ჩქარა თბილ ღუმელს შემოვუსხდებით, — ამხნევებს შვილს თემსირი, — ხვალ ან ზეგ, დადგება თუ არა კარგი დარი, იქნებ ამხანაგებიც გაგვიჩნდეს, სანამ დიდი გზა არ გაკეთდება, შიშშილით რომ ვიხოცებოდეთ, ზაზთარში მაინც არ გადმოვდგამ ფეხს მთაზე პურის მოსატანად. წავალ და ჯავის ხეობიდან ერთ ფუთს... სიტყვა აღარ დაუსრულებია თემსირს, ისე გაჰქრა სადღაც, მამის თვალწინ. იკივლა ბიჭმა, უნდოდა მიერბინა, მაგრამ თემსირის ხმა მოესმა:

— შენს ადგილზე იდექი, არა მიშავს, ხეზე ჩავვარდი, ფეხი ვიტკინე.

დოდიმ ტირილს თავი ანება. თემსირი როგორღაც უკან ამოძვრა. ხეში ჩავარდნისას წვეივი გაეკრა კლდისათვის და დაეზიანებია, კანი მუხლებამდე გადაძრობოდა. შინ მოქსოვილი ხამი ტილოს შარვლის ნახეთქებიდან-სისხლი თქრიალებდა, თოვლს წითლად ღებავდა, რითი შეეხვიათ, რით შეეჩერებინათ სისხლი?

გუდაც გასკდა, შიგ მარცვალიც აღარ დარჩენილა. გუდა შემოიხვია ფეხზე: ფიქრობდა, იქნებ სიცივე აღარ შეეიდეს და სისხლი არ მოეყინოს ფეხზეო.

— ცუდი მგზავრობა გამოგვივიდა, დოდი, — თქვა თემსირმა და თან ფეხს იხვევდა, — ვაითუ ვეღარ შევძლო სიარული... მგზავრები მაინც შეგვხვდებოდეს. დოდი, შენ ვერ წახვალ? როგორმე ნათესავებს გააგებინე... მომეშველონ.

ხმას ვეღარ იღებს დოდი. ცრემლი სახეს ურეცხავს, ფეხზე ძლივს დგას.

— მე ჩემი წუთისოფელი მოვეკიმე, შვილო. თუ ეს გზა ვერ გაკეთდა, როგორმე ცხენი და ურემი შეიძინე, ცხოვრება გაგიადვილდება... ეხ, ერთხელ მაინც გამეველო ამ გზაზე...

„იქნებ მძიმე სიტყვებს ვამბობ და ბიჭს გულს ვუღონებ“,— გაიფიქრა თემსირმა და ანუგეშა შვილი. — ნუ ტირი, აგერ, იქით გადავიდეთ, ფორთხვით მაინც წავიდეთ. მარჯვნივ გადაუხვიეს. გაფითრდა თემსირი. „იქნებ შევცდით. ოი, დასწყველოს ღმერთმა ეს გზა, ფეხები გამიცივდა მასზე სიარულით და მაინც ვერა ვცნობ, ისე გამოიცვალა.

კოპლობით მიდის თემსირი, იმედი ჩაუწყდა: „ხალხი ახლა იწყებს ცხოვრებას, მე კი...“

მოულოდნელად წინ შავი კლდე აიმართა!

— ფორთხილად, არ გადავარდე, — დაიძახა თემსირმა, უკან დაიწია, მაგრამ ფეხი ვეღარ შეიკავა. დაცურდა, ჩავარდა...

ვეღარ დაინახა დოდიმ. ძლივს ამოაღწია მამის ხმის ნაწყვეტებმა...

— ვიღუპები! დოდი, უკან დაიხიე... ვიღუპები კლდე... ეა... ვა... ა... ესღა შოესმა დოდის. მისი ტანჯული თემა დესის კლდის ნისლში შთაინთქა...

ვერ აუსრულა შვილმა თემსირს უკანასკნელი სიტყვა, ვეღარ დაბრუნდა უკან, მიწამ თითქოს ფეხი აიდგაო, სადღაც გაიქცა, თავბრუ დაეხვია, გააჯრეოლა, დაცურდა და მამას მიჰყვა ხეში. მამა და შვილი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამჯერად ერთმანეთი ვეღარ იცნეს.

უებარი წამალი

კარგი მეზობლობა ჰქონდათ ერთიმეორეში ცამიანსა და სლანონს. დღესასწაულების დროს ხომ სულ ერთად სადილობდნენ, მაგრამ კარგ სადილსაც არა სჯამდნენ უერთმანეთოდ. ხოლო თუ ერთ ოჯახს სტუმარი მოუვიდოდა, მეორეც გაუშლიდა სუფრას. ორივეს თითო ბავშვი ჰყავდა, ცამიანს — დუდარი, სლანონს — ილიკო. ბავშვები თანატოლები იყვნენ და პატარაობიდანვე სულ ერთად თამაშობდნენ. სკოლაშიაც ერთად შევიდნენ.

გადიოდა წლები, იზრდებოდნენ ბავშვები და იზრდებოდა მეზობლების სიყვარულიც. განა მარტო სიხარული, დედებს დარდიც კი აკავშირებდა ერთიმეორესთან. ხოლო სადარდო ისა ჰქონდათ, რომ ბავშვები ძალიან აბეზარები და ეშმაკები იყვნენ. უმეტეს დროს გზებზე სირბილსა და ხტუნ-

ვა-თამაშს ანდომებდნენ, წიგნში კი ნაკლებად იხედებოდნენ. მასწავლებელი მუდამ ჩიოდა, ღუდარი და ილიკო ცუდად სწავლობენო. ასე მაჩანჩალობით დაამთავრეს სამი კლასი, მაგრამ მეოთხე კლასში კი მდგომარეობა შეიცვალა. ილიკო გამოსწორდა, ნაკლებად აბეზარობდა და მეტს კითხულობდა. ღუდარი კი ისევ შარა-შარა დარბოდა და ცამიანს ერთხელაც არ დაუნახავს შვილის ხელში წიგნი. დედა ერთი-ორჯერ წაეჩხუბა ღუდარს, მაგრამ ამან პირიქით წაახდინა საქმე: ბავშვი სახლს აღარ ეკარებოდა. თითქოს ოჯახში ავი დედინაცვალი უჯდა, სულ გან-განზე დადიოდა.

დედას შვილი როგორ შესძულდებოდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, უფრო ავად იქცეოდა: აი, სულ ჩემს წინ იჯექი და წიგნი იკითხეო. ღუდარი დედას არ უჯერებდა. ამის გამო ცამიანმა ღუდარი სამიოდეჯერ გაწკეპლა კიდეც. ბოლო დროს სკოლაშიც აღარ მიდიოდა. შვილის ამბის გასაგებად იძახდა: განა ჩემი თვალით ვერა ვხედავ, წიგნს რომ არ კითხულობს და ალთა-ბალთას უსაქმურად დახეტიალობს! ასეთი ბავშვის ამბავს რა კითხვა უნდა, ცხადია, არ სწავლობსო.

ცამიანს ის კიდევ უფრო აბრაზებდა, რომ მეზობლებისაგან ილიკოს ქება ესმოდა; დაქვიანდა და თავაზიანი გახდაო, თავის ჯგუფში პირველი მოწაფეა ახლა თურმეო.

დედისათვის იმაზე მეტი საწყენი რა უნდა იყოს, რომ მის შვილს სხვისმა შვილმა აჯობოს. ესა სწყინდა ცამიანსაც და ცდილობდა საქმე ჩხუბით გამოესწორებინა, მაგრამ ჩხუბმა შედეგი არ გამოიღო. პირიქით, გაამწვავა კიდეც შვილისა და დედის დამოკიდებულება.

ასე დავიდარაბით მიდიოდა დღეები.

* *

დღესაც ჩვეულებრივ დაიგვიანა ღუდარმა სახლში მოსვლა. ჭიშკარი ისე შეაღო, უცხოს რომ დაენახა, იფიქრებდა, ეს ბავშვი საქურდლად შედის სხვის ეზოშიო.

ცამიანი აივანზე სალეიბე მატყლსა პენტავდა წკეპლით და დაინახა თუ არა კიბეზე ამომავალი ღუდარი, მკვახედ უთხრა:

— სად დახეტიალობდი ამდენხანს?

— არსადაც არ დავხეტიალობდი, სკოლაში ვიყავი.

— შენი ამხანაგები რა ხანია მოვიდნენ და მარტო შენთვის იყო გაკვეთილები? შე სასიკვდილე, როდემდე უნდა იყო ასეთი, როდემდე?

ბიჭმა პასუხი არ გასცა, ისე მიაშურა ოთახს.

დედა დაეწია და მკლავში ჩააცლო ხელი:

— პასუხის ღირსადაც არა მთელი? ასე გათავხედდი? ეგება დაბუნჯდი? შენ დაგადუმა მამაზეციერმა. სად იყავი-მეთქი, სად, მე გეკითხები!

შვილმა შეუბღვირა:

— რა გინდა, რას გადამეკიდე, ხომ გითხარი, სკოლაში ვიყავი-მეთქი, სხვა რაღა გითხრა?

— სკოლაში ამდენხანს რას აკეთებდი?

— ის ჩემი საქმეა, რასაც ვაკეთებდი!

— შენი საქმეა და ჩემი არა, ხომ? — დედამ წკეპლა მოუქნია შვილს, მაგრამ შვილი უმალვე გაუსხლტა მას და ოთახში შევარდა.

ცამიანი უკან მიჰყვა მატყლის საპენტავი წკეპლის ქნევით:

— მე შენი დედა ვარ თუ დედინაცვალი, ჰა? ჩემი საქმე არაა, რასაც შენ აკეთებ, ხომ? მე შენ გიჩვენებ თვალის სეირს!

ერთხანს მაგიდას ურბინეს დედამ და შვილმა, თითქოს კატა-თაგვობანას თამაშობდნენ, მერე ღუდარი მეორე ოთახში გავარდა, ბუჯერში შეყრილ პურის ნაჭრებს დააცლო ხელი, გაიჭრა გარეთ და ბოსტანს მიაშურა.

დედამ აივნამდე გამოსდია.

ღრმად ქშინავდა გაბრაზებული და დაღლილი.

წკეპლა მატყლზე დაადო, სამფეხა სკამზე ჩამოჯდა, სახე ხელისგულებში ჩამალა და ატირდა:

— რა ვქნა, რა ვიღონო? სულ გამინადირდა შვილი, გამიუკულმართდა, უხეშად მელაპარაკება, აღარაფერს მიგონებს.

დედას ახლა ის ადარდებდა, რომ ძველად ღუდარი თუმცა უფრო აბეზარი იყო, მაგრამ პირადად მას ასე არ ექცეოდა. ხათრი ჰქონდა მისი. ახლა კი რა ეშმაკი შეუჯდა სულში? ანდა, მამამისი ხომ იშვიათად ხედავს მას? რატომა აქვს მამის ხათრი და მორიდება მეტად? მამას რატომ ვერ უბედავს სიტყვის შებრუნებას, რად უჯერებს ყველაფერს და დედას კი აღარაფრად აგდებს? ცამიანს ხომ შვილისთვის მხოლოდ სიკეთე უნდა, რატომ ვერ ხედავს შვილი ამას?

სამ თვეზე მეტია ღუდარი გაურბის დედას, სულ აღარ უნდა მასთან ყოფნა. რატომ, რატომ?

ერთხელ ძმის ცოლს შესჩივლა თავისი ამბავი და რძალმა ასე უთხრა:

— ბავშვს აქამდე ტკბილად ექცეოდი, კბილებს უკრეჭდი, ამას შენი კბილები ყველი ეგონა და თავის ნებაზე დატანტალებდა. ამიტომ წახდაო. შეაშინე, სცემე და ჭკუაზე მოვაო.

ერთმა ისიც კი ურჩია: ერთი-ორი დღე აშიმშილე და კუჭი რომ აეწვება, ყველაფერს გაგიგონებსო.

ცამიანმა რძალსაც დაუჯერა და იმ მრჩეველსაც, მაგრამ შვილი ამიტი უფრო გაუხეშდა და ახლა ისეთ რამეებსაც ეუბნებოდა პირში, დედა განცვიფრებული იყო, ჩემს შვილს ლენინოფა ხომ არაენ შეაქამა, ასე რამ გააგიჟაო.

სხვა რომ ვეღარაფერი იღონა, ცამიანი მკითხავთან წავიდა და კარტი გააშლევინა: შითხარი, რაშია საქმე, ჩემი შვილი რომ ასე გაველურდა, გაზარმაცდა და გაუხეშდაო.

მკითხავმა უთხრა:

— ვიღაცამ ჯადო გაგიკეთა, თავისი შვილის სიცუდე შენს შვილს გადმოულოცაო.

თუ ფულს მომიტან, ისეთ წამალს დაგიმზადებ, რომ ის ჯადო გაქარწყლდებაო.

— ვიშოვი თუ არა ფულს, მოვალ მაგ წამლისთვის, — უთხრა ცამიანმა და სახლისკენ გამოსწია.

გაბრაზებული ცამიანი მთელი გზა მხოლოდ ერთ რამეს ფიქრობდა: მტერი კარისმეზობლად მყოლია და ნეტავი აქამდე მემკითხვინებინა. და სიმართლე გამეგოო.

ეზოში შემოსულმა ცამიანმა დაინახა, რომ სლანონის ქათამი მის ბოსტანში გადმოფრინდა და მაშინვე ჭოლოკით დაედევნა, ფრთა მოსტეხა და ერთი წყეულა-კრულვით გადაადგო მეზობლის ეზოში. თან მიაძახა: თქვენს ოხრად დასარჩენ სურიელს მოუარეთო!

სლანონმა გამოიხედა სახლიდან და იკითხა: რა ამბავიაო?

— ქათმებს ნუ უშვებთ ჩემს ბოსტანში, ქათმებს. გამიფოლოროცეს მთელი ბოსტანი! — განგებ გაანჩხლდა ცამიანი.

სლანონმა დაინახა მის ეზოში გადმოგდებული ფრთამოტეხილი ქათამი და სახტად დარჩა: ძველად ჩვენს კამეჩს მთელი შაგისი ყანა რომ დაეკვა, ერთ სიტყვას არ იტყოდა საუგოდ, პირიქით, გაიმასხრებდა კიდეც: ბევრი სიმინდი უჭამია და მოუარეთ, არ აწყინოს და კამეჩი არ წაგექცეთო. ახლა კი ერთი ქათამი გადაფრინდა მის ბოსტანში და ასე რამ გააგულისაო?

ამ დღის შემდეგ დღე ერთი იყო და ცამიანი კი ცხრაჯერ ეჩხუბებოდა მეზობელს, ხან რაზე და ხან რაზე. კაცს თუ ჩხუბი უნდა ვინმესთან, მიზეზი როგორ დაელევა.

სლანონი გაკვირვებული იყო, ასე რამ შეცვალა ჩემი კარგი მეზობელიო და რაც შეიძლება თავს არიდებდა ცამიანთან შელაპარაკებას, მის წყეულა-კრულვას პასუხს არ აძლევდა.

* *

ცამიანმა ხელში იგდო თუ არა ორიოდე გროში, წავიდა მკითხავთან და დაპირებული წამალი გამოართვა, მაგრამ არ გასჭრა ამ წამალმა. ილიკო ისევ თავაზიანად იქცეოდა, ისევ ისმოდა მისი ქება, დუდარი კი კვლავ არ ეკარებოდა სახლს და დედას ალმაცერად უცქეროდა.

რაკი წამალმაც ვერ უშველა, ცამიანმა გადაწყვიტა, საიდუმლო თვითონ სლანონისაგან გაეგო, ვითომ „მოილბო" გული და ძველებური ღიმილით ესტუმრა მეზობელს.

სლანონი ალალი ღიმილით შეხვდა. დასხდნენ და ტკბილი მასლაათი გააბეს.

ბოლოს უთხრა ცამიანმა მეზობელს:

— სლანონ, ის შენი ერთადერთი ძმა მოგიკვდეს, თუ არ მითხრა, რითი უწამლე შენს შვილს?

— ჩემს შვილს საწამლო რა სჭირდა, როდის იყო ავად?! — გაიკვირვა სლანონმა.

— თავს ნუ იკატუნებ, მე ვიცი, რომ შვილს მკითხავის დამზადებული წამალი დაალევინე და ისე გამოასწორე. აბა, ასე რამ შესცვალა ბავშვი? აბა, რატომ ჩემი შვილი არ გამოსწორდა?

სლანონი ერთხანს გაკვირვებული მისჩერებოდა მეზობელს, მერე რაღაც მოაგონდა და უცებ წამოიძახა:

— აჰა, ახლა კი მივხვდი, რაშიცაა საქმე! შენ გგონია, რომ მე მკითხავის წამლით ვუმკურნალე ჩემს შვილს, არა?

— ჰო, ასე ამბობენ და...

— ეგებ იმასაც ამბობენ, რომ სლანონმა თავისი შვილის სიცუდე მეზობლის ბავშვისთვის გადაალოცინა მკითხავსო? ჰა, მითხარი, ეგებ ამასაც ამბობენ?

ცამიანმა ამ კითხვაზე პასუხი არ გასცა სლა-

ნონს, მაგრამ სლანონი უპასუხოდაც მიხვდა, რომ ცამიანი სწორედ ასე ფიქრობდა.

— მეზობლებს თუ ერთიმეორის ეშინიათ, არ მომაჯადოვოსო, იქ კეთილი მეზობლობა, რასაკვირველია, ავ მეზობლობად შეიცვლება. კარგი ქენი, ცამიან, ჩემთან რომ მოხვედი და ეს ამბავი გამაგებინე. ნეტავი აქამდეც მოსულიყავი, უფრო ნაკლებად დაგვეხარჯებოდა ერთმანეთისთვის საუგო სიტყვები და წყველა. იცი, რას გეტყვი? რომ მომავალში ეჭვიც კი აღარა გქონდეს, რომ მე შენი დუდარი მოვაჯადოებინე, ამ ორიოდე დღეში მოგიგზავნი იმ მკითხავს, რომელმაც ჩემს ილიკოს უმკურნალა და შენ თვითონ მოელაპარაკე მას. ახლა კი წადი სახლში და მშვიდად დაიძინე.— უთხრა სლანონმა ცამიანს და რატომღაც ჩაიცინა.

— სლანონ, შენ რაღაცას მატყუებ. — დაეჭვდა ცამიანი.

— ის ჩემი ერთადერთი ძმა მომიკვდეს, თუ შენთვის ცუდსა ვფიქრობდე. შენ ხომ იცი ჩემი ამბავი, მე სიტყვის გატეხა არ მიყვარს: გითხარი, რომ იმ მკითხავს მოგიგზავნი-მეთქი და გათავდა, მოვა მკითხავი შენთან. მერე შენ იცოდე და იმან.

ცამიანი დაიმედებული წამოვიდა მეზობლისაგან.

უხაროდა: ამ ორ დღეში ის დალოცვილი მკითხავი ჩემთანაც მოვა, უებარ წამალს მომიტანს და მალე დუდარიც ილიკოსავით წესიერი და ბეჯითი ბიჭი გახდებაო.

მკითხავის დასახვედრად ემზადებოდა ცამიანი, თუმცა ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს არაეისთან, ასეთ საქმეს სიჩუმე უყვარსო, ფიქრობდა.

* *

დღესაც გვიან დაბრუნდა სკოლიდან დუდარი. ატუდა ჩვეულებრივი დავა დედასა და შვილს შორის. დუდარმა ჭადის ნატეხი გაიტაცა და გაიქცა სახლიდან. დედა აღარ გაჰკიდებია უკან, მხოლოდ წყველა გაადევნა.

— შხამად შეგერგოს, შხამად, ეგ ჭადი, ჯანდაბაში რომ არ გაქცეულიყავ, აქ ვერ შესჭამდი საჭმელს? შხამად შეგერგოს, შხამად ეგ ჭადი! — ხმირად იმეორებდა ბუხართან მიმჯდარი ცამიანი და თან როდინში ფილთაქვით მარილსა ნაყავდა.

ამ დროს ვილაცამ კარზე მოაკაკუნა.

ცამიანი წამსვე წამოხტა და კარი გამოაღო.

მის წინ მასწავლებელი ზამირათი იდგა.

— სალამი, ცამიან!

— იცოცხლეთ, ქალბატონო მასწავლებელო. მობრძანდით შინ.

დასახლისი სახლში შეუძღვა მოულოდნელ სტუმარს.

— დაბრძანდით, თქვენი ჭირიმე. — ცამიანმა სკამი დაუდგა ზამირათს.

— დაჯდომას მოვასწრებთ კიდევ. ერთი ეს მითხარი, ბოლო დროს ხომ არ გვემდური, რატომ აღარ მოდიხარ სკოლაში, რატომ აღარ კითხულობ შვილის ამბავს?

— ჩემი შვილის ამბავს რა კითხვა უნდა, შენი ჭირიმე. სახლში ყოფნის დროს წიგნი ერთხელ არ აუღია ხელში, ეიცი, არ სწავლობს, მაგრამ რა ვქნა? რა ვიღონო? სწორედ მაგის გამო ვეჩხუბები ყოველ დღე, ისწავლე-მეთქი, მაგრამ არ მიგონებს. მოვა სკოლიდან, ხელს დაავლებს პურის ან ჭადის ნატეხს და დარბის შარა-შარა. სანამ ძილის დრო არ მოაწევს, სახლში არ შემოდის. სულ გამიუკუღმართდა შვილი, გამიზარმაცდა და გამითავხედა, აბა! ჩემს ერთადერთ და გეფიცები, ამისთანა უვარგისი ბავშვი მთელ სოფელში არ მეგულება, მაგრამ რა ვქნა, თავს ზევით ძალა არა მაქვს, ვერ გამოვასწორე.

— აი, მაგ საკითხის გასარკვევად გეახელით სწორედ. დაბრძანდით. — სტუმარმა დასაჯდომად მიიპატიჟა მასპინძელი და თვითონაც ჩამოჯდა. — სადაა ახლა?

— არ ეიცი, სადღაც წაეთრა! ვახშმობამდე არც მოვა.

— წეღან იმას სწყეველიდი, შხამად შეგერგოს ეგ ჭადიო?

— პირით ვწყეველიდი, შენი ჭირიმე, გულით კი არა. ხომ გაგიგონიათ, როცა დედა იწყევლება, მისი ძუძუები ილოცებიანო.

— ბავშვს კი ჰგონია, მართლა მწყეველისო და გარბის, ხომ ასეა?

— რა ეიცი, შეიძლება ასეც ჰგონია.

— მერედა, ეს კარგია?

— კარგი არაა, მაგრამ რა ვქნა? ჩემს სიტყვას არ იჯერებს და...

— პატივცემულო ცამიან, კარგი იქნებოდა, ერთხელ მაინც რომ მოსულიყავით სკოლაში და მისი ამბავი გაგეგოთ. თქვენ ამბობთ, რომ სახლში

წიგნს არ კითხულობს და მისი ამბავი რაღა საკითხავია, ისედაც ვიცი, რომ არ სწავლობსო. მე კი გეტყვით პირდაპირ, რომ სცდებით. ბოლო დროს დუდარი გაუოჩადდა, გაკვეთილებსაც ჰყვება და სკოლაშიც ნაკლებად ლაზღანდარობს.

— მერედა, სად სწავლობს გაკვეთილებს ან როდის?! — გაუკვირდა ცამიანს.

— ალბათ რომელიმე ამხანაგთან დაიარება და შენ კი გგონია, შარა-შარა დადისო.

— ვითომ? — ცამიანს თვალები გაუფართოვდა.

— დუდარი ცუდი ბავშვი არაა. — დინჯად დაიწყო მასწავლებელმა. — თუ ჩვენ არ გავაცუდებთ. შარშან ერთი ჩემი მოსწავლის დედამ ასეთი რამ მითხრა: „მე, ჩემო კარგო, ხუთი ბავშვი ვშობე და გავზარდე, შენც გაზარდე საკუთარი ხუთი შვილი და მერე დამიწყე იმის სწავლება. როგორ უნდა ბავშვის გაზრდაო". მე იმ ქალისთვის ცუდი სიტყვა, რასაკვირველია, არ მიკადრებია, მაგრამ იმაში კი დავარწმუნე, რომ სცდებოდა. იმას ეგონა, რომ მხოლოდ ცემა-ტყეპით შეძლებოდა წესიერი შვილის გაზრდა. ასეც აკეთებდა. მე ვურჩიე, შვილს უსაფუძვლოდ ნურასოდეს გაუწყრები, თორემ უარესს ჩაიდენს-მეთქი. სცადა, იმ დღის შემდეგ შვილი არ გაულახავს, მაგრამ ბავშვი უფრო დამჯერე და წესიერი გახდა. ახლა ის ქალი სადაც შემხვდება, მადლობას მეუბნება. მე ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ შენც გაგაფრთხილო: ზოგჯერ ბავშვს ძწორედ ეს გადაჭარბებული სიმკაცრე აფუჭებს. თუმცა მე იმის წინააღმდეგიცა ვარ, ბავშვს რომ სულ მუდამ მოუალერსო და არასოდეს გაუწყრე. სწორი რომ გითხრათ, გულზე შხამიანი ეკალივით დამესო, როცა გავიგე დუდარი სახლში დედის უხეშად ექცევაო. ეს ხომ ჩემი დანაშაულიცაა. მეც ხომ მისი გამზრდელი ვარ და თუ დუდარი წესიერ ადამიანი არ დადგება, საყვედური მეც მეკუთვნის. ამიტომ სანამ გვიან არაა, ერთიანი ძალით უნდა გამოვასწოროთ ეს ბავშვი.

— ყველა ხერხი ვცადე, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა...

აქ ცამიანს უნდოდა ეთქვა, ჩემი შვილი მოჯადოებულია და სანამ ამ ჯადოს არ გავაქარწყლებ, არაფერი არ ეწველებაო, მაგრამ ვერ გაბედა მასწავლებელთან ამის გამეღავნება.

— მოდი, ესეც ვცადოთ, რასაც მე გეტყვი. ერთი ორი დღე, რაც არ უნდა გაგაჯავროს, ავ სიტყვას ნუ ეტყვი. ვიცი, ძნელია დედისთვის, როცა შვილის სიცუდეს ხედავს, არაფერი უთხრას, მაგრამ ახლა როგორმე უნდა მოითმინო და ჩემი სიტყვა შეასრულო. რაც არ უნდა გითხრას დუდარმა, შენ ტკბილად უპასუხე ყველაფერზე. — ურჩია მასწავლებელმა დიასახლისს.

— ეჰ, „შენ გენაცვალეთი" ჩემი შვილი არ დაკკვიანდება, ტყუილია. გიჟი მოზვერი თუ არ აწვალე ძძიმე უღელში, ისე არ გაიხედნება. — უიმედოდ ჩაიქნია ხელი ცამიანმა.

— შენ ესა სცადე ახლა და თუ არაფერი გამოვიდეს, მერე სხვა რამე ვიღონოთ. ხომ გაგიგონია, ცდა ბედის მონახევრეაო.

— კარგი, ვცდი და ვნახოთ.

— ცამიან, ისე გატყობ, გეძნელება ჩემი დავალების შესრულება. — უთხრა მასწავლებელმა, რადგან დიასახლისს უღიმღამობა შეატყო.

— ჩემი ერთადერთი და არ მომიკვდება, ისე გავაკეთებ ყველაფერს, როგორც შენ დამარიგე. — მტკიცედ მოუგო ცამიანმა.

ზამირათი დაემშვიდობა მას და წავიდა.

დიასახლისი სამფეხა სკამზე ჩამოჯდა და მარილს დაუწყო ნაყვა.

* *

დუდარი სახლში გვიან დაბრუნდა. ხედავს მშობლები უკვე წვანან.

„ალბათ, მამა დაღლილი მოვიდა და მალე დაეძინა ამიტომაო". — გაიფიქრა ბიჭმა. მხოლოდ ის გაუკვირდა, დედა ასე ადრე რატომ დაწვაო.

ფიტონაზე შემოდგმული ლამპა შუქმილეული ვარსკვლავივით ბჟუტავდა. მაგიდაზე რძით სავსე ჭიქა იდგა. ჭიქის გვერდით, საინზე, დაჭრილი პური ელაგა.

— ეს ჩემთვისაა მომზადებული, მაგრამ ვითომ დედამ მოამზადა? — უქვი შეეპარა დუდარს.

დაჯდა მაგიდასთან, ჩუმად ივახშმა, გავიდა მეორე ოთახში და მშვიდად დაიძინა. რამდენი ხანია დუდარს უჩხუბრად არ უვახშმია და რატომღაც უჩვეულო ეჩვენა ეს ღამე.

ცამიანს განა მართლა ეძინა. უბრალოდ ჰქონდა თვალი მილულული. როგორც კი შვილმა ივახშმა, ლამპა ჩააქრო და მეორე ოთახში გავიდა,

ადგა იგი, ისევ აანთო ლამპა, სახლი მიაკარ-მოაკარა, მაგიდა გადაწმინდა, კერაზე ცეცხლი ნაცარში გაახვია, პირჯვარი გადაიწერა, ანგელოსებსა და ხატებს ფუჩუნით რალაცას შეეევედრა, ლამპა ისევ ჩააქრო და დაწვა.

გულდამშვიდებულს მალე ჩაეძინა.

დილით რომ ადგა დუდარი, ნახა: მამა უანაში წასულა. არც დედაა შინ. „ალბათ ძროხა გაღენა ნახირში და ჯერ არ მობრუნებულა“,

მაგიდაზე საუზმე იდო. ისაუზმა, ჩანთა გადაიკიდა, კარები გარედან გადარაზა და წავიდა სკოლაში.

მთელი დღე სულ იმის ფიქრში იყო, რამ შესცვალა დედაჩემიო.

სკოლიდან ადრე მოვიდა. თამამად შეაღო ეზოკარი და აირბინა სახლის კიბე.

დედა საკერავ მანქანას აგრიალებდა.

დუდარმა ჩანთა კედელზე ჩამოჰკიდა, ფანჯარასთან მივიდა და ეზოსკენ დაიწყო ყურება. ძალიან უნდოდა გაეგო, ხომ არაფერს ეტყოდა დედა.

მანქანის გრიალი შეწყდა. ალბათ კერვას თავი დაანება. აი მისი ფლოსტების ტყაპა-ტყუპიც ისმის, ნეტავი შვილისკენ ხომ არ მოდის, რომ გუშინწინდელივით ბეჭებში ჩაარტყას. მაშ? არა, მარჯვნისკენ გაუხვია. კარადის კარებმა გაიჭრიალა, გარაჩხუნდა საინები. ნეტავი, თავში საინის დარტყმას ხომ არ მიპირებს?

დუდარი ცნობისწადილმა წასძლია: რას აკეთებს დედაჩემიო, გაიფიქრა და მოიხედა.

ცამიანი სუფრას აწყობდა. აი, გააწყო კიდეც. მაგიდაზე დაალაგა დაჭრილი პურები, სამარილე და კოვზი. თეფშზე დაბასტურმებული ხორცის წვენი დასხა.

— მოდი, ჭამე, წვილო! — თითქმის ჩურჩულითა სთქვა ცამიანმა.

ნუთუ ეს დედის ხმა იყო ასე ტკბილი? ჰო, დედის ხმა იყო, ნამდვილად დედის. ამ ექვსიოდე თვის წინ განა ასეთი ალერსიანი ხმით არ ელაპარაკებოდა დედა შუდამ? რამდენი ხანია ეს ხმა ენატრება დუდარს და, როგორც იქნა, ეღირსა მისი გაგონება.

უსიტყვოდ მიუჯდა მაგიდას და შეუდგა სადილობას. დედის ხმასავით ტკბილი ეჩვენა პურიც და წვენიც. მადიანად ყლაპავდა გემრიელ ლუკმებს.

— ნეტავი, რაიმე ისეთი დღესასწაული ხომ არაა ამ დღეებში, რომ წყეველა არ შეიძლება, არც ნხუბი? — ფიქრობდა იგი.

ცოტა რომ შენაყრდა, დედისაკენ ფაფარა მზერა, — აბა, მე თუ მომჩერებიაო.

ცამიანი ისევ მანქანას უჯდა და აგრიალებდა ხალისიანად.

დუდარმა დაამთავრა სადილობა და არ იცოდა, რა უქნა, რომ ამდგარიყო, რა გაეკეთებინა? თითქოს დედამ იგრძნო შვილის ეს ორეოფობაო, თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა:

— თეფში კარადაში შედეევი, მერე გავრეცხავ.

ბიეჭმა კოვზი თეფშზე დადო, პატარა ტილოთი მაგიდაზე დაყრილი პურის ნამცეცები ერთ ადგილზე მოაქუჩა, მუჭით აბოჭა, კოვზს დააყარა და თეფში კარადაში შეინახა.

— ახლა რაღა გავაკეთოო, — ფიქრობდა იგი.

ისევ დედის ხმა წამოეშველა:

ახლა დაისვენე, შვილო. მერე კი, თუ დრო გაქვს, წისქვილში საფქვავი წაიღე. მე არა მცალია, მამაშენი ხვალ ქალაქში მიდის და ეს ხალათი რომ არ შევუკერო, არ შეიძლება.

ბიეჭმა სიხარულისგან კინალამ შეჰყვირა, მაგრამ დედამ ცუდად არ ჩამომართვას შეყვირებაო, გაიფიქრა და დედას ისე სიყვარულით მიაჩერდა, თითქოს იგი დიდი ხნით სახლიდან სადმე ყოფილიყოს წასული და ამ წუთში დაბრუნებულიყოს.

— აბა, რად მინდა დასვენება. წიგნს წავიღებ და წავალ წისქვილში. სად არის საფქვავი? — გაისმა ბიეჭის აცახცახებული ხმა.

დედასაც რამდენი ხანია შვილის ასეთი დამტკბარი ხმა არ ფაუგონია, თავი მაღლა ასწია და უთხრა:

— ბეღელს გააღებ თუ არა, კარებთანვე დევს ტომრით.

ბიეჭი თითქმის ცეკვით წავიდა ოთახიდან. ბეღლიდან ტომარა გამოიტანა, თავის პატარა ურემზე დადო, და ღელურქით მიაკრა კუპეებზე ჩამოცმულ სართაულაზე. მერე სახლში შეირბინა, ჩანთიდან წიგნი ამოიღო, ღვედში გაიჩარა და ისევ ურიკასთან გაჩნდა.

ცოტა ხნის შემდეგ ცამიანმა გაიგონა: მისი შვილის ურიკა მიერიალებდა შარაზე.

— მგონი მართლდება ზამირათის სიტყვა, იმის კი ვენაცვალე. — თავისთვის ჩაილაპარაკა დედამ

და მანქანის მაქოზე ახალ ძაფს დაუწყო დახვევა.

კარგი დარი იდგა. ბუხრის ახლოს მხიარულად გრიალებდა საკერავი მანქანა, შარაგზაზე მილიღინობდა პატარა ურემი. ბიქს მანქანის გრიალი ესმოდა შორიდან, დედას კი ურმის ჭრიალი. დუდარის გულში გრიალებდა საკერავი მანქანა, ცამიანის გულში მილიღინობდა საფქვავიანი ურიკა.

• •

ის ის იყო, დედამ კერვა დაამთავრა, ამ დროს შვილმაც შემოაღო კარები.

— დედი, მოვიტანე დაფქვილი. სად შევინახო?

— მე შევინახავ, შვილო, შენ ბავშვებში გაისეირნე, თუ გაკვეთილების დამზადება არ გეჩქარება. — მიუგო დედამ და კარისაკენ გასწია.

— არ მინდა გასეირნება, არც გაკვეთილები მაქვს დღეს დასასწავლი. ხვალ კვირაა და გაკვეთილების დასწავლას ხვალაც მოვასწრებ. თუ რამე გაქვს კიდევ გასაკეთებელი, ბარემ გავაკეთებ, დედი! — უკან გაეკიდა შვილი ცამიანს.

დუდარს ახლა ისე სწყუროდა სახლში რამის გაკეთება, როგორც არასდროს, მაგრამ დედამ უარი უთხრა, საშენო საქმე დღეს აღარა მაქვსო.

დუდარმა ურიკა ბელელთან მიაგორა, ტომარას ღვლერში შეხსნა და დედას დაფქვილი ბელელში შეატანინა. იქიდან გამობრუნებული ეზოში გავიდა. ახლა მას გული ისე გახალვათებული ჰქონდა, ეს პატარა ეზოც კი ფართო და მხიარული ეჩვენა.

აი, საბძლის წინ, მსხვილ-მსხვილად დაპობილი წიფელა დაინახა. ახსოვს, როგორ არ ახსოვს, ერთი კვირის წინ დედამ უთხრა, შე მოსასპობო, სად გარბიხარ, საბძლის წინ რომ წიფლის ნაკოდებია, ის დააპეო. მაშინ არ დაუჯერა დედას, არ შეუსრულა სიტყვა. ახლა კი ნანობს, ცუდად მოვიქეცით. ჰოდა, მიადგა ნაჯახით ამ ნაკოდებს. კიდევ უფრო დაანაკოდა, დასერა, დაანაკოჩილავა, დაბალთა და სამშრალო ფარდულში შეიტანა, სახლის გვერდით. სამშრალო ფარდულში ერთი ძველი კუნძი ეგდო, იმას დაუწყო ჭრა. ნაჯახი ეპედებოდა კუნძში, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა, აძრობდა და ისევ ურტყამდა თავგამოდებით.

უცებ რალაცამ შარვლის ტოტი დაუწია. შეკრთა და უკან მოიხედა. გაეცინა. ეს — მისი საყვარელი ცუგრია ექირჩიმალებოდა და ეთამაშებოდა.

— ოჰ, შენა ხარ, ცუგო?! — მიეალერსა ბიქი.

თეთრი ლეკვი უკანა ფეხებზე დადგა და წინა ფეხის თათებით მუხლებზე ააფორთხდა. კუდს იქნევდა, თვალებში შესციცინებდა პატრონს, წკმუტუნებდა...

დაიხარა დუდარი, ხელში აიყვანა თავისი მეგობარი და თავზე სიყვარულით გადაუსვა ხელი. დღეს ეს ლეკვიც კი განსაკუთრებით უყვარდა მას. და მარტო ლეკვი კი არა, ყველაფერი, ყველაფერი განსაკუთრებით საყვარელი იყო მისთვის დღეს.

დედა ფანჯრიდან უცქეროდა თავის შვილს და მის ოჯახში ზამირათის ფეხის შემოდგმის საათსა ლოცავდა. სიხარულის ცრემლები სცვიოდა თვალთაგან.

• •

ასე სიამტკბილობით გაგრძელდა მომავალი დღეებიც. დუდარი დაეწია სწავლაში ილიკოს. ორივე ფრიადებით გადავიდა მეხუთე კლასში.

ერთ დღეს ცამიანი წყაროზე მივიდა კოკით ხელში და ხედავს, სლანონია იქ. ჩაფი ღარისთვის მიუდგამს და დგას დაფიქრებული.

გაუბედავად მიესალმენ ერთიმეორეს.

ცოტა ხანს მდუმარედ იდგნენ, თითქოს ხმის ამოღებისა ეშინოდათ. ბოლოს სლანონმა ჩუმად ჩაიცინა და ღიმილით ჰკითხა მეზობელს:

— ცამიან, რაი, რა გითხრა ჩემმა ბაბანილმა მკითხავმა?

— მასხრად მიგდებ თუ? გული მოუვიდა ცამიანს. — რომელ მკითხავზე მეარაკები, როდის იყო ჩემთან მკითხაეი?

— როგორ არ იყო, რას იტყუები? ჩემი ფეხით მოვაცილე შენს ჭიშკრამდე.

— ვინ, ქალო?! — ახლა უკვე გაოცა ცამიანმა. თან უეცარმა სიფერმკრთალემ გადაკრა სახეზე.

— ვინ და, ზამირათი!

— პა?! ზამირათის ფეხის ფრჩხილს ენაცვალოს რაც ქვეყანაზე მკითხავებია, ვინ ზამირათი და ვინ მკითხავობა?! რას ამბობ, რას?

— სიმართლეს, ჩემო მეზობელო, სიმართლეს. შენ გინდოდა, გაგეგო რომელმა მკითხავმა განკურნა ჩემი შვილის სიცუდე და მეც მოგიგზავნე

ის მკითხავი, ჩვენი კარგი მასწავლებელი, ზაჰირათი!

ცამიანი წამით გაშტერდა, მერე უცებ გამოერკვა, ღიმილი გადაეფინა სახეზე და მკლავები ისე გაშალა, კაცი იფიქრებდა, მთელი ქვეყნიერება უნდა გულში ჩაიხუტოსო, მივარდა მეზობელს და გადაეხვია:

— მართლაც ოქრო ქალი ყოფილხარ, ჩემო მეზობელო, ოქროს ქალი! ჯადოზე ძლიერი ხარ, ჯადოზე ძლიერი, შენ შეგოგველოს ჩემი სიცოცხლე!

ჩაფი აივსო წმინდა წყლით და ორმა ქალმა ერთდროულად დააცალა ამ ჩაფს ხელი. ჩაფგამოდგმული წყარო კი კვლავ აჩუხჩუხდა.



ვინ ჰარაყთი

ვისი ბრალია?

დილით ადრე ადი სათოს უმაღლეს, მწვანით შემოსილ მწვერვალზე. აქ მთელი ზაფხულის განმავლობაში სძოვს საქონელი.

შენს თვალწინ გადაიშლება ხაჩაჩნო — საქართველოს მხრისკენ მთაგორიანი, გროზნის მხრისკენ კი ვაკობი ადგილები.

ცას მიბჯენილი მთები, ტყეები, ვაკე-მინდვრები გულს ახარებენ. მოჩანს სოფლები, სადაც ცხოვრობს დაჩაგრული, ღარიბი ხალხი, რომელიც თავისი ხამშობლოს ბუნების მშვენიერებით ვერ დამტკბარა.

ადამიანი თვალს ვერ მოაშორებს სათოს ამწვანებულ მწვერვალებს. მთელი დღის განმავლობაში მზე გარშემო უტრიალებს მათ და ბრწყინვალე სხივებით ქოჩორს უვარცხნის.

ადამიანი ტკბება ამ სანახაობით. ღრმად ისუნთქავს მთის გრილ ჰაერს. აქ ამოდიან სამკურნალოდ ავადმყოფები, რომლებიც დათვლილი დღეების შესანარჩუნებლად იბრძვიან.

ვიწრო ხეობაში მდინარე არღუნი გზას მიიკვლევს, ზამთარში წყნარი და მშვიდია, გაზაფხულზე კი აბობოქრებული ზათქით, ღრიალით სალ კლდეებს ეხეთქება და შხეფებად იფრქვევა, ლოდებს მიაგორებს.

სათოს სწორედ შუა კალთაზე მეფეს ციხე-სიმაგრე აუშენებია. მისი გრძელი გალავანი მთას გველივით შემოვლებია და სათოფურებით გარშემო იცქირება. მრავალი ჩაჩანი გაუუბედურებია ამ სათოფურებს, ტყვიით გულგანგმირულ მარჩენალს მიუტოვებია ოჯახი, შვილები ობლად დაუყრია.

არა ერთი დედის, ცოლის მოთქმა-ტირილი მოუსმენია ამ მწვანე მთებს. უეცრად მოვარდნილი ქარიც აკივლებულა მათი უბედურებით, მოსდებია ხეებს, კლდეებს და უგზო-უკვლოდ გადაკარგულა.

მეფის ციხე-სიმაგრის მახლობლად ცხოვრობდა აზამათ ქელითი. აქ დასახლების უფლებას იმას აძლევდნენ, ვინც მეფის ერთგული იყო. და აზამათმა კოხტა სახლი აიშენა. გაზაფხულის ყვავილივით ამშვენებდა მისი სახლკარი ამ მიდამოს.

აზამათს ოცდაათი წელი შეუსრულდა. დრო იყო ცოლი შეერთო. აზამათი აქეთ მიდგა, იქით მიდგა, რომ ეპოვნა ისეთი ქალიშვილი, რომელიც მის კერას გაამხიარულებდა. ბევრი სანაქებო გასათხოვარი ასული ეხახულა, მაგრამ არც ერთზე თვალი არ რჩებოდა.

სადაც კი აზამათი გამოჩნდებოდა, ან მის სახელს ახსენებდნენ, სოფლის ლამაზები ოხვრით იტყოდნენ:

— მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, ვინც ქელითის ცოლობის ღირსი გახდება. ლუკმა პურიც რომ არ მოეპოვებოდეს ოჯახში, მაინც ბედნიერი იქნება.

დრო მიდიოდა. აზამათი დაეძებდა გულის სწორს, მაგრამ თავის მოსაწონი ვერავინ ნახა.

მისი დუქნის კარები დიდხანს დარჩენილა დაუკეტავი. ბევრი მყიდველი ეტანებოდა, რადგან

ბცოდნენ, რომ აზამათმ ცოლის შერთვას აპირებდა.

ქალები ამბობდნენ:

— ნეტავ მომიწონოს, ნეტავი მითხოვოს! დღე და ღამეს გავასწორებ, რომ მისი გული მოვიგო.

— ყოველ დილით ისე მოვირთვები, თვალი ვერ მომაშორებს. მის სუნთქვას, მის სურვილს თავს ვანაცვალებ.

• •

მდინარე არღუნის გაღმა მწვანე მინდორზე ბორზოში პატარა ქოხი აღმართულა. ამ სახლში ცხოვრობდა ცქრიალა, ყველასთვის საყვარელი პატარა მისურათი, რომელიც შვლის ნუკრივით დახტოდა ეზოში და თავისი სიცილ-კისკისით იქაურობას ახალისებდა. ნაზი ყვავილივით იზრდება მისურათი, დარდი და სევდა მისმა გულმა არ იცის. იგი მზეზე მინდვრის ყვავილივით კიაფობს. მისურათი მთელი საგვარეულოს საამაყო გოგონა იყო.

ერთ საღამოს აზამათი თავის შავ ცხენს მოაგელვებდა და თვალი მოჰკრა მისურათს.

„ნეტავი მას, — გაიფიქრა აზამათმა, — ვის ეზოშიც ასეთი ნუკრი დანავარდობს! კრავივით საყვარელია... ჩემთვის ამოსული მზეა“.

აზამათი ხიდთან წყლის დასალევად ცხენიდან ჩამოხტა, მაგრამ წყურვილი დაავიწყდა და ისევ „შვლის ნუკრზე“ დაიწყო ფიქრი. „ჩვილი კრავი“ არ შორდებოდა მის თვალებს, დალონდა აზამათი. ნეტავ მის ეზოშიც დანავარდობდეს ასეთი გოგონა. შორიდან მოჩანს აზამათის სახლი, ნათელი, ყველაზე უკეთესი, მაგრამ მისთვის იგი შავი საფლავია: არავინ ეგულება იქ კოხტა და მომხიბვლელი ასული, რომელიც მას გულს გაუხარებს. ოჯახში ჰყავს მხოლოდ მოჯამაგირე ავდული, რომელიც მის კერას შეაბერდა.

ავდული პატრონს შეეგება. ცხენი ჩამოართვა, მოსართავები მოხსნა და დაამინავა...

აზამათი კი კვლავ თავის ციგ საწოლს ეწვია.

სულ უფრო და უფრო ღონდებოდა აზამათი. მისი ფიქრი მშვენიერ „შვლის ნუკრს“ დასტრიალებდა.

მდინარე არღუნი კვლავინდებურად მიჩხრიალებს. სათოს მწვანე მინდვრები მზეზე თბებიან, ფერად-ფერადი ყვავილებით მორთულნი. მთის ჰაერი მკერდში სიამოვნებს. გრილ ნიავი გულს ახალისებს. ცხოვრება საკვლია სიხარულით, მაგრამ მარტოხელა აზამათი დალონებულია. კვლავინდებურად იგი დადის ტირილში, დროს ატარებს წვეულებაში, ისმენს გამამხნევებელ სიმღერებს. მრავალ ლამაზ წარმოსადეგ გოგონებს ნახულობს... მაგრამ მაინც ის პატარა გოგონა — მისურათი აგონდება.

მთლად გამოიცვალა აზამათი: გახდა, მოსვენება დაკარგა. გაკვირვებული თავისთავს ეკითხება:

— აზამათ, რა მოგდის? მკვდრის ფერი დაგედო. — მაგრამ პასუხის გაცემას ვერ ახერხებს. თვითონაც არ იცის, რა ემართება. ისე წუხს და ვალალებს, თითქოს დიდი ზარალი ენახოს, თითქოს ეინმე დალუპვოდეს. მოსვენებას ვერ ჰპოულობს. თვალწინ უდგას მოკრიალებული ეზო და შიგ მონავარდე „შვლის ნუკრი“.

დალონებული აზამათი თავისი სახლის ფანჯრიდან მთებს გასცქეროდა, ფრიალო კლდესთან მიდგმულ დიდი ხიდის ქვის ბურჯებზე შეაჩერა თვალი, ეს კლდე თითქოს სისხლით იყო შეღებილი. და აზამათს მოაგონდა ძველი ამბავი:

ერთ კოშკში ცხოვრობდა მოთარეშე მხედარი, რომელსაც გმირულ საქმეებში ბადალი არ ჰყავდა. იგი დილით ადრე მიდიოდა სათარეშოდ და საღამოს შინ მორეკავდა მოტაცებული საქონლის ჯოგს. სახლში მისვლამდე ხევი უნდა გადაეკვლა, რომელზედაც ხიდი იყო გადებული. მხედარს ისეთი ლამაზი ცოლი ჰყავდა, რომ მისი სხეული ღამითაც ანათებდა. მხედარი ღამით ხიდს რომ მოადგებოდა, ცოლს დაუძახებდა, იგი ფანჯარაში ხელს გამოჰყოფდა და ეთელი ხიდი განათდებოდა. მაშინ კაცი ჯოგს წინ გადენიდა და ხიდს უშიშრად გადავიდოდა.

ერთხელ ცოლ-ქმარი კამათობდნენ. კაცი ამბობდა:

— ჩვენი კეთილი ცხოვრება ჩემი ძალ-ღონითაა შექმნილი. მე მოვითარეშებ ხოლმე და საქონელს მოვრეკავ.

ქალი კი ასე პასუხობდა:

— არა ხარ მართალი. ჩვენს საკეთილდღეოდ მე შენზე ნაკლებს არ ვაკეთებ.

ქმარი ცოლის ამ სიტყვებს რომ ძმენდა, ამაყად იცინოდა.

მეორე დილას კაცი სათარეშოდ გაემგზავრა. სიღამო ღამს აუარებელი საქონელი მორეკა და

ხიდს რომ მოადგა, ცოლს გაღვიდან გასძახა. ქალმა ფანჯარაში ხელი გაპყო და ხიდი განათდა. მაგრამ, როგორც კი მისი ქმარი ხიდის შუა ადგილას მიეიდა, ცოლმა ხელი დამალა. უკუნეთმა მოიცვა ყველაფერი. ნაბიჯის გადადგმა საშიში იყო. მაგრამ კაცმა ცოლის მეორეჯერ დაძახება იუკადრისა და... თავისი ჯოგით ხიდიდან ღრმა ხევში გადაიჩეხა.

ქალმა დილით რომ ნახა, თავის საყვარელ ქმარს რა დამართოდა, კივილი და თმების გლეჯა დაიწყო. თვითონაც კოშკიდან გადახტა. კლდეს დაენარცხა და იქვე სული დალია. კლდე მისი სისხლით შეიღება და ასე გაწითლებული დარჩა. ეს ამბავი ინკვიზიტა ახლა აზამათ ქელოთის და სულის სიმშვიდე დაუკარგა.

წინაპრებს სწორად უთქვამთ, ქალს მამაკაცის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიაო.

და ხალისდაკარგულ აზამათს თვალწინ კელავ ის სუფთა ეზო და „შვილის ნუკრი" ედგა.

• •

მურთაანთ მისურათი სწრაფად იზრდებოდა. იგი ადრე დილით მსუბუქად სურით ხელში წყაროსთან მიირბენდა, მერცხალივით ჩაუქროლებდა სანაყშოზე თავმოყრილ ხალხს. კოხტად მხარზე შედგმულ სურით სახლისკენ ბრუნდებოდა. სოფლის სკოლა შარშან დაამთავრა. მერე გროზნის გიმნაზიაში მიაბარეს, იქაც კარგად სწავლობდა. მის შემდეგ ხალხი ამბობდა, ქვეყანა რომ გაირყვნას, მისურათი მაინც უმანკო დარჩება. ბავშვობიდანვე ეტყობა, რა ქალიც დადგებაო.

— მართალია, — უდასტურებდნენ სხვებიც,— მისი ხელიდან ცუდი არაფერი გამოვა. გაიზარდოს შობლების გასახარად.

ერთხელ მისურათი წყაროდან გაბრაზებული დაბრუნდა. მხიარული, მოლიმარი წყაროსკენ გარბოდა სურით. მოშორებით თვალი მოჰკრა მარჯვე ხამათს. მისურათმა მასაც მხიარულად შეხედა, მაგრამ შინ წამოსასვლელად რომ გამობრუნდა, კისერში მოხვდა ლოყაწითელი ვაშლი. მაშინვე უკან მოიხედა მისურათმა და გაბრაზებულმა უთხრა ხამათს:

— რა ბოროტი ხარ, გლახა, ვაშლი რად მესროლე!

შეწუხებულმა ხამათმა მორცხვად თქვა:

— ღმერთმანი, მისურათ, ვაშლი იმიტომ გესროლე, რომ შენთვის მომეცა. კისერში უცაბედად მოგხვდა.

მართლაც, მთელ სათოში ამაზე ულამაზეს ვაშლს ვერ იპოვიდით.

მისურათს წყენამ გაუარა და ხამათს უთხრა:

— გლახა ხარ, გლახა, კისერი მაინც მეტკინა.

პირველად შეხვდა საწყენი მისურათს. მისი სახე პირველად მოიღუშა, მაგრამ ამ წყენამ მალე გაუარა.

იზრდებოდა მისურათი, როგორც მთის ყვავილი ნოყიერ მიწაზე: თამამი, მხიარული და ყველასთვის საყვარელი.

• •

ათი წელი გავიდა.

აზამათი მშვიდ ცხოვრებას ეწევა. დროს გასატარებლად არსად დადის. მხოლოდ საღამოობით თავისი ცხენით გაისეირნებს, რომ დაღონებული გული გაართოს.

ყველაზე ხშირად აზამათს ბორზოში ნახულობენ. იქ ხედავს სუფთა ეზოს. ელანდება „შვილის ნუკრი" — მისურათი. მაგრამ შინ რომ ბრუნდება, თავისი ეზო და სახლ-კარი სასაფლაოდ ეჩვენება. თავის საწოლ ოთახში შესვლა ეზარება, ასე ჰგონია, საპატიმროში შედიოდეს. მთელი ღამე უძილობა აწუხებს, გულის ტკივილსა გრძნობს.

მაჰმადიანთა დღესასწაულამდე ორი კვირაღა იყო დარჩენილი. აზამათს გამოეღვიძა. დღე და ღამე იყრებოდა. უცებ აზამათს ერთმა აზრმა გაუელვა. ლოგინზე წამოჯდა, სახე გაუნათდა, თითქოს დაკარგული საქონელი უპოვნიაო.

ლამაზ მისურათს ახლა ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა. იგი კარგი დასახლისი იქნება. ბევრი დასაქორწინებელი ვაჟი ოხრავს მურთაანთ მისურათის დანახვაზე, ბევრს გულში დარდი გაუჩინა.

მაგრამ აზამათის გულს ამ დილაადრიან რა სინათლე მოეფინა?

— ვითხოვ მისურათს, — ამბობს იგი, ჩემს ეზოს ნათელს მოჰფენს. არაფერს დავიშურებ იმისათვის, რომ იგი დატკბეს ცხოვრებით. ყოველ კვირას ახალ-ახალი ტანისამოსით მოვრთავ. ჩემს ეზოში მტრედივით ფრენენებს. აზამათმა, ცნობილმა აზამათმა, მას რომ შუამავალი მიუგზავნოს... იმდღესვე უეჭველად კარგ პასუხს მიიღებს. იგი ხომ გიმნაზიაში სწავლობს, ეს ხელს არ შემიშლის.

უზომო სიხარულით შეპყრობილი აზამათი ისევ ჩაწვა ლოგინში. ახლა ტკბილად ეჩვენა თავისი საწოლი. თავი სამოთხეში ეგონა.

მაშინვე თავის მოჯამაგირე ავდულს დაუძახა და ქელოთის გვარის უფროსებთან გაგზავნა. დიდა სიხარული დატრიალდა მურთაანთ ოჯახში. არაფერი დაზოგეს სტუმრების პატივსაცემად. მისურათს სკოლის დამთავრებამდე ორი წელიღა აკლდა, მაგრამ ეს აღარავის ახსოვდა. შუაკაცებმა და მშობლებმა საჭიროდ არ დაინახეს ქალის სურვილი გაეგოთ. ქელოთაანთ აზამათს ცოლათ ვინ არ გაჰყვებოდა!

• •

ნათელი, მზიანი დღე დადგა. აზამათ ქელოთის ეზოში სიმღერა, ცეკვა, საქორწილო ხმაურობა ერთმანეთში არეულა. ეს ლხინის ხმა მთებსა და ხეობებს მოსდებოდა. აზამათ ქელოთიმ ცოლად შეირთო სანატრელი, ლამაზი მისურათი. ბევრს შურდა მისი ბედი. მისურათი მხიარულობდა. ხანში შესული აზამათიც ნეტარებდა. სანანებლად მხოლოდ ის ჰქონდა, რომ ამდენ ხანს არ დაქორწილდა. მაგრამ თავს იმით იმშვიდებდა, რომ მისურათი მხოლოდ ახლა გახდა გასათხოვარი.

ასე დაიწყეს ახალი ცხოვრება. დილით ადრე აზამათი თავის დუქანში მიემგზავრებოდა. ბევრი მყიდველი ჰყავდა და ხალისიანად ვაჭრობდა. მის სახეს ღიმილი არ შორდებოდა. მხოლოდ ხანდახან დაღონდებოდა იმის გამო, რომ შინ ყოფნას ხშირად ვერ ახერხებდა. ავდული ოჯახის ნათესავი იყო და თავისი ტკბილი საუბრით მისურათს ართობდა.

მისურათს ძალიან ახალისებდა მეზობელი ქალის ხალიზას სტუმრობა. ხალიზა სტუმრად მაშინ უფრო მოდიოდა, როცა აზამათი შინ არ ეგულებოდა. ქალები ერთმანეთს გულს თავისუფლად უშლიდნენ.

გავიდა ერთი წელი... ორი წელი...

აზამათი და მისურათი ვერ ახერხებდნენ ხშირად ერთად ყოფნას, ეს მათ კიდევ უფრო უძლიერებდა ერთმანეთის ნახვის სურვილს. ერთ დღეს მისურათმა სურას ხელი წამოაელო და წყაროსაკენ გასწია. გზაზე რომ მიდიოდა, წინ მაღალმა, წარმოსადეგმა ვაჟკაცმა ჩაუარა. ეს ლამაზი ვაჟი მისურათზე ერთი-ორი წლით უფროსი თუ ბქნებოდა. სტუდენტის ტანსაცმელი ეცვა. ვაჟმა გახედა მისურათს. არ უნდოდა ეს ქალისთვის შეემჩნეინებინა. მისურათი წყაროდან რომ ბრუნდებოდა, ეს უცნობი ვაჟი მას წინ კიდევ შემოხვდა, მაგრამ ახლა იგი ნათელი სახით მორცხვად ულიმოდა და ტკბილი ხმით მიმართა:

— გამარჯობა მისურათ, ვეღარ მიცანი?

მისურათმა ვაჟს შეხედა. ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. ეს კარგი ვაჟი გულკეთილად, სიყვარულით უმზერდა. ასეთი შეხედვა და ტკბილი საუბარი აზამათმა არ იცოდა. მისურათს ვერ მოეგონებინა, სად ენახა ეს ყმაწვილი. ასე დაშორდნენ ერთმანეთს. შინ რომ დაბრუნდა, მისურათს ხალიზა დახვდა და ახალგაზრდა ვაჟთან შეხვედრის ამბავი უთხრა. ამბის მოყოლა რომ დაასრულა, მისურათს უცებ მოაგონდა, ის ბიჭი სად ჰყავდა ნახული და გაიღიმა.

ეს იყო ხამათი, რომელიც ახლა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა. მისურათმა ისიც უამბო ხალიზას, პატარაობისას ხამათმა ერთხელ ვაშლი როგორ ესროლა.

— საწყალი! — თქვა ხალიზამ, — ალბათ, უყვარდი და ვაშლი იმიტომ გესროლა, შენ კი გაბრაზებულხარ.

— ბავშვი ვიყავი, მაშინ სიყვარულისა რა გამეგებოდა. — ასე განაგრძობდნენ საუბარს ხამათის შესახებ, სანამ ორი მეგობარი ქალი ერთმანეთს არ დაშორდა.

ამის შემდეგ მისურათი და ხამათი ქუჩაში ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ. ხამათი თავის პატარა სოფელ ბორზოში ვეღარ დგებოდა, ყოველდღე სათოში მიეშურებოდა, მისურათისათვის ხშირად თვალი რომ შოეკრა. მისი ნახვა გულს მზესავით უთბობდა.

მისურათის გულიც სხვანაირად აძგერდა. რაიმეს აკეთებდა, თუ უსაქმოდ იჯდა, უცებ ერთ წერტილს მიაშტერდებოდა. გული ძალუმად უწყებდა ცემას. ხან მოიწყენდა, ხან უმიზეზოდ მხიარულებდა. ხშირად თრთოლვა აიტანდა. ამ დროს შინ ვერ დგებოდა და ხალიზასთან გარბოდა.

ერთხელ წყაროდან შინ რომ ბრუნდებოდა, ქუჩაში თვალი მოჰკრა ხამათს. სავსე სურა დაცალა და კვლავ გაეშურა წყაროსაკენ, რომ ხამათს შეხვედროდა. მისი სიახლოვე სწყუროდა. ამ დროს აზამათი შორს იყო გამგზავრებული საქონლის შესაძენად.

ხამათი ხალიზას შორეული ნათესავი იყო.

ხამათმა მასთან დაიწყო სიარული. მისურათიც ხომ ხშირად დადიოდა თავის მეგობარ ქალთან.

ორმა ადამიანმა, მისურათმა და ხამათმა, ერთმანეთი მონახეს ჯერ გულით, მერე კი ერთმანეთისათვის არაფერი დაიშურეს.

დღეები გადიოდა. თავს ორივე ბედნიერად გრძნობდა. ვათი ამბავი მხოლოდ ხალიზამ იცოდა, მაგრამ ავდულს მისურათის საქციელი უცნაურად ეჩვენებოდა. ავდული ტყიდან რომ ბრუნდებოდა, მისურათი შინ არ ხვდებოდა. მშიერი, შეწუხებული ელოდებოდა მას. ავდულს მისურათი ძლიერ უყვარდა. ბოლო დროს კი თითქოს მასზე გული აიყარა.

— აზამათს რა ეშველება? — ფიქრობდა ავდული.

— ავდულ, ჩემო კარგო, შენ ხომ ჩვენი ოჯახის მარჩენალი ხარ, ჩვენი ოჯახის წევრი, — ხშირად ეუბნებოდა მისურათი მას, როცა შენიშნა, ეკვი აქვს აღებულო. ყოველ დღესასწაულზე ახალ ტანისამოსს უკერავდა ჯამაგირს გარდა.

ერთმანეთისათვის ხამათი არ უხსენებიათ, მაგრამ ავდული უთქმელადაც ხვდებოდა, თუ მისურათი ასე ნაზად რატომ ეპყრობოდა. მისურათი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ავდულს მის ქმართან არაფერი წამოცდენოდა.

ერთხელ ავდული ტყიდან რომ დაბრუნდა, მისურათს არც კი შეხედა. გაბრაზებულმა თავისი ტანისამოსი მიყარ-მოყარა.

— რა იყო, ავდულ, შენი ქირიმე, ვინმემ ხომ არ გაწყენინა?! — ეკითხებოდა ალერსიანად მისურათი.

— როგორ თუ რა იყო?! ოჯახს მოვცილდი. იქ კი მოხუცი დედაჩემი ტიტველ-შიშველი გდია. სირცხვილი არაა, დუქნის პატრონის სახლში ვცხოვრობდე და ერთი ჩითის ნაგლეჯი შინ ვერ გაგზავნო! ეს რასა ჰგავს?! — და ავდულმა მისურათს ორპოფულად შეხედა, რაც ნიშნავდა: აზამათს ყველაფერს ვეტყვო.

მისურათი მიუხვდა და საგულედან კინაღამ გული ამოუვარდა.

იმ საღამოს მთვარე ადრე ამოვიდა. ჯერ კიდევ არ დაბნელებულიყო, რომ დღის სინათლე მთვარემ შესცვალა.

გარშემო ჭრიჭინების ჭრიჭინი ისმოდა. მისურათი საღამოს სიჩუმეში ამ ხმაურს ყურს სიამოვნებით უგდებდა. მთიდან ქარმა დაუბერა. მაშინ შორიდან მდინარის ხმაურიც მოესმა. ქარი რომ ჩადგებოდა, მდინარის ჩხრიალიც მიწყდებოდა. მისურათს ეს ართობდა. ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ. ხავსე მთვარე ცის გულზე მისრიალებდა. მაღალი მთები მდუმარედ იდგნენ.

მისურათი ტკბილ ოცნებას შეეპყრო, მაგრამ მოულოდნელად გულში რაღაც გველივით ჰკბენდა. ეჭვიანტელი დაუვლიდა.

— ვაი, ხომ დავიღუპე, ავდულმა თუ გამწირა. — თვითონ კი სულ მუდამ ხამათის სახე ედგა და თავისთვის ლუღლუღებდა:

— ხამათ, ხამათ, რა კარგი ხარ, რა კარგი! მე კი რა საწყალი ვარ! რა მეშველება, შენ რომ არ მყავდე! ჩემო კარგო, ხამათ... — და აგონდებოდა მისი ნაზი ალერსი, მისი ვაჟკაცური იერი და სათუთი გული. მის ზღვასავით ღრმა თვალებში მისურათი თავის სახეს ხედავდა.

სოფელს ჩაეძინა. ავდულიც დაწვა.

აკანკალებულმა მისურათმა ქურდულად დუქნისაკენ გასწია. კარი გააღო და სიბნელეში შიშით შეპყრობილმა ძვირფას ქსოვილის თოფს რამდენიმე ადგილი ჩამოჭრა. თავის თავშალში დამალა და წამოიღო. შინ რომ მივიდა, ავდულს პატარა წერილი დაუწერა. პირადად ვერაფერი უთხრა. წერილში თხოვდა: აზამათთან ხამათის შესახებ არაფერი წამოგცდესო. სიტყვას აძლევდა, შემდეგშიაც დაგეხმარებიო. მისურათი ავდულის საწოლ ოთახში შევიდა. შეხვეული ნაჭრები ცალუღთან დაალაგა, წერილი კი ცალუღზე ისე დასდო, რომ დილით აუცილებლად ენახა.

ავდულს არ ეძინა. უეცრად მისურათს მკლავში ხელი სტაცა და გულში მაგრად ჩაიკრა. მერე უჩქმიტა კიდეც. აღშფოთებული მისურათი ხელიდან გაუსხლტა და გარეთ გავარდა.

დრო ასე მიდიოდა. არაფერი შეცვლილა. არღუნი კვლავინდებურად მიჩხრიალებდა. სათოს გარეშო მწვანე მინდვრები ძველებურად ბიბინებდა, მზეს შეჰხაროდა. ადამიანი მთის ჰაერს ღრმად ისუნთქავდა და თავს ლაღად გრძნობდა.

მისურათს აზამათთან თავი მშვიდად ეჭირა, მაგრამ ავდული მის სახეზე სევდის ნიშნებს მაინც ამჩნევდა. მისურათი ხალიზასთან რომ მორბოდა

და მისგან ხრუნდებოდა, უფრო მხიარული იყო, თუმცა, ამის დამალვას ცდილობდა.

ზაფხულის დღეები მალე მიიწურა. ხამათი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა. დარდს იმით იმსუბუქებდა, რომ არდადეგების დროს ჩამოვიდოდა და თავის საყვარელ მისურათს კვლავ შეხვდებოდა. მაგრამ ატირებული მისურათი რომ მოაგონდებოდა, ხამათს გული უკვდებოდა.

— გმადლობ, ჩემო ხალიზა, — ცრემლის ღვრით ეუბნებოდა მისურათი მას, — შენი წყალობით განვიცადე რამდენიმე ტკბილი, ბედნიერი დღე. უშენოდ ხამათს სად შევხვდებოდი?!

მარტის ბოლო დღეები იწურებოდა, რომ აზამათ ქელითის ოჯახში სიხარული შეიპრა. დილადანვე ხალიზა მისურათის საწოლ ოთახს არ შორდებოდა. მას ბიჭი შეეძინა. ხალხი მოსალოცად მოდიოდა. ხალიზა თავის მეგობარ ქალს სასთუმალთან უჯდა და ჩვრებში გახვეულ ბავშვს დასცქეროდა. მერე მისურათს ყურში ჩასჩურჩულა:

— შეხედე, ზედგამოკრილი ხამათია! ცხვირი, თვალები, ტუჩები!..

მელოგინე დედა თავს წამოსწევდა ბავშვის დასახედავად და გული გაუნათდებოდა.

სამშობლოსას შუა ეზოში აზამათს პენტაობა დაუწყეს:

— ბიჭი გაგიჩნდა, ეს რა გიქნია! — და ყველა ყურს უწევდა. აზამათმა ავდულს სუფრა გააშლევინა და ხალხმა დაიწყო სადღეგრძელოების წარმოთქმა.

აზამათი ბედის მადლიერი იყო. თუმცა გვიან, მაგრამ მაინც გაუჩნდა ვაჟი. უშვილოდ დარჩენისა ძალიან ეშინოდა.

ამ დროს ხალხი ხალიზას საქციელმა გააკვირვა. თვი ეზოში აზამათისაკენ მირბოდა და იძახოდა:

— გამიშვით, გამიშვით, ბიჭის მამას ყურები ავუწოთ!

აზამათს შერცხვა. თვალებზე ქუდი ჩამოიფხატა. თან ილიმებოდა. ხალიზა კი სტუმრებს უმასპინძლდებოდა:

— ხალხო, ნამდვილი აზამათია, დაპატარავებული. სახის მოყვანილობა, თმა... — და სტუმრების სადღეგრძელო დალია.

დღეები გადიოდა. ბიჭი ჯანმრთელად იზრდებოდა. სახელად მურიდი დაარქვეს. აზამათს ძალიან უყვარდა აკვანში ჩაკრულ ბავშვთან თამაში და მისურათს ეუბნებოდა:

— ჩემო კარგო, ბავშვს რომ დავსცქერი, მაგონდება, თქვენს ეზოში პატარაობისას რომ გნახე „შვლის ნუკრი", „თეთრი კრავი"... თვალები სულ უცინის.

ერთხელ ბარი ძალიან ატალახდა. ურმის თვალს ტალახი ისე ედებოდა, რომ ცხენს ტვირთის ზიდვა უჭირდა. ურემი სავსე იყო ახალი საქონლით, რომელიც აზამათს გროზნოდან მოეჭონდა. შინისაკენ მხიარულად მიიჩქაროდა.

— ჩემმა მგზავრობამ კარგად ჩაიარა, — ეუბნებოდა აზამათი თანამგზავრებს, — მაგრამ ურემს დიდი ტვირთი დაეუდე. ცხენს უჭირს წაღება. მეშინია, არ დამივარდეს. ტკბილ საუბარში გზა შეუმჩნეველად ილეოდა. აზამათი თანდათან უფრო მხიარულობდა, რომ წარმოიდგენდა ეზოს ჭიშკართან როგორ შეეგებებოდა მას მისურათი და „შვლის ნუკრი". ცოლი შეეკითხება:

— კარგადა ხარ? ხომ არ მოიწყინე უჩვენოდ? რატომ შეგაგვიანდა.

მისურათის კალთიდან მისი ვაჟი მურადი თვალებით გაუცინებს, ხელებს დაუქნევს: ამ დროს აზამათს ურემი ავიწყდება.

ხეობის ბოლოს რომ მიაღწიეს, ურმებიდან ცხენები გამოუშვეს. ცალუღის ქეჩა ოფლს დაესველებინა, იგი აზამათმა მზეზე ფაფინა გასაშრობად. ამ დროს ცალუღიდან წერილი ჩამოვარდა. აზამათმა იგი აიღო, არც კი დაუხედავს, ისე ჩაიდო ახალოხის ჯიბეში.

ამხანაგებს აზამათთან თავი სხვანაირად ეჭირათ. თავშეკავებულად ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს შორის ჩურჩულებდნენ. აზამათს მალულად გადახედავდნენ. ზოგიერთი კიდეც ჩაიხითხითებდა და ცდილობდა აზამათს ეს არ დაენახა. ამხანაგების ეს უცნაური ქცევა აზამათმა შეამჩნია და შეეკითხა მათ: რა ამბავიაო. ერთმა თავი ვეღარ შეიკავა და აზამათს უთხრა:

— ჩემი სიტყვა არ გეწყინოს, მაგრამ ის საქმეები როგორ მოაგვარე?

— რა საქმეები?

— აი, იმ უწესო ბიჭის საქციელის შესახებ.

აზამათი ვერაფერს მიხვდარიყო.

კაცმა ენაზე იკბინა, ეს რა წამომცდაო, მაგრამ

უკვე გვიანლა იყო. აზამათს უამბო, თუ რა ცუდი ხმები დადიოდა ხამათსა და მისურათზე.

აზამათი მოიღუშა, მაგრამ მალე თავს დასძლია, თითქოს ეს ამბავი მას არ ეხებოდა და გამოკითხვა განაგრძო. ცოტა ხნის შემდეგ ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და ჩუმად წაიკითხა.

მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა, კრინტი აღარ დაუძრავს. სიბრაზისაგან სახე მოეღრიცა, ეკვებმა გული დაუსერეს.

მეორე დილას აზამათის მეზობელმა მზის ამოსვლამდე მისი ურემი ეზოში შეიყვანა. მისურათს გაუკვირდა, ქმარი რომ ვერ დაინახა. იკითხა: სად არისო.

— წუხელ ურემს თავი მიანება, დამიბარა მიხედეო. თვითონ კი სხვა მიმართულებით გასწია... საოცარია. ჯერ არ მოსულა? ხომ არაფერი შეემთხვა?

მისურათი შიშმა მოიცვა. კანკალმა აიტანა, მაგრამ ეს შიში ქმრის მოუსვლელობას არ გამოუწვევია.

მისურათმა მეზობელს არაფერი უთხრა, მაშინვე ხალიზასაკენ გაეშურა ამ ამბის სათქმელად.

მისურათი ლაპარაკობდა, მაგრამ ფეხზე ძლივს იდგა.

— ღმერთმა კარგი ამბავი გაგვაგებინოს, ჩემო დაო, მაგრამ... ხალხის ენა ქვას ბეთქავს. რაღაცას ყური მეც მოვკარი. იმ წუთს გარედან მოისმა ხმა: მოჰკლეთ. გარეთ გაცვივდნენ. დაინახეს რაღაცენიმე კაცი. მათ ამბავი ჰკითხეს. ერთმა თქვა:

— სულ ტყუილად მოჰკლა ავდული...

— ავდული?! ვინ?

— ვინ და აზამათმა. ხანჯლით თავი წააგდებინა.

— რატომ, რატომ?

— რატომ და... რატომ არაფერი შემატყობინეთ... მე შენ გენდე, შენ კი ცოლი ქრთამის გულისათვის დამიკარგეთ.

ეს უთხრეს და მისურათს გაბრაზებით გადახედეს.

— თვითონ სად არის აზამათი? გულს ცეცხლი შეკიდება. — იკითხა ხალიზამ.

— სად არის?

— ეზოში დადის თოფით, ცოლს დაეძებს.

აზამათს მთელი ღამე არ დაუძინია. თავის ნოესავებს დაუარა, საქმეები მოაწესრიგა და მოყვრებს შეუთვალა:

— თავი მომეკრა, როგორც კი თქვენს დას შეეხვდები, იმწამსვე მოვკლავო. მოყვრებმა ამ ამბავს ყური არ ათხოვეს:

— უწესოდ ვოქცეულა.. დაე ძაღლურად მოკვდესო. თავი მოგეკრა. დღემდე ჩვენი და იყო, ახლა კი არაფრად მიგვაჩნია.

მაგრამ მისურათმა ქმარს თავი არ მოაკვლევინა. ხალხს ჯერ კიდევ არ ესადილა, რომ იგი მდინარისაკენ დაეშვა. მარცხენა ხელით ბავშვი მკერდზე მიეკრა. დედა გრძნობდა თავისი მურადის სხეულის სითბოს, მის გულისცემას. შავი თვალებით დედას შესცქეროდა, ხელებს ათამაშებდა და იცინოდა. მარჯვენა ხელში მისურათს თხის ტყავის საფენი ეჭირა. წყაროსთან დედამ მიწაზე თხის ტყავი გაშალა და ზედ ბავშვი დასვა. ხეზე შვინდი დაკრიფა და ბავშვს წინ დაუყარა, რომ არ ეტირა. ბავშვი მაშინვე წაეტანა შინდს. ხელები, სახე სულ დაითხუპნა.

რამდენიმე ნაბიჯით დასცილდა ბავშვს. შეჩერდა. უკან დაბრუნდა. ბიჭუნა ხელში აიყვანა და გულზე მიიკრა. მკლავები ისე მაგრად შემოუჭირა, რომ ბავშვი ატირდა. კვლავ დასვა თხის ტყავზე, ტუჩები მოუწმინდა, მაგრამ ბავშვი კვლავ შინდს დასწვდა. მაშინ მისურათი გაიქცა. გარბოდა და თან უკან იხედებოდა. ხიდზე შედგა. თავშალი მოიძრო. ქიოხედა... ბავშვს შინდი შეეჭამა. დედას გამოხედა. მისურათს მოეჩვენა, რომ პატარა მურადი სატირლად ემზადებოდა. ალბათ არ სურდა, რომ ბავშვი ატირებული დაეტოვებინა... ისევ დაბრუნდა. უფრო ბევრი შინდი დაუკრიფა და მურადს წინ დაუყარა. დედისაკენ მურადი აღარ იცქირებოდა. მისურათი უფრო სწრაფად გაიქცა ხიდისაკენ, სახეზე თავშალი შემოიხვია. ბავშვის ტირილი მოესმა, მაგრამ ის ხიდს უკვე გადაცდა. ასე დაიბრჩო თავი არღუნის ცივ წყალში მურთაანთ მისურათმა. ბორბოტმა ტალღებმა მისი ჯერ კიდევ თბილი სხეული კლდეზე მიახეთქეს... მერე კი საუკუნოდ ჩახერგეს მოუვალ ადგილას. საყვედურით გაშორდა ცხოვრებას მისურათი. მხოლოდ იმის მოფიქრება კი ვერ მოასწრო, ვის ეკუთვნოდა ეს საყვედური.

არღუნი კვლავინდებურად მიშხუოდა. სათოს ჭწვერვალები, მწვანე მინდვრები მზეს ისევ შეეხაროდნენ. მსუბუქი ნიავი ხის ფოთლებს ეალერსებოდა.

ბავშვის ტირილზე ხალხი მოგროვდა და ყველა მიხვდა, რომ აზამათ ქელოთის ცოლს თავი დაეხრჩო. დამბვრჩალის ძებნა ფიქრადაც არავის მოსვლია. თქვეს: რისი ღირსიც იყო, ის მოუვიდაო.

ხალზას ოთახის კედელზე ჩამოკიდებული ხამათის სურათის უკან ნახეს ფანქრით დაწერილი ქაღალდი. აი, რა დაეწერა მისურათს:

„ხამათ, შენ მაინც აიცილე უბედურება. მე დავიღუპე არღუნის ტალღებში. შენ იცოცხლე ბედნიერად. მე გულქვა აღმოვჩნდი. უკანასკნელად შენი ნახვა აღარ ვინატრე.

მაგრამ, როდესაც მომიგონებ, გაიგონებ ხალხში ჩემს აუგად ხსენებას, მაშინ არ დაგავიწყდეს უთხრა ხალხს, როგორ ძლიერ, უსაზღვროდ მიყვარდი.

მისურათი“.

მისი სიკვდილის შემდეგ რვა დღე გავიდა.

— გულს ნუ გაიტეხ, ანუგეშებდა აზამათს გულშემატკივარი ხალხი, — შენ ოჯახი გაქვს, უნდა იზრუნო, ახალი დიასახლისი გაიჩინო, კიდევ კარგი, რომ ეს უბედურება შენი ხელით არ მომხდარა.

— მართალს ამბობთ, მართალს! მაგრამ გული რატომღაც არ მიმშვიდდება. ცოტა დამაცადეთ, თავისუფლად ამოვისუნთქო!.. — ამბობდა აზამათი.

— ცოტა ხნის შემდეგ თავისი ბავშვი მურადი მოაყვანინა და მისი ნახვით გული დაიმშვიდა.

მაგრამ აზამათი ასე განმარტოებით დიდხანს არ ყოფილა:.

მზე კარგად გადაიწვერა, რომ ოთახში შემოვიდა წარმოსადეგი ვაჟკაცი. გულის ჯიბიდან მისურათის ხელით დაწერილი ბარათი მოუჩანდა, ხელები დაბლა ჩამოეშვა, წარბები შეეკმუხნა. მარჯვენა ჯიბე გამობერილი ჰქონდა. შიგ დამბაჩა იყო.

— აზამათ! — მიმართა მოსულმა, — მე ვარ ხამათი. ჩემსკენ მობრუნდი. ამ ქაღალდში სწერია, რომ ამ ქვეყნად აღარ არის მისურათი. ეს ჩემი ბრალია. უმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია. მაგრამ შენ... აზამათ ქელოთი, შენც ჩემთან ერთად უნდა იყო... წინ უნდა გამისწრო... ჩვენს შორის მტყუანი და მართალი ვინ არის, იმათ განსაჯონ, ვინც ჩვენს შემდეგ დარჩება, უფრო მეტად კი მისურათ ქელოთის ბავშვმა, მურადმა, შენს წინ რომ არის. მე კი მას პატიებას ვთხოვ.

აზამათმა ადგილიდან წამოდგომა ვერ მოასწრო, რომ დამბაჩა სამჯერ გავარდა და სკამთან უხმოდ ჩაიკეცა.

მაშინვე გამოესალმა წუთისოფელს ახალგაზრდა ვაჟკაცი ხამათიც. პატარა მურადმა უცნაურად წამოიკივლა. ბავშვი ისე შეშინდა, რომ ღამით ვერ იძინებდა, ხშირად ისმოდა მისი კივილი.

არღუნი კვლავინდებურად მიშხუის. სათოს მწვანე კორდები მზეს ძველებურად შეპხარიან. ცელქი ნიავი ხის ფოთლებს ეთამაშება.

ხალხი დაიძრა. ტევა არ იყო, არც ქუჩაში, არც აზამათ ქელოთის ეზოში. ხალხში ჩოჩქოლი იდგა.

— ვაი, ეს რა მეხი დაგვეცა თავს! ეს რა უბედურება დაგვემართა!..

მეფის ციხე-სიმაგრიდან მუხნარისაკენ რომ აიხედავ, იქ დაინახავ სათოს სასაფლაოს. ერთ საფლავზე ჯოხია დარჭობილი. მასზე პატარა ზარი ჰკიდია.

ამ ზარს დილას და საღამოს მთის ნიავი ააწკრიალებს. შუადღისას კი ჩრდილოეთის ქარი. და ეს წკრიალი აცნობს მთელ ხეობას: ქელოთის გვარს აზამათის სისხლი ჯერ არ აულიათ.

ეს უბედური ამბავი არღუნის ხეობაში მცხოვრებთ დიდხანს არ დავიწყებიათ. ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ, ჰკითხავდნენ:

— ვისი ბრალია, ვისი ბრალია?

ეზეთხან ურიუიმაგთი

იმ სისხლის შესახებ. რომელიც დაიქცა უხვად.
იმ სისხლის შესახებ. რომელიც უქმად არ
დაიქცა.

ნიკოლოზ ტიხონოვი.

მეშვიდე შვილი

ნახევარი საუკუნის ხდებოდა საფიათი, როცა მას მეექვსე შვილი შეეძინა.

— ეჰ, ღმერთო, ჩემო ეს რა დამემართა, დედამთილმა სახლის ერთ კუთხეში უნდა არწიოს თავისი ჩვილის აკვანი და მისმა რძალმა — მეორე კუთხეში. რაღა დროს ჩემი შვილიანობა იყო, მთელი სოფელი დამცინის ალბათ, — ასე შესჩიოდა საფიათი თავის დარდს უფროსი შვილის ცოლს; შავთვალწარბა რძალი ეშმაკურად მოუტაკვდა ხოლმე თვალებს და ეტყოდა:

— არა უშავს რა, დედამთილო, რიგრიგობით ვაპმევთ ბავშვებს, ერთად გაგვეზრდებიან დეევგმირები.

საფიათის მეექვსე შვილი თებერვლის ღამეს დაიბადა, ცხრამეტ წელში. ერთი კვირის შემდეგ კი ეს ბავშვი დაობლდა: მამამისი დაიღუპა შკურის ბანდასთან ბრძოლის დროს.

საფიათი ახლოს იცნობდა სერგო ორჯონიკიძეს. სწორედ სერგომ დაარწმუნა იგი, რომ ღმერთი კი არ იხსნის ადამიანს გაჭირვებისაგან, არამედ თავგანწირული ბრძოლა შჩაგვრელების წინააღმდეგ. ადამიანმა ბედნიერება საკუთარი სისხლით უნდა მოიპოვოსო. საფიათს უყვარდა სერგო და მის საპატივსაცემოდ თავის შვილს ამ ქარგი ადამიანის სახელი დაარქვა.

ფერმკრთალი და ტანხმელი, მაგრამ უშიშარი ბავშვი გაიზარდა სერგო. სკოლაში რომ შეეიდა, ბევრი ამხანაგი გაიჩინა, მაგრამ ერთი კი განუშორებელ მეგობრად გაიხადა. ეს იყო სკოლის დარაჯის შვილი, რუსი ბიჭი ვასია.

დარაჯს კოპებშეკრული სახე ჰქონდა მუდამ, მაგრამ გულით კი კეთილი მოხუცი იყო. არასოდეს არ უშლიდა ბავშვებს ცელქობას: ბავშვი ცოცხალი უნდა იყოს, მეზარება დონდლო ბავშვებიო, — ხშირად უყვარდა თქმა.

სერგო და ვასია, უმეტეს დროს სკოლის ეზოში ატარებდნენ. ერთიმეორეს ისე შეეჩვიენენ, ერთი რომ სადმე წავიდოდა, მეორე ყურებჩამოყრილი დაიარებოდა, ცუდ ხასიათზე იყო.

მეგობრები ერთად სწავლობდნენ, ერთად შეეიდნენ კომკავშირში და საშუალო სკოლა რომ დაამთავრეს, მუშაობაც ერთად დაიწყეს.

მხოლოდ ომმა დააშორა ისინი. ვასილი პირველ დღეებშივე ფრონტზე წავიდა, მაგრამ მძიმედ დაჭრილი შალე კვლავ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. განკურნების შემდეგ იგი საბჭოდრო კომისრად დანიშნეს რაიონში.

— ვასია, არა გრცხვენია, ბიჭო, რატომ არ მოგზავნი ჯარში? — საყვედურობდა სერგო.

— აბა, სად შენ და სად ჯარისკაცობა! ჯარისკა-

ცი ჯანმრთელი უნდა იყოს, შენ კი ისეთი ხარ, კაცს ეგონება, სული რომ ვინმემ შეუბეროს, წაიქცევაო. ფრონტს შენისთანა ხალხი არა სჭირდება, ხოლო რაც შეეხება კოლმეურნეობას, აქ კი შეულეველი ხარ. ყველა რომ ფრონტზე წავიდეს, ვიღამ მიაწოდოს ჯარს პური და ბარალი? — ეუბნებოდა ვასილი მომჩივანს.

ფერმკრთალი და ტანხმელი ბავშვი იყო სერგო. ამ ათიოდე წლის წინ, ახლა კი ვიწრომხრებიანი და ტანაწოწილი სერგო დაიარებოდა სოფლის შარაზე.

მისი შემხედვარე დედა, რატომღაც დანანებით იქნევდა თავს და თან ისე ალერსიანად ჩურჩულებდა თავისთვის, თითქოს ჩვილს ეფერებოდა:

— ეჰ, ჩემო ნაბოლარა, ღმერთმა ქალად ჩაგსახა ჩემს შუცელში და კაცად კი დაიბადე. აბა, რა კაცი ხარ შენ, ჩემო თვალისჩინო?

• •

დადგა აგვისტოს შშრალი და ხვატიანი დღეები. ალმურმოდებულ ცაზე ვარვარა ბურთივით ეკიდა მზე. იწვებოდა მიწა. ხანდახან დაუბერავდა ხორშაკი და მტვერს ბორცვა-ბორცვა აგროვებდა გზებზე. მუდამ წყნარსა და ლამაზ სოფელში განუწყვეტელი ხმაურით დაგუგუნებდნენ სამხედრო საჭურვლით სავსე სატვირთო მანქანები, დარიხინებდნენ საზენიტო ქვემეხები, წითელჯვრიანი ავტომანქანები ნელა-ნელა მიიკვლევდნენ გზას საზიდარებს შორის.

ტანკების მუხლუხოთა დგანდგარი აცახცახებდა დედამიწას. ირგვლივ გახურებული რკინის სუნი იდგა. ბოლო არ უჩანდა ხეობისაკენ მიმავალ ჯარს.

მოხუცი საფიათი გამოდიოდა გზაზე, ჯარისკაცთა უძილო, დაღლილ და დამტვერილ სახეებს უცქეროდა და უკვირდა: რაშია საქმე? ომი რუსეთშია, ჯარი კი აქეთ, მთებში, რატომ მიდიან?

ერთ დღეს სერგო მივიდა დედასთან და სამხედრო კომისარიატის უწყება აჩვენა. საფიათი გაფითრდა, ეს რუხი ქაღალდი ხელიდან გამოეგლიჯა და დაიყვირა:

— არა, არა! ჩემს უკანასკნელ შვილს ვერ გაგუშვებ ომში სასიკვდილოდ! ეს ერთიღა შემრჩა, ეს ერთიღა! ვასია, არა გრცხვენია, შენი ბავშვობის მეგობარს სასიკვდილოდ რომ აგზავნი? ვერა, ჩემს უკანასკნელ შვილს ვერ გავუშვებ ომში, ვერა! დაე, იცოდეს ყველამ, იცოდეს!

თმებგაშლილი მიიჭრა იგი სამხედრო კომისარიატში. გუშაგმა გზა გადაუღობა, სად მიდიხარ ასე თმებგაშლილიო, მაგრამ საფიათმა ხელი ჰკრა მას. ეტყობოდა, უთქმელი დარდი ახრჩობდა საწყალს. ხელი ჰკრა გუშაგს და ასეც მიახალა:

— ვინა ხარ, მე რომ გზას მიღობავ? ან რა უფლება გაქვს? იცი თუ არა შენ, რომ მე ომში ხუთი შვილი და ორი შვილიშვილი მყავს გაგზავნილი და მეექვსე შვილსაც მართმევენ? არ იცი, ხომ? და კიდევ გზასაც მიღობავ, არა?

გუშაგი განცვიფრებული მიაჩერდა ამ აცახცახებულ დედაბერს. იარაღს ხომ არ იხმარდა? გვერდზე გადგა და გზა მისცა.

საფიათმა კარებს ხელი მიჰკრა და შეაღო. შიგ შესული ერთ ადგილზე დაესო და განრისხებული თვალებით მიაშტერდა კომისარს.

კომისარი უმალვე ადგა, სკამი მიაწოდა საფიათს და თან დინჯად უთხრა: — დაბრძანდი, დედა!

ისინი ერთხანს მდუმარედ მისჩერებოდნენ ერთმანეთს, როგორც რაიმე შინაურ საქმეზე წაჩხუბებული დედა-შვილი, მერე საფიათს რატომღაც მრისხანება გაუქრა თვალებიდან, კომისარს უწყების ქაღალდი გაუწოდა და საცოდავი ხმით ამოღერღა:

— ბიჭო ვასია, შემიბრალე ბეჩავი დედაბერი... შენ ხომ კარგად იცნობ სერგოს? ძლივს უდგას სული, სუსტია, ავადმყოფია და ტყვიამ რომ არ მოკლას, ისე წაიქცევა სადმე. შემიბრალე ბეჩავი დედაბერი, ნუ აგზავნი ჩემს უკანასკნელ შვილს ჯარში... თორემ... თორემ... იცოდე, დაგწყევლი, ხატებზე გადაგცემ, შეგაჩვენებ... ომში წასვლა თუ კარგია, შენ რატომ აღარ მიდიხარ, ხომ გამოჯანმრთელდი? შემიცოდე, შემიცოდე, ნუ წამართმევ უკანასკნელ იმედს!

ოთახში ქარიშხალივით შემოვრილი დედაბერი ახლა შემოდგომის ცასავით აცრემლდა.

კომისარი გაფითრდა. იგი უკვე მეორედ იშშრალებდა ცხვირსახოცით შუბლს, რომელზეც ყოველ წუთში ოფლი მოეონავდა. მან ვეღარ გაუძლო საფიათის შზერას, თავი ჩაღუნა და დამნაშავესავით ჩაილაპარაკა:

— მეც მივდივარ, დედი, მეც და სხვებიც. ფაშისტები უკვე როსტოვში შემოიჭრნენ და... ჩვენც მივდივართ, დედი, აბა მტრებს ხომ არ გადავათელინებთ ჩვენს ქვეყანას!

ხმა უცახცახებდა ვასილს, უცახცახებდა ბაგეებიც, როცა ამას ამბობდა.

საფიათი თითქოს აკი სიზმრიდან გამოერკვა, უხმოდ გამობრუნდა უკან და გზას ჩრდილოეთით გამოუყვა, ნელა, ძალიან ნელა...

მეორე დღეს შვილს საგზალი გაუმზადა და გაიცილა. უკან დაბრუნებულს ცარიელი სახლი რომ დახვდა, მაშინ უფრო მეტად იგრძნო შვილის წასვლით გამოწვეული მწუხარება, კუთხეში პატარა სკამზე ჩაეფეხვა და უაზროდ მიაჩერდა ღუმელს, რომელშიც უკანასკნელი ნაღვერდლები ჩამქრალიყო და იდგა საფიათის თვალებივით დანავლებული.

• •

გზაზე ავარდნილი მტვერი ლობეებსა და ყორეებზე გაწვა. მტვერმა და ხმაურმა ერთად ფიიძინეს დაცარიელებულ ქუჩებში. სამაგიეროდ ქვემეხთა შორეული ხმა თანდათან უახლოვდებოდა სოფელს.

საფიათს ბოლო დროს თვალის ჩინი მოაკლდა, მაგრამ იმას მაინც ამჩნევდა, რომ სოფლის თავზე თვითმფრინავებმა მოუმატეს ფრენას. დაბლა, ძალიან დაბლა დაფრინავდნენ ისინი, თითქმის ხეთა კენწეროებს ეღებოდნენ. ფრთებზე შავი ჯვრები ეხატათ. ხშირად ისროდნენ კიდეც. მაგრამ ის კი ალარ იცოდა დედაბერმა, თუ ვის ესროდნენ, რადგან სოფელში უკვე ალარავინ ეგულებოდა, ყველა მთებში იყო გახიზნული.

ძილი გაუტყდა საფიათს, დაჯდებოდა ხოლმე სარკმელთან და ძილ-ფხიზლობდა, როცა მცირე ხნით მიწყნარდებოდა ქვემეხთა ღავ-ღავი, ესმოდა გამხმარი ჩალის შრიალი, ეს ხმა აუღებელი ყანებიდან მოდიოდა.

ზოგჯერ საიდანღაც ქარი ამოვარდებოდა და სტვენით დაჰქროდა ცარიელ ბელლებსა და ფარდულებში. დედაბერს თავზე დასწოდა სხვენი. ქარის სტვენას უერთდებოდა მდინარის ჩახლეჩილი ხმა.

ერთ ღამეს საფიათს მოესმა, რომ მის დერეფანში ვიღაც შემობრახუნდა. საფიათი უმალვე კარს ეცა და ურდული ჩაკეტა. იდგა და სულგანაბული უცდიდა, ამ შეაღამისას ვინ მოარახუნებდა კარებს.

აი, დააკაკუნეს ფრთხილად, ძალიან ფრთხილად.

საფიათმა იცნო ეს კაკუნი. შვილის თითების ხმა იყო; ასე იცოდა მოკაკუნება სერგომ, როცა სახლში გვიან მოვიდოდა. იცნო, მაგრამ მაინც იკითხა:

— ვინ არის?

— მე ვარ, მე, დედი! — მოისმა სერგოს ხმა.

საფიათმა კარი გამოაღო და დედა-შვილი ერთმანეთს ჩაეკონა.

ერთი ფანჯრის გარდა ყველა დახურული იყო დარაბებით. საფიათმა ეს უკანასკნელიც დახურა, ჭრაქი აანთო და სინათლეზე შვილს დააკვირდა. სერგოს წვიმისაგან დასველებული ნაბადი ესხა. წვეთები ბრწყინავდა ბალანზე.

— დედი, მთელი სოფელი გახიზნულა და შენ რაღას უდგეხარ აქ? — ჰკითხა შვილმა საფიათს.

დედა ხარბად მიაჩერდა სამი თვის უნახავ სერგოს. ნაბადი გადაუწია მკერდზე, მიუალერსა და თითქმის ფუჩუნით უთხრა:

— ეჰ, სად წავიდე, შვილო, როგორ მივატოვო სახლ-კარი, მთელი ჩემი სიცოცხლე აქ გავატარე და ახლა სასიკვდილოდ სხვაგან წავიდე? თუ სიკვდილი მიწერია, ბარემ ჩემს სახლში მოვკვდე, ის მირჩევნია.

შვილის ალერსით რომ იჯერა გული, საფიათმა მხოლოდ ახლალა შეამჩნია, რომ სერგოს ვიღაც შემოჰყოლოდა. უნდოდა ეკითხა, ვინაა ეს ნაბდოსანიო, მაგრამ უმალვე დაინახა სტუმრის ჭორფლიანი სახე, იცნო ვასილი და თვალი მოარიდა. მერე კიდევ ერთხელ ისე მოეხვია შვილს, თითქოს ვასილი თავს ესხმოდა სერგოს, დედა კი იცავდა თავდამსხმელისაგან.

— დედი, ჩვენ გვეჩქარება. თუ რამე გაქვს, გავაგზავნე, — უთხრა შვილმა.

დატრიალდა დედაბერი. ფარდულიდან დაბოლილი შეშა შემოიტანა, ღუმელი აანთო და ქვაბი შემოდგა.

მალე გაშალა სუფრა. დასხდნენ საუზმოდ.

საფიათი ცხვრის ხორცის ყველაზე მსუქან ნაჭრებს კომისრის თეფშზე ალაგებდა. უკეთესად გაფიცხებულ ჭადის ნატეხსაც მისკენ დებდა. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მას ერთხელაც კი არც შეხედა სახეში.

„ამ კაცს რომ არა, — ფიქრობდა დედაბერი, — ჩემი სერგო სახლში დარჩებოდა, ახლა კი რა გამოვიდა, ვინ იცის რა მოელის?"

უყვარდა, როგორ არ უყვარდა საფიათს ვასილი, მაგრამ დედის გულმა მაინც შეშინახა აქამდე ის

წყენა, იმ ეწყებაშ რომ მოუტანა, რომელზეც ეს კაცი აწერდა ხელს.

ცოტა შენაყრდნენ თუ არა, წამოიშალნენ მოეახშმენი.

— დედი, არავისთან სთქვა, რასაც ახლა გეტყვი. ჩვენ პარტიზანებად შივდივართ. თუ რაიმე გასაჭირი დაგადგეს, ძველ კოშკთან ამოდი. იქ გასწავლიან ჩვენთან მოსასვლელ გზას, გაიგე?

— გავიგე, შვილო.

ორივეს ხმაში ალერსიც იყო და მრისხანებაც, სითბოცა და სიცივეც.

დამშვიდობების წინ მაგრად გადაეხვივნენ ერთმანეთს. სერგომ თავისი გამხმარი თითები დედას ქალარაზე გადაუსვა და გაშორდა.

ვასილი უკან ჩამორჩა სერგოს. საფიათისაკენ მიბრუნდა და გახევდა. მშობლის ალერსი ენატრებოდა მასაც. უნდოდა, დედის თბილი ხელები მის კისერსაც მოხვეოდა.

საფიათს ერთმა გულმა უთხრა, მიდი, ვასიასაც აკოცე წასვლის წინ და გზა დაულოცეო. მეორე გულმა იუარა: მაგის ბრალია, უკანასკნელი შვილი რომ წაგართვესო. მასეთ კაცს ლოყაზე კი არ უნდა აკოცო, სილა უნდა გაარტყაო.

საფიათმა ერთი ნაბიჯი გადადგა ვასილისკენ, მერე რატომღაც შეცბა, შემოტრიალდა და კიბისკენ წალასლასდა.

ვასილმა ერთი ღრმად ამოიოხრა, ზანტად მიბრუნდა და სერგოს გაეკიდა.

* *

შემოდგომის ცა იმ დილით ამღვრეული წყლისფერი იყო.

რაღაც ცუდი ამბის მოლოდინის გამო განაბული ცარიელი ქუჩები რუხი ფერის ვეებერთელა სატვირთო მანქანებმა აახმაურა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომელი რომელს გაუსწრებდა. დაკეტილ ჭიშკრებს ამტვრევდნენ, ღობეებსა და ხიმეებს თელავდნენ, შედიოდნენ ბაღებსა და ბოსტნებში და გულშემზარავად პიპინებდნენ.

ჯარისკაცებს ხელებში ავტომატები ეჭირათ და სახლების კედლებსა ცხრილავდნენ. ეღრიალი გაუდიოდა ტყვიებით ჩალეწილ ფანჯრებს. ყველაფერი ზანზარებდა და ისეთი შემაზრზენი ხმაური იყო მთელ სოფელში, თითქოს ზღაპრული ურჩხული შემოფორთხდა აქ და მსხვერპლი რომ ვერ იპოვა, ახლა, გაოგნებული, ფოლადის კბილებს ახრჭიალებდა ბოროტად.

ცოტა რომ მიწყნარდა იმ ურჩხულის კბილთა ხრჭენა, საფიათი ადგა და ფანჯრიდან გახედა სოფელს. ამ დროს ერთმა რუხმა მანქანამ უცებ თვლები მარჯვნივ შემოაბრუნა, ცხვირით ცისფერად შეღებილ ჭიშკარს დაეჯახა, შემოლეწა და საფიათის ეზოში ყაჩაღივით შემოიჭრა. ჭიშკრის მშრალმა ფიცრებმა მანქანის ქვეშ ჩაიკენესეს ორიოდეჯერ და მერე თითქოს სული დალიესო, გასრესილი ჭიებივით მიეკრნენ მიწას.

ამ მანქანამ თითქოს საფიათის გულზეც გადაიარა, მან ერთი ამოიკვნესა, თვალები დახუჭა და გონმიხდილივით მიესვენა კედელზე.

შემოდგომის ნაადრევ ყინვებს გერმანელები მხრებში მოეხარა. ეტყობოდათ, სიცივე ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი. დერეფანში შემოცვივდნენ და ჩექმების ბრახაბრუხით დაიწყეს სირბილი. ერთმა კარებიც შემოამტვრია და მის მაგალითს მიჰყვნენ სხვებიც: ჩექმების ბრახაბრუხის ხმა დერეფნიდან სახლში შეიტანეს. დარბოდნენ და რაღაცას ყვიროდნენ საფიათისათვის გაუგებარ ენაზე. შარშან უფროსმა შვილმა დედის ეზოს ახალი მესერი შემოავლო და მწვანედ შეღება. ახლა ამ მესერს ორი ჯარისკაცი მიადგა ნაჯახით, დალეწეს, დაჩეხეს და სახლში შემოიტანეს. მანქანის მობრუნებას საქათმემ შეუშალა ხელი და ისიც მესერივით დაანგრიეს და შეშად აქციეს.

ლუმელი ისე გაახურეს, რკინა მთლიანად გაწითლდა. რომ გათბენ, სუფრა გაშალეს და დაიწყეს ღრეობა. სჭამდნენ ერთი თვის მშივრებივით და თან ღვინით საავსე ჭიქებს უჭახუნებდნენ ერთმანეთს. ისევე ხარბად სვამდნენ, როგორც სჭამდნენ.

ერთმა, კისერზე ავტომატჩამოკიდებულმა ჯარისკაცმა, თითქოს თავისი ყოფილიყოს, საფიათის ბეღლიდან ტომრით ფქვილი გამოიტანა, დედაბერს დაუგდო წინ, პირი ფართოდ გააღო, ყვითელი კბილები წინ წამოყარა და დაიყვირა:

— ბებრუცუნა! მუშაობა, მუშაობა!.. პური. რუსული პური!... შნელ, შნელ! — თან ავტომატზე უჩვენებდა, „ჩქარა თორეს ამითი დაგხვრეტო“.

საფიათი პირველად ისე აღელდა, არ იცოდა რა ექნა, მერე თითქოს ჭირს შეეგუაო, სეირივით

უყურებდა გერმანელების ალიაქოთს: ერთი ვნახო, აბა, რას იზამენ კიდეეო.

ყვითელკბილებიანმა ჯარისკაცმა პურის გამოცხობა რომ უბრძანა, დედაბერს უარის სათქმელად ძრინტიც არ დაუძრავს.

მთელი თავისი სიცოცხლე მას ფართო ნაბიჯებით უყვარდა სიარული, დინჯად, აუჩქარებლად და ახლაც ჩვეულებრივი სიარულით გაიარა დერეფანი, მოიტანა ვარცლი, ტომრიდან ფქვილი გადმოყარა ზედ, შემთბარი წყალი დაასხა და ცომს გაშმაგებით დაუწყო ზელა. ჯარისკაცმა რომ დაინახა, რა მარჯვედ და სწრაფად შეუშობდა ეს ხოხუცი ქალი, მივიდა მასთან და მოწონების ნიშნად ბეჭებზე ხელი წაუტყაპუნა.

— გუტ, ბებრუცუნა, გუტ!

— მომშორდი! — შეუბღვირა საფიათმა გერმანელს და ცომით გაგლეპილი მკლავები ვარცლიდან ამოყარა, წელში გასწორდა და ისე მიაჩერდა, თითქოს თვალებით შუაზე გაწყვეტას უპირებდა.

— ჰეი, ჰეი! — ამოიოხრა ჯარისკაცმა, სახე მოიქუხა და ავტომატი მხრიდან მკერდზე გადმოიგდო.

ამ დღის შემდეგ თითქმის ერთი და იგივე მეორდებოდა საფიათის სახლში. დედაბერი ჩეხავდა შეშას, ანთებდა ღუმელს, წველიდა ძროხას და აცხობდა პურს.

დილით საბნიდან გამოძვრებოდა თუ არა იგი, ავტომატიანი ჯარისკაცი ადგა თავზე. სადაც მოხუცი წაიდოდა, ისიც თან შიჰყვებოდა. ხოლო როცა საფიათი ვარცლთან დგებოდა, სანამ ჯარისკაცი არ გაჩხრეკდა, მანამდე არ აძლევდა ცომის ზელის ნებას. საფიათი ცომს ატრიალებდა თავის ღონიერი მკლავებით, ავტომატიანი ჯარისკაცი კი იქვე იჯდა ტაბურეტზე და პატარა სასულე ჰარმონიკას მოშაბეზრებლად აღრიალებდა.

ერთ დღეს განსაკუთრებული ფაცი-ფუცი ასტეხეს საფიათის მდგმურებმა. პირი გაიპარსეს და იარაღი გაწმინდეს.

შუადღისას მოვიდა ისეთივე ქერა კაცი, როგორიც აქ მყოფნი იყვნენ. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ახლადმოსულს უფრო სუფთად და ლამაზად ეცვა, რასაკვირველია, დამხდურებთან შედარებით.

— ეს ჩვენი უფროსიაო, — ანიშნა საფიათს ყვითელკბილებიანმა ჯარისკაცმა.

საფიათმა უფროსს სახელოზე შეხედა და კინაღამ გაეცინა, რომ გზაზე მანქანისაგან გადასრესილი და გაბრტყელებული ბაყაყი ჰქონდა მიკრული მას, მაგრამ კარგად რომ დააკვირდა, მიხვდა, რომ ეს გასრესილი ბაყაყი კი არ იყო, არამედ სვასტიკა. ეი, ისეთივე, მათ ტანკებს რომ ეხატა გვერდებზე.

უფროსის მოსვლასთანავე ჯარისკაცებმა ჩამოხსნეს ბუხარში, კერის თავზე ჩამოკიდებულ საქვაბურს ჯაჭვი, ვენურ სკამს საჯდომი გამოაცალეს, დერეფნის კუთხეში ბრეზენტი ჩამოაფარეს და ასე გააკეთეს ოფიცრისათვის ცალკე საპირფარეშო. ბუხარში ჩამოკიდებული ჯაჭვი აქაური ოჯახისათვის კერის გაუცვეთლობის, სიკეთისა და ბედნიერების სიმბოლოა. საფიათმა ჩამოხსნილი ჯაჭვი რომ დაინახა, მივიდა, ასწია ეს მძიმე ტვირთი და გულში ჩაიკრა. ჯაჭვს უხსოვარი ჟამის დროინდელი ჭვარტლი ეკრა, მაგრამ ამას არ მორიდებია დედაბერი. სწორედ ეს ჭვარტლი ახარებდა მას და გულს უთბობდა ოჯახური სიყვარულის ცეცხლით.

დედაბერმა ჯაჭვი თავისი საწოლის ქვეშ დამალა, ამ ოხრუჭა სხვაგან არსად წაიღონო. ყინვებია გზაზე და მანქანას არ გაუკეთონ ბორბლებზეო.

იმ ოთახში, რომელშიც ოფიცერი დაბინავეს, ძველად სერგო ცხოვრობდა. საფიათს ძალიან უყვარდა ეს პატარა, თბილი და მყუდრო ოთახი. მისი ფანჯრიდან მოჩანდა ბაღი, რომელიც მდინარის განაპირა ფერდობზე ეშვებოდა. მდინარეს იქითა მხრიდან მწვანე ყორღანები და ბორცვები შემოსაქერეოდნენ. ამ ბორცვებს იქით ტყის ბნელი ტევრი იწყებოდა. ეს ტევრი მხოლოდ ერთგან იყო გაჭრილი. უხსოვარი დროიდან ამ ვიწრო და ბნელი გზით შედიოდნენ ადამიანები ხეობაში.

სერგოს სიამოვნებას ჰგვრიდა იმ ვიწრო გზისა და ტყის ყურება, რადგან ამ გზით დადიოდნენ მთაში მისი მამა-პაპანი. გერმანელი ოფიცერი კი დილით რომ გაიხედავდა ფანჯრიდან, გაბრაზებული იფურთხებოდა უმისამართოდ: რა ოხრობამ გააჩინა ეს დაბურული ტყეები და ხეები ქვეყანაზეო. ტყეში გაჭრილი ვიწრო გზა, ხეობისაკენ მიმავალი, რატომღაც ისეთ შიშსა ჰგვრიდა, თითქოს იგი სიკვდილის გზა ყოფილიყოს. რომ შესძლებოდა, ალბათ, ამ ტყეს მთლიანად გადაკაფავდა

და, ხეობას კი ველად აქცევდა, მაგრამ ქვეყანა მის ნებაზე როდი იყო მოწყობილი და არც ახლა ეწყობოდა. ერთს გაიხედავდა ფანჯარაში და ნაშინვე მობრუნდებოდა. მერე ფანჯრის რაფაზე ზურგშექცევით ჩამოჯდებოდა და თავისი გრძელი ღრჩხილებით ჩაყარტლულ კბილებს იჩიჩქნიდა.

არა, არ მოსწონდა მას შემოდგომის ბრუნე ფერებში გახვეული ეს პეიზაჟები, იდუმალებით სავსე, გაყუჩებული და შუბლშეკმუხვნილი მთები. მას მთელი თავისი სიცოცხლე იმას ასწავლიდნენ, რომ კავკასია განთქმულია თავისი სტუმართმოყვარეობით და როცა იქ მიხვალ, ხალხი პურ-მარილით შემოგეგებებაო. მაგრამ სულ ტყუილი გამოდგა ეს სიტყვები. ყოველი ბუჩქიდან ტყვიას ესვრიან. ეგ არის და ეგ კავკასიელების სტუმართმოყვარეობა.

ყველაფერზე აღრენილი იყო გრძელფრჩხილებიანი კაცი და სხვას რომ ეერაფერს აკლებდა, საკუთარ კბილებს აღარ აძლევდა მოსვენებას.

• •

დადგა ზამთარი. მდინარეს ყინვამ მოუპირა პარწუხები. ქარბუქი მოთქმით დაჰქროდა ქუჩებში, მშრალ თოვლსა ხვეტავდა და ცაში ატრიალებდა.

საფიათის სახლში უშფოთველად ცხოვრობდნენ მდგმურები.

— ერთ დღეს დედაბერმა დაინახა, რომ მის ეზოში ტყვეები შემორეკეს. თითქოს ნაკვერჩხლებზე მიდიან და ფეხები ეწვითო, ისე მოაბიჯებდნენ ისინი. ფეხშიშველები იყვნენ. მათ ქვეშ ხრაშუნობდა გაძაგრული თოვლი.

ქარი ფრთებს უტყლაშუნებდა სისხლში გასვრილ და გაწამებულ ხალხს.

ჭრილობებზე დოლბანდს აცლიდა და აფრიალებდა.

ერთი ტყვე საფიათს ეცნაურა. მას ფართოყვრიმალძვლიანი, ტანჯვისაგან მიწასავით გარუხებული სახე ჰქონდა.

ეს ხომ ვასიასა ჰგავს? ოღონდ ვასიას ასეთი ჩაცვენილი თვალები არ ჰქონია. ჰგავს კი არა, მგონი სწორედ ისაა. ცახცახებს ტყვე და ლაბის დაეცეს ძირს, მაგრამ, ეტყობა, იმაგრებს თავს. მარჯვენა მკლავი უსიცოცხლოდ ჰკიდია მხარზე, ხელის მტევანი მთლიანად დაცხაებული აქვს.

საფიათი შეაკრთო მისმა დანახვამ, ფანჯრის რაფას ისე მოაცლო ხელი, თითქოს მოგლეჯას უპირებსო, თვალები დახუჭა და ის ღამე გაიხსენა, როცა ვასილი და მისი შვილი გაისტუმრა ერთად. ჰო, ახსოვს, ახსოვს, როგორ დაივიწყებს შვილის სიტყვებს, წასვლის წინ ნათქვამს:—თუ რამე გასაჭირი დაგადგეს, ძველ კოშკთან ამოდიო.

საფიათმა თვალები გააბილა და ტყვეებისაკენ კი არა, მთებისკენ გაიხედა. იქ, ხრამის თავზე, მდუმარედ იდგა თოვლისნაბადწამოხურული ძველის-ძველი კოშკი. თავი ღრუბლებით ჰქონდა შეხვეული. ყინული და გაყინული მყუდროება იყო ახლა მის შემოგარენში. ტყე ქვევიდან შესცქეროდა თავის გუშაგს.

არც ერთი ბილიკი არ მიდიოდა ამ კოშკისაკენ. მხოლოდ უხუცესმა მწყემსებმა იცოდნენ მისასელელი გზა. იცოდნენ, მაგრამ როდი ამხელდნენ. გზის ცოდნის საიდუმლოს ისევე ინახავდნენ გულში, როგორც მამა-პაპის სინდისსა და წმინდა ადათს.

„ვასილი აქაა, მაგრამ ჩემი შვილი? ის სადღაა ნეტავი? ცოცხალია თუ მკვდარი, ჰა?“ — შეეკითხა თავის თავს საფიათი და მაშინვე უპასუხა: — ის კი ვიცი, რომ ჩემი შვილი თავს არ შეირცხვენს და სხვა რა საკითხავია?“

ტყვეები ფარდულში შერეკეს.

ღამით ყინვამ იმატა, ჯან-ღონე გაიმაგრა.

ქარი ბორცვებზე დალმუოდა, შიშველ ბაღებს თავს ესხმოდა და ხეხილის გაძარცულ რტოებს ახრჭიალებდა გულმოსაკლავად. უკარო და უფანჯრო სახლებში შერბოდა ღამის გასათევად, მაგრამ, ალბათ, არ მოსწონდა ასეთი ბინები და უკანვე გამორბოდა ქუჩებში სახეტიალოდ.

საფიათს მთელი სხეული უცახცახებდა და თავის თავს ეჩურჩულებოდა:

— ჭირი მოედო ქვეყნიერებას, საშინელი ჭირი. ღმერთო დიდებულო, გვიშველე! ამ ბოლო ხანს ჯარისკაცებმა თავისთან სახლის საკუჭნაოში მიუხინეს ღამის სათევი ადგილი საფიათს. იწვა დედაბერი და ესმოდა, სახლის ახლოს დარგული ვაშლის ხის გაძაგრული რტოები როგორ ფხაჭნიდა საკუჭნაოს სარკმელზე მინას. თითქოს ვიღაც ეძახოდა, გამოიხედე გარეთო. მთელი ღამის განმავლობაში კომისარი უდგა თვალწინ ისევე, როგორც პირველ დღეს დაინახა სისხლში გასვრილი, უსიცოცხლოდ დაკიდებული მკლავით და მიწის-

ურად გარუხებული. ხშირად ეგონა, რომ ვაშლის ხის რტოები კი არა, სწორედ ვასილი იყო მომდგარი და ფრჩხილებით ებღაუქებოდა სარკმელს, — არ დაგეძინოს, დედილო, თორემ მაშინვე დაგვხოცავენო.

ღამეს საერთოდ უყვარს მოჩვენებები.

* *

შობის წინა დღე იყო. დიდი ოთახის შუაგულში ფაშისტებმა ნაირფერად მორთულ-მოკაზმული. ეთერი ბამბის ფიფქებით მორთული ნაძვის ხე დადგეს, იქვე მაგიდა გაშალეს.

საფიათი მობინდებისთანავე შეილალა თავის საკუჭნაოში, საგანგებოდ, საწოლად გაკეთებულ ფიცრებზე თექა-ნაბადი გაიფინა და წაეწვა, მაგრამ არ დაეძინა.

დღეს განსაკუთრებით ღრიალებდნენ მთვრალი ჯარისკაცები. იყო ერთი ჯაჯღანი, ყვირილი და ღრიანცელი. ეღრიალი გაუდიოდა ჭურჭელს. ხოლო ჩექმების ბრახა-ბრუხი ტვინს უხვრეტდა საფიათს. იგი ადგა და კარების ჭუჭრუტანიდან დაუწყო ციცქვირი გალეშილთა ღრეობას.

სკამის ზურგზე გადაწოლილი ოფიცერი ყელმაღალ ჭიქაში ჩასხმულ ოქროსფერ ღვინოს, თავზე ქაფმორეულს, სულს უბერავდა და მერე წრუპ-ვა-წრუპვით ყლაპავდა.

უცებ კარები გაიღო და მუჯლუგუნების ცემით ოთახში ტყვე კომისარი შემოიყვანეს. მისი ფართოყვრიმალიანი სახე მეტი სიბრაზისაგან ისეე ცახცახებდა, როგორც იმ დღეს, თოვლში ფეხშიშველა დგომის დროს, მერე მთელი ძალა დაძაბა, ყბებს მაგრა მოუჭირა და როცა ოფიცრის მაგიდასთან მიათრიეს, შემობრუნდა და ზურგი შეაქცია მას.

საფიათს გული ამოუჯდა და ძალაუნებურად ცრემლები გადმოსცვივდა.

ჯარისკაცმა ქვაბიდან ახლად ამოღებული ხორცის ნაჭრები საინზე დაალაგა და ცხვირის წინ დაუტრიალა კომისარს.

ორთქლი ასდიოდა ცხელ საინს.

ვასილი ცხვირს განზე სწევდა, რომ არ ეგრძნო ხორცის სუნი.

ოფიცერი სკამზე ირწეოდა არხეინად, მაგიდაზე თითებს აკაკუნებდა და თან ულიმღამოდ ღერღავდა:

— სად არის პარტიზანის ბუნაგი? თუ იტყვი, გააკეთებ ჭამას, დალევ ღვინოს, სიცოცხლე იქნები. არ იტყვი, სადაა პარტიზანი და, იზამ სიკვდილს.

უკანასკნელი სიტყვები განსაკუთრებით მკვეთრად წარმოსთქვა მან და ხელში შეათამაშა პატარა რევოლვერი.

ვასილი სამარის ქვასავით სდუმდა. ახლა იგი იმაზე სრულებითაც არა ფიქრობდა, მოკლავდნენ თუ არა. არც იმაზე, რა პასუხი გაეცა ოფიცრისათვის. რაც შეეძლო, სუნთქვას იკავებდა, რომ ცხვირთან მიტანილი ხორცის სუნი არ ეგრძნო. უკვე ერთი კვირაა თითქმის, ლუკმა არ გადაუყლაპავს ვასილს და ეშინია ამ ცდუნებისა. იცის, კარგად იცის, რომ ამ დროს საჭმელი და ისიც ასეთი, საშინლად მაცდურია. ხელები ზურგზე ჰქონდა თოკით შეკრული, თორემ ამ ხეპრე ჯარისკაცს აუცილებლად დააგდებინებდა იატაკზე საინს. მაგრამ რა ექნა ახლა, როცა თავს ზევით ძალა არ ჰქონდა? კბილებს კბილებზე ისე უჭერდა, რომ ყბები სტკიოდა. თავს გვერდზე ხრიდა ავზნიანივით. უდიდესი ტანჯვა ეხატა სახეზე.

ოფიცერმა ნიშანი მასცა და ჯარისკაცმა სილა გააწნა ვასილს. ტყვე გადაბორძიკდა, მაგრამ არ დაეცა, თავი შეიკავა. უყვიროდნენ, რევოლვერს უტრიალებდნენ ცხვირწინ, მაგრამ კვლავ სამარის ქვასავით სდუმდა.

საფიათი კარს წირთხლზე აეკრა და თვალს არ აშორებდა იმას, რაც ოთახში ხდებოდა.

ოფიცერმა რაღაც უთხრა ჯარისკაცებს და ხტყდა ერთი ხარხარი და აურზაური. ჯარისკაცებმა ყვირილითა და ღრიანცელით თბილად ჩაიცვეს, ავტომატები გასინჯეს, ხომ გატენილიაო და გასასვლელად მოემზადნენ.

საფიათმა გასწრო გერმანელებს გარეთ გასვლა. თავზე მანდილმოხურული ეზოში გაილალა, მოძებნა იქ ბნელი კუნჭული და ბოძს ამოეფარა.

მკაცრ ყინვას შეეკრა დეკემბრის ღამე. საფიათს სუნთქვა უჭირდა. მართალია, ქარი ჩამდგარი იყო, მაგრამ ყინვა კი თანდათან უმატებდა სუსხს. სწვავდა დედაბრის პირისახეს.

იდუმალი დუმილი იდგა ირგვლივ. მხოლოდ მდინარიდან ისმოდა ყინვის ჭტვრევის ხმა. ალბათ ასეთივე დუმილი სუფევდა შორს, კლდოვანი ხრამის თავზე, კბოდებზე დაყუდებული ძველისძველი კოშკის შემოგარენში. ტყეც განაბული იყო.

სოფელში თითქოს სამარადისოდ გამწყდარიყოს ყაცის სახსენებელი, არავინ ჭაჭანებდა. თოვლიანი ღამის თეთრ ნაბადში იყო გახვეული ხმაგაკმენდილი ქვეყნიერება.

საფიათის სახლიდან გამოცვენილმა ჯარისკაცებმა დაარღვიეს ეს სიჩუმე.

ლოყებზე შალვოხვეულმა და მკერდზე ავტომატჩამოკიდებულმა გერმანელებმა ტყვე კომისარი სიცილ-ხორხოცით გამოათრიეს ეზოში და თითქოს იგი სათამაშო ბურთი ყოფილიყოს, ხან მუჯლუგუნებს ურტყამდნენ და ხან ჩექმების წვერებს.

თავი რომ გაირთეს, ერთმა ჯარისკაცმა ბოთლით რაღაც მოიტანა და რამდენჯერმე შეასხა ვასილს ტანსაცმელზე. საფიათს ბენზინის სუნმა შეუღიტინა ცხვირში.

მეორე ჯარისკაცმა ასანთი გაჰკრა და ვასილს მკერდთან მიუტანა.

კომისრის ტანზე ჩაცმულმა დაბამბულმა სათბურებმა უცებ იფეთქა. ლურჯი ალი აუშვა და გაანათა ეზო.

ვასილი გვერდზე გაჭტა, გაიქცა და თოვლზე გაგორდა.

ველურმა ხარხარმა, სტვენამ და ყიჟინამ, საფიათის ეზოში ატეხილმა, მთელი სოფელი გადაირბინა.

საფიათი გამოვარდა საფარიდან, თავიდან მანდილი მოიძრო და ოფიცერს დაუგდო ფეხებთან, მერე მის წინ თეითონაც დაეცა მუხლებზე და მუდარით უთხრა:

— ნუ მოჰკლავთ, ნუ მოჰკლავთ! ეგ ჩემი შვილია, შვილი!.. მაჩუქეთ მისი სიცოცხლე, ნუ მოჰკლავთ, ნუ!

წმიდათა-წმიდა ჩვეულებაა ამ მხარეში, თუ ქალი თავს გაიშიშვლებს მამაკაცის წინაშე და მის ახლოს მანდილს დააგდებს, ერთიმეორეზე ხანჯალმოღერებული მტრებიც კი უნდა გაზავდნენ და შეურიგდნენ ერთმანეთს.

საფიათს ეგონა, ოფიცერმაც იცის ეს ადათ-წესი და ჩემს თხოვნას აასრულებს, რაკი მანდილი დავაგდე მის წინაშეო, მაგრამ ოფიცერს მხოლოდ გაეცინა ამის გამო; რას შერება ეს სულელი დედაკაცი, ჯერ ხელი ჰკრა საფიათს, მერე ფეხიც ჩააზილა ზურგში და თავი თოვლში წაარგვეინა.

ვასილი კვლავ განაგრძობდა ბრძოლას, რათა სიცოცხლე შეენარჩუნებინა. მან უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა, წამოდგა ზეზე და ჯალათებს თვალები რისხვით მიანათა.

ვასილს სურდა, რაკი კვდებოდა, ლამაზად მომკვდარიყო, ხოლო მის სიძულვილს კი სამარადისოდ ეცოცხლა.

ჯარისკაცები შეაშინა ამ წუთში მისმა დანახვამ, უკან დაიხიეს და ისე გაჩუმდნენ, თითქოს ეს კაცი ხვრეტდა მათ და არა ისინი მას. წამით ეს უხერხული დუმილი იდგა ეზოში, მერე ოფიცერმა ხელი ასწია და გაყინული ჰაერი სამჯერ შეარხია სროლის ხმამ...

• •

გამთენიისას ჩვეულებრივ წამოდგა საფიათი, დაანთო ღუმელი, გაიტანა ნარეცხი წყალი და დააპო შეშა. ქვეყანა ბურუსში იყო გახვეული.

უკვე ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც იგი ამ ჯარისკაცებს ემსახურება. გერმანელები შეეჩვევნენ მას და დარაჯიც აღარ დასდევდა უკან. დადის საფიათი თავის ჩვეულებრივი გრძელი ნაბიჯებით, დინჯად და აუჩქარებლად. ხანდახან ზოგიერთ ჯარისკაცს გაეღვიძება გამთენიისას, მისი საქმიანობისა და დავიდარაბის დროს, მაგრამ დაინახავს თუ არა, დედაბერი დადის ოთახშიო, მეორე გვერდზე გადაბრუნდება, საბანს წაიხურავს თავზე და ასე საბანში თავჩარგული, კვლავ იძინებს.

ამ გამთენიისას უფრო სხვანაირი ჩანდა საფიათი, მაგრამ მთვრალ ჯარისკაცებს ისე ღრმა ძილით ეძინათ, ვისა სცალოდა ეს შეემჩნიაl

,საფიათმა რძე ჩაასხა ყავადანში, უხმაუროდ გამოაღო ოფიცრის ოთახის კარი, შეეიდა შიგ და ყავადანი ჩუმად დადო მაგიდაზე, ასე აკეთებდა იგი წინა დღეებშიც. მერე ჭრაქს დაუწია და წელში გამართული თავსასთუმალთან დაუდგა ოფიცერს, რომელიც ღრმად სუნთქავდა და ხანდახან ცხვირში უსტვენდა კიდეც.

ოთახში ჯერ დილას არ შემოუხედა, მაგრამ ჭრაქის ციმციმა შუქზე მაინც გარკვევით მოჩანდა მძინარე გერმანელის ქერა თმები და უსიამოვნო დასანახავი თეთრი კისერი.

საფიათმა უცებ კაბის კალთიდან გამოაძერინა შეშის საჩეხი ნაჯახი და წამითაც არ შეყოვნებულა, ამ უსიამოვნო შესახედავ კისერს დაუმიზნა...

კარების იქიდან ჯარისკაცთა ამაზრზენი ხვრინვა ისმოდა. ხოლო ბაღში, გუშაგის ჩექმების ქვეშ უხალისოდ ჭრიალებდა თოვლი.

საფიათს აღარ გაუხედია ოფიცრისაკენ, სისხლიანი ნაჯახი კელავ კალთაში შემალა და თუმცა გული ამოვარდნაზე ჰქონდა, გარეგნულად მშვიდი სახე მიიღო და ეზოში გავიდა. მცირე ხანს დერეფანში იდგა და გუშაგს ზეერავდა. გუშაგის ფეხქვეშ ორიოდე წუთით კიდევ ჭრიალებდა თოვლი. მერე, ალბათ, დაიღალა, იქვე ჩამოჯდა ფარდულის წინ დაგდებულ მორზე და ზურგით კარებს მიეყრდნო. ვინ იცის, იქნებ იმაზე ფიქრობდა იგი ამ წუთში, რომ მალე შემცვლიან, თბილ ოთახში შევალ, გავთბები და დავნაყრდები დედაბრის გამომცხვარი ცხელი პურითო. თბილი შარფი უფრო მაგრად შემოიხვია ყბებსა და ყელზე, ჯუბის საყელო აიწია და თვალებში რული შეეპარა. დილა მატყუარაა, უძინარ ადამიანს მალე უხუპავს თვალებს.

ფარდულის კედელზე მიყრდნობილი გერმანელი აყვინტილდა.

მეხისაგან გახლეჩილ და ძირს დაჯდებულ ხესავით შავად მოჩანდა თეთრ თოვლზე კომისრის ცხედარი.

საფიათი მიეპარა გუშაგს და მთელი ძალით შემოჰკრა ნაჯახის ყუა საყურიმალეში, გერმანელი რბილად ჩამოცურდა ფარდულის კარებიდან, უხმოდ გაგორდა თოვლში და დილის ძილით დამტკბარმა სამარადისოდ დაიძინა.

დედაბერმა მისი ცხედარი გვერდზე გადააგორა და ფარდული გააღო.

ფარდულში მწოლიარენი შეიშმუშნენ, თითქოს ქარმა გაირბინა შიშველ და დაძაგრულ ბალშიო.

შიგ შემოსული დედაბერი რომ დაინახეს, თავები წამოყვეს.

— ჩუმად, ჩუმად, კრინტი არ დასძრათ...—ისეთი ალერსიანი ხმით წაჩურჩულა საფიათმა, როგორც აკვანში მწოლარე ჩვილს ეალერსებიან ხოლმე დაძინების წინ.

ქარს ფარდულის ჭუჭრუტანებში თოვლი შეეყარა და ალაგ-ალაგ თეთრ არშიასავით შემოვლებოდა კედლებს. ტყვეები ქერიჩალაზე იწვნენ ერთიმეორეზე მიხუტებულნი.

დედაბერი რომ დაინახეს, რომელსაც ჭაღარა თმები გაწეწილი ჰქონდა და ხელში სისხლიანი ნაჯახი ეჭირა, გაკვირვებით მიაშტერდნენ. ვერ მიმხვდარიყვნენ, რაში იყო საქმე.

დედაბერმა ნაჯახი ძირს დააგდო, უფრო ახლოს მივიდა ტყვეებთან და კელავ აჩურჩულდა.

— მოვეზადეთ, მხოლოდ უხმაუროდ, ჩვენ ახლა სახლში შეეპარებით. იქ გალეშილ ჯარისკაცებს სძინავთ. მათივე ხიშტებით დაეხოცავთ იმ ველურებს. მერე მათ ტანსაცმელს გადავიცვამთ და სოფლიდან გავალთ, სანამ კარგად გათენდებოდეს. ძველის-ძველ კოშკთან უნდა ავიდეთ. გზა მე ვიცი, მე გაგიძღვებით წინ. აბა, ჩქარა!

ხუთმეტიოდე წუთის შემდეგ გერმანელების ფარაჯებში გადაცმული ტყვეები სოფლიდან გადიოდნენ. წინ საფიათი მიუძღოდათ. ოთხ კაცს კომისრის ცხედარი მიჰქონდა.

ამაყად იდგა ხევის თავზე თეთრნაბადმოხურული ძველისძველი კოშკი და კავკასიონს გადასცქეროდა.

ორი ახალგაზრდობა

რძის ფერმის თეთრ შენობას, რომელიც პურის ყანების განაპირასა დგას, ორპირად შემორტყმიან ხილის ნორჩი ხეები. ეზოს შუაგულში კი თავისი თხელი სურნელოვანი შტოები ფართოდ გაუშლია ტყემალს. იქვე, ხეზე მიბმული ცხენი, ზანტად გაიქნევს ხოლმე თავს აბეზარი ბუზების გასაფრთხობად, ხან კი თავის მწვავე კუდსაც იშველიებს მათ მოსაგერიებლად. თერთმეტიოდე წლის ბიჭი გრძელი, წვრილი წკეპლით ეხმარება პირუტყვს და ბუზებს ეგერიებს.

მოშორებით, ვეება გობზე დამხობილი ქალი, რძის ბიდონებს რეცხავს და იქვე განსაკუთრებულ ხის ბადეებში აწყობს გასაშრობად.

— რგოლის ხელმძღვანელმა თქვა, ყველანი გამოცხადდითო,—ტიტინებს გაბუტული, გაშწყრა-

ლი ბიჭი, — მინდორში უნდა წავიდეთო ყანების სამარგლავად. მე კი რაღა უნდა ვუთხრა ახლა?

— უთხარი, რომ დედამ არ გაგიშვა, დაგსაჯა იმისათვის, რომ არ გინდოდა დედას დახმარებოდი. შენთვის იყავ მანდა, სულერთია, არსად გაგიშვებ.

ქალმა ბიდონების რეცხვა მოთავა და ახლა ჭრელი, ჩვილი ხბოს წინ ჩაცუცქდა. იგი საურველით ასუფთავებდა და ტუჩებიდან აბურძგვნილ ხავსისებურ ბალახს აცლიდა. ხბო კი მაინც ურჩობდა და ეწინააღმდეგებოდა.

ამ დროს ეზოში საშუალო, მაგრამ ჯმუხი, ჩასკვნილი ტანის კაცი შემოვიდა, რომლის დანახვაზედაც შესაბრალისად აწუწუნდა ბავშვი.

— აი, თუნდა მაგ ბრიგადირსა ჰკითხე, დედა, — ემუდარებოდა ბიჭი, — ჩვენ მაგასთან უნდა წავიდეთ.

— შენ აქ რატომ ხარ? — გაიკვირვა ბრიგადირმა, — დოლის ხმა არ გესმის?

გაზაფხულის დილის სუფთა ჰაერში მართლაც გარკვევით ისმოდა დოლის რიტმული ბრაგუნი და ბავშვების წკრიალა ხმა.

Мы, как буря, грозны в нападенье,
И в защите, как стена,
Так учила нас война.
Наша молодость сильна,
Наша молодость сильна...

დილის ნამიანი ჩრდილები ფერმის შენობის ენ იხრებოდნენ. ხშირი ფოთლებიდან ოდნავ შესამჩნევი ორთქლი იზლაზნებოდა. ყანებშუა მიმავალ გზაზე პიონერთა რაზმი გამოჩნდა. წითელ დროშებზე ოქროსფრად ბრწყინავდა წარწერა. ელვარებდნენ ალისფერი ყელსახვევები ბავშვების თეთრ ხალათებზე.

— ხედავ? — ერთსადაიგივეს ეჩიჩინებოდა ბიჭი და მუდარის გამომხატველი თვალებით შესცქეროდა დედას. — ხომ გითხარი, წავიდნენ-მეთქი.

დედამ მკაცრად შეხედა შვილს და არაფერი უპასუხა.

— რად ექცევი ასე ამ ბალღსა? — ეკითხება ბრიგადირი.

— ასეა საჭირო. — მშვიდად უპასუხა დედამ ბრიგადირს.

— თუ გაუშვებდი, ცხენზე შეჯდებოდა და რაზმზე უფრო ადრე ჩავიდოდა ყანაში. — ამბობს ბრიგადირი და ეჭვიანად უცქერს ხან ბავშვსა და ხან დედას.

— არა. — გადაჭრით იუარა ქალმა. — ეგ დასჯილია. მე მაგას ვთხოვე, კასრით წყალი მოეზიდა, შენ თვითონ იცი, დამხმარე ჩემთვის რას ნიშნავს. მაგან კი არ მოისურვა დამხმარებოდა; რაზმში წავალო, გაიძახის. საზოგადო დავალება უნდა შეასრულოო. ესეც საზოგადოებრივი მუშაკი გამიხდა! ორი დღეა, ასეთ სიცხეში ხეები არ მოგვირწყავს და ეს მაგისთვის საზოგადოებრივი არ არის.

— ბიჭები გამიჯავრდებიან! — წამოიძახა ტირილით გულამოსკვნილმა ბიჭმა, — იტყვიან: ერთპიროვნულიაო, დედას ეხმარებოდაო შრომადღეების გამომუშავებაში. რგოლის ხელმძღვანელიც კი იმას გვეუბნებოდა: პირველ რიგში საზოგადო საქმე უნდა გააკეთოთო.

— ნუ ფშრუკუნებ! — დაუყვირა დედამ, — დახეთ, რა კოლმეურნე გამომიჩნდა? მე რას მასწავლის ის შენი რგოლის ხელმძღვანელი; აქამდე თუ ვერ გაგიგია, რომ ყანაც, ფერმაც, ბალიც. და ეს ხბორებიც მთლიანად ჩვენია. სიცხისაგან ლამის ხეზე ფოთლები მოიხრუკონ, შენ კი, იმის მაგივრად, რომ დამეხმარო და კასრით წყალი მომიზიდო, — მთელ დღეს მიმტკიცებ, რა არის საზოგადო და რა არის პირადი. მითხარი, გეთაყვა, საიდან ისწავლე ასეთები? მოიცადე, მე თვითონ ვიტყვი თქვენი რგოლის ხელმძღვანელს, როგორც იქცევი სახლში. ამაზე ამხანაგები საყვედურს გეტყვიან!

— ბიჭებს სადილად მაწონს გამოუგზავნი, მაშა? — ჰკითხა ბრიგადირმა, რომელიც აქამდე ხმაამოუღებლად უსმენდა დედა-შვილის საუბარს. იგი თან პურის ყანის ენ იარქირებოდა, სადაც პიონერების დროშა ფრიალებდა. — აბა, მე წავედი, თორემ გამასწრებენ.

ბრიგადირმა ცხენს შემოჰკრა. თანაგრძნობით შეხედა ნამტირალევ ბიჭს და ხელების მოძრაობით ანიშნა: არ შემიძლია დახმარება, ამდენი უფლება არა მაქვსო.

— დედა, მეც წავალ. — დედასთან მივიდა ბიჭი და მუდარის გამომხატველი თვალებით შეხედა, — შენ რომ ჩემს ადგილას იყო, გიიგებდი, რასაც ნიშნავს ამხანაგებისგან ჩამორჩენა.

დედამ წინსაფარი შეიხსნა, კალთა გაიბერტყა და შვილს შეხედა.

— მე რომ შენ ადგილას ვყოფილიყავი? — გაიმეორა ჩაფიქრებულმა და შვილის შეწუხებული სახე თავისკენ მიიზიდა. — მე რომ შემეძლოს შენს ადგილზე ყოფნა!.. მაშინ მე ყველაზე ბედნიერი ვიქნებოდი. იცით, თუ არა თქვენ, როგორ უნდა გიყვარდეთ და აფასებდეთ ყველა იმას, რაც გაგაჩნიათ!

ბიჭს დედის საუბარი გაუხარდა. საწყალობელ სახეზე სიხარული მოეფინა და სწრაფად უთხრა:

— მერე, მე რა, განა არ მიყვარს?! ჰოდა, აი, ამიტომაც გეუბნებოდი, დედა, რგოლში გამიშვიმეთქი...

— ყველა, სულ ყველა დიდი მეცნიერიდან რიგით კოლმეურნემდე თქვენზე ზრუნავს, შვილო, გაამართლებთ თუ არა ყველაფერს ამას?.. ჩვენ კი, იცი, როგორ ვიზრდებოდით?

— ვიცი, ვიცი, დედა, ძველ დროში თქვენ მასწავლებლები გცემდნენ, კუთხეში გაყენებდნენ, თქვენ დაგლეჯილი ტანისამოსით დადიოდით. მეადის გარდა სხვა საქმელი არა გქონდათ, შენ წინათაც მესაუბრე ამაზე.

— ახლა კი სხვა რამე უნდა გითხრა, — შეაწყვეტინა დედამ შვილს. — მიხვდი, რის შესახებ ვსაუბრობ...

Наша молодость сильна,
Наша молодость сильна...

მომჯადოებლად მოისმის შორეული სიმღერა. ბიჭი ერთხანს გაყუჩდება, უსმენს ნაცნობ სიმღერას და მერე მოუთმენლად მიაჩერდება დედას.

— ჩქარა, დედა! — აჩქარებს იგი.

— სისხლსა და ტანჯვაში დაიბადა შენი ბედი, — აღშფოთებით ამბობს ქალი და თან განაბული უსმენს ბავშვების მღელვარე სიმღერას. — მახსოვს, მაშინ შენი ტოლი ვიქნებოდი. იანვრის ქარბუქმა თოვლით დაფარა სოფელი. სოფლის განაპირას, თხრილებში, ჩვენი ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავდა თეთრგვარდიელებს. ერთმანეთის მოსისხლეებიც კი მხარდაჭერ იბრძოდნენ ღვიძლი ძმებივით საერთო მტრის წინააღმდეგ. ჰოდა, მაშინ დაიბადა შენი ახალგაზრდობა. — თხრილში პაპაშენი პირისპირ შეხვდა თავის მოსისხლეს. აი, აქ რომ ბრიგადირი იყო, ამის პაპას შეხვდა. ორმოცი წელი დასანახავად ეჯავრებოდათ ერთიმეორე. ორმოცი წელი მტრობდნენ. ხანდახან შერიგდებოდნენ ხოლმე, როცა მთელი სოფელი ჩაერეოდა საქმეში, მაგრამ მათ შორის კვლავ სიძულვილი ჩამოყალიბდებოდა.

— კი, მაგრამ ერთმანეთი რად ეჯავრებოდათ ასე? — დაინტერესდა ბავშვი.

— ყინვიან ღამეს, — განაგრძობდა ჩაფიქრებული დედა, თითქოს შვილს შეკითხვა ვერც გაეგონოს, — პაპაშენი თეთრი ბანდიტების შესახვედრად მიბოხავდა. ქარი გამშრალ, გაყინულ ფიფქებს აყრიდა ზედ. ტყვიები ზუზუნებდნენ და გაყინულ ჭიაში იყარგებოდნენ, და ამ დროს, პაპაშენი თავის მოსისხლეს შეხვდა. ორივემ ხანჯალზე იტაცა ხელი. მაგრამ რაღაც განგების ძალამ პაპაშენს მოსისხლის დარტყმა ააცდინა... მაშინ დაიბადა შენი ბედნიერი ახალგაზრდობა, შვილო.

— როგორ, განა მე ცხრამეტ წელს დავიბადე? — განცვიფრდა ბიჭი — არ მესმის, დედა.

— აბა, როგორ გითხრა, შვილო. ხოც და არაც, ეს წლები რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ვერ მოვესწრებოდით ჩვენს ბედს... ჰოდა, იმას გეუბნებოდი: პაპაშენი სასიკვდილოდ დაიჭრა. სიკვდილის წინ თავისი იარაღი მოსისხლეს გადასცა და თეთრებზე უთხრა: „დახოცე ისინი. ისინი არიან შენი მოსისხლენი, ჩვენი შვილების მოსისხლე მტრები". მაშინ ეე არ მესმოდა მამის სიტყვები. ყველას, ვინც გარს ეხვიოდა მამაჩემს, ძლიერ გაუკვირდა ეს. პირველი პაპაშენი იყო, რომელმაც უკუაგდო შურისძების ხანჯალი. ტანჯვასა, სისხლსა და ბრძოლაში დაიბადა შენი ახალგაზრდობა... აი, შვილო, დღეს შენი საუბარი მოვისმინე პირადისა და საზოგადოებრივის შესახებ. მე მომაგონდა ის დრო... მე წამართვეს ბავშვობა, შენი ცხოვრება კი ნათელი, კარგი გზით მიდის. იბრძოლე მაგ გზისთვის. აი, შენ უარი მითხარი ხეების მორწყვაზე, ისინი სიცხისაგან სხვებიან. მერე, ვისთვის არიან აქ დარგულები? შენი პატარა საქმით და შრომით უნდა დამტკიცო, რომ შენ ღირსი ხარ ასეთი ბედნიერებისა.

— ახლავე მოვრწყავ, — შეაწყვეტინა ბიჭმა და კასრისკენ წავიდა.

— არ არის საჭირო; მე თვითონ მოვრწყავ, — შეაჩერა დედამ. — მე წაგიყვან რგოლის ხელმძღვანელთან და ვეტყვი, რომ მე არ გაგიშვი შეკრებაზე. შენ თვითონ მოუყვები ამხანაგებს, რომ შენ არ გინდოდა მომხმარებოდი. დაე, რგოლმა გადაწყვიტოს ვინ არის ჩვენში მტყუანი.

— კარგი. — მოულოდნელად მტკიცე, ვაჟკაცური ხმით წამოიყვირა ბიჭმა, — მე ვეტყვი... შეიძლება, დედა, რგოლს ისიც ვუამბო, თუ ჩემი პაპა როგორ ებრძოდა თეთრებთან, როგორ შეურიგდა სიკვდილის წინ თავის მოსისხლეს?

დედამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

მათ უსიტყვოდ გაიარეს პურის ყანა. მაღალი, ჯერ ისევ ნედლი თავთავები მიწისკენ დახრილიყვნენ. სიო დანავარდობდა ყანაში და ისეთ ხმაურს გამოსცემდა, თითქოს პატარა ფრინველმა გაიფრთხიალაო შიგ. და ამ საერთო ხმაურში დედა თითქოს თავის შვილის ახალგაზრდობას შეეხაროდა.

1950 წ.



ვარი შანათი

ბათას შვილი ასლანბეგი

ნაწყვეტი

შემოდგომის დღეები წუთისოფლის ხიდან ყვითელი ფოთლებივით მოსწყდნენ და უსასრულობაში გაფრინდნენ. დაცარიელდა ყანები და ვენახები. სამაგიეროდ ბეღლები, ნალიები და ქვეევრები გაიესო. სოფლად გახშირდა ქორწილები, საწლოს გადახდა, ლხინი და სიმღერა. ვინც უკეთეს ქორწილს გადაიხდიდა, უკეთესი სახელიც მისი იყო: კარგი ვაჟკაციაო, ამბობდნენ მასზე თანასოფლელები.

პატივმოყვარე კაცად ითვლებოდა ბათას ძმა ახბოლი. მისი ეს ხასიათი კიდევ ერთხელ გამომეღავნდა ამ შემოდგომაზე: ვაჟიშვილ ცორას ისეთი ქორწილი გადაუხადა, ჩიტის რძე არ აკლდა სუფრაზე. მთელი სოფელი ჰყავდა დაპატიჟებული. გადაბმულ სუფრებზე სამ დღეს გაგრძელდა ღრეობა და ყანწების ტრიალი.

ქორწილის შემდეგ თანატოლები ვეღარა სცნობდნენ ცორას. ძველად სანაძლეოზე ნიშანს რომ დადებდნენ, პირველი ცორა ესროდა ხოლმე თავის ხირიმს, ნიშანს შუაგულში ხვრეტდა და თითქმის ყოველთვის სანაძლეო მას რჩებოდა. ისეთი ბასრი ხანჯალი ჰქონდა, პირზე ბეწვს დაადებდა, სულს შეუბერავდა და ბეწვი თავისთავად იჭრებოდა. ამ ხანჯალსაც ყველაზე უკეთ ხმარობდა იგი.

ახლა კი სახლიდან ალარ გამოდიოდა ცორა, ალარ ეკარებოდა თანატოლებს.

— ლამაზ ცოლს ვეღარ შორდებაო. — გაიძახოდნენ ერთნი.

ზოგს უკვირდა:

— არ მეგონა თავის მზეთუნახავ ქალიშვილს დუდა მაგ ბიჭისთვის თუ გაიმეტებდა. უკეთესი ვაჟკაცები უპირებდნენ სიძობას, მაგრამ არ ქნაო.

— არა, ცორა ცუდი ბიჭი არაა, ოღონდ ერთი ნაკლი აქვს: სხვისი ჭკუით უყვარს სიარული და საქმის კეთებაცო. — ამტკიცებდნენ 'სიმართლის მოყვარულნი.

კიდევ ერთი რამ შენიშნეს სოფლელებმა: მას შემდეგ, რაც ცორა დუდას სიძე გახდა, სულ აითვალისწუნა ბათას შვილები. გულწმინდად არც მანამდე უცქეროდა მათ, მაგრამ ახლა კი აშკარა ზიზღით ახსენებდა ბიძაშვილთა სახელებს.

შენიშვნით კი შენიშნეს ეს ამბავი, მაგრამ მიზეზი ვერ გაიგეს.

ერთი თვის შემდეგ დუდა თავის ახალ მოყვრებს ესტუმრა.

მდიდრული სუფრა გაუშალა ცორამ სიმამრს. სუფრაზე მოიწვია მთელი თავისი გვარეულობა. დუდას გვერდით მიუჯინეს გვარის უფროსი და თავკაცები: სირხავი, ბესლანი, თათარყანი და სახვიგი.

ალიქაანთა ოჯახში სუფრა სუფრას გადაება, სადღეგრძელო სადღეგრძელოს, სიმღერა სიმღერას და ლხინში გატარებული დღე — ღამეს.

დუდას ესიამოვნა, სიძემ ასე რომ დააფასა. თითქმის ყველა სადღეგრძელო ალიქაანთა გვარის

ქება-დიდებით დაიწყო და ქება-დიდებითვე დაამთავრა. არა ზოგავდა ტკბილ-ტკბილსა და ლამაზ-ლამაზ სიტყვებს, ხელგაშლილადა ხარჯავდა, რადგან იცოდა, რომ ამით არაფერი აკლდებოდა.

— ჩემო უძვირფასესო მოყვრებო, მე დღეს მეცხრე ცამდე ავმაღლდი ბედნიერებით, თქვენი სუფრა და თავყრილობა რომ ვნახე. დიდი ხანია მესმის ალიქაანთ გვარის ქება და იმაზე უკეთესები ყოფილხართ, ვიდრე ხალხი ლაპარაკობდა. ბედნიერი მამა ვარ, ბედნიერი, ჩემი ქალიშვილი ცორას რომ გამოვატანე. მე თქვენი პატივისცემა და ასე მდიდარი სუფრა, სამარის კარამდე მემახსოვრება. — ამბობდა დუდა და კათხას კათხაზე სცლიდა. — გმადლობთ, გმადლობთ!

— დუდა, მადლობის თქმა შენ კი არა, ჩვენ გვეკუთვნის, რომ გვეწვიე და აქ მოსულმა, ეს ღარიბული სუფრა არ დაგვიწუნე. ამ სუფრაზე ცხრაჯერ უკეთესი სუფრა შეგფერის, ღმერთმანი. — ეპირფერებოდნენ სტუმარს მასპინძლები. — მაგრამ ივედია, ხშირ-ხშირად გვეწვევი და მომავალში ასე ღარიბულად არ დაგხვდებით. ჩვენი კეთილი გულია ამის თავდები.

დუდა ატყობდა, რომ ალიქაანთნი ალალი გულით აქებდნენ მას. სტუმრისგან თავის ქებასაც ალალი გულის ნათქვამად თვლიდნენ და ეს ახარებდა: მოკლე წარბებს ქვეშ შეფარებულ, ბუდეებში ღრმად ჩასმულ წვრილ თვალებს ეშმაკურად აციმციმებდა.

დუდას გვარში ერთი ხვაია კაცი იყო, ქუქეს ეძახდნენ. ყველას ეჩხუბებოდა და ეშტერებოდა... ერთხელ, არკას ველზე გამართული დღეობის დროს, ქუქე ახბოლს მიეკრა სუფრაზე და უსაფუძვლოდ დაუწყო ლანძღვა-გინება. მერე ხმალში გაიწვია. ქუქე მოკლავდა ახბოლს, მაგრამ ბათას შვილმა და ახბოლის ძმისწულმა ასლანბეგმა თავი გამოიდო და თავხედი ქუქე ძირს დააგორა ხმლით თავგაჩეხილი.

ეს ამბავი ახლა მასპინძლებს აღარ ახსოვდათ, მაგრამ სტუმარი კი წამითაც არ ივიწყებდა. მართალია, ქუქე კარგი კაცი არ იყო, მაგრამ საერთოდ კაცი ხომ იყო? დუდას გვარის კაცი? მისი სისხლი ხომ მართებდა ალიქაანთ გვარს? მართებდა. ამ სისხლს აღება ხომ უნდოდა? უნდოდა.

დუდა თავის წვრილ თვალებს ამიტომ აციმციმებდა ეშმაკურად. ამიტომ ისმენდა მასპინძლების ხოტბა-დიდებას გულგრილად, თვითონ კი ცდილობდა, მათი ნდობა მოეპოვებინა. ტკბილ სადღეგრძელოებს ამბობდა, გულში კი სულ სხვა რამე ედო.

დუდა ცორას რომ თავის ქალიშვილს ატანდა, ამას ფიქრობდა: ალიქაანთ გვარში მოყვარედ შევალ, ვითომ აღარ მახსოვს ძველი მტრობა, მერე კი მე ვიცი, რა საქმესაც დავატრიალებო.

დუდას გაგონილი ჰქონდა, ალიქაანთნი ბათას ვაჟებს თავისი გვარის კაცებად არა სთვლიანო. „მართალია თვითონ ბათა ალიქაანთი იყო, მაგრამ ამ წარჩინებული გვარის კაცს ცოლად ჰყავდა მდაბიო ქალი ცალონი, ეს შვილები იმასთან გაუჩნდა და, რასაკვირველია, აქაური ადათის მიხედვით, ისინი ჩვენი გვარის კაცებად ვერ ჩაითვლებიან, ნომილ-უსის[1] შთამომავლები არიანო". — ასე ამბობდნენ თურმე გვარის თავკაცები.

დუდა დიდი ხანია ნატრობდა ბათას შვაცი შვილებისათვის რაიმე შარი მოედო, ვინმესთან წაეჩხუბებინა და სხვისი ხელით მოესრა ეს ოჯახი, რომელმაც მას გვარის კაცი მოუკლა. ახლა ეკვე საშუალება ეძლეოდა, თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანა.

დუდამ, როგორც კი შეატყო ღვინომ ჩემს მასპინძლებს სისხლი აუდუღაო, ადგა სავსე კათხით ხელში და სუფრისაგან თრიოდე წუთით ყურადღება მოითხოვა.

— ჩემო ძვირფასო მოყვრებო, — დაიწყო მან რიხიანი ხმით, — მე ეამბობდი და კიდევ ვიმეო-

[1] ნომილ-უსი — ანე „ცოლი მხოლოდ საბელით" ძველად ოსეთში ძლიერი გვარის კაცი თუ მდაბიოთა გვარიდან მოიყვანდა ცოლს, მას სთვლიდნენ ნომილუსად. ნომილუსი თითქმის გათანაბრებული იყო ხასასთან, ერთი განსხვავებით: ნომილუსი უფრო თავისუფალი პიროვნება იყო. მას პირველ შესაძლებლობისთანავე შეეძლო გათხოვილიყო კანონიერად. ნომილუსის ქმარი არც ცოლსა და არც მის შვილებს თავის წარჩინებულ გვარს არ აძლევდა. ნომილუსის ვაჟიშვილები, მართალია მამის ოჯახში იზრდებიან, მაგრამ მათ ისევე ამუშავებენ, როგორც მოჯამაგირეებს. თუ ნომილუსის ვაჟი ოჯახიდან წასვლას დაამირებს, წინააღმდეგობასარავინ გაუწევს, მაგრამ ამ შემთხვევაში მამის ქონებიდან მას ისე მცირე ნაწილს აძლევენ, ამით თავს ვერ გაიტანს და ამიტომ იძულებულია, იქვე დარჩეს სიკვდილამდე. ნომილუსის ქალიშვილს შეუძლია მხოლოდ თავის ყადრ კაცს გაჰყვეს წესიერ ცოლად (მისთვის, თავისივე ყადრად თვლება ქვედასარდი) ან გახდეს დედასავით ნომილუსი. (იგი ხშირად ძლიერი გვარის რომელიმე მოხუცსაც კი ენომილუსება).

რებ, რომ ბედნიერი ვარ, თქვენ რომ დაგიმოყვარდით. მართლაც, სანაქებო გვარი ხართ, მაგრამ ნათქვამია, მზესაც კი ლაქები აქვს და კაცს რომ რაიმე ნაკლი ჰქონდეს, აბა, რა გასაკვირია! ერთი რამ არ ვომწონს თქვენი და ზე, თქვენთვის სიკეთის მდომმა, არ შემიძლია ეს არა ვთქვა. მოყვარეს პირში უძრახეო, ასე გამიგონია და რაკი ჩვენ ერთმანეთის მოყვრები ვართ, თავს ნებას ვაძლევ. გულში არ შევინახო ის, რასაც მე თქვენს შესახებ ვფიქრობ. სხვისი ოჯახის საქმეებში ჩარევა არ ვარგა, მართალია, მაგრამ ახლა ეს ოჯახი ხომ ჩემი ქალიშვილის ოჯახიცაა, მე სხვისი ოჯახის საქმეებში კი არ ვერევი, არამედ მოყვრების ოჯახში ჩემს აზრს ვამბობ. დამერწმუნეთ, მე თქვენი სიკეთის მეტი არაფერი მინდა.

მსაპინძლები ვერ მიხვდნენ რისი თქმა უნდოდა დუდას და გაკვირვებულები მიაშტერდნენ.

დუდამ თავისი ეიწრო თვალები მოაცილა სუფრას და რაკი დარწმუნდა ყველა მისმენსო, განაგრძო:

— ალბათ გაგეგონებათ, რომ ბათას შვილები ალიქაანთ გვარში პირველობას იჩემებენ, თქვენს სახელს ჩრდილაენ და ფეხქვეშ თელავენ. განა ეს მოსათმენია?

— სწორია, სწორია, დუდა! — ერთდროულად ახმაურდნენ მთვრალი მოინახენი. — ბათას ღლაპებმა თავი აიშვეს. გათავხედდნენ და არაფრად გვაგდებენ, დაგეცინიან და სახელს გვიტეხენ.

— მერედა, რას უცდით ამდენხანს? ნომილოსის შვილებს ამდენს უთმენთ?—ისროლა დუდამ შთოთის გამომწვევი სიტყვები. — ნათელში იყვნენ ჩვენი ბაბა-პაპანი. იმათი მაინც არა გრცხვენიათ? ბათას ვაჟებს თუ პირში ლაგამი არ ამოსდევით, ხალხი მასხრად აგიგდებთ მალე. ასეა, სწორედ ასე! ჩუმჩუმად ახლაც კი ლაპარაკობენ: ბათას შვილები ალიქაანთ გვარს თავზე გადაეჯდნენ, ალიქაანთნი კი ქალაჩუნებივით სხედანო. ჩემი ყურით გავიგონე ეს სიტყვები და, ღმერთმანი, ისი მეტკინა გული, თითქოს შხამიანი ისარი გამიყარეს შიგ. აი, სწორედ ეს გამწარებული გული მალაპარაკებს ახლა, სხვა კი არაფერი. მოყვარემ თუ მოყვარეს თვისი დარდი არ გაუმხილა, სხვას სულ ვერ ეტყვის. კაცს მოყვრის აუგად ხსენება ეწყინება, თორემ უცხოს რას დაეძებს.

— მართალია, მართალია! — კვერს უკრავდნენ აქეთ-იქიდან.

დუდამ შეატყო, წისქვილი აბრუნდა უკვეო და მეტი წყალი მიუშვა იმ წისქვილის ღარში:

— ბათას შვილები ახლა თურმე იმასაც გაიძახიან, ნომილ-უსის ნაშიერები ჩვენ კი არა, ისინი არიანო.

ამის გაგონებაზე აღშფოთდა და აყაყანდა სუფრა. იგინებოდნენ და იგინებოდნენ უშველრად. მერე გინება მუქარამ შესცვალა.

— უნდა მოვსპოთ ბათას სახლის საძირკველი! ბათამ შეარცხვინა ჩვენი გვარი! უნდა გავანადგუროთ ბათას ლეკვები!

— მოხდეს, რაც მოსახდენია. დღესვე, დღესვე მივუხტეთ იმ ველურებსა და ვანახოთ თავხედობა! რაც უფრო მალე მოხდება ეს ამბავი, მით უკეთესია!

ზოგმა იქვე იშიშელა ხანჯალი და ხელში აალაპლაპა.

— მოიცათ, ხალხო! — წამოდგა სირხავი და ხელი მაღლა ასწია. — აჩქარება არ ვარგა ასეთ საქმეში. უკითხეს დროს და ადგილს, ჩვენ ვერ მოვნახავთ. ჩვენი გვარისანი თითქმის ყველანი აქა ვართ. დავჯდეთ და მოვითათბიროთ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?

— ეს საქმე ჩვენმა ბეთილმა მოყვარემ დუდამ წამოიწყო და ჯარი იქნება, თუ ჯერ ის ვეკითხოთ თავის აზრს. როგორ მოვიქცეთ ახლა. იმედია, დუდა თავის ჭკუა-გამოცდილებას არ დაიშურებს მოყვრების სასიკეთოდ. — თქვა თათარაშვილმა.

დუდამ აღზევებული ხალხი რომ დაინახა, უკვე წარმოიდგინა ამ ხალხის თავზე ჭიაზე შემოდგომის ყვავილებივით გათელილი ბათას ვაჟები და ალალი სიხარულით აივსო. იმანაც გაახარა დუდა, რაზეც მასვე რომ ეკითხებოდნენ. სულერას ამაყად გადახედა, ეშმაკურად მოკუტა თავისი ეიწრო თვალები და შემპარავი ხმით დაიწყო:

— ჩემო კეთილო მოყვრებო, თუ კი რამეში გამოგადგებით, ჩემი თავი თქვენ განაცალოთ. მე მზადა ვარ. ყოველთვის თქვენთან ვიყო, ჭირსა და ლხინში. თქვენი ტკივილი ჩემი სატკივარია, თქვენი დამცირება, მეც მამცირებს და მარცხვენს. მოდით, ერთად მოვუაროთ ამ საქმეს.

— ჯერ შენი აზრი გვითხარი, შენი. — ყაყანებდნენ ალიქაანთნი.

— მე ბათას ლეკვები მარტო თქვენს მტრებად კი არა, ჩემს მტრებადაც მიმაჩნია. მათი სიძულვილი გულში ცეცხლივით მიტრიალებს და მწვავს. მე წეღანაც გითხარით, ბათას ველურ შვილებს ლაგამი თუ არ ამოვსდევით ლაშებში, თქვენს დასამცირებლად კიდევ ბევრ რამეს იტარტალებენ. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ბათას დატოვებულმა ოჯახმა ჯანმაგარ მუხასავით გაშალა ტოტები და ეს ტოტები უნდა ჩამოვაჩეხოთ. არ ჩამოვაჩეხავთ და ყველანი დავიჩრდილებით იმ ტოტებისაგან. თუ ბათას შვილებმა ასე იპარპაშეს, დამცირებისა და უბედურების მეტი არაფერი მოგემატებათ თქვენ.

— მივუსტეთ და დავარბიოთ! — აყვირდნენ ერთნი.

— უსაფუძვლოდ მიხტომა არ შეიძლება. მიზეზი გამოვუნახოთ რამე და... — გაიძახოდნენ უფროსები.

— მიზეზის გამონახვა რად გინდათ, — კვლავ დუდა ჩაერია საქმეში, — მიზეზი თავისთავად ხელში გიჭირავთ. აი, გულახდილად გეტყვით ჩემს აზრს. ალიქაანთ საუკეთესო მიწები ბათას ეკუთვნოდა. ბათა მოკვდა და ის მიწები თქვენს ხელში უნდა გადმოსულიყო, რადგან ბათას ნამდვილი მემკვიდრე არ დარჩა. იმ მიწებს კი ბათას შვილები დაეპატრონენ. აქვთ თუ არა ასლანბეგსა და მის ძმებს იმ მიწების დაპატრონების უფლება? რასაკვირველია, არა. მიდით და წაართვით ეს მიწები. თუ წინააღმდეგობას გაგიწევენ, მერე, დე, ტყვიამ და ხმალმა გაგასწოროთ ერთიმეორეში. აი, მიზეზი თუ გინდათ. კიდევ ერთი რამის გაკეთება შეიძლება: ბათას ქერიები ვინმე ყაბარდოელს გაატაცებინოთ. მისი შვილები ამას ვერ მოითმენენ და ალზევდებიან დედის დასახსნელად. ყაბარდოელნი კი მხდალები როდი არიან, ბათას ერთ შვილსაც არ გამოუშვებენ უჯან ცოცხალს. მით უმეტეს, რომ ალიქაანთ გვარს მათი სისხლი ჰმართებს. ხომ გახსოვთ ხაზბის ერთხელ ყაბარდოელი თავადი რომ შემოგვდა? ჩემი ფიქრით, ჯერ ერთი ვიცადოთ და მერე მეორე. მათი ოჯახის ციხის ხან ერთი გვერდიდან გამოვაცალოთ ქვები და ხან მეორედან: ან იქით წაიქცევა და ან აქეთ. მე ასე მითქვამს და ახლა თქვენი ნებაა, როგორც გინდათ, ისე მოიქცით. მე დავამთავრე ჩემი სათქმელი. — სთქვა დუდამ და დაჯდა.

ალიქაანთნი ერთხანს სდუმდნენ. ალბათ დუდას წათქვამს გონებაში ხარშავდნენ. ბოლოს სირხავმა თქვა: რომ დუდას აზრი მოსაწონია და სტუმარს სთხოვა, რაკი ასე ზრუნავ ჩვენთვის, ერთი რამეც გაგვიკეთე, ვიდი ბათას შვილებთან წინდაწინ შუამავლად იმ მიწის შესახებ, ჩვენი აზრი მოახსენე. ეგებ უბრძოლველად გვითმობენ და ხანჯლები ტყუილად ხომ არ უნდა ვიშიშვლოთ, თოფიც უმიზეზოდ ხომ არ უნდა ვისროლოთ, ხალხი დაგეძრახავსო.

— სხვა ვინმე გააგზავნეთ შუამავლად. — განგებ იუარა დუდამ.

— არა, არა. — ერთხმად აყაყანდნენ ყველანი. — შენზე საპატიო კაცს ვის ვანდობთ ჩვენს საქმეს. რაკი ამდენი სიკეთე გვიქენი, მადლი ჰქენი და ზედ მარილიც მოაყარე. წაუღე ჩვენი სიტყვა ბათას ლეკვებს!

— რა ვქნა, არ მინდოდა ამ საქმეში ჩარევა, მაგრამ ჩემს კეთილ მოყვრებს როგორ გითხრათ უარი? კარგი, წავალ, ხვალვე წავალ დილით, საღამოზე კი პასუხს მოგიტანთ.

. აბრუნდა ალიქაანთ წისქვილის ბორბალი ბორბალი დოლაბის დასატრიალებლად.

დუდა თვალებმოკუსული უცქეროდა მთვრალ ხალხს და გულში იცინოდა

— აბა, განეაგრძოთ ლხინი! — დაიძახა მასპინძელმა და ისევ დატრიალდა კათხები და ყანწები. ისევ გადაება სიმღერა სიმღერას და მთვრალთა გინება — გინებას. მოინახეებმა ქშენას და ღრიანცელს მოუმატეს.

ადღეგრძელეს წლევანდელი მოსავალი, გაისის ჭირნახულს ბარაქა უსურვეს, ღმერთი შეგვეწიოს ყოველ საქმეშიო, — თქვეს ბოლოს და სუფრა ალაშალა.

დუდამ ერთხელ კიდევ დალოცა ოჯახი და მისი საძირკველი, სისხლის დასაქცევად აღზევებულ და გულგალეესილ მასპინძლებს „ღამე მშვიდობისა" ესურვა, ეშმაკურად მოეუტა ღრმად ჩამჯდარი ოვალები და ბარბაცით გაუყვა თავის სახლისკენ მიმავალ შარას.

• •

ბათას სახლისაკენ მიმავალი დუდა მხიარულად მიღიღინებდა. არკას ველს იგონებდა და გულში ამბობდა: ირემი სათოთეზე დამიახლოვდა და სირცხვილი არაა, ეს ირემი არ მოვკლა ახლაო? ბათას შვილებიც ალიქაანთნი იყვნენ, ეს კარგად იცოდა

დუდამ და წინდაწინ ისეთი ფიქრები დააწყო, თითქოს მოყვარე სამოყვროდ მიდიოდა მათთან. ასე იყო თუ ისე, მოყვრად უნდა მოეჩვენებია მათთვის თავი, ისე როგორც ახბოლის ახლობლებს მოაჩვენა. უამისოდ თავის განზრახვას ვერ აისრულებდა.

ბათას შვილები ასლანბეგი და ბუძი მხიარულად გამოეგებნენ ჭიშკართან მომდგარ დუდას. როგორც წესი მოითხოვდა, იგი შინ შეიპატიჟეს მაშინვე.

— ბედნიერი იყოს შენი ფეხი ჩვენს ოჯახში.— უთხრა სტუმარს ასლანბეგმა, როცა სახლის ზღურბლზე გადააბიჯეს.—ახლა უკვე მოყვარე ხარ ჩვენი, ხშირად უნდა გვინახულო. მოხარული ვართ თქვენთან დამოყვრების.

— ბედნიერი იყოს ჩვენი შეხვედრა. — თავის მხრივ, ოჯახში ფეხის შედგმისთანავე დაილოცა დუდაც.

მალე გაშალეს სუფრა და შემოუსხდნენ.

ორიოდე ჭიქა არაყი რომ გადაჰკრეს, დუდამ ღარ დააყოვნა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— ჩემო კეთილო მოყვრებო, მე თქვენთან მოსვლა საერთოდ მეკუთვნის, როგორც მოყვარესა და კეთილის მსურველს, მაგრამ ახლა კი მოციქულად ვარ მოგზავნილი.

— ღმერთმა კეთილი მოციქულობა ნუ მოგიშალოს. — ერთხმად წამოიძახეს ძმებმა.

ასლანბეგმა დუდას ეშმაკურად მოქუტულ თვალებს რომ შეხედა, მაშინვე იგრძნო, ეს კაცი საკიკაოდ არაა აქ მოსულიო, მაგრამ უკმაყოფილება არ შეიმჩნია სახეზე.

— ღმერთი და რჯული, არ მინდოდა მე ეს შუამდგომლობა, მაგრამ ხათრი ვეღარ ვავუტეხე ახალ მოყვრებს და გეახელით. ისინიც და თქვენც ერთნი ხართ ახლა ჩემთვის და თუ თქვენ ერთმანეთში უდავიდარაბოდ მორიგდებით, ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება და სიხარული იქნება.

ბათას ვაჟები გაკვირვებით მიაჩერდნენ დუდას, მოციქულს ისევ უსიამოვნოდ უციმციმებდა თვალები და მაშინვე მიხვდნენ, ეს კაცი ალიქაანთ ოჯახიდან იყო მოგზავნილი, მაგრამ რაზე, ამას კი ვერ მიმხვდარიყვნენ ჯერჯერობით.

ცოტახანს დუმილით შესცქეროდნენ ერთიმეორეს, მერე ალსანბეგმა იკითხა:

— ჩვენმა ბიძებმა და ბიძაშვილებმა გამოგაგზავნეს, არა?

— დიახ, კარგად მიხვდით.

— ნეტავი, რა სამოციქულო საქმე გაუჩნდათ ამ ბოლო დროს? — დაეკვდა ასლანბეგი.

— არა ვთქვა და, გული მეწვის, ვთქვა და, ეიცი გაწყენინებთ, მაგრამ რაკი მოვედი, მეტი გზა ღარა მაქვს, უნდა ვთქვა. ბიძებმა და ბიძაშვილებმა შემოგითვალეს, ბათას სიკვდილის შემდეგ მისი დატოვებული უძრავ-მოძრავი ქონება და ადგილმამული თქვენ ღარ გეკუთვნით უფლებით და გვარს უნდა გადაეცესო.

ასლანბეგი გააშტერა ამ სიტყვების გაგონებამ.

— ვითომდა, რატომო? — აენთო ბუძი.

— რატომო და, წესსა და ადათს ვერ დავარღვევთო.

ასლანბეგი უკვე მიხვდა რაშიც იყო საქმე. ბევრჯერ მოუკრავს მას ყური, ვილაც-ვილაცეები ჩურჩულებდნენ მის დანახვაზე: შეხე, ნომილ-უსის ნაშიერი მოდისო. ამ ლანძღვისა და დაცინვისათვის მაშინ რაიმე დიდი მნიშვნელობა არ მიუცია, ახლა კი გულზე გაჰკენწლა. გული აუდუღდა ბრაზისაგან და თვალებში რისხვა აენთო, მაგრამ ასლანბეგი საერთოდ დიდი ნებისყოფისა და თავშეკავების ადამიანი იყო და ახლაც თავი დაიჭირა, ბრაზი გულში დამალა და ღიმილით შეეკითხა:

— დუდა, როგორ გაეგოთ შენი ნათქვამი?

მოციქულმა თავისი უხეში წვერები თითებით ჩამოიფოცხა, ასლანბეგს პირდაპირ თვალებში შეხედა და მიუგო:

— ამას რა დიდი გაგება უნდა; სახლიკაცები თავისი გვარის მატარებლად არ გთვლიან, და მიწას გართმევენ. ეგაა და ეგ.

ბუძი ისევ აენთო:

— რას ამბობ, რას? აქამდე ერთი გვარისანი ვიყავით და ახლა გავხდით სხვები? აქამდე ბათას შვილები ვიყავით და რაკი ბათა მოკვდა, ახლა ღარა ვართ მისი? კარგი იქნება, მამაჩემის სახლიკაცები იმასაც თუ შემოგვითვლიან და გაგვგებინებენ, ვინ გაგვაჩინა ამ ქვეყანაზე ან ჩვენ და ან ბ.ათა?

— საკვირველი ის არის, — ძმის დაწყებული შეკითხვა გააგრძელა ასლანბეგმა, — ბათა თუ მათი ძმა იყო, ჩვენ ღარაფერი ვართ მათთვის? თუ ბათას ჰქონდა სახნავ-სათესი მიწა და სახლ-კარი,

ჰამის ქონება შვილებს რატომ არ უნდა დარჩეს? ვინ წაართვა შვილებს ეს უფლება? მე, სწორი რომ გითხრა, არ მესმის, რამ აუბნია თავ-გზა ჩვენს სახლიკაცებს, ასე რომ შევთგვითვალეს? ალბათ, მთვრალები იყვნენ, თორემ ფხიზელი ამგვარ რამეს როგორ მოჩმახავს?

— ეჰ, ჩემო ასლანბეგ, თავისტეხვაცა და უბედურებაც იმაშია, რომ ბიძებს ბათას მემკვიდრეებად არ მიაჩნიხართ თქვენ. ასე იძახიან: ბათა კი იყო მათი მამა, მაგრამ დედა, ცალონი, ხომ მდაბიოთა წრიდან გამოსულ ქალად ითვლებოდაო. აი, სად მარხია ძაღლის თავი.

ასლანბეგს გულში დამალული ბრაზი კიდევ უფრო აუდუღდა, სახე წამოეწითლდა და თვალები ნაშიშვლები ხანჯლებივით აუპარპალდა, მაგრამ ერთხელ კიდევ შეიკავა თავი და კვლავ დამშვიდებით უთხრა:

— დუდა, თუ ბიძები სხვა დანაშაულს არ გვყენებენ, ჩვენ მივიღებთ მაგ უნებლიე დანაშაულს. დასაფიცი რა არის, ნამდვილად ცალონის ვაჟები ვართ და ეს ამბავი არც გვესირცხვილება, პირიქით, გვეამაყება კიდეც. არ გვინდა წარჩინებულთა გვარი, ჩვენ ჩვენი კარგი კაცობა და ვაჟკაცობა გვეყოფა სახელად. წარჩინებულთა გვარს ხალხი სხვის დასაჩაგრავად იყენებს, ჩვენ კი არავის დაჩაგვრას არ ვფიქრობთ. ჰო, ჩვენ არ გვქირდება ალიქაანთ გვარი, მაგრამ რა ჩვენი ბრალია, თუ ეს გვარი მამამ მოგვცა კანონიერად? ამის. უარყოფა ხომ არ შეგვიძლია ახლა? რასაკვირველია, არა.

— მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ... — ჩაურთო დუდამ.

— ჩვენო კარგო დუდა, დიდი მადლობელი ვართ შენი, ბიძების ზრახვები რომ გაგვაგებინე, მაგრამ, თუ საწყენად არ დაგრჩება, ერთხელ კიდევ გაისარჯე და ჩვენი საყვედური გადაეცი მათ იმის გამო, მთელი გვარის უფროსი კაცი სამოციქულოდ რომ გამოგაგზავნეს გზაზე. ნუთუ სხვა ვერავინ იპოვეს ამ საქმისთვის? — ასლანბეგმა გაკვირვებით გაშალა ხელები.

— გულახდილად უნდა გითხრა, ასლანბეგ, ნამდვილად არ მინდოდა ამ საქმეში ჩარევა, მაგრამ სხვას არ ენდნენ: შენ ამჟამად ორივე ოჯახის მოყვარე ხარ და მიკერძოების გარეშე მოაგვარებ ყველაფერსო. ხომ გაგიგონია, სიტყვა ქვასა ხეთქავსო. ჭრელია ხალხი, ყველას ვერ ენდობი. სხვა ვინმე რომ გამოეგზავნათ მოციქულად, შეიძლება რომელიმე მხარეს მისდგომოდა, თქვენი ან მათი სიტყვა უკეთმა მიეტანა და გვარში მტრობა ჩამოეგდო, მე კი ფინდა საქმე დავიდარაბის გარეშე კეთილად მოვაგვარო, ხომ იცით ჩემი გულის ამბავი? აი, იქიდან ხომ სწორად მოვიტანე სიტყვა? აქედანაც სწორად წავიღებ და ერთიმეორეში გაუგებრობას აგარიდებთ, მშვიდობით დავამთავრებ ყველაფერს. ბედნიერებასაც და უბედურებასაც ასეთ დროს მოციქული აშენებს. ჰოდა, მე მინდა თქვენს შორის ბედნიერება ავაშენო, რადგან ორივე მხარე ჩემი მოყვრები ხართ ახლა.

— კარგი სიტყვაა, ღმერთმანი. — დაუდასტურა ასლანბეგმა და განაგრძო. — ჩვენ სამტრო არაფერი გვაქვს მათთან. ასე გადაეცი ბიძებს: თქვენს შემონათვალში მეექარა ისმის და ეს არაა კარგი თქო. ძმები ვართ და ძმურად მოვრიგდეთ, რა საჭიროა ძალის ხმარა-თქო. მიწები უნდათ? მიწა კაჰქცევი ხომ არაა, მოვიდნენ და თუ ეკუთვნით, წაიღონ, ალალი იყოს მათთვის თავიანთი კუთვნილი. ახლა კარი უნდათ? თუკი მათ ეკუთვნით, ამასაც შევეღეთ, წაიღონ, ძმებს შორის რომ ხანჯალი ატრიალდება, ამაზე დიდი უბედურება არ არსებობს ქვეყანაზე. მოვიდნენ, მოვილაპარაკოთ და საქმე ერთობლივი ფიქრითა და სიტყვით გადავწყვიტოთ. აი, ესაა ჩვენი საბოლოო პასუხი.

დუდას უნდოდა ბათას შვილებისათვის ისეთი ცეცხლი დაენთო გულში, ახლავე ეემხედრებინა ბიძების წინააღმდეგ, მაგრამ არ გამოუვიდა ოინი, დაკვირვებული და დინჯი ასლანბეგი ვერ შეაცდინა, ვერ გაბა მახეში. ეწყინა ეს ამბავი, მაგრამ გული კი არ გაიტეხა: საქმის სადავე მე მიჭირავს ხელში და როგორც მინდა, ისე შევაბრუნებო, ფიქრობდა.

— გმადლობთ, სახელოვანო ბათას ვაჟკაცებო, ასე კარგი და წესიერი პასუხისათვის. — თქვა დუდამ წასვლის წინ. — კარგი მამის შვილები ხართ და თქვენი ყოველი სიტყვა კეთილშობილურ ალზრდაზე მეტყველებს. ასეთ შორიდებულ და წესიერ ადამიანებს ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავ. მე თავიდანვე ვფიქრობდი, რომ ამ საქმეში ბათას შვილები ცამდე მართლები და უბადონი არიან-მეთქი და გამართლდა ჩემი ფიქრი. მართალია, მე იმ ხალხმა ამირჩია თავის მოციქულად, მაგრამ, გულახდილად ვიტყვი, ახლა გული მომდის

ძათზე. დედათქვენი, ეს საუკეთესო გულწმინდა და უცოდველი დედაკაცი აგდებით არ უნდა ეხსენებინათ, არ უნდა დაემცირებინათ უდანაშაულოდ და უსაფუძვლოდ. დედათქვენი სრულებითაც არაა ბოგანო ქალი. ვერც ერთი დიდგვაროვანი მანდილოსანი ვერ შეედრება მას. თქვენც გეტყობათ, ყველაფერში უბრალო დედის შვილები რომ არა ხართ. სირცხვილი, სირცხვილი ალიქაანთ თავკაცებს, ავი სიტყვა რომ გამომატანეს ასეთ სულგრძელ ადამიანებთან. ისინი ბათას ძმები კი არა, მტრები ყოფილან, ფარული მტრები. აბა, სხვა ასეთ რამეს როგორ გაბედავდა!? საწყალ ბათას საფლავშიც გაკიებაც არ აცალეს, ისე ადრე დაიწყეს მის ოჯახთან დავა. კაცი საფლავიდან რომ ადგეს, რას ეტყვიან, რას? შენს შვილებს ყველაფერი ძალით წავართვითო? ფუი, მათ ნამუსს!— განგებ გაგულისებულმა დუდამ პირდაპირ ბუხარში შეაფურთხა. ფურთხი ნაკვერჩხალზე დაეცა და აშიშხინდა. მერე კვლავ განაგრძო: — ახლა წავალ და რიგიან საყვედურს ვეტყვი ასე აჩქარებისათვის. თქვენს პასუხს რომ გადავცემ, მგონია, ჭკუაზე მოვლენ და მეორედ აღარ გაბედავენ ასეთ რამეს, თუ საერთოდ თქვენდამი რაიმე მტრობა არ უძევთ გულში. გმადლობთ ამ ალალი სუფრისა და გულუხვობისათვის.

დუდა წამოდგა.

ძმებმა სოფლის წყარომდე მიაცილეს სტუმარი, ბოდიში მოუხადეს, ისე ვერ დაგხვდით, როგორც შენისთანა კაცს ეკადრებოდაო, გზამშვიდობისა უსურვეს და გაუშვეს.

* *

ალიქაანთ ოჯახში მიბრუნებულმა დუდამ თავში ხელები წაიშინა და ერთი ვაი-ვიში ასტეხა:

— ჩემო კეთილო მეზობლებო, არ დაიჯერებთ, არა, რა უსინდისო და ბოროტი შვილები დაუტოვებია იმ სახელშერცხვენილ ბათას. ვერ გამოვდექი კარგი მოციქული, ვერა. შუაკაცმა ენა ისე უნდა გალესოს, მოჩხუბრები შეარიგოს, მათ შორის მშვიდობა დაამყაროს. მხოლოდ ასეთი შუამავალი იმსახურებს პატივისცემას, მხოლოდ ასეთი მოციქულია ბედნიერი. მე კი ვერ გამოვდექი კარგი, ვერა. თქვენი დანაბარები რომ გადავეცი, ბათას შვილებმა იმდენი გინების სიტყვა დახარჯეს თქვენი მისამართით, ცხრა ჯორ-აქლემს ეყოფოდა საპალნედ. ნომილ-უსები ჩვენ კი არა, თვითონ ისინი არიან და მათი მიწები ჩვენ უნდა გადმოგვეცესო. გამოლმა გედავებიან და კიდეც იმუქრებიან, თუ ნებით არ მოგვცემენ გვარის კუთვნილ სახნავსათეს მიწებს, ხმლით და თოფით წავართმევთო. მიდი და ელაპარაკე ახლა იმათ მშვიდობაზე და ზრდილობაზე. ველურები არიან, ნამდვილად ველურები. ასეთი გაუთლელი ადამიანები ჩემს სიცოცხლეში არსად შემხვედრიან. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, ბათას შვილებმა ძღვნად გამოგიგზავნეს თაგვი, ბაყაყი, ჩიტი და ცხრა ისარი. ან მიწაში ჩაძვერით, როგორც თაგვები; ან წყალში დაიმალეთ, როგორც ბაყაყები; ან ცაში აფრინდით, როგორც ჩიტები, თუ გინდათ ჩვენს ისრებს გადაურჩეთ ცოცხლებიო. ამაზე მეტი დამცირება, შეიძლება კიდევ? თქვენ ჯერ კიდევ მაშინ წააგეთ ჭკუა, როცა ყასბულათის ქალიშვილს ნება დართეთ ცალონის ვაჟ ასლანბეგს ცოლად გაჰყოლოდა. ყასბულათი, მოგეხსენებათ, ისეთი დიდგვაროვანი კაცია, ცაც კი მისი შიშით ხმამაღლა დაქუხებას ვერ ბედავს, ხოლო ყასბულათის ქალიშვილი ისეთი ლამაზი, ციდან ვარსკვლავებს კრეფს. ასლანბეგს რომ ეს ქალი ცოლად დაუსვით და წინააღმდეგობა არ გაუწიეთ მაშინ, რასაკვირველია, ახლა დაიკენებს, მე ნამდვილად ალიქაანთი ვარ წარმოშობით, სხვები კი ყველა ნომილ-უსიაო. აი, სად მარხია ძაღლის თავი! ასლანბეგს უმდიდრესი ცოლი უზის სახლში. წელზე ვერცხლით მოსევადებული სატევარი ჰკიდია, თქვენ კი რა ხართ იმასთან შედარებით, რა? თავისთავად დაჩაგრულები ხართ მისგან და ეგ არის. მალე იმასაც მოითხოვენ თქვენგან, ძილის წინ ფეხისგულები მოგვეფხანონ, ეგებ უკეთ დაგვეძინოსო. მე ჩემი ვთქვი, ახლა თქვენი ნებაა, რაც გნებავდეთ, ის გააკეთეთ. თქვენს საქმეში აღარ ჩავერევი. ისე კი ვიტყვი, რომ ძალიან ქალაჩუნა ხალხი ყოფილხართ, ამდენს რომ უთმენთ იმ ძაღლის ლეკვებს.

ალიქაანთნი აყაყანდნენ. ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიდნენ. შავი ცეცხლი დაინთეს გულებში. დარდობდნენ, ბათას შვილები აჯამდე არ უნდა მოგვეშვა, ადრეე უნდა ამოგვეხოცა, სანამ ასეთ რამეს გაგვიბედავდნენო. გვარის სიწმინდე შეგვილახეს და ახლა ჩვენც მოსპობით გვემუქრებიან, ამაზე მეტის მოთმენა როგორ შეიძლებაო.

ყველაზე მეტად მაინც ცორა აღელდა, დუდას

სიძე. იგი საერთოდ ცხელსისხლა ბიჭი იყო, აჩქარებული და საქმეში დაუკვირვებელი. მისმა სიმამრმა სიტყვა რომ დააბოლოვა, უცებ აფეთქდა, უფროსები არად ჩააგდო, მთის წესი დაარღვია, არავის გაანდო თავისი ფიქრი, არავის არ შეეკითხა რამეს და ისე გაიქცა სახლში, თოფს დაავლო ხელი და გაცეცხლებული გაეშურა ბათას სახლისკენ. უნდოდა თავისი ვაჟკაცობა დაემტკიცებინა.

• •

დუდას წასვლის შემდეგ ბუხართან დამჯდარი ძმები დიდხანს თათბირობდნენ. ატყობდნენ, მათ ირგვლივ შავი ღრუბლები გროვდებოდა, ავი დარის მომასწავებელი, და სურდათ გაეგოთ, რაში იყო საქმე? აქამდე ალიქაანთნი ცივი გულით არ უცქეროდნენ ბათას შვილებს და ახლა რა მოხდა, ასე რომ ამუკრებიან. დუდას მოსვლამ სადარდებელში ჩააგდო ასლანბეგი და ბუძი. ბევრი რამ, დუდას ნათქვამი, აეკვეებდა მათ.

— სწორედ გასაკვირია, ღმერთმანი, — ამბობდა ასლანბეგი, — რა ქონება გვაქვს ისეთი, რომ ამის გამო ბიძებმა შურით გვიცქირონ? კარგი კაცის სახელი გვაქვს გავარდნილი, ეგაა და ეგ ჩვენი სიმდიდრე, ამ სიმდიდრეს კი ვინ წაგვართმევს? ვერავინ.

— ასლანბეგ, ხომ გახსოვს ერთხელ არკას ველზე ვიღაც ავყია კაცი ახბოლს რომ უპირებდა მოკვლას, შენ რომ მიეშველე და ის ოხერი წუთისოფელს გამოასალმე? — ჰკითხა ძმამ.

— მახსოვს, მერე?

— ის ავყია კაცი, შგონი, დუდას გვარისა იყო.

— აჰა! ახლა მომაგონდა. შენი ეკვი უსაფუძვლო არ უნდა იყოს. შეიძლება დუდამ ის ამბავი შეინახა გულში და ახლა ცდილობს ჩვენს გვარში ღვარძლი დათესოს და ერთმანეთი დაგვახოცინოს. აბა, როდის მომხდარა, რომ დუდა ვიწმეს შუაკაცად დასდგომოდა? ალბათ უნდა თავისი გულის ჯავრი ამ გზით იყაროს. ერთი კია საეკვო, ჩვენ, ვთქვათ არ გვინდობს და არ გვინდობს, მაგრამ თავის სიძეს რაღას უპირებს? ისიც ხომ გაერევა ამ სისხლის ღვრაში? მოკლედ, რაღაც საიდუმლო იმალება დუდას მოციქულობაში და ვნახოთ, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე.

• •

მეორე დღეს მზიანი დილა გათენდა. ასლანბეგს სახლში ყოფნა რომ მოსწყინდა, თავის ეზოს გასცდა, მზიან ბორცვზე ავიდა, იქ ერთი თეთრი ქვა იდო, იმ ქვაზე ჩამოჯდა და მათრახის დაწვნას მიჰყო ხელი.

ამ ქვაზე ჯდომა საერთოდ უყვარდა ასლანბეგს. შემოგარენს ისე თავისუფლად გადასცქეროდა აქედან, თითქოს მთელი ქვეყანა ხელისგულზე ედო.

მათრახის წვნა რომ დააბოლოვა, ადგა და სახლში წამოსვლა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს იქვე მახლობლად, ხევში დაიქუხა თოფმა. ტყვიამ ასლანბეგის შავი ჩოხის მასრებს თეთრი თავები მოამტვრია. შეცბა ვაჟკაცი, მაგრამ არ დაიბნა, უმალვე იქით გაიქცა, საიდანაც თოფის ხმა მოესმა. ჯერ დენთის კვამლი ცაში გაფანტულიც არ იყო, დაჭრილი ვეფხვივით გამძინვარებული ასლანბეგი მსროლელის გვერდით რომ გაჩნდა.

ცორამ თოფის მეორედ გატენა ვეღარ მოასწრო, ისე სწრაფად გამოსტაცა ასლანბეგმა. წახდა ცორას ვაჟკაცობა, დაიბნა, აკანკალდა.

— ცორა, შე ვერაგო ცორა, ნათესაობის მადლი კი გაგიწყრეს შენ, რა გინდა ჩემგან, რა? ჩემს მოსაკლავად მოხვედი, არა?

ასლანბეგმა თოფის კონდახი ცორას გაფითრებულ სახეს მოუღირა. ვინ იცის კიდეც ჩაერტყა მისთვის და შუბლი ჩაელეწა, მაგრამ ცორას ბედად ამ დროს საიდანღაც გაჩნდნენ ნასაყინი და გუთაზი. ალიქაანთა ვაისადგა[1] რძლები. ერთიმეორის პირისპირ სამტროდ დამდგარი ბიძაშვილები რომ დაინახეს, უმალვე მანდილები მოიხსნეს და ასლანბეგს გაუფინეს წინ[2].

— ასლანბეგ, ჩვენი ხათრით აპატიე დანაშაული ცორას. — წამოიძახეს ქალებმა ერთხმად.

ასლანბეგი ერთ ადგილზე დაესო, თოფი კომბალივით დაიჭირა ხელში, თავი დახარა, წარბებქვეშიდან მრისხანედ შეუბღვირა მომხდურს, ღრმად ამოიოხრა და დაიბრუხუნა:

— ცორა, იცოდე, დღეს შენი ვარსკვლავი მოწყდებოდა ციდან, მაგრამ ჩვენმა ვაისადგა რძლებმა უფროს მაზლებს რამდენიმე წლის მანძილზე პატივისცემის

[1] ვაისადგა — ოსეთში წინაპრ რძლები მამამთილებსა და ნიშნად ხმას არა სცემდნენ. ამას ეძახდნენ ვაისადგას.

[2] წინათ ოსეთში წესად იყო, ორ მოიხუბარს თუ ქალი შუაში მანდილს გაუშლიდა, ამ მანდილს ვეღარ გადააბიჯებდნენ, უნდა გაზიგებულიყვნენ.

გიშველეს, მთის ადათმა შეგინარჩუნა სიცოცხლე. მადლობა მაინც გადაუხადე შენს დამხსნელ ქალებს!

ცორას აღარც ქალებისთვის შეუხედავს და აღარც ასლანბეგისთვის. თავი ჩაღუნა და მთვრალი კაცივით აბარბაცებული გაუყვა გზას სახლისკენ.

ქალებმა მანდილები აიღეს.

ამ დროს ასლანბეგთან მოიჭრა ბუძი:

— რა ამბავია, ძმაო?!

იგი აპირებდა, ცორას გამოჰკიდებოდა და მოეკლა, მაგრამ ასლანბეგმა დაუშალა:

— ეგ, როგორც ვაჟკაცი, უკვე მკვდარია და ისე კი იყოს ამ ქვეყანაზე, მაგანაც ულაპოს ჰაერი!

ბუძი დაშოშმინდა.

— როგორც ხედავ, ძმაო, ჩვენი ბიძები საბოლოოდ გადაგვეშტერენ. — თქვა ასლანბეგმა. — ხოლო თუ მტერს ვაჟკაცურად არ დაუხვდი, დაბალ ლობესავით გადაგთელავს, ბალახივით მოგსრისავს. ყოველ წუთში მზად იყავი საბრძოლველად. რაკი სიკეთემ არ გასჭრა და საქმე ხმალსა და თოფზე მიდგა, ბათას შეილებმა თავი არ უნდა შევირცხვინოთ, ქვეყანას დავუმტკიცოთ ჩვენი სიმართლე.

— მე მუდამ მზადა ვარ, ასლანბეგ. — უპასუხა ბუძიმ. — ერთი სული მაქვს, ერთი ხანჯალი და ერთი თოფი, ესენი ყოველთვის თან დამაქვს და მეტი რა მინდა!

— მოთმინება და თავდაჭერილობა. თუ ავჩქარდით, სიმართლის გზას გადაესცდებით. სიმართლის გზას გადაცდენილი კი მალე მარცხდება. ეს გახსოვდეს მუდამ: ერთი სიმართლე ათას სიცრუეზე ძლიერია. საბოლოოდ სიმართლე იმარჯვებს ქვეყანაზე. — უთხრა უფროსმა ძმამ უმცროსს და სახლისკენ გაუძღვა.



თაბრეთ ბესათი

გეთა

(მოთხრობა)

ონავარ ბიჭად იზრდებოდა გეთა, მწყემსის შვილი. როცა ის მთის ვიწრო ბილიკით მოდიოდა, ყველა გებულობდა ამას, ხან ნაპრალის ერთ მხარეს გადახტებოდა, ხან მეორეზე, ხან ქვებს ისროდა და ისეთ ხმაურს ასტეხდა ხოლმე, რომ ძაღლები აყეფდებოდნენ, ხოლო ქათმები ხმამაღალი კრიახით აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ.

ხშირად მიდიოდნენ მწყემსთან საჩიველელად:

— ცოლა, შენ საწყალი მწყემსი ხარ. არ შეიძლება შენი ბიჭი ასე თავხედობდეს. მიაქციე ყურადღება, თორემ რას ჰგავს ეს? არავის ქუჩაში წყნარად არ ატარებს!

ცოლა კი ჩუმად ისმენდა. ერთხელ შვილს უთხრა:

— შვილო, რატომ ხარ ასეთი ანცი? თუ ამდენი ძალა გაქვს და ასე გიყვარს სიმღერა და სტვენა, შეხედე ირგვლივ, მთებზე რამდენი გაშლილი საძოვრებია, წამოდი. ჩემთან, შომეხმარე ჯოგის მწყემსვაში.

— მართალია, მამა. ქუჩები ჩემთვის ვიწროა, წამოვალ შენთან იალაღებზე და იქ ვიმღერებ და ვიცეკვებ, რამდენიც მომესურვება.

და აი ბიჭმაც დაიწყო ტყეებში ხეტიალი, თან ხმამაღლა გასძახოდა მხიარულ სიმღერებს. ჭაღარა მთები მას გამოძახილით ბანს აძლევდნენ. როცა შუადღისას ჯოგი ისვენებდა, ხოლო ცოლა იძინებდა, გეთა ჩაჯუმბდა ხოლმე თავის ჯოხს მიწაში, ზედ პატარა ნაცრისფერ ნაბადს ჩამოჰკიდებდა და დაიწყებდა ხოლმე მის გარშემო მხიარულად ცეკვას. ხმამაღლა სცემდა ტაშს, სწრაფად უსვამდა ფეხებს და თავის წკრიალა ხმას ისე კარგად უწყობდა ცეკვას, რომ ჰარმონიკა აღარც კი იყო საჭირო.

ეს სიმღერა აღვიძებდა ხოლმე ცოლას, ის დიდხანს დაჟინებით უცქეროდა ბიჭს და ღრმად ოხრავდა, თითქოს შურდა მისი მხიარულება. მამას, რასაკვირველია, ძალიან უნდოდა, რომ შვილი მალე დავაჟკაცებულიყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირად ფიქრობდა: „დაე დიდხანს გაჰყვეს ასეთი უდარდელი დღეები“.

ცოლა გულჩახვეული კაცი ყო, ის დიდხანს იჯდა ხოლმე ბანთან და თვალი სადღაც შორეულ მთებისაკენ მიეპყრო. ასეთ წუთებში გეთა მიდიოდა მამასთან, ეფერებოდა და ცდილობდა, სხვადასხვა ხუმრობით გაემხიარულებინა, მაგრამ ცოლაზე არაფერი არ მოქმედებდა.

ერთხელ გეთამ დაჟინებით დაუწყო მამას გამოკითხვა, თუ რამ ჩააფიქრა იგი. მამამ უპასუხა:

— თავი დაანებე სულელურ სილაღეს. მაგის დროა? უკვე რევოლუციის მეორე წელია და შენ კი ჯერ სკოლაში არც გისწავლია, ჩემთან ნახირს მწყემსავ. რატომ?.. მიტომ რომ ომია.

მამა გაბრუნდა და ჯოგს მეორე მხარეს მოუარა, გეთა კი ერთ ადგილზე დარჩა გახევებული.

საძოვრებზე თეთრების რაზმი გამოჩნდა. ცოლა შეშინებული ადევნებდა თვალს მათ მოახლოებას.

— ეგენი მე მომდევენ, — თქვა ბოლოს ცოლამ, — ყური დამიგდე, გეთა. თუ მე დამიჭირონ, არ დაგაეიწყდეს... კომისარს, გაიგე?.. საჭმელი ენდა მიუტანო დიდ გამოქვაბულში... და გარდა „არ ვიცისა", არავისთან არც ერთი სიტყვა... თუ რამე დაგჭირდეს, ჰკითხე ხარიტონს... გაიგე?

მაგრამ გეთამ ვერაფერი ვერ გაიგო. ის ისე უსმენდა, თითქოს სიზმარში ყოფილიყოს. მაგრად მოეხვია მამას, მკერდზე მიეკრა, მაგრამ ვილაცას დიდმა, ტლანქმა ხელებმა მოაგლიჯა ის მამის მკერდს და ვანზე გატყორცნა. გეთა მივარდა თეთრგვარდიელებს, მაგრამ იმათ სიცილი დააყარეს და ხელები შეუკრეს. ცოლამ, როცა მიჰყავდათ, ბლეერით შეხედა შვილს და უთხრა:

— ცხვრები მომწყემსე და სისულელეს თავი დაანებე!

გეთამ კვლავ ვერაფერი გაიგო. ჩუმად იდგა ადგილზე და უცქეროდა, როგორ მიჰყავდათ მამამისი აულის მიმართულებით.

საღამოთი გეთამ მორეკა ცხვარი აულში, ნაღვლიანად წავიდა სახლისაკენ. მალე მას მოჰყვა ხარიტონი.

— ცოლას არაფერი დაუბარებია ჩემთან? — ჩუმად, ჰკითხა მან გეთას.

— არაფერი. — თავაუღებლად უპასუხა გეთამ. იგი მიწას ჩასცქეროდა.

რამდენიმე ხანს ხარიტონი და გეთა ჩუმად იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ. მერე ხარიტონმა ხიში კუთხეში მიიყვანა და კვლავ ჩუმად, მაგრამ დაჟინებით ჰკითხა:

— ნუთუ არაფერი არ გითხრა გამოქვაბულზე და კომისარზე?

— შენ რაო, კომისარი ხარ? — ჩაიცინა და ისე ჰკითხა გეთამ.

ხარიტონს გული მოუვიდა და ჩუმად უთხრა:

— ახლა ხუმრობის დროს არ არის, ბიჭო. მამამ არაფერი არ დაგავალა?

გეთა გამომცდელად უცქეროდა ხარიტონს.

ხარიტონი ისეთი მაღალი ტანისა იყო, გეგონებოდათ, ეს-ეს არი, თავის სიმძიმის გამო მიწაში წავალ. სახე თეთრი ჰქონდა, თვალები კი ბალლივით ცისფერი. მას თავის დიდრონ ფეხებზე არჩები ეცვა.

თუკი არაფერი უთქვამს, რა გაეწყობა. წაეედი! — უთხრა ხარიტონმა და კარისკენ გასწია.

მაგრამ პატარა გეთამ დაუძახა:

— ხარიტონ!

— რა იყო?

— მამამ მიბრძანა, რომ ყველაფერი შენ გკითხო. მითხარი, რისთვის წაიყვანეს მამა?

ხარიტონმა სიფრთხილით მიმოიხედა და, რა დაინახა, რომ ქოხში არავინ იყო, ჩუმად უთხრა:

— მამაშენი ბოლშევიკია, გეთა. ვილაცამ დასმინა თეთრების შტაბში. მაგაზე თქვეს, რომ იცის, სადაც იმალება ბოლშევიკების რაზმის რუსი კომისარი და ჩუმად დაიქვს მასთან სანოვაგეო, გაიგე?

— ეს მართალია? — იკითხა შეშინებულმა გეთამ.

— მართალია. დაჭერილია. მაგრამ... — ხარიტონმა ველარ მოასწრო წინადადების დამთავრება, ქოხში გეთას დედა შემოვიდა.

— რას ჩურჩულებთ აქ? — იკითხა ქალმა.

— ისე, არაფერს. ხვალ ალბათ მე თვითონ გავრეკავ ნახირს... ღამე მშვიდობის! — თქვა ხარიტონმა და წავიდა.

დედაშვილმა მიმავალს თვალი გააყოლეს.

ახლა ნახირს ხარიტონი და გეთა ეწყემსავდა.

პირველ ორ დღეს ხარიტონი არაფერს არ ეკითხებოდა ბიჭს გამოქვაბულზე და კომისარზე, მაგრამ მესამე დღეს უთხრა:

— გამიგონე, გეთა, თუ დღეს გამოქვაბულში საჭმელი არ წავიღეთ, ამბანაგი შიმშილით დაიღუპება. კომისარი დაჭრილია, მისი გამოქვაბულიდან გამოსვლა არ შეიძლება. უწინ იმასთან ცოლა დადიოდა...

— მე წავიღებ საჭმელს, ხატო, ოღონდ გზა მაჩვენე!

— ეს ძალიან ფრთხილად უნდა გააკეთო, გეთა, გესმის? ვინც კომისარს ნახავს და თეთრებს უჩვენებს, იმას თეთრების უფროსი ზევრ ფულს პირდება. კომისარს ეძებენ.

— მე ძალიან ფრთხილად, ძალიან ფრთხილად... — არწმუნებდა გეთა.

გათენდა. თეთრმა ნისლმა დაფარა მიწა. ხარიტონმა ნახირი მაღლა მთის საძოვრებზე გარეკა, მაგრამ გეთა მასთან არ იყო. ამ დროს ბიჭი ნელა მია-

ბიჯებდა ღრმა ხეობაში, ჩქარი მდინარის ნაპირნაპირ. ამ გზას იგი გამოქვაბულში მიჰყავდა.

რაც უფრო უახლოვდებოდა ბიჭი დანიშნულ ადგილს, მით უფრო უძგერდა გული. მას ძველი მაუდის ხალათი სულ მთლად გაუოფლიანდა. როცა გეთა იღლებოდა, ფრთხილად იხსნიდა ზურგიდან თავის ტვირთს და ქვაზე დგამდა, რომ მერე უფრო იოლად აეწია.

„მალე მივალ, სულ მალე, გამოქვაბულამდე ცოტა დარჩა" — იმხნევებდა თავს გეთა ტვირთის აწევის დროს. გეთას უკვე უნდოდა გზა განეგრძო, რომ უცბათ სისხლი გაეყინა ძარღვებში, ადგილზე გაქვავდა: მის ნაკვალევზე, რამდენიმე ათეული მეტრის მოშორებით, დიდ ჯოხზე ბჯენით ფრთხილად მოიპარებოდა გრძელჩოხიანი კაცი.

„ვინ არის"?—გაიფიქრა გეთამ და დაამტერდა, მაგრამ იგი უკვე დაიმალა. ბიჭი ქვაზე დაეშვა. „დავიღუპეთ" — სასოწარკვეთილებით აღმოხდა მას. მაგრამ ირგვლივ არავინ იყო, რომ ვინშეს გაეგონა მისი ეს კვნესა.

გეთამ კვლავ აიღო თავისი ტვირთი, ფრთხილად ავიდა პატარა სერზე და როცა იგი თავის მდევნელის. თვალთაგან მიეფარა, სასწრაფოდ დამალა კლდის ქვეშ პერის დიდი ყუა. შემდეგ ჩამოირბინა სერიდან და არც მიუხედია, ისე გასწია საძოვრებისაკენ.

გეთა უკვე კარგა დიდ მანძილზე გასცდა გამოქვაბულს, ქვაზე ჩამოჯდა, მოიტეხა ჭადი, და ის-ის იყო დააპირა, ჭამას. შედგომოდა, რომ ამ დროს, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მისი მდევარი გაჩნდა.

— გამარჯვება, ბიჭო! — ღიმილით უთხრა მან, — როგორ უნდა მიიტანო საგზალი, თუკი ნახევარს თვითონვე გზაში შეჭამ?

გეთამ იცნო თავის სოფლელი ტუპჩანი. თუმცა ტუპჩანს იარაღი არ უჩანდა, მაგრამ ბიჭს შიშისაგან გული აუძგერდა. გეთამ ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, ტუპჩანი მასთან ჩაჯდა. ბიჭი სდუმდა, შორს იცქირებოდა და გამალებით იღეჭებოდა. არა, ტყუილად არ მისდევდა ეს კაცი კვალდაკვალ. გეთას კარგად ახსოვდა, რომ, როცა თეთრები ხეობაში შეესევდნენ, ტუპჩანმა პირველმა გამოიტანა თავის სახლიდან თეთრი დროშა.

— გეთა, — უთხრა ტუპჩანმა — შენ, ცხადია, იცი, რომ ადამიანებს შორის არსებობენ ეშმაკები. მაგათ მივყავართ ჩვენ დღეუპამდე. იცი, რატომ აწამებენ ახლა ცოლას? აბა მითხარი, ვინც მეფის წინააღმდეგია, ვინც ღმერთის წინააღმდეგია, ვინ არიან ისინი?

— არ ვიცი.

— შენ არ იცი, მაგრამ მე ვიცი. მითხარი, განა ისინი ადამიანები არიან, ვინც მიწის ქვეშ იმალებიან და ხალხს არ ეჩვენებიან?

— არ ვიცი. — გაიმეორა ბიჭმა.

გეთამ აიღო თავისი ტვირთი, მსუბუქად მოიგდო მხარზე და წასვლა დააპირა, მაგრამ ღონიერმა ხელმა უკანვე დასვა.

— გესმის, ბიჭო, შენ მე ზღაპრებს კი ნუ მეუბნები. ახლავე მითხარი, სად იმალება რუსი კომისარი?

ბრჭყალებივით ჩაასო ბეჭში თავისი გრძელი თითები ბიჭს. გეთას მთელი ტანი აუცახცახდა.

— თქვი!

— მე არაფერი არ ვიცი. გამიშვი...

ტუპჩანი გასწორდა, სახეზე ალმური ასდიოდა, ჩოხის უბიდან ნაგანი იძრო.

— გასწი, გამიძეხ! თუ სიცოცხლე გინდა, მაჩვენე, სად იმალება კომისარი.

გეთა ჩუმად იყო, გადაყლაპა დაუღეჭავი ჭადის ლუკმა, გახედა შორს სივრცეს და ვაკაცურად გაიმეორა:

— მე არაფერი არ ვიცი!

მაშინ ტუპჩანმა უთხრა:

— აი ფული... მაჩვენე... შენ ამდენ ფულს ხომ ვერასოდეს ვეღარ იხილავ.

— არ მინდა მე შენი ფული. წამოდი, მე უფულოდაც გაჩვენებ გამოქვაბულს.

ბიჭი სწრაფად წავიდა წინ, მაგრამ ტუპჩანი ისევ ერთ ადგილზე იდგა.

— მართალს ამბობ?

— წამო, წამო, რას გაჩერებულხარ? — უპასუხა გეთამ.

მრავალმა ფიქრმა გაუელვა თავში ტუპჩანს ამ წუთებში. მას არ სჯეროდა, რომ ბიჭი გამოქვაბულს უჩვენებდა, მაგრამ სხვა არჩევანი არ დარჩენოდა და დიდი ნაბიჯებით შიპყვა.

უცბად ბიჭი შედგა და მხიარულად, თითქოს ტუპჩანი მისი დიდი ხნის საუკეთესო მეგობარი ყოფილიყოს, ისე შეხედა.

— აბა, ახლა უკვე ახლოა, — უთხრა მან, — რამდენს მომცემ ფულს? მომეცი ბარემ ახლავე.

ტუპჩანს ეპეი სავსებით გაუქრა.

— მაგისი ნუ გედარდება. არა მარტო ფულს, გენერლის მადლობასაც კი მიიღებ.

კიდევ ცოტა გაიარეს. უცბად გეთამ ძროხების ბღავილი გაიგონა და მიხვდა, რომ მისი მეგობარი ხარიტონი სადღაც სულ ახლოს უნდა იყოს. თავის მოხერხებულობით დამტკბარ ტუპჩანს არაფერი არ გაუგონია. გეთა მიუბრუნდა თავის მხლებელს და ხმამაღლა გაიცინა.

— აბა რომელ გამოქვაბულს მთხოვ, რომელს? — ხმამაღლა იყვირა მან.

მაგრამ იმავე წუთში ძლიერმა მუშტმა გეთა პირზე გაშხლართა. ცხვირიდან სისხლმა იჩქეფა.

— რომელს, რომელს? — შეწყობილი გამოძახილით უპასუხეს მაღალმა მთებმა.

ტუპჩანმა დააპირა ბიჭის დახრჩობა, და ვინ იცის, რით გათავდებოდა ყველაფერი ეს, რომ უცბად თვითონ არ მოეღო ხღართანი მიწაზე. ბავშვს თავი ანება, დააპირა ადგომა და იარაღის ამოღება, მაგრამ კიდევ ერთმა დარტყმამ მოულო ბოლო. გამცუმსა და მოღალატეს მეტი აღარაფერი არც დაუნახავს და არც გაუგია. მას არ დაუნახავს, რომ მწყემსი ხარიტონი მიეშველა პატარა მეგობარს.

— გეთა, შენ ცოცხალი ხარ? ცოცხალი? მე მხედავ?

— ეს შენა ხარ, ხარიტონ?

— მე ვარ, გეთა, მე...

რვა წლის გეთამ თვალი გააxილა და ხარიტონი დაინახა. სახეზე ჩამოდენილი სისხლი ხელით მოიწმინდა, სწრაფად წამოდგა და კვლავ მოიგდო ბეჭზე თავისი ტვირთი.

ნახევარ საათს არ გაუელია, რომ გეთა კვლავ მიუახლოვდა გამოქვაბულს.

მეზობლები

მრავალი წლის მანძილზე, უბრალო მეზობლებად კი არა. განუყრელი ძმებივით ცხოვრობდნენ კალა და კაბო. მხოლოდ კერა ჰქონდათ სხვადასხვა, სუდრა კი ერთი, და, თუ სოფელში სიტყვა ჩამოვარდებოდა მეგობრობაზე, მაგალითად ყოველთვის კალასა და კაბოს მოიყვანდნენ. თვითონაც, როდესაც მაგიდას მოუსხდებოდნენ, პირველ სადღეგრძელოს მეგობრობაზე იტყოდნენ.

კალა მაღალი და ახოვანი მოხუცია. მისი ნაცრისფერი თვალები შეეფერება მის მეტყველ, ოდესღაც ლამაზ სახეს. რაც არ უნდა ეცვას, ვერცხლით მოზარნიშებული ქამარი ყოველთვის მტკიცედ აქვს შემორტყმული. უფრო ხშირად ატარებს გალიფე შარვალს, მაღალ ჩექმებს და ბუხრის ქუდს. ლაპარაკის დროს მის სახეს ღიმილი არ სცილდება.

კალა ხელგაშლილი კაცია, არ ჰგავს თავის მეზობელ კაბოს. სადღეგრძელოს წარმოთქმის დროსაც კი, ცდილობს, რომ რაც შეიძლება ფართოდ გამოთქვას თავისი სურვილები. თუ, ის, ვთქვათ, დოვლათიანობაზე ამბობს სადღეგრძელოს, ბარაქას უსურვებს არა მარტო დამსწრეთ, არამედ მთელი ქვეყნის ხალხებს, მაგალითად: „აბა კაბო, გაუმარჯოთ მათ, ვინც ხალხისათვის ახალ ცხოვრებას აშენებს! დაე, ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში ყველაფერი იყოს იმდენი, რამდენიც მთელ ხალხს ჭირდება! რომ ყოველ რესპუბლიკაში, ყოველ ქალაქში, ყოველ რაიონში, ყოველ სოფელში, ყოველ სახლში და აგრეთვე ამ სახლშიდაც იყოს სავსე ყანწი, რათა ხალხმა იმხიარულოს ყოველ დღესასწაულზე!“ და მხოლოდ ასეთი გრძელი სადღეგრძელოს შემდეგ გამოცლიდა კალა თავის ჭიქას.

პატარა ტანის მკვრივი კაბო კალას გვერდით სქელ კაცად ჩანს. მისი მსუქანი სახის მუქი კანი წითელი ლაქებითაა დაფარული. თავი და პირი გაპარსული აქვს.

თავის მეზობლისაგან განსხვავებით იგი სადღეგრძელოს იწყებს იქიდან, სადაც კალა ამთავრებს, ხოლო, ამთავრებს იქ, საიდანაც მისმა მეგობარმა დაიწყო.

— მე კი ასე ვიტყვი, კალა, ვისაც მე და შენ არ ეუყვარვართ და ჩვენი მეგობრობა ეხარბება, მას არ ელირსოს ბედნიერება, ტანჯვით ამოხდეს სული და ჯოჯოხეთში ჩავარდეს! შენ დოვლათზე

ლაპარაკობდი, დაე, არ მოეშალოს იგი ამ ოჯახს, როცა აქედან გახვალ—მეზობლებს, როცა მეზობლებიდან გახვალ — მთელ სოფელს, შემდეგ ჩვენს რაიონს, შემდეგ მთელ რესპუბლიკას.

ქალას ეღიმება, თვალებს ჭუტავს და ამბობს:

— არაფერი შენ არ გესმის. სახელმწიფო ხომ ეს თვითონ ჩვენა ვართ. თუ სახელმწიფოში ყველაფერი იქნება, მაშინ ხომ ჩვენც უფრო მდიდრები ვიქნებით. გესმის?

კაბოს ისე უჭირავს თავი, ვითომ არ ესმის და ახლა მათი ლაპარაკი სხვა საგანზე გადადის: ისინი იგონებენ თავის განულილ ცხოვრებას.

ქალა და კაბო თანატოლები იყვნენ, მთაში ერთ სოფელში დაიბადნენ, ერთად იზრდებოდნენ და ბედის საძიებლადაც ერთად დადიოდნენ. ბედნიერება მიწას მოაქვს, მაგრამ ვიწა კი არსად იყო. მათ არ იცოდნენ, თუ როგორ მოეპოვებინათ იგი, ოცნებობდნენ მიწაზე და სიზმარშიაც კი ის ელანდებოდათ. ხეობის თავზე გადაქიმული ცა ხარის ტყავისოდენა თუ იქნებოდა: მთები ფარავდნენ მას. ხოლო სახნავი მიწებიდან და მინდვრებიდან, მათ, ბედმა ასეთი ნაგლეჯიც კი არ არგუნა. ისინი მოჯამაგირეობდნენ სხვის მინდვრებზე და სხვის სათიბებზე, მწყემსავდნენ სხვის საქონელს.

ასე მიდიოდა მათი ცხოვრება და თუ ვინმე ერთ-ერთ მათგანზე რაიმეს გიამბობთ, ამით გაიგებთ მეორეს ამბავსაც.

იმ ხანაში, როდესაც თეთრების ბანდებმა მთებს მიაშურეს, კაბომ აიღო თოფი და მეზობელს დაუძახა:

— დადგა დრო, ჩემო ქალა, როცა უნდა ვარჩიოთ ან სიკვდილი და ან სიცოცხლე. მოდიხარ ჩემთან ერთად პარტიზანებთან, წითელი არმიის დასახმარებლად?

— ან სიკვდილი, ან სიცოცხლე! — უთხრა ქალამ, — თავსლაფი დაესხას იმას, ვინც თავისუფლებას არ დაიცავს. წავიდეთ, კაბო.

დასტაცეს თოფს ხელი, გამოეთხოვნენ თავიანთ ოჯახებს და დაუღალავად, დღე და ღამე მამაცად ებრძოდნენ თეთრ ბანდიტებს.

მტერი დამარცხდა. ქვეყნად საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრდა და მთიელებს მიწა მისცა. ფართო მდინარის პირას, ერთმანეთის გვერდით, აიშენეს ქალამ და კაბომ კარგი სახლები — ისევ მეზობლად. მათი ბავშვებისთვის გაიხსნა სკოლის კარები, მათთვის კი ყოველივე, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის და მუშაობისთვის: ტყე, მიწა. დაიწყეს დიდი სახელმწიფოებრივი საქმის, საკოლმეურნეო ცხოვრების შენება. მათი მეზობლების ოჯახები რიგრიგობით შედიოდნენ კოლმეურნეობაში.

— აბა, ჩვენ როგორ მოვიქცეთ, კაბო? შევიდეთ კოლმეურნეობაში თუ არა? ძალას არავის ატანენ, მხოლოდ მდიდრებს არ იკარებენ.

— მაგას როგორ კითხულობ, შენმა მზემ? კოლმეურნეობას ხომ საბჭოთა ხელისუფლება აშენებს. განა ჩვენ მათ წინააღმდეგ წავალთ, ვინც მეფის უღლიდან გაგვათავისუფლა? ამაზე როგორ ვიტყვი უარს, რაც ჩვენი სისხლით მოვიპოვეთ? შევიდეთ, ქალა, შევიდეთ კოლმეურნეობაში.

მუშაობაში სწრაფად გარბიან წლები, რომელთაც ბედნიერება და სიხარული მოაქვთ. ასე გაატარეს ჩვენმა ქალამ და კაბომ მრავალი წელი ერთმანეთთან უცვლელ მეგობრობაში და ერთად იზიარებდნენ ჭირსა და ლხინს.

მაგრამ, აი, მოულოდნელმა უთანხმოების შავმა ღრუბელმა გათიშა ეს ორი მეზობელი. კაბომ ზურგი შეაქცია ქალას, ამრეზით, როგორც უცხოს, ისე უცქეროდა მას. რამდენიმე თვეა, რაც მეზობლისათვის აღარ მიუკაკუნებია, აღარ ეკითხება წინანდებურად მის ცოლს ზალიხანს: „სასმელი არაფერი გაქვს? რაღაც ყელი გამიშრა“. წინათ თვითონ კაბო ეძახდა ხოლმე ქალას.

— ერთი შემოიარე ჩემთან! მარტო არც ჭამა შემიძლია, არც სმა.

— მოვდივარ, მოვდივარ! — უპასუხებდა ქალა.

ახლა კი თითქოს დიდი ხნის მტრები ყოფილიყვნენ, რაღაც ეწყინა კაბოს თავის მეზობლისაგან. აღარ ელაპარაკება, გაურბის, შეხვედვა არ შეუძლია და თავის ცოლს გოსადას უბრძანა:

— არ გაბედო მათთან ახლოს გაკარება, არ დაელაპარაკო, ეგენი უპატიოსნო ხალხი ყოფილან თურმე, მხოლოდ დიდებას მისდევენ.

ერთხელ გოსადამ უსაყვედურა თავის ქმარს:

— შენ რომ არ დადიხარ და არ ელაპარაკები მაგათ, ეგ შენი საქმეა, მაგრამ მე რატომ არ უნდა ვიყო მაგათთან მეგობრულად? ამდენხანს ეგენი იყვნენ ყველაზე უახლოესი შენი მეგობრები, ახლა რა მოხდა ისეთი, რომ უცბად ცუდებად იქცნენ? ეს რომ მკითხო, შენ თვითონ ხარ ყველაფერში დამნაშავე. ასეთი ხარ შენ, გიყვარს, რომ ხელის-

გულზე. გატარონ, შენზე ლოცულობდნენ. ახლა ხალხი ღმერთზედაც აღარ ლოცულობს.

კაბოს გული მოუვიდა ცოლზე და როდესაც დაინახავდა ხოლმე, რომ იგი მხიარულად ეგაასებოდა კალას ან ზალიხანს, უარესად ბრაზდებოდა და ბუზღუნებდა:

— უტვინო, ჩერჩეტო. თავში ერთი ციცქნა ჭკუა არ გიძევს.

კალას ვერ გაეგო, თუ რა ეწყინა მისგან კაბოს. ძალიან აწუხებდა მეზობელთან ასეთი უსიამოვნება, ამდენი წლები კეთილი მეზობლები იყვნენ და უცბად... ტყუილუბრალოდ ცდილობდა კაბოსთან დალაპარაკებას, იგი ყოველნაირად გაურბოდა. კალას არც ეცალა, სულ სამუშაოზე ტრიალებდა. იგი მოხუცთა პირველი ბრიგადის მერგოლური იყო. მათ ეალდებულება იკისრეს, სამაგალითოდ დაემუშავებინათ რამდენიმე ჰექტარი სიმინდი, მაღალი მოსავლისათვის იბრძოდნენ და ახალგაზრდების რგოლს ეჯიბრებოდნენ. მოხუცებს უსათუოდ უნდა მოეპოვებინათ საპატიო ადგილი. მაშ როგორ? ხომ არ უნდა შეერცხვინათ თავი ახალგაზრდების წინაშე? ისინი ხომ ახლა თავისთვის მუშაობდნენ, უწინდელი დრო ხომ არ არის. ხანდახან ასეც ხდება: მუშაობა ისე გაიტაცებს რგოლს, რომ ხმას არავინ იღებს, მხოლოდ კალა ვერ მოითმენს ხოლმე და ისე იხუმრებს, რომ სიცილი მთელ რგოლებს გადაურბენს.

კაბოს ამაზედაც გული მოსდის: თავისთავი ღრმა მოხუცად მიაჩნია, სამუშაოს თავი ანება და თავის ადგილზე შვილი დააყენა. ამაყობს კიდევაც თავისი ვაჟით: კარგი, მარჯვე მუშაა. მაგრამ შვილზედაც ბრაზობს, რატომ ელაპარაკება კალას მეგობრულადო. გული მოსდის, რომ საკუთარი ოჯახი მის წინააღმდეგაა და მხარს უჭერს მეზობელს. ხანდისხან თავისიანებს უხეშად ეპყრობა, რის შემდეგ თავის კრაკს გაირეკავს სოფლის გალმა და იქ მწყემსავს ხანდისხან ჩუმად მიდის კალას რგოლის ნაკვეთზე, ანცვიფრებს კოლმეურნეობის მინდვრებზე აბრიალებული სიმინდის მაღალი, მუქი მწვანე ღეროები. ამბობს, რომ საუკეთესო მოსავალი მოხუცების რგოლის ნაკვეთზე მოვაო და თავის ქნევით ბუზღუნებს: „ჰმ, შეხედე, რა ტაროებია. დიახ, ტყუილად კი არ უნდა ჩემს მეზობელს გმირობა, ოცნებობს, დაწინაურდეს. გმირი!“ და თითქოს ნაბიჯებს თელისო, კაბო დინჯად ბრუნდება სოფელში. კაბო თითქო ნანობს კიდევაც, რომ კალასთან გაწყვიტა ურთიერთობა, რომ მოხუცებთან — თავის მეგობრებთან — არ შრომობს. დიახ, კალას რომ პატიება ეთხოვა და ეთქვა: „მოდი ჩემს რგოლში, მაპატიე, რომ ადრე არ გითხარი ეს შენ. მაშინ სხვა საქმეა. მაგრამ კალა არ თხოულობს პატიებას. ან ვის უნდა სთხოვოს პატიება: ის არავის წინაშე არ არის დამნაშავე.

საქმე კი ასე იყო: როდესაც გაიგეს მთავრობის გადაწყვეტილება მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლის შესახებ, კოლმეურნეები ბეჯითად შეუდგნენ მუშაობას და გამოაცხადეს შეჯიბრი. ამ ცნობით გაეშურა კალა თავის მეზობლისაკენ:

— კაბო, მე გადავწყვიტე სიმინდის დასამუშავებლად შევადგინო მოხუცების რგოლი. ჩვენც უნდა გამოვიჩინოთ თავი, შევეჯიბროთ ჩვენს ახალგაზრდობას. მიწაზე მუშაობას მოუჩვეველნი ხომ არა ვართ? სხვებზე ნაკლებ მოსავალს არ მივიღებთ და ერთიც ვნახოთ, იქნებ გავიმარჯვოთ და ოქროს ვარსკვლავი გულზე დავიკიდოთ.

კალა ისე იყო დარწმუნებული, რომ მისი მეგობარი დათანხმდებოდა და გვერდში ამოუდგებოდა, რომ გაკვირვებით და წყენითაც კი მოისმინა კაბოს პასუხი:

— ჩვენ მაგ ასაკისა აღარა ვართ, კალა. შენისთანა მოხუცებს ეგ აღარ შეეფერება. ჩვენ შვილები გვყავს. რიღასთვისღა ვზრდიდით მათ, თუ არა იმისთვის, რომ ჩვენთვის მოხუცებულობაში მოევლოთ. არა, კაბო მაგ საქმეებისათვის უკვე დაბერდა. ანდა როგორ არ გრცხვენია, კალა, ბავშვებს ეჯიბრები, თუ შენი სისულელის გამო დიდებას ეტანები?

ღრმად ამოიოხრა კალამ:

— ასეთ სიტყვებს არ ველოდი შენგან, მეგობარო. რას მსაყვედურობ? განა შრომა შეურაცხყოფს ადამიანს? თუ მე შევრცხვები, შენ მაშინ უფლება გაქვს, ახლოს არ გამიკარო.

კალა წავიდა და მოელაპარაკა სხვა მოხუცებს, კაბოს მეტი აღარ გამოლაპარაკებია, თუმცა ეს უკანასკნელი კი ამას ელოდებოდა.

მალე კოლმეურნეების საერთო კრებაზე კალამ თავის ახალი რგოლის სახელით ილაპარაკა:

— ჩვენი მიწა ოქროა, მსუყე და მდიდარი. ქვა რომ ჩააგდო, ისიც კი ამოვა. ერთი ასად დაგიბრუნდება ნამუშევარი. ჩვენ უნდა შევასრულოთ

მთავრობის დადგენილება. და აი, ჩვენ, მოხუცები, სიტყვას ვიძლევით, რომ კარგად ვიმუშავებთ და ამ გადაწყვეტილებას შევასრულებთ.

მაშინვე ყოველი მოხუცი მივიდა კალასთან და გვერდში ამოუდგა. ყველა ტაშს უკრავდა კალას, მხოლოდ მარტო კაბო არ მიემხრო მათ. ცუდ გუნებაზე დადგა, პირველად იყო, რომ თავის მეზობელზე ბრაზობდა და გუნებაში კიდევაც შურდა მისი ეს თაოსნობა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და იყვირა:

— რა გამოიგონეთ! თოვლის კოშკს აშენებთ! ასეთ დიდ მოსავალს ვერ მოიყვანთ!

— შენი იმედით კი არ ვართ, კაბო, და შენ მაგივრად არც სიტყვას ვიძლევით! — უპასუხა ერთ-ერთმა მოხუცმა.

— თუ ცოცხალი ვიქენით, კაბო, ვნახავთ მაგასაც. — უთხრა კალამ.

გაბრაზებული წავიდა კრებიდან კაბო. ეგონა, ყველას მის წინააღმდეგ შეეკრა პირი. პირველად ფიქრობდა, კალა რგოლს ვერ შეკრავსო და მიტომ არ დაეთანხმა. ახლა კი გულის სახეთქად ეტუტუნებოდნენ: „კალა შენ მეგობრად არ გთვლის, რატომ არ აგიყვანა თავის რგოლში?“

ერთხელ დილით კალას სახლში გოსადამ მოირბინა, ზალიხანს ეჩურჩულა და მერე კალას დაუძახა.

— ღვთის გულისათვის, მეზობლობა გამიწიე, — უთხრა გოსადამ კალას.

— რით შემიძლია მოგეხმარო? მე ექიმი არა ვარ.

— რით დამეხმარო? იმ კრების შემდეგ კაცად აღარ ვარგია, მკვდარივით დადის. ღამე არ სძინავს, სულ ოხრავს, მოსვენება აღარ აქვს.

— ჰო, ჰო, ჰო! — ჩაერია ზალიხანი, — თქვენც კაცები გქვიათ! არ ლაპარაკობთ! რამდენჯერ გითქვამს შენ, რომ მეზობლების მეგობრობა და ძმების კეთილი ცხოვრება თუ ცოლების მიზეზით არ წახდა, ისე მათ ბოლო არასოდეს არ მოეღებაო. ახლაც ჩვენა ვართ დამნაშავე თქვენს ჩხუბში? მე და გოსადა ძალიან კარგად ვმეგობრობთ, აბა შემოგვხედე!

და ზალიხანი გოსადას მოეხვია. კალამ გაიღიმა და დარცხვენილად თქვა:

— მე არაფერი არ დამიშავებია.

— არც შენა ხარ კარგი კაცი. — უთხრა ზალიხანმა, — გასწი, ინახულე. შეურიგდი და ძველებურად გულთბილად დაელაპარაკე. სირცხვილია, გვერდით ცხოვრობდე და ასე იქცეოდე!

— მართალს ამბობ. — დაეთანხმა კალა. — ახლავე წავალ. ეყოფა იმას თავის გდება.

და კალა მეზობლისაკენ გაეშურა.

— კაბო, სახლში ხარ? — დაუძახა კალამ, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. — იქნებ სახლში არ არის? — ჰკითხა მან ქალებს.

— ალბათ თავის ბატკნებით მინდორში წავიდა. — გულდაწყვეტით უპასუხა გოსადამ.

— ნუ ხწუხარ, გოსადა. მე დღეს აუცილებლად ვინახულებ კაბოს.

თქვა ეს კალამ და სამუშაოზე გასწია.

თავის ნაკვეთის ახლოს მან კაბოს ბატკანი დაინახა, ცოტა მოშორებით თვითონ კაბოც ბუჩქებში ტოტებს ამტვრევდა. და რატომღაც კალამ გადაიხარხარა, მერე ბატკანი დაიჭირა და კაბოსკენ წაიყვანა. თანდათან უახლოვდებოდა, ბოლოს სულ ახლოს მივიდა; კაბომ გვერდზე გაიხედა, უნდა გამოელაპარაკოს კალას და არ შეუძლია. დგას დაბღვერილი. კალამ ალერსიანად დაადო მხარზე ხელი, მეორე ხელით ბატკანი უჭირავს და სიცილით ეუბნება:

— აი, მოგიყვანე უაისადაგგაგი[1], ჩემო მეგობარო, რომ ჩემთან უმზრახი აღარ იყო. უმზრახობის ამ ძველ ჩვეულებას ახლა რძლებიც კი აღარ იცავენ.

ამ ხუმრობაზე კაბომაც ვეღარ შეიკავა სიცილი:

— ვინ არ გელაპარაკებოდა შენ? რა გინდოდა მაგ ბატკანთან, ეძოვა თავისთვის ბალახი. შენ დიდი კაცი ხარ, ბმირი, მე კი რა ვარ? — დარცხვენით უთხრა კაბომ.

— კარგი ერთი, გეყოფა. უკეთესია, ის მითხრა, რატომ არ მოდიხარ ჩემს რგოლში?

კაბოს სიხარულით აუციმციმდა თვალები და დამნაშავესავით წაიბურტყუნა:

— თქვენ ხომ დიდი ხანია უკვე მუშაობთ, განა შეიძლება კიდევ თქვენთან მოსვლა?

[1] უაისადაგგაგი — რძლები მამამთილებს და მაზლებს ვერ დაელაპარაკებიან, სანამ თვითონ უკანასკნელნი არ თხოვენ მათ დაგველაპარაკეთო, მაგრამ საამისოდ რძლებს სიჩუქარი უნდა მიართვან, რასაც უაისადაგგაგი ეწოდება.

— სამუშაო ჩვენ გაცილებით მეტი დაგვრჩა იმაზე, რაც გავაკეთეთ, მეგობარო. ვინც რამდენი გამოიმუშავა, — ცნობილია, ხოლო ვინ, რამდენს გააკეთებს, იმასაც გამოვითვლით. წამოდი ჩემთან!

და კალა მხიარულად სწვდა მეგობარს ხელში.

— მე არც კი ვიცოდი, რომ კიდევ შეიძლებოდა თქვენს რგოლში მოხვედრა, — ამბობდა კაბო და გვერდით მისდევდა თავის მეზობელს.

კალამ ხუმრობით უპასუხა:

— შენ ბევრი იცი! შენ მხოლოდ ის იცი, რომ ქათამიეით ორ ფეხზე დადიხარ...

დიდი ხანია ასე მხიარულად არ უცინიათ ამ ორ მეგობარს, ორ მეზობელს კალას და კაბოს.



სისლან ვაზათი

ოგბოხი

კვირა დღეა. დღეს ზოგი ქალაქგარეთ წავიდა სანადიროდ, ზოგი ჭადრაკის თამაშით ერთობს თავს, ზოგი ბილიარდს დასტრიალებს გარშემო გრძელი ჯოხით. მოკლედ, ისვენებს ხალხი.

ყრიმი კი, თავის ჩვეულებისამებრ, დღესაც წიგნს ჩაჰკირკიტებს და რაღაცას გულმოდგინედ ზუთხავს.

ფურცლების შრიალსა და ბუტბუტში გაეპარა დღე.

ფანჯარაში საღამომ შემოიხედა.

თავდაშძიმებული ყრიმი ადგა, ერთი გაიზმორა, დაამთქნარა და სარკმელთან მივიდა.

ცა მოღრუბლული იყო, თქორავდა.

ცოტახანს გარეთ იყურებოდა ყრიმი, მერე თითქოს უცებ რაღაც დავიწყებული მოაგონდა, მეორე ოთახში გავიდა და ტანსაცმელი გამოიცვალა. თავზე ფეტრის შლიპა დაიხურა და სარკეში დაიწყო დაყინებით ცქერა. შავი წარბები შეთამაშა მრგვალ სახეზე. ეტყობოდა, თავისი თავი თვითონვე მოსწონდა. ყავისფერი კოსტუმის ქვეშ თეთრი პერანგი ეცვა. ყელზე ცეცხლისფერი ჰალსტუხი ჰქონდა ჩამოკიდებული.

რაკი დარწმუნდა, ყველაფერი რიგზეაო, უმალვე შემოტრიალდა და გამოეშურა ქუჩისაკენ.

„ჰო, იქ იქნება ჩემი ოლიჩკა დღეს, იქ. — ფიქრობდა იგი და თეატრისაკენ იჩქაროდა. — როგორმე უნდა მოვინადირო მისი გული, თორემ... დაეკარგაე ამ ლამაზ ქალიშვილს სამუდამოდ“.

მიდის ყრიმი ქუჩაში და ვერავის ამჩნევს. ოლიჩკა, ოლიჩკა და მხოლოდ ოლიჩკა უდგას თვალწინ. რა შავი თვალები აქვს ამ დალოცვილს, რა კულულები! ტუჩებს კი ნულარ იკითხავ! რომ გაიღიმებს, კაცის გული რაა, რიყის ქვას დაადნობს. ხმაც რა რბილი და ნაზი აქვს. მხოლოდ ესაა, რომ უკარებაა. ყოველთვის ცდილობს, ყრიმი გაკენწლოს რამენაირად და ჩამოიშოროს. ეს ადარდებს ყრიმს, სხვა კი არაფერი. ამიტომ უტყდება ღამე ხშირად და ლოგინში შამფურივით ტრიალებს. ზოგჯერ ელანდება, რომ ოლიჩკა მის თავსასთუმალთან დგას, აიხედავს და მისი თვალებისფერ ღამეს რომ დაინახავს, ისე ამოიოხრებს ხოლმე, გულსაც თან ამოატანს.

არა, ძველად რომ ქალიშვილებს დასდევდა, ის სხვაა. ოლიჩკა ნამდვილად მოსწონს, ნამდვილად. პატარა კი აღარაა ყრიმი, ოცდაცხრა წლისაა, ბოლოსდაბოლოს დროა ცოლი მოიყვანოს, ოლიჩკაზე ეკეთეს ქალს კი სად შეხვდება?

და თუ შეხვდება, მაშინ სხვა ამბავია.

ვინც ერთისთვის თავს იკლავს, ის სულელია.

ასე ფიქრობდა ყრიმი და ჩქარი ნაბიჯით მასდეედა ქუჩას.

თეატრში შესვლისთანავე ვესტიბიულში დაყუდებულ სარკის წინ გაიქიცა და თმა ლამაზად გადაივარცხნა, მერე ხალხის ტეერში შეერია და თვალებით დაიწყო ნადირობა, ეგებ ოლიჩკა დავლანდო სადმეო.

ნაცნობების მისალმებით ლამის კისერი

მოსწყდა, ამდენ ხალხში კი სწორედ ის არა ჩანდა, ვისთვისაც მოვიდა.

უცებ ბათირასა და ციცას მოჰკრა თვალი და იმათკენ გაარღვია ხალხის ტევრი. ბათირა და ციცა ოლიჩკას კარგი ამხანაგები იყვნენ და ყრიმპა გაიფიქრა, ამათ უეჭველად ეცოდინებათ ჩემი დამწველის ამბავიო.

— სალამი, ბიჭებო!

— ოჰ, ყრიმს ვახლავართ ოცდაათი ცხენოსნით. სადა ხარ, ბიჭო, დაკარგული, მთელი დღე რომ არ გამოჩენილხარ?

— ფრანგულსა ვსწავლობდი. — უპასუხა ყრიმმა და რატომღაც შეცბა.

— აჰა, გასაგებია! — დიდმნიშვნელოვნად ასწია სალოკი თითი „ეშმაკად“ წოდებულმა ციცამ. — ახლა ჩიქორთული ფრანგულით გინდა შენი უთაურობით გაბერილი გული ოლიჩკას გადაუშალო, არა?

— უჰ! ოლიჩკას კი არა, ის არ გინდა! — ხელი აიქნია ყრიმმა და ყვრიმალებამდე სიწითლემ გადაურბინა სახეზე. გაეხარდა ოლიჩკას სახელის გაგონება.

— რას გაწითლდი? ვიცით, ვიცით, რა წითელი კოჭიცა ხარ!

— გასაწითლებელი რა აქვს, სიყვარული განა სირცხვილია? — სიტყვა მიაშველა ბათირამ.

— შენ გაჩუმდი, მელია კუდაგრძელია! — თითი დაუქნია ციცამ, — ოლიჩკა რაკი დაიმედე, ასე თავისუფლად იმიტომ ლაპარაკობ, არა?

ახლა ბათირა გაწითლდა.

ყრიმს კი შხამიანი ეკლებიანი დაესო ეს სიტყვები გულზე. მართალია, ციცას ხუმრობა და ყრიმის გაჯავრება უყვარდა, მაგრამ ეს სიტყვები არა ჰგავდა ხუმრობით ნათქვამ სიტყვებს. ბათირაც რატომ გაწითლდა, თუ ეს ტყუილი იყო?

ამ კვირის წინანდელი ამბავი მოაგონდა.

ბიჭები ბაღში ისხდნენ. მათთან იყო ოლიჩკაც. ყრიმს სავსე ჰქონდა კოსტიუმის ჯიბე ქაღალდის პატარა ნაჭრებით, რომლებზეც წინდაწინ შედგენილი წინადადებები ეწერა ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ხან ერთ ნაჭერს ამოიღებდა, ხან მეორეს და ოლიჩკას უცხო ენაზე სიყვარულს უხსნიდა.

ქალიშვილმა ცოტახანს უთმინა, მერე გული მოუვიდა, ეშმაკსაც წაუღიხარ შენი ბურდღუნითო, მიაძახა, წამოხტა უმალვე და ბათირას გვერდით გადაჯდა. მერე საერთოდ მთელი დღე ოლიჩკა და ბათირა ერთად დასეირნობდნენ. მაშინ ამისათვის რაიმე მნიშვნელობა არ მიუცია ყრიმს, ახლა კი იმ ამბის გახსენებამ გული აუფორიაქა. გაიფიქრა, ალბათ, სიმართლე წამოიყრანტალა ციცამო.

კარგი ბიჭი იყო ყრიმი, მაგრამ ერთი ახირებული ჩვეულება ჰქონდა. რამდენ ლამაზ ქალიშვილს ნახავდა, ცდილობდა მისი გული მოენადირებინა, ყველას ერთნაირად უხსნიდა სიყვარულს: ან სხვისი ლექსებით ან უცხო სიტყვებით. ადვილად გადარბოდა პეპელასავით ერთი ყვავილიდან მეორეზე. მისი ეს უგერგილობა რომ იცოდნენ, ახლოს აღარ იკარებდნენ გოგოები, ხოლო ბიჭები კი ცდილობდნენ ამის გამო გაემასხრებინათ კიდეც.

ციცამ შეხედა წარბებშეკრულ ყრიმს და ეთხრა:

— რას ჩამოუშვი, ბიჭო, ცხვირი. გეწყინა მტრედი რომ გაგიფრინდა ხელიდან? ფრანგულით ოსი ქალიშვილის გულს რომ ვერ მოინადირებდი, არ იცოდი? უცხო ენების ზეთხვეა ისა სჯობია, შენი ენა ისწავლო კარგად და ამ ენაზე აუხსნა ქალიშვილს სიყვარული, თორემ დამრჩები უცოლოდ.

ყრიმს რიგიანად არც კი დაუგდია ყური ამ სიტყვებისთვის, თავის ფიქრებში იყო გახვეული. ბოლოს ვეღარ მოითმინა, ცნობისწადილმა წასძლია და იკითხა:

— ნეტავი, ოლიჩკა არ მოვა დღეს თეატრში?

— არა, არ მოვა. ასე თქვა, ეიცი თეატრში ყრიმი დამხვდება, თავისი აბდაუბდა სიტყვებით ყურებს გამომიჭედავს და ამას კი სახლში მშვიდად ყოფნა და წიგნის კითხვა მირჩევნიაო. — ჩაიქირქილა ციცამ და ყრიმს შეხედა, აბა, რას მიპასუხებსო.

ყრიმმა ხელი ჩაიქნია, თქვენთან ლაპარაკი არა ღირსო და გაშორდა მათ.

იგი მაყურებელთა დარბაზში შეიდა, თავისი სკამი მოძებნა, ჩამოჯდა და შუბლმოჭმუხნული კვლავ ფიქრებში გაეხვია.

ესე იგი, მახსარადაც მიგდებს, არა? იმას ჰგონია, ქვეყანაზე საქალიშვილეთი გაწყდა და სხვას ვერავის შეეირთავ, ხომ? ვნახოთ, ვნახოთ!

დარბაზი მაღე აივსო მაყურებლებით, დაირეკა

მესამე ზარი, ფარდები სცენის კედლებისაკენ გაიქცნენ და დაიწყო კონცერტი.

უცებ ყრიმი ხედავს, მის წინ, ოდნავ მარჯვნივ, ზის შავნაწნავებიანი ქალიშვილი. ოლიჩკასაც ხომ ასეთი თმები აქვს. ყრიმს ძალიან უყვარს შავნაწნავებიანი ქალი. ეგებ ოლიჩკამ გადაიფიქრა თავისი ნათქვამი და მოვიდა თეატრში? შავნაწნავებიანმა მოიხედა. ოჰ, არა, სხვა ყოფილა. სხვაა, მაგრამ რა ლამაზია! ოლიჩკასთანაც თავისი ეშხით ცხრას იყიდის და გაყიდის. ნეტავი ვინაა? აქამდე ეს გოგო არსად არ უნახავს ყრიმს.

ოლიჩკაზე ფიქრს თავი დანება და ახლა ამ ქალიშვილის თმებსა და კისერს მისჩერებოდა თვალმოუშორებლად. ნეტავი კიდევ მოიხედოს, რომ უკეთ შეხედოს. არ იხედება. ნუთუ არა გრძნობს მის ზურგზე მიშტერებულ ბიჭის თვალებს, ხომ ამბობენ, თითქოს როცა ქალი ზურგშექცევით დგას და ვაჟი მას მისჩერებია, იგი ამას გრძნობსო? მაშ, ტყუილია ეს ამბავი, არა? ნეტავი ყრიმი ორი რიგით წინ იჯდეს. რად უნდა სცენაზე ვიღაცეების ყურება, ამ ხატის ცქერა არა სჯობია? მოტრიალდება ყრიმი და მთელი კონცერტის განმავლობაში სულ ამ ქალიშვილს უყურებს. ყრიმს ძალიან უყვარს, ძალიან, ლამაზი ქალიშვილების ჰვრეტა. თითქოს ეკლებზე იჯდეს, ვერ ისვენებს ყრიმი, ხან როგორ გადაიხრება და ხან როგორ. მის ახლოს მსხდომ მაყურებლებს ჰგონიათ, სცენისკენ იყურებაო, ის კი იქითკენ ხრის თავს, საიდანაც უკეთ შეიძლება შავნაწნავებიანის დანახვა.

დამთავრდა პირველი განყოფილება. ხალხი დარბაზიდან გაიკრიფა. ყრიმიც წამოდგა, იფიქრა, კარებში დავუხვდები, განგებ გავკრავ მხარს, გამოველაპარაკები და ძალაუნებურად გავეცნობიო. სიყვარული ხომ უმთავრესად ჩხუბით იწყება, მეც ასე გავაკეთებო. მაგრამ ყრიმს ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ. ქალი კვლავ თავის სკამზე იჯდა და, ეტყობოდა, არც ფიქრობდა ადგომას. რაღაც ჟურნალი გაშალა და გულმოდგინედ დაიწყო კითხვა. ყრიმი კვლავ ჩამოჯდა და დაიკვირდა, რა ჟურნალს კითხულობსო, მაგრამ ვერ გაარჩია. წამოდგა, ზურგის პირდაპირ დაუჯდა და თვალები ქალიშვილის ხელში დაჭერილ ჟურნალში ჩარგო. ასოებს ვერ ხედავდა, მაგრამ მაინც უცქეროდა. ფიქრობდა, უცებ რომ მოიხედოს, ეგონება, მეც მაინტერესებს ამ ჟურნალის წაკითხვა და გამომელაპარაკებაო. მაგრამ ქალიშვილმა არ იქნა და არ მოიხედა უკან. აი, ცხვირსახოცი ამოიღო ხელჩანთიდან, ლოყაზე მოისვა და ისევ შეინახა. მერე კვლავ განაგრძო ჟურნალის ფურცვლა. რატომ მოისვა ლოყაზე ცხვირსახოცი, განა შეიძლება ამ თეთრ-ყირმიზა ლოყებს მტვერი მიეკაროს? ყრიმმა ამის გაფიქრებაზე რატომღაც ღრმად ამოიოხრა.

ქალმა უკან მოიხედა, ალბათ იფიქრა, ძმე გულმოსაკლავად ვინ ხვნეშისო. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა.

ყრიმი გაწითლდა და პირი დააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ ენა დაება, კრინტი ვერ დასძრა. მონუსხულსა ჰგავდა იგი ამ წუთში.

ქალიშვილმა გაიღიმა, მიტრიალდა და ისევ თავის ჟურნალს დაუბრუნდა.

ყრიმს, თითქოს ვინმე უროს ურტყამდა, უჩვეულოდ აუდაგადუგდა გული. ქალიშვილის ღიმილმა უტკბილეს ტრუანტელად დაუარა მთელ ტანში.

უნდა გამოველაპარაკო, როგორმე, უნდა. — გადასწყვიტა ყრიმმა და საბაბს დაუწყო ძებნა.

კაცს თუ კაცთან გამოლაპარაკება უნდა, საბაბი როგორ დაელევა!

— თქვენ, მგონი, ჟურნალს აღარ კითხულობთ. თუ შეიძლება მცირე ხნით მათხოვეთ... ბოდიში...

ქალიშვილი ნელა შემობრუნდა და ჟურნალი გამოუწოდა:

— ინებეთ.

ყრიმს თითქოს მზემ მიაშუქა, ისე გაუნათდა სახე. ჟურნალს თითები მოავლო და გადაშალა. შიგ ვიღაც ფიზკულტურელების სურათები იყო ჩამწკრიეებული. კითხვა დაიწყო, მაგრამ გონება ისე ჰქონდა არეული, ვერცერთი წინადადების აზრი ვერ გაიგო.

ამ დროს ზარი დაირეკა, მაყურებლები თაეთაეიანთ ადგილებზე დასხდნენ, სცენაზე წინა ფარდა, შუაზე გაყოფილი, კედლებისკენ მიიკუნჭა, მეორე ფარდა მაღლა ავარდა და გაგრძელდა კონცერტი.

ყრიმს ფუტკრის ბზუილივით ესმოდა მომღერალთა ხმა. ჟურნალს უაზროდ ატრიალებდა ხელებში და ჟურნალის პატრონს კი ერთი წამითაც არ აცილებდა მზერას.

კარგად დაიწყო, კარგად. ხოლო კარგი და საწყისი, საქმის სანახევროდ გაჩარხვას ნიშნავს. — თავს აიმედებდა ყრიმი. — მზეთუნახავს ფეხში

სწვდაო, რომ იტყვიან, სწორედ ისეა ჩემი საქმე. კონცერტის შემდეგ, რასაკვირველია, სახლამდე გაცილებას შევთავაზებ, მართალია, უარს მეტყვის, მაგრამ მე ჩემს რაინდობას გამოვიჩენ და მაინც გაეყვები. მერე, მერე კი, პაემანს დავუნიშნავ, ორიოდე კვირას ვიელი მასთან და შემდეგ ჯერ-საც დავიწერ. ჰო, ასე ეიზამ, ასე. უჰ, გულზე არ გასკდება ის მათხოჯი ოლიჩკა, ამ მზეთუნახავს რომ ჩემს გვერდით დაინახავს?

აოცნებებულ ყრიმს შინაგანი სიხარული ღიმილად ეფინებოდა სახეზე.

ტკბილ ფიქრებში ჩაძირული ტაშის გრიალმა გამოაფხიზლა. დამთავრდა კონცერტი, ჩამოეშვა ფარდა და ხალხმა გასასვლელს მიაშურა.

— გმადლობთ, ქალბატონო. — ძალიან კარგი ჟურნალია. მე მიყვარს ფიზკულტურა და სპორტი. გმადლობთ, ძალიან გმადლობთ. — ყრიმმა ჟურნალი მიაწოდა ქალიშვილს.

ქალიშვილმა ისე ჩამოართვა ჟურნალი, არც ამდგარა.

— ნეტავი, წელმოწყვეტილი ხომ არაა, რატომ არ დგება? — გაიკვირვა ყრიმმა და დაელოდა მზეთუნახავის წამოდგომას.

ხალხი რახანია შემოეცალა, ის კი ისევ იჯდა.

— ალბათ ფეხი გაუბრუჟდა და ელოდება, სანამ გაუვლის. მეც რამდენჯერ მოვსვლია ასე, ეინ მოსთვლის. — ახალი ფიქრი გაუჩნდა ყრიმს.

ქალიშვილი ცოტახანს კიდევ იჯდა გაუნძრეველად, მერე ფეხების ქვეშიდან რაღაც ჯოხი გამოაძვრინა, დაეყრდნო ზედ და წამოდგა.

ღმერთო ჩემო, ეს რა დაინახა ყრიმის თვალებმა! ყავარჯნები, , ნამდვილი ყავარჯნები! ასეთ ლამაზ ქალიშვილს და ყავარჯნები?! რად უნდა ნეტავი?

ყრიმს თმა ყალყზე დაუდგა. ყავარჯნების კაკაკუკმა მის ყურებში წიეილ-წიეილით გაიარა. სახეზე მკვდრის ფერი დაედო. ეს მზეთუნახავი ქალიშვილი ცალ ფეხზე მიხტუნავდა, მეორეს კი ფრთხილად ადგამდა.

„ეჰ, ომბოხი უკეთია, ომბოხი. ნამდვილად ხის ფეხი აქვს, ხის ფეხი. — ამის გაფიქრებამ სულ მოუშხამა ხასიათი ყრიმს. — ეჰ, რა უსამართლოა ეს წუთისოფელი! ასეთ ლამაზ გოგოს და ომბოხი? განა ცოდო არაა? ვინღა ითხოვს საწყალს?“

ერთ ადგილზე დარჩობილიეთ იდგა ყრიმი და მისჩერებოდა შავნაწნავებიან მზეთუნახავს, რომელიც ყავარჯნების კაკუნით გასასვლელისაკენ მიხტუნავდა.

— აფსუსი არაა, ამ ქალიშვილს გამოჩორკნილი ომბოხი ებას ფეხის მაგივრად, მეტიჩარა ოლიჩკა კი ორივე ფეხით დადიოდეს მიწაზე?

ომბოხიანი ქალიშვილი გავიდა თეატრიდან. დარბაზი დასტოვა ყრიმმაც.

ვესტიბიულში ციცკა შეეჩეხა.

— ყრიმ, მოგეწონა კონცერტი?

— რა მეკონცერტება, თუ ძმა ხარ, ერთი თამბაქო მომაწევინე. რაღაც თავი მიბრუის სხვანაირად.

ციცკამ იცოდა ყრიმი ღვინოს რომ არ ეძალებოდა, ხოლო თამბაქოს საერთოდ არ ეწეოდა, ამიტომ გაიკვირვა:

— ჰეი, შე ინდაურების ფილოსოფოსო, რომელი საუკუნიდან დაიწყე თამბაქოს ქაჩვა, ჰა?

— მოიტა თუ მაძლევ. თუ არ გემეტება, მითხარი და სხვას გამოვართმევ.

ციცკამ ორი პაპიროსი მიაწოდა ერთად. ყრიმმა ერთი გამოართვა, მოუკიდა და კვამლი ბოლქვა-ბოლქვა ამოუშვა პირიდან.

— მაინც რამ აგაფორიაქა ასე? — არ ეშვებოდა ციცკა. — ოლიჩკას ღალატმა ხომ არ მოგიკლა გული, ჰა? იცი, ბათირა, ადრე წავიდა კონცერტიდან. ალბათ ოლიჩკასთან ყოფნა და ჭუკჭუკი არჩია ასეთი უხეირო კონცერტის მოსმენას.

— დამანებე, თუ ძმა ხარ, თავი. ჯანდაბას ოლიჩკაცა და მისი თაყვანისმცემელიც. — გაბრაზდა ყრიმი და გაშორდა ამხანაგს.

გზაზე გამოსული ყრიმი ახლა იმას ფიქრობდა: უსინდისოები ვართ ზოგჯერ ადამიანებიო. როცა ეს ქალიშვილი ორფეხი მეგონა, ხომ ეფიქრობდი მის მიცილებას სახლამდე? მერე როცა დავინახე, ცალფეხია, რატომ გადაეიფიქრე ჩემი განზარხვა? განა ცალფეხა ქალს უფრო არა სჭირდება გაცილება? ეჰ, არა ვყოფილვარ შე კარგი ადამიანი, არა.

სინდისი ქენჯნიდა ყრიმის გულს.

• •

სტადიონი სავსე იყო ხალხით. მაისის მზე იცინოდა ცაზე.

შეჯიბრება იყო სირბილში. ხალხი შეძახილებით ამხნევებდა მორბენლებს:

— მიდი, მიდი, ცოტა კიდევ დაგრჩა!

ყრიმი და ციცა ერთად იდგნენ. ყრიმისთვის სულერთი იყო, ვინც გაიმარჯვებდა, ციცა კი ღელავდა.

— რა გაწუხებს, ბიჭო, რას ცმუკავ? — უკვირდა ყრიმს.

— შეყვარებული ვარ, ყრიმ, შეყვარებული.

— მერედა, სირბილი რა შუაშია?

— ისიც მონაწილეობს ამ შეჯიბრებაში.

— მე არ ვიცნობ?

— არა მგონია.

მორბენლები მესამედ უელიდნენ სტადიონს ირგვლივ. ათი ქალიშვილიდან სამი დაწინაურდა. მერე იმ სამში ერთმა გაუსწრო ორივეს და პირველი შეეხო ფინიშის ზონარს.

მეხივით გადაიგრიალა ვაშამ და ტაშმა. ციცა კი სულ გაგიჟდა, ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა ფინიშისაკენ და ყრიმიც თან გაიყოლა.

გამარჯვებულ ქალიშვილს რომ მიუახლოვდნენ, ყრიმი უცებ მონუსხულივით ერთ ადგილზე გახევდა და მორბენალს მიაშტერდა.

— ბიჭო, რა დაგეპართა, სიშტერის სენი ხომ არ შეგეყარა ასე მოულოდნელად, — შეუყვირა ციცამ. — გამოადგი ნაბიჯი, წამო, გაგაცნობ ჩემს საცოლეს. — ხელი მაგრა ჩაავლო და თითქმის წაათრია მორბენლისაკენ.

— ციცა, შენს საცოლეს და ჰყავს?!

— არა. რატომ იკითხე?

— ისე, უბრალოდ. ლამაზი ქალიშვილია და... შარშან, ჩვენ რომ ერთად ვიყავით კონცერტზე, ჩემს წინ ერთი ქალიშვილი იჯდა. სწორედ ამ მორბენალსა ჰგავდა მთლიანად. ოღონდ იმას ცალი ფეხი არ ჰქონდა, ომბოხი ეკეთა.

— ეჰ, შე მართლა ინდაურების ფილოსოფოსო. ეგ ქალიშვილი გინახავს. შარშან ფეხი ჰქონდა მოტეხილი, ყავარჯნებით დადიოდა, მაგრამ როგორც ხედავ, ისე მოურჩა, რომ ახლა ირემიც ვერ გაუსწრებს სირბილში.

— ეგ ქალიშვილი მინახავს?! — ყრიმმა ხელი წაართვა ამხანაგს და თითქოს ვინმე მისდევდა, ხალხი გაარღვია და მიიმალა.

ციცა არც გაჰკიდებია. სადღა ეცალა ყრიმისათვის. მივიდა მორბენალთან და გამარჯვება მიულოცა. მერე ხელკავი გაუკეთა და ჰკითხა:

— შენ ყრიმს თუ იცნობ?

— არა. ასეთს არავის.

ამ დროს მათთან მოვიდნენ ბათირა და ოლიჩკა. მათაც მოულოცეს მორბენალს გამარჯვება.

ყრიმს თავი ამოეყო ხალხიდან და შორიდან უცქეროდა ციცასთან დამდგარ ქალიშვილს. ტუჩებს იკვნეტდა, მაგრამ ტუჩების კვნეტა ახლა რაღას უშველიდა?

თქვენ როგორ ფიქრობთ, ამხანაგებო, ყრიმს ოდესმე ეღირსება ცოლი?



ვესა ფლითი

ძიბეს ხიდი

მდინარე სახსატი ბობოქრობს. თეთრი ქაფის შხეფები ჰაერში ავარდება, კლდეებს ეხეთქება და მძივებივით იფანტება. წუხანდელი წვიმის შემდეგ მდინარე ადიდდა და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიისწრაფვის აღრიალებული, ადიდებული სახსატი გზაზე ყველაფერს ანადგურებს, ნაპირებს აწყდება და ჩამორეცხილი მღვრიე თიხა მოაქვს.

დღეს სოფელ სახსატის მცხოვრებლებს მდინარიდან წყალი არ წაუღიათ. ახლა სასმელად იგი არ ვარგა, ამღვრეულია, თანაც სოფელშიც ვერ გაივლი, ირგვლივ ტალახია. მდინარის პირას მდებარე სოფელი მოწყვეტილად გამოიყურება. იქ არავითარი ხმაური არ ისმის. შორიდანვე შენიშნავთ ორ სახლს, ორივე ორსართულიანია და ყურადღებას იპყრობს თავისი ფერით. ერთი სახლი თემბოლისაა, მეორე კი ფიდუაგის. თემბოლის სახლი სოფელში ყველაზე მაღალია. ქალაქური ყაიდაზეა აშენებული.

ოთახში სხედან თემბოლის ცოლი — ციროყონი და მისი ორი ქალიშვილი. უმცროსი, ექვსი წლისაა, ლამაზია, ჰგავს უფროს დას, რომელსაც თორმეტი წელი უსრულდება, იგი თმადაუვარცხნელია, შავწარბებქვეშ ცისფერი თვალები მოუჩანს.

ციროყონი სადილს ამზადებს, ქმარს ელოდება, გოგონები კი ღუმელთან თამაშობენ.

ფართო ოთახში მყუდროება იგრძნობა. კედელთან საწოლი დგას, რომელზედაც საბნები და აფუებული ბალიშები აწყვია. მოპირდაპირე მხარეს მურისფერ კომოდზე უშველებელი ლამპა დგას. თემბოლი დილაადრიან კანცელარიისაკენ წავიდა და დაიბარა: სადილობამდე ვერ მოვალო. მაგრამ მოულოდნელად უბედურება დატრიალდა. როგორც კი მზე ამოვიდა და საუზმის დრომ მოაწია, მინდორში თემბოლი გამოჩნდა. იგი კი არ მოდიოდა, არამედ მოფრინავდა. თემბოლი დაბალი ტანის კაცია, სიმაღლის მაგიერ სიგანეში წასულა, ჩასკვნილია, მოკლე კისერი აქვს, თავი კი მრგვალი, როგორც დათვს.

დღეს თემბოლს უბედურება დაატყდა! ფეხები წებოვან ტალახში ეფლობა, ჩქარობს, მაგრამ სახლამდე მაინც ვერ მიუღწევია... ქუდიც კი მოიხადა. ხუთიევ თითით შუბლზე ოფლი ჩამოიწურა. გზაზე ტლაპოებს ვერ ამჩნევს. მთლად ამოსვრილია. ბოლოს, აწითლებული, ხვნეშით შევარდა სახლში. გაბრაზებული ხის საკარძელში დაეშვა, ქუდი საწოლზე დააგდო და ღილებს შეხსნა დაუწყო. ცოლმა თემბოლი ასე მოსვრილი რომ დაინახა, გაოცდა, წარბები შეიკუმუხნა, სახე შეეცვალა, მაგრამ ქმარს ვერაფერს ეუბნება.

უმცროსმა გოგონამ მამასთან მიირბინა და მუხლებზე შეახტა.

— სად იყავი, თებო? —

მაგრამ დღეს თემბოლს ბავშვის მოალერსების თავი არ ჰქონდა, ბავშვს არც კი შეხედა. სიბრაზისაგან სახე დაუსივდა. აბურძგნილ წარბებქვეშ უფერული თვალები უბრწყინავდა.

— არაფერი არ მომიტანე, თებო? — ჰკითხა შვილმა. თემბოლმა გოგონას ხელი ჰკრა და თავი-

დან მოიშორა. გაბუტული ბავშვი კუთხისკენ გაიქცა.

— გაიქეცი ჩქარა ფიდუაგთან და უთხარი, რომ ახლავე აქ მოვიდეს!... — დაუყვირა მან უფროს ქალიშვილს. ბავშვი შურდულივით გავარდა სახლიდან.

თითქოს სარი გადაუყლაპავსო, ისე გაშეშებული იდგა თემბოლის ცოლი და ფიქრობდა: „ალბათ, სადღაც დაულევია“.

— შენი სისხლი დალიე, სად ჩახეთქე? ვინ დაგალევინა, — უთხრა ქმარს გულმოსულმა ცოლმა... მას კი პასუხი არ გაუცია. დახარა თავი და მიწას დააშტერდა.

ცოლი სახლში ფუსფუსებს, თან ბურდღუნებს: „დაიქცეს მისი ოჯახი, ვინც შენ დაგალევინა“. რატივში იყო. აბა, სხვა რა უნდა იყოს, რაში ვეჭირდებიო?!

— ბოლო აღარ ეღება ამ უბედურებას, ასე სად გაილეშე? მაგრამ ცირიყონმა რა იცოდა, რომ მის ქმარს ჭამისათვის არ ეცალა.

ფიდუაგი მხიარულად მოეშურება, ფიქრობს: თემბოლი ღვინოზე მპატიჟებს. დღეს ხომ კოოპე-

ფიდუაგი მაღალი, თხელი ტანის კაცია, ცხვირის ორივე მხარეს ულვაშები აქვს აგრეხილი. ბუხარულ დაბალ ფაფახს, მოკლე პალტოსა და წვეტიან ჩექმებს ატარებს. მას მაშინაც კი მრისხანე გამომეტყველება აქვს, რომელსაც იცინის. სახელიც შესაფერი დაურქმევიათ „ფიდუაგ“ — განებივრებული, ანცი, მკვირცხლი. სოფელში თითქმის კაცი არ დარჩენილა, რომ არ გაელახოს. იგი მხიარულად შეიჭრა თემბოლის სახლში, მაგრამ საკარძელში ჩამჯდარი, ტალახში ამოსვრილი, ცხვირჩამოშვებული თემბოლი რომ დაინახა, თავი უხერხულად იგრძნო, ვერ მიმხვდარიყო, რას უნდა აეღელვებინა თემბოლი ასე. იგი გვერდით მიუჯდა თემბოლს და მხარზე ხელი დაჰკრა:

— რა დაგემართა, თემბოლ? მუცელში ხბო ხომ არ ჩაგაკვდა?

— რა მოხდა?!... შენც კაცი გქვია, — გაბრაზებით უთხრა თემბოლმა ცოტა ხნის შემდეგ, — სახლიდან ვეღარ გამოაწვიე. იქნებ ვინმემ შენი სახლის დაწვა განიზრახა!

— რა ამბავია, რა მოხდა? — ჰკითხა ფიდუაგმა მოუთმენლად.

— რა უნდა მოხდეს?!... დღეს კანცელარიაში კრება იყო მოწვეული და ჩვენ ორივე ჩაგვწერეს კულაკთა სიაში! —

ამ სიტყვების გაგონებაზე ყველას ფერი დაეკარგა და სიტყვა არავის წამოცდენია.

ფიდუაგმა არ იცოდა შიში რა იყო, მაგრამ ახლა კი მოიფხანა თავი.

— და იცით თქვენ, კულაკებს როგორ ეექცევიან, — განაგრძობს თემბოლი, — მაგ სახლებს ბოქლომით ჰკეტავენ, ქონებას ართმევენ, კატასაც კი არ უტოვებენ და მათ ოჯახს შიშველ-ტიტველს, ხელცარიელს ციმბირსა და არხანგელსკში აგზავნიან...

— დავიღუპეთ, მორჩა და გათავდა... — გააქნია თავი თემბოლმა.

ცირიყონი დაბნა, მას არაფერი გაეგებოდა, ისე დაეხეტებოდა ოთახში. ხან ერთ კედელს ეხეთქებოდა, ხან მეორეს.

— შავი დღე დაგვიდგა! სულ დავიღუპებით! მიწა გაუსკდეთ იმათ, ვინც ჩვენ კულაკების სიაში შეგვიტანა.

— მაინც ვის შეეძლო ჩვენ შეეტანეთ სიაში? — იკითხა ფიდუაგმა. — შენ რას ფიქრობ?

— როგორ თუ ვის? ეს ხომ ჩვენი ხაჭასის შვილის — ძიბეს მიერ არის გაკეთებული, სხვა ვინ იქნება!

— მასაც კაცად მოაქვს თავი: აქაო და, კომკავშირის მდივანი ვარო, განა დააწყნარებ მას... უხსოვარი დროიდან ჩვენ მათ უფლებას არ ვაძლევდით, ხალხში გარეულიყვნენ, ახლა კი, ხედავ, რას ჩადიან?!... აქაო და ღარიბები ვართო!...

— მიწამ პირი უყოს, ღარიბები რომ არიან, ამიტომ სხვას თავზე უნდა დააჯდნენ? თუ ღარიბი ხარ, შენს კაბში დაეტიე...

— ვერ უყურებთ ამ ტილიანს, თავი კაცად რომ მოაქვს, — ამბობს ფიდუაგი, — გასულ წელსაც კი მოჯამაგირედ მყავდა. ოჰ, ნეტავ სადმე შევხვდებოდე, რომ თავი წავაცალო! — თქვა კბილების კრაჭუნით და თვალები ცეცხლივით აენთო.

— მარტო ის კი არა!... კიდევ ბევრია ასეთი ვირები.

— არა, ერთი სიტყვით, ვიღუპებით და ეს არის. რაღა ჩვენ ჩავუვარდით თვალში. სჯობდა, ღმერთს შიმშილით დავეხოცეთ!

— კი, მაგრამ, რას ფიქრობ. თემბოლ. რა გავაკეთოთ?!

— რა გავაკეთოთ? ღმერთმანი, არ ვიცი, თავბრუ მესხმის... მაგრამ ასე ჯდომაც არ შეიძლება.

— მე ასე ვფიქრობ, ფიდუაგ: მალე აქ მოვლენ კრების მოსაწვევად. ვგონებ, აქ ვესაქონლეობის ფერმა სურთ მოაწყონ. თუ ჩვენი სოფლელები მოწყალებას მოიღებენ და კრებაზე დაგვიშვებენ. კარგია, თუ არა და, დავიღუპეთ საბოლოოდ. რამე ეშმაკობა უნდა ვიღონოთ. აი, კიდევ რას ვფიქრობ, თუ შენ დამეთანხმები: ქარუმი და ლადი მოხვდნენ ღარიბების სიაში და მათ უნდა მივეტმასნოთ. არაყი გვაქვს, დავალევინოთ, იქნებ რამე გამოვიდეს.

— როგორ არა ვარ თანახმა?! უკეთესს, აბა, რას მოვიგონებთ, — ამბობს ფიდუაგი.

— მაშ მე ქარუმთან ვინმეს გავაგზავნი, მას მე მოველაპარაკები. ლადის კი შენ მოელაპარაკე. გახსოვდეს, რომ მათ სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— კარგი, — თქვა ფიდუაგმა და ადგილიდან წამოხტა, თემბოლმა კი კალთაში სტაცა ხელი:

— გესმის, ფიდუაგ! კრება მალე შედგება, ასე რომ, საქმეს ნუ დააყოვნებ. გზად შეიარე მასთან და მის წამოსაყვანად რამე მოიმიზეზე. ძალიან ფრთხილად, გესმის, ისე გააკეთე, რომ არავინ შეგამჩნიოს.

— ნუ გედარდება, მე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, შენი სწავლება არ მჭირდება! როგორც მინდა, ისე ვახტუნავებ.

— ჰო, მართლა, ფიდუაგ, იცი კიდევ რა მინდა გითხრა?... კრებაზე ქალებიც იქნებიან. ამ საქმეში მათ დიდი უფლებები აქვთ მინიჭებული. საჭიროა ასე გავაკეთოთ: მე ცირიყონს, — ცოლს შეხედა, — გავაგზავნი ქალებთან, რომ ისინი გადმოიბიროს. შენც ასევე მოიქეცი.

— ამაზე ადვილი რა არის! — ცირიყონი ამ საუბარმა გაამხნევა და ხმა ამოიღებინა:

— ერთი ხელში ჩამაგდებინა თიგიონი და სალბიონი, ცოტა მატყლს მივცემ და ჩემს ჭკუაზე ვატარებ... მათ ბავშვებს ტანზე ძაღლი ჩვარსაც კი ვერ მოჰგლეჯს. ისინი გუშინაც მოვიდნენ ჩემთან, მაგრამ არაფერი მივეცი.

— ჩემი იმედი იქონიე, — თქვა ფიდუაგმა და გავიდა.

---

[1] არპი — მოუქნელი ტყავისაგან შეკერილი ფეხსაცმელი

თემბოლის ოჯახი საგონებელში ჩავარდა, ცოლქმარი მიწას დასჩერებოდა.

— ქალო, — ამბობს თემბოლი, — გამოიტანე არაყი, პური და ყველი, გაშალე სუფრა, შენ კი მეზობელ ქალებთან გადადი.

ცირიყონმა გამოიტანა ყველაფერი, რაც საჭირო იყო და წავიდა.

— უალგა! — ეძახის თემბოლი უფროს ქალიშვილს, — გაიქეცი ჩქარა ქარუმთან და უთხარი: ერთი წუთით მოვიდეს. გესმის? ისე, რომ სხვებმა არ დაგინახონ.

— ძაღლები დამგლეჯენ. — თქვა გოგონამ. — ვერ წავალ.

— მიწა კი დაგაყარე. — შვილს ხელები ჩაალო მამამ და კარებისაკენ უბიძგა. — გასწი ჩქარა! — უალგამ ფრთხილად გადაიარა კალო და ქარუმის სახლისაკენ წავიდა. ქარუმი თავის ოთახში ბოლთასა სცემდა, თითებს ნერვიულად იმტვრევდა. მინდორს გასცქეროდა და მძიმედ ოხრავდა. ადგილს ვერ ჰპოულობდა...

— უ-უ. რა ვირია ძიბე... ერთი შეგხვდებოდე. რომ თავი წაგაცალო! ყველაფერი მისი მითითებითაა გაკეთებული. ეს მირზაბეგიც! იმას, რაღა უნდა იმ ძაღლს შვილს, რა? ვის აჰყოლია!.. — ბუზღუნებდა თემბოლი. ამასობაში ქარუმიც მოვიდა, ჩოხის კალთები ჩამოხეული აქვს, ჩალა ჰოუჩანს არჭიდან[1], რომლისა მოკაუჭებული ცხვირი მარხილის ყბას მოგაგონებს.

— გამარჯობა, თემბოლ!

თემბოლს სახე შეეცვალა.

— გაგიმარჯოს, ქარუმ, დაჯექი. მეზობელი უნდა დაპატიჟო, მაგრამ ხომ იცი, ახლა რა დროა.

— ღმერთმა ბარაქა მოგცეს, თემბოლ.

ქარუმი და თემბოლი სვამენ, თემბოლი სასმელს მაინცდამაინც არ ეტანება. ქარუმი კი ყლაპავს. როგორც წესი და რიგია.

— ქარუმ, ჩემი პატიესაცემი სირჩა მიირთვი.

— საკმარისია, მეყოფა!...

— ჭიქას ხელი მოჰკიდე, რამ შეგაშინა! აი, ჯალე კოლექტივს ჩამოვაყალიბებთ...

— რა კოლექტივს ჩამოვაყალიბებთ, რა თქვი? ჩვენ მათი კოლექტივი არ გვესაჭიროება, არაფრად გვჭირდება. უმჯობესია, თავი დაგვანებონ.

— მართალს ამბობ, ღმერთმანი, ქარუმ. — გამხნევდა თემბოლი. — ჩვენს წინაპრებს კოლ-

მეურნეობა არ ჰქონიათ, მაგრამ კარგად ცხოვრობდნენ. აბა, რა მთავრობა გვყავს, ჩემო კარგო, რა მთავრობა?! ხალხს ტყავს აძრობს.

— ჰო, ჰო! მთელ საქონელს თავს მოუყრიან და მიითვისებენ, არა?! თითქოს ჩვენ არაფერი გაგვეგება. მოგვატყუებენ. დახეთ, რა ჭკუის კოლოფები არიან! ამას რა მიხვედრა უნდა! თითო ძრობალა შეგვრჩენია და ათას ხრიკებს მიმართავენ. რომ ისინიც გააქრონ. კომკავშირიცა და მთავრობაც ამას ცდილობს.

— არა, არა, თემბოლ, თუ ღმერთი გწამს, ამას ნუ გამახსენებ! ჩვენ კი ნიკოლოზის დროს ვემდურიდით.

— ერთი სიტყვით, თანხმობას ნუ აძლევთ, რომ კოლმეურნეობა ჩამოაყალიბონ, თორემ დავიღუპებით, — ამბობს გაღიმებული თემბოლი.

— რას მეუბნები, თემბოლ, ჩემს დასაკლავად დანას მე თვით გამოვნახავ?!

— აი, კიდევ რას აპირებენ, ქარუმ: როცა კოლმეურნეობა ჩამოყალიბდება, ერთ სახლში ვიცხოვრებთ, ერთად დავიძინებთ, ქალებიც და კაცებიცო... და მშივრები რას გავაკეთებთ? დღეში ერთ გირვანქა პურს მოგვცემენ, მოდი და იცხოვრე... სტუმარი რომ გეწვიოს, მშიერი უნდა დააწვინო! რას იშოვი მისთვის?!...

— ეს როგორ, როგორ შეიძლება, რომ ჩემი ცოლის გვერდით სხვა იწვეს!... — ჩაფიქრდა ქარუმი. — და თუ სხვა საშველი არ დაგვადგა, ქარუმ, მაშინ ის მაინც თქვით, რომ კოლმეურნეობაში შესვლის უფლება ყველას ჰქონდეს. თუ ჩემზე და ფიდუაგზე რამე თქვეს, მაშინ შენ იცი...

— ვის რა საქმე აქვს თქვენთან? — ჩვენს სოფელში, აბა, თქვენზე უკეთესი ვინ არის.

— მეც მაგას არ ვამბობ!? აი, ჩემი სახლი შენს ხელშია, შენი ნებაა, რაც გინდა, ის გააკეთე. ძველთაგანვე, როგორც ერთი ოჯახი, ისე ვცხოვრობთ.

— ჩემი იმედი იქონიე, თემბოლ! — და გულზე ხელი დაიდო ქარუმმა.

კიდევ თითო ყანწი გადაკრეს. ქარუმი ადგა. მაგრამ დაბარბაცდა:

— ღმერთმა ბარაქა მოგცეს, თემბოლ! მე ჭზად ვარ მთელი სოფელი თქვენ შემოგწიროთ. — და გავიდა.

— შეიძლება ასეთებმა რამე გვიშველონ, სხვა გზა აღარ გვაქვს — ღიმილით გაიფიქრა თემბოლმა.

• •

ჭზე ჩადიოდა. სანახშოზე რამდენიმე კაცი მოვიდა, მათ წინ ძიბე მოუძღოდა. ქარუმმა ისინი რომ დაინახა, მათთან მივიდა.

— წადით, ახბერდ, ციფფუ, შემოიარეთ სოფელი და ხალხი შეაგროვეთ, დიდიცა და პატარაც, — ეუბნება ძიბე.

— თქვენ ხომ იცით, ვინც უნდა მოიყვანოთ, — ჩაუკრა მათ თვალი ძიბემ.

ახბერდი და ციფფუ სხვადასხვა მხარეს წავიდნენ. მხოლოდ თემბოლსა და ფიდუაგს არაფერი აცნობეს.

—ყველას შევატყობინეთ, ვინც სახლში დაგვხვდენ, — უთხრეს ძიბეს, როცა დაბრუნდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ფიდუაგი. გამოცხადდა ცირიყონიც, იგი ქვემო უბნის ქალებს ეჩურჩულებოდა. სახლში მხოლოდ თემბოლი დარჩა. ზის და ელოდება, ჩემს წასაყვანად გამოაგზავნიანო. მაგრამ არავინ ჩანს, თემბოლი ადგილს ვერ ჰპოულობს, გრძნობს თავის აღსასრულს. სახლში ვერ ჩერდება, თავს ვეღარ იკავებს. ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა და კრებაზე გაჩნდა. ძიბეს ლაპარაკს მოუსწრო:

— იზრდება საბჭოთა კავშირი, შენდება დიდი ფაბრიკა-ქარხნები, საბჭოთა კავშირის გლეხები აარსებენ კოლმეურნეობებს. ჩვენ კი დღემდე თავსაც არ ვიწუხებთ. ყველას ჩამოვრჩით. აბა, თუ დავასახელებთ ერთ ადამიანს მაინც, თავისი ცხოვრების კმაყოფილი რომ იყოს? მართლა, არ შეიძლება ითქვას, რომ თემბოლი და ფიდუაგი ცუდად ცხოვრობენ, მაგრამ ამას ისინი სპეკულაციით ახერხებენ—ხალხს ატყავებენ.—თემბოლი და ფიდუაგი ადგილზე ვერ ჩერდებიან, დრო და დრო ისინი ერთმანეთს შეხედავენ.—ჩვენ თუ ასე განვაგრძეთ მუშაობა, სხვებს სულ ჩამოვრჩებით. დღეს ჩვენ უნდა დავაარსოთ კოლმეურნეობა, მოვაწყოთ მეცხოველეობის ფერმა. მე არაფერს ვიტყვი იმაზე, თუ რა სარგებლობას მოგვიტანს ჩვენ ეს, თუ რატომ ვაწყობთ კოლმეურნეობას, რადგან წინა კრებაზე ამის შესახებ ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ. მაგრამ მე ვიტყვი იმას, რომ კოლექტივში შესვლის უფლებას არ მივცემთ არც თემბოლს და არც ფიდუაგს.

ფიდუაგი თავს ვეღარ იკავებს და უყვირის ძიბეს უკანა რიგებიდან:

— ნმა ჩაიწყვიტე, ბრიყვო! როგორ თუ არ გვაქვს უფლება?! ვითომ რატომ ვართ ჩვენ შენზე უარესები!...

— იმიტომ, რომ თქვენ კულაკები ხართ, თქვენ კულაკების სიაში ხართ შეტანილი, ხმის უფლება წართმეული გაქვთ, — ხმამაღლა ამბობს ძიბე.

თემბოლმა მოთმინება დაკარგა.

— ვინ, ვინ შეგვიტანა ჩვენ კულაკების სიაში?!...

— განა თქვენ თვითონ არ იცით, რომ კულაკები ხართ?... ერთი ფიდუაგს ჰკითხე! სამი წლის განმავლობაში, ზამთარ-ზაფხულ ვყავდი მოჯამაგირედ, და რა მომცა? — თქვა ძიბემ.

— მომეცით საშუალება გამოვთქვა ჩემი აზრი, მერე რაც გინდათ ის მიყავით! — ხალხნო, ჩვენ თქვენთან ერთად ვცხოვრობთ, ჩვენ გვიცნობთ. არავისთვის ცუდი არ გაგვიკეთებია, პურ-მარილი არავისთვის დაგვნანებია. რაც შეგვეძლო, პატივს გცემდით. და თქვენ, ჯერ თუ კიდევ გწამთ ღმერთი, ჩვენც მიგვიღეთ, ერთად ვიმუშაოთ.

ყოველი მხრიდან თემბოლს ყვირილი დაუწყეს. ახალგაზრდებიც აღელდნენ:

— არ გახსოვს, თემბოლ, თიბვაში ორმოცდათი მანეთი რომ წამართვი? — ყვირის ახბერდი.

— აღარ გახსოვს, ორი კვირა როგორ მათიბვინე ერთი ქცევა მიწისათვის! — ამბობს ციფფუ.

— არა, არ შეიძლება მათი კოლმეურნეობაში მიღება! — ისმის ხალხში ყვირილი.

ამ სიტყვებმა ქარუმი აანთო, მას უკვე ვერაფერი შეაჩერებს, მოაგონდა თემბოლის პატივისცემა, ჯოხის ქნევით ძიბესაკენ მიიწევდა.

— ჩვენ ხომ თემბოლზე და ფიდუაგზე უკეთესი არავინა გვყავს, მაშ, რატომ, რატომ არ ვიღებთ მათ კოლმეურნეობაში? რა კულაკები არიან ისინი? ჩემისთანა ღარიბებს ყოველთვის ეხმარებიან...

— შენ ჯერ ვერ გაგიგია, ქარუმ, თუ ეხმარებიან, სამაგიეროდ თავისას ხუთმაგად ინაზღაურებენ, ჩვენისთანებს ტყავს აძრობენ, — ეუბნება მას ძიბე.

— მათ თუ არ მიიღებენ, მაშინ არც ერთი ჩვენგანი კოლმეურნეობაში არ შევა, — ამბობს ისევ ქარუმი.

— შენ გირჩევნია საკუთარ თავზე ილაპარაკო, ქარუმ, — დაეხვია ხალხი, — სხვის მაგივრად ნუ ლაპარაკობ.

ვერაფერს გახდნენ თემბოლი და ფიდუაგი. ლადიც თავისთვის არხეინად ზის. ფიდუაგი მიეხვდა ეშმაკობას და მას პირში მისჩერებია. იქნებ რამე თქვასო, მაგრამ იგი სდუმს. ფიდუაგი გაბრაზდა:

— რატომ არაფერს ამბობ? — ჩუმად ეკითხება ლადის.

— აბა, მე ყურს ვინ დამიგდებს, ფიდუაგ, — უგულოდ ამბობს ლადი.

ამ სიტყვებმა ფიდუაგი გაანადგურა, სიბრაზისაგან არ იცის რა ჰქნას. იგი უკვე არ მალავს თავის რისხვას და ხმამაღლა ყვირის:

— შხამად შეგერგოს, რაც ჩემს ოჯახში გისვამს და გიჭამია!

ხალხში ხარხარი გაისმა, ქალებიც სიცილით კვდებოდნენ. ცირიყონის მიერ გადმობირებული ქალები თავმჯდომარისაკენ ხელებს იშვერენ, მაგრამ. როგორც კი თავიანთი ქმრების მრისხანე სახეებს შეხედავენ, მაშინვე წყნარდებიან. ძიბემ ლაპარაკს თავი ანება. კოლმეურნეობაში შემსვლელთა სიების შედგენას შეუდგა. სიაში ყველა შეიტანა. გარდა სამი ოჯახისა. კრება დახურულად გამოცხადეს. ხალხმა დაშლა დაიწყო.

— გაგისწორდებით, ვირის შექვნილო! — ემუქრება ძიბეს მუშტმოღერებული ფიდუაგი.

* * *

ბნელა. ღრუბელი ნელნელა დაბლა დაეშვა და მთები დაჰფარა. არც ვარსკვლავები, აღარც მთვარე ჩანს. სოფელი მიწყნარდა, ჩქამიც არ ისმის. ფანჯრები ჩაბნელებულია. მხოლოდ შორს, მდინარის გადაღმა, სახსატის კოლმეურნეობის სარძეო ფერმის ფანჯრებიდან გამოკრთის შუქი.

აქ ზის გამგეობის თავმჯდომარე ძიბე. საკოლმეურნეო საქონლის ჯოგისა და ფარის სიას ადგენს.

სულ ასსამოცი ძროხა და ორი ათასი ცხვარი დაგროვდა. ძიბეს გული გაახარა ასეთმა რიცხვებმა.

„თემბოლისა და ფიდუაგის ჯიბრზე ჩვენ ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ მათ შურისაგან თვალები დაეთხაროთ“... — თქვა თავისთვის ძიბემ, ჯიბეში ქაღალდები ჩაიწყო და ფანჯრები დახურა.

შუაღამე გადასული იყო. ფიდუაგი თემბოლის სახლის კარს აკაკუნებს. თემბოლმა თავზე საბანი წაიხურა. ფიდუაგმა ისევ დააკაკუნა, დაძახება კი ვერ გაბედა.

— ეინ ხარ? რა გინდა? ღმერთმა დაგწყევლოს! — წამოიძახა შიშისაგან აკანკალებულმა თემბოლმა.

— ს-ს-ს! ნუ ყვირი, — ძლივს მიაღწია თემბოლის ყურამდე. ფიდუაგის ხმა მაშინვე იცნო და სასწრაფოდ კარი გაუღო მას.

— შენა ხარ, ფიდუაგ?

— დიახ, მე...

— რა გინდა?

— ახლა ძიბე ფერმიდან დაბრუნდება და რამე უნდა მოვუხერხოთ...

— კი, მაგრამ რა უნდა მოვუხერხოთ?

— როგორ თუ რა? მომეცი ერთი შენი დამბაჩა. ხუთ ტყვიას შიგ შუბლში მოვარტყამ, — და გულზე მუშტი დაირტყა ფიდუაგმა.

—არა, ფიდუაგ, დამბაჩით მისი მოკვლა არ შეიძლება, ვინმე გიცნობს. უკეთესია ნაჯახი წაიღო.

—ესეც კარგი აზრია. აბა, მომეცი!..—თემბოლმა ნაჯახი მიაწოდა.

— სოფლის ახლოს ნუ მოჰკლავ, თორემ მაშინ ჩვენ სულ დავიღუპებით...

ფიდუაგი წავიდა.

მდინარე ბობოქრობს, ქვას ქვაზე ახეთქებს და თავისი ხმაურით გარემოს აყრუებს.

ფიდუაგმა მდინარე გადაიარა და ხიდქვეშ დაიმალა.

იგი ძლივს არჩევს ადამიანის ლანდს წისქვილთან. ძიბე მოდის, უსტვენს. ამ ღამით, იგი, სახსაევთა კოლმეურნეობის დამაარსებელი, უბედურების გზით მოდის! მზის სინათლეს ვეღარ ნახავს, ქვრივი სალბიონის ვაჟი. სალბიონი მარტოხელაა. ქმარი ქართველმა თავადებმა მოუკლეს. მისი კარები გამოიკეტება, სრულიად მარტო, უთვისტომოდ დარჩება.

ძიბე ხიდს გადადიოდა. ამ დროს ფიდუაგმა მალა აიქნია ბასრი ნაჯახი და ძიბეს ბეჭებშუა დაჰკრა.

— ა, ვირიშვილო, ესეც შენ კულაკი, ესეც შენ კულაკი!... ჭრილობიდან სისხლი ქვის ლოდებზე იღვრება, ირგვლივ ყველაფერი წითლად შეიღება. ძიბე, როგორც მოჭრილი ნაძვი, ისე გადავარდა წყალში ხიდიდან.

სოფელ სახსატის ძაღლები ჰყეფენ, გულსაკლავად ყმუიან, მდინარისკენ გარბიან.

თენდება, დილით ადრე, მდინარის ნაპირას სალბიონის გოდება გაისმა. თმებს იგლეჯს, ხელები დაიკბინა, სახე დაიკაწრა, სისხლის ნაკადი გულმკერდზე მოედინება.

სალბიონი მკერდზე დაემხო თავის ერთადერთ შვილს და გული წაუვიდა...

ძიბეს დაღუპვის ამბავი მთელ მხარეს მოედო.

ხალხი მოდის მიცვალებულთან გამოსათხოვრად.

მოდიან დროშებით: პარტია, კომკავშირი, პიონერები.

ერთ დროშას თეთრი ასოებით აწერია: „გამოსათხოვარი სალამი ჩვენს ამხანაგს ძიბეს".

ხალხმა ძიბე სოფელ სახსატში დაკრძალა. ცოტა ხნის შემდეგ სახსატელთა უბედურ მდინარეზე დიდი ხიდი ააშენეს. ხიდთან აღმართეს მაღალი, ოთხკუთხედი გრანიტის ლოდი და ასეთი წარწერა გაუკეთეს:

„ძიბე ხაჩასის-ძე სახსათი დაიღუპა ამ ხიდზე მტრის ხელით. მის საქმეს ბოლომდე მივიყვანთ!".



ელიოზ ბეკოითი

ვაშლი „მეგობრობა“

ბინდდებოდა. ჩამავალი მზის სხივები ძლივს ანათებდნენ შთის ჩამოთოვლილ მწვერვალებს. როდესაც ფრიალო კლდეს „პობედა“ მიეფარა და უკან ბოლის ქვალი დასტოვა.

მძღოლის გვერდით რბილ საავარძელს ოდნავ მიყრდნობილი, მხარბეჭიანი ორმოცი წლის მამაკაცი იჯდა. მას შუქიანი ცოცხალი თვალები ჰქონდა. ვაჟკაცურ სახეზე მხიარული ღიმილი მოჰფენოდა.

მთიდან სიგრილემ დაჰბერა.

მამაკაცმა ნელა ამოწია პალტოზე შემოვლებული კრაველის საყელო, თვალები განაბა და ძრავის შეწყობილ გუგუნის ხმაზე ჩაბთვლიმა. მანქანამ მოუხვია და მძლავრი ბიძგით გამოღვიძებულმა მგზავრმა ფართოდ გაახილა თვალები, მაგრამ რა დარწმუნდა, ყველაფერი რიგზეაო, შავ ულვაშებზე გადაისვა ხელი, გაიღიმა და, თითქოს ფარულ ფიქრთა გამქღავნების შიშით, ჩურჩულით წარმოსთქვა: „არაფერია, მეგობარო სამსონ, რა ვუყოთ, რომ ამჯერად შენ უკან აღმოჩნდი... შენ ხომ მშიშარა არა ხარ“. სოსლანი (ასე უწოდებდნენ მგზავრს) სოფელ რაბენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო.

ჯერ კიდევ დიდ სამამულო ომამდე იყო ცნობილი მისი კოლმეურნეობა. ომამდე დიდი ხნით ადრე, სოსლანი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გახლდათ. მაგრამ აი იგრიალა ომმა. გრიალის ხმამ ოსეთის მთების მწვერვალებამდე მიაღწია და ადამიანთა გულებში მრისხანე ეხოს გამოძახილი გაისმა. სოსლანი მოხალისედ გაემგზავრა ფრონტზე და მამაც მეთაურის, ბელოუსოვის, ასეულში მოხვდა, სადაც ჯარისკაცს სამსონ ზანგბლაძეს შეეყარა და დაუმეგობრდა. სტალინგრადიდან გერმანიამდე მხარდამხარ განვლეს ომის მძიმე გზა. არა ერთი ფაშისტი მოსპო მათი ერთგული „მაქსიმის“ გამანადგურებელმა ცეცხლმა. ჯერ კიდევ სტალინგრადის ნანგრევებთან მისცეს ერთმანეთს მტკიცე მებრძოლის ფიცი მეგობრებმა, დაუზოგავად ეძიათ შური ფაშისტებზე და თუ საჭირო იქნებოდა, უყოყმანოდ შეეწირათ თავიანთი სიცოცხლე საყვარელ სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის. არა ერთხელ მდგარან ისინი პირისპირ სიკვდილს წინაშე, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდნენ და მამაცობით და უშიშრობით ანცეიფრებდნენ თავისი ნაწილის მებრძოლებს. ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ბელოუსოვი, ბრძოლების შემდეგ ხშირად სოსლანსა და სამსონზე მიათითებდა და თაყის მებრძოლებს ეუბნებოდა:—ამ ჩვენს მამაც მებრძოლებს ტყვიაც გაურბის და ხიშტიც არ ეკარებაო. ერთხელ, დნეპრზე გადასვლის დროს, სამსონი ხელში დაიჭრა, მაგრამ მწყობრი არ დაუტოვებია. მედსანბატში შეუხვიეს ჭრილობა და ახლა საღი ხელით ეხმარებოდა სოსლანს ტყვიამფრქვევის გაწყობაში.

ფრონტის ხაზი სულ უფრო და უფრო იწევდა დასავლეთისაკენ, დღითა და ღამითაც. გრძელდებოდა გააფთრებული ომი. საბჭოთა მებრძოლე-

ბი კვალდაკვალ მისდევდნენ ფაშისტებს და ერთი გული ჰქონდათ, საბოლოოდ გაენადგურებინათ მტერი მისსავე ბუნაგში. მაგრამ მეგობრები მალე დაშორდნენ ერთმანეთს; ბერლინის მისადგომებთან მძიმედ დაიჭრა სოსლანი და იგი ჰოსპიტალში გადაგზავნეს. სამსონი მეგობარს გამოეთხოვა, მაგრად აკოცა გაფიცხებულ და დახეთქილ ტუჩებში, ძლივს შეიკავა ცრემლი და უთხრა: — ნუ დაღონდები, მეგობარო. ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს...

ეი ყოველივე ეს მოაგონდა ახლა „პობედაში" მჯდარ სოსლანს.

„დიახ, — ფიქრობდა ის, — ჩვენ ისევ შევხვდით ერთმანეთს და შევხვდით, არა როგორც მეგობრები, არამედ როგორც მოქიშპენი... შარშან შეჯიბრებაში მისმა კოლმეურნეობამ გაიმარჯვა, წელს კი ჩვენ აღმოვჩნდით მოწინავეთა რიგებში".

მანქანამ ბოგირი გადაიარა და მალე გავიდა მოასფალტებულ, კრიალა გზაზე, რომელიც უფსკრულის გასწვრივ, სოფლისკენ მიდიოდა. სოსლანს მთის სწრაფი მდინარის შხუილი შემოესმა და მის თვალწინ უნებურად გაირბინეს შორეული, უხალისო ბავშვობის წლებმა.

ერთ წელს მათ სოფელში შიმშილიანობა იყო. პატარა სოსლანი და მისი მამა მახლობელ სოფლებში ხორბლის საშოვნელად წავიდნენ. მშიერნი და დაქანცულნი დიდხანს მილასლასებდნენ ისინი მთის ვიწრო ბილიკებით. მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც უკანასკნელი ყველი და მატყლი სამ ტომარ სიმინდზე გადაცვალეს. ძვირფასი ტვირთი სახელდახელოდ გაკეთებულ მარხილზე დატვირთეს, და გახარებულნი შინ დაბრუნდნენ ვიწრო ბილიკით, რომელიც მაშინ მთის სოფლებთან დამაკავშირებელ ერთადერთ გზას წარმოადგენდა.

როდესაც ისინი იმ ადგილს მიუახლოვდნენ, სადაც ახლა კომფორტაბელურმა „პობედამ" გაისრიალა, მამას ფეხი დაუცდა და დაეცა, ხოლო მარხილი, ტომრებითურთ, უფსკრულში გადავარდა და მათი უნუგეშო მწუხარებისადმი გულგრილი მდინარის აბობოქრებულ ზვირთებში გაქრა...

სხვა რამეც მოაგონდა სოსლანს, სახელდობრ ის, თუ როგორ ცხოვრობდნენ სოფლელები ომამდე. კოლმეურნეობა რაიონში მოწინავედ ითვლებოდა. მთის კალთები მსუქანი, ჯიშიანი ცხვრის ფარებით, ძროხებისა და ხარების ჯოგებით იყო მოფენილი. საწყობები ვერ იტევდნენ უხვი მოსავლის ნაყოფს. სოფელში კლუბი და საშუალო სკოლა ააგეს, ახალი გზა გაიყვანეს, საავადმყოფოს მშენებლობა დაიწყეს... მაგრამ ომი დაიწყო. კოლმეურნეობის ბურჯი — სოფლის ახალგაზრდობა, სამშობლოს დასაცავად წავიდა. კოლმეურნეობაში მხოლოდ მოხუცები, ქალები და ბავშვები დარჩნენ. მაგრამ ამ მძიმე წლებშიც განაგრძობდა კოლმეურნეობა მჩქეფარე და დაძაბულ ცხოვრებას. გაორკეცებული ენერგიით შრომობდნენ ადამიანები და აქაც, ზურგშიც, თავისი თავდადებული შრომით მტერზე გამარჯვებას სჭედდნენ. სოსლანის მამამ, მთელი კოლმეურნეობის მიერ პატივცემულმა ოთხმოცი წლის ბერიკაცმა, რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე ბასილემ, სოფლის ყველა მოხუცს თავი მოუყარა და ასე მიმართა:

— ძვირფასო სახლიკაცებო, ჩვენი შვილები და შვილიშვილები სამშობლოს დასაცავად არმიაში წავიდნენ. კარგად იცით, რომ მათ დაგვიტოვეს მდიდარი კოლმეურნეობა, დაგვიტოვეს ცოლშვილი. თვითეული ჩვენთაგანი პასუხისმგებელია მათ წინაშე. ნუ თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ დაღუპოს ის, რაც წლობით აშენეს ჩვენმა შვილებმა? ჩემზე უფროსი ამ სოფელში არავინ არის. ეს რამდენიმე წელია, კოლმეურნეობაში აღარ ვმუშაობ. მაგრამ, ვფიქრობ, დადგა ისეთი დრო, როდესაც ჩვენ, მოხუცებმაც, არ უნდა შეეირცხვინოთ ჭაღარა... მოდი, მოვიფიქროთ, რა ვიღონოთ, რა დახმარება შეგვიძლია გავუწიოთ კოლმეურნეობას...

— ჩემი აზრით, ფიქრი აქ ზედმეტია, არის მხოლოდ ერთი გზა: ვიმუშაოთ ჩვენი ძალღონის კვალობაზე და არ დავაწვეთ კისერზე ყმაწვილებსა და ქალებს, — წამოიძახა ხალხიდან სამოცდაათი წლის მოხუცმა ილიკომ.

— კარგი გადაწყვეტილებაა! კარგია! — გაისმა აქეთ-იქიდან ხმები. — საწყენია, რომ ამაოდ დავკარგეთ ამდენხანს ძვირფასი დრო.

— მერგოლურად ბასილე ავირჩიოთ, — ჩაურთო სიტყვა ილიკოს კბილამ და მეგობარმა ილასმა და ვერავინ გაიგო, ოხუნჯობდა თუ სერიოზულად ამბობდა იგი ამას.

— დედაბრებს რაღა ვუყოთ... ისინი ხომ მთლად გაინაზებიან.

როდესაც მეორე დღეს, ალიონზე, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მამსურმა ბრიგადირ სიკოს წინადადება მისცა, მის ბრიგადაში „ძველი გვარდია“ ჩაება, სიკო გაოცდა და ჰკითხა:

— რისი გამკეთებელი იქნება მერე ის რგოლი?

ასეთი რგოლის შედგენის მიზანშეწონილებაში თვით მამსურს შეჰქონდა ეჭვი, მაგრამ მოხუცებს უარს ვერ ეუბნებოდა, იმის შიშით, რომ ეს მათ არ სწყენოდათ.

— იოლი სამუშაო მივცეთ, — თქვა მან ცოტახნის შემდეგ — არც მე გახლავარ ჭაბუკი, მერე რა? უნდა გამაგდო? შენაც უკვე ხნიერი ბრძანდები.

• •

დაიწყო თიბვა. პირველმა დღემ წარმატებით ჩაიარა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ დაღლილი და მხიარული მთიბავები შინისაკენ გაეშურნენ. მოთიბულ მინდორში მხოლოდ ბასილე დარჩა თავისი რგოლით. მოხუცებმა გადაწყვიტეს კარავი დაედგათ და ღამე სათიბში გაეთიათ.

ირიერაა თუ არა, ბასილეს რგოლი უკვე ფეხზე დადგა. ბრიგადირი სიკო ძლიერ გაოცდა, როცა ასე ადრე დილით მომუშავე რგოლი დაინახა. მალე მოხუცთა მაგალითს მთელმა ბრიგადამ მიჰბაძა და მთიბავები ღამეს სათიბებში ათევდნენ. ერთი თვის შემდეგ კოლმეურნეობის საერთო კრებაზე მამსურმა და პარტორგანიზაციის მდივანმა შავთვალა ასიათმა შეაქეს ბასილეს რგოლი, რომელმაც კოლმეურნეობას, გეგმის გადამეტებით, თივის რამდენიმე ათეული ზვინი მისცა.

• •

ფრონტიდან დაბრუნებულ სოსლანს თბილი შეხვედრა მოუწყვეს თანამესოფლეებმა. ისინი ამაყობდნენ სახელგანთქმულ თავისი თანამემამულით. მაგრამ ყველაზე უფრო ამაყობდა თავისი შვილით ორდენოსანი მოხუცი ბასილე. რამდენიმე დღის შემდეგ სოსლანი კოლმეურნეობის საერთო კრებაზე მიიწვიეს.

— მადლობას გიძღვნით ძვირფასო თანამემამულენო, — ამბობდა მამსური, — თქვენ ჩინებულად მუშაობდით, რითაც კი შეგეძლოთ, ფრონტს ეხმარებოდით. მაგრამ ჩვენ წინაშე მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები დგას. რომელთა შესასრულებლად საჭირო იქნება ახალი შრომითი გმირობა. დარწმუნებული ვარ, თქვენ ღირსეულად შეასრულებთ ამ ამოცანებს. მაგრამ ჩვენ ახლა გვჭირდება ახალი თავმჯდომარე, კაცი, რომელმაც კარგად იცის ჩვენი საკოლმეურნეო საქმე და გული შესტკივა მასზე. ასეთი კაცი ახლა ჩვენ შორის იმყოფება, იგი ყველა თქვენ მიერ პატივცემული, საბჭოთა არმიის რიგითი მეთაური, ფრონტელი კაცი სოსლანი გახლავთ. წინადადება შემომაქვს, არჩეულ იქნას იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, დაე ის ფრონტული წესისამებრ გაგვიძღვეს ახალ გამარჯვებებისაკენ... ამას საერთო საქმის სასარგებლოდ ვამბობ. — მამსურის უკანასკნელი სიტყვები ერთსულოვანმა ტაშმა დაჰფარა. ამ დღიდან სოსლანი ისევ კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახდა.

• •

კოლმეურნეობების თავმჯდომარეების საარაონო თათბირის შემდეგ სოსლანმა თავის ფრონტელ მეგობართან, სამსონთან შეიარა. მეგობრებმა მაგრად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი, დასხდნენ, საკოლმეურნეო საქმეებზე ისაუბრეს და, როგორც წესი, ფრონტული ცხოვრება მოიგონეს. რაღა თქმა უნდა, ღვინოც გაჩნდა. გამომშვიდობებისას სოსლანმა უთხრა:

— ხვალ ჩვენი დღესასწაულია, შენ და მოწინავე კოლმეურნეებს გთხოვთ, გვეწვიოთ სტუმრად. იმედია, ჩვენს თხოვნას შეასრულებთ.

ჩვენი კოლმეურნეები ყველანი მოწინავენი არიან, — ხუმრობით შენიშნა სამსონმა. — მთელი კოლმეურნეობა წამოვიყვანო, თუ როგორ მოვიქცე?

— თუ ასეა, ყველანი წამოიყვანე. არავის არ დავჩაგრავთ. თუ მანქანები არ გეყოთ, ჩვენ გამოვაგზავნით.

და აი ახლა ახალ „პობედაში“ მჯდარი სოსლანი ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე, მომავალ დღესასწაულზე. ფიქრში წასულმა სოსლანმა ვერც კი შეამჩნია, როგორ შევიდა მანქანა კოლმეურნეობის ეზოში. კანტორაში პარტორგანიზაციის მდივანი ასიათი, რამდენიმე ბრიგადირი და ბასილეს რგოლის მოხუცები დაუხვდნენ. სოსლანმა სათითოდ ჩამოართვა ყველა მათგანს ხელი და სიხარუ-

ლის დაუფარავად, თავის მაგიდას მიუჯდა. იგი გრძნობდა, რომ ყველანი მას უცქერდნენ. ორდენებს და მედლებს ათვალიერებდნენ მის ფართო მკერდზე. თითქო პირველად ხედავენო. რამდენიმე წუთს კანტორაში უჩვეულო სიჩუმე სუფევდა.

— რა არის ახალი რაიონში, ბიკო? — დაარღვია სიჩუმე მოხუცმა ბასილემ. ქურქის ღილები გაიხსნა და კალთები გადაიწია. ბასილეს ვაკკაცურად და ღირსეულად ეჭირა თავი, თითქო შვილს ეუბნებოდა:

„შენ მამაცად იბრძოდი სამშობლოსათვის ბრძოლის ველზე და ღირსეულად დაიმსახურე ეს მაღალი ჯილდოები, მაგრამ მეც, შენი მოხუცი მამაც, არ ვმჯდარვარ გულხელდაკრეფილი და შრომის ფრონტზე მივიღე „საპატიო ნიშნის“ ორდენი, და მედალი „შრომითი მამაცობისათვის“...

— რაიონში კარგი ამბებია, მიდის დიდი მზადება ოქტომბრის ზეიმისათვის, — მიუგო მამას ღიმილით სოსლანმა. და მაგიდაზე მდგარ მწვანე შუქფარიან ელექტრონათურას შეხედა და რატომღაც ოსური ანდაზა მოაგონდა: „ქაცს ხარები არ ჰყავდა და მათთვის ბაგებს აგებდაო“... მაგიდაზე მდგარი ნათურა კანტორაში მას ზედმეტ ფუფუნებად მიაჩნდა, რადგან ელექტრონი კოლმეურნეობაში ჯერ არ იყო გამოყვანილი. მაგიდიდან ნათურა აილო, ხელში მიაბრუნ-მოაბრუნა, ფანჯრის მოაჯირზე დადვა და დაბსწრეთ მიმართა:

— ამხანაგებო, ხვალ რაიონიდან, მეზობელ კოლმეურნეობიდან გვესტუმრებიან, არ შევრცხვეთ, უნდა ზედმიწევნით მოვემზადოთ შეხვედრისათვის.

— ნუ დარდობ, ჩვენ უკვე მზადა ვართ შეხვედრისათვის. ელექტროგაყვანილობა თითქმის დავამთავრეთ, ელექტროფარნები ყველა შარაგზაზე დავდგთ. ინჟინერი გვარწმუნებს, რომ ხვალ დღის თორმეტ საათზე ილიჩის ნათურები აკაშკაშდებიანო.

— შენს აქ არ ყოფნაში ცუდად არ გვიმუშავნია, სოსლან, მთელი სოფელი მავთულების ქსელით დაეფარეთ, — ამაყად განაცხადა მოხუცმა ილიკომ.

სოსლანი მხნედ წამოიჭრა.

— წამოდით, ამხანაგებო, სანამ დღის სინათლეა, ელექტროსადგურის მუშაობა შეეამოწმოთ.

კოლმეურნეებით გარემოცული სოსლანი და ასიათი ელექტროსადგურის შენობისაკენ გაეშურნენ.

• •

ადრიანი დილა იყო. მთებიდან ამომავალ მზეს მარაოსავით გაეშალა ცხივთა შუბები. ამ დილით სოფლელები უჩვეულოდ ადრე ამდგარიყვნენ. საზეიმოდ გამოწყობილი ხალხის ცახეებს საზეიმო ნათელი მოჰფენოდა. მთელი სოფელი როგორღაც უფრო ხელგამოღებული, მორთულ-მოკაზმული და ლამაზი ჩანდა. სოფლის ბოლოს აღემართათ საზეიმო თაღი, რომელზედაც ალისფერი არშია გაეკიმათ წარწერით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, განსაკუთრებით ამშვენებდა სოფელს ელექტროსადგურის ორსართულიანი შენობა. აქედან მწყობრ რიგებად მიჰყვებოდნენ სოფლის შარაგზებს მაღალი ბოძები. ბოძების ერთი წყება მიემართება ილიკოითი სიხზე, მეორე სამხრეთისაკენ უხვევს, ხოლო მესამე კი კოლმეურნეობის გამგეობის კანტორისაკენ, შემდეგ სახერხი ქარხნისაკენ და ბოლოს მესაქონლეობის ფერმამდე აღწევს.

დრომ შეუმჩნეველად გაიარა. შუადღე მოახლოვდა. ყველა სოფლელის თვალი მიპყრობილი იყო გზისკენ, საიდანაც სასურველი სტუმრები უნდა გამოჩენილიყვნენ. კოლმეურნეები ჯარ-ჯარად შემოხვეოდნენ სოსლანს და ასიათს, თან თავაბეზრებდნენ კითხვებით.

— რატომ იგვიანებენ სტუმრები? ეყოფათ მანქანები? იქნება არც კი მოვიდნენ? ვინ იცის, რა შეემთხვათ?

მაგრამ დიდხანს ლოდინი არ დასჭირებიათ. მალე კოლმეურნეებს გარმონის ხმა და დოლის ბუბუნი შემოესმათ.

სოფლის ახალგაზრდობა მუსიკითა და ყვავილებით გაეშურა სოფლის ბოლოსაკენ სტუმრებთან შესახვედრად. ყველაზე წინ ყვავილებითა და მწვანე ფოთლებით მორთული მსუბუქი მანქანით სამსონი მოდიოდა. უკან ხალხით დატვირთული ორი საბარგო მანქანა მოჰყვებოდა. ასე შეიჭრნენ სოფელში. სტუმრები საჩქაროდ ხტებოდნენ მანქანიდან, მაგრამ ართმევდნენ ხელს მასპინძლებს

და დღესასწაულს ულოცავდნენ. ბევრი მათგანი პირველად არ იყო სტუმრად თავიანთ მეზობლებთან და კარგად იცნობდნენ რაბანელებს. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პირველად მოხვდნენ ამ მაღალმთიან სოფელში და გულისყურით ათვალიერებდნენ თვითეულ სახლს. განსაკუთრებით გააოცა ისინი მთების გრანდიოზულმა სურათმა. მთის მწვერვალებზე ჩობანის თეთრი ბუხრის ქუდივით ბრწყინავდა და ლივლივებდა თოვლი.

სტუმართა შორის იყო ბასილეს ძველი მეგობარი, ცნობილი მებაღე ნიკა. ორმა ბერიკაცმა მაგრად მოხვია ერთმანეთს ნაჯაფი, მაგრამ მაგარი ხელები და დიდი ხნის უნახავი ძმებივით შეხვდნენ ერთმანეთს. ბასილემ უნებლიეთ მოიგონა, თუ როგორ ჩამოვიდა რაბენში ამ რამდენიმე წლის წინათ სამსონი კოლმეურნეებთან ერთად, სოცშეჯიბრის ხელშეკრულების დასადებად. მათ ჩამოიტანეს მაშინ პირველხარისხოვანი ვაშლით სავსე ერთი ყუთი.

— რა ბედნიერი ხარ, სამსონ, რომ ასეთ წარმტაც ადგილას ცხოვრობთ! — წამოიძახა მაშინ ბასილემ და შურით შეათვალიერა დიდი ვაშლი.

სამსონმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ ოდნავ გაიღიმა. რამდენიმე თვის შემდეგ, გაზაფხულზე, სამსონმა ისევ ინახულა სოფელი რაბენი. ამჯერად, მასთან ერთად, ჩამოვიდა მებაღე ნიკა. სტუმრებმა თან ჩამოიტანეს შეფუთული ვაშლის ნერგები.

მალე სამსონმა, სოსლანმა და ნიკამ სოფელში მცირე ფართობი შეარჩიეს და მუშაობას შეუდგნენ. ნიკამ ნაკვეთის გარშემო ოთხ ადგილას, პატარა პალოები ჩაარჭო, ბაწარი გაჭიმა, მოზომა ორმოების ამოსათხრელი ადგილები, სადაც ნერგები უნდა ჩაეყარათ. ზოგი ორმოს იღებდა, ზოგი ნიკას მეთვალყურეობით ნერგებსა რგავდა, რამდენიმე საათის შემდეგ მინდორი ნორჩი ნერგებით გალამაზდა. გამგზავრების წინ ნიკამ აუხსნა ბასილეს, თუ როგორი მოვლა ესაჭიროება ნერგებს. ბასილეს ეს წამოწყება არ მოეწონა, მაგრამ სტუმრების თანდასწრებით არ სურდა ამის გამჟღავნება. რა წამს სტუმრები წავიდნენ, ბასილემ შვილის დატუქსვა დაიწყო.

— უნაყოფო საქმესა ჰკიდებ ხელს, ჰაბუკო... ხალხი დაგცინებს. იტყვიან: ტუტუცი ყოფილა, არ სცოდნია, რომ მთაში ვაშლი არ ხარობს. უმჯობესი იყო, კარტოფილი დაეთესა მის ადგილას. თუმცა, რას დაეძებ. რაც გინდა, ისა ქქენი. მხოლოდ მე მაგ ნერგების მოვლაზე უარს ვაცხადებ. არა მსურს, ამ სიბერის ჟამს, რომ ხალხის დასაცინი გავხდე, — კიდევ დიდხანს ბუზღუნებდა მოხუცი ბასილე, თუმცა მებაღის მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდა.

ერთხელ ბასილე ნაკვეთის სანახავად მივიდა და, როცა პატარა ხეებზე ახლადგაშლილი და ოდნავ მოშრიალე ფოთლები დაინახა, გაეხარდა და გაოცდა. „მაშასადამე გაიხარა ხეებმა, მაშასადამე გაიზრდებიან", — ჩურჩულებდა იგი... თუმცა მას ზოლომდე არა სჯეროდა, რომ ნერგები მთის ყინვებს გაუძლებდნენ, მაგრამ მაინც ასრულებდა ყველა დარიგებას გამოცდილი მებაღისა, რომელიც ხშირად ეწვეოდა თავის მოწაფეს. მაგრამ ნერგებმა კარგად გადაიტანეს ზამთრის ყინვები და ახალი პატრონის ეჭვებიც გაფანტეს.

მოაგონდა ბასილეს, ნიკამ მეორე წელს რომ თავის კოლმეურნეობაში მიიპატიჟა, რათა მისი მეგობარი ხეხილის ბაღსა და ვენახს გასცნობოდა. ნიკასთან მთელი კვირა გაატარა. რა ჯიშის ვაშლი და ყურძენი არ უჩვენა მან ბასილეს, რა არ უამბო თავის გამოცდილებიდან? და რა ჯიშის ღვინით არ გაუმასპინძლდა იგი მოხუცს?!

და აი ახლა ორი ძველი მეგობარი ტკბილად საუბრობს და ყალიონის წვეთით მიაბიჯებენ სოფლის შარაგზაზე: უპირველეს ყოვლისა მათ ახალი ბაღი დაათვალიერეს. მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: ამაყად იდგნენ ტოტებგაშლილი, ლამაზი ხეები. ნიკამ მაგრად ჩამოართვა ხელი ბასილეს:

— მადლობელი ვარ, მეგობარო, რომ ასე კარგად მოგვიღია ნერგებისათვის...

— მე კი არა ვარ მადლობის ღირსი, — შეედავა მოხუცი, — არამედ შენ. გულითად მადლობას გიძღვნი, ნიკა. თუ არა შენ და სამსონი, დღეს ასეთი ბაღი არ გვექნებოდა.

სანამ მოხუცები ბაღს ათვალიერებდნენ და თვითეულ ვაშლს სინჯავდნენ, ვით ცოცხალ არსებას, სამსონმა და სხვა სტუმრებმა მოასწრეს მეცხოველეობის ფერმის, ელექტროწისქვილის დათვალიერება და ახლახან გაშენებულ საკოლმეურნეო აბანოსაკენ გასწიეს.

— კარგი შენობა აგიგიათ ფერმისათვის, შენიშნა სამსონმა, — მაგრამ...

— მაგრამ ბოლომდე ვერ დავამთავრეთ, — გააგრძო მეგობრის სიტყვები სოსლანმა, თითქო ეზრს მიუხვდაო. — შენ გინდა თქვა, რომ მექანიზაცია სუსტია? მერე რა? სულ მალე შემოვიღებთ ელექტროწველას...

აბანოს დათვალიერების შემდეგ სტუმრები კოლმეურნეობის სამმართველოს შენობისაკენ გაეშურნენ. გარმონის ხმა შეეხესმათ. მის ხმას სიმღერისა და ტაშის გუგუნი ფარავდა. მათ მოსვლამდე ახალგაზრდობას ცეკვა-თამაში წამოეწყო. რამდენიმე წუთის შემდეგ სამსონი მოცეკვავეთა წრეში აღმოჩნდა. მის წინაშე ოდგა შავთვალა, ტანკენარი ასიათი... დამსწრეთა გამამხნევებელ შეძახილზე სამსონმა რამდენჯერმე დაუარა წრეს და ქალი საცეკვაოდ გაიწვია. ასიათმა სტუმარს ალერსიანად გაუღიმა და მიპატიჟება მიიღო. მეგარმონე ქალმა, სამსონის თხოვნით, „ხრნგა კაფტი“ დაუკრა. გაისმა ოსური ნარნარი მელოდია. სამსონი ისე სწრაფად და კოხტად ცეკვავდა, თითქო ბავშვობიდანვე შეჩვეული ყოფილიყოს ამ ცეკვას.

— საინტერესოა, სად შეისწავლა ჩვენმა სტუმარმა ასე კარგად ოსური ცეკვა? — გაისმა ვიღაცის ხმა, მაგამ სამსონსა და ასიათს ჯერ ყიდევ არ ჰქონდათ ცეკვა დამთავრებული, როცა კოლმეურნეობის გამგეობის შენობასთან მსუბუქი მანქანა გაჩერდა. მანქანიდან ლამაზი, ენერგიული სახის ოცდაათი წლის ტანადი ვაჟკაცი გადმოვიდა. ეს იყო პარტიის რაიკომის მდივანი აჟიყარი.

ცეკვა შეწყდა. ყველანი ელექტროსადგურის შენობისაკენ გაეშურნენ. აქ, მოედანზე, ფიქვის ფიცრებისგან საზეიმო ტრიბუნა მოეწყოთ. დაიწყო მიტინგი.

* * *

მიტინგის შემდეგ, სოფელ რაბენის კოლმეურნეები და სტუმრები, უფროს-უმცროსობის მიხედვით, უხვ მაგიდას შემოუსხდნენ. თეთრწვერა ბასილეს ორი ყანწი მიართვეს. ერთი ოსური მაგარი არაყით იყო სავსე, მეორე კი — ადგილობრივი, ქაფქაფა ლუდით.

ბასილემ ბედნიერი თვალები მოავლო დამსწრეთ, სწრაფად ადგა. მის მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს.

— ჩვენი პაპები და პაპის პაპები პირველ სადღეგრძელოს ხუცაუსა და უასტირიჯს მიუძღვნიდნენ სოლმე. ისინი, ჩვენი წინაპრები, საუკუნეების მანძილზე სცემდნენ თაყვანსა ღმერთებს, თხოვდნენ მათ მფარველობას და ავი სულებისაგან დაცვას, მაგრამ ღმერთები გულგრილად უცქერდნენ ხალხის უბედურებას. ეს თავისუფალი, ბედნიერი და საამური ცხოვრება კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მოგვანიჭა. ჩვენი ცხოვრება მათ ნათელ ზეიმად აქციეს. ბასილეს უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს მთელ სოფელში ელექტრონის ნათურები აციაფდნენ. იგრიალა „ვაშამ“. ექო შორს მთებში გაისმა.

— გაუმარჯოს მას, ვინც სინათლე მოგვანიჭა! — დაამატა ბასილემ და ელექტრონით განათებული მისი სახე უსაზღვრო სიხარულს გამოხატავდა.

მეორე სადღეგრძელოს შემდეგ, სოსლანმა რაღაც ჩასჩურჩულა ახალგაზრდებს და სუფრასთან ღვინით სავსე კასრი მოაგორეს, იქვე ვაშლით გაჭედილი ყუთი და წიგნების დიდი შეკვრა დალაგეს.

— ეს საჩუქარი ჩამოუტანეს ჩვენს კოლმეურნეობას ძვირფასმა სტუმრებმა, — თქვა სოსლანმა.

— მაპატიეთ, პატივცემულო მოხუცებო, — მიუბრუნდა მოხუცებს სამსონი — ეს მცირედი ძღვენი მოგართვეს ჩვენმა კოლმეურნეებმა. აი ამ ალბომში კი აღნიშნულია ჩვენი კოლმეურნეობის მიღწევები.

მოხუცმა ბასილემ სამსონს ალბომი ჩამოართვა და ფოტო-სურათების დათვალიერება დაიწყო, მერე მოკრძალებით დადო იგი მაგიდაზე და მორიგი სადღეგრძელო წარმოთქვა.

— ამ სასმისით მინდა ჯანმრთელობა და გამარჯვება ვუსურვო ჩვენს ძვირფას სტუმრებს, მათაც, ვინც ესენი ჩვენთან წარმოგზავნა. ვაუმარჯოს ჩვენს ურყევ, ძმურ მეგობრობას!

ასიათმა და რამდენიმე ქალიშვილმა სუფრაზე ლარნაკები მოიტანეს, რომლებზეც წითელლოყა ლამაზი ვაშლები ეწყო. ორი ლარნაკი ბასილეს და ნიკას წინ დადგეს. ბასილე გულისყურით ათვალიერებდა მას და ვაშლებს. მერე თვითეული ვაზიდან ერთი ზომის თითო ვაშლი აიღო, ოდნავ შეზარხოშებულ ნიკას გაუწოდა და უთხრა:

— აბა, გამოიცან, ნიკა, რომელი ვაშლია ვე-

ლისა, თქვენი კოლმეურნეობისა და რომელი კიდეე მთისა, ჩვენი?

ნიკა დიდხანს სწონიდა ხელზე დადებულ ვაშლებს, მაგრამ ვერაფითარ განსხვავებას, მათ შორის ვერ ამჩნევდა.

— მადლობას გიძღვნით, თქვენ, ნიკა და სამსონ. ეს თქვენ დაგვეხმარეთ, ჩვენს მაღალ მთებში პირველხარისხოვანი ასეთი ვაშლი მოგვეშენებია. აი ამ ჯიშის ვაშლს თქვენ „ანტონოვკას“ უწოდებთ. აი ეს ვაშლი კი, რომელიც ჩვენ შოვაშენეთ, „ანტონოვკის“ უმცროსი ძმაა და ჩვენ გადაეწყვიტეთ, ეუწოდოთ მას „მეგობრობა“.

— მეგობრობა, — გაიმეორა ნიკამ, — რა წარმტაცი სიტყვაა „მეგობრობა“! ეს სიტყვა ძალას მატებს ადამიანს, დაუძლეველს ხდის მას, შთაგონებს ხალხს მშვიდობიან, ნაყოფიერ მუშაობას. დაე მთელ დედამიწაზე ჰარბად ჰყვავოდნენ მეგობრობის წარმტაცი ბაღები...

სამსონი და სხვანი ყურს უგდებდნენ ორი მოხუცის ტკბილ საუბარს და განსაკუთრებული ინტერესით ათვალიერებდნენ მაღალ მთების ძირას მოშენებულ ჩინებული ჯიშის ვაშლებს.

— იცი, სოსლან, რას ეფიქრობ ახლა? მე მგონია, რომ აქ მთებში შეიძლება მოვაშენოთ არა მარტო ვაშლი, არამედ ვაზიც... დაიწყო სამსონმა. — დიახ, ნამდვილი ყურძენი, რომელიც სახელგანთქმულ კავკასიის ღვინოდ იქცევა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მთელ საქართველოში აღმოჩნდეს განთქმული ახალი ღვინო, დაყენებული ოსეთის მთის სოფელში, რაბენში...

— არ მეეჭვება, რომ მიჩურინის მეცნიერება საბოლოოდ აჯობებს მთის მკაცრ ჰავას, — დარწმუნებით წარმოთქვა სამსონმა, — დიახ, მაგრამ რა შევარქვათ ყურძნის ამ ახალ ჯიშს?

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმობა და ერთობა დასძლევს კომუნიზმის გზაზე აღმართულ ყველა ჯებირს, — წარმოთქვა სამსონმა და მეგობრულად შემოჰკრა მხარზე ხელი სოსლანს. ამიტომ წინადადებას ვიძლევი, ყურძნის მომავალ ჯიშს „გამარჯვება“ ეუწოდოთ.



რეზო ციცითა

სიკვდილზე ძლიერი

მდინარის გასწვრივ, ორივე ნაპირზე, ტყის ზოლი გასდევდა. ნაპირს ძალზე უახლოვდებოდა, ბუჩქნარსა და ბალახს სიყვითლე შეპპარვოდა, მხოლოდ ლერწმიანს შერჩენოდა სიმწვანე.

წყალი უმღეროდა შემოგარენს, თითქოს თავის სიძლიერეზე ტრაბახობდა. გერმანელთა ძლიერი შეტევა მის მაღალ და მწვანე ნაპირებთან დაიმსხვრა. ალარ ზანზარებდა ზათქითა და გრუხუნით მიწა, დაწყნარებულიყო ისე, თითქოს არასოდეს ყოფილიყოს აქ ომი.

სინამდვილეში კი მდინარის ორთავე მხარეს არ იცოდნენ სიმშვიდე დღითა და ღამით. მიხვდნენ ფაშისტები, რომ აქ იქნებოდა მათი საფლავი. და გაორკეცებული სიჩქარით აგებდნენ თავდაცვით სიმაგრეებს. წყლის მარცხენა მხარეს სარტყელივით გააყოლეს რამდენიმე რიგად რკინა-ბეტონის სიმაგრეები.

უცნაური სიწყნარე სუფევდა გადამწყვეტი ბრძოლის წინ. ბედის სასწორი ივისკენ გადაიხრებოდა, ვინც ადრე და უკეთ დაზვერავდა მოწინააღმდეგის სუსტ ადგილს. ეს ყოველივე ორივე მხარეს კარგად ესმოდა და მუშაობდნენ შეუჩერებლივ.

მშვენიერი დღე იდგა დაზვერვისათვის. მრუმე ცაზე ერთიმეორის მიყოლებით მიცურავდნენ ღრუბლები და თან მიჰქონდათ ნოტიო სიგრილე. გამხმარმა ბალახმაც გაშალა წვრილი ფოთლები, თითქოს მასაც ჩაბერეს სული.

მეთაურმა გამოუძახა ცოფანს და მასაც გულმოუსვენრად დაუწყო ძგერა, მაგრამ ახლა ამისი დრო არ იყო, აილაგმა თავი და სწრაფად გაემართა მისკენ.

აი, უკვე ლარიკით გაქიმული დგას მის წინ. მან კი რუკიდან ასწია თავი, მიეყრდნო მიწურის კედელს და ცეცხლიანი, გამომცდელი თვალი თვალში გაუყარა ლეიტენანტს. არც ცოფანს მოუშორებია თავისი შავი, მძიეებივით პრიალა თვალები. მეთაურის მკაცრ სახეზე ღიმილმა გაირბინა და ლეიტენანტის გულამდე მივიდა. წამით მოეჩვენა ცოფანს, რომ მის წინ მეთაური კი არა, ვიღაც სხვა იყო და რამდენჯერმე მაგრად დაახამხამა თვალები.

— ხედავთ ამ ალამს? — მიუთითა ნაწილის დროშაზე — იგი თავისუფლების დროშაა, თვრამეტ წელში სერგო ორჯონიკიძემ გადასცა მთიელებს და უთხრა მათ: „მუდამ იფრიალებს თქვენს რესპუბლიკაში, თუ ხელში ისეთივე სუფთა და უმწიკვლო გეჭირებათ, როგორსაც გაბარებთ“... და ჩვენმა მამებმა, ძმებმა, რევოლუციის ჯარისკაცებმა, ამ დროშის წინ დაჩოქილებმა, შეჰფიცეს, რომ სისხლით დაიცავდნენ ყველა მომხდურისაგან... არც დაურღვევიათ მას შემდეგ ფიცი. ახლა, ხედავ, მტერსა სურს ჭუჭყიანი ჩექმით გათელოს იგი...

— ეს არ მოხდება! — ერთბაშად ამოსკდა ცოფანს გულიდან.

— მალე ჩვენ გამანადგურებელ შეტევას დაიწყებთ. საჭიროა ზუსტი ცნობები მტრის გან-

ლაგებისა და სუსტი ადგილების შესახებ. გამიგეთ?

— მესმის, ამხანაგო მეთაურო!

— თქვენ გამოცდილი მთიელი ხართ და სწავლაც არ გეპირდებათ. თერგსაც კარგად უნდა იცნობდეთ.

— ვიცნობ, ამხანაგო მეთაურო! — ამაყად განაცხადა ცოფანმა.

— ამხანაგს შენ თვითონ შეარჩევ.

— მესმის, ამხანაგო მეთაურო!

— ეგრე!

— შეიძლება წავიდე, ამხანაგო მეთაურო?

— წადი, გზა მშვიდობისა.

ცოფანი სწრაფად შემობრუნდა და მიწურის ვიწრო კარით გარეთ გავიდა. თვალი გაადევნა მიმავალს მეთაურმა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ჯარი, რომელიც ასეთი მეომრებისაგან შედგება, არ დამარცხდება.

მიაღწია თუ არა სახეგაბრწყინებულმა ცოფანმა, ამხანაგები გარს შემოეხვივნენ.

— ალბათ დაგაჯილდოვა მეთაურმა, — ბოლომარი შესცქეროდა ოსტროგლაზოვი.

— მართალია, ამხანაგო ოსტროგლაზოვ, — ჩაიცინა ცოფანმა, — მხოლოდ ჯილდოს ნაწილი შენც გეკუთვნის.

ოსტროგლაზოვი ახლოს მივიდა და მხიარულად მოუჯდა გვერდით.

— აბა, მოგვიყევი, რა ჯილდოა.

— ამ საღამოს სტუმრად მივდივართ ფაშისტებთან, მხოლოდ ვერ გეტყვი, მიღება როგორი გვექნება.

— როგორიც სტუმრები ვიქნებით. ისეთივე მასპინძლები დაგვიხვდებიან.

— მაშ მოვემზადოთ...

ამხანაგებმა ხელი ჩამოართვეს და გზა დაულოცეს.

— მშვიდობით გივლიათ მეომრებო, გწყალობდეთ უასტირჯი! [1] საღამოს მზე ჯერ კიდევ ბეუტავდა თვალებს, როდესაც ცოფანმა და ოსტროგლაზოვმა მდინარის ნაპირს მიაღწიეს და მაღალ ბალახებში გაინაბნენ. ღრუბლები აწეულიყვნენ ზევით და ცის ფონზე უცნაური გამოსახულებები დაეხატათ.

— შეხედე, ჩვენს ჯიბრზე ღრუბლები არ გამქრალან—შენიშნა ოსტროგლაზოვმა.

— უფრო კარგი თუ არ გაქრებიან, ნეფელ, მთვარიან ღამეს მტერი არხეინად არი. — ცოფანმა იქაურობა ჭოგრიტით შეათვალიერა, — ცუდი ადგილი აგვირჩევია, მაგრამ არაფერია, შეღამდება და უკეთეს გზას ვიპოვით.

დაქროლა სუსტმა ნიავმა და შრიალით დაუწყო აქეთ-იქით რწევა ყვითელსა და ხმელ ბალახს. იდნავ ირხეოდნენ ხის შიშველი ტოტები, თითქოს ნელი ჩუჩუნით ნანას ეუბნებოდნენ მას.

— ჩამოხოხდი უკან, ოსტროგლაზოვ, თორემ ცუდად არი საქმე, ისინი რაღაც საეჭვოდ მოძრაობენ.

— „ტა-ტა-ტრახ!“ — წაიყეფეს ავტომატებმა, ხოლო შემდეგ ტყვიამფრქვევის ჯერიც გაისმა.

ცოფანმა და ოსტროგლაზოვმა თავები ღრმად ჩაყვეს ბალახებში.

სროლა მალე შეწყდა.

ცოფანს მოეჩვენა, რომ რაღაცამ უჩქმიტა წვიებზე, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოსტროგლაზოვმა ასწია თავი და შეხედა ამხანაგის ფეხს, საიდანაც ნელა მოქონავდა სისხლი და წითელი ღილებივით იბნეოდა ბალახზე.

— ამხანაგო ლეიტენანტო, ფეხში ხართ დაჭრილი.

— ჩუმად, არ გაინძრე! — გაუნძრეველად და მრისხანედ თქვა ცოფანმა.

ოსტროგლაზოვმა ისევ დახარა თავი და ჩაფიქრდა. სხვადასხვა საზარი სურათები დაუდგა თვალწინ: ხომ შეიძლება სისხლისაგან დაიცალოს ლეიტენანტი და მას მოუხდეს ნაწილამდე მისი ტარება. საბრძოლო დავალების შესრულების იმედი დაეკარგა. აკვირვებდა მხოლოდ ერთი რამ, — რატომ ის ტყვია მასაც არ შეეხო? ვერ აიტანა მდუმარება.

— ამხანაგო ლეიტენანტო, ნება მომეცით, შეგიხვიოთ.

— ამხანაგო სერჟანტო, მე ვთქვი, რომ არ გაინძრეთ. შემიხვევთ, როდესაც დაბნელდება.

[1] წმინდა გიორგი — მოგზაურთა მფარველი.

ოსტროგლაზოვმა ისევ დახარა თავი და ყური მიუგდო თავისი გულის ძგერას.

— ამხანაგო ლეიტენანტო, უიღბლო მგზავრობა შეგვხვდა. — თითქმის ჩურჩულით თქვა მან.

— რატომ?

— საბრძოლო დავალების შესრულება ვერ მოვახერხეთ.

— შევასრულებთ, — მტკიცედ თქვა ცოფანმა.

ოსტროგლაზოვი გაოცა ასეთმა პასუხმა და ჩაფიქრდა. როგორ უნდა შეესრულებინათ საბრძოლო დავალება ასეთ მდგომარეობაში? და თითქოს ლეიტენანტის პასუხი არ გაუგონიათ, ჩაილაპარაკა.

— ჩანს უასტირჯი არ გვწყალობს.

— მერწმუნე, ოსტროგლაზოვ, რომ უასტირჯი ჩვენთან არი, საბელდობრ ჩვენი, მაღალი მთების თეთრწვერა უასტირჯი, გამიგე? იგი მე უკვე გამოვცადე: თუ ჩემ მიერ წამოწყებული საქმე თავიდან უიღბლოდ მიდის, ბოლო ყოველთვის კეთილი აქვს.

— დიდი ოპტიმისტი ხარ, ცოფან.

— სრულებითაც არა, მე მხოლოდ რეალისტი ვარ.

ცოფანმა სცადა ნელა აეწია ფეხი, მაგრამ ვერ შესძლო, თითქოს მას არ ეკუთვნოდა იგი. არ მიაქცია ყურადღება და როგორც მორი, ისე გაითრია თან.

გაჭრეს შარვლის ტოტი — მხოლოდ სირბილეში გაეცალა ტყვიას.

— ერთ კვირაში მორჩება და ჩვენც შევასრულებთ შუთაურის დავალებას. — მათარა წყლისაგან დაცალა ცოფანმა და წამოდგა.

— დამიჯერე, თითქოს რწყილმა მიკბინა. ახლა კი წავიდეთ.

— სად?

— წინ, მხოლოდ წინ!

თითქოს მისი ნათქვამი გაიგონა მტერმაო, სეტყვასავით წამოვიდა ტყვია გაღმიდან. უახლოეს ორმოში ჩახტნენ და მიწვნენ. ტყვიები წიოდნენ სიცარიელეში. მხოლოდ იშვიათად ხვდებოდა რომელიმე მათგანი მიწას ხმაურით: „ჩიკ-ჩიკ-ჩიკ"!

— როგორ გრძნობ თავს, ოსტროგლაზოვ?

— საუცხოოდ!

— შუბლი ხომ არ დაგისველდა?

— შუბლი? — წყენით შეიკვირვა ოსტროგლაზოვმა, — მე არა ვარ მხდალი.

— მართალია, თვითონ ისინი არიან მშიშრები და ჩვენი შეშინებაც იფიქრეს.

სროლა მიწყნარდა.

— ამხანაგო ოსტროგლაზოვ, წავიდეთ სანამ შუმხუნები არ აუშვიათ.

— ამხანაგო ლეიტენანტო, თქვენი ფეხი?

— ჩემი ფეხი... ჰმ... გინახავს როდისმე დაჭრილი ირემი?

— არა, არ მინახავს.

— მხოლოდ წამი უნდა და მიეფარება თვალს, მერე სცადე და დაეწიე.

ისინი მიდიოდნენ დათოხილები და მალე წყლისბირას აღმოჩნდნენ. ძირს მდინარე ეხეთქებოდა ნაპირებს, ლოდებზე ფანტავდა ქაფს და ღრიალებდა.

რაღაც ხე, ან ვინ მიხვდებოდა ამ კუნაპეტში რა იყო იგი, შემოხვდათ წინ და ცოფანმაც თვალის დახამხამებაში ორმაგი მარყუჟი ჩამოაცვა მასზე. წუთიც და ძირს აღმოჩნდა.

ისევ დაიწყო სროლა, თითქოს შეამჩნიეს ისინი.

თოკი გაეშვა ხელიდან ლეიტენანტს. მისი აღება კი ვერ მოახერხა ზევით მყოფმა. წუთიც და ოსტროგლაზოვი მორგვივით ჩამოგორდა მასთან ახლოს. ერუანტელმა დაუარა ცოფანს, გული ეტკინა, მოეჩვენა, რომ ამხანაგი დაჭრილი იყო.

— ოსტროგლაზოვ!

— სწრაფად, ქვის იქით! — დაიყვირა მან.

— დალახვროს ეშმაკმა, როგორ შემაშინე! — აღმოხდა ცოფანს და მიცოცდა ახლოს.

უწესრიგო სროლა გაძლიერდა.

რეზინის ნავს მიამაგრა ცოფანმა თოკი და ჩაჯდა შიგ. ოსტროგლაზოვმა ხელი ჰკრა ნავს და ისიც ნელა დაირწა ტალღებზე. ნელა მიცურავდა ლეიტენანტი მეორე ნაპირისკენ. წყლის შხეფები ესხურებოდათ სახესა და ტანზე და სიამოვნებდათ შიგ მჯდომთ წყლის სიგრილე.

ოსტროგლაზოვი კარგა ხანს უცქეროდა ნავს და შემდეგ იმ ადგილს დაუწყო თვალთვალი, საიდანაც გაიელვებდნენ ხოლმე ცეცხლის ენები.

ცოფანი ამოვიდა ნავიდან. მიხვდა სერჟანტი და თავისკენ მოსწია თოკი, ნავი გამოიტანა თა-

ეისთან, უხმაუროდ ჩაჯდა შიგ და მალე ისიც ლეიტენანტის გვერდით აღმოჩნდა.

ფაშისტებმა შუშხუნები აუშვეს და ისინიც მდინარის თავზე ჩამოეკიდნენ. წყლის ზედაპირი ცეცხლივით აპრიალდა. სიბნელეში მხოლოდ გამოქვაბული გამოჩნდა და მზვერავებიც სწრაფად შეიმალნენ შიგ.

ჩაქრა შუშხუნები..

ისევ აუშვეს.

სხვადასხვა ხმაზე აყეფდნენ ისევ ტყვიამფრქვეველები და ავტომატები.

— გესმის? ღელავენ.— უბიძგა ოსტროგლაზოვმა ამხანაგს.

— სსს, ჩუმად! არ გესმის მათი ნაბიჯები ჩვენს თავზე? მოუსვენრობენ და არ იძინებენ.

და მართლაც შუშხუნა შუშხუნას ეიჭყვეტოდა და ტყვიამფრქვეველებიც კაკანებდნენ გაუთავებლად. მიდიოდა დრო, შუალამე გადასული იყო. ცა უფრო და უფრო იფარებოდა კუშტი ღრუბლებით. არც ერთი ვარსკვლავი არ კიაფობდა მათ შორის.

მღვიმეში დამალა ცოფანმა რეზინის ნავი.

— ჩვენი „სახაზო ბეჭი“! — გამოგვადგება კიდევ. გამოქვაბულიდან გამოსულმა გაისწორა ქუდი.

— რაღაც ალარ ისმის იმ პირძაღლების ხმა. აბა წავიდეთ. — რამდენიც უნდათ, ისროლონ ბრმად.

ოსტროგლაზოვმა ყურადღებით შეათვალიერა ცოფანი, თითქოს სურდა ეთქვა:

„შიშს არა გრძნობ“?!

— წინ, უხმაუროდ, ვითომ მიწაზე ფეხს არც კი ადგამ. იცი კიდევ რა? თუ გერმანელს შეეფეთებით, კრინტი არ დასძრა, მხოლოდ მომქაჩე და მე მაშინვე მივხვდები ყველაფერს. გაიგე?

— გავიგე, ამხანაგო ლეიტენანტო.

ცოფანი მოხრილი მიდიოდა წინ. ქვაზე ჩექმის ნალმა გაიღრჭიალა. ქვა გასრიალდა ძირს და ღრღიც ჩხრიალით წაიყოლა თან.

— ქვებიც კი ჩვენს წინააღმდეგ ალსდგნენ.— წაიჩურჩულა სიბრაზით მან.

— მცირეოდენი მანძილი გაკლის შემდეგ შედგნენ და სმენად იქცნენ.

ირგვლივ ჩამომდგარ უკუნსა და ღრმა დუმილში მხოლოდ მდინარის შხუილი ისმოდა. გერმანელები აქედან არამც თუ -სროდნენ. მაშხალებსაც კი არ უშვებდნენ.

— ფრიცებთან რაღაც საეჭვო ხდება — ჩაილაპარაკა თავისთვის ცოფანმა.

ოსტროგლაზოვმა მოსწია თავისკენ ლეიტენანტი და ყურში უჩურჩულა:

— როგორ ფიქრობ, არი აქ ვინმე?

— რა თქმა უნდა, არი.

— მეც ასე ვფიქრობ.

— აბა დაიღუნე!

ცოფანი შედგა მის ზურგზე და ხელით მოსინჯა უფსკრულის კიდე.

თითქოს დენმა დაარტყაო, — მოეჩვენა, რომ ვიღაცამ ნემსით უჩხვლიტა ხელზე. ჩამოხტა ძირს და უჩურჩულა ოსტროგლაზოვს:

— ჩვენი წინათგრძნობა გამართლდა. მავთულხლართებია.

— მაკრატელი!

— შეუძლებელია! აქ დოტებთან მისასვლელია და ყველაფერი დანაღმული იქნება.

— რა ვქნათ?

— უკან! იქით, საითაც ისმის სროლის ხმა.

გადადგეს რამდენიმე ნაბიჯი და ისევ ავარდნენ ცაში მაშხალები. თენდებოდა. ისინი გაეკვრნენ მიწას და სმენად იქცნენ, საიდანღაც ისმოდა ხმაური.

ახლოპახლო არავინ ჩანდა.

შეწყდა სროლა.

მდინარის ტალღებმა შთანთქა მაშხლების ნაპერწკლები. უეცრად ისე ჩამობნელდა, თითქოს ცამ მიწას შავი, მძიმე მანდილი დაეფარაო.

დაიძრა ცოფანი, მიჰყვა ოსტროგლაზოვი და მალე აღმოჩნდნენ ნაპირის შემაღლებაზე. თუმცა ვერა ხედავდნენ, რომ სასოფლო გზაზე მიდიოდნენ.

არ ისმოდა ცოფანის ნაბიჯების ხმა, თითქოს ჰაერზე მიდიოდა იგი. ოსტროგლაზოვი ძლივს ეწეოდა მუქ ლანდს და თან შეფოთავდა: „ესად ეჩრება? აგრე პირდაპირ და ისიც ასე გზით... განა ასე სიარული შეიძლება?“

ცოფანმა კი კარგად იცოდა, რომ გზაზე სიარული უფრო უშიშარი იყო. დაჰბერა ქარმა და თან უცხო სიტყვების ნაწყვეტები და ფეხის ხმა მოიტანა.

— „მტერი“.— გაიფიქრა თვითეულმა თავისთვის.

გადაუხვიეს გზიდან და მისგან მოშორებით მიწვნენ. გერმანელები უკვე უახლოვდებოდნენ მათ. ღამის ქურდებივით ფრთხილი ნაბიჯით მიდიოდნენ. მაგრამ მიწამ გასცა ისინი — იგი კვნესოდა მათი ჩექმის ქვეშ.

ცოფანი და ოსტროგლაზოვი მთლად განერთხნენ მიწას, თითქოს უნდოდათ ეთქვათ მისთვის: „ნუ გეშინია, ჩვენ ვართ, შენი შვილებიო“.

მძიმე იყო პოლოდინის გრძელი წუთები. მიწამ შემოდგომის სიგრილე მიასუნთქა მათ. ნისლი სულ უფრო ეშვებოდა ძირს, მაგრამ ისინი სრულიად ვერ გრძნობდნენ ამას. მიწაცა და ჰაერიც თითქოს ცხელი ოხშივარით იყო გაჟღენთილი და მათი სხეულიც იოფლებოდა.

გადიოდა წუთები. ცოფანი და ოსტროგლაზოვი იწვნენ ერთმანეთის გვერდით და მათ გონებაში წამდაუწუმ ელავდა აზრთა ნაწყვეტები.

ცოფანმა ასწია თავი, თითქოს სურდა დაეყვირა: „არ გესმით, არამზადებო, რომ ჩვენს მიწაზე ყოველ თქვენს ნაბიჯს საფლავისაკენ მიჰყავხართ?!“

ოსტროგლაზოვი სიბრაზით კბილებს აკრაჭუნებდა. მისი აზროვნება სრულიად გაიფანტა. სურდა გაეგო, რა ხდებოდა ირგელივ და რა ელოდა მომავალში. განიცდიდა და ფიქრობდა მშობლების ბედზე. ვინ იცის, იქნებ, დაუნდობელი მტერი შეიჭრა მის საყვარელ სოფელში და შეურაცხყო ისინი. შემდეგ მოაგონდა ვამის უკანასკნელი წერილი: „იყავ მედგრად, შვილო, სადაც არ უნდა იყო, გჯეროდეს, რომ შენ იცავ შენს სამშობლოს. როცა გაიგო, რომ მტერმა ცეცხლს მისცა შენი სოფელი და გაანადგურა, არ შეშინდე. ჩვენც, შენი მშობლები, ვიბრძოლებთ მანამ, სანამ მტრის ხსენება არ გაქრება ჩვენი მიწიდან“.

ოსტროგლაზოვს მოუნდა, როგორმე შეეხედა მამისათვის. იგი ამაყობდა მისით. ბათუმში მუშაობდა ის, ათას ცხრაასა ორ წელში. დემონსტრანტების წინ მიჰქონდა წითელი დროშა. ის, რევოლუციის ძველი ჯარისკაცი, არასოდეს არ დაემალება მტერს, იელისსულ წინ, ბრძოლის შუა ცეცხლში. ახლა თავისი და ზოია წარმოუდგა, წითელჯვრიანი ჩანთით გვერდზე. შემდეგ ძმა სერიოჟა და ბოლოს თავისი სკოლის მეგობრები: ვანო, მანია და სხვები — წინა ხაზის სანგრებში მსხდომნი.

სიბრაზით იკვნეტდა ტუჩებს ოსტროგლაზოვი და სურდა დაეყვირა: „თქვენ მალე დაგეწევათ ხალხის წყეულა-კრულვა, ამ ანათემის მოხსნა არ შეიძლება და უნდა გაგსრისოთ“.

ცოფანი სულ სხვა ფიქრებით იყო გართული. იგი შორს იყურებოდა სიბნელეში. აი, თითქოს მის წინ აღმართულან თეთრად დათოვლილი კავკასიონის მთები. მათ შუა, მისი სოფელი ჩამალულა. აი კოსერხამი — ცეკვის დედოფალი. ზის მთელ სიგრძეზე გაჭიმული ფარმონით და ზედ დამღერის დიდებულ სიმღერებს სამშობლოსა და გმირობაზე. ბულბულის ხმით უჩურჩულებს თითქოს თავის საყვარელს:

— ნუ დაივიწყებ წინაპართა თავდადებას ჩვენი ქვეყნისათვის და იყავ ვეფხვივით მტერთან შებმისას.

— ჩემო ულამაზესო ყვავილო მთისავ, სამშობლოსა და შენს წინაშე დადებულ ფიცს არ ვუღალატებ, არ დავირქვევ სამარცხვინო სახელს მხდალისას. — თავის გონებაში ეუბნება მას ცოფანი.

უცებ ამოიოხრა ლეიტენანტმა და შეკრთა ანაზდად, თითქოს ახლა შეიტყო, რომ მტრის კედელთან იმყოფებოდნენ. ყური მიუგდო, გერმანელთა ნაწილს უკვე ჩაევლო და ახლა შორიდანღა ისმოდა ვძიმე ნაბიჯების ხმა.

ოსტროგლაზოვმა წაიჩურჩულა:

— ამხანაგო მეთაურო.

— წესრიგი და სიმშვიდე, — დაკვესა თვალები და ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა ცოფანმა.

წამოდგნენ, მათ სმენამდე კარგად აღწევდა მდინარის შხუილი. შემობრუნდა ცოფანი, უხმაუროდ შეერია სიბნელეს და ოსტროგლაზოვიც თან გაიყოლია.

„უმჯობესი იყო აქ დაგველოდნა დღისათვის, მტერს სადმე უდროოდ არ გადავეყაროთ“.

თითქოს მიუხვდა ცოფანი მის იდუმალ აზრსო, შედგა, სახეში ჩახედა სერჟანტს.

— იქნება?

— იქნება, ამხანაგო მეთაურო...

ახლა უკვე ლამაზი სურათები ეხატებოდა თვალწინ ცოფანს: აი, უკვე მიაღწიეს მტრის სიმაგრეების უკანასკნელ ხაზამდე, გულდასმით დაზვერეს ყველაფერი, დაბრუნდნენ უკან და... აი, კავკასიონის მთიდან მოხეთქილ ლავასავით დაეშვა წითელი არმია, გადალახა მდინარე და ნაცარტუ-

ტად აქცია მტრის სიმაგრეები; თითქოს კიდეც ესმის ძახილი: „ეაშაა! წინ, სამშობლოსათვის!..“

კინაღამ თვითონაც წამოიყვირა „ეაშა“, მაგრამ დროზე მოვიდა გონზე და ენას კბილი დააჭირა.

მდინარის ნაპირიდან ისევ გახშირდა სროლა.

— ამხ...

— გისმენთ, ამხანაგო ლეიტენანტო.

— გაძლევთ უფლებას დაისვენო.

ოსტროგლაზოვმა არა უპასუხა რა, მხოლოდ გაუკვირდა, როგორ მიმიხვდა, რომ დასვენება მსურდაო.

II

იწურებოდა ბნელი და უსიამო ღამე.

გაუნძრეველად იწვა ორი მზვერავი. მთელ ღამეს არ მიულულავთ თვალი.

დაამთქნარა ცოფანმა.

შეინძრა ბოლოს ოსტროგლაზოვი და გაიზმორა. გაიზმორა და ისე ამოიხვნეშა, თითქოს ახლა გაიღვიძა.

— მამლებს არ უყიელიათ ჯერ? — ეშმაკურად ჩაიღიმა ცოფანმა.

— კარგა ხანია იყიელეს.

— რა ნახე სიზმარში?

— ვითომ მამლად ვიქეცი, გერმანელების კუპეში ჩავძვერი და სულ გამოეღადრე. შემდეგ ვიყიელე „ყიყლიყოო! გათენდაა!“ შენა?

— მე? — ჩაფიქრდა ცოფანი, — მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, სიზმარი კი მაინცა ვნახე.

— რა სიზმარი?

— მე და შენ თითქოს გერმანელებად ვიქეცით და მთელი მათი სიმაგრეები შემოვიარეთ.

— დამიჯერე, ამხანაგო ლეიტენანტო, შენი სიზმარი ჩემსასა სჯობია.

— რა თქმა უნდა, სჯობია, მაგრამ საჭიროა მათი ენის ცოდნა — და მწუხარე სახით ცოფანმა ამოიღო თავის პლანშეტიდან გერმანულ-რუსული ლექსიკონი.

ოსტროგლაზოვმა ცას ახედა. იგი ღრუბლებისაგან თითქო ქაფდებოდა. ზღვასავით და ირწეოდა. მან უურადღებით შეათვალიერა იქაურობა და ანაზდად შეეხო ლეიტენანტის მხარს.

— ხედავ? გერმანელთა დოტია.

— ჩუმად, ნუ ღელავ.

— ბედი ჩვენი, რომ ნათელი დილაა, თავზე წავადგებოდით ნამდვილად. — დათხილებმა აუარეს გვერდი დოტსა და უხმაუროდ მიცოცავდნენ მაღალსა და ყვითელ ნოტიო ბალახში. დაჭრილი ფეხი უშლიდა ცოფანს, მაგრამ მაინც არ იმჩნევდა ტკივილს.

ჩავიდნენ ხევში.

საოცრად ლამაზი მოეჩვენათ იგი დაღლილებს, თითქოს განგებ იყო მოწყობილი დასასვენებლად.

— აქეთ, აქ ეშმაკიც ვერ გვიპოვის. გახსოვს, ჩემი სიზმარი? — წაუმუჭლუგუნა ცოფანმა ოსტროგლაზოვს.

— როგორ არა, ფონ აფიცერო!

— ზერ გუტ, — გაიღიმა ცოფანმა და ისევ ამოიღო გერმანულ-რუსული ლექსიკონი.

— ეგ ჩვენ არ დაგვჭირდება, სჯობია უკანვე ჩააბრუნო, — თქვა სერჟანტმა და გაიხსენა, — მე ხომ ოდესღაც გერმანულ ენას ვასწავლიდი სკოლაში.

— მე რომ შენ გაქცინ გერმანელ ობერ-ლეიტენანტად, ხომ არ დაიბნევი ფაშისტი გენერლის წინაშე?

— არა მგონია, ვსინჯოთ.

ცოფანმა კითხვა-პასუხის წიგნაკი ამოიღო და ჩაილაპარაკა.

— ახლავე გამოგცდი.

— გამომცადე.

და ოსტროგლაზოვმა შეუცდომლად გასცა პასუხი ყველა კითხვაზე.

— ამას კი შენგან არ მოველოდი, ჩემო პედაგოგო. — მხარზე ხელის მითათუნებით უთხრა ცოფანმა.

მზვერავები ისე გაერთვნენ გამოცდით, რომ ვერც კი შეამჩნიეს მზის მაღლა აწვერა.

იგი ისევე აცხუნებდა, როგორც ცხელ დღეებში იცის ხოლმე და მიწის სინოტიეეც მალე შეიწოვა.

ზევით ახმაურდა ხმელი ფოთოლი და დაბლა ბალახი.

მზვერავები სმენად იქცნენ.

ქალის ხმამაღალი სიცილი და მშობლიური ენა ისმოდა მაღლა, ხევის ჩასასვლელთან.

დაჩოქილმა ოსტროგლაზოვმა წამოიძახა:

— პარტიზანები.

— ჩუმად! — წაუსისინა და უხეშად გამოსწია სერჟანტი ცოფანმა, მზვერავები სწრაფად მიიმალნენ.

მოსაუბრენი კი ჩავიდნენ ხევში და პირდაპირ იმ ადგილისკენ გასწიეს, სადაც ჩვენი მეგობრები მიუუეულიყვნენ.

უმალ შეიცნეს გერმანელი ობერ-ლეიტენანტი და მასთან ერთად სიკვდილივით გაფითრებული ვიღაც ქერა ქალი. იგი მიჰკვროდა გერმანელს და ხარხარებდა.

— კახპა! — ტუჩების კენეტით ჩაილაპარაკა ოსტროგლაზოვმა.

ცოფანმა ხელით მოუკუმა პირი.

დამტვრეული რუსულით უხსნიდა სიყვარულს ობერ-ლეიტენანტი ქერა ქალს.

და ისინი შეჩერდნენ მიმალულთა პირდაპირ.

გერმანელმა მიწაზე გაფინა შინელი. ქალი ზედ წამოწვა, თავისკენ მიიზიდა ოფიცერი და დაუწყო მუნდირის გახსნა.

— ჩემო ძვირფასო, — ყელზე ჩამოეკიდა გერმანელს ქალი, — შეშინია ამ მიყრუებულ ხევში, ხომ შეიძლება იყოს აქ ვინმე?

გერმანელმა ხელი მოხვია და სავსე ძნასავით წამოაქცია ქალი შინელზე. ოსტროგლაზოვმა ავტომატი შეწკიპა და მათკენ მიმართა, ცოფანმა ხელი სტაცა და მუშტი მოუღერა. სერჟანტმა უმალ დაუშვა იარაღი ძირს.

გერმანელი მაგრად ჩაეკრა ქალს.

შავმა ფრინველმა გადაირბინა ბუჩქნარში და ბალახები აახმიანა. ობერ-ლეიტენანტი გათავისუფლდა ქალის მკლავებიდან, გიჟივით წამოხტა ფეხზე და თან ავტომატი ათტაცა.

ქალი წამოჯდა.

ჩიტმა რამოდენიმე ნახტომი გააკეთა და ჭახჭახით გაფრინდა, თითქოს დასცინოდა მოალერსე წყვილს.

— შავი ჩიტი უბედურების მომტანია, — ქვედა კაბის სწორებით წამოდგა ქალი.

— ნუ გეშინიან, არაფერია, — თქვა მისმა საყვარელმა და ავტომატის ჯერი მიუშვა ბუჩქებში.

ბალახში განაბული მზვერავების ახლო არც ერთ ტყვიას არ გაუვლია. გერმანელმა დასდო ავტომატი და ისევ შინელზე წამოგორდა.

ახლოს მიიზიდა ცოფანმა ოსტროგლაზოვი.

— დროა. ფრთხილად მიუახლოვდი, ეცი და არ მისცე ამოსუნთქვის საშუალება. მეც შენთან ვარ, არ დაიბნე.

ოსტროგლაზოვი უხმაუროდ გაცურდა, მერე ერთბაშად წამოხტა და აკაზასავით ეცა ყელში გერმანელს.

ობერ-ლეიტენანტმა მიმხჩვალი ხმით დაიყვირა და სცადა ავტომატს მისწვდომოდა, მაგრამ ცოფანი ისე სწრაფად გაჩნდა მათთან, თითქოს ფეხი გაკაწრულიც არა ჰქონოდა.

ქალიც წამოხტა და ის იყო დაყვირებას აპირებდა, რომ ცოფანმა პირი დაუკავა.

— ნუ გეშინიან, შენ ჩვენ არ გერჩით, შენ ხომ ჩვენი ხარ. ვიცით, მას შენი გაუპატიურება სურდა.

ოსტროგლაზოვმა გაჩხრიკა გერმანელის ჩანთა და ჯიბეები.

— ჩვენთვის სასურველი აქ არაფერი აღმოჩნდა, ამბანაგო ლეიტენანტო.

— არაფერია, ზოგ რამეს თვითონ „ჩვენი“ მოგვითხრობს — შემდეგ ქალს მიუბრუნდა, — მე მჯერა, რომ შენ გინდა იცხოვრო თავისუფლად და იხსნა სამშობლო მოხეტიალე უწმინდურთაგან.

„ჩვენმა დამ“ თავის გაქან-გამოქანებით ანიშნა: თქვენი არაფერი მესმისო.

— ჰა, ,ჩემო დაო! ამოიღე ხმა — კბილთა ლრჭიალით თქვა ცოფანმა, მაგრამ მერე რაღაცა გაიფიქრა და რბილად უთხრა — შენთვის უკეთესი იქნება.

მან ისევ თავი გაქნია უფრთს ნიშნად და შეშინებულმა უეცრად გერმანულად განაცხადა: რუსული არ ვიცი.

— ეს კი გერმანული არ ვიცი, — ცივი, უბალახო ხმით თქვა ცოფანმა და ძლიერი ხელის თითებით მის თეთრსა და მაღალ ყელს შეეხო...

ირგვლივ მათ გარდა სულიერი არ ჰაჭანებდა. გარშემო სიჩუმე იდგა. მზე მაღლიდან ალერსიანად იცქირებოდა, თითქოს ამბობდა: „ეს ძალიან კარგი ჰქენითო“.

ოსტროგლაზოვმა კითხვის თვალი მიაპყრო ცოფანს.

— ცოცხლად, გახადე კოსტიუმი!

სერჟანტმა წამოიკიდა მკედარი ოფიცერი და წაიღო ბუჩქებში.

ცოფანმა მიმხჩვალი ქალი მიაყოლა მას. მზვერავები ისევ ძველ ადგილას აღმოჩნდნენ. ოსტროგლაზოვმა გადასცა რკინის ჯერით დამშვენებული კიტელი ლეიტენანტს და გაიღიმა.

— ობერ-ლეიტენანტ...

— არა, თუ მიმიღებენ პოლკოვნიკად დავთანხმდები, თუ არა, — თავი გაიქნია ცოფანმა.

ოსტროგლაზოვი მიხვდა მის ქარაგმულს და სწრაფად გადაიცვა ფორმა.

— მიხდება?

— საუცხოოა.

— მაშ მოვიფიქროთ.

იქვე მიწვნენ და ხელებზე დაყრდნობილნი კარგა ხანს იცავდნენ მდუმარებას.

ოსტროგლაზოვს ამოეღო ფინური დანა და ათვალიერებდა.

— ერთი რამ მოვიფიქრე, ამხანაგო ლეიტენანტო.

— რა? — შეშფოთდა ცოფანი.

— აიღე დანა ხელში, მე შენ შეგბოქავ, ვითომ დაგიჭირე და...

— საუცხოო აზრია — შეაწყვეტინა ცოფანმა.

ისინი ჩაიმალნენ გზის მახლობლად და იქიდან დაიწყეს თვალთვალი.

ფურგონები ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ გზაზე, ხოლო მათ თავჩაღუნული ფრიცები მიჰყვებოდნენ. როცა დამთავრდა ეს პროცესია, მას მოჰყვა მანქანების მთელი წყება, ბოლოს ამანაც გაიარა.

— მტერმა არ დაგვასწროს, — თქვა ცოფანმა და მცირე ხნის შემდეგ მოქანცულად ჩაილაპარაკა, — ვერ გადაირბენს.

ოსტროგლაზოვს არაფერი არ უთქვამს, შურით შეხედა მას და წაიდუდუნა:

— აი როგორი ხარ, შენ მზესაც არ აქცევ ყურადღებას. ხოლო მზე ჩასასვლელად ემზადება უკვე.

გზაზე არავინ ჩანდა.

ბოლოს გაისმა მოტოციკლეტის ტრახტრახი.

— მე ხომ გითხარი, „ვერ გადაირბენს“-მეთქი. ცოცხლად! გზაზე! იქნება არა უმეტეს ორი სამი კაცისა. აქედან ერთ-ერთს შენ გააკრობ. საჭირო სწრაფი და მოზომილი მოქმედება. როგორც კი ისინი ჩაგვიფლეთ. გაიგე?

— მესმის, ამხანაგო ლეიტენანტო.

მალე ისინი უკვე შუა გზაზე იდგნენ. ოსტროგლაზოვს თავისი ავტომატი ცოფანის ზურგთან ეჭირა.

მოტოციკლის გამოჩენისას ცოფანმა წინწადგმული ფეხი მიადგა ერთ ადგილს და აღარც დაძრულა. ოსტროგლაზოვი კი ცდილობდა წინ გაეგდო ავტომატის კონდახით.

მათ წინ მოტოციკლი შეჩერდა.

ვადმოვიდა იქიდან პოლკოვნიკი, რომელიც სამარიდან ამოღებული გეგონებოდათ, თითები გრძელი და ხმელი ჰქონდა, ხოლო მხრები ტანსაცმელის საკიდს უგავდა, უცნაურად დაძრწოდნენ მისი უფერული თვალები.

— რუსს? — ნიკაპი აუწია ცოფანს და ისე შეეკითხა.

და როდესაც მის შავ თვალებს წააწყდა, გერმანელმა ისე უეცრად დაიხია უკან, თითქოს ცხელი შანთი გაუყარესო.

— ქარგი ჩიტია, ქარგი — წაქეზებით დააქნია პოლკოვნიკმა მწარე გოგრასავით წაგრძელებული თავი.

— ორი გამექცა, ბატონო პოლკოვნიკო, — სამხედრო სალმით მოახსენა ოსტროგლაზოვმა, — მდევარი გავაყოლე — უცებ მოეჩვენა, რომ მისი აქცენტი არ იყო სუფთა და პოლკოვნიკმა ვერაფერი შეამჩნია და თვალებით მიუთითა მოტოციკლეტზე.

— დაჯექი, რუსო — წაუმუჯლუგუნა ოსტროგლაზოვმა.

ცოფანი ადგილიდან არ იძვროდა.

— ჩასვით! — დაუყვირა პოლკოვნიკმა უნტერ-ოფიცერს.

ცოფანმა მიმოიხედა და სათითაოდ შეათვალიერა ისინი და სიხარულით გაიფიქრა. „შენ კი ვერ სად გამექცევი, ცოცხალო ჩონჩხო. მე შენ წარგადგენ გენერალთან“. მას გაუელვა უცნაურმა ფიქრმა: „რა იქნება, რომ ჩაჯდეს მათთან ერთად მოტოციკლში და საქმე გზაში დაამთავროს? მაგრამ, როგორ აცნობოს ამის შესახებ ოსტროგლაზოვს?!“

მობრუნდა და მოწყვეტით ჩაჯდა.

ოსტროგლაზოვი ჩანაფიქრს მიუხვდა. თითქოს მასაც იგივე აზრი უტრიალებდა თავში. ეშმაკურად ჩაიცინა და რევოლვერი ამოიღო.

— საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ბატონო პოლკოვნიკო...

ეს უკანასკნელი მოთავსდა კალათის შემაკავშირებელ ღერძზე. ხოლო ოსტროგლაზოვი უნტერ-ოფიცრის უკან.

ადუხთუხდა მოტორი და მალე მტვრის ბოლქვები დარჩა უკან.

— საქე! — დაიყვირა ცოფანმა, — სტაცა ხელ პოლკოვნიკს და კისრულზე გადმოიღო.

ოსტროგლაზოვმა უნტერ-ოფიცერს კეფაში დასცხო, გადმოაგდო მოტოციკლიდან და ეცა საქეს, მოტოციკლი უფრო ახმაურდა. თითქოს მომხდარი

ამბით შეშინდაო და ერთი ნახტომით შეიპრა გზის მახლობელ ბუჩქნარში.

ცოფანმა ვერ მოახერხა პოლკოვნიკის შეკავება. როდესაც კისრულით წამოიღო ცოფანმა, იგი მოტოციკლის კალათის ჩაუქიდა და ორივემ ბუჩქებში ამოყო თავი. პოლკოვნიკი საშინელი ხმით გაჰკიოდა რალაცას თავის ენაზე.

გაიმართა ხელჩართული ბრძოლა.

ბუჩქნარი ისე ირწეოდა, გეგონებოდათ, ორი დათვი დასჯახებია ერთმანეთსო. პოლკოვნიკმა მოახერხა რევოლვერის ამოღება და მთელი ჯერის დაცლა. ცოფანი შეკრთა, დაჭრილ ფეხზე იტაცა ხელი და მის ბაგეებს მოსწყდა, „ალაჰ“, ოსტროგლაზოვს გული შეეკუმშა. იფიქრა, რომ მარტო დარჩა უცხოთა ხელში მყოფ მიწაზე და გაბოროტებულმა ისეთი ძალით ჩასცა დანა პოლკოვნიკს ზურგში, რომ წვერმა მეორე მხარეს გახედა და კინაღამ ქვეშ მოყოლილი მეგობარიც დაჭრა.

პოლკოვნიკი გვერდზე გადაგორდა და მკერდზე ხელი ისე იტაცა, თითქოს უნდა დარწმუნდეს, დანამ მეორე მხარეს გაიარა თუ არაო.

წამომჯდარი ცოფანი შუბლიდან ცივ ოფლს იწმენდდა.

— ისევ გვიღალატა ბედმა.

ოსტროგლაზოვი გიჟივით მივარდა მასთან და დაბუკინა.

— ცოფან! შენ ცოცხალი ხარ?! როგორ შეშინე, მეგონა მოკლა-მეთქი ამ ძაღლმა.

— არა, დაჭრილმა ფეხმა მიღალატა. რა დასამალია, ბეწვზე გადავრჩი.

ადგნენ.

— მისმა ჩაცვენილმა ყბებმა მომატყუა.

— შიშით სულ გაგძვრა განა? — გაეცინა ოსტროგლაზოვს. სწრაფად დასცალა პოლკოვნიკის ბლანშეტი და გვამი მიწაზე დააგდო.

— აქაც არაფერია. ახალი „ენის“ მოძებნა დაგვჭირდება.

— „ენა“ ყოველთვის არ ლაპარაკობს. ის რაც ჩვენ გვინდა, თვითონ გენერალსაც არ ექნება. აბა, ჩამაცვი, ობერ-ლეიტენანტო.

სერჟანტმა სწრაფად გახადა, მოკლულს ტანსაცმელი და ცოფანიც გამოეწყო.

— ბატონო პოლკოვნიკო, ფონ ზაუკელ, — ღიმილით ტრიალებდა მის ირგვლივ ოსტროგლაზოვი, — ველი თქვენს ბრძანებას.

— დაე, ჯერ დაბნელდეს.

ოსტროგლაზოვმა ცის დასავალს გახედა. ჩამავალი მზის სხივები ისე ანათებდნენ, თითქოს ხანძრის გაჩენა სურთო. გამხმარ ბალახსა და ხის ტოტებს არ არხევდა სუსტი ნიავი. სინესტისაგან ისინიც დამძიმებულიყვნენ. მხოლოდ ჩიტები იყვნენ მოუსვენრად და ისე დარიალებდნენ, თითქოს გერმანელთაგან მოფარებულ ადგილს ეძებენო.

შებინდებისას გზაზე ისევ ჯარის მოძრაობა დაიწყო. გვერდით მიმყოლი ოფიცრები ხელებს ისე იქნევდნენ, გეგონებოდათ, ჯოგს ერეკებიანო. ჯარიც მართლა ჯოგივით მიდიოდა: თავდახრილი, მდუმარე და კუშტი.

— პოლკოვნიკო ფონ ზაუკელ.

— ჩუმად. ახლა მალე მათი ბოლოც გამოჩნდა.

— ეს მინდოდა მეთქვა, ჩვენც მათ შეეუერთდებით.

— შათთან შეერთება არ გვარგებს, — ხელი ჩაიქნია ცოფანმა.

ჯარისკაცთა უკანასკნელმა ჯგუფმა ჩაიარა. ოფიცერმა გადაუხვია გზიდან და თითქმის მზვერავთა ცხვირწინ ჩაცუცქდა.

— ნება მომეცით, ამხ. ლეიტენანტო, — უჩურჩულა მეთაურს სერჟანტმა.

ცოფანი მაგრად უჭერდა იდაყვზე ხელს მეგობარს.

ოფიცერი გამოეკიდა ნაწილს.

— სულელო, არ იცი, ეგ ოფიცერი რომ გამქრალიყო, ასინი იქაურობას გადასთხრიდნენ?

გზაზე გამოვიდნენ და ფრთხილად გაუყვნენ. დაღლილ სახეებზე ეტყობოდათ, რომ მომქანცველი დღე გაპოიარეს.

— საით?

ცოფანმა არაფერი უპასუხა.

გაოცდა ოსტროგლაზოვი და განაწყენებული გაჰყვა უკან. „ხომ არ შეაშინა ფრიცის ყვირილმა?“ ცოფანს კი მისი ხმა მოწყენილი და უიმედო მოეჩვენა. მან მხარზე ხელი დაადო მეგობარს და უთხრა:

— შტაბს თუ არ მივაგენით, არაფერი არ გამოვა.

— მართალია.

შორიდან მოტოციკლის გუგუნი მოისმა.

— მოტოციკლი, აბა მარჯვედ! ერთის ცარდა ყველა უნდა განადგურდეს.

— არის გავანადგურით, ამხანაგო ლეიტენანტო!

ოსტროგლაზოვმა ჯიბის ფარნის ლურჯი სინათლე მიაშუქა და მქროლავი მოტოციკლეტიც შეჩერდა.

— საით მიდიხართ?

— შტაბში, ბატონო ობერ-ლეიტენანტო.

— პოლკოვნიკ ფონ ზაუკელისათვის აუცილებელია იქ მოხვედრა.

— პოლკოვნიკ ფონ ზაუკელი?—იკითხა თვალდაჭყეტილმა მოტოციკლეტისტმა.

— ჩუმად! ხელები მაღლა! — შეაყენა ჩახმახი ოსტროგლაზოვმა.

— ნუ მომკლავთ, მე გერმანელი არა ვარ,—ხმის კანკალით თქვა ფრიცმა რუსულად, — ვლადისლავ ბრანკოვსკი ვარ. გულის ჯიბეში მაქვს საბუთები. ჯარში ძალით წამომიყვანეს, მეკავშირე ვარ და ყოველთვის ძნელ უბნებზე მაგზავნიან.

— ჩვენ დაგიხსნით, — თქვა ცოფანმა და მისი გულისჯიბისკენ წაიღო ხელი.

— პოლონელთა მტრები არიან ფაშისტები, მაინც მთელი ხალხი თქვენგან ელის დახსნას.

ოსტროგლაზოვმა ფარნის შუქზე წაიკითხა ამოღებული პაკეტი, „საიდუმლო ბრძანება. დღეს საღამოს ჩვენს ტერიტორიაზე გამოჩნდნენ პარტიზანები. მათ მიერ მოკლულია ობერ-ლეიტენანტი მზერგოფი. დაიკარგა პოლკოვნიკი ფონ ზაუკელი და უნტერ-ოფიცერი ლიხტენშტეინი“...

ცოფანმა გამოართვა პაკეტი და ფრთხილად დაკეცა.

— ბატონო ბრანკოვსკი, რა იცით გერმანელთა სიმაგრეების შესახებ?

— თქვენ არ დამიჯერებთ, მაგრამ მაინც გეტყვით: საბუთებს სიმაგრეების შესახებ ყველასაგან საიდუმლოდ ინახავენ, არავის ენდობიან, ვინც არიული სისხლის არ არის.

— ჯეჯერა, — თქვა ცოფანმა. — შორს არის სამეთაურო პუნქტი?

— ხუთი კილომეტრი იქნება აქედან.

— რომელ საათზე ვახშმობენ?

— რვაზე.

ცოფანმა საათს დახედა.

— ახლა გამოჩნდება, მართლა გსურს თუ არა იბრძოლო შენი ხალხისათვის ფაშისტების წინააღმდეგ! აი, ამ ამხანაგს წაიყვან, შორიდან დაანახვებ იმ პუნქტს და უკანვე მოიყვან.

— მესმის, ბატონო მეთაურო! მე ვამაყობ თქვენი ნდობით. აქედანაც რომ განიშნოთ, ადვილად იპოვით, გზის მარჯვნივ არის, ტყესთან ახლოს.

— ბედნიერი მგზავრობა, — მხარზე ხელი დაჰკრა ცოფანმა ოსტროგლაზოვს, — თუ შეამჩნიო რამე... ერთი სიტყვით, შენ იცი, როგორც არის საჭირო.

— გჯეროდეს ჩემი,—უპასუხა მან და ცოცხლად ჩაჯდა კალათში. რევოლვერი ამოიღო და მუხლზე დაიდო.

მოტოციკლი მოსწყდა ადგილიდან.

ცოფანი გზიდან გადავიდა, ბზის ხუჭუჭა ფოთლებიან ხეს მიეყრდნო და ფიქრებში წავიდა. მცირე ხნის შემდეგ მილულა თვალები და ჰკითხა თავისთავს.

— შეეძლებთ?

„შეეძლებთ“ — თითქოს რამოდენიმე ხმამ ერთად უპასუხა.

ყური მიუგდო მოტოციკლის ხმაურს და გადაფიქრა: „ხუთს რომ ხუთი მივუმატოთ, იქნება ათი... ათი... წუთი, ათი კილომეტრი — წინ და უკან. ახლა ისინი აქ უნდა იყვნენ. და მართლაც მოტოციკლეტის ხმა გაძლიერდა.

ცოფანმა გამოიცვალა ადგილი და მიწვა.

მოტოციკლი გაჩერდა.

გადმოვიდნენ.

ცოფანი ადგა და მათთან მივიდა.

— როგორ არის საქმე?

— მშვენივრად, ამხანაგო ლეიტენანტო!

— ეჭვი ხომ არ შეგიტანია მასში, — თავით აჩვენა ბრანკოვსკიზე.

— არავითარი... მხოლოდ გერმანელებს ემჩნევათ რაღაც განსაკუთრებული მოძრაობა.

— გამოიცვალეთ ვახშმის წინ... მათ უყვართ ხეთქვა, — შეხედა საათს, — მაშ ასე, საქმეზე! შენ აქ მოგვიცდი — უბრძანა ბრანკოვსკის ცოფანმა.

— ნება მომეცით, მეც თქვენთან ერთად წამოვიდე, ბატონო მეთაურო. — ითხოვა პოლონელმა, — მე შემიძლია კარგი სამსახური გაგიწიოთ. დამიჯერეთ. ოჰ, რომ შეიძლებოდეს სხვის სულში ჩახედვა. — დუდუნებდა იმედდაკარგული, — გამიშვით წინ და თუ შემამჩნიოთ რამე, თქვენს ხელთ არ ვიქნები?

— წავიყვანოთ, ამხანაგო ლეიტენანტო, — შეეხვეწა ოსტროგლაზოვიც.

— გვჯერა შენი, ამხანაგო ბრანკოვსკი. გვჯერა, რომ შენ გინდა ნახო პოლონეთი თავისუფალი, მაგრამ ეს შეუძლებელია, სანამ თქვენს მიწაზე მტრის ერთი ჯარისკაცი მაინც დარჩება.

დენიკინთ დაუარა ძარღვებში მეკავშირეს ლეიტენანტის სიტყვებმა. იგი თითქოს სმენას არ ენდო. ვერ დაეჯერებინა ასე უცებ, რომ მას „ამხანაგი“ უწოდეს. მაგრამ დიდხანს დატკბობა არ აცალა ცოფანმა: ჯიბეში ისევ ჩაუდო საიდუმლო ბრძანება და მოტოციკლზე მიუთითა.

III

საკომანდო პუნქტთან ისინი მოტოციკლიდან ისე ჩამოვიდნენ, თითქოს ვინმესთან სტუმრად დაპატიჟებულნი ყოფილიყვნენ.

გუშაგი გაიშიმა მათ წინ.

ბრანკოვსკიმ საიდუმლო პაკეტი მიუტანა მას ცხვირთან და უჩურჩულა:

— ვერ იცანი პოლკოვნიკი ფონ ზაუკელი? — და მხედრული სალამით დაიხია უკან.

— არ შეეშალეთ, — თავისთვის წაილაპარაკა ცოფანმა. ოსტროგლაზოვი ბრანკოვსკის უთვალთვალებდა, რომელიც მათ წინ მიდიოდა.

გაიღო რამდენიმე კარი და არავინ აღმოჩნდა. აი, უკანასკნელიც! გენერალი და მისი ადიუტანტი ვახშმობდნენ.

ადიუტანტი წამოდგა.

გენერალმა რამდენჯერმე დაახამხამა თავისი წვრილი თვალები და დააშტერდა მოსულებს. იგი აკლდამიდან გამოღებულ ჩონჩხს ჰგავდა და გრძელი და ნემსივით წვრილი ცხვირი ჰქონდა.

კითხვის თვალი მიაპყრო ბრანკოვსკიმ ცოფანს და შემდეგ გაქანდა გენერლისაკენ.

ოსტროგლაზოვმა ფინური დანა გაუყარა მკერდში ადიუტანტს და უხმაუროდ დასცა იატაკზე.

ცოფანმა თვალის დახამხამებაზე მოაგროვა მაგიდიდან რუკები და ქაღალდები.

კარებს იქით ხმაური ისმოდა.

— ბატონო მეთაურო! — შეშინებულმა წამოიძახა ბრანკოვსკიმ.

ცოფანმა ავტომატი გაუწოდა პოლონელს და უთხრა: — ცოცხლად, ნუ ღელავ! „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა...“ თუ საჭირო იქნა, გაისვრი.

ვიღაც შემოვიდა პირველ კარში და ოთახში მყოფნი ფეხის ხმაზე მიხვდნენ, რომ მათკენ მოდიოდა, ბრანკოვსკი ოთახიდან გამოვიდა და მოსულის წინ ამაყად გაიარა. უცებ კარს უკან დამალული ოსტროგლაზოვი გამოხტა და ავტომატის კონდახის დარტყმით ძირს დასცა შემოსული გერმანელი.

კიდევ შემოვიდა წინა კარიდან რამდენიმე კაცი. ისინი გენერლის ოთახისაკენ მიეშურებოდნენ და მზვერავებისთვის ხმა არ გაუციათ. უცებ წინ მიმავალმა წაიფორხილა გვამზე, წამოხტა და გიჟივით გამოვარდა უკანვე:

— რუსი პარტიზანი!..

და საიდანაც არ ელოდნენ, იქიდან აკაკანდნენ ავტომატები და ტყვიამფრქვევები.

ოსტროგლაზოვმა დოტის გამოსასვლელ კარიდან ისროლა რამოდენიმე ყუმბარა და მიიმალა.

ცოფანმა მიირბინა მოტოციკლთან და დაეცა. ბრანკოვსკიმ სცადა მისი აყენება, მაგრამ აკანკალებული და დამბლადაცემული ხელები არ ემორჩილებოდა.

უეცრად მასთან ოსტროგლაზოვი გაჩნდა.

— ამხანაგო მეთაურო, — ძლივს ჩაესმა სიტყვები ცოფანს.

ოსტროგლაზოვმა სწრაფად ჩასვა მოტოციკლში იგი და საჭეს მიუჯდა.

ბრანკოვსკიმ მოასწრო შეხტომა და მოტოციკლიც გაფრინდა.

კვალდაკვალ მოსწოდნენ ტყვიები.

ოსტროგლაზოვმა მანქანა იქ შეაჩერა, სადაც გზა პატარა მდინარეზე გადიოდა და უხვევდა.

— ახლა მდევარს დაგვადევნებენ, — უთხრა ბრანკოვსკის — შენ მოტოციკლს წაიყვან პირველი სიჩქარით, ეცადე, მოტორმა ძლიერ იხმაუროს. საჭიროა ისინი შენ გამოგეკიდონ, შემდეგ კი მიიმალე სასწრაფოდ. აბა, გზა მშვიდობისა — და ძმური სიყვარულით ჩამოართვა ხელი რუსმა პოლონელს, თითქოს ძველისძველი მეგობრები ყოფილიყვნენ.

ბრანკოვსკი საჭეს მიუჯდა.

ოსტროგლაზოვმა ჩამოიყვანა ცოფანი.

მეკავშირეს დაავიწყდა დაჭრილი ხელი, მაგრამ ჩაბღუჯა საჭე და მოტოციკლის საშინელი ხმაურით გავარდა გზაზე.

IV

პატარა მდინარის პირას მოვიდა გონზე ცოფანი. თვალები ისე ნელა გაახილა, თითქოს ღრმა

ძილისაგან გაიღვიძა, სიბნელეში შეამჩნია ეს ოსტროგლაზო

ცოფანმა შეაჩერა ოსტროგლაზოვი, საღ ფეხს დაეყრდნო და საათს დახედა.

ცხრა საათი იყო.

ისევ ჩაიდო ჯიბეში და წაიჩურჩულა თავისთვის: „ასეთი ნაბიჯით მივაღწევთ სასურველ ადგილამდის, ან გადავლახავთ მდინარეს გათენებამდის?“ და მისი ფიქრი დაუბრუნდა შშობელ ქვეყანას, უსაზღვროს და ესოდენ ფართოს, სადაც ხეებიცა და ბუჩქებიც ერთი სურვილით სუნთქავენ: რაც შეიძლება შალე გაანადგურონ მტერი, რომელსაც ყოველ გზაზე და გასავალზე სიკვდილი ჩასაფრებია.

— ამხანაგო ოსტროგლაზოვ, ჯიხი!

— მე დამეყრდნე, მეთაურო, ჯიხი ჩემზე უკეთ ვერ გიშველის.

შორეული გზიდან უცნაური ხმები აღწევდა მათს ყურამდის.

მდინარის ნაპირიდან ხშირ-ხშირად ყეფდნენ ტყვიამფრქვეველები და ავტომატები, თუმცა მზვერავთა ირგვლივ სიჩუმე იყო, მაგრამ ყოველი ნაბიჯი საფრთხილო იყო და ისინი ისევ ჩავიდნენ წყალში.

ახალნაყენ ბურახისფრად ელავდა წყალი მთვარის სუსტ შუქზე, მაგრამ ცოფანს ის შეწამულად ეჩვენებოდა. თითქოს სისხლის ტბა ღელავდა ირგვლივ. მერე გაიქნია თავი ამგვარი ფიქრის მოსაშორებლად და ავტომატი მარცხენა მხრიდან მარჯვენაზე გადაიტანა. მას გაახსენდა გამოტაცებული გერმანელთა სიმაგრეების გეგმები და გული სიამსყით აევსო. თვალწინ ეხატებოდა მამაცი წითელი არმიის გამანადგურებელი შეტევები და დარტყმები.

თეხნარ კალაპოტზე ფეხი სრიალებდა და ზედ ეწებებოდა ჩექმის ძირს. როგორც იყო, მიაღწიეს უწიშარ ადგილს და ამოვიდნენ წყლიდან.

თითქოს მწვანე ხალიჩაგადაფარებული საფლობი ისრუტაედა წყალს და საშიში იყო მზვერავებისათვის.

— ნება მომეცით, წაგიყვანოთ, მეთაურო, — სთხოვა ოსტროგლაზოვმა, ცოფანმა არაფერი უპასუხა.

მაშინ აიყვანა სერჟანტმა დაჭრილი მეგობარი და ქვიდან ქვაზე ფრთხილად დაიწყო გადასვლა. მას გული იმედით ევსებოდა, რადგან შალე მიაღწევდნენ თემს და იქ კი ალბათ არ გაუჭირდებათ. აქ, პატარა მდინარის შესართავთან, კარგად იცნობენ ადგილს და ადვილი იქნება გასხლტომა, ხშირი ლელის ჩარდახის ქვეშ და ნაპირზე დაზრდილ ტირიფებს შორის.

იქ, იმ ნაპირზე, მოუთმენლად ელოდებოდნენ მათ, რადგან ჩვენი სარდლობა ემზადებოდა მოულოდნელი დარტყმისათვის და ძლიერი შეტევის ბედი დამოკიდებული იყო იმ დავალების შესრულებაზე, რომლისათვისაც გასწირა თავი ორმა გულადმა მეომარმა.

მტერსაც ესმოდა ყოველივე ეს და საგულისგულოდ სჩხრეკდა ყოველ ხეესა და ბუჩქნარს, მაგრამ მზვერავთა ნაკვალევს ვერსად მიაგნეს.

აუტანელ ტკივილებს აყენებდა ცოფანის ჭრილობას ოსტროგლაზოვის არა მტკიცე ნაბიჯები.

ცოტახნის შემდეგ მჭრელი, რქებმოდრეკილი მთვარე ჩავიდა და ირგვლივ უკუნი სიბნელე ჩამოწვა.

„ვერ მიმიყვანს“ — გაიფიქრა ცოფანმა.

თითქოს ნაფიქრს მიუხვდაო, სერჟანტმა ნაბიჯს უმატა.

ლეიტენანტს დაჭრილი გვერდი უგრძნობი გაუხდა და გულმაც ისე დაუწყო ჩხვლეტა, თითქოს სადგისებს ეკრიანო.

— ჩამომსვი.

ოსტროგლაზოვი ფანაურძობდა გზას, თითქოს მისი ნათქვამი არ გაუგონიაო, მაგრამ მეგობრის ხმა ისეთი სუსტი ეჩვენა, რომ გული შიშით აევსო.

— ჩამომსვი, — ცოფანმა ამჯერად უფრო მტკიცედ თქვა და მხარზე უჩქმიტა, სერჟანტმა მძიმედ ჩამოსვა ძირს.

ლეიტენანტმა თავი ვერ შეიკავა და ჭაობში ჩავარდა. მერე მძიმედ შეტრიალდა საღ ბეჭზე და მიწვა ყარინდული.

ოსტროგლაზოვი ამაოდ ეძებდა ქვასა და ხავსს, ირგვლივ ჭაობი, წყალი და სიბნელე იწვა.

უმიზნო სროლისათვის არ მიუქცევიათ ყურადღება, მაგრამ როდესაც ახლოს უცნაური ხმა მოესმა სერჟანტს, თავში აზრმა გაურბინა: „ნამდვილად გვიპოვეს“.

პირველი, რამაც ფონებაში ფაიელვა, ვაზნების დათვლა იყო, ცოფანიც შეეცადა წამოდგომას, მაგრამ დასუსტებულმა და სიარულისაგან დაქანცულმა სხეულმა უარი თქვა. მაშინ განწირული თვალით შეხედა მისკენ დახრილ მეგობარს და უთხრა:

— წადი, დამალე, ჩქარა, ჩვენ ჩავვარდით, — და

თან ხელით წყლის ნაპირზე აყრილი ლერწმიანისაკენ მიუთითა.

— ნუ გეშინია, მეთაურო, შეიძლება ნადირია ან მაწანწალა ძაღლი.

ძაღლის ხსენებაზე ცოფანს გერმანელთა მაძებარი ძაღლები გაახსენდა:

— აღარაუითარი ხმაური არ მესმის.

— არც მე, მაგრამ ჩვენ წინ კი გადაირბინა რაღაც ცხოველმა.

ცოფანმა ხელი დაჭრილ ბარძაყისაკენ წაიღო. ხელს თბილი და წებოვანი რაღაც მოხვდა ზედ. უეცრად თვალთ დაუბნელდა, თავი სველ ბალახებში ჩარგო და ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა:

— სისხლი... არ შემიძლიან...

ოსტროგლაზოვი წამოდგა.

— შეიკავე თავი როგორმე, მეთაურო. მე წაგიყვან, შენ თვითონ იცი, რომ მცირე მანძილია დაგვრჩა ფდინარემდე.

ცოფანმა ძმიმედ და ავადმყოფურად ამოიოხრა და ხელისგულით კვლავ შეეხო დაჭრილ ბარძაყს.

— სისხლი... სისხლი ფდის... — ჩახლეჩილი ხმით თქვა მან.

ოსტროგლაზოვი ფრთხილად შეეხო ჭრილობას. თბილი სისხლი მოყონავდა და ბლონდს ასველებდა. მან ყველა არსებული საშუალება გამოიყენა, ჭრილობა ისევ შეუხვია და მერე ფრთხილად წამოაყენა ფეხზე.

თავისი სხეულის ყველა ნაწილი ეუცხოვა ცოფანს. ძალინი მას აღარ ემორჩილებოდნენ. თითქო ძმიმე ჯაჭვებით შეეკრათ. უცნაურად ეჩვენებოდა ირგვლივ ყველაფერი, მაგრამ აზრი მაინც არ დაუკარგავს. იცოდა, საით იყო მტერი და საით თავისიანები, რომელ მხარეს უნდა წასულიყო.

— წამიყვანე, სადმე მიმაფარე და შენ კი წაიღე ჩვენებთან ის ცნობები.

— ვერა, მეთაურო, ვერ დაგტოვებ.

უცებ ლეიტენანტის მეხსიერებიდან ამოვარდა, რომ ირგვლივ მტერი იყო და ძლივს ამოიხრიალა.

— მისმინე!.. გიბრძანებ!..

ოსტროგლაზოვმა შეშფოთებით მიმოიხედა ირგვლივ და რაკი მიხვდა, რომ მეთაურის ბრძანება მტკიცე იყო, ისევ წამოაყენა და გადაწყვიტა გუშინდელ ადგილამდის მიეყვანა იგი. ეს ადგილი ეჩვენებოდა ახლა მას ერთადერთ უშიშარ ადგილად. ერთგან ფეხი გაუსხლტა და უმალვე ბუჩქს ჩაავლო ხელი, საიდანაც კრიახით გამოფრინდა ყრუანჩელა.

იმავე წამს გაისმა ავტომატების კაკანიც, ალბათ ახლო იყო მტრის საგუშაგო.

სერჟანტი ზურგზე მოგდებული ლეიტენანტით მიწას გაეკრა.

— ჩამეჯიდე მაგრად, თორემ ახლა ნაღმების სროლას დაიწყებენ. მართლაც რამდენიმე ნაღმმა გადაუარათ.

აცვივდნენ შუშხუნები ცაში და მათ თავზე დაეკიდნენ.

ოსტროგლაზოვი სწრაფად მიცოცავდა წინ. იქაურობა მოკირწყლულიყო წვეტიანი ქვებით და ხელის გულებში და მუხლებში მინის ნატეხებივით ესობოდა. მთელი დარჩენილი ღონით მიიწევდა იგი წინ და უკან სისხლიან კვალსა სტოვებდა.

სროლა ისე გახშირდა, რომ გეგონებოდათ შეტაკება დაიწყოო. ირგვლივ სტვენდნენ ტყვიები და ღმუოდნენ ნაღმები. კვამლის ბოლქვები ჩამოეკიდნენ ირგვლივ. სიკვდილი ზეიმობდა გარშემო და დათარეშობდა. ყველა მხრიდან წიოდა იგი და გეგონებოდათ, ველარსად დაუმალებოდი.

ისევ ჩაჰკვროდნენ მიწას მზვერავები, თითქოს შეერთებიან მასო. გარეშო ეიწროდ ეჩვენებოდათ და თითქოს უკვე იდგნენ შავჩოხიან სიკვდილთან. ცეცხლი და რკინა ედებოდა ირგვლივ და ბუგავდა და ხლეჩდა იქაურობას.

უეცრად გაისმა თვითმფრინავის ხმა და სროლაც შეწყდა.

დევნილებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, როგორც იყო.

ცა ზევით სუფთა და შესამჩნევად ლურჯი იყო, ხოლო აქა-იქ თითქოს უხილავ მხატვარს ოქროსფერი ღილები მოეხატა.

დიდხანს არ გასტანა. სიმწვიდემ. უცებ წამოვიდნენ ზევიდან ყუმბარები და სიბნელეში მიწამ მძიმედ ამოოხრა. სვეტებად აიჭრა ბელტები და ქვიშა ფდინარის ნაპირთან.

— ჩვენს ბედზე გამოჩნდნენ თვითმფრინავები, თორემ აქედან ვერ გავიდოდით. აბა, განვაგრძოთ გზა, — თქვა ცოფანმა და სცადა წამოდგომა, მაგრამ იქვე ჩაიკეცა.

ოსტროგლაზოვი მიეხმარა და დაეთანხმა:

— გავწიოთ, სანამ ცა არ დაწყნარებულა.

საჰაერო ბრძოლა გაძლიერდა.

ნადირებივით ღმუოდნენ მოტორები.

ბაშბის ქულასავით კვალს სტოვებდნენ ტყვეები.

ცეცხლის ენებს ძაბავდნენ ტყვიამფრქვეველები და წუთით დისონანსი შეჰქონდათ ყაყანში.

მათ თავზე „მესერშმიდტებს“ ცეცხლი მოეკიდათ — ჯერ ეწოს, მერე მეორეს.

მეგობრები შეშფოთდნენ — ოღონ არ დაგვიკლესო. მაგრამ ამათ გამოდგა შიში. თვითმფრინავებმა ირიბი გაკეთეს, უკან ცეცხლიანი კვალი დატოვეს და ზორს დაეცნენ მზვერავებისაკენ.

— ეგრე, ეგრე, წითელი არწივებო, ფასიცხეთ! — ტყვიალები დაავიწყდა ცოფანს.

ისევ გადაიზუზუნეს მათ თავზე ტყვიებმა და ნალმებმა. თავზე ეყრებოდათ ძირს გადაფენილებს მიწა და ნალმის ნამსხვრევები.

მტრის მეავტომატენი ტყვიებით ცრცილავდნენ მიდამოს.

ალმოდებულ თვითმფრინავიდან ძირს დაეშვა პარაშუტი და რადგანაც მტერს საბჭოთა მფრინავი ეგონა, მიწამდე არ დაუშვა და მოსპო ჰაერში.

მეგობრების სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. საიდანღაც გამოფრინდა ჭურვი, მეავტომატენი ჩაახრჩო. მათ შემდეგ ყველაფერი მიჩუმდა.

მზვერავებმა წამოყვეს თავები და ფრთხილად მიმოიხედეს. განახლებულად მოეჩვენათ ქვეყნიერება. ისე, როგორც ბექა-ქუხილის ზიმღვრე გზა გამოანათებს.

ცოფანმა შუბლი მოიწმინდა და ბტკიცეულ თქვა:

— შეტევა ჩვენი მიზანი იყვანების. რადაც არ უნდა დაგიჯდეს, ჩვენს მიერ ნაპოვნებული ძვირფასი ცნობები უნდა მიიტანო ნაწილში. ახლავე დაბტოვე.

— ვერ დაგტოვებ, მეთაურო.

— ბრძანება გაცემულია და შენ ბრძანებლის უფლება არ გაქვს, სერჟანტო. — მკაცრად შეუბრალა ცოფანმა.

— მესმის, ამბანავო მეთაურო. მაგრამ ჯერ მაგროვეთ, უფრო უშიშარ ადგილას ვადაგიყვანო.

ლეიტენანტმა უსიტყვოდ სცალა ადგილი.

ოსტროგლაზოვი მიხვდა, რომ ეს ბრძანებაზე და მხარზე დაყრდნობით წაიყვანა საფარისაკენ.

ასე გაიარეს კარგა მანძილი.

— აი, ხომ ხედავ, არის შესაძლებლობა, რომ ... დარჩე, — ისევ ჩაილაპარაკა სერჟანტმა.

— ბეგრს ნუ ლაპარაკობ, გაიგე? მე დავიმალები სადმე ოქვენს მოსვლამდის. დამტოვე აქ. მაღალი ბალახი და ბუჩქები საიმედო საფარია.

ცოფანი თრთიალით დასვა ძირს ოსტროგლაზოვი.

— ... ალბ აქ ბინელი ღამალვა, ღამე უფრო უსაფრთხოა. ამასობაში ჩვენც მოგისწრებთ. — ამოიღო ტარტანი და კონსერვები. — რაც შეიძლება ბევრი ჭამე.

— არ არის საჭირო, ტყუილად ირჯები. უმჯობესია ბევრი „ლოზენგი“ ღამიტოვო, თუმცა, შენ უფრო დაგეტოდეს. არა, დაიტოვე და გწყალობდეს ... — მან მიიზიდა მეგობარი თავისკენ და ვადაეხვია. — შენი ბრალი ადვილი არ არის, მაგრამ ... გაიარო ... — ... ბევრ ... სწორია. პირველ შემტევ ნაწილებ... — ... — ... —

ამ დროს საიდანღაც გაისმა ჭურვის დაცემის ხმა...

უცებ ფეხქვეშ ნიადაგი-დაკარგა ოსტროგლაზოვმა. ჭურვი მოხვდა დანაღმულ ველს და ჰაერში ავარდნილი მიწის ბოლქვები საზარლად გადაიშალა.

კარგა ხნის შემდეგ გონს მოვიდა ოსტროგლაზოვი. იგრძნო, რომ მიწით იყო დაფარული და სცადა წამოდგომა. დიდხანს ეწვალა და ძლივს გადაიყარა ზედ წაყრილი მიწა. თითქოს ახლა გაიღვიძა ღრმა ძილისაგანო, ძლივს გაახილა თვალი, მაგრამ ვერაფერი ვერ გაარჩია. ფრთხილად მოისინჯა ხელით სხეული, შერე საველე ჩანთას დაუწყო ძებნა. სადაც ძვირფასი ცნობები ჰქონდა შენახული. შეიგრძნო, რომ ტანისამოსი შემოხეული ჰქონდა, სხეული კი მთლად უგრძნობელი.

„კონტუზია"—გაიფიქრა და გული აუჩქროლდა. უეცრად, სულ ახლოს, მოისმა საუბარი და ნაბიჯების ხმა. ვერაფერს ხედავდა, მაგრამ იგრძნო. რომ ჩაიარეს მტრის ჯარისკაცებმა, რომელთა რიცხვიც თანდათან მატულობდა.

მოიხსნა ყუმბარა ოსტროგლაზოვმა და უნდოდა ხმაურის მიმართულებით ესროლა, მაგრამ გონს მოეგო და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გაიქცა. გაიქცა, მაგრამ შორს არ წასულა, რაღაცას წამოჰკრა ფეხი და იქვე გაიშხლართა.

— არ შეიძლება მეტი დაგვიანება, — თქვა და ისევ წამოხტა, მაგრამ ფეხი ისევ იმ რაღაცას წამოედო. მაშინ მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე და შორს გადაისროლა იგი.

რაღაცამ ციალა და ავარდა ჰაერში. თვალები სინათლემ დაუბრმავა, აეწვა მთელი ტანი და მოეჩვენა, რომ მთელი ქვეყანა კვამლში გაეხვია. ცოტახანს გაგრძელდა ასე და შერე ისევ ჩამოდგა უკუნი... ასეთივე უკუნი იყო მის სულსა და გონებაშიც.

„როგორ დავრჩი ცოცხალი" — ძლივს გაიაზრა მან.

სცადა თვალების გახელა, მაგრამ ვაგლახ! — ვერ შესძლო. ჩამოჯდა მიწაზე. მისი სიგრილე ესიამოვნა გახურებულ სხეულს. სიმსუბუქე იგრძნო და სცადა ადგომა.

საშინელმა ტკივილმა გაუგმირა გული და მთელ ტანში დაირბინა. დაფლეთილი ტანსაცმელის ქვეშ შეიგრძნო ჭრილობები. ხელი შეეხო რაღაც თბილს და წებოვანს. მიხვდა, რომ სისხლი იყო. შუბლით მიეყრდნო გრილ სილას მოდუნებული. ესიამოვნა სიგრილე. უეცრად კვლავ გაახსენდა, რომ თან მტრის სიმაგრეების გეგმები ჰქონდა და თუ დროზე არ მიიტანდა, შეტევა ჩაიშლებოდა.

ამ აზრმა მასზე მაცოცხლებელ წყაროსავით იმოქმედა და ადგომა სცადა. წამოდგა, მაგრამ ქუთუთოები ტყვიასავით დაძიმებოდა. იგი ვეღარაფერს ხედავდა. ყური მიუგდო. სადღაც მდინარის ხმაური ისმოდა, თითქოს ქარი აშრიალებს ბალახსო. როგორ? წეღან ასე ახლო იყო მდინარე და ახლა როგორ შორიდან ისმინა? აზრად არ მოსვლია. რომ აფეთქების ძალამ ასე შორს გადისროლა იგი წყლისაგან.

ალღოთი გაემართა მდინარისაკენ მოდუნებული ნაბიჯებით.

მის სმენას ისევ მიესწვდა გერმანული სიტყვები და ბოლოს რამდენიმე წინადადებაც გაიგონა გარკვევით.

ისინი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდნენ

„ახლა შეიძლება თავზე წამომადგნენ?.. რა ექნა?" — და, ოსტროგლაზოვმა დაკვირვებით მიმოიხედა: იგი ვერაფერს ხედავდა, ხოლო გონება ციებ-ცხელებიანივით მუშაობდა. თვალწინ გაურბინეს საშინელმა სურათებმა: აი, ვითომ უკვე მტრის ხელში მოხვდა და დაკითხვაზე ეკითხებიან. რომელ ნაწილს ეკუთვნის, რამდენი არიან, სად არი მათი სიმაგრეები და სხვა.

იგი პასუხს არ იძლევა.

მაშინ ისინი მას ჭრილობებსა და ნაკაწრებზე ლიმბაქოსა და მარილს აყრიან, მასხრად იგდებენ.

— ჩემგან ვერაფერს ვერ გაიგებთ. ეუდებო! — კბილთა კრაჭვნით თქვა მან და უბეში ხელი ჩაიყო, მაგრამ აქ ყუმბარების მაგივრ საველე ჩანთა მოხვდა. — არა, ახლა ეს არის მთავარი, საჭიროა დროულად ვიყო ნაწილში — და ისევ გახდა ბალახზე დაბალი და წყალზე ჩუმი.

ვერმანელმა ლაბარაკი თანდათან მიწყნარდა.

— იყავ მწყალობელი ჩემი უფალო!

ახლა საჭიროა წასვლა. სათ წავიდეს? მაგრამ ეს ხომ მარტო კარვი მშვენიერი არ არის? იგი საუოლესო სნაიპერი და მეკანგრეც არის.

და ნელი თითები ბზიკივით ყველგან პოულობდა ჩამალულ ნაღმებს, რომელიც ქაღრაკულად განლაგებინათ. იგი მოხერხებულად ძვრებოდა მათ შორის.

— კარგია ყველაფრის ცოდნა, აი, თუნდაც ახლა, რამდენ სიკვდილს დავუძვერი.

აი სად გამომადგა განაღმვის ცოდნა, თუ არა ეს, ჩემგან საცერს გააკეთებდნენ.

და ბოლოს როგორც იყო, გააღწია დანაღმულ ველს და მიცოცდა ნაპირის მაღლობთან, მდინარის ხმაურის მიხედვით დაასკვნა, რომ აქ წყალი ყველაზე ფართოდ და მდორედ მიედინებოდა.

ყური მიუგდო.

უეცრად შამლის ყივილი მოესმა.

„საცარია, როგორ დარჩენილა ეს . გასაბდღვნელი ცოცხალი. ნუთუ ასე ახლოს ვარ ჩვენებთან?“ — გაიფიქრა სერჟანტმა, რადგან იცოდა, რომ ამ ომში ყველაზე საცოდავები ქათმები და ქალები იყვნენ:

„ქათმები ქვაბში, — ქალები ლოგინში!“ — აი, ფაშისტების მორალი.

ისევ დაიყივლა შამალმა.

„ეს უეჭველად ჩვენს მიწაზე ყივის, თორემ გერმანელები რას გაუშვებდნენ ცოცხალს. უეჭველად იქით არიან ჩვენები“.

რა ქნას ახლა? როგორ გადავიდეს უსინათლო მდინარეზე? აქ დარჩეს და სადაც არის გათენდება, ვერც ცნობებს მიიტანს და მტერიც კარგ ხელის არ დააყრის.

ნელ-ნელა დაიწყო წინწკლა, მერე მოუხშირა და წვიმის მსხვილი წვეთები უკვე დაგორდნენ მის სახეზე.

ოსტროგლაზოვი მიუახლოვდა წყალს, შევიდა შიგ და საველე ჩანთა თავზე დიდო. ის იყო შუა წყალში შევიდა, რომ ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების ყაყანიც გაისმა. ტყვიები მის ირგვლივ ეხლებოდნენ წყალსა და ავარდნილი შხეფებით უსველებდნენ სახეს.

— ვერ მოგართვეთ! არ გამოგიყვან, ფრიცებო! მეორე ნაპირზე მელოდებიან და აქ ვერ დავგვიანდები.

უეცრად ჩვენი მხრიდანაც ატეხეს სროლა. მშიერი მგლებივით აყმუვლდნენ ნაღმები.

— ამხანაგებო!.. — ძლივს მოასწრო დაძახება, რომ რაღაცა ძალამ ამოაგდო წყლიდან და ნაპირზე ნაგდებ ქვის უკან დასცა.

შეწყდა სროლა.

სიჩუმე ჩამოვარდა ირგვლივ.

მხოლოდ წვიმა სცრიდა შეუნელებლად, თითქოს ქვეყანას სიბრალულის ცრემლს აფრქვევსო. იწვა ოსტროგლაზოვი ქვის უკან წელამდე წყალში. მხოლოდ ჩანთიანი ხელი გაეშვირა განზე. მდინარის ტალღები ზოგჯერ ისე აიწევდნენ ზევით, თითქოს მტრის თვალთაგან დაფარვა უნდათ უდრეკი მზვერავისაო.

• •

ხის ქოხში პატარა, მრგვალ ნახშირის ღუმელთან იჯდა ქვეგანაყოფის მეთაური. დაბალი ჭერიდან დროდადრო კვამლი ბოლქვებად ისე ამოვარდებოდა ხოლმე, როგორც მოხუცის ჩიბუხიდან. ნედლი შეშა შიშინებდა.

ქოხში მაინც სიცივე და სიწყნარე იყო.

საიდანღაც აღწევდა უცნაური სუნი.

ფანჯარა დახურული იყო მუქი ხის ფოთლებით და სინათლე ძლივს ატანდა შიგ.

შორიდან ისმოდა არტილერიის გრუხუნი.

ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა.

— გისმენთ! მე ვარ... ვინმე გაეგზავნოთ ისევ?.. დიახ, გისმენთ, ამხანაგო გენერალო!.. რა ბრძანეთ?.. როგორც კი იქნება რაიმე ახალი, მოგახსენებთ.... კარგი.

ქვეგანაყოფის მეთაურმა ყურმილი დადვა და ადგა.

კარს უკან ხმაური გაისმა.

— რა მოხდა? — იკითხა მეთაურმა.

— აი, მოიტანეს მკვდარი მეომარი და თქვენთან მოაქვთ. — მოახსენა გუშაგმა.

— ის სრულებითაც არ არის მკვდარი, ამხანაგო მეთაურო, ცოცხალია, — მოახსენა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა.

— შემოიყვანეთ და უხმეთ ექიმს.

საკაცით შემოიტანეს დაჭრილი და სამგზავრო საწოლზე დააწვინეს.

მეთაური დაიხარა მისკენ.

დაჭრილი სისხლის კოლტს ჰგავდა.

მეთაური ნელა გასწორდა წელში და ქუდი მოიხადა.

— სად იპოვეთ?

— მდინარის პირას.

— საიდან მოხვდა აქ?

— მეორე მხრიდან, მეთაურო. როგორც კი გერმანელებმა შენიშნეს, რომ ჩვენკენ მოდიოდა, ტყვიამფრქვევი და ნაღმსატყორცნი დაუშინეს.

აფეთქების ძალამ გადმოაგდო ნაპირზე და მაინც ჩანთისათვის ხელი არ გაუშვია.

მეთაურმა აიღო ხელში ჩანთა და დაიყვირა.

— სასწრაფოდ მედალიონი!

ჯიღაცამ ჩაუყო ხელი უბეში, ამოუღო მედალიონი დაპრილს და მეთაურს გაუწოდა.

— ოსტროგლაზოვი, — გიჟივით დაიძახა მან და ჩააშტერდა სისხლში ამოსვრილს.

ამ სისხლის ბელტებსა და სილის გროვაში ჯერ კიდევ ფეთქავდა გული.

— საოცარი იყო, ამხანაგო მეთაურო, — დაიწყო ჯარისკაცმა მოხსენება, — როცა ცოცვით მივედით მასთან და დავაკვირდით, მკვდარი გვეგონა. გადავწყვიტეთ ჩანთის აღება და მის წასაყვანად კი საღამოს მისვლა. მაგრამ ჩანთის აღება ვერ შევძელით, ისე ჩაფრენოდა მას ფითებით, და როცა რის ვაივაგლახით გავუხსენით ხელი, მაშინ მან გაახილა თვალები, შემოგვხედა და ხელიც მოუდუნდა და ჩამოუვარდა. ალბათ გეიცნო.

მეთაური ჩამოუჯდა თავით დაპრილს და კვლავ დაიძახა?

— ექიმი, ჩქარა, ექიმი!

რამდენიმე გაიქცა სანნაწილში.

მეთაურმა ფრთხილად მოაშორა სისხლი სახიდან. იგი თბილად არ სჩვენებია და თავისთვის ჩაილაპარაკა.

— გათავდა.

და რომ არ ყოფილიყვნენ იქ ჯარისკაცები, იგი ატირდებოდა.

— სერგეი, სერგეი, გამაგრდი, — წაუჩურჩულა საკუთარ თავს, — ჯერ ხომ მტერი ჩვენს მიწაზეა.

და მან, ვინც ჩვენი ქვეყნის საზღვრიდან კავკასიის მთებამდე ათასჯერ გაიარა, ცეცხლის ნიაღვარში დაკარგა წონასწორობა და კინაღამ ბალღივით აქვითინდა.

ამასობაში ექიმიც მოვიდა.

— მან უნდა იცოცხლოს. არ შეიძლება, რომ ის მოკვდეს.

ექიმმა არა უპასუხა რა, მივიდა დაპრილთან, გასინჯა და შუბლი შეიკრა.

— შედიცინა აქ უძლურია, მხოლოდ სასწაულს შეუძლია ხორცის გროვას სული შთაბეროს.

— სულის ჩადგმა არა სჭირდება, რადგანაც იგი ჯერ არ დაუკარგავს მას, იგი სუნთქავს და მან უნდა იცოცხლოს.

მაჯა მოსინჯა ექიმმა, მაგრამ პულსი ვერ უპოვა. მოუსმინა ჭრილობებად ქცეულ გულმკერდს და გაოცებით წამოიძახა:

— ამას მკერდში ხორცისა კი არა ფოლადის გული ჰქონია. სისხლი ბევრი დაუკარგავს, უნდა ეცადოთ გადასხმა.

— ამხ. ექიმო, მარაგი მთლად გათავდა და ახალი კი არ მიგვიღია.

— ჩემგან აიღეთ სისხლი, — თქვა მეთაურმა და დაიწყო გიმნასტიორის გახსნა.

— მეც ჯანმრთელი ვარ!

— მეც!

— მეც!

ირგვლივ მეომართა ხმები ისმოდა.

ექიმმა ერთი ჯარისკაცისაგან აიღო სისხლი და დაპრილს გადაუსხა. მერე მოუსმინა გულსა და მოსინჯა პულსი.

— რა იყო? — მოთმინება დაეკარგა მეთაურს.

— პულსი შეეიგრძენი, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ, — გაუნათდა სახე მეთაურს — ასეთებს სიკვდილი არ უწერიათ. ისინი იცოცხლებენ და კვლავაც იბრძოლებენ. ესენი ჩვენი ჯარის ყური და თვალი არიან. და ჩვენთან ერთად უნდა შეეიდნენ მტრის ბუნაგში.

ექიმმა გასცა განკარგულება და დაპრილი გაიყვანეს.

მეთაური მარტო დარჩა, მან გაშალა მზვერავისაგან მოტანილი რუკა, სიმაგრეთა გეგმები, და დიდხანს დასცქეროდა მათ.

ისევ ოსტროგლაზოვის სახე წარმოუდგა თვალწინ და გაიფიქრა:

„საოცარია, საიდან აქვთ მათ ასეთი ძალა, რატომ არის ასეთების წინაშე სიკვდილი უძლური?“.

ბოლოს თვითონვე დასკვნა.

„ეს იმიტომ, რომ სამშობლოს სიყვარული და მტრის სიძულვილი სიკვდილზე ძლიერია. ეს სიყვარული და სიძულვილი არის ყოველი ჯარისკაცის სისხლში, ამითი სუნთქავენ მათი ფილტვები! ეი, სად არი საიდუმლო“.

ყურმილი აიღო.

— ალო! ხანიბა!.. გაიგე? ეს მე ვარ... გამოუძახე ჩემთან მეთაურებს! — მან მოუკიდა პაპიროსს, ადგა და დაიწყო ბოლთის ცემა.

შემდეგ ისევ დაჯდა და დაუწყო თვალიერება ნადავლ რუკას, თან ცხვირში რაღაცას ღიღინებდა.

ეს რუკა რომ არა, ჩვენს სარდლობას აზრადაც არ მოუვიდოდა თუ გერმანელებს ამ ადგილებში ასეთი სიმაგრეები ჰქონდათ აგებული. ეტყობოდა, აქ ამბრეებდა დაზამთრებას მტერი.

ერთიმეორის მიყოლებით შემოდიოდნენ მეთაურები, ესალმებოდნენ დამხვდურს და იქვე სხდებოდნენ. და როცა ყველა მოგროვდა, ფრონტის ნაწილის სარდალი ადგა, კედელზე მიამაგრა გერმანელთა სიმაგრეების გეგმა, გამომცდელი თვალი გადაავლო იქ მყოფთ და ხელში გრძელი ჯოხი აიღო.

— მაშ ასე, მეგობრებო. და რადგან „მეგობრებო“ თქვა „ამხანაგების“ ნაცვლად, მეთაურები მიხვდნენ, რომ საქმე ცუდად იყო, გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ძალიან ცუდად ვყოფილვართ გაცნობილი მტრის სიმაგრეების განლაგებას. ჩვენ მზად ვიყავით შეტევისათვის და მხოლოდ საჭირო ცნობებს ველოდებოდით. ხედავთ, — მიუთითა მან რუკაზე, — როგორი სიმაგრეები ყოფილა ჩვენს წინ აგებული. რა თქმა უნდა, ჩვენ გავტეხდით მათ წინააღმდეგობას, მაგრამ მსხვერპლი დიდი გვექნებოდა. ახლა კი ამ ვეგმებსა და ცნობებს გავუგზავნი უმაღლეს სარდლობას და სანამ მივიღებდეთ საჭირო ბრძანებას, თქვენ თქვენი ნაწილები მოამზადეთ საბრძოლველად. ერთი რამ გახსოვდეთ: მტერმა უკვე იცის, რომ მათი სიმაგრეების გეგმები ჩვენს ხელთ არის და ყოველ ღონეს იხმარს, მათა შეტევა ჩაგვიშალოს.

— გვესმის, ამხანაგო მეთაურო.

— მაშ ადგილებზე.

მეთაურებმა დატოვეს პერდანალი ქობი.

ყრუდ, ისმოდა არტილერიის სროლის ხმა. ზოგჯერ ტყვიამფრქვევებიც ქაქანებდნენ.

ღამე ისევ ღრუბლიანი და ბნელი იყო... საბრძოლო სამზადისს შეუდგნენ ნაწილებში დაბრუნებული მეთაურები. შეტევის გადადების ცნობა სწრაფად მოედო სანგრებს და წითელარმიელებს გიჟების საბაბი მისცა, ხილო როცა მიზეზები გაიგეს, მეტი ყურადღებით დაუწყეს მიდამოს თვალთვალი.

გაჩნდა ახალ-ახალი ტანსაწინააღმდეგო ორმოები და ბლინდაჟები.

არტილერისტებმა საიდუმლოდ შენიღბეს ქვემეხები.

მტრის, მხარეს სიწყნარე სუფევდა.

ბოლოდ აქა-იქ ავარდებოდა დროდადრო შუშხუნა.

უეცრად გაისმა შუაღამისას თეითმფრინავთა მოტორების ხმაური და წითელარმიელებმა იფიქრეს, რომ ქალაქს უუმბარებს დაუშენდნენ, მაგრამ ცა გაბათდა ცეცხლწაკიდებული თვითმფრინავით და მათაც სიხარულით აღმოხდათ:

— ჩვენები დახვდნენ!

— ქალაქამდე არ გაუშვებენ!

— ყოჩაღ, ბიჭებო!

ღამე ციცი და ნოტიო იყო. ფეხქვეშ ყველაფერი იყინებოდა. ბოლო ღამეს მოდიოდა ფრონტის ამ ნაწილში ბიალ-ახალგაზრდები, და ქვაღქცეული ბიწაც საბულე ორკესტრივით ხმაურობდა მათ ფეხქვეშ.

რიჟრაჟამდე არ შეწყვეტილა კოლონების სვლა.

გამთიადისას აქა-იქ ავარდა ქვამლის ბოლქვები, თითქოს მთებს. იქიდან ამომავალ მზეს შეასუნთქა მიწამო.

VI

ეს მეორე ღამე ფარავს ცოფანს თავისი შავი სამოსელით. მას კი მოეჩვენა, რომ ორმა თვემ ბაინც გაიარა ოსტროგლაზოვის განშორებიდან. მისი აზრით, შეტევა უნდა დაწყებულიყო მეორე დილას, მაგრამ ალბათ ცნობები ვერ მივიდა ლანიშნულ ადგილამდის.

იგი გაცოცდა წინ, მაგრამ მალევე შეჩერდა, რადგან დაკრილი გვერდი აღარ ემორჩილებოდა.

შეხედა ცას. კუშტი ღრუბლები დაეხეტებოდნენ ცაზე.

მიწაც კუშტი იყო: ცივი, სველი, მღვრიე წყლით გაეღენთილი. ისევ დაიწყო წვიმა. ამჟამად თოვლნარევი.

„ერთი ღამის აქ გატარება კიდევ — სიკვდილია“, — გაიფიქრა ცოფანმა.

სამი ღამეა. რაც უქმელ-უსმელია.

ჩანთიდან შაქრის ნატეხი ამოიღო და სცადა გაეხრა, მაგრამ ძალა არ ეყო. შორს გადისროლა და სცადა ადგომა. წამოწევაც კი ვეღარ შესძლო.

ისევ ფიქრებმა წაიღეს იგი.

კუპმა ყურყური გაიბა შიშმილისაგან და [illegible] მოიკაკვა მზვერავი, გეგონებოდათ, შეტევისი ღაღვილები აქვსო. ახლა პიოტულად გაუოცია ახოა თავში, „ხსნა აღარ არის!“ და შაყი თეალებიდან ცრემლებმა იწვიმა.

ეი საოცრება!

თვალწინ თავისი „ბულიული“ დაუდგა. თავისი მზე და თავისი ყვავილი: — როგორ შეშინდი, ოა მოგდის ცოფან? — წყენით აქსევენ ბოლუცუბაც თეთრწვერა თავებს:

— უდრეკელ ნარჩთა შთამომავალი, ხაშობი ოსად, განა სიკვდილს შეუშინდებაო..

უეცრად გამოერკვა ბურანისაგან და გაიხედა ოუკები და გერმანელთა სიმაგრეებს გეგეთეთ. როგორც იყო, წამოიწია და გაქოთვებით დაიუყო ცოცვა საღ გვერდზე, ძლივს ბიაოლეევდა ბალახებს, სიდანაც ნამი ისე უშხეფეთიდა, როგორც შხაპი — ქვემოდან ეწებებოდა სველი ღილაბი.

ცოფანი ბუჩქებისაკენ ხიცოცავდა, ოთა ეე მოეჭრა ყავარჯენი. მსვიდა კიდეც, ბაგრან ისე ყოფ დაღლილი, რომ ვერც კი შესძლო ბოკბილა ჯიხის გასუფთავება წვრილ-წვრილ ლოტოთაგან.

იგი ცდილობდა, უფრო ბბოალი და ბაგანა ადგილის მოძებნაზე, რათა უკეთ დაეყენა ლ-მერე ჯიხზე დაყრდნობით განეგრძო თავისი ეზა.

ეს კი აესრულებელი ოცნება იყო.

— უნებურად გადასწია ბალაბი და ხელი ცოცა და სრიალას მოხვდა.

თევზი აღმოჩნდა.

ხცადა დაჭერა, ბაგრან გაიხლტა ოკეანი ლ-თავს უშველა. ბოლოს როგორც იყო შესძლო ჭაობიდან მშრალ ადგილზე გამოსვლა და ბძოლად დაეშვა მიწაზე.

გვერდში თანდათან ბოუბბოა ლეკვილი ლ-ბრაზისაგან ტუჩები პატარა ბაკუნეკოთ დაეფეთ.

მას აწუხებდა ერთი აბრი: ბიაღწია თუ [illegible] ოსტროგლაზოვმა ჩვენს ბაწილაბიდან? ლ-ბუ ყერ მივიდა, თვითონ ცოფანმა როგორ შესძლო ეჭამდე 'მისვლა?

ჩამობნელდა.

დაბერა ნოტიო და ცივმა ქაოთა. წვიმიანდა მსხვილი წვიმა და ცოფანს მოეჩეენა. რომ მიწაზე თოვლის ფიფქები ეცემოდნენ ლ-ი წამსვე დნებოდნენ.

ამოიღო თამბაქო და გაბვია. მოძებნა ასანთიც. ლასველეთული აღმოჩნდა ორივე და შორს გადისროლა.

„ია, უნდა წავიდეს“ — ისევ აწრიალდა თაკში.

მოწყვეტილ ჯიხს დაეყრდნო და ადგა.

ეთოლოდ ერთი სიტყვა ტრიალებდა თავში: „წინ, წინ, წინ“!

კარგად არ ეცოდა, რამდენ ხანს იარა. მხოლოდ ლინენ ოოცა ულალატა, მოქანცული დაეშვა ბალლობზე ბეჭის ძირას.

წყლიან ძლიერ შეაწუხა. ბოიბადა ქუდი და ლიბლიბაზე დაიფარა. ნაბიც ეჩვენებოდა, რომ წყლის წვეთები ბბოლოდ დაშავებულ გვერდზე ცვენოდნენ. ისევ წამოდგა.

ჯიხზე დაყრდნობილი ბიბარბაცებდა.

ლანი ალარ ეჩანობდა ალავთარ ტყეთლს და ბბოლოდ თავი მუშაობდა შეღეჩერებლად.

ბბოლოდ ბინდში ბინდობილი დავალების ეზი ალეეევდა ბალას სოფლისკენ საბრძოლველად...

ცოს დასალეერზე ალი ალსანა.

წვიმაბ გადაილო.

ლოლოლებმა დატოვეს მთები, ძირს ჩამოვიდნენ და ოთელანი მწყეტვალები გამოაჩინეს.

მზე ნელ-ნელა ამოიწვერა და ტყეთისფერი ლოლოლები გაიბაცა და ვერცხლისფერი გახადა.

ცოფანმა თავი თითქო უკეთ იგრძნო. თითქოს ბის სხეულშიაც შეაღწია მზის მაცოცხლებელმა ხეიფმ.

ბბოლოდ ალი უბრეშოდა და შიგ მწარე გეალა ერძნობდა. თავბრუ ესხმოდა ნაბახუსევეეთ.

ჩანთაში ბაგრის ნატეხი ბინ[illegible]ბნა, მაგრამ იგი წყალსა და სიმეტეს დაედნო. ბბოლოდ თევზის ბარილიანი ნაჭერი ამოათრია და პირში ჩაიდო. ეაბოლოდ ეეო გაიცა ბენო ამბავი, რასაც ლეკავდა. ეოთიანად ბაიდეენოდა ენა და სასა... ისევ ადგა და ისევ დაიწყო ჯიხის ბჯენით წინსვლა. სიდანაც ისმოდა სოფლის ხმა. თავს ზევით მიფრინავდნენ ბბოლოს მსროლელი ქვეშეებების ბურეები. [illegible] ალ ალ ალეეეეა [illegible] ყურადღებ[illegible]...

[illegible] ეეაბნე ბაიბნ ბეეეეეს ამ მ[illegible] ეეთ[illegible] ალ[illegible]ებში...

[illegible] ბიბეეეეე

მაგრამ ნაფეხურები წყლით იყო სავსე და გარკვევა შეუძლებელი იყო.

უეცრად თავში ახალმა აზრმა გაიელვა.

„აქ პარტიზანები არიან".

და გაჰყვა ნაკვალევს. ნაფეხურებმა ღრმა ხევთან მიიყვანეს. დიდხანს უგდებდა ყურს. მხოლოდ ნაკადული ჩუხჩუხებდა ქვებზე. ვერ აიტანა ფეხზე დგომა და მიწვა წყაროსთან. მხოლოდ ბინდისას მოვიდა გონს, მაგრამ სიცხემ აუწია და ისევ ბურანში გახვია. საღღაც გონების კუნჭულში გაახსენდა, რომ ჩანთაში სულფიდინი ჰქონდა და დალია. უკეთ შეიქნა მზვერავი, წამოჯდა და ჯოხი მოიმარჯვა. ავტომატის ლულა მიწით გამოტენილიყო, გამოასუფთავა და ისევ გზას გაუდგა...

მეორე დღე მზიანი გამოდგა. იწვა ხევის პირას და თბებოდა მაცოცხლებელ სხივებ ქვეშ. უეცრად ხმაური რომ მისწვდა მის სმენას, ავტომატი შეწკიპა. ბუჩქებისკენ ისროლა მზერა და ამოდენა ტანჯვისა და ხოხვის განშავლობაში, პირველად გაიღიმა: ბუჩქებიდან თავი გამოეყო ვირსა და ცნობისმოყვარეობის თვალით უცქეროდა.

— რაო, მყვირალავ, შენც გერმანელებს ემალები? — ვირმა თანხმობის ნიშნად ყურები გააპარტყუნა. მზე დაუცხრომლად აშუქებდა და ცოფანმაც უფრო უკეთ იგრძნო თავი, ჩანთაში სპირტის ნარჩენი მოძებნა და გადაყლაპა. „რა დაემართა ოსტროგლაზოვს? ნუთუ ჩვენებამდე ვერ მიაღწია? და თუ მიაღწია, რატომ ვაგვიანებთ შეტევას მტერზე? გადაწყვიტა ეელო, სანამ მდინარის გაღმიდან ჩვენები არ შეამჩნევდნენ. ისევ წავიდა წინ. გაჭირვებით მიათრევდა დაჭრილ ფეხს, ყოველ ნაბიჯზე ჩერდებოდა და ღრმად ისუნთქავდა მზით გამთბარ ჰაერს. ციებიანივით კანკალებდა და მაინც მიიწევდა წინ, რადგან თვალწინ ედგა საძულველი მტერი და მტრის ბინძური ფეხით შეურაცხყოფილი სამშობლო.

შლამზე კვლავ ნაფეხურები შენიშნა და დაეშვა ძირს ღონემიხდილი. ოსტროგლაზოვისას არ ჰგავდა იგი, რადგან საკუთარი ნაკვალევივით იცნობდა სერჟანტისასაც. მტერმა ხომ არ აღმოაჩინა? იქნებ ეს ჩვენი მზვერავია, რომელმაც გადმოლახა მდინარე ღამით? ცოფანის გული სიხარულით ავსო, ფრთები შეასხა ამ აზრმა, წამოაყენა და ისევ გზას გაუყენა. კვალმა პატარა შამბნარიან გორაკთან მიიყვანა. შამბნარში ცაცი ჩანდა. მანაც შეამჩნია ცოფანი. დიდხანს უცქეროდნენ ერთმანეთს. და ლეიტენანტს აზრად არ მოსვლია, რომ ეს ბრანკოვსკი იქნებოდა.

პოლონელმა იცნო მზვერავი და წყნარად დაიძახა:

— ამხანაგო მეთაურო!

ცოფანმა ავტომატი მოიმარჯვა.

— ეს მე ვარ, მეთაურო, არ შეშინდეთ, მე ვარ. ბრანკოვსკი.

— ბრანკოვსკი?—თითქმის შეჰყვირა ცოფანმა.

— შშშ! გერმანელები ახლოს არიან.

გამოძვრა ბუჩქნარიდან მოტოციკლეტისტი და ცოფანთან მიხოხდა.

მოკლე ხანში მოასწრეს თავგადასავლის მოყოლა.

— ფეხი როგორა გაქვთ?

— არა უშავს, სანამ შენს სამშობლომდე მივალთ, მანამ მორჩება და ვარშავაში ერთად გავიელით.

ცოფანმა ჩანთიდან გერმანელთა სიმაგრეების დარჩენილი ცნობები გადასცა მას და უთხრა:

— ესენი უნდა ჩვენებს გადასცე. დღეს მეხუთე დღეა, რაც არაფერი ისმის, ალბათ ოსტროგლაზოვმა ვერ მიაღწია იქამდე.

— გადავცემ! — მტკიცედ თქვა ბრანკოვსკიმ.

— მე ვერ გადავალ მდინარეზე, — სინანულით დაუმატა ლეიტენანტმა.

— სჯობია დავიმალოთ. გორაკზე გერმანელი ზის.

— მართალია, შელამებამდე ცოტა დრო დარჩა, დავისვენოთ.

— დავისვენოთ, ძალიან დაქანცული სახე გაქვთ და დაჭრილიცა ხართ. და ბუჩქქვეშ შეძვრნენ შამბნარში.

* * *

სიბნელეში გაელვიძა ცოფანს.

ცაზე ვარსკვლავები ისხდნენ და ფერმკრთალ სხივებს ჭზავნიდნენ მიწაზე.

ყოველი მხრიდან სროლა ისმოდა.

ბრანკოვსკიმ ცოფანს გამოსდო მკლავი.

— თქვენ მხოლოდ გზა მაჩვენეთ.

ფრთხილად მიდიოდნენ შამბნარსა და ტალახში, ხევში და სილაზე. ხშირად უხდებოდა ბრანკოვსკის ლეიტენანტის ხელში აყვანა.

მდინარის ხმაური თანდათან აპლოვდებოდა.

აი თერგიც.

როგორც შვილს დიდი ხნის უნახავი დედის დანახვა გაუბარდება, ისე გაუხარდათ მებრძოლებს მისი დანახვა.

ისევ ისროდნენ ორთავე მხრიდან კანტი-კუნტად.

ანაზდად ავარდა შუშხუნა გალმა მხრიდან.

ცოფანმა საათს დახედა — ექვს საათს მხოლოდ ერთი წუთი აკლდა.

— თენდება. — ამისი თქმა ძლივს მოასწრო მან, რომ გალმიდან ერთბაშად ჯოჯოხეთურად დაიქუხა. შეირყა მიწა. ათიათასმა ქვემეხმა ერთად გადმოანთხია ცეცხლი და ხანი. მძიმე ჭურვებმა ფრენით გადაუარეს მიყუჟულ მზვერავებს თავზე. მიწამ მძიმედ ამოიოხრა.

— დაიწყეს, დაიწყეს, ამხანაგო ბრანკოვსკი,— სიხარულით მოეხვია ცოფანი პოლონელს.

მტრის სიმაგრეებზე მტვრისა და კვამლის ღრუბლები აიმართა. „კატიუშამ" ცეცხლის ენები გაძახა. ერთმანეთში აირია ხე და ქვა, ქვიშა და მყარი. ცეცხლში გაეხვია გამოღმა ყველაფერი... ერთი საათის შემდეგ არტილერიამ მტრის ღრმა ზურგში გადაინაცვლა და ცა დაფარეს თვითმფრინავთა ესკადრილიებმა. გათენებისას ტანკები გამოჩნდნენ. მესანგრეებმა პონტონებზე გაშართეს ხიდი.

გერმანელთა ქვემეხებიც აყეფდნენ. კაკანებდნენ ტყვიამფრქვეევები. ბოის ძირში დოტი იყო და ჩვენებს გზას უკეტავდა. ბრანკოვსკიმ ზურგიდან მოუარა და ააფეთქა. გერმანელთა ტყვიამფრქვევები ჩაჩუმდნენ. წითელი არმია ერთ მთლიან ლავად მოსკდა და დაეშვა ხიდზე...

ცოფანის სმენას რუსული „ეაშა" მისწვდა. ჯარისკაცები თითქოს მიწიდან ამოძვრენო, ისე მოედვნენ იქაურობას. იგი ქვის საფარიდან გამოვარდა და დაიყვირა.

— ვაშა! წინ! საშობლოსათვის!..

გერმანელებმა უკან დაიხიეს ჯერ და შერე გაქცევაც იკადრეს. შიშისაგან სახედაღრეჯილნი გარბოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე. ირგვლივ ზანზარებდა ცა და მიწა. ვაშას ძახილი გაძლიერდა. საიდანღაც გადმოხვეწილი ნაღმი დაეცა ცოფანის ახლოს და აფეთქდა. ლეიტენანტი უგონოდ დაეცა. ბრანკოვსკიმ მიირბინა და ხელში აიტაცა. ნაპირიდან კაპიტანმა მიირბინა და პოლონელს რევოლვერი შეუწკიპა ცხვირთან.

ცოფანმა მოასწრო თვალის გახელა და წაილულლა:

— არ ესროლო, იგი ჩვენი ძმაა. — და ისევ დაკარგა გონი გულადმა მზვერავმა.

• •

გაეიდა მრავალი დღე და კვირა. ზამთარმა გადააფარა დედამიწას თეთრი ქათიბი და სალამოობით დაუწყო ფანჯრების მინებს საუცხოო არშიით ქარგვა. აისით იფერებოდნენ ყოველ დილით ისინი და უფრო მომხიბლავნი ხდებოდნენ.

გეგონებოდათ უცხო ჯავაირჩისგან არიან ისინი ნაკეთებნი ეგრე სათუთადო.

— ამხანაგო სერჟანტო, — ტკბილი ხმით ამბობდა ცოფანი, — ბუნება დიდი მხატვარია, იგი ყველაფრის შემოქმედია. ოჰ, რა ლამაზი ხარ, სიცოცხლეე და შენი გულისთვის რას არ აკეთებს ადამიანი!

ოსტროგლაზოვი საწოლზე წამოჯდა და თავი დაუქნია:

— მართალია, მეგობარო, სიცოცხლე ლამაზია, მაგრამ მასზე ლამაზი და ძლიერი საშობლოს სიყვარულია.

— საშობლოს სიყვარული და მტრის სიძულვილი — სიკვდილზე ძლიერია!..

და ორმა მეგობარმა ერთად შეპღიმა ამომავალ მზეს...



თათარი ეფხვითი

ბარბარ ბარბარიფირთ

— ვფიცავ ჩვენს მეჩეთს, მე გავუსწორდები მას!.. ერთი შეგეხვდა მაინც, როგორია ის... წწყალსა ჰგავს! ცხვირსა ჰყოფს იქ, სადაც საჭირო არ არის. ვერ გამიგია, რას გადამყიდებია!..

— იქნებ გრძნობ რამე დანაშაულს? ამბობენ, ქურდს ქუდი ეწვისო.

— ესე იგი?

— ძველ დროში რომაელები ამბობდნენ: ოუპიტერო, შენ ბრაზობ, მაშასადმე, სტყუი!

— აქედან დამეკარგე, შენი ანდაზებით მუდამ დამცინი ხოლმე! ვფიცავ ჩვენს მეჩეთს, იქამდე მოშაბეზრა თავი, რომ შენც კი მეჩვენები რაღაც ისეთი..

— რას ამბობ? მაინც როგორი? ჭრელი, ყვითელი თუ მწვანე?

— ეე, ლაყბობისათვის არა მცალია!

— ვიცი, შენ არ გიყვარს, როცა შენი წისქვილი ამოდ ფქვავს.

— მაშ სხვანაირად როგორ გინდა? მე ხომ ამ ხნის განმავლობაში შემეძლო წამეკითხა ლექციები და ფულები ჯიბეში ჩამეჩხრიალებინა.

ისე დაიწყო საუბარი ბარბარ ბარბარიფირთსა და მის მეზობელ მურთუზას შორის. ისინი დიდი ხნის მეზობლები არიან, ჯერ კიდევ იმ დროიდან, ბავშვობისას სოფელში ერთად რომ ცხოვრობდნენ. როცა წამოიზარდნენ და ქალაქში საცხოვრებლად გადავიდნენ, იქაც ერთად დასახლდნენ. ისე კარგად ესმით ერთიმეორისა, რომ საკმარისია, ერთ-ერთმა ამოძრაოს ტუჩები, რომ მეორე უკვე მიუხვდეს, რა უნდა თქვას პირველმა.

ბარბარ ბარბარიფირთი ჯღეხი კაცია, გამობურცული თხელი ტუჩები აქვს, განსაკუთრებით კუთხეებში, თითქოს გრდემლზე გამოუკვერავთო, ნიკაპი კი წინ წამოსწევია სახნისის სახელურივით.

ბარბარ ბარბარიფირთი ყოველ დილას, არც მეტი არც ნაკლები, ნედლი კობრივით დაწითლებული თვალებით იღვიძებს. თვალებს ქვეშ კი ქუთუთოები მწიფე ზღმარტლივით შესიებია. თვითონ ბარ ბარ ბარბარიფირთი ამას ასე ხსნის:

— მე ხომ მთელი დამის განმავლობაში წიგნებს ვკითხულობ. აი ამიტომ მიწითლდება თვალები.

მისი მეზობელი მურთუზა პირიქით ირწმუნება, — ვითომც ბარბარ ბარბარიფირთს თვალები ბევრი ძილისაგან უწითლდება.

ვინ გაუგებს მათ? მაგრამ მურთუზა სიმართლესთან უფრო ახლოს დგას, თუმც ხანდახან მასაც უყვარს ტყუილი, მაგრამ მაინც მას უნდა დავუჯეროთ.

ბარბარ ბარბარიფირთს კი არავითარ შეშთხვევაში არ დაუჯერება. თავისი არსებობის 45 წლის განძილზე მას ერთხელაც არ წამოცდენია სიმართლე. ლაყბობაში კი ბადალი არ ჰყავს, ფქვავს, როგორც წისქვილი.

* ბარბარ ბარბარიფირთი — ყბედი ყბედიშვილი.

მურთუზა დალეული კაცია, წყაროს წყალივით ანკარა თვალები აქვს, როდესაც შერცხვება, წითლდება გოგონასავით, მაგრამ, როცა გაბრაზდება და ქვედა ტუჩის კვნეტას იწყებს, მოკაუჭებული ცხვირი უფრო მოეხრება, თითქოს ეს-ეს არის, ზედა ტუჩს უნდა შეეხოსო.

— მაინც რით მოგაბეზრა თავი იმ ადამიანმა, შენი თქმით რომ რწყილს ჰგავს? — წარბების აწევით ჰკითხა მურთუზამ ბარბარ ბარბარიფირთს.

— ყველაფრით, მოისპო ვისი სახელი! — თხელი, გამობურცული ტუჩების წკლაპუნით თქვა ბარბარ ბარბარიფირთმა.

— მაგრამ მაინც რითი მოგაბეზრა თავი?

— გეუბნები, ყველაფრით! იქნებ შენა გსურს, რომ მან თმებით ჩამომკიდოს? — გაბრაზებით წარმოთქვა ბარბარ ბარბარიფირთმა.

— ო, არა! მაგრამ მაინც? — სცდილა მურთუზა.

— „მაინც, მაინც!".. ხომ გესმის, ის რწყილი არაფრით არ მასვენებს. მკბენს და მკბენს, არც ლექსების წერას მანებებს, არც ლექციების კითხვას. ჩემი ლექციების თემები მარტის დღესავით ცვლება. ლექსების წერას ხომ თავი დავანებე. ეი სადამდე მიმიყვანა მან...

— მაინც რითი? — გააწყვეტინა სიტყვა მურთუზამ.

— როგორ თუ რითი? აი რითი. ჩავედი ქარხანაში, მუშებს წავუკითხე ლექცია — თემაზე: „საბჭოთა ადამიანის მორალი"...

— მერე რა მოხდა?

— ის, რომ... დავამთავრე კითხვა, ყველა კმაყოფილი დარჩა, ტაშს მიკრავენ. უცებ ის რწყილი ხელსა სწვევს მაღლა:

— „ამხანაგო ბარბარ ბარბარიფირთ, ერთი შეკითხვა შეიძლება?"

— ინებეთ! — ვუპასუხე.

ის კი მთელი ხალხის გასაგონად ამბობს:

„ბარბარ ბარბარიფირთ, თქვენ შესანიშნავი ლექცია წაგვიკითხეთ, ბევრი კარგი სიტყვები წარმოთქვით მორალზე, მაგრამ გვითხარით, თუ შეიძლება, რატომ არ უშვებთ თქვენს ღვიძლ მამას სახლში? რატომ გამოაგდეთ მოხუცი? და რატომ არ ეხმარებით ფულით? მან ხომ თქვენ გაგზარდათ, მას იმედი ჰქონდა, რომ თქვენ დაეხმარებოდით"...

— აბა, ეს რა უზრდელობაა! რა ესაქმება მას? პირდაპირ არ ვიცოდი, საღ წავსულიყავი! და, რა თქმა უნდა, თავის დამცირებად ჩავთვალე, პასუხი გამეცა იმ უზრდელისათვის! ლექციის ფული მივიღე და წამოვედი. გესმის? ამის შემდეგ ლექციის თემა შემძულდა და სხვა თემით შევცვალე.

შევარჩიე ახალი თემა: „რა ზიანი მოაქვს რელიგიას" და ვფიქრობ: „აბა ახლა რაღას იტყვის ის გადაგვარებული"?..

მივედი აგურის ქარხანაში, ვკითხულობ, ისევ ყველა კმაყოფილია, ტაშს მიკრავენ. ის რწყილი კი, ვხედავ, აყუდებულა ხალხში და ისევ ხელს სწვევს მაღლა:

„ამხანაგო ბარბარ ბარბარიფირთ, შეიძლება ერთი შეკითხვა მოგცეთ?.. კარგი ლექცია წაგვიკითხეთ, მაგრამ გვითხარით, თუ შეიძლება, როდესაც თქვენ მოდიოდით ამ ლექციაზე, პირველი რატომ გადაისახეთ და თან ჩაიბუტბუტეთ: „ო, ღმერთო ჩემო, ოქროსფრთიანო ანგელოზებო, რუ დამსჯით, თუ თქვენს წინააღმდეგ ვილაპარაკებ. როგორც კი მივიღებ ლექციის ფულს, ვიყიდი ღვინოს, ავავსებ ყანწს და შევსვამ თქვენს სადღეგრძელოს..."

— აბა, საღ აქვს ნამუსი იმ არამზადას? სიბრაზისაგან კინაღამ გული შეეშიწუხდა. ეშმაკმა წაიღოს ის! საიდან გაიგო მან? ან რას ერევა სხვის საქმეში?

დავანებე ამ თემას თავი და გადავედი სხვა თემაზე: „საბჭოთა ადამიანი არ უნდა იყოს ცრუ და მატყუარა". წავიკითხე ლექცია მწერლებისა და ჟურნალისტების კრებაზე ისეთი წარმატებით, რომ, როგორც კი დავამთავრე კითხვა, მაშინვე წამოდგა ერთი მწერალი და ლექსად წარმოთქვა მადლობა.

ვხედავ, ის რწყილი ისევ სწვევს მაღლა ხელს:

— „ამხანაგო ბარბარ ბარბარიფირთ, შეიძლება მოგცეთ ერთი შეკითხვა?"

მე გავშეშდი. საიდან შემოძვრა იგი აქ? ის კი თავისას განაგრძობს:

„ბარბარ ბარბარიფირთ, დიდი მადლობა კეთილი სიტყვებისათვის ჩვენზე, საბჭოთა ადამიანებზე; მაგრამ რატომ თქვენს თავზე არა თქვით, თუ როგორ წერენ კეთილი ადამიანები თქვენს მაგივრ, ფულს კი თქვენ ღებულობთ და ანიავებთ? რატომ არ არის ეს ექსპლოატაცია, ცილისწამება და სიცრუე?"

მე მთლად ავცახცახდი, მინდოდა მეპასუხა მისთვის.

„ეშმაკმაც წაიღოს!" — სიტყვები ყელში გამეჩხირა, ვერაფერი ვთქვი.

აბა როგორ უნდა მოვიქცე? მე უკვე მინდოდა მიმეტოვებინა ყველა ეს ლექცია და სხვა რამისათვის მომეკიდა ხელი, გული დამწყდა, ვფიქრობ: „ნუთუ იმ გადაგვარებულის გულისათვის უნდა ვთქვა უარი ასეთ კარგ შემოსავალზე?" სწორედ იმ დროს რკინიგზის ადგილკომმა მთხოვა, წამეკითხა რამე ლექცია. ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე წამეკითხა ისეთ თემაზე, რომელშიაც კოლოც ვერ შეჰყოფს ცხვირს: „მეგობრობაზე და სტუმართმოყვარეობაზე".

თუმცა კი ყელი მტკიოდა და ხმა ჩახლეჩილი მქონდა, მაგრამ მაინც წავიკითხე ლექცია, ის იყო, უნდა ამეღო პორტფელი, რომ ისევ ის გადაგვარებული ხელს სწვევს მაღლა:

— „აეხანაგო ბარბარ ბარბარიფირთ, შეიძლება ერთი შეკითხვა მოგცეთ?"

თვალები დამიბნელდა, თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს ვერ გავიგონე მისი შეკითხვა. ის კი თავისას განაგრძობს:

—„ბარბარ ბარბარიფირთ, მადლობელი ვართ ასეთი ლამაზი სიტყვებისათვის მეგობრობაზე და სტუმართმოყვარეობაზე, მაგრამ გვითხარით, თუ შეიძლება, რატომ ხდება ასე: როდესაც თქვენ ეინზეს ესტუმრებით, სვამთ და ჭამთ ორი კაცის ოდენას, და კიდევ თან გინდათ წაიღოთ რამე, მაგრამ, როდესაც თქვენ გესტუმრებიან, მათ მხოლოდ თქვენი ცარიელი ლაყბობით უმასპინძლდებით? ისე რომ, სხვის სახლში თქვენ ხარის თვალებით იხედებით, თქვენ სახლში კი — ჩიტის. რატომ ხდება ასე?"

— დარბაზში კი სიცილია. რატომ მიწამ არ უყო. მას პირი რას ჩამაცივდა ის ოხერი?

მოვედი სახლში და ჩემს თავს შევფიცე, არასოდეს არ წავიკითხო ლექციები. ეშმაკმა წაიღოს იმათი თავი.

ერთი თვე არ წამიკითხავს. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ფული მაინც საჭირო. შევადგინე ახალი თემა — ლექციის თემა და შინაარსი — ვიწრო წრის მსმენელებისათვის და ვფიქრობ:

„მოვა კი ის რწყილი ასეთ ლექციაზე? რომ მოვიდეს კიდეც, აქ უკვე ვერაფერში მომდებს შარს".

და აი ვკითხულობ მას ერთ-ერთ ინსტიტუტში სტუდენტებისა და პროპაგანდისტების კრებაზე. როგორც კი მივედი ლექციის შუა ნაწილამდე, ვხედავ, ის არამზადა ზის პირველ რიგში, ჩემს პირდაპირ, და თავხედურად იცინის.

თითქოს ცულის ყუა მხეთქეს თავში, მთელი აზრები დამეფანტა და კითხვის ხალისი დაპეკარგა. შევკვეცე ლექცია და მაინც დავამთავრე. ის იყო, ფურცლები უნდა ჩამეწყო პორტფელში, რომ ის გადარეული ისევ მაღლა სწევს ხელს.

„ბარბარ ბარბარიფირთ, შეიძლება ერთი შეკითხვა?"

— თუ გინდ ასი იყოს! — დავიძახე გაბრაზებულმა და გადავკარი ერთი ჭიქა წყალი, რომ ცოტათი მაინც დავშშვიდებულიყავი.

— „ბარბარ ბარბარიფირთ, გმადლობთ „ფორმისა და შინაარსის შესახებ", ასეთი კარგი ლექციის წაკითხვისათვის! ბევრი ლამაზი სიტყვა წარმოსთქვით. ფორმა თქვენ ნამდვილად კარგი გაქვთ. ისეთივე სუფთა და გაუთოებული, როგორც თქვენ თვითონ ხართ, შინაარსი რატომღა დასტოვეთ სახლში, თან რატომ არ წამოიყოლეთ? განა შეიძლება დააშოროთ ფორმა შინაარსს? თქვენ ხომ თქვით, რომ ეს დაუშვებელია. რატომ გვიმასპინძლდებით მარტო თხილის ნაჭუჭებით? გულები სადღა არის?

„მართალია! მართალია!" — დაიძახეს და მოჰყვნენ ფეხების ბაკუნს სტუდენტები.

— გესმის ჩემი მდგომარეობა? აქ შეიძლება ჭკუაზე შეიშალო!

— მაინც რა გადაწყვიტე ამის შემდეგ? — ჰკითხა მურთუზამ. — დაანებე თავი ლექციების კითხვას?

— აბა სწორედ ახლა ვიღაც რწყილის გულისთვის დავანებებდი თავს! პირიქით, ისე გავცხარდი, რომ ჩემს თავს ვუთხარი: „ნუთუ შენ კაცი არა ხარ, ისეთი ლექციის წაკითხვა არ შეგიძლია, რომ იმ რწყილმა არ გიკბინოს და ხმა-ვეღარ ამოიღოს?" და მოვამზადე ლექცია თემაზე „კრიტიკა და თვითკრიტიკა". წაეუკითხე ის მეცნიერ მუშაკებს.

დამაყარეს შეკითხვები, მე მათ ვუპასუხე და თან ვფიქრობ: „მადლობა ღმერთს, აქ არ არის ის არამზადა!" ვალაგებ ქაღალდებს პორტფელში...

უცებ ვხედავ, დარბაზის ბოლოში ვიღაც მაღლა სწევს ხელს:

— „ამხანაგო ბარბარ ბარბარიფირთ, შეიძლება ერთი შეკითხვა მოგცეთ?“

თითქოს დამბლა დაეცა. სულერთია ჩემთვის, დე თქვას, რაც უნდა, თითქოს გავხევდი, სიბრაზესაც კი ვეღარ ვგრძნობდი.

— „ბარბარ ბარბარიფირთ, რა კარგად თქვით, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა წმენდს ატმოსფეროს და წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების მამოძრავებელ ძალას. ოქროს სიტყვებია! მაგრამ გახსოვთ? გაზეთში გამოქვეყნდა პატარა წერილი, სადაც ავტორმა დადებითად არ შეაფასა თქვენი ლექსები და გაგაკრიტიკათ. რატომ და რისთვის ლანძღავთ მას, არცხვენთ, ცილს სწამებთ, როგორც მოსისხლე მტერს? მას ხომ თქვენთვის კარგი სურს, თქვენ კი ჯიუტობთ. რას ნიშნავს ეს, ბარბარ ბარბარიფირთ“?

დარბაზი ახმაურდა! ამ მწერმა ყველა გადამკიდა. ძლივს გამოვედი დარბაზიდან. რა მოვუხერხო იმ არამზადას? — ძალიან ამოიოხრა ბარბარიფირთმა. არა, მე ამას ასე არ დაეტოვებ! ვფიცავ, ჩვენს მეჩეთს, ერთ წშვენიერ დღეს გავუსწორდები მას!..

— რატომ უნდა შეიწუხო თავი და რატომ უნდა გაუსწორდე იმ არამზადას, როგორც შენ ამბობ? თუ გრძნობ, რომ ის სისულელეებს არა როშაედა და საქმიანად გისაყვედურებდა? — შეეკითხა მურთუზა.

— აბა როგორ გითხრა!.. რა თქმა უნდა, იმ ადამიანის ნათქვამ სიტყვებშიც არის სიმართლის ნატამალი და იმ არამზადასაც ახასიათებს ეს, მე არ ვთვლი ჩემს თავს უნაკლოდ, მაგრამ რა მისი საქმეა? რატომ ჩამასო თავისი ბრეკვალები? ვფიცავ ჩვენს მეჩეთს...

— დამშვიდდი, ბარბარ ბარბარიფირთ, — მკვახედ გააწყვეტინა სიტყვა მურთუზამ. — მე კარგად გიცნობ შენ, და პირდაპირ უნდა გითხრა: გამოსასწორებელი შენ თვითონ ხარ, არამზადა შენა ხარ და არა ის. დაგაგვიანდა შენ, ძამია, დაბადება, შენი მსგავსი მოლაყბეები ჩვენს დროში არაფის სჭირდება.

ბარბარ ბარბარიფირთს სურდა რაღაც ეთქვა, ამოძრავა თავისი თხელი ტუჩები, მაგრამ მურთუზა უკვე მოეხვდა, რაც უნდა ეთქვა მას, და ხელი ჩაქნია...

მიკმიკის ქათმები

მოთხრობა

— ამას უყურე, კიდევ ორი მომკვდარა!.. — თქვა ფარდულში შემოსულმა მიკმიკმა, რომელიც არეულად აცეცებდა ელამ თვალებს. გაშვერილ მარჯვენა ხელში მას ეჭირა გაშეშებული ორი თეთრი ქათამი.

— უი, ღმერთო, მომკალი! — დაიწყო მოთქმა მიკმიკის ცოლმა გოსადამ, გაძვალტყავებული გრძელი ხელი ნიკაპქვეშ ამოიდო და მკვდარ ქათმებს მწუხარედ დაუწყო ცქერა. — ეს რა ამბავია?.. რა ღვთის წყრომაა ჩემს თავზე? უკვე შვიდი მოკვდა!.. ხერე რა ქათმები! რამხელა და რა მსუქანი... აბ ღმერთო! ან რატომ არ უნდა ყოფილიყვნენ მსუქნები? მე ხომ იმათ დარჩეული სიმინდით ვკვებავდი...

— აი, ხომ გეუბნებოდი: დაკალი, მოხარშე!.. რად გენანებოდა? შენ კი ძუნწობდი, არ კლავდი... „მოიცა და მოიცაო!“ აბა ესეც შენი მოიცა!

მიკმიკმა ქათმები მიწაზე დაყარა, ხელები ზურგს უკან შემოიწყო და ელამი თვალები მიაშტერა იმ ქათმებს, რომლებიც ჯერ კიდევ დაბორიალობდნენ ეზოში და რატომღაც ძალიან უხალისოდ იყვნენ.

— მოდი სუყველა დავკლათ! — ცოტა ფიქრის შემდეგ უცბად თქვა მიკმიკმა — მაგათ ალბათ ქათმის რაღაც ავადმყოფობა დაერია, და სულ ერთია ამოწყდებიან.

— ასე უსარგებლოდ როგორ უნდა დავკლათ? სად უნდა წაიღოთ?

— გაახმობ. გამომშრალი ქათმის ხორცი არც თუ ისე ცუდია.

ქმრის ასეთმა უაზრობამ გოსადა ძალზე გააჯავრა. ყველაფერს ასე აკეთებს ეს კაცი ერთი ხელის მოსმით, ხვალინდელ დღეზე არც კი ფიქრობსო, და, ქმარს საშინელი ლანძღვა დაუწყო. სწყეულიდა ყველაფერს ამ ქვეყანაზე, სწყეულიდა ღმერთსაც.

მიკმიკი კი იქნევდა თავის მოკლე ხელებს და თავისას გაიძახოდა:

— სუყველა, სუყველა უნდა დაკლათ!

— უი, ღმერთო, რას ამეკვიატე ბებერი ქეციანი კატასავით, — გაჰკიოდა გოსადა, — ჯობია ხელი მოჰკიდო მკვდარ ქათამს და ექიმთან წაიღო, ის გეტყვის, მაინც რა ჭირი გაუჩნდა მაგ ქათმებს და ყველას ერთბაშად მოარჩენს. შენ კი გაიძახი: „დაკლათ“! დაუდევარო, გლახაკო... წადი, გელაპარაკები!

— ეჰე, მე რა, ჩემი საზრუნავი აღარ მეყოფა! — გაბრაზდა მიკმიკი, მოტეხილი თავი ხელით მოისრისა და დასძინა, — ქუჩებში დავუწყებ ახლა ქათმებს თრევას. იქნებ ქათმის ჭირი არცაა.

— აბა რა არი, თუ არა ქათმის ჭირი? რისგან დაწყდნენ? — სულ უფრო და უფრო ცხარობდა გოსადა, ახლა მას იმდენად ქათმების დახოცვა კი აღარ აბრაზებდა, რამდენადაც ქმრის უდარდელობა და უაზრობა.

— ა...ა, ახლა ვიცი რისგანაც დაწყდნენ ქათმები! — თქვა უცბათ მიკმიკმა, — ეს სულ წყეული აფთიაქის ბრალია: — და მრისხანედ გადახედა ეზოში გამოსულ აფთიაქის უკანა პარმალს. — ეგენია რომ ღვრიან და ყრიან ყოველგვარ საწამლავს ეზოში და ქათმებიც დასკდნენ მითი. ქათმებმა რა ქნინ? რა ესმით მაგ უბედურებს? ქათამზე სულელი ქვეყნიერებაზე არაფერია.

ამ აღმოჩენამ შეხის გავარდნასავით გააოცა გოსადა. უცბათ დაწყნარდა და ფიქრებმა წაიღო.

— შენ, მგონი, მართალს ამბობ, ჩემო კაცო! მართლა მაგან დაღუპა ეს ჩვენი ქათმები. დაიწვას ეგ წყეული! სოფლელების ქათმები არ წყდება. მე გიკითხე... არსად ქათმის ჭირის ხსენებაც არ არის. ეს მაგათ, შეაფთიაქეებმა გადმოყარეს საწამლავი, წყეული იყვნენ ეგენი... — კვლავ გაცეცხლდა გოსადა და ბრაზმორეულს თხელი ტუჩები ისევ გულურჯდა.

— მე ხომ გეუბნები! — უკვე ამაყად უთხრა მიკმიკმა. — შენ როგორ ფიქრობ, შარშან რისგან ზოგვიკვდა ინდაური? მაგათ მოწამლეს. შარშანწინ კი ბამალი ბოგვიკლეს.

ბიკმიკი ყველა უბედურებას, რაც მას უკანასკნელ წლებში შეემთხვა, ისე სულელურად აბრალებდა ახლა აფთიაქს, რომ გოსადამ გულმოსულად ჩაიქნია ხელი.

გოსადა იდგა, ნაღვლიანად უცქეროდა თავის მკვდარ ქათმებს, თავს აქნევდა და წუწუნებდა. შემდეგ აიღო ინინი და ეზოში გატანა უნდოდა, მაგრამ ამ დროს ფარდულში ისევ შემოვიდა აჩქარებული მიკმიკი, რომელსაც მარცხენა ხელში ერთი მკვდარი დედალი ეჭირა, ხოლო მარჯვენაში — ორი.

გოსადამ შეხედა ამ ახალ უბედურებას, ხელი გაუშვა მკვდარ ქათმებს, რომლებმაც ყრუდ მოადინეს ბრაგვანი მიწაზე.

— აბა, ესეც შენ, ათამდე ავიდა! — უთხრა მიკმიკმა და ფეხებთან დაუყარა სამი თვალებგაბოლთეთრებული ქათამი. — გეუბნებოდი: „მოდი, სასწრაფოდ დავკლათ, სანამ არ დახოცილან!“-თქო.

— ვაი ჩემი ცოდვა, აი უბედურება! ყველაფერი იღუპება! — დაიწყო მოთქმა აცრემლებულმა გოსადამ, — რა ვქნათ ახლა? მოდი, მოდი დავკლათ ნქარა!

ეზოში ალიაქოთი ატყდა. გოსადა იჭერდა ქათმებს და თითო-თითოდ მიკმიკს აწოდებდა, ის კი უდებდა მათ ხის ფორზე თავებს და ბლაგვი ნაჯახით ჭრიდა.

საწყალ მიკმიკს ბეჭმაც კი დაუწყო ტეხვა, როცა უკანასკნელ ქათამს თავი გააგდებინა და თქვა:

— აბა დათვალე! რამდენია?

გოსადა ჩაავლებდა ფრძელ გაძვალტყავებულ ხელს დაკლულ ქათამს ფეხებში და განზე ისროდა. მალე ფარდულში უთავო გასისხლიანებულ კისრებიანი ქათმების თეთრი გორაკი აღიმართა. როდესაც გოსადამ უთხრა, თუ რამდენი ქათამი დაეკლათ, მიკმიკი გახევდა და დაბნეულად აატრიალა ელამი თვალები.

— შენ კიდევ იტყვი რომ ეს უბედურება არ არის? ღმერთმა დაგვწყევლა და ყველაფერს გვიღუპავს. მთელი გეგმები ჩამეშალა... მე კი ვფიქრობდი: ქათმებს დავასუქებ, გავყიდი და გოქებს ვიყიდი-მეთქი. და აი ასეთი სიმდიდრე გაქრა! რამ-

დენი ხორბალი ჩახეთქეს ტყუილუბრალოდ! — გულისტკივილით ამბობდა მიკმიკი.

გოსადა კი სულ გატეხა დარდმა. იგი უხმოდ ტიროდა და ცრემლებს წინსაფრის კალთით იწმენდდა.

— არა, მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ! — განაგრძო მიკმიკმა — ვუჩიელებ იმ ეშმაკის კერძ აფთიაქს! გადავახდევინებ მაგათ ყველაფერს, ყველაფერს, ინდაურსაც, ქათმებსაც! ოღონდ გამოვარკვიო, რა მიზეზია? თუ ეს ჭირისგან არაა და მაგათი საწამლავისგანაა, მაგათ ვაჩვენებ სეირს!

— მე ხომ გეუბნები, წადი ჩქარა ექიმთან, ის ყველაფერს გეტყვის, — ტირილით წაილაპარაკა გოსადამ.

— რატომაც არა, წავალ, ახლავე წავალ! — და მიკმიკმა ხელი წამოაელო ოთხ მკვდარ ქათამს.

— სად მიგაქვს ამდენი! — შეაჩერა გოსადამ. — განა ერთი არ გეყოფა? თუ ერთი ჭირისაგან მოკვდა, მაშინ დანარჩენიც... რა საჭიროა ყველას თრევა!

— ეგეც მართალია! — დაეთანხმა მიკმიკი, ალო ხელში ჯოხი და ვეტერინარისკენ გასწია. მარცხენა ხელით მიაკონწიალებდა მკვდარ თეთრ ქათამს.

მიკმიკი არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ჭკუით და ენერგიით, მაგრამ საკმარისი იყო ვინმეს ეწყენინებია მისთვის, რომ იგი მოხერხებულ კაცად იქცეოდა და თავის დაცვაც იცოდა. ოცი წლის წინათ იგი კულაკების ბრმა მიმდევართა სიაში შეიტანეს, მიკმიკმა მიატოვა სახლი და ბუხარაში გაემგზავრა. იქ რას აკეთებდა? ვინ იცის. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაუბრუნდა ის მშობლიურ კუთხეს, მაგრამ სიფრთხილის მიზნით სხვა რაიონში დასახლდა პატარა ქალაქში, სადაც არავინ არ იცოდა მისი წარსული.

მისი ოჯახი პატარა იყო. ჰყავდა ცოლი და ქალიშვილი. ქალიშვილი თავისი ქმრით სხვა ქალაქში ცხოვრობდა და ოშვიათად ნახულობდა დედამამას, ალბათ იმიტომ, რომ მაინცდამაინც არ იყო განწყობილი მათდამი განსაკუთრებული სიყვარულით.

მიკმიკი თავდაპირველად წვრილ სპეკულაციას ეწეოდა, დაეთრეოდა ბაზრებში და სამი-ოთხი დღით სახლში არ მიდიოდა; ახლა ის უკვე მოტყდა, მოხუცდა და სასელექციო სადგურში მოეწყო დარაჯად. ეს პროფესია სრულიად შეეფერებოდა მის ასაკს და მის ზარმაც ბუნებას. ერთ დღე-ღამეს დარაჯობდა, იცავდა სადგურის ქონებას, ხოლო ორ დღე-ღამეს ისვენებდა, უვლიდა თავის ქათმებს.

ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მაგრამ ერთი რამ ღრუბლავდა მის ცხოვრებას: საზიარო ეზო ჰქონდა რაიონულ აფთიაქთან, და მიკმიკსა და აფთიაქის თანამშრომლებს შორის, როგორც მეტისმეტად ცუდ მეზობლებს ჩვეოდათ, იყო მუდმივი დავა. აფთიაქის თანამშრომლებს არ მოსწონდათ საღორის მეახე სუნი, რომელიც ეზოდან აფთიაქში მიდიოდა, მიკმიკსა და მის ცოლსაც არ მოსწონდათ, აფთიაქიდან მონაბერი სხვადასხვა წამლების მწვავე სურნელება.

მარტო ეს სუნი რომ ყოფილიყო, მიკმიკი შეურიგდებოდა სურნელოვან მეზობელს, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ აფთიაქის დამლაგებელი, მყეირალა დედაკაცი, ხან გამოგვიდა, ხან გადმოღვრიდა ეზოში თითქო საგანგებოდ შერჩეულ ისეთ მძაფრ შხამ-საწამლავებს, რომ მიკმიკი და გოსადა მაშინვე ცხვირზე ხელს წაიჭერდნენ, სულელი ქათმები კი ფრთების ფრთხიალით ესეოდნენ ამ საძაგლობას, სულერთია, რაც არ უნდა გადმოეგდოთ, ან გადმოესხათ. მისცა რაღა ღმერთმა მეზობელი!

ახლაც, ქუჩაში მიმავალ მიკმიკს, ღრმად სწამდა, რომ ქათმები სხვა არაფრით არ დახოცილან, თუ არა აფთიაქის ამ ნაყარნუყარითო.

ეს რწმენა სავსებით გამართლდა, როცა მიკმიკი ვეტექიმთან მივიდა და წინ თეთრი ქათამი დაუდო.

— აი ექიმო, ქათმები ყველა ერთად დაწყდა. პატიოსან სიტყვას ვამბობ, არც ერთი აღარ დარჩა! რა მოუვიდათ ამისთანა! რა ავადმყოფობა შეეყარათ?

ვეტექიმმა ყურადღებით გასინჯა ქათამი ყოველი მხრიდან და უთხრა:

— არაფრით არაა ავად, სრულიად ჯანსაღი ქათამია. იქნებ შეკამა რამე? დატოვე, გამოვიკვლევთ.

— აბა, სწორედ მეც ასე ვფიქრობდი! — გაეხარდა მიკმიკს, თან ფიქრობდა: „ე, დავუტოვო, მერე ვერც ბუმბულს, ვერც ფრთას ვეღარ მიიღებ! ყველაფერი დაიკარგება!“ — განა ისეთი რა არის გამოსარკვევი? რაკი ავადმყოფობა არაა, სალაპარა-

კოც აქ არაფერია. მხოლოდ მომეცით ისეთი ქალალდი, რომელიც დაადასტურებს, რომ ჩემს ქათმებს არაფერი ავადმყოფობა არ ჰქონიათ. მორჩა და გათავდა.

ექიმმა უსიტყვოდ დაუწერა ცნობა, რომ მოქალაქე ბათაგუთის ქათმებს არ აღმოაჩნდათ არავითარი დაავადებაო და მიკმიკს გაუწოდა.

მეტი რაღა უნდოდა მიკმიკს? აიღო თავისი ქათამი და სახლისაკენ გაეშურა. ახლა მას საბუთი აქვს. ახლა შეიელის ერთ კაცთან, რომელიც გაუშანშალებს განცხადებას სახალხო სასამართლოში, იმის შესახებ, რომ აფთიაქის გამგე ქალმა სალიმათმა ფარული ნტრობის გამო მოწამლა ყველა მისი ქათამი.

მიკმიკი ასეც ვოიქცა, შეიარა „კაცთან", სალიმის დაბრუნდა სახლში და ქალალდების ფრიალით მრისხანედ შეუყვირა თავის მოხუცებულს:

— აი ხედავ? მე მაგათ ეუჩვენებ ახლა!

მეორე დღეს კოხტად მიაკერა თავის განცხადებას ექიმის ცნობა და წაიღო სახალხო სასამართლოში.

ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს აფთიაქარმა სალიმათმა მოწამლა მიკმიკის ყველა ქათამი, მალე მოედო მთელ დაბას და სასამართლოში საქმის გარჩევის დღეს, სხდომის დარბაზში თავი მოიყარა ბრავალმა ცნობისმოყვარემ.

მიკმიკი კმაყოფილი იყო: რაც მეტი ხალხია, მით უფრო ბრწყინვალე იქნება მისი ზეიმი. მიკმიკი იჯდა და უსმენდა, თუ როგორ დაკითხავდა მოსამართლე ერთადერთ მოწმეს, მიკმიკის მეზობელს, ნინას.

— აბა, რა. შეგიძლიათ თქვათ ამ საქმის შესახებ?

წინა დაწვრილებით მოყვა რაც თავის თვალით ეწახა: ერთხელ სალამოთი როცა გოსადასთან შეიიდა, სწორედ ამ დროს აფთიაქის დამლაგებელი გამოვიდა პარმაღზე ვედროთი და ეზოში გადმოღვარა რაღაც წითელი წყალი, მთელი ეზოს ქათმები მაშინვე მიესიენ ამ წყალს.

— ასე... თქვენ მართლა გადმოღვარეთ მაშინ ეს თი ვედრო წითელი წყალი, — ჰკითხა მოსამართლემ დამლაგებელს, რომელიც ნინას გვერდით იჯდა.

— აბა, გადმოვღვარე. მერე რა მოხდა, ნარეცხი იყო და ნარეცხი. არავითარი საწამლავი არ ყოფილა. — უხეშად უპასუხა დამლაგებელმა.

— ესე იგი, როგორ თუ არავითარი საწამლავი? ქათმები რითლა დაიხოცნენ? ისინი ხომ ამ წყალს მიესიენენ, როგორც ამას მოწმე ამბობს, ან იქნებ მართალს არ ამბობს ის?

— მართალს კი ამბობს, მხოლოდ არაფერი ისეთი ვედროში არ იყო.

— მაშ რატომ იყო წითელი ნარეცხი?

— ეს ნუ ნაწამლარი ქილები გავავლე წყალში და იმიტომ გაწითლდა.

— ასე... თქვენ გაავლეთ ნაწამლარი ქილები წყალში და ნარეცხი გაწითლდა. როდის იყო ეს?

— სწორედ ერთი კვირის წინ აღდგომამდე.

— თქვენი ქათმები როდის დაიხოცნენ? — უცბათ, თვალმოუშორებლად ჰკითხა მოსამართლემ მიკმიკს.

მიკმიკი წამოხტა, თან ხელში თავის ქუდს ატრიალებდა:

— მაშინ ექვსი დღე აკლდა აღდგომას. — უპასუხა მან.

— კარგი! დაბრძანდით! — უთხრა მოსამართლემ.

მიკმიკი დაჯდა. ის მეტად კმაყოფილი იყო მოსამართლის დაკითხვით და ეშვი არ ეპარებოდა, რომ სასამართლო აიძულებდა სალიმათს გადაეხადა მიკმიკისათვის ყველა ქათმის საფასური.

— თქვენ რაიმეს თქმა გინდათ? — მიუბრუნდა მოსამართლე აფთიაქის მმართველ ქალს სალიმათს.

— მინდა. — თქვა სალიმათმა და ფეხზე ადგა.

— კარგი... ილაპარაკეთ, მხოლოდ აღარ გაიმეოროთ ის რაც ჩვენთვის უკვე ნაცნობია.

და მოსამართლე მიუბრუნდა მსაჯულს, რომელიც მის გვერდით იჯდა და რაღაცას უჩურჩულებდა.

— არც ჩემს თავს, არც აფთიაქის დამლაგებელს ამ საქმეში დამნაშავედ არ ვცნობ, მოქალაქე მსაჯულებო, იმიტომ, რომ ჩვენთან არ შეიძლება რაიმე მომწამლავი ნივთიერება ჩავარდეს დამლაგებლის ხელში. ყველა მინერალი და მცენარეულობა, რომლისაგანაც ჩვენ წამლებს ვაკეთებთ, ინახება რკინის კარადებში და მათი გასაღებები ყოველთვის მე მაქვს. მე ჩემს თანამშრომლებსაც კი არ ვანდობ მათ. — თქვა სალიმათმა, ჯიბიდან გასა-

ღებების შეკვრა ამოიღო და მოსამართლეს და მსაჯულებსაც უჩვენა. — ჩვენ არა მარტო შხამებს, არამედ ყველა წამლებს, თუ ახლოს ფარმაცევტი არაა, ყუთებში ვკეტავთ. ქილაში, რომელზედაც დამლაგებელი ლაპარაკობდა, იყო სრულიად უვნებელი მანგანუმის კალიუმი და იმან შეღება ნარეცხი. ამისგან არ შეიძლებოდა დახოცილიყვნენ მიკმიკის ქათმები.

— მაშ რისგან დაიხოცნენ, თქვენის აზრით, ისინი? — ჰკითხა ღიმილით მოსამართლემ.

— რისგან დაიხოცნენ? არ ვიცი. ალბათ რაიმე ავადმყოფობისაგან. — უპასუხა სალიმათმა.

— ავადმყოფობისაგან?—კვლავ გაიღიმა მოსამართლემ და ექიმის ცნობა აატრიალა, — აი, ექიმი ადასტურებს, რომ არავითარი ავადმყოფობა ქათმებს არ აღმოაჩნდათ. — მოსამართლემ მის გვერდით მსხდომ ხან ერთს, ხან მეორე მსაჯულს რიგრიგობით გადახედა.

— შეიძლება. — უთხრა შეცბუნებულმა სალიმათმა.

— შეიძლება თქვენ ეპვი გეპარებათ ამ საბუთის სისწორეში? იქნებ, თქვენის აზრით, ექიმი ცდება?

— რასაკვირველია, ყოველი ადამიანი შეიძლება შეცდეს... მაგრამ საოცარია, რას შეეძლო ისინი დაეხოცა, თუ მათ არაფერი სჭირდათ, ანდა თუ არავინ არ დააშავა ისინი?

— დიახ, უმიზეზო სიკვდილი არ შეიძლება... საწამლავი ხომ შეიძლება იყოს ამის მიზეზი.

და მოსამართლემ ღიმილით კვლავ გადახედა მსაჯულებს.

— კიდევ ერთხელ გეუბნებით: აფთიაქის თანამშრომლები ამაში დამნაშავენი არ არიან. ჩვენ როგორ შეგვიძლია ეზოში საწამლავი დაღვაროთ, როდესაც მოსახლეობაში თვითონ ვეწევით პროპაგანდას, რომ რაც შეიძლება შორს გაიტანონ სახლიდან ნაყარნუყარი, რომელიც შეიძლება დაავადების კერად იქცეს. — უკვე ბაგულისებით უთხრა სალიმათმა.

— კი, მაგრამ თქვენმა დამლაგებელმა თქვა, რომ მან ვედროში გარეცხა წამლიანი ქილა, რის გამოც ნარეცხი წყალი გაწითლდა. შემდეგ მან ეს წყალი ეზოში გადმოღვარა. რითი დამიმტკიცებთ თქვენ, რომ ეს საწამლავი არ იყო?

— მე უკვე გითხარით, რომ ეს უვნებელი მანგანუმის ხსნარი იყო, — მკვახედ უპასუხა სალიმათმა, — და თუ არ გჯერათ, მე გთხოვთ გამოიძახოთ ექსპერტი. ის დაამოწმებს ჩემი ჩვენების სისწორეს.

— ჩვენ საიდან უნდა გამოვუძახოთ მას? — ჰკითხა მოსამართლემ და კვლავ მსაჯულებს შეხედა.

— ეს ძნელი არ არის... სასელექციო სადგური გვერდითაა. იქ სწავლული ხალხია, რომლებიც შხამებზე მუშაობენ. ისინი გეტყვიან თუ რა წითელი წყალი იყო ვედროში.

მოსამართლემ ითათბირა მსაჯულებთან და მერე თქვა:

— ვაცხადებ შესვენებას ერთი საათით. ჩვენ დავაკმაყოფილებთ აფთიაქის მმართველის თხოვნას და მოვიწვევთ სასელექციო სადგურიდან ექსპერტს. ჯერჯერობით კი სხდომას დახურულად ვთვლი.

ხალხი წამოდგა და სხდომის დარბაზიდან ხმაურით მიაშურა დერეფანსა და ქუჩას.

ერთი საათის შემდეგ სასამართლო კვლავ შეუდგა საქმიანობას.

— რას იტყვის სასელექციო სადგურის წარმომადგენელი ამ საქმის შესახებ? — ჰკითხა მოსამართლემ და წამოიწია.

— მე გავეცანი საქმეს, — სთქვა ექსპერტმა — და მოვამზადე პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც მომცეს სასამართლოს წევრებმა.

— მაშ მოახსენეთ სასამართლოს.

— მე გამოვარკვიე შეძლებისამებრ, რომ იმ წითელ წყალს, რომელიც აფთიაქის დამლაგებელმა ეზოში გადაღვარა, ქათმები არ შეეძლო დაეხოცა. კიდევაც რომ დაელიათ მათ ის წყალი, მხოლოდ სარგებლობას თუ მოუტანდა, მეტს არაფერს. მანგანუმის სუსტი ხსნარი სრულიად უვნებელია.

— თქვენ ამაში დარწმუნებული ხართ? — მკაცრად ჰკითხა მოსამართლემ, რომელსაც ორც თუ ისე მოეწონა ექსპერტის განცხადება.

— დიახ, სრულიად დარწმუნებული.

— მაშ რისგან დაწყდა ქათმები? — ჰკითხა გამხდარმა მსაჯულმა.

— ამაზე მე შემიძლია მხოლოდ ერთი პასუხი მოგახსენოთ: არ ვიცი.

— ასე როგორ იქნება! — უცბათ გულმოსუ-

ლად თვეირა მიკმიკმა — მე რა, თვითონ დავხოცე ისინი, თუ რა?

— დაწყნარდი მიკმიკ! შენ სასამართლოში ზიხარ და წესიერად მოიქეცი! — უთხრა მოსამართლემ და ზარი გააწკარუნა. შემდეგ აიღო ცნობა და ექსპერტს აჩვენა.

— აი, ექიმი ადასტურებს, რომ ქათმებს არ აღმოაჩნდათ არავითარი დაავადება. თქვენის აზრით, რისგან შეიძლებოდა ისინი დახოცილიყვნენ? ხომ იყო რაღაც მიზეზი? იქნებ თქვათ, რომ შიშილისაგან დაიხოცნენ... მაგრამ მიკმიკი ამბობს, რომ რჩეული მარცვლეულით კვებავდა მათ.

ექსპერტი ჩაფიქრდა და მერე იკითხა:

— შეიძლება შეეკითხო მიკმიკ ბათაგთს?

— ინებეთ.

— მითხარი, მიკმიკ, რომელ მარცვლეულს აქმევ შენს ქათმებს?

— როგორ თუ რომელს? — გაბრაზდა უცბად მიკმიკი, — რჩეულ მარცვლეულსა და წყალს. სხვას რას?

— შენ ნუ ჯავრობ, ძვირფასო! მე მხოლოდ გეკითხები, რომელი მარცვლეულით კვებავ — ქერით, შვრიით, პურით თუ სიმინდით?

— ყველაზე რჩეული სიმინდით! — ყვიროდა თვალების ბრეცვით მიკმიკი.

— არ შეიძლება ის სიმინდი ენახოთ? — უთხრა ექსპერტმა და მოსამართლეს სწრაფად გადახედა.

— რატომ არ შეიძლება? შეიძლება, თან მაქვს წამოღებული. ვიცოდი, რომ ასეთ შეკითხვას მომცემდენ. აჰა, შეხედეთ!

მიკმიკმა სწრაფად ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო მუჭით მსხვილი ოქროსფერი მარცვლები და მოსამართლის წინ, მაგიდაზე დაყარა.

— შეხედე ყამბოლათ! შენ ხომ მაინც იცი სიმინდის ცნობა. — მიკმიკი კარგად იცნობდა ყამბოლათს. ისინი ერთად მუშაობდნენ სასელექციო სადგურში. — აი, რას ვაკმევდი მე მათ! თვითონ არ ვჭამდი და იმათ ვაკმევდი. სამი ტომარა ასეთი სიმინდი შევაკავე და დაიხოცნენ. ეს ხომ ზარალია. სიმინდის ფულიც უნდა გადავახდევინოთ აფთიაქის მმართველს.

ექსპერტი მაგიდასთან მიეიდა, სიმინდს დააკვირდა, მერე ერთი მარცვალი აიღო, პირში ჩაიგდო და გაკვნიტა, დაღეჭა, ხელისგულზე გადმოაფურთხა, უყნოსა და თავი გადააქნია:

— ჰო, ძვირფასო, დიდი ზარალია, მხოლოდ შენთვის კი არა, სახელმწიფოსთვის. მამის სულს გეფიცებით, ეს სიმინდი ჩვენი სათესლე ფონდიდანაა. ჩვენ ის მოვწამლეთ, რომ მავნე მწერებიდან დაგვეცვა. ახლა კი ცხადია, რატომ დაიხოცნენ ქათმები. თვითონ მიკმიკმა მოწამლა ისინი. სიმინდი კი მოიპარა სასელექციო სადგურიდან. მე კიდევაც მიკვირდა, რატომ კლებულობდა ეს ჩვენი სათესლე სიმინდი! სულ კლებულობდა და კლებულობდა.

მოსამართლემ და მსაჯულებმაც მრისხანე თვალებით გადახედეს მიკმიკს. სხდომის დარბაზი აფორიაქებულ სკასავით ბუზუნებდა.

გაისმა ყვირილი:

— ქურდი! ქურდი!

— მაგ თვითონ უნდა გაასამართლოთ!

— პასუხისგებაში მიეცით ასეთი დარაჯი!..

მოსამართლე ადგა, ხელი ასწია, რომ აღშფოთებული ხალხი დაემშვიდებია და თქვა:

— ნუ ღელავთ, მოქალაქენო! სახელმწიფო ქონების გატაცებისთვის უსათუოდ და სასტიკად დავსჯით.

მიკმიკს ფეხები აუკანკალდა, მოიბუზა, დაჯდა და თავი ისე ჩაქინდრა, თითქოს მეხი დაცემოდეს.



სოხირიყო ბრიკათი

წმინდა ხე

მოთხრობა

ბოი, რამდენი რამ იფიქრა ამ ორი დღის მანძილზე მოხუცმა საულაგმა! ოთხმოცდაათი წელი — თითქმის საუკუნე დადიოდა ამ ქვეყანაზე. და ყველაფერმა განელილმა, უმნიშვნელო მოვლენებმაც კი ბთიდან მომსკდარი ზვავივით ჩაიქროლეს თვალწინ...

უცნაურია, მაგრამ შორეული ბავშვობის წლებიც კი ცოცხლად აღსდგა და უფრო ძლიერადაც, ვიდრე სხვები...

აი მოაგონდა საულაგს თავისი მამა — ჯიორჯი, დაე, იყოს საუკუნოდ ხსენება მისი, მაღალი და შავგრემანი, ჩერქეზული ჩოხით, მკერდზე მასრებით და წელზე შავქარქაშიანი ხანჯლით. ის იყო დაბრუნდა რუსეთ-თურქეთის ომიდან, „დონაადან"[1], როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე სოფლელები. ლოყაზე ირიბად ემჩნეოდა ნაწიბური, სწორედ თვალს ქვემოთ. — თურქთა ხმლის ნაკვალევი.

ყველა თანასოფელი მათს სახლში შეკრებილიყო.

სიხარულით ულოცავდნენ ჯილდოებსა და ბედნიერად დაბრუნებას, ხელს ართმევდნენ და ზოგნი ეხვეოდნენ კიდეც. ხელით უსინჯავდნენ მკერდზე ჩამწკრივებულ და მოწკარუნე ჯვარ-მედლებს.

ხოლო, როდესაც ნახევრად ბნელ ოთახში უმცროს-უფროსობით დალაგდნენ სუფრის გარშემო, გულუხვი მასპინძლობა გაიმართა ამ იშვიათი შემთხვევის გამო.

მაშინ პატარა საულაგსაც უმასპინძლდებოდნენ უგემრიელესი ხორცის ნაჭრებით, როგორიც ჯერ არ ეგუმნა თავის სიცოცხლეში, ყურში საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდნენ და მათ ღიტინზე უდარდელად კისკისებდა... გაღიმა მოხუც საულაგს.

ბავშვის ტირილმა გამოაფხიზლა და სინამდვილეს დაუბრუნდა. გაქრა შორეული, ტკბილი ბალღობის სურათები.

დამნაშავესავით შეხედა საულაგმა სხვა მოხუცებს, რომელნიც ჭოშორებით ქალებსა და ბავშვებში ჩამსხდარიყვნენ და ზურგით უზარმაზარ წიფლის ხეს მიყრდნობოდნენ.

ამ ტიტველ გორაზე ეს ერთადერთი ხე მოჩანდა გამყინავი ქარისაგან მოსაფარებლად.

ჩაქრა საულაგის მზერა, ქვაზე ჩამომჯდარმა ფაფახი თვალებამდე ჩამოიფხატა და გაინაბა.

ახლა 1905 წელი გაიხსენა საულაგმა. მაშინ ვლადიკავკაზში ამოსთხარეს ცალი თვალი პოლიციელებმა აწ განსვენებულ მის ძმას...

შური იძიეს...

მისმა ძმამ და ორმა ამხანაგმა დაიჭირეს პოლიციელი, წაართვეს რევოლვერი და პირდაპირ ოერგში გადაუძახეს ქალაქის ბაღს ქვემოთ.

[1] დონი — დუნი.

პირველი მსოფლიო ომის დროს საულაგი და მისი ვაჟი, ახსარი, რუსის ჯარს ეხმარებოდნენ. თანასოფლელებთან ერთად, შემტევი ნაწილების შემდეგ ის შეეიდა სარაყამისში თავისი ფურგონით.

მართალია, ბრძოლაში პირდაპირ არ ჩაბმულა, მაგრამ მან და ცარგასმა მაინც მიიღეს თითო ჭრილობა.

შემდეგ ოსეთში დაბრუნებულებმა მოაწყვეს მხიარული ღრეობა, ისევ იმ გაქვარტლულსა და ნახევრად ბნელ ოთახში.

ოთახი მიწებებული იყო ძველისძველი ციხის ბალავარს. საცხოვრებლად ცივი და მღვიმესავით ბნელი იყო.

შუაცეცხლის თავზე მუდამ ეკიდა საუკუნეთა მანძილზე ჭვარტლით დაფარული მომპაპური წმინდა ჯაჭვი[1], რომელზედაც ვეება ქვაბი ეკიდა.

შაე ბოძებს ეყრდნობოდა შავი ჭერი და ბრტყელი სახურავი. ხოლო დაუთვლელი ნაჩვრეტებიდან შემოვარდნილ ქარს კუთხიდან კუთხეში გადაჰქონდა კერიდან ბოლქვებად ავარდნილი კვამლი, ზოგჯერ ძირს აკრავდა და მერე ისევ აჰქონდა საკვამურში. ჭვარტლავდა ფილტვებს, უჭერდა გულმკერდს და ცრემლი სდიოდა გამომწვარ თვალებს.

ზამთარში უფრო ძლიერ უბერავდა ქარი. თოვლის ფიფქები შემოჰქონდა ოთახში, წვრილი სალამურივით უსტვენდა კედლის ნაჩვრეტებში და მგელივით ყმუოდა საკვამურებში. გამთოშავი ყინვა აიძულებდა ხალხს, ახლოს მისჯდომოდა ცეცხლს, სადაც მხიარულად შიშინებდა და იკვამლებოდა ნედლი შეშა.

იმ საშინელ დროსაც კი ირავის გამოუგდია მოხუცი საულაგი თავისი ბინიდან, ისე; როგორც ახლა... მხეცები! პირუტყვები! ძალიან უჭირდა ძველად ცხოვრება საულაგს, მაგრამ ირავის დაუძახნია მისთვის „ძაღლი", ამ დამპყრობლებს კი ირაფრად ულირთ ადამიანის ღირსება და შეურაცხყოფენ მას. აგრეთვე არ ეღირსებიან ხვალინდელ დღეს!

საულაგმა თავი ასწია და სიბრაზით დააკვესა ხშირ წარბებში ღრმად ჩამჯდარი, ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე ყავისფერი თვალები. წარბებში ჭაღარა გარეოდა, ხოლო ბაბის ქულასავით ფუმფულა და თეთრი წვერი მკერდზე დაჰფენოდა.

აუტანელი სულიერი ტკივილისაგან დაიკვნესა მოხუცმა.

თერამეტ წელში, და საერთოდ, მთელი სამოქალაქო ომის განმავლობაში, უჭირდათ, ჰოი როგორ უჭირდათ ცხოვრება შშრომელ ხალხსა და ნამეტნავად მთიელებს.

ირგელივ მძვინვარებდა:

მტერი!

შიშშილი!

სიშიშვლე!

სიცივე!

ტიფი!..

და მაშინდელი უმძიმესი წუთების შედარებაც კი არ შეიძლება დღევანდელ შავბნელ დღეებთან, ფაშისტთა შეუბრალებელი თავდასხმის დღეებთან...

ბედნიერი დღეებიც გაახსენდა, — დღეები ბარში მთიელების გადმოსახლებისა.

შუა ზაფხული იყო მაშინ და ხალხი სიხარულით გასცქეროდა მსუყე მინდვრებზე აფეთქებულ ლორთქო ბალახებს, ტანკენარ ბაბუკთა და კაკლის ხის ჭალებს. ერთურთზე გადახვეულ ასკილსა და მოცხარს. ხალიჩასავით მოექარგა მთელი მინდორი ნაირ-ნაირ ყვავილებს და მისი დამათრობელი სურნელი ჰაერში გამდგარიყო.

სიხარულით ავსებდა სულსა და გულს ეს სანახაობა იმ კუშტ და ულიმღამო ქვებში ჩაქედილ ხეობებს შემდეგ. სხვათა ბაგეთა მსგავსად შეირხა მაშინ საულაგის ბაგენიც და ალმოხდა:

— მადლობა ლენინს!

და სწორედ ამ კაცის წინადადებით ვიწრო-ვიწრო ხეობებიდან და შიშველ მთებიდან ამ დალოცვილ ველზე გადმოსახლდნენ მთიელები.

„მიეცით ეს მიწა, დიდხანს იტანჯნენ ისინი უმიწობით" — თქვა ლენინმა და მიწასთან ერთად ხალხმა მიიღო:

სითბო!

ალერსი!

თავისუფლება!..

დაე საუკუნოდ იყოს ხსენება ლენინის სახელისა!

იცოცხლოს, სანამდე მზე დაპლიმის ლამაზ ჭალებსა და წმინდა წყაროებს. სანამდე მთებიდან მოედინებიან ირიბნაპრალება ხეობები, სანამდე

[1] ძველად ოსეთში ასეთი ჯაჭვები წმინდად თვლებოდა.

იბიბინებს მწვანე ბალახი ჭრელ-ჭრელ ტრამალზე... აი, ეს წიფლის ხე, რომელთანაც ფუტკრის ნაყარიეთ მიმსხდარან ქარისაგან მოსაფარებლად ქალები და ბავშვები, მაშინაც აქ იდგა, ოცი წლის წინათ.

თითქოს გუშინ იყო.

როგორც კი გადმოსახლდნენ ველზე, მოხუცებმა წესისამებრ მოძებნეს ადგილი, სადაც ხალხი დაისვენებდა და ლრეობებს მოაწყობდა.

ასეთი ადგილები ყოველ სოფელში იყო და წმინდად ითელებოდა.

სხვა საპატიო მოხუცებთან ერთად, საულაგიც ძლივს მიიკვლევდა გზას კაკლის ხის ჭალაში, მაყვლისა და მოცხარის ბუჩქნარში საბჯენი ჯოხით.

და იყვნენ გაოცებულნი მხარის სიმდიდრით.

მოვიდნენ კიდეც სწორედ აი, ამ გორაკამდის.

ხეობის უფსკრულიდან ოდნავ მოშორებით, სწორი მოედნის შუა იდგა უზარმაზარი და ლამაზი წიფლის ხე, რომელსაც ამალასავით შემოხვეოდა მშვენიერ ხეთა კორომი.

მოხუცებმა ეიწრო ხეობით მიაღწიეს ამ გორაკამდის (ტყის ნაპირის გაყოლებით, სადაც ახლა გერმანელებმა სანგრები გათხარეს), შემდეგ კი ირიბად ამოვიდნენ ამ გორაკზე, ამ სწორსა და ფართო მოედანზე.

მათ შორის უხუცესმა — უარიკანმა შეხედა და თქვა:

— ჩემი აზრით, ეს ყველაზე კარგი ხეა, რომელიც მე შემხვედრია ჩემს ცხოვრებაში. დაე ეს იყოს და აქვე მოვაწყოთ წმინდა ადგილიც.

ყველა დაეთანხმა.

ადგილი ლამაზი იყო და არც შორს იყო სოფლიდან.

ხოლო ეს გორაკი მათ მოაგონებდათ მიტოვებულ მთებს.

აქედან იშლებოდა ულამაზესი სანახაობა.

ძაუჯიყაუდან მოყოლებული ელხოტოვის კარამდის.

ხე!

მას შეიძლება დაუსრულებლად ესიყვარულო.

ძირს ხუთი-ექვსი ეაკაკი ძლივს შემოპხვევს ხელს.

კენწეროზე მზის სხივები ციალებენ.

ხოლო ტოტები ყოველი მხრიდან მიისწრაფვიან ერთმანეთისაკენ და ქმნიან დიდ კარავს, რომლის ჩრდილქვეშაც, ზაფხულის ცხელ დღეებში, მთებიდან მობერილი ცელქი ნიავი შვებას მოჰგვრის დაღლილ ადამიანებს.

ხის სკამების მაგიერ, მთის ჩვეულებათა მიხედვით, მწკრივად დააწყვეს ქვის დიდი ლოდები.

უარიკანის სიკვდილის შემდეგ უხუცესად საულაგი დარჩა სოფელში.

ლრეობის დროს დაბრძანდებოდა ხოლმე თვი ამ ქვაზე.

წიფელთან გროვდებოდნენ სოფლელები ქვეყნის ამბებზე სასაუბროდ და აქვე ნიშნავდნენ ხოლმე ველზე სათიბად გასვლის დღეს. და ეს გრძელდებოდა მანამდე, სანამ სოფელში კოლმეურნეობა შეიქმნებოდა და გამგეობა იზრუნებდა ამაზე.

ამაყად გასცქეროდნენ კოლმეურნენი ამ გორაკიდან მათი ნაამაგარით სავსე ველ-მინდვრებს, ბაღჩა-ბაღებსა და ახალ შენობებს: ფერშებს, კლუბს, ბავშვთა ბაგას, აგურის ქარხანას.

და ხორიგაუს კოლმეურნეობა ზაფხულობით ფერად ხალიჩას წააგავდა ხილის ბაღებში ჩაფლული...

ისიც ახსოვს მოხუც საულაგს, თუ როგორ დაბრუნდა სამოქალაქო ომიდან მისი ვაჟი ცარგასი თავის ამხანაგ ინალთან ერთად. დაბრუნების აღსანიშნავად მან „წმინდა ადგილზე" ქვის ნიშში დადგა ფერადი ჭიქა.

— დაე, ჩვენმა მოხუცებმა ამ ჭიქით დალიონ ლუდი, — თქვა ცარგასმა.

ინალმა იქვე, გვერდით, ვერცხლის თასი მოუდგა.

გამბედავი იყო ცარგასი. დენიკინელ ბანდიტებთან ბრძოლაში დაიღუპა იგი. დაე, საუკუნო იყოს ხსენება მისი.

და სხვა მრავალი საჩუქარი ეწყო იქ: ვერცხლის კათხები და თასები, ფაიფურის ლანგრები, ბროლის ჭიქები, უამრავი ყანწები, სადა, ვერცხლით შეკედილი და მათ შორის უდიდესი ჯიხვის რქა, მოლრეცილი დაუდის, ძველი მონადირის ნაანდერძევი.

არავინ ეხებოდა მათ.

და აი, შემოცვივდნენ ეს მხეცები — წყეული იყვნენ უკუნითი უკუნისამდე... ჯერ გაძარცვეს: დააცარიელეს ზანდუკები და კარადები, მერე კი უწმაწური გინებითა და კონდახებით გამოყარეს ბინებიდან ქალები, ბავშვები, მოხუცები. მეორე

დღეს უსირცხვილოდ მისცვივდნენ „წმინდა ადგილს“ და შებილწეს. არ მოერიდათ აქ მოგროვილი ხალხისა, ცემა-ტყეპით მიყარ-მოყარეს აქეთ-იქით დიდი-პატარა და ყველაფერი წაიღეს, რაც ნიშში იყო შენახული და მოგროვილი.

სიხარბისაგან ერთმანეთიც აღარ დაუნდვიათ ფაშისტებს: ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ განძეულობას, ხის ტოტებიდან ჩამოგლეჯილი თეთრი ტილო ნალიანი ჩექმებით გათელეს ფეხქვეშ, სადღესასწაულო მწვადებისათვის მომზადებული შამფურები მიფანტ-მოფანტეს და ქვის ნიში დაანგრიეს...

ყველაფერი წაიღეს და მათ შორის ცარგასის სამახსოვრო ფერადი ქოქაც.

და განა შეეძლო მოეთმინა საულაგს ასეთი დამცირება? განა უარიკანის სიკვდილის შემდეგ, როგორც ყველაზე უხუცესს, ამ ადგილის მოვლა-პატრონობა მას არ ჩააბარეს თანასოფლელებმა?

რას შვრებით? — წამოხტა მაშინ ადგილიდან საულაგი და დაიყვირა — რას სჩადიხართ? ადამიანები ხართ, თუ მხეცები? — და ხელების ქნევით მათკენ წავიდა.

მაშინ ერთმა მძარცველთაგანმა რაღაც გამოსცარა კბილებში, ნაძარცვი ჯარისკაცს გადასცა და თვითონ ავტომატის ლულა მიმართა მისკენ.

საულაგი არც კი შერხეულა, მხოლოდ ბოლმითა და ბრაზით შესცქეროდა მათ.

ახმაურდნენ შეშინებული ქალები და ფაშისტმაც ზურგში კონდახის კვრა აკმარა.

— ძაღლო! — გველივით წაისისინა მან, — დას შვაინ! მოშორდეს იქით!

ყველაფერი ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ ხორიკაულებმა გონზე მოსვლაც ვერ მოასწრეს, და იქნებ უკეთესიც იყო — ვინ იცის, უბედურება დატრიალებულიყო.

წავიდნენ ოკუპანტები და თან წაიღეს ნაძარცვიც.

სჯობდა მოვეკალი იმ ძაღლთაპირებს, ვიდრე ასეთი შეურაცხყოფა ამეტანა, — აუწერელი ტანჯვითა და სიმწრით იმეორებდა საულაგი. ნანობდა, ოჰ, როგორ ნანობდა, რომ თავისი მძიმე შვინდის ჯოხით არ გაუპო თავი იმ თაიხედს; თუმცა ქალები სიყვარულით უწყობდნენ საჭმელს ძირს გაფენილ გაზეთ „რასთძინად“ [1]-ის ძველ ნომერზე, მაინც საულაგი არ შეხებია მას.

ერთი ყანწი ღვინო მაინც შესვი, გაგათბობს, — ეხვეწებოდნენ მოხუცები.

მაგრამ შეუვალი იყო საულაგი. ასეთი წყენის შემდეგ როგორ მიიღებს იგი საჭმელს. და განა საქმე მარტო წყენაშია? ხალხი საშინელ უბედურებაშია; მშობლიურ მიწაზე უცხო ტომი დაძრწის.

ჰოი, რამდენი მხეცი უნახავს საულაგს, როდესაც მოღრეცილ დაუდთან ერთად ნადირობდა მთებში, ყველა ნადირი გაიხსენა, მაგრამ აქედან მხოლოდ მგელი შეადარა ოკუპანტებს — ისიც მშიერი და ცოფიანი

— რად მინდა ჭამა, როცა გული მიკვნესის? — წუხდა საულაგი, უფრო ძირს ხრიდა თავსა და თოვლივით თეთრ წვერს მკერდზე იფენდა, — რად მინდა ჭამა, როდესაც მთებში გახიზნული დუდარიც ალბათ, შიმშილობს?

გრძნობდნენ სხვა მოხუცებიც, რომ საულაგს სულში ჯოჯოხეთი უტრიალებდა და ისინიც სევდიანად სდუმდნენ.

დიდი ხანია, რაც „წმინდა ადგილის“ ირგვლივ ბუჩქიც არ ხარობს, არც მაყვალი და მოცხარი იცინის შავი თვალებით. სამაგიეროდ ველი იძლევა უდიდეს ნაყოფს. მარშან საულაგის შვილიშვილმა, დუდარმა, თავის ნაკვეთზე ასეთი სიმინდი მოიყვანა, რომ თითო ღეროზე ოთხი-ხუთი ტარო მოტეხეს. სიმინდი კი არა, გაუვალი ტყე ეგონებოდა იმის დამნახავს.

ახლა კი აღარც დუდარია სოფელში: სხვა კოლმეურნეებთან ერთად, რომელთაც იარაღის ტარება შეუძლიათ, ტყეში წავიდა პარტიზანად.

„უკეთესია, რომ ის აქ არ არის — ფიქრობდა საულაგი — ერთმა ღმერთმა იცის, რა ელოდა მას ამ უწმინდურთაგან... მისთვის, მოხუცისათვის, სიკვდილი არაფერია, უკვე დროა არი ამ ქვეყნიდან წასვლისა“.

დღემდე არ უფიქრია მას სიკვდილზე. შეიძლება იმიტომ, რომ ველზე გადმოსახლების შემდეგ კარგი ცხოვრება ჰქონდა. არც მეზობლებს უჭირდათ. კიდევ იმიტომ, რომ გული თავისუფლად და სიხარულით ძგერდა. ყველა სიყვარულით უწოდებდა მას „ბაბუს“, უთმობდნენ გზას, საუკეთე-

[1] „რასთძინად“ — ოსური გაზეთი. სიტყვა-სიტყვით „სიმართლე“.

სო ადგილას სვამდნენ, ხორცის უგემრიელეს ნაჭრებს მას თავაზობდნენ და საპატიო კათხით ახსენებდნენ.

შარშან შვილიშვილმა დუდარმა ახალი კბილებიც კი ჩაუსვა:

— დაისვენე, დალიე, ქამე, ბაბუ, საკმარისი იშრომე შენს სიცოცხლეში...

სხვა აზრებიც უტრიალებდა მოხუცს გონებაში.

„შეიძლება უკანასკნელ ხანებში ბედნიერად მიტომ ვცხოვრობდით, რომ მწამდა ჩვენი სოფლის მფარველის ყოვლის შემძლეობა და ამდენ ხანს სიყვარულით ვუელიდი წმინდა ხეს? განა ბევრნი ვართ დარჩენილნი მოხუცებიდან ძველის მიმდევარნი? — მე, ძარახი და ხაბო. ჩვენ თუ არა, სხვა არავინ მოვიდოდა აქ სალოცავად. მართალია, ხალხი შეეჩვია ამ გორაკზე ამოსვლას, მაგრამ ისინი დასასვენებლად და სადღესასწაულოდ ამოდიან აქ.

ამ ბებერ წიფელას „წმინდა ხეს“ უწოდებენ. რომ ჩავუფიქრდეთ, ის ხომ ჩვენ გავხადეთ წმინდად? ჩვენ თვითონ...

მახსოვს: აწ გარდაცვლილ შვილსა და შვილიშვილ დუდარს ხშირად უთქვამთ:

— იმედის დამყარება „მფარველზე“ — წყლის ნაყვაა. ერთადერთი მფარველი და დამხმარე ჩვენი — ეს საბჭოთა ხელისუფლებაა.

და განა ჩვენ, მოხუცები, მარტო ლოცვისათვის მოვდივართ აქა? იგი ძველი ჩვეულებაა და ჩვენც შემოვინახეთ. იგი გვახსენებდა წარსულ ცხოვრებას, სავსეს ეკლებითა და თივის მყრალი კვამლით გაჟღენთილ ბინებს. ძველის მოგონებით უფრო ვაფასებდით ახალ ცხოვრებას. და განა გაიგებს ყველაფერს ამას დუდარი? ვერა!

ვერ მიხვდება იგი, რას გრძნობდა ღარიბი, როდესაც ნაცრისფერი ქვებით მოჭედილი ხეობები დატოვა და გადმოსახლდა ამ მსუყე ველზე. არ განუცდია დუდარს, რა არის უმიწობა... დიახ! ახლანდელ ახალგაზრდობას არ უნახავს გაჭირვება. ამიტომაც ადვილია მისთვის ძველი წეს-ჩვეულებების დათმობა.

სოფლის მფარველი რომ მართლაც ყოვლის შემძლე იყოს, მაშინ განა დაუშვებდა თავის სამფლობელოს დარბევას და განადგურებას?..

ეს ჩვენ თვითონ მოვიგონეთ ყველაფერი...

მართალია ჩემი დუდარი: მთიელებს საბჭოთა მთავრობის გარდა სხვა მფარველი მართლაც არა პყავს. ორი უკიდურესობა შეეჯახა ერთმანეთს საულაგის სულში: ერთი ძველის-ძველი ცრუმორწმუნეობრივი შეხედულება და წარმოდგენა ცხოვრებაზე, ხოლო მეორე ახალი, თანამედროვე შეხედულება ადამიანზე, როგორც ბუნების მბრძანებელზე.

წამით შეაშფოთა საულაგი თავისი აზრის უხამსობამ.

„დაგავიწყდა, გამოსულელებულო ბერიკაცო, რომ შენს მამა-პაპას სწამდათ „წმინდა ადგილი“ და მთებში იცავდნენ ამ ჩვეულებას? და შენ გინდა იაზროვნო ახალგაზრდასავით, მოხუცმა, რომელსაც ცალი ფეხი გაქვს მხოლოდ მიწის ზემოთ, ხოლო მეორე უკვე სამარეში?“

საულაგმა ჩაახველა და დამნაშავესავით მიმოიხედა ირგვლივ. კივილმა და სროლის ხმამ ფიქრებიდან გამოარკვია.

ქვევით, ტყის პირას, სადაც ნათეს მინდვრებზე შავი გველივით მიიკლაკნებოდა მტრის სანგრები, იდგნენ „ესესელები“ და ხელების ქნევით რაღაცას ყვიროდნენ.

ასევე ყვიროდნენ ისინი, როდესაც მოაგროვეს მცხოვრებლები და გაყინულ მიწაზე აპრევინეს სანგრები პარტიზანთაგან დასაცავად, რომელთა თავდასხმასაც ყოველთვის ელოდებოდნენ.

მაგრამ მაშინ თავიანთი ყვირილი სიცილით არ დაუმთავრებიათ ისე, როგორც ახლა. ისხდნენ, შიშით იყურებოდნენ ტყისკენ და მცხოვრებლებს აჩქარებდნენ სათხრელად.

ახლა კი სანგრებიდან ამომძვრალნი რაღაცით ერთობოდნენ.

დააკვირდნენ სოფლელები და დაინახეს, რომ თოლიან ველზე საცოდავი წკმუტუნით მოცოცავდა სასიკვდილოდ დაჭრილი მეცხვარის ძაღლი, რომელიც რამოდენიმე ხნის წინათ საკოლმეურნეო ფარას დარაჯობდა.

„სულელმა მეცხვარეებმა რატომ დატოვეს სილამი, როდესაც დიდი ხანია ცხვარი მთებში გადამალეს?“ — გაიფიქრა მოხუცმა გულის ტკენით, რაკი ძაღლი იცნო.

ყველას შეებრალა საცოდავი სილამი, ფერმის საუკეთესო ძაღლი.

— ნანა, რატომ ხოცავენ ისინი ძაღლებს? — მოისმა ბიჭის ხმა.

— მშიშრები არიან და ეშინიათ, რომ არ უკბინოს, — უპასუხა დედამ.

— ჩვენი მილაც მოკლეს. — დაიჩივლა სხვამაც.

— ნანა, ბარბოსსაც მოკლავენ? მოკლავენ, ნანა?

— მოკლავენ, შვილო, ისინი კარგი ხალხი არ არიან და ამიტომ მოკლავენ ყველა კარგ ძაღლს.

საუბარში არავინ ხმარობდა „მტერსა“ და „ოკუპანტს“. დამპყრობლისადმი სიძულვილი იმდენად ძლიერად გამჯდარიყო მათში, რომ მუდამ ეზიზღებოდათ მათი ხსენება. იტყოდნენ: „ისინი“, და ყველასათვის ნათელი იყო ვისზედ ამბობდნენ. ვიღაცის ბავშვმა გაბმით წაიტირა:

— ხელები გამეყინაა!

მას მეორე აჰყვა.

ასლუკუნდა მესამეც.

უკვე ორი დღეა, ტირის ავადმყოფი გოგონა, ესმის საულაგს, როგორ უხსნის თვალცრემლიანი დედა ხალხს:

— უფრო ცუდად არი, დღეს უფრო ცუდად არი. წყალი უნდა, მაგრამ სად არი წყალი?

სასოწარკვეთილებამდე მისული დედა გადაწყვეტით ამბობს: — მზად ვარ, მგლის ხახაში ჩავვარდე, ოღონდ ეუშველო რამე... წავალ სახლში... წავალ სახლში, მოვიტან წყალსა და წამალს... იქნებ ვუშველო.

ქალის დაშოშმინებას ცდილობენ.

ავადმყოფ გოგონას მისცეს რაც კი იმქამად ტკბილეული და თბილეული მოეპოვებოდათ.

წყლის ნასახი კი არავისა აქვს.

— ცეცხლი დავანთოთ და თოვლი დავადნოთ. ეს თუ გვიხსნის წყურვილისაგან, — თქვა ერთმა ქალმა.

— შეშა სად გაქვთ? — იკითხა მოხუცმა ხორონმა.

— სად? — რა თქმა უნდა, ტყეში. ტყე ხომ ჩვენია, კოლმეურნეობისა.

— ის ძაღლები?

— ნუთუ ისეთი მხეცები არიან, რომ უფლებას არ მოგვცემენ, მოვაგროვოთ შეშა, დავანთოთ ცეცხლი და ავადმყოფი ბავშვისათვის თოვლი გავადნოთ?

— საქმეც მაგაშია, რომ კრძალავენ, — შთაგონებით თქვა ხორონმა.

„შეშა“?!. — გაიკვირვა საულაგმა თავისთვის, — მართლაც და როგორ მოხდა, რომ ვერ მოვიფიქრეთ, დაგვენთო ცეცხლი ავადმყოფი ბავშვისათვის? სხვებისათვისაც, და აჰა, აი, ქალებიც იყვნებიან.“

ყველა შეათვალიერა საულაგმა. ებრალება თანასოფლელები „წმინდა ხეს“ ასე საცოდავად რომ მიჰკვრიან. მძიმე ცოდვად ჩათვალა აქამდე თავისი მიუხვედრელობა, რომ აქამდე ხალხთან კი არა, სხვაგან, შორს, წარსულთან იყო მისი ფიქრი.

— ვის გაუხდა ბავშვი ავად, ძაბო? — ხმამაღლა ჰკითხა საულაგმა გვერდზე მჯდომ მოხუცს.

— აი, ხორონის შვილიშვილია, — უპასუხა ძაბომ და „წმინდა ხეს“ მრავალმნიშვნელოვნად და უცნაურად ახედა.

საულაგმა მისი მზერა ვერ დაიჭირა და ვერც მის აზრს მიხედა.

ხოლო ძაბო ფიქრობდა:

„წმინდა ხე“ ჩვენ შევქმენით, მოხუცებმა. კარგად მახსოვს, — ოცი წლის წინათ აქ მოვედით კაკლის ხის ჯოხებზე დაყრდნობით: მე, უარიკანი, საულაგი და სხვები, რათა სოფლის მფარველისათვის სამფლობელო მოგვეძებნა. და მოვძებნეთ კიდეც... განა ჩვენ არ ვუწოდეთ ამ წიფელს „წმინდა ხე“?.. რომ შევეხოთ მას, განა გაჯავრდება მფარველი?.. შეიძლება არ გაჯავრდეს, საულაგმა რომ ნება დაგვრთოს. უარიკანის სიკვდილის შემდეგ ის დარჩა სოფელში ყველაზე უხუცესი“.

ასევე ფიქრობდნენ ძარახი, თემირი და ალიქმის სხვა მოხუცებიც. რელიგიის საწინააღმდეგო საუბრებმა შეარყია მათში ცრუმორწმუნეობა, მაგრამ შიში საიდუმლო ძალისა ბოჟავდა მათ.

ამავე დროს ნათელი იყო, რომ შეშის გარეშე ველარ გასძლებდნენ.

ხალხი უხუცესთაგან ელოდა განაჩენს.

საულაგს არავისთვის არ შეუხედავს, მოულოდნელად იკითხა:

— ვისა აქვს ნაჯახი?

— აი ჩემს ვაჟს — სწრაფად წამოიძახა ძაბომ, ვიქტორის მამამ, ისე, თითქოს წინასწარ ჰქონდა მოულოდნელ კითხვაზე პასუხი მომზადებული.

— მასა აქვს ნაჯახი, — კვერი დაუკრა გაციებულმა თემირმა. — იგი მას არასოდეს არ იცილებს, ისე, როგორც ჩვენ ძველად ხანჯალს არ ვიცილებდით. ალბათ, ღამითაც გვერდზე უდევს არა, ძაბო?

— სამუშაო აქვს ასეთი, — თითქოს ვაჟიშვილს

ამართლებსო, ისე თქვა ძახარმა. არ უყვარდა ენაშეარე თემირი.

ახალგაზრდა ვიქტორი მებოსტნეობის ბრიგადაში მუშაობდა. ხეხილისა და ყვავილების დიდად მოყვარულმა ორჯონიკიძეში დაამთავრა სათანადო კურსები და სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზედაც მოხვდა მოსკოვში. ომამდე დაიწყო საკოლმეურნეო ბაღის შემოღობვა, მაგრამ აღარ დასცალდა.

— უშეშოდ ვერ გავძლებთ, — დაფიქრებით წარმოთქვა საულაგმა — შეიძლება — ...რაღაცის თქმა სურდა მოხუცს, მაგრამ თითქოს ვერ გაბედაო...

საუბარმა სხვა მოხუცებიცა და ახალგაზრდებიც ჩაითრია.

ბოლოს მათთან მივიდა ბებია ხორონი, მადლობა უთხრა მოხუცებს ფეხზე ადგომისათვის და უხუცესს მიმართა.

— საულაგ, გამიგონე, საულაგ! შენც ძაბო და შენც თემირ, თქვენ ყველამ მოგისმინეთ საპატიო მოხუცნო, თქვენი ჭირი შემეყაროს... ყველანი ყინვისაგან გაკითხეთ და ხსნა არსაით არის. ბავშვების გული გეფლითება მათი ცქერით. ჩვენი გოგონა ავად არის, მძიმე ავად, ო როგორ მძიმედ! სწყურია, წყალი კი არ არის. წავედი ფიჩხის შესაგროვებლად ტყეში ამ დილით და იმ წყეულებმა დაჭიყვირეს, „გეეტ, გეეტო!“ — რას იტყვით თქვენ ამაზე მოხუცნო?

— მართალი ხარ, ხორონ, — უპასუხა საულაგმა, — უშეშოდ ვერ გავძლებთ...

წიფლის ხეს უტრიალებდა მისი ფიქრი ამდენი ხნის განმავლობაში, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაძლია კრძალვა „წმინდა ხისადმი“. ვერ გაბედა მისი გამოყენება თოვლის გასადნობად და გასათბობად.

— შეიძლება, წავიდე შეშისთვის? — პკითხა ვიქტორმა ხორონს, თუმცა ეს შეკითხვა მაპას უფრო ეკუთვნოდა. ძაბომ არა უთხრა რა, მკაცრად შეხედა შვილს, ხორონის პასუხის მომლოდინემ.

— მე ბებერი არ მიმიშვეს ახლოს და შენ როგორლა გაგიკარებენ, შვილო, — თქვა ხორონმა. მამამაც უარი უთხრა.

— შენა და დანარჩენ ახალგაზრდობას ვთხოვ, რომ ნაბიჯითაც არ მოშორდენ აქაურობას. გაიგე? ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ადგა ქვიდან და ხელში ისე შეატრიალა თავისი გამხმარი ჯოხი, თითქოს სინჯავს, გამოდგება ცეცხლის დასანთებად თუ არაო. შემდეგ დაეყრდნო მას, ტყისაკენ გაიხედა და თქვა:

— მე თვითონა ვცდი.

მან მტკიცედ გაბიჯა ტყისაკენ, თუმცა იცოდა, რომ აქედან კარგი არაფერი გამოვიდოდა.

„წმინდა ხესთან“ ჩაელისას გაიფიქრა: „ერთი პატარა ხეც რომ მომაჭრევინა, კარგი იქნებოდა“.

რამდენიმე ახალგაზრდამ, ვიქტორთან ერთად, სცადა მისი შეჩერება, რათა თვითონ წასულიყვნენ, მაგრამ ამაო გამოდგა. მოხუცმა თავისი ჯოხით ზიყარ-ზიყარა აქეთ-იქით თოვლი და გზა განაგრძო.

თვალს არ აცილებდა ზიმავალ ძაბოს საულაგი. რაც უფრო შორდებოდა მათ, ზით უფრო აღიზიანებდა მოხუცის გონებას ის აზრი, რომ „წმინდა ხის“ მოჭრით შეშა ბლომად იქნებოდა და კარგადაც გათბებოდნენ... მაგრამ გულმა უარი თქვა მაინც.

„არა, შეუძლებელია... სირცხვილია“...

ნელ-ნელა მიდიოდა ძაბო, მაგრამ მაინც მალმალე ისვენებდა და თოვლზე ნაკვალევს ნათლად ტოვებდა.

მალე მიაღწია მათის ნაპირს და საულაგს თვალთაგან მიეფარა. სამაგიეროდ, ძაბო მათ კარგად ხედავდა, ხედავდა თუ როგორ დაძაბულად უმზერდნენ მოედანზე დარჩენილები.

უცებ ჩოისმა სროლის ხმა და ქალთა შეკივლება.

თავჩალუნული საულაგი წამოხტა, როგორც ეს შეჰფერის მოხუცს, რომელსაც ზურგზე ოთხმოცდაათი წელიწადი ჰკიდია, წამოხტა და წვეტიანი ჯოხის ბჯენით წალასლასდა მოხრილი „წმინდა ხისაკენ“.

— რა დაემართა ძაბოს? — არავისთვის არ მიუმართავს, ისე იკითხა.

მოხუცები შემოეხვივნენ.

— იმ ძაღლებმა დასჭრეს ჩვენი ძაბო.

თვალებზე ხელმოჩრდილული საულაგი ცდილობდა, დაენახა რა ხდებოდა ქვეით.

ავტომატების ქნევით ფაშისტები რაღაცას ყვიროდნენ.

გორაკთან ახლოს იწვა ძაბო და თანასოფლელებამდის ქარს მოჰქონდა მისი წყველა-კრულვა.

ახალგაზრდები მიეშველნენ მას, უშველეს წა-

მოდგომა და სურდათ ხელით წამოეყვანათ, მაგრამ ძაბომ არ დაანება და თვითონ წამოვიდა მოედნისაკენ.

„გამოსავალი ერთია, რაც არ უნდა მოხდეს... გაბოსავალი ერთია“ — შუბლშეკრული ფიქრობს საულაგი.

რომელიღაც ქალმა ძველი ოსური ჩვეულების მიხედვით მუხლებზე ხელების ცემით გაიბა ტირილი.

— და-და დაიი!..

ძაბოს შეილიშვილი გამყინავი კიეილით აპყვა მას და პაპისაკენ გაეშურა.

გაპაღარაეებულ და ძირს ჩამოფართხულ წარბებ ქვეშიდან უყურებდა ყველაფერს მოხუცი საულაგი და სისხლდაწრეტილი ტუჩებით ჩურჩულებდა:

— გამოსავალი ერთია... რაც არ უნდა მოხდეს...

როდესაც მარჯვენა მკლავში მსუბუქად დაჭრილი ძაბო გორაკზე აწოვიდა, საულაგი მას გადაეხვია და უთხრა:

— დაე უბედურებამ გვერდი აგიხვიოს ყოველთვის.

შემდეგ შეათვალიერა ქალები და ბავშვები, მზერა ახალგაზრდებიდან ვიქტორზე შეაჩერა და უბრძანა:

— მოდი აქ, ბალღო!

ვიქტორი მოკრძალებით მიუახლოვდა.

— მომეცი აქ ნაჯახი.

მდუმარედ შეუსრულეს ბრძანება მოხუცს.

საულაგმა გაიძრო ქურთუკი, მოიხადა ფაფახი და ჯოხთან ერთად ახალგაზრდას გადასცა, მერე მხარზე გაიდო ნაჯახი და „წმინდა ხისკენ“ მტკიცე ნაბიჯით გასწია. ყველა ჩამოდგა გზიდან და მხოლოდ თვალებითღა მიაცილებდნენ. ხესთან მოახლოებისას ნაჯახი მარცხენაში გადაიტანა, მარჯვენა შემართა, თეთრწვერა სახე ზეციოთ აიღო და წარმოთქვა:

— დაე, ნუ შემოგვიწყრება სოფლის მფარველი! მიუზღოს სამაგიერო მას, ვინაც ჩვენი ხალხი მოსწყვიტა შრომას და წაგვიბილწა მშობელი მიწა.

— იყოს ნება ღვთისა, — გამოეხმაურნენ მოხუცები.

ახალგაზრდულად, ხმაურით ჩაისუნთქა ჰაერი საულაგმა, მოიქნია მთელი ძალით ნაჯახი და ხის ტანს ჩაასო.

და დაიწყო ჭრა.

ნაფოტები ერთიმეორეს მოყოლებით მიფრინავდნენ და ხალხის ფეხებთან ცვიოდნენ.

პირველად ვიქტორი შეენაცვლა საულაგს. შემდეგ სხვა ახალგაზრდების ხელში გადავიდა ნაჯახი და, ბოლოს მოხუცები და ქალებიც კი მიეხმარნენ.

ჯერ მხოლოდ ორი ქვედა ტოტი ჩამოსჭრეს, რათა ცეცხლი გაეჩაღებინათ, მერე კი ძირის მოჭრა დაიწყეს. და სჭრიდნენ ისე, რომ წაქცეული ხე ხევისკენ გადაწოლილიყო.

ყველაზე მეტს ღონიერი ვიქტორი შუშაობდა და თან ხალხს არწმუნებდა, რომ იქით გადაქცეული ხე ხევს მთლიანად გაუვალს გახდიდა.

მზე ქედებს იქით ჩადიოდა, მეწამული ღრუბლები უფრო შესამჩნევი გახდა ჰორიზონტზე. მოვარდისფრო თოვლიანი ველები ისე ბრწყინავდნენ, თითქოს ზედ ძვირფასი ქვები მოუბნეიათო.

ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან, ორჯონიკიძისა და ელხოტის მხრიდან აღწევდა ჭურვების სკდომის ხმა და ნოემბრის ჰაერს შემაძრწუნებელს ხდიდა. ტყიდან მონაბერი ცივი ქარის კვალდაკვალ თოვლიან მინდორზე მიფრიალებდნენ შარშანდელი გამხმარი ფოთლები და ქაღალდის ნაგლეჯები.

კოცონი მატულობდა ქარის ყოველ დაბერვაზე, ლურჯი-მოშაქფერო კვამლი ერთხმეობდა თოვლის ზედაპირზე და ნელა, ჩუმად მიიპარებოდა.

ყინვა მატულობდა, მაგრამ ცეცხლთან გამთბარი ხალხი ნელ-ნელა გამოცოცხლდა.

სოფლიდან და სამანქანო გზიდან აქამდე აღწევდა ქალაქისკენ მიმავალ ოკუპანტთა მანქანების გუგუნი.

ისმოდა ცალკეული სროლის ხმაც — ეს ფრიცები წმენდდნენ შაშხანებს.

გორაკზე მხიარულად ტკაცუნობდა ცეცხლში წიფლის შეშა, ერთ კოცონს ქალები და ბავშვები მოსხდომოდნენ, მეორეს—კაცები. მოხუცები ცალკე ისხდნენ, ახალგაზრდები ცალკე. პირველებს დინჯი და თავშეკავებული, მეორეთ ახალგაზრდული და ცოცხალი საუბარი ჰქონდათ.

მოჰქონდათ ცეცხლთან თოფლი და მოხუცი ხორონის ერთადერთი ჩაიდანი უთვალავჯერ დაიცალა.

ტკბილი ჩაით წყურვილის მოკვლის შემდეგ მიწყნარდა ავადმყოფი გოგონას ხმაც.

ზის ქვაზე ვიღაცის ბამბის ქურთუკში ჩათბუნებული დაკრილი ძაბოც. მარცხენა ხელი შეხვეული აქვს, ხოლო მარჯვენაში მსხვილი ჯოხი უჭირავს, და როგორც მისი შვილი, ისიც ამ ჯოხს გვერდიდან არ იშორებს.

— ძაღლის შვილები! ეშმაკის კურძები! მეწყურსაც გაუტანია მათი უკან დასახვევი გზა, — უხვად უგზავნიან მოხუცები ლანძღვა-გინებას ოკუპანტებს.

— კინაღამ ხელი დამაკარგვინეს... რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ მინდოდა ჩვენს ტყეში ფიჩხის შეგროვება, რათა ქალები და ბავშვები გამეთბო. ნურც ღირსებიათ ამათ თავიანთი ცოლ-შვილის ნახვა.

არავის შეუჩერებია იგი. დაე, მოიფხანოს გული. ყველა მათგანი იმასვე იტყოდა, რასაც ძაბო ამბობდა.

— რატომ გამოგვყარეს ბინებიდან? — განაგრძობდა მოხუცი, — ვინ ეპატიჟებოდა ჩვენთან?

დედის შეუმჩნეველად მიუახლოვდა პატარა გოგონა მოხუცებს და ძაბოს გაშტერებით დაუწყო ცქერა. მერმე მიიხმო თავისთან მოხუცმა პატარა, ხალი ხელი მოჰხვია და უთხრა:

— შენ ნუ გეშინია, ჩემო ბეკუკავ! მხოლოდ ოდნავ გამიფხაჭნეს ხელი. არა მტკივა, სრულიადაც არ მტკივა. კოლო უფრო მწვავედ იკბინება.

უადგილო და უკბილო იყო ძაბოს ხუმრობა.

გოგონა არ გამხიარულებულა. მისი დიდრონი და შავი თვალებიდან მოქონავდნენ მარგალიტები...

სწრაფად ჩამობნელდა.

გაშავდა ტყე.

გორაკიდან მარცხნივ თოვლიან ველზე შავ ლაქად მოჩანდა სოფელი.

ქარს აღარავითარი ხმაური არ მოჰქონდა ახლა.

არც ძაღლის ყეფა ისმოდა — თუ დახოცეს ყველა.

მიმკვდარებულიყო სოფელი ხორიკაუ.

ქარი თანდათან უფრო ძლიერდებოდა და წიფლის ტოტებში სტვენდა, ძირამდე მიჭრილი „წმინდა ხე“ ძლივს იდგა ფეხზე გადასაჩეხად გამზადებული.

ძალუმად სუნთქავდა ტყე და მუდამ მღელვარე ფიაგდონი ხმაურობდა ქვებზე.

ბოლოს ცეცხლმა იმდენად გამოაცოცხლა ხორიკაულები, რომ უკვე ისმოდა მხიარული ლაპარაკი და სიცილიც კი.

ერთფეროვანი იყო სამოქალაქო ომის ამბავი მოხუცი ძარახისა, ამბები პარტიზანობისა.

ძველი მონადირის, მოღრეცილი დაუდის შვილი, მონადირულ თავგადასავლებს ჰყვებოდა, დათვებთან შეხვედრას დონარის მიდამოებში. ირწმუნებოდა, რომ სამი დათვი მოკლა მან (და არა მამამისმა) და ისინი ერთიმეორეზე ჩამოგორდნენ მის ფეხებთან. ხშირად იტყოდა: „აი, იქ“ და ხელს იშვერდა დონარის მთისკენ.

მსმენელები ისე უგდებდნენ ყურს, ვითომ სჯეროდათ მისი ზღაპარი, ხოლო ზოგიერთი ვერ ითმენდა და მწარე-მწარე შენიშვნებს აძლევდა.

ქალები და ბავშვებიც გამოცოცხლდნენ.

გაქრა მოთენთილობა და მოწყენილობა.

ახალგაზრდებს მიუახლოვდა მოხუცი საულაგი და უთხრა: — თქვენს ბედნიერებას ენაცვალოს ეს წიფლის ხე. მოხუც საულაგს შეეყაროს თქვენი ჭირი — „წმინდა ხე“ მართლაც წმინდა იქნება, თუკი თქვენ გაგათბობთ. ძალას მოიმატებთ. ადრე როგორ ვერ მიეხვედით, რომ დროზე მოგვეჭრა და არ გავყინულიყავით?

კარგად რომ გამთბარიყვნენ, სათითაოდ იღებდნენ ნაჯახს და მუშაობდნენ. აგროვებდნენ ფიჩხსა და ტოტებს, წიფლის ხისას. მალე წამოიჭიმა ტომრებითა და ბრეზენტით გადაფარებული მოზრდილი კარავი, რომელშიც მოთავსდნენ ქალები, ბავშვები და მოხუცი ძაბო თავისი შვილიშვილით.

უეცრად სამი შეიარაღებული კაცი გამოჩნდა. ორი გერმანელი და ერთიც ადგილობრივი მცხოვრები. თავზე ყურებიანი ქუდი, ტანზე დაბამბული ქურთუკი და დაბალ ჩექმებში ჩაკეცილი შარვალი ეცვა ერთს. მაშინვე ყველა მოზრდილმა ხორიკაულმა იცნო ნაკულაკარი ჩეცა.

„შეხედეთ, უკვე გამოჩნდა ეს ბებერი ეშმაკი, როგორც კი მოვიდნენ ოკუპანტები,“ — გაიფიქრა თითოეულმა მათგანმა.

დაუფარავი სიძულვილით უთვალთვალებდა ხალხი ჩეცას. კარგს არაფერს ელოდნენ მისგან: კარგად ახსოვდათ ხორიკაულებს ეს გუმაძღარი სვავი: დიდი ხნის მანძილზე ძარცვავდა ხალხს, როგორც საკუთარ მაღაზიაში, ისე ხე-ტყის ქარხანაში და წისქვილში.

და ხედავთ! იგი გახდა ოკუპანტთა ახლობელი... გამცეში!

როგორც კი ამოვიდნენ გორაკზე, დაარბიეს კარავი და ჩააქრეს ცეცხლი.

კოცონების ჩაქრობის შემდეგ სიბნელეში წაისისინა ჩეცამ.

— ვინც კიდევ გაბედავს ცეცხლის დანთებას, დავხვრეტთ! გაიგეთ? არავინა სთქვას, ვერ გავიგეო, ვერ მომატყუებთ. მე კარგად ვიცი, ვინ რითი სუნთქავს.

და მალე იგი გერმანელებთან ერთად ჩანთქა ეკუნმა.

სოფლელებმა იმავე წუთას აღადგინეს კარავი, ყოველგვარი წინასწარი ზომების მიღების შემდეგ იქვე დაანთეს პატარა ცეცხლი.

ქუფრ სიბნელეში კოცონის დამალვა ნიშნავდა ხელისგულით მზის დაფარვას.

ჩაიდანში თოვლი ჯერ არ გამდნარიყო, როცა სოფლიდან ერთიმეორის მოყოლებით სამჯერ გავარდა თოფი.

კარავის თავზე გაიზუზუნეს ტყვიებმა.

იმავე წამს საიდანღაც გადაუარა მათ ბანაკს თვითმფრინავმა.

— „კუკურუზნიკი"! — წამოიძახა ვიღაცამ.

— ჩვენია, ჩვენი! — სიხარულით აპყენენ მას სხვები.

ისროდნენ ყოველი მხრიდან: ტყის ნაპირიდან, საკოლმეურნეო ფერმიდან, გზიდან, სოფლიდან.

და ამ ქაოსში უეცრად აფეთქების ამაზრზენი ხმა გაისმა ზედ გზაზე, რომლითაც გოზელისაკენ იგზავნებოდა მტრის ახალ-ახალი ძალები.

აფეთქებისაგან ზანზარებდა იქაურობა: ხევი, ბანაკი და წიფლის ხე, რომელიც ძლივსღა იდგა და ძირმოკრილი ჰაერში ჩამოკიდებული გეგონებოდათ.

ისევ უეცრად შეწყდა სროლა, როგორც დაიწყო. დამშვიდნენ ხორიკაულებიც.

გათენებისას ჩადგა ქარი.

ელხოტის კარიდან წამოვიდა ტყვიისფერ-ნაცრისფერი ღრუბელი და ირგვლივ ყველაფერი წალეკა. გიზელისა და ახონაკის მხარეს რიერაკზე დაწყებული კანონადა გაძლიერდა.

ნერვიულად ძიგძიგებდა ყოველ წუთს მიწა.

მზის ამოსვლისას ჩამოთბა, თუმცა ნისლი ისევ იდგა გაუმჭვირვალე ფარდასავით.

გამოიცოცხლდა ისევ ხალხი: ხარობდნენ კაშკაშა ცეცხლით, გამდნარი და აღუღებული თოვლის წყლით, ნაკვერჩხლებზე შემთბარი პურით, ცხელ ნაცარში შემწვარი კარტოფილითა და აშიშხინებული ხორცის ნაჭრებით.

კარეის წინ ისხდნენ მოხუცნი ქვებზე და ისე წყნარად საუბრობდნენ, თითქოს წუხანდელი ღამე საკუთარ სახლებში გაეტარებინოთ შშვიდად, ჩვეულებრივად და თბილად.

მხოლოდ ვიქტორი არ ჩანდა არსად, იგი ღამით გაპარულიყო სადღაც.

მთელ დილას არ გამოჩენილან დამპყრობლები.

ბოლოს მაინც შენიშნეს მათკენ მომავალი შვიდი გერმანელი ჩეცას თანხლებით, რომელიც მაღალსა და გამხდარ ოფიცრის უკან მოდიოდა.

წამდაუწუმ გადაურბენდა ოფიცერს წინ ჩეცა და ძაღლივით შეხედავდა პირში სმენად ქცეული.

ოფიცერსა და ჯარისკაცებს ნაცრისფერ მოწვანო ფარაჯის სახელოზე მიკერებული ჰქონდათ შავი ნაჭრები ზედ გამოსახული თავის ქალათი და მის ქვეშ გადაჯვარედინებული ძვლებით.

ჩეცა როგორც წინა დღით, ახლაც დაბამბულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, ხოლო მარჯვენა მკლავზე თეთრი ბლონდი ჰქონდა.

სოფლელებთან მიახლოებისას ოფიცერი შეჩერდა, მარცხენა ხელის გამხმარი თითი მოხუცებისა და ქალებისკენ გაიშვირა და მკვახედ იკითხა:

— კომუნისტი ვინა ხართ აქ?

ირგვლივ დუმილი იდგა.

— ღამით ვინ გააჩალა ცეცხლი? — გადათარგმნა ჩეცამ და თავის მხრივ დაუმატა — გვითხარით, თორემ ყველასათვის ცუდად გათავდება ეს საქმე.

რაკი დაინახა, რომ არავინ პასუხობდა, მძულვარებით გაიმეორა მუქარა.

— რას გვაშინებ? — თქვა სიბრაზით მოხუცმა ძარახმა, რომელიც ახალგაზრდობისას შოფრად მუშაობდა პეტერბურგში და კარგად იცოდა რუსული. — განა ამაზე ცუდი რა უნდა მოხდეს? — ცოტა ხნის შემდეგ ოსურად ჰკითხა: — რა დაგიშავეს ამ ბავშვებმა და ქალებმა? რამდენად გაჰყიდე შენ ისინი?

თითქოს ვერ გაიგო ძარახის ნათქვამი.

— ვინ დაანთო ცეცხლი? თქვენ გეკითხებიან! — დაიყვირა კვლავ მან.

ისევ დუმილი.

— ვინც ცეცხლი დაანთო, დიდი დანაშაული ჩაიდინა. მან კომუნისტებს მისცა ნიშანი, სად დაებომბათ და ფურცლები სად ჩამოეყარათ... ჩვენ კი მოვედით, რომ გიხსნათ კომუნისტებისაგან, — გადაუთარგმნა ხალხს ჩეცამ.

— ტყუილად შეწუხებულან, — უპასუხა საულაგმა, — ჩვენ მაგათთვის შველა არ გვითხოვია და არც შენთვის. ხომ კარგად იცი?

— მართალია, პატივცემულო, მაპატიეთ მოხუცებულს, — ხმამაღლა თქვა ხორონმა საულაგისა და მოხუცების გასაგონად, — ვინ არ იცნობს ჩეცას? განა სოფელში დარჩა ადამიანი, რომ მისთვის თავის დროზე ტყავი არ გაეძრო? ახლა კიდევ დამცველობა დაიწყო. — და ოფიცრისაკენ იბრუნა პირი. — რატომ მოხვედით ჩვენთან? ვინ მოგიწვიათ? რატომ გამოგვყარეთ ამ სიცივეში გარეთ? რა გაგიფუჭეს, რა დაგიშავეს ბავშვებმა და მოხუცებმა? თუ, ადამიანები არა ხართ?

ოფიცერი თანდათან ფითრდებოდა ჩეცას თარგმანზე.

— ხმა ჩაიწყვიტე, ბინძურო! — იფეთქა უცებ და ინდაურივით გაუწითლდა ყელი. მუქარით დაიქნია ხელი და ჯარისკაცებმა გვერდზე მიაგდეს ხორონი.

ოფიცერმა ნაბიჯი წინ წადგა, რაღაცა ჩაიბურტყუნა და საულაგს მკერდზე ატაკა თითი.

— შენა ხარ უხუცესი? — უთარგმნა ჩეცამ.

— მე ვარ, მაგრამ თქვენ არა ხართ ჩემი უმცროსები, ისინი ასე არ ექცევიან უფროსებს.

ოფიცერი დამტვრეულ რუსულზე გადავიდა.

— ბევრი გელაპარაკები, ბებერო ძაღლო! სჯობს მითხარი შენი შვილიშვილი კომუნისტი სადა ხარ?

გველნაკბენივით წამოვარდა მოხუცი საულაგი.

ჯარისკაცებმა ვერც კი მოასწრეს გონზე მოსვლა, ისე სწრაფად დასცა თავში ოფიცერს თავისი მძიმე შვინდის ჯოხი:

— შენ თითონა ხარ ცოფიანი ძაღლი! — დაიღრიალა საულაგმა, — ძაღლზე საძაგელი... ჩემი შვილიშვილი კი იქ არის, სადაც საჭიროა! — თქვა და იქვე ფეხებთან თოვლში ჩაასო ჯოხი.

ამ დროს, უეცრად, დიდი წიფლის ხე შეირყა და ხევისკენ გადაიხარა, გადაჩეხილმა ხემ დაიკრიალა, კენწეროს და ტოტების სიმძიმემ გადასძლია და ხევის გარდიგარდმო დაეცა ზღარბთანით.

წუთიერი გაშეშების შემდეგ ჯარისკაცები საულაგს მიეარდნენ და დაუგრიხეს ხელები.

თოვლიერი გაშეშებულმა ოფიცერმა მოიხადა ქუდი და იმ ადგილას მოისვა, სადაც შვინდის ჯოხი მოხვდა.

თავზე ვეებერთელა კოპი დასჯდომოდა.

ქუდის დაბურვისას რაღაცა ბრძანება გასცა და ჩეცას დახმარებით სამმა ჯარისკაცმა გვერდზე გაათრია საულაგი.

მდუმარედ გაჰყვა მათ უკან ოფიცერი რევოლვერით ხელში. დანარჩენმა ჯარისკაცებმა ხორიკაულები ჩარეკეს ქვევით, სოფელში, ხოლო დარჩენილ ქალებსა და ბავშვებს უმოწყალოდ სცემდნენ კონდახებით.

ჩეცამ და ორმა ჯარისკაცმა სიამოვნებით დაანგრიეს აღდგენილი კარავი და ყველაფერი მილეწმოლეწეს, რაც შიგ დახვდათ.

დარბევის შემდეგ ისინი შეუერთდნენ ჯარისკაცებს და საულაგი ზურგით თავიანთკენ შეაბრუნეს.

მოხუცი მათკენ მობრუნდა სახით და მიწაზე დააფურთხა.

— ფუ! ძაღლებო და მშიშრებო! ადამიანის სახე დაგიკარგავთ! მხოლოდ ნადირი თუ ასწევს ხელს მოხუცებულზე.

ოფიცერმა გასცა ბრძანება.

გამცემმა ჩეცამ და ჯარისკაცებმა საულაგს შაშხანები დაუმიზნეს.

მიხვდა მოხუცი, რომ ყველაფერი გათავდა, მაგრამ მაინც არ შემკრთალა მისი ყოვლისმნახველი და გაკაჟებული გული. შვინდის ჯოხი მარცხენაში გადაიტანა, მარჯვენა ზევით ასწია და საზეიმო ხმით წარმოსთქვა:

— ო, ოქროს მზეო! იყავ მოწამე ამ საშინელი მხეცების სიმდაბლისა! შენ კი, ჩემო შვილო დუდარ, შური იძიე პაპაშენისათვის, ყველასათვის, რომლებიც ასე....

ვერ დამთავრა საულაგმა სათქმელი. გაისმა თოფის ხმა და სოფლის ამაყი პატრიაქი ნელ-ნელა დაეშვა მუხლებზე და მერე გადაქცეული წიფლის ძირას მიწვა.

თითქოს საულაგის მოწოდებაზე, მიწიდან ამოძერნენ პარტიზანები. წინ ვიქტორი მოუძღოდა.

ფაშისტებს ალყა შემოარტყეს და განაიარაღეს.

ვერავინ გაიქცა, რადგან უკან დასახვევი გზა ხევში გადაჭრილ წიფელს ჩაეხერგა.

მხოლოდ გამცემი ჩეცა, რომელიც კარგად იცნობდა ადგილმდებარეობას, მიეფარა ხევში, მაგრამ მას დაეწია ტყვია პარტიზანთა მეორე ჯგუფისა, რომელიც სანგრებში მსხდომ ფაშისტებს ანადგურებდა.

იმავე დღეს პარტიზანებმა და სოფლელებმა დაასაფლავეს საულაგი, ოსური ძველი წესით, მაგრამ სოფელში კი არა, სადაც დათარეშობდნენ ფაშისტები, არამედ იქვე მოედანზე „წმინდა ხის" ძირში.



თითრიბეგ ძალთიათი

მეზობლები

მოთხრობა

ზაფხულის საღამოა. ორი ტოტებდათენთილი ვერხვის ქვეშ, დიდი ბეღლის ახლოს, კუნძზე ზის ორი მეზობელი — ძახოტი და ძარახი.

— ჰაერი აღარა მყოფნის, ვიგუდები კაცი! — მძიმედ ამოიოხრა ძახოტიმ. — ორმოცდათხუთმეტი წელიწადია მზეს და ქვეყანას ვუმზერ და ასეთი თაკარება ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს.

— ეჰ, აბა, რა იქნება, მეორე თვეა, ციდან ერთი მანანაც კი არ ჩამოვარდნილა. — დანანებით ჩაიქნია ძარახიმ ხელი და სიცხის ბუღში გაბეულ ცას უღიმღამოდ ახედა.

— უბედურებაა, უბედურება! ველებზე ყველაფერი დაიხრუკა, ჭეჭილმა თავი ამოყო თუ არა, დაქანა. ეს წყეული გვალვა კარგ დღეს არ დააყრის მოსავალს. რა ვქნათ, ღვთის ნებაა ყველაფერი... ეჰ, რა ჭირნახული მოგვდიოდა ძველად? — ძახოტიმ თავის ბეღელს გადახედა, გაიხსენა ის დრო, როცა ეს ბეღელი ხორბლით ჰქონდა სავსე და კვლავ მძიმედ ამოიოხრა. — ძარახი, ერთი შეხე, რა ნაღელიანად დგას ბეღელი, მშიერ კაცსა ჰგავს სწორედ, მარცვალი ენატრება ალბათ. თაგვი რომ ბეღლიდან გაიქცევა, წასულია მისი საქმე ხელიდან. გადაეწყვიტე, გავყიდო. ჰაიტიმ კარგი ფასი შემომაძლია და...

— რას ამბობ, კაცო, ჭკუაზე ხომ არ შეიშალე? — ძარახი უცებ ისე აენთო, თითქოს მეზობელმა რიღაცით ძალიან აწყენინა. — ასეთ ბეღელს ჭკუააფრაკის მეტი არაენ გაყიდის! არ შეცდე, ძახოტი, ასეთი უგნურობა არ ჩაიდინო!

— ხომ ხედავ, ჩემო კარგო, მოსავალი არ მოდის და ჩემი დარდი და გაჭირვება ჩავყარო შიგ? ჰო, თუ გინდა, ჩავყრი, მაგრამ რომ არ დაეტევა? საჭმელად არ ვარგია ეს ფიცრები და სასმელად. უნდა გავყიდო, აბა, რა ვქნა? — თითქოს მეზობლის გულისწყრომამ შეაშინა, გაუბედავად ამოღერღა მან. — ბეღელს გავყიდი, გოქებს ვიყიდი, გავზრდი, მერე იმათაც გავყიდი და ფულიანი კაცი გავხდები. ახლა კი რას მიკეთებს ეს ბეღელი? დგას გულშემოსაყრელად მშიერი კაციით და შემომცქერის მუცელცარიელი მუცელცარიელს ჰო, რას მიკეთებს, რას? ჩამდგარი ჩემსა და შენს კარ-მიდამოს შუა, როგორც ხიმე, ეგაა და ეგ. ჰაიტი კი ყოველ დღე გულს მიწუალებს: მომყიდე და მომყიდეო!

— ეჰ, ჰაიტი!.. ჰაიტი მარტო ზარმაცი როდია, გაიძვერაცაა. შენოდენი ჭკუა იმ ბედოვლათს სადა აქვს, მაგრამ ახლა კი ნამდვილად გატყუებს, ჩემო კარგო. ნუ უგდებ ყურს! ეიცი, იმან როგორი ხრიკები იცის! სულ იმას ცდილობს, ტაბილი სიტყვით გაასულელოს ვინმე და თავის სასარგებლო საქმე გააკეთებინოს.

— ვითომდა ამაში რა ხეირსა ნახულობს?.. უფულოდ კი არ უნდა ჩემი ბეღელი, მაძლევს, რაც ღირს. კაცი ეზოს გარშემო მესერს აკეთებს,

ფიცრები არ ჰყოფნის და ყიდულობს ჩემს ბეღელს სამესერეოდ, ყიდულობს რიგიან ფასად. რაა ამ საქმეში სატყუილო და საეჭვო?

— კაცო, ასეთი კარგი ბეღელი სამესერეო ფიცრებად გინდა გაყიდო?! ღმერთმანი, ძახოტი, შენს ჭკუაზე არა ხარ! ბეღელს რომ ჰყიდი, შემოდგომაზე სად უპირებ ჭირნახულს ჩაყრას?

— რომელ ჭირნახულზე მელაპარაკები, მეზობელო?! დიდი დიდი შრომადღეზე ერთი კილოგრამი მარცვალი მომცენ, ეგაა და ეგ. ამისთვის კი აგერ, სხვენიც მეყოფა.

— კარგად დაუფიქრდი, მეზობელო, კარგად, თორემ ბოლოს სინანული ვერაფერს გიშველის! შარშანდელმა წელიწადმა ბევრი რამ გვასწავლა. კოლმეურნეებმა იწვნიეს, თუ რას ნიშნავს უპურობა და გონს მოვიდნენ. ახლა ღვთის ნება-სურვილს არავინ არ ენდობა, ყველას თავისი ხელების იმედი აქვს.

— არა, ჩემო კარგო, კაცის ხელები ღვთის ნება-სურვილს ვერ მოერევა, — ეს სიტყვები ისე წამოიძახა ძახოტიმ, ეტყობოდა, ძალიან სწამდა თავისი ნათქვამის სიმართლე. — მე კი მგონია, უმჯობესი იქნება, მთელმა სოფელმა ერთი პირი შეკრას, ღმერთს მსხვერპლად ხარი დაუკლას, მერე გულმოდგინედ ილოცოს და ყველაფერი რიგზე იქნება. მადლით მოგვეხედავს ზენა, განგება გამოგვიგზავნის წვიმას. არ ვიცი, რას ეეჯახირებით, ვეშვალებით და ეეცოდვილებით ამ არხებს. ძველად თუ არხები არა გვქონია, ხალხი არა ცხოვრობდა თუ?..

— ეჰ, ძახოტი, კაცმა რომ შემოგხედოს, ბრძენია ჰგავხარ, სისულელეს კი ჩმახავ. — ღვარძლიანად ჩაიცინა ძარახიმ. — შენ თუ ასე ძალიან გწამს, თითქოს ყველაფერი ამ ქვეყანაზე ღვთის ნება-სურვილით კეთდება, მაშინ რატომღა ხნავ და თესავ? იკოტრიალე სახლის წინ, ჩრდილში და ღმერთი უშრომლად გამოგვიგზავნის ყველაფერს, მაგრამ მე ვიცი, რომ შენ არ წეგხარ და არ ელოდები ღვთის მოწყალებას: ყველაზე მეტს მუშაობ, რომ ოჯახი დააპურო. ესე იგი, შენ გგონია, რომ ჩვენ საქმე შემოგეელია და ისე, უბრალოდ, თავის გასართობად ვთხრით ამ არხებს, რათა ველებზე სეირის საყურებლად გადავიყვანოთ თერგის წყალი, არა?

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია ძახოტიმ და მერე უნდობლად შეხედა მეზობელს. — თუ ღმერთმა არ ისურვა, ვერავითარი თერგი ვერ გიშველის. აქ სიდავო არაფერია. ასე იყო და ასეა ახლაც, ჰო, ასე...

— აი, მალე შენი თვალით ნახავ, რომ სცდები! ერთი კვირის შემდეგ წყალი ყანებში გაიქცევა, სიმინდებში აეღეურტულდება და ისე სწრაფად გაზრდის ამ სიმინდებს, სიზმარში ვეგონება შენი თავი ნახევარარშინიან ტაროებს ვაჟკაცის მკლავებივით რომ გაშლის, მაშინაც ნუ დაიჯერებ, თუ კაცი ხარ. აი, ის პურის ყანაც, „საიუბილეოს“ რომ ვეძახით, ისე გაიზრდება, ცხენიანი კაცი დაიმალება შიგ. მერე ოქროსფრად აენთება, სამ-სამ გოჯიან თაველებს დაისხამს, დამძიმდება, დამწიფდება შინდის კურკასავით მსხვილი მარცვალი და, ჰერი, იმდენი იქნება სამკალი, დღესა და ღამეს გაგაჩერებინებს.

— ასეთი რამე, ალბათ, სიზმარში თუ ნახე, ძარახი. თავი დამანებე თუ კაცი ხარ. — გამკილავად ჩაიცინა ძახოტიმ და ჯერ თავის მეზობელს გახედა ირიბად, მერე თავის ბეღელს, რომელიც მათხოვარივით ატუზულიყო ორი მეზობლის კარიდამოს შუა.

— არა, ძახოტი, ეს სიზმარი არაა. აღდგომა და ხვალაო. ასე იქნება ნამდვილად, ასე. ეს ღვთის ნება კი არა, ხალხის ნებაა.

— ეაშამი გაცივდა! რაღას უზიზარ მანდ? — დაიძახა ამ დროს ძახოტის ცოლმა, რომელსაც ფანჯარაში თავი ჰქონდა გამოყოფილი, და ორი მეზობლის ბაასი შეწყდა.

ძარახის თქმისა არ იყოს, ძახოტის თუმცა ღვთის ნება-სურვილისა ძალიან სწამდა, მაგრამ ღმერთის მოწყალებას როდი უცდიდა, ყაირათიანი კაცი იყო, გამრჯე. საკოლმეურნეო საქმე თავის ღვიძლ საქმედ მიაჩნდა და რასაც კი დაავალებდნენ, დიდი გულმოდგინებითა და მონდომებით აკეთებდა. სწორედ ამის გამო სცემდა პატივს ძარახიც.

ძარახი მუყაითი კაცი იყო თვითონ და მარტო ძახოტის კი არა, ყველა გამრჯე კაცს პატივსა სცემდა. კოლმეურნეებმა ეს გულმართალი კაცი სარეეზიო კომისიის თავმჯდომარედ ამიტომ აირჩიეს ერთხმად.

გვალვიანი ზაფხულის დროს განსაკუთრებით ბევრსა შფოთავდა და ბევრსა შრომობდა ძახოტი. მზე, რომელიც ყველაფერსა სწვავდა ველებზე,

ყველაზე მეტად ძახოტის უდაღავდა გულს. ბავშვობიდანვე იგი დანანებით ფიქრობდა, რომ ვერაკითარი ადამიანური ძალა ღვთის ნება-სურვილს ვერ შეცვლის. ამ წელსაც ეგონა, რომ არხები ვერაფერს უშველიდა დაგვალულ ყანებს და გადაწყვიტა ბეღლის გაყიდვა. ფიქრობდა: ბეღლის ფულით ხორბალსა და სიმინდს მოვიმარაგებო.

თერგის მღვრიე წყალი არხებით ველებზე გაჯირითდა და, მზეზე გაბრწყინებული, სიმინდისა და პურის ყანებში გაჭრილ კვლებზე ისე გაიბნა, როგორც ვერცხლისფერი წვრილი ძაფები.

ძახოტიმ არც ახლა ირწმუნა ეს ახალი საქმე, მაგრამ შრომას კი მოუმატა. თავისი რგოლით იგი ყანებში ტრიალებდა რიერაკიდან საღამობანამდე და ცდილობდა, რაც შეიძლება სწორად გამოეყენებინა ეს კაცის მშველელი წყალი. ხშირად ეკვის თვალითაც კი უყურებდა, სხვა ბრიგადამ წყლის გაყოფისას თავის ნაკვეთისკენ მეტი ხომ არ გაუშვა და ჩვენ ხომ არ მოგვატყუაო. უთვალთვალებდა, არავის გაეფუჭებია სარწყავი არხი. იგი ისე გაიტაცა ამ ამბავმა, მთელი ზაფხული თავის სახლსა და სოფელში არ წასულა, საველე კარავში დაიგო ლოგინი.

გულღიად იცინოდა და მხიარულობდა, როცა დაინახა, რომ, მოუხედავად ღმერთის სურვილისა, არც დაჭკნა და არც ნაადრევად გაყვითლდა ნათესები. პირიქით, სალად გამწვანდნენ, ცისკენ წაიღინენ, აყვავდნენ და მერე დამწიფდნენ. პურის ყანაში მიწისაკენ დახრილი თავთავები ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულს დაემსგავსნენ, ხოლო სიმინდი კი ისე გაიზარდა, საღამოზე რომ გახედავდა ძახოტი, ასე ეგონა, ველზე ტყის შავი და ხქელი ტეერი დგასო.

ძახოტი მხარს უბამდა კოლმეურნეთა საერთო მხიარულებას და ახლა უკვე სულ სხვა რამეს გაიძახოდა:

— ეჰ, ნეტავი აქამდე მოგვეფიქრებინა ამ საქმის გაკეთება. რა უბედოდ ვიშიმშილეთ შარშან. განა ძველად არ შეგვეძლო ასე გაერთიანება? ეჰ, რა ძალა გვაქვს ახლა! იმ დალოცვილმა ღმერთმა ეს რამდენი მანქანა გამოგვიგზავნა!

— ღმერთმაო!.. ღმერთი ემტეესის დირექტორად დაუყენეს თუ?! — კეთილად იცინოდა ძარახი.

დაიწყო მოსავლის აღება. ჭუშა-ხელი განსაკუთრებით გაავირდა. ძახოტი შეეჯეჯა ძარახი, შუნთან მამუშავე კომბაინზეო. მეზობელმა დიდი სიამოვნებით დააკმაყოფილა მისი თხოვნა: დააყენა ნამჯსაგრეხთან.

ძახოტი ყოველ დღე უყურებდა ამ თვითმავალ კომბაინს და აღტაცება მაინც არ უნელდებოდა.

— უყურე შენ ერთი ამას!.. თავისით დადის, უტრაქტოროდ!

მუხლზე იტყაპუნებდა ფართო ხელისგულს და თავს აქნევდა გაკვირვებით.

ოქროსფერ ყანებში, რომლებიც ზღვასავით გადაშლილიყო, საქმიანად დაგუგუნებდნენ კომბაინები. მათ ახლოს ფუსფუსებდნენ სატვირთო ავტომანქანები, ძარას იესებდნენ წმინდა ხორბლით და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, აბა, ვინ ვის გაასწრებსო.

მეზობლები ბეჯითად შრომობდნენ.

— ახლა რას იტყვი, ძახოტი, ვისმა სურვილმა და ძალამ გაიმარჯვა? — ეხუმრებოდა ძარახი, როცა თამბაქოს მოსაწევად შეისვენებდნენ მცირე ხნით: — მე მგონია, ღმერთს ვაჯობეთ, ჰა?

— მართალი ხარ, მართალი, ძარახი! — მოკლედ უპასუხებდა ხოლმე ძახოტი.

— შემოდგომა ეს ესაა დაიწყო, ჩემო კარგო, გამოვითვალე და უკვე ხუთასი შრომადღე მაქვს. რასაკვირველია, კიდევ მოვუმატებ და...

— მერე რა, რომ მოუმატებ?

— თვითეულ შრომადღეზე, ჩემი ფიქრით, ათ კილოგრამ მარცვლეულს მოგვცემენ. ათჯერ ხუთასი ეს იქნება... ეს იქნება... აბა, ერთი მოითვალე!

— ათჯერ ხუთასი იქნება... — ძარახიმ წარბები შეჰყარა, შუბლი მოკმუხნა და მიწას დააშტერდა, თითქოს იქ ეწერაო პასუხი. — ეს იქნება... ძალიან, ძალიან ბევრი იქნება.

— სამას ფუთზე მეტი იქნება.—დააზუსტა ძარახიმ. — ჰოდა, შენც ხომ ამდენი შრომადღე გაქვს. ამდენ დოვლათს სად შეინახავ, ბეღელი რომ ალარა გაქვს?

— ეგ მაწუხებს მეც.

— შენ უკვე მართლა გგონია, რომ ამდენს მიიღებ? — ხმამაღლა გაიცინა ძარახიმ.

— არა თუ? დილით ჩემი უურით გავიგონე, თავმჯდომარე ამბობდა, სახელმწიფოს შარშანდელთან შედარებით ოთხჯერ მეტი პური ჩავაბარეთო. სათესლეც ბლომად შეეინახეთო. საალაფო, სადა-

ზღვეეო და სასურსათო ფონდიც გადავდეევითო. მოსავალს ეტყობა, წელს შრომადღეზე ათი კილოგრამი მაინც განაწილდებაო, აბა!

• •

შემოდგომის დღე იყო. ყინულავდა. ძახოტის ეზოში შეგუგუნდა მსხვილი, ვერცხლისფერი ტაროებით ძარასავსე მანქანა.

— სად გადმოვცალოთ? — შეეკითხა შოფერი.

ძახოტიმ ირგვლივ მიმოიხედა და დაბნეული სახით შეხედა შემკითხველს. თვითონაც არ იცოდა, სადღა შეენახა ჭირნახული. ოთახები და დერეფანი უკვე სავსე იყო ხორბლით, ხოლო ბეღელი კი, ამაყად რომ დგას ისევ თავის ადგილზე, რახანია გაყიდა. ადგილი არა აქვს ჭირნახულის შესანახად! აი უბედურება!

— რა ვქნა, ჯერჯერობით აგერ დავყაროთ, მიწაზე. მერე მე და ჩემი დედაბერი შევინახავთ სადმე, — თქვა ძახოტიმ.

შოფერმა მანქანა დაცალა და წავიდა.

— რა ვიღონოთ ახლა, სად წავიღოთ ეს სიმინდი? — ჰკითხა შეწუხებულმა ქმარმა ცოლს, რომელმაც ტაროზე მისეულ ქათმებს დაუქშია.

— ძაე წვიმაში ხომ ვერ დავტოვებთ? წვიმა წვიმაა, მაგრამ ქათმები სულ დაიტაცებენ...

— აბა, რას იზამენ... ვერა ხედავ, ეს შეჩვენებულები დაბარებულებივით რომ დაესხიენ ხვავს! ღმერთო ჩემო, მერედა, რა სიმინდია, რა წმინდა და მსხვილი. ჩემს დღეში ამისთანა ტაროს მნახველი არა ვარ...

— მეტი რა ჩარაა, სხვენზე უნდა დავყაროთ,— თქვა ძახოტიმ, — სხვა ადგილი არა გვაქვს და რა ვქნათ, ჰა?

რა უნდა ექნათ? ხმისამოუღებლად, მაგრამ აჩქარებით დაიწყეს სხვენზე ტაროს აზიდვა. ორიოდე საათის შემდეგ სხვენი მთლიანად გაივსო, ხვავი კი განახევრებულიც არ იყო. დარჩენილ სიმინდს აწვიმდა.

ძახოტიმ ჩოხის სახელოთი მოიწმინდა შუბლზე ოფლი და დაფიქრდა, კიდევ სად შეიძლებოდა ტაროს შენახვა.

უცებ სახლში რაღაც ლაწანი გაისმა და აყლრიალდა ფანჯრის მინები.

— ძახოტი, ძახოტი! — დაიწყეს უხეში ყვირილი შარაზე ხტუნვა-ხტუნვით მომავალმა ბავშვებმა, თან ხელებს იქნევდნენ:

— ჩქარა, ჩქარა მიხედე! შეხედე, რა ხდება შენს სახლში!..

ძახოტი გაიქცა სახლისკენ და რომ დაინახა, რაც იქ ხდებოდა, კინაღამ გული გაუსკდა.

დამსხვრეული ფანჯრიდან გარეთ, ტალახში, თეთრ მდინარესავით მოედინებოდა ტარო. ყოველის მხრიდან გამორბოდნენ ქათმები, ღორები, თხები და ეხვეოდნენ ამ ტაროს.

ძახოტის არ უფიქრია იმაზე, რომ ჭერი ამდენ სიმძიმეს ვერ გაუძლებდა. დაუფიქრებლობამ კი მთელი მისი ჯაფა წყალში ჩაყარა. ხედავს სხვენი მთლიანად ჩამონგრეულა და ტარო, მტვერსა და ჩეჩქში არეული, სავსე სახლში რომ ველარ დატეულა, გამოუტეხია ფანჯარა და ახლა ტალახში ხვავდება.

— ქალო, ჩქარა მომეშველე, თორემ ვიღუპებით! — გიჟივით დაიღრიალა ძახოტიმ, მივარდა ფანჯარას, ჩარჩოზე ხელები მოკიდა და მკერდით მიაწვა.

— ბალღმი!.. ბალიში ჩქარა, ეგებ შევაჩეროთ როგორმე!

დედაბერს კი თავისი დარდი და საზრუნავი ჰქონდა. ძროხა, ქათმები, ღორები და თხები შემოესივნენ დარჩენილ ხვავს ეზოში, მსხვილ-მსხვილ ტაროებს არჩევდნენ, მიათრევდნენ შორს და ტკბილ ნადავლს ხარბად შეექცეოდნენ.

— ღმერთო, შენ შემეწიე! რა ამბავია ეს? კაცო, კაცო, სადა ხარ, მომეხმარე, თორემ მთელი ხვავი შემიქამეს ამ ოხრებმა!... მშიერი მგლებივით დამესივნენ ეს მგლის შესაქმელები! გაწყდით, გაწყდით ერთ დღეს! აქში, აქში, თქვე შეჩვენებულებო, ველამ კი შეგქამოთ ამაღამვე! აქში, აქში! — ეზოში ხან აღმა მირბოდა დედაბერი და ხან დაღმა.

— ქალო, არ გესმის ჩემი სიტყვა?! მიანებე მაგ ხვავს თავი! — ყვიროდა გაოგნებული ძახოტი. თვი ძლივძლივობით იკავებდა სიმინდის მოწოლას. გრძნობდა, რომ ქანცი ელოდა. ეშინოდა, მეხლმა არ მიღალატოს, მოწოლილმა ტარომ არ დამჯაბნოს და მე თვითონ არ დამმარხოსო. ამიტომ ყვიროდა ასე გამწარებული.

— რაიო?! ქათამი ეხვევა ხვავსო?! ჯანდაბას იმათი თავი. შენს ქელეხში დამეკლას ხვალვე ეგე-

ნი, დაანებე თავი! ბალიში მომიტანე მალე!.. არა, ბალიში კი არა, ფიცრები, მაგარი ფიცრები, თორემ საცაა წამაქცია და ეგ არის!

ძარახიმ გაიგონა, რომ რაღაც არეულობაა მეზობლის სახლში და მაშინვე მოვარდა დასახმარებლად. შეხედა ძახოტის და კინაღამ გაცინა.

— რა დაგემართა, მეზობელო, ასე გაგიხდა საქმე, რომ ტაროში იმარხები?

— მომშორდი, მომშორდი აქედან! — დაიბღაველა ძახოტიმ და თვალები უხეშად გადმოუტრაწა. — ჩემმა ვირმა კი გიმეზობლოს შენ, ეს ყველაფერი შენგან მჭირს, შენგან! შენი ბრალია ყველაფერი!... ბეღელი წამართვი და ახლა დამცინი კიდეც, არა? შე უნამუსო, შე მატყუარა, ჩემს დასაცინად მოხვედი? მომშორდი აქედან, მომშორდი! ახლა თავისი მრისხანება ისევ ცოლზე გადაიტანა:

— ყალაგონ! რას შერები ამდენხანს, წელში გაეწყდი კაცი, შენ გაგიწყდა წუთისოფელი? მოიტა ჩქარა ფიცრები!

— ძახოტი, დამშვიდდი, ასე უთაურად რა გაღრიალებს, კაცო! — უთხრა მშვიდად ძარახიმ, რომელმაც მეზობლის ავი სიტყვები გულთან ახლოსაც არ მიიკარა. — აბა, ერთი მე მიმიშვი ფანჯარასთან, შენ კი ფიცრები მომიტანე. აი, ახლავე ავკედავთ...

და იგი არც დაელოდა გულმოსული მეზობლის გვერდზე გადადგომას, თვითონ გასწია, ღონიერი მხარით, დადგა მის ადგილზე და ფანჯარა მკერდით დახურა.

ძახოტი გაიქცა ეზოსკენ და რას ხედავს: მისი ცოლი ხელებს იქით-აქეთ აქნევს, დაწრიალებს ალთა-ბალთა, მაგრამ ქათმები და ღორები მაინც არ ეპუებიან, ტალახში მოთრევენ დოვლათს. ძახოტის თვალები აემღვრა, ისე გაბრაზდა, სისხლი თავში აუვარდა, გაიქცა ფარდულში, იქ დაჭრილი შეშის გვერდზე ნაჯახი ეგდო, წამოაევლო ხელი, მივარდა თავის გაყიდულ ბეღელს და დაუწყო ჭრა.

— აი, ესეც შენ! აი, ესეც შენ!..

— ჰეი, რას შვები მაგას?! — დაიძახა ამის შემხედვარე ძარახიმ, უმალვე გაიძრო თავისი ბამბულა პალტო, მოხერხებულად გამოტენა ფანჯარა, გაიქცა ძახოტისკენ, მივარდა უკანიდან და გააკავა. — ჭკუაგადაბრუნებულო, სხვის შრომელს ანგრევ? განა არ იცი, რომ აქ სათესლე ხორბალია?

— სხვისი კი არა. ჩემია, ჩემი, ეს ბეღელი! — შეშლილივით ბღაოდა ძახოტი. — შენ მომატყუე, შენ და გაიძვერობით წამართვი... ჰო, შენ!

იგი დათვივით გაჯმაჯურდა, გაუსხლტა ძარახის და კვლავ მთელი ძალით დაუწყო ბეღელს ჩეხვა.

ძარახიმ ახლა უფრო მოხერხებულად წაავლო მას ხელები, ნაჯახი წაართვა და მტკიცედ შეუძახა:

— ძახოტი, მე შენ გირჩევ, ბეღელს თავი დაანებო, თორემ კარგი დღე არ დაგადგება!

მან ნაჯახი დედაბერს ჩააბარა და თავის ეზოში გადახტა. განერიდა აფორიაქებულ კაცს.

— შე უბედურო, შენა! მომიცადე ერთი, მე შენ გაგიჩენ სამართალს! — მუქარა გაადევნა ძახოტიმ. — გაიძვერა ხარ, სხვა არაფერი! მე შენ გიჩვენებ თუ როგორ უნდა მეზობლისაგან ბეღლის გამოტყუება! ქვეყანა ჩალით კი არაა დახურული. აგერ ხომ გვაქვს სასოფლო საბჭო, გიჩივლებ და თუ ბიჭი ხარ, იქ აგე პასუხი! იქ გაარკვევენ შენს გაიძვერობას, იქ!..

ძარახიმ თავისი გულისწყრომა საკუთარ გულშივე ჩაიმარხა, ერთიც არ მოუხედია უკან, რომ უსამართლოდ მაგინებელი მეზობლისთვის პასუხი გაეცა, შევიდა სახლში, წამოწვა ტახტზე და ფიქრებამღვრეული დიდხანს ამშვიდებდა თავის თავს.

— „რას მერჩოდა ნეტავი, ასე რომ გამლანძღა? გაიძვერა მე მიძახა, ახლა კი ჩივილსაც მიპირებს. ვითომდა, რატომ?... რა დაემართა ნეტავი? ისე ვცხოვრობდით, ერთიმეორისთვის სული რომ გვეთხოვა, არც ერთს არ დაენანებოდა და უცებ ეს ამბავი... აქ რაღაც ძაღლის თავი მარხია. ვიღაცამ აუმღვრია ჩემზე გული ძახოტის, თორემ, არა მგონია, სხვა რამე იყოს. ეგებ ჰაიტიმ აამღვრია წყალი? გუშინ რატომღაც მის ეზოში დაბორიალობდა ეგ ვაკბატონი. იმისი საქმე იქნება ეს, იმისი... ვიცი, ვიცი მისი ამბავი, რა გაქნილი და ყალთაბანდიცაა. გული მოსდის ჩემზე, რომ ეს ბეღელი თვითონ ვერ ჩაიგდო ხელში. ძახოტი ისეთი კაცია, ყველას უჭერის, ყველას ენდობა. ჰოდა, ეგ გაიძვერა მოჩმახავდა ჩემზე რამეს და მაგ კეთილ კაცს აუმღვრევდა გულს. მაგრამ არა უშავსრა, დამშვიდდება და თვითონ მოვა ჩემთან ბოდიშის მოსახდელად. ისე როგორ წაუხდება ნამუსი, ჩემი პალტო

მაინც არ დამიბრუნოს... ჰო, მოვა, აუცილებლად მოვა...“

მაგრამ მოხუცი არ მოვიდა ბოდიშის მოსახდელად. პირიქით, მთელი დღე ღრინავდა და სწყევლიდა მეზობელს. თავის დედაბერთან ერთად, როგორც იქნა, ზოგი სად და ზოგი სად შეინახა ტარო.

მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, სოფლის საბჭოში ეჩივლა.

საღამოზე, როცა უკვე დიდი ვაი-წვალებით მოათავა თავისი საქმეები, გასწია ჰაიტისაკენ. უნდოდა, მოწმედ დაესახელებინა იგი. მოხუცი ისე იყო ძარღვებაშლილი, მეთულუხჩის სახლში ისე შევიდა, დაკაკუნებაც კი დაავიწყდა.

ძახტიმ სახლში შესვლისთანავე დაინახა, რომ ჰაიტის ცოლი წითელდეზებიან მამალსა პუტავდა. მან უცებ შეშინებული სახით მოხედა სტუმარს, ზურგი შეაქცია უმალვე, მამალს კალთა გადაიფარა, დამალა და ისე გაჩერდა. ჰაიტი კი ამ დროს სახლის კუთხეში, იატაკქვეშ სიმინდსა ყრიდა ტომრიდან. მანაც დამფრთხალი თვალებით შემოხედა მოსულს, ტომარა დაადგა, იატაკი დახურა, ძახტის ნაძალადევად გაუღიმა და მოიპატიჟა:

— მობრძანდი, ძახტი, მობრძანდი! მე და ჩემი ცოლი სწორედ ახლა ვლაპარაკობდით შენზე. ვდარდობდი, რა ეშველება ძახტის-მეთქი. ბეღელი აღარა აქვს და ჭირნახულს სად შეინახავს-მეთქი. ცოლმა კი მითხრა, შესანახი იყოს რამე და ადგილი როგორმე მოიძებნებაო.

— მოიძებნება კი, როგორ არა! — გამწყრალი ხმით სთქვა ძახტიმ. — დღეს ჭერი ჩამომენგრა.

მან დაწვრილებით მოუთხრო მასპინძლებს თავისი უბედურების ამბავი. მერე ჰაიტი გაიხმო ცალკე, დაჰპირდა, თავანკარა არაყით გამოგათრობ, ოღონდ ხვალ სოფლის საბჭოში მოდი და დამიმოწმე, მეზობელმა რომ მომატყუაო.

ჰაიტიმ შარის მოდების, ცილის წამების, ხრიკებისა და ჭორის გავრცელების მეტი რა იცოდა! მაშინვე დაჰყაბულდა, კი ბატონო.

ჰაიტიდან გამოსულ ძახტის ერთი ეკვიანი ფიქრი გამოჰყვა:

— ნეტავი, რატომ შეშინდნენ, მე რომ შევედი მათთან? უმალვე ყველაფერი რატომ მიმალ-მომალეს? აქ რაღაც ძალლის თავი მარხია... გამიგონია, ჰაიტი ქურდიაო და როგორც შევამჩნიე, ტყუილი არ უნდა იყოს ეს ამბავი...

მეორე დღეს, საღამოზე, ძახტი და ჰაიტი ერთად შეეიდნენ სოფლის საბჭოს მოზრდილ ოთახში. წითელმაუდგადაფარებულ მაგიდასთან იჯდა უკვე გაპალარაეებული ქალი. მან ჭკვიანი და კეთილი თვალებით შემოხედა მოსულებს. ძახტი კარგად იცნობდა მას. იგი დიდხანს მასწავლებლად მუშაობდა ამავე სოფელში, ამას წინეებზე კი სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

მის მარჯვნივ იჯდა ბეჩირი, კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი. ძახტი ამასაც კარგად იცნობდა. იგი მაიორის ჩინით დაბრუნდა ფრონტიდან. მთელი მკერდი ორდენებით და მედლებითა ჰქონდა დაფარული. მართალია, მარცხენა ფეხით ცოტას კოჭლობდა, მაგრამ სიარულს არ ერიდებოდა. დადიოდა ყანებში და კოლმეურნეებს საჭირბოროტო საკითხებზე ესაუბრებოდა, უხსნიდა, რაც მათ მეტად აღელვებდათ.

ხოლო თავმჯდომარის მარცხნივ იდგა ჭაბუკი. ძახტის ძმისწული. იგი განათლებით აგრონომი იყო. მუშაობდა ქალაქში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში, გასულ წელს კი ის სოფელმა გამოითხოვა და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია.

აი, ამ ხალხს უნდა გაერჩია ძახტის საქმე და მომჩივანი გაახარა მათმა დანახვამ. გაიფიქრა:

„აქ ყველა ჩემი კეთილისმყოფელია. აბა, როგორ გაუწყრებათ ღმერთი და ჩემს ბეღელს მეევ არ დამიბრუნებენო!“ და ნიშნის მოგებით გადახედა ფანჯრის, ახლოს მიდგმულ სკამზე ჩამომჯდარ, შუბლმოღუშულ ძარახის, რომელიც ხელებში ფაფახს ათამაშებდა.

— აბა, დავიწყოთ. — თქვა თავმჯდომარემ. — ძახტი, გვიამბე შენი გასაჭირი, გეითხარი, რამ შეგაწუხა?

ძახტიმ ყინჩად ასწია თავი, ჩიახველა და დაიწყო:

— რამ, ბატონო, და... აი, ჩემმა კარის მეზობელმა, ძარახიმ, ტკბილ-ტკბილი სიტყვებით მომთაფლა, გონება ამირია და ასე. გაიძვერობით, ბეღელი გამომტყუა...

— უსირცხვილო ხარ, ძახტი, და სხვა არაფერი! მე მეძახი გაიძვერას, მე?! — ძარახიმ ვეღარ მოითმინა მეზობლისგან შეურაცხყოფა და აენთო.

ძარახი თავშეკავებული ყაცი იყო, დინჯი. არ

უყვარდა არავისთან დაეა და კინკლაობა. ამიტომ მისმა გაცეცხლებამ გააკვირვა იქ მყოფნი.

— თუ პილპილი არ გიჭამია, პირი რატომ გეწვის?! გაიძვერა და მატყუარა ხარ, აბა, სხვა რა ხარ?! ხომ მომატყუე? მითხარი, ხომ მომატყუე?— ანჩხლობდა ძახატი, — მე და ჩემ დედაბერს დასაწოლი ადგილიც კი აღარა გვაქვს. მთელი სახლი ჭირნახულითაა გამოტენილი. სხვენიც კი ჩამომენგრა. ვისი ბრალია ეს ყველაფერი, ვისი? შენგან მჭირს, შენგან, იცოდე კარგად!

— პატივცემულო ძახატი, საჩხუბრად ნუ იკაპიწებ ხელებს, რას ჰგავს შენი საქციელი! შენისთანა კაცს ეგ ამბავი არ ეკადრება. ნუ ყვირი, მშვიდად ილაპარაკე. დინჯი სიტყვა უკეთესი მოსასმენია. — გააფრთხილა თავმჯდომარემ.

— კეთილო ხალხო, მე ვლაპარაკობ და თქვენ განსაჯეთ, განა კარგი კაცობაა სხვისი ბეღლის მითვისება და შიგ საკუთარი ხორბლის ჩაყრა? განა კი კაცობაა მეზობლის ღვინის ანაბარად მიტოვება? დედა, დედა, რა უსინდისობაა?! რა ბეღელი წამიერთვაო, რა ბეღელი! მზეთუნახავი, ნამდვილი მზეთუნახავი! ფართო და მაღალი, გასალაშინებული ფიცრებით ნაშენები! ცხრა თვეს რომ იწვიმოს მის თავზე, ერთი წვეთი წყალი შიგ არ ჩავარდება. აი, ამ ბეღელში ახლა მშვენივრად ყრია ძარახის პური, ჩემი კი — ვის ედარდება! ყრია ალთას და ბალთას, ასევია ღორი და ქათამი. ხოლო მე თვითონ, რაც მთავარია, დასაწოლი ადგილიც აღარა მაქვს. აბა, კარგად განსაჯეთ, კეთილო ხალხო, სწორია ასეთი საქციელი?! მაგას თავისი საკუთარი ბეღელიცა აქვს, დიდი, ახლა კი ჩემიც მიიტაცა. ჰო, მოტყუებით მიითვისა! რაღა ექნა ახლა მე?! თავი ჩამოვიხრჩო?!

— ძახატი, ბოდიში რომ შეგაჩერეთ, მაგრამ ერთი ეს მოგვახსენე, როგორ მოგატყუა, რა გზით, რა ხრიკით? — ჰკითხა ბეჩირიმ.

— როგორ, ბატონო, და... ძახატის დაბნეულობა შეეტყო. — ჯერ კიდევ ადრე, გესმით, როცა ბეღელი ჩემი იყო, მე და ეგ, ერთ საღამოს ერთად ვიჯექით და ვბაასობდით. მაშინ ვთქვი: „ჰაიტი ბეღელზე მევაჭრება-მეთქი". ეს მართლაც ასე იყო. ჰაიტი, ხომ დამიმოწმებ, რასაც ვამბობ? ხომ ნამდვილად გინდოდა ჩემი ბეღლის ყიდვა?

— რაც მართალია, მართალია, მინდოდა. — წინ წამოდგა და დარბაისლურად დაიწყო ჰაიტიმ.— პირველად მე მინდოდა იმ ბეღლის ყიდვა და კარგი ფასიც შევაძლე.

— ჰაიტი, რას წამობტი, მოვა შენი ჯერი, შეგეკითხებით და მერე გაგვეცი პასუხი, ახლა კი გაჩუმდი და დაჯექი შენს ადგილზე. — შეაჩერა იგი ბეჩირიმ და ძახატის მიუბრუნდა: — განაგრძე!

— ჰოდა, ეს რომ ვუთხარი ძარახის, მაგან მირჩია: „არ შეცდე, ამ დოყლაპიას არ მიჰყიდო ბეღელიო". მე მართლაც ჰაიტის არ მივყიდე ბეღელი, მაგრამ... მაგრამ სამაგიეროდ თვითონ ძარახიმ გამომტყუა, მაგან იყიდა და მე უბეღლოდ დამტოვა აბა! განა ეს ხრიკი არაა? განა ეს მოტყუება არაა? აი, როგორი ცბიერი და მზაკვარია ჩემი მეზობელი! ყველაფერს, როგორც ეჩო, თავისკენ მიითლის... ძალიან გთხოვთ, მიაქციოთ ამას ყურადღება. განსაჯეთ ჩემი მდგომარეობა, დამიბრუნეთ ჩემი კუთვნილი ბეღელი...

— ბიძაჩემო, შენ ამბობ, რომ ძარახიმ მომატყუაო, მაგრამ მე მაინც ვერ გავიგე, როგორ მოგატყუა. — სიტყვა გააწყვეტინა ძმისწულმა ძახატის. — შენ ხომ მიჰყიდე ბეღელი? — მიჰყიდე. ეგება ფული არ მოუცია, ჰა?

— ჯანდაბას ეგეც და მაგის ფულიც. რა ოხროობად მინდა ფული! აი, თუ უნდა, ახლავე იმ უსინდისო შუბლში მივაყრი თავის გროშებს...

— მოიცა, ნუ ყვირი! — კელავ გააწყვეტინა ძმისწულმა. — ფული მოუცია. იმდენი მოგცა, რამდენზეც მორიგდით?

— იმდენი მომცა. გროშიც არ დაუკლია, მაგრამ...

— აბა, მე არ მესმის, როგორლა მოგატყუა?

— როგორ თუ არ მომატყუა! მომატყუა და ისე! როცა მე ჰაიტიზე ვყიდდი ბეღელს, დღენიადაგ ჩამჩიჩინებდა ყურში: არ შეცდე, — არ გაყიდოო, — ხოლო თვითონ რომ ყიდულობდა, ერთხელაც არ წამოსცდენია, — ნუ მომყიდიო, — აბა! აი, ნახეთ რა იხვია!

ვიღაცას სიცილი წასკდა და მერე ხმამაღლა გადაიხარხარა.

ძახატი შაგეულა ყაყაჩოსაეით გაწითლდა. იგი თანდათან გრძნობდა, რომ იმას არ ლაპარაკობდა. რის თქმასაც საერთოდ ფიქრობდა. მიხვდა, რომ ვერ იპოვა მეზობლის გამამტყუნებელი სიტყვა. ბოლოს, რატომღაც გული მოუვიდა თავის თავზე, ეს რა მემართება, ვიღუპები, ბეღელს ვკარგავო.

მოიკრიფა უკანასკნელი ძალ-ღონე, აზრი, ეგონა. ყვირილით უფრო დავამტკიცებ ჩემს სიმართლესო და, რაც შეეძლო, ხმას აუწია:

— მე ბეღელს არ გავყიდიდი, არა! მომატყუა, მომატყუა მაგან! აი, ჰაიტია ამის მოწმე. ჰკითხეთ, ჰკითხეთ ჰაიტს, თუ ჩემი არა გჯერათ!

ძახოტის ხმა ჩაეხლიჩა ყვირილისაგან, აღელვებამ ძალა წაართვა, გვერდზე გადგა და თავისი ადგილი ჰაიტის დაუთმო.

ჰაიტი არ იყო მაინცდამაინც მახვილგონიერი კაცი. არც მოხერხებულობით გამოირჩეოდა სხვისგან. მაგრამ თუ რაიმე სარგებელს ელოდა, თუნდაც როკაპზე იტყოდა: ანგელოსიაო. ურცხვი და თავხედი, მუდამ ტყუილს ლაპარაკობდა, თუმცა ამის გამო თავის დღეში ერთხელაც კი არ გაწითლებულა.

პირხმელი და ტანაწოწილი კვლავ დარბაისლურად გამოიჭიმა წინ.

ძახოტის ძმისწული და ბიჭერი გააცინა მისმა „დარბაისლურობამ". და მარტო ისინი კი არა, თვითონ ძარღვებაშლილმა ძახოტიმაც კი ჩაიცინა ულვაშებში, ჰაიტი რომ დაინახა გაყინჩული.

— ჩემო ძვირფასო და კეთილო ხალხო, — დაიწყო მან შემპარავი ხმით,—ამ საქმეში ძახოტი ერთხელ მოატყუეს, მე კი — ორჯერ. ჰო, ორჯერ გამაცურეს ყინულზე. ენა გამიხმეს თუ ვსტყუოდე.

ძახოტის თვალები გაუნათდა, მან მოწონების ნიშნად, ღიმილით გადახედა თავის მოწმეს და თავიც დაუქნია: აგრე, აგრე, მართალს ლაპარაკობ.

— შენ რად მიცინი, ძახოტი, ხომ იცი, მე გინდა მომკალი და გინდა ტყუილი მათქმევინე. ყველაფერს ზუსტად მოგიყვებით, როგორც ნამდვილად იყო... ერთხელ მოვიდა ჩემთან ძახოტი და შემომჩივლა: „ცარიელი ბეღელი მიყუდია ეზოში, რა ოხრობად მინდა, უნდა გავყიდო და როგორ მირჩევ?" „რაკი ასეა, მე მომყიდე-მეთქი", — ვუთხარი. და აი, ჩემო ძვირფასებო, ღმერთმა სიკეთე ნუ მოგიშალოთ, ეს რომ ვუთხარი, რატომლაც სხვანაირ ხასიათზე დადგა, მგონი დაეკვედა, გავყიდო ბეღელი თუ არ გავყიდო. ბოლოს მითხრა: „ეჰ, ცოტას შევიცდი კიდევ და პასუხს მერე გეტყვიო"!

სწორი გითხრათ, მე ბეღელი გულში ჩამივარდა და გადავწყვიტე მისი ყიდვა. ფიციც კი ჩამოვართვი საკუთარ თავს: „მე ბიჭი არ ვიყო, თუ ძახოტის ბეღელი ჩემს ეზოში არ გადმოვასახლო-მეთქი". უნდა გამოგიტყდეთ, რომ ნამდვილად მომწონს ეს შრამელი. შრამელი კი არა, გასათხოვარი ლამაზი გოგოა სწორედ. ყველას სატკივარი მე შემეყაროს, თუ ვსტყუოდე.

ჰოდა, მოვიპატიჟე ძახოტი სახლში; ცოლს ქათამი დავაკვლევინე, ქადა-ნაზუქები გამოვაცხობინე, თავანკარა არაყი მოვატანინე და ტკბილა სუფრა გავშალე.

შევყევით ლაპარაკს, ბევრი ვთქვით, ბევრი ვემასლაათეთ და მე ისევ ვუთხარი მას: „როგორაა საქმე, ჰყიდი თუ არა ბეღელს-მეთქი"? დამყბაულდა: „ჰო, ვყიდი, აბა, ცარიელი ბეღელი რად მინდა, ეზოში გულშემოსაყარად დგასო. რაკი შენც გულით გინდა, სხვა შუშტარი რატომლა ვეძებო, ბარემ მოვრიგდეთ და იყიდეო". რომ შეთვრა, ისევ უკან წაიღო თავისი სიტყვა: „არა, ცოტას კიდევ მოვიცდიო!" მე ჩავუარაკე: „იყო ერთი კაცი-მეთქი. ჰყავდა ვირი. ეს ვირი ყროყინის მეტს არაფერს არ აკეთებდა. დაპუნტრაკობდა ეზოში უსაქმოდ. აი, იმ გლეხივითაა ახლა შენი საქმე: რად გინდა ბეღელი? შენ ხომ ორი წელია, შიგ ერთი მარცვალიც კი არ შეგინახავს. მომყიდე, კარგ ფასს მოგცემ-მეთქი. დავწალი ბეღელს და მის ფიცრებს ხიმეს გასაკეთებლად გამოვიყენებ-მეთქი". — ჰო, ასე ვუთხარი.

ვუთხარი და დამეთანხმა: მართალი ხარო. მოვრიგდით კიდეც.

ალბათ მალე ის ბეღელი ჩემი იქნებოდა, მაგრამ ჩვენს შორის უტარო კოეზიკით ჩაეჩარა ძარახი.

ერთ დღეს მივედი ძახოტისთან, ბე მიეუტანე და რას ვხედავ: ძარახის ბეღლისთვის კარები მოუხსნია და თავისი ეზოს მხრისკენ გაუკეთებია.

ვეუბნები: „ეს რა თავნებობა ჭრის-მეთქი, ძარახი! ისე იქცევი, თითქოს შენ იყო მაგ ბეღლის პატრონი-მეთქი, და არა მე".

მან თავხედურად გაიცინა და მომახალა ურცხვად: შენ ხომ არ დაგსიზმრებია, რომ ეს ბეღელი შენიაო. ჩემია და როგორც მინდა, ისე შევაბამ კარსაო.

განა ეს მოტყუება არ არის? ძახოტიმ მეც მომატყუა და თავისი თავიც, თუ ვსტყუოდე, დღესვე ყველას სატკივარი მე შემეყაროს.

აი, როგორც თქვენ თვითონ ხედავთ, მრგვალად მოხარშული დედალი და ქონში ატიტიეებული ქადა-ნაზუქები შემიპამა, თავანკარა არაყი დამიწრუპა, ბეღელი კი სხვას მიპყიდა...

აქ, თითქოს სიტყვა ყელზე დაადგაო, ხველება აუტყდა. უცებ შეცბა, გაიფიქრა, ეს რა წამოვიყრანტალეო. ძახოტიმ ახლა იმ ქათმის ამბავი არ გაიხსენოს, თორემ დამლუპავსო. მაგის ამბავი რომ ეთქვა, გულში არაფერს არ შეინახავსო...

— ბოდიში, ცოტა არ იყოს გავციედი და მახველებს... ჰოდა...

თავმჯდომარეს რატომღაც გაეცინა:

— ისე ახველებ, თითქოს მაშინდელი ქათმის ძვალი ახლა გაგეჩხირა ყელში. ახველე, ახველე, არაუშავსარა, ჩაიწმინდე ყელი. ოღონდ სულ მაგ ხველებას კი ნუ გადაჰყვები, ბარემ მოათავე სათქმელი, მოკლედ თქვი, მოკლედ.

— მე უკვე ვთქვი ჩემი სათქმელი და ეგ იყო...

ახლა ბეჩირიმ გაიცინა:

— ესე იგი, ჰაიტი, ყველაზე დაჩაგრული კაცი ამ საქმეში შენ გამოდიხარ, არა? შენ გინდოდა ძახოტისთვის კეთილი საქმე გაგეკეთებინა, ძახოტიმ კი მშვენიერად იპურმარილა შენს სახლში და ბეღელი კი სხვას მიპყიდა, არა?

— დიახ, დიახ! თითქოს ჩემს გულში იჯდეთ, ისე ლაპარაკობთ! მეც სწორედ მაგის თქმა მინდოდა. გთხოვთ, მაგ ორივე თაღლითს ჩამოართვათ ბეღელი და კუთვნილებისამებრ მე მომცეთ. რამდენადაც გავურიგდი, იმ ფულს დღესავე ჩავაბარებ. აი, ასე თუ გადასწყვეტთ ჩვენს დავას, ძალიან სამართლიანად მოიქცევით, ღმერთმანი.

— კარგი, გეყოფათ, დაბრძანდით. — ხელი დაუქნია სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ ჰაიტის და ძარახის გადახედა:— აბა, ძარახი, შენ რას იტყვი? გვიამბე, როგორ მოატყუე მეზობელი.

ძარახის საერთოდ ეჯავრებოდა ჭორიკანა, მაბეზღარა, შარიანი, ცილისმწამებელი და სხვა ასეთი ჯურის კაცი. ერიდებოდა კინკლაობას, ტყუილუბრალოდ დავასა და ჩხუბს, მაგრამ ახლა, როცა მას სინდისი შეუგინეს, იგი იძულებული გახდა, ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა.

— კეთილო ხალხო, მე არავინ არ მომიტყუებია არასოდეს და არც მოვატყუებ. აი, საქმე რაშია. მე მართლაც გულწრფელად ვუთხარი ძახოტის: „არ გაყიდო ბეღელი, იცოდე, მალე თვითონაც დაგჭირდება-მეთქი. მერე რა რომ შარშან გვალვამ დაახრჩო მოსავალი და შიგ არაფერი ჩაგიყრია. აი, ამ არხებს ტყუილად ხომ არა ვეკრით, წელს ბევრ პურსა და სიმინდს მოვიყვანთ და თუ ბეღელს გაყიდი, იმ დოვლათს სადღა ჩაყრი-მეთქი“. მაგ კი სულ თავისას გაიძახოდა: „არხი გინდა ყოფილა და გინდა არაო. ღვთის ნებაა ყველაფერიო“. არ დამიჯერა, არა. ხომ ასე იყო, ძახოტი, გულზე ხელი დაიდე და ისე მიპასუხე?

— ჰო, გვქონდა ასეთი ლაპარაკი, კი. — შეცბა ძახოტი.

ძარახიმ განაგრძო:

— ჰო, არ დამიჯერა და გადაწყვიტა ბეღლის გაყიდვა აუცილებლად. დაიჯინა, ჰაიტის უნდა მიეყიდოო. მე ვიცი ჰაიტის ხრიკების ამბავი. უნდოდა შეშის ფასად დაეცანცლა გულუბრყვილო ძახოტისთვის ბეღელი, შემეცოდა მეზობელი და გავუმეღავნე ჩემი გულის სათქმელი: „რაკი არ იშლი და ჰყიდი, ბარემ მე შომყიდე-მეთქი. ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო, იტყვიან. შენც შეჩვეული ხარ ამ ადგილზე ამ ბეღელს და მეც. იდგეს თავის ადგილზე. ეგ რომ ავიღოთ, მაგ ადგილზე მესერის გაკეთება დაგვჭირდება-მეთქი“. ჰო, ასე ვუთხარი და იმაზე მეტი ფულიც შეეძლიე, ვიდრე ჰაიტი აძლევდა.

გაეხარდა, დამყაბულდა და მომყიდა. მეც ავიღე და კარები ბეღელს ჩემი ეზოს მხრიდან გავუკეთე.

წინა კვირას კი მოვიდა ჩემთან კოლმეურნეობის მებეღლე და მკითხა:

— რა გიყრია მაგ ბეღელშიო?

— მაგაში ჯერჯერობით არაფერი-მეთქი, — მივუგე, — ხომ ხედავ, აგერ ჩემი გაკეთებული ვეებერთელა ბეღელი მიდგას და ყველაფერს ამაში ვყრი-მეთქი.

— მაშ, თუ ასეა, ეგ ბეღელი კოლმეურნეობას დაუთმეო. რაც გადაგიხდია, ახლავე აგინაზღაურებთო. სათესლე ხორბლის შენახვა გვინდა. ამ ბეღელშიო.

მე არც კი დავფიქრებულვარ, ბეღელი კოლმეურნეობას დავუთმე, დავუთმე იმავე ფასად, როგორადაც თვითონ ვიყიდე.

— და სწორადაც მოიქეცი. — სიტყვა ჩაურთო ბეჩირიმ. — კოლმეურნეობის გამგეობა კმაყოფილებით შეხვდა ამ ამბავს. შენ ამით ძალიან კარგი დახმარება გაგეიწიე.

— ამ შემთხვევაში, მე მგონია, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ჩემსავით მოიქცეოდა... ახლა მე სხვა რამე მინდა გითხრათ. აი, ძახოტიმ კოლმეურნეობაში მუყაითად იმუშავა და ჭირნახულიც ბლომად მიიღო, მაგრამ ერთი ანდაზისა არ იყოს, გლახამ ფული იშოვა და მისი შესანახი ვერაო, ამ კაცს ჭირნახულის შესანახი ადგილი აღარა აქვს. მართალი სთქვა: მთელი სახლი გამოტენილი აქვს ლოლათით. ისიც მართალია, რომ სხვენი ჩამოენგრა, რადგან იქ იმაზე მეტი ტარო დაყარა, ვიდრე ჭერი დაიტევდა. ახლა ისე გამოდის, რომ მე ვარ დამნაშავე ამაში, მაგან რომ ბევრი ჭირნახული მიიღო, არა? კარგი, ასე იყოს. მხოლოდ იმას კი დავსძენ აქვე, რომ შემოდგომის შესახებ ყველამ უფრო ადრე უნდა იფიქროს, — გაზაფხულზე. სინდისს გეფიცებით, მე ვგრძნობდი, ძახოტის გაუჭირდებოდა ჭირნახულის დაბინავება შემოდგომაზე და ამიტომ ვაფრთხილებდი, ნუ გაყიდი ბეღელს-მეთქი. არ დამიჯერა და ახლა ისევ მე ვარ დამნაშავე, მაგან რომ არ დამიჯერა? ჰო, ძახოტის ასე ჰგონია რატომლაც. გაიძვერასაც კი მეძახის, ესაა სამართალი? აი, ამ ხალხის წინაშევე მომიხადოს ბოდიში. ერთი მითხრას, მე რომ მაგისთვის კეთილი მსურდა, ბოროტად რატომ მომიზღო, რატომ მომაყენა შეურაცხყოფა?.. რას მიქვია ბეღელი და იმის გამო მეზობლების სამტროდ გადაკიდება! განა ჩვენს დროში ძნელია ახალი ბეღლის აშენება თუ? მე ეოცი ძახოტის გულის ამბავი, ცუდი კაცი არაა, თორემ ამდენ რამეს სხვას არ ვაპატიებდი... ჰოდა. მე ახლა იმის თქმა მინდა, რომ ძახოტის უპირს უბეღლოდ და უნდა დავეხმაროთ. ცოდვაა ეს კაცი უბეღლოდ. აი, შალე მოთავდება კოლმეურნეობის დიდი ბეღელი. ჩემი ფიქრით, სათესლე ხორბალი იქ გადავზიდოთ, ძახოტის კი უკანვე დავუბრუნოთ თავისი შრომელი, რასაკვირველია, იმავე ფასად. როგორადაც გაყიდა, რას იტყვით თქვენ, ჰა?

— გესმის, ძახოტი? — ღიმილით გადახედა თავმჯდომარემ მომჩივანს. — ამ კაცს ეძახდი შენ გაიძვერას? იცოდე, შზეს ტალახი არ უნდა ესროლო...

ძახოტი სირცხვილისაგან გაწითლდა, როგორც შემწვარი ჭარხალი. ჯერ ძარახისკენ გაიხედა დამნაშავესავით, მერე ჰაიტის მიაშტერდა, როგორც მშიერი მგელი ყრავს. და სეტყვასავით მიაყარა სიტყვები:

— ამ თაღლითმა მომატყუა, ამ თაღლითმა! სხვა საქმე არაფერი ჰქონდა და სულ იმას ჩამყიოდა ყურში: „ეჰ, რა კაცი ხარ შენ, კარისმეზობელმა ასე როგორ აგიხვია თვალები და უნამუსოდ მოგატყუა იმ გაიძვერამო.“ ახლა ყველაფერს მივხვდი თუ ვინ ყოფილა ჩემი მტერი და ვინ მოყვარე. ეს კაცი თვითონაა მატყუარა, გაქნილი, მატრაბაზი, გულლრძო, ბოროტი და სხვა ათასი ჯანაბ-ჯალბანა. ამას ვინღა ჩივის, ქურდიცაა, ყაჩაღიცაა. ყოველ ღამე სიმინდსა და ქათმებს იპარავს.

— ჩემო კარგო მეზობლებო, არ დაუჯეროთ მაგ ლაზღანდარას, არ დაუჯეროთ. რაღაცას რიტავს, თვითონაც არ იცის! — აყვირდა ჰაიტი.

ამ დროს ხელები უკანკალებდა მას. ისე დადგა. თითქოს ეშინია, საცაა ვინმე თავში წამოთაქებს მუშტსო.

— ღმერთმანი, მე არასოდეს მომიპარავს რამე!

— თუ არ მოგიპარავს, ხომ გიქურდბაცაცებია! — გაშმაგდა ძახოტი და ისე დაიყვირა, მის მეექვსე ხმასთან შედარებით ჰაიტის ხმა კატის კნავილს დაემსგავსა.

— ერთი ეს მითხარი, ვაუბატონო, მე რომ ქათამი შემაპამე, იყიდე?

— ვიყიდე, რა გინდა მერე შენ?

— ვისგან იყიდე?

ამ კითხვას კი აღარ მოელოდა ჰაიტი, დაიბნა.

— ვისგან ვიყიდე და... რა შენი საქმეა, ცოლის ნათესავებმა გამომიგზავნეს. შენსავით ნათესავ-გაწყვეტილი კი არა ვარ!

— გუშინ რომ შენი ცოლი მამალსა პუტავდა ის ვინღაც გამოგიგზავნა, შენს ეზოში ხომ ერთი ჭირიანი ბღარტიც კი არ დაფრინავს, ჰა, სთქვი ჩქარა! გაჩუმდი, არა? რასაკვირველია, გაჩუმდები, აბა, იმას ხომ არ იტყვი, ფერმაში რომ მამალი დაიკარგა, ეს ის მამალი იყოო. ორივე ცოლ-ქმარი რომ თავს არ იწუხებთ მუშაობით, ვინ გაპმევთ და ვინ გასმევთ? იპარავთ, იპარავთ. მე ისიც კი დავინახე, ნაქურდალი სიმინდი იატაქქვეშ რომ ჩაყარე, აბა, შენ გგონია, ქვეყანას თვალები არა აქვს თუ? ყანა შენ არა გაქვს და ბოსტანი, ის სიმინდი მგელმა ტყეში მოიყვანა და შენ მოგიტანა თუ ვისიმე ნალია გატეხე, ჰა? ჩემი ბეღელი ნაქურდალით გინდოდა ავევსო, არა? რამ შეგიკრა კრიჭა, ხმა ამოიღე, რას გაჩუმდი?

— გააჩერეთ ეს გაგიჟებული! — ხმის კანკალით წამოიძახა ჰაიტიმ.

უცებ ციუმა ოფლმა გამოუონა მის სახეზე და ძლივძლივობით ამოღერღა:

— დღეს აქ შენს საქმეს ვარჩევთ, ჩემსას ხომ არა. ჩემს ცილისწამებას ის გირჩევნია, ხალხს უთხრა, თუ რატომ მიაყენე შეურაცხყოფა პატიოსან მეზობელს, რატომ ეძახოდი გაქნილსა და გაიძვერას. ჰო, ესა სთქვი, ეს!

— მოუკრეფავში ნუ გადადიხარ, ეგ არაა შენი ჭკუის საქმე. მე ბოდიშს ვიხდი ძარახის წინაშე. ეგ ისეთი კარგი კაცია, ალბათ, მაპატიებს ჩემს სულელურ აყვირებას. ჩვენი საქმე უკვე გავარკვიეთ. ახლა შენი საქმე გვაქვს გასარკვევი. თუმცა, რაღა გარკვევა უნდა, შენ დღესვე უნდა აგო პასუხი ხალხის წინაშე. უჰ, შე როკაპო!

ძახოტიმ ხელები დამუშტა და კინაღამ მივარდა საცემად ამ უშნოდ ახორხიალებულ, აყლაყუდა კაცს.

— ძახოტი, რა გულფიცხი ყოფილხარ, რა დროს მუშტით ჩხუბია. — შეაჩერა თოფის წამალივით აფეთქებული ძახოტი თავმჯდომარემ, მერე ამ ამბის დამსწრეებს მიუბრუნდა: — ამხანაგებო, ყველაფერი ნათელია ახლა, ვინაა ცუდი კაცი და ვინ კარგი, ვინ მართალი და ვინ მტყუანი. წადით სახლებში.

— არა, სახლებში რა უნდათ! — მტკიცედ განაცხადა ძახოტიმ. — ყველა ერთად წავიდეთ ამ თაღლითის კარ-მიდამოში. ეს იძახის, ცილსა მწამებო, ხომ ასეა? წავიდეთ და ვნახოთ, მე ვარ მართალი თუ ეს ქურდბაცაცა. მე ყველაფერი ვიცი, სადა აქვს დამალული ნაქურდალი. წავიდეთ, ეგებ თქვენც გაჟამოთ მაგისმა უქნარა ცოლმა ნაპარეული მამალი! წავიდეთ, მე გაგიძღვებით, მე!

— აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია, დამშვიდდი ძახოტი. — დინჯად უთხრა ბეჩირიმ. — ხალხი წავიდეს თავის ცოლ-შვილთან, ჩვენ კი წავიყვანოთ მილიციელი, ბრიგადირი, მათთან ერთად ვესტუმროთ ჰაიტის და თუ შენი ნათქვამი მართალია, შევადგინოთ აქტი და...

— ეგ კიდევ უკეთესი. — გაეხარდა ძახოტის. — მხოლოდ ჩემი კეთილი მეზობელი ძარახიც წამოვიდეს ჩვენთან ერთად. ეგ ხომ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეა და თანაც ძალიან გულმართალი კაცი.

ძარახიმ გადახედა გაფითრებულ ჰაიტის, — შეგირცხვა კაცობა და ნამუსიო, — უთხრა და კარისაკენ წავიდა. მეზობელს უკან მიჰყვა ძახოტი.

ჰაიტის უნდოდა თავი ემართლებინა, პირი დაეღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ ბეჩირიმ ასევე პირდაღებული წინ გაიგდო, თან უთხრა:

— ნუ გეშინია, თუ მართალი ხარ, არავინ დაგსჯის, თუ არა და, რას იზამ, ნათქვამია: რაც არ მერგებაო, არ შემერგებაო...

ჰაიტიმ კი გულში სხვა ანდაზა გაიცლო: ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავისი დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო.

ხამიცის ბინა-მარამი

თანასოფლელები ხამიცს იცნობდნენ, როგორც დინჯ და გამრჯე კაცს, ხოლო ასეთი ღარიბი მთიელი აქ ბევრი იყო. არ იცოდა ხამიცმა რა იყო დასვენება. ღვიძებდა ალიონზე, წვებოდა გვიან და ასე დღე და ღამეს ასწორებდა, რათა როგორმე გამოეკვება ჯალაბი. ყანაში მუშაობის შემდეგ გავიდოდა შორეულ ტყეში, მოაგროვებდა ფიჩხს, მაგრად გაკოპავდა ღელერეებით, გაიდებდა ზურგზე და ტკირთქვეშ მოხრილი სახლისაკენ გამოსწევდა. დიდი ხანია, კეცი აღარ გახურებულა მის ბუხარში, რადგან გამოსაცხობი აღარაფერი ჰქონდათ. დროებით მაინც რომ გადაეყოფინათ ბავშვებს ფიქრი პურზე, რომელიც დიდი ხანია, აღარ იყო სახლში, ოჯახის მამა მთის ფერდობებზე ჰკრეფდა მეაუნასა და სხვა ველურ ბალახებს, რომელნიც საქმელად ვარგოდა. მაგრამ ხამიცი ყველაზე დიდ დროს ერთი ნაბდის გაშლა მიწის დამუშავებას ანდომებდა. ეს ჩემი ყანაო, ამაყად ამბობდა იგი.

ხამიცის ქოხიდან შორს, ძალიან შორს ერთი

სალკლდოვანი ციცაბო კბოდე იყო. ამ კბოდეს ცხვირი მდინარისკენ ჰქონდა გადმოშვერილი; სწორედ ამ ცხვირთან, კლდეზე მოჩანდა პატარა ვაკე, დედაშობილა ბავშვივით შიშველი. ხამიციმ წაიყვანა თავისი მეუღლე ხუდალონი, შემოგარენში მუჭა-მუჭა მოაგროვა მიწა და ნაკელი, მოზიდა კალათებით ამ ვაკეზე და ასე, საკუთარი მუყაითობით ფაიჩინა ყანა. ამ მიწაზე იგი ყოველ წელს ქერს თესავდა, ხოლო ქერის ყანის ირგვლივ, ერთმწკრივად, არშიასავით, კარტოფილსა რგავდა. იმ ადგილებში კი, სადაც ნათესი რაიმე მიზეზის გამო გაქარლებას დაიწყებდა, რათა მიწა არ მომიცდესო, ხამიცი ცოლს ჭარხალს გამოარგვევინებდა. თუ სადმე მიწის ბელტს ან უქმად დაყრილ ნაკელს ნახავდა, თითქოს საუნჯე ეპოვნოს, ფრთხილად აიღებდა, ძღვენივით მიიტანდა თავის ყანაში, გულმოდგინედ დაფშვნიდა და სადაც შრე თხლად ეფინა, პეშვით აყრიდა ამ ნაფშვნეს. და ყველაფერს ამას იგი ისე აკეთებდა, რომ ქარი ერთ ნამცეცსაც ვერა სტაცებდა. ამ ყანაში ერთი კენწი ქვაც არსად ეგდო და, მით უმეტეს, სარეველა ბალახს ვინ უაჩერებდა.

დაიწყებოდა თუ არა ქერის დათაველიანება, ხამიცი ყანაში იღამებდა დღეს და ითენებდა ღამეს. ასე გრძელდებოდა ჰირნახულის აღებამდე. ხამიცი ცას ეწეოდა ხოლმე სიხარულით, როცა მთებიდან დაუბერავდა სუსტი ქარი და მწიფე თავთავებს აშრიალებდა. ეს იყო ყველაზე კარგი სიმღერა, რომელიც კი მას ოდესმე გაეგონა. ამ სიმღერით დამთვრალი დახორბლებული ყანის პირზე ჩამოჯდებოდა, ყველაზე მხიარულ და მწიფე თავთავს დაიჭერდა ხელში, დაიჭერდა ისე ფრთხილად, როგორც ოქროს ზოდს და თავდავიწყებით ეალერსებოდა.

„ეჰ, ჩემო ქერის პურო, ორი დღის სამკალი მაინც იყო!“. — ჩაილაპარაკებდა და ასე ღრმად ამოიხვნეშებდა, იფიქრებდით, ამ ამოხვნეშას სულიც თან ამოაყოლებო.

იმ კბოდეებიდან, რომელზეც ხამიცის ყანა ჰქონდა, მოჩანდა მთების შ შველი მწვერვალები, შეფერცხლილი ყინულები და ზეაებით ღრმად დაღარული ციცაბო ფერდობები. ყველაფერი ეს სრვის თვალს შეიძლება ლამაზად სჩვენებოდა, მაგრამ ხამიცის კი არა სცალოდა იმისთვის, რომ ამ სილამაზის ცქერით დამტკბარიყო. მის კუბში შიმშილი სეირნობდა, დაგლეჯილი პერანგიდან შიშველი მხრები ჰქონდა გადმოყრილი, ხოლო დალიბრულ-დალურჯებულ კისერს ძლიერძლიერობითა სწევდა მაღლა, რომ მზისათვის შეეხედნა. არა, ამ სილამაზის საყურებლად არ ეცალა არც ხამიცის და არც მის უსუსურ, უპერანგო ბავშვებს.

ჭეშმარიტად ასე მგონია, რომ ყოვლის შემძლე ღმერთმა ბუნების ყველა ეს სიცუდე-უხიაკობანი მანამდე შექმნა, სანამ ადამიანს გააჩენდა. დაე, მამაპიოს ყოვლისშემძლემ, თუ რამეს მე თვითონ ვჩმახავ უხიაკად. ჰოდა, როცა ხალხის ვარამი ამ მთებივით გაიზრდება და მამაზეციერამდე მიაღწევს, იგი ყველა ამ მყინვარს, თოვლიან მწვერვალსა და ზეაებით დაღარულ ციცაბოს, ყველა ამ მიუვალ და ხალხისთვის გამოუსადეგარ ადგილებს ხოდაბუნებად გადააქცევს და მაშინ მეც მერგება ჩემი წილი მიწა. — ასე ფიქრობდა ხამიცი.

ერთხელ დილით ხამიცი ბუხრის წინ, მამის ნაქონ საპატიო სკამზე ჩამოჯდა, მოუბმო მეუღლე ხუდალონს და უთხრა:

— ეჰ, რომ იცოდე, ქალო, რა საოცარი სიზმარი ვნახე წუხელ...

— შენ ისევ სიზმრებით გინდა გამაბრუო? — გააწყვეტინა ხუდალონმა, — ეგებ გგონია, რომ კარგი სიზმრები დააპურებს ოჯახს?

— დამაცა, ქალო, მომისმინე... ენახე, თითქოს ველთა მხრიდან ჭექა-ქუხილით გვესტუმრნენ მაყვლისფერი ლრუბლები. და უცებ თმ მთის მწვერვალს, რომელიც ჩვენსა და იმ ველებს შუაა ჩამდგარი, მოუდო ხანძარი და ჩაინავლა. შემდეგ კი ჩვენი ყანებიდან იმ ველებამდე მთლიანად გადაიშალა ხოდაბუნებში. და ჩვენი სახნავი მიწაც იმაში შეერია... რაღაც სიხარული გველოდება.

— სანამ შენი სიზმარი ახდებოდეს, ჩვენს შვილებს შიმშილით სული გასძვრებათ. სჯობია იმაზე იფიქრო, ახლა პური სად ვიშოვოთ, — წყრომით უთხრა ხუდალონმა.

ხუდალონი ცხოვრებას ყოველგვარი ოცნების გარეშე უცქერდა, ფხიზელი თვალით. ამიტომ აინუნშიაც არ აგდებდა, როცა ხამიცი თავის სიზმრებს უყვებოდა, ანდა მომავლის იმედებს ღმერთის შემწეობაზე ამყარებდა.

ხამიცი არასოდეს არ ივიწყებდა მღვდლის ნაქადაგებს. ოცნებობდა სამოთხეზე და ყოველგვარ

ამქვეყნიურ გასაჭირს მოთმინებით იტანდა. თითქმის მთელი ისეთი მოჯამაგირეობით ჰქონდა დაკავებული, რათა პური ლუკმა-ლუკმა მოეგროვებინა შვილებისათვის.

სიზმარმა ვერ უშველა ოჯახს. პირიქით, სიზმრის შემდეგ საქმე ისე შებრუნდა, რომ ხამიცისა და ხუდალონს დაატყდათ თავზე ათასი უბედურება.

თითქოს სიზმარი გამოორდა, ველებიდან ღრუბლები მართლაც მოვიდნენ. ჭექა-ქუხილმა შესძრა ცა და მიწა, მუქის სიმსხო სეტყვა ჩამოყარა და დახორბლილი ყანა დარეჯგეა. კოკისპირულმა წვიმამ ნიაღვრები ფაამრაველა და ამ ნიაღვრებმა ისე გადარეცხა ხამიცის მუქა-მუქად ნაგროვები მიწა, რომ ყანის ნაცელად კვლავ შიშველი კბოდე დარჩა. მერე აულში მოვენდა ბოქაული და მანამდე ფაუგონარი, რაღაც ახალი გადასახადის ანგარიშში წაბღავლა ხამიცის ერთადერთი ძროხა. იმავე დღეებში ხამიცის შვილი სახედარი საბალახოდ შორს გაიტყუა ბილიკმა, მოაშორა სოფელს და თითქოს მიწა ჩაყწყდაო, დაიკარგა. ხამიცი შემლილივით დარბოდა და ეძებდა პირუტყვს. და აი ერთხელ, ბუჩქის ძირში მან დაინახა მკვდარი მგელი. მგელს ღრანჭები დაფჩენილი ჰქონდა და ხამიცის მხსნელი დაინახა ის ერთადერთი რამ, რაც დარჩენილიყო მისი ერთგული პირუტყვისაგან: მგლის მყრალი ყელიდან ამოაძრო სახედრის ნალიანი ფლოქვი.

— ასე მოგიხდება, წყეულო! ნალიანი ფლოქვი კი არა, ჩემი შვილების ცოდვა გაგჩხერია ყელში! — ამოიზმინა ხამიციმ. — აი ბოქაულსაც რომ ასევე გასჩხერიოდა საყლაპავში ჩემი ერთადერთი ძროხის ბეჭი, აი, ისიც ასევე რომ მენახა სადმე დაგდებული, მკვდარი და ღრანჭებდაფჩენილი, ღმერთმანი, მაშინ ძროხისა და სახედრის დაკარგვას ერთნაირად შეეფერიგდებოდი.

თავიანთ სახედარს, ძროხასა და ღვარისაგან გატაცებულ ქერს დიდხანს დასტიროდნენ ხამიცი და ხუდალონიც. შეხედავდა თუ არა შვილებს, ხუდალონი ცრემლებს ვეღარ იკავებდა, ხოლო ხამიცი ვეღარ უძლებდა ამ სურათს, მან ძალა მოიკრიბა და სცადა დაემშვიდებინა ცოლი.

— ნუ სტირი, ქალო, ცრემლებში ვარამს ვერ დაამარცხებ. ყველაფერი ღვთის ნებაა. ჯანი ჯერ ისევ მაგარი მაქვს, წავალ საშოვარზე და მოვიტან პურს.

ხამიციმ ჯოხი იღლიაში ამოიჩარა და გაუდგა გზას, რათა სადმე მდიდრებთან სამუშაო ეშოვნა. თავისი შესაფერისი სამუშაო აქა-იქ კიდეც გამონახა, მაგრამ სიღარიბე მაინც არ ეშვებოდა მის ოჯახს, პირიქით, თანდათან უფრო უპერდა ეკლიან ხელებს. ამასობაში ისევ მოვიდა ბეგარის გადასახადი, ხოლო ხამიცის კვლავ არ გააჩნდა არც ერთი გროში. ვინც ვერ შესძლო გადასახადის გასტუმრება, სოფლის მამასახლისმა ყველა დაიბარა, კანცელარიაში გამოცხადდითო. დაუძახეს ხამიცასაც.

კანცელარიაში ხალხს თვითონ ბოქაული ელოდებოდა. მას ნიკაპი ხმლის ვადაზე დაებჯინა და ძირს დასცქეროდა. ხანგამოშვებით ძლიერ აბვეტებდა და ერთი სტვენა-ხრიალით ფეურთბის ტბას აყენებდა იატაკზე. იგი თავსაც კი არ სწვევდა, რომ გაეგო, ვინ შედიოდა მასთან. ბოქაულის გვერდით იჯდა სოფლის მამასახლისი და როცა ვინმე შემოცახცახდებოდა, იგი ჩურჩულით ეუბნებოდა ბოქაულს, ამაზე ამდენი და ამდენი გადასახადია. დარჩენილიო.

კედლის ორივე მხარეს ჩაფრები იდგნენ.

გლეხები შემოსასვლელთან ირეოდნენ, სათითოდ იძახებდნენ მოსულებს. ვინც თავის სახელს გაიგონებდა, ქუდს მოიხდიდა, პირჯვარს გადაიწერდა და აცახცახებული გადადიოდა ზღურბლზე.

ყვირილი აზანზარებდა კანცელარიას:

— ფული დააწყე მაგიდაზე, ფული!

თითქოს პირი ჰქონდათ შეკრული, ყველა გლეხი გაპირვებით ეძებდა სიტყვას და ერთიდაიმავეს კი ამბობდნენ:

— ვადა გამიგრძელეთ, ფული არა მაქვს, — და ოსურად უმატებდა: — ღმერთმანი, არა... არა მაქვს... თორემ...

მოვიდა ხამიცის რიგი. კანცელარიაში შესვლისთანავე მან დაინახა ბოქაულის ულვაშები, რომლებიც ხმლის ვადის ორივე მხარეზე ბორბოტად იყო ჩამოშვებული, და ამით შეშინებულს უნდოდა უკან დაეხია, მაგრამ ერთმა ჩაფართანგანმა ისე ჰკრა ხელი, ხამიცი პირდაპირ ბოქაულის ფეხებთან დაეარდა. დაეარდნისას შემთხვევით მხარი გაჰკრა ხმალს და ბოქაულს ხელიდან გააგდებინა.

ბოქაული შეირხა, ხოლო შეშინებული მამასახლისი ადგილზევე შეხტა.

— მე არა ვარ დამნაშავე! — რალაც საშინელის მოლოდინმა თავისთავად დააყვირა ხამიცი.

ჩაფარმა საყელოში ჩაავლო ხელი და წამოაჩოქა. ხამიციმ ერთი კი შეხედა ბოქაულის თვალებს და თავი იატაკამდე დახარა.

— დააწყე ფული! — დაიბღავლა ბოქაულმა.

ხამიცის თავი ისევ დაიხარა იატაკამდე. უკირდა ხმის ამოღება, თითქოს ენაზე ეკიდა მთებად ქცეული შიში. ბოლოს იპოვა სიტყვა და ბორძიკით დაიწყო:

— არა მაქვს ფული. სახედარი მგელმა შემიჭამა, ძროხა შენ წაიყვანე, ქერი დავთესე და თავის მიწიანად მოგტაცა ნიაღვარმა...

— მე ზღაპრების მოსასმენად არა მცალია! — აენთო ბოქაული. — დაბეთ, როგორ იცრემლება, საწყალი. მე შენი სახედრისა არაფერი ვიცი, ჯორო, დააწყე ფული!

— ბატონო ბოქაულო, — ისევ ხმის ცახცახით განაგრძო ხამიციმ, — მეც ადამიანი ვარ, ნუ მიყვირით ასე...

ამ სიტყვებმა უცებ გააცოცა ბოქაული და დაუნდობელი სილაქანისაგან ხამიცის თვალთაგან ნაპერწკლები გადმოცვივდა.

— როზგები მაგას, როზგები! — დაიბღავლა ბოქაულმა.

ხამიცის ორი ჩაფარი მივარდა, თავსა და ქალამნებში ჩაავლეს ხელები და უმალვე კარებში გაათრიეს. შემოახიეს გაცვეთილი ჩოხა, შინნაქსოვი ხალათი და მიწაზე წამოაწვინეს. ერთი თავზე დაჯდა, მეორე — ფეხებზე, ხოლო მესამემ შოლტი დაუშინა, თითქოსდა, ეს კაცი კი არ იყო, არამედ ხარის ტყავი.

— ჰე, ჰეი! ხამიციისა კლავენ! — იყვირა ვიღაც მისმა თანასოფლელმა.

კანცელარიას მესერი ერტყა გარშემო, ამ მესერიდან სარი გამოაძრო და ეცა ჩაფრებს.

უმალვე დაიტაცეს გლეხებმა მესერი.

ჩხუბში ჩაება ყველა ჩაფარი. მაგრამ სარებით შეიარაღებულმა მთიელებმა შეუბრალებლად დასცხეს ჩაფრებს და ისინი შეშინებული თაგვებივით გაიფანტნენ. ბოქაულმა რომ ეს დალანდა, კანცელარიის უკანა ფანჯრიდან გადახტა, აბობღდა თავის ცხენზე და უკანმოუხედავად მოჰკურცხლა.

როდესაც ხამიცი გონს მოვიდა და თვალი გამოახილა, მან დაინახა თავისი სახლის გაქვარტლული კედლები და გარს შემოხვეული ბავშვები.

— სადა ვარ, რა უბედურებაა ჩემს თავზე? — ძლივს ამოღერღა მან.

— ხამიცი, ნუ გეშინია ახლა! — მოესმა მწოლარეს ვიღაცის ხმა. — შენს ქოხში ხარ და არავ=თარი საფრთხე აღარ გელის. შენი მწვალებლები ისე დაფრთხნენ, ძლივს გადაგვირჩნენ ცოცხლები. ო, რომ იცოდე, როგორ მოჰკურცხლეს...

— წყალი... — აღმოხდა ხამიცის.

— წყალი კი არა, თქვენ, მამაკაცები, საწამლავის ღირსი ხართ, ასე რომ დაგაქალაჩუნათ, რომ იმ ბინძურ ნეხვის ჭიებს თავს აბრიყვებინებთ. სირცხვილი, სირცხვილი თქვენი! — ხმას აუწია ხუდალონმა.

მეტი გულმოსელისაგან გაფითრებულმა ფინჯანი წყლით ძლივს აავსო და ხამიცის მოუტანა ვაფიცებულ ბაგეებთან.

— ჩემო ხუდალონ, შენი ჭირი კი შემეყაროს, ასე არ იქნება, როგორც შენ ამბობ. ის ხალხი მეფემ გამოგეგზავნა, მეფე კი უბრალო ვინმე ხომ არაა, ღმერთია დედამიწაზე. — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა ერთმა მეზობელმა.

— ნეტავი რას მოგროვილხართ აქ სახეჩამომეწყრილები! წადით, არ დამენახოთ! — დაუტატანა მას ხუდალონმა, ცრემლიანი თვალებით გადახედა ჩამოძოხძილ ბავშვებს და ამოოხრა: — ეს რა ხალხში ჩავვარდი. აი, წავრეკავ ამ საწყლებს მდინარისკენ, კატებივით ჩავახრჩობ შიგ და მეც ჩამოვიხრჩობ თავს.

ხამიციმ ლოგინიდან წამოიწია და ცოლს დამშვიდება დაუწყო. მაგრამ ხუდალონი ისევ მძვინვარებდა.

ამ დროს გაიღო კარი.

— ხამიცი, გადარჩი სიკვდილს? — გაისმა ბებრის ხმა.

ამ ხმის გაგონებაზე ყველა გაჩუმდა. ქოხში შემოვიდა მოხუცი, რომელსაც ხელში ტარმოღუნული ჯოხი ეჭირა.

ხუდალონი შეცბა, თავსაფარი ისე ჩამოუშვა, რომ მისი სახე არ დაენახა იმ მოხუცს, და ქოხის ყველაზე ბნელ კუნჭულში მიიმალა.

მოხუცი ხამიცის თავსასთუმალთან ჩამოჯდა.

მეზობლები შემოეჯარნენ მოხუცს, პატივისცე-

მით მიაჩერდნენ და დადუმებულნი ელოდნენ, როდის დაიწყებდა იგი ლაპარაკს.

— ნეკნები ხომ არ დაგიჟეჟეს? წელი ხომ არა გტკივა? — ჰკითხა მოხუცმა.

— ეჰ, დოლათ, ნეკნები რალა საკითხავია! — ხელი ჩაიქნია ხამიციმ. — უარეს დღესაც გვაყრიან ის წყეულები, მაგრამ ვითმენთ, რას იზამ...

დოლათს შეეტყო, რომ ხამიცის ნათქვამი არ მოეწონა. გულმოსული ხმით შეუტია ავადმყოფს:

— მერედა, ასეთი სისაძაგლე როდემდე უნდა ვითმინოთ? ქვასაც კი, თუ სულ ურტყი, მოთმინება აღარ ეყოფა და ნაპერწკლების სროლას დაიწყებს, ჩვენ კი კაცები ვართ, ქვები ხომ არა.

— აბა, რა ვიღონოთ, დოლათ? — შეეკითხა ხამიცი. — შენა ხარ ჩვენი უფროსი და, თუ რაიმეს ცუდად ვაკეთებთ, გვასწავლე, უკეთ როგორ მოვიქცეთ.

ქოხში მცირე ხნით ისეთი სიჩუმე ჩამოდგა, როგორც იტყვიან, თითქოს ანგელოზებმა ჩამოიარეს.

— ?ვენ, ღატაკ მთიელებს, ზენამ გამოგვიგზავნ: ფანდურის ოქროს ლარებზე დამკვრელი მომღერალი. — უპასუხა მოხუცმა მცირე დუმილის შემდეგ. — უნდა მოვნახოთ იგი და მოვიხმოთ ჩვენთან. დაე, დაინახოს მან, რომ ასე, როგორც ახლა ვცხოვრობთ, შეუძლებელია სიცოცხლე და გვიშველოს რამე.

გამომჯობინდა თუ არა ხამიცი, შეუდგა სამგზავრო მზადებას. ხუდალონსაც ძალიან უნდოდა, რომ მის ქმარს ენახა მთიელთა დასახმარებლად ციდან გამოგზავნილი მომღერალი. მას საქვაბურას ზემოთ საგანგებოდ ჰქონდა გადამალული ერთი მუჭა ფქვილი. ამ ფქვილით სასაგზლო ლავაში გამოუცხო ქმარს და გაისტუმრა. სოფელში არავინ არ იცოდა, თუ რა განიზრახა ხამიციმ. მხოლოდ ხუდალონმა გააცილა, გზა დაულოცა და პატარა ლავაშთან ერთად უსაგზლა დიდი სურვილი: მალე გენახოს ის მომღერალი.

ხამიციმ ზუსტად არ იცოდა, სად ცხოვრობდა მომღერალი. იცოდა მხოლოდ ერთი: იგი ცხოვრობდა ქალაქში, იყო ლევანის შვილი და ერქვა კოსტა. ისიც გაეგონა, რომ თუ გინდა ქალაქში ჩასვლა, მდინარის ნაპირებს უნდა ჩაუყვეო.

ხამიცი გაუყვა მთიდან ვიწრო ხეობისაკენ მიმავალ დაკლაკნილ ბილიკს: მისი მშფოთვარე ფიქრები უფრო სწრაფად გარბოდნენ წინ, ვიდრე მდინარის გაკენებული ზვირთები. ხან ეჩვენებოდა, რომ მომწყდარი ქვა ეცემოდა ზურგზე, ხანაც — თითქოს მთელი ის ჭიუხი ინგრეოდა, რომლის ქვეშაც თვითონ მიაბიჯებდა. ერთგან დაისვენა, წამით ჩასთვლიმა და მოელანდა, თითქოს ჭექა-ქუხილით მოვარდა გრიგალი, ტყვიებივით დაუშინა მიწას სეტყვა და მთელი მისი შრომელი და ავლადიდება ოჯახთან ერთად უფსკრულში გააქანა. დამფრთხალმა უცებ გამოახილა თვალი და ეს ყველაფერი სიზმარი რომ აღმოჩნდა, შეებით ამოისუნთქა. გულდამშვიდებულმა ისევ მიელულა თვალი, მაგრამ ახლაც არ მოასვენა საშინელმა სიზმარმა. აი, თითქოს გაქაფული ცხენებით მოსდევენ შეიარაღებული ჩაფრები. „ეჰ, შე მოჯანყე, ჩვენს საჩივლელად მიდიხარ, არა?“ — უყვირიან ისინი, ტანსაცმელს აძრობენ და კბოდეზე აგდებენ. წიეის მათრახი და ხამიცის ტანიდან შადრევანივით იღვრება სისხლი.

სიზმრით დაღლილი და აფორიაქებული წამოდგა ხამიცი, განაგრძო გზა, მაგრამ მალე მოეკვეთა მუხლები. ძლივსღა მიათრევდა ფეხებს.

ეგზე გზაშივე დაცემულიყო, მაგრამ ამ დროს დალანდა მის წინ, გზის ნაპირზე, კლდის ქვეშიდან მხიარულად მოჩუხჩუხე წყარო, მივიდა, ცივი შხეფებით გაიგრილა სახე და რაღაც ახალი ძალა იგრძნო, თითქოს ზურგიდან ვიღაცამ ვეებერთელა ტვირთი მოხსნა.

მცირე შესვენების შემდეგ აბგიდან ქერის პური ამოიღო, მოიხადა ქეჩის ქუდი, წყაროს წყლით ააევსო იგი, გადაიწერა პირჯვარი და წყალში ამოვლებული ლუკმა პირში ჩაიდო.

წყაროსთან ორი ყმაწვილი მოვიდა. შეხედეს ხამიცის, რომელიც წყალში ამოვლებულ ქერის პურსა ლოღნიდა, სალამი მისცეს და მაშინვე წყაროს მივარდნენ პეშვმომარჯვებულები.

ყმაწვილებმა წყურვილი მოიკლეს და წასვლას აპირებდნენ, მაგრამ ხამიცის ხმამ შეაჩერა ისინი:

— ასე სად მიგეჩქარებათ, ბიჭებო? შეგესვენებიათ ცოტა.

ყმაწვილებმა გადმოხედეს მას, გაღიმეს და ჩამოჯდნენ.

— ბიძა, საით გაგიწევია? — ჰკითხა ერთმა.

— საით გამიწევია და... ერთი ეს მითხარი, ვინ გამოსთქვა ნაღვლიანი სიმღერა „დოდოი“, აი ი?,

მეორენაირად „ტირილი მშობლიურ მთათა გამო“ რომ ჰქვია?

— როგორ, გვცდი თუ? — პასუხად გადაიხარხარეს ყმაწვილებმა. — „დოდოის“ მსგავს სიმღერებს სკოლაში არ ასწავლიან. კარგი კი იქნებოდა...

— არც ის იცით ამ ლექსის შემთხზველი სად ცხოვრობს?

— ლევან ხეთაგათის შვილ კოსტაზე გვეკითხები?

— ჰო, ჰო, თქვენი ჭირიმე, კოსტას შესახებ გეკითხებით.

ხამიცი ლაღად წამოხტა, ყმაწვილებს მიუახლოვდა, ქერის პური გაუწოდა და მიიპატიჟა, ბოდიში და, ამ მცირე ულუფაზე დამეწვიეთო.

— მაშასადამე, თქვენ შეგიძლიათ მიმასწავლოთ რომელი გზით წავიდე მასთან, სადაა მისი სახლი? ჰა, მოტეხეთ, მოტეხეთ, ჩემო კარგებო, გეტყობათ, ბევრი გივლიათ, მოგშიებებოდათ.

ერთმა ყმაწვილმა ლუკმა ჩამოატეხა ქერის პურს, მადლობა გადაუხადა მასპინძელს და შეკითხვა დაუბრუნა:

— მგზავრო, რისთვის დაეძებ კოსტას?

მეორეს ეტყობოდა, ეჩქარებოდა წასვლა, ამხანაგს გულმოსვლით შეუტია:

— ისე ეკითხები ყველაფერს, თითქოს ბაბუამისი იყო. რა შენი საქმეა, რატომ დაეძებს. — და ხამიცს მიუბრუნდა: — აი, ამ გზას გაჰყევი პირდაპირ, ნურსად გადაუხვევ. მთებს როცა გასცდები, იქ ჰკითხე ვინმეს, ქალაქის გზა რომელია-თქო და ყველა მიგასწავლის. კოსტა ქალაქში ცხოვრობს.

— ეს მეც ვიცი, რომ ქალაქში ცხოვრობს, მაგრამ ამბობენ, ქალაქი დიდიაო...

— მეტი, აბა, არც მე ვიცი. — მხრები აიჩეჩა იმ ყმაწვილმა და წამოდგა.

— ასე მაქვს გაგონილი, სადღაც განივ ქუჩაზეა კოსტას სახლიო. — უთხრა პირველმა.

ხამიცმ ვერაფერი გაიგო მათგან იმის გარდა, რომ კოსტა სადღაც განივ ქუჩაზე ცხოვრობდა, მაგრამ მაინც მადლობა გადაუხადა ყმაწვილებს, დიდხანს სიცოცხლე და მშვიდობის გზა უსურვა. მერე ქუდიდან წყალი გადაღვარა, შინნათელი ქეჩი მაგრა გაწურა, დაბერტყა, გასწორა, დაიხურა, იქვე დაგდებული ჯოხი აიღო და იმედიანი მხიარულებით განაგრძო სვლა.

შორი და ძნელი გზა ელოდებოდა მას, მაგრამ საწყალი ხამიცი ისე მიდიოდა, იმ დროს რომ დაგენახათ, იფიქრებდით, ფეხს მიწაზე აღარ აკარებს, მიფრინავსო.

აი, მივა იგი ქალაქში, ნახავს იმ განივ ქუჩას, იქ კი კოსტას სახლს, თვითონ კოსტასაც, ხელს ჩამოართმევს მაგრად, გააცნობს თავის თავს და შემდეგ ყველაფერს უამბობს, თუ როგორ უსამველო ჯაფით და გაჭირვებით ცხოვრობს თვითონ და საერთოდ ყველა მისი მეზობელი.

ფასწვრილი და განივი ქუჩა იმდენი იყო ქალაქში, ხამიცს თავგზა აებნა. რომელ ქუჩაზე ცხოვრობს კოსტა, მოდი და გაიგე ახლა შენ...

ხამიცი ეკითხებოდა გამვლელ-გამოვლელებს, მაგრამ საქმეს თავი მაინც ვერ მოაბა. კოსტას სახელი თითქმის ყველასა ჰქონდა გაგონილი, ხოლო სადა ცხოვრობდა, ეს მხოლოდ ერთეულებმა იცოდნენ. ორიოდე კაცმა ხამიცის კიდეც მიასწავლა, ასე და ასე წადიო, მაგრამ რამდენიმე ქუჩას რომ გასცდა, გზა კელავ დაებნა. ერთხელ იარა, იარა და იქვე მივიდა, საიდანაც წავიდა.

ამასობაში მზე მთების იქით ჩაესვენა და დედამიწაზე ღამის ნაბადი გაიშალა.

ხამიცმ გადასწყვიტა, ჩემს სოფელში დაბრუნდებიო, მაგრამ ახლა ის დააკვიწყდა, რომელ მხრიდან შემოვიდა ქალაქში. დაეხეტებოდა იგი ქუჩებში. რამდენიმე კაცს კიდევ შეეკითხა, ესა და ეს გზა მასწავლეთო, მაგრამ ზოგმა თავის გაქნევით უპასუხა, არ ვიცი, ზოგმა მხოლოდ გაიცინა, ზოგმა კი ისე ჩაუარა, აინუნშიაც არ ჩააგდო მისი შეკითხვა.

სახლებში სინათლეები აანთეს, და განათდა ქალაქი, მაგრამ მალე ისევ დაბნელდა, რადგან თითქმის ყველა ფანჯრის დარაბა სინათლის ანთებისთანავე დახურეს. ქუჩებში სიბნელე გამეფდა. მხოლოდ ერთ ქუჩაზე ლიფლიფებდა შუქფარანები. ეს იყო ალბათ ქალაქის მთავარი ქუჩა. ხამიცმ გაკვირვებული თვალებით გახედა ამ ქუჩას.

ჩვენ ნავთი იმისთვისაც არა გვაქვს, ჭრაქით სავახშმოდ გაშლილი სუფრა რომ გავინათოთ, აქ კი სინათლეს ქუჩაშიაც ანთებენო — გაიფიქრა მან.

ხამიცი მარტო დარჩა ქუჩაში. ბოლოს ქანცგ-

მილეულმა დაინახა, ერთი ბნელი, კედელჩამონგრეული სახლი და შიგ შეილალა. ეტყობოდა, იქ არავინ არა ცხოვრობდა. ხამიციმ ამოარჩია შყუდრო კუნჭული და მიწვა იატაკზე. მიწვა და მკვდარივით ჩაეძინა. შეუმჩნეველად გაიარა ღამემ.

მძინარე კაცი საყვირის უჩვეულო ხმამ გამოაღვიძა. შეშინებული წამოვარდა და რადგან უკვე გათენებული იყო, მტვრიანი ტანსაცმელი დაიბერტყა და ქუჩაში გამოვიდა. დილის საღამ ჰაერმა ისე გაამხნევა, ერთი ტკბილად კიდეც ჩაიღიღინა. ქუჩის რუხი ქუდის ფართო ფარფლი, ცხვირამდე ჩამოფენილი, მაღლა გადაკეცა და უღრუბლო, შუქ ლურჯ ცას ახედა. აქა-იქ კიდევ კიაფობდნენ ვარსკვლავთა გაფითრებული ნაპერწკლები. ლილისფერი, შაღლა, ძალიან მაღლა წასული მთვარე ცის ლურჯ ფერში ინთქმებოდნენ და ფაფარგებოდნენ.

შეხედა ამ მთვარეს ხამიციმ და იმედმოცემული უფრო გამაგრდა.

— არა, არა, შერცხვენილი არ დავბრუნდები მე აქედან. — თავისი ფიქრი თავისდა უნებურად ხმამაღლა ამოსთქვა და კვლავ დაიწყო ხეტიალი ქალაქის ფანივ ქუჩებში. თითქმის ყველა ჭიშკარზე აკაკუნებდა, თითქმის ყველა მგზავრს ეკითხებოდა.

დილა უფრო იმედიანი გამოდგა. მართალია, კიდევ დასჭირდა საკმაო ბორიალი, მაგრამ ამ სიარულს უქმად არ ჩაუვლია. მზე უკვე ცის შუაგულს მიესტუმრა, ახლოვდებოდა გლეხის სადილობის დრო, როცა იგი შეხვდა ერთ ოსს.

— კოსტას როგორ არ ვიცნობ, — უთხრა მან ხამიციის, — აი, აგერ, თერგის გალმა ცხოვრობს, ტაძრის გვერდით. ქუჩის სახელი აღარ მახსოვს, მაგრამ რად გინდა ქუჩის სახელი. გადადი ხიდზე, დიდი ტაძრისკენ აიღე გეზი და კოსტას სახლს იქვე გიჩვენებენ.

ხამიცი ცას ეწია სიხარულით. გადაიარა ხიდი, თერგის ჩარჯვენა მხარეზე გავიდა და იქ კი დიდხანს აღარ დასჭირვებია ხეტიალი, არც გამველლთა შეწუხება შეკითხვებით. ერთ კაცს შეეცოდა იგი და თვითონ მიჰყვა იმ ორსართულიან სახლამდე, სადაც კოსტა ცხოვრობდა. ხამიცი ერთხანს შეყოვნდა კარებთან, მერე ფული მოიცა და ფრთხილად დააკაკუნა.

„ეჰ, ნეტავი დამხვდეს სახლში. — თქვა მან. — ვნახავ, ჩემი თვალით. ვნახავ ჩაგრულთა ქომაგსა და მოამაგეს. ვნახავ და, უჰ, როგორ მოვუყვები მერე, რა საცოდავადა ვცხოვრობთ მთიელები“.

ჩაფიქრებული ხამიცი კარის ჭრიალმა გამოაფხიზლა. და მან დაინახა მორჩილი ტანის კაცი. ამ კაცს ოსური შავი ქუდი ეხურა, ხოლო ტანზე ნაირფერი საღებავებით დასერილი ხალათი ეცვა. მის სასიამოვნო შესახედავ მოგრძო სახეს ლამაზი და შავი ულვაშები ამშვენებდა.

— ღმერთიმც შეგეწევათ, კეთილო კაცო, ბოდიში, მუშაობის დროს რომ გაწუხებთ, — დამნაშავესავით შემკრთალი ხმით მიმართა ხამიციმ მას, — მაგრამ ყველაფერში გეტყობათ, რომ თქვენც ისეთივე შრომელი ბრძანდებით, როგორიც მე ვარ და ამიტომ, გემუდარებით, დამეხმარეთ.

— სიამოვნებით, ძმაო. აი, მობრძანდით ჩვენთან სახლში. მოხარული ვიქნებით თქვენი სტუმრობის.

— მადლობთ, კეთილო კაცო! ღმერთმა გიბედნიეროთ სიცოცხლე. შემოვალ, მაგრამ დიდი ხნით კი ვერა: მალე უნდა გავბრუნდე აულში, — მორცხვად უხსნიდა ხამიცი, — მე იცით... ქალაქში იმიტომ ჩამოვედი, რომ ვნახო ლევან ხეთაგათის შვილი კოსტა. აი, ის, ლეჩი „დოდოი“ რომ შეთხზა. ერთმა კაცმა მომჰსწავლა, კოსტა ამ სახლში ცხოვრობსო.

— ნუ გეშინიან, კოსტა ისად გაგეიცნეა ჯერჯერობით კი, აი, შემობრძანდით ჩვენთან, წაიხემსეთ, დაისვენეთ... გეტყობათ, რომ დაღლილი ხართ. შემობრძანდით, ნუ გრცხვენიათ.

ხამიციმ კიდეც გაუკვირდა და კიდეც გაუხარდა: „ეს მშრომელი ოსი თუმცა ქალაქად ცხოვრობს, ოსური ადათებისათვის არ ულალატნიაო“. შეჰყვა მასპინძელს.

— ასე რამ შეგაწუხა, ძვირფასო სტუმარო? — სახლში შესვლისთანავე ჰკითხა დამხვდურმა.

— გაჭირვება მადგია, ძვირფასო კაცო, — დაიწყო ხამიციმ, — სწორედ ამის გამო გადმოვლახე მკაცრი მთები და ორი დღეა, აქ კოსტას ვეძებ.

— დაბრძანდი, ძვირფასო სტუმარო, კოსტას ჩაერი ნუ გაქვს, არ დაგვეკარგება.

მასპინძელი გავიდა, ხამიციმ თვალი მიმოავლო ირგვლივ, დაინახა კედელზე დაკიდებული ნახატები და სულ დაავიწყდა, რომ უნდა დამჯდარიყო.

ხამიცის ისე მოეწონა ეს ნახატები, რომ სულ უნდოდა ეცქირნა.

აი, მთიელ ქალს ხის სათლით წყალი მოაქვს. ეს სათლი ვიწრო და გრძელ გეჯას ჰგავს. ეტყობა, მძიმეა სათლი. ქალს სუსტი და გამხდარი ბეჭი მოუხრია. ამ ვიწრო და გრძელ გეჯას თოკი აქვს შემორტყმული. ცალ ხელში ამ ქალს სწორედ ეს თოკი აქვს ჩაბღუჯული, მეორე ხელი კი უპერანგო, ფერმკრთალი ბავშვისათვის ჩაუვლია და მოაბორძიკებს.

ამ სურათმა ხამიცის თავისი მეუღლე ხუდალონი მოაგონა. და განა მარტო ხუდალონი? მთელი ტანჯვა-წამება, რომელსაც იგი იტანს თავის სიცოცხლეში.

ამ ნახატის გვერდზე სხვა სურათია: ორი მილეული და ფერმკრთალი ბიჭუნა, აი ისეთები, როგორიც ხამიცის შვილები არიან, გზაზე ქვებსა რანდავენ, თლიან. ფეხები ძონძებითა აქვთ შეხვეული.

— ეჰ, ჩვენო ბავშვებო, ჩვენო ახალგაზრდობავ, რა ცუდ დროს დაიბადეთ, რა ჯოჯოხეთში იზრდებით! — ამოიკვნესა ხამიციმ და ცრემლებით ამოვსებული თვალები მჯიღებით ამოიშრალა.

ამ დროს უკან დაბრუნდა მასპინძელი და ხამიცი მას მიუბრუნდა:

— ეს ყველაფერი თქვენ თვითონ დახატეთ?

— დიახ, — მშვიდად მიუგო ოსტატმა.

— რა ნაოსტატარია, იფ! — განაგრძო აღტაცებულმა ხამიციმ. — ასე მგონია, სურათები კი არა, ცოცხალი ადამიანები შემომცქერიან და ეს ესაა ბაასს გამიმართავენ.

იატაკზე და ოთახის კუთხეებში ელაგა ისეთი სურათები, რომლებზეც წმიდანები იყო გამოხატული, მაგრამ ხამიცი, ღმერთის დიდი მორწმუნე კაცი, ახლა რატომღაც სრულებით არ აქცევდა მათ ყურადღებას. მან მზერა ვერ მოსწყვიტა იმ სურათებს, რომლებშიც მისივე მსგავსი ღატაკი ხალხი იყო გამოხატული.

— ძვირფასო სტუმარო, ერთი ახლა ეს მითხარი, ასე შეუპოვრად რომ ეძებ კოსტას მესამე დღე, რა გაქვს ასეთი საქმე? — ჰკითხა მასპინძელმა.

— მინდა ვუთხრა ჩვენი გასაჭირი. ტანჯვა-წამებაში ამოგვდის სული. კისერზე მძიმე უღელი დაგვადგეს და გვერეკებიან ისე, თითქოს ხარები ვიყოთ. გვცივა და სახრით გვახურებენ, გვშია და მათრახებით გვიმასპინძლდებიან. რაღა სიტყვა გავაგრძელო, ყველაფერი ისეა, აი, „დოდოის“ ლექსში რომ ამბობს კოსტა. ამიტომ გადავწყვიტეთ, ვნახოთ იგი და ჩვენი გასაჭირი ვუთხრათ, რათა...

კარებზე დააკაკუნეს და ოსტატი იქითკენ წავიდა.

— კოსტას სიცოცხლე! — ჩაიქირქილა ვიღაცამ.

შემოვიდა თმაგაფოფრილი მღვდელი, რომელსაც შავი ანაფორა კოჭებამდე სწვდებოდა. გაზობერილ მუცელზე ესვენა ვერცხლის ძეწკვზე დაკიდებული ჯვარი. ხამიცი გახევდა და პირდაღებული მიაშტერდა მასპინძელს.

— ძვირფასო კოსტა, მზადაა ჩემი დაკვეთა? — ჩაიდუდუნა მღვდელმა. — აი, მცირე გასამრჯელოც მოგიტანე უკვე.

კოსტა! ეს სახელი გაიგონა თუ არა, ხამიციმ იგრძნო, რომ გულმა სიხარულისაგან ცემას მოუმატა.

შემოსვლისთანავე, მასპინძლის დაჟინებით ხამიციმ თავისი გაცვეთილი ჩოხა გაიძრო და სკამზე დადო. ახლა მას რატომღაც შერცხვა, მე უნამუსომ, კოსტასთან პირისპირ მდგარმა, როგორ გავბედე ჩოხის გახდაო. უცებ დაავლო ხელი და ჩაცმას აპირებდა, მაგრამ არ აცალა მასპინძელმა, ხელი მოჰკიდა და მეზობელ ოთახში გაიყვანა. ამ ოთახს ეტყობოდა, რომ კოსტასთვის ის იყო საწოლიცა და სასადილოც.

— მაპატიე, ძვირფასო სტუმარო. აი ამ გრძელწვერას გავისტუმრებ და მალე მოვალ. მერე კი გუნებიერად ვილაპარაკოთ, რამდენიც მოგეხასიათება.

ხამიცი დიდხანს იდგა გახევებული ოთახის შუაგულში, ხოლო როცა კოსტა შემობრუნდა, თავი ვეღარ შეიკავა: მივარდა და გადაეხვია.

სულ გაბაეშვდა სიხარულისაგან: ასე მშიერი ჩვილი თუ მივარდება დიდი ხნის უნახავ დედას.

ღელავდა, ძალიან ღელავდა და აღარ იცოდა რა ექნა.

— კოსტა, ჩვენო კოსტა, დაგვეხმარე, გვიშვე-

ლე საწყალ ხალხს... — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა.

კოსტამ დასვა იგი, მისი ხელი ხელში აიღო ალერსიანად და დიდხანს ესაუბრა. ხამიცი ხარბად უსმენდა კოსტას. მისი გულითადი ხმა სულში უძვრებოდა.

ბოლოს ასე დაამშვიდა კოსტამ სტუმარი:

— ჩემო ძმაო, და ძვირფასო სტუმარო, ვისთვის მინდა ჩემი სიცოცხლე, თუ არა ჩემი ხალხისთვის. ვეცდები, როგორმე დაგეხმაროთ, შეგიმსუბუქოთ ცხოვრების მძიმე ტვირთი.

ამ სიტყვებმა გაამხნევა ხამიცი. გულსა და ძარღვებში რაღაც სითბო ჩაეღვარა.

„კოსტამ მე მიწოდა ძმა და ძვირფასი სტუმარი, მე ბოგანოს, თავისი ტოლი გამხადა. ამაზე მეტი დაფასება გინდა კიდევ?" — ფიქრობდა იგი და სიამაყე ემატებოდა.

საუბრის შემდეგ ხამიცმ ოთახს დაუწყო თვალიერება. სურდა გაეგო, თუ სად იყო კოსტას ჯალაბი, მაგრამ კითხვა ვერ გაუბედა, რცხვენოდა.

კედელზე მიკრულ კაჩაზე ეკიდა ოსური ტანსაცმელი. ოთახის ერთი მხარე მთლიანად წიგნებს ეკავა. „დიდი კაცია, დიდი, კოსტა და რა უბრალოდ უპირავს თავი, ჩვენი კაცია, ჩვენი: უბრალო ოსი, საყვარელი ადამიანი", — განაგრძობდა ხამიცი ფიქრს.

უკვე გვიანი იყო და კოსტამ სტუმარი სახლიდან არ გაუშვა. რიგიანად ავახშმა და სამუშაო ოთახში გაუშალა ლოგინი.

დილით ოთახში შემოსულმა კოსტამ დაინახა, რომ ხამიცი უკვე მზად იყო წასასვლელად.

ეჩქარებოდა ხამიცის: უნდოდა, რაც შეიძლება, მალე მისულიყო მეზობლებთან და მიეხარებინა, კოსტა ვნახე და არა მარტო ვნახე, მასთან ღამეც გავათიეო. რასაკვირველია, იმასაც ეტყვის: ჩვენი პირ-ვარამი ვუამბე და შველას დამპირდაო.

გამოთხოვებისას ხამიცმ უთხრა კოსტას:

— გვეწვიე მთაში, ჩვენო ქომაგო და შემწეე. თქვენი სტუმრობა ჩვენთვის იქნება მზის გამოჩენა ავდრების შემდეგ.

— აუცილებლად გეწვევით, აუცილებლად. სალამი გადაეცი ჩვენს თანამოძმეებს. გულს ნუ გაიტეხთ, მომავალი ჩვენია-თქო.

შორს გააცილა კოსტამ სტუმარი, დაემშვიდობა და ერთხელ კიდევ დააიმედა, აუცილებლად გეწვევიო.

ხამიცი გაუყვა გზას და თვალს მიეფარა, კოსტა კი იდგა ისევ გზაჯვარედინზე, იქით გასცქეროდა, სადაც ხამიცი მიიმალა და რაღაცას ჩურჩულებდა. ალბათ ახალ ლექსს თუ თხზავდა.

ხამიცი ოჯახში დაბრუნდა.

მეზობლებმა მაშინვე გაიგეს მისი დაბრუნება და ჯგუფ-ჯგუფად დაიწყეს მოსვლა, რამდენი კაციც იყო, იმდენივე — შეკითხვა, ხოლო მეტი სიხარულისაგან აღელვებული ხამიცი კი სულ ერთიდაიმავეს გაიძახოდა:

— ოსეთს ასეთი კაცი აქამდე არ ჰყოლია. თავმდაბალიო? რას ამბობ, კაცო.. მე მასთან ღამეც კი გავათიე. ძმასავით მიმიღო. დამპირდა, სოფელში გესტუმრები მალეო. აუცილებლად გესტუმრებიო.

ზოგიერთ მეზობელს ხამიცის ნაამბობი არა სჯეროდა, მაგის ამბავი რომ ვიცი, კოსტა დაესიზმრებოდა და თავისი სიზმარი მართალი ჰგონიაო.

მოვსვლელთა დაკითხვები კი არა წყდებოდა და არა:

— მაღალია? ვის ჰგავს?

— რით გაგიმასპინძლდა?

— რაიო, კიდევ რა გიამბო?

— ჩვენებურად იცვამს?

— სამხრეულები ოქროსი აქვს?

— რისი სამხრეულები, რისი ეპოლეტები, რას ამბობ, რას! — გული მოუვიდა ხამიცის. — არავითარი ჩინი არა აქვს. სალებავებით დასვრილი ხალათი ეცვა, კარებში რომ გამომეგება. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მღებავი მეგონა. ის კი თურმე ვეებერთელა სურათებსა ხატავს, უბრალოს კი არა, ძალიან ძვირფასს. ის სურათები რომ დავინახე, ასე მეგონა, ცოცხალი ადამიანები შემომცქერიან-მეთქი. სიმაღლით? აი, როგორ გითხრა. ჩემზელა იქნება. შავგვრემანია, ბრძენის გამოხედვა აქვს. ხომ გინახავთ ნამდვილი ოსი, კოსტაც ისეთია სწორედ. ნუღარ მაწუხებთ, თქვენი პირიმე, აი, ხვალ თვითონ გეესტუმრება და თქვენი თვალითვე ნახავთ.

დანიშნულ დღეს ხალხი დილიდანვე მოემზადა და კოსტას დასახვედრად წავიდა სოფლის იქით. კვირა დღე იყო; კაეის ქვები ელავდა მოხუცთა ხელებში.

ძირს, ფლატეში, რომლის თავზეც იყო აული გაშენებული, მთის მდინარე მოგელავდა გიჟი რაშივით, კლდოვან ნაპირებს ეხლეჩოდა და ქაფადქცეული ღრიალით ვარდებოდა უფრო ქვევით. მდინარის ღრიალს უერთდებოდა ქარის წივილი. ცაში გალობდნენ ჩიტები. და ყველაფერი ეს იყო ბუნების უსიტყვო სიმღერა, რომელსაც შეიძლება ყაცმა უსმინოს და უსმინოს განუწყვეტლივ.

სტუმრის მომლოდინენი ჯგუფ-ჯგუფად დაეშალნენ და, დრო რომ მოეკლათ, ზოგი რას იგონებდა და ზოგი რას.

ერთმა სახელდახელოდ ლექსიც კი შეთხზა და მაშინვე ეს ლექსი სიმღერად აქციეს. კოსტას უმღეროდნენ ისინი. ყველა ცდილობდა სხვაზე უკეთ ემღერა ეს ახალი ლექსი. ვისაც სიმღერა არ გამოსდიოდა, ხამიცი გუნდიდან აგდებდა, გული მოსდიოდა მასზე და უწყრებოდა:

— კოსტას არ უყვარს, როცა ერთი ალთას გაპყვირის და მეორე — ბალთას. თუ სიმღერაა, ნამდვილი სიმღერა უნდა იყოს, ერთი გულით და ხმით აგუგუნებული: ისეთივე ლამაზი და ხმაშეწყობილი, როგორიც „დოდოს“ სიმღერაა. სიმღერამ გული უნდა აანთოს, გული. ისე არ ვარგა.

მოხუცმა დოლათმა მოუსმინა ხამიცის და უთხრა:

— ეჰ, გამიგონია, კოსტა ისე მღერის, მთელ ოსეთში ვერავინ აჯობებსო. ჩვენ სად შეგვიძლია მისი საკადრისი სიმღერა ვიგალობოთ. სჯობია გავრუმდეთ, სასაცილოდ ნუ გავიხდით თავს. მთელმა სოფელმა რომ კარგად იმღეროს ახალი ლექსი, ამას დიდი დრო უნდა, ერთ დღეში არ მოხერხდება.

ამ დროს გზის ნაპირზე ობლად მდგარ ხეზე აცოცებულმა ბავშვებმა ძახილი ასტეხეს:

— მოდის, კოსტა მოდის!

სიმღერა უმალვე შეწყდა. ვინც იჯდა, მაშინვე წამოხტა. ხალხის ნიაღვარი თაქვე დაეშვა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ ვის გაასწრებდა და პირველი ჩამოართმევდა კოსტას ხელს.

ხალხს წინ შემოეყარა ცხენოსანი; მას თეთრი ჩოხა ეცვა და ზედ შავი ნაბადი ჰქონდა წამოხურული.

წარმოიდგინეთ, იმედი დარდში გახვეული. აი, ასეთია იმ ცხენოსანიც.

მან სწრაფად დააოკა ცხენი და გადმოხტა.

ხალხს ეგონა, ესაა კოსტაო, შემოეჯარნენ, მაგრამ არ გაუმართლდათ ვარაუდი.

— ჩვენ კოსტას ველოდით, ვინ ხარ შენ? — ჰკითხა დოლათმა.

მტვერს გაეპაღარავებინა ეს უცხო კაცი. სევდიანი თვალები ცრემლებითა ჰქონდა სავსე. მან დამნაშავესავით დახარა თავი. ეტყობოდა, უჭირდა პასუხის გაცემა.

შეშფოთებულ-შეწუხებული ხალხი მისჩერებოდა მას.

— რა მოხდა, სტუმარო? ლმერთო, გვიშველე! ცუდი ამბის მაცნე ხომ არა ხარ? — პირისპირ დაუდგა ხამიცი უცნობს.

— არ ვიცი, რით განუგეშოთ... — ძლივს ამოიღო ხმა მოსულმა. — გუშინ მეფის მოხელეებმა კოსტას ბორკილები დაადვეს და სადღაც შორეულ მხარეში გაიტაცეს...

ხალხი საავდროდ გამზადებულ ლრუბელს დაემსგავსა. მათ შორის იდგა ის უცნობი, როგორც იმედი დარდში გახვეული, ხოლო ხევში ხვნეშით გარბოდა გაგულისებული მდინარე.

მაქსიმ ცაგარელი

პეტროვიჩი

მოთხრობა

ეს რამდენიმე წელიწადია შვებულებას სანატორიუმებში ვატარებ, წელს კი სულ სხვა განზრახვა მქონდა. ვფიქრობდი: „მოდი, სოფელში წავალ, წავიყვან ოჯახს, ვინახულებ ნათესავებს, მეგობრებს, ნაცნობებს. დიდი ხანია მათთან აღარ ვყოფილვარ, შემდურებიან...“

დაპირებით კი დავაპირე, მაგრამ ჩემი სურვილი სურვილად დარჩა. საქარხნო კომიტეტში გამომიძახეს და ისევ საგზური მომცეს... კი არ იფიქრო, ეს კაცი ტრაბახობსო, არა! ქარხანაში ჩემი პატიოსანი მუშაობისათვის პატივს მცემენ... „სანადირო სერის“ საგზური მარგუნეს. ყოფილხარ როდისმე იქ? არა? ოო, შშვენიერი ადგილია! სანატორიუმი კი არა, ზღაპარია!

დიახ, სწორედ ასე მითხრეს და არც ვინანე, რომ სოფლის მაგიერ „სანადირო სერისკენ“ გავეგზავნე.

იმვიათი, მზიანი დღე დადგა. მაინც რა ლამაზია ჩვენი მთიანი მხარე. განსაკუთრებით ის კუთხე, სადაც „სანადირო სერია“ შეფენილი. ორიენ მხარეს უზარმაზარი კლდეებია, გარშემო კი მთის კალთებზე ფიჭვის ტყეები. ფიჭვის ტყეებს გადმოჰყურებენ ცისფერი მყინვარები, საიდანაც ოდნავ შესამჩნევად უბერავს მთის ნიავი.

მერე, რომ იცოდე, როგორი მდინარეა იქ, როგორი წყალი! ცრემლივით გამჭვირვალე, ისეთი ცივი, რომ, დალევ თუ არა, კბილებს გაგიყინავს. მაღალ, ყინულოვან კლდეებს მოწყვეტილი, აქაფებით მოქუხს ეიწრო ხეობაში, უზარმაზარ ლოდებს შორის შოაჩქაფუნებს ტალღებს... აი, უცებ დაიკარგება, თითქოს თვალხუჭუნას გეთამაშებოდეს, მერე კი ქვევით მოჰკრავ თვალს, ისევ გამოჩნდება, ლოდებს ქვეშ ნაკადულად გამოჩუხჩუხებს... ასეთი სილამაზე ჯერ არ მინახავს. მიხვალ პაპანაქება სიცხეში, აქაფებულ ბროლის მსგავს ტალღებს მუქით დასწვდები, შეისხამ სახეზე, მკერდზე, ყელზე და თითქოს ხელახლა იბადები. სიგრილე ერუანტელივით დაგიელის სხეულში.

მერე, როგორი ხეებია იქ!.. ხედავ, კლდეა, შიშველი ტინი და ამ ციცაბოზე სასწაულებრივად დგანან ხეები, სადღაც ჩაუშვიათ ფესვები და მთის ქარბუქი არაფრად მიაჩნიათ, შეურყეველად დგანან ზამთარ-ზაფხულ. აი სიცოცხლის ძალა!

მე კი არა, მწერალი, სიტყვის ოსტატი უნდა სწერდეს ამას!

ჰოდა, „სანადირო სერს“ უკვე სადილობის შემდეგ მივაღწიე. ავტობუსიდან გადმოვედი და მაღლა მიმავალ ბილიკს შევყევი. იქ, კლდის ძირას, ტანლამაზ ფიჭვებს შორის, სანატორიუმის მაღალი აგურის კორპუსები ისე ამაყად გამოიყურებოდნენ, თითქოს გრძნობდნენ, რომ ამ არემარეზე ადამიანის ხელს მათი შესადარი არაფერი გაეკეთებინა... მარცხნივ, მდინარისკენ გავიხედე და ჩემოდნით ხელში ერთ ადგილას დავშეშდი.

ვხედავ, მდინარიდან ალმართზე ძლივძლივობით ამოდის მამაკაცი, ისეთი მსუქანი, რომ თავის ზოლებიან პიჟამოში ვეღარ ეტევა.

„არა უშავს-რა, — გავიფიქრე, — კარგი რეკლამაა სანატორიუმისთვის! საინტერესოა, რამ გაასივა ასე? ნეტავ რას აჭმევენ?“

მისი სახე მეცნაურა. სადღაც მინახავს, ვიღაცას ვამსგავსებ. უცებ ვიცანი და უნებურად ალმომხდა:

— მისოსთ!

ჩასუქებული კაცი შეჩერდა, შემომხედა, შეუფერებელი სისწრაფით ამოირბინა ალმართი და თავისი გიგანტური ტანით წინ ამეყუდა. მარჯვენა ხელზე გადაკიდული რბილი, ხაოიანი პირსახოცი თითქმის მიწაზე მოსთრევდა, მძიმედ სუნთქავდა და ისე შემომცქეროდა, თითქოს გაოცებისგან გაშეშებულაო.

— ძაბო! ნუთუ შენა ხარ?

— როგორც ხედავ!

მან აუჩქარებლად გადააბიჯა განზე, პირსახოცი ქვაზე ფრთხილად გადაფინა, სახელოები აიწია, ხალნიანი მაჯები გამოაჩინა და მოშინაურებული დათვის მძიმე ნაბიჯით მომაახლოვდა, მერე ხელები შემომზვია და ისეთი ძალით შემომატრიალა, რომ თვალები ამიჭრელდა, ჩემს თვალწინ ყველაფერი ერთმანეთში აირია: მთებიც, ფიჭვებიც და მდინარეც... ჩემს თავზე უკვე ალარ ვწუხდი, მხოლოდ ის მაფიქრებდა, რომ ხელიდან ჩემოდანი არ გამვარდნოდა. ჩემოდანში ერთი ბოთლი კარგი ღვინო მქონდა და მეშინოდა არ გამტეხოდა.

— ახ, შე ვირის ჩლიქო!.. ძაღლის კუდო!.. — დამაყარა მისოსთმა თავისი ლექსიკონის საალერსო სიტყვები, როცა ბოლოსდაბოლოს ხელი გამიშვა.

ფეხქვეშ ისევ მიწა ვიგრძენი და ჩემოდანი გვერდით მოვიდგი.

— რომ იცოდე, რა მიხარია შენი ნახვა! მაგრამ, გესმის როგორ ვსუნთქავ? გული, მეგობარო, გული, ლამის გული ამომვარდეს! — ქშინავდა მისოსთი.

— ჰო, საცოდავი სანახავი ხარ, ვიზიარებ შენი გულის ღელვას, — გავიცინე მე და ალმაცერად გავხედე მის მძლავრ მკერდზე გადაკიმულ ცისფერ მაისურას, რომელიც პიჟამოს გულისპირიდან მოჩანდა.

მან ჩემი გამოხედვა შეამჩნია, ეშმაკურად აელვარა შავი, ცოცხალი თვალები და ამოიოხრა:

— ეჰ, შენ გეცინება, მაგრამ აბა დღეში სამჯერ ჩაათრიე ამოდენა სხეული ამ ხევში და ისევ უკან ამოათრიე!

მე მდინარისკენ გავიხედე. მდინარე დუღდა, მზეზე ბრწყინავდა, ქვებს ეხეთქებოდა და მხიარულად ძიტტოდა.

— მერე რატომ გჭირდება ასე ხშირად ჩასვლა მდინარეზე? — ვკითხე მე.

— ჩემო მეგობარო, ამბობენ, ცივი აბაზანები მარგებელიაო... აბა, წავიდეთ! თუ, შენ მხოლოდ იმისთვის ჩამოხვედი, რომ გენახა, რას აკეთებს მისოსთი ამ დაწყეველილ ხევში? — წამოიძახა მისოსთმა და გულღიად გაიცინა. ასეთი გადამდები სიცილი დიდი ხანია ალარ გამიგონია. ის წინ გამიძღვა.

სანატორიუმისკენ კარგა დიდი ალმართი იყო. მისოსთი ხშირხშირად ჩერდებოდა, მძიმედ სუნთქავდა და მაღალი შუბლიდან ოფლს იწმენდდა.

— ასე, მეგობარო... ხედავ, რას დავემსგავსე? შენ ალბათ გახსოვს ტანწერწეტა, მოხდენილი მისოსთი. ვაი, რომ ის მისოსთი ალარ არსებობს, უწინდებურად ვეღარ მოაფრინდება ნაკრისფერ ორღას, — სთქვა მისოსთმა, როცა სანატორიუმის ნაპირა კორპუსთან მივედით და კარის მახლობლად გავჩერდით.

— მაგრამ რას იზამ, ასეთი ნაღვლიანი ფიქრები წელს ვერ დამიწვრილებს... მაშ ლაპარაკიც არა ღირს... ახლა, მოდი, ასე მოვიქცეთ: ჩემს ოთახში დასტოვე შენი ჩემოდანი, პირი დაიბანე, თავი წესიერად მოიყვანე, თორემ შენისთანა ვაჟკაცისთვის უხერხულია გზაში გამტვრიანებული წარუდგე დირექტორს.

— არა, მისოსთ, მოდი ჯერ ყველა საქმე მოვიმორეთ...

— მაშ კარგი, აი აქ, ხის ქვეშ ჩამოჯექ სავარძელში, დასვენე, მე კი ტანსაცმელს გამოვიცვლი და მერე წავიდეთ დირექტორთან, — მისოსთი კარებში შეეიდა, მაგრამ უცებ ისევ მობრუნდა: — მართლა, რაც მთავარია, ის კი არ მითქვამს შენთვის... იცი, ჩვენი მამა აქ არის... თუმცა ჯერ მაღარიჩი მოამზადე, შემდეგ კი ახალ ამბავს გეტყვი. უმაღარიჩოდ არაფერი გამოვა!

იგი სერიოზული სახით მიეფარა კარს.

„ჩვენი მამა“... გოცებით გავიფიქრე და ფიქვის ხის ქვეშ სავარძელში ჩამოვჯექი. ირგვლივ მიმოვიხედე: სანატორიუმის უზარმაზარ დამსვენებლები გამოფენილან. ზოგი ხეებქვეშ ჩამომჯდარა, ზოგი სეირნობს, მაგრამ მათ შორის არავითარი „მამა“ არა ჩანს... მამაჩემი დიდი ხანია რაც მოკვდა, მისოსთის მამაც, შვილი, აღარ არის ცოცხალი. მაშ ვინ არის ეს „ჩვენი მამა“? მისოსთი კი ისეთი კაცია, ტყუილად არ წამოროშავდა.

პირველად მისოსთს სტალინგრადის ახლოს შევხვდი. ერთ ნაწილში ვმსახურობდით. ერთად ვხოცავდით ფაშისტებს, ერთად მოგვყავდა ისინი ტყვედ. ერთმა ბედმა ღვიძლ ძმებივით შეგვაყვარა ერთმანეთი.

ის ჩემზე უფროსი იყო, მაღალი, ჩასხმული და ისეთი ლონიერი, რომ როგორი მხეცი ფრიციც არ უნდა შესჩეხებოდა პირისპირ, არ გაუშვებდა, სანამ ღლინს არ გააცლიდა. იმდროინდელ გაზეთებში ბევრს წერდნენ მისოსთის გამბედაობაზე და ჯილდოც ბევრი ჰქონდა მიღებული. ომამდე ემტეესის ბრიგადირი იყო და იქ, სანგრებშიც არ ივიწყებდა თავის ტრაქტორებს. ვისხედით და სმენადქცეულნი ვუსმენდით მის ნაამბობს... ჩვენს თვალწინ მოჰქროდნენ მისოსთის ტრაქტორები, რომლებიც სხვა ტრაქტორებს არა ჰგავდნენ, რაღაც განსაკუთრებულნი და საყვარელნი იყვნენ. მათი ბორბლები კი არ რახრახებდნენ, მღეროდნენ. მინდვრები კი თითქოს ხარობდნენ, როცა ეს უცნაური ტრაქტორები შავი ჯედებივით მიცურავდნენ ნახნავებში. გვიან შემოდგომით კი მინდვრები მოიწყენდნენ ხოლმე, რადგან სამუშაოები მთავრდებოდა და ტრაქტორების სიმღერაც აღარ გაისმოდა... ეჰ, კარგი მოყოლა იცოდა მისოსთმა!

ომის შემდეგ ორი წელიწადი კიდევ იმუშავა ბრიგადირად, მერე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შევიდა და სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ფაკულტეტი ბრწყინვალედ დაასრულა. შემდეგ მისოსთი სამინისტროში წაიყვანეს... წაიყვანეს და, სწორედ იქ ჩასუქდა უმოძრაო ცხოვრებისაგან. მაგრამ მან მაინც მოახერხა, როგორც თვითონ ამბობდა, „გამოქცევა“ სამინისტროდან... ახლა ის ემტეესში მუშაობს და კარგადაც მუშაობს. ან კი როგორ შეიძლება ცუდად იმუშაოს ადამიანმა, რომელიც მთელი თავისი არსებით გრძნობს, თუ რა მოწყენილნი არიან მინდვრები, როცა ტრაქტორების სიმღერას არ უსმენენ.

მაგრამ, ვინ არის ეს „ჩვენი მამა“, ვფიქრობ და თან თვალს არ ვაშორებ დამსვენებლებს, ვათვალიერებ, მაგრამ ამაოდ...

მისოსთი გამოჩნდა. მას თეთრი კიტელი და ნაცრისფერი შარვალი ჩაეცვა. ქუდი არ ეხურა. ხეობიდან მონაბერი მსუბუქი სიო ოდნავ ურხევდა საფეთქლებთან უკვე შეპალარავებულ ხშირ თმას.

— აბა, მეგობარო, რასა იქ?

— რა მიშავს, ვზივარ ჩემთვის...

— რატომაც არა... აქ ბუნებაც მშვენიერია, ხალხიც. დაასვენე, ისიამოვნე, — გაიღიმა მისოსთმა.

— გმადლობთ, ბუნებაც კარგია, ეს მშვიდი სავარძელიც, მაგრამ ვინ არის ის „ჩვენი მამა“? ეი, რასანია ეათვალიერებ და... თუ ძმა ხარ, ამიხსენი.

— ე, მისი პოვნა არც ისე ადვილია! მალარიჩი მოამზადე?

— ეგ ნუ გადარდებს...

— ჰოო, მაშ წავიდეთ!

წავედით დირექტორთან... საგზურის ჩაბარების შემდეგ მომცეს ოთახი, რომლის ფართო ფანჯრიდან მშვენიერი ცისფერმყინვარებიანი პეიზაჟი მოჩანდა.

სანამ პირს დავიბანდი და ტანსაცმელს გამოვიცვლიდი, მისოსთი ხუმრობდა კიდეც, ჩემი ცხოვრების ამბებსაც მეკითხებოდა, მაგრამ ის უცნაური „ჩვენი მამა“ აღარ უხსენებია. მერე წავიდა და ერთი საათის შემდეგ ისევ დაბრუნდა. იღლიაში ამოედო რაღაც შეხვეული, რომელსაც ძალიან გემრიელი სუნი ასდიოდა.

— წავიდეთ. — მითხრა მან.

მე გაზეთში შევახვიე ჩემი ბოთლი. მისოსთი მახლობელი კორპუსისკენ გამიძღვა. ჯეჯილით დაფარული კიბე ავიარეთ და მეორე სართულზე დიდ დარბაზში შეეედით. დარბაზში თეთრსუფრაგადაფარებულ მაგიდებზე ყვავილებიანი ლარნაკები იდგა.

„რად მომათრია სასადილოში? — გაეიფიქრე მე. — ჯერ ვახშმობამდე დიდი დროა. ეტყობა კიდევ რაღაც ოიმს მიწყობს“.

მისოსთი მივიდა ნახევრად მრგვალ სარკმელთან, რომელიც სასადილოსა და სამზარეულოს გამყოფ კედელში იყო გამოჭრილი. სარკმელი დახურული იყო. სამზარეულოდან შიშპინი ისმოდა: ეტყობა, ერბოში სწვავდნენ რაღაცას.

მისოსთმა ფანჯარა გამოაღო, თავი შიგ შეჰყო და დაიძახა:

— ქალიშვილო, ერთი ჩემს მეგობარს დაუძახე! აი, იქ რომ ტრიალებს. უთხარი, სტუმრებს ეჩვენე-თქო! იარაღასხმული! ცეცხლის საჩხრეკის წამოღება არ დავავიწყდეს-თქო! — ხელი ჩამავლო, ფანჯარასთან მიმიყვანა და თვითონ განზე გახტა. — სარკმელს თვალი არ მოაშორო, ახლავე გამოიხედავს!

ერთ წუთს არ გაუვლია, რომ ფანჯრიდან ხანშესულმა, მწითურმა, სქელულვაშიანმა კაცმა გამოჰყო თავი და მდუმარედ შემომხედა, როგორც მისთვის სრულიად უცნობ ადამიანს. შემდეგ თვალებმოჭუტული დამაშტერდა და უცებ წარბები ზეასწია.

— ძაბო! — ისეთი სიხარულით წამოიძახა და ისე გამოიწია ჩემსკენ, თითქოს ფანჯრიდან გადმოძრომა ეწადა:

— პეტროვიჩ! — დავიყვირე მე.

მაგრამ ჩვენ შორის მკვირცხლად ჩადგა მისოსთი.

— ღვთის გულისათვის... მართალია, შენ მთლად უფროსი მზარეული ხარ, მაგრამ არ გეგონოს, ჩვენც შენსავით ძუნწები ვართ. აი, ნობათი ძაბოსგან, — უთხრა მან და შეხვეული პეტროვიჩს გადასცა.

* *

ვაშმის შემდეგ სამივენი სანატორიუმის ეზოში ფიქვის ხის ქვეშ ჩამოვსხედით. მშვენიერი, ისეთი ალერსიანი საღამო იყო, თითქოს ბუნებაც იზიარებდა ჩვენს სიხარულს. ყოველ შემთხვევაში მაშინ მე ასე მეჩვენებოდა.

მთვარე ამოვიდა და თავს დაგვადგა. ხევში მდინარე ხმაურით მოათამაშებდა ვერცხლისფერ ჩრდილებს. მთვარის შუქში რაღაც იდუმლად ანათებდნენ მყინვარები, ჩუმად ჩურჩულებდნენ ფიქვის ხეები. მათ შორის ჭამოსულიყო ხეივნებში და სანატორიუმის ფანჯრებში ანთებული ელნათურები. მარცხნივ, მოედნიდან ჩვენამდე აღწევდა გარმონისა და სიმღერის ხმები.

ნიკოლაი პეტროვიჩს ძალზე ახარებდა ჩვენი შეხვედრა, ფუსფუსებდა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, რომ ჩემთვის ესიამოვნებინა.

ახლა ალარ მახსოვს, რაზე ესაუბრობდით, მაგრამ მისოსთის ხუმრობისაგან ფერდები და საფეთქლები მტკიოდა, პეტროვიჩი მთლად ცახცახებდა და ღონეგამოცლილი უნებურად ზედ მაწყდებოდა.

საათზე შეტხანს ვისხედით ასე. შემდეგ პეტროვიჩს გაახსენდა, რომ მას სამზარეულოში კიდევ ჰქონდა სამუშაო, ბოდიში მოიხადა და წავიდა.

— ხვალ გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი! — მიაძახა მისოსთმა.

— აუცილებლად! — მთვარის ბინდბუნდიდან გამოეხმაურა პეტროვიჩი.

ჩვენ ორნი დავრჩით და ახლა პეტროვიჩზე ჩამოვაგდეთ საუბარი. ოდესღაც ფრონტზე ის ჩვენი მზარეული იყო და ისე ზრუნავდა სალდათებზე, ისეთი გულისხმიერი, ისეთი თავგანწირული იყო, რომ მას „ჩვენი მამა“ შევარქვეთ.

ერთხელ, როცა უკვე გერმანელების მიწაზე ვიბრძოდით, ასეთი ამბავი შეგვემთხვა: ზამთარი იყო, გათენებისას ერთ ხევში, თხრილებში ვისხედით და შეტევისათვის ვემზადებოდით. ჩვენ მარჯვენა ფრთაზე ღრმა თოვლით დაფარული კალთებდაქანებული ერთი პატარა მაღლობი გვეჭირა. სადღაც წინ კი, და ამ მაღლობის იქით, თხრილებშიც ჰიტლერელები იყვნენ ჩასაფრებულნი.

უცებ სროლის ხმა შემოგვესმა. ყამოვიხედეთ თხრილებიდან. ჰიტლერელებმა სროლა აგვიტეხეს და ისევ მიჩუმდნენ.

მისოსთმა მაღლობს შეხედა, ნიდაყვი წამკრა და სრულიად სერიოზულად მკითხა:

— განა აქ კუ იცის?

ხუმრობას ვერ მივუხვდი და ახლა მე შევეკითხე:

— რა კუ? აქ კუებს რა უნდათ, ისიც ზამთარში?

— მაშ ის რა არის? შეხედე, აი, ჩვენსკენ რომ მოგორავს, განა კუ არ არის?

გავხედე. მართლაც მაღლობიდან ქვევით რაღაც მრგვალი მოგორავს, გამოჩნდება და ისევ გაჰქრება.

ჯერ ნისლი არ გაფანტულიყო და მე ვერაფერი ვაკარჩიე.

სწორედ ამ დროს მტრებმა ქვემეხები დაგვიშინეს. ჭურვები ჩვენს მახლობლად სკდებოდა. ჩვენ თხრილში ჩავსხედით და „ჯე" მხედველობიდან დაგვეკარგა. როგორც კი ჭურვების სკდომა შეწყდა, უცებ ჩემს გვერდით რალაცამ ყრუდ დაიგრუხუნა, თითქოს ზვავი ჩამოწვაო მთებში. შეეხედე, მაღლობიდან ფლატეზე ჩამოეშვა და ჩვენსკენ ჩამოგორდა თოვლის უშველებელი, უცნაური გუნდა. ეს გუნდა მოძრაობს... რა არის ეს? სალდათები მოცვივდნენ, მე და მისოსთმაც მივირბინეთ, დაეუმიზნეთ ავტომატები, მაგრამ უცებ თოვლის გუნდა, როგორც ზღაპარში, ადამიანის ხმით ალაპარაკდა:

— არ მესროლოთ, ძმებო!

მე ჩექმის ცხვირი წავკარი: იქნებ თქვას, ვინ არის, რა არის, საიდან? გაგვიმხილოს თავისი საიდუმლო...

თოვლის გუნდა კი მოძრაობს, ფართხალებს, და უცებ, ამ თოვლის გუნდიდან გამოძვრა... პეტროვიჩი!

— ხედავთ, კვერცხიდან წიწილებიც იჩეკება! — ისროლეთ თქვა მისოსთმა.

ყველანი პეტროვიჩს შემოვეხვიეთ და თოვლის ჩამობერტყვა დავუწყეთ. მას კი, როგორც დედას შვილი, ისე ჩაეხუტებინა გულში უშველებელი თერმოსი. თერმოსის გამორთვევა გვინდოდა, პეტროვიჩი არ გვანებებდა და რალაცას ბურტყუნებდა, რას, არ გვესმოდა. ვხედავთ, თოვლი და ქაში ულვაშებზე შეჰყინვია, პირდაპირ ფთილებად ჰკიდია. ბიჭებმა დაუწყეს ამ ფთილების მოცილება, ის კი ყვირის:

— თუ ჩემი უულვაშოდ დატოვება გინდათ, თითო-თითო ბეწვს კი ნუ მაწიწკნით, ბარემ ერთბაშად დამაგლიჯეთ!

თან ტკივილისაგან თვალებზე ცრემლი მოსდგომია.

მოვაცილეთ თუ არა მის ჯაყინულ ულვაშებს ეს უცნაური ლოლუები, პეტროვიჩი მაშინვე მოგვეკრა:

— სადა გაქვთ ქვაბები? მოიტანთ ჩქარა! თქვენთან სალაპარაკოდ არა მცალია. თერმოსიდან ქაში ილვრება.

ერთი წუთის შემდეგ თხრილში ვისხედით და სამოვნებით შევექცეოდით ჯერ ისევ თბილ ქაშს. პეტროვიჩი კი თავის აწეწილ ულვაშებზე ხელს ისვამდა და ისეთი ფარული სიხარულით შემოგვცქეროდა, როგორითაც დედა უყურებს თავის მშიერ შვილებს, რომლებიც მას გარსშემოსხდომიან და ხარბად სჭამენ გემრიელ, ეს არის ახლა გამომცხვარ ქადას. რა შეედრება ასეთ წუთებში დედის მადნიერებას?

— პეტროვიჩ, რაო, კიდევ შეგრჩა ულვაშები? — შეეკითხა ერთი სალდათი.

— ხო, ძალიან გამიჩეჩეთ! სიკვდილამდე არ დამავიწყდება, მაგრამ ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ ულვაშებს! აი, ეს თერმოსი მენანება, ფაშისტებმა გვერდი შეუმტვრიეს. მეგონა, ქაში სულ დაიკარგოდა.

— შენც ადექი და თერმოსი ექიმს მიუტანე, ჰოსპიტალში.

— ეხ, ნეტავ შეიძლებოდეს, შენი ენა საკერებლად დაედოს ამ თერმოსს! — გაჯავრებით ჩაიქნია ხელი პეტროვიჩმა. ამან ყველა გააცინა:

— პეტროვიჩ, — ვუთხარი მე, — აი, შენ სულ გვიჯავრდები, რომ ჩვენ ფაშისტების ტყვიებს არ ვერიდებით, პირისპირ ვაწყდებით... თვითონ შენ კი... იცოდი, რომ ჩვენ კონსერვებიც გვაქვს, პურიც, მაინც არ მოერიდე ტყვიებს. ასეთ სახიფათო მომენტში ქაში მოგვიტანე!

— სახიფათო? თქვენთვის კი არ არის სახიფათო? — შუბლშეკვრით წაიბურტყუნა პეტროვიჩმა. — განა არ ვიცოდი, რომ შეტევაზე მიდიხართ? განა შეიძლება, შეტევის წინ ცხელი საქმელი არა სჭამოთ? მაგ მე რისთვის ვარ? რის გამოსადეგი ვარ ასეთ შემთხვევაში? როგორ დაგტოვებდით უცხელკერძოდ? მაგრამ აი, თქვენი მონახვა კი მთელი წამებაა. სადაც მეგულებით, მივალ და ალარა მხვდებით. პაპიროსის ნამწვავებილაა დარჩენილი — წინ წასულხართ. ჰოდა, უნდა ვიხეტიალო, გეძებოთ. განა სახაზინო ფეხები მაქვს. მღედლები ამბობენ: „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთო" ე. ი. ივლი და იპოვნიო... დღესაც ვფიქრობდი: ვაი თუ ვერ მიეუსწრო-მეთქი და გათენებამდე წამოვედი. თანაც ეს ნისლი დადგა... გზა ამერია, კინაღამ გერმანელებს არ ჩავუვარდი ხელში. ვიარე, ვიარე და გათენებისას აი, ამ მალლობამდე , მოვალწიე, დასასვენებლად ჩამოვჯექი, თერმოსი მხრიდან მოვიხსენი, შესმის, სიდლაც

მახლობლად, გერმანელები ბურტყუნებენ. „აჰა, ვფიქრობ, ჩავარდი, პეტროვიჩო! მგონი შენი ქაში ფრიცებს დარჩებათ. მაგრამ არა! ვერ მივართვი! მათთვის კი არ მომიხარშავს. მე ჩემი ბიჭები მოლოდებიან...“ ჩავიხუტე თერმოსი გულში, წელში წავიხარე და როგორც კი დავიძარი, დამაყარეს ავტომატის ტყვია. — ერთი, მეორე, მესამე.

— მაშ ისინი შენ გესროდნენ? — შევეკითხე მე.

— მაშ ამა სხვას ვის? მე-მესროდნენ... მე ამაცდინეს, მაგრამ თერმოსი კი გამიხვრიტეს, უმსგავსებმა. მაღლობიდან რომ დავგორდი, ალბათ გადაწყვიტეს, — მოვკალითო. მაგრამ სად მცალია სიკვდილისათვის — პეტროვიჩის ტუჩებში დამცინავმა ღიმილმა გაიელვა. — ასე ჩამოვგორდი თქვენთან. თოვლი სველი იყო, შემომეხვია, ასე მეგონა თავს ვერ დავაღწევდი. მაგრამ აი, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მიხარია, რომ დაგანაყრეთ და როგორც წესია ისე გისტუმრებთ შეტევაზე. წარმატებას გისურვებთ! ახლა კი წავალ... ოღონდ სამაგიერო გადაუხადეთ, ძმებო, ამ ფრიცს თერმოსისათვის!

პეტროვიჩმა ცარიელი თერმოსი მხრებზე შემოიგდო, მსუბუქად ამოხტა თხრილიდან და მხრებში მოღუნული გაიქცა — უკან, თავის სამზარეულოსკენ.

აი ეს ეპიზოდი გავიხსენეთ მე და მისოსთმა, როცა სანატორიუმის ეზოში ფიქვის ხის ქვეშ ვისხედით. ვიცინეთ, შემდეგ ჩავფიქრდით, თან მღუმარედ შევყურებდით მეორე სართულის გაშუქებულ ფანჯრებს, სადაც ხანდახან გაიელვებდა ხოლმე პეტროვიჩის მოფუსფუსე ჩრდილი, რომელსაც მზარეულის ქუდი ჰქონდა თავზე ჩამოცმული.

და აი, როგორც ცაზე მსუბუქი ღრუბლები, ისე მიფრინავდნენ სანატორიუმის უზრუნველი დღეები. მე და მისოსთი ამ დღეებს უფრო ხშირად მდინარეზე ვატარებდით: მზეზე ვშავდებოდით, ვბანაობდით, ან ბუჩქის ძირას ჩრდილში ვიწექით და ოხუნჯობით ვკლავდით დროს.

ხანდახან საღამოს დადგომამდე ჩვენთან მუდამ რაღაცით შეწუხებული პეტროვიჩი მოვიდოდა, დაჯდებოდა, მოსწევდა პაპიროსს, გაგვაცინებდა, სწრაფად გაიხდიდა, იბანავებდა და მაშინვე მაღლა გარბოდა, თავის სამზარეულოში.

— სად გეჩქარება? — მისძახოდა მისოსთი, — არსად გაგექცევა შენი ქვაბები და ქურები. ნუ გეშინია, მათ ყურისმგდებელი არ მოაკლდებათ, დაისვენე ჩვენთან!

— ეჰ, არა.. თუ ღუმელს გვერდით არ უდგეხარ, საკმელი გემრიელი არ გამოვა, — თავისებურად იგერიებდა პეტროვიჩი და ქვიანი ბილიკით აჩქარებით ადიოდა აღმართზე.

ასეც ხდებოდა ხოლმე: ვსხედვართ მდინარის პირას, ველით პეტროვიჩს, ის კი არა ჩანს და არა. უპეტროვიჩოდ მოწყენა გვეუფლება. თუმცა დამსვენებლებს შორის ჩვენ უკვე გავიჩინეთ ახალი მეგობრები, მხიარული ახალგაზრდები, მაგრამ ნათქვამია „ერთი ძველი მეგობარი ორ ახალს სჯობიაო“...

საოცრად მოგვენატრებოდა ხოლმე პეტროვიჩის ხმის გაგონება, თუნდაც ერთი სიტყვის... ასეთ წუთებში მე და მისოსთი შევხედავდით ერთმანეთს, უხმოდ წამოვდგებოდით და მივდიოდით სასადილოსკენ. მოვიდოდით — ავხედავდით მაღლა და ისე შევყურებდით მეორე სართულის ფანჯრებს, როგორც კატები შეჰყურებენ ხოლმე საკუჭნაოს, სადაც მსუქანი ხორცი ჰკიდია.

აი, პეტროვიჩი მოადგება ფანჯარას, გადმოეყუდება, გაიღიმებს და დაგვიძახებს:

— რა გინდათ აქ, უსაქმურებო? წადით, ისეირნეთ! ნუ მიშლით მუშაობას, თორემ, აი, მდუღარე წყლით გაგფუფქავთ!

— აი ეშმაკობით ამაზე უთქვამთ, „სიკეთისათვის ბოროტად მოგეზღოსო“. ან კიდევ, „სასამთროს მაღლა თაროზე სდებდნენ, ის კი იატაკზე ფიგორავედაო...“ — ოხუნჯობდა მისოსთი. — ჩვენ მასთან სულით და გულით მოვდივართ, ის კი წიწილებსავით გაფუფქვას გვიპირებს. ერთი ამას დამიხედეთ! რაში გვჭირდება. ჩვენ ღმერთი უშენოდაც გვწყალობს. წავიდეთ, ძაბო!

მისოსთი, ხელს ჩამკიდებდა და სასადილოდან შორს მიეყავდი. მაგრამ, როგორ შეგვეკიცებინა თავი, რომ პეტროვიჩისკენ არ მიგვეხედნა? ჩვენც ვიხედებოდით, პეტროვიჩი კოტიტა თითს გვიქნევდა და სიცილისაგან თასთასებდა. განსაკუთრებით კარგი იყო პეტროვიჩი, როცა სადილის დროს, თოვლიანი თეთრი ხალათითა და გაფუებული ქუდით, ხელში ქაღალდითა და ფანქრით

შემოიცვლიდა მაგიდებს, და დამსვენებლებს ეკითხებოდა — რა უნდოდათ ხვალისთვის საუზმეზე, სადილზე, ვახშამზე? ამ ცერემონიას ის ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა. თანაც რაღაც საზეიმო ხასიათს აძლევდა. ჩვენთან ჩვეულებრივად ყველაზე ბოლოს მოდიოდა ხოლმე, მოვიდოდა, გაგვიღიმებდა:

— აბა, ჩემო წიწილებო, როგორა გრძნობთ თავს? რა სურს თქვენს სულსა და გულს?

ერთხელ სწორედ მაშინ მოვიდა ჩვენთან, როცა ჩვენ მაგიდას ახლადჩამოსული, მოსკოველი ჟურნალისტი ქალი უჯდა, ასე ოცდაათი წლის, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, კარგი, ცოცხალი, მბიარული ქალი. ახლა კი, პირველ დღეს, მგზავრობისგან დაღლილი თუ იყო, რაღაც მოშვებული და ფერდაკარგული იჯდა. ხმას არ იღებდა. მისოსთის ჭკუამახვილური ხუმრობაც კი არ მოქმედებდა მასზე.

პეტროვიჩი ჯერ მას შეეკითხა:

— რას ინებებდით ხვალისთვის?

ქალმა რაღაც დაბნეულად შეხედა მას და უპასუხა:

— არ ვიცი... რაც გინდათ... რაც ყველას, ის მე...

— არა, ეგ როგორ შეიძლება? — უცებ შეიჭმუხნა, თითქოს ეწყინა პეტროვიჩს. — მითხარით, რა გნებავთ და იმას დაგიმზადებთ. ყოველ ადამიანს თავისი გემოვნება აქვს. ერთს არაჟანმოსხმული ტოლმა უნდა, მეორეს კი მოხარშული ქათამი.

— სულ ერთია. მე ისე ცოტასა ვჭამ, რომ...

— აი, ეს უკვე არ ვარგა! უნდა სჭამოთ. კვება დასვენების საფუძველია. მარტო პროცედურები და ჰაერი, თუ კარგი კვება არა გაქვს, არაფერია. მართალს გეუბნებით, ექიმებიც ამას ამბობენ. თუ დამსვენებლები არა სჭამენ, მაშ აკ რას ვაკეთებ? ჩემი პირადი მოვალეობაა, ისეთი საქმელი მოვამზადო, რომ თქვენთვის სასიამოვნო და გემრიელი იყოს, რომ თეფშებზე არაფერი რჩებოდეს.

მაგიდაზე დახრილი პეტროვიჩი, როგორც მამა პირველულ შვილს, ალერსიანად არწმუნებდა, რომ კვება ყოველგვარ მკურნალობაზე მთავარია.

ბოლოს ქალმა დაუსახელა რაღაც ახირებული „კატლეტ დე ვოლიაი“ საუზმისათვის და კიდევ რაღაც სადილისა და ვახშმისათვის. პეტროვიჩმა ჩაიწერა და ჩვენსკენ მობრუნდა.

— აბა, არწივებო, თქვენ რას მიბრძანებთ?

მისოსთი, ეტყობა გაკვირვებული იყო ამ ჟურნალისტი ქალის საქციელით და პეტროვიჩს უთხრა:

— იცი რა, პეტროვიჩ, საუზმედ ჩვენი ძველი მეგობრობის მოსაგონებლად, სალდათური ფრონტული ქაში მოგვიხარშე, სადილად და ვახშმად კი იგივე რაც დღეს.

— სიამოვნებით! — სწრაფად ჩაიბურტყუნა პეტროვიჩმა და სამზარეულოსკენ წავიდა.

ჟურნალისტმა ქალმა გაიღიმა და მისოსთს ჰკითხა:

— თქვენ მაგასთან ერთად იყავით ფრონტზე?

— დიახ, ერთად ვიარეთ სტალინგრადიდან ბერლინამდე.

ამაზე შეწყდა საუბარი. ჟურნალისტი ქალი უგემურად სჭამდა. წვნიანიც და შემწვარიც ნახევარზე მეტი დასტოვა.

ვახშამზეც ასევე უგუნებოდ იყო.

მეორე დღეს მე და მისოსთი დილით ადრე ავდექით და გადავწყვიტეთ საუზმემდე მყინვარებისკენ გაგვესეირნა. მივდიოთ ფიჭვის ხეების ხეივანში. ვხედავთ, სკამზე ზის უკვე დასვენებული და გუნებაგამოკეთებული ჩვენი ჟურნალისტი ქალი და ბუნების სილამაზით სტკბება.

ჩვენ მიეესალმეთ და ვთხოვეთ, ჩვენთან წამოსულიყო. სიამოვნებით დაგვეთანხმა. ორი საათი ქვიან ბილიკებზე ვხეტიალობდით და მბიარული, გამხნევებული პირდაპირ სასადილოში დაებრუნდით.

მაგიდას შემოვუსხედით. ოფიციანტმა ჩვენს ჟურნალისტ ქალს ის რაღაც „კატლეტ დე ვოლიაი“ დაუდგა წინ, ჩვენ კი, ბლომად ერბომოსხმული ქაშით სავსე ორი სალდათური პატარა ქვაბი.

— თქვენ როდისმე გიჭამიათ სალდათური ფრონტული ქაში? — შეეკითხა მისოსთი ქალს. თან ხელებს იფშვნეტდა და ალერსიანად დაჰყურებდა ქაშს.

— არა. განა გემრიელია?

— აი, გასინჯეთ. ჩემს თეფშზე გადმოგიღებთ. მე კი ქვაბიდან გეახლებით. ქვაბიდან უფრო გემრიელია. — მისოსთმა თავისი და ჩემი ქვაბი-

დან ქაშის ნაწილი თეფშზე გადაიღო ისე, რომ სამივეს თანაბრად შეგვხვედროდა.

— ამდენს რად მაძლევთ? — გაიცინა ჟურნალისტმა ქალმა.

— ჯერ გასინჯეთ! კიდევ გასინჯეთ. — დიდი დამაჯერებლობით უთხრა მისოსთმა.

— ოხ, მართლაც! რა გემრიელია! — გულწრფელად წამოიძახა ქალმა, როცა სალდათური ქაში გასინჯა.

მას მთის ბილიკებით სუფთა ჰაერზე სეირნობის შემდეგ მოშივნოდა და სიამოვნებით შესჭამა მთელი თეფში. ჩემზე და მისოსთზე ლაპარაკიც ზედმეტია, ქაშს მგლებივით მივცვივდით. ასე არასოდეს გავმაძღარვართ, როგორც ამ დილას.

— აბა, ახლა თქვენი „დე ვოლიაი" მიირთვით! — ეუთხარი მე ჟურნალისტ ქალს.

— ო, არა! მე ისე მაძღარი ვარ, მეტი არ შეგიძლია.

მან განზე გასწია თეფში, რომელზეც „კატლეტ დე ვოლიაი" ეწყო.

ჩვენ კიდევ თითო ჭიქა კაკაო დაველიეთ, გამოვედით და ხეივანში დავსხედით.

ჟურნალისტი ქალი ოსეთში პირველად იყო და დიდი ინტერესით გვეკითხებოდა, როგორ ცხოვრობენ ოსი კოლმეურნეები.

— რა უნდა გიამბოთ, — ეუთხარი მე, — როცა თქვენ თქვენი საკუთარი თვალით წეგიძლიათ ნახოთ. აქ ახლოს არის ერთი პატარა სოფელი, იქ მე კეთილი მეგობრები მყავანან — გინდათ, გავიაროთ დღეს სადილობამდე. იქამდე სულ ოთხი კილომეტრი იქნება, მეტი არა.

— სიამოვნებით. — გაეხარდა ჟურნალისტ ქალს.

ჩვენ აუჩქარებლად, მხიარული ბაასით გავყევით მთის გზას, რომელიც ფრიალო კლდის ძირას ლამაზად გაშლილ მეზობელ სოფლისაკენ მიდიოდა. იქ მისოსთს მართლაც აღმოაჩნდა კეთილი მეგობარი — კოლმეურნე. ის მთიელი ოსის ჩვეულებრივი გულღიაობით და სტუმართმოყვარეობით შემოგვეგება. მაგიდასთან მიგვიწვია და მშვენიერი, ცივი, ოსური ლუდით, ხაბიზგინებით და ცვრიანი, ახლად შემწვარი ფიჩინებით გაგვიმასპინძლდა.

ჟურნალისტი ქალი აღტაცებული იყო ამ გასეირნებით, მაგრამ საწყალი ისე დაიღალა, რომ, როდესაც სანატორიუმში დავბრუნდით და სასადილოში მივიწვიეთ, მან ხელი ჩაიქნია და თავის ოთახში დასაძინებლად წავიდა. მე და მისოსთი კი თუმცა ხაბიზგინებით და ფიჩინებით გამაძღრები ვიყავით, პეტროვიჩის ხელოვნებამ დაგვძლია, წავედით სასადილოში და კიდევ ერთხელ მადიანად ვისადილეთ.

სადილის შემდეგ, საღამოთი მე და მისოსთი მდინარესთან ვისხედით. ვხედავთ მთიდან ჩვენსკენ პეტროვიჩი დაეშვა. ჩაფიქრებული, მოღუშული, თითქოს გამხდარა კიდეც. მდუმარედ ჩამოჯდა ჩვენ გვერდით და პაპიროსი გააბოლა. ვეკითხები:

— რა მოხდა, პეტროვიჩ? ავად ხომ არა ხარ?

— არა... რა უნდა მომსვლოდა?

— მაშ, რად ხარ ასე მოღუშული? სამზარეულოში უსიამოვნება ხომ არაფერი შეგხვედრია?

— ე, ყმაო... — და პეტროვიჩმა რაღაც მწუხარედ ჩაიქნია ხელი. — გასაგდები ვარ აქედან, აი რა! სანატორიუმში კი არ არის ჩემი ადგილი, მე სადმე შეეამანდს უნდა ვხარშავდე.

— რად? ვინ გითხრა ეს?

— ვის უნდა ეთქვა, ისეც ვიცი.

— რა იცი?

— აბა მაშ რა? ვცდილობ, რაც შემიძლია და მაინც არაფერი გამომდის. პატიოსან სიტყვას გაძლევთ! ჰო, გუშინ კიდევ არაფერი... იმ მოსკოველს, თქვენ მაგიდასთან რომ იჯდა, პირველ დღეს სადილად ის მივართვით, რაც გექონდა, ნამგზავრი იყო და მაინც არა სჭამა. კარგი მზარეულის დამზადებულზე უარს არ იტყოდა, ჩემს ნახელავს კი ნახევარიც ვერ მოაკლო. გუშინ თქვენ თვალწინ არ შემიკვეთა „დე ვოლიაი"? საგანგებოდ დილადრიან ავდექი, არავის ვენდე, მე თვითონ დავამზადე, ის კი ზედაც არ დაჰკარებია. დღეს ხომ სადილად სულაც არ მოვიდა. მაშ გასაგდები არა ვარ? აქ ხალხი გასასუქებლად მოდის, ფულებს ხარჯავს, მე კი...

მე და მისოსთმა ერთმანეთს გადავხედეთ და გაღავიხარხარეთ.

— თქვენ გეცინებათ! — წაიბურტყუნა პეტროვიჩმა და პაპიროსის ნამწვავი გაბრაზებით გადაისროლა. — მე კი დილას ადექითია ველარ ვისვენებ... ღმერთს გეფიცებით, ლამის სანატორიუმი დავტოვო და გავიქცე.

— ოხ, შე წმინდა სულო! — მხარზე ხელი

დაკარა მისოსთმა და სიცილით უამბო, თუ რატომ არ ისადილა დღეს ჟურნალისტმა ქალმა და რატომ ა· დააკარა პირი მის დამზადებულ „კატლეტ დე ეოლიაის“.

— ჩემო კარგო, აი ასე გაგვიმასპინძლდნენ კოლმეურნეობაში! აბა იმ ჩიტს მეტი რა შეუძლია? უნდა გენახა დილით, როგორ ილუკმებოდა შენი სალდათური ქაშით, დასტკბებოდი!

— რას ამბობ! ნუთუ აგრეა? — უცებ გამხიარულდა პეტროვიჩი, სწრაფად გაიხადა, მდინარეში გადახტა, იბანავა და მაშინვე სამზარეულოსკენ გაიქცა.

ვახშამზე მისოსთმა ჟურნალისტ ქალს უთხრა:

— იცით, ელენა ივანოვნა, თქვენს გამო ერთმა კარგმა ადამიანმა დღეს კინაღამ ჭკუა დაკარგა.

ელენა ივანოვნას მისოსთის ნათქვამი ჩვეულებრივ კურორტულ უხამს ხუმრობად მოეჩვენა, აიმრიზა და ცივად სთქვა:

— ოჰო, ხედავთ? ვინ არის ნეტავ?

— აი, შიირთვით ვახშამი და მერე გიამბობთ.

ქალმა მხრები აიჩეჩა და გულმოდგინედ შეუდგა ჭამას, რომ არ გაეგრძელებინა მისთვის არასასიამოვნო საუბარი.

ვახშმის შემდეგ პატარა ჯგუფი, ასე — ათიოდე კაცი, ხეივანში ერთიმეორის პირდაპირ დადგმულ ორ გრძელ სკამზე ჩამოვსხედით. ხეების ფოთლებ შორის გადმოფრქვეული მთვარის შუქისაგან, ხეივნის ჩრდილზე ნათელი ლაქები გაბნეულიყო. მისოსთმა პაპიროსს მოუკიდა და თავისებური მახვილი სიტყვების ჩართვით გვიამბო, ელენა ივანოვნას და ჩვენი პეტროვიჩის ამბავი.

ყველანი გულიანად ხარხარებდნენ, განსაკუთრებ თ კი ელენა ივანოვნა.

— აი, უცნაური კაცი! — თქვა მან. — განა მისთვის სულ ერთი არ არის ვჭამ თუ არა ვჭამ?

— საქმეც ის არის, რომ სულერთი არ არის, ისევე, როგორც სულერთი არ იყო მისთვის, როგორ მიდიოდნენ სალდათები შეტევაზე: მშიერები, თუ მაძღრები, — მხურვალედ უპასუხა მისოსთმა და უამბო, თუ ოდესლაც, როგორ ჩამოგორდა დათოვლილი მაღლობიდან, ქაშით სავსე, ტყვიებით დახვრეტილ თერმოსჩახუტებული პეტროვიჩი. — ტყუილად კი არ შეარქვეს სალდათებმა მას „ჩვენი მამა“.

— ის აქაც „ჩვენი მამაა“ — სთქვა ერთმა ხანშესულმა, ლენინგრადელმა ინჟინერმა, — ის აქაც საბრძოლო პოსტზე გრძნობს თავს. აი, რა არის საკვირველი. ფრონტზე ყველას საბრძოლო განწყობილება აპყრობს და საკვირველი არ არის, რომ პეტროვიჩიც ისე იქცეოდა, აქ კი, მას მუშაობა უბდება ჩვენისთანა უსაქმურებს შორის, რომლებიც მხოლოდ სჭამენ, სეირნობენ, თამაშობენ დომინოს, მღერიან და ცეკვავენ. მერე ასეთი ბუნების წიაღში, აქ ხომ მთელი დღე პირდაღებული უნდა იდგე და უმზერდე ამ სილამაზეს, აქ ყველაფერი სიზარმაცისკენ გიწვევს, უსაქმურობისკენ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, გულგრილი მუშაობისკენ... პეტროვიჩი კი უთენია, ყველაზე ადრე დგება, ყველაზე გვიან წვება, მთელი დღე შრომობს, ცხელ ღუმელთან ფუსფუსებს.. თან ჩვენისთანა ნებივრებისთვის ისე ზრუნავს, როგორც მამა — პატარა შვილებისთვის. აი, რა არის საკვირველი!

— დი... ახ... — ჩაფიქრებით გააგრძელა ჟურნალისტმა ქალმა. — ახლა კი მესმის. მე მინდა პეტროვიჩის შესახებ კარგი მოთხრობა დავწერო.

დასწერა მან მოთხრობა, თუ არ დასწერა, არ ვიცი. მეორე დილით კი შთაბეჭდილების წიგნში მან კარგი, გულითადი და უბრალო, ნამდვილი დიფირამბები ჩაუწერა პეტროვიჩს. ჩვენც ყველამ ხელი მოუწერეთ. აი რა შემთხვევის გამო:

დილით სასაუზმოდ დავსხედით, უცებ ჟურნალისტ ქალთან მოდის ის ინჟინერი, რომელიც წინადღით ისე აქებდა პეტროვიჩს, აწოდებს მას შთაბეჭდილების წიგნს და ეუბნება:

— ჩვენს ჯგუფს გაუთავდა დასვენება, მივდივართ აქედან, გვინდა გულითადი მადლობა გადაეუხადოთ ჩვენს მთავარ მზარეულს. თქვენ ჩვენზე უკეთ იცით წერა, ჩასწერეთ გეთაყვა.

ჟურნალისტმა ქალმა ერთი ხელის მოსმით, სწრაფად დასწერა. ინჟინერმა წიგნი აიღო და თავის მაგიდისკენ წავიდა. მას მაშინვე გარს შემოეხვივნენ დამსვენებლები, რომლებსაც ხელის მოწერა სურდათ.

როცა ყველამ მოაწერა ხელი, ინჟინერმა ოფიციანტ ქალს დაუძახა:

— კატია, სთხოვეთ, თუ შეიძლება, ნიკოლაი პეტროვიჩს!

პეტროვიჩი ცოტა არ იყოს შეშფოთებული

გამოვიდა და აჩქარებული ნაბიჯით მივიდა ინჟინერთან.

— ნიკოლაი პეტროვიჩ, შეგაწუხეთ, გამომშვიდობება გვინდა თქვენთან. ჩვენი გულითადი მადლობა თქვენდამი მშვენივრად გამოხატა ელენა ივანოვნამ აი, ამ წიგნში. ნებას მოგვცემთ წავიკითხო?

ის კითხულობდა, პეტროვიჩი კი გულაჩვილებული იდგა მის წინ.

ინჟინერმა დაამთავრა კითხვა. მთელმა დარბაზმა ერთსულოვნად დაუკრა ტაში და დაიყვირა:

— გმადლობთ! გმადლობთ პეტროვიჩ!

ყველაზე მეტად ვყვიროდით და ტაშს ვუკრავდით მე და მისოსთი. პეტროვიჩს უნდოდა რაღაც ეპასუხნა, მაგრამ ისე აღელდა, რომ კრინტიც ვერ დასძრა, ხელი ჩაიქნია და თავის სამზარეულოსკენ წავიდა.



გიორგი ჯუკათი

მეგობრები

ოსეთის თოვლიანი მთების მწვერვალებიდან უკანასკნელი სხივები აკრიფა მზემ და დასასვენებლად წავიდა. ცას მუქი ფერი მოეშატა, მოსაღამოვდა.

კოლმეურნეობა „განთიადის“ მწყემსმა, ილამ, ფარეხისაკენ გამორეკა ცხვრის ფარა. მარცხენა მკლავზე ნაბადი ჰქონდა გადაფენილი. ეს ნაბადი ისეთივე შავი იყო, როგორც მისი ულვაშები. ზურგზე ცხვრის გუდა ეკიდა.

მწყემსს ორი ბავშვი შემოეგება გზაზე. მათ უკან მეცხვარის ძაღლი მორბოდა, ხბოსხელა, თეთრბალნიანი და შავდრუნჩიანი. ძაღლს ეტყობოდა, ბევრი ერბინა, მეტი დაღლილობისგან ქელავდა და გრძლად გადმოგდებულ წითელ ენას ასავსავებდა.

მალხაზებმა ილას გუდა-ნაბადი ჩამოართვეს და მწყემსთა ღამისსათევ კარავში შეიტანეს.

ბავშვებს ერთნაირი ქუდები ეხურათ, აი, ისეთი, ამ მხრის მთიელები რომ ატარებენ: თეთრი ქეჩისაგან მოთელილი, ფართოფარფლებიანი. ორივეს ერთნაირი ხალათი ეცვა, გვერდზე ჩახსნილი. ორივეს პიონერული ყელსახვევი ეკეთა, ყაყაჩოფერი. ტოლებსა ჰგვანდნენ. მხოლოდ თვალ-ტანადობით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, და ძალიანაც განსხვავდებოდნენ. ერთი ხმელ-ხმელი იყო, გრძელი სახე და ნაპერწკლიანი თვალები ჰქონდა. ხოლო მეორეს, ხორცსავსესა და ქერათმიანს, ღია ცისფერი თვალები ამშვენებდა.

— ხაზბი,—დაუძახა პირხმელ ბიუნას ილამ.— ერთი შენს გაზრდას, კარვიდან ვედროები გამომიტანე, თორემ ცხვრების მოწველა დამიგვიანდება.

— მე რალა გავაკეთო, მამი? — შეეკითხა ქერათმიანი.

— შენ ხომ ხედავ, დაღლილი ხარ, ოფლი წურწურით ჩამოგდის, დასვენე.

— არ მინდა, არა. — განაწყენდა იგი.

— აბა, ჩემო იური, დასვენება თუ არ გინდა. ერთი შენებურად მწვადი შეგვიწვი.

— სანამ თქვენ ცხვარს მოუვლით, მწვადი მზად იქნება! — დაიძახა იურომ და გაიქცა.

მალე კლდის ქვეშ, ორ ლოდს შუა ცეცხლი ღუღუნებდა.

მშრალი ღვია მალე აენთო და ახლა უკვე გაპვარტლულ ლოდებს ცეცხლი პირზე ენას უსვამდა, თითქოს წითელი ძროხა თავის ახლადმოგებულ ხბოს ეალერსებოდა.

იურომ არყის წვრილ ჯოხს თავისი ჯაკვით კანი გააცალა, წვერი წაუმახვილა და ასე შამფური გააკეთა. ამ თვითნაკეთებ შამფურზე ცხვრის ხორცის საუკეთესო ნაჭრები წამოაცვა, ზედ მარილი მოაყარა და ნაკვერჩხლებს მიუფიცხა.

ტრიალებდა შამფური, ქონი ილვენთებოდა, წვეთ-წვეთად ნაკვერჩხლებზე ცვიოდა და შიშხინებდა. მწვადმა სასიამოვნო სუნი დააყენა ირგვლივ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მალე გაიშლებოდა სავახშმო სუფრა.

იურომ მწვადს პატარა ნაჭერი ჩამოაჭრა, სუ-

ლის შებერვით გააცივა და გასინჯა, უმი ხომ არ არისო.

ამასობაში ილამ და ხაზბიმ დაამთავრეს ცხვრის წვეა და რძე კარავში შეიტანეს.

ილას ერთი ჩვეულება ჰქონდა: მანამდე არ გასტეხდა პურს სუფრაზე, სანამ თავის საყვარელ ძაღლს არ გააძღობდა.

ახლაც ასე მოიქცა.

— ქურუხა, ქურუხა! — ორჯერ დაიძახა მან და ძაღლი კუდის მხიარული ქიცინით მაშინვე პატრონთან გაჩნდა. თვალებში შეაჩერდა ილას, რაზე მომიხმეო.

ილამ პატარა გობზე რძე დაასხა, შიგ ხორციანი ძვლები ჩაყარა და კარვის გვერდზე დადგა. ძაღლმა ხარბად დაუწყო რძეს თხვლეპა.

ხაზბიმ პატარა ტაბაკი კარვის წინ, მდელოზე დადგა და სკამებად გაკეთებული კუნძები შემოუწყო ორივე მხარეს. ოერიმ ცხელი მწვადი მოიტანა შამფურებით, ილამ პური გატეხა და დაიწყეს ვახშმობა.

შეექცეოდნენ მადიანად, ისე, როგორც საერთოდ ნაჯაფარ ხალხს უყვარს პურის ჭამა. ცაზე ამოგორებულმა სავსე მთვარემ ვერცხლის ფერში გახვია მთის ფერდობები და სიბნელე ხეებში გაიქცა თავის შესაფარებლად.

მოვახშმეებს თავზე წამოადგათ მთაში ახლად ამოსული ვეტექიმი.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა მან ილას. — ხომ არაფერი უჭირს ცხვარს?

— წელს კარგი ბალახია, რძიანი და გემრიელი, ცხვარს კი მეტი რა უნდა, არაფერი არ უჭირს. — მიუგო ილამ და სტუმარი მიიპატიჟა: — დაბრძანდით, დაგვეწვიეთ ვახშმზე.

იუარა ვეტექიმმა, მაგრამ ილა არ მოეშვა: პირველად ხარ ჩვენთან და სირცხვილია პურგაუტეხელი რომ წახვიდეო და ძალით დასვა. ხაზბის არაყიც გამოატანინა კარვიდან.

გადაჰკრეს თითო-თითო პატარა ყანწი: ოჯახს ბედნიერება უსურვეს, ცხვარს — გამრავლება და მთას — კარგი ბალახი.

— ცხვრის მადლიერი ძალიანა ვარ, მაგრამ თხებმა გამიჭირვეს საქმე. — თქვა ილამ. — სულ კლდეებზე უნდათ ფხოწიალი. ახ, დღესაც, გამექცნენ და ვეღარ ჩამოვრეკე ჭიუხიდან. ვაციწვერასა და ქუჩს ეძებენ. ეს ბალახი ცაში რომ იზრდებოდეს, მგონი იქაც ავლენ ეგ წვერცანცარა თხები. ჯიხვის ბიძაშვილები რომ არიან, მაგაზეც ეტყობათ. კლდე ურჩევნიათ შენს გაშლილ მინდორსა და რაც გინდა ის უქენი, შენს ნებაზე არ დადიან. გამიძნელდა იმ ტინებზე აფორთხება და დაეტოვე, აბა, რა მექნა.

— ისე, საშიში ხომ არაფერია? — ჰკითხა სტუმარმა.

— არა, საშიში არაფერია. მგელი და ნადირი ახლა ცოტაა ამ მხარეში. მე მხოლოდ ის მადარდებს, უფრო მაღლა არ წავიდნენ, მწვერვალისაკენ.

დაამთავრეს ვახშმობა და სტუმარ-მასპინძელმა ერთდროულად გააბოლა თუთუნი.

— ეს ბავშვები, ორივე შენია? — იკითხა ვეტექიმმა.

— აბა, ვისი იქნება! — მიუგო ილამ.

— მე სხვადასხვა დედის შვილები მეგონენ, ბოდიში...

— არა, საბოდიშო რა გაქვს, ერთი დედის შვილები მართლაც არ არიან... იცით რაშია საქმე?...

და ილამ უამბო სტუმარს:

— ფრონტზე ყოფნისას, ერთხელ მე და ჩემი ამხანაგი, სტეფანე ნოეიკოვი, დაზვერვაზე გაგვგზავნეს. სტეფანე გასაოცარი სულის პატრონი იყო, შრომაში გამრჯე და ბრძოლაში მამაცი. ჩვენ ერთი გვქონდა სიხარულიც და დარდიც, ამიტომ ყოველთვის ერთად ვასრულებდით საბრძოლო დავალებებს. მაშინაც წარმატებით შეეასრულეთ დავალება. მე ჩვენს დასაზვერავ ადგილებში მშვიდობიანობის დროს ბეერჯერ ვიყავი ნავალი და, სწორი გითხრა, არც გამჭირვებია მისი ხელახლა დათვალიერება: ყველაფერი ზუსტად დავზვერეთ, გავიგეთ ყველაფერი, რაც გვჭირდებოდა. ღამით, უკან რომ ვბრუნდებოდით, მოულოდნელად მტრის საგუშაგოს გადავეყარეთ. გერმანელებმა მაშინვე შუშხუნებით გაანათეს ჩვენი ადგილ-სამყოფელი და დაგვიშინეს ტყვია. მეტი გზა არ გვქონდა, ავეკაკანეთ ავტომატები... თითქოს ამ სროლას გამოეპასუხნენო, სადღაც ქვეშეხებმა დაიგრუხუნეს. ნაწილი გერმანელებისა აუდგომლად ჩაწვა, ნაწილი გაიქცა.

— ეეიიუუ! — ეს კი გავიგონე, მახსოვს, და უცებ სულისშემხუთველ, კუპრივით შავ ქვესკნელში გადავეშვი სადღაც...

გონს რომ მოვედი, მიმოვიხედე და რას ვხედავ: ჩემს ირგელიე დგას სამი სარეცელი. ზედ ვიღაცეები წვანან. თავზე ნოვიკოვი მადგას.

— სტიოპა, რაშია საქმე, სადა ვარ?

— სამშვიდობოზე ხარ გასული, სამშვიდობოზე, ნუ გეშინია, ძმაო.

— როგორ თუ სამშვიდობოზე?

— აღარ გახსოვს ჭურეები რომ დაგვიშინეს?! შენც მოგხვდა და... კიდევ კარგი, რომ გამოგათრიე ჩვენებთან, თორემ შენს ხელთან ერთად დარჩებოდი იქ...

მე მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ მარჯვენა ხელი იდაყვთან მქონდა წაწყვეტილი. თითქმის წელს ზევით დოლბანდით ვიყავი შეკრული.

— ეჰ, ასეთი ვიღასთან მივიდე, ვიღას დავეჭირდები, ნეტავი არ გამოგეყვანე და არ გადაგერჩინე. — ავტირდი მე.

— შენს ცოლ-შვილს დასჭირდები, შენს ქვეყანას დასჭირდები, იმათ დასჭირდები, ვისთვისაც ეგ მარჯვენა გასწირე. მალე მორჩები და სახლში წახვალ. რომ გავიმარჯვებთ, იცოდე, გეწვევი და, აბა, შენ იცი რა მარიფათიანადაც დამიხვდები. — მითხრა მან.

— გული შემეკუმშა. იმ დღემ პირველად დამალევინა ჩემს სიცოცხლეში ცრემლები. მე და სტეფანემ დიდხანს ვილაპარაკეთ და როცა მისი წასვლის დრო დადგა, ჩემი ერთადერთი ხელით იგი გულზე მივიხუტე, ვაკოცე და ძმადგაფიცავ ვთხოვე. რასაკვირველია, უარი არ უთქვამს.

ჩემი გადამრჩენელი კაცის შვილია ეს ქერათმიანი ბიჭი. სტეფანეს ყოველ ზაფხულს ჩამოჰყავს ჩემთან. ჩემი შვილი და იურა ერთად ატარებენ არდადეგებს, აი, აქ, მთაში. მამების სიყვარულსა და მეგობრობას აგრძელებენ.

შენ ალბათ გინახავს ჩვენი სოფლის განაპირას ორი მუხა, ერთი გზის მარჯვნივ რომ დგას და მეორე მარცხნივ: თუ ქარი ჩრდილოეთიდან დაუბერავს, მარჯვენა მუხა იცავს მარცხენას, თუ ქარი სამხრეთიდან მოვარდება, პირიქით, მარცხენა იცავს მარჯვენას. იმ მუხების ახლოს, თითქოს, იბარტყესო, სხვა, ნორჩი მუხები წამოიზარდა. ეს პატარა მუხებიც ისევე დგებიან, როგორც ბერმუხები, ერთიმეორეს იცავენ. აი, ასე კარგია მეგობრობა.

ცხვრებს უკვე ეძინათ, ერთი ნაბდისქვეშ ყმინათ იუოისა და ხაზბის, მაგრამ არ ეძინა ცაზე მთვარეს, ძირს კი დასიცხული ძაღლის ენასავით კლდეზე გადმოკიდებულ ჩანჩქერსა და ორ მოსაუბრე კაცს.

• •

ლამაზი დილა გათენდა. მზემ პირველი სხივები თოვლიანი მთების მწვერვალებს ესროლა და მერე თანდათან დაბლა დაეშვა. მთების თეთრ ჩაბალახებს ფერი შეეცვალა. მზის შარავანდედიანი მწვერვალები უფრო ამაღლდნენ, მალე გაიფანტა დილის ნისლები. თითქოს დოლბანდი შემოაცალესო, ნათლად გამოჩნდა შიშველი ფრიალოები, აქა-იქ ამწვანებული. ფრიალოთა ქვეშ ლურჯად ანათებდა მარადიული ყინულის ვეებერთელა ხორგები. უფრო ქვეითად ხავერდივით ბრწყინავდა მდელო.

ხაზბი და იური დილით ადრე ადგნენ, წაიხემსეს და მაშინვე მწვერვალისაკენ გაეშურნენ.

— იური, შეხე, ჩვენი თხები სად გასულან!

— სად?

კლდეზე ერთი ნაბდის გაშლა მინდორი იდო. ამ მინდორზე ბალაბობდა ორი თხა თავისი თიკნებით.

გახარებული ბავშვები იქითკენ გაიქცნენ.

უცებ წინ შურთაები აეფრიხდათ. ინდაურებსა ჰგვანდნენ. თავი სამშვიდობოზე რომ იგრძნეს, მორთეს განუწყვეტელი სტვენა. სტვენდნენ ლამაზად, ძალიან ლამაზად.

— ხაზბი, შეხე, ერთი თხა სად აბაკენებულა? — წამოიძახა გაკვირვებულმა იურიმ.

— ჩუ!.. ეს თხა კი არა, ქურციკია.

თითქოს ვიღაცამ გააქვავაო, ქურციკი ერთ ადგილზე იდგა თავაწეული და სადღაც შორს გასცქეროდა გაშტერებული.

— ხაზბი, მოდი ერთი, ახლოს მივეპაროთ. — უთხრა იურიმ მეგობარს.

— ცარიელი ხელებით? აბა, რა ყაჭიროა. აი, თოფი რომ გვქონდეს. მაშინ სხვა საქმეა.

— ასე ლამაზი ნადირის მოკვლა ცოდვაა. ხაზბი. მე მინდა ჩაეხატო. მომყვეი.

ბავშვები ქურციკისაკენ წავიდნენ.

— მოიცა! — შეაჩერა ხაზბიმ იური. — იქითა მხრიდან მოვუაროთ, თორემ აქედან ნიავი უბერავს, ჩვენს მიახლოებას მალე იგრძნობს სუნით და გაგვექცევა.

ასეც მოიქცნენ. მოუარეს და ასიოდე ნაბიჯით რომ დაუახლოვდნენ, ჩასაფრდნენ.

იურიმ ჩანთიდან ამოიღო სახატავი რვეული, ფიქალ ქვაზე დადო და შეუდგა ხატვას. ცოტახნის შემდეგ იგი უკვე თავის ჩანახატს მეგობარს უჩვენებდა:

— შეხე, ხომ ჰგავს? ხომ ლამაზად გამოვიდა რქები და ყურები? ბალანიც ხომ ლამაზია, ოქროსფერი? ეჰ, ჩლიქები ვერ დავუნახე მხოლოდ. წამო, ეფრო ახლოს მივიდეთ.

— შეგვნიშნავს. — იუარა ხაზბიმ.

— წამოდი!

თითქოს მათი ლაპარაკი გაიგონაო, ქერციკი უცებ შეკრთა და ჭიუხში ტყვიასავით გაფრინდა.

— ხომ გითხარი, შეგვნიშნავს-მეთქი, აი, ჩვენი ფეჩუნიც კი გაიგონა. — უთხრა ხაზბიმ იურის და დაუმატა: — არაუშავს რა, თხასაც ისეთივე ჩლიქები აქვს, როგორც ქურციკს. აიღე და შენც თხის ჩლიქები გამოაბი ქურციკს. არ დაგემდურება. ნახევარი ქალაქი ვერ გაიგებს ამ ამბავს.

ახლა თავისი თხებისაკენ წავიდნენ ბავშვები.

ერთი თიკანი მუცელქვეშ შეუძვრა დედას და გრძელი ტუჩით მის ძუძუებს დაუწყო ჯიჯგნა. მეორე თიკნის დედა ხაზბიმ დაიჭირა, იურის უთხრა, რქებში ჩაავლე ხელები და გააკავეო.

— რატომ? — იკითხა იურიმ.

— ახლავე გაიგებ.

იურიმ მაგრა ჩასჭიდა თხას რქებში ხელი. ხაზბიმ თავისი ფართოფარფლებიანი ქუდი მოიხადა, ჩაფუნცდა თბასთან, ჯიქანქვეშ დადო ქუდი ქოთანივით და დაიწყო წვეთა. ქუდი მალე აივსო ქაფიანი რძით.

ადგა ხაზბი და ქუდი მეგობარს გაუწოდა:

— დალიე!

— ბალნიანი რომაა?!

— ბალანი ფსკერზეა, შენ ზევიდან დალიე. კარგია თხის ახალი რძე.

იურიმ დალია რძე და ცარიელი ქუდი მეგობარს დაუბრუნა.

მეორედაც გამოწველეს თხა და ახლა რძე ხაზბიმ მიირთვა.

რძემ ოდნავ გაჟონა ქუდიდან, იურიმ გააფრთხილა, გექცევაო, მაგრამ ხაზბიმ ამ დროს კიდეც დაამთავრა სმა.

— ეს თხისათვისაც კარგია. — აუხსნა იურის მეგობარმა. — ჯიქანში ჯიშკეი აღარ გაუჩნდება. თუ თხას არ გამოწველი თავის დროზე, რძე თანდათან ფაუმაგრდება ჯიქანში, დაუჯიშკვდება და ნაკლებს მოიწველის.

— მართლა?!

— ჰო, ასე ემართება ძროხასაც.

ამ დროს ვეებერთელა არწივმა ცაში ირაო გააკეთა და ბავშვების ახლოს გამოიქროლა.

— ეაიო! — მხოლოდ ამის ამოძახება მოასწრო ქერათმიანმა ბიჭმა და არწივი უკვე შორს იყო მათგან.

ფრინველთა მეფემ ერთი ირაო კიდევ გააკეთა, მერე თავისი ფართო ფრთები გაშალა და, თითქოს ცაზე ვიღაცამ მიაბაო, ერთ ადგილზე დაიწყო ტორტმანი.

— იური, იცი რატომ გამოგვიქროლა? თიკანი დაინახა და მოტაცება უნდოდა.

— მერედა, ამხელა თიკანს მოერევა?

— ზოგჯერ თხასაც იტაცებს. წამო, გავრეკოთ აქედან ეს თხები, თორემ რაკი დაიგულა, ალბ მოეშვება, სანამ ჭანგებს არ გაჰკრავს.

თხები წინ გაირეკეს და დაბლა დაეშვნენ. ფრიალო გორაკს რომ მიადგნენ, იური თავის ნანახი ქურციკიანით კლდის ქიმზე გავიდა და მთების სილამაზით მოხიბლული დიდხანს იდგა ამ ადგილზე. ქარი უფრიალებდა ყაყაჩოსფერ ყელსახვევს. შემოგარენის ყურებით რომ გაძღა, ხელები წინ გაიშვირა და მაღალი ხმით დაიწყო:

„მე გადავეცქერი კავკასიონს და ვდგავარ სამიშ
ნაპრალის პირად — მყინვარების და თოვლის ზევით:
გადალმა მხრიდან გადმოფრინდა ჰრწიკი რბევით;
მე გამისწორდა და უძრავად ელვარებს ცაში.
ეხედავ, ასტეხა ნიაღვარმა თავის ზეირთები
და პირველ ზვავთა მოძრაობას მე ვაკვირდები!".

ხაზბი ჯერ ყურს უგდებდა თავდავიწყებით, მერე თვითონაც ქიმზე დადგა და მეგობარს ხმა ააყოლა:

„ქვეეთ ღრუბლები თითქოს არსად მიიჩქარიან,
მათ ჩანჩქერები ხლეჩავენ და ცვივიან ხრამში.
შიშველი მთები ჩასდგომიან ერთმანეთს მხარში..."

მეგობრებმა ვერ დაამთავრეს ლექსი ბოლომდე. კვლავ გამოიქროლა არწივმა მათ ახლოს, შეცბნენ და უმალვე საშინელი რამ დაინახეს: არწივს თიკანი ცაში ეაეტაცნა.

— ჰაი და ჰუიო! — აყვირდნენ, მაგრამ მხო-

ლოდ კლდეებმა გაიმეორეს მათი ყვირილი. არწივი თავის ნადავლითურთ ტინს მიეფარა. სწორედ ამ დროს სადღაც დაიკივლა თოფმა და მთებმა ერთი ათად გაამრავლეს თოფის ხმა.

დაღონდნენ ბავშვები, არწივმა თიკანი როგორ მოგვტაცაო.

— წამო, ბუდეში მივუხტეთ არწივს და ავაფორიაქოთ, — წამოიძახა გაჯავრებულმა იურიმ.

— ეჰ, არწივს შენ მოერევი?! — უიმედოდ ჩაიქნია ხელი ხაზბიმ. — აი, თოფი რომ გვქონდეს, მაშინ სხვა საქმეა.

ბავშვებს დარდი მალე სიხარულად შეეცვალათ. გაღმა, კლდეზე გადმოდგა ის ძია, წუხელ ილასთან რომ ივახშმა და დაიძახა:

— ბიჭებო, აქეთ ფამორეკეთ თხები, აქეთ!

მას მხარზე თოფი ეკიდა. ცალხელში მოკლული არწივი ეკავა, ცალი ხელით კი თიკანი ჰყავდა მკერდზე მიხუტებული.

ბავშვებმა თხები მაშინვე იმ ძიასაკენ გარეკეს.

ვეტექიმი გზაზე შემოეგება მათ. არწივი ქვაზე დააგდო და თიკანი ძირს დასვა.

დამფრთხალი და ცალგვერდდასისხლიანებული საცოდავად კიკინებდა. დედამ თავისი თიკანი რომ დაინახა, მაშინვე მიბაკუნდა მასთან და ჭირისუფალივით დაადგა თავზე. ბავშვებიც მიეალერსენ არწივის დაბდღვნისაგან გადარჩენილ თიკანს.

— აბა, ბიჭებო, გამოწველეთ თხა და რძე ჭრილობებზე დასხით ამ საცოდავს. — გასცა გასაკარგულება ვეტექიმმა. — დედის რძე დაჭრილისათვის ყველაზე კარგი მალამოა.

ბავშვებმა იმავე წუთში გამოწველეს თხა, ამ რძით თიკანს ჭრილობები მობანეს და დაუმეს.

— შეგეშინდა ძალიან? — ეალერსებოდა იური. მერე მოზრდილი ქვა აიღო ხელში და მკვდარ არწივს თავში ჩაარტყა: აი, ესეც შენ, რატომ შეგვიშინე ჩვენი პატარა კიკინაო. არწივს ეს დარტყმა აღარ გაუგია, რადგან თავი ტყვიითა ჰქონდა გაპობილი.

კვლავ გზას დაადგნენ მალხაზები. იურის თიკანი ხელში ატატებული მიჰყავდა. ხაზბი კი თავგაპობილ არწივს მოთრევდა. მხიარულად კიკინებდნენ დედა-თხები.

• •

ხაზბიმ და იურიმ თხები მამასთან დატოვეს და სოფლისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ. ხრამი გადაიარეს და ველობზე გავიდნენ. ველობს იქით მთიბავები მღეროდნენ.

ჰეი-ჰო და ჰეი-ჰო,
ჰეი, ვთიბოთ, თან დავსძახოთ
სიმღერები ფხიანი.
ჰეი-ჰო და ჰეი-ჰო,
ბალახია აბრეშუმის,
ბალახია რძიანი.
ჰეი-ჰო და ჰეი-ჰო,
ჰეი-ჰო და ჰეი-ჰო,
ჩვენი ბასრი ცელებით
გადავთიბოთ ველები.
ჰეი-ჰო და ჰეი-ჰო!
უცებ წამოზრდილები
ჩავამწკრივოთ ზვინები.
ჰეი-ჰო და ჰეი-ჰო,
ჰე, ჰე, ჰე და, ჰეი-ჰო.

მთიბველები ერთიმეორის გვერდით ჩამწკრივებულიყვნენ და ჯანიანად იქნევდნენ პარპალა ცელებს. სვრელი თანდათან წინ მიიწევდა. წვებოდა ცელის ელვით აბალთული ბალახი.

მთიბავებმა ფართო სვრელი გაიტანეს და თითქმის ერთდროულად გასწიეს წყაროსაკენ დასასვენებლად. ბინულის მახლობლად ცელები ტარით მიწაში ჩასვეს და პუშმომარჯვებულები მიადგნენ ჩუხჩუხა წყაროს.

ბავშვებმა მინდვრის ყვავილები დაკრიფეს, თაიგულებად შეკრეს და მერე მთიბავებივით ისინიც წყაროსთან მივიდნენ.

წყალი დალიეს, შეისუნეს და მდელოზე წამოსუენებულ გლეხებთან გაიბეს საუბარი. მერე გლეხებმა დაიძინეს. საკუთარი ხელისგულები დაიგეს ბალიშებად, რადგან ხელისგულზე უფრო რბილი ქვეყანაზე არაფერია.

იური ადგა, მახლობლად დასობილი ცელ აიღო, ჩუმად გაიდა სათიბში, დადგა მთიბავივით და მოიქნია ცელი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. პირველ შემოქნეისთანავე ცელის წვერი ჭიანჭველების ბუდისაგან ამობერილ მიწაში გაერჭო. დაიბნა ბიჭი. აღარ იცოდა რა ექნა. მოეშველა ხაზბი. ცელი მიწიდან გამოაძრო და უთხრა: —

— უფრო მაგრა რომ მოგექნია, ცელი შემოგატყდებოდა ხელში და შარში გავეხვევოდით. აი, მიყურე. ასე უნდა ცელის მოქნევა.

ხაზბიმ მოიქნია ცელი. ძირში მობალთული ბალახი ლამაზად ჩაიკეცა ძირს და ერთიმეორის გვერდით მიწვა.

ხაზბი დაპირდა მეგობარს, გაისად რომ ჩამოხვალ, ცელს გამოგიპირავ და თიბვას გასწავლიო.

ცელი თავის ადგილზე დაასვეს და კვლავ სოფლისკენ წავიდნენ.

• •

საღამო იყო. ფერმის ახლოს იური თავის ჩამოტანილ ველოსიპედზე სეირნობას ასწავლიდა ხაზბის ამხანაგებს.

— პირდაპირ იყურე, პირდაპირ. ნუ გეშინია, არ გადმოვარდები. არც ველოსიპედი წაიქცევა. მე მიჭირავს. ჰო, ეგრე! გაუტიე, გაუტიე!

ვისაც უკვე თავისუფლად შეეძლო ველოსიპედის ტარება, ახლა იმას დასცინოდა, ვინც სწავლობდა: დახეთ, როგორ ეშინიაო.

იური უკვე მერამდენე წელიწადია აქ დადიოდა და ისე თავისუფლად ლაპარაკობდა ოსურ ენაზე, ოშვიათად თუ შესცდებოდა და გადაუბრუნდებოდა სიტყვა. ხაზბის ამხანაგებთანაც შინაურულად გრძნობდა თავს, თითქოს პატარაობიდანვე მათთან ყოფილიყოს ნათამაშევი.

აერიამულებული ბავშვების ახლოს ფერმისკენ მიმავალმა დეიდა სონამ გამოიარა. იურიმ ველოსიპედი ხაზბის დაუტოვა და თვითონ ამ ქალს გაეკიდა. დიდი ხანია სონა და იური ერთმანეთის ყონაღები იყვნენ.

იური რომ პირველად აქ ჩამოვიდა, ხაზბიმ ფერმაში შეიყვანა. დაინახეს: დეიდა სონა დოლაბიეთ მწვავე ყველებს მაგიდიდან იღებდა და გრძელ ყუთში ალაგებდა. იურის უნდოდა მოხმარებოდა მას და ყველს ხელი დაავლო.

— ბიჭო, გაუშვი ხელი, თორემ წელი ჩაგწყდება. ხავიწი ხომ არა გგონია. მძიმეა. — სიცილით უთხრა სონამ.

— შარშან ბიძიკ ილამ როსტოვში გამოგვიგზავნა ასეთი ყველი და ავწიე, ეს კი ვითომ რა წითელი გოჭია. — იწყინა იურიმ.

— შარშანდელს უკან ჩვენი ყველები გაიზარდა, ბიცოლა, აბა!

— მე არ გავიზარდე თუ? — მოუჭრა ნაწყენმა ბიჭმა.

— კი, როგორ არა, შენც გაიზარდე. მაგრამ ჩვენი ყველი უფრო გაიზარდა და... ვერა, ჯერ ვერ მოერევი, პატარა ხარ.

— გაისად რომ ჩამოვალ, მაშინ ხომ მოვერევი?

— გაისად კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენი ყველები და მაინც ვერ ასწევ. — სიტყვის ჯიბრში უდგა დეიდა სონა სტუმარს.

იური უკან არ იხევდა:

— ვაუკაცი რომ გავხდები, მაშინ რაღა დამიდგება წინ. ამ ყველებს ცალი ნეკით; აი, გაღმა გავისვრი.

— ეჰ, მაშინ, ჩემო ძვირფასო, კომუნიზმში ვიქნებით უკვე და იმხელა ყველებს დავამზადებთ, მანქანების მეტი ვერაფერი ასწევს.

ეს დღე სამუდამოდ დაამახსოვრდა იურის და როცა წამოიზარდა, ხაზბისთან ჩამოსვლის პირველ დღეკავე დეიდა სონასთან გარბოდა და მხიარულად ეკითხებოდა:

— დეიდა, როგორაა შენი ყველების საქმე, კიდევ გაიზარდნენ? — იცინოდნენ ორივენი გულიანი სიცილით. სიცილით გულს რომ იჯერებდნენ, იური ყველაზე დიდ ყველს დაავლებდა ხოლმე ხელს და ყუთში დებდა.

ახლაც იმიტომ გაეკიდა იური დეიდა სონას, ყველის გადაწყობაში უნდა მიშველებოდა.

იურის უყვარდა, როცა ვინმეს ჯაფას შეემუბუქებდა. ყველაფერს ეცნობოდა, ყველაფერს აკვირდებოდა და როცა სახლში დაბრუნდებოდა, ქალაქ როსტოვში, დედას უყვებოდა ნახულსა და გაგონილს.

• •

გაიარა ზაფხულის დღეებმა. ილას სახლში ფოსტალიონმა დეპეშა მოიტანა. წამოდი, ქალაქის სასტუმროში გელოდებიო, უთვლიდა მამა იურის. გამგზავრების დღე მოახლოვდა.

— დედი, მეც წავყვები იურის ქალაქში. — დაიჩემა ხაზბიმ.

დედა დაეთანხმა: მამაშენს მაინც არ სცალია, ცხვრის ფარას ვერ მიატოვებსო.

წინა დღეს ხაზბის დედამ იურის თავის მოქსოვილი და შეკერილი მუქმწვანე ჩოხა და ახალუხი აჩუქა. ფართომბრეებიან ბიჭს ეს ჩოხა ლამაზად მოერგო ტანზე.

— დედა, მასრები და ქამარ-ხანჯალი რომ არა აქვს, როგორ იქნება? — გაიოცა ხაზბიმ.

— მერედა, მე რას მეკითხები, შენ უკეთ უნდა იცოდე, ამ საქმეს. როგორ მოელება? — გაუღიმა დედამ.

ხაზბი მიხვდა დედის ნათქვამს. მაშინვე გაიქცა მეორე ოთახში და უმალვე დაბრუნდა თვალებგაბრწყინებული.

ხაზბიმ თავისი ქამარ-ხანჯალი შემოარტყა წელზე მეგობარს, თავისი ჩოხის თავთეთრი მასრები გაუკეთა სამასრეში და ახალი ფაფახიც დაახურა.

იურიმ უარის თქმაც კი ვერ მოასწრო საჩუქრების მიღებაზე, ისე სწრაფად მოხდა ეს ყველაფერი. დაბნეული უყურებდა ხან დედას და ხან შვილს.

— მე ჩემთვის მალე ვიშოვი ქამარ-ხანჯალსაც და მასრებსაც. ნუ გეშინია. — იძახოდა გახარებული ხაზბი.

იურიმ სარკეში ჩაიხედა და საკუთარი თავი ძლივსღა იცნო. მორცხვობისა თუ სიხარულის გამო სახე ბროწეულივით უღვივოდა. ძალიან შეენოდა ჩოხა და ამ ჩოხას კი თეთრიძელისთავიანი მასრები. ქამარ-ხანჯალი ხომ სულ ხატავდა. ფაფახი ოდნავ გვერდზე ჰქონდა მოქცეული. ნამდვილ ჯიგიტსა ჰგავდა, ჯირითში გამარჯვებულ ჯიგიტს. უცქეროდა თავისთავს სარკეში და არა სჯეროდა, რომ ნამდვილად ის იყო და არა სხვა ვინმე.

— ერთ თვეში თეთრ ჩაბალახსაც გამოგიგზავნი. — შეპირდა შავთვალებიანი ბიჭი ცისფერთვალებიან ბიჭს.

დილით ხაზბის დედამ იურის ჩემოდანში ორი დიდი ყველი და ერბოთი სავსე მოზრდილი ქოცო ჩაუდო: დედაშენს მიართვიო. მერე მრგვალად მოხარშული დედალი და ხაჭაპურები ჩაულაგა და სოფლის ბოლომდე გააცილა.

ხაზბის ამხანაგები კი უფრო შორს გაყვნენ იურის. პიონერთა რაზმეულის უფროსს, ფეუზას, გარმონიც კი წამოეღო. დამშვიდობების წინ გაშალეს ეს გარმონი, ადგეგდეგეს დაირა და უცებ სახელდახელოდ საცეკვაო წრე გამართეს.

შეევარდენივით შეინავარდა ხაზბიმ წრეში და მიწას ფეხის წვერებით ცეცხლი გაუჩინა. მერე თავი დაუკრა იურის.

იური მთელი ზაფხული სწავლობდა მთიულურ ცეკვას. ხაზბი ასწავლიდა და ახლა თითქოს გამოცდის ჩასაბარებლად გადიოდა, გაპყვა ცეკვაში თავის მასწავლებელს.

ჰყვიროდა გარმონი, დუგდეგებდა დაირა, ისმოდა მხიარული „ვარაიდა რაიდა" და ორი მეგობარი ისე ლამაზად ცეკვავდა მთიულურს, ვერ გაარჩევდით, რომელი იყო რუსი და რომელი — ოსი.

და მთებიც ისე მხიარულად იდგნენ, თითქოს მათ ბედნიერებას . იზიარებდნენ. ცაზე მზე ნადიმობდა.



ლაკეით ფეიოთი

ცხოვრების შუაგულში

მატარებლის მოსვლამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი. მაგრამ გორის სტუმართმოყვარე სადგური საკმაო იყო მგზავრებით. იყვნენ გამცილებლებიც. კეთილშობილ დარბაზში ისინი ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ან ისხდნენ. ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებას, ლაპარაკობდნენ საქმეებზე. ზოგი მოხერხებულად მოწყობილიყო სკამზე და მატარებლის მოლოდინში სთვლემდა.

მახამათმა მოსაცდელი დარბაზის კედლებზე გაკრული ყველა პლაკატი და განცხადება გადაიკითხა. მერე გაზეთის კიოსკთან მივიდა, იყიდა ახალი გაზეთები, დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში მოძებნა ადგილი. ჩემოდანი გვერდით მოიდგა და დაიწყო გაზეთის კითხვა. სახე ერთბაშად გაუნათდა. იგი ყურადღებით კითხულობდა ერთ-ერთ სტატიას და ილიმებოდა. გაზეთი წერდა სტალინირის მტს-ის მექანიზატორის გიორგი მაისურაძის შრომითი წარმატების შესახებ. ერთ დროს მახამათი ამ მტს-ში მუშაობდა. ჭაბუკი გიორგი მაშინ თანაშემწედ ჰყავდა. კითხულობდა წერილს მახამათი და გულით ხარობდა.

— „ყოჩაღ, ჩემო პატარა მეგობარო, — ალტაცებით ამბობდა იგი, გამარჯე ჭაბუკი იყავი, მე არასოდეს მეეჭვებოდა, რომ შენ ნამდვილი ადამიანი გამოხვიდოდი".

ფიქრობდა ასე მახამათი და იგონებდა თავის სიჭაბუკის დღეებს. გაიხსენა, ჯერ კიდევ თექვსმეტი წლისა როგორ მივიდა სამუშაოდ მტს-ში. მოკლე დროში დაეუფლა ტრაქტორისტის საქმეს. მერე არმიაში გაიწვიეს. დაიწყო დიდი სამამულო ომი.

ფრონტზე, ბრძოლის ყველაზე ცხარე მომენტში, როცა სისხლში ამოსვრილ მტერს გადაჰქელავდა ხოლმე, მახამათი ხშირად შეხედავდა თავის ტანკს და ამბობდა: „მაცალე, ჩემო ფოლადის გოლიათო, გავანადგურებთ ფაშისტებს, ჩქარა დამთავრდება ომი, მაშინ მივალთ მტს-ში. იქ ჩემი ჭაბუკი მეგობარი ოთხ გუთანს შეგიბამს!".

თუ ასეთ დროს ვინმე შენიშნავდა და ეტყოდა, რომ ტანკი ტრაქტორი არ არისო, მახამათი გაიცინებდა:

— ამის ფიქრი ნუ გაქვთ. მოვათავებთ ომს და მაშინ შნახეთ, როგორ შევუჯდები „ჩტზ-ს" საჭეს, ხაბრძოლო ტანკივით როგორ აგუგუნდება მისი მოტორი. — ამას იტყოდა ტანკისტი და მერე თითქოს ვინმეს ემუქრებაო, დამკლავებული ხელით იწმენდდა ოფლს მკერივ მკერდზე.

მახამათს არ უღალატნია თავისი სიტყვისათვის. დამთავრდა ომი. 9 მაისს მახამათსაც, ამაყად თავაწეულს, მტკიცედ ეპირა ჩვენი გამარჯვების დროშა და ფართო, მხედრული ნაბიჯებით მიდიოდა ბერლინის ქუჩებში. მერე შინ დაბრუნდა. თავისი ტრაქტორით კვლავ გავიდა კოსტა ხეთაგათის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში. ჯერ კიდევ არმიაში ყოფნის დროს მახამათი ფიქრობდა, რომ ტრაქტორის მართვის გარდა მეს

შეეძლო ესწავლა სხვა საქმე და მეტი სარგებლობა მოეტანა სამშობლოსათვის, ხალხისათვის.

ვინ გაუწევდა წინააღმდეგობას ომგადახდილის კეთილ სურვილს? მახამათმა დაიწყო სწავლა საღამოს სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა ორმოცდაშვიდ წელს და დროებით დაემშვიდობა მშობლიურ მტკვარს. გამოთხოვებისას იგი ღელავდა, თან იღიმებოდა და სადგურის დირექტორს ანდობდა თავის გულისნადებს.

— მივდივარ, ამხანაგო დირექტორო, მივდივარ ტრაქტორისტი და დაგიბრუნდები როგორც ინჟინერ-ტექნიკოსი.

ეს მისი ოცნება განხორციელდა. მახამათი მოსკოვში სწავლობდა; თითქოს ახლად დაიბადა, ახლად დაავადაცდა. მას ასეთი გრძნობა დაჰყვა დედაქალაქში გატარებული წლების შესახებ. დაამთავრა ინსტიტუტი, საიდანაც ახლა იგი ბრუნდებოდა და ელოდა შემდეგ მატარებელს. მოულოდნელად მისი ყურადღება სადგურის დიქტორის ხმამ მიიპყრო.

— მატარებელი თბილისი — სტალინირი რამდენიმე წუთის შემდეგ ჩამოდგება მეორე ლიანდაგზე...

მახამათმა მარცხენა მკლავზე პალტო გადაიკიდა, მარჯვენათი ჩემოდანს დასწვდა და ბაქანზე გამოვიდა. ჩქარა მატარებელიც ჩამოდგა, ღია ცისფერი ვაგონებით.

მახამათმა ვაგონის კიბის სახელურს მარჯვედ მოავლო ხელი და მარდად ავიდა საფეხურზე. იქვე ქალიშვილის ხმა მოისმა: „რატომ ჩქარობს და ღელავს ადამიანი, როცა სადმე მიდის?" კეკლუცმა, ცისფერთვალება ქალიშვილმა ეს მახამათის მისამართით თქვა, პერე ხანში შესულ ქალს მიუბრუნდა. კვლავ მოისმა მისი ნარნარი ხმა.

— აბა იჩქარე!

• •

მუქლურჯად მოსარკულ ცაზე მომხიბლავად ციმციმებდნენ ვარსკვლავები. ელექტრონული მთვარე თავისი მკაფიო შუქით ანათებდა დედამიწას. ეს შუქი, თითქოს მდინარის ნაპირზე შეუვარებულ წყვილებს ეძებსო, მომეტებულად ელვარებდა ტალღებზე.

მახამათი ვაგონის ღია ფანჯარასთან იდგა. გაჰყურებდა მდინარეს. საამო ფიქრებს მისცემოდა. იგონებდა მშობლიურ ოსეთს. ერთ წადილს გაეტაცნა, როგორ გადაეხადნა მადლობა იმ ამაგისათვის, რომელიც დასდო მას პარტიამ, სამშობლომ.

მატარებელმა სვლა შეანელა. მახამათი ღია ფანჯარას დაეყრდნო. ლიახვის სანაპიროზე მან ახალი სახლები შენიშნა, განცვიფრებული შემობრუნდა, რომ რომელიმე თანამგზავრისათვის ეკითხა, როდის და რა მიზნით აშენდა ეს ახალი კვარტალი. უეცრად ფეხზე ფეხი დაადგა ქალიშვილს. უხერხულად შეიშმუშნა და მოკრძალებით ეთხრა:

— მაპატიეთ...

— მიპატიებია, მაგრამ...

— შენ გინდა თქვა, რომ მე უყურადღებოვარ?

— არა, რას ამბობთ? ამის თქმა სრულიადაც არ მსურდა, — იუარა ქალიშვილმა, თუმცა ხმაშიც ეტყობოდა, რომ მას მართლაც ძალიან ეტკინა ფეხი. მახამათმა კიდევ ითხოვა პატიება. ქალიშვილი ამჯერად ღიმილით გაეპასუხა.

— გულახდილად გეტყვით, ფეხი მართლაც მეტკინა, მაგრამ არა უშავს, გაივზრდები და დამაციწყდება.

ქალიშვილმა გადაიკისკისა, მახამათსაც გაეცინა. მერე თითქოს ახლა მოაგონდაო, იკითხა:

— მინდოდა შემეტყო, ის ახალი სახლები რისთვის არის იქ აგებული.

მატარებელი ისევ ძლიერ ნელა მიდიოდა. ქალიშვილიც ფანჯარასთან მივიდა, მარცხენა მხარით მახამათის მხარს მიეყრდნო და ნარნარი ხმით წარმოსთქვა:

— ეგ სახლები გორის ბამბეულის კომბინატის მუშების საერთო საცხოვრებელია. სიტყვას ალბათ იმიტომ აგდებთ ზანზე, რომ ტკივილი გადამაციწყოთ.

— დამიჯერეთ, მეც შევიტკივე, რომ გორში ბამბეულის კომბინატი შენდებოდა. ხოლო თუ აქ, ამ ადგილზე იყო გაშენებული, მართალი გითხრათ, არ ვიცოდი.

— ალბათ, დიდი ხანია აქ არ ყოფილხართ.

— სამი წელი იქნება...

მატარებელი გაჩერდა, მგზავრების ერთმა ნაწილმა ფაციფუცით, ხმაურით დასტოვა ვაგონი და ბაქანზე ჩავიდა. მახამათის გვერდითაც გათავისუფლდა ადგილი. მან ქალიშვილი მიიწვია. ქალიშვილი ხელჩანთას დასწვდა, მიუახლოვდა მა-

ხამათის და მის გვერდით დაიკავა ადგილი.

მახამათმა უფრო გაბედულად განაგრძო საუბარი ქალიშვილთან.

— აი, ჩვენ ისე ვსაუბრობთ, თითქოს დიდიხნის ნაცნობები ვიყოთ, ნამდვილად კი თქვენი სახელიც არ ვიცი, ჩემი სახელია მახამათი, გვარი ბაზათი. თქვენ კი რა გქვიათ?

— მარინე, — მოკლედ მიუგო ქალიშვილმა.

— გვარი?

— ამას არ გეტყვით, შემდეგისათვის დარჩეს.

— ასეთი სახელის ქალიშვილი ადრეც გამიცანია.

— გაგიცანია და ალბათ დაგვიწყნია. ასევე დამივიწყებ მეც...

მახამათმა უფრო გულღია საუბარი გაიბა.

— სტალინირში მიდიხართ?

— არა, უფროს შორს...

— უფრო შორს? ეს როგორ?

— მივდივარ იქ, სადაც პარტიამ გამგზავნა, სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთ მტს-ში.

— მართლა? მეც ხომ მტს-ში მივდივარ! თანამგზავრები ვყოფილვართ.

— თქვენ სად მიდიხართ?

— მეც პარტიის დავალებით მივდივარ!

— თქვენ აგრონომი ხართ?

— ინჟინერ-მექანიკოსი. როგორ ფიქრობთ, ინჟინრები საჭირონი არ არიან?

— საჭირო არიან... მხოლოდ კარგი ინჟინრები..

— თქვენ რა სპეციალობისა ხართ?

— აგრონომი. სამინისტროში მუშაობას თავი მივანებე და... -

— და პარტიის მოწოდების შესასრულებლად მიდიხარ, ხომ?

— დიახ, ასე გადავწყვიტე და მივდივარ!

მახამათმა სიხარული ვეღარ დაფარა:

— ჩვენ შევხვდით გზაზე და, ალბათ, მომავალშიც შევხვდებით ერთმანეთს.

— შემდეგ რა?

— აი, თქვენი გვარიც რომ გეთქვათ, მაშინ...

— მოდით, ეს შემდეგისათვის იყოს, როცა კვლავ შევხვდებით.

— მოიცათ, მოიცათ, კეთილო ქალიშვილო. მე ხომ თქვენთვის არაფერი დამიფარავს.

— მაშ, რაკი ასე აუცილებელია, გეტყვით. ჩემი გვარია ოთინაშვილი...

— მარინე ოთინაშვილი, — გაიმეორა მახამათმა.

ქალიშვილმა ღიმილით შეანათა მას მოციმციმე ცისფერი თვალები. უკვე იგრძნობოდა, რომ ამ შეხვედრამ ახალგაზრდების გულში აღანთო რაღაც სასიამო გრძნობა. ახლა ორივეს გულში იფარებოდა ერთნაირი ეკვის ერთი ნაპერწკალი: „იქნებ მას უკვე ჰყავს თავისი ცხოვრების მეგობარი?“...

ერთ-ერთ სადგურზე, როცა მატარებელი გაჩერდა, ვაგონში, სადაც მახამათი და მარინე ისხდნენ, მგზავრები ამოვიდნენ. მახამათი წამოდგა, ადგილი მოხუც ქალს დაუთმო.

— იხარეს შენმა დედამ, ჩემო კარგო, — თქვა მოხუცმა ქალმა და თავისმოუბრუნებლად გვერდულად გახედა მარინეს. ბებიას მუხლებზე ჩამოსკუპდა ხუთიოდე წლის გოგონა. პატარამ მახამათის მკერდზე გამწკრივებულ ორდენებსა და მედლებს მიუალერსა, თვლა დაუწყო, რვამდე დაითვალა.

— მამიკოს ერთით ნაკლები აქვს, ხომ? — ისე შეეკითხა გოგონა თავის ბებიას, თითქოს შურდა მახამათს უფრო მეტი ჯილდოები რომ აღმოაჩნდა. მან ხელახლა დაითვალა ორდენები და მედლები. მგზავრებმა ამჯერად ხმამაღლა გაიცინეს. ბავშვმა იუხერხულა და სახე ბებიას მკერდში ჩამალა.

— რამდენი ჯილდო აქვს შენს მამიკოს? — შეეკითხა გოგონას მარინე. პატარამ გაიცინა და თითებით უჩვენა — შვიდი.

— თვლა ჯერ კიდევ არ იცი? — უთხრა მას მახამათმა და ხუჭუჭა თმებზე სიყვარულით გადაუსვა ხელი.

— ჰო, არ ვიცი! მე წერაც ვიცი! მამიკოს იმიტომ ვისცეს მედალი, რომ ბერლინი აიღო!

— განა მარტო აიღო ბერლინი? — ღიმილით შეეკითხა მახამათი.

— დიახ, ბერლინი აიღო ამხანაგებთან ერთად. შენც იყავი იქ?

— რაღაც ძალიან აქებ შენს მამიკოს, — მოფერებით უთხრა პატარას მარინემ.

— შენ რატომ არა გაქვს ისეთი მედალი, რო-

გორც მამიკოს? — მარინესათვის არ უპასუხია, ისე შეეკითხა გოგონა მახამათს.

— მეცა მაქვს!

— დიახ, გაქვს! აბა, გვიჩვენე!

— ლიანა! ნუ მოაბეზრე თავი ადამიანებს! — მკაცრად უთხრა გოგონას ბებიამ. ბავშვი მოიღუშა. მახამათი დასწვდა მას, ხელში აიყვანა და უჩვენა მედალი — „ბერლინის ალებისათვის". ბავშვი სიხარულს მიეცა.

— ბებიკო, უყურე, უყურე, ძიას სწორედ ისეთი მედალი აქვს, როგორც მამიკოს. განა შენ ჩემს მამიკოს არ იცნობ?

— არ ვიცნობ.

— რატომ არ იცნობ? — გაიოცა გოგონამ. — განა თქვენ ერთად არ იყავით ბერლინში?

— ერთად ვიყავით, მაგრამ ერთმანეთს ვერ გავეცანით.

ლიანას სურდა კიდევ ეკითხა რაღაც, მაგრამ ამ დროს კონდუქტორმა ბილეთები მოიკითხა. ბავშვმა ბებიასკენ გაიწია.

ღამის სიბნელეში, სადაც შორიდან ანათებდა ტრაქტორის ორი ნათურა. მახამათი სიყვარულით უმზერდა ბნელში მოციმციმე ჩირაღდნებს და ვინ იცის, რას არ ფიქრობდა! მის მეხსიერებაში ცოცხლობდა ლამაზი საკოლმეურნეო მინდვრები, მახლობელი ადამიანები. ოცნებობდა და ამ ოცნებას შექვივით თან ახლდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებიდან მიღებული წარუშლელი შთაბეჭდილებანი.

— ღამე მშვიდობისა, ბედნიერი გზა და საქმეში წარმატება გქონდეთ, შვილებო! — დალოცა მოხუცმა ჭალმა მახამათი და მარინე, თან ერთერთ ბაქანზე ჩასასვლელად მოემზადა.

— ღამე მშვიდობისა, ბებია, — გაეპასუხა მოხუცს მახამათი. მარინემ ვარდისფერ ლოყაზე აკოცა ლიანას.

— ღამე მშვიდობისა, მახამათ! — მიაძახა მას გოგონამ. თან თავის ნაზ, ფუნჩულა ხელს უქნევდა.

• •

მახამათი და მარინე ერთობ მხიარულნი გამოვიდნენ საოლქო კომიტეტიდან. საღამოთი ისინი სასტუმროს ცალ-ცალკე ნომრებში დაბინავდნენ: მიეცნენ რაღაც ფიქრებსა და ოცნებებს. ვერც ერთი მათგანი ვერ ახერხებდა ძილს. ერთი საკითხი აღელვებდა მათ — როგორმე ერთიდაიგივე მტკნ-ში მოხვედრილიყვნენ. ეს ხომ მეტ ენერგიას და ძალას მისცემდა მათ.

რაკი ძილი არც ერთს არ ეკარებოდა, კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და როგორც თავშეკავებულ ახალგაზრდებს შეეფერებათ, გულღიად, მაგრამ მოკრძალებით განაგრძობდნენ საუბარს.

— მარინე, მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, თქვენ?

— მე ბედნიერი ვარ დაბადებიდანვე, მას შემდეგ, რაც საბჭოთა მიწაზე დავადგი ფეხი, — მიუგო და გადაიკისკისა მარინემ.

მახამათი აღელდა. იგი ერთბაშად თითქოს ვერ მიუხვდა მარინეს. ფიქრობდა, რომ ქალიშვილის გული დაკავებულია, რომ მას უკვე ნაპოვნი აქვს თავისი ბედნიერება.

— შენ რა გესმოდა ბედნიერებისა, აი, მაგალითად, მაშინ, როცა სულ პატარა იყავი, მარინე? — შეეკითხა მახამათი.

— მაშინ მართლაც შეიძლება არც ვიცოდი, რა იყო ნამდვილი ბედნიერება, მაგრამ ბავშვური ბუნება იმთავითვე გრძნობდა, რომ მე დავიბადე ქვეყანაში, რომელიც ბედნიერების სამშობლოა. ხოლო უფრო გვიან ვიგრძენი, რომ უშუალოდ შემეძლო მიმეღო მონაწილეობა ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში. ამან უფრო სრულყოფილი გახადა ჩემი პირადი ბედნიერება...

— განაგრძეთ, განაგრძეთ შემდეგ! — თხოვა მახამათმა.

— ჩვენ ვალდებული ვართ. — განაგრძობდა მარინე, — მთელი ჩვენი ცოდნა, ძალები, ენერგია მოვახმაროთ ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერებას...

— სწორია. შენი ნათქვამი სადავო არ არის. ღრმა და მშვენიერია მისი აზრი!

• •

ისეთი კარგი ამინდი იდგა, თითქოს ბუნებას კოლმეურნეთა გულის წადილი აუსრულებიაო. სიმინდის უხვი მოსავალი უნდა აეღოთ. მუშაობის ასეთ ცხარე მომენტში ამინდსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ასეთი კარგი ამინდი

მით უფრო აბარებდა ადამიანს, რომ წინაღამით მთებს, ხეობებს, მინდვრებს შავი, მძიმე ღრუბლების ფარდა დასწოლოდა. თითქოს დიდი წვიმა იყო მოსალოდნელი, მაგრამ დილით, როგორც კი მცხუნვარე მზემ თავისი ელვარე სხივებით ღრუბლების გარემოცვა გაარღვია, ერთბაშად მოიწმინდა. მშვიდი, ძალიან კარგი დარი დადგა.

ვინ მინერალური სასექების მოსატანად მიდიოდა ქალაქში, ვინ სიმინდის საჭრელად მიეშურებოდა. თესვის მასობრივად გაჩაღების დროც ახლოვდებოდა.

დილის ჰაერში იკრებოდა განსაკუთრებით ძლიერი, მძაფრი ხმა, რომელიც ჩრდილავდა სხვა შეძახილებს. ეს ხმა კოლმეურნეობის სამკედლოდან გამოდიოდა. აქ, სამკედლოში, სადაც მრავალგვარ ფორმას აძლევდნენ გავარვარებულ ლითონს, განთიადიდან ბინდამდე არ წყდებოდა ხმაური, რომელიც გრდემლზე ურის მძლავრი დარტყმით იყო გამოწვეული. ძარღვიანი, ჯანმაგარი, მკლავმოუღლელი მკედელი ბარსა გატაცებით მუშაობდა კოლმეურნეობის დაკვეთების შესრულებაზე. იგი ხანმოკლე შესვენებისთვისაც იძლევს იმეტებდა დროს. დასახმარებლად მიმაგრებულ ჭაბუკ კოლმეურნესთან ერთად, მუყაითად შრომობდა, კოლმეურნეობის დაკვეთების შესრულებასაც ასწრებდა და მეზობელ სოფლებსაც ეხმარებოდა.

— შრომისმოყვარე და ენერგიულია ჩვენი ბარსა, სხვის მითითებას არ საჭიროებს, თვითონ ხვდება და აკეთებს ყველაფერს, — კმაყოფილებით ამბობდა მის შესახებ კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი თითირბეგი.

— აბა, ეს გუთნებიც სწრაფად უნდა შეკეთოთ, — გაიგონა მახამათმა ბარსას მხიარული შეძახილი, როცა სამკედლოს გვერდით მიდიოდა. ჩანდა, სამკედლოში სხვებიც იყვნენ, იქიდან საერთო ლაპარაკის ხმა გამოდიოდა.

— ერთ პაპიროსს მოვწევ და მერე დავიწყოთ, — ეუბნებოდა ბარსას დამხმარე ჭაბუკი.

— კარგი, მოსწიე, ოღონდ ჩქარა! — დაეთანხმა მკედელი.

მახამათს სურდა სამკედლოში შესულიყო. უცებ კოლმეურნეობის ბეღლების მხრიდან ქალიშვილების მხიარული სიცილი შემოესმა. ინჟინერმა გადაწყვიტა, ბეღლებისაკენ წასულიყო. მან ქუდი მოიხადა. ცის ლურჯ უსაზღვროებას მიაპყრო მზერა. შორს ლაჟვარდში რაღაც ფრინველი ნავარდობდა. დროდადრო ისმოდა მისი გამყივანი ხმა. ჩანდა, იგი ჩამორჩენოდა ფრინველების სხვა გუნდს და ახლა ეძებდა, უყიოდა მათ. მალე, მართლაც, გამოჩნდა სამკუთხედის მსგავსად დაწყობილი ფრინველების გუნდი. ჩამორჩენილი ფრინველი აედევნა მათ. მწყობრში დაიკავა თავისი ადგილი. ფრინველები გაურბოდნენ მოახლოებულ ზამთარს და თბილ ქვეყნებში გადასაფრენად გამზადებულიყვნენ. განმარტოებულ ფრინველს იქნებ კიდეც ენანებოდა ჩვენი მშვენიერი მიწა-წყლის მიტოვება და ამიტომ ჩამორჩენოდა გუნდს!

ბეღლებთან კოლმეურნე ჭაბუკები და ქალიშვილები, ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილნი, ხოლო ზოგი განმარტოებით, სათესლე მასალის გაწმენდაზე მუშაობდნენ. მოხუცი კოლმეურნე, რომელსაც სიმონს ეძახდნენ, მარცვალსაწმენდ მანქანას ჩაჰკირკიტებდა, ნაწილები ჩამოეხსნა, მაგრამ რა იყო მოშლილი მანქანის „ორგანიზმში", ეს ვერ შეეტყო და უკმაყოფილოდ იქნევდა თავს. იქვე იდგა მახამათის დედა. როცა მან თავისი ვაკაცი დაინახა, სიხარულისაგან დაიბნა. ბაბუა სიმონი ისევ მანქანას ჩაჰკირკიტებდა, მახამათის მიახლოება ვერ შეიტყო. უკმაყოფილოდ იმეორებდა:

— მაცალოს მაგ უნამუსომ, მაცალოს, ხვალ კრება გვექნება, იქ ვიტყვი მაგის კაიკაცობის შესახებ, — ბრაზობდა მოხუცი.

— ეს ვის ემუქრები, ბაბუა სიმონ? — შეეკითხა მახამათი.

ახლა კი გასწორდა წელში მრბუცი. მახამათს გულთბილად მიესალმა. ამბავი გამოკითხა. მერე კვლავ საქმე გაიხსენა. ისევ შეიკრა წარბები და მახამათს უთხრა:

— ძალიან გაგვაწვალა ამ მანქანამ, მოგვეშალა, ვერაფერს ვუხერხებთ. მტს-იდან მოვლინებული მექანიკოსი ისევ გაიპარა, საქმე არ გაგვიკეთა. იმაზე ვარ გაბრაზებული. — მოხუცმა მერე დაუმატა. — აი, ჩვენს კოლმეურნეობაში ერთი ახალგაზრდა აგრონომი მოვიდა სამუშაოდ. მოსვენებას აღარ გვაძლევს. სათესლე მასალის გარჩევა არ დავაგვიანოთო, შევრცხვებითო. შენ

იცი, შვილო, ხელით გარჩევა რა ძნელია, მანქანა კი მოგვეშალა...

მახამათმა სწრაფად გადაიძრო კოსტიუმი, გადასცა დედას, დაიმკლავა და მოხერხებულად შეძვრა მარცვალსაწმენდი მანქანის ქვეშ.

დედას ესიამოვნა შვილის საქციელი. ცოტა კი შეფიქრიანდა, ერთიც ვნახოთ, ვერ მოახერხოს მანქანის გამართვა, ასე სახალხოდ შეირცხვინოს თავიო. იქნებ უკეთესიც იყო, სულაც არ ეკისრა ეს საქმე!

მახამათმა მანქანის რომელიღაც ნაწილი მოსინჯა. მერე სიმონს გამოსძახა:

— თქვენგან არც კი მითხოვია ნებართვა, ისე შემოვძვერი მანქანის ქვეშ. მივაგენი, ბაბუა, რაც არის მოშლილი.

ინჟინერ-მექანიკოსი მშვიდად და დაკვირვებით ამოძრავებდა ხელებს. იგი საქმეს სწრაფად მორჩა. მარდად გამოძვრა მანქანის ქვეშიდან.

— აბა, ამუშავეთ თქვენი მარცვალსაწმენდი, — შეეხმაურა მახამათი მოხუცს.

გაისმა მანქანის რიტმული ხმაური. ყველას გაეხარდა, ახლა ყველას აინტერესებდა, როგორ გაიწმინდებოდა თესლი.

მახამათმა პეშვი შეუშვირა დაწმენდილი თესლის ნაკადს. მარცვლით ავსებული პეშვი სიმონისაკენ გაიწოდა.

— როგორ მოგწონს? — ღიმილით შეეკითხა მახამათი.

— ქება აღარ უნდა, როგორც სადილისათვის ბრიგადას გაარჩევენ ხოლმე ჩვენი დიასახლისები, თესლიც ისეა გაწმენდილი, — აღფრთოვანებით ამბობდა სიმონი და განაგრძობდა: — გმადლობთ, გმადლობთ, მახამათ, ოქროს ხელი გქონია.

მახამათის დედა მარჯვედ ტრიალებდა მარცვალსაწმენდთან. მას ახარებდა ის, რომ მისი ვაჟკაცის მიერ სახელდახელოდ შეკეთებული მანქანა ასე შეუფერებლად მუშაობდა.

მარცვალსაწმენდ მანქანასთან საიდანღაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყარამანი მივიდა. იგი, საერთოდ, ნაკლებად იყო დაინტერესებული სათესლე მასალის თავის დროზე მომზადებით. ამიტომ იყო, რომ მას ვერ გაეგო მანქანის მოშლის ამბავი. მახამათი თავმჯდომარეს მიესალმა. მერე ორივე იქით წავიდა, სადაც კოლმეურნეები ხელით არჩევდნენ სათესლეს. იქ სიყვარულით შეხვდნენ მახამათს. ყველა გახარებული იყო ივით, რომ ინჟინერმა მუშაობა დაიწყო ივ მანქანა-ტრაქტორების სადგურში, რომელიც მათს სოფელსაც უწევდა მომსახურებას.

კოლმეურნეები განაგრძობდნენ ხორბლის გაწმენდას ხელით. ყარამანმა ზერელედ გადახედა, ვინ როგორ მუშაობდა. შუახნის კოლმეურნე ქალს სონას ნამუშევარი დაუწუნა ისე, რომ კარგად არც კი გაუსინჯავს გარჩეული თესლი. გაბრაზებულ ქალმა არ მიიღო უსაფუძვლო შენიშვნა. კიდევ უფრო შეიკრა წარბი სონამ, როცა თავმჯდომარემ ასევე უსაფუძვლოდ შეაქო მისი ნათესავი ქალის ცუდი ნამუშევარი.

— შენ ეს ჩვეულებად გაქვს, ყარამან, — ვეღარ მოითმინა სონამ. — მხოლოდ შინაურების ქება-დიდება გეხერხება, სხვებს კი არ ზოგავ, ლანძღავ, გულს უცრუებ...

— დედას ეფიცავ, სწორად ლაპარაკობს სონა, — დაუფარავი მღელვარებით უთხრა თავმჯდომარეს ახალგაზრდა კოლმეურნე ქალმა თეკლემ, — განა ეს თესლი ცუდად არის გარჩეული?

მახამათი თეკლესთან მივიდა. მასთან ერთად შეამოწმა გარჩეული მარცვალი.

— განა ცუდად არის გარჩეული? — აღარ აცალა რაიმეს თქმა სონამ მახამათს.

— კარგი, კარგი, სონა, — დამცინავად ჩაერთო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. — შენზე უკეთესი მუშა დედაბიწაზე არ დადის.

— სჯობს წესიერად მოიქცე, — არ ცხრებოდა სონა, — სინდისიერ ადამიანებს ტყუილუბრალოდ გულს ნუ უცრუებ მუშაობაზე. ახუჩად აგდებას არავინ გაპატიებს. ასე თუ განაგრძე, იცოდე, ისეთივე ბედი გეწევა, როგორც წინა თავმჯდომარეს... აორთქლდები! — სონამ თითქოს ამით ამოსწურა სათქმელი და კვლავ მიუბრუნდა სამუშაოს.

მეტი არაფერი უთქვამს ყარამანსაც. ეგ არის, რომ მარცხენა ულაყში შეუთამაშა. ჩანდა, სონას უკანასკნელმა სიტყვამ მწვავედ, მტკივნეულად გაკარა გულზე.

როცა მახამათი და ყარამანი განცალკევდნენ, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვეღარ დაჰფარა თავისი აღშფოთება:

— გაიგონე, რა მითხრა სონამ? ... ცხარობდა

ყარამანი, — სულ ასე იქცევა, რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს ლაპარაკობს...

თავმჯდომარეს სიტყვა აღარ დაამთავრებინა მახამათმა. მოკლედ მოუჭრა:

— ამჯერად შენ იყავი დამნაშავე, ყარამან!

— რატომ? — გაიოცა თავმჯდომარემ. — განა შენც იმათ მხარეზე ხარ? შენც იმათ ამართლებ?

— რას ჰქვია, მეც „იმათ მხარეზე ვარ“? მე სიმართლის მხარეზე ვარ.

— განა ასე ლაპარაკობენ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან?

— ყარამან, კარგად უნდა იცოდე, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ადამიანებმა აგირჩიეს, ამიტომ მათ უფლება აქვთ მიგითითონ არასწორ საქციელზე, გაგაფრთხილონ, რათა სწორ გზას არ ასცდე.

— განა მე სწორ გზას ავცდი?

— მე ამას არ ვლაპარაკობ.

— მაშ, როგორ გაგიგოთ?!

— მე გითხარი ის, რაც სიმართლე იყო. გეტყვი შენი შეცდომების შესახებაც.

— გთხოვთ, გვითხარით, გისმენთ.

— პირველი ის არის, რომ უნდა გეხერხებოდეს ადამიანებთან ჯანსაღი ურთიერთობის დამყარება.

— კიდევ რა მომეთხოვება?

— უნდა გეხერხებოდეს მუშაობა ადამიანებთან, აფასებდე მათ...

• •

დიდი ხანი არ არის, რაც მარინე აგრონომად მუშაობს მახამათის მშობლიურ სოფელში. მისი მადლიანი ხელით გაკეთებული საქმე კი უკვე კარგად ჩანს. კოლმეურნეები მადლიერი არიან. მათ შეიყვარეს ახალი აგრონომი. განსაკუთრებულ პატივს სცემენ აგროზოოტექნიკურ წრეში გაერთიანებული ახალგაზრდები.

მარინე გრძნობს ამ სიყვარულს.

მარინე ძალიან ადრე დგება, მხრებზე წამოისხამს ხოლმე მსუბუქ პალტოს, თვალს გადაავლებს კოხტად მორგებულ ფეხსაცმელებს და გარბის მინდვრებისაკენ

— ხედავთ, ქალებო, ეს რა ქალიშვილი მოევლინა ჩვენს სოფელს! ხშირად წვიმიან ამინდშიც მინდორშია, მხიარულად, მხნედ დაბიჯებს. ხან ტრაქტორისტებთან, ხან კოლმეურნეობის ბრიგადებში, ყველგან ისმის მისი საქმიანი სიტყვა, — უთხრა მეგობარ ქალებს მახამათის დედამ.

— საღამოთი წრეს ამეცადინებს. არ ეშინია სიძნელეებისა, უბრალო და კეთილია, — დაუმატა მეორემ და ღიმილით მიუახლოვდა მახამათის დედას.

— საუცხო საპატარძლოა. ძალიან შესაფერი იქნებოდა მახამათისათვის.

ლაპარაკობდნენ ქალები და სიყვარულით მისჩერებოდნენ ტრაქტორებისაკენ მიმავალ მარინეს.

ერთ ადგილზე მარინე შეჩერდა. მერე ცოტა გაიარა და კიდევ შეჩერდა.

ტრაქტორისტ ოთარს, რომელიც იმ დღეს შემოდგომის პურს სთესდა, წინაგრძნობა კარნახობდა, მარინეს რაღაც არ მოეწონაო. მოლოდინი გაუმართლდა.

— მე ხომ გუშინაც გითხარი, ასე ხარვეზებით თესვა არ შეიძლება, დანაშაულია! — მკაცრად ეუბნება აგრონომი ქალიშვილი ტრაქტორისტს. — ამით ხომ შენს თავსაც ატყუებ, კოლმეურნეობასაც, სახელმწიფოსაც!

— ეს რა, ჩემი გაიცხვისა და ლანძღვისათვის გამოგგზავნეს, თუ რაშია საქმე! — გაბრაზდა ტრაქტორისტიც.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, მოტორი გამორთე, — სიბრაზისაგან გაწითლდა მარინე. — ასე მუშაობას არ დაგანებებ.

— ერთი ეს მითხარი, — არ ნებდებოდა მექანიზატორი, — შენ აგრონომი ხარ თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარე?

— აგრონომი ვარ!

— მაშინ შენი საქმე იცოდე, — უთხრა ტრაქტორისტმა და საჭეს მიუჯდა.

— შესდექი! ნათესი არ ვარგა. ნუ ჯიუტობ. ასე მუშაობა ზიანის მეტს არაფერს მოგვცემს.

— მოდით და თქვენ იმუშავეთ, რაკი მე არ მენდობით, — მიუგო ტრაქტორისტმა და სოფლისაკენ გასწია.

მარინემ მზერა გააყოლა მას, ხელი ჩაიქნია. მერე დაიმკლავა და სათესის დათვალიერება დაიწყო.

ამ დროს გამოჩნდა მოტოციკლი! მარინემ შორიდანვე იცნო — მახამათი მოდიოდა მტს-იდან.

— რა მოხდა? — შორიდანვე შეეკითხა იგი მარინეს.

— ამხანაგო ინჟინერო, ნახე, თქვენი ტრაქტორისტი როგორ მუშაობს! განა ასეთი რამ დასაშვებია?

ტრაქტორისტიც ჩქარა დაბრუნდა. მასაც მოეკრა თვალი ინჟინრისათვის.

ტრაქტორისტმა მარინეს წინაშე ბოდიში მოიხადა. დატრიალდა. ერთი საათის შემდეგ სათესი წესრიგში იყო. შემდეგ მოტორი ჩართო, დასძრა ტრაქტორი. მას ფეხდაფეხ მდუმარედ გაჰყვნენ მახამათი და მარინე.

— როგორ ჩქარა შეეჩვიეთ სოფლად მუშაობას, მარინე! — ღიმილით გადაულაპარაკა მახამათმა.

— მართალია, შევიყვარეთ სოფლად მუშაობა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ვმუშაობთ გამართულად, მთელი შესაძლებლობით. უფრო ბეჯითად უნდა მოვკიდოთ ხელი საქმეს, დიდ, გადაუდებელ საქმეს.

მიჰყვებოდნენ ისინი სათეს მანქანას. ბედნიერი იყვნენ იმით, რომ თავს გრძნობდნენ ცხოვრების შუაგულში, იმ დიდი ლაშქრის რიგებში, რომელიც პარტიის მოწოდებით დაიძრა სოფლისაკენ, რათა უფრო გაალამაზოს, აღორძინოს ჩვენი მადლიანი მიწა-წყალი.

ინჟინერი და აგრონომი თავიანთი მარჯვენით, გულით, ფიქრით თავს დასტრიალებდნენ მინდორს, უხვი მოსავლის დედაკ, ხან კი ერთმანეთს გადახედავდნენ ბედნიერი ღიმილით.

ზამირათი

ჯერ კიდევ მაშინ, როცა საშუალო სკოლაში სწავლობდა, ზამირათს ძალიან უხდებოდა შავი, მჭიდროდ დაწნული ნაწნავები ლამაზად რომ ეყარა ბეჭებზე. ნაწნავები მას მუდამ ღია ვარდისფერი ლენტით ჰქონდა შეკრული. ხანდახან ახლაც გამოიღებს ხოლმე კარადიდან იმ სანუკვარ ლენტებს და გულისძგერით რომ დააკვირდება, თვალწინ ბავშვობის წლები გაუელვებენ. ერთხანს დასცქერის ლენტებს და მერე ისევ შეინახავს კარადის უჯრაში. წავიდა ის ძაკი. უკვე დადგა დრო, როცა მისი თეთრ-ყირმიზი ლოყები ბევრი ახალგაზრდის მზერას იპყრობს. ისინი რომ შეხედავენ, უცებ შეკრთება ხოლმე ზამირათი, ლოყებზე ალმური მოედება, თავს დაბლა დახრის, გრძელი, ლამაზი წამწამები უფარავენ მაყვალივით შავ თვალებს. მერე განზე გაიხედავს ხოლმე და აღელვებით დაუწყებს წვწვას თავის მსხვილ ნაწნავებს.

ზამირათი ძალიან მორიდებული ქალიშვილია; საკმარისია რომელიმე ჭაბუკმა ქათინაური უთხრას, რომ იმ წამსვე სახეზე სიწითლე გადაურბენს, მაგრამ იმ ბოლო ხანებში მასთან ხშირად ხედავენ მისივე თანასოფლელს — ახალგაზრდა ტრაქტორისტს ბარისბის. ჭაბუკი ზოგჯერ ფერმაში შეიელის, ზოგჯერ სახლში ეწვევა ხოლმე ზამირათს. ბარისბი მასთან თავდაჭერილად და თავმდაბლად იქცევა. ამიტომ ქალიშვილი მასთან შეხვედრისას როდი იბნევა, პირიქით, ღიმილით გამორბის მისაგებებლად. სულ ერთთავად მასთან რომ იყოს, მაინც არ მოსწყინდება.

ბარისბის არ მოსწონს, როცა ზამირათი თავის მშვენიერ თმებს თავშლით იფარავს. რამდენჯერმე დააპირა კიდეც ეთქვა — ნუ მალავ მაგ საუცხოო ნაწნავებსო, მაგრამ ისევ გადაიფიქრა. მართლაც და რა მნიშვნელობა აქვს, თუ რას მოიხვევს თმებზე. ესეც რომ არ იყოს, განა ვინმეს შეუძლია მისი სიყვარული ამოგლიჯოს ბარისბის გულიდან! ზღაპრულ მზეთუნახავზეც კი არ გაცვლის.

ახლა ზამირათი დილდილობით სკოლაში წასასვლელად კი აღარ ემზადება, როგორც ოდესღაც. კოლმეურნეობის ფერმაში მიდის. დედამისი გოსადა საყვედურით წაიბურტყუნებს ხოლმე:

— უკეთესი იყო სწავლა გაეგრძელებინა...

ზამირათი გაუთენებლივ დგება ლოგინიდან, შუქს აანთებს, ელექტროქურას ჩართავს და ზედ ჩაიდანს დგამს. მერე პირს დაიბანს, კუთხეში დაკიდებულ სარკესთან მივა, რბილ თმებს დაივარცხნის, თავს თოლიავით თეთრი თავშლით წაიკრავს და ამოშინებული ჩაიდნის ხმას რომ გაი-

გონებს, სხარტად მიბრუნდება მისკენ. გადმოიღებს პურს, კარაქს, ზედმეტი ცხიმისაგან შეუყვითლებულ ყველს და სუფრას გააწყობს.

როგორც ყოველთვის, ამ დილითაც მხიარულად დაიკნავლა ჭრელმა კატამ და ქალიშვილისკენ ისკუპა. ზამირათი მასაც გაუმასპინძლდა და მერე სიმღერით გაემზადა წასასვლელად.

თქვენ გგონიათ ზამირათი იპუდრება? არა, მას არ უყვარს ხელოვნური საღებავები. ბუნებამ ისედაც უხვად დააჯილდოვა ყველაფრით, რაღა საჭიროა ხელოვნურ შელამაზებაზე ზრუნვა!

ზამირათმა სიყვარულით დახედა მძინარე დედას და ფრთხილად გაიხურა კარი, რომ არ გაეღვიძებინა.

* *

მდიდარია მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა, სოფელს ბევრი ლამაზი სახლი აშშენებს. მაგრამ შარშან, სოფლის განაპირას რომ ორსართულიანი სახლი აშენდა, ამაზე უკეთესი შენობა მთელ სოფელში არ არის.

ამ სახლს რომ ჩაუვლის, ზამირათი ნაბიჯს შეანელებს, ნაცნობ ფანჯარას შეხედავს და გული სიხარულით შეუტოკდება, სახეზე ბედნიერების ღიმილი აუთამაშდება. ნეტავი დაგანახათ ის ამ დროს!

შინ დაბრუნებისას ზამირათს დედა საყვედურით მიმართავს:

— ეს რაა, გოგო, სამუშაოზე წასვლისას ყოველთვის რომ შენ ალაგებ ოთახს? განა მე ხელები არა მაქვს?

ზამირათი მხოლოდ მხიარული კისკისით პასუხობს.

ახლა შეიხედეთ ზამირათის ოთახში. საწოლის თავზე ჰკიდია მის მიერვე ლამაზად ამოქარგული ტილო, რომელზეც კოსტა ხეთაგათია გამოსახული. სურათი ისე კარგია, ჩვენი გამოჩენილი მხატვარი მუხარბეგ თუღანთი ცოცხალი რომ იყოს, ალბათ, გადაეხვეოდა და მიულოცავდა გოგონას. ამავე კედელზე ბევრი ფოტოსურათიცაა, უმთავრესად მისი დობილებისა.

წიგნების კარადის ახლოს პატარა საწერი მაგიდა დგას. აბა, შეხედეთ ზამირათს, როცა მაგიდასთან მივა, უჯრას გამოსწევს და იქიდან სურათს ამოიღებს. სურათზე გამოსახულია ხუმუქთმიანი ჭაბუკი დიდი, შავი თვალებით. ქალიშვილის გაბადრულ სახეზე სიყვარულის შუქი გაბრწყინდება ხოლმე. სურათს მაგრად მიიკრავს მკერდზე, შემდეგ თავშლის ბოლოთი გადაწმენდს და კვლავ ფრთხილად დებს ალბომში, თავისი სურათის გვერდით.

ხშირად, ხშირად აღებს ზამირათი ამ სანუკვარ უჯრას, რომელშიაც სურათების ალბომია. ამაკე უჯრაში ინახავს ქაღალდების მთელ დასტას. ფურცლებზე ლამაზი ხელით დაწერილია ლექსები. ლექსები სხვა ქაღალდებისა და წერილებისაგან განცალკევებით აწყვია. ზამირათი ხშირად კითხულობს ამ ლექსებს. მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად დასტიდან ერთ ფურცელს გამოიღებს, პიანინოს წინ, მრგვალ სკამზე ჩამოჯდება, ნაწნავებს უკან გადაიყრის, კლავიშებზე თითებს აათამაშებს და ნარნარი ხმით იწყებს სიმღერას:

> წითელლოყა მშვენიერო,
> მე შენს ღიმილს მზეს ვადარებ, ჰეი!
> შენს მოცხიბლავ ტურფა სახეს
> მუდამ გულით დავატარებ, ჰეი!
>
> თვალში ცრემლი ადგნებია,
> მოლუნული წარბი რკალად, ჰეი!
> შენს ეზოში ბრგე ხეები
> ჩვენი ტრფობის მოწმედ დგანან, ჰეი!

ბევრი სხვა სიმღერაც დაუწერია ბარისბიმ. ზამირათმა სცადა კიდეც მუსიკაზე გადაეტანა, მაგრამ არ გამოდის. განა ზამირათია ამაში დამნაშავე? სხვა ლექსები მშრალია. ამ ლექსში კი დამწერს თითქოს თავისი გულის სიხარული ჩაუქსოვებია. ზამირათს გატაცებით უყვარს ის, ვინც თავისი გულის სიხარული მისცა. უყვარს ახალგაზრდა ტრაქტორისტი ბარისბი.

დღეს დილით ბარისბიმ ფერმაში შემოიარა და ახალი ლექსი მიუტანა. გამოლაპარაკება კი ვეღარ მოახერხა. ვაჟი სასწრაფოდ მტს-ში გამოიძახეს. წასვლის წინ გაუცინა და თოვლივით თეთრი კბილები გამოაჩინა. მისი მოულოდნელი წასვლით გაშტერებულ ზამირათს ქუჩიდან მანქანის ხმა მოესმა და კინაღამ ფურცელი ხელიდან გაუვარდა. მანქანის ხმა მალე მიწყდა.

რა ჭიხდებოდა, ცოტახანს მაინც რომ დარჩენილიყო თავის გულის ტოლთან? განა ორიოდე წუთის დაგვიანებით საქმე გაფუჭდებოდა? — იკითხავ შენ, მკითხველო. რა თქმა უნდა, ბარისბის არ სურდა ქალის მიტოვება, განა მას კი არ ენატ-

რება ზამირათის გვერდით ყოფნა? მაგრამ ბარისბი კომუნისტია და საჯალაო საქმეს ყველაფერზე მაღლა აყენებს. გაზაფხული უკვე კარზეა ძომდგარი. ტრაქტორი დროზე უნდა შეაკეთოს. ახალგაზრდა ტრაქტორისტებსაც ხომ უნდა დაეხმაროს. ეს დავალება მას პარტიამ მისცა. პარტიული მოვალეობა კი ბარისბისათვის სიყვარულზე მაღლა დგას.

ასეთი რომ არ ყოფილიყო ბარისბი, განა ზამირათი მას გამოარჩევდა მთელი სოფლის ახალგაზრდებიდან! სწორედ ამიტომ გოსადაც, ბარისბის რომ დაინახავს, ალერსიანად გაიღიმებს და თავისთვის იტყვის:

— გაიხარეს დედაშენმა შენი ბედნიერებით, — თანაც ფიქრში თითქოს საყვედურით დაუმატებს: რა არის, რომ აქამდე მაჭანკლებს არ გზავნი?

მართლაცდა, თუკი ზამირათი თავის გულს სასიყვარულოდ გასსნიდა, განა შეეძლო, რომ ბარისბის გარდა სხვა შეეყვარებინა? ის ხომ მთელი სოფლის თვალია. მეორე წელია მის ტრაქტორზე ფრიალებს გარდამავალი დროშა! — ხშირად ფიქრობს ასე გოსადა. მას ახარებს თავისი ქალიშვილის ბედნიერი ხვედრი.

ვინ არ იცნობს სოფელში ზამირათს, გოსადას ერთადერთ ქალიშვილს! მისმა მამამ და უფროსმა ძმამ სამშობლოს ბედნიერებას შეუწირეს თავი, ალარ დაბრუნებულან ბრძოლის ველიდან. ზამირათი გულში წვინდად ინახავს მათ ხსოვნას. მისი ოცნებაა მთელი სიცოცხლე იმ ბედნიერი ცხოვრების აშენებას მოახმაროს, რომლისთვისაც მამა და ძმა იბრძოდნენ.

ზამირათი ფერმის შენობაში შევიდა, კაკლის ხის კარადიდან თეთრი ხალათი გამოიღო. წვრილ წელზე მჭიდროდ შემოიჭირა ქამარი და ძროხებისაკენ გაეშურა. მის დანახვაზე მწოლიარე ძროხებმა თავები ქალიშვილისაკენ მიაბრუნეს.

ზამირათი შეაშფოთა ვარტო ერთი ძროხის „გარამის“ მდგომარეობამ. „გარამა“ კოლმეურნეები ხუმრობით „რძის აუზს“ უწოდებდნენ. ძროხა როგორღაც ნაღვლიანად გამოიყურებოდა. საერთოდ წელს „გარამი“ ძველებურ ჯანზე ვეღარ არის. რას იზამ, დაბერდა. წამოდვება ხოლმე და ძლივს დაიარება. დღეს კი სულ ვეღარ ადგა. ზამირათის დანახვამაც კი ვეღარ უშველა. ადგომა კი სცადა. მაგრამ რაკი არაფერი გამოუვიდა, ერთი ნაღვლიანად შეხედა ზამირათს თავისი დიდი, გადმობურცული თვალებით, თითქოს შველასა სთხოვსო. ქალიშვილი მიუახლოვდა და ადგომა უშველა. „გარამმა“ ხელები დაულოშნა ზამირათს, მან კი ალერსიანად გადაუსვა შუბლზე ხელი.

ზამირათი დაუკვირდა „გარამს“. უშველებელი ცური ძლივს ეტევა უკანა ფეხებს შუა. ფერმაში განა ცოტაა მისი ნაშიერი! აი, ახლაც მეთორმეტე ხბო უნდა აჩუქოს კოლმეურნეობას.

* *

საღამოა. თეთრად ბარდნის. ხის ტოტები ლამის მიწაზე დაიზნიქოს, თითქოს მათ უნდათ შეუჩივლონ — თოვლის სიმძიმეს ვეღარ ეუძლებთო. ირგვლივ სამარისებური სიწყნარეა.

გოსადამ რამდენჯერმე გაიხედა ფერმისაკენ, თავი გაიქნია. გადაწყვიტა, წასულიყო და გამოელანძღა თავისი ქალიშვილი, მაგრამ ისევ საოჯახო საქმეებით გაერთო, შინ გამობდილი ლუდი გასწურა, ერბოში დაბრაწული ინდაური კარადაში შეინახა, ცომი მოზილა და კვლავ ფანჯარაში გაიხედა. ახლა კი ძალიან გაბრაზდა და საყვედურით თქვა, თითქოს ვილაცას შესჩივისო:

— ერთი დამიხედეთ ჩემს ქალიშვილს! დღეს მაჭანკლები უნდა მოვიდნენ. რას იტყვიან, სახლში რომ არ დაუხვდებათ? ან რას აკეთებს აქამდე ფერმაში? — ამ ფიქრით გავიდა საკუჭნაოში, კასრიდან ორი თავი ყველი ამოიღო, დაფხვნა და შემდეგ ცომს დახედა.

— თვითონ მაინც გამოეცხო ხაბიზგინები. ის ხომ ამ საქმის ოსტატია, ვერავინ შეედრება. იქნებ სასიძოს ის თბილისელი ბიჭი მოყვეს, ძმად ნაფიცები არიან, — გაახსენდა მტს-ის ინჟინერი.

ოთახში ზამირათის ბიძა შემოვიდა, ფრთხილად ჩამოჯდა სკამზე და თეთრ წვერზე ხელი გადაისვა.

— ჭაშნიკი გაუსინჯე ჩვენს ლუდს, მოხუცო, — შესთავაზა გოსადამ.

მოხუცმა ლუდი მოსვა. მერე ზამირათის ამბავი იკითხა. გაუკვირდა, სტუმრები უნდა მოვიდნენ და აქამდე ფერმაში რას აკეთებსო.

— შეკრებებით, ჩემო რძალო! სათრეველა სიმღერას გამოგვითქვამენ.

— მე მას ვიცნობ... ბარისბი საქმიანი ბიჭია და ქალიშვილი სახლში თუ არ დაუხვდა...

მანქანის გუგუნმა მოხუცს სიტყვა შეაწყვეტი-

ნა. ეზოში ბარისბის ცისფერი „პობედა“ შემოგრიალდა. მოხუცი ბარსა სტუმრების შესაგებებლად გაეშურა და სახლში მოიპატიჟა. გოსადა მოსულებს მიესალმა და თავისი საქმე განაგრძო. ბარისბიმ რამდენჯერმე შეხედა ბარსას. მის მოღუშულ მზერას რომ წააწყდა, გოსადასთან მივიდა, უნდოდა ეთქვა რამე. ეუხერხულა, ვერ გაუბედა. მერე თვითონ გოსადამ დაარღვია სიჩუმე:

— ბიპო, გოგო არ მოსულა ფერმიდან... ხომ არაფერი შეემთხვა?

ბარისბის ერუანტელმა დაუარა ტანში. გაგონილი ჰქონდა, რომ ახალ აგრონომს ზამირათისთვის ბარათი მიუწერია, სიყვარულს ეფიცებაო. იქნება ამის თქმა სურდა გოსადას? ბარისბი ვერ მიხვდა მოხუცი ქალის გულისნადებს, სახე გაუფითრდა, უცებ უპალტოოდ და უქუდოდ გავარდა გარეთ, მანქანაში ჩაჯდა და გაქანდა. მისმა მეგობარმა პალტოს ხელი დასტაცა, ისიც გარეთ გავარდა, მაგრამ მხოლოდ ცარიელი მანქანის გუგუნი შემოესმა.

ბარისბი ჯიქურად შევარდა ფერმაში, მერე საძროხის კარს ფეხი მიჰკრა. ზამირათმა შიშით შეჰკივლა. ბარისბიმ ფოცხვერივით მიმოაველო თვალი, თითქოს ვილაცას ეძებსო. მერე ზამირათს შეხედა და მის თვალებში ცრემლი რომ შენიშნა, ელდანაცემივით შეჩერდა. ზამირათმა მასთან მიირბინა, თავი მკერდზე მიაყრდნო; ვაჟი მთლად დაიბნა. მან ქალიშვილი გვერდზე გაიყვანა და ჰკითხა:

— რა მოხდა, ზამირათ?

— ბარისბი, ჩემი „გარამი“... რამდენი ხანია წვალობს. ბეითალი კი არსად ჩანს... დღეს საოფლო საბჭოში წავიდა.

ბარისბიმ სული მოითქვა. მაშ, მეტი არაფერი მომხდარა! იგი მოეხვია ზამირათს, მერე უცბად შემოტრიალდა. ქუჩაში გავარდა და იქიდან დაუყვირა:

— ზამირათ! ერთ წამში ბეითალი აქ გაჩნდება! „გარამს“ გადავარჩენთ. მერე კი თქვენსა წავიდეთ, იქ გველოდებიან.

ლოდინის წუთები საათებად ეჩვენება ადამიანს. ზამირათს მოთმინება ეკარგება. სუსტი ხმით, საცოდავად ზმუის „გარამი“, ქალიშვილს ნაღვლიანი თვალებით შეპყურებს. ზამირათი მას თეთრ ხალზე ხელს უსვამს და იმეორებს:

— ჰო, მოითმინე, ცოტა კიდევ მოითმინე, საცოდავო...

„სად დაიკარგა ბარისბი? იქნებ ვერ იპოვა ბეითალი ან მანქანა ნამქერში გაუჩერდა?“ — ნაღვლიანად ფიქრობს ზამირათი.

თოვლი კი მოდის და მოდის. ზამირათი წამდა უწუმ გამორბის საძროხედან, ხან მოტორის ხმა მოესმის, ხან თითქოს დარაჯი ეძახის...

არა, მან უნდა გადაარჩინოს „გარამი“... აგონდება მეცხოველეთა საოლქო თათბირი, სადაც პირობა დასდო, რომ მისთვის მინდობილი თვითეული ძროხისაგან წულიწადში სულ ცოტა ხუთი ათას ლიტრ რძეს მიიღებდა და ნამატს მთლიანად შეინარჩუნებდა.

„რას იტყვიან კოლმეურნეები, „გარამი“ რომ დაეცეს?“ — ვერანგზით ვერ მშვიდდებოდა ზამირათი. კოლმეურნეობაში ხომ „გარამი“ ყველაზე მეტ რძეს იძლევა. ზამირათი ხომ სწორედ მას უნდა უმადლოდეს, რომ შარშან მედალი მიიღო!

ზამირათმა ვერ გაიგონა, როგორ მოგრიალდა „პობედა“, როგორ შემოვიდნენ საძროხეში ბარისბი და ბეითალი. ამ დროს ის და დარაჯი თავს დასტრიალებდნენ წითელ ხბოს, რომელიც ის-ის იყო მოეგო „გარამს“. ხბოს თეთრი ხელსახოცით უწმენდდნენ თვალებს. ტუჩებს... ახალდაბადებულს შუბლზე ისეთივე თეთრი ნიშანი აქვს, როგორიც მის დედას. გარამი მშვიდად ზმუის და შვილისკენ მიიწევს, თოკის გაწყვეტას ლამობს, ჩლიქებს სცემს იატაკს.

— აი, ბეითალიც მოგიყვანე, — წარმოსთქვა ბოლოს ბარისბიმ.

— მხოლოდ, როგორც ჩანს, ყველაფერი უჩვენოდ გაკეთებულა, — გაიღიმა ვეტერინარმა. — შეხედეთ, რა დიდი ხბოა, სწორედ საოცრებაა. საინტერესო იქნებოდა, აგვეწონა...

— ეს „გარამის“ მეთორმეტე ხბოა! — სიხარულით უხსნის ზამირათი — და ყველა ასეთებია, სულ ერთმანეთს გვანან.

ეზოში გამოვიდნენ. ბეითალს სურდა დამშვიდობებოდა და წასულიყო, მაგრამ ზამირათმა და ბარისბიმ აცნობეს თავიანთი ბედნიერების ამბავი და სთხოვეს სახლში წამოსვლა ოჯახურ ზეიმზე. უარის თქმა არ შეიძლებოდა.

ვასილ სახაროთი

შეხვედრა

გერმანიაში მდინარე რეინის პირას მდებარე ქალაქის გარეუბანში, ვიშრო და ჭუჭყიანი ქუჩის ბოლოს ცხოვრობდა ავტოსარემონტო ქარხნის მუშა ჰენრიხი.

ჰეინრიხი 35 წლის მუქანი ვაჟკაცი იყო. ბრეზენტის განიერ შარვალ-ხალათზე ძველი ტყავის წიბაფარი ჰქონდა შემოკრული. მუდამ პირმცინარი, გულკეთილი, შრომისმოყვარე ჰენრიხი ყველას უყვარდა.

მისი პატარა, ცისფერი, გულუბრყვილო თვალები უფრო ბავშვის თვალებს მოგაგონებდათ. თმა და წვერი ძალზე თხლად ეზრდებოდა და ამიტომ ჰენრიხი მუდამ თავპირმოპარსული დადიოდა.

ძალიან უყვარდა თავისი მეუღლე ემა და პატარა ვაჟი გოტლიბი. ემა საშუალო ტანის, გამხდარი, დიდი ლურჯთვალებიანი დინჯი ქერა ქალი იყო. მას ხშირად ნახავდით უბრალო, მაგრამ კოხტად შეკერილ საყელოიან ნაცრისფერ კაბაში, წვრილად ნაქსოვ არშიამოკერებულ თეთრ მანდილში და მაღალყელიან, ვიშროწვეტიან ტყავის ფეხსაცმელებში. ჰენრიხი და ემა დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ხასიათით, მაგრამ მათი ერთმანეთისადმი უსაზღვრო სიყვარული აიხსნებოდა სამი გარემოებით: ჯერ-ერთი, ორთავენი შრომისმოყვარე ადამიანები იყვნენ; მეორე, — ორთავე ერთნაირი გულკეთილობით გამოირჩეოდა და მესამე — ორთავეს ძლიერ უყვარდა თავიანთი ერთადერთი გამხარებელი პატარა გოტლიბი. ემა და ჰენრიხი უსწავლელნი იყვნენ, შვილი კი უნდოდათ განათლებული ჰყოლოდათ. ჰენრიხი ქარხნიდან რაც უნდა დაღლილი მოსულიყო, სახლთან მოახლოებისას მხიარულად დაიძახებდა ხოლმე:

— გო... ო... ტლი... ი... იბ!!!

ხუთი-ექვსი წლის ფერმკრთალი გოტლიბი, ძველ, ორსართულიანი სახლის სარდაფის კიბეზე კურდღელივით ამოვარდებოდა და საყვარულ მამას ეგებებოდა.

ჰენრიხი მას რამდენიმეჯერ ბურთივით მაღლა აისროდა, მერე აკოცებდა და მხრებზე შესმული, სიბარულისაგან აღტაცებული გოტლიბი სახლში მიჰყავდა. ემა კი ამ დროს სადილს ამზადებდა, ღუმელთან ფაციფუცობდა და ხშირად თეთრ წინსაფარზე ხელებს იწმენდდა. ვიდრე ემა მაგიდას გააწყობდა, ჰენრიხი და გოტლიბი თამაშით და სიცილ-ხარხარით იქაურობას იკლებდნენ. ერთხელ, როდესაც ჰენრიხი ზურგზე შესმული გოტლიბით ცხენობანას თამაშობდა, ემამ ღიმილით მიმართა ჰენრიხს:

— რა კარგი გული გაქვს, ჰენრიხ.

ჰენრიხი შეჩერდა, მერე ფრთხილად ადგა, თან ხელებით უკან ჩამოკიდებული გოტლიბი ეპირა:

— რატომ ამბობ მაგას, ჩემო საყვარელო ემა?

ემამ ღიმილით უპასუხა:

— შენ ყოველთვის ისეთი მხიარული ხარ,

თითქოს რაც ბერლინში სიმდიდრეა, სულ შენი იყოს!

— გოტლიბს ნეტავ რომელ სიმდიდრეზე გავცვალ? — მიუგო ჰენრიხმა.

ასეთი შეკითხვით ემა ერთხანს თითქოს დაიბნა კიდეც... პასუხის გაცემა ვეღარ მოახერხა, შვილი მამის ზურგიდან ხელში აიყვანა, მაგრად ჩაიკრა და ჩაკოცნა, მერე ღრმად ამოისუნთქა და ძლივს ამოილუღლუღა:

— მართალი ხარ, ჰენრიხ! სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია, მაგრამ მას უყოყმანოდ შევწირავ გოტლიბს, ოღონდ ის მყავდეს კარგად.

გოტლიბი ემამ კვლავ გულში ჩაიკრა, მერე ფრთხილად მამას გადასცა და თავისი საქმე განაგრძო.

მართალია, ჰენრიხი ღარიბად ცხოვრობდა, მაგრამ თავისი პატარა ოჯახი ისე ძლიერ უყვარდა, რომ სიღარიბე არაფრად მიაჩნდა. ასე მიიზლაზნებოდა დრო. დღეს ღამე სცვლიდა, ღამეს — დღე, კვირას — კვირა, თვეს — თვე, წელიწადს — წელიწადი.

ერთ დღეს უბედურებამ ჰენრიხის ღარიბ, მაგრამ პატარა მყუდრო ოჯახსაც მიუკაკუნა.

ვერაგი ჰიტლერი თავის შაებნელსა და სისხლიან ზრახვების განსახორციელებლად ომისათვის ემზადებოდა. სხვებთან ერთად ჰენრიხიც გაიწვიეს ჯარში. ძნელი იყო ჰენრიხისათვის ემასა და უკვე თორმეტი წლის გოტლიბისაგან დაშორება, მაგრამ მეტი რა გზა იყო?.. გაცილებისას საგზურზე დედა-შვილმა ბევრი იტირა. ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი ჰენრიხი მტირალ ცოლსა და შვილს ამშვიდებდა. დაიძრა მატარებელი, ატყდა საერთო ხმაური, წივილ-კივილი. ბოლოს მატარებლის გუგუნმა დაფარა ხალხის ალიაქოთი. ჰენრიხმა ძლივს მოასწრო ვაგონის საფეხურზე შეხტომა. ჰენრიხმა ემას მიერ მოქარგული ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან და დიდხანს აფრიალა, მერე თითქოს ჰაერმა შთანთქა, ცხვირსახოცი კი არა, მატარებელიც მიიმალა. ბაქანზე შეკრებილი ხალხი დაიშალა. მარტო თვალცრემლიანი გოტლიბი და მტირალი ემალა იდგნენ ერთმანეთზე მიხუტებულნი და იყურებოდნენ შორს, იქით, საითაც, მატარებელი მიჰქროდა. დედა-შვილი ელოდნენ, იქნებ სადმე მოსახვევში ერთხელ კიდევ გამოჩნდეს მათი საყვარელი ადამიანის — მამისა და მეგობრის სახეო, მაგრამ ამაოდ... გოტლიბი და ემა ალბათ კიდევ დიდხანს იქნებოდნენ ასეთ მდგომარეობაში, რომ პოლიციელს არ დაეთხოვა ისინი ბაქნიდან.

რამდენიმე კვირის შემდეგ, ჰენრიხმა თავის საყვარელ ცოლ-შვილს საფრანგეთის ფრონტიდან მოსწერა პატარა, მაგრამ გრძნობით აღსავსე წერილი. მას შემდეგ შეწყდა ყველაფერი. აღარ ჩანდა ჰენრიხის ბარათი. ოჯახს დაეტყო მამაკაცის წასვლა. ემასა და გოტლიბს ცხოვრება ძალიან გაუჭირდათ. ბევრჯერ ორი-სამი დღე შიმშილობდნენ, მაგრამ გოტლიბი სკოლას მაინც არ ღალატობდა.

ერთ დღეს, ისედაც შიმშილით გამწარებულ და დასუსტებულ გოტლიბს გამოუცხადეს, სწავლის ფულის გადაუხდელობის გამო სკოლიდან გარიცხული ხარო. გოტლიბი გაშრა, გაფითრდა, თავბრუ დაეხვა და კიბალამ ძირს დაეცა. გულმოკლული გოტლიბი ბარბაცით სახლში დაბრუნდა. ემამ ბავშვის ასეთ მდგომარეობას ვეღარ გაუძლო და თავის სიცოცხლეში პირველად გავიდა გოტლიბისათვის პურის სათხოვნელად.

ცოტახნის შემდეგ ფოსტალიონმა ეზოში წერილი შემოაგდო. გოტლიბმა გახსნა წერილი. ჰენრიხის დაღუპვას იუწყებოდნენ. გოტლიბმა მამის ამბავი დაუმალა დედას, მაგრამ მას აღელვება მაინც ეტყობოდა. ემამ შვილს ქოჩორზე ხელი გადაუსვა და ალერსით ჰკითხა:

— რა მოგდის, შვილო, ხომ არაფერი გტკივა?

გოტლიბმა უპასუხა:

— დედა, ასე მშიერი სწავლას როგორ შეეძლებ!

— როგორ მოვიქცეთ, შვილო? რა წყალში ჩავვარდეთ?

— დედა, მომეცი სამხედრო სკოლაში შესვლის ნება.

ემა წინააღმდეგი იყო, რომ გოტლიბი სამხედრო პირი გამხდარიყო, მაგრამ სხვა რა გამოსავალი ჰქონდათ! დედამ მისცა თანხმობა, რადგან ფიქრობდა, გოტლიბი გამუდმებული შიმშილით დამისნეულდება, ხელიდან გამომეცლება და დავილუპებიო. ემას ეგონა, ომი მალე დამთავრდება და გოტლიბიც მალე გამოვა სამხედრო სასწავლებლიდანო. ჰიტლერი კი სწორედ მაშინ ემზადებოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

იმ დროს სამხედრო სკოლებს დიდი ყურადღება ექცეოდა და გასაგებიცაა თუ რატომ. ამ სკოლებში საქმელი და ტანსაცმელი უფასოდ ეძლეოდათ მოსწავლეებს.

რამდენიმე კვირის შემდეგ გოტლიბი უკვე სამხედრო სკოლაში იყო. ერთხელ ამხანაგის მშობლებმა გოტლიბს საყვარელი დედისაგან წერილი მიუტანეს. გოტლიბმა წერილი გახსნა, დახედა დედის ნაწერს, გავიდა ცალკე და ჩუმად გულში ჩაიკრა, რამდენიმე ხანს ასე იყო... მერე წერილი დაკოცნა და რამდენჯერმე გადაიკითხა. დედა წერილში ამხნევებდა და თან ემუდარებოდა, ფრთხილად ყოფილიყო. ბოლოს პატიებას თხოვდა იმის გამო, რომ გზის ფულის უქონლობის გამო ბერლინში მის სანახავად თვითონ ვერ ჩამოვიდა. გოტლიბი უკანასკნელმა სიტყვებმა ძლიერ დააღონა. ფიქრობდა: „ეტყობა საწყალ დედაჩემს კიდევ უჭირს“... მეზობლებს, წასვლისას, გოტლიბმა დედისთვის გამზადებული წერილი გადასცა.

ერთ საღამოს ფერმიხდილი ემა პატარა მაგიშობლებმა გოტლიბს საყვარელი დედისაგან წერილს კითხულობდა, გული უდუღდა, ცრემლით სავსე თვალებს თეთრი წინსაფრით ხშირად იშმენდდა. სიმწრისაგან ნიაღვრად წამოსულ ცრემლებს რა შეაშრობდა!

აი, იმ პატარა წერილის შინაარსი: „დედა, აქ გვასწავლიან, თითქოს გერმანელების გარდა დანარჩენი ხალხი ნადირია, ჩვენ კი დიდი მონადირენიო. ამ ნადირებმა რომ ზიანი არ მოგვაყენონ, უნდა ყველანი მოვსპოთო. საყვარელო დედა, მე, რომელსაც ჩიტის მოკვლას კი არა, ჩიტის ბუდის დანგრევასაც მიშლიდი, ადამიანი როგორ უნდა მოვკლა? ისიც უდანაშაულო ადამიანი! თუ ეს არ შევასრულეთ, გვექადნებიან: თქვენ თვითონ დაგხვრეტთ, როგორც სახელმწიფო მოღალატეებსო. როგორღა მოვიქცე? ძვირფასო დედა! შენ ყოველთვის ჩემი დამრიგებელი იყავი, ახლაც დამარიგე, როგორ მოვიქცე?!“ — ასე შესჩიოდა და ემუდარებოდა შვილი დედას, დარიგებას კი არა, ნამდვილად შველას სთხოვდა, რათა საშინელებიდან თავი დაეღწია.

დედას არ შეეძლო შვილისათვის ხელის გაწოდება. ეს ჰკლავდა და გულს უსერავდა მას. ამიტომ იყო, რომ საყვარელი შვილის წერილის კითხვის დროს ემამ ცრემლის შეჩერება ვერაფრით ვეღარ შეუძლია. რა უნდა ექნა უცოდინარ, უპატრონო ქალს, ისიც ფაშისტურ გერმანიაში! გოტლიბი ზედმიწევნით ნიჭიერი ყმაწვილი ჩანდა და ფაშისტურ სამხედრო სკოლაში წარმატებით სწავლობდა. იგი აგებულებით თუმცა სუსტი, მაგრამ ძალიან გაბედული იყო. გოტლიბი თავისი კარგი ყოფაქცევითაც გამოირჩეოდა და სამხედრო სკოლის ზოგიერთი ოფიცრის ყურადღებას იმსახურებდა. ამ სკოლაში თავმოყრილი იყვნენ 14 — 15 წლის ასაკის ბიჭები და ბევრ მათგანს უჭირდა ღამით საგუშაგოზე გასვლა.

გოტლიბს მდგომარეობიდან ბევრჯერ გამოუყვანია ისინი: მათ მაგიერ გაუთევია ღამე. ასეთი მოქმედებით მან თავის ამხანაგებში დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. უყვარდა ოცნება, დედაზე ფიქრი და ამხანაგებს დიდი სიამოვნებით უთმობდა დღის საათებს ღამის საათებში. შორს, რეინის პირად, გოტლიბის სამშობლოში, საცოდავი ემა სადარაჯოზე არ მდგარა, მაგრამ თავის ერთადერთ შვილზე ფიქრში ბევრი უძილო ღამე გაუთენებია. ასეთი დაუსრულებელი და მშფოთვარე ფიქრების დროს დედას ყოველთვის თვალწინ შვილი ედგა, შვილს კი — დედა. ასე მიდიოდა საშინელი, წყვდიადით მოცული მძიმე დრო... მიდიოდა ზანტად, მთელი თავისი სიმძიმით და საშინელებით აწვებოდა გერმანიის მშრომელ ხალხს. ასეთ მდგომარეობას ბოლო ალარ უჩანდა და ნიაღვრად გადაქცეული სისხლი ქვეყანას წალეკვას უქადდა.

1942 — 43 წელს საბჭოთა ჯარებმა სტალინგრადთან მტერი რომ უკუაგდეს, ომის მსვლელობაში დიდი გარდატეხა მოხდა. ფაშისტთა ურდომ პირი დასავლეთისაკენ იბრუნა. მაშინ ჰიტლერმა თავის უკანასკნელ რეზერვებს მიმართა და ისინი აღმოსავლეთის ფრონტებზე გადაისროლა. მათ შორის მოხვდა გოტლიბის სკოლაც. ეს საცოდავი, სპირტით გრძნობადაკარგული 15 — 16 წლის ჭაბუკები „ჰაილ ჰიტლერის“ ძახილით მიდიოდნენ, მაგრამ საით, თვითონაც არ იცოდნენ. მიჰქროდნენ და ბევრი მათგანი თავისივე, ან ამხანაგის მოტოციკლეტის მსხვერპლი ხდებოდა.

გოტლიბი სასმელს სულ არ ეკარებოდა, თავის წილს ჩუმად ღვრიდა. ერთხელ მორიგ შეტევისათვის ემზადებოდნენ... ბიჭებს სპირტისაგან ცხვირ-

პირი უკვე აშარხლებული ჰქონდათ. ზოგიერთები ბარბაცებდნენ კიდეც. მოძრაობაზე და ხმაურზე ეტყობოდათ, რომ ეს საცოდავები თავიანთ თავს ალარ ეკუთვნოდნენ. ლეიტენანტმა გოტლიბი მოიხმო და შენიშნა:

— შენ რადა ხარ ფხიზელი?

გოტლიბი ლეიტენანტს წინ გამოეკიმა. კითხვა ვითომ ვერ გაიგო და უპასუხა:

— ბატონო ლეიტენანტო, ჯარისკაცი ყოველთვის ფხიზელი უნდა იყოს.

— მე სხვას გეკითხები! მთვრალი რატომ არა ხარ!

— არ შეკიდება, ბატონო ლეიტენანტო! — უპასუხა გოტლიბმა.

— მეტი დალიე!

— რა საჭიროა?

— ძაღლის ლეკვო!.. არაფერი გცოდნია! სპირტი დიდებული რამეა! სპირტი რომ არ იყოს, ჩვენს ჯარში არც ერთი გმირი არ იქნებოდა! სპირტი ადამიანს ამხნევებს, ავიწყებს ყველაფერს და უშიშარი, შეუპოვარი ხდება!

— მართალია, ბატონო ლეიტენანტო, სპირტი ადამიანს ყველაფერს ავიწყებს, მაგრამ ჩვენ რომ ნაკლებად გვასმევდნენ. უკეთესი იქნებოდა. ბიჭებს თავიანთი თავიც ავიწყდებათ ხოლმე და მსხვერპლის რაოდენობა იზრდება...

გაკვირვებულმა და შეშინებულმა ლეიტენანტმა პირი დაალო, მას თმები ყალყზე დაუდგა. ქუდი მაღლა აიწია, მეტისმეტი სიგამხდრით ჩაცვენილ თვალები გაუფართოვდა და უცებ დაიღრიალა:

— ეგ რა სთქვი, შე ძაღლის ლეკვო!.. როგორ გაბედე მაგის წამოყრანტალება?! ახლავე დაგხვრეტ! — ყვიროდა და ფეხებს აბაკუნებდა. გოტლიბმა იგრძნო გულუბრყვილობით და გაუფრთხილებლობით დაშვებული თავისი შეცდომა, მაგრამ რალას იზამდა? ძალა უკულმართთა ხელში იყო და ქედი უნდა მოეხარა.

— მაპატიეთ, ბატონო ლეიტენანტო, სპირტის ბრალია. მართალია, თქვენ არ გჯერათ, მაგრამ ნასვამი ვარ და ამიტომაა, რომ თქვენს წინაშე სისულელეებს ვროშავ.

ლეიტენანტი უფრო განრისხდა.

— სმე...ნა!!! თავს ტყუილად ნუ იკატუნებ! — დაიღრიალა და ახლო მივიდა. გოტლიბი კიდევ უფრო გამოეკიმა. ლეიტენანტმა გაშალა ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა სილა გააწნა. მერე სიბრაზისაგან ტუჩებაკანკალებული ლეიტენანტი ოდნავ განზე გადგა. გოტლიბს თავბრუ დაეხსა, თვალთ დაუბნელდა, გაფითრდა, დაბარბაცდა კიდეც. მაგრამ ღონე მოიკრიბა და გასწორდა. იმ წამს ათასმა ფიქრმა გაუელვა. ბოლოს თვალები აენთო, თითქოს სასიამოვნო 'რამ განიზრახაო, ავტომატს ხელი უფრო მაგრად მოუკირა, მაგრამ ეს სურვილი სწრაფად გაუქრა და ისევ დაღონდა, დედა წარმოუდგა თვალწინ, თითქოს ის ჩადგა შუაში და ხელი შეუშალა. თითქოს დედა გოტლიბის წინ დაეცა და ეეედრებოდა: „შვილო, მე მაინც შემიბრალე". გოტლიბი გამოერკვა, სიმწრის ცრემლი ვეღარ შეიკავა და ეს რომ ლეიტენანტს არ შეეჩნია, პირი ამხანაგებისკენ იბრუნა და ცხვირსახოცით შეინშრალა თვალები. ამ ამბავმა მიაღწია პოლკის უფროსის ყურამდე. მან საიდუმლო განკარგულება გასცა, რათა გოტლიბისათვის თვალყური ედევნებინათ და თუ კიდევ რაიმე ექვს მიიტანდნენ, დაუყოვნებლივ დაეხვრიტათ.

ერთ დღეს, იმ შენაერთმა, რომელშიც გოტლიბი მსახურობდა, ფრიად საიდუმლო ბრძანება მიიღო: მომზადებულიყო მეზობელ შენაერთებთან ერთად შეტევისათვის. შეტევა უნდა დაწყებულიყო დილის 9 საათზე. ამ ბრძანების წარმატებით განხორციელებისათვის შენაერთმა გამოჰყო მზვერავთა ჯგუფი სამი ახალგაზრდა ჯარისკაცისა და ერთი სერჟანტის შემადგენლობით. მზვერავთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა „ნაცნობი" ლეიტენანტი. ახალგაზრდა ჯარისკაცებს შორის იყო გოტლიბიც. შუალამე გადასულიყო, როცა გერმანელები ერთი ხეების პირას, ოდნავ შესამჩნევ ბილიკს მიჰყვებოდნენ, თან ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. სწორედ ამ დროს ხევიდან ამოდიოდა სამი საბჭოთა მზვერავი, რომლებიც კინაღამ გერმანელებს შეეფეთნენ. მაგრამ მოჰკრეს თუ არა ლაპარაკს ყური, სწრაფად ხევში ჩაცვივდნენ და ვინც როგორ მოახერხა, ისე ჩასაფრდა. მოწინააღმდეგენი ისე ახლო შეხვდნენ ერთმანეთს, რომ საბჭოთა მზვერავების ხმაურზე სერჟანტმა შიშისაგან თავისდაუნებურად გერმანულად დაიღრიალა: — ვინ მოდის?!. ფაშისტებიც იქვე ჩასაფრდნენ. სროლას ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა. ცა შავი ღრუბლებით იყო დაფარული და წყვდიადს მოეცვა იქაურობა. ერთმანეთს სულგანაბული ელოდებოდ-

ნენ. საბჭოთა მზეერავთა შემადგენლობაში იყვნენ მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი, ჯარში მოხალისედ წამოსული ალექსი ლავაოეი, რომელსაც ამხანაგები ალიოშას ეძახდნენ, თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლადამთავრებული ოთარ ძიძიგური და სტალინირელი ოსი გერსან ბიბილთი.

მზეერავთა ჯგუფის ხელმძღვანელი თავისი მამაცობითა და მოხერხებით განთქმული, საშუალო ტანის, ქერა, მუდამ მხიარული 23 წლის ახალგაზრდა ალიოშა, ოთარსაც და გერსანსაც ძალიან უყვარდათ. შავგვრემანსა და ტანად ოთარა სილამაზეში ვერავინ სჯობდა, შავი პატარა ულვაშები ამშვენებდა მის ყოველთვის მომღიმარ სახეს. 21 წლის შუატანის ჯმუხსა და ღონიერ გერსანს სიმარდეში ვერავინ სჯობდა. გერსანს საშუალო ცოდნა სტალინირში ჰქონდა მიღებული.

ოთარმა და გერსანმა ხალხთა შემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე გაიცნეს ერთმანეთი და მას შემდეგაც, როგორც კარგი მოცეკვავენი, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. დამეკობრდნენ. ჯარში გაიწვიეს და იქაც ერთ ნაწილში მოხვდნენ. ენით აუწერელი იყო ნაწილში მათი მეგობრული, გულთბილი შეხვედრა. ალიოშა მათს ნაწილში ფრონტზე მიღებული ჭრილობის შემდეგ ჰოსპიტლიდან დაბრუნებისას მოხვდა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი „გული გულს იცნობს“, ოთარსა და გერსანს მალე დაუმეგობრდა ალიოშაც.

სამამულო ომში ამ სამმა ახალგაზრდამ მტერთან გაიფთრებულ ბრძოლაში ბევრჯერ გამოსცადეს ერთმანეთი, არც ერთი მათგანი არ დარჩენილა ისე, რომ სამი ან ოთხი ჭრილობა არ მიეღო. საოცარი ამბავი გადახდათ მათ ფაშისტთა ურდოებთან ბრძოლაში. ბევრჯერ დაიხსნეს ერთმანეთი სიკვდილის საფრთხისაგან და კარგად ჰქონდათ შესწავლილი ერთიმეორის თვისებები და უნარი.

ჩვენი და გერმანელი მზეერავები კარგა ხანს იწვნენ უძრავად. ალიოშას თავის ამხანაგებისაგან ცოტა მოშორებით მოუხდა ჩასაფრება, თანაც გაშლილ ადგილზე და მუცელზე ხოხვით ფრთხილად დაიწყო ამხანაგებთან მიახლოება. ხმაურზე გერმანელებმა სროლა ატეხეს. ჩვენმა მზეერავებმა სროლითვე უპასუხეს. მაშინ ფაშისტებმა ცეცხლი ოთარისა და გერსანისაკენ გადაიტანეს. ალიოშამ ამით ისარგებლა, ჯერ ოთარს მიუახლოვდა და გააფრთხილა სროლა გაეძლიერებინათ. შემდეგ გერსანს გადასცა ქაღალდზე დაწერილი ცნობები, თან ჩურჩულით ჩასძახა: რაც შეიძლება ჩქარაო.

გერსანმა ამხანაგებს გამომშვიდობების ნიშნად რიგრიგობით მკლავში ხელი მოუჭირა და გაქრა.

ალიოშას და ოთარს ვაზნები შეწო

პარნენ მათ. სანამ ჩვენი მზვერავები გერმანელებს მიუახლოვდებოდნენ, ლეიტენანტმა და სერჟანტმა ორი ჯარიკაცი იქვე დაავრიტეს. ვიდრე იალოს გოტლიბისაკენ ვიმართავდნენ, საბჭოთა მზვერავები გერმანელებს ეცნენ, მაგრამ ლეიტენანტია მაინც მოასწრო გასროლა. გოტლიბმა დაიკვნესა და იქვე ჩაიკეცა.

საბჭოთა მზვერავებმა მტრები აღარ დაინდეს. ლეიტენანტიც და სერჟანტიც ხელში შემოაკვდათ. ეს ამბავი წუთის განმავლობაში მოხდა. ჭიდილში ლეიტენანტმა ალიოშას მოუამლული დანა ბარძაყში ჩაარტყა. ჭრილობა ძალიან ღრმა არ იყო, მაგრამ ვიდრე გოტლიბს ჭრილობას უხვევდნენ, ალიოშას ფეხის ტკივილმა უმატა. გოტლიბის შემდეგ ალიოშასაც შეუხვიეს ჭრილობა, ტკივილი არ ცხრებოდა და სიარულს უშლიდა. მარცხენა მხარში მძიმედ დაჭრილი გოტლიბი გონს მოვიდა, თვალები გააბელა, გადახედა თავის მხსნელებს და ძისუსტებული ხმით თქვა: — გმა...ა...დლო...ობთ, ძმებო!

ბიჭებს გაეხარდათ. გოტლიბი იქვე ახლოს მყოფ მეტყეველთა ბინაში მიიყვანეს, მისგან საჭირო ცნობები მიიღეს. გამომშვიდობებისას მათ გოტლიბმა უთხრა: — ვიდრე ცოცხალი ვიქნები, არ დაგივიწყებთ! მშვიდობით!.. ოთარ!..

— მშვიდობით, გოტლიბ! — უპასუხა ორივემ.

გარეთ გამოვიდნენ თუ არა, აღმოსავლეთით საარტილერიო სროლა ატყდა. თვალებგაბრწყინებულმა ალიოშამ და ოთარმა ერთმანეთს შეხედეს და თითქმის ერთდროულად წაჰოიძახეს:

— ყოჩაღ, გერასან! შეტევა ერთი საათით ადრე დაიწყეს ჩვენებმა!

• •

გერასანი საბჭოთა ჯარების განლაგებას რომ მიუახლოვდა, უკვე კარგად გათენდა. 15 — 20 წუთიც და ფრიად საჭირო ცნობებით გერასანი ტყეების უფროსის წინაშე წარსდგებოდა, მაგრამ მოულოდნელად დიდ სიმაღლეზე მტრის სამი „მესერშმიტი“ გამოჩნდა. მათ იუარებელი ყუმბარები ჩამოჰყარეს. გერასანი ძირს გაწვა, რადგან სხვა თავშესაფარი არ იყო. ეტყობოდა „მესერშმიტებს“ ეჩქარებოდათ და მიზანს ვერ მიაღწიეს.

თვითმფრინავებს კარგი დღე არ დადგომიათ. ჩვენებმა ორი მათგანი ძირს ჩამოაგდეს. მესამე კუდამოძუებული გაიპარა. მტრის ერთ-ერთი ყუმბარის ნამსხვრევებით გერასანი მძიმედ დაიჭრა. მაინც წამოდგა და განაგრძო სიარული. ცოტახნის შემდეგ საშინელი ტკივილი იგრძნო, გონებას ჰკარგავდა, მაგრამ მაინც მიდიოდა. რამდენჯერმე დაბარბაცდა, წაიქცა, კვლავ ადგა და განაგრძო გზა. ერთბაშს მუხლებზე ხოხვით მიდიოდა, სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ თავისი ნაწილის განლაგებამდე მაინც მიაღწია და იქ გონებადაკარგული დაეცა.

გერასანის ხელით გაგზავნილი ცნობების შედეგებით გახარებული ალიოშა და ოთარი ერთად იდგნენ და ღიმილით შესცქეროდნენ ერთმანეთს. შემდეგ ოთარი მხარში ამოუდგა ალიოშას და თავიანთ გზას გაუდგნენ. ზარბაზნების ჭურვები ღრიალით სკდებოდა. მიწა, ხეები და ბუჩქები ჰაერში ისე აირია, რომ ადამიანს თავბრუ ეხვეოდა. მალე საშინელი გრიალით ორივე მხრიდან შემოიჭრა ასობით თვითმფრინავი, ერთმანეთში აირივნენ და იქაურობა დაბნელეს, ბევრი მათგანი ცეცხლმოკიდებული შხუილით ძირს ისეთი სიძლიერითა და ხმაურით ჩამოვარდა, თითქოს დედამიწა შუაზე გასკდაო.

ცოტახნის შემდეგ ზვავივით წამოვიდა ტანკები. ეს რკინისა და ფოლადის უზარმაზარი დევები ერთმანეთს დაერივნენ და ისეთი საშინელი ხრიალი ატეხეს, ისეთი გრგვინვა, თითქოს მთელი ქვეყანა დაიძრა და სადღაც თვალუწვდენელ უფსკრულში მიექანებაო. ამ გააფთრებულ სისხლისმღერელ ბრძოლაში მეტყეების პატარა სადგომი, სადაც გოტლიბი იყო, რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში, თითქოს ეს დიდი ბრძოლა გოტლიბისა და პატარა ქოხისათვის წარმოებდა. ბოლოს მტერმა შეტევას ველარ გაუძლო და დასავლეთისაკენ იბრუნა პირი.

1945 წლის გაზაფხულზე საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დაამარცხეს ფაშისტთა ურდოები, მტერი თავის ბუნაგში დააჩოქეს და ბერლინის თავზე გამარჯვების წითელი დროშა ააფრიალეს.

II

ექვსი წლის შემდეგ აღმოსავლეთ ბერლინში ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალი გაიმართა. თითქმის არ დარჩენილა ისეთი ქვეყანა, რომ იქიდან არ მოსულიყვნენ ახალგაზრდები

ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. აუარებელი ახალგაზრდობა მოგროვდა. შედგა მრავალთასიანი, ენით აუწერელი და დამსწრეთა მეხსიერებაში მარად წარუშლელი ფესტივალი.

ერთ დღეს ტრიბუნაზე აიყვანეს უბრალო ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის გამხდარი და ორთავ თვალებით დაბრმავებული ზუტანის ვაჟკაცი. მან თავისი სიტყვა ასე დაიწყო:

— მოფლიო ახალგაზრდობავ! ძვირფასო ამხანაგებო, ძმებო და დებო! მე მოვედი დასავლეთ გერმანიიდან. დასავლეთი ზედგამოჭრილი სახელია ჩვენი ქვეყნისათვის. აქ დიდი ხანია წყვდიადი მეფობს. მზის სხივები მხოლოდ აღმოსავლეთიდან მოდის და მთელი ხალხი აქეთ, აღმოსავლეთისაკენ იყურება. ეს მზე რაც უფრო მაღლა ადის, მით უფროდაუფრო ძლიერდება, მით უფროდაუფრო შორს ეფინება მისი სხივები. ამ მზეს მოაქვს მოფლიო მშრომელი ხალხებისათვის თავისუფლება, მშვიდობა და ბედნიერება! ეს მზე საბჭოთა ქვეყანაა!

მრავალთასიანმა ტაშმა და შეძახილების ქუხილმა შეაზანზარა იქაურობა. რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ხალხი დაწყნარდა, ბრმამ სიტყვა განაგრძო:

— ეს მზე შიშის ზარსა ჰგვრის ჩვენს დაუძინებელ მტერს, რომელიც ყოველგვარ ხრიკებს მიმართავს, რათა ხალხი ჩვმსავით დაბრმავოს, რომ მონობისაგან მხსნელი სხივები ვერავინ დანახოს, მაგრამ ამაოდ... ამაოდ ცდილობს სულთმობრძავი მტერი, ისტორიის ჩარხი უკუღმა შეატრიალოს.

ერთ დღეს მტერს ჩემი სისხლი მოსწყურდა, მაგრამ ყელზე დაადგეთ და თან გადაყვნენ. ორმა საბჭოთა მზვერავმა, ფაშისტთა ბრეყალებიდან გამომგლიჯეს და გადამარჩინეს. მე მოვილტეოდი აქეთ, შეუჩერებლად, რათა მადლობა გადამეხადა იმ დიდი ხალხისათვის, რომელმაც ასეთი გმირები აღზარდა.

უცბათ ხალხში ხმა გაისმა: — გო...ო...ოტ... ლიბ!

გოტლიბი შეჩერდა, ამ ხმის გაგონებაზე ათრთოლდა, მთელი სხეულით აცახცახდა. მერე აღელვებულმა წამოიძახა: — რომელი ხარ!

ხალხმა ცნობისმოყვარეობით მიიხედა იქით, საიდანაც ხმა გაისმა, და იგივე ხმა განმეორდა: — ძმაო, გოტლიბ! მე ვარ, მე! ოთარი! ამ სახელის გაგონებაზე გოტლიბი მთლად აინთო. თითქოს დაიბნა კიდეც. სიხარულისაგან რა ექნა, აღარ იცოდა. თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ხმის ამოღებაც ვერ მოახერხა. ვერე სახეგაბრწყინებული უცებ ტრიბუნიდან მოსხლტა და ხელებგაშვერილი გაეშურა იქით, საიდანაც ოთარის ხმა მოესმა. ოთარი თავის მხრივ გოტლიბისაკენ გაემართა. ხალხი ორ ძმადნაფიცს, გერმანელსა და ქართველ ახალგაზრდას, გზას უთმობდა, თან აღელვებული მათ შეხვედრას მოუთმენლად ელოდა. ხალხის მითქმა-მოთქმა ჩქარა საერთო ერიამულად იქცა. ოთარი და გოტლიბი ერთმანეთს შეეხვნენ თუ არა, თითქმის ერთად წამოიძახეს:

— ოთარ! ძმაო ოთარ! ძმაო გოტლიბ! — და ერთმანეთს მაგრად გადაეხვივნენ. იქუხა ტაშმა. იგი არ შეჩერებულა, ვიდრე გოტლიბი და ოთარი ერთმანეთს ეხვეოდნენ. ვინ აღწერს იმ წმინდა გრძნობას, რომელსაც ორი ხალხის წარმომადგენელი ახალგაზრდა განიცდიდა!

• •

მოსკოვის კლინიკურ საავადმყოფოს მოსაცდელ ოთახში ოთარი ბოლთას სცემდა. მოუთმენლობა ეტყობოდა. დანიშნულ საათზე გოტლიბის მკურნალმა ექიმმა — განყოფილების გამგემ ხელი მოჰკიდა ოთარს, კარი შეაღო და გოტლიბის პალატაში შეიყვანა. მათ თან ახლდათ იმავე განყოფილების მედპერსონალი. განყოფილების გამგეს ცალი ფეხი ხელოვნური ჰქონდა. გოტლიბი ფეხის ხმაურზე სცნობდა მკურნალ ექიმს, თუმცა მის გარეგნობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. ექიმმა გოტლიბის საწოლისაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა თუ არა, გოტლიბმა ოდნავ წამოიწია, თითქოს უნდოდა თვალებითაც დარწმუნებულიყო, მართლა მისი მკურნალი ექიმი მოდიოდა თუ არა. სალამი დასწრო:

— გამარჯობათ, ბატონო ექიმო.

— ავადმყოფს ჯანმრთელობა და თვალის სინათლე! — მიუგო ექიმმა. გოტლიბი ათრთოლებული ხმით კვლავ შეეკითხა:

— ბატონო ექიმო, შეხვეულს შემიხსნით?

— დაწყნარდით, ავადმყოფო, დაწყნარდით,—

უთხრა ექიმმა და თან ხელი შეაშველა. — აი. ასე დაწექი. როდესაც დაწყნარდებით, მაშინ შეგიხსნით.

გოტლიბი თითქოს ეკვდრებოდა: — მე დაწყნარებული ვარ, ექიმო. შემიხსენით.

— აქ სწორედ იმიტომ მოვედი, რომ შეგიხსნათ, — კვლავ მიუგო ექიმმა.

— როგორ ატყობთ, ბატონო ექიმო, გამოვა რამე?

— ფიქრი ნუ გაქვს. თუ პირველად არ გამოვიდა. მეორედ ეცდით. მეორედ თუ არა — მესამედ... და ბოლოს მაინც გამოვიყვანთ. — ექიმს ლაპარაკში ცოტა აღელვება ეტყობოდა. რადგან ეკვი იმასაც ეპარებოდა. გოტლიბს სისხლის შემადგენლობა ჯერ სათანადო დონეზე არ ჰქონდა აყვანილი და შესაძლებელი იყო, თვალის რქოვანის შეხორცების პროცესი ისე არ ჩატარებულიყო, როგორც საჭიროება მოითხოვდა. ექიმი ნანობდა კიდეც, რომ ოთარს ხათრი არ გაუტეხა და ოპერაცია ცოტა დააჩქარა. მედპერსონალი ელოდა განკარგულებას, მაგრამ განყოფილების გამგემ თვითონ დაიწყო შეხვეულის შეხსნა. ამ დროს თვთრ ხალათში გადაცმული ოთარი იქვე იდგა შორი-ახლოს. ის ძალზე ღელავდა, წუთი თვედ ეჩვენებოდა. ყველა მოუთმენლად ელოდა ოპერაციის შედეგს. თითქმის ყველა იქ დამსწრეთა სახეზე ავადმყოფისადმი დიდი მზრუნველობა იყო აღბეჭდილი. მკურნალ ექიმზე გულიც მოსდიოდათ. ნახვევს ასე ნელა რომ ხსნიდა. ნახვევი რომ შეხსნა, გოტლიბს მიმართა:

— ოდნავ თვალები გაახილეთ და მითხარით, სინათლეს ხედავთ თუ არა?

გოტლიბი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერ გახსნა ქუთუთოები. ექიმმა ჰკითხა: — როგორ არის საქმე?

— ვერაფერს ვხედავ, — ისე ნაღვლიანად მიუგო გოტლიბმა. რომ ეს სიტყვები ტყვიასავით მოხვდა იქ დამსწრეთა გულებს. ყველა აღელდა და შეტორტმანდა. ოთარმა სიმწრისაგან ტუჩებზე იკბინა. ექიმმა პინცენტით სუფთა მარლის ნაჭერი აიღო, ხსნარში დაასველა, თვალის გუგებში, ქუთუთოებზე და წამწამებზე მოუსვა. შეუწმინდა და მათი მოშორება ვეღარც კი მოასწრო, გოტლიბმა მოულოდნელად წამოიყვირა:

— სინათლე, სინათლე!

უცებ ყველას სახე გაუბრწყინდა. მკურნალმა ისე ამოისუნთქა, თითქოს აქამდის დიდი ტვირთის ქვეშ სუნთქვა შეკრული ჰქონდა. ოთარმა სიხარულის ცრემლი ვეღარ შეიკავა და თვალებზე ცხვირსახოცი მიიფარა. მაგრამ რა ენა გამოსთქვამს იმას, რასაც გოტლიბი განიცდიდა. იმ წუთებში გოტლიბი რომ დაგენახათ, აუცილებლად შეშლილ გეგონებოდათ. ჯერ საწოლზე ჩამოჯდა და რაღაც უცნაური ღიმილით და ცრემლებით სავსე დიდი თვალებით გადახედა ყველას. ეტყობოდა, მადლობის ნიშნად რაღაც უნდოდა ეთქვა და სიტყვა თითქოს ყელში გაჩხეროდა, ხმა ვეღარ ამოიღო. სიხარულისაგან მთლად აძიგძიგდა... ექიმი ამშვიდებდა: — დამშვიდდი, ამხანაგო გოტლიბ, დამშვიდდი.

გოტლიბს ექიმის ხმა რაღაც საოცრად ნაცნობი და ახლობელი ეჩვენებოდა. გოტლიბი რომ ახსენა და თავისი მხსნელი დაინახა, ისეთი სიახლოვე იგრძნო, თითქოს ეს ორი ადამიანი ერთად შეზრდილანო. ფეხზე წამოდგა, სათითაოდ დაუარა ექიმის თანაშემწეებს და მადლობის ნიშნად რიგრიგობით გადაეხვია მათ, თან ხელი ჩამოართვა და ძლივს ლუღლუღებდა:

— გმადლობთ, ძმებო!.. გმადლობთ, დებო!..

ბოლოს თვალცრემლიან ოთარს თვალი მოჰკრა, იქით გაექანა, ოთარმაც რამდენიმე ნაბიჯი წინ გადმოდგა და ერთმანეთს მაგრად გადაეხვივნენ. გოტლიბი მზად იყო, ოთარი სულში ჩაეძვრინა. თან ეუბნებოდა:

— გმადლობთ, ჩემო ძვირფასო ძმაო!.. ჩემო მხსნელო!..

ოთარმა გოტლიბს ხელი მოხვია, ექიმთან მიიყვანა და უთხრა:

— აი. შენი მხსნელი!

გოტლიბი ექიმს გაოცებით უყურებდა. მერე ოთარისაკენ გაიხედა, თითქოს საიდუმლოება მის სახეზე უნდა ამოეკითხაო. ალიოშას რომ ჩაეცინა, გოტლიბმა შესძახა:

— ეს... ეს ხომ... ა... ლიო... შაა! — კვლავ ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— ალიოშა!.. ძვირფასო ძმაო!.. მაშ ეს შენა ხარ? — და კვლავ გულში ჩაიკრა.

გოტლიბი აღტაცებით ყვიროდა:

— ალიოშა!.. ოთარ!.. ჩემო მხსნელებო!.. შენს შესახებ ოთარს კითხვას ვერ ვუბედავდი, საში-

ნელი არაფერი მითხრას-მეთქი. შენ კი აი, სად ყოფილხარ, — და ორივეს ხელი გადახვია.

— ყველაფერი ეს როგორ გადაგიხადოთ?! განა ამის სამაგიერო დედამიწის ზურგზე მოიპოვება რამე?.. ეს უკვე მეორედ გადამარჩინეთ!

იმ წლებში ოთარი თითქმის ალიოშას ოჯახის წევრად ითვლებოდა. გოტლიბმა მათთან სამ თვეს დაჰყო. გერსანიც იქ სამხედრო აკადემიის უკანასკნელ კურსზე იმყოფებოდა და ისიც ალიოშას ოჯახში გაიცნო. გოტლიბმა წასვლა რომ დააპირა, წინადღით წითელ მოედანზე მარტო წამოვიდა, ერთ ადგილას დადგა და იქიდან ბედნიერებისა და მადლობის გრძნობით ალსავსე კრემლს დიდხანს უყურა, გოტლიბი იდგა და თავის გულში მავზოლეუმისა და კრემლის წინაშე ფიცსა სდებდა. რომ ის გერმანელ მშრომელ ხალხთან ერთად მშვიდობისა და ხალხის განთავისუფლებისათვის იბრძოლებდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

გოტლიბი რომ მატარებლით ჩვენს საზღვარს სცილდებოდა, ფანჯრიდან თავი გამოჰყო, მოსკოვის მიმართულებით გაიხედა და დაიძახა:

— მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერების მზეო! ნახ...ეა... მდის!

ილია ფლიანი

ზარადა

ცის დასალიერზე განაპირებული მზე უკანასკნელ სხივებს უგზავნიდა არე-მარეს, სოფელ ფაზის კოლმეურნეობის კანტორის წინ „ვილისი“ გაჩერდა და იქიდან ოცდათხუთოდე წლის მაღალ-მაღალი, ლამაზი ქალიშვილი გადმოვიდა. ხელში ნაცრისფერი შალითაგადაკრული მოზრდილი ჩემოდანი ეჭირა. მან გზის პირას, ამწვანებულ კორდზე, დადო ჩემოდანი, გამობრუნდა, ხელი ჩამოართვა შოფერს დამშვიდობების ნიშნად, შემდეგ თავის ბარგს მოუბრუნდა, შეჩერდა წამით, და დაკვირვებით მიიხედ-მოიხედა. შოფერმა მაშინვე ჩართო მოტორი, მანქანა შემოატრიალა და წამსვე თვალს მოეფარა სოფლის განაპირა ორღობეებში. მანქანის ხმაურზე კანტორიდან რამდენიმე კაცი გამოვიდა. მათ შორის ფაზელი კოლმეურნეებიც იყვნენ.

— ვინ არის ნეტავი? — ცნობისმოყვარეობით ეკითხებოდნენ ისინი ერთმანეთს და თვალი უცნობ ქალიშვილზე ეჭირათ.

რამდენიმე კოლმეურნე ქალიშვილს მიუახლოვდა.

— შორს მიბრძანდებით, დაიკო? — მიმართეს მათ უცნობს და რიგრიგობით ჩამოართვეს ხელი.

— კოლმეურნეობის კანტორაში მაქვს საქმე, — მოკლედ მიუგო ქალმა და კოლმეურნეებთან ერთად გაემართა კანტორისაკენ. ერთ-ერთმა კოლმეურნემ ჩემოდანი ჩამოართვა და როგორც კი კანტორის აივანზე ავიდნენ, იქვე დადო.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ხანში შესული, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე ქალი, წამოდგა სტუმრის დანახვაზე, გაუღიმა, ხელი გაუწოდა და ჰკითხა:

— შენ გამოგგზავნეს ჩვენთან სამუშაოდ, ჩემო გოგონი?

— დიახ, — მიუგო ქალიშვილმა და სკამზე დაეშვა.

— ძალიან მიხარია, — თქვა თავმჯდომარემ და სასხვათაშორისოდ ახალი ამბების გამოკითხვა დაუწყო ქალს. თუმცა თვითონაც იცოდა ეს ახალი ამბავი. ამ რამდენიმე ხნის წინათ იგი ელაპარაკა სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს, რომ მათ კოლმეურნეობაში აუცილებლად გამოეგზავნათ ვეტექიმი, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის მაინც შეეკითხა ქალს:

— რა თანამდებობაზე იმუშავებ ჩვენთან?

— ვეტექიმად, — მორცხვად მიუგო ქალიშვილმა.

კოლმეურნეებმა რაკი გაიგეს, რომ ქალიშვილი მათი კოლმეურნეობის ვეტექიმი იყო, უფრო ახლოს მივიდნენ მასთან.

— შენი სახელი? — შეეკითხა ერთი მათგანი.

— ზარადა, — უპასუხა მან.

— ზარადა შორიდანაა მოსული, მოშიებული იქნება, წაიყვანეთ, დააბინავეთ, გაუმასპინძლდით, — თქვა კარგა ხნის ლაპარაკის შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, — საქმეზე კი შემდეგ მოვითათბირეთ.

თითქოს დიდი ხანია იცნობდნენ ზარადას, ისე

შინაურულად აყრიდნენ კითხვებს კოლმეურნეები. ზარადაც მხიარული ღიმილით აძლევდა ყველას პასუხს.

— წაიყვანეთ ეს ქალი და დაბინავეთ, — გაიმეორა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. შემდეგ რაღაც მნიშვნელოვანი საქმის ირგვლივ დავალებები მისცა მაგიდასთან შემოსხდარ კოლმეურნეებს.

ერთმა ახალგაზრდა ქალმა წაიყვანა ზარადა. როცა ისინი სოფლის შუაგულში კოხტად წამოჭიმულ სახლთან მივიდნენ, ქალმა სტუმარს მიმართა:

— ეს ჩვენი სასტუმროა, — მერე შენობაში შევიდნენ, ერთ-ერთი ოთახის ფანჯარა გამოაღო და ოთახის დალაგებას შეუდგა.

ეს ქალი კოლმეურნეობის სასტუმროს გამგე გამოდგა. მან ოთახი ხელად მიალაგ-მოალაგა და სასწრაფოდ გასწია სოფელში, — მალე დავბრუნდებიო, — დაჰპირდა ზარადას.

ერთი საათიც არ გასულა, რომ ორმა ახალგაზრდა ქალიშვილმა ზარადას საუმელი მოუტანა. მათ სტუმარი გაიცნეს, გულით გაიხარეს, როცა გაიგეს, რომ ზარადა იმათ სოფელში იმუშავებდა. — დაღლილი იქნებიო და მოისვენეთო, — თავაზიანად გამოეთხოვენ ბოლოს ზარადას და თავიანთი სახლებისაკენ წავიდნენ.

ზარადას მართლაც მოშივნოდა. როცა დანაყრდა და სუფრა აალაგა, მხოლოდ მაშინ მოავლო თვალი ოთახს. მარტოდმარტო დარჩენილს დარდი შემოაწვა, ფანჯარასთან მივიდა. სასტუმროს ფანჯრები ხეობას გადაჰყურებდა. მზე უკვე ჩასულიყო, ბინდდებოდა. მდუმარებამ მოიცვა არემარე, სოფელ ფაზის ირგვლივ აყუდებულიყვნენ გოლიათი მთები და მდუმარედ გასცქეროდნენ ერთმანეთს. ხეობაში ჩამოწოლილი ნისლი სულ მაღლა-მაღლა მიცურავდა და მალე კლდის ქიმები და მთების მწვერვალები მთლიანად ნისლის საბურველში გაეხვია. თუმცა მზე, ის იყო, ჩავიდა, მაგრამ ნისლმა ერთბაშად ჩამოაბნელა. როგორ უნდოდა ზარადას დამტკბარიყო ბუნების ამ დიადი სანახაობით, მაგრამ ნისლში აღარაფერი ჩანდა. ფანჯარა მიხურა, სინათლე აანთო და დაღონებული მაგიდასთან ჩამოჯდა. მოციმციმე ელნათურას რომ შეხედა, გაიფიქრა: — „არც ისე ყოფილა საქმე... ეტყობა, კოლმეურნეობას დიდი მიღწევები აქვს: ეს სასტუმრო, ელექტროსადგური; ამბობენ, აბანოც შენდებაო...

რა გამაძლებინებს ამ მთებში, ამ მიყრუებულ ადგილას, როგორ უნდა ვინუშაო აქ", — არ შორდებოდა ნაღელიანი ფიქრი ხელზე ნიკაპდაყრდნობილ ზარადას. მას მოაგონდა ხმაურიანი, ლამაზი თბილისი. ახლა მისი ქუჩები, ალბათ, ხალხით არის სავსე... თბილისში დაიბადა და გაიზარდა ზარადა, იქვე მიიღო უმაღლესი განათლება... თვალწინ სიცოცხლით სავსე ქალაქი დაუდგა, მოაგონდა, როგორ დადიოდა ამხანაგებთან ერთად კინოში, თეატრებში, კონცერტებზე.

წელს დაამთავრა ზარადამ ვეტერინარული ინსტიტუტი და აი სამუშაოდ გამოგზავნეს მთაში. ზარადასთან კურსდამთავრებულთაგან ბევრი, შესაძლოა, უკეთეს ადგილებში მოხვდნენ სამუშაოდ, ზოგიც თბილისში მოეწყო. ისინი, რაღა თქმა უნდა, მხიარულად იქნებიან... ის კი, ზის აქ მარტოკა...

შემოწოლილი დარდის გასაქარვებლად გაიფიქრა — „მოდი წიგნს ამოვიღებ ჩემოდნიდან და წავიკითხავო", მაგრამ ვერც კი მოასწრო წიგნის ამოღება, რომ კარებზე ვიღაცამ მოაკაკუნა და იკითხა:

— სტუმარს არ მიიღებთ?

— როგორ არა, როგორ არა, შემობრძანდით, — გაეხმაურა ზარადა და წიგნი მაგიდაზე დადო.

ამასობაში ოთახში ზარადას ტოლი ქალიშვილი შემოვიდა. მოხდენილ, ლამაზ ჯოგონას მეტად შეეწონდა ზოლიანი კაბა. ზარადას დანახვისთანავე მოეწონა იგი და დიდხანს ხარბად ათვალიერებდა. თუმცა ზარადა თვითონაც საკმაოდ ლამაზი იყო, მაგრამ თითქოს მაინც შეშურდა იმისი ტანადობა, მიხრა-მოხრა, ლაპარაკის მანერა, თავის დაჭერა და სტუმრისადმი გულთბილობა. უნდოდა გამოეკითხა — ვინ იყო, რას აკეთებდა, მაგრამ ამ დროს კარებში ქალებისა და ყმაწვილების მთელი ჯგუფი შემოვიდა. ერთ მათგანს ფანდირი[1] ეპირა. ზარადას ყველამ ხელი ჩამოართვა, გარშემო შემოუსხდნენ, როგორც შინაურს და ლაპარაკი გაუბეს.

მოხუცი ქალი გიგი განსაკუთრებულად უყვარებდა ზარადას, საკუთარი შვილივით რამდენჯერმე გულში ჩაიკრა და ალერსით უთხრა:

[1] ფანდირი — ოსური გარმონი.

— ახლა შენ ჩვენი ხარ, შვილო, ჩვენთან იცხოვრებ.

— გიგი მართალს ამბობს, ზარადა ჩვენი და იქნება, — ერთხმად დაემოწმნენ გიგის ახალგაზრდები.

ახალგაზრდობა გამხიარულდა. მათი შემყურე ზარადაც გახალისდა. მეტადრე ძალზე აუჩუყა გული მოხუცი კოლმეურნის გიგის სიტყვებმა. მოაგონდა თავისი მოსიყვარულე დედა, ისიც ხომ ასე უალერსებდა ზარადას... ზარადა თავის დიდრონ თვალებს ალარ აშორებდა მოხუცი ქალის სანდომიან სახეს. კარგ გუნებაზე დადგა ზარადა, სადღაც გაქრა წელანდელი უსიამოვნო ფიქრები და ახლა ისე მეგობრულად ემასლაათებოდა სოფელ ფაზის ახალგაზრდობას, როგორც თავის ბავშვობის ტოლ-სწორებს.

სტუმრები გვიანობამდე დარჩნენ, იმხიარულეს, ფანდირი დაუკრეს და, თუმცა იცოდნენ, რომ ზარადა ნაგზავარი და დაღლილი იყო, მისი დატოვება მაინც არ ეთმობოდათ, ვიდრე გიგიმ არ დაუტატანა.

ბოლოს ღამე ნებისა უსურვეს მასპინძელს და ახალგაზრდული მხიარული ერიამულით ჯგუფ-ჯგუფად წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ სახლებში.

გიგი ერთხანს კიდევ დარჩა, დედაშვილურად დაარიგა და წასვლისას ალერსიანად გულში ჩაიკრა ზარადა.

დარჩნენ ზარადა და სასტუმროს გამგე, რომლებსაც სტუმრების წასვლის შემდეგ, თავის ოთახებში მალე ტკბილად ჩაეძინათ...

• •

თენდებოდა, მაგრამ ქუჩაში ჯერ ჩამი-ჩუმი არ იყო, როცა ზარადას კაკუნი ჩაესმა ძილში.

„ვინ უნდა იყოს ასე უთენია?" — გაიფიქრა მან და სასწრაფოდ წამოხტა, ჩაცმა დაიწყო, რომ ამ დროს სასტუმროს გამგემ თავისი ოთახის კარი გამოაღო, გარეთ გამოიხედა და ვილაცას შეესიტყვა:

— შენი ხარ, გაბე? რამ მოგიყვანა ამ დილაადრიანად?

— ჯერ დილა მშვიდობისა მათქმევინე, შე კაი ქალო! საქმე მაქვს, ტყუილუბრალოდ ხომ არ ჩამოვიდოდი მთიდან, — მიუგო გაბემ, თან ზევით, კიბის მოაჯირისაკენ, იყურებოდა.

— ჩემთან გაქვს საქმე? — შეეკითხა ქალი და ხელით თმები შეისწორა.

— საქმე შენთანაც კი მაქვს, მაგრამ ჯერ შენი სტუმარი მჭირდება.

— რად გინდა?

— უღელტეხილზე რამდენიმე ცხვარი ავად გაგვიხდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გვითხრა, ვეტექიმი ჩამოვიდა და სასტუმროშიაო, — მოკლედ აუხსნა სასტუმროს გამგეს მოსვლის მიზეზი მწყემსმა.

— ერიეპა, ერთიც ვნახოთ, წუხელ არ ჩამოსულიყო ვეტექიმი, მაშინ რაღას იზამდი?

— მაშინ უფრო შორს წავიდოდი! — მიუგო გაბემ.

ამასობაში, სანამ ესენი კარებთან მსჯელობდნენ, ზარადამ ლოგინი გაასწორა და ჩაიცვა კიდეც და რომ გაიგო ვეტექიმი უნდოდათ, კიბე სწრაფად ჩაირბინა. ქალს მიესალმა, მწყემსს ხელი ჩამოართვა, თვალებში შეხედა.

ისე მოეწონა ახალგაზრდა მწყემსი ზარადას, რომ კარგა ხანს თვალი ვერ მოსწყვიტა. მთიელი პირველად შეკრთა, თავი დაბარა, სათქმელი დაებნა. მერე ანაზდად თითქოს გამოერკვა, ბოხობი კეფაზე მოიგდო და თვალების ბრიალით წარმოთქვა:

— კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გამომგზავნა შენს წასაყვანად. ცხვარში აეადმყოფობა გაჩნდა. დღესვე, ახლავე, უნდა წამოხვიდე მთაში.

— რა ვქნა? როგორ ვუთხრა, ვერ წამოვალთქო, — ყოყმანობდა ზარადა. მერე არც კი უკითხავს მწყემსისათვის — შორს იყო თუ არა უღელტეხილი, ან როგორ უნდა წასულიყო იქ, მხიარულად და მტკიცედ მიუბრუნდა მწყემსს:

— წავიდეთ, მაგრამ წამლები რითი წავიღოთ?

— ცხენით, ოღონდ უნდა ვიჩქარით, — მოკლედ თქვა გაბემ და ცხენების შესაკაზმავად გაეშურა.

წავიდა თუ არა გაბე, ახლა ზარადასთან კოლმეურნეობის თავმჯდომარე შემოვიდა და დაავალა, გამოერკვია რითი იყო დაავადებული ცხვარი. გაიფრთხილა, დარჩენილიყო მთაში, ვიდრე ეს საქმე იქნებოდა, სანამ ცხვარი განიკურნებოდა. ისიც დაუმატა: შეუჩვეველი ხარ და პირველ ხანებში შეიძლება ფაციენტიდეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე თვითონაც აპირებდა მთაში წასვლას, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან ფერმის გამგე თვითონ ჩამოსულიყო.

— არ გეეპატიება, რომ უყურადღებობით ფარა დაიღუპოს, — თავისთვის ჩაილაპარაკა თავმჯდომარემ და როცა გაბე და ზარადა გაისტუმრა, თუმც ჯერ კიდევ ძალიან ადრე იყო, კოლმეურნეობის კანტორისაკენ გასწია.

როცა მზის ოქროსფერი სხივები მთის მწვერვალებიდან გადმოეკიდა და სოფელ ფაზს შუქი მოადგა, ზარადამ და გაბემ უკვე უღელტეხილის თხემს მიაღწიეს. ისინი ამწვანებულ ტყეში ცხენებით გვერდიგვერდ მიდიოდნენ და მისაუბრობდნენ.

გაბეს ძალზე უხდებოდა ბოხობი, მეშის წუღები და თივთიკის ჩაშვებული ხალათი. მას ცხენის სადავე მაგრად ეჭირა, ხანდახან ფეხს ამოჰკრავდა და ცხენიც ნაბიჯს აჩქარებდა.

ზარადას ცხენი ხშირად უკან რჩებოდა და მაშინ ქალი თვალს არ აშორებდა გაბეს ფართო მხარბეჭს და მოყვანილ ტანს.

— გაბე, სკოლაში არასოდეს არ გისწავლია? — შეეკითხა ზარადა.

— ვსწავლობდი, ორი წელია საშუალო სკოლა დავამთავრე! — უპასუხა გაბემ და ქალს გამოხედა.

— საშუალო სკოლა რომ დაამთავრე, რატომ არ გაგრძელე სწავლა? — არ ეშვებოდა ზარადა.

— ყიზლარს ვიყავი ცხვარში. სწავლის გაგრძელებასაც ვაპირებ, საბუთები უკვე გაგზავნილი მაქვს თბილისში, ვეტერინარულ ინსტიტუტში. ალბათ, შემოდგომაზე მომიხდება სასწავლებლად წასვლა, — მიუგო გაბემ და ცხენს ფეხი შემოჰკრა.

როცა ზარადა ჩამორჩებოდა, გაბეც ცხენს შეაყენებდა, ვიდრე ქალი არ დაეწეოდა.

ზარადა ცხენზე ჯდომას არ იყო შეჩვეული და მალე დაიღალა. ბევრად ერჩივნა ცხენიდან ჩამოხტარიყო და ფეხით ეელო... მაგრამ, როგორ გაეჭხილა ეს გაბესათვის! მეორე მხრივ, მთაშიც ეჩქარებოდათ და ზარადაც ძალას ატანდა თავს. ღილით, როცა ისინი გამოემგზავრნენ, გაბე რომ არ დახმარებოდა, იგი ცხენზე შეჯდომასაც ვერ შეახერხებდა. გაბემ ცხენი სოფლის განაპირას მთის შვერილთან მიაყენა, ცალი ხელით კეხი დაიჭირა, მეორეთი კი ზარადა შესვა.

ქალიშვილს არაფრად ესიამოვნა ეს, მაგრამ აბა რა უნდა ექნა, როცა თავის სიცოცხლეში ცხენზე რა მჯდარა.

„ჯერ სად არის, გაჭირვება მერე ნახე“ — თავის გულში ფიქრობდა ზარადა. ამ დროს მას ყოველთვის ტკბილად ეძინა და დედას მუდამ ენანებოდა გაეღვიძებინა.

ახლა რომ მშობლებს დაანახვა ცხენზე მჯდომი ზარადა და ისიც ამ მაღალ მთებში, საკუთარ თვალებს არ დაუჯერებდნენ, განცვიფრდებოდნენ, ასე ადრიანად სად მიემგზავრება ჩვენი ქალიშვილიო.

ზარადას დირექტორის ის სიტყვები გაახსენდა, კურსდამთავრებულებს კრებაზე რომ უთხრა: პირველ ხანებში ბევრი სიძნელე შეგხვდებათ, მაგრამ სულით არ უნდა დაეცეთ, გული არ უნდა გაიტეხოთო.

ბრძოლაა საჭირო მუშაობაში მიღწევების მოსაპოვებლად. ბევრი, ზარადასთან კურსდამთავრებული, ყაზახეთში გაგზავნეს, უფრო შორეულ ადგილებშიც, აბა იმათ რაღა უნდა ეთქვათ?

„არა, სადარდებელი არაფერია, რაღა კომკავშირული ვიქნები მაშინ, არც გაბეს მოეწონება ეს“, — გაიფიქრა ზარადამ. ამ გადაწყვეტილებით მან მაგრა მოსწია სადავე, წელში გასწორდა, ცხენს ფერდებში გაბესავით შემოჰკრა, ცხენიც, მხედრის გაბედული ხელი რომ იგრძნო, სწრაფად წამოუწია გაბეს ცხენს და ისინი კვლავ გვერდიგვერდ წავიდნენ.

— კიდევ შორს არის? — შეეკითხა ქალი.

— არა, სულ მალე მივალთ, — მალული ღიმილით უთხრა გაბემ.

გაბე გრძნობდა, რომ ზარადას უჭირდა ცხენით სიარული, მაგრამ არ შეიმჩნია, რადგან ცხვრის ბედი აწუხებდა.

გაბეს გულით უნდოდა ზარადასთან საუბარი გაეება, მაგრამ ბუნების სილამაზით მოხიბლული ზარადა, ზოგჯერ ვერ ამჩნევდა გაბეს, ავიწყდებოდა თავისი დაღლილობა, შეუჩვეველი მგზავრობაც.

— რა სჯობია ამ ამბიბინებულ მინდვრებს!

ორივე მხრივ კლდეებია ალმართული, გეგონებათ, მდელოებს სდარაჯობენო. კლდეები ვერცხლისფრად ბზინავენ მთის მცხუნვარე მზის სხივებზე, მთის ფერდობებზე შეფენილი ცხვარი შორიდან ისე მოჩანს, თითქოს თეთრი ქვები მიმოუბნევიათო. მაღლა ცაში არწივები დანავარ-

დობენ, მახვილი თვალით ზვერავენ მსხვერპლს, მთის კალთების ორთავე მხრით გადაჭიმულ ულრან ტყეში. სულ დაბლა, ტყის გაყოლებით, ვერცხლისფერი ძაფივით მიიკლაკნება მთის ცივი მდინარე.

ალპური ველების სურნელებით დამტკბარ ზარადას არც კი შეუმჩნევია, როგორ მიადგნენ მწყემსების ბინას. შუადღე იქნებოდა, როცა გაბემ და ზარადამ მწყემსების ბინებთან ცხენები შეაყენეს.

მწყემსები სიხარულით შეხვდნენ მათ. ცხენები ჩამოართვეს და საძოვარზე გაუშვეს ჯერ ისევ უნაგირმოუხდელი. მათ გაბე განზე გაიხმეს და რაღაცაზე ეჩურჩულებოდნენ. ზარადამ მწყემსებს გამოეკითხა, როგორ ცხოვრობდნენ და იქვე ბინის წინ, წიფლის ძელსკამზე ჩამოჯდა. გაბემ მწყემსებს შეატყობინა, რომ მისი თანამგზავრი ვეტექიმი იყო.

როგორც კი ყური მოჰკრეს მწყემსებმა — ვეტექიმიაო, ზარადას გარს შემოეხვივნენ და ყურადღებით ათვალ-ჩათვალიერეს.

— რა კარგია, რომ დროზე მოგვისწარით, შემდეგში იქნებ ზარალი აღარ გვექნეს ფარაში, — ამბობდნენ მწყემსები, — აქამდე კოლმეურნეობას ვეტერინარი არა ჰყავდა და როცა ცხვარში რაიმე ავადმყოფობა გაჩნდებოდა, დასაბმარებლად სოფლისაჭეროში გვიხდებოდა წასვლა, ხან უფრო შორსაც, რაიონში.

„შესანიშნავია, პირდაპირ მისწრებაა, რომ საკუთარი ვეტექიმი გვეყოლება“, — ფიქრობდა ყველა მათგანი.

მწყემსებმა გამოკითხეს ახალი ამბები ზარადას, ეკან სკნელიც ხალისიანად უზიარებდა, რაც იცოდა.

— ახლა კი დროა საქმეს შევუდგეთ, — წამოდგა ზარადა და გაბეს მიუბრუნდა:

— სად არიან ავადმყოფი ცხვრები?

— აი, იქ, დარანში! [1] — ხელი გაიშვირა დარანისაკენ გაბემ და ორივე იქითკენ გაეშურა.

დიდი მუხის ჩრდილში ცბრა სული დედა ცხვარი იწვა, არ იცოცხლებოდნენ, დრუნჩი მიწაში ჩაერგოთ და, თუმცა ცხელი დღე არ იყო, გაჭირვებით სუნთქავდნენ და კვნესოდნენ.

ზარადამ სათითაოდ გასინჯა ცხვრები, ყოველი მათგანი წამოაყენა, პირი გაუღო, გაუსინჯა კბილები, ფერდები. თუ რომელიმე ცხვარი წაიქცეოდა, ის ხელახლა წამოაყენებდა, ხელახლა სინჯავდა.

— შხამა ბალახი უჭამიათ და ამას გაუბერავს, — თქვა ზარადამ და საქმეს შეუდგა. ორი მწყემსი ყურადღებით ადევნებდა თვალს ზარადას ყოველ მოძრაობას. ზარადამ ცხვარი ზურგზე წამოაქცია, მუცელსა და ფერდებზე ხელი დაუჭირა, მერე ნემსი გაუკეთა და გაუშვა. დედა ცხვარი, თავდაღუნული, დუმის ქნევით საძოვრისკენ გაქანდა. ზარადამ დანარჩენ ცხვრებსაც გაუკეთა ნემსი. გაქცეული ცხვარიც დააბრუნეს და ყველა ერთად ცალკე ბაკში შერეკეს.

— ავადმყოფი ცხვრები საძოვარზე არ გაუშვათ! — გააფრთხილა მწყემსები ზარადამ, თვითონ კი წამლებისა და ინარეკების ჩალაგებას შეუდგა.

იმ ამბავმა, რომ ადვილად შეძლო ცხვრის ავადმყოფობის დადგენა, ზარადას სიხარულის ფრთები შეასხა, კარგ გუნებაზე დააყენა.

გასულ წელს, როცა იგი პრაქტიკაზე იყო სვანეთის მთებში, იქაც ჰქონდა ასეთსავე შემთხვევასთან საქმე. საძოვარზე ცხვრებს უეცრად დაეწყოთ მუცლის გაბერვა, ოოვას თავი მიანებეს. იქაურმა ვეტექიმმა გამოარკვია, რომ ცხვრებს შხამა ბალახი ეჭამათ. მაგრამ რადგან სვანმა მწყემსებმა დაგვიანებით გაიგეს დაავადების მიზეზი, რამდენიმე ცხვარი დაიღუპა. ბევრი კი გადაარჩინეს. აი, ამიტომ გაუადვილდა ზარადას ახლა ამგვარი ავადმყოფობის გამოცნობა და მასთან ბრძოლა. იმ წუთშივე მიხვდა, რითი იყო ცხვარი დაავადებული და დროზე უშველა.

— საღამოზე თქვენი ცხვრები ისევ ჯანსაღი იქნებიან, — უთხრა ზარადამ მწყემსებს. მერე ისა და გაბე გაემართნენ იმ მინდვრისაკენ, საცა მათი კოლმეურნეობის ფარას ძოვებდნენ.

— რასაკვირველია, მოდი, კოლმეურნეობის ცხვარიც დავათვალიეროთ და სოფელში მერე გავბრუნდეთ, — შესთავაზა ზარადამ. გაბესაც სწორედ ესა ჰქონდა გულში და ისინი მაშინვე შეუდგნენ ალმართს საძოვრისაკენ. რაღაც სასია-

[1] დარანი — ცხვრის დროებითი ადგილსამყოფელი.

მოვნო ძაფი გაიბა მათ შორის: ორივე ახალგაზრდა იყო, საერთო საქმე ჰქონდათ. ეს კი ენერგიას და სიმკვირცხლეს მატებდა, ოცნების ფრთებით სადღაც მიაქროლებდა მათ. ზემოთ მიმავალმა ზარადამ და გაბემ გზად კოლმეურნეობის ფერმაში შეიარეს. გაბემ ზარადა გააცნო მის მუშაკებს. ქარხანაში უმეტესად ქალები მუშაობდნენ. ერთნი მწველავები იყვნენ, მეორენი ყველს აკეთებდნენ. ზარადა მოეწონათ ქალებს. თავის მხრივ ზარადასაც მოეწონა ახალგაცნობილი ქალები; ოჯახური ამბებიც კი გამოკითხა მათ და რაკი ცხვარში მიეჩქარებოდათ, დიდხანს აღარ დარჩენილან ფერმაში. ქალებმა თავი გამოიდეს და ვიდრე ძიგაკი[1] არ გაუმასპინძლდნენ, არ გაუშვეს.

— საღამოზე, ჩამოვლისას ისევ გინახულებთ, — გამოეთხოვა ქალებს ზარადა და გზას გაუდგნენ.

მართალია, ოსი იყო ზარადა, მაგრამ თავის სახლში არასოდეს არ ეჭამა ძიგა, სახელი გაეგონა, მხოლოდ არ კი იცოდა, რა გემოსი იყო. ძიგა მთიელებში ყველაზე ძვირფას საქმელად ითვლება. ზარადასაც ძალზე მოეწონა იგი. მოხიბლული იყო ზარადა ფერმის შემოგარენითაც. ქარხნის წინ ფერდობი მთლად წიფლის ტყით იყო შეფენილი, ზემოთ, კლდის ძირში, კოლმეურნეობის ბოსლები ჩაეშვერიენინათ. კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი საქონელი ზამთარს ამ სადგომებში ატარებდა.

საძოვრები მწვანე ხალიჩებივით გადაშლილიყო მთის კალთებზე. მოთიბულ ბალახს ზვინებად დგამდნენ და ბოსლებთან მოქმედათ. მსხვილფეხა საქონელი საკვებით უზრუნველყოფილი იყო ზამთრის თვეებში; წვრილფეხა საქონელს კი, — ცხვარს, ყიზლარის საძოვრებზე ერეკებოდნენ.

— შეძლებული კოლმეურნეობა ყოფილა, — გაიფიქრა ზარადამ და გაბეს შეხედა, რალაც უნდოდა ეკითხა, მაგრამ ამ დროს ძალლმა დაიყეფა და შემკრთალმა ქალმა იქით მიიხედა. ცხვრის ფარიდან მათკენ უზარმაზარი ბანჯგვლიანი ქოფაკი მორბოდა. ის-ის იყო, უნდა სცემოდა ზარადასა და გაბეს დასაგლეჯად. ზარადა შიშის ზარმა აიტანა. გაბემ ქოფაკს დაუყვავა „მილა“. „მილა, მილა“-ო. ძალლმა ხმაზე იცნო გაბე, თითქოს შერცხვაო, ყეფა შეწყვიტა და გაქვავებულივით შეჩერდა, აწკმეტტენდა, უკანვე გაბრიალდა და ბოლბორა კუდის ქნევით თავისა ფარისკენ მოკურცხლა.

— აი, მოვედით კიდეც ჩვენს ბინაში, — მასპინძლური კილოთი თქვა გაბემ — ახლა შეგეძლია, ცოტა დავისვენოთ კიდეც.

ისინი ტყის პირას მწვანედ აბასხასებულ მდელოზე დასხდნენ.

— ეს მწყემსის წყაროა, — ასე ვეძახით ჩვენ, — უთხრა გაბემ ზარადას, მერე დუმფარას ფოთოლი მოწყვიტა, ფიალასავით მოამოკვლა, მოჩხრიალე, აინულივით ცივ წყაროს შეეშვირა და თავის თანამგზავრს მიაწოდა, სთხოვა, ჯერ თქვენ მიირთვითო.

თუმცა ზარადას წყურვილი ჰკლავდა, მაინც არ დალია, ნასიამოვნებზე გახერებულს, შეეშინდა შეუჩვეველ ცივ წყალს არ დაეცადა, არ გაციებულიყო.

— მე კი უნდა დავლიო ამ წყაროს წყალი, — თქვა გაბემ, დახვეული დუმფარას ფოთოლი პირთან მიიტანა და ვიდრე გამოსცლიდა, შენგლს ქვემოდან ზარადას მაღლად შესცქეროდა.

„რა მორიდებულია, ერთი ზედმეტი სიტყვაც არ წამოსცდენია, მარტო საქმე ახსოვს“, — ფიქრობდა გაბე, დალია წყალი და დუმფარას ფოთოლი შამბნარში გადაისროლა.

ზარადა საძოვარზე გაშლილ ცხვარს გასცქეროდა. მერე ხალათის ჯიბიდან ეპის წიგნაკი და ფანქარი ამოიღო, რალაც ჩაიწერა და უკანვე ჯიბეში ჩაიდო.

გაბემ ზარადა წყაროსთან დასტოვა, თვითონ მწყემსებთან აირბინა ზევით, რალაცაზე ელაპარაკა, ისიც უთხრა, რომ ზარადა ვეტექიმია.

კოლმეურნეობის ფერმის გამგე, ვასიკო, ... ევე ამოსულიყო. გაბემ უამბო მათ, რომ ზარადა ... ავადმყოფ ცხვრებს ხელი გაეკეთა და ახლა ... რაფერი უკირთო, თან ექო ზარადა.

— შენ, ყმაწვილო, რალაც სხვანაირად აქებ მაგ ქალს, ერთი აქეთ დაუძახე, ჩვენცა ვნახოთ, — გაეხუმრა ვასიკო.

[1] ძიგა — ოსური ყველია ერთგვარი.

გაბე, ცოტა არ იყოს, შეცბუნდა, მერე მარდად მიტრიალდა და ზარადას ხელი დაუქნია:

— აქეთ ამობრძანდი!

ზარადა მწყემსებისაკენ გაემართა, ვასიკოს მიუახლოვდა. ვასიკო, ბატკანს დასტრიალებდა, ზარადას მკლავი გაუწოდა, რადგან პეპეყიანი ხელის ჩამორთმევა არ უნდოდა.

— იცნობდეთ, კოლმეურნეობის ფერმის გამგე, — ესეც ჩვენი ვეტექიმი გახლავთ, — გააცნო ისინი ერთმანეთს გაბემ.

— დიდად სასიამოვნოა! — თავი დაუკრა ვასიკომ ზარადას.

— გმადლობთ! — მიუგო ზარადამ.

ვასიკოს სახელოები აეწია, ბატკანი მწვანე ბალახზე დაესვა და ამ დილით ქვაზე ღრმად გაკაწრულ ფეხს უხვევდა.

— ეხლავე მოვრჩები — მიმართა მათ ვასიკომ. ეტყობოდა, კმაყოფილი იყო, რომ ბატკანს კარგად შეუხვია ფეხი.

შრომისმოყვარე, გულმოწყალე ვასიკოს ცხოველები უყვარდა. თხუთმეტი წელია კოლმეურნეობაში მუშაობდა. ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ერთი ცხვარიც არ დაჰკლებია. ამიტომაც წელს კოლმეურნეებმა ერთხმად მიანდეს მას თავიანთი ფერმა და გამგედ აირჩიეს იმანაც უფრო მეტი გულმოდგინებით მოჰკიდა საქმეს ხელი. ახლაც, ბატკანს თუმცა ფეხი არც იმდენად ჰქონდა დაშავებული, მაგრამ როგორც დედა შვილს დაბანს ხოლმე, ისე გამოწმინდა ჩლიქი, ფრთხილად შეუხვია სუფთა ნაჭრით, ხელში აიყვანა და პატარა დრუნჩში ნაზად აკოცა. მერე ცალკე გაუშვა საძოვარზე. ბატკანს ეტყობოდა, ფეხი მაინც სტკიოდა, საცოდაევ ბღავიდით და კოჭლობით მობრუნდა ვასიკოსთან, რამდენჯერმე საცოდავად ახედა და ხელი აულოკა. ზარადა გაოცებული იყო. იაზრა, გულიანი მომუშაე უნდა ყოფილიყო ვასიკო, რომ ცხვრები ასე ჰყავდა ხელზე მიჩვეული.

— მაშ, ერთად ვიმუშავებთ, დაიკო! — უთხრა ვასიკომ, საქმე რომ მოათავა და ხელები დაიბანა.

— ერთად ვიმუშავებთ! — მიუგო ზარადამ და ფარას გაჰხედა.

ვასიკო, ზარადა, გაბე და დანარჩენი მწყემსები, ყველანი ერთად თათბირობდნენ საქმეზე: რა ჯობდეთ ხელს მუშაობაში, ან რა აკლიათ. ცხრა დაავადებული ცხვარიც მოიგონეს. თუმცა ყველანი გამოცდილი მწყემსები იყვნენ, მაგრამ ზარადამ ცოტა რამ მაინც უთხრა ცხვრის მოვლისა და ჰიგიენის შესახებ.

მწყემსებს რჩევა-დარიგება ჭკუაში დაუჯდათ. იქვე სურვილიც გამოთქვეს, ზარადა ხშირ-ხშირად ამოსულიყო მთაში და ცხვრისთვის დაეხედა.

ზარადაც დაპირდა, ხშირად გინახულებთო, მით უფრო, რომ ეს ვეტექიმის პირდაპირი მოვალეობა იყო.

ზარადამ ახლა თავისი თვალით დაინახა, როგორ მუყაითად და გულმოდგინედ მუშაობდნენ ისინი, როგორ უყვართ მათ მიერ გამოზრდილი ცხვარი: მასაც უფრო მეტად მოუნდა — ემუშავნა მათთან და, რითაც კი შეეძლო, დახმარება გაეწია.

— ვასიკო, იცი, ვასიკო, მოდი ამ ბატკანს მე წავიყვან და მოვარჩენ, ძალიან მეცოდება! — ძველი ნაცნობივით მიმართა ზარადამ ვასიკოს.

ვასიკომ არაფერი უპასუხა, უნდობლად შეხედა. ცოტა ხნის შემდეგ კი ყოყმანით უთხრა: წაიყვანა, მაგრამ ვაითუ...

— არა, ვასიკო, ნუ გეშინია, სიტყვას გაძლევ, რომ მოვარჩენ.

— კარგი, ჯერ შენ და გაბე ბინაში წადით, ბატკანიც თან წაიყვანეთ. მე აქ კიდევ მაქვს საქმე, ალბათ, შემაგვიანდება, — უთხრა ვასიკომ და მწყემსებთან ერთად ზემოთ გაეშურა.

გაბემ ბატკანი ხელში აიყვანა და უკან გაბრუნდნენ. ბატკანმა გაბეს ობოლივით მიადო მხარზე ხუჭუჭა თავი, საძოვრებზე გაშლილი ცხვრისკენ იყურებოდა და საცოდავად ბღაოდა.

ზარადა ვიწრო ბილიკზე ფეხდაფეხ მისდევდა გაბეს. თან ფიქრობდა, როგორ მოერჩინა ეს პატარა არსება. მას ძალიან უნდოდა, ვასიკოსთვის მიცემული სიტყვა შეესრულებინა და დანაპირები გაემართლებინა.

მზე თითქმის მიეფარა უღელტეხილს, როცა ზარადამ და გაბემ ხეობას მიაღწიეს, ბინებიც გამოჩნდა და იქით აიღეს გეზი.

უცებ გაბემ ბატკანი ბალახზე დასვა და ზარადას მიმართა:

— შენ აქ მოიცადე, ეს ბატკანიც აქ იყოს, მე ცხენებს მოვიკაევ, თორემ ლამე შორს წაელენ

ბთაში და ხვალ სოფელში ფეხით დაბრუნება მოგვიხდება.

— მალე დაბრუნდები?

— ახლავე აქ გავჩნდები, — მიუგო გაბემ და ვაქანდა.

ზარადას ფეხი არ მოუცელია იმ ადგილიდან, სადაც გაბემ დატოვა. დიდხანს ელოდა, მაგრამ გაბე არსად ჩანდა. დაბინდდა. ცაზე ვარსკვლავები აციაფდნენ. ნელი სიო საამოდ ელამუნებოდა ზარადას, მის თმებს ეალერსებოდა. ზარადამ გარშემო მიმოიხედა, შიშმა აიტანა.

„ნეტა რად იგვიანებს გაბე? როდემდის უნდა ვუცადო აქ? რომ არ მოვიდეს, და მარტო დავრჩე, მაშინ?..." ბატკანი აიყვანა, ორივე ხელი მოხვია და გზას გაუდგა. „ალბათ გაბემ ცხენები ვერ იპოვნა, ან ეგება მცდის, გზას ვავიგნებ თუ არა?..." ფიქრებში წასული ზარადა გზას ასცდა. კარგა მანძილი რომ გაიარა, შეჩერდა და ჩაილაპარაკა: „ამ გზით არ უნდა წამოვსულიყავ!

იგი იმავე გზით დაბრუნდა უკან. ზარადას მართლაც აებნა გზა. ეს ბილიკი პირდაპირ ტყისკენ მიდიოდა, ის კი აღმოსავლეთისაკენ უნდა წასულიყო. ანაზდად წყლის ჩხრიალი მოესმა, გახარებული შეჩერდა. წყალზე ბოგირის მაგვარად სახელდახელოდ გარანდული მორი იყო გადებული. დღეს მათ სწორედ ამ გზაზე ითარეს... „მაშ ცხვარიც აქვე, ახლომახლოა სადმე", — გაიფიქრა მან, მაგრამ შუდამ ისევ: უცნობი გზა უფრო შორი ეჩვენება კაცს. ზარადასაც ჯერ დიდი მანძილი არ ჰქონდა გავლილი, მაინც დასცხა, ოფლი დაასხა, ხელები ჩამოაწყდა ბატკნის ტარებით.

შუა მორამდე რომ მივიდა, ფეხი დაუცდა და ცალი ფეხით წყალში ჩავარდა. მაშინ, იმ ანდაზისა არ იყოს — „წყალში დამბრჩვალი დასველებაზე ღარ ფიქრობსო", — ზარადამაც გადაწყვიტა, მოდი, რაც იქნება, გავტოპავო და მეორე ფეხიც ჩადგა წყალში. გულზე მიხუტებული ბატკანი წყალგალმა გაიყვანა და გზა განაგრძო, თუმცა ფეხსაცმელებში წყალს ჭყაპა-ჭყუპი გაუდიოდა. ზარადას ეშინოდა, არ შემოღამებოდა და ისევ არ ასცდენოდა გზას. ბოლოს, როგორც იყო, მიაღწია ფერმას, სადაც დღეს ისე გულთბილად გაუმასპინძლდნენ. გზაზე არავინ შეხვედრია. ის იყო, დაპირა ბატკანი ჩამოესვა ძირს, რომ გაბეს მოჰკრა თვალი, რომელიც ცხენს მისკენ მოაქროლებდა.

— მე კი რამდენი გეძებე, უჩემოდ რად წამოხვედი?! — ჰკითხა გაბემ, უბელო ცხენიდან ჩამოხტა და ქალს თვალებში ჩააცქერდა. ზარადას ხელში ბატკანი რომ დაუნახა, შეებრალა, — „ძალიან დაიღლებოდაო" — იფიქრა. თვითონ გაბეც იმაზე ნაკლებ არ იყო დაქანცული. ცხენები შორს წასულიყვნენ მთაში, დიდხანს ეძება, ბევრი სდია, ვიდრე დაიპერდა.

— არა უშავს რა, ორივე ერთნაირად ვართ დაღლილი, — ღიმილით უთხრა გაბემ.

ზარადამ ბატკანი მწვანეზე ჩამოსვა, შუბლი და ყელი ცხვირსახოცით მოიწმინდა, თითქოს განგებ, ამ დროს ქარმაც წამოუბერა, ზარადამ ხარბად ჩაისუნთქა გრილი ჰაერი და გაბეს მუუბრუნდა.

— ახლა იმაზეც უნდა ვიფიქროთ, ღამე სად გავათიოთ, იქნებ ფერმის მუშებთან წავიდეთ. დღეს რომ ისე გულთბილად მიგვიღეს! ოვადმყოფ ცხვრებსაც დავხედავ.

— ცხვრები უკვე გადარჩნენ, სოფლელები ძალიან გეამადლიერებიან, გზის პირში მოხუცი ვწყემსი შემომხვდა და იმან მითხრა, — მიუგო გაბემ.

— რა კარგია! მე კი ამათი დარდი მქონდა, ეს პატარა ბატკანიღა დაგვრჩა მოსარჩენი.

— ზარადა, ამაღამ შენ აქ დარჩი, მე კი ჩემ ფარას მივხედავ, დილაადრიან აქა ვარ. გაბემ ალვირი ზარადას მისცა ხელში, ბატკანი ითხოვა და ქარხნისაკენ წავიდნენ. იმათ ლაპარაკზე ორი ქალი გამოვიდა, მათ მაშინვე იცნეს დღეანდელი სტუმარი, შუაში ჩაიყვანეს და ფერმის გვერდით მდებარე სახლისაკენ გასწიეს, საიდანაც შუქი გამოდიოდა. ბატკანიც თან წაიყვანეს ქალებმა. გაბე კი მორდად მოახტა ცხენს და სიბნელეში მალე თვალს მიეფარა. დიდხანს ისმოდა შორიდან ცხენის თქარათქური.

ზარადამ, ვიდრე თავის თავს მიხედავდა, ბატკანი სუფთა ადგილას დაუწვინა, ფეხი შეუხვია, შემდეგ დაქანცული, თან თავისი დამოუკიდებელი მუშაობის პირველი დღის შედეგებით კმაყოფილი, ლოგინზე ჩამოჯდა. დაღლილ სახეზე კმაყოფილების ღიმილი გადაეფინა.

— რა შრომისმოყვარე ხალხია! რა თვალწარმტაცი ბუნებაა! აქ მუშაობას რა სჯობია...

ტკბილად ჩაეძინა იმ ღამეს ზარადას, სასიამოვნო სიზმრებს ხედავდა...



სერგი ხაკირთია

ბედნიერება

სკოლის ეზოს კარები უკან დარჩა. ორი წლის სწავლის შემდეგ ვასილმა ამაყად დააბიჯა ქუჩას ფეხი. ახალი ჩექმები, შავი მაზარა და საფაბრიკო-საკარებნო სკოლის ლამაზი ქობიანი ქუდი ჰაბუკს ვაჟკაცურ იერს აძლევდა.

რა შეუმჩნეველად და სწრაფად გავიდა ეს წლები!

„თითქოს გუშინ მოველ და დღეს კი მივდივარ!" — გაიფიქრა ვასილმა და სადგურის მაღაროებისკენ მიმავალ შარას თვალი გააყოლა. მანქანები სწრაფად გარბოდნენ აქეთ-იქით. მთებიდან მადანი მოჰქონდათ, უკან კი ხე-ტყით დატვირთული მიჰქროდნენ.

— ჰმ, გაფრინდა ოთხი წელიწადი, — ხმამაღლა ჩაილაპარაკა ბიჭმა და უნებლიეთ მშობლები გაახსენდა.

ბაბამისი ასლანბეგი და დედა ხუბიასული სადგურში ცხოვრობდნენ. მოსიყვარულე მშობლები მოუთმენლად ელოდნენ ერთადერთი შვილის მოსვლას. მათ გახსენებაზე ჰაბუკს თვალები გაუბრწყინდა, ტანში სიხარულის სითბო ჩაუდგა.

თხუთმეტი წელი იცხოვრა ხუბიასულმა ასლანბეგთან და შვილი არ ეყოლა. სადგურელმა მეშალაროელებმა კარგად იცოდნენ, რომ ასლანბეგის ოჯახს არც სიყვარული აკლდა და არც ფული. მაგრამ აბა უშვილო კაცის ცხოვრება რა სანატრელია?!

ვინ თქვა, უმემკვიდრო კერიის ბედნიერება?! შენი სიკვდილის შემდეგ კერაც ციცდება და ნაცარიც. ასლანბეგი ზოგიერთივით სამიკიტნოს კარებს არ ამტვრევდა, ღვინოს არ ეტანებოდა. საზრიანმა ვაჟკაცმა ჯერ კიდევ ცოლის შერთვამდე მოიწყო ეზო-გარემო. ყველაფერი ჰქონდა ასლანბეგის ოჯახს, მხოლოდ უშვილობა აფორიაქებდა მათს წყნარ, მოსიყვარულე ცხოვრებას. ხუბიასულის ძეობა კი იგვიანებდა.

ჩაფიქრებული ასლანბეგი იტყოდა ხოლმე: — ჩემი სტუმართმოყვარე სახლის ფანჯრებიდან, წუთისოფლის დასრულების შემდეგ, სინათლის არც ერთი სხივი არ მიესალმება ღამით მიმავალ მგზავრს. ჰე, რაღაა ჩემი ცხოვრება, — დაასკვნიდა იგი. ცოლის მოსიყვარულე ასლანბეგი ამას ჩუმად და თავისთვის იტყოდა, თორემ განა ცუდს რამეს ფიქრობდა თავის ხუბიასულზე?! უიმისოდ სიცოცხლე ვერც კი წარმოედგინა! ასლანბეგმა კარგად იცოდა, რომ ასეთ შემთხვევაში ზოგიერთი ქმარი თავის სახლს დაუბრუნებდა უშვილო ქალს! მაგრამ ასეთი რამ არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლია. — ღმერთმა დაგვიფაროს ავი ზრახვებისაგან. ის კი არა, ასლანბეგმა კარგად იცოდა, ამის გამო ხუბიასული რა ნაკვერცხალითაც იკვებებოდა და ამიტომ ცოლს უფრო სიყვარულით ეკეცოდა. ორივენი თავისთვის ჩუმად ოცნებობდნენ შვილზე.

თხუთმეტი წელი გავიდა ასე, თხუთმეტი გაუხარელი უღიმღამო წელი. ერთხელ, სწორედ ნათლისღების წინ, სალამოს, ჩაფიქრებული ასლანბეგი ეზოს უახლოვდებოდა.

— ბიჭოს, დალახვროს ღმერთმა, — სახლიდან

პატეფონის ხმა შემოესმა. ალბათ, სტუმრები მოსულანო, იფიქრა და წარბგაასნილმა ფანჯრის პუქრუტანაში შეიხედა.

სახლში ცოლის გარდა არავინ ჩანდა. ხუბიასულს ქმარმა კი რაღაც დიდი სიხარული შენიშნა. მისი სახე ახლა ბედნიერი სხივით იყო განათებული.

გულჩქროლებულმა ზღურბლზე გადაბიჯა. კარმა გაიჭრიალა თუ არა, ხუბიასულმა წინა ოთახში შესცინა ქმარს. გაოგნებულ კაცს არც სამუშაო ტანსაცმლის გაძრობა აცალა და არც რამეს კითხვა. ათრთოლებული ცოლი ასლანბეგს კისერზე ჩამოეკიდა.

— რა იყო, ქალო?! — შეშინდა ახლა ასლანბეგი. ანაზდად ათასნაირმა ავმა ფიქრმა გაურბინა თავში. მოულოდნელად ცოლს თვალებიდან ცრემლები წასკდა, ასლანბეგმა ხუბიასულს თვალებში ჩახედა. გუმანით მიხვდა კაცი, რომ პატეფონის მხიარულ ბგერებსა და ცოლის ბედნიერ ცრემლებს შორის რაღაც საიდუმლო კავშირი იყო.

კიდევ უფრო დააკვირდა და უნებლიეთ სიცილი წასკდა. ხუბიასულის ლამაზი სახე მალაროებიდან წამოყოლილი ქმრის ტანსაცმლის ნაცრით იყო გათხუპნული.

— სარკეში ჩაიხედე, ქალო, რას დამსგავსებიხარ!

— ეს არაფერია, — ღიმილით თქვა ხუბიასულმა, ბედნიერება უნდა გახაროს.. კიდევ რაღაცის თქმა დააპირა ქალმა, მაგრამ შეჩქვეიფდა და ისეთმა კდემამოსილმა სიწითლემ გადაურბინა სახეზე, რომ ასლანბეგი მიხედა, რაღაც დიდი სათქმელი აწუხებდა და ვერ ეთქვა მეუღლეს.

— თქვი, გენაცვალე.

ხუბიასულმა თვალები პირდაპირ შეანათა ქმარს.

— სამახარობლო იქნება?! — ღიმილით წაჩურჩულა მან და სარკეს გახედა. — უიმე, მართლა რას ვგავარ?!

— უიმე კი არა, ბნელში ვფრთხალ კაცს შეაშინებ.

— მეც კინაღამ გული ელდამ გამიხეთქა, როცა პირველად მითხრეს...

— რა გითხრეს, ქალო, ასეთი? — გაკვირვებით ჰკითხა ასლანბეგმა და თანაც სქელი ბრეზენტის სამუშაო ტანსაცმლის გახდა დაიწყო.

— დღეს ექიმებმა მითხრეს, ფეხმძიმედ ხარო. ქმარი უცებ შეეტრიალდა მისკენ.

— რა თქვი?!

— ძეობას უნდა ველოდეთ, ასლანბეგ!

ყველაფერს ელოდა ასლანბეგი, მაგრამ ამას კი არა. იგი მხრებზე მოეხვია ხუბიასულს. მისი თავი ფრთხილად მკერდზე მიიხუტა და ნელა თქვა:

— მართლაც კარგი მახარობელი ყოფილხარ, ხუბიასულ.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო.

აი, ეს ბიჭი, — სკოლადამთავრებული ჭაბუკი ახლა ალაგირის ხეობისაკენ მიემგზავრებოდა.

ვასილი თვალებით გამოეთხოვა სკოლის ეზოგარეშოს და გზა-შარაზე გავიდა. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ ჭაბუკს მანქანა წამოეწია.

— საით მიდიხარ? — დაამუხრუჭა მის წინ ავტომობილი ფართობეჭიანმა მძღოლმა.

— სადონში მივდივარ, — მოკლედ მოუჭრა ვასილმა.

— აბა დაჯექი.

კაბინაში მძღოლის გარდა ორი მგზავრი იჯდა და ამიტომ ვასილი ძარაზე აფოფხდა.

მანქანა მალე შეძვრა ალაგირის ვიწრო და ღრმა ხეობაში.

სოფელ ტაბისკეში გოგირდის სუნით იყო ყველაფერი გაბრუებული.

კარგი დარი იდგა. კლდეთა ციცაბო კალთებზე მზის სხივები თამაშობდნენ. მათი მაღალი მწვერვალები ღრუბლებით იყო დაბურული. ქვეით ამწვანებული სათიბები ნელ ქარში ზღვასავით ღელავდა. ალაგ-ალაგ თითქოს ვისმეს კლდის ნამსხვრევის თეთრი ხრეში მოეყაროს, ისე მოჩანდა მობალახე ცხვრის ფარები. კლდის მაღალ შვერილზე მთის არწივივით ჩამომჯდარიყო ნაბადმოსხმული მწყემსი. კლდეებზე მისსვრეული ქაფიანი მდინარის გიჟმაჟ ხმას მწყემსის სალამურის სევდიანი ხმა უერთდებოდა. ხევის გალმა-გამოღმა თვალუწვდენელ სივრცეში შეტყორცნილიყო მაღალი მთის მწვერვალები. უკან დარჩა ხილით მდიდარი დალამაზი ბული უნალი. თანდათან გამოჩნდა მეშაღაროელების პატარა ქალაქი — მიზური. ამ ბოლო დროს ასეთი ქალაქები ბევრი გაჩნდა კავკასიის ჩრდილო კალთებზე: სადონი, გალონი, ზგიდი და ბურონი. ისინი ლამაზი შენობებით და განათებული ქუჩებით ღამით შორიდან ანათლების ნაძვის ხეებავით მოჩანან. კიდევ უფრო მაღლა, არწივის

ხუდეებივით იხედებიან აულები ცეი, ხარომაგი და ნარი.

ამ პატარა აულში დაიბადა ოსეთის ხალხის სწორუპოვარი მომღერალი ლევან ხეთაგათის შვილი — დიდი კოსტა. მისი პოეტური სალამურის ხმაში ჩაქსოვილი იყო ხალხის ცრემლი და სიბეჩავე. ხალხის ტანჯვის უტყვი მოწამენი კლდეთა ფლატეში ეშლებოდნენ, მწვერვალებს შორდებოდნენ და გრგვინვით სცვივოდნენ ქვემოთ. სიღარიბის ბწარე და მდუღარე ცრემლები ადნობდა ყინულის ცივ, გაულხობელ ზოდებს და იბადებოდა ხალხთა მრისხანების აბობოქრებული დაუოკებელი. მდინარეები.

ოდესღაც უუფლებო და დაბეჩავებული ოსეთი ახლა თავის ბედნიერ ცხოვრებას სჭედს და კვესავს. საბჭოთა ქვეყნის თანასწორუფლებიანი სხვადასხვა ხალხების მძლავრ სიმღერებში მისი მხიარული სიმღერაც შორს ეფინება გარემოს.

ავტომანქანა თანდათან ზევით, სადონისაკენ მიიწევდა. ხეობის ერთ მხარეზე, ზევიდან, ურსხოხის მთა იყო გადმომდგარი. იგი მაღლიდან ისე ამაყად დაჰყურებდა მეშახტეთა ქალაქს, თითქოს ამბობდა: — ეჰ, იცით თუ არა თქვენ, რა დოვლათს ვინახავ თქვენთვის?! — ვასილმა თვალი ააყოლა ურსხოხის ციცაბოს და მისი საყვარელი მასწავლებლის ნათქვამი გაახსენდა:

„მაღაროში ჩასული მუშა-კაცი მიწის გულზე დაკრული წალკატის წვერის ქვეშ ხან თუნუქივით ბზინავ მადანს წააწყდება, ხან მტრედისფრად მოლივლივე ძარღვს. იქ ნაპოვნ სიმდიდრეს ალიონის ბრწყინვალება ახლავს, მოწმენდილი ცის ალმოსავლეთით რომ იფეთქებს ნათენების ჟამს.

ამ საგანძურის პოვნა მუშა-კაცის უდიდესი სიხარულია.

სწორედ მიწის ქვეშ შემონახულ ამ დოვლათის მოსაპოვებლად მიდის სადონში ვასილი.

სწორედ ამიტომ სწავლობდა ყველაზე უკეთესად სასწავლებელში ასლანბეგის პირშმო.

ამიტომ უყვარს ვასილს მემაღაროელთა ეს ქალაქი.

ჭაბუკს გული თანდათან სიხარულით ევსება. მანქანა უფრო და უფრო უახლოვდება სადონს.

ახალი სადონი აღარ ჰგავს ძველს. მოკირწყლული ქუჩებით და მრავალსართულიანი სახლებით ახლა იგი კეთილმოწყობილი, კოპწია, ლამაზი ქალაქია.

ცოტა კიდევ და ავტომანქანა გრიალით შევიდა სადონში.

შუადღე იყო. ვასილმა იცოდა, მშობლები ახლა სამუშაოზე იქნებოდნენ და ამიტომ სახლისკენ არ შეუხვია, იგი პირდაპირ სამმართველოში შევიდა.

დირექტორის კაბინეტის წინ ათამდე კაცი იდგა. ისინი ორი-სამი წუთით შედიოდნენ კაბინეტში და სწრაფად თავისუფლდებოდნენ. ვასილს ცდა დიდხანს არ დასჭირებია.

როდესაც მან კაბინეტის კარი შეაღო, შენიშნა, დიდ საწერ მაგიდას წარმოსადეგი, ფართომხარბეჭიანი ვაჟკაცი უჯდა.

ვასილმა მოსვლის მიზეზი აუხსნა და საბუთები მიაწოდა.

მაგიდის ხელმარჯვნივ, გაკრიალებული შუშის სარკმლიან კარადაში სხვადასხვა მადნის ნატეხები ეწყო.

სანამ დირექტორი საბუთებს სინჯავდა, ვასილმა კარადას დაუწყო თვალიერება.

ნატეხები მწყობრად და თვალგასახარლად ელაგა სქელი მინის თაროებზე.

— „აი, ამ დოვლათის მოსაპოვებლად იფეთქებენ მემაღაროელები მიწის წიაღს“, — გაიფიქრა მოსულმა.

დირექტორმა საბუთების გადათვალიერება დაამთავრა და ქაღალდის ერთ კუთხეზე მიაწერა: — „ამხანაგ უასჩე არსაგოვს“. — სანამ წერას დამთავრებდა, თავი ასწია და ახალგაზრდას ჰკითხა:

— სად ცხოვრობ, ბინა თუ გაქვს?

— მაქვს, — უპასუხა ვასილმა.

— ბინა გაქვს? — ხელმეორედ ისე შეეკითხა დირექტორი, თითქოს ნათქვამი არ გაეგონოს.

— ჩემი მშობლები აქ ცხოვრობენ. — მოკლედ მოსჭრა ვასილმა.

დირექტორი დაკვირვებით დააცქერდა ჭაბუკს, მერე თითქოს რალაცა გაახსენდაო, ისევ შეეკითხა:

— შენ, მგონი, ასლანბეგ ახსართის შვილი უნდა იყო!

— დიახ. — დინჯად უპასუხა ვასილმა.

— უყურე, შე წაქიხვრეპიავ, განა მე დაგავიწყდი? აი, შე ნაღებით გასუქებულო მჩხავანა კა-

ტავ! — მხიარულად წამოდგა დირექტორი და ვასილს მოეხვია.

მოსულმა ახლა უცებ იცნო მამამისის მეგობარი მაგოვეტა.

„ეს ხომ ტექნიკოსია, აქ რას აკეთებს ნეტავ?! — თავისთვის გაიფიქრა ვასილმა.

— აბა, მომავალო ვაჟკაცო, მაღაროში წახვალ?! მამის ხელობას და გზას ხომ არ უღალატებ?

— რასაკვირველია, მაღაროში წავალ.

დირექტორი უკან გაბრუნდა, ყურმილს ხელი მოჰკიდა და მეექვსე შახტი გამოიძახა.

— ვინ არის ტელეფონთან? ასლანბეგს დამიძახეთ. — ერთი ორჯერ ისე შეისუნთქა ჰაერი, ბიჭისათვის თვალი არ მოუშორებია.—ვინ მელაპარაკება? აჰა, სამთო ტექნიკოსი ასლანბეგ ახსართი ხომ? მაშ გილოცავ შენი ბოკვერის სასახელოდ დაბრუნებას. სასწავლებელი „ფრიდზე" დაუმთავრებია. ვინ მაცნობა?! ჩიტმა მომიტანა ამბავი, აი აქ დგას შენი ვაჟკაცი, ჩემთან არის, ნამდვილად მართალს გეუბნები. საღამოს გიახლებით სახლში. სამახარობლო მე მეკუთვნის, ხარზაგკურაგკაგი კარგი, კარგი, იცოდე, აუცილებლად მოვალ.

დირექტორმა ყურმილი ღიმილით ჩამოკიდა.

— აბა, ახლა, ძამიკო, სახლისკენ მოუსვი, დაისვენე. მამაშენი შეხვედრას გიწყობს, ვახშამს მართავს. ხომ იცი, ადათისამებრ შენ უნდა მოგვემსახურო.

გაოგნებული ბიჭი დირექტორს მისჩერებოდა.

— რა, გიკვირს, რომ მამაშენი მეექვსე შახტაში მუშაობს ახლა?! ამან, ძამიკო, საღამოს სკოლა დაამთავრა შენს აქ არ ყოფნაში და ახლა უკვე უბნის ტექნიკოსია. ორი თვეა, რაც ამ თანამდებობაზე მუშაობს. შენ კი, როგორც გეტყობა, არც კი იცოდი! მოუსვი-მეთქი, ხარზაგკურაგკაგი შენზეა, ხომ იცი, როგორ ძღვენს ვიღებ მეშახტეებისაგან,—მან ღიმილით მოხვია ისევ მკლავები ვასილს და კარადისკენ წაიყვანა.

— აი ასეთ ძღვენს ეღებულობ.

შუშის თაროზე ისევ ბზინავდა სხვადასხვაგვარი მადნის ნატეხები. ფანჯრიდან შემოსული მზის ელვარე სხივების ქვეშ ისინი თვალისმომჭრელ ლივლივი ფერებს აბნევდნენ კაბინეტში.

• •

უასჩე არსაგთმა დირექტორის ბრძანება უსიტყვოდ შეასრულა და ახალგაზრდას სამუშაოზე ადგილი მიუჩინა.

დღეები გავიდა. ერთხელ აღელვებული ვასილი ისევ მასთან დაბრუნდა.

— სასწავლებელი მე მერვე თანრიგით დავამთავრე, თქვენ კი მეხუთე თანრიგის სულ სხვა ხასიათის სამუშაოზე გამგზავნეთ, გეგმა არ უნდა შეასრულო?!

უასჩე ჩაფიქრებით შეაჩერდა ბიჭს.

— ყოსპოლატ ბულაცთის ბრიგადაში თუ წახვალ?

— წავალ, რატომ არ წავალ!

მეორე დღეს ვასილი საგზურით მივიდა ყოსპოლატთან.

ეს ბრიგადა გამოცდილ მეშახტეებისაგან შედგებოდა.

დუეტაგაზი ენაკვიმატი კაცი იყო და როცა მას შეხედა, მუშებს გადაუჩურჩულა: — ამ ცხვირმოუხოცელ ბიჭუნას აქ რა უნდა ნეტავი? — ის, ალბათ, კიდევ უფრო შეურაცხმყოფელ სიტყვებს იტყოდა ბრიგადირისათვის რომ თვალი არ შეევლო.

ყოსპოლატ ბულაცთმა შუბლი შეიკრა.

ენამწარე დუეტაგაზი მიხვდა, ბრიგადირს არ ეპაშნიკა მისი სიტყვები და უცებ ჩაჩუმდა.

ვასილს ესიამოვნა ბრიგადირის თავდაჭერილობა. ამ დღიდან ასლანბეგ ახსართის ბიჭმა ამ ბრიგადაში დაიწყო მუშაობა. მაღაროში მუშაობა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ვასილს ეჩვენებოდა, რომ აქ იგი ვერაფერს ვერ მიაღწევდა. დილით მხიარული და ჯანლონით სავსე ეშვებოდა მაღაროში, მზად იყო გოლიათურად ემუშავნა, ყველაფერი გაეკეთებინა, ოღონდ გეგმა შეესრულებინა. დღის პირველ ნახევარში ამხანაგებს ტოლს არ უგდებდა, შემდეგ კი მისთვის გაურკვეველი მიზეზით უკან რჩებოდა, იქანცებოდა, ძალ-ღონე ელეოდა.

ვასილს ახსოვდა ზღაპარი ბებერი ხარისა და მოზვრის შესახებ. დილით სამუშაოზე მიმავალ ხარსა და მოზვერს შემხვედრნი ჰკითხავდნენ თურმე: — საით მიდიხართ, ძმობილებო?

მოზვერი ტრაბახით და მხიარულად უპასუხებდა: — ყამირის სახნავად მივდივართო! საღამოს მუშაობის შემდეგ ბებერი ხარი ამბაკად, მაღლა

აწეული რქების ქნევით ჩამოიელდა ისევ, მას დაღლა არ ეტყობოდა, მოზვერი კი წელს ძლივს მიათრევდა. თავჩაქინდრული მირატრატებდა. ფუხლები ეკეცებოდა. სწორედ ასე ემართებოდა ვასილსაც. მეშატხეები სამუშაოდან ისევ მხიარული და ჯანსაღი სიცილით ბრუნდებოდნენ, ვასილი კი დაღლილი და გულჩათხრობილი უღიმღამოდ მიჩანჩალებდა ნელინელ.

ერთხელ სამუშაოდან მოდიოდა. გეგმის შესრულების მაჩვენებლების დაფასთან მუშები შეგროვილიყვნენ. იმოდა მათი მხიარული სიცილ-ხარხარი. ყოსპოლატ ბულაცთიც იქ იყო. ვასილი ბრიგადირის დანახვამ იქითკენ წაიყვანა. დაფაზე ლამაზად დაწერილ სახელსა და გვარის გასწვრივ შესრულების მაჩვენებლები იყო მოხატული. ვასილი უნებლიეთ დაუკვირდა დაფას. ზოგი ერთნახევარ ნორმას აკარბებდა, ზოგი კი ორმაგად ასრულებდა გეგმას. თავის სახელსა და გვარსაც დაადგა თვალი. ვასილ ახსართის პირდაპირ 70 პროცენტი ეწერა.

ტანში გასცრა ასლანბეგის პირმშოს. მან აბნეულად მიმოიხედა გარშემო, მისი თვალები ყოსპოლატის თვალებს წააწყდა და სასლმა სახეზე გადაუარა.

„მიწა რომ გაირღვეს და შიგ ჩამიტანოს, ისა ჯობია ახლა" — გაიფიქრა ვასილმა. უცებ ქალიშვილების სიცილიც შემოესმა.

— ვაი, საწყალი! ისე დასუსტებულა, თავისი ნორმაც კი ვერ შეუსრულებია, — წაიჩურჩულა ერთმა.

— რატომ, ყოჩალი ბიჭი ჩანს, ხომ ხედავ, ჯერ ერთი თვეც არ უმუშავნია და უკვე კუს ზურგზე მხედარივით გადამჯდარა, — ჩაიქირქილა მეორემ.

— ნელა ივლი, შორ მანძილს გაივლიო, ხომ გაგიგონიათ ხალხური ანდაზა, — ისევ ხმამაღლა გადაიკისკისა ერთმა მათგანმა.

ვასილს სირცხვილის ბოლმა მოაწვა. იგი შუბლშეკმუხვნილი მიაჩერდა ქალიშვილებს. თითქოს ელვამ გაჰკრიაო, ერთი მათგანი იცნო. ეს იყო ლიდა. ეს ქალიშვილი მაღაროების უმცროს ლაბორანტად მუშაობდა. მისი გრძელი ნაწნავები ბეჭებიდან წელამდე სირმებივით ეკიდა, შავი თვალები ნაკვერცხლებივით კვესდნენ. შოლტივით ტანი და მომხიბვლელი ღიმილი, ბროწეულისფერ ლოყებთან ერთად, ყველას აჯადოებდა.

მისმა ვარსკვლავჩაბუდებულმა თვალებმა ვასილის გულშიც თბილად შეარხია სასხლი. ახლა კი, ვასილმა ლიდა მის დამცინავ ქალიშვილების მხარეზე იგულა. გული დასწყდა, სული შეუგუბდა. ახალგაზრდა ბიჭი თავის თავზე იმის გამო გაბრაზდა, რომ ოცნებაში ლიდა, მომხიბვლელ სილამაზესთან ერთად, გულწრფელ და კეთილ გოგონად წარმოედგინა. მართალი რომ თქვას კაცმა, ქალიშვილების გულისმომკვლელი სიცილის შემდეგ, როცა ვასილმა ლიდას შეხედა, გოგონამ ცისკარივით შეანათა თვალები და თანაგრძნობით გაეღიმა. ახალგაზრდა მეშაღაროემ უწინდელივით ღიმილით არ უპასუხა. ვასილმა დუმილით ჩაუარა.

ლაბორატორია შესასვლელთან იყო მოთავსებული. დილით მიმავალი ვასილი ახსართი ყოველთვის ცდილობდა მის ფანჯრებთან გაევლო. თუმცა ლიდა წინ არ შეეგებებოდა ხოლმე, მაგრამ ქალიშვილის თვალები დიდხანს აცილებდა ვაჟის ანთებულ სახეს. ახლა, ლიდას ასეთმა ქცევამ, რომელსაც თან ახლდა უცხო, მიმინოსავით ცხვირნისკარტა ქალიშვილის დამცინავი ღიმილი, თითქოს გააქარწყლა მისი წინანდელი განწყობილება ლიდასადმი. რასაკვირველია, მას რომ საკუთარი თვალით არ ეხილა და უშუალოდ არ მოესმინა გოგონების დამცინავი სიტყვები, ლიდას მიმართ ეჭვს როგორ გაიკარებდა გულში! ათასგვარი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ფიქრი და ჯავრი მოპყვა ვასილ ახსართს სახლში. გაიძრო ტანსაცმელი თუ არა, იგი სადილის უქმელად ჩაეშვა საკარძელში.

ახლა ყოსპოლატი დაუდგა თვალწინ ვასილს.

ეჰ, როგორ შეშურდა ახლა ყოსპოლატის ბედი ასლანბეგის პირმშოს?! მან კარგად იცოდა, როგორი სიყვარულით და პატივისცემით ეკიდებოდნენ მუშები თავის ბრიგადირს.

განა სხვანაირად შეიძლებოდა?! ყოსპოლატი ყოველთვის გულწრფელი მონაწილე იყო მუშების ფიქრის, მათი დარდისა და სიხარულისა. ვასილმა კარგად შენიშნა, როცა ქალიშვილები იცინოდნენ, ყოსპოლატი მათ მიუახლოვდა და ჩუმი ხმით რაღაც უთხრა. იმ უცხო, მიმინოსავით ცხვირნისკარტა გოგონამ კიდევ უფრო გადაიხარხარა, ლიდა კი თითქოს შეკრთა და გაწითლდა. ყოველ შემთხვევაში ასე მოეჩვენა ვასილს.

„რა უნდა ეთქვა მათთვის ყოსპოლატს? შეიძ-

ლება მანაც ცუდი რამ თქვა ვასილ ახსართზე! რა არის აქ გასაკვირი! ნის მიერ გეგმის შეუსრულებლობამ ხომ მთელი ბრიგადა დასწია უკან? მისი მიზეზით ხომ ყველამ სირცხვილი სჭამა?!" — ფიქრები თანდათან შორს გაექცნენ. ვასილს გაახსენდა სკოლის ეზო-გარემო, იქ გატარებული დღეები, სწავლა. მას ეჩვენებოდა, პერფორატორი, რომელზედაც იგი მუშაობდა, საკმაოდ კარგად ვერ შეისწავლა. თავის ოცნებაში იგი ამ მანქანას ნაწილებად შლიდა, სამკედლოში ხელმეორედ სპეედდა და ისევ აწყობდა. მაინც არაფერი არ გამოდიოდა. პერფორატორი არ ემორჩილებოდა. სად არის შეცდომა? რატომ ვერ იმორჩილებს ამ მანქანას ვასილ ახსართი? ბრიგადის ზოგიერთ წევრს სულაც არაფერი არ უსწავლია, სასწავლებლის კარები არც კი უნახავს. საქმე კი გამოუდით, ორჯერ მეტ მაჩვენებლებს იძლევიან. ალბათ ამიტომ უყურებს ყოსპოლატი ცუდი თვალით მას. სხვანაირად არც შეიძლება. ვასილის მიზეზით ბრიგადა ხომ უკანუკან იწევს.

— რა უნდა ეუთხრა მამას ახლა? — ხმამაღლი გაიმეორა თავისი ფიქრი ასლანბეგის პირიშომ და ისევ თავისთვის დანაგრძო: — განა ასეთ შეილზე ოცნებობდა ცნობილი · მეშახტე ასლანბეგ ახსართი? რასაკვირველია, არა, მე ვერასდროს ვერ შევცვლი მამაჩემს, — დაასკვნა ახალგაზრდა მემაღაროემ.

ასეთ ბოლმასა და უსიამოვნო ფიქრებში იყო ვასილი, რომ კარების ჭრიალი მოესმა. აიხედა. დაუპატიჟებლად მოსული ყოსპოლატი კარებთან იდგა. ვასილმა შენიშნა, რომ ბრიგადირს ტანსაცმელი გამოეცვალა. დარაიას ხალათი ზონარშემოვლებული ბალთიანი ქამრით ჰქონდა შემოკერილი, დიაგონალის შარვალი შავ ჩექმებში ჰქონდა ჩატანებული. ღია წაბლისფერი ბუხრის ძვირფასი ქუდი თავზე ოდნავ გვერდზე მოეგდო. შორიდან ჩვეულებრივზე უფრო ახალგაზრდა მოჩანდა. მას ხელს უწყობდა სუფთად გაპარსული წვერ-ულვაშიც.

ვასილი სწრაფად წამოდგა და როგორც მასპინძელს შეეფერება, სტუმარს დარბაისლურად მიაწოდა სკამი. გულმა კი მაინც რეჩხი უყო.

„ალბათ სერიოზულად უნდა მომელაპარაკოს, მე ხომ უკან დავწიე მთელი ბრიგადა! — გაიფიქრა ისევ ვასილმა. — შეიძლება, როგორც მამაჩემის ახლო მეგობარს, სურს გულდაგული მესაუბროს".

ვასილის თვალები სწრაფად გადარბოდა ერთი ადგილიდან მეორეზე. მან აბნეულად გაიხედა მეორე ოთახში, სადაც ახლა მამამისი ჩვეულებრივად ტახტზე არ იწვა და წიგნს არ კითხულობდა.

ყოსპოლატი მიხვდა ბიჭის დაბნეულობას.

მან ვასილს შუბლზე ფრთხილად დაადო ხელი.

— ავად ხომ არა ხარ, ვაქაკო! — ჰკითხა მან.

— არა, — მოკლედ მოუჭრა ვასილმა.

— აბა, ჩაიცვი, სწრაფად მოემზადე, კლუბში უნდა წავიდეთ. მითხრეს, შეტად საინტერესო კინოსურათი მოსულა. უნდა ვნახოთ.

ვასილი შეშფოთდა, იგი თავის ყურებს არ უჯეროდა. ამას არ ელოდა. მან სწრაფად დაუპირა მომზადება, მაგრამ ისევ ჩაფიქრდა და შეჩერდა.

„არა, ყოსპოლატი ასე უბრალო საქმეზე ჩემთან არ მოვიდოდა. იქნებ ენდა ხალხში გამჯოროს და შემარცხვინოს. „აბა შეხედეთ, — იტყვის ალბათ ბრიგადირი, — ბიჭებს უკან ეწევა, დავალებას არ ასრულებს, კინოში კი ისე დაეხეტება, თითქოს სადარდებელი არაფერი ჰქონდეს!"

ვასილს ფერი ეცვალა.

— უკაცრავად, მაგრამ მე ვერ წამოვალ, — ძლივს ამოიღო ხმა ვასილმა.

— რატომ ვერ წამოხვალ?!

— აქ რაც გინდათ, ის მითხარით, ბრიგადირო, — ხმა აუთრთოლდა ვასილს, — გამლანძღე, გამთათხე, შენს წინაშე დამნაშავე ვარ, მაგრამ ნუთუ ხალხში გინდათ თავი მომჭრათ, შემარცხვინოთ... — მის ხმას ახლა ცრემლი ჩაეწვეთა. მერე ხმა სულ ჩაუწყდა.

— შენ აზრზე არა ხარ, ჭაბუკო, ეს რა გიფიქრია, ბიჭო! — ყოსპოლატმა ბეჭებზე სათუთად მოჰხვია ხელი და ლოგინზე მასთან ერთად ჩამოჯდა. იგი ასე იჯდა პატარა ხანს, მერე ჯიბისკენ წაიღო ხელი, პატარა უბის წითელი წიგნაკი ამოიღო. ფერშეცვლილ ყდას ეტყობოდა, რომ იგი დიდი ხანია მის ჯიბეში იმყოფებოდა.

ბრიგადირმა ფრთხილად გადაშალა წიგნაკის პირველი ფურცელი.

— აბა, ძმობილო, ეს წაიკითხე, მეშახტის საიდუმლოებას გაიგებ: შენ შენი გიკვირს, ახლა ჩემიც ნახე! „თვიური გეგმა მხოლოდ 35 პროცენტით შეასრულე, სამმართველოს კედლის გაზეთში

ვეები კუზე პირუკუღმა დამსვეს. ფეხქვეშ მიწა რომ გამრღვეოდა და უფსკრულში ჩავეტანე, ის მიჯობდა. 1938 წელი, მეშვიდე თვე". — ეს ბრიგადირის ხელით იყო უბის წიგნაკში ჩაწერილი.

ვასილს უნებლიეთ გაეღიმა.

— შენ ახლა იცინი, მეგობარო, და მე კი მაშინ თავჩაქინდრული დავდიოდი, სახეზე ვერავისათვის შემეხედა, გავნადირდი, უკარებელი გავხდი. დღეღამე ერთ რამეზე ვფიქრობდი, — მოზოზინე კუს ზურგიდან თვითმფრინავის ფრთებზე მოვხვედრილიყავი. აკი მასაც მოვაჯექი. ახლა არც ვაპირებ გადმოხტომას. ბრიგადირს თვითონაც გაეღიმა. მან მზრუნველად მოუცაცუნა მეგობრის პირმშოს ხელი და ისევ განაგრძო:

— შენ ნუ მოიწყენ, ძმობილო, მაგრად დადექი, არ შეშინდე, ახლა კი იქ წავიდეთ.

კლუბის ეზოში, ფართოდ გაშლილ მდელოზე, მეშახტეები ირეოდნენ. მათი ომახიანი შეძახილი გარემოს გუგუნით ეფებოდა. ცნობილი გარმონისტი იალბუზა გრძნობით ახვევდა გარმონს. ერთი მოტივი მეორეს სცვლიდა. აქ თქვენ მოისმენდით მომხიბლავ რუსულ სიმღერებს, გიორგაჟ უკრაინულ საცეკვაოს, ცერებზე შემდგარ თვალწარმტაც ოსურს, ამაყ და მხიარულ ქართულ სახუმარო ცეკვებს. ოდესღაც მივიწყებული და ბნელით მოსილი ხეობა ოქტომბრის მზეს გაენათებია. სხვადასხვა ხალხთა სიმღერებს რიგ-რიგად მღეროდნენ და თავის ხმას უერთებდნენ მშრომელთა საერთო მოძახილს.

ცეკვა თანდათან გახურდა. მოცეკვავეები გაცეცხლდნენ და აი, სწორედ იმ დროს, როცა ერთმა თავმომწონე ახალგაზრდა ოსმა თავისი ცერები არ შეიცოდა და ფეხის ფრჩხილებზე შემდგარმა შეევარდენივით შემოუქროლა საცეკვაო წრეს, ყოსპოლატი და ვასილიც მივიდნენ მოცეკვავეებთან.

ახალგაზრდამ, რომელსაც ცეკვა მიპყავდა, ყოსპოლატს შეხედა თუ არა, იმ წუთშივე მასთან გაჩნდა.

— ახლა თქვენი რიგია, ბრიგადირო!

ახალგაზრდობამ მორიდებით დაუთმო გზა ყოსპოლატს. იგიც იმ მხარეს წავიდა, სადაც ძველი, გამოცდილი და პატივსაცემი მემაღაროელები ჩამომსხდარიყვნენ.

გარმონისტ იალბუზას მათ შუა მოერთხა ფეხი და თვალმინაბული წელავდა გარმონს.

ვასილი შედგა, მან გვერდზე გადგომა დააპირა. ყოსპოლატმა იგი არ გაუშვა, ხელი წაავლო და ძველ მემაღაროელებისკენ წაიყვანა.

ბრიგადირი თავდახრილი, მოკრძალებით მიესალმა იქ მსხდომთ და თავისუფალ ადგილზე დაჯდა. ვასილიც უნებლიეთ მის ზურგს უკან გაჩერდა. მან გარშემო მიმოიხედა. უხერხულობა იგრძნო. პატივსაცემ და დარბაისელ ძველ მუშებში მამას მოჰკრა თვალი და უფრო შეცბა. მისმა აბნეულმა თვალებმა პირველად ვერც ლიდა შეამჩნია, მხოლოდ მის მეგობარ მიმინოსნისკარტა გოგონას შეაელო თვალი, და ახლა შენიშნა მის ზურგს უკან მოელვარე თეთრი კბილები.

„არ მივესალმები", — გადაწყვიტა ვასილმა.

გოგონამ მოკუმა ტუჩები. მოულოდნელად ცეკვის წამყვანმა ლიდას წაავლო ხელი და ყოსპოლატს თვალით ანიშნა.

— ახალგაზრდობას დააძალეთ, ახალგაზრდობამ, — შიაძახა თავის მხრივ ბრიგადირმა და ვასილი ხელით წასწია წრისკენ.

მოულოდნელობისაგან ვასილი შეკრთა.

— აბა, ჩემო ბიჭო, არ მიღალატო, — ჩაუჩურჩულა ყურში ყოსპოლატმა. ახლა ვასილი უცებ გასწორდა, წელში გაიმართა, ბეჭები ასწორა და თითქოს მიმინო მტრედს დაედევნაო, ისე გადაფრინდა წრეში.

ახალგაზრდებმა შეხედეს ასლანბეგის პირმშოს, დაინახეს, როგორი მონდომებით უკრავდა ბრიგადირი ტაშს. თვითონაც უზოგველად დასცხეს ტაში. ლიდა ლეკურს ცეკვავდა. იგი ყელმოღერებული გედივით მიცურავდა წრეში. ლამაზ მწვანე კაბაში მსუბუქად მოგოგმანე მისი ტანი წარმტაცად ირხეოდა, არც ვასილი ჩამორჩებოდა გოგონას. ჭარიშხალივით ჩამოუქროლებდა ქალიშვილს წრეში და ფეხის ფრჩხილებზე შემდგარი გზას გადუქრიდა. ლიდა მხრების და წერწეტი ტანის ნარნარი რხევით შებრუნდებოდა, მის მხრებ ქვეშ ფართქალით უკან მოტრიალდებოდა და ისევ რხევით წავიდოდა წრეში. ასლანბეგი ამაყი გამომეტყველებით შეჰყურებდა შვილის მოხდენილ ცეკვას, თან კმაყოფილებით ჩაუკრავდა თვალს და ძველ ამხანაგებს სახუმრო სიტყვებს გადაულაპარაკებდა.

ამ დროს ვოლაამ ცეკვის ხელმძღვანელს უჩურჩულა, — კინოტექნიკოსმა ახალი სურათი მოიტანაო.

— ბოდიშს მოვიხდი, მეგობრებო, — განაცხადა

ცეკვის წამყვანმა. ვინც დღეს ცეკვაში თავი ისახელა, სიცოცხლე გაუხანგრძლივდეს, ხოლო ვინც თამაში ვერ მოასწრო, გვაპატიოს. ახლა გთხოვთ, კლუბის დარბაზში შებრძანდეთ, კინოსურათი მოგვიტანეს და ვუყურო.

ცეკვის დასრულების შემდეგ ვასილი ყოსპოლატთან მივიდა, ძველი მუშახტეები ახლა პატივისცემით ესალმებოდნენ ახალგაზრდას და ლეკურის მოხდენილად შესრულებას უქებდნენ.

— გისურვებ, — უთხრა ერთმა მათგანმა, — ყველაფერში ასე გამარჯვებით გამოსულიყო, როგორც დღეს ცეკვაში გაიმარჯვე.

ამ სიტყვებმა ცეცხლი მოუკიდა ბიჭს ტანში.

— „ჰმ, ყველაფერში გაიმარჯვეო", — გაიფიქრა მან და დაფაზე დაწერილი მაჩვენებლები გაიხსენა. მისი ფვარის გასწვრივ შემარცხვენელი ციფრი ახლა ისევ თვალწინ დაუდგა. გაირინდა. ცუდ გუნებაზე დადგა.

— აბა, ჩემო ძვირფასო ბიჭო, ნულარ დამიცდი, მე მოხუცებთან ვრჩები. შენ კი ტოლებს გაჰყევი.

ის იყო, ყოსპოლატს დაშორდა ვასილი, რომ მიმინოსნისკარტივით ცხვირმოკუნტულმა ჯოგონამ გზა გადაუჭრა.

— ერთად შევიდეთ კინოდარბაზში. — შეეპატიჟა ვასილს და თან გვერდით მყოფი ტანსორჩილი გოგონა გააცნო.

უცებ ლიდა გამოჩნდა. გვერდით უცნობი სამხედრო ახალგაზრდა კაცი მოჰყვებოდა.

ასლანბეგის ვაჟს ელდამ გაჰკრა.

აქამდე მას ეგონა, ლიდა არც ერთ ვაჟთან არ მეგობრობდა, ახლა კი იმ უცხო ვაჟის მიმართ შური აღეძრა.

— ვასილ! — შეშოესმა ლიდას კრიალა ხმა, — ქალიშვილი ვასილისაკენ წამოვიდა.

— გოგონებო, თქვენთან ბოდიშს ვიხდი. მხოლოდ ერთი წუთით წაგართმევთ ვასილს, ჯეორს ძალიან ინტერესებს მისი გაცნობა. — შიმარია მან გოგონებს.

— როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ, სიამოვნებით გითმობთ, — გაიღიმეს გოგონებმა და დარბაზში გაუჩინარდნენ.

ჯეორი ვასილს მიესალმა.

— უკაცრავად, რომ ქალიშვილებს დაგაშორეთ, — მოიბოდიშა ჯეორმა.

— ეჰ, ქალიშვილები კი არა, — გაიმართლა თავი ვასილმა.

— ჩემი დაიკო თქვენ ისე გაქებთ, რომ... — ის რატომღაც ცოტა შეჩერდა და მერე ისევ განაგრძო, — თუმცა ასეთი ცეკვის შემდეგ არც ისეთ დიდ სიბრძნედ ჩაითვლება ადამიანმა თქვენ რომ შეგაქოთ.

— მე თქვენ დას არ ვიცნობ, ან მე ის საიდან მიცნობს, ვერ გამიხსენებია?! — გაიკვირვა ვასილმა.

— ეს თვითონ მას ჰკითხე, — გაიღიმა ჯეორმა და ვასილს ლიდაზე უჩვენა.

— მე არც კი ვიცოდი, თქვენ თუ და-ძმა იყავით, — გაწითლდა ასლანბეგის პირმშო.

იმ ღამით ლიდამ, ვასილმა და ჯეორმა ერთად ნახეს ახალი კინოსურათი „ნათელი გზა".

• •

მეორე დღეს სამუშაოზე ვასილი კარგ ხასიათზე მივიდა. ყოსპოლატი შორიდან აკვირდებოდა, თუ როგორი ენერგიით აამუშავა მან პერფორატორი და როგორი გულისხმიერებით შეუდგა ქანების ბურღვას. მალაროში სასიამოვნო სიგრილე იდგა. აქა-იქ მხოლოდ ბურღვების ძგრიალი ისმოდა. დროგამოშვებით მორღვეული ქანი დაიგუგუნებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ყოსპოლატმა შენიშნა, თუ როგორ დაებერა შუბლის ძარღვები ვასილს და როგორ წურბელებივით გაუშავდნენ ისინი.

ბრიგადირმა თავის სამუშაო მიატოვა და მასთან მივიდა.

— ცოტა ხანს შეისვენე, მეგობარო!

ვასილი გაოგნებით შეაჩერდა ყოსპოლატს.

— თუ ძმა ხარ, ერთ შეკითხვაზე მიპასუხე.

— ბრძანეთ, — გაოცებით ჩაილაპარაკა ვასილმა.

— აბა, შენს გაზრდას, მითხარი, ლენინმა რა თქვა თეორიის და პრაქტიკის ურთიერთობის შესახებ?

— თეორია პრაქტიკის გარეშე მკვდარია, ხოლო პრაქტიკა თეორიის გარეშე ბრმა ხდება, — მოწაფესავით სხაპასხუპით უპასუხა ვაჟმა.

— აი, ხომ ხედავ! ამ თეორიულ ცოდნას ცხოვრებაში გამოყენება უნდა. შენ, იქ, სკოლაში, რაინდი იყავ, კარგად სწავლობდი, ეს ჩვენ ვიცით, ამისი ძალა შენ გეყოფნიდა. აქ კი მალაროელის საქმე მარტო ძალაზე როდია დამოკიდებული. აქ მოხერ-

ხება და ძალის განაწილებაა საჭირო. სულ თხუთმეტი წუთია, რაც მუშაობა დაიწყე და სახე შეგწვარ კიბოსავით გაგიწითლდა. ასე არ ვარგა, ასე დიდ ხანს ვერ გაუძლებ, შენ ხომ ფიზკულტურელი ახალგაზრდა ხარ, ნუთუ სირბილში შორს მანძილზე არავის შეჯიბრებიხარ?! ხომ იცი, მანძილის პირველი ნახევარი ძალის გამოზოგვით უნდა ირბინო, შემდეგ კი თანდათან უნდა უმატო სისწრაფეს. ასე თუ არ მოიქეცი, წაგებ, ძმაო, ნამდვილად წაგებ. პერფორატორზე მუშაობაც ასე უნდა ძალლონის დაზოგვაა საჭირო. თუ ის იმ თავითვე დახარჯე, ბოლომდე ვერ გაუძლებ. დღის ბოლომდე არ გეყოფა. აბა, დაუკვირდი, ვაჟკაცო, ბურღის წვერი ქვესკნელში ჩაგიყურავს. საღამომდე ვერც ერთი გოლიათი ვერ შესძლებს ასე მუშაობას. მართლაც, შენ ასე რომ იმუშაო, ხუთი კაცის საქმეს გააკეთებ, შენ კი ნორმასაც ვერ ასრულებ!

ყოსპოლატმა თვითონ დააჭირა პერფორატორს და ახალგაზრდა ახსართს მაგალითი უჩვენა.

— დღეს ასე იმუშავე, შემდეგ კი ვნახოთ, რას გეტყვის ხვალინდელი დღე. ხომ მიხვდი, ბიჭო, რაც გითხარი?!

მან პერფორატორი ისევ ვასილს გადასცა.

იმ დღეს დილიდან საღამომდე გულისხმიერად იმუშავა ბიჭმა.

საღამოს ყოსპოლატმა ვასილს უთხრა, რომ მან გეგმა ოთხმოცი პროცენტით შეასრულა.

ათი პროცენტის მომატება ესიამოვნა ასლანბეგის პირმოთეს.

„დაღლითაც შედარებით ცოტა დავიღალე", — ფიქრობდა ის.

— მაღაროში მუშაობა, ძმობილო, დიდად საპატიო საქმეა. არ დაგავიწყდეს, ვასილ ჩემო, ჩვენ მხოლოდ ექვს საათს ვმრომობთ დღეღამეში, ზოგიერთი ახალგაზრდა ზედმეტად იღლება და დავალებასაც ვერ ასრულებს.

ვასილმა თქვა, ყოსპოლატი ახლა იტყვის, — „აი, მაგალითად, როგორც შენო", — მაგრამ მან ეს არ თქვა.

— აბა სად არის საიდუმლო? — იკითხა მან და ისევ განაგრძო. — მე ვფიქრობ, შენ მას გუშინ მიაგენი. ყოველდღე იმავე საშუალებით თანდათან უნდა გააუმჯობესო მუშაობის მეთოდი და ბოლოს გაიმარჯვებ კიდეც. შენი ტოლი ბიჭებივით გადააჭარბებ დღიურ დავალებას.

• •

ბევრი რამ ასწავლა ყოსპოლატმა ახალგაზრდა მაღაროელს. ბიჭი ახლა უკვე თავის ადგილზე იდგა. მაჩვენებლები დღითი დღე მაღლა იწევდა. ახლა ყველაფერი ახარებდა ვასილს. ის გრძნობდა, რომ თანდათან ეუფლებოდა მაღაროში მუშაობის საიდუმლოებას. ერთ დღეს მაინც ცდუნება შეეპარა სულში და ისევ ძველებურად მოქნევა სცადა.

ყოსპოლატი იმ წუთშივე მიუხვდა.

— აბა, ეგეები ისევ არ დაიწყო, რატომ ჩქარობ, ძმობილო, ასე განა ამხანაგებს დაეწევი? არა, ძმაო, ასე არ გამოვა. არ დაგავიწყდეს, ჩვენი ბრიგადა საჩვენებელი ბრიგადაა.

„ჰოდა, საჩვენებელი ბრიგადა რომ არის,' იმიტომაც ვაწვები გულბოყვით", — თავისთვის ჩუმად გაიფიქრა ახალგაზრდა ახსართმა, მაგრამ ყოსპოლატს მაინც დაუჭერა და ქალაპოტში ჩადგა. მიხვდა ბიჭი, რომ ბრიგადირი მართალს ამბობდა. გამოცდილება თანდათან ემატებოდა, ძალა უფრო და უფრო ეზრდებოდა. ყოველდღიურმა სპორტულმა წრთვნამაც მის დავაჟკაცებას უფრო შეუწყო ხელი. მართალია, სკოლაში გოლიათივით ჩანდა, მაგრამ ახლა უნდა გენახათ ასლანბეგ ახსართის ვაჟი. მისი სხეული მომწიფდა, ამოიძერწა, მკერდი აეტსო და წინ წამოეწია, ბეჭები გაუმაგრდა, გაუფართოვდა და აქეთ-იქით გადაეშალა. ერთი სიტყვით, მისი სხეული დავაჟკაცდა და ძალ-ღონით შეივსო.

მოახლოვდა თვის ბოლო. ნამუშევარი შეაჯამეს. დაფაზე ვასილ ახსართის გვარის პირდაპირ ას ორი პროცენტი ეწერა.

ასლანბეგის ბიჭს ტანში სითბო და სინათლე ჩაუდგა. უხაროდა, რომ საწადელს მიაღწია.

„ცოტა კიდევ და ტოლებს დავეწევი!" — ფიქრობდა ის და გულში იღიმებოდა. ახლა იგი დაფაზე მიწერილ მაჩვენებლებს აღარ ერიდებოდა, მისგან დარცხვენილი აღარ გარბოდა. მან კარგად იცოდა, ვერავინ დასცინებდა ასლანბეგ ახსართის ჩამომავალს. იმ დღეს ყოსპოლატი წამოეწია და მხარზე ხელი დაჰკრა. ვასილი შეკრთა.

— გამარჯვებას გილოცავ, ბიჭო, ჩემო საყვარელო ბიჭო!

— გამარჯვებას? — უცებ დაიბნა ახალგაზრდა მაღაროელი.

— გამარჯვებას, მაშ! ეს დიდი გამარჯვებაა, ძმობილო, დედ-მამას გეფიცები, გულწრფელად

გილოცავ. — ვასილი კრძალვით შეიშვეშნა და გაწითლდა.

— გამარჯვება მოიპოვე, — გაბაკრძობდა ყოსპოლატი, — მაგრამ წინ მაინც უნდა იარო, კიდევ მეტი ძალღონით იარო. მოპოვებულით დაკმაყოფილება ვაჟკაცი კაცის საქმე როდია! აბა შენ იცი, ძმაკაცო, უმაღლესი მაჩვენებლები უნდა დაიწერო შენი გვარის პირდაპირ.

ვასილი სახლისკენ კარგ ხასიათზე წავიდა. ლაბორატორიაში შეიხედა, მაგრამ ლიდა იქ არ დახვდა.

„მოწინავე ჰაღაროელებს უნდა გავუტოლდე და მათ ფეხდაფეხ ვიარო", — ფიქრობდა გზადაგზა ვასილი და სახლს უახლოვდებოდა. ხეებზე ჩიტები ისე ტკბილად ეღეურტულებდნენ, ვასილს ეგონა, ისინი ახლა მის სათქმელს ეუბნებოდნენ ქვეყანას.

„ჰაღაროელის ბედნიერებას" კი ვერ დავივიწყებ, ოდესმე მეც უნდა ვნახო მიწის წიაღში ჩამალული უცხო მადანი". — ისევ გაიფიქრა ბიჭმა და სახლის კარები შეაღო.

სახლში დედა დახვდა. ხუბიასულს წინსაფარი აეფარებინა და ხელები ცომში ჰქონდა ჩაყოფილი. შეხედა თუ არა შვილს, წინ გამოეგება.

— მალე ყველანი შეიკრიბებიან, ახალი ტანსაცმელი ჩაიცვი, შვილო, ასე ხომ არ შეხვდები სტუმრებს?

— რა იყო? დედა, რა მოხდა?! — გაიკვირვა ვასილმა. სწორედ ამ დროს მოულოდნელად მეორე ოთახის კარებიდან ლიდა გამოვიდა. ქალიშვილს ხელში თეფშები ეჭირა.

ახლა სულ დაიბნა ასლანბეგის ვაჟი. იგი გაოცებული თვალებით შეაჩერდა დედას და ლიდას.

ქალიშვილი არ დაიბნა.

— აი, გამოცხადდა ჩვენი ახალგაზრდა მემაღაროე! გილოცავთ გამარჯვებას. დღეს მე დაფაზე წავიკითხე შენი გამარჯვების ამბავი. ახლა კი ცოცხლად, მომეხმარე სუფრის გაწყობაში.

— ჰოი, შენ შემოგველე, ჩემო ბიჭო, — წამოიძახა დედამ, მეც გილოცავ, შვილო, გამარჯვებას. შენ მამაშენის სიხარული უნდა ნახო; ხელი ცას უწვდება, ერთ ადგილზე ვეღარ ჩერდება კაცი. დღეს ლხინს აწყობს. აი, ჩემი პირველის გამარჯვების, მისი სკოლის დამთავრების აღსანიშნავი ლხინი იყოსო. აბა, დაუჩქარეთ, სტუმრები მალე მოვლენ. მომზადება გინდა, შვილო, პატეფონი არ დაგავიწყდეთ.

სასტუმრო ოთახის კარები შეაღო ვასილმა და ღიმილი მოერია. გაშლილი სუფრა სავსე იყო ხორაგით. მხოლოდ ცხელი კერძები არ ეღაგა, თორემ სხვა არაფერი აკლდა. სანამ ვასილი პირს დაიბანდა, ხუბიასულის დავალებით, ლიდამ კოსტიუმი მოუმზადა. ძვირფასი, ახალთახალი ხალათი, ბოსტონის მუქფერ კოსტიუმთან ერთად, რომელიც ახლახან შეიძინა ვასილმა, მეტად უხდებოდა. ამ ტანსაცმელში მისი სხეული უფრო მიმზიდველი და ვაჟკაცური ჩანდა. ლიდა მოიხიბლა მისი სილამაზით, ქალიშვილს სახეზე სიამოვნების სიწითლემ გადაჰკრა. ვასილს რომ არ შეემჩნია ყოველივე ეს, იგი განერიდა ვაჟს, სუფრასთან მივიდა და საინების დალაგება დაიწყო.

— ახალი კოსტიუმი ძალზე გიხდება, ბედნიერად ვეტარებინოს, — დამორცხვებით ჩაიჩურჩულა ქალიშვილმა.

— მადლობელი ვარ, — წყნარადვე უპასუხა ვაჟმა. იგი ახალ კოსტიუმში ისე გრძნობდა თავს, თითქოს უცხო მასპინძელთან იყო სტუმრად. ვასილმა პატეფონს დაადგა თვალი.

— იქნებ მოვმართოთ? — ჰკითხა მან ლიდას. ახალი პატეფონი გაწკრიალებული იდგა რაფაზე.

ვაჟმა მომართა იგი. სანამ ვასილი ფირფიტას დაადებდა პატეფონის მბრუნავ დისკოს, ლიდა გალურსული უცდიდა მას. ოთახში სიმღერა გაისმა:

> მზეკალავ ჩემო, რისთვის შეგხვდი სვებედნიერსა,
> ჯანა გაუძლებს ჩემი გული შენს ტანის რხევას, შენს ნარნარ ხმებსა?!

ლიდა მიხვდა, რომ ვაჟმა მის თვალებში ამოიკითხა მისი გულის ფიქრი და ეს ამ სიმღერას ათქმევინა. ჯერ კიდევ დრო არ დამდგარიყო, მათ ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ თავისი გულის ნადები.

თანდათან სტუმრებით აივსო სახლი. ახალგაზრდებმა ცეკვა-თამაში გამართეს. შუაღამე გადასულიყო, როცა ლხინი დასრულდა. სტუმრები თავიანთ სახლებისაკენ წავიდნენ.

• •

ვასილი წელში ნელინელ გაიმართა. მისი საწარმოო ჰიღწევები თვიდან თვემდე ზევით და ზევით იწევდა. ერთხელ მაღაროს კედლის გაზეთში

მისი სურათი და დიდი წერილიც მოათავსებს. შიგ მოთხრობილი იყო, თუ როგორი გულისხმიერებით მუშაობდა ახალგაზრდა მეშაღაროე.

„ფართო ჰორიზონტია მის წინ გადაშლილი, ვასილ ახსართი გეგმას ერთნახევარჯერ და უფრო მეტი გადაჭარბებით ასრულებსო“, — ამთავრებდა წერილს ავტორი.

— ახლა თამამად გეტყვით, — ეუბნებოდა სამმართველოს უფროსს ვასილის შესახებ ყოსპოლატ ბულაცი, — რომ სანდო მოადგილე მყავს. ყოსპოლატს კარგა ხანია უნდოდა სხვაგან გადასულიყო სამუშაოდ, მაგრამ შემცვლელის უყოლობის გამო ვერ მიდიოდა.

სამმართველოს უფროსმა ვასილი თავისთან გამოიძახა. მისთვის არც კი უკითხავს, თანახმა იყო იგი თუ არა, ისე უბრძანა:

— საჩვენებელი ბრიგადის ბრიგადირად უნდა იმუშაო!

ყოსპოლატის წასვლამ მაინც იქონია გავლენა ბრიგადის მუშაობაზე; გასულ თვეებთან შედარებით გეგმის შესრულების მაჩვენებლებს ხუთი პროცენტი დააკლდა.

ეს გარემოება ჯეტაგაზის ბრალი იყო.

შური ჩაიდო ბიჭმა გულში. რატომ ის დააყენეს ბრიგადირად და არა მეო. ავადმყოფობა მოიგონა. სამუშაოზე ორი დღე არ გამოცხადდა. ვასილმა გაიგო თუ არა ჯეტაგაზის ავადმყოფობა, იყიდა საჩუქრები და ამხანაგი ინახულა.

ჯეტაგაზი სირცხვილში ჩავარდა.

„ახალგაზრდა ბრიგადირისათვის მხარი უნდა დამეჭირა, მე კი ავადმყოფობა მოვიგონეო, — ფიქრობდა და ვასილისთვის თვალებში ვერ შეეხედა. — პატიება უნდა ვთხოვო, შეცდომა უნდა გამოვასწორო“, — განაგრძობდა თავისთვის ფიქრს ჯეტაგაზი.

— დღეს უკეთა ვარ, — წაილუღლუღა ბოლოს მან, — ღამის ცვლაში გავალ სამუშაოდ.

— არა, ასე არ ივარგებს, — დინჯად უთხრა ვასილმა, — ღამით გაციცდები და უფრო ცუდად გახდები. თუ საჭირო იქნა, მე ვიმუშავებ ორივე ცვლაში. თუ ძმა ხარ, შენ ლოგინიდან არ ადგე, — შეეხვეწა იგი ჯეტაგაზს.

ამ სიტყვებმა ალმური მოუკიდა ცრუ ავადმყოფს. მან არ იცოდა, სად დამალოდა სირცხვილს.

ვასილის წასვლის შემდეგ იგი სწრაფად წამოდგა და ღამის ცვლაში გავიდა. დილით კი ბრიგადირთან ერთად ჩაეშვა მაღაროში.

ვასილი ნაწყენი დარჩა, რომ ჯეტაგაზმა მას არ დაუჯერა და ლოგინიდან ადგა.

ივ დღეებში მათ გვერდით კრეტოვის ბრიგადა მუშაობდა.

— შეჯიბრში უნდა გამოვიწვიოთ, — უთხრა ერთხელ ბრიგადის წევრებს ვასილმა და ბიჭებს თვალი მოავლო.

— გამოვიწვიოთ, მხოლოდ საიდუმლოდ დარჩეს, — ჩაფიქრებით თქვა ჯეტაგაზმა.

— საიდუმლოდ შესანახი აქ რა გვაქვს, განა თავის იმედი არა გაქვს თუ? — გაიკვირვა ძველმა მუშამ ნიკოლოზ ხარლამოვმა. — მე ასე ვფიქრობ, ბრიგადირო, — მიუბრუნდა იგი ვასილს, — შენ მოიფიქრე და ხელშეკრულება მოამზადე, ჩვენ ყველანი ხელს მოგიწერთ. ასე აჯობებს.

მეორე დღეს ხელმოწერილი ქაღალდი მიხეილ კრეტოვის ბრიგადას გაუგზავნეს.

ორივე ბრიგადის ბიჭები შრომის ალმურში გაეხვივნენ. ხან ერთი მიდიოდა წინ და ხან მეორე.

მადნის მოპოვებამ თანდათან იმატა. ყოველ ახალ დღეს გამარჯვება მოჰქონდა.

ერთხელ კრეტოვის ბრიგადამ ძალიან წინ წაიწია.

ვასილმა ბიჭებს თავი შეუყარა.

— ჩამორჩენის მიზეზი უნდა გამოვარკვიოთ, ამხანაგებო, — დაიწყო ვასილმა.

სიტყვა არ დაესრულებინა, რომ ბრიგადის ერთი წევრი ჯეტალაგი წინ წამოდგა.

— ჩამორჩენის მიზეზი მე ვარ, — წყნარად თქვა მან.

ყველანი გაოცდნენ. ორი ახალგაზრდა, რომელიც შორიახლო იდგნენ, წინ წამოდგა.

— ადგილი ვერ მოვამზადე, ბურღები ღრმად არ ჩავუშვი ქანებში, ამიტომ, როცა ავაფეთქე, მხოლოდ ერთი მუჭა მადანი მოვანგრიე. შეცდომას გამოსწორება უნდა, საღამოს ცვლაზე უნდა გავიდე დანაკლისის შესავსებად.

— ბოდიში, ჯეტალაგ, მამის ტოლი კაცი ხარ და საყვედურის თქმა მეძნელება, მაგრამ სათქმელი უნდა გითხრა, განა შენ არ იცი ჩვენი მადნის სიმაგრე?! განა ამ ფართობზე ასე მცირე და ზერელე გაბურღვით დაახვევენ მადანს?! რასაკვირველია,

ვერა. ღამის ცვლაზე გასელა რა საჭირო. თუ ასე ვიმუშავეთ, კრეტოვის ბრიგადა კიდევ უფრო ჩამოგვტოვებს უკან. ისეც ძალზე ჩამორჩენილები ვართ.

— დამნაშავე მე ვარ, ბრიგადირო, და შეცდომას მევე გამოვასწორებ, ჩემი მიზეზით არ მინდა საქმის გაფუჭება.

ჯეტალაგის შეცდომამ ვასილს მწარე გაკვეთილი აგება. თუ ამდენხანს თვითონაც ცვლაში მუშაობდა, ახლა მან ამხანაგებსაც დაუწყო შემოწმება. თუ რაიმე ნაკლს შეამჩნევდა, გამოცდილ მუშებს ჰკითხავდა და საქმეს თავს მოაბამდა.

ჯეტალაგმა მონდომებით დაიწყო მუშაობა. ახლა ბრიგადაში ხარლამოვთან ერთად, მასზე წინ არავინ იყო. ბიჭებიც თანდათან გაფიცხდნენ, თანდათან დაეუფლნენ გამარჯვების საიდუმლოებას. ციფრები ზევით და ზევით იწევდა.

შეჯამების დრო ახლოვდებოდა. ჯერ კიდევ არავინ იცოდა, თუ რომელი გაიმარჯვებდა. ბრიგადები ღელავდნენ. აი, თვის ბოლომაც მოაღწია. ყველანი გულის კანკალით ელოდნენ შედეგებს. კრეტოვის ბრიგადამ ასორმოცდაათი პროცენტი უჩვენა, ახსართელებმა—ას სამოცდათორმეტი. ეს დიდი გამარჯვება იყო. მთელს მაღაროში ,ისინი პირველ ადგილზე გამოვიდნენ.

— ვასილ ახსართი ნიჭიერი და თავიანი ახალგაზრდაა, — ეუბნებოდა ამის შემდეგ ცვლის პარტორგი სამმართველოს უფროსს.

— რა გინდა ამით თქვა? — შეეკითხა თავის მხრივ უფროსი პარტორგს.

— მე ვფიქრობ, კარგი იქნება მისი ბრიგადის გამოცდილება მაღაროებს მოვფინოთ. ინსტრუქტორად გადავიყვანოთ ახალგაზრდა ახსართი. იქ დიდ სარგებლობას მოგვიტანს.

ბრიგადის წევრებს ძალიან ეწყინათ ვასილის სხვა სამუშაოზე გადასვლა.

ისინი ჯერ სამმართველოს უფროსთან გაიქცნენ და შემდეგ პარტორგთან.

— თქვენი ბრიგადა საუკეთესო ბრიგადაა, სხვები კი ჩამორჩენილია, მათ დახმარება უნდათ. ვასილის გამოცდილება ახლა ყველა ბრიგადაში უნდა გავავრცელოთ, ასე სჯობიაო, — უპასუხეს აღელვებულ ბიჭებს.

ვასილმა ინსტრუქტორად დაიწყო მუშაობა. ჩამორჩენილი ბრიგადები სამოცდათხი პროცენტით ასრულებდნენ გეგმას. საჭირო იყო დახმარება.

სამუშაო ადგილი სახიფათო იყო, მცოცავი ნიადაგი ყოველ ნაბიჯზე ბიგებით გამაგრებას მოითხოვდა. ნაჩქარევად და უგულოდ დამაგრებული ადგილები ხშირად ირღვევოდა და ყოველთვის საჭირო იყო გაწმენდა-გასუფთავება. ამას დიდი დრო მიჰქონდა.

ვასილმა ამ გარემოებას მიაქცია მთავარი ყურადღება. ბრიგადამ თანდათან დაიწყია თავი ჩამორჩენას. ბიჭები თანდათან მიეჩვევნენ დროის ზუსტად გამოყენებას და ვასილის გამოცდილებას დაეუფლნენ. ამ თვის გეგმა ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა.

ახლა ვასილი მეორე ბრიგადას ჩაუჯდა.

ერთხელ ვასილმა ლაბორატორიებისაკენ გაიარა და ლიდასთან შეიხედა, საჭირო იყო ამოღებული მადნის ხარისხის და სიმაგრის გასინჯვა.

ლიდა ლაბორატორიაში დახვდა, იგი მადნის უცხო ნატეხის გამოკვლევას აწარმოებდა.

ვასილი რომ დაინახა, ლიდას სიხარულისაგან სახე აუვარდისფერდა. ქალიშვილს გულმა სასიამოვნოდ დაუწყო ძგერა.

— ცოტა ხნით დაჯექი, — წყნარად, ჩურჩულით თქვა მან.

— ბარემ მინდა დარჩენა, მაგრამ დრო არა მაქვს, შენ, ლიდა, ის მითხარი, როგორი ხარისხისაა თემირას ბრიგადის სამუშაო ადგილზე ამოღებული მადანი?

— იქით მიდიხართ? — შეეკითხა ლიდა.

— კი, იქით უნდა წავიდე, — ჩაფიქრებით თქვა ვასილმა და თან დააყოლა, — საიდან იცი, მე რომ იქით უნდა წავიდე, და ან ეს რატომ გაინტერესებს?

— არ ვიცი, — ისევ ჩაიჩურჩულა გოგონამ. — ერთი კი ცხადია, — ახლა თვალებში შეხედა ვასილს ლიდამ, — იმ უბანში მეტის გაკეთება არ შეიძლება. მადანი ძალზე მაგარია, თუჯვითაა, დინამიტს არ ემორჩილება.

— მაჩვენე.

— აიღე, აგერ არის, — ლიდამ ვასილს მიაწოდა მადნის ნამტვრევი.

ვაჟი დიდხანს ატრიალებდა და აკვირდებოდა მადნის ნატეხს, ჩაქუჩიც დაარტყა, მაგრამ ერთი ნამსხვრევიც ვერ ჩამოატეხა.

— სწორედ მისი უბნის მადანია, — შენიშნა ისევ ქალიშვილმა.

— მაინც უნდა ვცადოთ, — თითქოს თავისთვის თქვა ვაემ და წასასვლელად მოემზადა.

— გახსოვს შენი მუშაობის პირველი დღეები? — გაიღიმა ლიდამ.

— მახსოვს, — გაეღიმა ვასილსაც, — ისიც კი არ დამავიწყდა, თუ როგორ მითხარი მაშინ: — საწყალი, ძალა არა აქვს, თავის გეგმასაც ვერ ასრულებსო.

ლიდას შერცხვა.

„არ უნდა გამეხსენებინა", — გაიფიქრა მან. სიტყვა ბანზე რომ აეგდო, თვალები ეშმაკურად მოკუტა და ვასილს შეეკითხა:

— ერთი მითხარი, შენ როდის მოპიტან „მაღაროელის ბედნიერებას"? — აი შეხედე ლაბორატორიის თაროებს, შენს გარდა ყველამ თავისი წვლილი შემოიტანა, შენ კი აგვიანებ.

სუფთა მაგიდაზე და თაროებზე მადნის სხვადასხვაგვარი ნატეხები ბზინავდნენ.

— მე ჯერ ვერ შევხვდი ასეთ „ბედნიერებას", — კრძალვით და მორცხვად თქვა ვასილმა. მისდა უნებლიეთ გულმა ისე დაუწყო ბაგაბუგი, თითქოს სატრფოს უარი ეთქვას მისთვის.

„მართლაც უკვე დროა, ახალი მადანი ვიპოვო. ჩემი ნაპოვნი განძიც უნდა იყოს მის მაგიდაზე", — გაიფიქრა ვასილმა.

საყვირმა დაიგუგუნა. ვასილი გამოეთხოვა ლიდას და თემირას უბნისაკენ წავიდა.

— დღეიდან თქვენთან უნდა ვიმუშაო, — უთხრა ახალგაზრდა ახსართმა თემირას გაცნობის შემდეგ.

— ბრიგადირობიდან მომხსნეს? — ხმაჩაწყვეტით იკითხა თემირამ.

— არა, როგორ გეკადრებათ, მე მხოლოდ დასახმარებლად მოვედი, — აუხსნა ვასილმა ბრიგადირს.

თემირს სახეზე შუქი მოეფინა, ხმასაც სიტკბო და ხავერდი შეემატა.

— ჰე, ნეტავ ვიცოდე, ჭაობიდან ამოსვლას თუ მოვესწრები. ათი წელი მაღაროში ვმუშაობ, მაგრამ ასეთი ბერწი ქანი არ მინახავს. ტანჯვა-წვალებაა და ჭეტი არაფერი. დინამიტი ულონია მის ასაფეთქებლად. — ვასილს ლიდას სიტყვები გაახსენდა. მისი აზრიც ხომ ასეთივე იყო. ვასილი დაფიქრებით მიადგა კლდის ცხვირწამოწვდილ ქანს. კარბიტის სანათური ახლოს მიანათა, ხუთ ადგილას გამოჩნდა ბურღით გახვრეტილი ქანი.

— დინამიტი როდის უნდა ჩასდოთ?

— ახლავე, ამავე წუთს.

— ბევრი მადანი გინდათ დაახვაოთ ამ ხუთი ნაბურღით? — იკითხა ვასილმა.

— ერთ ცვლაში ამაზე მეტს ვერ გავბურღავთ! — წყნარად უპასუხა თემირამ.

— სულ რამდენი პერფორატორი გაქვთ? — გაოცებით შეეკითხა ისევ ახსართი.

— ერთი პერფორატორი და ოთხი ხელის ბურღი.

— ამ კლდის აფეთქება ასე არ მოხერხდება, კიდევ სამ ადგილზე უნდა გაიბურღოს.

„კი, მაგრამ, გენაცვალე, — გაიფიქრა თემირამ, — ასე ჩვენ დღის ნახევარ ნორმასაც ვერ შეავასრულებთ". — ეს მხოლოდ გაიფიქრა, ხმამაღლა კი არაფერი თქვა.

ვასილის შესახებ ბევრი რამ გაეგონა და ამიტომ ძალიან აინტერესებდა მისი აზრი. ფიქრობდა, იქნებ მოეცხრო და ჩემი ბრიგადაც მოწინავე ბრიგადებს შორის აღმოჩნდესო.

ვასილმა თავისი დაიკინა. წინათ ამ ბრიგადაში დღის პირველ ნახევარში აფეთქებდნენ კლდეს, მეორეში კი ჩამონგრეული მადანი გამოჰქონდათ. ახლა საღამომდე მხოლოდ ბურღავდნენ და ხვრეტდნენ ქანებს. დაღამების ჟამს კლდის ზაგარ ქანზე რვა ნაბურღი მოჩანდა.

— აბა, ბიჭებო, ახლა დინამიტები ჩადეთ, — გასცა განკარგულება ვასილმა.

ცოტა ხნის შემდეგ პირველმა აფეთქების ხმამ დედამიწა შეაზანზარა. მაღლა შეტყორცნილი კლდის ვეება ქანი გვირაბის თაღებს ნიაღვარივით მიასკდა და შემდეგ ნაკადებად ჩამოზვავდა მაღაროში. ამას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე. ეს უზარმაზარი ქანი კვნესოდა და ბრთოდა, ყრუ და ძლიერი აფეთქებების ხმა ვრთიმეორის მიყოლებით ისმოდა. უკანასკნელი, მერვე აფეთქებაც დასრულდა და მუშები საფრებიდან, ყოველი მხრიდან გამოცვივდნენ.

— ოთხი-ხუთი ცვლის მანძილზე არ. მოგვირღვევია ამდენი მადანი, — ამბობდა სიხარულისაგან თვალებგაბრწყინებული თემირა, — მზად ვარ, თითოეულ მიწის გრეგას მოეეხვეო და დავკოცნო.

ბრიგადის ბიჭები სიხარულით შესცქეროდნენ ბრიგადირს და ვასილს.

საღამოს ვასილმა მაღაროს უფროსს სთხოვა, თემირას ბრიგადისათვის, ხელის ბურღების ნაცვლად, ერთი პერფორატორის და სამი კაცის დამატება.

ბრიგადა თანდათან დაწინაურდა. თემირამ და ვასილმა დროის ზუსტი განრიგი შეიმუშავეს. არც ერთი წუთი არ იკარგებოდა.

ბრიგადაში უკვე ისმოდა ვასილისა და თემირას ქება. ბიჭებმა ამაყად დაიწყეს ტოლებში სიარული.

* * *

იმ დილით კარგი ამინდი იდგა. კრიალა ვარსკვლავებს ცაში უკვე მილეოდათ ფერი და ნელინელ ფითრდებოდნენ. აღმოსავლეთით თანდათან ნათლდებოდა. ცაზე უკვე პირველი სხივები ამოიწვერა. ბიჭები მაღაროებში ჩაეიდნენ კარბიტიანი ნათურებით. დინჯად მიაბიჯებდნენ ბიჭები გამაგრებულ გვირაბებში, მბეუტავ, მოლივლივე ნათურების შუქზე გოლიათებივით მიარხევდნენ ბეჭებს.

ვასილი მათთან ერთად ჩაფიქრებული მიდიოდა. პირზე ღიმილი უთამაშებდა ასლანბეგის პირმშოს. უბანზე მივიდნენ თუ არა, ბიჭებმა მუშაობა დაიწყეს. პირველმა ხმაურმა ვასილს ლიდას ნათქვამი გაახსენა.

„ნეტავი ოდესმე თუ მოვესწრება მივუტანო ლიდას საჩუქრად „მაღაროელის ბედნიერება?" — ფიქრობდა იგი.

ვასილმა უნებლიეთ ასწია ნათურა და კლდოვან ქანს მიანათა. აქა-იქ ვერცხლისფერ ნამივით ბზინავდა მადნის ფხვიერი ნატეხები. „მაღაროელის ბედნიერება" კი არსად არ ჩანდა.

ვასილი შეიკმუხნა, დარდი მოაწვა. მას სწამდა, თუკი „ბედნიერების განძს" — უცხო მადანს იპოვნიდა, იგი თავის გულის საიდუმლოს გაანდობდა ლიდას. „აუცილებლად უნდა ვიპოვო, აუცილებლად", — ატოკდა ისევ ბიჭი და საუზმისათვის განკუთვნილი შესვენება ისევ მის ძებნას მოანდომა.

— ხედავ, ბიჭები როგორი მონდომებით მუშაობენ! — ღიმილით და ხუმრობით უთხრა თემირმა ვასილს. — შენ რამ დაგაღონა?! — გაიოცა ახლა თემირმა.

— არაფერია, შენ, თემირ, ეს მითხარი, „ბედნიერების ქვა" თუ შეგხვედრია?

თემირი გაჩუმდა. იგი კარგა ხანს იყო ჩაფიქრებული.

— არა, სამწუხაროდ, არასოდეს არ შემხვედრია, მაგრამ რატომღაც მჯერა, რომ აუცილებლად ვიპოვნი ამ სანეტარო მადანს.

— ასე მტკიცედ რომ გჯერა, ეს კარგი ნიშანია. შეც მეჩვენება, მას სულ ახლო ხანში წავაწყდები, აუცილებლად ვიპოვნი. აი ახლა მელანდება, ავაფეთქებ თუ არა დღეს ამ კლდეს, ტყვიის და კალის მადანი გამოანათებს. „მაღაროელის ბედნიერება" ხომ სწორედ ეს მადანია.

— ეჰ, ერთი ასეთ ბედნიერებას მოვესწრებოდეთ და... — აღარ დაასრულა თემირმა სიტყვა.

დრო ნელა მიდიოდა. ვასილმა საათს დახედა.

— აბა, აფეთქების დროა, — წყნარად და ჩაფიქრებით თქვა მან. ბიჭებს თხუთმეტ ადგილას ჩაებურღათ კლდის გული. ეს დიდი მოვლენა იყო.

პატრუქს მოუკიდეს. აფეთქების ხმა ერთიმეორეს მისდევდა. ზევით ავარდნილი ბუღი და კლდის ნაჭხვრევები მძიმედ ეშვებოდა დაბლა. ისმოდა გრიალი და გუგუნი. ნისლისფერ ბუღში ხანდახან ელვასავით გაიკრიალებდნენ მადნის მბზინავი ნატეხები.

ეს კარგი ნიშანი იყო. თემირი პირველი გამოეარდა საფარიდან. ბუღი და ნისლი ჯერ კიდევ არ დაწმენდილიყო. ჰაერში დინამიტის სუნი იდგა.

— ვასილ! — მოისმა თემირას გაოცებული ხმა. ბიჭებს მოეჩვენათ, თემირს კლდის ნამსხვრევი მოხვედა და დაიჭრაო, ამიტომ საშველად სირბილით ყველანი მისკენ გამოიქცნენ. აფეთქებული ვეება კლდე მიწაზე ჩამოხეავებულიყო. როცა ბიჭები ახლოს მივიდნენ, ტანში ყველას ცრუოლამ დაუარა. დამსხვრეული და დაფშვნილი კლდე საოცრად ბზინავდა. ეს სრულებით არ ჰგავდა სხვა დროს აფეთქებულ მადნის ხვავს. ეს ნამდვილი „მაღაროელის ბედნიერება" იყო. ეს იყო ის განძი, რომელზედაც ასე ოცნებობდა ყოველი მეშაღაროე.

მუშები ჯერ შეკრთნენ, მერე კი თითქოს გაგიჟდნენო, ერთმანეთს დაუწყეს ხვევნა, კოცნა და მილოცვა.

ვასილი მეხდაკრულივით იდგა და თვალებგაშტერებით მისჩერებოდა კლდის შვერილს. რუხი ფერის კლდე, რომელიც ორიოდე წუთის წინ არაეითარ სიხარულს არ იწვევდა, ახლა, მის თვალ-

წინ მტრედისფერი ჭიქის ნამსხვრევივით ბზინავდა. თითოეული ნამსხვრევი ალიონის ვარსკვლავივით ისროდა სხივს და თვალს სჭრიდა.

მან ხელში სათუთად აიღო ერთი ნატეხი და სანათურთან მიიტანა.

— აი, ახლა, ჩემი საკუთარი ხელით აეიღე „მაღაროელის ბედნიერება", ხვალ დილით საღონის მაღაროელები გაიგებენ ამ სასიხარულო ამბავს. იგი მოედება უბნიდან უბანს, მაღაროდან მაღაროს. ეს სასიამოვნო ცნობა ჩვენს ეზო-გარემოშიც შეიხედავს. ყველას სულსა და გულს გაუხარებს. გაიგებს ისიც, ჩვენი მაღაროს ლაბორატორიის მუშაკიც. გაიგებს და ოცნებით გაიღიმებს. ახლა ვასილს თვალწინ ლიდას სახე აღევართა. იგი ამ ბრწყინავ მადნის ხვავზე შემდგარი მოეჩვენა ასლანბეგის პირმშოს. ნამსხვრევები ციცინათელებივით ირეოდნენ მის ფეხთა ქვეშ, ისინი თანდათან ეხვეოდნენ მის წვივებს, ნაზ ჰუხლებს და ქალიშვილიც ფართოდ გახელილი თვალებით გაღიმებული მისჩერებოდა ვასილს. იგი იღიმებოდა ჩვეული მწველი ღიმილით. მისი წამწამები ნაზად ირხეოდნენ, გრძელი დალალები ბეჭებს უკან გადაეყარა. ციცინათელები კი ისევ ერუანტელისმომგვრელად ირეოდნენ ლიდას გარშემო.

მისი მეოცნებე თვალები, ბედნიერებით აღსავსენი, სიამაყით მისჩერებოდნენ თავის გულის სატრფოს, თავის ვასილს.

— აი, ნამდვილი ბედნიერება, — წყნარად ჩაიჩურჩულა ვასილმა და თვითონაც გაიღიმა.



ნიკოლოზ გაგლოევი

პოტსდამის აღება

გრომოეის ფართოდ გაშლილ კორპუსს, რომელსაც წინ ტანკები ბოუძღოდა, იერიში მიჰქონდა ბერლინიდან 26 კილომეტრით დაშორებულ სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქალაქ პოტსდამზე.

გრიგორიევსკი პრიევთან ერთად მგზავრობდა შანქანით. იგი პოლკოვნიკს უყვებოდა ამ ქალაქის ისტორიას.

იქ ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში მეთევზეთა სლავური მოსახლეობა იყო. უფრო მოგვიანებით კი აღმოცენდა სავაჭრო ქალაქი, რომელიც შემდეგში ბრანდენბურგელ კურფიურსტებისა და პრუსიელი მეფეების სატახტო ქალაქად იქცა. მუზეუმებითა და სასახლეებით სავსე ქალაქი რეაქციული თავადაზნაურობის ცენტრი იყო. მოსახლეობის უმრავლესობას ამ წრიდან გამოსული ჩინოვნიკები და ოფიცრები შეადგენდა.

ქალაქში შემავალი გზები დანაღმული იყო. მგზავრობას აბრკოლებდა სანგრები და შეავები, გზაჯვარედინზე მოწყობილი დოტები და დზოტები. იერიშზე გადასულ საბჭოთა მებრძოლებს მოსვენებას არ აძლევდნენ მტრის მოხეტიალე ტანკები, რომლებიც ყველა მოხერხებულ ადგილს საფარად იყენებდნენ.

მტრის ავიაცია ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო. ჰიტლერელებმა ბერლინის მისადგომებთან გადმოისროლეს ყველაზე ძლიერი რაზმეულიმე საჰაერო ფლოტი. ფაშისტთა თვითმფრინავების მრავალრიცხოვანი ესკადრილია შეუსვენებლად ბომბავდა გზებს და აჩალებდა საჰაერო ბრძოლას. ღრუბლებიდან მოულოდნელად გამოსხლტომილი საბჭოთა გამანადგურებლები მამაცურად უტევდნენ მოწინააღმდეგეს.

ტანკისტები, არტილერისტები და ქვეითი ჯარისკაცები უცქეროდნენ ამ საჰაერო კარუსელს, რომელიც თითქმის განუწყვეტლივ ტრიალებდა ცაზე. მტრის დაზიანებული თვითმფრინავები ჰაერში ტოვებდნენ ბოლის შავ ზოლებს, ტრიალტრიალით მოჰქროდნენ და ბურღივით ერჭობოდნენ მიწაში. საბჭოთა საზენიტო ქვემეხები იმის შიშით, რომ ზიანი არ მიეყენებინათ საკუთარ თვითმფრინავებისათვის, ხშირად წყვეტდნენ ცეცხლს. ძნელად თუ დაუსხლტებოდა ცეცხლის ფარდას მტრის რომელიმე თვითმფრინავი, მაგრამ ისინი მაინც ახერხებდნენ ყუმბარების ჩამოყრას და აფეთქებდნენ საომარი მასალითა და სხვა სამხედრო საჭურველით დატვირთულ საბარგო მანქანებს. მოძრაობა მაინც არ წყდებოდა; დამტვრეული მანქანები მაშინვე გადაჰქონდათ საზიდრებით, მესანგრეები აესებდნენ ყუმბარების აფეთქებისაგან გაჩენილ ძაბრებს და საბჭოთა ჯარების უზარმაზარი ზვავი მიიწევდა წინ, გზადაგზა ებმებოდა გადამწყვეტ ბრძოლებში. დოტებსა და დზოტებს ცეცხლს უშენდა არტილერია. მის დასახმარებლად მოდიოდნენ მენალმეები. ესენი იყვნენ უშიშარი, ყველაფრის შემძლე მებრძოლები, გასაოცარი სიზუსტით მოქმედი ადამიანები. პრიევი და გრიგორიევსკი თვალყურს ადევნებდნენ მენალმეთა ჯგუფის მოქმედებას, ისინი სახიფათო ტვირთით

მიცოცავდნენ წინ, ხანდახან გადარბოდნენ კიდევაც საბჭოთა არტილერიის ცეცხლის საფარქვეშ და უახლოვდებოდნენ დოტებს. მუშაობდნენ მშვიდად და მეთოდურად, ეტყობოდათ, შეჩვეულნი იყვნენ ამ საშიშ პროფესიას. ცოტა ხნის შემდეგ მენაღმეები ცოცვით გამობრუნდნენ უკან. ყრუ, მძიმე აფეთქებამ შეაზანზარა ჰაერი და მაღლა ავარდა რკინაბეტონის ნამსხვრევები. რაღაც სასწაულით გადარჩენილი ერთადერთი გერმანელი გამოვარდა შეშლილი სახით და თავგზააბნეული გაიქცა გამყიანი ყვირილით. დაბლა დაშვებულმა მერცხლებმა გადაიქროლეს.

— ეს წვიმის ნიშანია, — თქვა გრიგორიევსკიმ შეწუხებული ხმით. ნუთუ კიდევ დიდხანს უნდა ვიწვეთ ამ სველ სანგრებში?

— დანაბდვილებით ვერ გეტყვი, — შენიშნა პრიევმა, — მაგრამ მგონია, რომ მალე ყველაფერი გამარჯვებით დამთავრდება.

გზაზე ხშირად ხვდებოდათ არხები, ნაკადულები და მდინარეები. იქ გროვდებოდნენ მებრძოლები აღლებითურთ. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები ჩაღდებოდა ჰაერში. საბჭოთა ასსები ჰიტლერელებს არ აძლევდნენ გადასასვლელებთან შეგროვილი მებრძოლების დაბომბვის საშუალებას. საკმაოდ დახელოვნებული ფაშისტური ძერები მაინც ახერხებდნენ ღრუბლებიდან გამოსხლტომას. ისინი სწორედ გადასასვლელებზე ყრიდნენ ყუმბარებს და გაქცევას ჩქარობდნენ. ხან საზენიტო ბატარეა უშენდა „ჰეინკელს", ხან საბჭოთა გამანადგურებელი დააცხრებოდა თავს და ძირს ჩამოგდებული მტრის თვითმფრინავი საკუთარი ყუმბარების მსხვერპლი ხდებოდა.

პრიევი ჩამოვიდა მანქანიდან. წინ ყველაფერი კვამლსა და ცეცხლში იყო გახვეული. ტანკებითა და არტილერიით გაძლიერებულ მაგეროვის პოლკს იერიშიმ მიჰქონდა მტრის გამაგრებულ კვანძზე, რომელიც გააფთრებით იცავდა თავს. ჩანდა, თუ როგორ მიიწევდნენ წინ მოკლე გადარბენებით მაგეროვის მსროლელები, როგორ ეცემოდნენ ძირს ადამიანები. პრიევმა დაინახა ჭალიდან გამობობღებული მტრის ტანკების ჯგუფიც, რომელმაც მსროლელებისაკენ აიღო გეზი. საბჭოთა მებრძოლები მიწას გაეკვრნენ. გამოჩნდა ჩვენი ტანკებიც და გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. პოლკოვნიკმა ადგილიდან დასძრა თვითმავალი ქვემეხები. ის არც კი გრძნობდა, რომ ცეცხლის ქვეშ იდგა, შუბლშეკრული გასცქეროდა ბრძოლის ველს. დაღვრემილობისაგან სახე გამკაცრებოდა. მას არ ღაუნახავს, თუ როგორ მიუახლოვდა მანქანა, არც პირასეევისა და პეტროვის თანხლებით მოსული გრომოვი შეუმჩნევია. პრიევის აზრით, საჭირო იყო გარღვევაზე გასულიყვნენ მარცხენა ფლანგიდან, სადაც უფრო ნაკლებად მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ გერმანელებმა მთელი ძალები მარჯვენა ფლანგზე გადაისროლეს. გრომოვმა სწრაფად შეაფასა მდგომარეობა და, თითქოს გუმანით მიხვდაო პრიევის განზრახვას, ხმამაღლა თქვა:

— უკეთესია სატანკო ასეულებითა და თვითმავალი ქვემეხების ბატარეით მაინც დავარტყათ მარცხენა ფლანგიდან, იქ უფრო ადვილია გარღვევა.

პრიევმა მოიხედა და გაკვირვებულმა მიიტანა ხელი ქუდთან.

— მეც მაგაზე ვფიქრობდი სწორედ.

— მაშ ასე, შეასრულეთ, — თქვა გრომოვმა და წინ წაიწია. ცეცხლი ძლიერდებოდა, ტყვიები სტვენით დაქროდნენ ჰაერში, ყუმბარის ნამსხვრევები კაწრავდნენ ხეებს.

ცისფერთვალება მხარბეჭიან ჯარისკაცს სისხლიანი ჩვრით შეხვეულ მარცხენაში შამხანა ეჭირა. მან ცერა თითით ტყვიები ჩააწყო და თითქოს გულმოსულიაო, ისე შეხედა გენერალს.

— ამხანაგო გენერალო, თავს გაუფრთხილდით. კოკა ყოველთვის კი არ მოიტანს წყალს. თქვენი ყოფნა საკომანდო პუნქტში უფრო საჭიროა. ეს კი... ეს ჩვენი, ჯარისკაცების საქმეა.

ის ისე იდგა, თითქოს თავისი ვეება ტანით უნდაო გენერლის დაფარვა. გრომოვმა ყურადღებით შეხედა ჯარისკაცს, გაიღიმა, თავი დაუქნია და მანქანისაკენ წავიდა.

საღამოს კორპუსის მოწინავე ნაწილებმა ბრძოლით დაიკავეს პატარა ქალაქი, კიდევ უფრო შეავიწროვეს მოწინააღმდეგე და გადარეკეს რამდენიმე კილომეტრით დასავლეთისაკენ. ახლა კი გუშაგები დააყენეს და ცოტახნით შეისვენეს. მოვიდა მოძრავი სავზარეულო. ჯარისკაცები კერძლებით გაიქცნენ წყალზე, პირს იბანდნენ და მხიარულად საუბრობდნენ. გაისმა ბაიანის მშვიდი ხმა, მოგროვდნენ მსმენელები, წრე შემოარტყეს

ბაიანისტს და ვიოლაცის რბილმა ტენორმა დაამღერა ისაკოვსკის ლექსი:

«Настал черед, пришла пора,
Идем, друзья, идем! —
За все, чем жили мы вчера,
За все, чем завтра ждем.

С берез — неслышен, невесом —
Слетает желтый лист.
Старинный вальс «Осенний сон»
Играет гармонист».

სიმღერის გაგონებაზე შეჩერდა საიდანღაც მომავალი პობედონოსცევი, ახალგაზრდა ქოჩორა ლეიტენანტი გაჩერდა ბაიანის ხმაზე და მოშორებით თადარიგში გასული მაიორიც ჩამოჯდა. იგი თავჩაღუნული იგრეხდა გაზრდილ ულვაშებს. სიმღერის ძალას შეებოჭა ჯარისკაცები და დაფიქრებული სახეებით იყურებოდნენ სადღაც შორს, თითქოს სამშობლოს და ახლობელ ადამიანებს ხედავენო. მეომრები ოცნებობდნენ იმ დღეზე, როცა გამარჯვებულნი დაბრუნდებოდნენ შინ.

პრიევი ქალაქის დასავლეთ გარეუბანში გაჩერდა. ქალაქის მიღმა იშლებოდა ველი, მას მოჰყვებოდა ჭალა, მარჯვნივ კი ეოჩანდა შავი ჯუჯა შენობები. იქ რაღაც ფუსფუსი იყო, სწრაფად მოძრაობდნენ შავი ფიგურები, ისმოდა ყრუ ხმაური. პრიევმა თვალებთან ბინოკლი მიიტანა. მან დაინახა გადახლართული მჩხვლეტავი მავთულების ღობე და ჯიხური. ეიხედა, რომ ეს სამხედრო ტყვეების ბანაკი იყო. პირველად როდი ხედავდა იგი ასეთ ბანაკს. პოლონეთში მან ნახა სიკვდილის უსაშინელესი ბანაკები ოსვენციმი და ვაიდანეკი, სადაც აწამებდნენ და შერე კი სწვავდნენ ასობით და ათასობით მშვიდობიან ადამიანებს, უდანაშაულო ბავშვებსა და ქალებს.

პრიევთან მიირბინა დაფლეთილტანსაცმელიანმა, საშინლად გამხდარმა კაცმა.

— ამხანაგო ოფიცერო, იქ ჩვენებია, უშველეთ, გაათავისუფლეთ ისინი.

პოლკოვნიკმა ხალხთან ერთად გასწია ბანაკისაკენ. მავთულხლართით დაფარული ჭიშკარი ღია იყო, როგორც ჩანდა, მცველები გაქცეულიყვნენ. ტყვეები მჭიდროდ მიკერდნენ ერთმანეთს. პრიევმა წამსვე იცნო თავისიანები, საბჭოთა ადამიანები. ჩქარი ნაბიჯით შევიდა შიგ და დაიძახა:

— რაღას უყურებთ, მეგობრებო, გამოდით!

ამ სიტყვებმა გამოაფხიზლა გაოგნებული ხალხი. ადამიანების მასა შეტოკდა, ჯერ ნელა დაიძრა, ხოლო შემდეგ მთიდან დაქანებულ ღვართქაფივით იხეთქა და ეიაწყდა კარებს. ტყვეები მორბოდნენ პრიევისაკენ ყვირილით, ტირილით. ხელების უწესრიგო ქნევით შემოეხვივნენ პოლკოვნიკს. პრიევი უყურებდა გამხდარ, მიწისფერ, ლოყებჩაცვენილ სახეებს, ჩაღრმავებულ თვალებს, გაძვალტყავებულ ხელებს, ჭუჭყიან, დაფლეთილ ტანსაცმელს და თვალწინ ეხატებოდა საბანაკო ცხოვრების მკაცრი ისტორია. იგი ალერსიანად ესაუბრებოდა ტყვეებს, ცდილობდა პასუხი გაეცა მათ მოზღვავებულ კითხვებზე.

— თავისუფალი ხართ, თავისუფალი, მალე ყველანი სამშობლოში დაბრუნდებით.

თერთმეტი წლის გოგონამ, როგორც იქნა გადაწყვიტა და პოლკოვნიკთან მორცხვად ეიეიდა.

— იქ ჩემი დედა წევს, — ჩუმად თქვა მან და ხელი ბანაკისაკენ გაიშვირა, — სიმართლე არ შეუძლია, რა ეშველება დედას?

ბავშვის ალალმა სიტყვებმა უფრო მეტი უთხრა პრიევს, ვიდრე მთელი ამ ხალხის გაწამებულმა სახეებმა. ეან გოგონას თავზე ხელი გადაუსვა და ალერსიანად უთხრა:

— შენ დედიკოს ჩვენ ახლავე ჰოსპიტალში წავიყვანთ, შენც მასთან ერთად წახვალ. მერე კი დედასთან ერთად შინ დაბრუნდები. შენ საიდანა ხარ, გოგონა?

— სმოლენსკიდან. დედა იქ მასწავლებლად იყო.

გოგონა გამომცდელი თვალებით უყურებდა პოლკოვნიკს. მას იმდენი უბედურება გადაეტანა, რომ არ სჯეროდა იმ საშინელი ცხოვრების დასასრული, რომელიც სუფევდა მაღალი ღობითა და დენჩართული მავთულხლართით შემოფარგლულ პირქუშ ბანაკში. უკან დაბრუნებული პრიევი ხედავდა, როგორ აჩეჩებდნენ ჯარისკაცები გათავისუფლებულებს პურის ნატეხებს, კონსერვებს, შაქარს. ურიგებდნენ საწერ ფურცლებს. კონვერტის უქონლობის გამო სამკუთხედად დაკეცილი თითოეული ასეთი ფურცელი, რომელზედაც განსაკუთრებული გარკვეულობით ეწერა მისამართი, სულ მალე მიეიდოდა სამშობლოში და ოჯახებში სიხარულსა და ბედნიერებას ჩამოარიგებდა.

ფოსტალიონმა ხარიტონამ სათითაოდ შეათვა-

ლიერა ტყვეები და მედიდურად განაცხადა:

— დაწერეთ წერილები და მე ჩამაბარეთ, ყველას დღესვე გავგზავნი.

კარგა შეღამებული იყო, როცა პრიევი უკან დაბრუნდა. იგი სავსე იყო შთაბეჭდილებებით. ფიქრობდა განთავისუფლებული ადამიანების ბედზე, ჩატარებულ ოპერაციაზე, რომელიც ისეთ ტენპებს მოითხოვდა, რომ პირის დაბანასა და სახელდახელო წასაუზმებასაც ძლივს ასწრებდა კაცი. მათ მოსვენება არ უნდა მიეცათ, კუდისძირამდე უნდა ედევნათ უკანდახეული მტრისათვის.

პოლკოვნიკმა გიმნასტურა და ხალათი გაიძრო. სამზარეულოში ცივი წყლით იბანდა პირს, თანაც სიამოვნებით ფიქრობდა, რომ წამოწვებოდა და ცოტას დაისვენებდა. სწორედ ამ დროს დააკაკუნეს და კარებში მაიორმა კუზინმა შემოჰყო თავი. მან გაუღიმა პოლკოვნიკს.

— რაო, შტაბში მიბარებენ? — იკითხა პრიევმა. კარგად იცოდა, რომ საქმეებით დატვირთული-მაიორი ტყუილად არ შეიწუხებდა თავს.

— აბა ხსვაგან სად დაგიბარებენ! — გაიცინა კუზინმა.

პრიევს გენერალი, როგორც ყოველთვის, მაგიდასთან დაუხვდა. იგი გაშლილ რუკას დასცქეროდა. წუთით შეავლო თვალი პოლკოვნიკს და ხელით ანიშნა, დამჯდარიყო. გრომოვმა ისე დაიწყო, თითქოს შეწყვეტილ საუბარს აგრძელებსო:

— ჰაშ ასე, უკრაინის პირველი ფრონტისაგან გამოყოფილ სატანკო კორპუსს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მიაქვს იერიში პოტსდამზე. — მან სწრაფად მოხაზა რუკაზე ორი მოხრილი წითელი ისარი, რომელთა ბოლოებიც პოტსდამის დასავლეთით ერთდებოდა, ერთი ისარი ჩრდილოეთიდან გამოდიოდა, მეორე — სამხრეთიდან. ჩაფიქრებულმა დახედა ისრებს და განაგრძო:

— როგორც ხედავთ, ქალაქი მარწუხში უნდა მოვაქციოთ. მარწუხის ორივე მხარე ერთდროულად უნდა შეერთდეს სწორედ იქ, სადაც ეს საჭიროა, — მან ფანქრის ერთი მოსმით მოხაზა პატარა წრე ისრების წვეროებს შორის.

გრომოვი დაღლილი მიაწვა სკამის ზურგს და პრიევმა უნებურად შეამჩნია მისი ჩაშავებული თვალის უპეები, ჩაცვენილი მკრთალი ღაწვები და ტუჩებთან მიყრილი ნაოჭები.

— სამი დღის უძილო მაინც იქნება. რას იზამ, მკაცრი დღეებია... — გაიფიქრა პოლკოვნიკმა და გაიცინა, როცა გაახსენდა, რომ სწორედ ამ მკაცრი დღეების მიზეზით მთელი კვირის მანძილზე ექვს-შვიდ საათზე მეტი მძინავს არ სძინებია.

— მაშ ასე, სატანკო კორპუსმა ჩვენთან ერთად უნდა შემოარტყას ალყა პოტსდამს, — წყნარად თქვა გრომოვმა, — ეგრამ ჩვენს შორის არ არის კავშირი და არც მდგომარეობა ვიცით ზუსტად.

გენერალმა ეს სიტყვები თვალდახუჭულმა თქვა. უცბად გასწორდა, ხელები რუკაზე დააწყო და დაკვირვებით შეხედა ჯერ პრიევს და მერე რუკას.

პრიევმა გაიღიმა. ისინი დიდი ხანი იბრძოდნენ ერთად და ერთმანეთის უსიტყვოდაც ეხმოდათ.

— ამხანაგო გენერალო, როდის მიბრძანებთ კორპუსის ეოსაძებნად წასვლას? — თქვა ეან და საველე ჩანთიდან პლანშეტი ამოიღო.

გრომოვმა წინასწარშეთანხმებულივით უპასუხა:

— უკეთესია გათენებამდე. ორი საათის შემდეგ. კორპუსი უნდა ეძებოთ პოტსდამის სამხრეთ დასავლეთით, დაახლოებით ამ ადგილებში, — გენერალმა ფანქრით ჩაჩხვლიტა რუკა.—საქმე ისაა, რომ თქვენ შეიძლება წააწყდეთ პატრულებსა და ტანკებს. გასაგებია? დიდი სიფრთხილეა საჭირო. თქვენ არავითარ შემთხვევაში, გესმით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაუვარდეთ მტერს ხელში.

— იმათ მე არასოდეს ჩავუვარდები ხელში, — პრიევმა განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოთქვა პირველი სიტყვა. — ისინი ვერ ეღირსებიან ჩემს ტყვეობას.

— დიახ, — გულმოსულად უპასუხა გენერალმა. — მაგრამ საჭიროა, რომ თქვენ დაამყაროთ კავშირი სატანკო კორპუსთან და დაადგინოთ ზუსტი დრო ჩვენს მიერ აღნიშნულ ადგილზე შეხვედრისათვის. ამაზეა დამოკიდებული ოპერაციის წარმატებით ჩატარება. მისმინეთ, — და მან რუკაზე ჩვენებით, დაბალი ხმით გადასცა ყველა საჭირო ცნობა. წუთით შეჩერდა და რუკას დაცქერდა, მერე მოშორდა მაგიდას, მივიდა პოლკოვნიკთან, გადაეხვია და მაგრად ჩამოართვა ხელი.

— მალე ვისურვებდი თქვენს ნახვას, — გენერლის შავმა თვალებმა თბილად, მეგობრულად ჩახედეს პრიევის თვალებს.

— ასეც იქნება, ამხანაგო გენერალო, მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

პოლკოვნიკი გამოვიდა გარეთ და წამით შეჩერდა. ბნელი ღამე იყო. ღრუბლები ფარავდნენ ვარსკვლავებს. დასავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთით გიზგიზებდა სქელ ნისლში გახვეული მოწითალო ალი. პრიეევი ნელა მიაბიჯებდა. იგი შესასრულებელი დავალების წვრილმანებზეც კი ფიქრობდა. მას ისეთ ადგილებზე უნდა გაევლო, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო ჩვენი ნაწილების მიერ დაკავებული. ამიტომ პოლკოვნიკმა არჩია გამგზავრებულიყო ნადავლი გერმანული მანქანით, ასეთი ხერხით შეიძლებოდა მტერს ადვილად გასხლტომოდნენ. კარგი იყო გარკვეული მანძილის ღამით გავლა, თუმც სიბნელე ხელს შეუშლიდა, სწორი მიმართულების პოვნაში. პრიეევმა იცოდა როდის, საიდან, რა მიმართულებით წავიდა სატანკო კორპუსი. მაგრამ მისი ახლანდელი ადგილსამყოფელის გაგება იყო საჭირო. ეს კი ვარაუდით იცოდა პოლკოვნიკმა, სამწუხაროდ, მხოლოდ ვარაუდით. ვინ იცის, რამდენი რამ შეემთხვა სატანკო კორპუსს, რომელიც მიარღვეევდა მტრის თავდაცვის ხაზს და ბრძოლით მიიწევდა წინ.

პოლკოვნიკმა მოძებნა შოფერი და უბრძანა, წესრიგში მოეყვანა მანქანა, ბლომად წამოეღო საწვავი, მოემზადებინა ავტომატები, პისტოლეტები და გრანატები.

— მგზავრობა მნიშვნელოვანი და სპასუხისმგებლო იქნება, ვასია, წესიერი მომზადებაა საჭირო. მოტორიც კარგად გასინჯე. ჰო, მართლა, გერმანული კაპიშონიანი ლაბადა ჩაიცვი.

ვასიას დიდი ხანია დაპყავდა პოლკოვნიკი, საფრთხეშიც ხშირად ყოფილა მასთან ერთად. მან ყურადღებით შეხედა პრიეევს, იცდიდა, იქნებ კიდევ მითხრასო რამე. პოლკოვნიკმა მხოლოდ ეს თქვა:

— ორი საათის შემდეგ წაველთ.

შოფერი მოღუშული შეუდგა მუშაობას. მანქანაში ბენზინი ჩაასხა, შინები შეამოწმა, ავტომატები მოამზადა და ორი სათადარიგო შინაც შეაგდო მანქანაში. თითქოს გულში რაღაც დაეწეწკა და გაახსენდა წითური მხიარული გოგონა ანიუტკა, რომელმაც ერთი სამჯერ მაინც მისწერა ვასიას ფრონტზე წერილი და საჩუქრებიც გამოუგზავნა.

„ვინ იცის, იქნებ ვეღარც ენახო ვეღარასოდეს“ — გაიფიქრა ვასიამ, მაგრამ იმ წამსვე შეუწყარა თავის თავს და სტვენით გააგრძელა პუშაობა.

ვასია ტულიდან იყო. ბავშვობიდანვე კრივით იყო გატაცებული და ახლა რატომღაც მოკრივე ბიჭს მწვრთნელის სიტყვები გაახსენდა:

— თუ გამარჯვება გინდა, რინგზე ყოველთვის იმ რწმენით გადი, რომ შენ მოწინააღმდეგეზე უფრო ძლიერი ხარ. თუ შენ თავში დარწმუნებული არა ხარ, იცოდე დამარცხდები.

„სინტაიცე მმართებს, სიმტაიცე“, — გაიფიქრა ვასიამ, — რაკი პოლკოვნიკმა იარაღის ნომზადება ბრძანა, ალბათ ფრიცებთან ყოველ წუთს შეხვედრაა მოსალოდნელი. აი, მაშინ კი ნებისყოფა გადასწყვეტს ყველაფერს.

პრიეევმა კი ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი მოამზადა, რაც მგზავრობისთვის იყო საჭირო. ნაჩქარევად მისწერა ცოლს წერილი. სწერდა, რომ კარგადა ვარო, მაგრამ უამრავი საქმეები მაქვს და შეიძლება წერილების გამოგზავნა დამიგვიანდესო. მერე რაზმში გასცა საჭირო განკარგულებები. გამოემშვიდობა გრიგორევსკის და როცა გარეთ გამოვიდა, დაუდევრად თქვა:

— ფათიმასთან წერილის გაგზავნა ვერ მოვასწარი, ქენი სიკეთე და ხვალ მაინც გააგზავნე. აბა, კარგად იყავი მეგობარო.

გრიგორევსკის არაფერი უთქვამს, ისე ჩააშტერდა სახეში პრიეევს, გადაეხვია, მაგრად აკოცა და წარმატება უსურვა.

ვასია სერიოზული სახით უცდიდა პოლკოვნიკს.

„რა გაეწყობა, მე შენ გეტყვი, პირველი შემთხვევაა თუ?“ — გაიფიქრა შოფერმა და იკითხა — საითკენ წავიდეთ?

— პოტსდამისაკენ.

ვასიამ ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა პოლკოვნიკის ფუთა, უნდოდა გაეგო, რა იყო შიგ. პრიეევმა იცოდა, რომ პირველ ხაზზეე გადაეყრებოდა ფაშისტებს, მაგრამ რა ექნა, სხვა გამოსავალი არ იყო.

— აი რა, — უთხრა მან ვასიას, — იმათ თუ შეეხვედით და მე თუ განიშნე, მთელი სისწრაფით წაიყვანე მანქანა. ოღონდ მთავარია, არ აღელდე, ყველაფერი რიგზე იქნება.

— მესმის, ამხანაგო პოლკოვნიკო!

შოფერმა ხელი მოუქირა საქეს, — ყველაფრისთვის მზადა ვარ.

მანქანა მიჰქროდა პოტსდამისაკენ.

უცბად ვასიამ ჩახლეჩილი ხმით წამოიძახა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო... ისინი...

— პირდაპირ გასწი, აბა ივაჟკაცე, ვასია!

პრიეევმა ქუდი მოიხადა, გახსნა ფუთა, იქიდან რაღაც ამოიღო და თავზე დაიხურა. მანქანის სარკმელი ამოსწია, გარეთ გაიხედა. ვასიას თავი მხრებში ჩაერგო და უცდიდა, როდის დაცხრილავდა მანქანას ავტომატების ჯერი. გზაზე სამი თუ ოთხი გერმანელი გაჩოვიდა შემართული ავტომატებით. მანქანა ნთელი სისწრაფით მიჰქროდა. აი, ეს-ეს არის, უნდა ისროლონ გერმანელებმა და უცბად რაღაც სასწაული მოხდა. ჰიტლერელებმა დაუშვეს ავტომატები და ისე გაიჭიმნენ, თითქოს პარადზე არიანო. მანქანამ ქარივით ჩაუქროლა მათ. გოცებულმა ვასიამ პოლკოვნიკისკენ მიიხედა, მიიხედა და საქე კინაღამ გაეცა ხელიდან, — პრიეევს შუბლზე ჩამოეფხატა ვეება კოკარდიანი, გერმანელი ოფიცრის ქუდი. პოლკოვნიკმა ისევ თავისი ქუდი დაიხურა, მხიარულად შეხედა შოფერს, ვასია სულს ძლივს ითქვამდა.

— აი მესმის... ასე ბოუხდებათ...

მას უკვე მტკიცედ სჯეროდა პოლკოვნიკის მოსაზრებულობისა და გამბედაობის.

— ყოველთვის მოიფიქრებ ხოლმე რამეს, ამხანაგო პოლკოვნიკო. ჩემი იმედიც იქონიე. ერთ ხელში დამჭრიან? მეორით წავიყვან, ცეცხლიდანაც კი გაიყვან მანქანას.

გაზაფხულის ღამე ილღოდა. გზისპირას ჩარიგებულ ხეთა კონტურები ნათლად ისახებოდა მოლურჯო ცისკიდურზე. ისინი პოტსდამის მიდამოებში შედიოდნენ. პრიეევმა ისევ დაიხურა გერმანული ქუდი და შეიკურთხა კიდეც ზიზღის ნიშნად. ორჯერ შეაჩერეს ისინი „ჰალტის" მკაცრი შეძახილებით, მაგრამ პრიეევი გამოყოფდა თავს, ბრაზიანად ჩაიქნევდა ხელს და მანქანაც გრიგალივით გაიქროლებდა. აი, მათ წინ აღიმართნენ გერმანული იმპერატორების ყოფილი რეზიდენციის, პოტსდამის სასახლის, მასიური მოხაზულობანი, აწწვანებული პარკები, ყაზარმები და პრუსიული იუნკრების, ყაზარმისსგვავსი ნაცრისფერი სახლები, ფართო, დაცარიელებული ქუჩები, დადუმებული, ცხენზე ამხედრებული მეფეებისა და მორიგით მსხვილი და გაჯგიმული ფელდმარშლების ქანდაკებებით სავსე სკვერები, მუზეუმის ჩამუქებული შენობა, ასევე მასიური და უსახური.

ვასიამ უცბად დაამუხრუჭა მანქანა და პრიეევს რაღაც დაანახვა. ისინი ქალაქის ჩრდილო განაპირა უბანში იმყოფებოდნენ. დასავლეთისაკენ გასვლა უნდოდათ, მაგრამ ორივე გრძნობდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. პატარა მოედნის შუაში აღმართული იყო გოთური სტილის ეკლესია. წინ გადაშლილი ფართო გზა გაქედილი იყო მტრის ტანკებითა და თვითმავალი ქვემეხებით. ეს საშინელი რკინის მასა ქალაქის ცენტრისაკენ მიემართებოდა.

გვერდით ქუჩიდან გამოჩნდა სწრაფი და მწყობრი ნაბიჯით მომავალი ფეხოსანთა კოლონა.

— უკან დაიხიე, ვასია, — ბრძანა პრიეევმა, — ოღონდ ჭშვიდად, ნუ ვაფიქრებინებთ, რომ ეემალებით მათ. მანქანამ მოხაზა პატარა ნახევარწრე და გაქანდა აღმოსავლეთისაკენ. ქალაქის ცენტრიდან რამდენჯერმე მოისმა ყრუ გუგუნი. პოლკოვნიკი მიხვდა — ქალაქის ცენტრში ბრძოლა მიმდინარეობდა.

„რას უნდა ნიშნავდეს ეს?" — ფიქრობდა პრიეევი. ამასობაში ჩრდილო-აღმოსავლეთის დაცარიელებულ ქუჩებში უკანასკნელი სიჩქარით მიმავალი მანქანა პატარა ჭალაზე გადადიოდა.

— შესდექ, ვასია, უნდა გავარკვიოთ, რა ხდება იქ.

პოლკოვნიკი გუმანით მიხვდა რაღაცას, მაგრამ საჭირო იყო ამის შემოწმება. ვასიამ ამოარჩია ხეების ქვეშ მობერხებული ადგილი და იქ შეიყვანა მანქანა. პრიეევმა შოფერს უბრძანა, დარჩენილიყო მანქანასთან. თვითონ კი ავტომატი აიღო და ფრთხილი ნაბიჯით გასწია ქალაქისაკენ.

პრიეევმა ყური დაადო მიწას. კანტიკუნტად ისმოდა სროლის ხმა, მუხლუხების ხრეშიალი და მოტორების გუგუნი. ორასიოდე ნაბიჯი კიდევ გაიარა და შეჩერდა. ჭალის პირას, ბუჩქებით დაფარულ პატარა თხრილში, სამი მეომარი იჯდა. პრიეევს მთიელისთვის დამახასიათებელი საუცხოო მზერა ჰქონდა, მაგრამ ახლა თვალები მოისრისა — თითქოს რაღაცა არ სჯეროდა. მის წინ საბჭოთა მებრძოლები იყვნენ. პოლკოვნიკის ფეხქვეშ ხმელმა ტოტმა გაიტაცუნა. პარაშუტისტის ხაკისფერ კომბინიზონში გამოწყობილი მეომრები

წამსვე წამოიჭრნენ ფეხზე. პრიევმა ავტომატი დაუშვა ძირს.

— ვინა ხართ, საიდან და როგორ მოხვედით აქ? — მკაცრად იკითხა პისტოლეტშემართულმა პირველმა პარაშუტისტმა. იგი ოცდაათი წლის კაცი იქნებოდა. მკაცრი, მონაცრისფერო თვალები ჰქონდა და მსუბუქად მოძრაობდა. პარაშუტისტი მაიორი აღმოჩნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მხიარულად საუბრობდა პოლკოვნიკთან, აწვდიდა მას საინტერესო ცნობებს. მტრის ზურგში გადმოსულ პარაშუტისტებს რაციაც თან ჰქონდათ.

— საჩხრეთ-აღმოსავლეთიდან გამოსული ჩვენი სატანკო კორპუსი ქალაქში შეიჭრა და მისი ცენტრი დაიკავა. ამჟამად იქ ბრძოლაა გაჩაღებული. აი, ყველაფერი, რისი გაგებაც ჯერჯერობით შეეძელი — თქვა მაიორმა.

პრიევმა ერთხელ კიდევ დაწერილებით გამოჰკითხა მაიორს ყველაფერი. საბჭოთა ტანკები იმ მიმართულებით იყვნენ შემოსული ქალაქში, რომლიდანაც უკრაინის პირველი ფრონტის სატანკო კორპუსი მიიწევდა პოტსდამისკენ. მან რუკაზე ცენტრისკენ მიმავალი ქუჩა აღნიშნა და რაღაც გადაწყვეტილება მიიღო.

— აი რა, — უთხრა მაიორს, — მე ამ სატანკო კორპუსთან უნდა დავამყარო კავშირი. ეს ალბათ სწორედ იმ კორპუსის მოწინავე ნაწილია, რომელსაც მე ვეძებ. მე გთხოვთ, გადასცეთ რაციით, რომ ამ ნაწილს ბრძოლა უხდება პოტსდამის ცენტრში.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ქალაქის ცენტრში შეჭრა ძალიან გაგიჭირდებათ, უსათუოდ ნოწინაალმდეგეს შეეჩეხებით.

— ეს უკვე ჩემი საქმეა, — გაიღიმა პრიევმა, — ქალაქის ცენტრში შეჭრა აუცილებელია. — იგი ჩქარი ნაბიჯით წავიდა მანქანისაკენ.

— აბა, ქალაქის ცენტრისაკენ, ვასია!

ვასიამ ხმისამოუღებლად შეხედა პოლკოვნიკს, თავზე კაპიშონი ჩამოიცვა და მანქანა გზაზე გამოიყვანა.

პრიევმა ქუდი დაიხურა. მერე რუკის მიხედვით ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ ქუჩაზე მიუთითა. ორ-სამ ადგილას ჰიტლერელებს შეეჩეხნენ, ერთგან ავტომატის ჯერიც დააყარეს გერმანელებმა. ტყვიამ ზედ ყურთან გაუზუზუნა შოფერს და შუშაზე სხივებივით დააჩნია ბზარები. ვასიამ შეიგინა და უფრო დიდი სიჩქარით წაიყვანა მანქანა. პრიევი გულდასმით ათვალიერებდა ქუჩებს. ცდილობდა მათი განლაგება დაემახსოვრებინა. იგი უკვე ოცნებით შეეზიზღა ამ ადგილებში თავისი ტანკებითა და თვითმავალი ქვემეხებით და სიბრაზისაგან კბილებს აკრაჭუნებდა. უკვე შუა ქალაქში ჰიტლერელებმა ქვაფენილი გადაღობეს. ოფიცერმა ყვირილით ასწია ხელი.

— მიდი, ვასია, პირდაპირ მიდი, — დაუყვირა პრიევმა და მანქანიდან გადმოხტომლმა პირში ფიალა პატრულებს გერმანული, ოსური და რუსული სიტყვების აბდაუბდა.

გერმანელებმა ძლივს მოასწრეს გვერდზე გახტომა, — მანქანამ საშინელი სასწრაფოთ ჩაიქროლა. გაოცებისაგან გაშეშებულმა ოფიცერმა ხელ ბი გაასავსავა.

— გადარეულია, ეშმაკმა დალახვროს! სიკვდილი ფონატრებია...

გასცდა თუ არა გერმანელებს, მალე მანქანა ბარიკადების წინ აღმოჩნდა. ავტომატმომარჯვებულმა საბჭოთა ტანკისტებმა მაშინვე ალყა შემოარტყეს. ვასია რამდენიმე წამს გაოგნებული იყო. ხმა ვეღარ ამოეღო. თითქოს საკუთარ თვალებს არ უჯერებდაო, მერე გახარებულმა იყვირა:

— ჩვენები!..

პრიევმა განზე ისროლა გერმანული ქუდი, დაიხურა თავისი და უკვე მანქანიდან გადმომხტარმა დაიძახა:

— გამარჯობათ, ამხანაგებო! რომელი ნაწილიან სად არის უფროსი? თან გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდა საბჭოთა ტანკებს, მზით გარუჯულ მებრძოლთა სახეებს, საბჭოთა კაპიტანი მოახსენებდა:

— უკრაინის პირველი ფრონტის სატანკო კორპუსის ბრიგადაა, ნუთუ ვერ მიცანით, ამხანაგო პოლკოვნიკო?

პრიევი დააკვირდა ოფიცერს, მერე გახარებულმა წამოიძახა:

— ეს თქვენა ხართ, შერბაჩევ? შესანიშნავი შეხვედრაა სწორედ. ტყუილად კი არ მომიცია თქვენთვის ფრონტის საგზური, გეტყობათ, კარგად იბრძვით.

მერე გულდასმით შეათვალიერა ახოვანი გარეგნობის ოფიცერი. სამი ორდენი აშშვენებდა შერბაჩევის მკერდს. პრიევმა გაიხსენა: როცა ორი

წლის წინათ ოფიცერთა თვითმომზადებას ამოწმებდა საპოსწავლო ბრიგადებში, მასთან მოვიდა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა შერბაჩევი თხოვნით — დახმარებოდნენ მას ფრონტზე გაგზავნაში.

— მიხარია, რომ შეეხვდით. ახლა კი მიმიყვანეთ ბრიგადის მეთაურთან.

შერბაჩევი წაუძღვა. მალე ისინი სამსართულიან შენობის საპარადო შესასვლელში აღმოჩნდნენ, იქიდან სარდაფში. გუშაგმა პაროლი მოსთხოვა. სარდაფი წარმოადგენდა ფიცრისფანჯრებიან ოთახს, სადაც რუკებგადაფარებული მაგიდები და საველე ტელეფონები იდგა. ერთიმეორეზე მიდგმულ ტაბურეტებზე რაცია იყო მოთავსებული. უძილობისაგან სახე მოთენთილი და თვალებშეშუპებული, ხანში შესული პოლკოვნიკი, რომელსაც ხელში ჩამქრალი პაპიროსი ეჭირა, რაღაცას კარნახობდა წითურულვაშებიან, გამხდარ, სუფთად გაპარსულ მაიორს. რადისტი მონოტონურად იმეორებდა:

„ძერა, ძერა, მე თოლია ვარ, მე თოლია ვარ“.

პრიევი მივიდა პოლკოვნიკთან, მიესალმა. ბრიგადის მეთაური ერთხანს უაზროდ შეჰყურებდა, მერე მისმა თვალებმა გაოცება გამოხატეს. იგი წამოდგა, ხელი გაუწოდა.

— გამარჯობათ, ამხანგო პოლკოვნიკო, საიდან გაჩნდით აქ?

— პირველი ბელორუსიის ფრონტიდან ვარ, — ხელი ჩამოართვა მისულმა. — გენერალ გრომოვის კორპუსის ჯავშან-სატანკო შენაერთის უფროსი, პოლკოვნიკი პრიევი. კორპუსს იერიში მიაქვს პოტსდამზე, მე კი თქვენთან გამოვცხადდი კავშირის დასამყარებლად.

პრიევმა საბუთები წარუდგინა. ბრიგადის მეთაურმა გადათვალიერა საბუთები და თავის მხრივ წარუდგა.

— პოლკოვნიკი სოკოლოვი — სატანკო ბრიგადის მეთაური. კარგია შენ რომ მოხვედი (პრიევს უნებურად გაეღიმა ასეთი სწრაფი დაახლოების გამო. მისთვის გასაგები იყო სოკოლოვის სიხარული).

— მართლაც გაგიძნელდებოდათ გამოღწევა.

— აი როგორი მდგომარეობაა შექმნილი: ჩვენ ჯიქურ შევიჭერით ქალაქში, გავფანტეთ ჩასაფრებული, მოწინააღმდეგე, შემდეგ ჩრდილო-დასავლეთიდან წამოსულმა მტრის მაშველმა ძალებმა ალყა შემოგვარტყეს. დაზვერვამ ცხადყო, რომ მოწინააღმდეგემ ტანკებისა და არტილერიის დიდ შენაერთებს მოუყარა თავი. ჩვენი მაშველი ძალები იგვიანებენ. რა დასამალია, მდგომარეობა სახიფათოა. რითი შეგიძლია დაგეხმარო?

პრიევი უსმენდა სოკოლოვს და იმავე დროს მაგიდაზე გადაშლილ რუკას დასცქეროდა. ცოტა ხნის შემდეგ აუჩქარებლად უპასუხა:

— ჩვენი კორპუსი უფრო ახლოა. იგი უკვე გზაშია. თუ ნებას დამრთავ, ვისარგებლებ თქვენი რაციით, დაეუკავშირდები კორპუსის მეთაურს, მოვახსენებ არსებული ვითარების შესახებ. ვფიქრობ, გამოგიხსნით. მოწინააღმდეგეს ორივე მხრიდან დავარტყამთ, მარწუხებში ვოვაქცევთ. ამასობაში თქვენი კორპუსიც მოგვისწრებს.

— ინებეთ, მეგობარო, რაცია თქვენს განკარგულებაშია. — სოკოლოვმა გაიღიმა, გამოაჩინა თეთრი, მაგარი კბილები, სახიდან ნაოჭები გაეკრიფა, თვალებში ახალგაზრდული სხივი ჩაუდგა, წელში გასწორდა, თითქო მხრებიდან წლების სიმძიმე მოიშორაო.

სანამდე გრომოვს დაუკავშირდებოდა, პრიევმა სოკოლოვს სთხოვა, ერთად შემოვევლოთ პოზიცია, საბრძოლო გამოცდილების კარნახით იგი ამჯობინებდა თვითონვე შეემოწმებინა ყოველივე, თუკი ეს შესაძლებელი იქნებოდა, ვინემ დაზვერვის ცნობებს დაყრდნობოდა. მათ შემოიარეს ბრიგადის მიერ დაკავებული პოზიცია, დაცვა ძლიერი იყო, მაგრამ ერთობ მცირე ფართობი ეჭირა, რაც თავისუფალი მანევრირების საშუალებას არ იძლეოდა.

ახლა პრიევს დაწვრილებით შეეძლო მოეხსენებინა გრომოვისათვის არსებული მდგომარეობის შესახებ. პრიევი მოელოდა, რომ გრომოვი მოისურვებდა მისი მოსაზრების გაცნობას. ასეც მოხდა.

— თქვენ რა აზრისა ხართ, — მოესმა მას გენერლის შეკითხვა.

— მდგომარეობა სერიოზულია, — მოახსენა პრიევმა, — ჩვენ ახლოს ვიმყოფებით უკრაინის ფრონტის კორპუსთან. ქალაქზე შეტევის დაწყება აუცილებელია. ბრძოლაში ჩაებმება სატანკო ბრიგადაც. ვეშვობ მოწინააღმდეგემ გაუძლოს ორი მხრიდან დაწოლას. თუ სოკოლოვის ცნობების მი-

ხედვით ვიმსჯელებთ, მათი კორპუსიც მოუსწრებს ოპერაციას. მაშინ შესაძლებელი იქნება მტრის სრულ განადგურებაზე ვიფიქროთ.

წუთით დუმილი ჩამოვარდა, გრომოვი, ეტყობოდა, ფიქრით იყო გართული.

— თქვენ თვითონ სად იმყოფებით, — ისევ შეეკითხა გენერალი.

— ქალაქის ცენტრში, ბრიგადის განლაგებაში, — მიუგო პრიევმა.

— კარგი, — მტკიცე ხმით წარმოთქვა გრომოვმა, — ჩვენ ვიწყებთ შეტევას პოტსდამზე, გადაეცით ბრიგადის მეთაურს, მოვდივართ დასახმარებლად. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა, საომარი მოქმედების ერთდროული დაწყება.

პრიევმა გადასცა სოკოლოვს საუბრის შინაარსი. ზედიზედ გაისმა საარტილერიო ზალპის გრუხუნი. სოკოლოვი სმენად გადაიქცა. კარები გაიღო და ტყავისქურთუკიანი კაპიტანი შემოვარდა. ფიცხელი მოძრაობით ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და თვალებგანათებულმა შემდეგი მოახსენა სოკოლოვს:

— მტერი ერთდროულად გვიტევს დასავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის მიმართულებით.

სოკოლოვი გარეთ გაიკრა. გზადაგზა ჩაჩქანს ისწორებდა. პრიევი მცირე ხნით შეყოვნდა. საჭირო იყო გრომოვისთვის ეცნობებინათ მდგომარეობის შეცვლის შესახებ. ბოლოს ისიც გავარდა ქუჩაში.

ქუჩა ერთიანად ზანზარებდა. გარშემო ჭურვები სკდებოდა. შენგრეული კედლებიდან ქვები და ბათქაში სცვივოდა. წკრიალით იფხვნებოდა ქვაფენილზე შუშის ნამსხვრევები. პრიევი ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდა. დასავლეთისკენ-პირმოქცეული ქუჩა აქ უფრო ფართო იყო. იგი უერთდებოდა პატარა მოედანს, რომლის შუაგულშიც რომელიღაც მეფის თუ გენერლის ძეგლი აღმართულიყო. მოედნიდან ტანკებისა და არტილერიის ცეცხლის საფარქვეშ მოიწევდნენ ჰიტლერელები. მ.მაცურად იბრძოდა შერბაჩევი. პრიევი გაცხოველებული ინტერესით ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა ოფიცრის მოქმედებას. მხედველობაში ჰყავდა რა მოწინააღმდეგის რიცხვობრივი სიჭარბე, შერბაჩევმა ჩინებულად შენიღბა და განალაგა ტანკები. მეავტომატეთა ოცეული ბარიკადებს ამოეფარა. მეორე ოცეული ზემო სართულებზე იყო ასული და მტერს ქუჩის ორივე მხრიდან უშენდა. სატანკო ბრიგადა ქვემეხებისა და ტყვიამფრქვეველების ცეცხლით ქლეტდა შეტევაზე გადმოსულებს, ხანაც სწრაფად გადაიტანდა ცეცხლს ქვეითების საფრად გამოსულ ტანკებზე.

სახიფათო მომენტი შეიქმნა, როცა გერმანელთა ასეული ქუჩაში შემოიჭრა, მაგრამ მეავტომატეთა ენერგიულმა ცეცხლმა მათი რიგები გადათიბა, საფრიდან გამოსულმა ტანკმა კი ცეცხლისა და მუხლუხების ერთობლივი მოქმედებით სიცოცხლე მოუსწრაფა დანარჩენებს. ათიოდე გერმანელი კი, რომლებმაც ხელების აწევით თავს უშველეს, სარდაფში ჩარეკეს.

„ყოჩაღ შერბაჩევ. ტყუილად როდი მოითხოვდა ფრონტზე გამგზავრებას“, — გაიფიქრა პრიევმა და ბრძოლის მეორე უბანს მიაშურა. უცებ ვასიას მოჰკრა თვალი. ავტომატმომარჯვებული შოფერი მეავტომატეთა პატარა რაზმს ასდევნებოდა.

— საით? — მიაძახა პრიევმა.

შოფერი შემოტრიალდა, სახეზე უკმაყოფილება და მოუსვენრობა დაეტყო.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, — მუდარის კილოთი მიმართა ვასიამ, — ნება მომეცით... ეხლავე, მალე დაებრუნდები. ვასია მეავტომატეებს გამოუდგა დასაწყევად.

ბრძოლა თანდათან მწვავდებოდა. ბრიგადა ზედიზედ იგერიებდა მტრის გააფთრებულ იერიშებს.

ერთ-ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ მოახერხა ჩვენი თავდაცვის ხაზის გარღვევა. მწყობრიდან გამოსული კაპიტნის მოვალეობა პრიევმა იკისრა, ვიიღო სასწრაფო ზომები და ასეული კონტრიერიშზე წაიყვანა. ქუჩაზე ორმა ტანკმა ჩაიქროლა. კოშკურიდან ოფიცერმა ამოჰყო თავი, პრიევმა შერბაჩევი შეიცნო.

— დასახსნელად მივდივართ, იქ გარღვ...

დანარჩენი ბგერები ყუმბარების გრიალსა და მუხლუხების გუგუნში ჩაინთქა.

პრიევმა სარდაფში ჩაირბინა, გრომოვთან რაციით სასწრაფო დაკავშირება მოითხოვა. საუკუნედ მოეჩვენა მოლოდინის წუთები.

— ამხანაგო გენერალო, ბრიგადა მძიმე მდგომარეობაშია, — მოახსენებდა პრიევი. — მოწინააღმდეგე ყოველი მხრიდან გვიტევს.

— ჩვენ უკვე ახლოსა ვართ, — გადმოსცა გრო-

მოვმა. ბრძანება გავეცი, გადმოისროლონ მოქრაული ნაწილები. ერთ საათში პოტსდამში ვიქნებით. ახა გამაგრდით!

ახალი ცნობებით გახარებულმა პრიევმა სოკოლოვს მიაშურა. შენობის შესასვლელში იწვა დაჭრილი პოლკოვნიკი. სახეზე მიწისფერი დასდებოდა. ექიმი და მოწყალების და ადგნენ თავზე, როცა პრიევმა გრომოვთან საუბრის შინაარსი გადასცა, პოლკოვნიკს სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა, წამოწევა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო. მერე მისუსტებული ხმით უთხრა:

— მეგობარო, შენ უნდა იკისრო ბრიგადის უფროსობა, მე, როგორც ხედავ, მწყობრიდან გამოვედი...

სოკოლოვმა მალე დაკარგა გონება.

გრომოვის კორპუსი სწრაფი მარშით მოიწევდა წინ. მოდიოდნენ თვითმავალი ქვემეხები და მეავტომატეთა ჯგუფებით დაფარული ტანკები. მათ შორის გზიდანვე გახსნეს ცეცხლი და ჩრდილოაღმოსავლეთიდან შეუტიეს პოტსდამს. სატანკო ბრიგადასთან შერკინებული მტრის მთავარი ძალები ცდილობდნენ მაშველი ძალების მოსვლამდე მოესწროთ ოპერაციის ჩატარება, მაგრამ მათი ყოველი ცდა, მიეღწიათ მიზნისათვის, მარცხით მთავრდებოდა. მათი რიგები გადათელილი იქნა, მაგრამ „ესესელთა“ ცალკეული ჯგუფები პარკის შუაგულში ამართულ სასახლეში იყვნენ გამაგრებულნი, გააფთრებით იცავდნენ თავს და ქალაქის ცენტრისაკენ წინსვლას აფერხებდნენ. სასახლეს ფლანგიდან ზაალიშვილი უტევდა. იგი კარგად ხედავდა, თუ როგორ გამოიყვანეს გერმანელებმა მწყობრიდან ლეიკინის ერთი თვითმავალი ქვემეხი. ზაალიშვილი წინ გაცოცდა.

შეტევის წინ რამდენიმე დღით ადრე გამართულ პარტიულ კრებაზე, რომელზედაც გაშუქდა კომუნისტების როლი პოტსდამზე იერიშის დროს, ზაალიშვილიც ესწრებოდა.

სიტყვებით გამოვიდნენ პისარევი, გრიგორიევსკი, მაგეროვი და კიდევ რამდენიმე ოფიცერი და სერჟანტი.

პისარევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოტსდამის აღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცემოდა, რომ ეს იქნებოდა ფაშისტური რეაფეხასათვის კიდევ ერთი თათის მოკვეთა, რომლითაც იგი დასავლეთიდან იყო დაკავშირებული. და სწორედ ამიტომ, კომუნისტები, რომლებიც ყოველთვის იძლეოდნენ გმირობის მაგალითებს, ამჯერადაც მოვალენი არიან პოწინავეთა რიგებში იყვნენო. ამის შემდეგ სიტყვა აიღო ზაალიშვილმა.

პარტიული ამხანაგები, ჯარისკაცები და ოფიცრები კარგად იცნობდნენ ამ მამაცსა და გამოცდილ მეომარს. მღელვარებისაგან წამოწითლებულმა ზაალიშვილმა თვალი მოავლო ამხანაგებს და ყრუ ხმით დაიწყო:

— სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს. ომი დასასრულს უახლოვდება, ხვალ ან ზეგ ჩვენი წითელი დროშა აფრიალდება ბერლინში. თვითეულ ჩვენთაგანს სწადია, გამარჯვების დღეს მოესწროს და ვალმოხდილი დაბრუნდეს სამშობლოში, მაგრამ ჩვენ, კომუნისტები, არასოდეს არ ვიშურებდით სიცოცხლეს ჩვენი საქმისათვის. პარტიამ მოგვიწოდა, ვიაროთ წინ, და ჩვენც შევასრულებთ ამ მოწოდებას. დიახ, მე ვაძლევ პარტიას ამის პირობას. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც ჩვენს შეჩერებას შესძლებს, მე ვფიქრობ, არც ჩემს გვერდით მებრძოლი ამხანაგები დაიხევენ უკან...

და აი ახლა გაიხსენა ზაალიშვილმა თავისი ფიცი და მაღლა აწეული ავტომატით გაიჭრა წინ.

— კომუნისტებო, წინ!—დაიძახა მან, — გამოვრეკოთ ეს მტარვალები სასახლიდან.

ის გარბოდა წინ და უკან სროლითა და ყიჟინით მისდევდნენ ჯარისკაცები. სწორედ ზედ შესასვლელთან წაიქცა ზაალიშვილი, მაგრამ მყისვე წამოიჭრა და ტორტმანით განაგრძო სვლა. იგი პირველი შეიჭრა სასახლეში, შეიჭრა და უკან აღარ დაბრუნებულა. მკერდში მძიმედ დაჭრილი ზაალიშვილი სისხლისაგან იცლებოდა, უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრეფდა; ძირს რომ არ დაცემულიყო, კედელზე მიყრდნობილი განაგრძობდა სროლას. მალე მეორე ტყვიაც მოხვდა. ამხანაგებმა ხელზე დასვენებული გამოიტანეს მისი ცხედარი.

პოტსდამის აღმოსავლეთ ნაწილის გარეუბნის დაკავების შემდეგ გრომოვის ტანკების ნაწილი ქალაქის დასავლეთისკენ წავიდა, ნაწილმა კი ცენტრისკენ აიღო გეზი. სატანკო ბრიგადამ სწორედ მაშინ მიიღო დახმარება, როცა იგი შეეიწროებული იყო მტრის ჭარბი ძალებისგან და აღარ შეეძლო უთანასწორო ბრძოლის გაგრძელება.

კაბომ პირველმა დაარტყა ჰიტლერელებს ზურგში. ქცოთი, მაგეროვი. და სხვა შეთაურები მარ-

ზიდან პირდაპირ ბრძოლაში ეშვებოდნენ. დიდი სიზუსტე და სიფრთხილე მართებდათ საბჭოთა არტილერისტებს, რათა ზიანი არ მიეყენებინათ ჩვენი ჯარებისათვის.

პრიევმა ყველაზე უწინ დაინახა თავისიანები. ლუიკინისა და ჩებანის მძლავრმა თვითმავალმა ქვემეხებმა მეავტომატეების თანხლებით გაარღვიეს მოწინააღმდეგის ფრონტი და შეუერთდნენ სატანკო ბრიგადას. ისმოდა „ურას“ შეძახილები და ბისალმებები. გახარებული მებრძოლები ერთმანეთს ეხვეოდნენ, გრომოვის კორპუსი რკინის ალყაში აქცევდა გერმანელებს. ორ ცეცხლშუა მოქცეული მტერი ქალაქიდან გაქცევას ცდილობდა. ფაშისტების გვამები ქალაქის ქუჩებში ეყარნენ. ბევრი ტყვედ ჩავარდა. მცირე ჯგუფებმა მოახერხეს ქალაქის მიდამოებში უწესრიგოდ გაფანტვა. გრომოვის ნაწილები განაგრძობდნენ მტრის დევნას. ისინი მდინარე ხაველის ნაპირზე გავიდნენ. ტყვეები შემკრებ პუნქტში მიჰყავდათ. საკადრო ჯარისკაცების გვერდით ხნიერი თანამოლაშქრეებიც მოდიოდნენ. ძლივს მოლასლასებდნენ ჯერ კიდევ უწვერულვაშო სუსტი და ფერმკრთალი მოზარდები, რომლებსაც ტომარასავით ეკიდათ ძალზე განიერი სამხედრო ტანსაცმელი.

— როგორც ჩანს, დიდ გასაჭირშია ჰიტლერი, — გადაულაპარაკა მხარბეჭიანმა ჯარისკაცმა თავის ამხანაგს, როცა არეულად მიმავალი ტყვეების კოლონა დაინახა. — აბა, ამნაირების ბრძოლავის გაუგონია, — თქვა მან და გვერდით მიმავალ ორ ტყვეზე მიუთითა. ერთი მათგანი ორმოცდაათ წელზე მეტის იქნებოდა. მაშლაყინწასავით გაწვრილებულ კისერზე მუშტისხელა თავი ჰქონდა, კოჭლობით მიდიოდა და დაწითლებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. გვერდით ზრდადაუსრულებელი, ვიწრო, ბაკშვურმხრებიანი, მძიმე ზურგჩანთისაგან წელში მოხრილი ბიჭი მიჰყვებოდა. იგი დამფრთხალი თვალებით ათვალიერებდა მეომრებს და, როცა მათ თვალებს შეეჩეხებოდა, საცოდავად ღიმებოდა.

— აბა?! — უპასუხა მეორე ჯარისკაცმა. მისი ცისფერი თვალები მკაცრად მისჩერებოდა ტყვეებს. — თითქოს უნდა შეეცოდოსო კიდეც ესენი კაცს, მაგრამ ვისი ბრალია? უნდა გაიგონ, თუ რა მორევში შეიტყუა ეს საცოდავები ჰიტლერმა. იქნებ მერე უფრო ჭკვიანურად მოიქცნენ და სხვანაირად იცხოვრონ.

— აბა, რა გგონია, — მშვიდად თქვა პირველმა და ჯიბიდან ქისა ამოიღო. — ეს მაგათთვის კარგი გაკვეთილია. ჭკუა ხომ ვასწავლეთ, ახლა კი დავეხმარებით. ვასწავლით მშვიდობიან, ადამიანურ ცხოვრებას. რამდენი უბრალო გერმანელი ვნახეთ მე და შენ, ოსიპოვ, ჰიტლერი რომ სძულდათ და უხაროდა გერმანელი ხალხის დახსნა მტარვალებისაგან. ნახავ, ცოტას გამოფხიზლდებიან და სხვანაირ ადამიანებად გადაიქცევიან. ხალხი ყოველთვის გაარჩევს ავსა და კარგს.

— აჰა, მოსწიე — გულთბილად გაუწოდა ჯარისკაცმა ტყვეს ქისა.

მზე ჰორიზონტისაკენ გადაიხარა. პოტსდამი თითქმის გაწმენდილი იყო ჰიტლერელებისაგან. ტყვეებს შორის ერთი მაღალი, გამხდარი, მონოკლიანი ტიპიური პრუსიელი პოლკოვნიკი იყო. სწორედ იმნაირებზე იტყვიან, სარი აქეს გადაყლაპულიო, ისე გაჭიმული მიდიოდა. მან რუსული იცოდა და პირველმა დაიწყო ლაპარაკი, როცა პოლკოვნიკ პეტროვთან მიიყვანეს.

— ჰიტლერის საქმე წასულია, — ცინიკურად თქვა მან და ბილწმა ღიმილმა ცხენივით გრძელი და ყვითელი კბილები გამოუჩინა. — არ უნდა დაგვეწყო თქვენთან ომი. ჩვენ ფაქტიურად მთელი ევროპა გვქონდა დაპყრობილი. ჯერ მისი მონელება იყო საჭირო, გერმანული სულისკვეთებით გაწრთვნა და დაგეშვა.

— მაინც როგორ გავიგოთ ეს? — იკითხა მოღრუბლულმა პეტროვმა.

— აი როგორ, — თავხედურად უპასუხა პრუსიელმა, — ერთი ხეთი წელიწადი უნდა დაგვეცადა. უსათუოდ უნდა დაგვედვა საზავო ხელშეკრულება ინგლისსა და ამერიკასთან. იმათ არ უყვარხარო თქვენ და უეშველად დაიყოლიებდით ზაეზე, კომუნისტების განადგურებას რომ დავპირებოდით. მათთან დაზავების შემდეგ, ევროპაში დავამყარებდით წესრიგს. ჯერ-ჯერობით არც ისე ძალზე შევიწროვებდით, მივცემდით სუნთქვის საშუალებას. ამავე დროს მაქსიმალურად გამოვიყენებდით მისი მატერიალური და ცოცხალი ძალის რესურსებს, მთლიანად უზრუნველყოფდით ზურგს დასავლეთიდან, მერე კი თქვენ გაგისწორდებოდით. ჩვენ

შევცდით. არ უნდა გაგვეჩერებინა დასავლეთის ფრონტზე 80 დივიზია. ჩვენ მარტო საკუთარ ძალებს კი არა, დასავლეთ ევროპის ორ-სამ მილიონიან არმიას მოგასევდით, არმიას, რომელიც მუშებისაგან კი არა, კომუნისტების მოსისხლეებისაგან იქნებოდა შემდგარი. მაშინ კი არხეინად მოგახრჩობდით. ერთ წელიწადში ვოლგამდე მოვაღწევდით, მეორე წელს კი ურალს, ციმბირსა და შუა აზიას ავიღებდით. მერე ინგლისისა და ამერიკის ჯერიც დადგებოდა. ჩვენ, გერმანელები, წინდახედული ხალხი ვართ. მთელი მსოფლიო ჩვენი იქნებოდა, რომ ჰიტლერი არ შემცდარიყო.

არ შეიძლებოდა ზიზღი არ გამოეწვია ამ ზნედაცემულ ადამიანს.

— გაიყვანეთ! — ბრძანა პეტროვმა და პისარევს მიუბრუნდა, — როგორ ბედავენ და თავიანთ თავს უმაღლეს რასას უწოდებენ ეს ნადირები?!

შტაბიდან დაბრუნებულ პრიევს მაიორმა ბოიკომ ზაალიშვილის დაღუპვა აცნობა.

— ზაალიშვილი დაიღუპა? ოო... სამწუხაროა, ძალზე სამწუხარო. დიდბუნებოვანი ადამიანი, ნამდვილი მებრძოლი და კომუნისტი იყო. დასანანია... როგორ ოცნებობდა გამარჯვებაზე და ვერ მოესწრო.

ზაალიშვილი პარკში დაასაფლავეს, სასაბლის ახლოს. სამჯერ დაიქუხა ზარბაზანმა ახლად გათხრილ საფლავის თავზე. პრიევმა გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა:

— ზაალიშვილმა პირნათლად შეასრულა ერთგულების ფიცი. იგი დაეცა ისე, როგორც კომუნისტსა და მამაც საბჭოთა მებრძოლს შეეფერება. ჩვენ უნდა მივბაძოთ ზაალიშვილს.

ორი დღის შემდეგ პრიევმა აცნობა ზაალიშვილის ცოლს მისი გმირულად დაღუპვა.

მხოლოდ გვიან ღამით შესძლო პრიევმა გენერალ გრომოვის ნახვა. კარებში შეეჩეხა ჯავშანსატანკო არმიის უფროსს, რომელსაც იგი „პატარა“ გენერალს უწოდებდა. პრიევმა გზა დაუთმო და ხელი ქუდთან მიიტანა. გენერალს პატარა, დანაოჭებული სახე, ტყვიისფერი თვალები და წვეტიანი ცხვირი ჰქონდა. მან რაღაც ჩაიბურდღუნა, უგულოდ უპასუხა პრიევს სალამზე და სწრაფი ნაბიჯით წავიდა.

გრომოვი აღელვებული ჩანდა, ჩქარი ნაბიჯით დადიოდა ოთახში. იგი უცებ შეჩერდა პრიევის წინ, დააცქერდა და ხელი გაუწოდა.

— მიხარია თქვენი ნახვა, ხეთაგ გაზანიჩ, კორპუსის სახელით მადლობას გიცხადებთ დავალების ბრწყინვალედ შესრულებისათვის.

ომის უკანასკნელი დღეები იყო. ოშვიათადღა ისმოდა გრიალი აღმოსავლეთიდან, საბჭოთა არმია გიგანტურ რგოლად შემოერტყმოდა ბერლინს. მის თავდაცვით ხაზს ათეული ათასობით ქვემეხი და ნაღმმტყორცნი უშენდა ცეცხლს. ჰიტლერის ცდა, დასავლეთიდან შემოეშვა ბერლინში ინგლის-ამერიკის ჯარები, ჩაიფუშა. სხვანაირად შეატრიალა საქმე საბჭოთა ჯარების შეტევის ტემპებმა.

„კიდევ ცოტა და ბერლინის თავზეც აფრიალდება გამარჯვების ძლევამოსილი დროშა“. ასე ფიქრობდა პოლკოვნიკი პრიევი დამარცხებული ფაშისტური გერმანიის ცენტრში — პოსტდამში 1945 წლის 27 აპრილს.



ნაფი გუსოითი

ამბავი სიყვარულისა

ჩემი მეგობარი

სწორედ დიდი სამამულო ომის წინ ჩემს გულითად მეგობარ ცარასთან ერთად დავამთავრე საშუალო სკოლა.

22 ივნისს — ომის პირველ დღეს რაიონის ცენტრში მივედით და თუმცა ჯერ წვევამდელები არ ვიყავით, მაინც მოხალისედ ჩავეწერეთ ჯარში.

სამხედრო კომისარიატში გვითხრეს, რომ ერთი კვირის შემდეგ გაგვაგზავნიდნენ სამხედრო სკოლებში.

ცარასთან ერთად მეზობელ სოფელში ვცხოვრობდი.

იგი ნათესავად მეკუთვნოდა. ჩვენი საუკეთესო წიგნები და ხელნაწერები საერთო ყუთში ჩავაწყვეთ, დავლურსმეთ და ჩვენი სახლის სახურავქვეშ კარგად შევინახეთ. ვფიქრობდით, როცა ჯარიდან დავბრუნდებით, გავხსნით, ამოვიღებთ ჩვენს წიგნებს და ინსტიტუტში შევიდოდით.

ეს იყო ჩვენი წასვლის წინა დღეს.

მეორე დილას გამოვემშვიდობეთ მშობლებს, თანასოფლელებს და რაიონის ცენტრისაკენ გამოვწიეთ.

როცა სოფელს ოდნავ გამოეცლით და ტყეს მოვეფარეთ, ცარამ მითხრა:

— მოდი, გალხიზნის ველზე გადავიაროთ, იქ ერთი ვინმე მელოდება. მის უნახავად არ წამესვლება.

— ასეთი ვინ უნდა იყოს?! — გავიკვირვე მ..

— იცნობ, კარგად იცნობ, ვნახავთ და ყველაფერს გაიგებ. იმის შესახებ დღემდე არაფერი მითქვამს შენთვის. დღეს კი შორეულ გზას ვადგივართ და რაღა უნდა დაგიმალო.

გავედით გალხიზნის ველზე, ხეების ჩრდილში ჩამოვსხედით და ფიქრებმა გაგვიტაცეს. სადღაც ჩვენს ახლოს გუგულის ხმა გაისმა.

— გესმის? — მითხრა ცარამ და თან გადაჭდობილი ხელების გულზე კეფით დაყრდნობილმა ცას ცერად გახედა, — აბა ერთი დაეითვალოთ, რამდენი წლის სიცოცხლეს შემოგვთავაზებს.

ეს სიტყვა რაღაც სასაცილოდ გვეჩვენა და მართლაც გუგულის ძახილის თვლა დავიწყეთ. ორმოცს რომ მივაღწიეთ, უცბად ვიღაცამ დაგვიყვირა:

— რას თვლით მანდ!

ჩვენ შეეკრთით და ორივენი ფეხზე წამოვხტით.

იქვე გვერდით იდგა ახლო სოფლელი მეგობარი ქალიშვილი, რომელმაც იმ წელს ჩვენთან ერთად დაამთავრა საშუალო სკოლა.

— აი თქვე ეშმაკებო, თქვენა! — დავუყვირე მე, — ერთმანეთი გიყვარდათ და მე არ მიმხელდით, თავს კი მეგობრებად მაჩვენებდით! ახლავე გადაეხვიეთ ერთმანეთს ჩემი თანდასწრებით!

— მერე რა? ეგ ვერაფერი სასჯელი იქნება, — თქვა ცარამ და ბოგინ ცალი ხელი მოხვია.

— კარგი, ჰა, კარგი საბაბი მოგეცა.—გვერდზე ჯავწიე ცარა და გოგოს ხელი ჩამოვართვი.

ცოტა ხნის საუბრის შემდეგ, ვითომდა ჯოხის მოსაჭრელად, ტყეში შევედი და ქალ-ვაჟი მარტო დავტოვე.

ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს დარჩებოდნენ იქ, რომ ტყიდან არ გამოესულიყავი.

გოგოს დავემშვიდობეთ და გზას გავუდექით.

დაფიქრებულები ერთხანს უსიტყვოდ მივდიოდით, მერე კი ძველი საბრძოლო სიმღერები შემოვძახეთ.

გაგვგზავნეს სამხედრო სკოლებში. მე — როსტოვში, ცარა კი კამიშინში. მას შემდეგ ჩემი მეგობარი აღარ მინახავს. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შევიტყვე: ცარას დაემთავრებინა კამიშინის საartილერიო სკოლა, ფრონტზე წასულიყო, ექვსი თვის შემდეგ კი მის შესახებ დეპეშა მიეღოთ.

დაიღუპა ჩემი მეგობარი, ტყუილი ეთქვა ჩვენთვის გუგულს. დამრჩა მხოლოდ ამბავი ცარას სიყვარულისა და მოგონებანი მის უკანასკნელ დღეებზე მისივე ხელით დაწერილი. აი ეს ამბავიც.

რა ვიკოვე

სიყვარულო!.. დასაბამიდან დღემდე რომ უმღერიან მსოფლიოს პოეტები, მზისა და მთვარის სახელებივით რომ ეღერ, ბულბულის ტკბილ სტვენასავით რომ ცოცხლობ მარადიულად თაობების გულში, ეს შენა ხარ? რა უნდა გეწოდოს? როგორ უნდა დაგხატოს ადამიანმა? რამდენ გულშიც აღმოცენდები ხოლმე, იქნებ იმდენი ლამაზი სახე გაქვს? თუ ასე არაა, დღემდე როგორ ვერ დაასრულეს შენი სახის დახატვა ხალხის რჩეულებმა? როგორ ვერ დაამთავრეს შენი საოცარი ამბის მოყოლა ენამჭევრობით განთქმულმა ადამიანებმა?

რამდენი რამ წამიკითხავს შენს შესახებ, რამდენისაგან მომისმენია შენს შესახებ ლამაზი სიტყვები და რატომ არსად არაფერია ნათქვამი ჩემს სიყვარულზე?

არსადაა ჩემი სიყვარულის ხსენება!

ჩემი სიყვარულის ხსენება?.. — რა სახსენებელია!

ერთი სიტყვის თქმაც რომ ვერ გამიბედავს, ერთი საქმეც რომ არ გამიკეთებია მისი სახელით, ერთი ადამიანისთვისაც რომ არ გამიხსნია გულის კარები. მაშ აბა, ფარულ ოცნებებს ვინ ახსენებს?

ბაგრამ საოცრება როგორ არაა? სად არის მისი დასაწყისი, რა არის მისი მიზეზი? იქნებ მის შესახებ მართალს ამბობს ჩვენი კოსტა:

> როგორ იყო დღემდე?
> სად დაიწყო? რით?
> რა იქნება შემდეგ? —
> მეც არ ვიცი თვით...

იქნებ მართლაც ძნელი სათქმელია, სად და როგორ იწყება, როგორ დაახვევს ხოლმე ადამიანს თავბრუს.

როდის და რა მიზეზით გაჩნდა ჩემში ეს გრძნობა? დანამდვილებით არ ვიცი. მაგრამ ასე მგონია, რომ იგი წარმოიშვა ადრე, სულ ადრე, როდესაც ჯერ კიდევ მეოთხე კლასში ვსწავლობდი. მისი დასაწყისი იყო ბავშვური მეგობრობა, შემდეგ კი, როცა წლები გავიდა, მისგან ჩემი გულის ოცნება წარმოიშვა.

ჩვენი სკოლა ჯვარის ტყესთან იყო. სასწავლო წლის დაწყებიდან თვე იქნებოდა გასული. ერთ დილას კლასში მოვიდა ახალი მოსწავლე, პატარა, ლამაზი გოგო. მოკლე წაბლისფერი თმა შეკრული ჰქონდა წითელი ბანტით. ჩაცმულობით იგი კლასში ყველასაგან გამოირჩეოდა. ჩვენ სოფლური, მოძველებული და უფერული ტანსაცმელი გვეცვა, მას კი ყველაფერი ახალი, კოხტად შეკერილი და ლამაზი. ხელში პატარა ჩანთით შემოაღო საკლასო ოთახის კარები... ახლაც თვალწინ მიდგას... კლასი ელოდა მასწავლებლის შემოსვლას. ბავშვები ხმაურობდნენ. რაწამს უცნობი გოგონა დაინახეს, აურზაური შეწყდა. ყველამ კარებისაკენ მიიხედა. გოგომ დაირცხვინა და თითქოს კლასში შემოსვლას ვეღარ ბედავსო, ისე გაჩერებულიყო კარებთან. ბოლოს ვიღაცამ დაუძახა:

— შემოდი შიგნით, თორემ მასწავლებელმა რომ მანდ დაგინახოს, რას იტყვის?

მასწავლებლის ხსენებაზე გოგო კიდევ უფრო დაიბნა და მერხებამდე მოვიდა. თვალი მიმოავლო კლასს, მაგრამ თავისუფალი ადგილი ვერ ნახა და დაბნეული ჩემ მერხთან დადგა.

იმ დღეს ჩემს გვერდით მჯდომი მოწაფე არ იყო, მერხზე მარტო მე ვიჯექი, მაგრამ რატომღაც მეუხერხულებოდა გოგოსთვის მეთქვა, ჩემთან დაჯექი-მეთქი. ვიღაცამ დაუძახა:

— რას დგეხარ ემანდ, ცარას გვერდით დაჯექი, ხომ ხედავ, მარტო ზის.

გოგოს გაეხარდა, სწრაფად შემოტრიალდა ჩემსკენ და შემეკითხა:

— შეიძლება?

— შეიძლება, ვინ გიწლის?!

გოგო სახეში შემომაშტერდა. ალბათ უნდოდა გაეგო, ჩემი პასუხი მკვახედ იყო ნათქვამი, თუ არა. შემრცხვა და მზერა მოვარიდე, მაგრამ მას შემდეგ ხსოვნაში ჩამრჩა მისი სუფთა თვალების კითხვით აღსავსე გამომეტყველება.

ეს იყო ჩვენი მეგობრობის დასაწყისი.

მახსოვს კიდევ...

ერთხელ, დიდი შესვენების დროს, დამალობიანას ვთამაშობდით. შემოდგომის თბილი დღე იყო. ჰაერის გრილი ტალღები ერთი ადგილიდან მეორეზე ზანტად გადადიოდნენ. ხის ფოთლები თუმცა თავს კიდევ ამაყად გრძნობდნენ, მაგრამ ეტყობოდათ, რომ თავიანთი დრო უკვე მოეპამათ და გაყვითლებულიყვნენ. კვლავ შერჩენოდათ სილამაზე. ისეთი სილამაზე, როგორიც აქვთ ხოლმე ხანში შესულ ქალებს..

ჩვენ ვთამაშობდით.. ვთამაშობდით...

თვალები მე უნდა დამეხუჭა. ამხანაგები დაიმალნენ. მე ძებნა დავიწყე. ერთ ადგილს მივადექი, მეორეს — ვერავინ ვნახე. უეცრად ერთი თხილის ბუჩქთან მივირბინე, გადაეწიე და რას ვხედავ — ჩვენი ახალი მოსწავლე ჩაცუცქული ზისს.. როგორღაც ენა დამება.

გოგომაც თითქოს დაიმორცხვა, ხმის ამოუღებლად გაიღიმა. უნდა დამეყვირა „ეიპოვე"-მეთქი, მაგრამ გოგოს შევხედე და გაუბედავადღა წარმოვთქვი ხმადაბლა: „გიპოვე"...

— მიპოვე, — დამეთანხმა გოგო და კვლავ გაიღიმა.

— წამო, ნუ გეშინია, მე დავხუჭავ თვალს შენს მაგივრად, — ხელი მოვკიდე, ტყის ნაპირას გამოვიყვანე და ვუთხარი:

— ახლა გაიქეცი და დამასწარი... რომ ისევ მე დავრჩე მაძებარი. გოგო გაიქცა.

მას შემდეგ უფრო დავმეგობრდით მე და ფათიმა (ასე ეძახდნენ გოგოს).

არ ვიცი, რა დამემართა. ის გოგო სულ თვალწინ მედგა. მანამდე ხშირად ვიგვიანებდი პირველ გაკვეთილზე, მას შემდეგ კი ჩემზე ადრე აღარავინ მოდიოდა სკოლაში. ზამთარში, თუ ქარბუქი იყო და გოგო სკოლაში არ მოვიდოდა, მარტო ვიჯექი ჩემს მერხზე დაღონებული.

გაზაფხულზე ხშირად ცხვრის სამწყემსავად მგზავნიდნენ გაკვეთილების შემდეგ.

მე ჯერ ფათიმას სოფელში გავიქცეოდი, მივირბენდი მათ სახლთან, მალულად შევიხედავდი ღობის ჭუჭრუტანიდან, მას დავინახავდი და უკან მოვკურცხლავდი ხოლმე... რა ვიპოვე, რა დამემართა, დღესაც არ ვიცი. მაგრამ მოხდა ის, რომ ზაფხულზე გოგო ქალაქს წავიდა და ჩვენს სკოლაში აღარ დაბრუნებულა. ალბათ ვდარდობდი, მაგრამ გაურკვეველი გრძნობა ბავშვს მალე გამიქრა გადამავიწყდა ფათიმა.

გავიდა რამდენიმე წელი. უკვე უკანასკნელ კლასში ვიყავი. ზაფხულის არდადეგები იყო. ერთ დღეს მამასთან სამხარი მიმქონდა. წახილთის ტყე ავიარე და მწვანეზე შესასვენებლად ჩამოვჯექი. გავიხედე და ორი მომავალი გოგო დავინახე. როგორც ჩანდა, მათაც სამხარი მიჰქონდათ მთაში. მომიახლოვდნენ თუ არა, ნაბიჯი შეანელეს და რაღაც წაჩურჩულეს. მათი სიტყვები ვერ ვაიგონე, მაგრამ ასე მეკონა, თითქოს ჩემზე ჩურჩულებდნენ. მე როგორღაც შემრცხვა და წასვლა დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე. ზეზე წამოვდექი და გადავძახე:

— მოდით, დაისვენეთ, მგელი ხომ არა ვარ, რომ მიფრთხით... თუ ჩემი ასე გეშინიათ, მე წავალ...

გოგოებმა ისევ წაიჩურჩულეს, შემდეგ ერთმა მათგანმა მომიგო: — რად უნდა გვეშინოდეს, შენ ხომ ჩვენი ბიჭი ხარ.

მოვიდნენ, დაწყვეს ხონჩები საჭმელებით და გვერდზე მომისხდნენ. ერთი მათგანი, მართლაც, ახლოსოფლელი გამოდგა, მეორეს კი არ ვიცნობდი. საუბრის დროს გამოირკვა, რომ ეს უკანასკნელი სწორედ ის გოგო იყო, რომელსაც ერთხელ თხილის ბუჩქში „გიპოვე"-მეთქი ვუთხარი.

როგორ გამეხარდა, ამას ვინ იტყვის!.. ჰაი გიდი, რატომ კაცის გულმა არ იცის ლაპარაკი, მაშინ დედამიწაზე კოსტასნაირებს ვინ მოთვლიდა!

წამით ისე მომეჩვენა, თითქოს რაც კი ოდესმე რამე მომსურვებია, ყველაფერი ამისრულდა. თვალწინ გამიელვა გოგონას სახემ და გული ფრინველივით წამომიფრინდა ბუდიდან, ისარივით გაიქ-

როლა ცის ლაჟვარდში და ლამაზი ოცნებების, შეუცნობელი იმედების მორევში იწყო ცურვა.

ჰაი-გიდი, გულო,

საოცარი ხარ!..

მწვერვალამდე ხმის ამოღებლად ვიარეთ. შემდეგ ჩვენი გზები იყრებოდა. თუმცა განშორება არ მინდოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. წუთით ფათიმასთან განვმარტოვდი და შეველაპარაკეთ:

— ისევ ჩვენთან ისწავლი, თუ მაშინდელივით გაიქცევი...

გოგო ალბათ, ჩემს გულისნადებს მიხვდა. ერთ წუთს გაჩუმდა, მერე მითხრა:

— ან მაშინ როდის გავიქეცი... დედამ წამიყვანა ქალაქში. ახლა კი აღარ წავალ, აქ დავრჩები.

ფათიმა თავის ამხანაგს გაჰყვა. მე ვიდექი და გავცქეროდი ისე, როგორც კამკამა წყალში ოქროსფრად დაჭორფლილ თევზს შესცქერიან ხოლმე. სუნთქვასაც ვეღარ ვბედავდი. მეშინოდა არ დამეფრთხო და ისევ ქალაქში არ გაქცეულიყო.

თვალს რომ მიეფარნენ, მე ზანტად გავუდექი ჩემს გზას. უეცრად გამახსენდა მისი სიტყვები: „აღარ წავალ, აქ დავრჩები“... გული ამიძგერდა, რაღაც სიმსუბუქე ვიგრძენი ტანში და მთიბავებს როგორ მივადექი, ვერც კი გავიგე. გამოვართვი მამას ცელი და მოვუსვი. თიბვით აღარ ვიღლებოდი...

მერე რა, როცა ბიჭს თავბრუ ეხვევა, რა არ შეუძლია? მე ალბათ სწორედ იმ დღეს დამესახა თავბრუ ხელახლა.

ძარბუქში

ფათიმა ქალაქში აღარ წასულა. ოღონდ ახლა სხვა კლასში იყო და მას ვხედავდი მხოლოდ სკოლაში მიმავალს ან სკოლიდან შინ მომავალს. შორს იყო სკოლა: ჩვენი სოფლიდან შვიდი კილომეტრის სავალზე, ხოლო ფათიმას სოფლიდან დაახლოებით ექვსი კილომეტრი იქნებოდა, მაგრამ გზას შევეჩვიეთ და იგი აღარაფრად მიგვაჩნდა.

დილით განგებ ადრე მოვდიოდი სახლიდან და ფათიმას სოფლის ბოლოში ველოდებოდი ხოლმე.

რამდენი სიხარული, რამდენი ნეტარება განმიცდია ამ გზაზე! ყოველივე ეს რომ ერთად ჩავარდნილიყო გულში, იგი ვერ გაუძლებდა, გასკდებოდა, ნაფლეთებად იქცეოდა სიხარულისაგან!

დღეები გადიოდა, არავინ არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ როგორ ძესხნოდა თავბრუ. ვისმენ: რომ ჩემთვის ეთქვა: „მე ვიცი, შენ ფათიმა გიყვარსო“, — ალბათ სირცხვილისაგან თავს დაეხრჩობდი. მაგრამ არავინ არაფერს ამბობდა, ფიქრადაც არავის მოსდიოდა ჩემი სიყვარული, იმიტომ, რომ მე ვიყავი თექვსმეტი წლის, ხოლო ფათიმა ჩვიდმეტისა.

დადგა ზამთარი... მთები და ხეები, ღელეები და ველები თოვლმა დაფარა. შიშველი ხეები შტერებივით იდგნენ. მხოლოდ ხანდისხან ქარის შევობერვაზე თუ შეტოკდებოდნენ ზანტად. ბავშვობიდანვე ვგრძნობ რაღაც სიბრალულს ზამთრის მიერ დამზრალ ხეებისადმი. მგონია, თითქოს ადამიანივით თავს დიდი უბედურება ატყდებათ ხოლმე და ცულითაც რომ ასჩეხო, სისხლის წვეთი არ გამოუვათ. იმ ზამთარს კი ჩვეულებრივზე მეტად მებრალებოდნენ ეს უტყვი, დამზრალი, ყინვისაგან დაჩაგრული ხეები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ზამთარი ძალაში შევიდა და სუსხიანი ქარბუქი დატრიალდა, გრიგალმა ბოროტად იწყო წივილი.

ერთ დილასაც ადრიანად წამოვხტი და სკოლაში წასასვლელად მოვემზადე. მამაჩემმა თვალი მომკრა და გამაფრთხილა:

— ბიჭო, მოსალოდნელია ქარბუქის ამოვარდნა, სკოლაში წასვლაზე ნუ ფიქრობ. დედაჩემმაც მხარი დაუჭირა, მაგრამ რა გამაჩერებდა. „მერე რა, რომ ქარბუქი ამოვარდება? ქათმის წიწილა ხომ არა ვარ, რომ სიცივისაგან დავიკრუნჩხო? ან ფათიმამ რა უნდა თქვას,—ცარას სიცივისა შეეშინდა, სკოლაში არ მოვიდა! არა, არასგზით არ დავრჩები. ახლავე მივდივარ!“ — ვფიქრობდი ჩემთვის და ხმაამოუღებლივ ვემზადებოდი წასასვლელად. წავედი სკოლაში, რას დავდგებოდი! ოღონდ, დედამ მაინც ძალით ჩამაცვა ცხვრის ტყავის თბილი ქურთუკი. წინაღმდეგ სურვილისა, გავიკეთე ტყავის ხელთათმანები და ყაბალახიც კი მოვიხვიე, მანამდე რომ არასოდეს მიტარებია. ჩავიცვი ახალი რეიები, მაგრამ საქმე ამითაც როდი დამთავრებულა. მამაჩემმა დახედა ჩემს რეიებს, ხელით მოსინჯა და მითხრა: — ბიჭო, ესენი რაღაა. ამ ქაღალდივით თხელ რეიებში რა გაგაძლებინებს. ქარბუქში გაიყინები და ფეხები დაგეზრობა. მოდი და გარედან ჩემი ნაბდის ჩექმები ჩაიცვი, გესმის? არა და მაგ ფეხსაცმელებში ფეხსაც ვერსად გადადგამ.

რა გაეწყობოდა, ჩავიცვი მამის ნაბდის ჩექმები და გზას გავუდექი. მამამ ბრაზით გადმომძახა: — ცუდი ამინდი თუ იქნა, წამოსვლა არ გაბედო, იქვე დარჩი დედაშენის მოგვარეებთან!

მამაჩემის ვარაუდი გამართლდა. გაკვეთილები ჯერ არ დამთავრებულიყო, რომ ძლიერი ქარი ამოვარდა და ბუქი დაატრიალა. ჰაერი თოვლის მტვრით გაივსო და ადამიანი გზას ძლივსღა არჩევდა. სულ მალე აივსო ნამქერებით მინდვრები. გაკვეთილების დამთავრებისას მასწავლებლებმაც გვითხრეს: „შორს ვინც ცხოვრობს, ისინი აქ ახლომახლო სოფლებში დარჩნენო...“

მეც განვიზრახე დედის ნათესავებთან დავრჩენილიყავ, მაგრამ მოვრჩით თუ არა გაკვეთილებს, ფათიმამ წიგნების ჩანთა იღლიაში ამოიდო, თავზე თავისი თხელი თავსაფარი მოიხვია, სახე პალტოს საყელოში ჩარგო და სწრაფი ნაბიჯით შინისაკენ გამოსწია.

რაღა მედგომებოდა იქ? მაინც შევეკითხე ამხანაგებს, სახლში ვინ მოდიხართ-მეთქი, მაგრამ ყველას დარჩენა გადაეწყვიტა. მეუხერხულებოდა ვისმესთვის მეთქვა: „წამო, ფათიმა მარტო მიდის, არ გაეუშვათ, სირცხვილია. იქნება სადმე გაუქირდეს!..“ როგორ ვიტყოდი, ვინმე იფიქრებდა, ცარამ რად გამოიდო თავით.

მარტო წამოვედი. ამასობაში ფათიმა კარგ მანძილზე დამშორდა. მისი ფეხის კვალიც კი აღარ ჩანდა. ქარს თოვლის მტვერით ამოევსო. მივდევდი უკან, ვიჩქაროდი, მაგრამ ვერ ვეწეოდი.

ქარი უფროდაუფრო მატულობდა. თვალებს თოვლით მივსებდა. გზაზე წელამდე დადგა ნამქერი და სიარული ძალზე გაჭირდა. მართალია, მთელი მონდომებით მივიწევდი წინ, მაგრამ გზა მაინც ძალზე ნელა მოკლდებოდა. ქარი კი მშიერი მგელივით თანდათან აფთრდებოდა, კაცს წაქცევით ემუქრებოდა, ღმუოდა, თითქოს ლეშის მჭამელი მხეცივით ადამიანის წაქცევას ელოდებაო. ფათიმა მადარდებდა. რა იქნა... იქნებ სადმე ნამქერში ჩავარდა, სიარული ვეღარ შესძლო, გაიყინა და გაპირვებული საშველად მიხმობს: „ცარა, სადა ხარ, მიხსენი!..“ მეჩვენებოდა, ვითომ ფათიმა მართლაც გაიყინა სადღაც, მიხმობს და მეც ნართი ურუზმაგის უსახელო შვილივით საოცარ რაშს მოვახტი და მივქრი ფათიმასკენ. რაშის სუნთქვისაგან თოვლი დნება, ბალახი ამოდის და ჩემს უკან მადლობის ნიშნად თავს იქნევს, თითქოს მლოცავსო... მივქრივარ ფათიმასკენ რაშით და თან ვეუბნები: „ნუ გეშინია, აქა ვარ, გადაგარჩენ!..“

რას არ იფიქრებს კაცი, როცა იგი თექვსმეტი წლისაა და თანაც სიყვარულისაგან თავბრუდასხმული!

რამდენჯერმე ნამქერში ჩავეფლე, თოვლში ამოვიგანგლე, მაგრამ ნაბიჯს უფრო ვუმატებდი. ერთ პატარა მაღლობზე მოეკარი თვალი ფათიმას. სულერთიანად თოვლში იყო ამოგანგლული, ქარი სახეში სცემდა და სიარულს უშლიდა. გოგომ, ალბათ, როცა გაუქირდა, მხარი დაუპირისპირა ქარს და ისე მიდიოდა, მაგრამ ერთ ნამქერთან წაბარბაცდა და წაიქცა. მე მთელი ხმით დავუყვირე. მაგრამ, ჩანს, ვერ გავაგონე, ქარი ჩემს სიტყვებს უკან მაყრიდა სახეში. ძალა მოვიკრიფე და კიდევ უფრო ავუჩქარე ნაბიჯს. ამასობაში ფათიმა წამოდგა და კვლავ გზას გაუდგა. გოგო მაღლობს მიეფარა. მეც გადავცდი იმ მაღლობს და ის იყო პატარა ალმართს შევუდექი, რომ დავინახე, ფათიმამ უცბად ზურგი შეუქცია ქარს და ჩემსკენ იბრუნა პირი. ალბათ გაუქირდა. როგორც ჩანდა, ფათიმამ თვალი ჭიმკრა და ხელი დამიქნია. მეც ფრთები შემესხა და უმალ მის წინ გავჩნდი.

გული გამიწვრილდა მისი ცოდვით. სახე მთლად გალურჯებოდა, ხელები თხელ, ნაზად ნაქსოვ თათმანებში ყინვისაგან დაკრუნჩხვოდა, თანაც თოვლში დასველებოდა და ერთიანად გაყინვოდა.

ახლოს მივედი, ფათიმას გაეხარდა, რაღაცა მითხრა და მე მივხედი, რომ ტუჩები აღარ ემორჩილებოდა.

მივედი, ჩანთა გამოვართვი და გავუძეხი. თან უკან-უკან ვიხედებოდი. გუნებაში ვფიქრობდი: რა მოვუხერხო-მეთქი გოგოს. ფათიმას მხნეობა შეემატა და ბეჯითად გამომყვა.

კარგა მანძილი რომ გავიარეთ, მოსახვევში ერთ დიდ კლდეს შევეფარე. ფათიმაც ჩემს გვერდით დადგა და ფეხები აბაკუნა. იმ წამში რომ შესაძლებელი ყოფილიყო ფათიმასთვის რეჟიების გაკეთება, თვალისდახამხამებაში შევასრულებდი ამას.

სხვა ვერაფერი მოვიაზრე, გაბედულება მოვიკრიფე, ხელთათმანები წავაძრე და პატარა, თეთრი თითების სრესა დავუწყე სწრაფად. ის თითები დღემდე გულზე ისარივით გამკრავენ ხოლმე. მალე

ჩემი ქურთუკი წამოიშვერა: მისი ბეწვებით გავუთბე თითები. ფათიმას ხელები ისე გაყინოდა, რომ თითებით ვეღარაფერს გრძნობდა. ცოტათი რომ შეუთბა, თითებში სისხლი კვლავ ამოძრავდა და მის წამწამებზე ცრემლები აციმციმდა.

— გტკივა?

— მტკივა... — გულახდილად გამოტყდა იგი.

— მაშ ნულარ გეშინია, მალე მოგირჩება, — ვანუგეშე. შემდეგ ჩემი ხელთათმანები ჩავაცვი, მისიანი ცხვირსახოცით ცრემლები მოვწმინდე და როცა მითხრა: „ვმადლობ, ცარაო", ჩემზე ბედნიერი კაცი აღარ იყო ქვეყნად.

„ფეხებს რა ვუყო, ფეხებს" — ვფიქრობდი გულში და უეცრად მოვისაზრე, ნაბდის ჩექმები მიმეცა. ქურქი გავიძრე და ასე მივმართე:

— დაჯექი, ჩუსტები გაიხადე.

— რატომ?

— დაჯექ, გეტყვი თუ რატომ.

ფათიმამ თვალები შემოსაშტერა. ამასობაში მე ცალი ჩექმა გავიძრე.

— გაგიყდი, ბიჭო, ჩაიცვი შენი ფეხსაცმელები, რას შერები?

— აბა, ჩქარა, ჩქარა, ჩემთვის საშიში არაფერია. მე თოვლზე ფეხშიშველასაც ბევრჯერ მირბენია.

ფათიმამ ისეთი თვალებით შემომხედა, თითქოს ქვეყანაზე ჩემს მეტი არავინ ჰყავდა. ოჰ, ვისაც ასეთი შემოხედვა უნახავს და განუცდია, მისთვის რა ადვილია ცხოვრება!

ბულბული ოდესღაც შეყვარებული ვაჟი თუ იყო! ნახა თავისი სატრფოს ასეთი შემოხედვა, მეტი-ნაკლები სიხარულისაგან ხმატკბილ ფრინველად იქცა და მას შემდეგ საუკუნეთა მანძილზე სიყვარულზე გალობს.

სიხარულისაგან ლამის თვალთ დამიბნელდა, გული სიამით ამევსო და ოცნებამ გამიტაცა; უეცრად ფათიმას ხმამ გონზე მომიყვანა:

— გენაცვალე, ცარა, ჩაიცვი შენი ფეხსაცმელები, ჩემი ბრალია, დილას ძალუაჩემი რამდენს მეხვეწა, რვიები ჩაიცვიო, მაგრამ არ გავუგონე.

— მე გაგიგონებ, მიქერე ერთი! — ვუთხარი სიცილით და ჩემს ქურთუკზე დავსვი. მერე რვიები გავიძრე და როცა გოგომ ისევ მისაყვედურა, მაშინ გავაკვირვინე, რომ ჭას რვიები უნდა ჩაეცვა, ხოლო მე ნაბდის ჩექმებში მეევლო. მეშინოდა, ნაბდის ჩექმებში თოვლი არ ჩასულიყო და არ შესცივნოდა ფეხებზე ფათიმას. რვიები ერჩივნა. იგი დათანხმდა. დაჯდა, ჩავაცვი ჩემი რვიები, ქურქი, ყაბალახი მოვახვიე, ხოლო მე მისი პალტო ჩავიცვი. ფათიმა მეუბნებოდა, მომეცი ჩემი პალტო, ქურქი შენ ჩაიცვიო, მაგრამ ყური ვიღამ უგდო. აეიღე მისი ჩანთა, ჩუსტები და გამოვწიე. ხმას არ ვიღებდი, ძლიერი ქარი ჰქროდა და ლაპარაკი არ შეიძლებოდა. მათს სოფელს ისე მივალწიეთ, რომ ვერც კი გავიგეთ. ფათიმას არ შესცივდეს-მეთქი ვფიქრობდი და ნაბიჯს ვუმატებდი. არ მინდოდა გათავებულიყო გზა, მაგრამ ჩვენს გამო ხომ არ გაგრძელდებოდა? მისივე ტანსაცმელი ჩავაცვი და წავიდა. გაშტერებული ვიდექი და გავაცქეროდი, ვიდრე ეზოში შევიდოდა. მეც არ ვიცოდი, რად ეუცქეროდი; ოღონდ, როცა მოიხედა და გალიმებულმა ხელი დამიქნია, მეგონა, რაღაც დიდი რამ მაჩუქა-მეთქი. გახარებულმა შინისაკენ გამოვწიე.

ქარბუქი არასოდეს არ მყვარებია, მაგრამ მას შემდეგ ამოვარდება თუ არა ქარბუქი, გული რაღაც საოცრად ნაზი სიხარულით მევსება ხოლმე. გმადლობ, ქარბუქო, გმადლობ! ურუზმაგის ვაჟად არ გადავქცეულვარ, მაგრამ გამოუთქმელი სიხარული კი მერგო. ო, ნეტავი კიდევ ამოვარდეს ოდესმე ასეთი ქარბუქი!

მარტოდ, სევდიანად

ზაფხულში ფათიმა ისევ ქალაქში წავიდა. მე მარტო დავრჩი დაღონებული...

დილიდან საღამომდე წიგნით ხელში დავეხეტებოდი ტყის ორწოხებში, ეკითხულობდი, მაგრამ ჩემი ფიქრი შორს, სადღაც სხვაგან, სულ სხვაგან მიჰქროდა. იგი მტრედივით ფათიმასთან მიფრინავდა, თითქოს რაღაცას უსაყვედურებდა.

დავიღლებოდი თუ არა წიგნის კითხვით, სევდიანად ვიმეორებდი ღიღინით პუშკინის სიტყვებს:

«Я помню чудное мгновенье».

დაიწყო თიბვა თუ არა, ხელში ცელი აეიღე და კოლმეურნეობის მთიბავებთან ერთად ვთიბავდი. ალბათ არასოდეს აღარ ვიმღერებ „საოცნებოს" ისე, როგორც იმ ზაფხულში: „თეთრ წყალში შავი თვალია, ბევრიც იმიტომ დავლიე" — წკრიალა ხმით ვმღეროდი. ბევრი ბოხი ხმა, ზღვის უწყინარი ტალღებივით ამყვებოდა ხოლმე, მაგრამ ჩემი წკრი-

ალა ხმა ისარივით მიაქროდა სულ მაღლა, ცაში იკრებოდა, მსგავსად იმისა, როგორც ტოროლა ავარდება ხოლმე სათიბის ზემოთ, ფრთების ოდნავი შესამჩნევი რხევით.

„თეთრ წყალში შავი მძიგია...“—ემღეროდი და თვალწინ მესახებოდა: ბროლივით თეთრი ტალღები ერთმანეთს თავზე ახტებიან, მზის სხივებში ბრწყინავენ ვერცხლისწყლის შხეფებივით და ზღვის კალთაში ინთქებიან. თეთრი წყლის ნაპირზე თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებს შავი თვალი — ნატვრის თვალი, ბედის მომცემი. იქნებ ნატვრისთვალიც იმიტომ ჰქვია, რომ რასაც ინატრებს კაცი, იმას აძლევს. ის თვალი იტაცებს ჭაბუკის მზერას, გულს რალაც შეუცნობელი იმედით უვსებს და აშღერებს... ვაჟის შეყვარებული გული ხარობს, იწვის, სიყვარულის ხანძარი ეკიდება და თუმცა იმ წყლიდან ბევრს სვამს, მაინც წყურვილს ვერ იკლავს, გულის ცეცხლს ვერ იქრობს.

სიმღერა ხან სულ ნელდებოდა, ხან კი მაღლა-მაღლა იწევდა და გულს ლამაზი ოცნებით ავსებდა. მაგრამ ეს ჰანგები ალბათ მხოლოდ ჩემს გულს ხვდებოდნენ მდუღარე ცრემლებივით.

სად არის ის გოგო, მის ამბავსაც რომ ვერაფინ გამაგებინებს... რას ველოდები, რისი იმედი მაქვს!

ჩემი სევდიანი დღეები მარტოობაში მიდიოდნენ. ღამით შინ მისვლაც აღარ მინდოდა და ხშირად ვრჩებოდი ამხანაგებთან ერთად სათიბში. თვალს ძილი არ ეკარებოდა! გაშტერებული ვუყურებდი ცას, მარადიულ ცას.

შეყვარებულ ქალ-ვაჟთა თვალები დასაბამიდან დღემდე ბედ-ილბლის წიგნივით შეჰყურებდნენ იმ საოცარ ცას.

ბავშვობიდან მეჩვენება, თითქოს საღამო ხანს მზე რალაც ძველისძველ თხელ პირსაბურავს მოიხვევს ხოლმე. ეს საბურავი საუკუნეთა განმავლობაში დაძველდა, გაცვდა და ზედ გაჩნდა მილიონობით წვრილ-წვრილი ნასვრეტები. ამ ნასვრეტებიდან მზე პატარა ბავშვივით იქყიტება დედამიწისაკენ და ჩვენ კი ვარსკვლავებს ვუწოდებთ.

ბავშვობიდან ასე მეჩვენებოდა, მაგრამ ახლა ჩემი გული სულ სხვა ოცნებას გაეტაცა. შევცქეროდი ვარსკვლავებს, ვიქერდი მათს ოდნავ შესამჩნევ ცემცემს. შევცქეროდი, იქნებ სენტიმენტალურიცაა, რასაც ვფიქრობ, მაგრამ გული მეუბნებოდა, სწორედ იმხანად, სადღაც, ქალაქის ერთი კუთხიდან, ფათიმაც მათ შესცქეროდა.

მიდიოდა დღეები. მიიწურა ზაფხული. დადგა პირველი სექტემბერი. დილაადრიანად წავედით და სკოლისაკენ მოვკურცხლე. სოფლის ჩამოსავალში დავჯექი და ფათიმას ლოდინი დავიწყე.

„ნეტავ მოვიდა ქალაქიდან, თუ არა“, — ვფიქრობდი გულში და რა წამს „არას“ გავიფიქრებდი, შუბლზე სიმწრის ოფლი მესხმებოდა.

უეცრად თვალები სიხარულისაგან ამენთო. ჩემს წინ თითქოს მზე გადაგორდაო, ისე განათდა. ფეხზე წამოვხტი. გზაზე ფათიმა მოდიოდა თავის ამხანაგებთან ერთად. საოცრად ლამაზი ჰქონდა სახე, ტანი, ტანსაცმელი, სიარულიც კი. თუმცა იქნებ მე მომეჩვენა ასე!

გაჭრნენ მარტოობის, სევდიანი დღეები. კელავ ბედნიერი დრო დამიდგა.

არ შეიძლება!

უბმოდ გადიოდა ჩემი სიყვარულის დღეები. ან რა უნდა მეთქვა! რა საჭირო იყო სიტყვები! მე ვინდოდა მისთვის მეცქირა და ყოველდღე ვხედავდი. მე მინდოდა მესმინა მისი ხმა და ყოველდღე ვისმენდი. სხვას არაფერს ვნატრობდი და ზამთრის ხესავით უტყვად ვიდექი.

ზამთრის ცივ დღეებში კლასში ადრე მივდიოდი და ფათიმას ღუმელთან ჩემს გვერდით ვსვამდი. რა ბედნიერი ვიყავი, განსაკუთრებით მაშინ, თუ იქ არავინ იყო სხვა და გაყინულ თითებს ჩემს ხელებში ვუთბობდი. ჩემზე ბედნიერი ქვეყნად მართლაც რომ არავინ იყო.

ასე გადიოდა დღეები. მაგრამ, ერთხელ საპირველმაისოდ სკოლის სცენაზე პიესის დადგმა განვიზრახეთ. დამავალეს რეჟისორობა. მეც დაეთანხმდი. როლები გავანაწილეთ. ფათიმას ერგო შეყვარებულის როლი. პიესის მიხედვით, ეგი სხვას უყვარდა და ამიტომაც იმთავითვე შემძულდა. ეს პიესა, მაგრამ რა გაეწყობოდა.

დავიწყეთ რეპეტიციები. ფათიმას შეყვარებულის როლს თამაშობდა ჩვენი თანაკლასელი — მუშკელი, მკვეხარა და კარგი ნიშნების მოყვარული ბიჭი. თუმცა, მართალი რომ ითქვას, შეხედულებითა და ჩაცმით, წუნს ვერ დასდებდით. ჩემთან ცუდად არ იყო განწყობილი, მაგრამ რა დასამალია, არ მიყვარდა. მუდამ „მე ვარ, მე ვარ“-ს

[illegible] ოდა, ხანდ[illegible] [illegible] ოლონდ ცოტა რამ ესწავლა და მასწავლებელს მთის ოდენად მოაჩვენებდა. ერთხელ სიცრუეში დაიჭირეს და მას შემდეგ აღარ ენდობოდნენ ხოლმე. მუშკელს ასეთი ჩვეულება ჰქონდა: როცა მასწავლებელი კითხვას დასვამდა, იგი მიიხედ-მოიხედავდა და თუ რამდენიმე მოწაფე თითს ასწევდა, ისიც უმალ ასწევდა, თუნდაც საკითხი არ სცოდნოდა.

ერთხელ მასწავლებელმა რაღაც შეკითხვა მისცა მოწაფეებს. თითი არავინ ასწია. მუშკელი რაღაცით იყო გართული, ეს ვერ შენიშნა და ისე ასწია თითი.

მასწავლებელმა ააყენა და კითხვა გაუმეორა. ყველამ მუშკელს შეხედა, იგი წამოდგა, თვალები დაახამხამა, ერთხანს რაღაცას ფიქრობდა, მერე განწირული ხმით წარმოთქვა:

— დამავიწყდა, მასწავლებელო...

კლასმა ერთხმად გადაიხარხარა და მუშკელი გაფითრდა.

მასწავლებელს გაეღიმა და მიუგო:

— არა უშავს, მუშკელ, დაჯექი. ძალიან სწრაფად რომ წამოხტი, ალბათ დაგავიწყდა. სხვა დროს უფრო დინჯად ადექი ხოლმე, თანაც ხელის აწევამდე დაფიქრდი.

სწორედ ეს მუშკელი თამაშობდა ახლა ფათიმას შეყვარებულის როლს. გული ბარემ მტკიოდა, მაგრამ რა შემეძლო.

განსაკუთრებით გულს მიკლავდა ის ამბავი, რომ პიესის მიხედვით ერთხელ უნდა გადაეკოცნათ ერთმანეთი. პირველ რეპეტიციებშიც ფათიმამ უარი თქვა კოცნაზე, არა და სულაც არ ვითამაშებო. მუშკელი არ თანხმდებოდა, მაგრამ ამხანაგებმა ყველამ ფათიმას მხარი დაიჭირეს; მეც ჩემი რეჟისორული უფლებები გამოვიყენე და მუშკელი გაჩუმდა.

ამის შემდეგ რეპეტიციები შშვიდად მიმდინარეობდა. უკანასკნელ გენერალურ რეპეტიციაზე კი მუშკელმა უეცრად ფათიმა თავისკენ მიიზიდა და აკოცა.

თითქოს გულზე დანის წვერი მომხვდა, ისე შევხტი და რეტიანივით დავიყვირე:

— ეგ არ შეიძლება!

„არტისტები" კულისებიდან სცენაზე გამოცვივდნენ და მუშკელს საყვედურები დააყარეს. ის „დამავიწყდა"-ს იმეორებდა [illegible] ფათიმაც კი ტირილი მორთო.

მუშკელისათვის წიგნი უნდა დამერტყა თავში, მაგრამ თავი შევიკავე და საერთო საქმეზე გულშემატკივრის ტონით დავიწყე ჩხუბი.

— თუ კოცნა გინდათ, საამისო ადგილი რამდენიც გნებავთ იმდენია. იქ რაც გენებოთ, ის აკეთეთ, აქ კი საქმეს ნუ ურევთ.

ვინ იცის კიდევ რა სისულელე არ წამოვროშე; ვიგრძენი, რომ ფათიმა ძალიან გავანაწყენე და ჩემს თავზე ჯავრი მომივიდა.

მას შემდეგ ფათიმას ჩემთვის ხეირიანად ხმაც კი აღარ გაუცია პირველ მაისამდე. მაისის დღესასწაულზე კი კვლავ მომეცა კარგი შემთხვევა გულის ჯავრის გასაქრობად.

ერთი ნაბდის ძვეშ

პიესა პირველი მაისის ღამეს წარმოვადგინეთ. ჩვენ, „აქტიორები", ყველაზე გვიან წავედით შინ. სამი ქალი და სამი ვაჟი მივდიოდით ერთად.

ღამის წყვდიადი იდგა. გზა კი გრძელი გვქონდა. გაზაფხული იყო. ადიდებული მდინარეები ხევებში ხმაურით მიექანებოდნენ. ხეების მზიან ადგილებში ტყეს ფოთოლი გამოეტანა. ახალი ფოთლის სურნელება და გაღვიძებული მიწის სუნთქვა ადამიანის გულში იჭრებოდა. ღამის წყვდიადი სქელი შავი ლუდივით ტალღა-ტალღაზე გადადიოდა.

ტყემ გაიღვიძა, გაუფოთლავ ხეებს კვირტები თხის ძუძუებივით ავსებოდათ. გზის აქეთ-იქით ხეები დარაჯებივით იდგნენ.

გაზაფხულზე, როცა ცხოველებსა და მცენარეებს ახალი სიცოცხლის წყურვილით გამოეღვიძებათ, ადამიანის გულიც რაღაც შეუცნობელი იმედით აივსება და ყოველდღიური წვრილმანი ფიქრი და სევდა დილის ნისლივით გაუქრება ხოლმე.

კაცის ლამაზი სურვილები და ტკბილი ოცნებანი ფართოდ იშლებიან და იგი სხეულში გრძნობს რაღაც ძლიერსა და დაუშრეტელ ძალას.

ასე ვიყავი მეც იმ გაზაფხულზე, განსაკუთრებით კი იმ ღამეს. იმიტომ, რომ გვერდით მომყვებოდა ის, ვინც ჩემს სულზე მეტად მიყვარდა და კიდევ იმიტომ, რომ თექვსმეტი წლისა ვიყავი.

ცაზე პირქუშმა ღრუბლებმა ერთმანეთს ელვის ისრები დააყარეს. ალბათ რომელიღაც მათგანი

საბიკვდილოდ დაიჭრა და უეცრად ცრემლი წასკდა — წვიმა წამოვიდა.

ჩვენ, ბიჭებს, ოსური ტანსაცმელი გვეცვა — ნაბადწამოსხმულები ვიყავით და წვიმისა არ გვეშინოდა. გოგოები კი თხელ საზაფხულო სამოსში იყვნენ და უმალ გზასაცდენილი წეროებივით აყიყინდნენ. ფათიმა მშვიდად მომყვებოდა გვერდში. სხვა გოგოები ქათმის წიწილებივით ჩაიმალნენ ავზანაგების ნაბდებქვეშ.

ამის დანახვისას მეც მოვიხსენი ნაბადი და ფათიმას მხრებზე მოვახურე. მან ხმა არ ამოიღო. ნაბდის კალთები მიიზიდა და ჩვეულებრივი ნაბიჯით მიჰყვა გზას. უეცრად წვიმამ კოკისპირულად დაასხა. ახლა კი მომიბრუნდა ფათიმა და მითხრა:

— გმირო, მოდი, ბათრის გამო შემოგიშვებ შენი ნაბდის ქვეშ.

— ისეთი რა დავაშავე, ეგრე ძნელად საპატიებელი? — ღიმილით ვუპასუხე მე და ნაბადქვეშ ფათიმას გვერდით ამოვუდექი.

— თუ შენ თვითონ ვერა გრძნობ, ჩემი თქმა რაღა საჭიროა.

ბარემ ვგრძნობდი, მაგრამ როგორ ვიტყოდი. მაშინ ხომ ის საიდუმლოება უნდა მეთქვა, წლების განმავლობაში რომ ვატარებდი გულში. ამის თქმას კი აბა როგორ მოვახერხებდი!

— მაპატიე, გაბრაზებულმა თავი ვერ შევიკავე იმ კოცნის გამო. მუშკელის ბრალი იყო, აბა სხვა დროს თუ გსმენია ჩემგან ეგრეთი სიტყვები.

— არ მსმენია, მაგრამ მაგით თავს ვერ გაიმართლებ. მე აქ საკოცნელად როდი ვარ ჩამოსული!..

ამ სიტყვების გაგონებისას თვალი მოვკარი ფათიმას სახის მრისხანე გამომეტყველებას. მინდოდა მეთქვა, აქ სასწავლებლად ხარ მოსული, შინ კი ალბათ საკოცნელად მიდიხარ ხოლმე, მაგრამ შემეშინდა — ვაი თუ ეწყინოს ჩემი ხუმრობა-მეთქი. იმ წუთს ხმა ალარ ამომიღია, მაგრამ ცოტა ფიქრის შემდეგ კი ეუთხარი:

— ჰოდა, მე ხომ თავს არ ვიმართლებ, პატიებას გთხოვ, ნუთუ ასე შეუბრალებელი ხარ.

— კარგი, ერთხელ გეპატიოს, — ალერსიანი ხმით მომიგო მან, მერე მკლავში ხელი გამიყარა და ასე განვაგრძეთ გზა. მივხვდი, რომ მართლაც შემინდო დანაშაული და სიხარულით ავევნთე, მაგრამ სწორედ იმ წუთს ზედ გულზე ცივი წყალი გადამასხა, ბოლო ტანში ცივმა ელექტრონულმა დენივით დამიარა.

— ცარა, მე ძმასავით მიყვარხარ, შენ კი როგორ მაწყენინე. განა მე მუშკელისთანა ქარაფშუტებს ვკოცნი?

რამ ათქმევინა ის სიტყვები!..

„ო, ძმასავით არა... ფრჩხილისოდენა სიყვარული მაინც გქონოდა ჩემი“. — დაიკვნესა გულმა, თუმცა ენას არაფერი უთქვამს. აზრი დამეფანტა... „არ ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ!.. ფიქრადაც არ მოსდის ჩემი სიყვარული!.. — დაგა-დუგი გაჰქონდა გულს.

სიტყვის თქმაც ვეღარ მოვახერხე და ასე უხმოდ მივყევი ეზოს კარებამდე.

ჭიშკართან შევჩერდით. თვალი მოვკარი მათს ბაღში აყვავებულ ალუბლებს და უეცრად მოვისურვე ფათიმასთვის ყვავილი მიმეცა. ღობეს გადავევლე, მაგრამ მოვტეხე თუ არა პატარა ტოტი, იქვე გაისმა დათვისოდენა ძაღლის ბრაზმორეული ღრენა. გაქცევა ალარ შეიძლებოდა. შიშისაგან ხმის ამოღებაც ვერ მოვახერხე. „ხანჯალი!“... — გამიელვა თავში ფიქრმა, მაგრამ უმალ მეორე ფიქრმა განდევნა იგი: „ნაბადი!.. ნაბადი!..“

ნაბადი მხრებზე მქონდა წამოსხმული, უცბად მოვიძვრე იგი და შემომახტა თუ არა ძაღლი, ზედ წავახურე და წავაქციე. განძრევა ალარ ვაცალე, ალბათ გაუჭირდა და ყმუილი მორთო.

ფათიმამ მთელი ხმით დაიკივლა და სახლში შევარდა. ოთახიდან ბიძამისი გამოვიდა და ძაღლი დაბა. გაეხარდა, როცა გაიგო, რომ არ ვიყავი დაკბენილი და სახლში მიმიპატიჟა. ფათიმას ღაწვებზე ცრემლები ჯერაც არ შეშრობოდა. ამის დანახვაზე გული კვლავ სიხარულით ამევსო. ღამე არ მიშვებდნენ, მაგრამ არ დავდექი, შინ წამოვედი. ფათიმამ ეზოში გამომაცილა. ღობესთან რომ მოვედი, გაკვირვებით შემომაშტერდა და მკითხა:

— წეღან რაღამ გაგაგიჟა, ცარა, ძაღლს რაზე აგლეჯინებდი თავს? მე ხმა არ გავეცი, ნაბადი მხრებზე წამოვისხი და ღობეს ხელახლა გადავევლე. აყვავებული რტო ავიღე და უკან გამოვბრუნდი. მივედი ფათიმასთან და ყვავილი ნაწნავში გავუყარე.

— აი რატომ ვეგლეჯინებოდი ძაღლს...

ფათიმამ არაფერი მიპასუხა, ნაბადი მხრებზე წამომასხა, კისერზე ხელი შემომაჭდო, შუბლზე მა-

კოცა და სახლში შევარდა. ადგილზე გავშეშდი, როცა კარები მიიჯახუნა, გამოვტრიალდი და შინისაკენ გამოვწიე. სოფელს რომ გამოვცდი, სიმღერა შემოვძახე და სახლამდე არ შემიწყვეტია, საოცარია: იმ ღამეს ჩემზე ბედნიერი არავინ იყო ქვეყანაზე.

სევდიანი დღეები

დავამთავრეთ მერვე კლასი. ზაფხულში ფათიმა კვლავ ქალაქში წავიდა. კვლავ დავრჩი მარტო, მაგრამ ახლა ისე აღარ მიმძიმდა. — გული იმედით აღსილიყო და სევდას ახლოს აღარ იკარებდა.

ძალიან დაშიმძიმდა აგვისტოს უკანასკნელი დღე. „ხვალინდელი დილა.. ხვალინდელი დილა..“ — დაგადუგი გაჰქონდა გულს და მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. გარიჟრაჟზე ოდნავ წამთვლიმა, მაგრამ უმალ გამოვეღვიძა და ლოგინიდან წამოვხტი. ხეზე ჩავირბინე, პირზე ცივი წყალი შევისხი და სკოლის გზას გავუდექი.

ფათიმას შევხვდი. როცა მისთვის თვალის გასწორება მოვინდომე, მან სახე მომარიდა, თავი ძირს დახარა და მიწას დააშტერდა, ვერე რაღაცა გაიფიქრა, წელში გასწორდა, უსიამოვნოდ გაიღიმა, გზას გახედა და თქვა:

— წავიდეთ, ცარა, წავიდეთ, თორემ დაგვიანებთ.

წინათ სკოლაში ყოველთვის უხმოდ მივდიოდით ხოლმე. ათასში ერთხელ თუ გავუსწორებდით ერთმანეთს თვალს. სხვა არაფერი იყო ჩვენს შორის. ახლა კი, ვიდრე სკოლას არ მივაღწიეთ, ფათიმას მთელ გზაზე ენა არ გაუჩერებია. „რა დაემართა?“ — გაკვირვებით ვფიქრობდი ჩემთვის. მეჩვენებოდა, თითქოს რაღაც საიდუმლოებას მიმალავდა და სურდა სიტყვებით მისი დაფარვა. მაგრამ არაფერი ვიცოდი და ბოლოს ვთქვი ჩემთვის, ალბათ, ორი თვე რომ აღარ ვუნახივარ, ამიტომ მეფაპარაკება-მეთქი ამდენს. საოცარი იყო ის, რომ თავისთავზე სიტყვაც არ დასცდენია. რაღაც ეჭვი გულს მიკენწლავდა, მსურდა გამეგო, რა მოხდა, მაგრამ შეკითხვა ძალზე მეუხერხულებოდა. ის დღე გავიდა, მაგრამ ეჭვი და სევდა არც შემდეგში გამქრალა ჩემში. ფათიმა გამირბოდა. შევამჩნიე, რომ იგი მარტო აღარ დადიოდა სკოლაში.

რაც დრო გადიოდა, სევდაც მით უფრო მემატებოდა. გული მიგრძნობდა, რომ რაღაც მოხდა, მაგრამ სახელდობრ რა, ეს არ ვიცოდი.

ზამთრის ერთ დღეს, გაკვეთილების შემდეგ სარეპეტიციოდ მივდიოდით. ფათიმამ პალტო მხრებზე მოიგდო და სიარულის დროს ხელმანდილის ამოსაღებად ხელი ჩაიდო ჯიბეში. ხელმანდილს ქაღალდის პატარა ნახევი ამოჰყვა. ფეხდაფეხ მივდევდი და ქაღალდი ავიღე. გულმა ვერ მომითმინა და ქაღალდი გავხსენი, უმალ თვალში ეკლებიანით მომხვდა ჩემი პირველი სიტყვები: „Дорогая, золотая, крошечка моя. Я тебя еще больше люблю с тех пор, как обо всем договорились“... მეტის წაკითხვა აღარ შემეძლო. სახეზე სისხლი მომაწვა, ხმა ჩამეხშო, მაგრამ თავი შევიმაგრე და ფათიმას მივმართე:

— აბა, რაღაც ქაღალდი დაგივარდა.

ფათიმამ მოჰკრა თუ არა თვალი ქაღალდს, -ცნო და ფერი ეცვალა. ქაღალდი გამომართვა. შეეცადა ჩემს თვალებში ამოეკითხა, გავიგე თუ არა ქაღალდის შინაარსი, მაგრამ მე მივაწოდე თუ არა ქაღალდი, სწრაფად დავწინაურდი. სცენაზე სუფლიორის ნაცვლად მე ავიღე პიესა ხელში და რეპეტიციის დამთავრებამდე თვალი არ მომიცილებია.

იმ დღიდან მეც ვარიდებდი თავს ფათიმას. მართალია, სავსებით არ მესმოდა ქაღალდზე ამოკითხული სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ მეგონა, რომ ვიღაც ჩადგა ჩვენს შორის და ჩასჭრა ის უხილავი ძაფი, რომელიც ბავშვობის დღეებიდან ერთმანეთს გვაკავშირებდა. ეს ამბავი, როგორც ჩანდა, ფათიმას ნებით მოხდა და მეც რაღა მეთქმოდა — ვფიქრობდი გულში.

დაღონებული, სევდიანად ვატარებდი დღეებს, თითქოს მზის დისკო ზღაპრულ ურჩხულს ჩაეყლაპოს. უფრო კი ის მიმძიმდა, რომ საქმის ნამდვილი ვითარება ჩემთვის კვლავ საიდუმლოებას წარმოადგენდა. ხანდისხან ოცნების კოშკებს ავაგებდი, წუთით სევდა ქრებოდა, გულში რაღაც იმედი ისახებოდა, მაგრამ იგი უმალვე ქრებოდა და კვლავ გულგატეხილობას ვეძლეოდი. ეჭვი და გაურკვევლობა გულს მიღრღნიდა, მაგრამ შორს აღარ იყო ის დღეც, როცა სინამდვილე უნდა გამეგო...

ნეტავ ისევ არ მინახე...

რვა მარტის დღესასწაული მოახლოებული იყო. ერთ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, რამდენიმე კომკავშირელი ამხანაგი ერთად ვისხედით და გმსჯელობდით იმაზე, თუ როგორ აგვემაღლებინა კლასში მეცადინეობა. იქვე იჯდა ფათიმაც. მას

სასლში წასვლა უნდოდა, ამბობდა მეაქარებაო, მაგრამ ჩვენ არ გავუშვით.

ვისხედით ღუმელთან და ვბაასობდით. ჯერ ლაპარაკი არ დაგვესრულებინა, რომ კლასში ქარიგით შემოფრინდა სიბარულისაგან სახეგაბადრული ჩიზნალი. მას კლასი იცნობდა, როგორც მეტად კეთილ და გულახდილ ქალიშვილს, — ერთი ახალი ამბავიც კი არ დაუმალავს ოდესმე ჩვენთვის. შემოვარდა კლასში, ქარები აღარ მიხურა, ტაში შემოჰკრა და ფათიმას უთხრა:

— ცეკვა, ცეკვა, ცეკვა! სასიხარულო ამბავი! ცეკვა, ფათიმა, ცეკვა!

— რა იყო, რა მოხდა, — შემოეხვივნენ გოგოები და რაღაც წასჩურჩულეს, მაგრამ ჩიზნალმა ისევ დაიძახა:

— არა, ბიუებისაგან მე არაფერსაც არა ვმალავ. რას ამბობთ, ასეთი სასიხარულო ამბავი როგორ უნდა დავუმალო...

მაშინ ერთი ბიუი წამოხტა და ცეკვა დაიწყო.

— ჩიზნალ, შენ ოღონდ თქვი და ცეკვა ჩემზე იყოს!

ჩიზნალმა გოგოებს თავი მიანება, ჩვენ მოგვიახლოვდა და ფათიმაზე მინიშნებით თქვა:

— ხედავთ ამ ეშმაკს! რა ლამაზ ბიუზე გათხოვდა და დღემდე კი არავის გააგებინა! ახლა ბიუი ჯარზე მოგვადგა, ეს კი ვითომდა არაფერიაო, აქ ზის და საუბრობს! წავიდეთ ყველანი, ვნახოთ სიძე-ე-ე!! — გააგრძელა ბოლო სიტყვა ჩიზნალმა და გარეთ გავარდა.

კლასი უმალ დაცარიელდა. მე კი თითქოს თავში ურო დამარტყესო, ადგომა ვეღარ შევძელი, ოფლმა დამასხა და სახეზე ხელები მივიფარე.

ჩემდა საბედნიეროდ ყურადღება არავინ მომაქცია. ვიდრე ისინი სიძეს ეხვეოდნენ, მეც ავზარ მოვიკრიბე, ოფლი შევიწმინდე და დერეფანში გამოვედი. სხეულში რაღაც უცნაური ძალა ვიგრძენი და ფათიმას ჯინაზე ხუმრობა დავიწყე.

— ჰეი, გოგოებო, ნუ კი დაასრჩობთ სიძეს. შინ შემოიყვანეთ, მოველაპარაკოთ, ჩვენი ხეობის თვალისჩინ გოგოს ასე ადვილად როდი გავატანთ. ჩვენ ძუნწი ხალხი ვართ. ოჯახის უფროსებთან და გოგოსთან მორიგება ერთია, ამბანაგებთან მორიგება კი მეორე და ნთავარი!

შემოიყვანეს სიძე, შემოვიდა ფათიმაც ფერმკრთალი და სევდიანი სახით. იქნებ სიძესაც შეემჩნია ფათიმას მდგომარეობა, მაგრამ ჩიზნალმა არ აცალა და სხვისაკენ მიხედვის საშუალება აღარ მისცა. ჩიზნალზე უარესი კიდევ მე დამემართა, დღესაც მაოცებს, — როგორ შევძელი. როგორც ჩანს, კაცს თუ გაუჭირდა, ნება-უნებლიეთ შეუძლებელსაც შესძლებს. გორკის თქმისა არ იყოს: „ჯავრი ხარჯაც კი ბულბულივით დააწყებინებს გალობას". გული მიკვნესოდა, სახე კი მიცინოდა, ენაც რაღაც სისულელეებს როშაედა. თვალები ანთებული კელეპტრებივით ელავდნენ და ცდილობდნენ ფათიმას მზერის დაჭერას. ისიც ფერმკრთალი და სევდიანი სახით იდგა. იმ ფერმკრთალი სახის ხილვისას რაღაც მიხაროდა გულში, მაგრამ რა იყო მიზეზი ამ სიხარულისა, — დღესაც არ ვიცი.

ამასობაში საღამოც მოვიდა და აქეთ-იქით გავიფანტენით. მე შინ აღარ წავსულვარ, არ მინდოდა სხვის ბედს მივყოლოდი მათხოვარსავით: დაე, ჩვენმა სიძე-პატარძალმა მარტოდ იარონ. მე მათი თანამგზავრი არა ვარ-მეთქი.

როდესაც ერთმანეთს ვშორდებოდით, ფათიმა მომიახლოვდა და ყურში წამჩურჩულა:

— შენ რეჟისორი კი არა, არტისტი ხარ! არტისტი!

შემდეგ სწრაფი ნაბიჯით წამოეწია თავის საქმროს, მკლავში ხელი გაუყარა და ამაყად თავაწეულმა გაიარა, თითქოს ვიღაცის ჯიბრზე იქცეოდა ასეო.

ბევრი ვისეტიალე სკოლის გარშემო ბნელში. თოვდა, მაგრამ თბილოდა. ეხეტიალობდი და ვფიქრობდი: რას უნდა ნიშნავდეს ეს ბოლო სიტყვები „არტისტი ხარ!.." გათავდა ჩემი სიხარული, გათავდა!.. რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვები, ჩემი ბედის ლამპარი ჩაქრა და აღარ აინთება. შუაღამე რომ მოახლოვდა, სკოლის დარაჯს ვთხოვე და კლასში შევედი. შეშა შეეტანე, ცეცხლი დავანთე, ქურქში გავეხვიე. თავქვეშ ჩანთა ამოვიდვი, პუბართან წამოვწექი.

წამების ღამე იყო, მტანჯველი ფიქრები მესეოდა... თავში ერთმანეთს ცვლიდნენ მოგონებები. ცბედურება რომ დამატყდა თავზე, ეს უკვე საიდუმლოებას აღარ წარმოადგენდა, მაგრამ რისი ან ვისი ბრალი იყო, ეს ვერ გაეგებინა. ხან ფათიმას ვდებდი ბრალს. ხან უხეშად ვლანძღავდი ჩვენს ბედნიერ სიძეს. მაგრამ რა!.. საბოლოო

ანგარიშში მაინც ჩემი თავი გამომყავდა დამნაშავედ. უმაქნისი, უნდილი ვარ და ახიცაა ჩემზე!.. — ვფიქრობდი გულში, რა კარგი იქნებოდა, რომ სულ არ მენახა. არასოდეს შევხვედროდი, არ მოსულიყო ჩვენს მხარეში, მაშინ იქნება ეს წამება არ ვრგებოდა წილად!..

ასეთი ცუდი ღამე არ გამითევია და ალბათ იმ ღამეს დამთავრდა ჩემი ბავშვობაც.

დილით, უთენია წამოვხტი და ჩემს თავს ვუთხარი: „გამაგრდი, ახლა უკვე კაცი ხარ! შენი ჯავრი არავის არა აქვს. ვისი იმედიც გქონდა, იმანაც კი არ დაგინდო. გული კარგად შეინახე, ფეხით არავის გაათელვინო!“

ხალათი გავიძრე, ეზოში თოვლით ხელ-პირი დავიბანე, გავივარჯიშე და კლასში შევბრუნდი. ცეცხლს მივუჯექი და კვლავ ფიქრებმა გამიტაცეს.

უეცრად კარი გაიღო და ფათიმა შემოვიდა.

არ მოველოდი და დავიბენი. მასაც ალბათ კლასში არავინ ეგონა და გაოცდა:

— წუხელ აქ გაათიე, თუ როგორ მოხვედი? ჩემს წინ ჩიტსაც არ გამოუფრენია გზაში. სკოლაში მომავალის კვალიც არ ჩანს, მაშ ციდან ხომ არ ჩამოფრენილხარ?

ძალზე უეცრად შემეკითხა და ვეღარაფერი მოვიგონე, გამოვტყდი:

— წუხელი აქ დავრჩი. ცეცხლი დავანთე და კარგად თბილოდა. შენ როგორლა დაგრთო გულმა ნება, ასე ადრე მოცილებოდი სასიძოს?

— ჩანს, ცარა ჩემთან ჩხუბი გინდა, რა მწარე მწარე სიტყვებს მეუბნები. თუ ასე გინდა, იჩხუბე! მე კი საჩხუბარი არაფერი მაქვს.

გული სიბრალულით ამევსო და წუთით ჯავრი გამიქრა.

— არა, მწარე სიტყვები რა შუაშია. თქვენ იყავით ბედნიერი. გუშინ ჩიზნალის ყვირილში მოლოცვაც ვერ მოვახერხე. კეთილად დაგვირგვინდეს თქვენი საქმე, სხვა რა უნდა გითხრა. ბარემ მეც მინდა ვიცოდე ლამაზ-ლამაზი სიტყვები, მაშინ მერწმუნე, შენზე ადრე არავის ვეტყოდი მათ. მაგრამ არ მეხერხება და რა ვქნა! ჩემს გულში მწარე სიტყვას არასოდეს არ გაუპაპანებია. დასამალი რა არის, აქ ხომ მარტონი ვართ. კარგი რაც იყო მასში, იმის თქმაც ვერ მოვახერხე თავის დროზე, მაპატიე... ჩხუბი რა მოსატანია... შენ ხომ ძითხარი — ძმასავით მიყვარხარო, მაშ რად უნდა გეჩხუბო! იქნებ ჩემს საკ დაზე ბეტად მიყვარხარ, მაშ... შენ ჩემთვის ისევ ის ფათიმა ხარ. გახსოვს.. სკოლის ზემოთ თხილის ბუჩქი, დამალობანას თამაში, „გიპოვე“, „გიპოვე“-ო რომ მოგაძახე?

ფათიმამ სახე ხელებში ჩამალა და ქვითინი დაიწყო. გული ამომიჯდა, მაგრამ ცრემლები გადავყლაპე და ფათიმას ჭიქით წყალი მივაწოდე. თავი აუწია, და როცა წყალი დალია, ცრემლითა და ვედრებით სავსე თვალები მომაპყრო:

— ცარა, ფათიმა ალარ არის, დაივიწყე... გუშინ რომ აქ იყო, ის არასოდეს არ მიხსენო, ძმასავით გთხოვ...

— კარგი, ასე იყოს, მაგრამ ნურც შენ ახსენებ ფათიმას, იგი ჩემია. ჩემს გულშია და მთელმა ქვეყანამ რომ სცადოს, მაინც ვერავინ წამართმევს. ვიდრე მე ვცოცხლობ, მას სიკვდილი არ უწერია. იგი ჩემია!..

ფათიმამ ისევ ქვითინი მორთო. ახლოს მივედი და ასე ვადექი თავზე დიდხანს, მერე როცა ტირილს მორჩა, მაშინ ვუთხარი:

—ცრემლები მოიწმინდე, ამხანაგები შემოვლენ და სირცხვილია. რაც წლების განმავლობაში გულში საიდუმლოდ ვატარე, ის ახლა შენ თვითონ მითქმევინე. არც ეხლა გეტყოდი, მაგრამ რაღა მნიშვნელობა აქვს. მაპატიე, თუ ოდესმე რამე გაწყენინე, ალბათ გიმძიმს, თორემ რად სტირი! ჩემი ჯავრი ნუ გექნება, მე ბიჭი ვარ, რას არ გავუძლებ. ოღონდ შენ იცხოვრე კარგად. საყვედურს არ გეუბნები, გულში რაც მაქვს, იმას გიმხელ. ახლა კი ადექი, ცრემლები შეიწმინდე და გაკვეთილებს თვალი გადავავლოთ. ასე რომ შემოგვისწრონ, სირცხვილია.

ფათიმა დათანხმდა, ღუმელთან ახლოს დავსხედით და მე ხმამაღლა დავიწყე რუსული ლიტერატურის გაკვეთილის კითხვა.

ᲛᲔᲠᲕᲘᲓᲛᲐᲒᲘᲗ

მას შემდეგ ფათიმასთან საუბარი აღარ მქონია. ან რაღაზე უნდა მესაუბრა. არ მინდოდა მისი გულის დარდის განახლება, არც საკუთარი გულის ჭრილობას მინდოდა შევხებოდი. მხოლოდ ხანდახან თუ გავუსწორებდით ერთმანეთს თვალს, მაშინაც ის უმალ თავს დახრიდა ხოლმე დამნაშავესავით.

ქალიან მიკვირდა. ნეტავ რა ჰხდა? [illegible] ნე-

ბით გათბოლდა ალბათ. ვინ აელაგმაგდა გული წადილს ამ ამაყ ადამიანს! მაგრამ თუ თავისი ნებით გააკეთა ეს საქმე, მაშინ რაღა ატირებს, რა დანაშაული მიუძღვის ჩემთან? შავი ფიქრები ზღაპრული ფველაშაპივით მიფლეთავდნენ გულს. სწავლაზე გული ავიცრუე. მოახლოვდა სასწავლო წლის დასასრული. სწორედ გამოცდების დაწყების წინა დღეს გავხდი ავად და უკანასკნელ გამოცდამდე სკოლაში აღარ მიესულვარ. როგორ მინდოდა ფათიმას ნახვა — ენა ვერ იტყვის. ვაი, რომ იმას ჩემთან მოსვლა არ შეეძლო, მე კიდევ — მასთან.

ერთ მზიან დილას, როცა ცოტა მოვკეთდი, სკოლისკენ გავწიე. გამხდარი, ფერმკრთალი და ეღონო ნელი ნაბიჯით მივდიოდი საფოსტო გზაზე. ეს გზა წინანდებურად აღარ მიზიდავდა. აღარაფერს მოველოდი მისგან. ირგვლივ ხევები, ტყე, ჰაერი მზის თბილი სხივებით გავსილიყო. მიდამო ამწვანებულიყო, ფრინველთა ათასნაირი ხმები გულს ახარებდნენ: მივდიოდი მარტო და ხევს გადაღმა მუქმწვანე ფოთლებს შევცქეროდი. აზრები ნაკადულის შხეფებივით დამფანტვოდა და აღარაფერზე ვფიქრობდი; ოღონდ თვალებსღა იტაცებდა ბუნების ეს საოცრად ლამაზი სურათები.

უეცრად შორს, მოსახვევში, თვალი მოვკარი ფათიმასა და სასიძოს. უმალ ყოველივე გაფერმკრთალდა, გული შემოვიწროვდა და ერთიდერთმა ფიქრმა გამიელვა თავში: როგორმე უნდა გავუსწრო, რომ აღარ დავინახო ისინი ერთად.

გზას გადავუხვიე და მწყემსების საცალფეხო ბილიკით რაც შემეძლო სწრაფი ნაბიჯით წავედი. ჯერ კიდევ ეღონოს მიეირდა სწრაფი სიარული, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. მშრალზე დაგდებულ თევზივით მძიმედ ესუნთქავდი და ისე მივაბიჯებდი წინ. როცა ისინი კარგა შორს მოვიტოვე, ქვლავ გზაზე გადავედი. მზიანი დილით წარმტაც სურათებს სასიძომ მური წაუსვა, ბულბულის სტვენაში ყორნის ჩხავილი შეურია. სკოლაში მისელისას წამით ყველაფერი გადამავიწყდა. ამხანაგები შემომეხვივნენ და გავმხიარულდი. ჩიზნალი დერეფნიდან გამოქანდა, ყელზე ჩამომეკიდა და გულამომჯდარი რაღაცას ბუტბუტებდა. გამოცდებზე ჯერ ერთი ორიანიც არავის მიეღო, უკანასკნელი გამოცდა გვქონდა ოსურ ლიტერატურაში და „კარგზე“ ნაკლები ნიშნის მიღებას არავინ მოელოდა. ამიტომაც იყვნენ ამხანაგები გახარებული. ეხარიოდათ ალბათ, რომ მე აედსაბეჭდ უგამოცდელად გადავეყვანე მეათე კლასში.

ალბათ ადამიანისათვის იმაზე კარგი არაფერია, როცა მეგობრები მისდამი კეთილად არიან განწყობილნი. მაგრამ საკუთარი თავის მაგალითი მაფიქრებინებს. რომ კაცის ბედნიერებისათვის ეს არ კმარა.

გამოცდამ ბრწყინვალედ ჩაიარა. მე თავისუფალი ვიყავი, მაგრამ ჩემი ნებით გავედი გამოცდაზე. ავიღე ბილეთი. პირველ კითხვაზე: „აბაისა და თეიმურაზის დახასიათება“ — ენად გადავიქეცი და არ ვიცი, რა სისულელე არ დავფქვი.

მოვრჩი თუ არა პასუხს, შევამჩნიე, რომ გული ძალზე მიცემდა. სახეზე ცეცხლი მეკიდა. ამას ვგრძნობდი და კიდევ უფრო მეტად ეწითლდებოდი.

მასწავლებელმა სხვა საკითხებზე აღარ მალაპარაკა და დავჯექი. ყურს ვუგდებდი სხვების პასუხებს. მალე პასუხის გასაცემად დაფასთან მუშკელი გამოვიდა. მასწავლებელს გარეთ გასვლის ნება ვთხოვე. არ ვიცი რატომ, მუშკელი და ჩვენი სასიძო ტყუპისცალებივით მეჩვენენ და დასანახად შემზარდნენ.

უკან გამომყვა ჩიზნალი და წამჩურჩულა:

— სიძე აქ არის. ზეგ ქორწილი აქვთ და რამე საჩუქარი უნდა მივუტანოთ. ჩვენი კარგი ამხანაგი იყო.

„ჩვენი კარგი ამხანაგი იყო“... თითქოს მოკედა, ან ურჩხულმა გადაგვიყლაპა... „ჩვენი კარგი ამხანაგი იყო“... ახლა რატომ აღარ არის? ვაი ჩემს თავს! ბავშვობის დღეებიდან მისი ერთი ხმის გაგონებისთვისაც თავს გავწირავდი, ის ახლა ვილაც ბედნიერს მიჰყავს. მე კი საჩუქარი უნდა მივართვა. მიხარია-მეთქი თქვენი ბედნიერება! იმაზე ძნელი რა არის, როცა გული ცხარედ გეცრემლება და ბაგეები კი იძულებული არიან იცინოდნენ...

— ჩიზნალ, სამი თუმანი მაქვს და რამე იყიდე. მეტი არა მაქვს, ამასწინათ სკოლის ღუმელისთვის! აგური მოვზიდე და ესეც მაშინ ავიღე.

— ო, მაგით კარგ საჩუქარს ვიყიდით. მეც ერთი თუმანი მაქვს და დავუმატებ. ახლა ერთი ორა სიტყვაც დაწერე ჩვენი სახელით და ისეთ საჩუქარს მივუტანთ, რომ უკეთესი აღარ იქნება. თუმც სომართლე ვითხრა, მისი საქმრო არ მომწონს.

— რა დააშავა? თქვენ აბა ვინ მოგეწონებათ, ღვთის შვილსაც რაიმე წუნს დასდებთ, ასე როგორ იქნება. ალბათ, კაცი რომ მოგეწონოთ, ამისათვის იგი ისე უნდა უყვარდეთ, როგორც აზავს თეიმურაზი უყვარდა.

— აზავივით რომ უყვარდეს ჩვენს ასულს, არც ესა მჯერა. ეგ რა ბიჭია, ყველა გოგოზე თვალი რჩება? გეფიცები, ცარა, ასე მგონია, რომ მოვინდომო, დღესვე უკან ამოედევნება. მაგისთანასთან ერთ დღესაც არ ვიცხოვრებდი, არ ვიცი, რა უყვარს მასში ფათიმას... თუმცა შეხედულებით, ტანით სრულია... მაგრამ ცოტა ქარაფშუტა მეჩვენება.

— აბა, აი წარწერაც და წადი, რამე იყიდე, თორემ ასე რომ ვძრახავთ ზურგს უკან სხვას, ენებზე მუწუკები გაგვიჩნდება.

ჩიზნალმა გამომართვა ქაღალდი და ხმამაღლა წაიკითხა: „ცხოვრების გზას დაადექი, ბედნიერი იყავი, მაგრამ შენი მეგობრებიც არ დაივიწყო. ოდესმე თუ გაგიკვირდეს, მაშინ მაინც მოიგონე. ისინი არ დაგივიწყებენ.

ჩიზნალი და ცარა".

— კარგია, მაგრამ ჩემი სულელური ჭკუით, მანდ საბედნიეროს არაფერს ვხედავ, — თქვა ეპიმანით და მაღაზიისაკენ გაიქცა.

მეტის ლოდინი აღარ შემეძლო და შინისაკენ გავწიე. საფოსტო გზით აღარ წავსულვარ. პირდაპირ მდინარის გასწვრივ სანაპირო ბილიკს გავყევი.

წყლის უდარდელი რაკრაკი, ხეების სასიამოვნო ჩრდილები, სუფთა ჰაერი რაღაც შვებას მაძლევდნენ და გულის ჯავრს მიმსუბუქებდნენ. წყლის ნაპირს მივყვებოდი ნელი ნაბიჯით, მარტოდმარტო.

მცენარეებს და ცხოველებს ახარებდა გაზაფხულის თბილი, მზიანი დღე. მათი მხიარულება მალე თითქოს მეც გადამედო და გულში შვება ვიგრძენი. მდინარის ნაპირზე ქვაზე ხტომით მივდიოდი და თან ვაკვირდებოდი ცრემლივით წმინდა გუბეებს...

ერთგან ქვის გვერდით ორი თევზი შევნიშნე. ტალზე წითელი წინწკლები ნაპერწკლებივით ეყარათ. გაშტერებული დავყურებდი ზევოდან. „ქვას დავარტყამ-მეთქი"—გავიფიქრე წამით, მაგრამ შერე ვთქვი, „რად მინდა, ახლა მაგათი ჯავრი მაქვს?"

თითქოს განაფიქრს მიმიხვდნენო, ერთმა მათგანმა მეორეს ბოლო გაჰკრა, შეინძრა და დინების პირმართულებით გასხლტა. მეორე თითქოს მეგობარს ეძებსო, ჯერ ერთი ქვის ქვეშ შეეარდა, მეორეს მიაწყდა, და როცა ვერ იპოვა, უეცრად დინების მიმართულებით შეტრიალდა, წინ მორეულში შეცურდა, ბურთივით მაღლა შეხტა და ცელის პირიეთ მზეზე გაიელვა, მერე კუდი მძლავრად მოიქნია და ტალღების პირისპირ სათავისკენ ისარივით გაფრინდა.

გამიკვირდა თევზების ქცევა. პატარაობიდან დღემდე ამ წყალში თევზებს ვიჭერ, მაგრამ ასეთი შეპთხვევა არ მქონია. შინისაკენ გამოვწიე. თევზები მაინც არ მცილდებოდნენ გონებიდან. რაღაც უაზრო სტრიქონები ენაზე მადგებოდა:

ისინი, ისინი
ერთურთის სწორნი
ცხოვრების გზაზე
დასცილდნენ ადრე.
გული აქვთ დარდით,
წუხილით სავსე...
თუმც იგონებენ
წარსულ ოცნებებს
იმედის ნიშნად,
მაგრამ მთასავით
შუა ჩამდგარი
წყლის სივრცე სთიშავთ...
ხარობდნენ ორნი,
კეთილნი, სწორნი, —
ერთურთის ნახვით...
მათ გულზე მკაცრი,
ბოროტი კაცი
რად შედგა ფეხით?..

დადგა ფათიმას გათხოვების დღეც. ძალიან მინდოდა უკანასკნელად მისი ნახვა: „ვინ იცის, როდისღა შეეხვდებით-მეთქი, ალბათ სამუდამოდ გაიყარა ჩვენი ცხოვრების გზები.

ნათქვამია: მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს როგორ არ შეხვდებაო, მაგრამ ადამიანი ახალგაზრდობისას ასე არ ფიქრობს, იგი სწრაფად სკრის საკითხებს (ახალგაზრდობისას-მეთქი, თითქოს ახლა მოხუცი ვიყო!) — ან ერთად საუკუნოდ, ან ცალკ-ცალკე სიკვდილამდე! ცხოვრება კი ახალგაზრდა გულის ფიქრებზე გაცილებით რთულია!.. მთის ნაკადულივით მრავალი მოსახვევი აქვს, ახალგაზრდული ფიქრივით პირდაპირი როდია.

მართალია, მისი ნახვა მენატრებოდა, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მომესერხებინა ეს. გადავწყვიტე. ქალაქისკენ მიმავალ ზაზე ბუჩქებში დავმა-

ლულიყავი და იქიდან მეთვალთვალა შექორწილეებისათვის.

გზის მოშორებით მოფარებულ ადგილზე დავჯექი და ლოდინი დაეუწყე.

უეცრად გამოჩნდნენ გზაზე... ყველანი ცხენებზე ისხდნენ, წინ მოუძღოდათ სიძე. სახეზე სიხარული დასთამაშებდა. მას მოსდევდა რამდენიმე ცხენოსანი, ხოლო სულ ბოლოს მეზობელ ბიჭთან ერთერდ-ერთერდ ფათიმა მოდიოდა. იგი წარბებმოღუშული იყო, მოქანცული, ფერმკრთალი სახე ჰქონდა, თითქოს უძილო ღამე გაეტარებინოს. არ ვიცი, რა დამემართა, მაგრამ გული ამიჩუყდა და ტუჩებზე ცრემლის გემო ვიგრძენი. ცრემლების გამო ფათიმას კარგად ვეღარ ვხედავდი და თვალები ბრაზით მოვიწმინდე. იქნებ უკანასკნელად ვხედავ, კარგად შევხედომეთქი!..

ამ დროს გამისწორდნენ კიდეც და გარკვევით დავინახე ფათიმას ფერმკრთალი სახე. ახლაც თვალწინ მიდგას, ცალი ხელი უნაგირისათვის ჩაეჭიდა და გაშტერებული დაჰყურებდა მიწას...

წამით გავიფიქრე, „გადავხტები, მივეგებები“-მეთქი, მაგრამ გაბედულება არ მეყო. თვალს მიეფარნენ თუ არა, რაღაც უცნაურმა ძალამ ადგილიდან მომწყვიტა და სირბილით დავედევნე. როცა ისევ გავუსწორდი მათ, თითქოს ატირებულმა მთელი ხმით დაეუყვირე: „მშვიდობით, ფათიმა!..“

თვალი მოვკარი, როგორ შეკრთა იგი და როგორ შემოტრიალდა სწრაფად ჩემსკენ. მომეჩვენა, თითქოს რაღაც დიდი ბოროტება ჩავიდინე და ტყის სიღრმეში შევიჭერი...

„Один, один... без призрака родного!..“

ალარ მშორდებოდა გონებიდან კოსტას სევდიანი სიტყვები, ალბათ იმიტომ, რომ ჩემს წარსულ ბედნიერებას საუკუნოდ გამოვეშვიდობე.

თავნება გული

არ არის ჭრილობა, რომელიც ცოცხალი ადამიანის სხეულზე არ შეხორცებულიყოს ახალგაზრდობის წლებში. არ არის დარდი, რომელიც სიკვდილამდე არ გადაეიწყოს ადამიანს და ადიდებულ მდინარესავით მარადიულად ეხეთქებოდეს გულის კედლებზე. პირველ ხანებში ძალიან მიმძიმდა, მაგრამ განმარტოებით, თავისუფლად დავიარებოდი ტყის პირას და ეს მიქარვებდა დარდს.

ამასობაში დადგა თიბვის დრო და მეც გულის ყაეშანს და ფიქრებს ცელს ვუზიარებდი. თვენახევარი გავატარე სათიბში. სხეული გამიკაჟდა, მკლავი გამიმაგრდა და ხელის გულებზე ძვალივით მაგარი ბეგერები გამიჩნდა. ავადმყოფობა ახლოც ალარ გამკარებია. კუნთები რკინასავით გამიმაგრდა. ჩვენი სოფლის მთიბავებიდან ჭამაჩემის გარდა კაცი ალარ დარჩენილა, რომლისთვისაც ცელი არ წამერთმია.

კვლავ მოახლოვდა სკოლაში წასვლის დრო. ავგისტოს უკანასკნელ დღეს ცოტა გამოვთიბე. მერე ცელი შევინახე და მდინარეში ტანი კარგად დავიბანე. პური ვჭამე და საბძელში შეევედი ახალ თივაზე დასაწოლად. რა იქნება მთის თივაზე უფრო სურნელოვანი! რაღაც იდუმალი ფიქრები საღამოს ბინდივით შემომეპარა გულში, მაგრამ დაღლილი ვიყავი და ძილი მალე მომერია.

დილით ადრე წამოვხტი, ჯანმრთელი, დასვენებული. ხევში ცივი წყლით პირი დავიბანე, ორი წიგნი ამოვიღლიავე და სკოლისაკენ გავწიე.

ფათიმას სოფლის გზას რომ მივუახლოვდი, გულის ჭრილობა ხელახლა გაეხსნა, ხელახლა განმიახლდა მივიწყებული ყაეშანი. გული დამიმძიმდა. რაღაც ჩემდა საუბედუროდ სწორედ იმ ადგილზე წამომეწია მუშაკელიც. მომესალმა თუ არა, უმალ ფათიმაზე ჩამომიგდო სიტყვა. მის შესახებ ლაპარაკი მე არავისთან მინდოდა, განსაკუთრებით კი მუშაკელთან, მაგრამ რა გაეწყობოდა. ოჩანი ცხენივით დაიკინა და ამ თემაზე რომვა ალარ შეწყვიტა. ბარემ ვცდილობდი სიტყვის ბანზე აგდებას, მაგრამ ვერაფერს გავხდი.

— თვალსა და ხელს შუა არ გამოგვაცალა ის ვილაც ოხერმა ანგელოზივით გოგო! ე-ეს! როგორ წაგვივიდა! რა გოგო იყო! ღმერთმანი ცარა, ერთ რამედ ღირდა იმასთან ერთი ღამის გათევა...

თვალთ დამიბნელდა, სისხლი თავში ამიეარდა და გიჟივით დავილრიალე. მერე ანგარიშვიუცევლად ხელი განზე გავშალე და გაწნული სილის ტალანი შორს გაისმა. მეშაკელმა ლოყაზე ხელი იტაცა, მერე ქვის ასაღებად დაიხარა, მაგრამ ჩემმა მეორე დარტყმამ მიუსწრო და გზის იქით გაიშხლართა. მაშინვე ზემოდან დავახტი და ყელში ხელი წაეუჭირე. კიდევ დასარტყმელად ვეშზაღი-

ბოდი, მაგრამ მუშკელმა, ალბათ უბედურების მოახლოება იგრძნო და საყვედურის კილოთი ამომძახა:

— რა დაგიშავე, შე ძაღლის შვილო, რატომ მკლავ!..

როგორღაც გულზე მოვეშვა და უმალვე ხელი გავუშვი.

— დღეის იქით იმ გოგოს ცუდი ხსენება თუ გავიგონე, ისიც შენგან, მერე აღარ დამემდურო... გაიგე? კარგად გახსოვდეს!..

დაყრილი წიგნები ავკრიფე და აღელვებული გზას გავუდექი. ის ამბავი დღემდე ველურობად მიმაჩნია, მაგრამ ასე მომივიდა და რა ვქნა! მანამდე ხელიც არავისთვის დამიკარებია.

მას შემდეგ მუშკელი მართლაც ცხვარივით გახდა. არც ჩვენი ჩხუბის ამბავი გაუმხელია.

სკოლას რომ მივუახლოვდი, ახალი უბედურება შემემთხვა. ის სასწავლო წელი ჩემთვის ცუდად დაიწყო, მაგრამ სამაგიეროდ ბედნიერად დასრულდა. ტყუილად არ იტყვიან რუსები: უბედურებაც ბედნიერების გარეშე არ არსებობს.

უბედური შეხვედრა

მივედი კლასში. ამხანაგებს ხელი ჩამოვართვი. წიგნები დავაწყვე და გარეთ გამოვედი. ეზოს ერთ კუთხეში თვალი მოვკარი ჩიზნალს, ვიღაცას ესაუბრებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელს ვერ ვხედავდი — იგი ჩიზნალს გვერდით უჯდა სკამზე. ჩიზნალი ორი თვე არ მენახა. ჩვენს გოგოებს შორის იგი განსაკუთრებით მიყვარდა გულკეთილობის გამო.

ახლო რომ მივედი, სიხარულისაგან კინალამ შევყვირე, — ჩიზნალთან ფათიმა იჯდა. ხელი ჩამოვართვი და ისე მეჩვენა, თითქოს მასაც გაეხარდა, მაგრამ მალე სახის გამომეტყველება შეეცვალა და როგორღაც მოიღუშა.

— რატომ ხარ აქ, რა მოხდა, — შევეკითხე, მაგრამ ჩიზნალმა თვალები დამიბრიალა და შეც სიტყვა შევატრიალე, — ალბათ აქ ისწავლი ისევ, რომ დაამთავრო საშუალო სკოლა, არა?

— ჰო, ამიტომ, — ისე მიპასუხა ფათიმამ, თითქოს ჩემი პირველი შეკითხვა არც კი გაეგონოს. მერე თავისი სევდიანი თვალებით ღრმად ჩამხედა თვალებში, თითქოს შიგ რაღაცას ეძებსო, წყლის დალევა მოიმიზეზა, ადგა და წავიდა. როდესაც ფათიმა მიეფარა, ჩიზნალმა მითხრა:

აღარასოდეს შეეკითხო, რა დაემართა. მოხდა უბედურება. იმ ძაღლის შვილმა შეაცდინა. მაპატიე, ცარა, ცუდ სიტყვებს რომ ვხმარობ, მაგრამ სხვა რა უნდა უწოდოს! თურმე ცოლი და შვილი ჰყოლია ადრე, ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ქალი, ბავშვით ხელში, კარზე მიდგომია. ის სინდისგარეცხილი ძაღლი თურმე თავს იმართლებდა, მაგრამ ეხ, ფათიმას ხასიათი ხომ იცი, სახეში მიუფურთხებია და წამოსულა. აი, უბედურება! ეჰ, მე ხომ გეუბნებოდი ზაფხულში, აქ ბედნიერებას ვერ ვხედავ-მეთქი!.. ასეა, ცარა! შენი ჭირიმე, ნუ გაახსენებ ხოლმე ამ ამბავს. შენ თვითონ გესმის ნაიარევი გულისტკივილი. ხომ გახსოვს, რა წაუწერე ქაღალდზე: „ოდესმე თუ გაგიჭირდა, მოიგონე შენი მეგობრები, ისინი არ დაგივიწყებენ“... ამაზე მეტად როდის გაუჭირდება, ყურადღება უნდა მივაქციოთ. იქნებ ცოტათი მაინც შევუმსუბუქოთ გულისტკივილი.

ჯერ ვერ გავრკვეულიყავი, მწყენოდა, თუ გამხარებოდა. გული ამევსო ფათიმასადმი სიბრალულით. ჩემი დარდი აღარაფრად მიმაჩნდა მის დიდ უბედურებასთან შედარებით.

რით მეშველა, როგორ შემემსუბუქებინა მისთვის დამტყდარი უბედურება — არ ვიცოდი. გადავწყვიტე ერთი საყვედურიც აღარ მეთქვა, ერთი დაუფიქრებელი შეკითხვაც აღარ მიმეცა. თუ ოდესმე თვალებში შემომხედავდა, იქ მუნჯი სიყვარულის გარდა ვერაფერს ნახავდა.

გადავწყვიტე, მაგრამ გული თავნებაა, ყოველთვის გონების სურვილზე არ დადის.

გავიდა სასწავლო წლის პირველი მეოთხედი. წინააღმდეგ მოლოდინისა, ფათიმამ ყველა საგაზში „ფრიადი“ მიიღო. ეს ამბავი, ალბათ, მასზე მეტად მე და ჩიზნალს გაგვეხარდა. მას თავი ისე ექირა, თითქოს არც კი გახარებია. ორი თვის განმავლობაში მის სახეზე ღიმილი არ გვინახავს. მისგან ხმამაღალი სიტყვა არ გაგვიგონია.

ახლა, როცა კლასის ხელმძღვანელმა ნიშნები გამოგვიცხადა, ამხანაგებმა მხიარული ერიამული ასტეხეს, — ბოლო კლასი იყო და ყველა ცდილობდა კარგი ნიშნებით დაემთავრებინა იგი. მხოლოდ ფათიმას, თითქოს არაფერი გაუგონია, სახის გამომეტყველება ოდნავაც არ შეც-

ვლია, ისევ ისე ცივად გამოიყურებოდა, თითქოს დარდი და ვარამი გულზე მძიმე ყინულად დასწოლოდა და ადამიანური სიხარულის შეგრძნება აღარ ჰქონდა.

„ნეტავ რა მზე გაუთბობს გაყინულ გულს“. ... ვფიქრობდი ჩემთვის და განვიზრახე ოდესმე დამემარტოვებინა და სიტყვა ჩამომეგდო მისთვის. „ქნებ, გულისტკივილი გამიმხილოს და შეუმსუბუქდეს-მეთქი.

ოქტომბრის დღესასწაულზე ჩვენ, — უფროსი კლასების მოსწავლეებმა, ჭიტინგის შემდეგ ლხინი გავმართეთ და ახალგაზრდობამ ცეკვა-თამაშით გული იჯერა. ფათიმამ, რომელსაც ადრე ცეკვით კაცი ვერ დაღლიდა, ახლა ფეხიც არ გაანძრია. იგი ზიჩნალის გვერდით იჯდა და ხმადაბლა საუბრობდნენ. მოგვიანებით მეც შემოვუარე ერთი და მათ გვერდით დავჯექი. ლხინი რომ თავდებოდა, ჩიზნალმა ჰკითხა ფათიმას:

— სახლში წასვლას ხომ არ აპირებ? ჩვენსა წავიდეთ.

— არა, ჩიზნალ, ჩემი აქ დარჩენა შეუძლებელია. ხვალ და ზეგ დასვენების დღეებია და შინ ბევრი საქმე მაქვს. ესეც რომ არ იყოს, სახლს მარტო ძალუა უელის და ცოდვაა.

— მაშ მარტო როგორღა წახვალ ამ სიბნელეში!

— არა ბიშაეს. მარტო არავინ დადის თუ? თუმცა, შეიძლება ვინმე მოდის ჩვენსკენ.

— ცარა, შენ რას ფიქრობ, — მომიტრიალდა ჩიზნალი, — ფათიმა თავის სახლის კარამდე თუ არ მიაცილე, ხმასაც აღარ გაგცემ!

— წინასწარ რას მემდურები, შენს დავალებას შევასრულებ, თუ საამისო ვაჟკაცობა აღმოჩაჩნდა.

— როგორია? — შეეკითხა ჩიზნალი ფათიმას, — ცარა დამცველად ივარგებს?

— ცარა? — დაფიქრდა და შემომხედა ფათიმამ, — ცარა კარგი ამხანაგია, მასთან მგლებისაც ნუ შეგეშინდება!

— კაი კაციაო, ცარა, თქვით. ო, ეგ ოჯახქორი, ეგა. ასე რომ აქებენ ამხანაგები, ნეტავი მანახა მაინც ვინაა! — ხუმრობით მიეუგე მათ. როცა ლხინი დამთავრდა, ჩიზნალს გამოვეშვიდობეთ, ის თავის სახლში წავიდა, და ჩვენ კი ჩვენი სოფლებისაკენ გამოეწიეთ.

კარგა ხანს უხმოდ ვიარეთ. ერთ ადგილზე მდინარეზე უნდა გადავსულიყავით. ფათიმას ხელი მოვკიდე, გადავიყვანე. შემდეგ ხელი აღარ გამიშვია და ასე, ბავშვებივით. ხელი-ხელ ჩაკიდებულები მივდიოდით.

მოგვიანებით გავბედე კნის ამოღება.

— მაპატიე, იქნება ჩემმა სიტყვებმა გული გატკინოს, მაგრამ შვიდი წელია მიცნობ და თუ ეოტაოდენი ნდობა გაქვს ჩემი, თუ ოდნავი ბათრი გაქვს ჩვენი მეგობრობისა. მაშინ ამ ერთ კითხვაზე მიპასუხე.

ფათიმა შეკრთა, ალბათ მიხვედა, რის თქმასაც ვაპირებდი, მაგრამ მეც აღარ შემეძლო კითხვის შუაზე გაწყვეტა.

— იცი, რომ შენი ბედი, შენი ცხოვრების ამბები ისე მაღელვებენ, როგორც საკუთარი ჩემი ცხოვრების საკითხები და რაღად მიმალავ, მომიყევი. სიბნელეა — არავინ გვხედავს, არავინ გვისმენს. ვიცი, გეძნელება, მაგრამ მეც მეძნელება, აღარ შემიძლია შენი უბედურების შორიდან ცქერა, ამიტომ გეკითხები. მითხარი, როგორ მოხდა ყოველივე ეს?

აშკარად ჩანდა, რომ ფათიმას ძალზე ეძნელებოდა ამ საგანზე ლაპარაკი, მაგრამ ალბათ მასაც მოსწყინდა თავისი დარდის მალვა და ახლა ყოყმანი დაიწყო: ეთქვა თუ არა. ცოტა ხნის შემდეგ მთელი ძალით მომიჭირა ხელი თითებზე, ფარულად მოიწმინდა ცრემლები და თითქმის ტირილით დაიწყო:

— ცარა, შენ ყოველთვის ჩემი ჭირის მონაწილე ხარ და არა სიხარულისა, მაგრამ რა გიყო. შენ თვითონ ისურვე, რომ ჩემი გული მწუხარება გაგინაწილო. ბარემ არ მინდოდა იგი ვისმესთვის გამეყო, მაგრამ რა ვქნა. ისედაც ცოტა წყენა როდი მივაყენე შენს გულს. რაკი აღარ მეშვები, ყველაფერს გეტყვი.

შვიდი წელია, ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ შენ ჩემი ცხოვრების შესახებ ძალზე ცოტა რამ იცი. შენ არ იცი, მაგალითად, რომ მე არ მყავს მამა, ის ადრე გარდამეცვალა, დედა გამითხოვდა და მეც თან წამიყვანა. ცუდად არ მეპყრობოდნენ. არ ვემდური, მაგრამ პატარობიდანვე იმ ოჯახში მაინც უცხოდ ვგრძნობდი თავს. ბიძაჩემს იცნობ, მას ძალიან ეუყვარვარ და მეც ბავშვობიდან

გული მისკენ მიმიწევდა. დედის ნახვა მომინდებოდა ხოლმე და ამიტომ მივდიოდი ქალაქში.

მეექვსე კლასის დამთავრებისას საბოლოოდ გავცილდი ჩემი მამინაცვლის ოჯახს, მხოლოდ შარშან ზაფხულზელა ჩავედი და სწორედ მაშინ დამემართა ეს უბედურება. არ ვიტყვი, თითქოს მე სულ უდანაშაულო ვიყო, მაგრამ უმთავრესად დედაჩემისა და ჩემი მამინაცვალის ბრალი იყო ყველაფერი ეს.

არ ვიცი საიდან გაჩნდა ის უსინდისო. უკან ამოედევნა. მელაქავით გარს მივლიდა, ტკბილენით თვალები ამიხვია,. მეც, ღოლოს ფოთოლი რომ მოეშვება მზეზე, ისე მოვეშვი. დედას და მამინაცვალს მხოლოდ მისი ქებაღა ეკერათ ენაზე: „უბადლო ბიჭია! დაუფასებელი ვაჟკაცია!“ ამასთან დედამ საყვედურები დამიწყო: „ჩვენც ალარ შეგვიძლია, ბევრი ხართ ბავშვები და, ოჯახი გაღარიბდა!“ ვთქვი, როდემდის უნდა მაყვედრიდნენ-მეთქი თავიანთ ლუკმას ესენი, და როცა შემეკითხნენ, უარის თქმა ვეღარ მოვახერხე. ბარემ ვნანობდი შემდეგში, მაგრამ რაღა შემეძლო. დამცინე, ცარა, მაგრამ გაიგე თუ რა მდგომარეობაში ჩავვარდი. ნათესავებმა უმალვე გაიგეს ეს ამბავი, ყოველი მხრიდან მოდიოდნენ მოსალოცავად. მართალია, მე აქეთ გამოვვარდი, მაგრამ ამით მდგომარეობა სულაც არ შეცვლილა. სიტყვა სიტყვაა, შემდეგ შენ თვითონ იცი, რაც მოხდა. ჯოჯოხეთში მიმავალივით წავყევი. ერთი კვირის შემდეგ იმ სინდისგარეცხილის ჭუჭყიანი ამბები გამოირკვა.

ვიფიქრე, წყალში დავიხრჩობ-მეთქი თავს, მაგრამ ვისთვის, ვიღაც ოხერტიალის გულისათვის? ვიცი, ხალხი დამცინებს, მაგრამ, დაე, დამცინონ. განა უბედურება არავის შემთხვევია?.. ვისთვისაც სხვისი ჭირი „ჯედელს ჩხირი“ არაა, ის არ დამცინებს, სხვებს რა ვუყო.

თავი გავიმასხრე, შევიძულე დედაც და მამინაცვალიც ჩემი დაღუპვისთვის. გაუბედურებული დავრჩი. მაინც გმადლობთ თქვენ — ამხანაგებს, განსაკუთრებით კი შენ და ჩიზნალს, მეგობრის ხელი რომ გამომიწოდეთ.

ფათიმამ თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი მოიცილაო გულიდან, ისე ღრმად ამოიოხრა, ცოტახანს ჩაფიქრდა და თავის სიტყვებს დაუმატა:

— ცარა, მე შენს წინაშე დიდი დანაშაული მიმიძღვის, ძალზე დიდი. იქნებ შენს წინაშე იმდენად არა, რამდენადაც ჩემი საკუთარი გულის წინაშე. ჰო, დამნაშავე ვარ შენთან, მაგრამ ნუ, დამძრახავ ავი სიტყვით, წყრომით ნურასოდეს გამიხსენებ. ისედაც ბევრია ალბათ ენამწარე, ჩემი ცუდის მთქმელი ხალხი, მაგრამ მათ შორის, შენ რომ დაგინახო, მაშინ... სხვა რაღა გითხრა, დანაშაულის პატიებას არ გთხოვ. შენ კიდეევაც რომ მაპატიო, მე თვითონ არ ვაპატიებ ჩემს თავს! მე არ დამვიწყებია შენი სიტყვები, შენი მრავალი სიკეთე, შენი ალერსიანი გამოხედვა, მერე შენი უკანასკნელი დაძახება: „მშვიდობით ფათიმა!“ კარგი ქენი, რომ მაშინ სამუდამოდ გამომემშვიდობე. მას შემდეგ თავი წავიხდინე, და თუ ჩემს გულისტკივილს ინაწილებ, ჩემი გასვრილი სახელი მაინც დამიტოვე. ჩვენ ახლა, აგერ, იმ წმინდა თოვლით დაფარული მთის მწვერვალებივით თანატოლები ალარა ვართ. ახლა მაღლა ამოხედვის ღირსი არა ვარ. დავმდაბლდი და შენი სიმაღლიდან ჩემსკენ დახრას ნუღარ იფიქრებ.

ეს იქნება შებრალება, ჩემთვის მოწყალების გაღება. მე, მართალია, სახელი შევირცხვინე, მაგრამ მათხოვრის მდგომარეობამდე არ დავცემულვარ. იარე ბედნიერად, მთაყავით ამაღლებულად, მეც ქვემოდან შემოგხედავ და გამეხარდება, როცა გავიფიქრებ: მეც ოდესღაც მასავით წმინდა, მისი თანატოლი ვიყავი-მეთქი.

მართალი იყო გორკი, ათასჯერ მართალი: დარდი გულს ბულბულივით აამეტყველებსო. თორემ ამ სიტყვაძუნწმა გოგომ როგორ ჩაიდგა ეს ჭიკჭიკა ენა! გული შემეკუმშა მის სიტყვებზე, მაგრამ ეს არ ვაგრძნობინე. როცა აღელვებამ გადამიარა, ფათიმას ვუსაყვედურე:

— რატომ, რატომ ფათიმა, სხვის ჭუჭყს შენს თავზე რატომ იღებ? შენ რა დაგიშავებია? ხალხმა შენ რისთვის უნდა დაგცინოს? ან ჩემს წინაშე რა დანაშაული გაქვს? — არაფერი. სხვა ამბავია, თუ საკუთარ გულს აწყენინე რაიმე. „ოდესღაც მეც შენი ტოლი ვიყავიო“... და განა ახლა ალარა ხარ? ჩემთვის ისევ ის ფათიმა ხარ, გამიგე? გინდა ჩემი რჩევები ჩაგაცვა? გესმის ჩემი სიტყვა? ნუ მაჯავრებ, შენი გაჭირვების წუთებში თავიდან ნუ მიშორებ. ავ ენებს ყურს ნუ უგდებ. ამხანაგებს ძალიან უყვარხარ. იმათგან შენზე ცუდს არავინ იტყვის. ბევრი რამის თქმა მინდა,

მაგრამ წინასწარ გაჯს გალავანი შემოირტყი და არ ვიცი კიდევ შეისმენ ჩემს სიტყვას თუ არა...

„ახლოს ნუ მეკარებიო“ — მეუბნები და თუ შენი თქმისა არ იყოს, გულით მინდა იმ მთებივით შენთან მხარში დგომა, ჭირშიც და ლხინშიც. მაინც რა გაეწყობა, შენს ნებას არ გადავალ, გაგეცლები. ოღონდ ოდესმე თუ სხვა ფიქრმა გაგიელვა, თვალით მანიშნე და უმალ მხარში ამოგიდგები. იქნებ შეც გამიღიმოს ბედმა, იქნებ ოდესმე „გამცილდის“ ნაცვლად შენმა თვალებმა მითხრან — „მოდი თუ კაცი ხარო“!

„მშვიდობით“ რომ გითხარი, ეს დაიეიწყე კარგია, რომ ეს სიტყვა ყალბი გამოდგა. ახლა გეუბნები „გამარჯობა!“ მომეცი ხელი. გახსოვდეს, რომ შენს ნიშანს ველოდები. თუ ოდესმე შენი გული ჩემთვის რაიმე კარგს გაიმეტებს, ნუ დამიჯერ!..

საუბარი დავასრულეთ. არ ვიცი, როგორ მიიღო ჩემი სიტყვები ფათიმამ — სიბნელეში მისი სახის გამომეტყველებას ვერ ვამჩნევდი. ოღონდ, როცა მათს ეზოსთან ერთმანეთს ვშორდებოდით, ხელი მაგრად მომიჭირა: „გმადლობ, ცარა, კეთილი გულისათვის!“ — მითხრა და სახლში შეეიდა. რაღაც იმედი ჩამესახა ისევ გულში. გონებიდან გაქრა ჩვენი „სიძის“ საძაგელი სახე. გაქრა სევდა.

ადამიანს თუ უყვარს, რას არ აპატიებს!

ბედნიერების დასაწყისი

მას შემდეგ ფათიმასათვის არასოდეს აღარაფერი მიკითხავს. თავს ვარიდებდი. მხოლოდ ხანდისხან თუ შეხვდებოდნენ ერთმანეთს ჩვენი თვალები და ვინ იცის, რას ესაუბრობდნენ მაშინ ერთიმეორეს მუნჯი გულები, სიტყვებით კი არა, თვალთა შუქით.

გადიოდა დღეები და მეჩვენებოდა, რომ ფათიმა ნელ-ნელა ივიწყებდა გულის ჯავრს.

დადგა გაზაფხული, როგორც პუშკინი იტყოდა, სიყვარულის დღეები. „ჩვენი მთები, ველები, საგანგებოდ მოიკაზმენ“. მაგრამ ადამიანის გული ბუნებასავით როდი იცვლება. ეელოდებოდი, როდის გამოიცვლიდა ფათიმას გული ძაძებს.

დაიწყო უკანასკნელი გამოცდები. ლაპარაკისა და ოცნებისათვის ვიღას ეცალა. მთელი თვე ყველა ჩვენგანი თავაუღებლივ მუშაობდა. ცდილობდა, რაც შეიძლება კარგი ნიშნები მიეღო. და მართლაც საქმე კარგად წავიდა. მე-10 კლასი ოცდაათმავე მოსწავლემ დავამთავრეთ. ხუთმა ყველა საგანში „ფრიადები“ მივიღეთ. იმ ხუთიდან ერთი ფათიმა იყო.

1941 წლის 20 ივნისი დიდი სასიხარულო დღე იყო ჩვენთვის.

ახლა ცხოვრების ფართო გზა გაიშალა წინ. წადით, ისწავლეთ, გახდით სასაპელო ადამიანები, ისეთნი, რომ თქვენით იამაყოს აღმზრდელმა სკოლამ, მშობლიურმა მხარემ, მთელმა ოსეთმა და ჩვენმა დიდმა სამშობლომაც, — გეეუბნებოდა კლასის ხელმძღვანელი, ჩვენი საყვარელი მასწავლებელი — აქ, ამ სკოლაში, ჩემს თვალწინ იზრდებოდით ექვსი წლის განმავლობაში. ადამიანისათვის ძვირფასია მისი ნაამაგარი და ნუ გაგიკვირდებათ თუ დღეს თქვენი მასწავლებლები სიხარულთან ერთად თქვენს განშორებასაც განიცდიან. როგორც არწივი ასწავლის ხოლმე თავის მართვებს ფრენას, ისე გასწავლიდით ცხოვრების გზებზე სიარულს. ეცდილობდით მთელი ჩვენი ცოდნა თქვენთვის გაგვეზიარება. ახლა თქვენ იცით. გისურვებთ ცხოვრებაში ჩვენზე კიდევ მეტის გაკეთებას. წადით, მშვიდობის გზაზე გეევლოთ!..

გადავწყვიტეთ მეორე დღეს რაიონის ცენტრში წავსულიყავით. ფრიადოსნებს სიმჭიფის ატესტატები იქ უნდა მიგვეღო. ყველა ამხანაგმა ჩვენთან ერთად წამოსვლა ისურვა. დავთქვით, რომ დილით ყველა სკოლასთან შეეგროვდებოდით. ამის შემდეგ ლხინი გავემართეთ. ვიცეკვეთ, ვიმღერეთ. ლხინის დამთავრებას აღარ დაველოდეთ. შორეული სოფლელები ამხანაგებს გამოვეშვიდობეთ და გზას გავუდექით. ამჯერად მე თვითონ ვუთხარი ფათიმას ერთად წავიდეთ-მეთქი. ისიც დამეთანხმა. მივდიოდით მშრალ გზაზე, მარტონი, სიბნელეში. ის იყო ჩვენი უკანასკნელი მგზავრობა სკოლიდან სოფელში. ამიტომაც გადავწყვიტე ყოველივე ის, რაც გულში მქონდა, მეთქვა ფათიმასათვის და პასუხიც მიმეღო.

პირდაპირ მივმართე.

— ხომ არ დაგავიწყდა, რაც შემოდგომაზე გითხარი. მე თხოვნა შეგისრულე, შენ რაღას მეტყვი ახლა? მოდი, მეტს ნეღარ მალოდინებ. მე

გული არ გამომიცალია. გრძნობა, რომელსაც შეიდი წლის მანძილზე დავატარებ, უფრო გამძაფრდა და მხოლოდ ნიშანს ელის, რომ გადმოღვაროს მთელი თავისი სინაზე და სიტკბოება. მართალი უთქვამს კოსტას: „გული თვის ნაზ სხივებს დააფრქვევს უხვად, ნება თუ დართე!“

დართე ნება გულს, თუ ეკვრა ან სინანულის გრძნობას არ შეუპყრიბარ.

— ო, სინანული. სინანული მტანჯავს, ცარა. თორემ აქამდეც არ დაგტოვებდი უპასუხოდ.

— სჯობს სულ არაფერი მითხრა, თუკი სანანებელი გაგიხდება, — დალონებულმა მივუგე მე.

— ცუდად გამიგე, ცარა, მაგის თქმა როდი მინდოდა. ვიცი, ყველაფერი ვიცი. მაგრამ ვნანობ, ის ამბავი რომ შემემთხვა, გული რომ ისე სუფთა არა მაქვს, როგორც შენ გეკადრება. არ ვიცი, რაღა პირით გითხრა, „მიყვარხარ“-მეთქი. ან რა გამოვა ასეთი სიყვარულისაგან, როგორ შეერთდება ჩვენი გზები! შენ ახალგაზრდა ხარ, მე კი — გათხოვილი, ნაქმარევი ქალი. რას გეტყვიან დედა, მამა, მეგობრები. არა, ცარა, სჯობს ამ ფიქრს მოეშვა. ოდესმე რომ ჩემს გამო ვინმემ გისაყვედუროს, მაშინ ხომ კიდევ უფრო უბედური ვიქნები. დაფიქრდი, სანანებელი არ გაგიხდეს. ყოველთვის გულის ნებაზე ნუ დადიხარ.

— ჩემო ფათიმა! — შევყვირე მე და სიხარულისაგან შეშლილივით ავიტაცე ხელში. ასე ხელში აყვანილი მიმყავდა და ვბუტბუტებდი, — მისმინე, მისმინე და გულს ნულარ მიხეთქავ. დღეს არის ჩემი ბედნიერების დასაწყისი. რვა წელიწადია ველი ამ ბედნიერებას. ამ ხნის განმავლობაში ბევრი სიხარული და ბევრი ჭირი განვიცადე, მაგრამ მაინც ვეწიე ამ დღეს. ნუ მეუბნები ასეთ სიტყვებს. დაივიწყე წარსული, გახედე მომავალს: „გული თვის ნაზ სხივებს დააფრქვევს უხვად, ნება თუ დართე!“

ჩვენ უგამოცდოდ შევალთ ამ შემოდგომაზევე ინსტიტუტში და სწავლას განვაგრძობთ, ვიცხოვრებთ სტიპენდიით. თუ არ გვეყო, ცოცხალი თავით ყველაფრის გაკეთებას შევძლებ და შენ კი არაფერს დაგაკლებ. ინსტიტუტს დავამთავრებთ და ერთად ცხოვრებას დავიწყებთ. ცხოვრების გზები წინ გვექნება გაშლილი და რომელიც მოგვეწონება, იმ გზით ვივლით სიკვდილამდე. მეთანხმები?

— თანასმა ვარ!

— ახლა კი გიპოვე, ფათიმა.

— მიპოვე, მაგრამ ხელი გამიშვი, რომ გაკოცო, კარგი...

ასე დაიწყო ბედნიერება...

მაგრამ... „რა იქნება შემდეგ,

მეც არ ვიცი თვით...“

ზეგ მოქმედ არმიაში მივდივარ. ახ, ნეტავ მალე დავბრუნდებოდე გამარჯვებული! მაშინ წარსულის მოგონებით ალარ გავირთობ გულს, პირდაპირ ცხოვრების შუაგულში შევიჭრები.

ნახვამდის

მეორე დღეს რაიონის ცენტრში წავედით. მთელი დღე გზას მოვუნდით. ღამე რაიონის სასტუმროში გავათიეთ, დილაზე რაიონის განათლების განყოფილებაში ატესტატები მივიღეთ და დიდად სამწუხარო ამბავი გაგვიცხადეს.

გერმანელი ფაშისტები ჩვენს სამშობლოს შემოესივნენ.

გოგოებმა ტირილი დაიწყეს. წვევამდელმა ვაჟებმა სახლებისაკენ გაუჩქარეს. მალე ჯარში მივყევართ და მშობლებს მაინც გამოვეთხოვოთო. მე და ერთი ჩემი ამხანაგი — ყველაზე უმცროსები, როგორღაც განზე აღმოვჩნდით საქმისაგან. ეს ამბავი სამარცხვინოდ გვეჩვენა და უმალვე სამხედრო კომისარიატში შევედით. განცხადება შევიტანეთ, მოვითხოვეთ ჯარში გაგზავნა. ერთი კვირის ვადა მოგვცეს. მერე გაგგზავნითო. სად, არ ვიცი. ალბათ, ჯერ სამხედრო სასწავლებელში და შემდეგ ფრონტზე.

ჩემი ატესტატი ფათიმას დავუტოვე. ეუთხარი, შეინახე-მეთქი ჩემს ჩამოსვლამდე. ჩემი ჯავრი ნუ გექნება, გული გაიმაგრე, სხვანაირად არ შეიძლება-თქო!

დალონებულები გამოვბრუნდით. მთელ ქვეყანას დიდი უბედურება დაატყდა თავზე, ხალხი დამწუხრდა. საღამო იყო, ფათიმა რომ სახლამდე გავაცილე. გამოვეშვიდობე: ნახვამდის, ჯარში წასვლის წინ კიდევ გნახავ-მეთქი.

ჰაი გიდი, ჩვენი ბედნიერების დასაწყისშივე მოვიდა თოვლი და არ ვიცი, როდის აიღებს მას მზე. მაგრამ რა გზაა. ჩვენი ბედნიერება წვეთია, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ბედნიერება კი —

ზღვა... დაე, ისევ ის წვეთი ორთქლდეს. ვიდრე ზღვა დაშრებოდეს! რა გაეწყობა...

ნახვამდის ჩემი გულის დარდო და სიხარულო, ჩემო ფათიმა! დღემდე შენზე ჯავრი მაწუხებდა, ამიერიდან კი შენ დაგიშხამავს გულს გველივით ჩემზე დარდი.

ჩემზე ჯავრი — ზღვის ტალღასავით მოგეხეთქება გულზე, მაგრამ შედგრად დადექი. იქნებ მეც არ დავიღუპო.

„გაფიცებ, შეეშვი ტირილს უშედეგოს.
ჯერ ბოლმით ნუ ითვსებ მკერდს.
ვნახოთ: თუ უდროოდ დავეცი — შეერგოს
ჩემგან წაღებული მტერს!“

ნახვამდის! ნახვამდის! ჩემი გულის ბიედო!
მელოდე, მეც მოვალ, როცა ჩემი დრო დადგება.

ეპილოგი

დამთავრდა ჩემი მეგობრის მოგონებები. ხანმოკლე იყო მისი სიცოცხლე, მაგრამ კეთილად გაატარა იგი ამხანაგებს შორის. ვარსკვლავივით გაიელვა, ცხოვრების გზაზე ანთებულმა, პატარა მანძილი გაიარა და ჩაქრა. როგორც თვითონ თქვა: მისი ბედნიერების დასაწყისში თოვლი მოვიდა. შემდეგ კი თვითონაც თოვლის ზვავმა ქვეშ დაიტანა. მზის მაცოცხლებელმა სხივებმა რომ ზამთრის თოვლი გაალხვეს, იმ ნეტარ დროს ვეღარ შეესწრო, იმ მზის უთვალავ სხივთაგან ერთი ცარას გულის სითბოთი იყო შექმნილი.

ფათიმას კარგად ვიცნობდი. ომის დამთავრებისას ჯარიდან რომ დაებრუნდი, გავიგე, რომ მას ინსტიტუტი დაემთავრებინა და ერთ-ერთ სოფელში საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა. მივედი მასთან. ვერ შევძელი მეკითხა, თუ როგორ მოეწყო მისი ცხოვრება. კედელზე ცარას პორტრეტი იყო და მისი სახის გამომეტყველება ნებას არ მაძლევდა ფათიმასათვის მის ახალ ბედნიერებაზე რაიმე მეკითხა.

შემდეგ შევიტყვე, რომ მას ახალი ბედნიერების შესახებ სიტყვის მოსმენაც არ სურდა. მაგრამ ადამიანისაგან სიცოცხლე ცხოვრებას მოითხოვს. ვინც დაეცა, თან როდი წაუღია მეგობართა ცხოვრების უფლებები. ისინი ხომ ხალხის ბედნიერებას ემსახურებ‌ოდნენ. განა ცარამ ასე უთხრა ფათიმას: ჩემს შემდეგ მთელი შენი სიცოცხლე ქვრივად იარეო!

არა, არ ეტყოდა. კეთილი და კაცთმოყვარე იყო იგი!

10/1 — 55
სტალინირი.

ძელიგინ გაბუტული

მცურავი ძეგლი

მოთხრობა

ამ სოფელს გუშინ საღამოს ვესტუმრეთ. ჩემი მეგობარი აქაურია. მეც აქ გავატარე ბავშვობის დღეები. დედა ცხრა თვისას გარდამცვლია და ბებიას აღსაზრდელად აქ ჩამოვუყვანივარ. ის მიწევდა დედ-მამის მაგივრობას. ამიტომ არის, რომ ბებიის ყოველ მოგონებისას ცრემლებს ვერ ვიკავებ. „ჩემს ობოლს, არავის დავაჩაგვრინებ. დამივაყაცდი, დამივაყაცდი, ასლან, შენ გენაცვალე...“ — მისი ტკბილი სიტყვები ახლაც ყურში მიდგას...

ირიერაკა და ჩემს მეგობართან ერთად საესეირნოდ ქალისაკენ გავწიე.

რა კარგია სიცოცხლე, რა ბედნიერებაა, როცა შენი ქვეყნის განთიადს შრომაში მოპოვებულ გამარჯვებებით ხვდები. ნეტავ ფრთები გამომესხმებოდეს, რომ გადავსერო სამშობლოს ლაჟვარდოვანი ცა, ვიხილო მისი ყოველი კუთხე შრომის ფერხულში ჩაბმული... ჩემზე ძლიერ ვის ეყვარება სამშობლო?

აი, მისი კეკლუცად მორთული მთა-ველი. აი ტყე, რომელშიაც ბავშვობისას ხშირად ვიმალებოდი. აგერ ის მდინარე, სადაც პატარაობისას არაერთხელ მიბანავია. მორბის გამალებით და მისი ჩხრიალი ძილს უფრთხობს ქალებს. რამდენჯერ ვწოლილვარ ამ ცხელ ქვიშაში...

მოვაღწიეთ ქალის ტაფობის შუაში მდებარე ტბის ნაპირს. მაღალი, თბილი ბალახი ბამბისაებრ რბილად გვეგება ფეხქვეშ. ტბის ანკარა წყალში კარგად ჩანს პირდაღებული თევზები, რომლებიც ზედაპირზე ამოხტომისას თეთრ მუცლებს ისე ამაყად გვიჩვენებენ, თითქოს გვეუბნებიან: შემოგვხედეთ, რა ლამაზები ვართ ჩვენს სამფლობელოშიო. ეს ერთი წუთით. შემდეგ კი შეშინებულნი სიღრმეში ეშვებიან. ტბის ზედაპირზე ასევე ლაღად გრძნობენ თავს ბუნების შვილები: გრძელკისერა ბატები და წყალწყალა ჩიტები.

მზემ წვერი ამოჰყო. ტბის ზედაპირი თვალისმომჭრელად ალაპლაპდა. ზეიმობს ბუნება, ხარობს გული.

— ასლან, გახსოვს, ნავებით რომ ვსეირნობდით აქ? — მკითხა ამხანაგმა და მძიმედ ამოიხვნეშა.

— მახსოვს, ძამბარზ, ნეტავ რა იქნა ის ნავები?

ძამბარზმა ტბის ნაპირზე ბალახის ღერო მოგლიჯა, ჩაფიქრდა, სახე შეეცვალა...

— ეხ, ჩემო მეგობარო, ვგონებ, ამ ტბის ისტორია კარგად არ იცი.

— არ ვიცი, თოთხმეტ წელზე მეტია, აქ არ ვყოფილვარ. ის კი მახსოვს, რომ მას „უძირო ტბას“ ეძახდნენ.

— ძახა ცორითი და ჩენძე არ გახსოვს? — მკითხა ძამბარზმა.

— როგორ არა, ორი ვაჟი ჰყავდათ, სახელები დამავიწყდა.

— ძიბისთი და მურთუ.

— ჰო, მართლა. შემდეგ?

— 1942 წელს, როცა ჩვენი სოფელი ფაშისტებმა დაიკავეს, ზოგიერთმა სოფლელმა ვერ მოასწრო გაქცევა. მათ შორის ძახამ და ჩენძემაც, რომელთა ვაჟკაცებიც ფრონტზე იბრძოდნენ.

ფაშისტი ოფიცრები ცორიაანთ ორსართულიან სახლში დაბინავდნენ. პატრონებს სარდაფის ერთი კუნჭული არგუნეს. მოხუცები გაჭირვებით ცხოვრობდნენ, თანასოფლელებს შორისაც იშვიათად ჩნდებოდნენ. ძახა მონადირე კაცი იყო და მისი ნანადირევით არაერთხელ ჩაუტკბარუნებიათ პირი ფაშისტ ოფიცრებს. სამაგიეროდ მოხუცი ტყვიაწამლით ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო.

ოფიცრები ჩენძეს აიძულებდნენ, ერეცხა მათი ტანსაცმელი, ელაგებინა ოთახები, საკუთარი ძროხის რძით ემზადებინა კაკაო, დაეცხო ხაჭაპურები... ოთახში ხშირად გაისმოდა ფაშისტ ოფიცერთა ბრძანებები: — „ბებერო, წყალი არაა, მოიტა წყალი!“ „შეშა არაა, მოიტა შეშა“! — მოხუცი ბუზღუნით ასრულებდა ყოველივეს.

ღამით მოხუცები უსიტყვოდ ისხდნენ მათთვის მიჩენილ კუთხეში, ცეცხლის პირას და დაქანცულები იქვე იძინებდნენ.

ფაქიზია დედის გული და მოსიყვარულე. ჩენძეს ძლიერ ებრალებოდა ჯარისკაცები, ასე რომ ჰყავდათ დაბეჩავებული ოფიცრებს. რამდენჯერ უთქვამს თავისთვის: — „მათაც ხომ ჰყავთ შშობლები, ისინიც ხომ შვილები არიან, მათ შესახებაც ხომ ფიქრობენ დედები“... შვილების მოგონებით გაოგნებული ჩენძე ფიქრობდა: „სადა ხართ, შვილებო, თქვენ მოგიკვდათ დედა, სად წვალობთ, სად?.. ამ მხეცებმა რა საქმეები დამართეს ქვეყანას? ო, ცეცხლი კი წაგეკიდათ ჩვენი ცოდვით, არამზადებო, ცეცხლი!

საბჭოთა თვითმფრინავების ყოველი გამოჩენა, სირენების გაბმული წივილი ფაშისტებს შორის შეშფოთებას იწვევდა. ისინი ბლინდაჟებსა და თხრილებში იმალებოდნენ. ორი მოხუცის ღიმილით სავსე თვალები კი იმ დროს იმედით შეჰყურებდნენ თვითმფრინავების ცურვას ჰაერში.

ერთ საღამოს მოხუცები ცეცხლის პირას ისხდნენ და ჩუმად საუბრობდნენ. ჩენძეს დამჭკნარ ლოყებზე ცრემლები სცვიოდა და მათ თავსაფრის ყურით იწმენდდა.

— ძნელია, დედაკაცო, ძალიან ძნელი მტერთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. ხედავ, ჭუჭყიანი ფეხებით რომ იძინებენ ძიბისა და მურთუს ლოგინში. ტყავს გვაძრობენ, ტყავს, ბატონებად დაგვისხდნენ. ეს, როდემდე უნდა ითმინოს კაცმა, როდემდე? — თქვა ძახამ და ბრაზმორეულმა მაშით ნაკვერჩხლები ნაცარში აურ-დაურია.

— მოვა დრო და ჩაშხამდებათ. არ შერჩებათ ჩვენი ხალხის წამება — თქვა ჩენძემ დაღონებით და იმედის თვალით შეხედა ქმარს.

— და როდის, როდის?.. — ძახამ თავი მეხლებზე დაყრდნობილ ხელებს შუა ჩარგო, ფიქრებს მიეცა. რამდენიმე ხნის შემდეგ გასწორდა და მტკიცედ დაიწყო: — ამ ბოლო ხანს ერთი აზრი მოსვენებას არ მაძლევს...

— რა იყო, კაცო, თვალები რად აგმღვრევია. სთქვი, რა გაწუხებს, რატომ გაჩუმდი?

— მეშინია, ვაითუ...

— ვაითუ, რა?

— ვაითუ არ ისურვო...

— რა არ ვისურვო, შენი სიტყვისათვის წინააღმდეგობა როდის გამიწევია, ვაი ჩემი ბრალი!..

— მაშ, მისმინე. ხალხში ჩვენზე ათასნაირი ჭორი დადის. ამბობენ: ორმა მოხუცმა თავი ფაშისტებს მიჰყიდა, დაჰკარგეს ნამუსი, თავლაფი დასხეს შვილების სახელსო. სოფელში თითქმის სალამსაც აღარავინ მაძლევს. რა იციან ამ გულის ტანჯვა და ზრახვები... ჰოდა დედაკაცო, ის უნდა მეთქვა: ჩვენ ჩვენი დრო მოვკამეთ ამ ქვეყნად. სასახელო ვაჟკაცები დავზარდეთ და თე ფაშისტების შემოსევამ დიდ გაჭირვებაში ჩაგვაგდო, ესეც არაფერია. ბოროტება დღემოკლეა. ამ ბოლო დროს ძიბი და მურთუ მეცხადებიან, შეურაცხმყოფელი სიტყვებით მომმართავენ: — „სირცხვილი, მოხუცო ძახა, რას უყურებ, რას? შენი შვილები მტრის წინააღმდეგ სისხლს ღვრიან, შენ კი მათთან ცხოვრობ? აიღე მოძმეთა სისხლი, მოხუცო, აიღე“...

ჩენძეს თვალის ქუთუთოებს ცრემლები მოსწყდა და სწრაფად დაეშვა სახის ნაოჭებზე. აცრე-

ელებულმა ჰკითხა ქმარს: — და როგორ, რა გზით?

— როგორ და...

მეორე დღეს მოხუცები მოჩვენებითს მბიარულებას მისცემოდნენ. ჩენძემ სტუმრებს კარგი სადილი მოუმზადა. ოფიცრები მანქანით მოვიდნენ. ძახა მძღოლთან მივიდა, თავისი ძველი კოსტუმი აჩვენა და ბენზინი სთხოვა მის გასაწმენდად. მძღოლმა ერთი ბოთლი ბენზინი არ დაიშურა მოხუცისათვის.

* *

დეკემბრის უკანასკნელი ღამე იყო. ფაშისტი ოფიცრები ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდნენ... ეზოში მსუბუქი მანქანები ერთმანეთს სცვლიდნენ. ლხინობდნენ ოკუპანტები საბჭოთა ადამიანების ნაძარცვით. ბრაზმორეული მოხუცი თბილ ქურქში გახვეული ეზოში ბოლთას სცემდა.

სოფელმა მიიძინა. ღამის მყუდროებას მხოლოდ ქარის სტვენა და მთვრალი ოფიცრების სიცილ-ხარხარი არღვევდა. ძილი არ ეკარებოდა მოხუცთა თვალებს. ღამე მიიწურა.

— დრეა, — თქვა ძახამ. ცული ქურქის ქვეშ დამალა, აიღო ბენზინი, ასანთი ჯიბეში ჩაიდო და გარეთ გამოვიდა. გუშაგი ჯარისკაცი სიცივის გამო ფეხებს აბაკუნებდა. მოხუცი მიუახლოვდა და ხელების მოძრაობით ანიშნა — „გცივა?“ ჯარისკაცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ზურგი შეაქცია მოხუცს და ფეხების ბაკუნი განაგრძო. ამ დროს ძახამ ღონივრად მოქნეული ცულით თავი გაუპო მცივანას. ჩენძე კარების ჭუჭრუტანიდან ადევნებდა თვალს ძახას მოქმედებას და ზაფრანასავით გაფითრებული ცახცახებდა.

სახლიდან გალეშილი ოფიცრების ღრმა ხვრინვა ისმოდა. ღვინით გაწუწულ სუფრაზე უწესრიგოდ ეყარა ერთმანეთში არეული ჭიქები, თეფშები, ხორცისა და პურის ნარჩენები. მოხუცებმა კარები გარედან გადაკეტეს და ორიოდე წუთში სახლი ცეცხლის ალში გაეხვია. ხანძარმა რიერაქს აინათლე შემატა. სახლიდან სროლის ხმა და საძინელი ყვირილი ისმოდა, ხოლო ბოსლიდან მშიერი ძროხის შემზარავი ბღავილი.

მალე ხალხიც მოგროვდა. ალყა შემოარტყეს სოფელს, მაგრამ კვალი არსად ჩანდა. ერთი ახმახი ოფიცერი, სოფლის კომენდანტის მოადგილე, გაცოფებული შეიქრა ეზოში... მოხუცებს შეჰყვირა.

— ვინ დასწვა სახლი?!

— ჩვენ!

— რატომ?!

—შეგვცივდა და შეშა არ გვქონდა!—უპასუხეს მოხუცებმა. ამ სიტყვებს მათი საშინელი წამები მოჰყვა. ბოლოს კი ეს ტბის ფსკერი ერგოთ წილად.

სოფელში ბევრი თქმულება შეიქნა მათ შესახებ. ამბობდნენ: სოფელი რომ ღრმა ძილს ეიცემა, მაშინ მოხუცები ტბის ნაპირზე, ჩამოჯდებიან, იცქირებიან, სადაც მათ წინათ სახლი ედგათ. ხარობენ შვილების ბედნიერებით, რომლებსაც ძველ ადგილზე ახალი, ორსართულიანი სახლები წამოუქიმავთ და განთიადისას ისევ ტბის ფსკერზე ეშვებიანო.

ჩემმა მეგობარმა დასრულა თუ არა ამბის თხრობა, დამანახა ტბის ზედაპირზე მცურავი ხე, რომელიც ნელ ტალღებს ჩვენსკენ მოჰქონდა. მალე გავარჩიე, რომ ეს იყო წითლად შეღებილ ხეზე გამოკვეთილი ძეგლი.

ხედავ? ეს ძეგლი სოფლის ახალგაზრდობამ აუგო უკვდავ გმირ მოხუცებს.

ძეგლი ტბის ზედაპირზე ნელ-ნელა დაცურავდა და ზედ მძღოლივით იჯდა წყალწყალა ჩიტი.



ალექსი ბუქულთი

ძვირფასი საჩუქარი

— თომა, შინა ხარ?

— შინა ვარ, შინ! — გაისმა მამაკაცის ხმა, გაიღო სახლის კარები და ჯერ შავკრაველიანი ფაფახი გამოჩნდა, მერე თომას სახე, წითელლოყებიანი და მსუქანი.

— რუთენ, ამბავი, ხაბარი? — იკითხა მან.

რუთენი ეზოს იქით იდგა, ჭიშკართან. ყორეზე მხარით მიყრდნობილი, მარჯვენა ხელში ტარმოღუნულ ჯოხს ათამაშებდა. თომა რომ დაინახა ეზოში გამოსული, ჭიშკრის კარებში ჩადგა:

— წიწკანა ჩიტი მოფრინდა, ნახე?

თომამ შავი ჩოხის კალთები წელამდე აიკეცა და ისე წამოვიდა რუთენისკენ.

— ვნახე, ვნახე, ბრიგადირო, მერე რა მოხდა ვითომ? — თითქოს ვერ გაიგო მისი ჩამოარაკება, ისე იკითხა თომამ და თან ულვაშებში ჩაიცინა.

— რომ ნახე, არაფერი გახარა? — შეკითხვა დაუბრუნა ბრიგადირმა, ჯოხი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში მოინაცვლა და ისევ შეათამაშა.

— როგორ არ მახარა. იმანაც მახარა და მეც ვახარე. ჯავრი ნუ გაქვს, მზადა ვარ-მეთქი. — მხიარულად მიუგო თომამ.

— მე თესვის დაწყებაზე გეარაკები, თომა!

— მეც მაგაზე მოგახსენებ, ბრიგადირო. დიახ, დიახ! მეც მზადა ვარ და ჩემი გუთანიც.

— სიტყვა ერთია და საქმე მეორე. კი ვენდობი შენს ნათქვამს. მაგრამ კარგი იქნება, თუ მაჩვენებ იმ შენს გამზადებულ გუთანს, ამისთვის გეახელი.

— კი, ბატონო, მობრძანდი და ნახე. საკუთარი თვალით ნახული უკეთესია, — უთხრა თომამ და რუთენს ფარდულისაკენ გაუძღვა.

თომას ტყუილი არ უყვარდა. ფარდულში სუფთა ფიცარზე იდგა სახნავად გამზადებული გუთანი. იქვე ელაგა ოთხი უღელი, და გუთანუღლის შემაერთებელი ჯამბარა და რვილი.

რუთენმა გულმოდგინედ გაუსინჯა გუთანს ყველა ნაწილი, მოწონების ნიშნად ღიმილით შეხედა გუთნისდედას და უთხრა:

— ამაზე კარგი გუთანი მთელ სოფელში არაევის აქვს. თუ არ გეწყინება, წამო, ახლა ვნახოთ ხარები როგორ გყავს. კარგი გუთანი თავისით არ ხნავს, შენც იცი...

— ვინც თავის საქონელს არ აჩვენებს და ისე აქებს, იმ კაცსა ჰგავს, რომელსაც ჯერ ყამირი არ გაუტეხია და წინდაწინ იძახის, ამ მიწაში ოქრო მარხიაო. კი, ბატონო, წამო, გიჩვენებ ხარებსაც.

ბრიგადის საერთო ბოსელს რომ დაუახლოვდნენ, დაინახეს იქიდან გამოსული შავგვრემანი ბიჭი, რომელსაც თვალები სიხარულით უღვივოდა. ბიჭმა დაინახა თუ არა გზაზე მომავალი რუთენი, ადგილზევე დაესო და დაელოდა მას.

— გაბილ, შენც აქა ხარ უკვე? — შორიდანვე მიაძახა ბიჭს თომამ. — შენთანაც მოფრინდა წიწკანა ჩიტი? — და თვითონვე დასძინა: — თუმცა

გასაკვირი არაა ეს ამბავი, შენ ხომ შარშან დაიწყე გუთნისდედობა და...

დავიწყე, აბა, რა! — ამაყად შეხედა გაბილმა თომას. — პატარა კი აღარა ვარ, მეოცდაერთე წელიწადმა მომიკაკუნა კარებზე.

— ჰო, უკვე საცოლე ვაუკაცს ჰგავხარ. სასიძოდ აღარა ხარ დასაწუნი და გუთნისდედად ვინღა დაგიწუნებს, — დიდმნიშვნელოვნად წარმოსთქვა ბრიგადირმა და ეშმაკურად გადახედა ორ გუთნისდედას, ძველსა და ახლადგამოჩეკილს.

თომას გაბილი უყვარდა და ბოლო დროს ხშირად ისე ეხუმრებოდა, თითქოს იგი მისი თანატოლი ყოფილიყოს. გაბილიც თავისუფლად გრძნობდა თავს ამ გულკეთილი კაცის წინაშე, მაგრამ არასოდეს არ ივიწყებდა, რომ თომა მას მამად ეკუთვნოდა: დიდი პატივისცემით ეპყრობოდა, არასოდეს არ სწყინდა მისი ხუმრობა, ზოგჯერ გაბკილავიც კი. გრძნობდა, რომ თომა ავი გულით არ აკეთებდა ამას.

ერთი კი იყო: თომა ეხუმრებოდა თუ რაიმე საქმეზე დადინჯებით ელაპარაკებოდა, გაბილი წითლდებოდა უნებლიეთ.

ახლაც ასევე დაემართა.

• •

ეს ამბავი შარშან გაზაფხულზე მოხდა. მთის ძირში, ვაკეზე დაგუგუნებდა ოთხი ტრაქტორი. ერთი ტრაქტორის საჯეს უჯდა თომას ქალიშვილი, ზალი. გაბილი ბავშვობიდანვე მეგობრობდა მასთან. რომ წამოიზარდნენ, ხალხში დაირხა ხმა: გაბილსა და ზალის ერთმანეთი უყვართო. თომას გარდა ყველას სჯეროდა ეს ამბავი. ქალიშვილის მამა თუმცა პატარაობიდანვე იცნობდა ბიჭს, მაინც აკვირდებოდა, გამომადგება თუ არა სიძედ ან ნამდვილად უყვარს თუ არა გაბილს ჩემი ზალიო. სხვათა შორის, ვერცერთს ვერ ამჩნევდა სიყვარულს. მერე რა, რომ მეგობრობენ, განა სიყვარული მარტო მეგობრობაა, ფიქრობდა იგი.

გაზაფხულის იმ დღეს, როცა ზალი ვაკეზე დააგუგუნებდა ტრაქტორს, თომა და გაბილი ერთად ხნავდნენ ფერდობზე გუთნებით.

სადილისათვის რომ შეისვენეს, გაბილმა თქვა, წყალს მოვიტანო, აიღო თუნგული და წყაროსკენ მიმავალ ბილიკზე დაეშვა.

თომამ უცადა, უცადა წყალზე გაქცეულს და გაბილმა ძალიან რომ დაიგვიანა, შეეშინდა, ბიჭს ამ კლდოვან ბილიკზე მარცხი ხომ არაფერი მოუვიდაო და თვითონაც დაეშვა წყაროსკენ. ხრამებისკენ იხედებოდა, თუ გადავარდა, დავინახავო, მაგრამ ხრამები ცარიელი იყო.

გორაკზე გადადგომისთანავე წყაროს ესროლა მზერა, მაგრამ აქაც უმტყუნა ვარაუდმა. წყაროსთან არავინ იდგა.

ტრაქტორისტებთან აპირებდა ჩასვლას ამბის საკითხავად და კლდესთან რომ მოუხვია, უცებ შენიშნა ბილიკის გვერდით, ტოტებგაშლილი ვეებერთელა მუხის ქვეშ დამდგარი გაბილი. იგი ვიღაც ქალიშვილს ემასლაათებოდა მშვიდად. ქალიშვილი იქითა მხარეს იდგა, ბიჭის მხრები ეფარებოდა და თომამ შორიდან ვერ იცნო იგი. რომ მიუახლოვდა, თავისი ზალი შერჩა ხელში. ქალიშვილს დოქი ეჭირა, ვაუს — ყელწერწეტა თუნგული.

თომამ ცოტახანს ღიმილით უყურა წყვილს, მერე განგებ შეიკრა შუბლი და საყვედურიანი ხმით დასძყიალა:

— ჰაიტ! თქვე მამაძაღლებო, თქვენა! ხვნის დროა ისეთი, კაცს თავის მოსაფხანად არა სცალია, ესენი კი, შენ ხარ ჩემი ბატონი, დამდგარან და ჰუკჰუკებენ. თუ არ მოხანით და დათესეთ ახლა, შემოდგომაზე მარტო ცარიელი მასლაათით ხომ ვერ გაშლით საქორწინო სუფრას, ჰა?

ქალ-ვაჟი ისე შეკრთა, თითქოს საქურდალში დაეჭიროს ვინმეს.

— უმე, მამა! — წამოიძახა ზალიმ და უკანმოუხედავად გაიქცა ველისკენ.

ბიჭი ერთ ადგილზე გახევდა გაოგნებული.

— რალას უდგეხარ? — სიტყვა მიაშველა თომამ. — ხარებმა რახანია დაისვენეს, წამო ჩქარა, თორემ იმ საყანეს ვერ გამოვათავებთ დღეს.

უხმოდ აუყვნენ ბილიკს. გაბილი წინ მიდიოდა. თომა უკან. ბიჭს რცხვენოდა, სახეში შეეხედა მისთვის. ის კიდევ უფრო აწვალებდა, რომ თომამ არაფერი არ უთხრა ამ პაემანის გამო. მისი გულის ბაგა-ბუგი არღვევდა მხოლოდ ამ უხერხულ დუმილს.

მას შემდეგ გაბილი ერიდებოდა თომასთან შეხვედრას, მაგრამ რა ექნა, როცა ერთ ბრიგადაში მუშაობდნენ და საქმე თავისთავად მოითხოვდა თომასთან შეხვედრას?

აი, დღესაც, გაბილმა გაიფიქრა: ჩემს ხარებს დავხედავო. მოვიდა საერთო ბოსელში და თომაც დაბარებულივით შემოეყარა გზაზე. ბრიგადირმაც რა ეშმაკურად ჩაუკრა სიტყვა და გააწითლა გაბილი!

რუთენმა რომ შეატყო, მისმა სიტყვებმა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ბიჭი, საუბარი სხვა რამეზე წამოიწყო.

— გაბილ, როგორაა საქმე, სახნავად მზადა ხარ? — იკითხა ბრიგადირმა.

— მზად კი ვარ, ოღონდ ორი უღელი მაქვს გასაკეთებელი კიდევ. — მიუგო ახალგაზრდა გუთნისდედამ.

თომამ ჩაიცინა:

— სანამ იმ უღლებს გამოჩორკნი, გუთნით დასახნავ ფერდობებს მე გადავაშავებ, შენ კი დამრჩები ხელცარიელი. მერე გადი ვაკეზე და ირიკავე ან წყაროზე ირბინე წყლის მოსატანად.

მიხვდა გაბილი, თომა სადაც უმიზნებდა და თავჩაღუნული გაჰყვა ბრიგადირს. უკან.

რუთენმა ხარებს დახედა, მოიწონა, კარგი გამოზამთრებულიო და, სხვათა შორის დასძინა, მიუხედავად იმისა, რომ გაბილი ახალგაზრდაა და ჯერ სახნავად ყოველმხრივ არაა მზად, შეიძლება ამ წელიწადს თომას კიდეც აჯობოს ხვნაშიო. ოღონდ მეტი გულმოდგინეობაა საჭიროო.

გზაზე გამოსულმა რუთენმა გახედა შემოგარენს და იმედიანად ჩაილაპარაკა:

— ჩემი ფიქრით, ჯერჯერობით ბორცვები არაა გამშრალი, მაგრამ მთის სამხრეთ ფერდობზე კი შეიძლება ხვალვე დავიწყოთ ხვნა. სანამ იმ ფერდობს გადავაშავებთ, ბორცვებიც გაშრება. ხოლო ბორცვებს რომ გადავხნავთ, უკვე დრო იქნება ვაკეებს მივადგეთ ტრაქტორებით. ასე რომ, თუ ფერდობზე ხვალვე გავიტანთ გუთნებს, საქმეს წინ წავწევთ, შენ რას იტყვი, თომა?

— მე თუ მეტყვით, დღესვე გავიტან გუთანს. მიწა მართლაც მზადაა სახნავად. — თქვა თომამ და გაბილს გადახედა. — მაგრამ სხვები რომ არ არიან მზად? გაბილი მიხვდა, ვისაც ურტყამდა თომა და წყენანარევი ხმით უთხრა:

— თუ ჩემზე ამბობ, მე დიდხანს არ დამაგვიანდება იმ უღლების გაკეთება.

— ჰო, შენზე ვამბობ. არ მინდა შარშანდელივით ყველაზე მაჩანჩალა გამოხვიდე.

— შარშანდელი წელიწადი სხვა იყო. მაშინ პირველად მოვეკიდე გუთანს, გამოცდილება მაკლდა და საქმეს თავი ვერ გავართვი, ახლა კი ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს! ორი უღელი რა არის, ამალამვე გავაკეთებ, ხვალ სახნავად გამოვალ და გაგეჯიბრები კიდეც, თუ საქმე ჯიბრზე მიდგა. — მტკიცე სიტყვა მისცა ბიჭმა ძველ გუთნისდედას.

— ეჰ, ჩემო კარგო, ადრე გიფიქრია ძველ გუთნისდედასთან გაჯიბრება. ალბათ ახალგაზრდული სიფიცხე გალაპარაკებს მაგას, თორემ ხომ იცი, ბებერი ხარისა რჩანიც ეწევიანო? — ჩაიცინა თომამ.

— ბებერისა ჰო, მაგრამ გადაბერებულისა კი არა. — მოუჭრა გაბილმა და კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ იგრძნო, მოურიდებელი პასუხი მოუვიდა და უმალვე დადუმდა.

თომას არ სწყენია მისი პასუხი. არც ის უფიქრია, სიტყვა დაეთმო მისთვის: კვლავ ანდაზა მიახალა:

— მე იმ ბებერ მგელსა ვგავარ, ორ-ორ ცხვარს რომ იტაცებს ერთად.

თომას ეგონა სიტყვის ფარიკაობაში ისე დავამარცხე გაბილი, ხმას ალარ ამოიღებსო, მაგრამ არ გაუმართლდა ვარაუდი. რაკი უფროსმა ისევ გამოიწვია, უკან არ დაუხევია გაბილს, არც დაფიქრებულა, ისე გასცა პასუხი:

— ზოგჯერ ახალგაზრდა მგლებშიც გამოერევა ისეთი, რომელიც იმ ყოჩაღ ბებერ მგელს ორივე ცხვარს ჭამოსტაცებს კბილებიდან და თვითონ შესჭამს.

ბრიგადირი არ მოელოდა ამ მოსწრებულ სიტყვას გაბილისაგან. გაიცინა.

კეთილად ჩაიხარხარა თომამაც:

— ესეც შენ, თომა!.. ეგ გინდოდა, ალბათ, და მიიღე კიდეც. მალე, გუთნის პირით რომ ჭიანჭველებს ამოყრი მიწიდან, ისინიც კი მოინდომებენ შენთან შეჯიბრებას და შეიძლება დაგამარცხონ კიდეც. ესეც შენ, თომა!..

რუთენმა მარჯვენათი გაბილს გაუკეთა ხელმკლავი, მარცხენათი — თომას და სიცილით წამოიძახა:

— ასე თუ მიჰყევით, მეშინია, მართლა არ მოგიციდეთ ჩხუბი და მე, როგორც გამშველებელს, ყველაზე მეტი არ მომხვდეს. დავა რა საჭიროა:

სიტყვების უბრალო რახა-რუხია, ალდგომა და ხვალაო. დაიწყეთ ხვნა და რომელიც აჯობებთ, ჩემს სინდისს გეფიცებით, ბრიგადის სახელით დავაჯილდოებ.

— ახლა ბრიგადებშიც შემოიღეთ საკუთარი ორდენების დარიგება თუ? — წეღანდელზე ხმამაღლა ჩაიხარხარა თომამ.

— შენ რა გინდა, რაც შემოვიღეთ. მე ჩემი სიტყვის პატრონი კაცი ვარ; სინდისს გეფიცებით, კინც გაიმარჯვებს ხვნაში, უძვირფასეს საჩუქარს მივართმევ.

— აი, წინდაწინ გვითხარი, რა ძვირფას საჩუქარს და მეტი მონდომებით ვიბრძოლებთ იმ საჩუქრისთვის. — არ ცხრებოდა ძველი გუთნისდედა.

— არა, ჯერ ვერ გავამხელ ჩემი გულის ნადებს. ვთქვი, რომ ძვირფას საჩუქარს მივართმევ-მეთქი და გათავდა, ასეც იქნება. თქვენ ეს მითხარით, გინდათ თუ არა შეჯიბრება?

— რატომაც არ გვინდა. — ერთდროულად უპასუხა ორივემ.

თომა ულვაშებს იგრეხდა, თითქოს წინდაწინ ზეიმობდა იმ დღეს, როცა ბრიგადირისაგან ძვირფას საჩუქარს მიიღებდა: — აქამდე პირველი გუთნისდედა ვიყავი მთელ სოფელში, რაღა ახლა გამიწყრება ღმერთი და ვინმე მაჯობებსო, — ფიქრობდა იგი.

თომა ულვაშებში იცინოდა, გაბილი — გულში, ბოლო ბრიგადირი გულშიც და ულვაშებშიც.

* *

მთის ჩრდილო ფერდობზე შიშველი ხეები იდგნენ გაუნძრევლად, მათ გულებში ჯერ კიდევ არ გაღვიძებოდა გაზაფხულს, ზამთრის ძილით ეძინა მიწასაც. მაგრამ ეტყობოდა, რომ მალე გაზაფხული აქაც მომზევდებოდა. ეს ერთი კვირაა კარგი დარი იდგა. თბილი მზე ამოდიოდა მთებიდან დილით და, რაც მთავარია, სამხრეთის ფერდობი მთლიანად გაშშრალი იყო. მხოლოდ ტყეებშილა იყო აქა-იქ დამალული თოვლი, საყანეებს კი გუთანი ენატრებოდათ უკვე.

ამ დილით ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა სოფელმა: ზოგი ხარებს მირეკავდა გობის წყალზე სარწყულებლად, ზოგს სათესლე ხორბლით სავსე ტომრები გადაჰქონდა ბეღლიდან ურემზე, ზოგი გუთანს მართავდა, ზოგი რას აკეთებდა და ზოგი რას. დიდი და პატარა ფეხზე იდგა.

თომამ და გაბილმა, სხვა ექვს გუთნისდედასთან ერთად, სამხრეთის ფერდობს მიაშურეს. მეზობლის ბავშვები მისდევდნენ თომას ურემს, ჟერსოში ტირიფის წნელებს უყრიდნენ და წნელები რომ ტყდებოდა, უხაროდათ. ზოგიც ხარებს ჰისდევდა სახრით, ფეხს აუჩქარეთო.

თომა არ უწყრებოდა ბავშვებს, იცოდა, პატარებს ახარებდა გუთნის გატანა ველად და ამ სიხარულს როგორ მოუშლიდა?

გაბილმა სიმღერა დაიწყო, აჰყვნენ სხვა გუთნისდედები და ამღერდა სოფლის გზა-შარა.

მთელი სოფელი გაახარა გაზაფხულის მოსვლამ, რუთენი კი განსაკუთრებით. იგი, კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ერთად, გუთნისდედების წინ მიაბიჯებდა, თავმოკაკულ ჯოხს იქნევდა და თანამგზავრს უყვებოდა გუშინდელ ამბავს, თუ როგორ შეაჯიბრა ძველი და ახალი გუთნისდედა ერთიმეორეს. მაგრამ იმ ძვირფასი საჩუქრის საიდუმლო არც თავმჯდომარეს გაანდო: დრო მოვა და მაშინ გაიგებო.

— შენი საჩუქარი, მე მგონია, თომას მოუწევს. — ვარაუდობდა თავმჯდომარე.

— ენახოთ, ენახოთ. დაე, ხვალემ სთქვას ხვალისა. — ხელებსა შლიდა რუთენი და ჯოხს წინ მიაქნევდა.

* *

ერთიმეორის ახლოს დაიწყეს ხვნა თომამ და გაბილმა. ახალგაზრდა გუთნისდედა ჩქარი ნაბიჯებით მიჰყვებოდა გუთანს. ხშირად იყურებოდა უკან, აბა, როგორი კვალი გამაქვსო. ზოგჯერ თომასკენაც გაიხედავდა, ჩემზე მეტი ხომ არ მოხნაო.

თომას ხარები ნელა ეწეოდნენ გუთანს და გაბილი ფიქრობდა, თუ სულ ასე ზლაზვნით ხნა თომამ, რასაკვირველია, მე ვაჯობებო. გაბილი ძალიან ცდილობდა პირველი გუთნისდედა გამხდარიყო მთელ სოფელში. თომას ხარებს რომ უცქეროდა, უხაროდა, ახლავე დაიღალნენ, ძლივს მიბანდალებენ და მერე რაღა იქნება, როცა ხვნის დღეები ერთიმეორეს გადაებმებაო.

„თომა პირველი გუთნისდედაა და თუ ამ გუთნისდედას ვაჯობე, სხვა ვიღა დამიდგება წინ? —

ფიქრობდა გაბილი. — თომას კი აუცილებლად უნდა ვაჯობო".

— ეჰეი, რას ერეკები ხარებს აგრე ძალიან! — მოესმა ამ დროს თომას ხმა გაბილს. — მოჩქარეს მოუგვიანდესო, ხომ გაგიგონია?!

— შენ რატომ ღელავ ჩემს მაგივრად, ჰა? — ვასძახა ახალგაზრდა გუთნისდედამ. — კარგად არიან ნაკვები და კარგადაც ეწევიან, რა ჩემი ბრალია? თავის გულში კი გაიფიქრა:

„ვიცი, რაც გაწუხებს; გინდა, მეც შენსავით ვაზოზინო გუთანი და წინ ვერ გაგისწრო, მაგრამ ჩემთან არ გაგივა ეგ ხრიკები".

თომას ჯინაზე მეხრეებსაც კი დაუყვირა:

— ხარებს ფეხი ააჩქარებინეთ, ცოცხალ-მკვდრებივით ნუ დაარონინებთ.

ხარებმა უფრო გაუტიეს და ახლა უკვე გაბილი კი არ მიჰყვებოდა გუთანს, მისდევდა.

თომამ ულვაშებში ჩაიცინა და კვლავ გამოსძახა:

— შენი ნებაა, შვილო, როგორც გარეკავ ხარებს, მაგრამ ახლავე გაფრთხილებ, მერე არ ინანო!

გაბილს ამაზე აღარაფერი უპასუხნია. მხიარულად მიაჩერდა მის წინ მიმავალ მსუქან ხარებს და კვლავ გაიფიქრა:

„ეჰ, შარშან ხარებმა მიღალატეს, თორემ შარშანვე გავხდებოდი კარგი გუთნისდედა, წელს კი, წელს, რასაკვირველია, თომას ვაჯობებ. ამიტომ მიყვირის, ნელაო. ბუნებრივია. ეშინია, სახელი არ დაჰკარგოს".

ეს ფიქრიც დაამთავრა და უცებ ისე შეირყა. კინალამ წაიქცა. მის წინ მიწიდან ნაპერწკლები ამოცვივდა და უმალვე ჩაქრა. გუთნის პირი რაღაც მძიმეს მოედო და ჯამბარის ჯაჭვი გაწყდა. ხარებმა თავისუფლად განაგრძეს გზა უგუთნოდ.

გაბილს დიდი ხანია შემჩნეული ჰქონდა, რომ ამ ჯაჭვის რგოლები საკმაოდ იყო გახეხილი, მაგრამ იმაზე კი არასოდეს უფიქრია, თუ ასე მალე შემოაგდებოდა ხელში.

ჯაჭვი სამეჭედლოში გააგზავნეს მეხრეს ხელით, მაგრამ სანამ ეს ჯაჭვი გააკეთეს და უკან მოიტანეს, გაბილი იჯდა უქმად და მისჩერებოდა თავის ჩასუქებულ ხარებს, რომლებიც ჩალის ახრამუნებდნენ უხალისოდ.

თომა კვლავ ზანტად დაარონინებდა ხარებს. აი, იგი მოუახლოვდა თავჩაქინდრეულ ბიჭს და კვლავ გამოსძახა:

— ხომ გაგაფრთხილე, აგრე ნუ ერეკები ხარებს-მეთქი?! მოჩქარეს მოუგვიანდესო, ხომ გაგიგონია? უფროსს მხოლოდ მაშინ აჯობებ, თუ უფროსისაგან ისწავლი, როგორ უნდა საქმის კეთება. ასეა, ასე! აბა, მაშ როგორ გეგონა შენ?! — და განაგრძო კვალის გატანა.

— ვნახოთ, ბოლოს ვინ აჯობებს და ამაზე მერე ვილაპარაკოთ. — უკან არ იხედა. ახალგაზრდა გუთნისდედა. — წიწილებს შემოდგომით ითელიან.

— სახარე ხბოს სასკორავში შეეტყობა და საქმეს სათავეში. — არ უთმობდა თომაც.

სალამოზე გუთნისდედები რუთენს შემოეჯარნენ და მოსვენება აღარ მისცეს: გვითხარი და გვითხარი, ვინ გაიმარჯვა დღესო.

— ჯერჯერობით თომაა წინ...

— ესე იგი, საჩუქარი მაგას ერგება, არა?

— ნაადრევია ამის თქმა. ვნახოთ, რას გვეტყვის ხვალინდელი დღე.

ახლა იმაზე გადაეკიდნენ ბრიგადირს მხვნელები, შაინცდამაინც გვითხარი, რა არის ის ძვირფასი საჩუქარი, შენ რომ გამარჯვებულს ჰპირდებიო. ეგ შენი საჩუქარი რა გახდა, დაფარულად რომ ინახავ გულშიო. ბევრს ეცადნენ, ბევრი ეხვეწნენ, მაგრამ რუთენმა მაინც არ გაამჟღავნა თავისი საჩუქრის ამბავი: აგერ, დავამთავრებთ ხვნას და თქვენი თვალით დაინახავთო.

• •

რამდენიმე დღის შემდეგ ხვნა დაიწყეს ტრაქტორებმა.

გიშრისფერი დაედო ვაკეს.

გაბილი და თომა ბორცვებზე გადავიდნენ თავიანთი გუთნებით.

ველარ ისვენებდა ახალგაზრდა გუთნისდედა. ვერ აისრულა წადილი, ვერ გაესწრო თომას ხვნაში. პირველ დღეს იმ ოხერმა ჯაჭვმა დააკარგვინა ოქროს ფასი დრო, ხოლო პირველ მარცხს სხვა მარცხიც მოჰყვა და დაკოჭლდა საქმე. ბევრს ცდილობს, ძალიან ბევრს, მაგრამ არაფერი გამოსდის. კარგავს, ნამდვილად კარგავს პირველ ადგილს. გუთანს მისდევს გაბილი და გრძნობს, რომ ვაშლილი ვაკიდან სათნო თვალები შემოსჩერე-

ბიან, მისი საყვარელი შავი თვალები... სწორედ ეს თვალები იწვევენ მას შეჯიბრებაში და არა სხვა ვინმე... ესმის გაბილს, შორიდან ესმის ნაცნობი ხმა: „რატომ ჩამორჩი? თუ გიჭირს, მოგეხმარები“.

ზალის ხმაა ეს, თომას ქალიშვილის ხმა. ზალი ახლა ვაკეზე ტრაქტორს დაავუგუნებს. საღამოზე წყაროსთან დახვდება გაბილს და ჰკითხავს, როგორაა შენი საქმეო. რა პასუხი უნდა მისცეს გუთნისდედამ ტრაქტორისტს? მამაშენმა მაჯობაო? ვაი, სირცხვილო! ჯაბუკი მოხუცმა კაცმა დაგჯაბნა? ვაი, სირცხვილო!

ერთი რამ უკვირდა გაბილს: მისი ხარები თომას ხარებზე უკეთ დადიოდნენ, გუთანსაც უფრო თავისუფლად ეწეოდნენ, მაგრამ თომა მაინც მეტსა ხნავდა. — ალბათ, თომამ ხვნის რაიმე საიდუმლოიცის და სხვას არ უმჟღავნებს, თორემ ცდა იმდენი უნდა, რამდენსაც მე ვცდილობო, — ფიქრობდა იგი.

მეორე დღეს უთენია წამოდგა გაბილი. იმედი ჰქონდა, ადრე გაუალ სახნავად და თომაზე მეტს მოვხნავ დღეს მაინცო, მაგრამ ადრე ადგომამაც ვერ უშველა, ნაჯაფი და დაქანცული ხარები მალე დაიღალნენ, დასუსტდნენ და იმდენიც ვეღარ მოხნეს, რამდენსაც წინა დღეებში ხნავდნენ. მეხრეები ყვიროდნენ, ეიშო, გაბილიც სახრით უმასპინძლდებოდა საბრალო პირუტყვებს, მაგრამ ისინი ისე მიაბალდალებდნენ ფეხებს, თითქოს აღარც ცოცხლებში ეწერენ და აღარც მკვდრებში.

„მოჩქარეს მოუგვიანდესო“ — ხვნის პირველ დღეს ნათქვამი თომას სიტყვები აქამდე უზუზუნებდა გაბილს ყურებში. ახალგაზრდა გუთნისდედა უკვე გრძნობდა თავის შეცდომას და ჩიხიდან გამოსავალს ეძებდა. მაგრამ ხარებს გუთნის გაწევა აღარ შეეძლოთ და თვითონ გაბილი ხომ არ შეებმებოდა უღელში? ახლა მას ხანდახან გულიც კი მოსდიოდა თავის თავზე; საქმეს კარგად რატომ არ დავუკვირდი, შვიდჯერ რატომ არ გავზომე და ერთჯერ არ გადავჭერიო. ეჰ, რა უბრალო ქადილი გამოუვიდა, პირველი გუთნისდედა გავხდებიო, რომ იძახოდა თავის გულში. მაჩანჩალა იყო და მაჩანჩალადვე დარჩი. ეგ არის და ეგ.

ცოდვა გამხელილი სჯობს, იმ საღამოს გაბილი ისე აპირებდა სახლში წასვლას, არ უნდოდა ზალის შესვედროდა, მაგრამ ზალის აღრე დაეშთავრებია სამუშაო და მოულოდნელად გზაში დაუხვედა ბიჭს. ხომ არ გაიქცეოდა გაბილი, მივიდა, ხელი ჩამოართვა და დამნაშავესავით თავჩაღუნული გაჩერდა.

— რას მოგიწყენია, გმირთა გმირო? — ჰკითხა ქალიშვილმა, ხელკავი გაჩოსდო და ბილიკზე გაიყოლია.

ზალი გზადაგზა სახუმარო რამეებს უყვებოდა თანამგზავრს, ცდილობდა გაეცინებია იგი, მაგრამ რაკი წარბი ვერ გაახსნევინა, საქმეზე ჩამოუგდო საუბარი. ჰკითხა, როგორაა შენი საქმე, ხომ არ გღლის გუთანი, ან ხარები ხომ არ გაჯავრებენო. ისიც ჰკითხა: მამაჩემის და შენი შეჯიბრება როგორ მიდის, რომელი სჯობნითო.

რა ეთქვა გაბილს? უსაფუძვლოდ ექო თავისი თავი? ასეთი უსინდისო როდი იყო იგი და, საერთოდ, არ უყვარდა სიცრუის თქმა. მიწას დაჩერდა და თითქოს თავისთავს ელაპარაკებაო, წვრილწვრილად ჩამოფქვა სიმართლე.

იმ ღამეს რატომღაც მშვიდად ეძინა გაბილს. დილით ადრე ადგა და თომას გაასწრო სახნავად გასვლა. მშვიდად მოეკიდა გუთანს, ხარებსაც მოფერებით გაუტია.

საღამოზე თავის ნამუშევარს რომ გადახედა, თვითონვე ესიამოვნა. თითქოს სხვა დღეებთან შედარებით ნაკლებად დაიღალნენ ხარებიც და მათი გუთნისდედაც, მაგრამ ნახნავი კი ორჯერ მეტი ჩანდა.

ამის შემდეგ ორი დღე ისე წვიმდა, ერთი კაცი არ გასულა მინდვრად. ხოლო როგორც კი გამოიდარა, გაბილი კვლავ დინჯად ჩაუდგა გუთანს კვალში და ალერსიანად გაუტია დასვენებულ ხარებს.

საქმე წალმა შებრუნდა. მატულობდა ნახნავი და ახალგაზრდა გუთნისდედის სიხარულიც დიდდებოდა.

— გაბილმა თომას კუდში სტაცა ხელიო. — ჯერ ასე იძახოდა რუთენი, ხოლო ბოლო დღეებში ისიც სთქვა: — გაბილმა თომას მხარი აუბა, დაეწიაო.

სხვა გუთნისდედებს პირველად არა სჯეროდათ; ალბათ, რუთენს უნდა, გაბილმა გაიმარჯვოს და განგებ ასე იმიტომ ლაპარაკობსო, მაგრამ როცა თვითონ თომასგან გაიგონეს, გაბილი დამეწიაო, მერე კი ირწმუნეს ბრიგადირის ნათქვამი.

ხარობდა ახალგაზრდა გუთნისდედა. სულ უნ-

დოდა ეხნა და ეხნა, მაგრამ დასახნავი მიწა დაილია და გუთნები ფარდულებში წამოწვნენ.

გაზაფხული იცინოდა ქვეყანაზე.

• •

იმ საღამოს კრება მოიწვიეს კოლმეურნეობის კლუბში. საკითხი ეხებოდა თესვის დამთავრებას და მის შედეგებს. თავმჯდომარემ სიტყვა რუთენს მისცა.

— ხვნა-თესვა წარმატებით ჩავატარეთ, ამხანაგებო, — დაიწყო მან, — ეს იმის გამო, რომ არავის არ უზარმაცნია. იმედია, წელს უხვ მოსავალს მივიღებთ. მე მინდა მადლობა გადავუხადო ყველას და განსაკუთრებით კი გაბილსა და თომას. როგორც თქვენ გახსოვთ, ხვნა-თესვის დაწყების წინ მე პირობა დავდე, ვინც გაიმარჯვებს, ძვირფას საჩუქარს მივართმევ-მეთქი. დადგა დრო, ეს დაპირება შევასრულო. ძალიან, ძალიან მიჭირს ამ საჩუქრის შელევა, მაგრამ ცუდია ის კაცი, რომელიც სიტყვას საქმედ არ აქცევს. რაკი ვთქვი, მე ვასრულებ ჩემს ნათქვამს...

კოლმეურნენი ხმაგაკმენდილები მისჩერებოდნენ ბრიგადირს. რასაკვირველია, ყველას აინტერესებდა, თუ რა იყო ისეთი ძვირფასი საჩუქარი, რომლის შელევაც ასე ეძნელებოდა მას. ჯერ არც ის იცოდნენ, საბოლოოდ ვინ გაიმარჯვა და ვის ეკუთვნოდა ჯილდო.

— აი, ამხანაგებო, ჩემი ძვირფასი საჩუქარი. — რუთენმა შარვლის ჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო და მაღლა ასწია დიდმნიშვნელოვნად.

დარბაზში სიცილმა იფეთქა, ატყდა მხიარული ჩურჩული:

— აი, ესეც შენი ძვირფასი საჩუქარი!

— აი, ესეც შენი ძვირფასი ჯილდო! ოინიც ამას ჰქვია, მაგრად გააცურა გუთნისდედები, ხა, ხა, ხა, ხა!

თომა გაყუჩებული იყო. მას დიდი ხანია თვალი ეჭირა ამ ჩიბუხზე. მოსწონდა.

ჩიბუხს ტარიცა და სათუთუნეც ვერცხლის არშიებით ჰქონდა მოხატული.

ბევრჯერ გადასწყვეტია თომამ, რუთენს ვთხოვ, ეს ლამაზი ჩიბუხი დამითმოსო, მაგრამ ატყობდა, ბრიგადირს ძალიან უყვარდა იგი და თავისი გადაწყვეტილება არასოდეს გაუმეღავნებია მისთვის. ახლა ჩიბუხის დანახვამ იმედი გაუღვიძა. ეს საჩუქარი ნამდვილად მე მერგება, როგორც საუკეთესო და ძველ გუთნისდედასო.

ხალხმა სიცილით გული იჯერა და დაწყნარდა. რუთენმა განაგრძო:

— ამხანაგებო, სიცილი კარგია, მაგრამ სჯობია, ბოლომდე მომისმინოთ. თქვენ გეცინებათ, — ეს რა ძვირფასი საჩუქარიაო. მე კი გეტყვით: იმაზე სიცილი არ შეიძლება, რასაც რიგიანად არ იცნობ. საქმე იმაშია, რომ ფრონტზე ყოფნის დროს მე მყავდა ერთი გულითადი მეგობარი. ჩვენ ერთად გავიარეთ გრძელი გზა ცეცხლში, ქალაქ ორჯონიკიძედან ბერლინამდე. ეს ჩიბუხი იმისი იყო. ჩვენს ქვეგანაყოფში არ იყო არც ერთი კაცი, ამ ჩიბუხზე თვალი რომ არა სჭერიდა. ბევრმა ოფიცერმა და ჯარისკაცმა სთხოვა მას, მაჩუქეო, მაგრამ არავის მისცა, ვერ შეელია. მეც ბევრჯერ ვთხოვე. მართალია, ყველაზე მეტად მე ვუყვარდი, მაგრამ უარი ჰითხრა. „როცა მე ფრონტზე მოვდიოდი, — მითხრა მან, — ეს ჩიბუხი მოხუცმა მამამ მისახსოვრად თან დასძინა: წაიღე, წაიღე და გამარჯვებით დამიბრუნე, მხოლოდ გამარჯვებითო. ამის შემდეგ აღარავის უთხოვია მისთვის ეს ლამაზი ჩიბუხი, მამის სახსოვარი და გამარჯვების ნიშანი. ცხრა მთას ბერლინში ვართ. გადამეხვია ის მეგობარი და მოულოდნელად ჩიბუხი მაჩუქა. მე ვიუარე: — მამის სახსოვარია და ვერ ავიღებ-მეთქი. არაო, — მითხრა, — მამა გამარჯვებით მისულს რომ ნახავს და თავისი ჩიბუხის ამბავს გაიგებს, უფროც გეუხარდება, რომ იგი ჩემს ძმადნაფიცს ვაჩუქე გამარჯვების დღის სახსოვრად. — რაღა მეთქმოდა, ავიღე საჩუქარი. აი, რატომაა იგი ასე ძვირფასი. ეს უბრალო ჩიბუხი კი არაა, გამარჯვებაა, გამარჯვება! აქ რუთენი შეყოვნდა ცოტახანს და მერე კვლავ განაგრძო. — ვის ეკუთვნის ახლა ეს ძვირფასი საჩუქარი? რასაკვირველია, გამარჯვებულს. გამარჯვებული კი ვინაა? — რუთენი აქ კვლავ შეყოვნდა. დარბაზის ყურადღება დაიძაბა. — გაბილი, ჩვენი ახალგაზრდა გუთნისდედაა გამარჯვებული.

ისეთმა ტაშმა იგრიალა, მისმა ხმამ კინაღამ კლუბის ჭერი ჩამოანგრია.

გაბილი მორცხვად მიეიდა პრეზიდიუმის მაგიდასთან.

— აბა, ჩემო მეგობარო, მე ეს საჩუქარი ნიკოლე ბრძოლაში გამარჯვების დღეს, შენ მიიღე შრომაში

გამარჯვების ნიშნად. — რუთენმა ჩიბუხი გაბილს გადასცა.

ისევ იგრიალა ტაშმა.

ახალგაზრდა გუთნისდედამ ჯილდო მიიღო და სიხარულისგან გავარდისფერებული უკან გამობრუნებას აპირებდა, მაგრამ უცებ რაღაც მოაგონდა, მაგიდასთან დადგა, ერთი ღრმად ამოისუნთქა. თითქოს ძალა მოიკრიბაო, და დაიწყო:

— გმადლობთ, ამხანაგებო, გმადლობთ! შენც გმადლობ, რუთენ, ასე დიდად რომ დააფასე ჩემი გარჯა. მე ყოველთვის ვეცდები, სულ უკეთ და უკეთ ვიარო შრომითი წარმატების გზაზე. ხოლო რაც შეეხება ჩემს ახლანდელ გამარჯვებას, მე გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ეს მე არ დამიმსახურებია...

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. ჩურჩული დაიწყეს: გაბილი ალალი ბიჭია, ალბათ, ბრიგადირმა მიჰკერძა, ძალით გამოიყვანა პირველ ადგილზე და ამ სიცრუეს გაამყარებსო.

მაგრამ არ გაუმართლდათ მოჩურჩულეებს ვარაუდი.

— მართალია, მე ცოტათი გავასწარი თომას, რაღაც ოციოდე საკენით მაგაზე მეტი მოვხანი, მაგრამ, რა დაგიმალოთ, თვითონ თომას მაგალითი რომ არა, მე ახლაც შარშანდელივით მაჩანჩალა გუთნისდედა ვიქნებოდი. თომამ მასწავლა წესიერი ხვნა და თესვა, თომამ და კიდევ... — გაბილს ენის წვერზე მოადგა თომას ქალიშვილის სახელი, კიდევ ზალიმო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა და მცირე შეყოვნების შემდეგ განაგრძო: — ჰო, თომამ და კიდევ სხვა კეთილმა ხალხმაწამახალისა ამ წარმატებისკენ. ეს ჯილდო მე კი არა, ჩვენს ძველ და საპატიო გუთნისდედას ეკუთვნის, თომას ეკუთვნის.

კოლმეურნეებს ხელისგულები დაუსკდათ ტაშის ცემით.

თომამ იუარა, არ მივიღებ მაგ ჯილდოსო, მაგრამ ხალხის ამ განუწყვეტელ ტაშს სად გაექცეოდა? ბოლოსდაბოლოს, ჩიბუხი გამოართვა გაბილს და მორცხვად ჩაღუნა თავი. ძვირფასი იყო ეს ჩიბუხი მისთვის, მაგრამ არა ნაკლებ ძვირფასი იყო ხალხის ტაში და შეძახილები: გუთნისდედას გაუმარჯოსო.

უხაროდა დარბაზს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ამ ამბავმა ხალხში ჩამდგარი ზალის გული გააბარა.

დიდი რუსი პოეტი ა. ს. პუშკინი 1829 წელს წერდა: „კავკასიაში მცხოვრებთა შორის ყველაზე გაღატაკებული ოსი მოსახლეობაა". იმდროინდელი ოსი ხალხის აუტანლად მძიმე მდგომარეობას კოსტა ხეთაგური თავის ცნობილ ლექსში „მოთქმა" ასე გამოხატავდა:

„მასხარად იგდებენ წმინდა სალოცავებს,
ხელ-ფეხზე გვადებენ ციგიან ბორკილს,
წაგვართვეს მთები და უწყალოდ გვხოცავენ,
დიდსა თუ პატარას სულს გვხდიან როზგით..."

ამიტომაც ოსი ხალხი განუწყვეტლივ იბრძოდა თავისი უფლებებისათვის: ეს ბრძოლა ერთი წუთითაც არ დამცხრალა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე. სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა მარტო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში 20-მდე აჯანყება მოაწყეს. ოსი და ქართველი მშრომელი მოსახლეობა ყოველთვის ერთად იბრძოდა საერთო მტრების წინააღმდეგ — იქნებოდნენ ისინი გარეშე დამპყრობლები, თუ შინაური მებატონეები; ერთად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ქართველი ერის ყველაზე საშიში მტრების — მენშევიკების წინააღმდეგ. ოსი ხალხის თავგანწირული ბრძოლის ცოცხალ მოწმედ ჩაითვლება თაობიდან თაობაში გადაცემული მდიდარი ხალხური ზეპირსიტყვიერება, განთქმული საბრძოლო სიმღერები.

ოსი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა თავისუფლებისათვის მხოლოდდამხოლოდ დიდი რუსი ხალხისა და მოძმე ქართველი ერის დახმარებით, კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით შეიძლებოდა დაგვირგვინებულიყო გამარჯვებით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად რუსეთის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბოლოოდ დაამსხვრიეს მეფის თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წყობილება და შექმნეს მრავალეროვანი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, დაამყარეს ყველაზე მოწინავე წყობილება, საბჭოთა სოციალისტური წყობილება.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით განმტკიცდა და შედუღაბდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური ერთობა. ჩვენი სამშობლოს სხვა მოძმე ერებთან ერთად ოსმა ხალხმა თავისი საბალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის საუკეთესო პირობები მიიღო.

ცარიზმისდროინდელი ბნელი და გაღატაკებული ოსეთი საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ისტორიის ამ უმნიშვნელოდ მცირე მანძილზე, გადაიქცა ეკონომიურად მდიდარ, კულტურულ ქვეყნად. იქ, სადაც ცარიზმის დროს წერა-კითხვის მცოდნე ერთეული ადამიანები თუ მოიძებნებოდა, დღეს მთლიანად აღმოიფხვრა უწიგნურობა და სიბნელე; მკითხავები და ჯადოსანი ქალები შეცვალეს ნათელ

და კარგად მოწყობილ საავადმყოფოებში მედიცინის ხელმარჯვე მუშაკებმა; ოსეთის სოფლებსა და ქალაქებში ამჟამად არსებობს მრავალი დაწყებითი და საშუალო სკოლა, სხვადასხვა სპეციალობის მისაღები ტექნიკუმი და უმაღლესი სასწავლებელი; თეატრები და გამომცემლობანი; ოსურ ენაზე იბეჭდება გაზეთები, ჟურნალები, მრავალი სხვადასხვა სახეობის წიგნები; აღიზარდა სახალხო მეურნეობისა და კულტურის საუკეთესო კადრები: ინჟინრები, ტექნიკოსები, ექიმები, მწერლები, კომპოზიტორები, მსახიობები და მედიცინის მუშაკები.

საბჭოთა ოსეთი მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

• •

ქართულ ენაზე გამოდის ოსური პოეზიისა და პროზის ანთოლოგიები. ქართულ ენაზე დღემდე გამოსულია ნართების ეპოსი, კოსტა ხეთაგათისა და რამდენიმე ოსი საბჭოთა მწერლის თხზულებები, მაგრამ ასეთი ფართო მოცულობით მაინც პირველად იბეჭდება ქართულად ოსური ლიტერატურის ნაწარმოებები. ეს ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ქართველი და ოსი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

წინამდებარე წიგნში—პროზის ანთოლოგიაში—იბეჭდება მხოლოდ მოთხრობები. წიგნის მოცულობის სიმცირის გამო მასში არ შეეიდა არც ერთი რომანი. მაგრამ იმ ნაწარმოებების მიხედვითაც, რაც ამ კრებულშია მოთავსებული, ქართველ მკითხველ საზოგადოებას შეეძლება ოსური მხატვრული პროზის მდგომარეობასა და წარმატებებზე საკმაოდ სრული წარმოდგენა იქონიოს. ცნობილია, რომ ყველა ხალხის ლიტერატურაში პროზის ზრდა უკეთ უჩვენებს ამა თუ იმ ხალხის ლიტერატურის მდგომარეობას.

ოსურ ენაზე წერილობითი, ბეჭდვითი ლიტერატურა გაჩნდა XVIII საუკუნის ბოლოს და უკავშირდება რუსულ ლიტერატურას. პირველი ოსური წიგნი დაიბეჭდა 1798 წელს მოსკოვში სინოდალურ სტამბაში სასულიერო-სლავურ ანბანზე. ოსურ ენაზე ბეჭდვის განვითარებისათვის თავ-თავიანთ დროს დიდი გულმოდგინებით იღწვოდნენ ივანე აღუზათი (იალღუზიძე), ავტორი „ანბანის წიგნისა“, პოემა „ალღუზიანისა“ და რამდენიმე რელიგიური წიგნის მთარგმნელი; ვასილ ცორათი; აქსო ქოლითი — ოსურ ენაზე პირველი რელიგიური ლექსების შემთხზველი, და ოსეთის კულტურა-განათლების სხვა ძველი მოღვაწეები; ასევე ქართველი და რუსი ხალხის საზოგადო მოღვაწენი: დანიელ ჭონქაძე, ი. ჩეპიგოვსკი და სხვ.

როგორც ითქვა, ოსური მხატვრული ლიტერატურა გაჩნდა XIX საუკუნეში და იგი ღრმა ფესვებით უკავშირდება ოსურ ფოლკლორსა და რუსულ დემოკრატიულ რევოლუციურ ლიტერატურას.

ინალ ყანუყათიმ (1847 — 1898 წწ.) 1870 წელს დაწერა ნარკვევები „ოსურ აულში“ (წინამდებარე კრებულში იბეჭდება შემოკლებით). ნარკვევები დაწერილია დღიურების სახით. მათში საკმაო სიღრმითა და ოსტატობით ასახულია იმდროინდელი ოსი გლეხობის მძიმე და აუტანელი ცხოვრება. მსგავსად იმისა, როგორც გენიალური რუსი მწერალი ლ. ნ. ტოლსტოი „მემამულის დილაში“ ახალგაზრდა მებატონეს, ნეხლიუდოვს, თავის გლეხებში დაატარებს და ამით გვიჩვენებს მათს საშინელ სიღატაკეს, ინალ ყანუყათიც მამასახლისთან ერთად დადის სოფელში ხელში დაჯარიმებული გლეხების სიით და სურათოვნად გადმოგვცემს გალატაკებული ოსი გლეხების უბადრუკ მდგომარეობას და ამგვარად მზის სინათლეზე გამოაქვს მეფის თვითმპყრობელობისა და იდგილობრივი მოხელეების ბოროტმოქმედება. ამ ნარკვევების კითხვისას მკითხველი უნებლიეთ იმსჭვალება უდანაშაულო გლეხთა მყვლეფავებისადმი მძაფრი სიძულვილით.

ი. ყანუყათის ნარკვევები განსაკუთრებული ყურადღების ღირსია იმით, რომ ავტორმა ზედმიწევნით იცის თავისი დროის ოსი ხალხის ცხოვრება, ოსი ხალხის ადათები და ზნე-ჩვეულებები და გადმოგვცემს მათ ადვილად გასაგები ენით. ყანუყათის ნარკვევები წარმოადგენს არა მარტო მხატვრულ ნაწარმოებს, არამედ იმდროინდელი ოსი ხალხის ცხოვრების საუკეთესო ეთნოგრაფიულ მასალასაც. ინალ ყანუყათი იყო პროგრესული მწერალი, იგი გმობდა ფეოდალურ პატრიარქი-

ლური დროიდან შემორჩენილ, დახავსებულ და მავნე ადათებს და ხალხს მოუწოდებდა ახალი ცხოვრებისაკენ, ნატრობდა, რომ ოსი ხალხი დასდგომოდა განათლების გზას.

ოსური ლიტერატურისა და სალიტერატურო ენის ფუძემდებელია ოსი ხალხის გენიალური პოეტი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, რევოლუციონერ-დემოკრატი კოსტა ლევანის ძე ხეთაგათი (1856 — 1906 წწ.). არც მასზე ადრე და არც მას შემდეგ კოსტასებური ოსტატობით არავის უჩვენებია ოსი ხალხის ცხოვრება, ოსი ადამიანის სულიერი სამყარო. როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის შემდგომ პერიოდშიც, თვით დღევანდელ დღემდე, ოსი მწერლები იდეურ სიღრმესა და პოეტურ ოსტატობას სწაელობენ კოსტას შემოქმედებაზე. კოსტა ხეთაგათი იყო მეტად მრავალმხრივი ტალანტით დაჯილდოებული ადამიანი. იგი ერთნაირი ოსტატობით წერდა პოეზიის, პროზის, დრამატურგიისა და პუბლიცისტიკის ჟანრებში; იგი იყო ოსური ფერწერის ფუძემდებელიც.

ა. ფადეევის თქმით კოსტა იყო „ოსი ხალხის ლეონარდო და ვინჩი". კოსტა, როგორც რევოლუციონერ-დემოკრატი, თავის ნაწარმოებებში მშრომელ ხალხს მოუწოდებდა თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლისაკენ. მისი სიმღერები იქცნენ მშრომელთა საბრძოლო დროშად.

კოსტა ხეთაგათი აღიზარდა დიდი რუსი ხალხის კულტურის პროგრესულ ტრადიციებზე. მისი მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა დიდი რევოლუციონერ-დემოკრატების: ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და ნეკრასოვის იდეათა ცხოველმყოფელი ზეგავლენით. თავისი უკვდავი მხატვრული შემოქმედებითა და შორსმჭვრეტელური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობით კოსტამ ოსი ხალხი დაუახლოვა დიდ რუს ხალხს, რამაც უდიდესი ზემოქმედება მოახდინა ოსურ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, საერთოდ ოსეთის კულტურისა და სახალხო მეურნეობის განვითარებაზე.

თვით კოსტა ხეთაგათიც, როგორც დიდი პოეტი და მისი უკვდავი შემოქმედებაც წარმოიშვა მდიდარი ოსური ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და რუსული პროგრესული კულტურის საფუძველზე. როგორც ცნობილია, კოსტამ მხატვრული ნაწარმოებების წერა პირველად რუსულ ენაზე დაიწყო. შემდეგში, დარწმუნდა რა თავის დიდ შემოქმედებით ძალაში, მიიღო რა საკმაო პოეტური ტექნიკა და გამოცდილება, წერა დაიწყო ოსურ ენაზეც. თავის ერთ-ერთ წერილში იგი წერს: „ლექსი უნდა შეიქმნას საუკუნეთა მანძილზე განმტკიცებული კანონების მიხედვით, არა და იგი ლექსიც არ იქნება". ეჭვს გარეშეა, რომ აქ კოსტა გულისხმობს მდიდარ რუსულ პოეზიას — პუშკინის, ლერმონტოვისა და ნეკრასოვის პოეზიას.

არა მარტო დასაწყისში, არამედ თავისი შემოქმედების შემდგომ წლებშიც კოსტა ხეთაგათი ოსურის პარალელურად კვლავ განაგრძობდა რუსულად წერას. მაგრამ, რა თქმა უნდა, მის პოეტურ მემკვიდრეობაში ცენტრალური ადგილი მაინც მის ოსურ ნაწარმოებებს აქვს დაკავებული. კოსტას უბადლო პოეტური ტალანტის ყველაზე ვეშმარიტი გამოვლინებაა მისი „ირონ ფანდირ".

მისი შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი მოტივთაგანია — ხალხთან გაუწყვეტელი კავშირი, ხალხის ჭირ-ვარამის გაზიარება, მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის თავგანწირული ბრძოლა.

საოცრად კარგად იცნობდა კოსტა ხეთაგათი ოსურ ფოლკლორს. მრავალი მისი ნაწარმოები შექმნილია ფოლკლორული მასალის საფუძველზე. ეს კი მას კიდევ უფრო აახლოებდა ხალხთან, უფრო საყვარელს ხდიდა ხალხისათვის. მისი მრავალი პოეტური ნაწარმოები: „აფსათი", „მოთქმა", „ობლების დედა", „ღარიბის გული", „მგზავრული" და სხვები იქცნენ ნამდვილ ხალხურ სიმღერებად. ალბათ ადვილად არ მოიძებნება ისეთი პოეტი, რომლის ნაწარმოებებიც კოსტას ლექსების მსგავსად ზეპირად სცოდნოდეს მთელ მის მშობელ ხალხს.

კოსტას შემოქმედების უმნიშვნელოვანესი მოტივია მისი ღრმა ინტერნაციონალიზმი, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის დანერგვა. ამიტომაც მისი ნაწარმოებები მას ისე აახლოებენ ჩვენს დღევანდელობასთან, თითქოს დღეს დაეწეროს იგინი.

„ქვეყანა ტაძრად, სიყვარული კი სალოცავად
მაქვს და მსოფლიო—სამშობლო, სამშობლო ჩემი“.
(„წინასწარ გეტყვი, არა ვარ მე“).

ამრიგად, კოსტა თავის სამშობლოდ თელიდა „მთელ ქვეყნიერებას“. ეს სიტყვები პოეტის ღრმა რწმენის შედეგადაა ნათქვამი.

ხალხთა შორის სიყვარულის განმტკიცებისადმია მიძღვნილი კოსტას შესანიშნავი ლექსები ლერმონტოვზე, ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეზე მ. ყიფიანზე, ჩაიკოვსკიზე, ოსტროვსკიზე, გრიბოედოვზე და სხვ.

იგი იყო ჭეშმარიტად სახალხო გმირი და ხალხმა მას სიცოცხლეშივე შეუთხზა ქების სიმღერებიც.

ოქტომბრის რევოლუციამდელ, კოსტას თანამედროვე ოს მწერლებს შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია სეკა გადიათის (1855—1915 წწ.) სეკას არ მიუღია კლასიკური განათლება. მაგრამ იგი ბუნებით იყო დიდი გონებისა და ნიჭის ადამიანი. სეკა წერდა ლექსებს, იგავ-არაკებს, მოთხრობებს. თავის შემოქმედებაში დიდი ოსტატობით სარგებლობდა კოსტა ხეთაგათის შემოქმედებითი გამოცდილებითა და ხალხური ფოლკლორით.

აქამამდე ოსეთში ლეგენდარული „თლათათი ჩერმენის“. სიმღერას მღერიან სეკას „ჩერმენის“ მიხედვით. სეკა იყო კოსტას მემკვიდრე, მის შემოქმედებაზე, განსაკუთრებით კი მის პოეზიაზე, ცხადად შეიმჩნევა კოსტას გავლენა.

საკმაო მნიშვნელობისაა სეკას იგავ-არაკები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ მისი სოციალური აზრების შემცველი ბალადები „ნადირების სენი“, „ჩექმა და კალოში“, „თხა და ჯიხვი“ და სხვ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ოსური ლიტერატურის ისტორიაში სეკა გადიათის მთავარი დამსახურება ისაა, რომ მან პირველმა დაიწყო ოსურ ენაზე მხატვრული პროზით წერა. კოსტას მოთხრობები და ინალ ყანუყათის ნარკვევები რუსულად დაიწერა. ამ წიგნში იბეჭდება სეკას ყველაზე დიდი მხატვრული ნაწარმოებებიდან ორი მოთხრობა. „აზაუ“ და „აისა“. სეკას შემოქმედებაში სარკესავით ჩანს იმდროინდელი ოსი ხალხის ტანჯული ცხოვრება.

სეკა გადიათი თავის ნაწარმოებებში ხალხს მოუწოდებდა დახავსებული, ფეოდალურ-პატრიარქალური ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლისაკენ. მოუწოდებდა ადგილობრივი მებატონეებისა და მეფის გადაგვარებული მოხელეების წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა გაემარჯვა სიმართლესა და თავისუფლებას.

ოსური მხატვრული პროზის განვითარების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია არსენ ქოცოითის (1872—1944 წწ.). ძალზე დიდი და ძვირფასი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაუტოვა ოსურ მწერლობას არსენ ქოცოითიმ.

არსენ ქოცოითის შემოქმედების შემდეგ ეპეგარეშე გახდა, რომ ოსურ მხატვრულ პროზას მტკიცე საფუძველი უკვე ჩაყრილი ჰქონდა.

არსეი ქოცოითის მოთხრობების კითხვისას, უნებლიეთ გვახსენდება ჩეხოვის ნაწარმოებები. ეს ჩანს იმ მოთხრობების მიხედვითაც, რომლებიც იბეჭდება ამ წიგნში: „მონადირეები“, „გიგოს აღდგომა“, „მეგობრები“, „ოცდათხი დღე“, „ასეც ხდება“, „არ მოელოდნენ“. არსენ ქოცოითის მოთხრობები იკითხება მსუბუქად. ავტორს ოსტატურად ეხერხება ხატვა, იგი სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატია. ავტორი მოვლენებს წარმოგვიდგენს ცოცხალ სურათებში, მოძრაობასა და დინამიკაში. მკითხველი სწრაფად ექცევა ნაწარმოების ტყვეობაში და ისე განიცდის მშრომელი ხალხის ტკივილებს, როგორც თვით მოთხრობების გმირები. მას ი`ყრობს ხალხის მჩაგვრელთადმი ზიზღი და სიძულვილი. გმირთა სახეები ნათელი და სრულყოფილია. ისინი ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანები არიან დასრულებული ხასიათებითა და გამოკვეთილი პორტრეტებით.

არსენ ქოცოითის მოთხრობებს ახასიათებს მსუბუქი, მხიარული, მაგრამ ზომიერი იუმორიც, რითაც კიდევ მეტ ზემოქმედებას ახდენენ მკითხველის ფსიქიკაზე.

არსენ ქოცოითი იყო პროგრესულ-დემოკრატიული მწერალი. როგორც მთელ მის შემოქმედებაში, ისევე მის რევოლუციამდელ პერიოდში დაწერილ მოთხრობებში, იყო ღრმა აზრი; ამასთან, რამდენადაც ავტორი კარგად იცნობდა მშრომელი ხალხის ცხოვრებას და რამდენადაც მას ხატავდა რეალური, დამაჯერებელი სურათებით, იმდენად მის მოთხრობებს მშრომელ მოსახლეობაში შეჰქონდა რევოლუციური სული.

არსენ ქოცოითის შემოქმედებითი მეთოდი იყო კრიტიკული რეალიზმი. თავის რევოლუციამდელი პერიოდის თხზულებებში იგი იბრძვის ადამიანის უფლებებისათვის, ბნელი პატრიარქალურ-ფეოდალური ადათების წინააღმდეგ, რელიგიის მსახურთა, ამ ბნელეთის მოციქულების წინააღმდეგ.

დიდი სიხარულით შეეგება არსენ ქოცოითი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღეებიდანვე მან გულმოდგინედ მიჰყო ხელი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ცხოველმყოფელობა დაეტყო მის შემოქმედებას. რევოლუციის შემდეგ დაწერილ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის დიდ მოთხრობას „ჯანაპის", რომელიც ძვირფასი შენაძენია ოსური ლიტერატურისათვის. მოთხრობაში ავტორი რეალური სურათებით გვიჩვენებს კოლექტივიზაციის პერიოდის მძაფრ კლასობრივ ბრძოლას ოსეთში.

ერთი მათგანი, ვინც კოსტა ხეთაგათის რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციები გაბედულად განავრცო და მაღლა აზიდა ოსური ლიტერატურის რევოლუციური ბრძოლის დროშა, იყო ნიჭიერი პოეტი, ბოლშევიკი, ოსური პროზის ერთ-ერთი ფუძემდებელი ცომაყ გადიათი (1882—1931), ცნობილი მწერლის სეკა გადიათის შვილი.

ოსურ ლიტერატურაში ცომაყი მოვიდა 1905—1907 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის შუახანებში, როგორც ამ რევოლუციაში აქტიურად მოქმედი და უმალ იქცა ოსური ლიტერატურის ახალ მოელვარე ვარსკვლავად. მარქსიზმ-ლენინიზმმა ცხოველმყოფელი გაელენა მოახდინა მის შემოქმედებაზე. ცომაყს კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ რევოლუციური ბრძოლის შედეგად შეიძლებოდა მშრომელი მოსახლეობის განთავისუფლება.

ოსური ლიტერატურისათვის ძვირფასი შენაძენია ცომაყის მიერ საპყრობილეში დაწერილი მაღალმხატვრული, რევოლუციური პათოსით აღსავსე, ლირიკული ლექსების ციკლი „პატიმრის ნაწერები", მისი მოთხრობები და პუბლიცისტური ნაშრომები. ცომაყის პოეტურმა ტალანტმა თავის აყვავებას მიაღწია, მისმა შემოქმედებითმა საქმიანობამ ცხოველი ხასიათი მიიღო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ (იგი ოსეთში დაბრუნდა 1917 წელს). იგი იყო პოეტი და პროზაიკოსი, დრამატურგი და პუბლიცისტი. მთელი თავისი პოეტური ხმით საბჭოთა ადამიანებს მოუწოდებდა სოციალისტური შშენებლობისაკენ. ამასთან მან კარგად იცოდა, რომ სოციალისტურ სამშობლოს ჰყავდა აუარებელი გარეშე და შინაური მტრები. ამიტომაც მიმართავდა ხალხს, — თვალის ჩინივით გაფრთხილებოდნენ რევოლუციის მონაპოვარს.

ოსეთის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდიდან ცომაყმა დაგეგეტოვა თავისი ცნობილი მოთხრობა „წინაპართა სინდისი". ოსურ ლიტერატურაში ამ თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის ეს მოთხრობა ერთ-ერთი ყველაზე მაღალმხატვრული ნაწარმოებია. მასში ნაჩვენებია იმდროინდელ ოსეთში წარმოებული მძაფრი კლასობრივი ბრძოლის რეალისტური სურათები, მშრომელი გლეხის ფსიქოლოგია, მისი კერძომესაკუთრული შეგნების თანდათანობით დაძლევის პროცესი. ოსტატურადაა დაწერილი ცომაყის სხვა პროზაული ნაწარმოებებიც: „ცხოვრების ტვირთი", „ორი ყვავილი" და სხვ. ცომაყ გადიათი ითვლება სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლად ოსურ პროზაში.

იგი იყო არა მარტო დიდი მწერალი, არამედ დიდი საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწეც. მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის ოსური პერიოდული პრესის აღმოცენება-დაარსების საქმეში. ცომაყი იყო პირველი ოსური გაზეთის „ირონ გაზეთის" (1906 წ.) დამაარსებელი.

ამრიგად, მოკლე ისტორიულ ხანაში ოსმა ხალხმა შესძლო ოქტომბრის რევოლუციამდე შეექმნა საკმაოდ დიდი მხატვრული ლიტერატურა მის ყოველ ჟანრში, ლიტერატურა, რომელიც მჭიდრო ურთიერთობაშია ჩვენი ხალხის ცხოვრებასთან, მის ჭირ-ვარამთან და რომლის გამოტანაც თამამად შეიძლება მოძმე ერების ლიტერატურათა გვერდით. ეს მეტყველებს ოსი ხალხის დიდ სულიერ სიმდიდრეზე, მის დაუცხრომელ მისწრაფებაზე დიდი ხელოვნებისაკენ, დიდი კულტურისაკენ.

• •

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ 20-იან წლებში კვლავ აგრძელებდნენ ლიტერატურულ საქმიანობას არსენ ქოცოითი, ცომაუ გადათი და სავები. ესენი არიან ოსი საბჭოთა მწერლების უფროსი თაობა. მათ უკვე ჰქონდათ იმის საშუალება, რომ გამოეელინათ მთელი თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობანი და მართლაც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს.

ამავე დროს ოსურ ლიტერატურაში მოვიდა ახალი ნიჭიერი ახალგაზრდობა, სოციალისტური რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გამოწრთობილი, საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი ახალგაზრდობა.

ამ ახალმა თაობამ ოსურ ლიტერატურაში შემოიტანა ახალი თემები, ახალი მხატვრული სახეები. მაგრამ თუ იმ წლებში ოსმა პროზაიკოსებმა შექმნეს არა ერთი და ორი შესამჩნევი მხატვრული ტილო, მაინც უნდა ითქვას, რომ ან დაწერილი ისეთი სრულფასოვანი ნაწარმოები, რომელთაც ახალ სიმაღლეზე აეყვანოთ ოსური ლიტერატურა.

ლიტერატურაში ახლად შემოსულ ახალგაზრდობას ჯერ არ გააჩნდა საკმაო ლიტერატურული ძალა და გამოცდილება, უფროსი თაობის მწერლებს კი (არსენ ქოცოითისა და სხვებს) როგორც ჩანს, ახალ, თანამედროვე თემებზე გადასასვლელად გარკვეული დრო ესაჭიროებოდათ. ამიტომაც იმდროინდელ ოსურ ლიტერატურაში არ შექმნილა არც ერთი დიდი მოთხრობა და რომანი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება განუწყვეტლივ ზრუნავდნენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ლიტერატურის შემდგომ აღმავლობაზე, ყოველგვარ ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ მას. როგორც ცნობილია, 1932 წლის 23 აპრილს მარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარების შესახებ. ამ დადგენილების საფუძველზე დაიშალა რუსეთის პროლეტარული მწერლების ასოციაცია და სხვა ლიტერატურული დაჯგუფებანი და მწერლები გაერთიანდნენ ერთ ორგანიზაციაში — საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირში. ისინი აღარ იყოფოდნენ „პროლეტარულ", „გლეხურ", „თანამგზავრულ" მწერლებად.

საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე (1934) ა. ა. ჟდანოვის სიტყვაში და ა. მ. გორკის მოხსენებაში გარკვევით იყო ნაჩვენები საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარების გზები, სოციალისტური რეალიზმის პრინციპები. ამ დადგენილებებმა უდიდესი როლი შეასრულეს ოსური ლიტერატურის შემდგომი განვითარებისა და მისი ახალი კადრების აღზრდის საქმეში. შეიქმნა ისეთი დიდი მხატვრული ტილოები, როგორიცაა: ცომაუ გადიათის „ყინაპართა სინდისი", ბარონ ბოციოთის რომანი „დამსხვრეული ჯაჭვი", არსენ ქოცოითის დიდი მოთხრობა „ჯანაპი", დაბე მაშსრათის რომანი „მძიმე ოპერაცია", სოზირიყო ყულათის მოთხრობა „ებრაელი ოშვაყი", ჩერმენ ბეჯიზათის მოთხრობა „მგლები", სოსლან გაზათის „ბიბო" და სხვა.

სოზირიყო ყულათის (1900—1937) შემოქმედების დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იგი თავისი ნაწარმოებებისათვის თემებს იღებდა არა შორეული წარსულიდან, არამედ თანამედროვე მჩქეფარე ცხოვრების წიაღიდან. ხანმოკლე იყო სოზირიყო ყულათის შემოქმედებითი გზა — 1927-დან 1937 წლამდე, მაგრამ მან დიდად შეუწყო ხელი ოსური ლიტერატურის აღმავლობას თავისი საუკეთესო ნაწარმოებებით. მოთხრობებში „ცალხელა", „მუზეუმში", „ცამეტნი" და სხვა, სოზირიყო ყულათიმ დიდი ოსტატობით გვიჩვენა სამოქალაქო ომის პერიოდში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ოსი ხალხის თავდადებული ბრძოლა. სამოქალაქო ომში თოფით ხელში პირადი მონაწილეობის შედეგად მიღებულმა შთაბეჭდილებებმა მწერალს საშუალება მისცა ცხოვრება აესახა ცოცხალი, დამაჯერებელი სურათებით. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პერიოდის ოსეთის ცხოვრებაზე სოზირიყომ დაწერა რამდენიმე მოთხრობა და დრამა „სოფელი დაიძრა". ეს ნაწარმოებები მეტყველებენ ავტორის დიდ მხატვრულ ალღოზე, გლეხის ცხოვრებისა და სულიერი სამყაროს ღრმა ცოდნაზე. იგი ხატავს იმდროინდელი ოსი ხალხის ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს, სოფლად წარმოებულ ცხარე კლასობრივ ბრძოლას, მეხსიერებაში წარუშლელად რჩებიან მის მიერ შექმნილი ცოცხალი სახეები. სოზირიყო ყულათი მტკიცედ

იდგა სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე და იგი მხატვრის დაკვირვებულ თვალს ადევნებდა ცხოვრების დინებას, დამაჯერებლად ასახავდა მშრომელი გლეხობის გონებაში წვრილ მესაკუთრული შეგნების დაძლევის პროცესს და ამით ეხმარებოდა პარტიასა და ხელისუფლებას მშრომელი მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

საბჭოთა პერიოდის ოსი პროზაიკოსებისაგან მოცულობის მხრივ ყველაზე მეტი ნაწარმოებების დაწერა დაბე მამსრათიმ (1909) შესძლო. ლიტერატურული საქმიანობა დაბემ 1926 წელს დაიწყო. მას შემდეგ ყოველწლიურად იზრდება მისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი, როგორც იდეურად, ისე მხატვრული თვალსაზრისითაც. მისი ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდება პერიოდულ პრესაში, აგრეთვე ცალკე წიგნებად ოსურ, რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა ენებზე. მრავალმხრივია დაბე მამსრათის ტალანტი. იგი წერს ლექსებს, პოემებს, ოგავ-არაკებს, დრამატულ ნაწარმოებებს, მოთხრობებს, რომანებს, კრიტიკულ წერილებს. ამასთან ეწევა მთარგმნელობით საქმიანობასაც. მაგრამ დაბე მამსრათს სახელი მაინც მისმა პროზაულმა ნაწარმოებებმა გაუთქვეს. ასეთებია მოთხრობები: „ზალდუზ", „პირველი ნაბიჯი", „ამერიკაში ნამყოფი"; „შეცდომა", „ეარი", რომანები — „თაობები", „მძიმე ოპერაცია", „მამაცთა ამბავი" და სხვა. ფართო და ძალზე მრავალფეროვანია დაბე მამსრათის შემოქმედების თემატიკა.

დაბე მამსრათი ერთი იმ მწერალთაგანია, რომლებმაც პირველებმა შექმნეს ოსურ ლიტერატურაში საბჭოთა ადამიანის მისაბაძი სახეები. მკითხველის მეხსიერებაში წარუშლელად რჩებიან დაბეს მიერ დიდი ოსტატობით გამოკვეთილი მხატვრული სახეები: დასხანი — მოწინავე საბჭოთა. ქალი (მოთხრობა „პირველი ნაბიჯი"), ცოლა — სოციალისტური ქონების თავდადებული დამცველი (მოთხრობა „დიდება"), ზაურბეგი, ზუსა და სხვები (რომანი „მძიმე ოპერაცია").

ოცდაათიან წლებში ოსურ ლიტერატურაში მოსულ თაობას მიეკუთვნება ქუძაგ ძესთი (1905). 1930 წელს ჟურნალ „ფიდიუაგში" გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობები „ჭირნახულზე", „ვახანაზის ნაამბობი", „უკანასკნელი ზღაპარი", „ყანდუას სინანული". მან უმალ მოიხვეჭა დაკვირვებული მხატვრის, ნიჭიერი შემოქმედის სახელი. მას შემდეგ ძესთი განუწყვეტლივ წერს მოთხრობებს, ნარკვევებსა და დრამატულ ნაწარმოებებს. იგი არის კარგი საბავშვო მწერალიც.

რა არის ძესთის შემოქმედების მთავარი ნიშანთვისებები? უპირველეს ყოვლისა ის, რომ მწერალი კარგად იცნობს იმ ხალხის ცხოვრებას, რომლის შესახებაც წერს. ამიტომაც მის მიერ აღწერილი ყოველი სურათი, ყოველი ცალკეული დეტალი დამაჯერებელი და ადვილად დასამახსოვრებელია მკითხველისათვის. ავტორი დაკვირვებით ადევნებს თვალს ცხოვრებას და მისგან თავისი შემოქმედებისათვის არჩევს აქტუალურ, დროისა და მდგომარეობისათვის საჭირო თემებს. ქუძაგ ძესთის, როგორც მწერლის ღირსება კიდევ ისაა, რომ მან ზედმიწევნით იცის მშობლიური ენა, იცის მისი ყოველი წვრილმანი ნიუანსი, მისი მდიდარი გამომსახველობითი შესაძლებლობანი. ამიტომაც მსგავსად გამოცდილი კალატოზისა, რომელიც ისე ალაგებს აგურებსა და ქვებს, რომ ერთი მათგანის გამოღებაც კი გამოიწვევდა კედლის დამახინჯებას, ქუძაგ ძესთმა იცის ყოველი სიტყვის შესაფერ ადგილზე მოთავსება.

ოცდაათიან წლებში ოსურ ლიტერატურას ემატება ახალი სახელები: რეზო ცოციოი, ელიოზ ბეკოიოი, გესა ფლიოი და სხვები. უმჯობესდება მხატვრული ლიტერატურის ბეჭდვის პირობებიც.

თუ 1932 წლამდე ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის მწერლებს მხოლოდ ერთი ლიტერატურული ჟურნალი „ფიდიუაგი" გააჩნდა, 1932 წლიდან 1934 წლამდე გამოდიოდა აგრეთვე მეორე ჟურნალიც „ლიტერატურონ ყაზეათონ", ხოლო შემდეგ კი გამოსელა იწყო ჟურნალმა „მახ დუგ".

როგორც წინა წლების მთელი ისტორიის მანძილზე, ოცდაათიან წლებშიც ოსური ლიტერატურის აღმაფლობა მიმდინარეობდა მომწამველი ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის წინააღმდეგ ლიტერატურის ლენინური პარტიულობისათვის დაუცხრომელი ბრძოლის პირობებში. ოსური ლიტერატურის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის მოძმე ერების ლიტერა-

ტურამ, განსაკუთრებით რუსი და ქართველი ხალხის ლიტერატურამ.

ის ამბავი, რომ ოცდაათიანი წლების ოსურმა ლიტერატურამ მიაღწია თვალსაჩინო წარმატებებს, სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მას არ ჰქონდა თავისი ხარვეზები. არა, ხარვეზები და ნაკლოვანებანი მას უდავოდ გააჩნდა. გაჩნდა სუსტი, შიშველი რიტორიკული შეძახილებისა და ყველასათვის ცნობილი ლოზუნგების საფუძველზე შექმნილი ნაწარმოებები, ერთეული ადამიანების ცოვრებაზე შეთბზული, განზოგადებასა და სინამდვილესთან კავშირს მოკლებული, დაბალმხატვრული, უიდეო ნაწარმოებები.

დიდი სამამულო ომის ფრონტზე საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მხარდამხარ ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლების დასაცავად თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებდნენ ოსი ხალხის შვილებიც.

ომის წლებში დაიწერა და ხალხს ვერაგი მტრის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ არსენ ქოცოითის ფელეტონი „სასწაული" და ომის გმირებზე დაწერილი ნარკვევები, დაბე მამსრათის, რეზო ცოციოთის, თათარი ეფხითის, ელიოზ ბეკოითის, ბარონ ბოციოთის, თაზრეთ ბესათისა და სხვათა ნაწარმოებები.

დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში და მის შემდგომ წლებში ოსურ ლიტერატურაში მოდის ახალი ნიჭიერი თაობა. ესენია: ეზეთხან ურუიმაგთი — ცნობილი რომანის „ცხოვრებისაკენ" და მრავალი მოთხრობის ავტორი, დავით ჯიოთი — ავტორი რომანისა „უძლეველი ძალა" და პიესისა „ილიკო"; ვასო სანაყოთი — პიესების „ტატე", „ვარდო", „ხავსი" და რიგი მოთხრობების ავტორი; ნიკოლოზ გაგლოითი — ავტორი რომანისა „მხარდამხარ". უკანასკნელ ხანს რიგი ნიჭიერად დაწერილი პროზაული ნაწარმოებები შექმნეს პოეტებმა გიორგი ძუგათიმ, ნაფი ჯუსოითიმ, მელიტონ გაბულთიმ და სხვებმა.

ომისშემდგომ წლებში ოსურ ლიტერატურას შეემატა ახალი ნაწარმოებები: ელიოზ ბეკოითის რომანი — ტრილოგია „ფატიმა", მაქსიმ ცაგარათის მოთხრობები „მზე" და „საგო", თოთირბეგ ძალთიათის მოთხრობები „ორი მეგობარი" და „მბრუნავი მთის ქვეშ", რეზო ცოციოთის რომანი „ბედნიერება" და სხვები.

ოსურ ლიტერატურას ამ ბოლო ხანს ხელახლა უბრუნდება ადრე შეცდომით ჩამოცილებული ნიჭიერი მწერლების შემოქმედება, რაც უდავოდ ხელს შეუწყობა ოსური მხატვრული პროზის გამდიდრებას.

ოსმა მწერლებმა დიდი მუშაობა გასწიეს მშობლიურ ენაზე საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა ლიტერატურის კლასიკოსებისა და თანამედროვე მოწინავე მწერლების საუკეთესო ნაწარმოებთა გადმოთარგმნაზე, ამით შესამჩნევად გამდიდრდა ოსური საბჭოთა ლიტერატურა.

ოსურ ენაზე დაიბეჭდა პუშკინის, ლერმონტოვის, რუსთაველის, შევჩენკოს, გოგოლის, ჩეხოვის, ლევ ტოლსტოის, ნეკრასოვის, გორკის, მაიაკოვსკის, ფრანკოს, ფადეევის, ტიხონოვის, ისაკოვსკის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, გ. ტაბიძის, ლ. ქიაჩელის, გ. ლეონიძის, ი. აბაშიძის, ა. გომიაშვილის, ი. ნოხეშვილისა და მრავალი სხვა მწერლის ნაწარმოებები. ამავე დროს ოსური ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებიც ითარგმნება და იბეჭდება ჩვენი სამშობლოს მოძმე ხალხთა ენებზე, მათ შორის ქართულ ენაზე. ამ ფრიად სასიკეთო საქმეში აქტიურად შრომობენ ცნობილი ქართველი მწერლები: გ. ლეონიძე კ. ლორთქიფანიძე, ა. მირცხულავა, ა. ბელიაშვილი, გ. აბაშიძე, ი. ნონეშვილი, ხ. ბერულავა, გ. შატბერაშვილი, ვ. გორგაძე.

აღსანიშნავია, რომ ოსურ ფოლკლორში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი სწორედ ხალხთა მეგობრობის თემას უკავია. ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ვ. ი. აბაითი ნართების ეპოსის შესახებ წერს: „კავკასიის ხალხებმა საერთო ეპოსი (ე. ი. ნართების ეპოსი. — გ. ძ.) იმიტომ შექმნეს, რომ ისინი ცხოვრობდნენ საერთო კულტურით, საერთო ცხოვრებით: სხვა რომ აღარა ვთქვათ, ამ მრავალრიცხოვანი ერების ეს საერთო ეპოსიც საუკეთესო მოწმეა იმისა, თუ რა მჭიდრო ურთიერთობა, ძმობა და მეგობრობა ქონდათ კავკასიის ხალხებს ოდითგან".

ოსმა საბჭოთა მწერლებმა შემდეგშიც და მომავალშიც უნდა გააგრძელონ ოსური ზეპირსიტყ-

ვიერების ეს კარგი ტრადიცია — მაღალიდეური, მაღალმხატვრული ნაწარმოებებით ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების ტრადიცია.

საბჭოთა ლიტარატურის შემდგომი განვითარების პერსპექტივები მოცემულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ დადგენილებებში, საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ მიმართვასა და ომის შემდგომ წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებებში. ეს გადაწყვეტილებანი აქტიურ ზემოქმედებას მოახდენენ როგორც მთელ საბჭოთა ლიტერატურაზე, ისე ოსურ ლიტერატურაზეც.

ამ გადაწყვეტილებების მიხედვით ოსური საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი ამოცანაა შექმნას კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის შესაფერისი მაღალიდეური, მხატვრულად ძლიერი ნაწარმოებები.

ოსური ლიტერატურის დიდი ფუძემდებლის კოსტა ხეთაგათის ტრადიციების გამოყენებით ჩვენმა მწერლებმა კიდევ უფრო ღრმად უნდა შეისწავლონ ხალხის ცხოვრება, საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყარო, უნდა შეიგნონ ის დიდი ამოცანები, რომლებიც დასახულია კომუნიზმის მშენებელთა წინაშე, რათა შეძლონ დიდი პრობლემების შემცველი, მაღალმხატვრული ფართო ტილოების შექმნა.

ამისათვის საჭიროა ჩვენმა ლიტერატურამ მოიშოროს მშრალი, რიტორიკული შეძახილები, შიშველი დიდაქტიკის ქადაგება, პიროვნების კულტისა და უკონფლიქტობის გადმონაშთები. ნაცვლად ამისა საჭიროა მშობლიური ენის გამომსახველობით საშუალებათა ღრმად შესწავლა, საჭიროა მხატვრული დოსტატების მიღება.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ლიტერატურაში დღემდე სათანადოდ არაა ასახული მუშის ცხოვრება, არაა შექმნილი საბჭოთა ინტელიგენტის დამაჯერებელი სახე.

ჩამორჩენა ჩვენი საბავშვო ლიტერატურაც, განსაკუთრებით, საშუალო და სკოლამდელი ასაკის ლიტერატურა.

მწერლისა და მკითხველის წინაშე დიდ ვალშია ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობაც. არა თუ თანამედროვე მწერლების, ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსების შემოქმედებაც კი სათანადოდ არაა გაშუქებული მარქსისტული თვალსაზრისით ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება ჩვენმა ლიტერატურამ უნდა შეძლოს უახლოეს მომავალში. ეს არის ჩვენი გადაუდებელი ამოცანები.

ბ. ძაღთიათი

შენიშვნები

ინალ ყანუყათი (ქანუკოვი)

ცნობილი ოსი მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი ი. ყანუყათი დაიბადა სოფელ გიზელში (ჩრდილო ოსეთის ახლანდელ გიზელდონის რაიონი), ზოგიერთი ცნობით 1847 წელს, ხოლო სხვა ცნობებით 1851 წელს. სწავლობდა გიმნაზიაში. დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, იყო ოფიცერი და ამავე დროს ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, წერდა ზღაპრებებს, ნარკვევებს, ლიტერატურულ წერილებს.

80-იანი წლების დასასრულს პოეტი გადასახლეს შორეულ ალმასაღლეთში, სადაც განაგრძობდა ლიტერატურულ შემოობას „ი. ვოსტოჩნის" ფსევდონიმით.

1897 წელს ი. ყანუყათი დაბრუნდა კავკასიაში და დაიწყო ლექსების ბეჭდვა გაზეთ „კავკაზში".

გარდაიცვალა 1898 წელს.

ძოსტა ხეთაგათი (ხეთაგუროვი)

გამოჩენილი ოსი პოეტი, ოსური მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებელი და ოსური ლიტერატურული ენის შემქმნელი კოსტა ხეთაგათი დაიბადა 1859 წელს ჩრდილოეთ ოსეთის ახლანდელ სიდონის რაიონის სოფელ ნარში.

იგი სწავლობდა სტავროპოლის გიმნაზიაში, ხოლო 1885 წლიდან პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, სადაც ეგრიცხეს, როგორც პოლიტიკურად ირასაიმედო.

კ. ხეთაგათის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების: ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის იდეების ზეგავლენით. აქტიური საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის გამო პოეტის სახელი ბოლამდელი ხდება ოსეთსა და მთელს ჩრდილო კავკასიაში.

კ. ხეთაგათისთვის რუსული ენა მეორე მშობლიურ ენის წარმოადგენდა. მისი ლექსების პირველი კრებული რუსულ ენაზე გამოიცა 1895 წელს.

კ. ხეთაგათის უყვარდა რუსი ხალხი და მისი კულტურა. მან მრავალი ლექსი უძღვნა ა. გრიბოიედოვს, ა. ოსტროვსკისა და ბ. ჩაიკოვსკის. კ. ხეთაგათის ახლო მეგობრული კავშირი ჰქონდა ალექსეევ იმდროინდელ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან.

აქტიური რევოლუციური მუშაობისა, მეფის თვითმპყრობელობის და ადგილობრივი მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლისათვის იგი დევნას განიცდიდა და რამდენჯერმე იყო გადასახლებაში.

კ. ხეთაგათის ლექსების კრებული „ირონ ფანდირი" 1899 წელს გამოიცა, მაგრამ იგი კონფისკირებულ იქნა პოლიციის მიერ.

კ. ხეთაგათი იყო მრავალმხრივი მოღვაწე. იგი ცნობილია, როგორც პოეტი და პუბლიცისტი, დრამატურგი, მხატვარი — ფერმწერი და დაუღალავი საზოგადო მოღვაწე. მისი ნაწარმოებები თარგმნილია სამეოთხი კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე.

კ. ხეთაგათი გარდაიცვალა 1906 წელს. დაკრძალულია ქ. ორჯონიკიძეში.

სეკა გადიათი (გადიევი)

ცნობილი ოსი პოეტი — სეკა გადიათი დაიბადა 1855 წელს, ყუდის ხეობის სოფ. განისში.

1882 წელს გადასახლდა ჩრდილო ოსეთში.

გადიათის შემოქმედება ორგანულადაა დაკავშირებული ოსურ ფოლკლორთან, იგი თავისი მხატვრული ნაწარმოებებისათვის მასალას იღებდა ყუდის ხეობაში მცხოვრები ოსი ხალხის ყოფა-ცხოვრებიდან.

ნ. გადიათის ლექსებისა და იგავების კრებული „ირონ ფიციე" („ოსი მწყემსი") გამოიცა 1905 წელს. მისი მოთხრობები და ლექსები იბეჭდებოდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

გარდაიცვალა 1915 წელს.

ბათირბეგ თუღანთი (თუღანოვი)

ბ. თუღანთი დაიბადა 1866 წელს ჩრდილო ოსეთის ახლანდელი კიროვის რაიონის სოფელ დურ-დურში.

ბ. თუღანთი სწავლობდა ვლადიკავკაზის პროგიმნაზიაში და სტავროპოლის გიმნაზიაში.

XIX საუკუნის 90-წლებში დაიწყო მოთხრობების, ნარკვევებისა და კორესპონდენციების წერა, რომლებსაც ითავსებდა ვლადიკავკაზის გაზეთებში.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ბ. თუღანთიმ ოსურ ენაზე თარგმნა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". მისი მოთხრობები რუსულ ენაზე გამოიცა 1913 წელს.

გარდაიცვალა 1921 წელს.

არსენ ძოცოლითი (ძოცოევი)

გამოჩენილი ოსი მწერალი ა. ქოცოითი დაიბადა 1872 წლის 16 აპრილს ჩრდილო ოსეთის ახლანდელი გიზელდონის რაიონის სოფ. გიზელში. დაამთავრა სოფლის სკოლა, შემდეგ ირონის სასულიერო სემინარია. კორესპონდენციების ბეჭდვა დაიწყო 1895 — 1896 წლებში. 1901 წელს გაზ. „კავკაზში" დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „ფადისი" („განგაში") რუსულ ენაზე.

1909 — 1910 წლებში მისი რედაქტორობით გამოდის საზოგადოებრივ-ლიტერატურული ილუსტრირებული ჟურნალი „იფსირი". ჟურნალში პერიოდულად იბეჭდებოდა ა. ქოცოითის მოთხრობები და კარიკატურები.

1912 წელს ა. ქოცოითი თანამშრომლობდა ბოლშევიკურ გაზეთ „პრავდაში", სადაც დაიბეჭდა მისი რამდენიმე მოთხრობა („შეგობრები" და სხვ.). დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ა. ქოცოითის ნაწარმოებები გამოდიოდა ცალკე კრებულების სახით. ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის იგი დაჯილდოებული იქნა „სახატეო ნიშნის" ორდენით.

გარდაიცვალა 1944 წლის 4 თებერვალს.

ცომაყ გადიათი (გადიევი)

მწერალი და საზოგადო მოღვაწე სეკა გადიათის შვილი ცომაყ გადიათი დაიბადა 1882 წელს ყუდისხევის სოფელ განისში. დაამთავრა დერპტის უნივერსიტეტის (ახლანდელ ტარტუს) ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი.

იგი 1905 წ. რევოლუციაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა წერდა პროკლამაციებსა და მოწოდებებს, თავისი რევოლუციური ლექსებით ხალხს შეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. რევოლუციური მოღვაწეობისათვის 1908 წ. დაპატიმრებულ იქნა დერპტში. საპატიმროში ორი წელი დაყო. 1910 წელს გადასახლეს ციმბირში. ც. გადიათი ციმბირშიც განაგრძობდა რევოლუციურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას. 1917 წელს, თებერვლის რევოლუციის შემდეგ ც. გადიათი გადასახლებიდან ოსეთში დაბრუნდა.

ც. გადიათი ეწეოდა აქტიურ საზოგადებრივ და ლიტერატურულ მუშაობას როგორც პოეტი და პროზაიკოსი, დრამატურგი და ლიტერატურული კრიტიკოსი. მისმა კრიტიკულმა და ლიტერატურულმა მოღვაწეობამ დიდი როლი შეასრულა ოსური მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში.

გარდაიცვალა 1931 წლის 24 ოქტომბერს.

ალექსანდრე ძადთიათი (ძადიევი)

ა. ძადთიათი დაიბადა 1881 წელს სამხრეთ ოსეთის ახლანდელ ჯავის რაიონის სოფელ სბაში. 1917 წელს დაამთავრა პეტროგრადის ნევრო-ფსიქიური ინსტიტუტი. ა. ძადთიათი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი სამხრეთ ოსეთის მშრომელთა შეიარაღებული აჯანყებისა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1924 წლიდან.

ა. ძადთიათი გარდაიცვალა 1937 წელს.

სოზირიკო ყულათი (ყულაევი)

ს. ყულათი დაიბადა 1900 წელს სამხრეთ ოსეთის ჯავის რაიონის სოფ. ზგუშირში. 1917 — 20 წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა რევოლუციურ აჯანყებაში ცარიზმის წინააღმდეგ.

უმაღლესი განათლება ს. ყულათიმ მიიღო მოსკოვში. 1928 — 1929 წლებში გამოიცა მისი ნაწარმოებების ორი წიგნი.

1936 წელს გამოიცა ს. ყულათის რჩეული ნაწარმოებები. მისი პიესა „ახალ გზაზე" დიდხანს იდგმებოდა სცენაზე. ს. ყულათი ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას.

გარდაიცვალა 1937 წ.

ჩერმენ ბეჯიზათი (ბეგიზოევი)

ჩ. ბეჯიზათი დაიბადა სამხრეთ ოსეთის ჯავის რაიონის სოფელ ედისში.

1918 — 1920 წლებში ჩ. ბეჯიზათი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობაში.

ლექსების წერა დაიწყო რევოლუციამდე. გამოცემული მისი ლექსების წიგნები: „ამოღებული ხმალი" (1935), მოთხრობა „მგლები" (1934), ნოველა „ლაპარაკობენ ლეხე-ყოფ-კები" (1934) და სხვ. მისი პიესები „ვინ ვის?" და „შრიალებენ დროშები" წარმატებით იდგმებოდა ოსური თეატრის სცენაზე.

ჩ. ბეჯიზათი არის საბჭოთა ოსური ლიტერატურის ერთ-ერთი დამწყები.

გარდაიცვალა 1937 წელს.

დაბე მამსრათი (მამსუროევი)

დ. მამსრათი დაიბადა 1909 წელს ჩრდილო ოსეთის ახლანდელი არიფის რაიონის სოფ. შუა ურუხში. 1930 წელს დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი. 1933 წელს დაუსწრებლად დაამთავრა როსტოვის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

დ. მამსრათიმ წერა დიწყო 1926 წლიდან. მისი პირველი კრებული „პირველი ნაბიჯები" გამოიცა 1931 წელს. ამის შემდეგ გამოიცა დ. მამსრათის პროზაული ნაწარმოებთა ათზე მეტი წიგნი. დაწერილი აქვს რამდენიმე დრამატული ნაწარმოები.

ბუძაგ ძესთი (ძესოევი)

ბ. ძესთი დაიბადა 1905 წელს სამხრეთ ოსეთის სოფ. ედისში, გლეხის ოჯახში.

1920 წელს გადასახლდა ჩრდილო კავკასიაში, სადაც მიიღო საშუალო განათლება.

1924 წლიდან ბ. ძესთი იყო ოსური საოლქო გაზეთის სოფლკორი. ამ პერიოდშივე დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა.

1926 წელს იგი შეეიდა ჟურნალისტიკის ინსტიტუტში (მოსკოვში) და მას შემდეგ მუშაობს მხატვრული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის დარგში.

ცალკე გამოცემებად გამოვიდა მისი მოთხრობების ორი კრებული და ორიც საბავშვო წიგნი.

ეზეთხან ურუიმაგთი (ურუიმაგოევი)

ე. ურუიმაგთი დაიბადა 1905 წელს ჩრდილო ოსეთის ახლანდელი დიგორის რაიონის სოფელ დიგორში.

პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელიწადი ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას.

ე. ურუიმაგთი წერდა რუსულ ენაზე. მისი რომანი „ოსები" გამოიცა 1948 წელს ქალ. ორჯონიკიძეში, ხოლო 1951 წელს — მოთხრობების კრებული „ყველაზე უფრო მშობლიური". ე. ურუიმაგთის დაწერილი აქვს რამდენიმე პიესა.

გარდაიცვალა 1955 წელს.

თაზრეთ ბესათი (ბესაევი)

თ. ბესათი დაიბადა 1907 წელს ჩრდილო ოსეთის ახლანდელი მაჩხერის რაიონის სოფ. მოსთიკაუში. დამთავრა პედაგოგიური ტექნიკუმი, ხოლო 1937 წელს ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ისტორიის მოსკოვის ინსტიტუტი.

თ. ბესათიმ ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1928 წლიდან. გამოცემული აქვს მოთხრობებისა და ლექსების კრებულები და რომანი.

ხოზირიუი ბულათი (ბულაევი)

ს. გაზათი დაიბადა 1910 წელს სამხრეთ ოსეთის ჯავის რაიონის სოფელ ხუსარ-ციფრანში. სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ს. გაზათი იყო პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი. მისი ლექსების პირველი წიგნი „ისარი" გამოვიდა 1933 წელს. 1956 წელს გამოიცა ავტორის რჩეული ნაწარმოებები. ს. გაზათის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამამული ომის გმირებზე დაწერილ მოთხრობას „ბიშოს".

გარდაიცვალა 1937 წ.

ელიოზ ბეკოიითი (ბეკოევი)

ე. ბეკოითი დაიბადა 1909 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ახლანდელი სტალინირის რაიონის სოფელ გერში. 1936 წელს დაამთავრა როსტოვის პედინსტიტუტთან არსებული მუშფაკი, ხოლო 1956 წელს — სტალინირის პედინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება.

სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1928 წლიდან. მისი ნაწარმოებები გამოცემულია ცალკე წიგნებად: „ბედნიერი ბავშვები" (1938), „მოთხრობები" (1940), „ახალგაზრდა პატრიოტები" (1943), „ფატიმა", რომანი, პირველი ნაწილი 1947 წ., მეორე ნაწილი — 1950 წ., „შრომის სახელით" (1955).

რეზო ცოციითი (ჩოჩიევი)

რ. ცოციითი დაიბადა 1906 წელს სამხრეთ ოსეთის სოფელ ზემო ორთოში.

რ. ცოციითმა დაამთავრა მ. გორკის სახელობის ლიტერატურული მუშფაკი, ხოლო შემდეგ — ჟურნალისტიკის ინსტიტუტი.

სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1930 წლიდან. იგი მუშაობს როგორც პოეზიის, ასევე პროზის დარგშიც.

თათარი ეფხითი (ეფხიევი)

თ. ეფხითი დაიბადა 1911 წელს ჩრდილო ოსეთის სოფ. ირდონში. 1937 წელს დაამთავრა ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ისტორიის მოსკოვის ინსტიტუტის ფილოსოფიური ფაკულტეტი.

სალიტერატურო ასპარეზზე თ. ეფხითი გამოვიდა 1927 წელს. თ. ეფხითის ლექსების პირველი კრებული „მღელვარე ეპოქა" გამოიცა 1932 წელს. დიდი სამამული ომის წლებში დასწერა ლექსების კრებული „ოსეთი ცეცხლში".

უკანასკნელ წლებში თ. ეფხითმა დაწერა რომანი „ცხოვრების ორომტრიალში".

სოზირიუო ბრიტათი (ბრიტაევი)

ს. ბრიტათი დაიბადა 1898 წელს ჩრდილო ოსეთის ახლანდელი გიზელდონის რაიონის სოფელ დალაგუში. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში მან დაუსწრებლად დაამთავრა მუშფაკი, ხოლო 1937 წელს — ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი.

ს. ბრიტათი საბავშვო მწერალია. თავისი მოთხრობების სიუჟეტებს იგი ძირითადად ხალხური შემოქმედებიდან იღებს.

ს. ბრიტათის შიერ თარგმნილია მრავალი ნაწარმოები რუსულიდან ოსურ ენაზე.

თოთირბეგ ძადთიათი (ძადთიევი)

თ. ძადთიათი დაიბადა სამხრეთ ოსეთის ჯავის რაიონის სოფელ სბაში.

ჰაბუკობისას მოჯამაგირეობდა, იყო მწყემსი, შემდეგ გადასახლდა ძაუჯიყაუში და აქ მუშაობდა ასოთამწყობად. სწავლობდა მოსკოვში, სადაც დაამთავრა მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი.

ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1931 წლიდან. 1932 წელს გამოვიდა მისი პირველი მოთხრობა „რეეოლუციის გმირი".

სამამული ომის წლებში და ომის შემდეგ თ. ძადთიათმა დაწერა მოთხრობები „მოხალისენი" და „ფრონტელი მეგობარი", აგრეთვე ნარკვევები სამამული ომის გმირებზე. თ. ძადთიათის მოთხრობები და ნარკვევები 1946 წელს ცალკე წიგნად გამოიცა.

მაძსიმ ცაბარათი (ცაბარაევი)

მ. ცაგარათი არის პოეტი და პროზაიკოსი, დაიბადა 1916 წელს ქ. ალაგირში. 1937 წელს დაამთავრა მეშფაკი, ხოლო 1941 წელს ქ. ორჯონიკიძეში პედაგოგიური ინსტიტუტი.

წერა დაიწყო 1935 წლიდან. 1940 წელს მისი ლექსები შეტანილ იქნა კრებულში „ჩვენ გვიყვარს".

ბიორბი ძუბათი (ძუბაევი)

ბ. ძუბათი დაიბადა 1911 წელს, სამხრეთ ოსეთში, სოფ. ძიმალში, ლარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში, ხოლო 1935 წელს წარჩინებით დაამთავრა სტალინირის პედტექნიკუმი.

1935 წლიდან 1939 წლამდე მუშაობდა საოლქო გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში პასუხისმგებელ მდივნად. შემდეგ იგი გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც ცხრა წელიწადი დაპყო.

1946 წლიდან, დემობილიზაციის შემდეგ, იგი დღემდე მუშაობს მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალის „ფიდიუგის" რედაქციაში.

თავისი ნაწარმოებების ბეჭდვა ბ. ძუბათმა დაიწყო 1935 წლიდან; პოეტის საუკეთესო წიგნების რიცხვს ეკუთვნის: „მზის სხივი" (1938 წ.), „ხმალი" (1940 წ.), „სიხარულის სიმღერა" (1954 წ.), „ნაწარმოებები" (1955 წ.) და სხვ.

ბ. ძუბათის კალამს ეკუთვნის ოვრეთვე საბავშვო მოთხრობათა კრებულები („მეგობრები", „ბავშვების საჩუქარი" — 1956) და დრამა ლექსად „ორი გული".

დავით ჯიოთი (ჯიოევი)

დ. ჯიოთი დაიბადა 1913 წელს სამხრეთ ოსეთის სოფელ დიდ ციხითში. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სასწავლებლად გაემგზავრა დონის როსტოვში, სადაც სწავლობდა მეშფაკში; შემდეგ სწავლა განაგრძო სტალინირში, ახლად გახსნილ მეშფაკის კურსებზე. მას სწავლა არ დაესრულებია კომკავშირის საოლქო კომიტეტმა იგი მიავლინა დიდ ციხითში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1936 წელს დ. ჯიოთმა დაამთავრა სტალინის სახელობის თბილისის კომუნისტური უნივერსიტეტი.

დ. ჯიოთის დაწერილი აქვს ორი რომანი: „უძლეველი ძალა" და „ილიკო". დ. ჯიოთის გამოქვეყნებული აქვს ლექსების, პოემებისა და მოთხრობების რამდენიმე წიგნი. ამასთანავე იგი ავტორია დრამისა — „ფუხანი ილიკო".

მასილ სანაკოთი (სანაკოევი)

ვ. სანაკოთი დაიბადა 1901 წელს ქ. თბილისში, მუშის ოჯახში. 1937 წ. დაამთავრა არხანგელსკის სატყეო მრეწველობის აკადემია. იგი არის დიდი სამამული ომის მონაწილე.

ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1936 წლიდან. სწერს მოთხრობებსა და ლექსებს ოსურ და ქართულ ენებზე. 1941 წელს გამოიცა მისი პიესა „ოდესღაც გაწყრილნი" (ქართ. ენაზე), 1951 წელს მოთხრობების, პიესებისა და პოემის კრებული (ოსურ ენაზე), 1954 წელს კი მოთხრობების კრებული (ოსურ ენაზე).

ილია ფლითი (ალიევი)

ი. ფლითი დაიბადა 1913 წელს სამხრეთ ოსეთის სოფელ ჯავაში.

1935 წელს დაამთავრა თბილისის ოსური პედაგოგიური ტექნიკუმი, ხოლო 1953 წელს სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტი. ლექსების წერა დაიწყო 1935 წლიდან. 1941 წელს გამოსცა პირველი კრებული „ცისკარი". ამის შემდეგ იგი სისტემატიურად აქვეყნებს თავის მხატვრულ ნაწარმოებებს ცალკეულ გამოცემების სახით.

ფლითი ძირითადად მრავალფეროვანი მწერალია. იგი წერს ლექსებს, მოთხრობებს, საბავშვო თხზულებებს და ამავე დროს წარმატებით მუშაობს დრამატურგიაშიც.

სერგი ხაცირთი (ხაჩირაევი)

ს. ხაცირთი დაიბადა 1918 წელს სამხრეთ ოსეთის ახლანდელი ლენინგორის რაიონის სოფელ ქვემო ტეშენში.

1938 წელს ს. ხაცირთმა დამთავრა ჩრდილო ოსეთის პედაგოგიური ტექნიკუმი, ხოლო შემდეგ პედაგოგიური ინსტიტუტი.

ს. ხაცირთმა ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1937 წლიდან. სწერს ლექსებს, მოთხრობებს, დრამებს. წარმატებით სარგებლობდა მისი კომედია „ლუდარი და მისი მეგობრები", რომელიც დაწერილია. ომისშემდგომ საკოლმეურნეო ცხოვრებაზე.

ნიკოლოზ ბაგლოითი (ბაგლოევი)

ნ. ბაგლოითი დაიბადა 1900 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ახლანდელი ჯავის რაიონის სოფელ ფლიკ-ყაუში. მონაწილეობას იღებდა პარტიზანულ მოძრაობაში 1918 — 1920 წლებში, სამხრეთ ოსეთში. 1922 წლიდან 1953 წლის ჩათვლით იყო საბჭოთა არმიაში. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში.

ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1925 წლიდან. სწერს რომანებს, მოთხრობებს, პიესებს და მხატვრულ ნარკვევებს. მის კალამს ეკუთვნის პიესები: „ისაყი", „ორი ძმა". „მაწანწალა". 1954 წელს გამოიცა მისი რომანი „მხარდამხარ" (წიგნი პირველი), ხოლო 1955 წელს — წიგნი მეორე.

ნაფი ჯუსოითი (ჯუსოევი)

ნაფი ჯუსოითი დაიბადა 1925 წლის 27 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის სოფელ ნოგ-ყაუში, გლეხის ოჯახში.

1931 წლიდან 1941 წლამდე სწავლობდა კიროვის საშუალო სკოლაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1941 წელს შევიდა საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც 1945 წლამდე დაპყო.

1949 წლიდან 1953 წლამდე ნაფი ჯუსოითი სწავლობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებულ ასპირანტურაში, ხოლო 1954 წლიდან იგი განაგებს სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის განყოფილებას.

ნაფი ჯუსოითის პირველი ლექსები 1946 წელს გამოქვეყნდა. პოეტის ძირითადი ნაწარმოებები შეგიდა კრებულებში: „ჯარისკაცის გული" (1949). „გულის სიტყვა" (1952) და „ლირიკა" (1955). ამის გარდა ნაფი ჯუსოითის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი მოთხრობები, კრიტიკული სტატიები და ტრაგედია „აზაუ და თაიმურაზი".

მელიტონ ბაბულთი (ბაბულოვი)

მ. ბაბულთი დაიბადა 1928 წელს, სამხრეთ ოსეთის ზნაურის რაიონის სოფელ მუგუთში. 1937 წ. იგი შევიდა მშობლიური სოფლის პირველდაწყებით სკოლაში, ხოლო 1941 წ. ავნევის საშუალო სკოლაში.

მ. ბაბულთიმ სწავლა განაგრძო სტალინირის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელიც 1948 წელს დაამთავრა, რის შემდეგაც შევიდა სტალინირის სახელმწიფო პედინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც 1952 წელს დაამთავრა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაიწყო მუშაობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ მუშაკად.

ლექსების წერა დაიწყო 1947 წლიდან. მისი ლექსების პირველი კრებული — „ცხოვრების ორომტრიალში" — გამოვიდა 1954 წელს.

ალექსი ბუკულთი (ბუკულოვი)

ა. ბუკულთი დაიბადა 1920 წელს სამხრეთ ოსეთის, სტალინირის რაიონის სოფელ ვალიანთკარში. იმავე სოფელში მიიღო დაწყებითი განათლება. 1936 წელს დაამთავრა სოფელ გრომის არასრული საშუალო სკოლა და იმავე წელს შედის სტალინირის პედაგოგიურ ტექნიკუმში.

ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ა. ბუკულთი მიდის საბჭოთა არმიის რიგებში. იგი სამამულო ომის მონაწილეა.

ლიტერატურული შემოქმედება ა. ბუკულთიმ დაიწყო 1939 წლიდან. მას შემდეგ თავის ნაწარმოებებს სისტემატურად აქვეყნებს სამხრეთ ოსეთის პერიოდულ პრესაში და ალმანახებში.

1957 წელს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ა. ბუკულთის ფრონტული მოთხრობების კრებული „ის დღეები".

ს ა რ ჩ ე ვ ი

	ს ა
ინალ ყანუყათი	
ოსურ ალში — თარგმანი ე. ჩხენკელისა	3
კოსტა ხეთაგათი	
ჯიხვებზე ნადირობა — თარგმანი მ. ნიკარაძისა	20
ხეკა გადიათი	
აზაე — თარგმანი ა. ბელიაშვილისა	35
ბისა — თარგმანი ო. დემეტრაშვილისა	32
ბათირბეგ თულანთი	
მწყემსი ბადე — თარგმანი ა. ქავეარაძისა	37
არხენ ქოცოითი	
მეგობრები — თარგმანი ო. დემეტრაშვილისა	41
ზონადირეები — თარგმანი ს. დემურხანაშვილისა	44
გეგის ალდგომა — თარგმანი მისივე	47
ასეც ხდება — თარგმანი მისივე	50
არ მოელოდნენ — თარგმანი. არ. ქავეარაძისა	53
ცომაუ გადიათი	
წინაპართა სინდისი — თარგმანი ს. დემურხანაშვილისა	63
ორი ყვავილი — თარგმანი შ. აფხაიძისა	72
ალექსანდრე ძადთიათი	
ბრძოლის ველი — თარგმანი თედეევისა	74
ქარიშხალი — თარგმანი მისივე	75
ხოზირიეო ყულათი	
მწყემსის ფიქრები — თარგმანი ა. გეწაძისა	78
ცალხელა — თარგმანი ა. ქუთათელიკა	84
ნომილ-ესი — თარგმანი მისივე	93
ჩერმენ ბეჯიზათი	
ქოძირთები — თარგმანი ა. გეწაძისა	105
ბრძოლა მიწისათვის — თარგმანი მისივე	111

დაბე მამსრათი

დიდება — თარგმანი ნ. ფოცხიშვილისა . . . 115
ბრიგადირი გაბდინი — თარგმანი ს. დემურხანაშვილისა 126

ქუძაგ ძესთი

ბურის მომტანი — თარგმანი გ. თედეევისა 132
უებარი წამალი — თარგმანი ა. გეწაძისა . 141

გინო ბარაყთი

ვისი ბრალია? — თარგმანი ი. ქავეარაძისა 149

ეზეთხან ურუიმაგთი

მეშვიდე შვილი — თარგმანი ა. გეწაძისა 157
ორი ახალგაზრდობა — თარგმანი ს. დემურხანაშვილისა . 165

ვარი შანათი

ბათის შვილი ასლანბეგი — თარგმანი ა. გეწაძისა . 169

თაზრეთ ბეხათი

გეთა — თარგმანი ა. ბელიაშვილისა . 178
მეზობლები — თარგმანი მისივე . 181

ხოხლან გაზათი

ოქბოხი — თარგმანი ა. გეწაძისა 186

გეხა ფლითი

ძაბეს ხიდი — თარგმანი ი. ქავეარაძისა . 191

ელიოზ ბეკოითი

ვაშლი „მეგობრობა" — თარგმანი ა. ქუთათელისა . 197

რეზო ცოცითი

სიკვდილზე ძლიერი — თარგმანი ლ. მრელაშვილისა 204

თათარი ეფხითი

ბარბარ ბარბარიფირთ — თარგმანი ნ. თოფჩიშვილისა 226
მიკმიკის ქათმები — თარგმანი ა. ბელიაშვილისა 229

ხოზირიყო ბრიტათი

წმინდა ხე — თარგმანი ლ. მრელაშვილისა . 235

თოთირბეგ ძადთიათი

მეზობლები — თარგმანი ა. გეწაძისა . 247
ხამიცის ჭირ-ვარამი — თარგმანი მისივე . 257

მაქსიმ ცაგარათი

პეტროვიჩი — თარგმანი გ. შატბერაშვილისა . 257

გიორგი ძუგათი

მეგობრები — თარგმანი ა. გეწაძისა 277

დავით ჭიოთი

ცხოვრების შეაგულში — თარგმანი გ. გელაშვილისა 284
ზამირათი — თარგმანი ა. მამისთვალოვისა . . . 291

ვასილ სანაყოთი
შეხვედრა 295
ილია ფლიოთი
ზარადა — თარგმანი თ. ანდღულაძისა 304
სერგი ხაცირთი
ბედნიერება — თარგმანი ზ. კოლბიდელისა 312
ნიკოლოზ გაგლოითი
პოტსდამის აღება — თარგმანი შ. ნიშნიანიძისა 327
ნაფი ჯუსოითი
ამბავი სიყვარულისა — თარგმანი გ. ბესთავთისა . 339
მელიტონ გაბულთი
მცურავი ძეგლი — თარგმანი გ. თედეევისა . 360
ალექსი ბუქულთი
ძვირფასი საჩუქარი — თარგმანი ა. გეწაძისა . 363
• • •
გ. ძადიანთი — ოსური პროზა (წერილი) . 371
• • •
შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი . . 380

შეგდგენლები: ზ. ქადთიათი
ზ. ძუნათი

ზ. აბაშიძე
სარედაქციო კოლეგია: შ. აფხაიძე
ზ. ბისთავთი
ქ. ქალაქი

ვაპირმცემლობის რედაქტორები: ე. ზუბიაშვილი
რ. ორჯონიკიძე

მხატვრები დ. და ვ. ქუთათელაძეები

მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე

ტექრედაქტორი ა. ლვინიაშვილი

АНТОЛОГИЯ ОСЕТИНСКОЙ ПРОЗЫ

(На грузинском языке)

Госиздат грузинской ССР

Тбилиси
1957

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/III-57 წ. ანაწყობის ზომა 9¼×12.
ქაღალდის ზომა 84×108. სასტამბო ფორმათა რიცხვი 24,5.
უე 01431. ტირაჟი 5.000. შეკვ. № 67
~~ფასი 17 მან. 40 კაპ.~~ 1-74

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფიკომბინატის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерство культуры Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.